როჟე
მარტენ
დიუ
გარი

# ტიბოს ოჯახი

I

თბილისი, „მერანი", 1987

84.4 Фр
გ 213

**როჟე მარტენ დიუ გარი** (1881—1958) გასული საუკუნის ფრანგული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი და გამგრძელებელია.

მისი რომანი „**ტიბოს ოჯახი**" ორი ოჯახის, ტიბოსა და დე ფონტანენების ისტორიაა. რომანის ცენტრშია ძმების, ანტუან და ჟაკ ტიბოს, ბედი. ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს მათ ბუნებას: ერთი — ტრადიციას, წესრიგს ემორჩილება, მეორე — დამოუკიდებლობისა და ახლის მაძიებელია.

„**ტიბოს ოჯახის**" კომპოზიცია თანდათან ფართოვდება: პირველ ექვს ნაწილში რომანის თემა ორი ოჯახის ფონზე ვითარდება, მომდევნო თავებში აღწერილია სოციალისტური პარტიებისა და მეორე ინტერნაციონალის ისტორია. ავტორი თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურის ძირითად თემასაც ეხება: ინტელიგენცია შორდება ძველ სამყაროს და ახლისკენ მიისწრაფვის.

4703000000 — 191
გ ——————— 127 — 87
М 604 (08) — 87
© გამომცემლობა „მერანი"

„ტიბოს ოჯახს" ვუძღვნი პიერ მარგარიტის ძმურ ხსოვნას; მისი სიკვდილით 1918 წლის 30 ოქტომბერს, სამხედრო ჰოსპიტალში, ჩაიფერფლა ბობოქარი შემოქმედება. მის მეამბოხე და სპეტაკ სულში რომ მწიფდებოდა.

რ. მ. გ.

# ნაწილი პირველი

## რუხი რვეული

### 1

ბატონი ტიბო, რომელსაც მთელი გზა ხმა არ გაუცია შვილისთვის, ერთბაშად ვოჟირარის ქუჩის კუთხეში შეჩერდა, პედაგოგიური სასწავლებლის კორპუსთან.

— ოჰ, არა, ანტუან, არა! ეს უკვე მეტისმეტია! — თქვა მან. ახალგაზრდა კაცს ხმა არ ამოუღია.

სასწავლებლის კარი დაკეტილი დახვდათ. კვირა დღე იყო... საღამოს ცხრა საათი... მეკარემ სარკმელი გამოაღო.

— ხომ ვერ მეტყვით, ჩემი ძმა სადაა? — შორიდანვე გასძახა ანტუანმა.

მეკარემ თვალები დააჭყიტა.

ბატონმა ტიბომ გაბრაზებით დააბაკუნა ფეხები:

— წადით, აბატი ბინო მომინახეთ!

მეკარე მოსაცდელ ოთახში შეუძღვა მამა-შვილს, ჯიბიდან დაგრეხილი სანთია ამოიღო და ჭაღი აანთო.

რამდენიმე წუთმა გაიარა. ბატონი ტიბო ძლივს სუნთქავდა. სკამზე დაეშვა და კბილებში გასცრა:

— არა, ეს უკვე მეტისმეტია! გესმის? მეტისმეტია!

— გვაპატიეთ, ბატონო! — წარმოთქვა ბატონმა ბინომ, რომელიც შეუმჩნევლად შემოსულიყო ოთახში. იგი იმდენად ტანმორჩილი იყო, ანტუანისთვის მხარზე რომ დაედო ხელი, ფეხის წვერებზე აწევა დასჭირდა. — გამარჯობათ, ჭაბუკო ექიმო! რა მოხდა?

— ჩემი ძმა სადაა?

— ჟაკი?

— დღეს სკოლიდან არ დაბრუნებულა! — დაუმატა ბატონმა ტიბომ და ფეხზე წამოიჭრა.

— კი მაგრამ, სად უნდა წასულიყო? — მშვიდად იკითხა აბატმა.

— დალახვროს ეშმაკმა, სად და აქ უნდა წამოსულიყო სასჯელის მოსახდელად!

აბატმა ქამარში გაჰყო ხელები.

— ჟაკი არავის დაუსჯია!

— რა თქვით?

— ჟაკი დღეს საერთოდ არ მოსულა სკოლაში!

საქმე გამწვავდა. ანტუანი მღვდელს მისჩერებოდა. ბატონმა ტიბომ წარბები აიჩეჩა და შეშუპებული, ერთთავად ძირს დახრილი ქუთუთოებიანი სახე აბატისკენ მიაბრუნა.

— გუშინ ჟაკმა გამოგვიცხადა, ოთხი საათი სკოლაში უნდა დავრჩე სასჯელის მოსახდელადო. ამ დილით, ჩვეულებისამებრ, წამოვიდა სკოლაში. შემდეგ, დაახლოებით თერთმეტ საათზე, როცა ყველანი წირვაზე ვიყავით, შინ დაბრუნებულა. მზარეული ქალიდა დახვედროდა, რომლისთვისაც უთქვამს, სასაუზმოდ ნუღარ დამელოდებით, რადგან ოთხი საათის სასჯელი რვა საათით შემიცვალესო.

— მტკნარი სიცრუეა! — დაბეჯითებით თქვა აბატმა.

— ნაშუადღევს შინიდან მომიხდა გასვლა, — განაგრძო ბატონმა ტიბომ. — ქრონიკა უნდა ჩამებარებინა „რევიუ დე დე მონდ-ში“. რედაქტორს ხალხი ეხვია და სადილობამდე ვერ მოვახერხე შინ მისვლა. ჟაკი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ამასობაში ცხრის ნახევარი გახდა, მაინც არსად ჩანდა. შემეშინდა; ანტუანი საავადმყოფოში მორიგეობდა, გამოვიძახე. და აი, ახლა თქვენთან მოვედით.

აბატი დაფიქრებული იდგა და ტუჩებს იკვნეტდა. ბატონმა ტიბომ, როგორც იქნა, ქუთუთოები ასწია და აბატსა და თავის ვაჟს გამგმირავი თვალით გადახედა რიგრიგობით.

— რას იტყვი, ანტუან?

— რა უნდა ვთქვა, მამა! თუკი ეს გაპარვა წინასწარ იყო მოფიქრებული, უბედური შემთხვევის ვარაუდი თავისთავად მოხსნილია, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა.

ანტუანის თავდაჭერა სიმშვიდეს თესდა ირგვლივ. ტიბომ სკამი აიღო და ჩამოჯდა; მისი გამჭრიახი გონება ათასნაირ კვალს მისდევდა, თუმცა ქონმორეული სახე არაფერს გამოხატავდა.

— რა უნდა ვქნათ ახლა? — გაიმეორა მან.

ანტუანი დაფიქრდა.

— ამ საღამოს ვერაფერს გავხდებით. უნდა დაველოდოთ.

ცხადია, უნდა დალოდებოდნენ. მაგრამ ბატონი ტიბო ვერ შეეგუებოდა იმ გარემოებას, რომ ენერგიულად მოქმედების საშუალება წაერთვა და ეს უსიამოვნო საქმე ერთბაშად ვერ მოათავა. თანაც, ორი დღის შემდეგ ბუნებისმეტყველთა კონგრესი იხსნებოდა მორალის საკითხებზე ბრიუსელში და ფრანგულ სექციას თვითონ თავმჯდომარეობდა. გაცოფებული წამოდგა.

— ჟანდარმებს დავგზავნი ყველგან მის საძებნელად! — დაიბუზღუნა მან. — ბოლოს და ბოლოს, არსებობს თუ არა პოლიცია საფრანგეთში? ან, იქნებ, ბოროტმოქმედთა დაჭერაც აღარ შეუძლიათ?!

ვიზიტურა მუცლის გარდიგარდმო ჩამოვრძელებოდა; საყელოს შესაბნევი ნაკეცებად ჩამოშვებულ ღაბაბზე უჭერდა და ქვედა ყბას ლაგამამოდებული ცხენივით იქნევდა.

„უჰ, ის მაწანწალა, — ფიქრობდა იგი, — მატარებლის ქვეშ მაინც მოჰყვებოდეს!“ და თვალის დახამხამებაში ყველაფერი მოწესრიგდა: კონგრესზე წარმოთქმული მისი სიტყვა და, ვინ იცის, იქნებ, ვიცე-პრეზიდენტად არჩევაც... მაგრამ მაშინვე წარმოუდგა ჯერ საკაცეზე, შემდეგ სამლოცველოში შესვენებული შვილი, გაუბედურებული მამის სახე, საყოველთაო თანაგრძნობა... და შერცხვა.

— გაგონილა მთელი ღამის ასეთ შფოთში გატარება! — ჩაილაპარაკა მან, — მძიმეა, ბატონო აბატო, მეტად მძიმეა მშობელი მამისათვის ასეთი წუთების განცდა.

კარისკენ გაემართა. აბატმა ქამრიდან ამოიღო ხელები.

— უკაცრავად, — თქვა და თვალები დახარა.

ჭაღი უნათებდა შუბლს, ზედ შავი ფოჩებივით დაფენილ თმას და ნიკაპთან სოლივით წაწვეტებულ ცბიერ სახეს. ლოყებზე ორი ვარდისფერი ლაქა უბზინავდა.

— დიდხანს ვყოყმანობდით, არ ვიცოდით... ღირდა თუ არა დღესვე შეგვეტყობინებინა თქვენთვის ერთი უსიამოვნო ამბავი, რომელიც... სხვათა შორის, დიდი ხანი არაა, რაც თქვენს ვაჟს შეემთხვა... თუმცა, იქნებ, ცნობად მაინც გამოგადგეთ... ჰოდა, ცოტაოდენ დროს თუ დაგვითმობდით, ბატონო...

პიკარდიული აქცენტი კიდევ უფრო ამუქებდა მის ორაზროვან სიტყვას. ბატონი ტიბო თვალდახუჭული მობრუნდა უხმოდ და სკამზე მძიმედ დაეშვა.

— რამდენიმე დღის წინ, ბატონო, იძულებული ვიყავით, — განაგრძო აბატმა, — შენიშვნა მიგვეცა თქვენი ვაჟისთვის ერთი მეტად ახირებული საქციელისა გამო... დიახ, ერთობ მძიმე დანაშაული ჩაიდინა... ასე გასინჯეთ, სკოლიდან გარიცხვითაც კი დავემუქრეთ. ოჰ, დასაშინებლად, რასაკვირველია. არაფერი უთქვამს?

— განა არ იცით, რა ოინბაზია? კრინტიც არ დაუძრავს, ჩვეულებისამებრ.

— რა საყვარელი ბიჭია! მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებისა, ბუნებით არაა ცუდი ბავშვი, — უკვე გულთბილად დასძინა აბატმა, — ჩვენი აზრით, უკანასკნელი დანაშაული, უმეტესად სუსტი ნებისყოფის გამო... დიახ, სხვისი გავლენით ჩაიდინა: მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ცუდი ამხანაგის გავლენა... ასეთი საშიში მეგობრები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან სახელმწიფო სკოლებში...

ბატონმა ტიბომ შიშით გადახედა აბატს.

— აი რა, ბატონო, თანმიმდევრობით გიამბობთ ყოველივეს: გასულ ხუთშაბათს... — იგი წამით დაფიქრდა და მერე მხიარულად განაგრძო: — არა, მაპატიეთ, ეს იყო გუშინწინ, პარასკევს, დიახ, პარასკევ დილით, მეცადინეობის დროს. შუადღის თორმეტი საათი არ იქნებოდა, როცა კლასში შევედით ერთბაშად, მოულოდნელად, თქვენც იცით, ჩვეულებრივ, როგორც ვიქცევით ხოლმე, — თქვა მან და ანტუანს თვალი ჩაუკრა: — სახელურს ფრთხილად გადავატრიალებთ და შემდეგ უცბად შევაღებთ ხოლმე კარს. ჰოდა, ოთახში შესვლისთანავე ჩვენი მეგობარი ჟაკო თვალში მოგვხვდა. მას ხომ სწორედ კარის პირდაპირ შევურჩიეთ ადგილი! მისკენ გავემართეთ, ლექსიკონი გადავწიეთ და... ჩავიჭირეთ! ხელი ვტაცეთ საეჭვო წიგნს, იტალიურიდან ნათარგმნი რომანი გახლდათ, „კლდეთა ქალწულები“, ავტორის გვარი დამავიწყდა...

— ფუი, რა საძაგლობაა! — იყვირა ბატონმა ტიბომ.

— ბიჭს ისეთი დაბნეული სახე ჰქონდა, — განაგრძო აბატმა, — მივხვდით, კიდევ გვიმალავდა რაღაცას: ეს ანცები ვერაფერს გამოგვაპარებენ! სადილობის დრო ახლოვდებოდა. ზარი რომ დაირეკა, კლასის დამრიგებელს ვთხოვეთ მოსწავლეები სასადილოში წაეყვანა. ჩვენ კი ჟაკის მერხში ორი სხვა ტომიც აღმოვაჩინეთ: ჟან ჟაკ რუსოს „აღსარება" და, რაც მთავარია, მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ... სამარცხვინო რამ ვნახეთ: ზოლას რომანი „აბატ მურეს შეცოდება".

— ოი, ის გაიძვერა, ისა!

— უკვე ვაპირებდით მერხის დახურვას, მაგრამ ერთბაშად მოვიფიქრეთ და სახელმძღვანელოების უკან ხელი მოვაფათურეთ; იქიდან რუხი კოლენკორის ყდიანი რვეული გამოვათრიეთ, რომელსაც გამოგიტყდებით, ერთი შეხედვით მეტად უწყინარი შესახედაობა ჰქონდა... გადავშალეთ, პირველ გვერდებს თვალი გადავავლეთ და...

აბატმა მკვირცხლი, ცივი, სასტიკი თვალებით გადახედა თანამოსაუბრეებს:

— მაშინვე მივხვდით ყოველივეს. ჩვენი ნადავლი საიმედო ადგილას შევინახეთ და ნაშუადღევის შესვენებაზე წყნარად, არხეინად გადავათვალიერეთ. წიგნები საგულდაგულოდ აეკინძათ. ქვემოთ, ყუაზე ინიციალი შევნიშნეთ: „ფ". რაც შეეხება რუხ რვეულს, ამ მთავარ სამხილს, მთავარ ნივთიერ საბუთს, იგი წერილების ერთგვარ კრებულს წარმოადგენდა. შიგ ორი სხვადასხვა ხელწერა აღმოჩნდა: ჟაკის ხელი, მისივე ხელმოწერით „ჟ" და მეორე, ჩვენთვის უცნობი ხელი, რომელსაც ბოლოში ასომთავრული „დ" ესვა.

აბატმა შეისვენა, შემდეგ ხმას დაუწია:

— სამწუხაროდ, წერილების ტონი და შინაარსი ნათლად მეტყველებდა მათი მეგობრის ხასიათზე. ეს ისე აშკარა იყო, ბატონო, რომ მკაფიო და წაგრძელებული ნაწერი კინაღამ ქალიშვილის, ან უკეთ, ქალის ხელწერად მივიჩნიეთ... ბოლოს, როცა ტექსტები გავაანალიზეთ, მივხვდით, რომ ეს უცნობი ხელი ჟაკის ამხანაგისა იყო. მადლობა ღმერთს, იგი ჩვენი სასწავლებლის მოსწავლე არ არის. როგორც ჩანს, ჟაკს ლიცეიში გაუცვნია ის ყმაწვილი. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, იმავე დღეს ლიცეის ინსპექტორთან, პატივცემულ კიიართან მივედით, — აბატმა კვლავ ანტუანს გადახედა, — იგი შეუდრეკელი კაცი გახლავთ, რომელსაც ინტერნატში მუშაობის დიდი და მწარე გამოცდილება აქვს. პიროვნების დადგენას დიდხანს არ მოვდომნივართ. დამნაშავე ბიჭი, რომელიც ხელს აწერდა ინიციალით „დ",

მესამე კლასის მოსწავლე * აღმოჩნდა, ჟაკის ამხანაგი, ფონტანენი, დანიელ დე ფონტანენი.

— ფონტანენი! რა თქმა უნდა, ფონტანენი! — წამოიძახა ანტუანმა. — შენც იცნობ, მამა, ფონტანენები ზაფხულობით მეზონ-ლაფიტში ცხოვრობენ, ტყის ახლოს! მართალია, მართალი! ამ ზამთარს, საღამოობით შინ დაბრუნებისას, რამდენჯერმე მივუსწარი ჟაკს, გატაცებით კითხულობდა ლექსების კრებულს, რომელიც იმ ფონტანენისგან ეთხოვა.

— როგორ? წიგნებს თხოულობდა? მერედა არ უნდა გაგეფრთხილებინე?

— ამ ამბავში არაფერი სახიფათო არ შემინიშნავს, — უპასუხა ანტუანმა და გამომწვევად შეხედა აბატს. ყმაწვილურმა ღიმილმა წამით გაუნათა დაფიქრებული სახე. — მით უმეტეს, რომ ეს იყო ვიქტორ ჰიუგოს, ლამარტინის ლექსები! მე ლამპას ვართმევდი ხოლმე, დროზე დაიძინოს-მეთქი.

აბატმა ტუჩი აიბზუა და თვითონაც გამომწვევად მიუგო:

— მთავარი ისაა, რომ ეს ფონტანენი პროტესტანტია.

— დიახ, დიახ, ეს მეც კარგად ვიცი! — დაიყვირა თავზარდაცემულმა ბატონმა ტიბომ.

— სხვათა შორის, საკმაოდ კარგი მოსწავლეა, — სწრაფად დაურთო მღვდელმა, რათა მიუკერძოებლობა დაემტკიცებინა, — ბატონმა კიიარმა მითხრა, ეს დიდი ბიჭი სერიოზული გვეგონა, მაგრამ ეტყობა, ყველა გაგვაცურა! დედამისიც წესიერი ქალი ჩანდაო.

— ოჰ, დედამისი... — შეაწყვეტინა ბატონმა ტიბომ. — ერთი სიტყვით, მიუხედავად კეთილშობილური იერისა, აუტანელი ხალხია!

— საყოველთაოდ ცნობილია, რა იმალება პროტესტანტთა სიდინჯის ნიღაბქვეშ! — თქვა აბატმა.

— ყოველ შემთხვევაში, მამამისი ნაღდი ქამელეონია... მეზონში მათ არავინ ეპატიჟება... ის კი არა, ძლივს ესალმებიან. შენს ძმას შეუძლია დაიკვეხოს, დიდებული ნაცნობები შეურჩევია!

— ასეა თუ ისე, — განაგრძო აბატმა, — სავსებით გათვითცნობიერებული დავბრუნდით ლიცეიდან, და ის იყო საფუძვლიან გამოძიებას უნდა შევდგომოდით, რომ გუშინ, შაბათს, დილის გაკვეთილების დაწყებამდე ჩვენი ჟაკო კაბინეტში შემოგვივარდა. დიახ, დიახ, შემოგვივარდა! სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით! სახეზე მკვდრისფერი ედო, კბილებს აკრაჭუნებდა. კარის ზღურბლს რომ გადმოაბიჯა, სალამიც არ მიუცია, ისე დაგვიყვირა, წიგნები და ქაღალდები მომპარესო. შენიშვნა მივეცით, ასე უხეშად შემოსვლა რა საკადრისია-თქო. მაგრამ ყური არ გვათხოვა. ჩვეულებრი-

ვად ფრიად ნათელი თვალები, ახლა სიბრაზისგან ამღვრეოდა. „რვეული თქვენ მომპარეთ, თქვენ მომპარეთ!“ ყვიროდა იგი. წარმოიდგინეთ, — განაგრძო აბატმა ბრიყვული ღიმილით, — ისიც კი მითხრა, თუ გაბედეთ და ჩემი რვეული წაიკითხეთ, იცოდეთ, თავს მოვიკლავო. შევეცადეთ, ტკბილი სიტყვით მოგველბო მისი გული, მაგრამ ლაპარაკის საშუალება არ მოგვცა. „სად არის ჩემი რვეული? ახლავე დამიბრუნეთ! იცოდეთ, თუ არ დამიბრუნებთ, ყველაფერს დავამტვრევ“. სანამ რაიმეს ვიღონებდით, ბროლის პრეს-პაპიეს სტაცა ხელი, ხომ გახსოვთ, ანტუან, საწერ მაგიდაზე რომ მქონდა? ყოფილმა მოსწავლეებმა პუი-დე დომიდან ჩამომიტანეს სახსოვრად. და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მარმარილოს ბუხრის კონსოლს მიანარცხა. ეს არაფერი! — სწრაფად დაუმატა აბატმა, როცა დაინახა ბატონი ტიბო უხერხულობისგან იშმუშნებოდა. — ასე დაწვრილებით თუ აღვწერთ ყველაფერს მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა გაჩვენოთ, რამდენად აღგზნებული იყო თქვენი ბავშვი: იგი იატაკზე გაგორდა. ნამდვილი ნერვიული შეტევა მოუვიდა. როგორც იქნა, ხელი ვტაცეთ, გვერდით ოთახში, საზეპირო ოთახში შევაგდეთ და ჩავკეტეთ.

— ოჰ, ღმერთო! — შესძახა ბატონმა ტიბომ და მუშტმოკუმშული ხელები ზეცისკენ აღაპყრო. — ზოგჯერ ნამდვილ შეშლილს ემსგავსება! ჰკითხეთ ანტუანს, რამდენჯერ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ საკმარისი იყო უბრალო რამეზე უარი გვეთქვა, ისე გაცოფდებოდა, იძულებული ვხდებოდით, მაშინვე დაგვეთმო: გალურჯდებოდა, კისრის ძარღვები დაებერებოდა, იტყოდით, ისეა გახელებული, ვინმეს მიახრჩობსო.

— ყველა ტიბო შმაგია, — დაემოწმა ანტუანი, და რაკი ჩანდა, ეს ამბავი მას სულაც არ აწუხებდა, აბატმაც მოვალედ ჩათვალა თავი, თავაზიანად გაეღიმა.

— როცა ერთი საათის შემდეგ, მის გასათავისუფლებლად შევედით, — განაგრძო მან, — იგი მაგიდასთან დაგვხვდა, თავი ხელებში ჩაერგო. გამძვინვარებულმა შემოგვხედა; თვალები მშრალი ჰქონდა. მოვითხოვეთ ბოდიში მოეხადა; ხმა არ ამოუღია, თმააწეწილი, თავდახრილი, ჯიუტი სახით მორჩილად შემოგვყვა კაბინეტში. ვაიძულეთ, იმ საცოდავი პრეს-პაპიეს ნამსხვრევები იატაკიდან აეკრიფა, რაც უსიტყვოდ შეასრულა; შემდეგ სამლოცველოში წავიყვანეთ. გადავწყვიტეთ, დროა ერთი საათით მაინც დავტოვოთ ღმერთის პირისპირ-თქო. მალე დავბრუნდით და მის გვერდით დავიჩოქეთ. წამით მოგვეჩვენა, თითქოს ნამტირალევი თვალები ჰქონდა, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, რადგან სამლოცველოში ბნე-

ლოცვა. ლოცვისას ათიოდე კრიალოსანი გადავთვალეთ დაბალ ხმაზე, შემდეგ ჩაცუა დავარიგეთ, ვუთხარით, წარმოიდგინეთ მამის მწუხარება, როცა გაიგებს, რომ ვიღაც ვიგინდარა ამხანაგმა მისი საყვარელი შვილის სიწმინდე შებღალა-თქო. თავაწეული იდგა, ხელები გულზე დაეკრიფა, თვალები საკუთხევლისთვის მიეპყრო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ჩვენი ნათქვამი არც კი გაეგონოს. რაკი დავრწმუნდით, ვერ მოვდრიკეთ მისი სიჯიუტე, ვუბრძანეთ კლასში დაბრუნებულიყო. გულზე ხელდაკრეფილი იჯდა საღამომდე თავის აღგილას, წიგნი ერთხელაც არ გადაუშლია. ჩვენ ისე გვეჭირა თავი, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდით. შვიდ საათზე ჩვეულებისამებრ წავიდა სკოლიდან, ოღონდ არ გამოგვემშვიდობებია. აი, ეს გვინდოდა გვეამბნა თქვენთვის, — დაასრულა მღვდელმა და ნიშნის მოგებით გადახედა თანამოსაუბრეებს, — აქამდე იმიტომ არ გაცნობეთ არაფერი, ველოდით, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ლიცეის ინსპექტორი იმ ბედკრული ვაჟბატონის, ფონტანენის მიმართ; ალბათ, სკოლიდან გარიცხავენ და ის იქნება! მაგრამ ამ საღამოს ასეთი შეწუხებულები რომ გნახეთ...

— ბატონო აბატო, — შეაწყვეტინა ბატონმა ტიბომ, რომელიც ისე ქშინავდა, თითქოს ეს-ესაა ათასი კილომეტრი გაირბინაო, — მგონი, საჭირო არაა გითხრათ, რა თავზარდაცემული ვარ ამ ამბით! როცა წარმოვიდგენ, ვინ იცის, კიდევ რამდენ უსიამოვნებას შეგვამთხვევს მომავალში მისი ასეთი ინსტინქტები, სასოწარკვეთილებაში ვვარდები! — გაიმეორა მან ჩუმი, ფიქრიანი ხმით, თავი წინ გაიშვირა, ხელები მუხლებზე დაიწყო და გაშეშდა. შეჭაღარავებული ულვაშების ქვეშ მთრთოლვარე ქვედა ბაგე და ნეთრი, ძლივს შესამჩნევად მოცახცახე წვერი რომ არა, ქუთუთოები ისე ჰქონდა დახრილი, უეჭველად იფიქრებდით, სძინავსო.

— არამზადა! — შესძახა მან ერთბაშად და მოჭუტული წამწამებიდან გამოტყორცნილი მისი მზერა მეტყველებდა, შეეცდებით, თუ ჩემს მოჩვენებით ინერტულობას დაენდობითო. მან კვლავ მოხუჭა თვალები და მთელი ტანით ანტუანისკენ შებრუნდა. ახალგაზრდა კაცს თვალები დაეხარა, წარბები შეეჭმუხნა და ნიკაპს ისრესდა.

— საავადმყოფოში შევივლი, დავიბარებ, ხვალ ვერ მოვალ-მეთქი, — მიმართა მამას მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — დილაადრიან კი იმ ფონტანენთან მივალ, გამოვკითხავ.

— დილაადრიან... — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ბატონმა ტიბომ და წამოდგა, — მანამ კი უძილო ღამე მელის, — ამოიოხრა და კარისკენ გაემართა.

აბატმა კარის ზღურბლამდე მიაცილა. ჩასუქებულმა კაცმა დონჟლოდ ჩამოართვა ხელი მღვდელს.

— თავზარდაცემული ვარ! — ამოიოხრა კვლავაც თვალდახუჭულმა ბატონმა ტიბომ.

— ღმერთს შევევედრებით, ყველას გადმოგვხედოს! — ზრდილობიანად თქვა აბატმა ბინომ.

მამა-შვილმა უხმოდ გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი. ქუჩა უკაცრიელი ჩანდა. ქარი აღარ უბერავდა. მაისის პირველი დღეები იდგა.

ბატონი ტიბო ლტოლვილზე ფიქრობდა: „თუკი გარეთაა, ძალიან არ შესცივდება!" აღელვებისაგან მუხლი ეკეცებოდა, შეჩერდა და შვილს მიუბრუნდა. ანტუანის აუღელვებელი იერი დამამშვიდებლად მოქმედებდა მამაზე. იგი ძალიან შეხმატკბილებული იყო პირმშოსთან, ამაყობდა მისით, ამ საღამოს კი განსაკუთრებით უყვარდა, რადგან უმცროსი ვაჟის მიმართ მტრული განწყობილება გაღრმავებოდა. განა ჟაკიც არ ეყვარებოდა?! ოდნავ მაინც რომ ეცადა ბიჭს, სულ ცოტა ვასიამოვნო მამას, მისი გული მოეგოო, ესეც კი საკმარისი იქნებოდა მისთვის; მაგრამ ჟაკი თავისი უცნაურობით და უხიაკი საქციელით მოხუცს გულს სტკენდა, შეურაცხყოფდა.

— მეტისმეტად მაინც არ გახმაურდებოდეს ეს ამბავი! — წაიბუზღუნა მან. ანტუანს მიუახლოვდა და შეცვლილი ხმით უთხრა: — მიხარია, ამ საღამოს მორიგეობიდან თავი რომ გაითავისუფლე.

მერე თავისი გრძნობის გამომჟღავნებისა ერთბაშად შერცხვა.

შვილმა ვერაფერი უპასუხა, რადგან მამაზე მეტად თვითონ გრძნობდა უხერხულობას.

— ანტუან... მოხარული ვარ, ჩემო კარგო, რომ ამ საღამოს გვერდით მყავხარ... — თქვა ბატონმა ტიბომ და, ალბათ, პირველად თავის სიცოცხლეში შვილს ხელი გამოსდო.

## II

იმ კვირა დღეს ქალბატონი დე ფონტანენი ნაშუადღევს რომ დაბრუნდა შინ, წინოთახში შვილის ბარათი დახვდა.

— დანიელი იწერება, საუზმეზე ბერტიესთან დავრჩებიო, — უთხრა ჟენის. — განა შინ არ იყავი, როცა ის დაბრუნდა?

— დანიელი? — ჟენიმ ჩაიჩოქა და დაიხარა, თითქოს სავარძლის ქვეშ შემძვრალი პატარა ძაღლი დაეჭირა, მაგრამ რატომღაც დიდხანს ვეღარ წამოდგა — არა, — თქვა ბოლოს, — არ მინახავს.

როგორც იქნა, ხელებში მოიმწყვდია მოუსი, მიუალერსა და ხტუნვა-ხტუნვით თავისი ოთახისკენ მოკურცხლა.

საუზმის დროს დაბრუნდა.

— თავი მტკივა. არ მშია. წოლა მინდა სიბნელეში.

ქალბატონმა დე ფონტანენმა გოგონა საწოლში ჩააწვინა და ფარდები გადასწია. ჟენიმ საბანი წაიხურა თავზე, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ასე გავიდა რამდენიმე საათი. ქალბატონი დე ფონტანენი რამდენჯერმე შევიდა გოგონასთან, გრილი ხელი შუბლზე დაადო. საღამო ხანს, გულაჩუყებულმა და შეშფოთებულმა ბავშვმა დედის ხელი დაიჭირა, დაუკოცნა და ცრემლებით დაუნამა.

— რატომ ნერვიულობ, საყვარელო?.. სიცხე ხომ არა გაქვს?

საათმა ჯერ შვიდჯერ, მერე რვაჯერ ჩამოჰკრა. ქალბატონი დე ფონტანენი შვილის მოლოდინში სუფრასთან არ ჯდებოდა. დანიელი გაუფრთხილებლად არასოდეს იგვიანებდა სადილად, მით უმეტეს, კვირა დღეს მარტო არ ტოვებდა დედას და დას. ქალბატონი დე ფონტანენი აივნის მოაჯირს დაეყრდნო. თბილი საღამო იდგა. ობსერვატორიის გამზირზე. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა გამვლელი. ხეთა რიგებში ბინდი წვებოდა. ფარნების შუქზე ქალბატონ დე ფონტანენს რამდენჯერმე მოეჩვენა, დანიელი მოდისო.

ლუქსემბურგის ბაღში დაფდაფი დაჰკრეს. ჭიშკარი დახურეს. დაღამდა. ქალმა ქუდი დაიხურა და ბერტიებთან გაიქცა. წინადღით აგარაკზე წასულიყვნენ. დანიელს ტყუილი უთქვამს.

ქალბატონ დე ფონტანენს არავის სიცრუე არ უკვირდა, მაგრამ დანიელმა, მისმა დანიელმა, პირველად მოატყუა! ნუთუ თოთხმეტი წლის ასაკში ნიერჩვია ტყუილს?!

ჟენის არ ეძინა, ყოველ გაფაჩუნებას ყურს უგდებდა; დედა მოიხმო:

— დანიელი სადაა?

— დაწვა. ეგონა, გეძინა და აღარ გაგაღვიძა. — ბუნებრივი ხმით ლაპარაკობდა. ბავშვის შეშინება რა საჭიროა, ფიქრობდა.

გვიანი იყო. ქალბატონმა დე ფონტანენმა დერეფანში გამავალი კარი ღიად დატოვა, უნდოდა ბიჭის დაბრუნება გაეგონა და ღრმა სავარძელში მოიკეცა.

ასე გავიდა მთელი ღამე; გათენდა.

შვიდი საათი იქნებოდა, როცა ძალლი ღრენით წამოიჭრა. დარეკეს. ქალბატონი დე ფონტანენი წინოთახში გავარდა; თვითონ უნდოდა კარის

გაღება... მაგრამ ეს წვეროსანი კაცი ვინაა? არ იცნობს... რაღაც ამბავია მის თავს!

ანტუანმა თავისი გვარი უთხრა. შემდეგ სთხოვა, სანამ დანიელი ლიცეიში წავიდოდეს, მინდა მოველაპარაკოო.

— საქმე ისაა, რომ სწორედ... ამ დილით მისი ნახვა შეუძლებელია.

ანტუანს გაუკვირდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ასეთი ჩაციება, მაგრამ... ჩემი ძმა, მისი კარგი მეგობარია და გუშინ სადღაც გაქრა... ძალიან ვწუხვართ.

— გაქრა? — იკითხა ქალმა და თავსაფარზე ხელი წაივლო. შემდეგ სასტუმრო ოთახის კარი გააღო. ანტუანი შეჰყვა.

— გუშინ საღამოს არც დანიელი დაბრუნებულა შინ, ბატონო. მეც შეშინებული ვარ, — თავი დახარა, მაგრამ მაშინვე ასწია. — მით უმეტეს, რომ ჩემი ქმარი ამჟამად პარიზში არ იმყოფება! — დაუმატა მან.

ასეთი უბრალო, ასეთი გულწრფელი გამოხედვა უწინ არასოდეს ენახა ანტუანს. უძილო, მშფოთვარე ღამის შემდეგ ქალის კრიალა სახეზე სხვადასხვა გრძნობები სუფთა ტონებივით ენაცვლებოდა ერთმანეთს. ახალგაზრდა კაცი და ქალბატონი დე ფონტანენი ერთხანს უსიტყვოდ შეჰყურებდნენ, მაგრამ თითქმის ვერ ხედავდნენ ერთმანეთს. ორივე საკუთარ ფიქრებს გაეტაცნა.

ამ დილით, საწოლიდან წამოხტომისთანავე, ანტუანი პოლიციელის აზარტმა შეიპყრო. ჟაკის გაპარვას ტრაგიკულად არ თვლიდა; მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა: აქაც იმისთვის მოვიდა, რომ თანამონაწილე დაეკითხა, მაგრამ ახლა ყველაფერი აირდაირია; ანტუანი რატომღაც სიამოვნებას განიცდიდა. მუდამ ასე იყო: როგორც კი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, თვალები ულმობლად აენთებოდა, ხოლო კვადრატულად შეკრეჭილი წვერით დაფარული ძლიერი ქვედა ყბა — ტიბოთა მოდგმის ქვედა ყბა, — წინ წამოეწეოდა.

— რომელ საათზე წავიდა გუშინ სახლიდან თქვენი შვილი? — იკითხა მან.

— ძალიან ადრე. ოღონდ შემდეგ დაბრუნებულა...

— ალბათ, თერთმეტის ნახევარსა და თერთმეტს შორის, არა?

— დაახლოებით ასე იყო.

— ჟაკიც ამ დროს მოსულა შინ! ჩანს, ერთად წავიდნენ. — დაბეჯითებით, თითქმის მხიარულად დაასკვნა მან.

ამ დროს ოდნავ შეღებული კარი ფართოდ გაიღო და პერანგის ამარა გოგონა ხალიჩაზე გაიშხლართა. ქალბატონმა დე ფონტანენმა დაიკივლა.

ანტუანმა სწრაფად წამოაყენა გულწასული ბავშვი და ხელში აიყვანა; ქალბატონი დე ფონტანენი ბავშვების ოთახში შეუძღვა ანტუანს და გოგონა ლოგინში ჩააწვინეს.

— ნება მომეცით, ქალბატონო... მე ექიმი ვარ... თუ შეიძლება, ცივი წყალი მომიტანეთ. ეთერი ხომ არ გექნებათ?

ჟენი მალე მოსულიერდა. დედამ გაუღიმა, მაგრამ ბავშვი კუშტად იმზირებოდა.

— ახლა არა უჭირს რა, — თქვა ანტუანმა, — კარგი იქნება, თუ დაიძინებს!

— გესმის, საყვარელო? — ჩასჩურჩულა ქალბატონმა დე ფონტანენმა, ბავშვის ოფლიან შუბლს ხელი მოაშორა, თვალებზე ჩამოუსვა და დაუკოცნა.

ისინი გაუნძრევლად იდგნენ საწოლის ორივე მხარეს. ოთახში ეთერის აქროლადი სუნი იდგა. ანტუანი მალულად ათვალიერებდა ქალბატონ დე ფონტანენს, თვალს არ აშორებდა მის თლილ ხელებსა და მკლავებს. მაქმანის თავსაფარი მხრებზე ჩამოცურებოდა, ქერა თმა აქა-იქ შევერცხლოდა. ორმოციოდე წლის იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდული, მიხრა-მოხრა და მკვირცხლი გამომეტყველება ჰქონდა.

ჟენის, ეტყობა, ჩაეძინა. თვალებზე დაფარებული ხელი ბუმბულივით აიღო დედამ. ანტუანი და ქალბატონი დე ფონტანენი ფეხაკრეფით გავიდნენ ოთახიდან და კარი ნახევრად ღიად დატოვეს. ქალბატონი დე ფონტანენი წინ მიუძღოდა სტუმარს, შემდეგ მობრუნდა და ორივე ხელი გაუწოდა:

— გმადლობთ, — უთხრა მან. მის მოძრაობაში ისეთი ბუნებრიობა, რაღაც ისეთი ვაჟკაცური იგრძნობოდა, რომ ანტუანმა ხელზე კოცნა ვერ გაუბედა და მაგრად ჩამოართვა მხოლოდ.

— ძალიან ნერვული ბავშვია! — თქვა ქალმა, — ალბათ, პიუსის ყეფა გაიგონა, იფიქრა, ძმა დაბრუნდაო, და გამოიქცა. გუშინ დილიდანვე ვერ იყო კარგად, მთელი ღამე სიცხე ჰქონდა.

დასხდნენ. ქალბატონმა დე ფონტანენმა უბიდან შვილის წერილი ამოიღო და ანტუანს გადასცა. სანამ იგი კითხულობდა, ქალი თვალს ადევნებდა. ადამიანებთან დამოკიდებულების დროს იგი მუდამ ენდობოდა საკუთარ ინსტინქტს: ანტუანმა პირველივე წუთებიდან დაიმსახურა მისი ნდობა: „ასეთი შუბლის პატრონი, — ფიქრობდა ქალი, — სულმდაბალი ვერ იქნება". ანტუანს თმა უკან გადაევარცხნა, ხშირი, თითქმის წაბლისფერი, წითური წვერი ორივე ლოყას მოსდებოდა და ამ მუქ ჩარჩოში ღრმად

ჩამჯდარი თვალები და თეთრი, სწორკუთხა შუბლი და უჩანდა. ანტუანმა წერილი დაკეცა და ქალბატონ დე ფონტანენს დაუბრუნა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს წაკითხულმა დააფიქრაო. სინამდვილეში ცდილობდა, დედისთვის როგორმე ფრთხილად ეცნობებინა ზოგიერთი რამ.

— ჩემი აზრით, — წამოიწყო მან, — რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს მათ გაპარვასა და ერთ ფაქტს შორის: ამას წინათ, მასწავლებლებს შეუმჩნევიათ მათი მეგობრობა... სიახლოვე...

— შეუმჩნევიათ?

— დიახ, დიახ. ერთი რვეული ჰქონიათ, სადაც მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ თურმე და ეს რვეული მასწავლებლებს ხელთ ჩავარდნიათ!

— მიწერ-მოწერა ჰქონიათ?

— გაკვეთილების დროს წერილებს წერდნენ თურმე ერთმანეთს. წერილების ტონი, ეტყობა, მეტად თავისებური ყოფილა.

ანტუანმა თვალი მოარიდა ქალს.

— საქმე იქამდე მივიდა, რომ დამნაშავეებს სკოლიდან გამორიცხვითაც დაემუქრნენ.

— დამნაშავეებს? ღმერთმანი, ვერაფერი გამიგია... კი მაგრამ, განა რა დააშავეს? ის, რომ წერილებს წერდნენ ერთმანეთს?

— ეტყობა, წერილების ტონი იყო ძალიან...

—წერილების ტონი?

ქალი ვერაფერს მიმხვდარიყო. მაგრამ ფაქიზი სულის პატრონმა მაშინვე იგრძნო ანტუანის უხერხულობა. შემდეგ უცებ თავი გადააქნია.

— ამას არავითარი კავშირი არა აქვს ბავშვების გაქცევასთან, ბატონო! — დაძაბული, ოდნავ შემკრთალი ხმით განაცხადა მან. ერთბაშად ისეთი გრძნობა დაეუფლა ორივეს, თითქოს მათ შორის რაღაც გაიბზარა.

— შესაძლებელია, თქვენმა ძმამ და ჩემმა შვილმა ერთად გადაწყვიტეს გაპარვა. თუმცა დანიელს ერთხელაც არ უხსენებია მისი გვარი...

— ტიბო.

— ტიბო? — გაიმეორა მან და სათქმელი ვეღარ დაამთავრა, — რა უცნაურია: წუხელ ჩემ გოგონას აბოდებდა და სწორედ ამ გვარს ახსენებდა გარკვევით...

— ალბათ, ძმა ხშირად ელაპარაკებოდა თავის მეგობარზე...

— ო, არა, გარწმუნებთ, დანიელი არასოდეს...

— მაშ საიდან უნდა სცოდნოდა?

— ოჰ, ასეთი უცნაური მოვლენები ხშირია ბუნებაში, — თქვა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

— რა მოვლენები?

ქალი ფეხზე იდგა და დაფიქრებული, მეოცნებე თვალებით იყურებოდა:

— ფიქრების გადაცემა!

ეს განმარტება და ტონი ისე ეუცნაურა ანტუანს, რომ გაკვირვებულმა შეხედა ქალს: მას სერიოზული, ამასთანავე გაცისკროვნებული სახე ჰქონდა, ხოლო ბაგეზე იმ მორწმუნე ქალის მკრთალი ღიმილი ეფინა, რომელიც მიჩვეულია ასეთ საკითხებში სხვისი სკეპტიციზმი არად ჩააგდოს.

ანტუანს ახალი აზრი გაუჩნდა; კვლავ პოლიციელის აზარტმა აიტაცა:

— მაპატიეთ, ქალბატონო! თქვენ ბრძანეთ, გოგონამ ჩემი ძმის გვარი ახსენაო... თუ არ ვცდები, გუშინ მთელი დღე აცივებდა თურმე, არა? იქნებ, ძმამ რაიმე საიდუმლოება გაანდო?

— თქვენ რომ ჩემ შვილებს ახლო იცნობდეთ, ან რომ იცოდეთ, რა დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთში, თქვენი ეჭვები თავისთავად გაქარწყლდებოდა, — თავაზიანად უპასუხა ქალბატონმა დე ფონტანენმა, — არც ერთსა და არც მეორეს არასოდეს არაფერი დაუმალავთ ჩემთვის. იგი გაჩუმდა. ერთბაშად გული ეტკინა: დანიელის საქციელი მის ნათქვამს აბათილებდა. — სხვათა შორის,— მაშინვე დაუმატა ამაყად და კარისკენ გაემართა, — თუკი ჟენის არ სძინავს, შეგიძლიათ დაჰკითხოთ.

გოგონა იწვა, თვალები ფართოდ გაეხილა. მისი დახვეწილი სახე მკაფიოდ იხატებოდა ბალიშზე; ღაწვები ალეწოდა; გულზე პატარა ძაღლი მიეკრა, რომლის შავი დრუნჩი სასაცილოდ მოჩანდა ზეწრიდან.

— ჟენი, გაიცანი ბატონი ტიბო! იცი, იგი დანიელის მეგობრის ძმაა!

გოგონამ ჯერ ცნობისმოყვარეობით, შემდეგ უნდობლად შეათვალიერა უცნობი.

ანტუანი საწოლს მიუახლოვდა, ჟენის მაჯა ხელში აიღო და საათს დახედა:

— მაჯა კვლავ აჩქარებული აქვს! — განაცხადა მან. ბავშვი გასინჯა. მის პროფესიულ მანერებში განსაკუთრებული სიდინჯე იგრძნობოდა.

— რამდენი წლისაა?

— მალე ცამეტისა გახდება.

— ნუთუ? ვერასოდეს ვიფიქრებდი; საერთოდ, რაკი ციებ-ცხელება ასე ხშირად უმეორდება, ყურადღება უნდა მიაქციოთ. თუმცა. საშიში არაფერია! — დასძინა მან და გოგონას გაუღიმა. შემდეგ საწოლს მოშორდა და სულ სხვა ტონით ჰკითხა:

— ჩემ ძმას თუ იცნობთ, მადმუაზელ? ჟაკ ტიბოს?

გოგონამ წარბი შეიკრა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ნამდვილად? უფროს ძმას არასოდეს ულაპარაკნია თავის უახლოეს მეგობარზე?

— არა, არასოდეს. — უპასუხა ბავშვმა.

— კი მაგრამ, — ჩაერია ქალბატონი დე ფონტანენი. — წუხანდელი სიზმარი დაგავიწყდა? როცა გაგაღვიძე, აკი მითხარი, დამესიზმრა დანიელსა და მის მეგობარს, ტიბოს, გზაზე ვიღაც მოსდევდაო... შენ გარკვევით თქვი ტიბო!

გოგონა თითქოს მართლაც ცდილობდა გახსენებას.

— არა, ეს გვარი არასოდეს გამიგონია, — თქვა მან ბოლოს.

— მადმუაზელ, — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წამოიწყო ანტუანმა. — დედათქვენთან იმიტომ მოვედი, მინდოდა ერთი პატარა დეტალი გამეგო, რაც მას არ ახსოვდა და რაც აუცილებელია თქვენი ძმის მოსაძებნად: მითხარით, გუშინ რა ეცვა მას?

— არ ვიცი.

— განა გუშინ დილით არ გინახავთ იგი?

— როგორ არა, ვნახე. საუზმეზე. მაგრამ ჯერ არ იყო ჩაცმული. შემდეგ დედას მიუბრუნდა: — ამაზე ადვილი რაა, კარადაში შეიხედე და ნახავ, რომელი კოსტიუმი აკლია!

— კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი კითხვა მაქვს, მადმუაზელ: რომელ საათზე დაბრუნდა შინ თქვენი ძმა ბარათის დასატოვებლად, ცხრაზე, ათზე თუ თერთმეტზე? დედათქვენი შინ არ იყო და ზუსტად ვერ მითხრა.

— არ ვიცი.

ჟენის ტონში ანტუანმა გაღიზიანება იგრძნო.

— მაშინ, — თქვა იმედდაკარგულმა ანტუანმა, — მისი კვალის პოვნა ძალიან გაგვიძნელდება.

— მოიცათ! — თქვა ბავშვმა, ხელი ასწია და ანტუანი შეაჩერა. — თერთმეტს ათი წუთი აკლდა.

— ზუსტად ათი წუთი აკლდა? კარგად გახსოვთ?

— დიახ.

— განა საათს უყურებდით, სანამ ის შინ იყო?

— არა. მაგრამ სწორედ ამ დროს შევედი სამზარეულოში, პურის გული მინდოდა სახატავად. ჰოდა, იგი რომ მანამ ან შემდეგ მოსულიყო, კარზე კაკუნს გავიგონებდი და გავაღებდი.

— მართალი ხართ. — თქვა ანტუანმა და ერთხანს დაფიქრდა: ტყუ-ილუბრალოდ რად ვღლი ბავშვს? შევცდი, გოგონამ არაფერი იცის. — ახლა კი, — უთხრა ანტუანმა და კვლავ ექიმის ტონი მიიღო, — თბილად იწვე-ქით, თვალები დახუჭეთ და დაიძინეთ.

შიშველ მკლავებთან საბანი შემოუკეცა და გაუღიმა:

— ახლა, ძილი ნებისა! როცა გაიღვიძებთ, გამოჯანმრთელებული იქ-ნებით, ამასობაში თქვენი ძმაც დაბრუნდება.

ჟენიმ შეხედა. ანტუანს სამუდამოდ დაამახსოვრდა, რაც მის თვალებში ამოიკითხა: მისი გამამხნევებელი სიტყვების საპასუხოდ ისეთი გულგატე-ხილობა, ისეთი დაძაბულობა, ისეთი ნაღველი და მარტოობის გრძნობა შე-ნიშნა, რომ ანტუანი ანაზდად შეკრთა და თვალი დახარა.

— თქვენ მართალი იყავით, ქალბატონო, — წაილაპარაკა მან სასტუმ-რო ოთახში შესვლისას, — ბავშვი უბიწოების განსახიერებაა. საშინლად იტანჯება, მაგრამ არაფერი იცის.

— უბიწოების განსახიერებაა,— დაფიქრებით გაიმეორა ქალბატონმა დე ფონტანენმა,— მაგრამ მან ყველაფერი იცის.

— იცის?

— იცის.

— როგორ? მისი პასუხი ხომ, პირიქით...

— დიახ. სწორედ მისი პასუხები... — ნელა გაიმეორა ქალბატონმა დე ფონტანენმა, — მე ახლოს ვიდექი მასთან... ვიგრძენი.. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ...

იგი დაჯდა, მაგრამ მაშინვე წამოდგა. სახე აფორიაქებული ჰქონდა.

— იცის! იცის! ახლა უკვე დარწმუნებული ვარ! — უცებ წამოიძახა მან. — და იმასაც ვგრძნობ, რომ უმალ მოკვდება, ვიდრე იმ საიდუმლო-ებას გაგვიმჟღავნებს!

ანტუანი წავიდა. მისი რჩევით, ქალბატონი დე ფონტანენი ლიცეის ინს-პექტორთან, ბატონ კიიართან უნდა მისულიყო, მაგრამ სახლიდან გასვლამ-დე ცნობისმოყვარეობას აჰყვა და „ლე ტუ პარი“ გადაშალა:

— „ტიბო (ოსკარ-მარი)—საპ. ლეგ. ორ. კავ. * — ერის დეპარტამენტის ყოფილი დეპუტატი. — მცირეწლოვანი ბავშვების დაცვის საზოგადოების ლიგის ვიცე-პრეზიდენტი. — ბავშვთა ბოროტმოქმედებასთან მებრძოლი საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე; — პარიზის საეპისკოპოსო კათოლიკური სამადლო დაწესებულებათა გაერთიანების ხაზინადარი. — უნივერსიტეტის ქუჩა, 4ა, VII ოლქი“.

## III

ქალბატონი დე ფონტანენი ისე აღშფოთებულა ბატონ კიიართან საუბრით, რომ ლიცეის ინსპექტორი პასუხის ღირსადაც არ უცვნია და როცა ორი საათის შემდეგ, მისი კაბინეტიდან სახეალეწილი გამოსულა, არ იცოდა, ვისთვის ეთხოვა მხარდაჭერა; ერთბაშად ბატონი ტიბო მოჰგონებია, თუმცა იდუმალი ხმა უკარნახებდა ასეთი ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ იგი მაინც აჰყოლია სწრაფი გადაწყვეტილების ინსტინქტსა და რისკს, რაც საერთოდ გამბედაობად მიაჩნდა თურმე.

ტიბოსთან ნაშუადღევილი ოჯახური საბჭო შეკრებილიყო. აბატ ბინოს დილაადრიანად მიერბინა უნივერსიტეტის ქუჩაზე; ცოტა ხნის შემდეგ პარიზის არქიეპისკოპოსის პირადი მდივანი, ბატონი ტიბოს სულიერი მოძღვარი და ოჯახის ახლო მეგობარი, ბატონი აბატი ვეკარიც მოსულიყო — ტელეფონით გაეფრთხილებინათ.

ბატონი ტიბო საწერ მაგიდას უჯდა, იტყოდით, სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობსო. ღამე თეთრად გაეთენებინა და ისედაც მიწისფერი სახე ჩვეულებრივზე მეტად ჩატეტკოდა. მარცხნივ მდივანი ეჯდა, ბატონი შალი, ჭაღარათმიანი, სათვალეებიანი ჯუჯა. ანტუანი ჩაფიქრებული იდგა წიგნის კარადასთან. მადმუაზელიც კი მოეხმოთ, თუმცა ამ დროს ოჯახის საქმეებით იყო ხოლმე გართული. მხრებზე მერინოსის შავი შალი მოეხურა და ჩუმად, სმენადქცეული, სკამის კიდეზე ჩამოსკუპულიყო: შუაზე გაყოფილი შევერცხლილი თმა ყვითელ შუბლზე გადატკეცოდა, ხოლო შვლის თვალებით ხან ერთ მღვდელს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს. ეკლესიის მსახურები ბუხრის ორივე მხარეს მოკალათებულიყვნენ ნაღალზურგიან სავარძლებში.

ბატონმა ტიბომ ჯერ ანტუანის მიერ ჩატარებული ძიების შედეგები გააცნო იქ მყოფთ, შემდეგ თავის უიღბლობაზე მოჰყვა წუწუნს. ამასთან, სიამოვნებას ჰგვრიდა, მოწონებით რომ ხვდებოდნენ მის აზრებს, ხოლო აღშფოთების გამოსახატავად შერჩეული სიტყვები მასვე უჩუყებდა გულს. მიუხედავად ამისა, მოძღვრის იქ ყოფნა აიძულებდა გადაესინჯა თავისი სინდისი: მოიხადა თუ არა მამის ყოველგვარი მოვალეობა იმ უბედური ბავშვის წინაშე? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავს არიდებდა: ის პატარა პროტესტანტი რომ არა, არაფერი მოხდებოდაო, ფიქრობდა იგი.

— განა ფონტანენივით არამზადები სპეციალურ სასწავლებლებში არ უნდა იყვნენ ჩაკეტილნი? — დაიბუზღუნა მან და წამოდგა. — განა ჩვენი შვილები არ უნდა მოვარიდოთ ამ გადამდებ სენს?

ხელები უკან დაეწყო, თვალები მოეჭუტა და საწერი მაგიდის წინ ბოლთასა სცემდა. მას განსაკუთრებით ის აცოფებდა, კონგრესზე წასვლა რომ ჩაეშალა, თუმცა ამის შესახებ კრინტი არ დაუძრავს.

— აი უკვე ოცი წელია, ბავშვთა ბოროტმოქმედების საკითხს ვსწავლობ! ოცი წელია ვებრძვი ამ დანაშაულს: რამდენი საზოგადოება დამიარსებია, ბროშურები დამიბეჭდავს, მოხსენებები წამიკითხავს კონგრესებზე! მეტსაც გეტყვით, — მიუბრუნდა იგი აბატებს — კრუის გამასწორებელ კოლონიაში სპეციალური კორპუსი ავაშენებინე ბიწიერი ბავშვებისათვის, და თუ ისინი ჩვენი აღსაზრდელებისგან განსხვავებით სპეციალურ კლასს ეკუთვნოდნენ, განსაკუთრებულ მეთვალყურეობას ვუნიშნავდით. მერედა რა? რომ გითხრათ, არ დაიჯერებთ: ეს კორპუსი მუდამ ცარიელია! განა მე უნდა ვაიძულო მშობლები, თქვენი შვილები იქ მოათავსეთ-მეთქი?! ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რათა სახალხო განათლების სამინისტრო ჩვენი წამოწყებებით დაინტერესებულიყო! მაგრამ, — დაასრულა მან, მხრები აიჩეჩა და სავარძელში ჩაეშვა, — უღმერთოთა სკოლის ეს წარმომადგენლები სოციალური ჰიგიენისთვის თავს არ იწუხებენ.

სწორედ ამ დროს მოახლემ სადარბაზო ბარათი შემოუტანა.

— ამ ქალს აქ რა უნდა? — წამოიყვირა მან და შვილს გადახედა. — რისთვის მოსულა? — ჰკითხა მოახლეს, პასუხს არ დაუცადა და დაუმატა: — ანტუან, მიდი, მიხედე!

— უარს ხომ ვერ ვეტყვით მიღებაზე! — თქვა ანტუანმა. როცა სადარბაზო ბარათს დახედა.

ბატონი ტიბო კინაღამ გაწიწმატდა, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი, აბატებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ქალბატონი დე ფონტანენი მობრძანდა! როგორ მოვიქცეთ, ბატონებო? განა ვალდებული არა ვართ პატივისცემით მივეპყრათ ქალს, ვინც არ უნდა იყოს იგი? ბოლოს და ბოლოს, ეს ქალი ხომ დედაა!

— რათ? დედა? — ისე ხმადაბლა წაიჩურჩულა ბატონმა შალმა, თითქოს თავისთავს ეკითხებაო.

ბატონმა ტიბომ განაგრძო:

— სთხოვეთ მანდილოსანს!

და როცა მოახლე სტუმარს ოთახში შემოუძღვა, იგი წამოდგა და დიდი თავაზიანობით დაუქნია თავი.

ქალბატონი დე ფონტანენი ამდენ ხალხს არ მოელოდა. კარის ზღურბლთან შეყოყმანდა, შემდეგ მადმუაზელისკენ გაემართა, რომელიც სკამიდან

წამოხტა და დაბნეული სახით მიაჩერდა პროტესტანტ ქალს. მისმა თვალებმა ერთბაშად დაკარგეს მიბნედილი გამომეტყველება და შვლის ნაცვლად ქათმის თვალებს დაემსგავსა.

— თუ არ ვცდები, ქალბატონი ტიბო უნდა ბრძანდებოდეთ! — წაიბუტბუტა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

— არა, ქალბატონო, — სასწრაფოდ ჩაერია ანტუანი, — დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მადმუაზელ დე ვეზი გვზრდიდა მე და ჩემ ძმას, აგერ თოთხმეტი წელია ჩვენთან ცხოვრობს.

ბატონმა ტიბომ მამაკაცები გააცნო.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ! — თქვა ქალბატონმა დე ფონტანენმა, რომელიც ამდენმა დაკვირვებულმა მზერამ დააბნია, მაგრამ მისთვის ჩვეული ბუნებრიობა მაინც არ დაუკარგავს. — მინდოდა გამეგო, დილის შემდეგ ახალი ხომ არაფერი შეგიტყვიათ... ერთნაირი უბედურება დაგვატყდა თავს, ბატონო, და ვიფიქრე, სჯობს... ერთად გვეღონა რამე. ასე არ არის? — დაუმატა მან სანდომიანი და ნაღვლიანი ღიმილით, მაგრამ მის გულდია მზერას, ბატონი ტიბოს ცივი, ჩამქრალი შემოხედვა შეეგება.

მაშინ ქალმა ანტუანი მოძებნა თვალებით და, მიუხედავად იმ შეუმჩნეველი ზღვარისა, რაც დილანდელი საუბრის ბოლოს გაჩნდა მათ შორის, სწორედ ამ კუშტი, პატიოსანი სახისკენ გაუწია გულმა. ქალის შემოსვლისთანავე ანტუანმაც მაშინვე იგრძნო, რომ ერთგვარი კავშირი არსებობდა მათ შორის, და ახლოს მივიდა.

— ჩვენი პატარა ავადმყოფი როგორაა, ქალბატონო?

ბატონმა ტიბომ სიტყვა შეაწყვეტინა, თავი აიქნია და ნიკაპი წინ წამოაგდო, რითაც უკიდურეს აღელვებას გამოხატავდა ხოლმე; შემდეგ მთელი ტანით შემობრუნდა ქალისკენ და საქმიანი ტონით წამოიწყო.

— განა საჭიროა იმის რწმუნება, ქალბატონო, რომ ჩემზე უკეთ ვერავინ გაიგებს თქვენს წუხილს? მე უკვე მოვახსენე ბატონ აბატებს, გული მეკუმშება, როცა იმ უბედურ ბავშვებზე ვფიქრობ-მეთქი. მიუხედავად ამისა, უყოყმანოდ გეტყვით, ქალბატონო, განა ახლა ერთობლივი მოქმედება სასურველია? რასაკვირველია, უნდა ვიმოქმედოთ, უნდა ვეძებოთ ბავშვები, მაგრამ განა არ აჯობებს ცალ-ცალკე ვაწარმოოთ ეს ძებნა? მე იმის თქმა მინდა, პირველ ყოვლისა, გაზეთის რეპორტიორებს ხომ არ უნდა მოვერიდოთ-მეთქი? ნუ გაგიკვირდებათ, თუკი იმ ადამიანის ენით გელაპარაკებით, რომელსაც მდგომარეობა აიძულებს პრესისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე სიფრთხილე გამოიჩინოს... არ იფიქროთ, თითქოს პირადი ინტერესები მამოძრავებდეს! ცხადია, არა! მადლობა ღმერთს, მტრის ყიყინს

არაფრად ვაგდებ, ასეთ რამეებზე მაღლა ვდგავარ! მაგრამ განა ისინი ჩემის სახელით, ჩემი ავტორიტეტით არ ისარგებლებენ და არ შეეცდებიან აუგად მოიხსენიონ ის საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელთა წარმომადგენელიც მე გახლავართ?! ამას გარდა, შვილის მომავალზეც ვფიქრობ, განა არ უნდა ვეცადო, რადაც უნდა დამიჯდეს, ამ საჩოთირო საქმეში ჩვენს სახელთან სხვისი სახელი აღარ ახსენონ? განა ჩემი უპირველესი ვალი არაა ისე დავიცვა შვილი, რომ მომავალში არავითარი შეურაცხმყოფელი სიტყვა არ გადაუკრან იმ ნაცნობებზე... გეთანხმებით, სრულიად შემთხვევით ნაცნობებზე... მაგრამ... თუ შეიძლება ითქვას... მეტისმეტად საძრახის ნაცნობებზე!

ბოლოს ბატონმა ტიბომ ქუთუთოები ოდნავ ასწია, აბატ ვეკარს გადახედა და თქვა:

— ბატონებო, თქვენც ხომ იზიარებთ ჩემს აზრს?

ქალბატონი დე ფონტანენი გაფითრდა. იგი რიგრიგობით დააკვირდა ორივე აბატს, მადმუაზელს, ანტუანს და მხოლოდ უტყვ სახეებს წააწყდა.

— დიახ... როგორც ვხედავ... — წამოიძახა ქალმა, მაგრამ ყელში მოაწვა რაღაც, შემდეგ ძალა მოიკრიბა და განაგრძო: — როგორც ვხედავ, ბატონი კიიარის ეჭვები...—კვლავ ჩაჩუმდა.—ის კაცი, ბატონი კიიარი, უბადრუკი ადამიანი, ყოფილა, დიახ უბადრუკი, უბადრუკი ადამიანი!—მწარე ღიმილით დაასრულა მან.

ბატონი ტიბო მოღუშული იჯდა; ფაფუკი ხელი აბატ ბინოსკენ გაიშვირა, თითქოს მოწმედ ასახელებსო. აბატი უჯიშო ძაღლივით აცმუკდა და ბრძოლაში ჩაება.

— თავს ნებას მივცემთ შეგახსენოთ, ქალბატონო, რომ ბატონი კიიარის ეჭვებს ისე უარყოფთ, არც კი იცით რა მძიმე დანაშაული აწევს თქვენს პატივცემულს ვაჟს...

ქალბატონმა დე ფონტანენმა ახედ-დახედა აბატ ბინოს, ინსტინქტით მიხვდა, რა კაციც ბრძანდებოდა, და აბატ ვეკარისკენ მიაბრუნა თავი. იგი ხლერსიანი თვალებით მისჩერებოდა ქალს. ამ ორმოცდაათიოდე წლის კაცს თხელი თმა ბუძგურად ედგა ტონზურის ირგვლივ და სახეს უგრძელებდა. მან შეისმინა ერეტიკოსი ქალის უტყვი ვედრება და გამოესარჩლა:

— აქ ყველას გვესმის, ქალბატონო, რა მძიმეა თქვენთვის ეს საუბარი. შვილის ასეთი ნდობა უსაზღვროდ ამაღელვებელია... უსაზღვროდ პატივსადებია... — დაუმატა მან, მისთვის ჩვეული ნერვიული მოძრაობით საჩვენებელი თითი ბაგესთან მიიტანა და განაგრძო, — მიუხედავად ამისა, ქალბატონო, სამწუხაროდ, ისეთი ფაქტებია...

— ფაქტები... — სიტყვა ჩამოართვა აბატმა ბინომ უკვე დათაფლული ხმით, თითქოს თანამოძმის ტონს აჰყვაო, — სიმართლე უნდა ითქვას, ქალბატონო, ფაქტები თავზარდამცემია.

— გთხოვთ, გაჩუმდეთ, ბატონო! — წაიჩურჩულა ქალბატონმა დე ფონტანენმა და სახე მიიბრუნა.

მაგრამ აბატმა რაკი დაიწყო, აღარც შეჩერდა:

— აი, ნივთიერი საბუთიც აქა გვაქვს, — წამოიყვირა მან, ქუდი ხელიდან დაუვარდა და ქამარში გარჭობილი რუხი რვეული ამოიღო: — თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, ქალბატონო: მართალია, იქნებ, მეტისმეტი სისასტიკეა, ილუზიებს რომ გიმსხვრევთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, აუცილებელია ყველაფერი იცოდეთ!

მან ქალისკენ გადადგა ნაბიჯი, უნდოდა რვეული გადაეცა. მაგრამ ქალბატონი დე ფონტანენი წამოდგა.

— არა, ბატონებო, ერთ სტრიქონსაც არ წავიკითხავ. ბავშვის უნებართვოდ მისი საიდუმლოების ასე საჯაროდ გამჟღავნება, თანაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე?! არა, ასეთ რამეს მე ვერ ჩავიდენ!

აბატ ბინოს ხელი ჰაერში დარჩა გაშლილი, თხელ ტუჩებზე ნაძალადევი ღიმილი ეფინა.

— თქვენი ნება, არ ჩაგაცივდებით! — ირონიულად უთხრა მან. შემდეგ რვეული საწერ მაგიდაზე დადო, ქუდი იატაკიდან აიღო და თავის ადგილას დაჯდა. ანტუანს სურვილი ჰკლავდა, მხრებში ჩაევლო მისთვის ხელი და გარეთ გაეგდო. იგი ზიზღით უყურებდა მღვდელს, წამით აბატ ვეკარის თვალებს წააწყდა და თანაგრძნობა ამოიკითხა.

ამასობაში ქალბატონმა დე ფონტანენმა ტაქტიკა შეცვალა: თავაწეული, გამომწვევი იერით მივიდა ბატონ ტიბოსთან, რომელიც სავარძლიდან არც წამომდგარა.

— ეს ყველაფერი ჩვენს საქმეს არ ეხება, ბატონო! თქვენთან მხოლოდ იმისთვის მოვედი, მინდოდა გამეგო, რას აპირებთ-მეთქი. ჩემი ქმარი ამჟამად პარიზში არაა და იძულებული ვარ, მე თვითონ მივიღო რაიმე გადაწყვეტილება... რაც მთავარია, მინდოდა მეთქვა, ჩემი აზრით, საჭირო არაა პოლიციას მივმართოთ...

— პოლიციას? — მყისვე იკითხა გაანჩხლებულმა ბატონმა ტიბომ და ზეზე წამოიჭრა, — ნუთუ ფიქრობთ, ქალბატონო, აქამდე ფეხზე არ დავაყენებდი დეპარტამენტის პოლიციას? ამ დილით მე თვითონ დავურეკე პრეფექტის კანცელარიის უფროსს და ვთხოვე, ყოველი ზომა მიეღოთ, ოღონდ სასტიკი საიდუმლოების დაცვით... მეზონ-ლაფიტის მერსაც ვუდეპეშე ყო-

ველი შემთხვევისთვის, ვინ იცის, ლტოლვილებმა, იქნებ, ნაცნობ ადგილას მოიფიქრონ თავის შეფარება?! რკინიგზის ყველა კომპანია, სასაზღვრო სა-გუშაგოები და ყველა სამგზავრო ნავსადგური უკვე გაფრთხილებულია. მიუხედავად ამისა, იძულებული ვარ, რადაც უნდა დამიჯდეს, თავიდან ავიცდინო სკანდალი. თორემ ამ არამზადებს ხელხუნდებით ჩამოვაყვანი-ნებდი ჟანდარმებს და ჭკუასაც ვასწავლიდი! თუგინდ იმიტომაც, ქალბატო-ნო, რომ საჭიროა გვახსოვდეს — ჩვენს უბედურ ქვეყანაში კიდევ არსებობს მამის ავტორიტეტის დამცველი სამართლისებრი რამ!

ქალბატონ დე ფონტანენს არაფერი უთქვამს, გამოემშვიდობა და გასას-ვლელისკენ გაემართა. ბატონი ტიბო უცებ მოვიდა გონს:

— ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, როგორც კი რაიმე ცნობას მივიღებთ, ჩემი ვაჟი მყისვე შეგატყობინებთ.

ქალმა ოდნავ დახარა თავი და ანტუანის თანხლებით ოთახიდან გავიდა. ბატონი ტიბოც მიჰყვა.

— ჰუგენოტი! — ბოროტად ჩაიქირქილა აბატმა ბინომ, როგორც კი ქალი თვალს მიეფარა.

აბატმა ვეკარმა თავი ვერ შეიკავა და საყვედურით შეხედა.

— რაო? ჰუგენოტი? — წაიჩურჩულა ბატონმა შალმა და ისე დაიხია უკან, თითქოს წინდღა ბართლომეს ღამით დაღვრილი სისხლის გუბეში ჩა-ედგას ფეხი.

IV

ქალბატონი დე ფონტანენი შინ დაბრუნდა. ჟენი ლოგინში თვლემდა; გავარვარებული სახე უცებ ასწია, და დედას ისე შეხედა, თითქოს რაღაცას ეკითხებაო, მერე ისევ დახუჭა თვალები.

— პიუსი გაიყვანე, ხმაური თავს მტკენს.

ქალბატონი დე ფონტანენი თავის ოთახში შევიდა, თავბრუ ეხვეოდა, ხელთათმანები არც კი გაუხდია, ისე დაჯდა. ნუთუ მეც მაციებსო, გაიფიქ-რა. რა დროს ციებაა, ახლა მშვიდად, მაგრად უნდა ვიყო, რწმენა არ დავ-კარგოო... თავი დახარა, ლოცვა მოუნდა. როცა თავი აიღო, იგრძნო მის იმდღევანდელ საქმიანობას მიზანი გასჩენოდა: ქმარი უნდა მოეძებნა და მოეხმო.

ქალბატონი დე ფონტანენი ვესტიბიულში გავიდა, ერთხანს დახურული კარის წინ შეყოყმანდა, მაინც შეაღო. ოთახში გრილოდა, ჩანდა, იქ არა-ვინ ცხოვრობდა, იგრძნობოდა ვერბენისა და პარამბოს მომჟავო სუნი. ქალმა ფარდები გადასწია. ოთახის შუაგულში საწერი მაგიდა იდგა. ბი-

უვარი მტვრის თხელ ფენას დაეფარა: არავითარი ქაღალდის ნაგლეჯი, არავითარი მისამართი არ მიგანიშნებდათ ამ ოთახის ბინადრის ადგილსამყოფელზე. ეტყობოდა, მისთვის უნდობლობა უცხო იყო: არაფერი ჰქონდა ჩაკეტილი; ქალმა საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია: წერილების შეკვრას, რამდენიმე ფოტოსურათს, მარაოს მოჰკრა თვალი; იქვე, ყუთის კუთხეში შავი აბრეშუმის ძაფის უბრალო, დაჭმუჭნილი ხელთათმანი ეგდო... ქალს მაგიდის კიდეზე გაუშეშდა ხელი. მოგონებებს აჰყვა, ყურადღება გაეფანტა და შორს მიაშტერა თვალები... ორი წლის წინ, როცა ზაფხულის ერთ დღეს სანაპიროზე მიდიოდა ტრამვაით, უცებ მოეჩვენა... წერე წამოდგა და აშკარად იცნო ქმარი: ყერომი ვიღაც ქალთან, დიახ! იგი დახრილიყო ახალგაზრდა ქალისკენ, რომელიც გრძელ სკამზე იჯდა და ტიროდა. იმ დღის შემდეგ ასჯერ მაინც დაუდგა თვალწინ ის წამიერი, საშინელი ხილვა, რამაც სხვა დეტალებიც გაახსენა: ქალის მწუხარებას ვულგარულობის იერი ჰქონდა, ქუდი გვერდზე მობრეცოდა, ქვედატანის ჯიბიდან სწრაფად იღებდა უხეშ, თეთრ ცხვირსახოცს; მაგრამ მთავარი მაინც ყერომის პოზა გახლდათ! იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ პოზით ერთბაშად მიხვდა, რა გრძნობებიც ამოძრავებდა მის ქმარს იმ წუთში! უპირველესად, შეიმჩნეოდა ერთგვარი თანაგრძნობა, რადგან სუსტი ნებისყოფის კაცი იყო და ადვილად ურჩუყდებოდა გული; თან გაღიზიანებაც ეტყობოდა — ეშინოდა, შუაქუჩაში ატეხილი სკანდალის ობიექტი არ გავხდეთ. და ბოლოს, გულქვაობა. დიახ, მის ნახევრადმოხრილ, მაგრამ დაძაბულ პოზაში ქალმა დაბეჯითებით იგრძნო ეგოისტური ანგარება იმ მოყირჭებული საყვარლისა, რომელიც სხვა სატრფიალო ამბებს გაუტაცნია უკვე; მიუხედავად სიბრალულისა, მიუხედავად სირცხვილის გრძნობისა, მას გადაუწყვეტია ამ ცრემლებით ისარგებლოს და აქვე, სასწრაფოდ დააგვირგვინოს განშორება! ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით აღიქვა ცოლმა და მუდამ, როცა კი ეს აკვიატებული ხილვა გამოეცხადობოდა, წინანდებურად ეხვეოდა თავბრუ და ღონე ეცლებოდა.

ქალი სწრაფად გავიდა ოთახიდან და კარი გასაღებით ჩაკეტა.

ერთბაშად გადაწყვიტა: ენახა მოახლე გოგონა, პატარა მარიეტა, ექვსი თვის წინ რომ დაითხოვა... ქალბატონმა დე ფონტანენმა იცოდა მისი ახალი მისამართი. ყოველგვარი ზიზღი გულში ჩაიკლა და უყოყმანოდ გაემართა მისი სახლისკენ.

სამზარეულო მეხუთე სართულზე იყო, იქ მისვლა უკანა კიბით შეიძლებოდა. ჭურჭლის რეცხვის უსიამოვნო დრო გახლდათ. კარი მარიეტამ

ჯაუდო. ქერა, რბილი თმა, თვალების უმწეო გამომეტყველება, ნამდვილი ბავშვი. სამზარეულოში მარტო იყო; გაწითლდა, მაგრამ თვალი სიხარულით გაუბრწყინდა.

— როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა, ქალბატონო! მადმუაზელ ჟენი, ალბათ, როგორ გაიხარდა, არა?

ქალბატონი დე ფონტანენი ყოყმანობდა. ნაღვლიანი ღიმილით შეჰყურებდა:

— მარიეტა... ჩემი ქმრის მისამართი მომეცით!

გოგონას ჭარხლისფერი დაედო; ფართოდ გახელილ თვალებში ცრემლი მოაწვა; მისამართი? თავი გააქნია; მისამართი არ იცის, ესე იგი, ახალი მისამართი აღარ იცის: ბატონი დე ფონტანენი აღარ ცხოვრობს იმ სასტუმროში, სადაც... ამას გარდა, მან ხომ თითქმის მაშინვე მიატოვა გოგონა!

— განა არ იცოდით, ქალბატონო? — იკითხა მან.

ქალბატონმა დე ფონტანენმა თავი დახარა და უკან დაიხია კარისკენ, ეშინოდა კვლავაც არ მოესმინა რამე. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა; როცა ტაშტში ჩასხმული წყალი ნაპირიდან გადმოიღვარა და ქურაზე აშიშინდა, მან მექანიკურად გაიშვირა ხელი და წაილაპარაკა:

— წყალი აგიდუღდათ.

შემდეგ კვლავ გადადგა ნაბიჯი კარისკენ და დაუმატა:

— კარგად მაინც მოეწყვეთ, შვილო?

მარიეტა ხმას არ იღებდა, მაგრამ როცა ქალბატონმა დე ფონტანენმა თავი ასწია და მის მზერას წააწყდა, რაღაც პირუტყვული შენიშნა მის თვალებში: ბავშვურად გაპობილ ბაგეებიდან კბილები მოუჩანდა; ცოტახნის ყოყმანის შემდეგ, — რაც საუკუნედ მოეჩვენა ორივეს, — მარიეტამ წაიბუტბუტა:

— იქნებ... ქალბატონ პტი-დიუტრეილთან... გეკითხათ?

ქალბატონ დე ფონტანენს მისი ქვითინი აღარ გაუგონია. იგი ისე ჩარბოდა კიბეზე, როგორც ხანძარს გაურბიან ხოლმე. ამ გვარის გაგონებაზე ერთბაშად მიხვდა შეუმჩნეველ, ადვილად მისავიწყებელ ათასგვარ დამთხვევათა მიზეზს, ერთბაშად რომ მიეცათ მნიშვნელობა.

ცარიელმა ეტლმა ჩაიარა; ქალბატონი დე ფონტანენი შევარდა ეტლში. უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყო შინ. ის იყო სახლის მისამართის მიცემას აპირებდა, რომ გადაულახავმა სურვილმა შეიპყრო, იტყოდით, ზეშთაგონებას ემორჩილებაო.

— მონსოს ქუჩაზე წამიყვანეთ, — დაუყვირა მეეტლეს.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ თავისი ბიძაშვილის, ნოემი პტი-ჟიუჭრეილის სახლთან იდგა და ზარს რეკავდა. კარი გაუღო თხუთმეტიოდე წლის ქერა, ნორჩმა გოგონამ, რომელსაც დიდი, ალერსიანი თვალები ჰქონდა.

— გამარჯობა, ნიკოლ, დედა შინაა?

ქალბატონმა დე ფონტანენმა მყისვე იგრძნო გოგონას გაოცებული შემოხედვა.

— ახლავე დავუძახებ, დეიდა ტერეზა!

ქალბატონი დე ფონტანენი მარტო დარჩა წინოთახში. გული ისე მაგრად უცემდა, რომ მკერდი ხელით ეჭირა. თავს ძალა დაატანა. უნდოდა მშვიდად მიმოეხედა ირგვლივ. სასტუმრო ოთახის კარი ღია იყო; მზის სხივებზე ათასფრად ლივლივებდა ავეჯზე გადაკრული ქსოვილი და ხალიჩები. ოთახი მარტოხელა ადამიანის დაუდევრად, მაგრამ კოპწიად მოწყობილ ბინას ჰგავდა. „აკი ამბობდნენ, განქორწინების შემდეგ თითქმის უსახსროდ დარჩაო“, გაიფიქრა ქალბატონმა დე ფონტანენმა; უცებ მოაგონდა, რომ ქმარს თითქმის ორი თვეა მისთვის ფული არ მიუცია; ამიტომაც ძლივს აუდიოდა ოჯახის ხარჯებს. ვინ იცის, ნოემის მთელი ეს სიმდიდრე, იქნებ... — გაუელვა მას.

ნიკოლი აგვიანებდა. მთელ ბინაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. აფორიაქებული ქალბატონი დე ფონტანენი სასტუმრო ოთახში შევიდა და დაჯდა. ღია როიალი... იქვე, დივანზე გადაშლილი მოდის ჟურნალი ეგდო; დაბალ მაგიდაზე პაპიროსები ეყარა; ლარნაკში წითელი მიხაკების თაიგული თვალს ახარებდა. ერთმა გადახედვამ იკმარა იმისთვის, რომ გული საშინლად შეკუმშვოდა. ნეტავი რატომ?

ოჰ, იმიტომ, რომ მისი აქ ყოფნა ყველაფერს, ყოველ წვრილმანს ეტყობოდა. სწორედ მან მოაგორა, ალბათ, ფანჯარასთან ეს როიალი და ისევე დადგა გარდიგარდმო, როგორც მათ ოთახშია; სწორედ მან დატოვა იგი თავახდილი; მან თუ არა, სულ ერთია, მისთვის დაჰყარეს, ალბათ, ნოტები ასე არეულ-დარეულად! მისი სურვილით შეიძინეს, ალბათ, ეს დაბალი დივანი და პაპიროსებიც იქვე ახლოს დაუწყვეს! ამ ბალიშებზეა, ალბათ, იგი წამოწოლილი უდარდელი, ნასათუთარი! ქალბატონმა ფონტანენმა ნათლად წარმოიდგინა ქმარი: მას მხიარულად მოეწკურა თვალები, ხოლო მკლავი დაუდევრად გადაეგდო უკან, თითებში გაჩრილი პაპიროსით!

ქალი შეკრთა, ხალიჩაზე ფეხის ხმა გაისმა: ნოემი შემოსულიყო; მაქმანის პენუარი ეცვა და შვილის მხარს დაყრდნობოდა. იგი ოცდათხუთმეტი წლის მაღალ-მაღალი, შავგვრემანი, ოდნავ შესუქებული ქალი გახლდათ.

— გამარჯობა, ტერეზა, მაპატიე, დილიდან ისეთი შაკიკი მაქვს, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ნიკოლ, შტორები ჩამოუშვი!

თვალებისა და სახის კანის ელვარება კი სულ სხვას მეტყველებდა. ამ ვიზიტით გამოწვეული უხერხულობის დასაფარავად ნოემის სწრაფი ლაპარაკი გამოადგა; მაგრამ მისი უხერხულობა უკვე შიშში გადაიზარდა, როცა დეიდა ტერეზა გოგონას მიუბრუნდა და ალერსიანად უთხრა:

— თუ შეიძლება, ცოტა ხნით მარტოდ დაგვტოვე, გენაცვალე, მინდა დედაშენს მოველაპარაკო!

— აბა, გაიქეცი შენს ოთახში და იმეცადინე! — დაუყვირა ნოემიმ. შემდეგ ბიძაშვილს მიუბრუნდა და ნაძალადევი სიცილით დაუმატა: — ამ ასაკში პირდაპირ აუტანლები არიან გოგოები: სასტუმრო ოთახში ყოფნას და კეკლუცობას არაფერი ურჩევნიათ! ჟენიც ასეთია? თუმცა უნდა გაღიარო, მეც ასეთი ვიყავი, ხომ გახსოვს? დედაჩემი სასოწარკვეთილი იყო მუდამ.

ქალბატონი დე ფონტანენი მისამართისთვის მოვიდა, რომელიც ასე ძალიან სჭირდებოდა. მაგრამ ოთახში შესვლისთანავე ჟერომის აქ ყოფნა ისე აშკარად იგრძნობოდა, გულისტკენის დაფარვა იმდენად ძნელი იყო, ნოემის გარეგნობა, მისი ტურფა, ვულგარული სილამაზე იმდენად შეურაცხმყოფელად მოეჩვენა, რომ კვლავ აჰყვა გულის წადილს და უგუნური გადაწყვეტილება მიიღო.

— რატომ არ ჯდები, ტერეზა? — ჰკითხა ნოემიმ.

დაჯდომის ნაცვლად, ტერეზა ბიძაშვილს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. ეს ჟესტი იმდენად ბუნებრივი, იმდენად კეთილშობილური იყო, პოზას, თეატრალობას ვერვინ დასწამებდა.

— ნოემი... — ძლივს ამოილუღლუღა მან, მაგრამ ბოლოს ერთი ამოსუნთქვით დაასრულა: — დამიბრუნე ჩემი ქმარი!

ქალბატონ პტი-დიუტრეილის მაღალი წრის ქალის ღიმილი გაეყინა ბაგეზე. ქალბატონი დე ფონტანენი ხელს არ უშვებდა.

— ნურაფერს მიპასუხებ. საყვედურს არ გეუბნები: ცხადია, მისი ბრალი იქნება... ვიცი, როგორია...

წამით გაჩუმდა; სული ეხუთებოდა. ნოემის არ უსარგებლია ამ მომენტით და თავი არ დაუცავს. ქალბატონი დე ფონტანენი მადლიერი იყო მისი დუმილის; თუკი ეს სიჩუმე დანაშაულის აღიარებას არ ნიშნავდა, იმას მაინც ადასტურებდა. ჯერ ისე არ დაცემულა, ასეთი მოულოდნელი დარტყმა ერთბაშად აეცდინა თავიდან.

— ყური მიგდე, ნოემი. ჩვენ ხომ ბავშვები გვეზრდება?! შენი ქალიშვილი... ჩემი შვილებიც წამოიზარდნენ; დანიელი მალე თხუთმეტი წლის გახდება. შესაძლებელია, მაგალითი დამღუპველი გამოდგეს; ხომ იცი, ცუდი ჩვევა ადვილად გადამდებია! ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, ხომ მართალია? სულ მალე მარტო მე არ ვიქნები ამ ამბის მოწმე... მარტო მე აღარ დავიტანჯები...

სუნთქვა ეკვროდა, მის ხმაში უკვე მუდარა ისმოდა:

— სწორედ ახლა უნდა დაგვიბრუნო, ნოემი!

— რას ამბობ, ტერეზა... ხომ არ გაგიჟდი?

ახალგაზრდა ქალი თანდათან გონს მოვიდა, თვალებში ბრაზი აუკიაფდა, ბაგე მოკუმა.

— არა, ნამდვილად გაგიჟდი, ტერეზა! მეც ერთი, ისე გავშეშდი, ამდენი ლაპარაკის ნება მოგეცი! სიზმარი ხომ არ გინახავს? ან, იქნებ, ჭორებს აჰყევი? მითხარი რა მოხდა?

ქალბატონმა დე ფონტანენმა უხმოდ, ღრმა, თითქმის ალერსიანი თვალებით გადახედა ბიძაშვილს, თითქოს ეუბნებოდა: „ოი, რა გულუბრყვილო ბავშვი ყოფილხარ, შე საწყალო! შენ უკეთესი ჩანხარ, ვიდრე შენი ცხოვრებაა!", მაგრამ უცებ ნოემის მხარს მოჰკრა თვალი, ტიტველ, ნორჩ მსუქან სხეულს, რომელიც მაქმანის ქვეშ ისევე თრთოდა, როგორც ბადეში გახლართული პირუტყვი; მის წარმოდგენაში გაელვებული სურათი იმდენად ცოცხალი იყო, ქალმა თვალები დახუჭა. ჯერ ზიზღი, შემდეგ კი ტანჯვა აღებეჭდა სახეზე. ბოლოს, თითქოს ძალამ უმტყუნაო, მოთმინება აღარ ეყო, უნდოდა ახლავე დაემთავრებინა ამ ქალთან საუბარი და წაილაპარაკა:

— შესაძლებელია, შევცდი... მისი მისამართი მომეცი მხოლოდ... თუ გინდა, მისამართსაც ნუ მეტყვი, ოღონდ გააფრთხილე, აუცილებლად მნახოს...

ნოემი წელში გასწორდა.

— გავაფრთხილო? კი მაგრამ, მე რა ვიცი, სად არის? — სახე აელეწა. — ბოლოს და ბოლოს, როდის მოეღება ბოლო ამ ავყიაობას? მართალია, ჟერომი ხანდახან მნახულობს ხოლმე, მაგრამ რა მოხდა მერე? ამას არც კი ვმალავ! ჩვენ ხომ ნათესავები ვართ! დიდი საქმეა!

ინსტინქტს აჰყვა და შეურაცხმყოფელი სიტყვებიც არ დაიშურა:

— ოჰ, რა კმაყოფილი დარჩება, როცა ვუამბობ, რა აყალმაყალი ამიტეხე!

ქალბატონმა დე ფონტანენმა უკან დაიხია:

— ნამდვილი მეძავის ქალივით ლაპარაკობ!

— აჰა, ასე არა? იცი, რას გეტყვი? — შეესიტყვა ნოემი, — როცა ქმარი ცოლს ტოვებს, დამნაშავე ცოლია მუდამ! ჟერომი რომ შენი კმაყოფილი იყოს, სხვასთან არ ირბენდა და შენც აღარ მოგიხდებოდა მისი უკან დევნა, ჩემო ლამაზო!

„იქნებ, მართალს ამბობს?" — უნებურად გაიფიქრა ქალბატონმა დე ფონტანენმა. ძალამ უღალატა, კინაღამ ცთუნებას აჰყვა და წავიდა. მაგრამ შეეშინდა — მარტოდ დარჩებოდა, უმისამართოდ, ჟერომის გამოსაძებნელად არავითარი საშუალება აღარ ექნებოდა. მან კვლავ დაყვავებით შეხედა ბიძაშვილს.

— ნოემი, დაივიწყე, რაც გითხარი. მომისმინე: ჟენი ავადაა, მეორე დღეა სიცხე აქვს. მე მარტო ვარ. შენც ხომ დედა ხარ? უნდა იცოდე, რას ნიშნავს ავადმყოფი ბავშვის სასთუმალთან ჯდომა და ლოდინი... უკვე სამი კვირაა, ჟერომი შინ არ მოსულა, გესმის? ერთხელაც არ შემოსულა! საქმე? რას აკეთებს? მას უნდა გავაგებინოთ რომ ბავშვი ავად ჰყავს! იგი უნდა დაბრუნდეს! ეს მაინც შეატყობინე!

ნოემი უარყოფის ნიშნად ჯიუტად აქნევდა თავს.

— ო, ნოემი, შეუძლებელია, ასეთი გაბოროტებული იყო! ყური მიგდე, რაც არის, არის. ყველაფერს გიამბობ. მართალია, ჟენი ავადაა და მეც ძალიან ვღელავ, მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა... — ქალბატონი დე ფონტანენი დამცირებული ქალის ხმით ლაპარაკობდა უკვე, — დანიელმაც მიმატოვა: დაიკარგა!

— დაიკარგა?

— დაუყოვნებლივ უნდა მოვძებნოთ ბიჭი! ასეთ დროს მარტო ვერ დავრჩები... თანაც ავადმყოფი ბავშვიც მყავს შინ... ხომ გესმის? ნოემი, უთხარი ჟერომს, მოვიდეს!

ქალბატონ დე ფონტანენს ეგონა, ახალგაზრდა ქალი დათმობაზე მიდის, თანაგრძნობა ამოიკითხა მის გამოხედვაში, მაგრამ ნოემი ერთბაშად შემობრუნდა, ხელები გაასავსავა და დაიყვირა:

— ღმერთო ჩემო, რა გინდა ჩემგან? აკი გითხარი, მე ვერაფერს გიშველი-მეთქი?

და რაკი აღშფოთებული ქალბატონი დე ფონტანენი ხმას არ იღებდა, საჩეალეწილმა ნოემიმ მიახალა:

— არ გჯერა ხომ, ტერეზა? არა? მით უარესი შენთვის! ახლავე მოგახსენებ ყველაფერს! მან კვლავ მიღალატა, გესმის? მოძუწა! არ ვიცი კი სად, სხვასთან მოძუწა! აჰა, მიიღე? არც ახლა გჯერა?

ქალბატონი დე ფონტანენი გაფითრდა.

— მოძღვრა? — მექანიკურად გაიმეორა მან.

ახალგაზრდა ქალი დივანზე დაეცა. სახე ბალიშში ჩარგო და ქვითინი აღმოუშვა.

—ოო, რომ იცოდე, როგორ დამტანჯა! ბევრჯერ ვაპატიე, მას ჰგონია, მუდამ ვაპატიებ. მაგრამ არა, მორჩა! მეტს აღარ შევარჩენ! ენით აუწერელი შეურაცხყოფა მომაყენა! ჩემ თვალწინ, ჩემ სახლში ვიღაც ნაძირალა, ჩემი მოახლე, ცხრამეტი წლის გოგო შეაცდინა! ორი კვირის წინ იმ გომბიოშ ისე აიკრა გუდა-ნაბადი და გაიპარა, არც კი გამომშვიდობებია! ის კი ქვევით უცდიდა, მანქანაში! ჰო-ჰო, — დაიყვირა ქალმა და დივანიდან წამოხტა, — ჩემს სადარბაზოსთან დღისით-მზისით, ყველას თვალწინ, უბრალო მსახურთან ერთად გაიქცა! გესმის თუ არა?

ქალბატონი დე ფონტანენი ძლივს იდგა ფეხზე და იძულებული გახდა როიალს დაყრდნობოდა; იგი ჩამქრალი თვალებით უმზერდა ნოემის, მოგონებები აშლიდა: კიდევ გაიხსენა ბარიეტას ამბები რამდენიმე თვის წინ: თვალის ჩაკვრა, დერეფანში ღლაბუცი, მეშვიდე სართულზე წამდაუწუმ სირბილი მალულად, ბოლოს ზოგიერთი ფაქტის საკუთარი თვალით ნახვა და მოახლის დათხოვნა; გაახსენდა, სასოწარკვეთილი გოგონა როგორ ზლუქუნებდა და პატიებას თხოვდა დიასახლისს. შემდეგ სანაპირო მოაგონდა, გრძელ სკამზე მჯდარი ქალი, შავებში ჩაცმული, უბრალო მუშა, ცრემლებს რომ იწმენდდა; ახლა კი აქ, მის თვალწინ ნოემი იდგა. პირი იბრუნა. მაგრამ მისდაუნებურად, ამ ლამაზი დედაკაცისკენ გაურბოდა თვალი; უნდოდა კვლავ დაენახა ბაქმანებში გახვეული ეს შიშველი მხარი, რომელიც სლუკუნისგან თრთოდა. აუტანელი სურათი იყო! ამასობაში ნოემის ნაწყვეტნაწყვეტი წამოძახილები მისწვდა მის სმენას:

— ოჰ, მორჩა! გათავდა! აბა ერთი მობრძანდეს, ფეხებში ჩამივარდეს, ზედაც არ შევხედავ. მეზიზღება, მძულს! ათასჯერ დავიჭირე ტყუილში. სულ უმიზეზოდ, თვითონაც არ იცის, რატომ ტყუის! ტყუის თავშესაქცევად, ეს ტყუილი სიამოვნებას ჰგვრის. ყოველი მისი სიტყვა სიცრუეა! პირწავარდნილი ცრუპენტელაა!

— შენ არა ხარ მართალი, ნოემი!

ახალგაზრდა ქალი ფეხზე წამოიჭრა:

— ნუთუ მის დაცვას აპირებ? შენ?

ქალბატონმა დე ფონტანენმა თავი შეიკავა, ტონი შეიცვალა და ჰკითხა:

— იმ ქალის მისამართი ხომ არ იცი?

ნოემი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ შინაურულად დაიხარა მისკენ და მიუგო:

— არა, არ ვიცი. მაგრამ მეკარე ქალი ზოგჯერ...

ტერეზამ ხელით ანიშნა, გაჩუმდიო; და გავიდა. ახალგაზრდა ქალმა კვლავ ბალიშში ჩარგო თავი, ზრდილობის წესი დაიცვა და თავი მოიკატუნა, — ვითომ ბიძაშვილის გასვლას ვერ ამჩნევდა.

წინოთახში, ქალბატონმა დე ფონტანენმა გადასწვის. თუ არა პორტიერი, იგრძნო ვიღაცამ ხელი მოხვია, ნიკოლი იყო. ატირებულმა გოგონამ თავდავიწყებით აკოცა და გაიქცა.

მეკარე ქალს გაეხარდა, ლაყბობის საშუალება რომ მიეცა:

— იმ ქალის წერილებს მის სამშობლოში ვაგზავნი, ბრეტანში, პეროგირეკში. იქედან კი ეტყობა, მისი მშობლები სხვაგან გზავნიან. თუ გაინტერესებთ... — დაუმატა მან და გაქონილი წიგნი გადაშალა.

ქალბატონი დე ფონტანენი შინ ბრუნდებოდა. გზად ფოსტაში შეიარა, დეპეშის ბლანკი აიღო და დაწერა:

პერო-გირეკი (კოტ-დიუ-ნორი). ეკლესიის მოედანი. ვიქტორინა ლე გადს.

„გადაეცით ბატონ დე ფონტანენს, რომ კვირას მისი ვაჟი, დანიელი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა".

შემდეგ ღია ბარათი მოითხოვა:

ნეიი-პიურ-სენ, ბინოს ბულვარი, 2ა. „ქრისტიანული სამეცნიერო საზოგადოება" ბ-ნ პასტორს, გრეგორის

„ძვირფასო ჯეიმს!

ორი დღეა დანიელი შინიდან წავიდა, არ უთქვამს, სად, არც არაფერი უცნობებია. შიშით გული მისკდება. ჟენიც ავადაა: მაღალი სიცხე აქვს, მიზეზი ვერ დავადგინეთ. არ ვიცი, ჟერომი სად ვეძებო, სად შევატყობინო ეს ამბები.

სულ მარტო ვარ, მეგობარო, მოდით!"

ტ ე რ ე ზ ა დ ე ფ ო ნ ტ ა ნ ე ნ ი.

V

ორი დღის შემდეგ, ოთხშაბათს, საღამოს ექვს საათზე, მაღალ-მაღალი, მოუხეშავი, საშინლად გამხდარი, გაურკვეველი ასაკის მამაკაცი გამოცხადდა ობსერვატორიის ქუჩაზე.

— დანამდვილებით ვერ გეტყვით, მიგიღებთ თუ არა ქალბატონი, — უთხრა მას მეკარე ქალმა, — იქ ახლა ექიმები არიან, გოგონა უკვდება.

პასტორი კიბეს აჰყვა. წინოთახის კარი ღია იყო. შიგ მამაკაცის პალტოები დაეხვავებინათ. მომვლელმა ქალმა გაირბინა.

— მე პასტორი გრეგორი გახლავართ. რა მოხდა? ჟენი ცუდადაა?

მომვლელმა ქალმა შეხედა.

— განწირულია! — წაიჩურჩულა ქალმა და თვალს მიეფარა.

პასტორი ისე შეკრთა, იტყოდით, სილა გააწნესო. თანაც მოეჩვენა, პაერი ერთბაშად გაუხშოებულაო; სული შეეხუთა. სასტუმრო ოთახში შევიდა და ორივე ფანჯარა ფართოდ გამოაღო.

ათმა წუთმა გაიარა. დერეფანში წამდაუწუმ გარბი-გამორბოდნენ: კარებს აჯახუნებდნენ. ლაპარაკის ხმა მოისმა; ქალბატონი დე ფონტანენი შემოვიდა ორი ხანშიშესული, შავებში ჩაცმული მამაკაცის თანხლებით. ქალმა გრეგორი დაინახა და მაშინვე მიაშურა.

— ჯეიმს! როგორც იქნა! გეხვეწებით, არ დამტოვოთ, მეგობარო!

— მხოლოდ დღეს ჩამოვედი ლონდონიდან! — წაიბუტბუტა მან.

ქალმა ექიმები სასტუმრო ოთახში დატოვა სათათბიროდ, ხოლო პასტორი თან წაიყვანა. წინოთახში ანტუანი უპიჯაკოდ იდგა და ფუნჯით იხეხდა ფრჩხილებს. მომვლელ ქალს თასი ეჭირა. ქალბატონმა დე ფონტანენმა ხელი სტაცა პასტორს. ისე შეცვლილიყო, ძნელი იყო მისი ცნობა: ლოყები ჩატეტკოდა და თითქოს გამომხმარიყო, ტუჩები წამდაუწუმ უძაგძაგებდა.

— ოჰ, არ მომშორდეთ, ჯეიმს, მარტო არ დამტოვოთ! ჟენი..

სადღაც შორიდან კვნესა გაისმა. ქალმა სათქმელი ველარ დაამთავრა და იქით გაიქცა.

პასტორი ანტუანს მიუახლოვდა; არაფერი უთქვამს, მაგრამ მის შეშინებულ თვალებში იგრძნობოდა რის შეკითხვასაც აპირებდა. ანტუანმა თავი გადააქნია:

— არაფერი ეშველება!

— ო, რატომ ლაპარაკობთ ასე! — უსაყვედურა გრეგორიმ.

— მე-ნინ-გიტ-ი! — დამარცვლით უთხრა ანტუანმა და ხელი შუბლზე მიიტანა, „რა სასაცილო ტიპია!“ — გაიფიქრა მან.

გაყვითლებული და დაღარული სახე ჰქონდა გრეგორის; მიცვალებულის თმასავით სხივგამქრალი, შავი კულულები მაღალი შუბლის ირგვლივ აბურძგვნოდა. გრძელი, ჩამოშვერილი, მოლურჯო-მოწითალო ცხვირის ორსავე მხარეს თვალები შეეყუყულიყვნენ წარბებქვეშ და ისე ციმციმებდნენ, ფოსფორისა გეგონებოდათ. მუქი, შავი, მუდამ სველი და საოცრად მოძრავი თვალები მიბნედილი და მკაცრი გამოხედვით მაიმუნს მიუგავდა; სახის ქვედა ნაწილი კიდევ უფრო უჩვეულო ჰქონდა. კბილთა უცნაური ღრჭენა და უხმო სიცილი სჩვეოდა.

— სწრაფი? — იკითხა პასტორმა.

— ტემპერატურამ კვირას აუწია, მაგრამ სიმპტომები მხოლოდ გუშინ, — სამშაბათ დილას, გამომჟღავნდა; მაშინვე დავნიშნეთ კონსილიუმი. რაც შევძელით, ყველაფერი გავაკეთეთ. ვნახოთ, ჯერ კიდევ რას იტყვიან ექიმები; ჩემი აზრით, — დაასრულა მან და სახე დაებრიცა, — ჩემი აზრით, საწყალი ბავშვი განწირ...

— ოჰ, არა, ნუ ამბობთ! — ხრინწიანი ხმით შეაწყვეტინა პასტორმა. იგი თვალს არ აშორებდა ანტუანს; მისი გამწყრალი გამოხედვა ვერ ეგუებოდა ბაგეზე შემორჩენილ უცნაურ ღიმილს. თითქოს სული ეხუთებაო, საყელოზე მიედო გაძვალტყავებული, ჩონჩხისებური ხელი ობობის საშინელ ბრჭყალებს რომ მიუგავდა.

ანტუანმა პროფესიული თვალი შეავლო პასტორს. „განსაცვიფრებელი ასიმეტრიააა! — გაიფიქრა მან, — თანაც რა ჩუმი სიცილი იცის? მანიაკის ეს არაფრისმთქმელი გრიმასი რაღაა?“

— მითხარით, გეთაყვა, დანიელი თუ დაბრუნდა?

— არა და არც არაფერი ისმის.

— საცოდავი, საცოდავი ქალი! — თანაგრძნობით წაილაპარაკა გრეგორიმ.

სასტუმრო ოთახიდან ორი ექიმი გამოვიდა. ანტუანმა მათ მიაშურა.

— არაფერი ეშველება! — ცხვირში წაიდუდუნა ასაკით უფროსმა და ანტუანს მხარზე დაადო ხელი. ანტუანმა პასტორს გადახედა. მომვლელმა ქალმა გვერდით ჩაუარა, შეჩერდა და დაბალ ხმაზე ჰკითხა:

— ნუთუ თქვენც ფიქრობთ, ექიმო, რომ...

ამჯერად გრეგორიმ თავი მიაბრუნა, არ უნდოდა, ის საშინელი სიტყვა კვლავ გაეგონა. ისევ შეეხუთა სული, კინაღამ დაიხრჩო. ნახევრად შეღებული კარიდან კიბეს მოჰკრა თვალი. რამდენიმე საფეხური ჩაირბინა, ქუჩა

გადაჭრა და უკანმოუხედავად გაიქცა. თმა აბურძგნოდა, უცნაური სიცილი სახიდან არ შორდებოდა, ობობას თითები გულზე დაეკრიფა და დამის გრილ ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. „წყეული ექიმები!“ ბუტბუტებდა იგი. ფონტანიეები ღვიძლი ნათესავებივით უყვარდა. როცა თექვსმეტი წლის წინ პარიზში ჩამოვიდა, ჯიბეში ერთი პენიც არ უჩხაოდა თურმე. თავშესაფარი და დახმარება პასტორ პერიეს, ტერეზას მამას მიუცია. გრეგორის არასოდეს დაავიწყდება ეს სიკეთე. შემდეგ მისი კეთილისმყოფელის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს, გრეგორის ყველაფერი მიუტოვებია და ავადმყოფის სასთუმალს არ მოშორებია; მოხუცი პასტორი ისე მომკვდარა, ცალი ხელი ქალიშვილისთვის გაუწოდებია, მეორე — გრეგორისათვის, რომელსაც შვილს ეძახდა თურმე. ამის მოგონებამ გრეგორს ახლაც ისე აატკინა გული, რომ იგი მყისვე შემოტრიალდა და დიდი ნაბიჯებით მიაშურა სახლს. ექიმთა ეტლები სახლის წინ აღარ იდგა. სწრაფად აირბინა კიბის საფეხურები.

კარი კვლავ შეღებული დარჩენოდათ. საიდანღაც კვნესა ისმოდა, გრეგორი იქეთკენ გაეშურა და ბავშვის ოთახს მიადგა. ფარდები ჩამოეშვათ; სიბნელეში მძიმე სუნთქვა და კვნესა ისმოდა. ქალბატონი დე ფონტანენი, მომვლელი ქალი და მსახური საწოლისკენ დახრილიყვნენ, ძლივს აკავებდნენ სხეულს, რომელიც ის ფართხალებდა, როგორც თევზი ბალახზე.

გრეგორი ერთხანს ჩუმად იდგა გაბრაზებული და ნიკაპს ისრესდა. შემდეგ დაიხარა და ქალბატონ დე ფონტანენს უთხრა:

— ისინი მოჰკლავენ თქვენს პატარა გოგონას!

— რაო? მოჰკლავენ? როგორ თუ მოჰკლავენ? — წაიბუტბუტა ქალმა, რომელსაც ჟენის მკლავი მაგრად ეჭირა, რადგან წამდაუწუმ უსხლტებოდა ხელიდან.

— თუ არ დაითხოვეთ, — დაჟინებით განაგრძო პასტორმა, — ბავშვს მოგიკლავენ!

— ვინ უნდა დავითხოვო?

— ყველანი.

ქალი დაბნეული უყურებდა: ხომ არ მოეყურა? იგი შეაშინა გრეგორის ჩაყვითლებულმა სახემ, სულ ახლოს რომ მოეტანა პასტორს.

გრეგორიმ ჟენის ჰაერში აქნეული ხელი დაიჭირა, დაიხარა და ისე ნაზი ხმით დაუძახა, თითქოს გალობსო.

— ჟენი! ჟენი! ძვირფასო, მიცანი? მიცანი?

ჭერს მიშტერებული უსიცოცხლო თვალები ნელა შემოტრიალდა პას-

ტორისკენ; პასტორი უფრო დაბლა დაიხარა და ისე ჩაშტერებით, ისე ღრმად ჩახედა თვალებში, რომ ბავშვმა უცებ შეწყვიტა კვნესა.

— დამტოვეთ! — უთხრა მან სამივე ქალს. მაგრამ რაკი არც ერთი არ დაემორჩილა, თავიც არ მოუბრუნებია. ისე დაუმატა ბრძანების ტონით: — მეორე ხელსაც მე დავუჭერ. აი ასე. ახლა კი დამტოვეთ!

ქალები გვერდზე გადგნენ. პასტორი მარტო დარჩა საწოლთან, დაიხარა და საკუთარი მაგნიტური ძალა მომაკვდავ თვალებს შთაბერა. ბავშვის ხელები მაგრად ეჭირა, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ დაიმორჩილა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელები უღონოდ დაეშვა, ფეხებიც უფართხალებდა ერთხანს, შემდეგ ისინიც გაშეშდნენ და საწოლს მიეკრნენ. მერე თვალებიც დაემორჩილენ მის ძალას და მიილულნენ. გრეგორი ისევ საწოლთან იდგა, დახრილი; ქალბატონ დე ფონტანენს ანიშნა, ახლოს მოდიო:

— შეხედეთ! — წაიჩურჩულა მან, — აღარ კვნესის. დამშვიდდა. გეუბნებით, გარეთ გაჰყარეთ-მეთქი! გარეთ გაჰყარეთ ბელიალის ეს ნაშიერები! მათ სულში ამაოებაა! თქვენს ბავშვსაც ამაოება მოჰკლავს!

იგი იცინოდა იმ ნათელმხილველთა უხმო სიცილით, რომლებიც სამარადისო ჭეშმარიტებას დაუფლებიან და ფიქრობენ, სამყაროს დანარჩენი ნაწილი შეშლილებს დაუპყრიათო. პასტორი თვალს არ აშორებდა ჟენის გუგებს.

— დედაკაცო! დედაკაცო! — დაბალ ხმაზე ალაპარაკდა იგი, — სენი აღარ არის! თავით თქვენით შეჰქმენით იგი და მიანიჭეთ ყოველთმძლეობა ავი, რამეთუ გეშინისთ მისგან, რამეთუ გირწმენისთ შესაძლებელ არსებაი მისი!.. ნახეთ: არც ერთ მათგანს იმედი აღარ ჰქონდა. ყველანი ამბობდნენ: „იგი...“ თქვენც კი, თქვენც იფიქრეთ და ეს-ეს არის კინაღამ არ წარმოთქვით: „იგი განწ...“ ღმერთო მაღალო! დარაჯი დაუდგინე ბაგესა ჩემსა, დაუდგინე მცველი ბჭეთა ბაგეთ ჩემთა! ო, საბრალო პატარა! ოდეს შემოვედ მე, სიცარიელე სუფევდა გარშემო, უ ა რ ყ ო ფ ა!

— მე კი გეუბნებით, ავად არაა იგი! — ისეთი დაბეჯითებით წამოიყვირა მან, რომ სამივე ქალს ტანში გააჟრჟოლა. — იგი მრთელია! ოღონდ ხელს ნუ მიშლით!

მან ჯადოქარივით გაუხსნა ბავშვს თითები ფრთხილად, კიდურებს ხელი შეუშვა, თვითონ უკან დაიხია და გოგონას ხელ-ფეხი საწოლზე მორჩილად გასწორდა.

— ნეტარ არს ცხოვრება! — მუსიკასავით გაისმა მისი ხმა, — ნეტარ არს ყოველი სულდგმული! ნეტარ არს სული და ნეტარ არს სიყვარული! სიმრთელე ყოველი არს ქრისტესა შინა, ხოლო ქრისტე არს ჩვენში!

შემდეგ ოთახის კუთხეში მიყუჟულ მოახლესა და მომვლელ ქალს მიუბრუნდა.

— გთხოვთ, მარტო დამტოვოთ!

— წადით! — უთხრა მათ ქალბატონმა დე ფონტანენმა.

გრეგორი წელში გასწორდა, ხელი გაიწვდინა: თითქოს ანათემას გადასცემსო მაგიდას, სადაც ამპულები და კომპრესები ეყარა და ყინულის ნატეხებით სავსე ვედრო იდგა.

— ყველაფერი გაიტანეთ! — ბრძანა მან.

ქალები დამორჩილდნენ.

— ახლა კი გააღეთ ფანჯრები! — მხიარულად დაიყვირა მან, როცა ქალბატონ დე ფონტანენთან მარტო დარჩა. — ფართოდ, ფართოდ გახსენით, ძვირფასო!

გრილი ნიავი, პროსპექტზე ფოთლებს რომ აშრიალებდა, თითქოს ბავშვის ოთახის შეხუთულ ჰაერს შეერკინაო, აიტაცა, სპირალივით დაახვია, გბრეთ გამოაგდო და ავადმყოფის გავარვარებულ შუბლს ნაზად მიესალბუნა; ბავშვი შეკრთა.

— გაცივდება... — წაიჩურჩულა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

პასტორმა ჯერ მხოლოდ ბედნიერი ღიმილით უპასუხა.

— დახურეთ! — თქვა ბოლოს, — ფანჯარა დახურეთ! ასე, ძალიან კარგი! აანთეთ ლამპები, ქალბატონო ფონტანენ! ჯერ არს, რაითა სინათლე და სიხარული სუფევდეს გარშემო! ჯერ არს, რაითა ნათელი იდგეს გულთა შინა ჩვენთა, სიხარულმან დიდმან პოვოს საფლური. უფალი არს სინათლე, უფალი არს სიხარული ჩვენი! მაშ, რაისლა მეშინის? ნებაი შენი იყო, უფალო, რომელ დავასწარ საათსა მას წყეულსა! — თქვა მან და ხელები ზე აღაპყრო. შემდეგ სკამი მისწია სასთუმალთან: — დაბრძანდით. იყოფოდეთ მშვიდობით, ფრიად მშვიდობით, განიცადეთ თავი თვისი. ისმინეთ ოდენ იგი, რასა შთაგაგონებთ ქრისტე! გეტყვით მე, ვითარმედ სწადის ქრისტესა, რათა განიკურნოს იგი! ვისურვიდეთ ჩვენცა მის თანა, მოუწოდებდეთ ძალსა სიკეთისა! სული არს ყოველი. ნივთიერი იგი არს მონაი სულიერისაი! აჰა, ორი უკვე დღე არს იტანჯება საწყალობელი იგი, ვენაცვალე! ოი, შემაძრწუნეს მე მამაკაცთა და დედაკაცთა ამათ. ბოროტსა ოდენ წარმოისახვენ იგინი, წინააღმდგომსა ოდენ უხმობენ გონებასა შინა! და ოდეს დაილია კნინიცა იგი სასოი მათი, განიზრახვენ გონებასა თვისთა, ვითარმედ აღესრულა ყოველი!

კვლავ გაისმა კვნესა. ჟენი ისევ აწრიალდა ლოგინში. უცებ თავი უკან გადაუვარდა, ბაგე გაეპო, თითქოს უკანასკნელი სუნთქვა უნდა ამოუშ-

ვაჰო. ქალბატონი დე ფონტანენი საწოლზე დაემხო, ბავშვს გადაეფარა და სახეში ჩასჭახა:

— არა, არ მინდა!.. არ მინდა!..

პასტორი ისე მივარდა ქალს, თითქოს იგი ყოფილიყო ახალი შეტევის მიზეზი.

— რა დროს შიშია. ნუთუკვე დაგიტევა თქვენ რწმენამან და დაშთით ულასოდ? ოდეს ღმერთი არს თქვენ თანა, ვერ ხელ-ეწიფების შიშსა თქვენ ზედა. შიში ხორციელთა ოდენ ახლავს! განუდექით ხორციელსა, რამეთუ იგი არ არს ჭეშმარიტი. მარკოზი იტყვის: „ყოველი, რასა იგი ითხოვ ლოცვასა შინა, გრწმენიან, რამეთუ მოგეცეს, და ჭეშმარიტად მიიღებ მას!“ დაანებეთ თავი! ილოცეთ!

ქალბატონმა დე ფონტანენმა მუხლი მოიდრიკა.

— ილოცეთ! — მკაცრად გაუმეორა პასტორმა, — ილოცეთ! პირველად ესე გიხსნით თქვენ, სულო უბადრუკო! ილოცეთ, რაითა ღმერთმან შთაგინერგოთ რწმენა და სიმშვიდე სულისაი! ჭეშმარიტი ოდენ რწმენაი იხსნის მას! აჰა, გიერთებთ მეცა გულსა ჩემსა! ვილოცოთ!

ერთხანს დაფიქრდა. შემდეგ ლოცვად დადგა: ჯერ რაღაც გაურკვეველი ბუტბუტი ისმოდა მხოლოდ, ფეხები მჭიდროდ მიეკრა ერთმანეთისათვის, გულზე ხელები დაეკრიფა, სახე ზეცისკენ აღეპყრო, ქუთუთოები დაეხარა, აწეწილი თმა შავი ალის შარავანდედით ერტყა შუბლს. სიტყვები თანდათან გარკვეულად ისმოდა, ხოლო ბავშვის რითმიული ფშვინვა, ორღანის აკომპანემენტივით ახლდა მის ლოცვა-ღაღადს.

— ყოველთა ხელმწიფეო ცხოველმყოფელო სულო! შენ ყოველგან მყოფ ხარ, ყოველსა შენსა თვით წვლილთაცა არსებათა შინა! გიხმობ სიღრმისაგან გულისა შენი სიმშვიდით აღსავსე ტანჯული ესე ჰომ! განდევნე შორს სარეცლისა ამისგან ყოველი, რომელსა წარეღო აზრი სიცოცხლისაი! ბოროტი ჩვენს უძლურებასა შინა ოდენ არს. ო, უფალო, გვაშორე უ ა რ ყ ო ფ ა!

მხოლოდ შენ ერთი ხარ სიბრძნე უსაზღვრო და რომელსა შენ ქმნი ჩვენგან, კანონიერ ქმნულ არს. დედა ესე აწისთვისცა განდობს შვილსა თვისსა პირსა სიკვდილისასა! იგი გარდმოსცემს მას ნებასა შენსა, უარს იტყვის მას ზედა, და უკეთუ ჯერს არს წარსტაცო შვილი დედასა თვისსა, თანახმა არს იგი, თანახმა!

— ო, გაჩუმდით! არა, არა, არა, ჯეიმს! — წაიბუტბუტა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

გრეგორი ადგილიდან არ განძრეულა. მაგრამ ქალს რკინის ხელი დაადო მხარზე.

— მცირედმორწმუნე დიაცო, ნუუკვე თქვენ ხართ ესე? თქვენ, რომელსა სულმან უფლისამან ამდენგზის შთაგინერგათ?!

— ო, ჯეიმს, რომ იცოდეთ! ეს სამი დღე როგორ ვეწამე! მეტი აღარ შემიძლია, ჯეიმს!

— ვხედავ მას, — თქვა პასტორმა და უკან დაიხია, — აღარა არს იგი ესე. ვერღარა მიცნობია იგი! უწინდურებაი შეუტევა მან ზრახვასა შინა თვისსა, ტაძარსა ღვთისასა! ილოცეთ, უბადრუკო ქალო, ილოცეთ!

ბავშვის სხეული ნერვიულ ცახცს აეტანა და ზეწრის ქვეშ ძაგძაგებდა; თვალი გაახილა; მზერადაძაბული ხან ერთ ნათურას მიაშტერდებოდა, ხან მეორეს. გრეგორი არაფერს აქცევდა ყურადღებას. ქალბატონმა დე ფონტანენმა მკლავი მოხვია გოგონას, შეეცადა მისი კრუნჩხვა დაეოკებინა.

— ზეციერო ძალო! — ღაღადებდა პასტორი, — ჭეშმარიტებავ! შენ თქვი: უკეთუ ვისმე სურს შემომიდგეს, თვითაღიკვეთოს! უკეთუ ჯერ არს, რათა დედაი შვილსა შინა თვისსა დასახიჩრდეს, იგი თანახმა არს და უარს იტყვის.

— არა, ჯეიმს, არა...

პასტორი დაიხარა.

— უარ-ყავ თავი შენი! თვითაღკვეთა ესე იგი არს, რაიცა საფუარი: ვითარცა საფუარი ფქვილსა, ასრე თვითაღკვეთაცა გარდაქმნის აზრსა ბოროტსა და აღზიდავს სიკეთესა ცად.

შემდეგ წელში გასწორდა და დაუმატა:

— უკეთუ ესრეთ არს ნებაი შენი, უფალო, წარსტაცე ქალი იგი ჩვილი, წაიყვანე, იგი აღიკვეთს და მოგცემს ამას! უკეთუ ძეცა მისი გიხმს...

— არა... არა...

— და უკეთუმცა გსურთ, რათა წარჰგვარო ვაჟიცა, აღიკვეთოს იგიცა! აროდეს გარდმოაბიჯოს მან ზღურბლსა კარისა დედისასა.

— დანიელი... ო, არა!

— უფალო, შენი სიბრძნისთვის მიუნდვია მას პირმშო წრფელითა გულითა და უკეთუ ქმარიცა მისი ჯერ-არს წარგვრად, აღსრულდეს ნებაი შენი!

— ო, ჟერომი, არა! — დაიკვნესა ქალმა და მუხლებზე გახოხდა.

— დაე აღსრულდეს ნებაი შენი! — გაიმეორა პასტორმა აღგზნებით. — აღსრულდეს ნებაი შენი უეჭველად, წყაროო სინათლისაო! წყაროო სიკეთისაო! სულო მაღალო!

მცირე ხნით პაუზა ჩამოვარდა.

— შესწირე ანუ არა მსხვერპლი? — ისე იკითხა, ქალისთვის არ შეუხედავს.

— შემიბრალე, ჯეიმს, არ შემიძლია..

— ილოცეთ!

რამდენიმე წუთმა გაიარა.

— შესწირე ანუ არა მსხვერპლი იგი სრულად?

ქალს არაფერი უპასუხნია და საწოლის ფეხებთან ჩაიკეცა.

ერთმა საათმა განვლო. ავადმყოფი უძრავად იწვა; მხოლოდ გაწითლებული, დასიებული თავი ყანყალებდა აქეთ-იქით, მარჯვნიდან მარცხნივ; ხრინწიანი სუნთქვაღა ისმოდა; ღია თვალებში შეშლილის გამომეტყველება ჩასდგომოდა.

უეცრად პასტორი ისე შეკრთა, თითქოს ქალმა სახელით იხმო, თუმცა ქალბატონი დე ფონტანენი არც კი განძრეულა, და მის გვერდით დაიჩოქა. ქალი წამოდგა; სახის ნაკვთები აღარ ჰქონდა დაძაბული; ერთხანს ბალიშზე მოსვენებულ პატარა სახეს დააკვირდა, შემდეგ მკლავები გაშალა და წარმოთქვა:

— უფალო, დაე აღსრულდეს ნება შენი არა ჩემი!

გრეგორი არ განძრეულა. ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ როცა იქნებოდა, სწორედ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა ქალი, თვალს არ ახელდა; მთელი არსებით უხმობდა ღვთის წყალობას.

საათი საათს მისდევდა. დროდადრო, ეტყოდით, სადაა ბავშვს სული აღმოხდება, შერჩენილი ნატამალი სიცოცხლისა თვალების შუქთან ერთად ჩაქრებაო. მაგრამ მერე მთელ სხეულზე კრუნჩხვა გადაუვლიდა. მაშინ გრეგორი აიღებდა ქენის ხელს და მორჩილებით ამბობდა:

— იქნება სამკალი! იქნება სამკალი! მხოლოდ უნდა ვილოცოთ. ვილოცოთ.

დაახლოებით დილის ხუთ საათზე გრეგორი წამოდგა, იატაკზე ჩაცურებული საბანი ბავშვს გადააფარა და ფანჯარა გამოაღო. დაშის სიგრილე შემოიჭრა ოთახში. მუხლმოდრეკილი ქალბატონი დე ფონტანენი არ განძრეულა.

გრეგორი აივანზე გავიდა. თენდებოდა. ცას ჯერ კიდევ დაჰკრავდა ტყვიისფერი. ქუჩას ბნელ ორმოსავით დაეღო ხახა. მაგრამ ჰორიზონტს ლუქსემბურგის ბაღის მიღმა უკვე ეკარგებოდა ფერი; ქუჩაზე ღრუბლები დაცურავდა და ბამბასავით შემოხვეოდა ხეთა ჩამუქებულ კენწეროებს. გრეგორი ცდილობდა ძაგძაგი შეეჩერებინა, ხელები დაჭიმა და მუშტები მაგრად შემოაჭდო მოაჯირს. მსუბუქი ნიავით მოდენილი დილის სუსხი ელამუნებოდა ოფლიან შუბლსა და უძილობითა და ლოცვით გაფითრებულ სახეს. სახურავებს უკვე სილურჯე დაჰკრავდა. ჭვარტლით გაშავებული სახლის კედლებზე ნათელ ლაქებად მოჩანდა დარაბები.

პასტორმა აღმოსავლეთს მიუშვირა სახე. ღამის წიაღიდან მოვარდისფრო შუქის ფართო ზოლი მისკენ მოემართებოდა, რომელმაც სულ მალე მთელი ცა გაანათა. ბუნება იღვიძებდა. უთვალავი მხიარული მოლეკულები აციმციმდნენ დილის ჰაერში. და უცებ ახალი სუნთქვა შთაბერა მის მკერდს, ზეადამიანური ძალა შეიჭრა მასში, ზეასწია, უსაზღვროდ განადიდა. ერთ წამში ათასგვარი შესაძლებლობა შეიცნო: მისი გონება სამყაროს განაგებს უკვე: მას შეუძლია ყველაფერი გაბედოს, შეუძლია ამ ხეს დაუყვიროს: „იცახცახე!“ და მას ცახცახი აიტანს, შეუძლია ამ გოგონას დაუყვიროს: „აღსდექი!“ და ისიც აღსდგება! პასტორი ხელს იწვდის და ერთბაშად, თითქოს მის მოძრაობას დაემორჩილაო, რაც კი ფოთოლი იყო პროსპექტზე, ყველამ ცახცახი იწყო: აივნის ახლოს, მაღალ ხიდთან ფრთოსანთა გუნდი ლაღი ჭიკჭიკით გამოფრთხიალდა.

პასტორი საწოლთან მიბრუნდა, მუხლმოდრეკილ დედას ხელი დაადო და წამოიძახა:

— ალილუია, ძვირფასო! განწმენდაი იქმნა სრული!

შემდეგ ჟენის მიუახლოვდა.

— განიდევნა იგი წყვდიადი, მომეცი ხელი, ჩემო ტკბილო გოგო! — და ბავშვმა, რომელსაც ორი დღე სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდა, ხელი გაუწოდა.

— შემომხედე!.

უაზრო თვალები თითქოს ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ მას მაინც მიაშტერდნენ.

— სიკვდილისგან დაიხსნის იგი, მხეცნი ველისანი მყუდროებით იცხოვრებენ შენ თანა! მრთელი ხარ, ყრმაო! არღარა არს ბნელი! დიდება უფალს! ილოცეთ!

ბავშვის თვალებში აზრმა ჩაისადგურა; ტუჩები ისე ააცმაცუნა, იტყოდით, მართლა ცდილობს ილოცოსო.

— ახლა კი... დახუჭე თვალები, გენაცვალე.. .ნელა... აი ასე... დაიძინე, გენაცვალე. აღარაფერი აღარ გაწუხებს! სიხარულისგან უნდა დაიძინო!

რამდენიმე წუთიც და, ამ ორმოცდაათი საათის შემდეგ, ჟენის პირველად ჩასთვლიმა. ბალიშზე რბილად ედო უძრავი თავი; წარბების ჩრდილი ეფინა დაწვებს, მშვიდი სუნთქვა ისმოდა; ბავშვი გადარჩა.

## VI

ეს იყო რუხი კოლენკორისყდიანი ჩვეულებრივი რვეული, რომელიც ჟაკსა და დანიელს ის შეერჩიათ, ერთმანეთისთვის გადაცემის დროს მასწავლებელთა ყურადღება არ მივიქციოთო. რვეულის პირველი გვერდები ასეთი წარწერებით იყო აჭრელებული: „როდის დაიბადა და გარდაიცვალა რობერტ ღვთისმოსავი?“ „როგორ უნდა დავწეროთ: „რაფსოდია“ თუ „რაპსოდია?“ „როგორ თარგმნი სიტყვას „ერიპუიტ“?

ზოგი ფურცელი შენიშვნებითა და შესწორებებით აევსოთ. ეტყობა, ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცლებზე დაწერილ ჟაკის პოემას ეხებოდა.

ორ მოსწავლეს შორის რეგულარული მიწერ-მოწერა იყო გაჩაღებული.

პირველი გრძელი წერილი ჟაკისა იყო:

„პარიზი. ამიოს ლიცეუმი. IIIა კლასი. კ. კ., ე. წ. „დორის ჯავარი“ საეჭვოდ გვითვალთვალებს. ორშაბათი, 17 მარტი, 3 საათი; 31 წუთი, 15 წამი.

შენს სულს რა განაპირობებს: გულგრილობა, მგრძნობიარობა თუ სიყვარული? ჩემი აზრით, მესამე, რადგან სხვაზე უფრო ის შეეფერება შენს ბუნებას.

პირადად მე, რაც უფრო მეტად ვუკვირდები ჩემს გრძნობებს, მით უფრო აშკარად ვხედავ, რომ ადამიანი პ ი რ უ ტ ყ ვ ი ა.

და რომ მისი ამაღლება მხოლოდ სიყვარულს შეუძლია. ეს არის ჩემი, დაკოდილი გულის გოდება, იგი არასოდეს არ მატყუებს!!! უშენოდ, ო, ჩემო ძვირფასო, მე მხოლოდ ზარმაცი, კრეტინი ვიქნებოდი. თუკი ჩემთვის ნაცნობია იდეალისთვის თრთოლა, ამას შენ უნდა გიმადლოდე!

არასოდეს დამავიწყდება ის იშვიათი და, სამწუხაროდ, მეტად ხანმოკლე წუთები, ერთმანეთს რომ ვეკუთვნოდით. შენ ერთადერთი სიყვარული ხარ ჩემი! სხვა სიყვარული მე არ მექნება, რადგან მაშინვე ამეშლებოდა მხურვალე მოგონებანი შენზე! მშვიდობით, მაჟრჟოლებს, საფეთქლებში რაღაც მირტყამს, თვალთ მიბნელდება. ვერასოდეს ვერაფერი ვერ დაგვა-

შორებს, ხომ ასეა? ო, როდის, როდის ვიქნებით თავისუფალი? როდის შევძლებთ ერთად ცხოვრებას, ერთად მოგზაურობას? რა აღფრთოვანებით დავათვალიერებდი უცხო ქვეყნებს! რა ბედნიერება იქნება წარუშლელ შთაბეჭდილებათა ერთად შეგროვება და სანამ არ მიგვავიწყდება, მათი მოგონებად გარდაქმნა!

ლოდინი არ მიყვარს, რაც შეიძლება, მალე მომწერე. მინდა, ოთხ საათამდე მიპასუხო, თუკი ისე გიყვარვარ, როგორც მე.

გული ჩემი ეალერსება შენსას, როგორც პეტრონიუსი იკრავდა გულში ღვთაებრივ ევნიკეს.

ვალე ე მე ამა!

***

დანიელს მომდევნო გვერდზე დაუწერია პასუხი:

„ვგრძნობ, მარტოც რომ მეცხოვრა, სულ სხვა ცის ქვეშ, სულ ერთია — ჭეშმარიტად ერთადერთი კავშირი, რომელიც ჩვენს ორ სულს აერთიანებს, მაინც მომცემდა შესაძლებლობას გამომეცნო, რა ხდება შენში! მე მგონია, დრო ვერაფერს დააკლებს ჩვენს ურთიერთობას.

შეუძლებელია გადმოგცე ის სიხარული, რაც შენმა წერილმა მომანიჭა! შენ ხომ წინათაც იყავი ჩემი მეგობარი? მაგრამ ახლა ხომ უფრო ახლობელი, ჩემი მეორე ნახევარი გახდი? განა მეც ისევე არ დაგეხმარე სულის ფორმირებაში, როგორც შენ დამეხმარე ჩემი სულის ჩამოყალიბებაში. ღმერთო, რამდენ სიმართლესა და ძალას ვგრძნობ ახლა, როცა ამ წერილს გწერ! მე ვცოცხლობ! შენი სიყვარულის წყალობით ყველაფერი ცოცხლობს ჩემში — სხეული, გონება, გული, წარმოსახვა. შენს სიყვარულში ეჭვს არასოდეს არ შევიტან, ო, ჩემო ნამდვილო და ერთადერთო მეგობარო!

დედა დავარწმუნე, აუცილებლად უნდა გავასაღოთ ჩემი ველოსიპედი, რომელიც მართლაც მეტისმეტად საზარელია.

ტიტი!" დ.

კიდევ ერთი წერილი იყო ჟაკისა:

„ოო, დილექტისიმე.

როგორ ახერხებ, რომ ხან მხიარული ხარ, ხან მოწყენილი? პირადად მე, გიჟური სიხარულის დროსაც კი მწარე მოგონებანი მეუფლება. არა, ვგრძნობ არასოდეს აღარ ვიქნები ლაღი და ცეტი! მუდამ თანა მდევს მიუღწეველი იდეალის აჩრდილი!

ოჰ, ხანდახან რა კარგად მესმის იმ უსიცოცხლო, ფერმიხდილ მონაზონთა ექსტაზი, რომლებიც გაეცლებიან ხოლმე ამ წუთისოფელს და ამ მეტისმეტად რეალური ქვეყნიდან შორს ამთავრებენ თავიანთ სიცოცხლეს? ნუთუ მხოლოდ იმისთვის უნდა გქონდეს ფრთები, რომ საპყრობილეს რი-

კულზე მოიტეხო! მე მარტოკა ვარ ამ მტრულ სამყაროში, საყვარელ მამას ჩემი არ ესმის. ჯერ არც ისე ბებერი ვარ და რამდენი გათელილი მცენარე, წვიმადქცეული რამდენი ცვარი, დაუკმაყოფილებელი რამდენი სურვილი, რამდენი მწარე უიმედობა მოვიტოვე უკან! მაპატიე, ჩემო საყვარელო, ასეთი მჭმუნარე რომ ვარ. ეტყობა, ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესს განვიცდი! ტვინი მიდუღს, ასევე გულიც (უფრო ძლიერადაც, თუკი ეს შესაძლებელია). ერთად ვიყოთ! ორნი ადვილად ავარიდებთ თავს კლდეებს საცდურისას და იმ გრიგალსაც, რასაც სიამოვნება ჰქვია.

ყველაფერი მტვრად იქცევა ჩემს ხელში, შემრჩა მხოლოდ ტკბილი შეგნება იმისა, რომ შენ გეკუთვნი, ო, რჩეულო ჩემი გულისა!!!

ფ."

P. S. საჩქაროდ ვამთავრებ წერას, რადგან გაკვეთილი მაქვს დასაზეპირებელი, მე კი ჯერ ერთი სიტყვაც არ მისწავლია. ფუი, ეშმაკს!

ო, ჩემო საყვარელო, შენ რომ არ მყავდე, ალბათ, თავს მოვიკლავდი.

ფ."

დანიელს მაშინვე უპასუხნია:

„იტანჯები, მეგობარო?

შენ ხომ ახალგაზრდა ხარ, ო, ჩემო ძვირფასო მეგობარო?! ასე ახალგაზრდამ რატომ უნდა დაწყევლო ცხოვრება? რა უხერხულობაა! შენ ამბობ, რომ სული შენი მიწაზეა მიჯაჭვული? შრომობდე, იმედოვნებდე! გიყვარდეს! კითხულობდე!

როგორ დავამშვიდო შენი გაწამებული სული? რით ვუშველო უიმედობის ამ გოდებას? არა, მეგობარო. იდეალი ვერ ეთვისება ადამიანის ბუნებას! არა, ეს არაა პოეტის ოცნების ქიმერა! იდეალი, ჩემის აზრით, ამის განმარტება ძნელია, მაგრამ მაინც შევეცდები აგიხსნა რაღაც — დიადის ძიებაა მეტად უწყინარ მიწიერ საქმეში; ეს ნიშნავს — სიდიადე მისცე ყველაფერს, რასაც აკეთებ; ეს — *შექმნილი სულის* მიერ ჩვენში ჩანერგილი ღვთაებრივი ნიჭის სრული განვითარებაა. გესმის ჩემი? აი, ასე მესახება იდეალი, იდეალი სწორედ ისეთი, როგორსაც ჩემს სულში დაუსადგურებია.

და, ბოლოს თუ გჯერა მეგობრისა, რომელიც სამარის კარამდე ერთგულია შენი, მან, რომელმაც ბევრი იცხოვრა იმიტომ, რომ ბევრს ოცნებობდა და ბევრს იტანჯებოდა; თუ გჯერა მეგობრისა, რომელსაც შენთვის ბედნიერების მეტი არაფერი უნატრია რა, უნდა დაარწმუნო შენი თავი, რომ

იმათთვის კი არ ცხოვრობ, რომლებსაც შენი არ ესმით, იმ გარე სამყაროსთვის კი არ ცხოვრობ, რომელსაც ათვალისწინებული ჰყავხარ, უბედურო ბავშვო, არამედ ვ ი ღ ა ც ი ს თ ვ ი ს (ჩემთვის), ვინც განუწყვეტლივ შენზე ფიქრობს, და რომელიც შენთან ერთად შენნაირად გრძნობს ყველაფერს!

დაე, ჩვენი დიდებული კავშირის სიტკბოება წმინდა მალამოსავით დაედოს შენს ჭრილობას, ო, ჩემო მეგობარო!

დ."

იქვე, ქაღალდის აშიაზე, ჟაკის მინაწერია: „მაპატიე, სიყვარულო! ეს ჩემი ამბოხი, თავშეკავებული, ახირებული ხასიათის ბრალია! ყველაზე შავი ნაღველი უსაფუძვლო იმედებით შემეცვლება ხოლმე: წუთის წინ რომ სასოწარკვეთა შემიპყრობს; წუთის შემდეგ ღრუბლებში დავფრინავ! ნუთუ ვერასოდეს ვერაფერს ვერ შევიყვარებ? (შენ გარდა!!) და ჩემი ხელოვნების გარდა!! ვაღიარებ: ასეთია ჩემი ბედი!

მე გადმერთებ დიდსულოვნებისათვის, ყვავილივით ნაზი მგრძნობელობისათვის, სიდინჯისათვის, რასაც ყოველ შენს ფიქრში, ყოველ მოქმედებაში, თვით სიყვარულშიც კი აქსოვ! შენთან ერთად მეც განვიცდი შენს ფაქიზ გრძნობას, ყოველ შენს მღელვარებას! მადლობა შევწიროთ განგებას, ერთმანეთი რომ ასე გვიყვარს. მარტოობით გამოფიტული ჩვენი გულები ასეთი ურღვევი კავშირით რომ გაერთიანდნენ!

ნუ მიმატოვებ ნურასოდეს!

და სამუდამოდ დავიმახსოვროთ, რომ თითოეული ჩვენგანი მეორესთვის

ჩ ვ ე ნ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს

მგზნებარე ობიექტია.

ჟ.".

მომდევნო ორი გვერდი ისევ დანიელს ეკუთვნოდა; ნაწერი იყო მსხვილი, მტკიცე ხელწერით.

„ორშაბათი, 7 აპრილი

ჩემო მეგობარო,

ხვალ 14 წელი შემისრულდება. მახსოვს, შარშან ღამაზ, შორეულ სიზმარში ვბუტბუტებდი თითქოს: „თოთხმეტი წელი..." დრო მიდის და გვახუნებს. არსებითად არაფერი იცვლება. ჩვენ ისევ ისეთები ვართ. არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ სასოწარკვეთილი და უკვე ბებერი მგონია თავი.

გუშინ საღამოს, უკვე ლოგინში ვიწექი, როცა მოუსეს ტომი გადავშალე. წინათ, პირველივე ლექსის წაკითხვაზე, ცახცახი ამიტანდა ხოლმე,

ზოგჯერ ტირილიც წამსკდებოდა; გუშინ კი რამდენიმე საათი უძილოდ გავატარე, როგორ არ ვიღიზიანებდი თავს, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი, ვფიქრობდი, ფრაზები კარგადაა შერჩეული, ჰარმონიულია-მეთქი.. რა მკრეხელობაა! მიუხედავად ამისა, ბოლოს პოეტურმა გრძნობამ გაიღვიძა ჩემში. ცრემლის გუბე დავაყენე და, როგორც იქნა, თრთოლვამ ამიტანა.

ოჰ, ოღონდაც გული არ გამომეფიტოს! მეშინია, ცხოვრებამ გული არ გამიქვავოს, გრძნობები არ დამიჩლუნგოს. ვბერდები. ჩემს მკერდში წინანდებურად აღარ ბობოქრობს ფიქრები ღმერთზე, სულზე, სიყვარულზე! ე ჭ ვ ი დროდადრო სულს მიღრღნის. ვაგლახ! მსჯელობის ნაცვლად, განა არა სჯობს ჩვენი სულის მთელი ძალით ვიცხოვროთ? მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ბ ე ვ რ ს ვ ფ ი ქ რ ო ბ თ! მშურს იმ ძლიერი ახალგაზრდებისა, რომლებიც ანგარიშგაუწევლად, დაუფიქრებლად ეგებებიან საფრთხეს! რომ შემეძლოს დიდი სიამოვნებით შევწირავდი თავს დიად იდეას, იდეალურ, უმწიკვლო ქალს, ნაცვლად იმისა, რომ წამდაუწუმ ვიქექებოდე საკუთარ თავში! ოჰ, რა საშინელია ეს აუხდენელი სურვილები!

შენ მოგწონს ჩემი ს ი დ ი ნ ჯ ე. პირიქით, ეს ხომ ჩემი უბედურება, ჩემი წყეული ხვედრია! მე არა ვგავარ მუშა ფუტკარს, რომელიც ხან ერთი ყვავილიდან წოვს თაფლს, ხან მეორედან. მე ვგავარ შავ ხოჭოს, რომელიც ერთ რომელიმე ვარდის მკერდს ჩაეკვრება და მანამ ცხოვრობს მასში, სანამ ვარდის ფურცლები არ გადაეფარება; მერე ეს დიდებული ალერსი სულს უხუთავს და მის მიერ არჩეული ყვავილის მკლავებში იღუპება.

ასეთივე ერთგულია ჩემი შენდამი სიყვარული, ო, ჩემო მეგობარო! შენა ხარ ამ უბედურ მიწაზე ჩემთვის გაფურჩქნული ნაზი ვარდი. ჩაიმარხე ჩემი შავი ნაღველი შენი მეგობრული გულის ყველაზე საიდუმლო კუნჭულში!

დ.

სააღდგომო არდადეგების დროს პირდაპირ სახლში შეგიძლია მომწერო. დედაჩემი ხელს არ ახლებს ჩემს წერილებს (ოღონდ, მეტისმეტად უცნაურ რამეს ნუ მომწერ).

დავამთავრე ზოლას „განადგურება“. შემიძლია, გათხოვო. წაკითხულმა ისე ამაღელვა, ჯერაც ვერ დავმშვიდებულვარ. რა დიდებული წიგნია, ძლიერი და ღრმა! „ვერთერის“ კითხვა დავიწყე. ო, მეგობარო, აი წიგნი წიგნთაშორის! ჟიპის „ქალი და მამაკაციც“ ვიშოვნე, მაგრამ ჯერ „ვერთერს“ დავამთავრებ.

დ.“

ჟაკმა შემდეგი მკაცრი სტრიქონები გაუგზავნა საპასუხოდ:

„ჩემი მეგობრის მეთოთხმეტე წლისთავზე:

ამ ქვეყანაზე არის ადამიანი, რომელიც დღისით აუწერელ ტანჯვას იტანს, ხოლო ღამეს თეთრად ათენებს; იგი საშინელ სიცარიელეს გრძნობს გულში, რომელსაც ავხორცობაც კი ვერ ავსებს; ბობოქრობს მისი მრავალმხრივი ნიჭი და შესაძლებლობა; ამ მხიარულ სტუმართა შორის, თავშექცევის დროს, იგი ერთბაშად გრძნობს მარტოობას, რომელიც შავი ფრთებით დაჰფარფატებს მის გულს; ქვეყანაზე არის ადამიანი, რომელსაც არაფრის იმედი არა აქვს, არაფრის ეშინია, სიცოცხლე სძაგს, მაგრამ ძალა არ შესწევს გაეცალოს ამ წუთისოფელს: ეს ადამიანი არის ის, ვ ი ს ა ც ღ მ ე რ თ ი  ა რ ა  ს წ ა მ ს!!!

ჟ.

P. S. შეინახე ეს წერილი, მაშინ გადაიკითხე, როცა აფორიაქებული იქნები და როცა სიბნელეში ამაოდ მოჰყვები ღაღადს. ჟ.“

„არდადეგების დროს თუ იმუშავე?“ — წააწერა დანიელს ერთ-ერთი გვერდის ზემო სტრიქონზე.

ჟაკი უპასუხებს:

„პოემა დავამთავრე, „ჰარმოდიუს და არისტოგიტონის“ სტილშია დაწერილი და საკმაოდ ლაზათიანად იწყება:

„ავე ცეზარ!“

ცისფერთვალა გალელი გოგონა
შენთვის ცეკვავს
თავისი განწირული ქვეყნის
საყვარელ ცეკვას, როგორც მდინარეთა ლოტოსი
გედების თოვლივით ფრთებქვეშ.
იგი თრთოლვით არხევს ტანს,
იმპერატორო!.. მისი მძიმე ხმლები ლაპლაპებენ...
ნახე! ეს ცეკვაა მისი ქვეყნისა...“

და ასე შემდეგ... ასე შემდეგ... იგი ასე მთავრდება:

„მაგრამ შენ ფითრდები კეისარო:
სამეზის ვაგლახ!
ხმლების წვერით გაუგმირეს მას მკერდი...
თასი ხელიდან უვარდება... თვალი ეხუჭება...
აჰა, სულმთლად გასისხლიანებული,
მთვარით გაშუქებული საღამოების ტიტველი ცეკვა!

ტბის ნაპირას აბრიალებული ცეცხლის წინ
კეისრის ნადიმზე მთავრდება
ქერა მღომარი ქალის ცეკვა“.

პოემას „მეწამულ შესაწირავს“ დავარქმევ. მისი შესაფერი რიტმიკური ცეკვაც შევთხზე, რომელსაც სიამოვნებით მივუძღვნიდი ღვთაებრივ მოცეკვავეს ლოი ფიულერს, თეატრ „ოლიმპიაში“ შესასრულებლად! როგორ გგონია, იცეკვებდა?

რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ გადავწყვიტე ლექსთა კლასიკურ ზომასა და დიდი კლასიკოსების რითმას დავუბრუნდე (ბოლოს და ბოლოს, მე მგონია, ისინი იმიტომ ავითვალისწუნე, რომ უფრო ძნელია). ახლა გარითმულ ოდას ვწერ; იგი ეძღვნება იმ წამებულს, ამას წინათ რომ გელაპარაკე! აი დასაწყისი:

ღირსს მამა პერბუარს, ლაზარისტს,
ჩინეთში წამებულს 1839 წლის
20 ნოემბერს ხოლო
წმიდანად შერაცხილს — 1889 წლის [illegible].

„სალამი წმიდა მამაო, ვისი საშინელი წამების გამო შიშით ცახცახებდა შეძრწუნებული სამყარო. ნება მიბოძე, ჩემმა ჩანგმა გიმღეროს შენ, ჩვენი ქრისტიანობის გმირს!“

მაგრამ, გუშინ საღამოს შემდეგ, ვფიქრობ ჩემი ნამდვილი მოწოდება პოემების თხზვა კი არა, ნოველებისა და, თუ მოთმინება მეყო, რომანების წერაა. ერთი დიდი სიუჟეტი მაქვს ჩაფიქრებული; ყური მიგდე:

ახალგაზრდა ქალი, სახელგანთქმული მხატვრის ქალიშვილი, რომელიც იქვე, სახელოსნოს კუთხეში დაბადებულა, თვითონაც ხელოვანია (ე. ი. უფრო მსუბუქი ჟანრისა, მაგრამ თავის იდეალს ოჯახურ ცხოვრებაში კი არ ეძებს, არამედ მშვენიერების გამოხატვაში); იგი უყვარს ახალგაზრდა, სენტიმენტალურ, მაგრამ მეშჩანური ბუნების კაცს, რომელიც ქალის ველურმა სილამაზემ მოხიბლა. მალე მათ ჭირისდღესავით შესძულდებათ ერთმანეთი და კიდეც შორდებიან; ჭაბუკი პროვინციელ ასულს შეირთავს ცოლად და ოჯახურ უმწიკვლო იდილიას მიეცემა; რაც შეეხება ხელოვან ქალს, სიყვარულით გამწარებულს, გარყვნილი ცხოვრება ჩაითრევს (ან თავის ნიჭს ღმერთს შესწირავს, ჯერ არ გადამიწყვეტია). ასეთია ჩემი ჩანაფიქრი! შენ რას იტყვი, მეგობარო?

ო, რომ იცოდე, რა კარგია: არ შექმნა არაფერი ხელოვნური, გააკეთო ის, რაც შენს ბუნებას ეთვისება და როცა დარწმუნდები, რომ შემოქმედებითი ნიჭი გაქვს, არ უნდა დაგავიწყდეს: შენ იმისთვის ხარ დაბადებული,

მეტად სერიოზული და დიდებული ამოცანა შეასრულო ამქვეყნად! დიახ! ყველაფერში და ყოველთვის გულწრფელი უნდა იყო! ო, რა სასტიკია ეს აზრი, მოსვენებას არ მაძლევს! რამდენჯერ მომჩვენებია ცრუ ხელოვანთა, ცრუ გენიოსთა იმ სიყალბით ვარ შეპყრობილი, მოპასანი რომ აღწერს-მეთქი ნოველაში „წყალზე" და სიძულვილით გული ამრევია. ო, მეგობარო, მადლობას ვწირავ ღმერთს, შენი თავი რომ მარგუქა! როგორ დაგვჭირდება ერთმანეთი, რა კარგად უნდა გავიცნოთ საკუთარი თავი, რათა არასოდეს არავითარი ილუზია არ შევქმნათ ჩვენს ჭეშმარიტ ნიჭზე.

გადმერთიებ და მაგრად, ვნებიანად გართმევ ხელს, როგორც იმ დილით, გახსოვს? მთელი ჩემი არსებით, რომელიც შენ გეკუთვნის მთლიანად და ხორციელად!

ფრთხილად იყავი: კ. კ. ალმაცერად გვიყურებს. მას ვერ წარმოუდგენია, რომ შესაძლებელია გქონდეს კეთილშობილური აზრები, და იგი მეგობარს გაუზიარო, მით უმეტეს მაშინ, როცა თვითონ თავის „სალუსტს" ლუდლუდებს!

ჟ".

აქვეა ჟაკის კიდევ ერთი წერილი, ეტყობა, ერთი ამოსუნთქვით და თითქმის გაურკვეველი ხელით დაწერილი:

ამიკუს ამიკო *,

გული ვეღარ იტევს მოჭარბებულ გრძნობებს, რამდენადაც შევძლებ, ეს ბქაფებული ტალღები ქაღალდზე უნდა მოვაზღვავო!

ტანჯვისთვის, სიყვარულისთვის, იმედისთვის შობილი, ვიმედოვნებ, მიყვარს, ვიტანჯები! ჩემი ცხოვრების ამბავს ორი სტრიქონი დაიტევს: სიყვარული მასულდგმულებს, სიყვარული კი ერთია: შენ!

ბავშვობიდან ერთი მოთხოვნილება მქონდა: ეს ამბობოქრებული გული სხვა ისეთი გულისთვის გადამეშალა, რომელიც ყველაფერს გამიგებდა. წინათ უამრავი წერილი მიმიწერია ვიღაც არარსებული პირისათვის, მე რომ საკუთარ ძმასავით მგავდა, ვაგლახ! ჩემი გული გატაცებით ელაპარაკებოდა, ან უკეთ წერდა საკუთარ თავს! შემდეგ ღვთის ნებით, ამ იდეალს ხორცი შეესხა, იგი შენში განხორციელდა, გენაცვალე! როგორ დაიწყო ეს ამბავი? აღარც კი მახსოვს: სათითაოდ ვიგონებ ყველაფერს, მაგრამ აზრთა ლაბირინთში ვიბნევი და ამოსავალი წერტილი ვერ მიპოვია: სამაგიეროდ, ძნელია წარმოიდგინო ამ სიყვარულზე უტკბესი და ამაღლებული რამ! ამაოდ ვცდილობ შედარებები ვუპოვო! ჩვენი დიდებული საიდუმლოებების შემდეგ ყველაფერი უფერულად მეჩვენება! იგი მზეა, რომელიც ათბობს და ასხი-

ყოსნებს ჩვენ ორის ცხოვრებას! მაგრამ ამის დაწერა შეუძლებელია! ქაღალდზე მისი გადმოტანა ყვავილის ფოტო-სურათს დაემსგავსება!

კმარა!

ვინ იცის, იქნებ, შველა, დამშვიდება, გამხნევება გჭირდება, მე კი სათუთი, ნაზღმობიერი სიტყვების ნაცვლად ეგოისტურ თავკერძა გულის გოდებას გიგზავნი! მაპატიე, გენაცვალე! სხვაგვარად წერა არ შემიძლია: ცტყობა, ვნერვიულობ. ჩემი გული რიყესავით დაწრეტილია. ურწმუნოება ყველაფრისა და საკუთარ თავისადმი, განა სენთა შორის უსასტიკესი არ არის?

შემიძულე! აღარ მომწერო! სხვა შეიყვარე! ღირსი არა ვარ, შენი თავი მაჩუქო! ო, რა დაცინვაა ბედისა, რომელიც ხელსა მკრავს — საით? საით? არარაობისკენ!!! მომწერე! შენ რომ არ მყავდე, თავს მოვიკლავდი!

ტიბო უქსიმო, კარისიმე! *

ჟ".

ბიჭების გაპარვის წინადღით, მასწავლებლის მიერ დაჭერილი ბარათი აპატ ბინოს რვეულის უკანასკნელ ფურცელზე მოუკრავს.

ჟაკის ხელით ფანქრით იყო ნაჯღაბნი.

„სირცხვილი ხალხს, ვინც ლაჩრულად, დაუსაბუთებლად ცილს სწამებს ადამიანებს! სირცხვილი მათ!

სირცხვილი და ჭირი!

მთელი ამ ინტრიგის წყარო საზიზღარი ცნობისმოყვარეობაა! ჩვენს მეგობრობაში მოუნდათ ხელის ფათური! უსინდისოდ მოიქცნენ!

არავითარი ლაჩრული კომპრომისები! ქარიშხალს უნდა გავუძლოთ! უმალ მოვკვდეთ, ვიდრე დავთმობდეთ! ჩვენი სიყვარული ყოველგვარ ცილისწამებასა და მუქარაზე მაღლა დგას!

დავამტკიცოთ ეს!

სამუდამოდ შენი

ჟ".

## VII

შუაღამეს გადაცილებული იყო, მარსელში რომ ჩავიდნენ. კვირის აღტყინება უკვე დასცხრომოდათ. ცუდად განათებული ვაგონის ხის სკამებზე ეძინათ მოკრუნჩხულებს. საბრუნი რგოლის გრუხუნზე ერთბაშად გამოეღვიძათ სადგურზე. უხმოდ, შეშინებულები, დაბნეულები გადმოცვივდნენ ბაქანზე და იმედგაცრუებულნი ახამხამებდნენ თვალებს.

ღამის გასათევი უნდა მოეძებნათ. სადგურის პირდაპირ, თეთრ სტერო-ზე წარწერა დაინახეს: „სასტუმრო“. სასტუმროს პატრონი მდგმურებს ელოდა. ორ მეგობართაგან დანიელი უფრო გაბედული იყო და მან მოითხოვა საწოლიანი ოთახი. ბუნებით უნდო კაცმა, სასტუმროს პატრონმა კითხვა-კითხვაზე დააყარა.. პასუხი წინასწარ ჰქონდათ მომზადებული: ვითომ, პარიზის სადგურზე მამას უცბად გაახსენდა, რომ ფუთა დავიწყნოდა შინ და მატარებელზე დააგვიანდა. ალბათ, ხვალ ჩამოვა პირველი მატარებლითო. სახლის პატრონი უსტვენდა და ბოროტი თვალით ათვალიერებდა ბიჭებს. ბოლოს აღრიცხვის წიგნი გადაშალა და თქვა:

— ჩაწერეთ თქვენი გვარები!

იგი დანიელს მიმართავდა, უფროსი ეგონა — თექვსმეტ წელს ადვილად მისცემდით, — მთავარი ის იყო, რომ სახის დახვეწილი ნაკვთები და საერთოდ, მთელი მისი გარეგნობა ერთგვარ პატივისცემას იწვევდა. სასტუმროში შესვლისთანავე მოიხადა ქუდი, ოღონდ არ იფიქროთ, მოკრძალების გამო, — ქუდის მოხდა ჩვევად ჰქონდა. ხელებსაც ისე დაუშვებდა, თითქოს ამბობდა: „პირადად თქვენ კი არ გიხდით ქუდს, უბრალოდ, ზრდილობის წესებს ვიცავ!“ სიმეტრიულად გამოზრდილი შავი თმა მის თეთრ შუბლს სოლივით ჰკვეთდა. მკვეთრად მოხაზული, მშვიდი, ძლიერი და თან ნატიფი ნიკაპი ოვალურ სახეს უმშვენებდა. სასტუმროს პატრონის გამომცდელ მზერას დანიელმა, მართალია, გამომწვევი არა, მაგრამ მაინც უშიშარი თვალი შეავება და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წიგნში ჩაწერა: „ჟორჟ და მორის ლეგრანები“.

— ოთახი შვიდი ფრანკი ღირს. ფული წინასწარ უნდა გადაიხადოთ. ღამის მატარებელი ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე მოდის; დაგიკაკუნებთ.

ბიჭებმა ვეღარ შეჰბედეს, შიშშილით ვკვდებითო.

ოთახის ავეჯს შეადგენდა ორი საწოლი, სკამი და ბაკანი. შესვლისას ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში ორივეს და დააპნია: ერთმანეთის თვალწინ უნდა გაეხადათ ტანსაცმელი, ბილიც გაუფრთხათ. ბიჭები ფეხს ითრევდნენ, უნდოდათ როგორმე დაეხანებინათ ეს მძიმე წუთი, საწოლებზე ჩამოსხდნენ და ფულის თვლას შეუდგნენ: როცა თავიანთი დანაზოგი შეაჯამეს, ასოთხმოცდარვა ფრანკი თანაბრად გაიყვეს. ჟაკმა ჯიბეები გადმოაბრუნა და კორსიკული პატარა ხანჯალი, ოკარინა, ხუთ სუდ ღირებული დანტეს ფრანგული თარგმანი, და ნახევრადგამდნარი შოკოლადი ამოიღო, რომელიც ძმურად გაუყო დანიელს. შემდეგ აღარ იცოდნენ, რა ექნათ. დროის გასაყვანად დანიელი ნელ-ნელა იხსნიდა ფეხსაცმლის ზონარს. ჟაკმა მიბაძა.

ბოლოს ისევ დანიელმა იპოვა გამოსავალი: სანთელს სული შეუბერა და თქვა:

— აბა, სანთელს ვაქრობ... ღამე მშვიდობისა!

სწრაფად გაიხადეს და უხმოდ ჩაწვნენ ლოგინებში.

დილის ხუთი საათი არ იქნებოდა, როცა კარებზე საშინელი ბრახუნი ასტეხეს: ბიჭებმა ისე ჩაიცვეს, სანთელი არ აუნთიათ, გარიჟრაჟის მკრქალ შუქზე აჩრდილებივით მოძრაობდნენ. ზედმეტ საუბარსაც მოერიდნენ და სასტუმროს პატრონს ყავაზეც კი უთხრეს უარი. შეციებულებმა და მშივრებმა სადგურის ბუფეტს მიაშურეს.

თორმეტ საათზე უკვე მთელი მარსელი შემოვლილი ჰქონდათ. დღის სინათლემ და თავისუფლებამ გამბედაობა დაუბრუნა ორივეს. ჟაკს ჯიბის წიგნაკი შეეძინა შთაბეჭდილებათა ჩასაწერად, დროდადრო ჩერდებოდა, მეოცნებე თვალებით იყურებოდა და შენიშვნებს იწერდა: შემდეგ პური და ძეხვი იყიდეს, ნავსადგურს მიადგნენ და ბაგირის გრაგნილზე ჩამოსხდნენ; იქვე უძრავად იდგნენ უზარმაზარი ხომალდები და იალქნიანი გემები.

ვიღაც მეზღვაური მოვიდა, ბაგირის გაშლა უნდოდა და ბიჭები გრაგნილიდან ჩამოყარა.

— ეს გემები საით მიდიან? — გაბედა და იკითხა ჟაკმა.

— გააჩნია, რომელი! რომელზე მეკითხებით?

— აი ის, დიდი.

— მადაგასკარში.

— მართლა? მალე გავა?

— არა. ხუთშაბათს გავა. თუ საერთოდ გინდათ გემის გასვლა ნახოთ, აი ის, „ლა ფაიეტი“ ამ საღამოს ხუთ საათზე ტუნისში მიემგზავრება.

ამგვარად საჭირო ცნობები შეკრიბეს:

— ტუნისი, — შენიშნა დანიელმა, — ალჟირი არ გეგონოს!

— სულ ერთია, მაინც აფრიკაა, — უპასუხა ჟაკმა და პური ჩაკბიჩა.

ჟაკი ბრეზენტის გროვასთან ჩაცუცქულიყო. მოწითალო, ხეშხეში, აწეწილი თმა სარეველა ბალახივით მოსდებოდა ვიწრო შუბლზე; გაძვალტყავებული თავის ქალით, გაშვერილი ყურებით, გამხდარი კისრითა და პატარა ცხვირით ციყვს წააგავდა; იგი წამდაუწუმ ისე იჭმუხნიდა თავის ულაზათო ცხვირს, იტყოდით, თრითინა რკოს აკნატუნებსო.

დანიელმა ჭამა შეწყვიტა.

— ყური მიგდე... რა იქნება, **იმათ** აქედან რომ მივწეროთ, სანამ...

მაგრამ უმცროსმა ამხანაგმა ისე შეხედა, სიტყვა გაუწყდა.

— შენ რა, გაგიჟდი? — წამოიყვირა პურით პირგამოტენილმა ჟაკმა, — გინდა ჩასვლისთანავე ჩაგვავლონ ხელი და დაგვიჭირონ?

იგი გაბრაზებული უყურებდა მეგობარს. იტყოდით, მის ულამაზო სახეს, უთვალავი ჭორფლი კიდევ უფრო რომ აუშნოებდა, და თვალებს, ცისფერ, პატარა, ღრმად ჩამჯდარ თვალებს, — თავისებური მიმზიდველი ცხოვრება აქვთო. გამომეტყველებაც წამდაუწუმ ეცვლებოდათ: ხან სერიოზული, მაგრამ მაშინვე ცბიერი, ხან ნაზი, თითქმის ალერსიანი; უცებ — ბოროტი, თითქმის სასტიკი; ზოგჯერ ცრემლდანამული, მაგრამ უფრო ხშირად მშრალი, ანთებული, რომელთა მოლბობა არაფერს ძალუძს.

დანიელს უნდოდა შეკამათებოდა, მაგრამ ჩაჩუმდა. ჟაკის გაღიზიანებას მშვიდი, შემრიგებლური გამომეტყველებით უპასუხა და ისე გაუღიმა, თითქოს ბოდიშს უხდისო. დანიელს თავისებური ღიმილი ჰქონდა: პატარა მომრგვალებული ტუჩების მარცხენა კუთხე ერთბაშად აიწეოდა, კბილებს აჩენდა და ეს მხიარული ღიმილი უცნაურ მომხიბვლელობას ანიჭებდა მისი სახის სერიოზულ ნაკვთებს.

რატომ იტანდა ეს დინჯი, ტანმაღალი ყმაწვილი ამ ბიჭის გავლენას? განა აღზრდა ან თავისუფლება უფროსობის უცილობელ უფლებებს არ ანიჭებდა? არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ლიცეუმში, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, დანიელი კარგ მოსწავლედ ითვლებოდა, ხოლო ჟაკი — სიზარმაცით იყო განთქმული. დანიელის ნათელი გონება უფრო მეტს ავლენდა, ვიდრე ეს მოსწავლეს მოეთხოვებოდა. ჟაკი, პირიქით, ცუდად სწავლობდა, ან უკეთ, სულაც არ სწავლობდა. გონებრივი შესაძლებლობა აკლდა? არა, მაგრამ საუბედუროდ, მისი ნიჭი იმ მიმართულებით ვითარდებოდა, რასაც სკოლაში სწავლასთან საერთო არაფერი ჰქონდა. თითქოს ეშმაკი უზის სხეულშიო, ათასნაირ სისულელეს შთააგონებდა. ცთუნებას ვერასოდეს უმკლავდებოდა, ყველაფერს რაღაც უპასუხისმგებლობით ეკიდებოდა, თითქოს ეშმაკის ხრიკებს აჰყოლიაო. ყველაზე უცნაური აი რა იყო: მიუხედავად იმისა, რომ ჟაკი ყველაზე ჩამორჩენილ მოწაფედ ითვლებოდა კლასში, ამხანაგები და თვით მასწავლებლებიც კი, რატომღაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ; მას გარს ეხვია ბავშვები, ყოველგვარ დისციპლინასა და ათასნაირ წესებს რომ ემორჩილებოდნენ და საკუთარ „მე"-ს ჯერჯერობით ვერაფრით ამჟღავნებდნენ: ბავშვებს გარს ეხვიათ მასწავლებლები, რომელთა ენერგია, სულიერი ძალა, ასაკსა და რუტინას საბოლოოდ ჩაეკლა; ეს ზარმაცი და უშნო, მაგრამ პირდაპირობითა და ნებისყოფით აღსავსე ბიჭი, მის მიერ და მხოლოდ თავისთვის შექმნილ რაღაც თავისებურ, ფანტასტიკურ სამყაროში ცხოვრობდა თითქოს; მხად იყო უყოყმანოდ ჩა-

ედინა ყოველგვარი უაზრო საქციელი და არასოდეს დაფიქრებულიყო რა შედეგი მოჰყვებათ ამას; ეს პატარა ურჩხული შიშის ზარსა სცემდა ყველას და თან მოწიწებასაც იმსახურებდა რატომღაც. დანიელი ერთ-ერთი პირველი მოექცა მასზე უფრო პრიმიტიული, მაგრამ მდიდარი ბუნების მქონე ბიჭის გავლენის ქვეშ, იგი მუდამ ანცვიფრებდა მას და, რაც მთავარია, ბევრ რამეს სწავლობდა მისგან; ამას გარდა, დანიელსაც ახასიათებდა უეცარი აფეთქება, მასაც ჰქონდა მიდრეკილება თავისუფლებისა და ამბოხისადმი. რაც შეეხება ჟაკს, რაკი იგი ნახევარპანსიონერად ითვლებოდა კათოლიკურ სკოლაში და რაკი წარმოშობით ისეთი ოჯახიდან იყო, სადაც რელიგიური წესების დაცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მან ჯერ, თავშესაქცევად გაილაშქრა მის ირგვლივ შექმნილ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, შემდეგ იმით მოიხიბლა, რომ პროტესტანტის ყურადღება მიიპყრო, რომლის უკან სულ სხვა, სულიერად განსხვავებულ სამყაროს გრძნობდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე კვირის განმავლობაში მათი ამხანაგური დამოკიდებულება ელვის სისწრაფით გადაიქცა განსაკუთრებულ სიყვარულად, რომელმაც ერთიც და მეორეც გაათავისუფლა მორალური მარტოობის გრძნობისაგან, მათ შეუცნობლად ორივეს რომ სტანჯავდა თურმე. ეს იყო უმწიკვლო, მისტიკური სიყვარული, რომელმაც ორი ახალგაზრდა სიცოცხლე მომავლის ერთ მისწრაფებად აქცია, თანაც გააერთიანა ყოველგვარი უკიდურესი და ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები, რაც თოთხმეტი წლის ასაკში მათ სულს აფორიაქებდა: ყმაწვილებს აბრეშუმის ჭიის ცხოვრებაც აინტერესებდათ და ასოების გაშიფვრაც, სინდისის ყველაზე იდუმალ ქენჯნასაც გრძნობდნენ და სიცოცხლის იმ გამაბრუებელ მიდრეკილებასაც, რასაც ყოველი განვლილი დღე აღძრავდა მათში.

დანიელის უტყვმა ღიმილმა დააშოშმინა ჟაკი და მან პურის ჭამა განაგრძო. სახის ქვედა ნაწილი — ტიბოს მოდგმისთვის დამახასიათებელი ქვედა ყბა, უზომოდ დიდი პირითა და დამსკდარი ტუჩებით საკმაოდ ვულგარულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირი მართლაც უშნო ჰქონდა, სამაგიეროდ, მეტყველი, ძლიერი, მგრძნობიარე.

— აი ნახავ! — თავი ასწია და დაბეჯითებით განაცხადა ჟაკმა, — ტუნისში ადვილად მოვაწყობთ ცხოვრებას! ბრინჯის პლანტაციებზე ყველას დებულობენ სამუშაოდ. იქ ბეტელს ღეჭავენ, ძალიან გემრიელია თურმე... ფულს მაშინვე გიხდიან და საჭმელიც თავსაყრელი გვექნება: ფინიკი, მანდარინი, გოიავი...

იქიდან მოვწეროთ მათ, — გაბედა და უთხრა დანიელმა.

— ვნახოთ! — შეუსწორა ჟაკმა და წითური თავი გააქნია. — ჯერ კარგად უნდა მოვეწყოთ, და ისინიც უნდა დავარწმუნოთ, რომ მათ გარეშეც შეგვიძლია ცხოვრება.

გარუმდნენ. დანიელს ჭამა დაემთავრებინა და ხომალდების ვეებერთელა, შავ კორპუსებს მისჩერებოდა, ალაპლაპებულ ქვაფენილზე მოხეტიალე ტვირთმზიდავებს ათვალიერებდა, ანძების ტყის იქით აბრიალებულ ჰორიზონტს გაჰყურებდა: შინაგანი ბრძოლის დასაოკებლად ბუნების სანახებს იშველიებდა, ცდილობდა დედაზე არ ეფიქრა.

ახლა მთავარი იყო იმ საღამოსვე გაჰყოლოდნენ „ლა ფაიეტს".

კაფეს ოფიციანტმა გემის კანტორა აჩვენა ბიჭებს. ბილეთების ფასი გამოკრული იყო. დანიელი სარკმელთან დაიხარა:

— ბატონო, მამამ დამავალა მესამე კლასის ორი ბილეთი ვუყიდო ტუნისამდე.

— მამამ? — შეეკითხა მოხუცი და მუშაობა განაგრძო. ქაღალდების გროვიდან მისი შუბლის ზედა ნაწილიღა მოჩანდა. იგი დიდხანს წერდა. ბავშვებს ლამის ბუდიდან ამოვარდნოდათ გული.

— ჰო, — ამოღერღა ბოლოს, ისე, რომ თავი ზევით არ აუღია, — მამაშენს უთხარი, თვითონ მოვიდეს, თანაც დოკუმენტებიც გამოიყოლოს, გესმის?

ბავშვებმა იგრძნეს, როგორ ათვალიერებდნენ კანტორის მოხელეები. უსიტყვოდ გავარდნენ ქუჩაში. გაშმაგებულმა ჟაკმა ხელები ღრმად ჩაიყო ჯიბეში. გონებაში ათიოდე, სხვადასხვა გამოსავალმა გაუელვა: იუნგად მოწყობილიყვნენ, ანდა ხორაგის ყუთებში დამალულიყვნენ და ისე ემოგზაურათ. ან კიდევ, ხომ არ აჯობებდა ნავი დაექირავებინათ და მოკლე-მოკლე გადასასვლელებით სანაპიროების გასწვრივ ეცურათ ჯერ ჰიბრალტარამდე, შემდეგ მაროკომდე, ღამ-ღამობით ნავსადგურში შეჩერებულიყვნენ, ოკარინაზე დაკვრით სამიკიტნოს ტერასაზე ფული ეშოვნათ.

დანიელი დაფიქრებულიყო; მას კვლავ ჩაესმა იდუმალი, გამაფრთხილებელი ძახილი. რაც სახლიდან გამოიპარნენ, რამდენჯერმე მოესმა ეს ხმა, მაგრამ ამჯერად წაყრუება ველარ შესძლო, საჭირო იყო ანგარიში გაეწია მისთვის: რომელიღაც უკმაყოფილო ხმა ჰკიცხავდა.

— იქნებ, თაოთულში დავრჩენილიყავით და საიმედოდ დავმალულიყავით?

— ორი დღეც არ გაივლიდა და ჩვენს კვალს მიაგნებდნენ, — მხრები აიჩეჩა ჟაკმა. — დარწმუნებული იყავი, დღეს უკვე ყველგან გვეძებენ.

დანიელს თვალწინ დაუდგა შეძრწუნებული დედა, კითხვებით რომ არ ასვენებს ქენის, შემდეგ ინსპექტორს ეკითხება, სადაა ჩემი შვილიო.

— ყური მიგდე, — წაიბუტბუტა მან და სუნთქვა შეეკრა; იქვე გრძელ ხკამს მოჰკრა თვალი; დასხდნენ; — დროა ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, — გაბედულად განაგრძო მან. — სასჯელად იქნებ ორი-სამი დღის ძებნა ვაკმაროთ?!

ჟაკმა მუშტი მოკუმა.

— არა! არა! და არა! — დაიღმუვლა მან, — შენ რა, ყველაფერი დაგავიწყდა უკვე?

და ნერვიული სხეული ისე დაეძაბა, სკამზე ვეღარ გაძლო, წამოხტა, ხის მორიგით მიეყრდნო სკამის ზურგს. თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა; სკოლის, აბატის, ლიცეის, ინსპექტორის, მამის, საზოგადოების, საყოველთაო უსამართლობის წინააღმდეგ ვერ დაეცხრო აღშფოთება.

— არასოდეს არ დაგვიჯერებენ! — ყვიროდა იგი. ხმა ჩაეხრინწა, — აკი მოგვპარეს რუბი-რულული! მათ არ ესმით, არ შეუძლიათ გაიგონ! უნდა გენახა, როგორ ცდილობდა აბატი გამოვეტეხე! ო, რა დათაფლული მელაპარაკებოდა! რაკი შენ პროტესტანტი ხარ, მათი აზრით, ყველაფერს ჩაიდენ...

შერცხვა, თვალი აარიდა მეგობარს. დანიელმაც ჩაღუნა თავი: აუტანელი ტკივილი იგრძნო, როცა გაიფიქრა, ამ საზიზღარმა ეჭვებმა შესაძლოა დედაჩემის ყურამდეც მიაღწიონო.

— როგორ ფიქრობ, დედას ეტყვიან? — ხმადაბლა იკითხა მან.

მაგრამ ჟაკი ყურს არ უგდებდა.

— არა! არა! — და არა! — იმეორებდა იგი, — დაგავიწყდა ჩვენი გადაწყვეტილება? განა რა შეიცვალა? კმარა ამდენი შევიწროება! ღმერთმა კარგად ამყოფოთ! როცა საქმით დავანახვებთ, ვინცა ვართ, და იმასაც, რომ ისინი არაფრად გვჭირდებიან, ნახავ, როგორ დაგვაფასებენ! ერთადერთი გამოსავალიღა დაგვრჩენია: სამშობლოდან გავიქცეთ, საკუთარი შრომით ვიცხოვროთ, ესაა და ეს! მხოლოდ ამის შემდეგ მივწეროთ, სადაც ვართ, წაუყენოთ ჩვენი პირობები, განვუცხადოთ, გვსურს მეგობრებად დავრჩეთ და დამოუკიდებელნი ვიყოთ, რადგან ეს კავშირი მარადიულია-თქო.

იგი ჩაჩუმდა, თავი შეიკავა და შემდეგ დინჯად განაგრძო.

— ან არა და.. როგორც გითხარი, თავს მოვიკლავ.

დანიელმა შიშით შეხედა. ჭორფლიან, ფერმკრთალ სახეს ყოყლოჩინობის ნატამალი არ აჩნდა, პირიქით, სიმტკიცე აღბეჭდვოდა.

— გეფიცები, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ხელში არ ჩავუვარდე იმ ხალხს! მე მათ ვაჩვენებ, ვინცა ვარ: ან გავიქცევი, ანდა ეს... — ქილეტიდან ამოშვერილი კორსიკული ხანჯლის ტარი დაანახვა, რომელიც კვირა დილას ძმის ოთახიდან გამოეტანა.

— ან, იქნებ, აი, ეს აჯობებს! — განაგრძო მან და ქაღალდში გახვეული პატარა ბოთლი ამოიღო ჯიბიდან, — თუ უარს მეტყვი ჩემთან ერთად გემით წასვლაზე, დიდი ხნის ფიქრი არ დამჭირდება: ერთი, ორი და...

მან ისე აიქნია ხელი, თითქოს ბოთლიდან სვამსო. — ... მოკვეთილი დავეცემი!

— ეს რაა? — წაიბუტბუტა დანიელმა.

— იოდის ხსნარი, — ისე მკაფიოდ თქვა ჟაკმა, თვალი არ დაუხრია.

დანიელი შეევედრა:

— აქ მომე, ტიბო!

მართალია, ძალიან შეეშინდა, მაგრამ მაინც სიყვარულით და აღტაცებით შეაჩერდა მეგობარს; კვლავ უჩვეულოდ მოხიბლა ჟაკმა; ამას გარდა, მათი თავგადასავალი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. ამასობაში ჟაკმა ჯიბეში შეინახა იოდის ბოთლი.

— ვიაროთ! — თქვა მან კუშტად, — დამჯდარს მუდამ უჭირს საღად აზროვნება.

ოთხ საათზე სანაპიროზე დაბრუნდნენ. „ლა ფაიეტის" ირგვლივ დიდი ფუსფუსი იყო: ტვირთმზიდავებს მხარზე გაედგათ ყუთები და განუწყვეტელ ძაფებად ისე მიედინებოდნენ საბიჯელებზე, იტყოდით, ჭიანჭველებს ზურგზე მოუკიდიათ თავიანთი ლარვები და მიცოცავენო. ბიჭებიც იმავე გზით გაემართნენ. წინ ჟაკი მიდიოდა. ახლად გარეცხილ გემბანზე მეზღვაურები ჯალამბარს ატრიალებდნენ გემის ღია სათოფურის თავზე და ტვირთს ტრიუმში უშვებდნენ. ვიღაც ჩასკვნილი, შავთმიანი მამაკაცი, კეხიანი ცხვირი ნალისებური წვერი და ღაჟღაჟა, გადატკეცილი სახის კანი რომ ჰქონდა, ტვირთის გადაზიდვას ხელმძღვანელობდა; მას ლურჯი, სახელოზე ოქრომკედით ნაქარგი ქურთუკი ეცვა.

უკანასკნელ წუთში ჟაკი მოიბუზა და უკან დაიხია.

— მაპატიეთ, ბატონო, — თქვა დანიელმა და ნელა მოიხადა ქუდი, — კაპიტანი ბრძანდებით, არა?

კაცს გაეცინა.

— რატომ მეკითხები?

— ეს ჩემი ძმაა, ბატონო! მოვედი. რომ გთხოვოთ.. — ფრაზა არც კი დაემთავრებინა, ისე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და გაება... — ნება მოგვეცით თქვენთან ერთად წამოვიდეთ... ტუნისში.

— ჰოიო?: მარტო წამოხვალთ? — ჰკითხა კაცმა და თვალი ჩაუკრა.

მის ჩასისხლიანებულ თვალებში იგრძნობოდა ისეთი გაბედული, თავხედლადებული რაღაც, სიტყვებზე უკეთ რომ მეტყველებდა.

დანიელს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, ისღა დარჩენოდა, წინასწარ დათქმული ტყუილი განეგრძო.

— მარსელში მამასთან ჩამოვედით. მაგრამ მისთვის ტუნისში შეუთავაზებიათ ადგილი ბრინჯის პლანტაციაზე და... მოგვწერა მასთან ჩავსულიყავით. გზის ფულს გადაგიხდით... — ეს უკვე თავის მხრივ დაუმატა დანიელმა და მყისვე მიხვდა, ჩემი ეს გეგმაც ისეთივე უხეიროა, როგორც დანარჩენიო.

— კეთილი. მაგრამ აქ ვისთან ცხოვრობთ?

— არავ... არავისთან. პირდაპირ სადგურიდან მოვედით.

— მარსელში არავის იცნობთ?

— არ... არავის.

— და ამ საღამოსვე გინდათ გამგზავრება, ხომ?

— დანიელი მზად იყო ეთქვა, არაო, და გაქცეულიყო. მაგრამ მაინც წაიბუტბუტა:

— დიახ, ბატონო.

— იცით, გენაცვათ, — დასცინა ლურჯქურთუკიანმა კაცმა, — ბედი თქვენი, ჩვენს ბებერს რომ არ გადაეყარეთ, მას არ უყვარს ხუმრობა; მაშინვე ქეჩოში წაგავლებდათ ხელს, კომისარიატში მიგაბრძანებდათ და ყველაფერს დაგაფქვევინებდათ... თუმცა თქვენისთანა ონავრებს ეს კიდეც მოუხდებოდა.. — დაიყვირა მან უცებ და დანიელს სახელოში სტაცა ხელი, — ეი, შარლო, ის პატარა შენ დაიჭირე, ამას კი...

ჟაკმა დროზე შეამჩნია მისი მოძრაობა, შარლოს ხელიდან გაუსხლტა, კისრისტეხით გადაახტა ყუთებს, სამი ნახტომით საბიჯელას მიაშურა, მაიმუნის სიმკვირცხლით შეერია მტვირთავების ჯგუფს, სანაპიროზე გავარდა და მარცხნივ გაიქცა.

დანიელი? ჟაკმა უკან მოიხედა: დანიელიც გაქცეულიყო. ჟაკმა დაინახა, როგორ გააპო მან ჭიანჭველების — იმ მტვირთავების მწკრივი, საბიჯელას საფეხურებზე დაეშვა, სანაპიროზე ჩახტა და მარჯვნივ გაუხვია. ამა-

სობაში ცრუკაპიტანი ოჯახს დაყრდნობოდა და, თავქუდმოგლეჯით გაქცეულ ბიჭებს რომ უყურებდა, გულიანად ხარხარებდა. ჟაკმა სირბილი განაგრძო: მოგვიანებით სადმე შეხვდებიან ერთმანეთს, ახლა კი ხალხს უნდა შეერიონ და რაც შეიძლება შორს გაეცილდნენ ნავსადგურს.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ აქლოშინებული ჟაკი უკაცრიელ ქუჩაზე მარტო აღმოჩნდა და შეჩერდა. ჯერ ნიშნისმოგებით ჩაეცინა, როცა წარმოიდგინა, რა ადვილად შეიძლებოდა დანიელის გამაგვრა; ახი კი იქნებოდა მასზე: განა მისი მიზეზით არ ჩაეფუშათ გეგმა?! იმ წუთში კიდევ ეჯავრებოდა მეგობარი და მზად იყო ქალაქიდან გასულიყო, მარტო გაქცეულიყო და ბედის ანაბარა მიეტოვებინა დანიელი. სიგარეტი იყიდა და გააბოლა. მალე ახალ კვარტალს შემოუარა და ისევ დაბრუნდა ნავსადგურში. „ლა ფაიეტი" კვლავ უძრავად იდგა. ხალხით გაჭედილ გემბანის სამივე სართული შორიდან მოჩანდა. სადაა ღუზას ამოსწევდნენ. ჟაკმა კბილები გააკრაჭუნა და იქაურობას გაშორდა.

შემდეგ დანიელის ძებნას შეუდგა, უნდოდა ბრაზი მასზე ამოენთხია. ქუჩები გადაჩხრიკა, კანებიერის * მოედანზე გავიდა, ბრბოს შეერია, ერთხანს იწრიალა, შემდეგ უკან მობრუნდა. ქარიშხლის მაუწყებელი ცხელი, შეხუთული ჰაერი დასწოლოდა ქალაქს. ბიჭს წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. ამდენ ხალხში სად ეძებნა დანიელი? რაც უფრო გადაუწყდა ამხანაგის ნახვის იმედი, მით უფრო ჯიუტად უნდოდა მისი პოვნა. პაპიროსითა და სიცხით გამშრალი ტუჩები ეწვოდა. აღარც ეშინოდა, ვინმე შემამჩნევსო, ჭექაქუხილის შორეულ გრუხუნსაც აღარ აქცევდა ყურადღებას. აქეთ-იქით აწყდებოდა. დაძაბულობისაგან თვალი დაედალა. ქალაქს ერთბაშად ეცვალა იერი: შუქი თითქოს ქვაფენილიდან ამოდიოდა და სახლების ფერგამქრალი ფასადი მკვეთრად იხატებოდა იისფერ ცაზე; ქარიშხალი ახლოვდებოდა; წვიმის მსხვილი წვეთები ვარსკვლავებივით აკიაფდნენ ტროტუარზე. სულ ახლოს ძლიერი გრუხუნი გაისმა; ჟაკი შეკრთა. იგი სვეტებზე დაყრდნობილი ფრონტონიანი შენობის გასწვრივ მიდიოდა. ეკლესიის კარი ღია იყო, შიგ შევარდა.

მისი ფეხის ხმა ყრუდ გაისმა თაღებქვეშ; ნაცნობი სუნი ეცა. მაშინვე შვებით ამოისუნთქა, საიმედო ადგილას აღმოჩნდა: მარტო აღარ იყო, ზებუნებრივი ძალა ამოსდგომოდა მხარში. მაგრამ ანაზდად კვლავ შიშმა აიტანა: შინიდან ისე გამოიპარა, ღმერთი ერთხელაც არ მოჰგონებია. ახლა კი უცებ მოეჩვენა, უხილავი მზერა თავს დამფარფატებს, ჩემს უსაიდუმლოეს ზრახვებში იჭრება და ტრიალებსო! ეგონა, დიდი ცოდვილი ვარ, აქ ყოფნით წმინდა ადგილს ვბილწავ და ღმერთი ცის სიმაღლიდან აუცი-

ლებლად გამჭმირავსო! წვიმა წურწურით ჩადიოდა სახურავებიდან; განუწყვეტლივ ქუხდა და, თითქოს ცოდვილს ეძებსო, ელვა სწრაფად ანათებდა აბსიდის ვიტრაჟს, ბიჭის ირგვლივ იკლაკნებოდა თაღების სიბნელეში, ჟაკი მუხლებით დაეყრდნო სალოცავ სკამს, მოიბუზა, თავი დახარა და რამდენჯერმე სწრაფად ჩაიკითხა „მამაო ჩვენო“ და „ქალწულო მარიამ...“

მალე მეხთატეხა შენელდა. ეკლესიის ფანჯრებიდან თანაბარი შუქი გადმოიღვარა. ჭექა-ქუხილი შორსღა ისმოდა; საფრთხემ თითქმის გაიარა. ბიჭს ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, ვითაღლითე, მაგრამ ვერ ჩამიჭირესო. დაჯდა; სულის სიღრმეში შერჩენოდა დანაშაულის შეგრძნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაკი მსჯავრს ხელიდან დაუძვრა, რაკი ეშმაკობამ გაუმართლა, გული სიამაყით აევსო და უკვე, მართალია, შიშნარევ, მაგრამ მაინც დიდ კმაყოფილებას განიცდიდა. დამდებოდა. აქ რას უცდის? დამშვიდებული და გაოგნებული თვალს არ აშორებდა სანთლის მოციმციმე ალს საკურთხეველზე, რაღაც გაურკვეველ, დაუკმაყოფილებელ გრძნობასა და ნაღველს აეტანა, თითქოს ეკლესია სულ სხვა დანიშნულებით გამოეყენებინოს. მნათე კარების დასაკეტავად შემოსულიყო. ჟაკი ისე ქურდულად გავარდა გარეთ, არც ლოცვა წაუკითხავს, არც მუხლი მოუდრეკია. კარგად იცოდა, ღმერთის შეწყობა არ მიჰქონდა თან.

გრილ ქარს ტროტუარები აეშრო. მოსეირნეებს აქა-იქ თუ შეხვდებოდით. დანიელი სადღა დაიკარგა? ჟაკმა წარმოიდგინა, ალბათ, რაღაც უბედურება შეემთხვაო. თვალები ცრემლით დაებინდა, ცდილობდა შეეკავებინა, დანისლული მზერა გზას ვერ არჩევდა და ფეხს აუჩქარა. ახლა რომ მისკენ მომავალი დანიელი დაენახა ქუჩაზე, სიხარულისგან ალბათ გული შეუწუხდებოდა.

საათმა რვაჯერ ჩამოჰკრა აკულის ეკლესიის სამრეკლოზე, ფანჯრებში შუქი აკიაფდა. ჟაკს მოშივდა, პური იყიდა, გზა განაგრძო და სასოწარკვეთილი, აღარ ცდილობდა გამვლელთა სახეს დაჰკვირვებოდა.

ორი საათის შემდეგ დაღლილობისაგან ქანცგამოლეულმა რომელიღაც უკაცური ქუჩის ბოლოს სკამი შეამჩნია ხისქვეშ, ჩამოჯდა. ჭადრიდან წვიმის წვეთები ეცემოდა.

ვიღაცამ უხეშად წაავლო ხელი მხრებში და შეანჯღრია. ნუთუ ჩაეძინა? პოლიციელი იყო. შიშისაგან ჟაკს კინაღამ გული გაუსკდა, ფეხი აუკანკალდა.

— აბა, შინ გასწი, ცოცხლად.

ჟაკმა სასწრაფოდ მოჰკურცხლა. დანიელის დარდი აღარ ჰქონდა. საერთოდ, აღარაფერზე ფიქრობდა: ფეხები ასტკივდა, პოლიციელებს თავს არი-

დებდა. ისევ ნავსადგურს მიაშურა. ღამის თორმეტი საათი იყო. ქარი ჩადგა, წყლის ზედაპირზე ნაირფერი შუქი ციმციმებდა წყვილ-წყვილად. სანაპირო უკაცრიელი იყო. ჟაკი კინაღამ წამოედო მათხოვარს, რომელიც ბარდანებს შორის მოკრუნჩხულიყო და ხვრინავდა. ბიჭი შიშზე უფრო ძლიერმა, გადაულახავმა სურვილმა შეიპყრო, — აბლავე, სულ ერთია სად, გაწოლილიყო და დაეძინა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, დიდი ბრეზენტის კიდე ასწია, შიგ შეძვრა, სველი ხის სუნი ეცა, ყუთებზე წაიფორხილა. იქვე დაეგდო და დაეძინა.

ამასობაში დანიელიც დაეხეტებოდა ქუჩებში და ჟაკს ეძებდა.

ერთხანს სადგურის ახლომახლო იწრიალა, სასტუმროს შემოუარა, სადაც წინა ღამეს გაათიეს, გემის კანტორასთანაც მივიდა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ისევ სანაპიროზე დაბრუნდა. ადგილი, სადაც „ლა ფაიეტი" იდგა, ცარიელი დახვდა. ნავსადგურზე სიცოცხლე ჩამკვდარიყო: ჭექა-ქუხილს ხალხი გაეფანტა.

თავჩაქინდრულმა ქალაქისკენ გასწია. წვიმა მხრებზე უტყლაშუნებდა. თავისთვის საჭმელი იყიდა, ჟაკსაც უყიდა, კაფეში შევიდა, სადაც დილით ისაუზმეს და მაგიდას მიუჯდა. წვიმა კოკისპირულად ასხამდა, ფანჯრებზე შტორებს სწევდნენ; ოფიციანტებს ხელსახოცები მოეხვიათ თავზე და ტერასის განიერ ტენტებს ახვევდნენ. ტროლეიბუსები ისე მიჰქროდნენ, ზარის წკარუნიც არ ისმოდა, ბიგელის რკალებიდან ავარდნილი ნაპერწკლები ტყვიისფერ ცასა სწვდებოდა, ხოლო სახნისივით შეჭრილი წყალი ლიანდაგის ორსავე მხარეს შხეფებს ისროდა. დანიელს ფეხები დასველებოდა, თავი დამძიმებოდა, ნეტავი რა მოუვიდა ჟაკს? მისი დაკარგვა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც მარტოდ დარჩენილი ბიჭის სასოწარკვეთა და ნაღველი. მერე თავი დაარწმუნა, საცაა აი იქიდან, ამ საფუნთუშის კუთხიდან შემოუხვევსო, და უცდიდა; თუკი ვინმეს დაინახავდა გაწუწულს, ფეხსაცმლის ფლატუნით რომ მოაბიჯებდა წყლის გუბეებში, სახეგაფითრებულს და აქეთ-იქით უიმედოდ თვალებდაცეცებულს — ყველა ჟაკი ეგონა. მაგრამ მუდამ ვიღაც უცნობი ბიჭი აღმოჩნდებოდა, რომელიც საფუნთუშეში შერბოდა და იქედან იღლიაში პურამოჩრილი გამოდიოდა.

ორი საათი გავიდა. წვიმამ გადაიღო: ჩამოღამდა. დანიელი მაინც ვერ ბედავდა წასვლას, ასე ეგონა, როგორც კი აქაურობას მოვშორდები, ჟაკიც მაშინვე გამოჩნდებაო. ბოლოს, მაინც გასწია სადგურისკენ. სასტუმროს კარის თავზე თეთრი სფერო გაენათებინათ. მთელ კვარტალს მკრთალი შუქი ეფინა, ვინ იცის, ასეთ სიბნელეში, იქნებ, ისე ჩაუარონ ერთმანეთს, ვერც კი იცნონ?!

— დედა! — დაიძახა ვიღაცამ.

დანიელმა თვალი მოჰკრა თავის ტოლა ბიჭს, რომელმაც ქუჩა გადასერა და ვიღაც მანდილოსანთან მივიდა; ქალმა ბავშვს აკოცა, სახლის სახურავებიდან ჩამოდენილი წვიმის წვეთებისგან თავდასაცავად ქოლგა გახსნა, დანიელს ნუსაიფ-მუსაიფით ჩაუარეს გვერდზე და სიბნელეში გაუჩინარდნენ. ორთქლმავლის სტვენა მოისმა. დანიელს ნაღველი შემოაწვა.

ო, რა შეცდომა დაუშვა, ჟაკს რომ დაუჯერა! თავიდანვე იცოდა, იმ დილითვე, როცა ლუქსემბურგის ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს, რომ შინიდან გაპარვა სისულელე იყო და მეტი არაფერი! არა, მას ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარებოდა, გამოქცევის ნაცვლად დედასთან რომ მისულიყო და ყველაფერი ეამბნა, ის არათუ გაკიცხავდა, პირიქით, კიდეც გამოექომაგებოდა და არავითარი უსიამოვნება არ შეხვდებოდა. რატომ აჰყვა ჟაკს? თავისი საქციელი ვერაფრით ვერ აეხსნა.

ის კვირა დილა გაახსენდა: წინოთახში შევიდა. ჟენიმ გაიგონა თუ არა მისი შესვლა, მაშინვე მოირბინა, სინზე წერილი იდო ყვითელი კონვერტით, ზედ ლიცეუმის ბეჭედი ესვა, ალბათ, მის გარიცხვას იტყობინებოდნენ; წერილი მაგიდაზე გადაფარებული ხალიჩის ქვეშ ამოსდო. ჟენი უხმოდ მიაჩერებოდა ძმას, ცდილობდა თვალი თვალში გაეყარა; მიხვდა, რაღაც აწუხებდა დანიელს, ოთახში შეჰყვა, დაინახა, როგორ აიღო საფულე და თავისი დანაზოგი გადათვალა. ჟენი მივარდა, ორივე ხელი მოხვია, ეფერებოდა, მაგრად ეკვროდა და ეკითხებოდა: „რა მოხდა? რას სჩადიხარ?" მაშინ, იგი გამოუტყდა დას, სახლიდან მივდივარ, ლიცეუმში რაღაც ამბავი ატყდა, უსამართლოდ ცილი დამწამეს, მასწავლებლები ამიმხედრდნენ და რამდენიმე დღით უნდა გადავიმალოო.

— მარტო მიდიხარ? — წამოიძახა ჟენიმ.

— არა, ამხანაგთან ერთად!

— რომელ ამხანაგთან?

— ტიბოსთან.

— მეც წამიყვანე!

დანიელმა ხელი მოხვია, მუხლებზე დაისვა, როგორც წინათ იცოდა ხოლმე, და ხმადაბლა უთხრა:

— კი მაგრამ, დედა?

ჟენი ატირდა. დანილმა დაამშვიდა.

— ნუ გეშინია. რაც მთავარია, არ დაიჯერო, რასაც გეტყვიან. რამდენიმე დღის შემდეგ წერილს მოვიწერ, დავბრუნდები. მაგრამ დამიფიცე, გეს-

მის? დამიფიცე, რომ არასოდეს, არც დედას, არც სხვა ვინმეს არასოდეს, არასოდეს არ ეტყვი, რომ დღეს შინ მოვედი, შენ მნახე და ჩემი გაპარვის ამბავი იცოდე;

თანხმობის ნიშნად ჟენიმ უცბად დაუქნია თავი. დანიელს უნდოდა მოფერებოდა დას, მაგრამ ჟენი ქვითინით გაიქცა თავის ოთახში და იქეთი სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდა, დანიელს აქამდე ვერ დაევიწყებინა, ის ხმა ახლაც ყურებში ედგა. ნაბიჯს აუჩქარა.

წინ მიიწევდა, თვითონაც არ იცოდა, საით. მალე მარსელიდან საკმაოდ შორს, რომელიღაც გარეუბანში აღმოჩნდა, ქვაფენილი აზელილ ტალახს დაეფარა, ფარნები აქა-იქ ბჟუტავდნენ მხოლოდ. ეზოს ორსავე მხარეს შავ ორმოებს — ეზოში შემოსასვლელებს, აყროლებულ დერეფნებს — ხაზა დაედოთ სიბნელეში. ბინებიდან ბალღების ჯღავილი მოისმოდა. იაფფასიან სამიკიტნოში გრამაფონს აწრიპინებდნენ. დანიელმა გზას გადაუხვია და სხვა მიმართულებით იარა დიდხანს. ბოლოს სემაფორის შუქი გამოჩნდა: სადღაც ახლოს სადგური უნდა ყოფილიყო. დაღლილობისგან მუხლი უკვეცებოდა. ისარი ღამის პირველ საათს აჩვენებდა ციფერბლატზე. დილამდე დიდი დრო იყო. რა ექნა? მიიხედ-მოიხედა, სად მოეთქვა სული? ცარიელ ჩიხში აირმაშუქი შიშინებდა. დანიელმა განათებულ სივრცეს ჩაუარა და სიბნელეში მიიმალა. მარცხნივ ქარხნის კედელი აღმართულიყო, ზურგით მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

ქალის ხმამ ერთბაშად გამოაფხიზლა:

— სად ცხოვრობ? აქ ხომ არ აპირებ ღამის გათევას?

სინათლეზე გაიყვანა. დანიელმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

— სანაძლეოს დავდებ, მამას წაეჩხუბებოდი! შინ დაბრუნებისა გეშინია, ხომ?

ქალს ალერსიანი ხმა ჰქონდა. თუ მოტყუებაა, მოტყუება იყოსო, გაიფიქრა დანიელმა, ქუდი მოიხადა და ზრდილობიანად უპასუხა:

— დიახ, ქალბატონო!

— დიახ, ქალბატონო! — სიცილით გამოაჯავრა ქალმა. — იცი რას გეტყვი? გირჩევნია შინ დაბრუნდე. მეც გამომიცდია ასეთი რამ! რაკი, სულ ერთია, დღეს თუ ხვალ მაინც მოგიხდება შერიგება, რაღას აჭიანჭლებ? რაც უფრო გააჭიანურებ, მით უფრო გაგიძნელდება დაბრუნება.

დანიელი დუმდა.

— გეშინია, არ გცემონ ხომ? — თანამზრახველის გულთბილობით, ხმადაბლა, შინაურულად ჰკითხა ქალმა.

დანიელმა არაფერი უპასუხა.

— რა უცნაური ყოფილა! — წაილაპარაკა ქალმა, — როგორი ჯიუტია! ურჩევნია ღამე აქ გაათიოს! კარგი, ჩემთან წამოდი, შინ არავინა მყავს. ლეიბს დაგიგებ იატაკზე. აბა, ასეთ ბიჭს გარეთ ხომ ვერ დავტოვებ?

ქალი ქურდბაცაცას არა ჰგავდა, და დანიელმა დიდი შვება იგრძნო, მარტო რომ აღარ იყო. უნდოდა ეთქვა, გმადლობთ, ქალბატონოო, მაგრამ გაჩუმდა და უკან გაჰყვა.

მალე დაბალ სადარბაზოსთან შეჩერდნენ, ქალმა დარეკა. კარის გაღება დააყოვნეს. დერეფანში ნარეცხის სუნი იდგა. დანიელმა ერთ-ერთ საფეხურზე წაიფორხილა.

— მე უკვე მივეჩვიე, — უთხრა ქალმა, — ხელი მომეცი.

ქალის ხელთათმანიანი ხელი თბილი იყო. დანიელი მიჰყვა. კიბეზეც თბილოდა. ბიჭი ბედნიერად გრძნობდა თავს, ქუჩაში რომ აღარ იყო. ასე აიარეს ორი თუ სამი სართული, შემდეგ ქალმა გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ლამპა აანთო. დაღლილი, ძილმორეული დანიელი არეულ-დარეულ ოთახში იდგა უწესრიგოდ აშლილი ლოგინის წინ და ლამპის შუქზე თვალებს ახამხამებდა. ქალს ჯერ ქუდიც არ მოეხადა, ლოგინიდან ლეიბი დაითრია, მეორე ოთახში გაიტანა და მაშინვე მობრუნდა.

— ეს რაა, ზეზეულად გძინავს?! — გაეცინა მას, — ფეხზე მაინც გაიხადე!

დანიელი უსიტყვოდ დაემორჩილა; ხელებს ძლივს ამოძრავებდა. თავში ერთი აკვიატებული აზრი უტრიალებდა მხოლოდ: ხვალ დილით, ზუსტად ხუთ საათზე სადგურის სასაუზმეში უნდა მივიდე, იქნებ, ჟაკმაც მოიფიქროს და ასევე მოიქცეს.

— ადრე უნდა გამაღვიძოთ! — წაიბუტბუტა მან.

— კეთილი.. კეთილი.. — გაეცინა ქალს.

დანიელმა იგრძნო, ქალი ეხმარებოდა; ყელსახვევი შეხსნა, ტანზე გახადა. ბიჭი ლეიბზე დაეგდო და მკვდარივით დაეძინა.

თვალი რომ გაახილა, გათენებულიყო. პარიზში ეგონა თავი, საკუთარ ოთახში. მაგრამ ფარდიდან შემოჭრილმა მკვეთრმა შუქმა გააოცა. გვერდით ახალგაზრდა ქალის სიმღერა ისმოდა: ერთბაშად ყველაფერი მოაგონდა.

მეორე ოთახის კარი ღია იყო. ვიღაც გოგონა პირსაბანზე დახრილიყო და სახეზე წყალს ისხამდა. მობრუნდა, ცალ იდაყვზე წამოწეული დანიელი შენიშნა და გაეცინა.

— აა, გაიღვიძე? არა უშავს რა...

ნუთუ ეს ის ქალია, წუხელ რომ შეხვდა? პერანგსა და მოკლე ქვედა-ტანში, ტიტველი მკლავებითა და კანჭებით, მოზარდ გოგონას ჰგავდა. წუხელ ქუდი ეხურა და ამიტომ ვერ შეამჩნია, ალბათ: თმა ბიჭურად ჰქონია შეკრეჭილი და მუქი კულულები უკან გადავარცხნილი.

ანაზდად ყაკი გაახსენდა და თავზარი დაეცა:

— ღმერთო ჩემო! — წაილაპარაკა მან, — მე ხომ უთენია უნდა მივსულიყავი სასაუზმეში...

დანიელი შუა ძილში იყო, როცა ქალმა საბანი ყოველი მხრიდან შემოუკეცა, ამიტომაც სითბოს აქამდე გაებრუებინა ბიჭი. ამას გარდა, სანამ კარი ღია იქნებოდა, ადგომასაც ვერ გაბედავდა. ქალი შემოვიდა, ოხშივარ-ადენილი ფინჯანი და კარაქიანი პურის ყუა შემოიტანა.

— აჰა, გადაყლაპე და აქედან მოუსვი! მამაშენთან აყალმაყალის თავი არა მაქვს.

დანიელი შეიშმუშნა: მის ოთახში ქალი შემოვიდა, ის კი ჩაუცმელი იყო, საყელოგაღეღილი პერანგის ამარა იწვა. თან, ქალიც მკერდმოღეღილი, მკლავებშიშველი მოუახლოვდა. ამან სულ დააბნია. ქალი დაიხარა. დანიელმა თვალები დახუჭა და ისე ჩამოართვა ფინჯანი და პური, ზრდილობის გამო უარი ვერ უთხრა და ჭამას შეუდგა. ქალი ფოსტლების ფლატუნით მიდი-მოდიოდა ერთი ოთახიდან მეორეში და ღიღინებდა. ბიჭი ფინჯანს ჩაშტერებოდა, მაგრამ როცა ქალი გვერდზე ჩაუვლიდა, უნებლიეთ გაურბოდა თვალი მისი ლურჯკაბოლვა, გამხდარი ფეხებისაკენ; ქალს წითელი ქუსლები ფოსტლებიდან გამოშვეროდა და ყვითელ პარკეტზე სრიალებდა. დანიელს პური ყელში ეჩხირებოდა. ამ მოულოდნელობით სავსე დილას გამბედაობამ უღალატა. უცებ სახლი გაახსენდა, ალბათ, იქაც საუზმობენ ახლა, მისი სკამი კი ცარიელი დგას.

ოთახი ერთბაშად მზემ გაანათა: ახალგაზრდა ქალს დარაბები დაეღო და ამ შუქზე ჩიტის ჭიკჭიკივით მოისმა მისი ნორჩი ხმა:

ოჰ, სიყვარული ფესვს რომ იდგამდეს,
მას მე ჩემს ბაღში გავახარებდი...

ეს უკვე მეტისმეტი იყო: მზის სხივი, ეს მხიარული უზრუნველობა სწორედ იმ წუთს, როცა ბიჭი სასოწარკვეთას ებრძოდა... თვალზე ცრემლი მოადგა.

— აბა, აჩქარდი! — მხიარულად დაუყვირა ქალმა და ცარიელი ფინჯანი აართვა.

მაგრამ ცრემლები შეამჩნია:

— გაწუხებს რამე? — ჰკითხა ისეთი ნაზი ხმით, როგორც უფროსმა დებმა იციან.

დანიელმა თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა. ქალი ლეიბის კიდეზე ჩამოჯდა, ხელი კისერზე მოხვია და დედობრივი მზრუნველობით, დასამშვიდებლად — ყოველი ქალის დამარწმუნებელი საბუთი გახლავთ ეს, — ბიჭის თავი მკერზე მიიხუტა. დანიელი განძრევას ვეღარ ბედავდა, ქალის ათრთოლებული მკერდის სითბოს პერანგიდან გრძნობდა მთელ სახეზე. სუნთქვა შეეკრა.

— სულელო! — წამოიძახა ქალმა, განზე გაიწია და მკერდი ტიტველი მკლავებით დაიფარა, — დაინახე და გაგიჟდი, ხომ? ერთი ამას დამიხედეთ! პირზე რძე არ შეშრობია და... რამდენი წლისა ხარ?

დანიელმა ისევე, როგორც მთელი ამ ორი დღის მანძილზე, ახლაც ანგარიშმიუცემლად იცრუა, — თექვსმეტის, — წაილუღლუღა მან.

გაკვირვებულმა ქალმა მისი პასუხი გაიმეორა:

— თექვსმეტის?

ხელი მოჰკიდა, დაბნეულად უთვალიერებდა სახეს; სახელო აუწია, idaყვებამდე გაუშიშვლა.

— გოგოსავით თეთრი კანი ჰქონია ბაიას! — ღიმილით წაილაპარაკა მან.

შემდეგ თავი დახარა, ბიჭის ხელისგული ლოყაზე მიიდო... ღიმილი გაუქრა, ღრმად ამოიოხრა და ხელიც უშვა.

სანამ დანიელი მიხვდებოდა, რა ხდებოდა, ქალმა ქვედატანის დუგმები შეიხსნა.

— გამათბე, — უთხრა მან და საბანქვეშ შეუძვრა.

ჟაკს ცუდად ეძინა წვიმისაგან დამბალი ბრეზენტის ქვეშ. გათენებულიც არ იყო, სამალავიდან რომ გამოჰყო თავი და ცისკრის შუქზე შორს მოკურცხლა. „დანიელი თუ დაჭერილი არაა, — ფიქრობდა იგი — ცხადია, მიხვდება და, როგორც გუშინ, სადგურის სასაუზმეში მოვა“. ხუთი საათიც არ იყო, იქ რომ მივიდა. ექვსი საათი შესრულდა, მაგრამ იქედან წასვლას ვერ ბედავდა.

რა ეფიქრა? რა გზას დასდგომოდა? ბოლოს ციხე იკითხა. აჩვენეს. გულდამძიმებული იდგა დახშულ ჭიშკართან, შემდეგ ძლივს გაბედა და წარწერას თვალი გაუსწორა:

## ს ა პ ა ტ ი მ რ ო

ვინ იცის, იქნებ, აქაა დანიელი... ვეება გალავანს ჩაუარა, შორიდანაც შემოუარა, უნდოდა მაღალი, რკინის რიკულიანი ფანჯრები დაენახა, და შეშინებული იქაურობას გაეცალა.

მთელი დილა ქალაქში იხეტიალა; მზე იკბინებოდა. ხალხმრავალი ქუჩები ფანჯრებზე გამოკიდებული ფერად-ფერადი საცვლებით აჭრელებული იყო. დედაკაცები სახლის კარებთან იდგნენ, ჭორაობდნენ და ისეთი ხმით იცინოდნენ, იტყოდით, დავობენო. დროდადრო ქუჩების სანახაობა, თავისუფლებისა და თავგადასავლების სიყვარული წამიერად კიდეც აბრუებდა ბიჭს, მაგრამ მაშინვე დანიელი აგონდებოდა. ჯიბეში ხელებჩაწყობილს იოდიანი ბოთლი მაგრად ჩაებღუჯა. ჩაუთქვა: საღამომდე თუ ვერ მივაგენი დანიელს, თავს მოვიკლავო. ეს განზრახვა დაბალ ხმაზე წარმოთქვა, უნდოდა მეტი ძალა ჰქონოდა ფიცს. თუმცა გულის სიღრმეში ეჭვობდა, არ იცოდა, საამისოდ ეყოფოდა თუ არა გამბედაობა.

თერთმეტი საათი იქნებოდა, მესამეჯერ რომ ჩაუარა კაფეს. სადაც წინადღით გემის კანტორის მისამართი იკითხეს: ოჰ, აგერ არ ყოფილა!

ჟაკი სკამებსა და მაგიდებს შორის გასხლტა და დანიელს მიაშურა, რომელიც თავშეკავებით წამოდგა:

— წყნარად...

მათ ხალხი უყურებდა; ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. დანიელმა ფული გადაიხადა; კაფედან გამოვიდნენ და პირველსავე ქუჩაზე შეუხვიეს. იქ უკვე ვეღარ შეიკავა თავი ჟაკმა, მეგობარს მკლავებში ჩასჭიდა ხელი, მოეხვია, მხარზე თავი მიადო და აქვითინდა. დანიელი არ ატირებულა: სიარული განაგრძო, სასტიკი თვალებით სადღაც წინ იყურებოდა და ჟაკის სუსტ ხელს მაგრად იკრავდა ფერდზე. სახე გაფითრებოდა, უთრთოდა, ცალ მხარეს აწეული ტუჩის კილოსთან კბილები უჩანდა.

ჟაკი უამბობდა:

— ქურდივით მეძინა სანაპიროზე, ბრეზენტის ქვეშ! შენ?

დანიელი დაიბნა. იგი დიდ პატივს სცემდა როგორც მეგობარს, ისე მათ მეგობრობას; პირველად უხდებოდა, რომ რაიმე, ისიც ასეთი სერიოზული, დაემალა ჟაკისთვის; მათ შორის გაჩენილი ეს დიდი საიდუმლოება მძიმე ლოდივით აწვა გულზე. მზად იყო დაეთმო, ყველაფერი ეამბნა, მაგრამ არა, არ შეეძლო. ამიტომაც ხმაგაკმენდილი, გაშტერებულივით მიაბიჯებდა, თავიდან ვერ მოეშორებინა იმაზე ფიქრი, რაც ახლახან გადახდა...

— შენ სად გეძინა? — გაუმეორა ჟაკმა.

დანიელმა გაურკვევლად ჩაიქნია ხელი:

— სადღაც იქ... სკამზე... უმეტეს წილად კი ვხეტიალობდი.

ნასაუზმევს კამათი მოუვიდათ. მარსელში დარჩენა სახიფათო იყო: ქალაქში წანწალით ყურადღებას მიიპყრობდნენ და საეჭვო პირებად ჩათვლიდნენ.

— აბა რა ვქნათ? — იკითხა დანიელმა, რომელიც შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა.

— რა ვქნათ და... აი, რა მოვიფიქრე, — შეესიტყვა ჟაკი, — ტულონამდე უნდა მივიდეთ; აქედან ოცი-ოცდაათი კილომეტრიღა იქნება, აი იმ მხარეს, მარცხნივ თუ ვივლით სანაპიროს გასწვრივ... ფეხით წავალთ, ვითომ ვსეირნობთ. იქ კი უამრავი გემია და რომელიმეზე მაინც მოვახერხებთ ასვლას.

სანამ ჟაკი ლაპარაკობდა, დანიელი თვალს არ აშორებდა ხელახლა ნაპოვნ, მისთვის საყვარელ, ჭორფლიან სახეს, გამჭვირვალე ყურებს, ცისფერ თვალებს, სადაც ზმანებასავით ჩნდებოდა ყველაფერი, რასაც კი მისი მეგობარი ასახელებდა: ტულონი, ხომალდები, ზღვის ჰორიზონტი. დანიელს გულით სწადდა გაეზიარებინა ჟაკის ეს საოცარი სიჯიუტე, მაგრამ სადი გონება მაინც სკეპტიკურად განაწყობდა. მან კარგად იცოდა, რომ ვერავითარ გემზე ვერ მოეწყობოდნენ, თუმცა დარწმუნებული მაინც არ იყო; დროდადრო კიდეც ეგონა, იქნებ, ვცდებიო, რადგან ფანტაზიას ხშირად ძალუძს ფხიზელი გონების დასაბუთება ერთბაშად გააქარწყლოსო.

საჭმელი იყიდეს და გზას გაუდგნენ. ორი ქალი ღიმილით ათვალიერებდა ბიჭებს. დანიელი გაწითლდა: კაბა უკვე ვეღარ ფარავდა მათი სხეულის საიდუმლოებას. ჟაკს არაფერი შეუმჩნევია: სტვენა-სტვენით მიაბიჯებდა. დანიელმა იგრძნო, რომ ამიერიდან მარტოობა არ ასცდებოდა ამ სისხლისამღვრევი გამოცდილების გამო; ჟაკს სრულყოფილ მეგობრობას ვეღარ გაუწევდა: იგი ხომ ჯერ ბავშვი იყო!

გარეუბანს გასცდნენ და ბოლოს, შარაგზაზე გავიდნენ, რომელიც ვარდისფერი პასტელის კვალივით ზიგზაგებად მიჰყვებოდა ნაპირს. სასიამოვნო ნიავი მოელამუნათ სახეზე და მომლაშო გემო დაუტოვა. ბიჭები ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ოქროსფრად მოლივლივე მტვერში. მხრები მზის გულზე უხრუკებოდათ. ზღვის სიახლოვეს ორივე გაებრუებინა. მალე გზა მიატოვეს და ზღვას მიაშურეს ყვირილით: „თალასა! თალასა!“ — ხელებს იქნევდნენ, ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩაჰყოფდნენ ხელს ლაჟვარდოვან

წყალში. მაგრამ ზღვამ ახლოს არ მიუშვა. იმ ადგილას, საიდანაც ისინი ზღვას მიადგნენ, ნაპირი სილიანი ფერდობით როდი ეშვებოდა, როგორც ეს მათ წარმოედგინათ, არამედ ღრმა, თანაბარი სიგანის ერთგვარ ნავსადგურის შესასვლელს გადასწოლოდა, სადაც ზღვა ფრიალო კლდეებს შორის შეყუჟულიყო. ძირს კლდოვანი ნატეხების გროვა ზვირთსაჭრელივით გამოშვერილიყო და ციკლოპის მიერ დაზვინულ მიწაყრილებს მოგაგონებდათ. ზვირთი გრანიტის გამონაშვერს ეხეთქებოდა, ორად იპობოდა, იმსხვრეოდა და ძალაგამოცლილი, ლიპი ფერდების გასწვრივ ქაფის ნთხევით ქურდულად მიხოხავდა. ბიჭებმა ხელი-ხელს ჩაჰკიდეს, წინ გადაიხარნენ და მზეზე მოციმციმე, აბობოქრებულ წყალს ნატვრით დააცქერდნენ. ამ უტყვ აღმაფრენაში შიშიც იგრძნობოდა.

— შეხედე! — წაილაპარაკა დანიელმა.

ნაპირიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, თვალისმომჭრელად მოლაპლაპე თეთრი ნავი ლურჯ ზღვაზე მისრიალებდა. წყალხაზის ქვემოთ, კორპუსი ღია მწვანედ, ნორჩი ყლორტისფრად შეეღებათ; ნიჩბების ბიძგი ნავს სწრაფად მიაქანებდა წინ. ამიტომ ნავის ცხვირი წყლის ზედაპირზე ამოდიოდა, ხოლო მწვანე კორპუსი სველი ნაპერწკალივით გაიკიაფებდა ხოლმე წამით.

— ოჰ, ამის აღწერა რომ შეიძლებოდეს!—წაიბუტბუტა ჟაკმა და ჯიბეში უბის წიგნაკი მოიქინჯა, — მაგრამ არა უშავს, აი ნახავ! აფრიკაში უფრო ლამაზი ადგილებიცაა! — წამოიძახა მან და მხრები შეათამაშა, — წავიდეთ!

მან კლდეებს ჩაუარა და გზისკენ გაემართა. დანიელი სირბილით მისდევდა გვერდით; ყოველგვარი სინანული, მძიმე ლოდივით რომ აწვა გულზე, წუთით გადაავიწყდა, მხოლოდ თავგადასავლების წყურვილსღა შეეპყრო.

იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც აღმართზე მიმავალი გზა შეჯგუფულ ნაგებობებთან სწორ კუთხეს ჰქმნიდა. ის იყო მოსახვევს მიუახლოვდნენ, რომ საშინელი გრუხუნი შემოესმათ, ადგილზევე გაშეშდნენ. დომხალივით ერთმანეთში არეული ცხენები, ბორბლები, კასრები გზატკეცილის ორივე მხარეს აქეთ-იქით ეხეთქებოდა და თავბრუდამხვევი სისწრაფით ბიჭებისკენ მოექანებოდა; გვერდზე გახტომა ვერც კი მოასწრეს, მთელი ეს ვეება მასა ორმოცდათიოდე მეტრის დაშორებით რკინის მოაჯირს შეასკდა და ნამსხვრევებად აქცია. დაღმართი მეტისმეტად ციცაბო იყო; პირამდე დატვირთული უზარმაზარი ფორანი სწრაფად დაეშვა ძირს, დროზე ვერ შეამაგრეს და თავის სიმძიმით ქვევით ჩაითრია ოთხი შებმული პერშერონი, რომლებიც აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ერთმანეთს ფეხქვეშ თელავდნენ, ბოლოს მოსახვევში დაენარცხნენ და ზედ გადაემხოთ

კასრების გროვა, საიდანაც ნიაღვარივით მოჩქეფდა ღვინო. თავზარდაცემული ხალხი ხელებს აქნევდა, ყვიროდა, გასისხლიანებული, მტვერში აფუთფუთებული პინწვების, გავების, ჩლიქების ამ მასისკენ გამორბოდა; უეცრად ცხენების ჭიხვინი, ეტვნების ჟღარუნი, რკინის მოაჯირზე ასხლეტილი ფლოქვების ყრუ ფხაკუნი, ჯაჭვების ჩხარაჩხური, მეეტლეების დრიალი სულის შემძვრელმა ხროტინმა დაფარა. ხელნის ცხენი ხრიალებდა, თეირთვილა ცხენი, მომდევნო ცხენთა ფლოქვებით გათელილი. წინა ფეხებზე დაცემულიყო, ლაგამი ახრჩობდა და გულამოგლეჯილი ხიხინებდა. ვიღაც კაცმა ნაჯახი მოიმარჯვა და ამ ზედახორას მიაშურა: ერთბაშად წაბარბაცდა, დაეცა, მაგრამ მალე წამოდგა, თვირთვილა ცხენისთვის ყურში წაევლო ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცდილობდა ნაჯახით გადაეჭრა ცხენის აკაზმულობა, მაგრამ მარტუღელი რკინისა იყო და ფოლადის პირი იმსხვრეოდა; კაცი სახეშეშლილი გასწორდა წელში და ნაჯახი კედელს მიანარცხა. ამასობაში ხრიალი გამყინავმა, აქლოშინებულმა სტვენამ შეცვალა: ცხენს სისხლი წასკდა ნესტოებიდან.

ჟაკს თვალთ დაუბნელდა; უნდოდა დანიელისათვის სახელოში ეტაცნა ხელი, მაგრამ თითები გაუშეშდა, მუხლი მოეკეცა და ძირს დაეცა. ხალხი შეჩოჩქოლდა; ბიჭი იქვე, პატარა ბაღში შეიყვანეს, პირდაპირ ტუმბოს ქვეშ დასვეს ყვავილნართან და საფეთქლებზე ცივი წყალი აპკურეს, დანიელსაც მკვდრისფერი ედო.

გზაზე რომ გამოვიდნენ, მთელი სოფელი ღვინის კასრებს უტრიალებდა. ცხენები წამოეყენებინათ. ოთხი ცხენიდან სამი დასახიჩრებული იყო, აქედან ორს წინაფეხები ჰქონდა მოტეხილი და მუხლისთავებზე ჩაკეცილიყვნენ, მეოთხე ცხენი მომკვდარიყო: ეგდო ორმოში, სადაც ღვინო შეუჩერებლივ იღვრებოდა, თვირთვილა თავი მიწაზე მიედო, ენა გადმოეგდო, მომწვანო თვალები ნახევრად მოეჭუტა, ფეხები მოეკეცა, თითქოს სიკვდილის წინ შეეცადა ისეთი მოხერხებული პოზა მიეღო, ტყავისმხდელს გაადვილებოდა მისი გადატანა ქვიშაზე. სისხლსა და ღვინოში ამოთხვრილი ეს გაშეშებული, გრძელბეწვიანი მძორი უცნაურ კონტრასტს ქმნიდა შუა გზაზე მიტოვებულ სამ ცხენთან, რომლებიც მძიმედ ქშინავდნენ და საცოდავად ძაგძაგებდნენ.

ბიჭებმა თვალი ჰკიდეს ერთ-ერთ მეფორნეს, რომელიც ლეშს თავს წასდგომოდა. ოფლიან შუბლზე თმა მიწებებოდა, მზემოკიდებულ სახეზე ბრაზიანი გამოხედვა ღრმა სერიოზულობას შეეცვალა და მის უბედურებაზე მეტყველებდა. ჟაკმა თვალი ვერ მოაშორა ამ კაცს. მეფორნემ ტუჩის კილოსთან მიიტანა თითებში შემორჩენილი სიგარეტის ნამწვი. შემდეგ

თვირთვილა ცხენისკენ დაიხარა, ბუზებისგან უკვე გაშავებული შესიებული ენა აუწია, ჩიჩვირს ქვეშ საჩვენებელი თითი ჩაუყო და ყვითელი კბილები გამოუჩინა. ერთხანს ასე იდგა, წელში მოხრილი, ცხენს მუქლურჯ ღრძილს უსინჯავდა, შემდეგ წელში გასწორდა, ხალხს გადახედა, ცდილობდა თანაგრძნობა ამოეკითხა და ბავშვების თვალებს წააწყდა. მეფორნეს ბუზებიან დორბლში ამოსვრილი თითი არც გაუწმენდია, ისე გამოიღო სიგარეტი პირიდან.

— შვიდი წლის არც იყო ჯერ! — თქვა მან და მხრები აიჩეჩა. იგი ჟაკს მიმართავდა, — ამ ოთხი პირუტყვიდან ეს ყველაზე უკეთესი, ყველაზე კარგი მუშა იყო! ორივე თითს მივცემდი, აი ამ ორ თითს, ოღონდ ეს გამოცოცხლდეს!

მან თავი მიიბრუნა, მწარედ გაიღიმა და გადააფურთხა.

გულდამძიმებულმა ბიჭებმა უხალისოდ განაგრძეს გზა.

— მკვდარი, ნამდვილი მკვდარი, მკვდარი ადამიანი თუ გინახავს ოდესმე? — იკითხა ჟაკმა.

— არა.

— ოი, რომ იცოდე, რა უცნაური რამაა, ბიჭო!.. დიდხანს მიტრიალებდა მისი ნახვის სურვილი თავში, და აი, ერთ კვირა დღეს, კატეხიზმის გაკვეთილი გავაცდინე და იქ მოვუსვი...

— სად?

— მორგში.

— შენ? მარტოკა?

— დიახ, მე! ო, ძმაო, ვერ წარმოიდგენ როგორი ფერმიხდილი სახეები აქვთ! გეგონება, ცვილის ან პაპიე-მაშეს სახეებიაო. ორი ცხედარი იდო. ერთ-ერთს მთელი სახე დაპერილი ჰქონდა, მეორე კი ისე იწვა, იტყოდი, ცოცხალიაო, თვალებიც გახელილი დარჩენოდა. ჰო, იტყოდი, ცოცხალიაო, — გაიმეორა მან, — მაგრამ ნამდვილად კი მკვდარი იყო, ამაში ეჭვს ვერ შეიტანდი, ოღონდ ვერ აგიხსნი, პირველივე შეხედვისთანავე როგორ მიხვდებოდა ადამიანი რომ მკვდარი იყო... და იმ ცხენსაც, ალბათ, შენც შენიშნე, ასეთი სახე ჰქონდა... ო, თავისუფალი რომ ვიქნებით, — დაუმატა მან, — აუცილებლად წაგიყვან მორგში კვირა დღეს!

დანიელი ყურს აღარ უგდებდა. რომელიღაც ვილის აივანს ჩაუარეს საიდანაც გამების ხმა მოისმოდა... ბავშვი უკრავდა... ჟენი! თვალწინ დაუდგა ჟენის დახვეწილი სახე, დამაბული მზერა, როცა დანიელს დაუყვი-

რა, რას სჩადიხართ და ნაცრისფერი, ფართოდ გახელილი თვალები ცრემლით აევსო.

— არ ნანობ. და რომ არა გყავს? — მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა ჟაკს.

— ო, როგორ არა! მით უმეტეს, უფროსი და მინდა მყავდეს! უმცროსი აკი მყავს!

დანიელმა გაოცებით შეხედა.

— მადმუაზელი ჩვენს სახლში ზრდის თავის ობოლ ძმისწულს, — განმარტა ჟაკმა. — ...ჟიზი ათი წლისაა... ჟიზელი ჰქვია, მაგრამ შემოკლებით ჟიზს ვეძახით... უმცროს დასავით მიყვარს.

ერთბაშად ცრემლი მოადგა. შემდეგ ყოველგვარი კავშირის გარეშე დასძინა:

— შენ სულ სხვაგვარად ხარ გაზრდილი, ჯერ ერთი, ექსტერნად ითვლები და ისე ცხოვრობ, როგორც ანტუანი... თითქმის თავისუფალი ხარ. მართალია, წესიერად კი იქცევი... — ნაღვლიანად შენიშნა მან.

— განა შენ არ იქცევი წესიერად?

— ო, მე! — ჟაკმა წარბები შეიკრა. — კარგად ვიცი, ანტუანელი რომ ვარ! სხვაგვარად არც შემიძლებოდა. აი, მაგალითად, ზოგჯერ ისე მახრჩობს ბრაზი, გონებას ვკარგავ, ყველაფერს ვამტვრევ, ვამსხვრევ, ყოველგვარ სისაძაგლეს ვყვირი, მზად ვარ ფანჯრიდან გადავხტე, ან ვინმე მოვკლა! ამას იმიტომ გეუბნები, რომ მინდა ყველაფერი იცოდე! — დაუმატა მან.

ეტყობოდა, საკუთარი თავის მხილებით ერთგვარ კმაყოფილებასაც გრძნობდა.

— არ ვიცი, ჩემი ბრალია თუ სხვისი! ასე მგონია, მე რომ შენთან ვცხოვრობდე, სულ სხვანაირი ვიქნებოდი. თუმცა... სავსებით დარწმუნებული ვარ... — თქვა მან და გაჩუმდა, სადღაც შორს იყურებოდა.

— ...რომ იცოდე, ჩვენები როგორ მექცევიან, როცა შინ ვბრუნდები! — განაგრძო მან, — მამაჩემი სერიოზულად არასოდეს მომქცევია. სკოლაში აბატები უმტკიცებენ, თქვენი შვილი ნამდვილი მტარვალიაო. ხომ იცი, ქლესა ხალხის ამბავი? უნდათ უჩვენონ, აქაოდა თავს არ ვზოგავთ, შვილი რომ გავუზარდოთ ბატონ ტიბოს, რომელსაც დიდძალი ნაცნობობა ჰყავს საარქიეპისკოპოშიო. გესმის? ისე, მამაჩემი კეთილი კაცია, — დაასკვნა მან და ერთბაშად გამოცოცხლდა. — გარწმუნებ, მეტისმეტად კეთილიც კია! ოღონდ, არ ვიცი, როგორ აგიხსნა... მუდამ ამ საქველმოქმედო დაწესებულებებით, კომისიებით და მოხსენებებითაა დაკავებული, ერთთავად რელიგია აკერია პირზე! მადმუაზელიც მას ჰგავს: თუკი რაიმე უსი-

ამოუვნება შემხვდა, ყველაფერზე ამბობს: ღმერთმა დაგსაჯოთ, გესმის? ნასადილევს მამა თავის კაბინეტში ჩაიკეტება, ხოლო მადმუაზელს ჟიზის ოთახში შევყავარ და სანამ ბავშვს დასაწოლად ამზადებს, მაიძულებს გაკვეთილები მოვუყვე, რაც არასოდეს არ ვიცი, სხვათა შორის! ამას გარდა, ნებას არ მაძლევს მარტო დავრჩე ჩემს ოთახში, შუქი რომ არ ავანთო, კედლიდან ამომრთველიც კი მოახსნევინა, წარმოგიდგენია?

— კი მაგრამ, შენი ძმა რას ამბობს? — ჰკითხა დანიელმა.

— ანტუანი ღმერთივით ბიჭია! ოღონდ, არასოდეს შინ არ არის, გესმის? თანაც, მართალია, ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ ჩემი აზრით, არც მას მიუდის გული ოჯახზე... იგი უკვე დიდი იყო, დედა რომ გარდაიცვალა, ცხრა წლითაა ჩემზე უფროსი! ჰოდა, მადმუაზელს არასოდეს არ ჰქონია დიდი გავლენა მასზე! მე კი ამ ქალის გაზრდილი ვარ, გესმის?

დანიელი დუმდა.

— შენი საქმე სულ სხვაა! — განაგრძო ჟაკმა, — იციან როგორ მოგექცნენ!.. შენ სულ სხვაგვარად გზრდიდნენ. თუნდაც წიგნების ამბავი ავიღოთ: შენ ყველაფრის წაკითხვის უფლება გაქვს. წიგნის კარადა მუდამ ღიაა შენთვის. მე კი ათასნაირ სქელ-სქელ წიგნებს მაძლევენ, წითელყდიანს, ოქროსვარაყიან წიგნებს, სურათებიანს, ჟიულ ვერნის სტილის წიგნებს, ერთი სიტყვით, ყოველგვარ სისულელეს! ისიც კი არ იციან, რომ ლექსებსა ვწერ. რომ გაიგონ ერთი ალიაქოთს ასტეხენ, მე შენ გეტყვი, გაგიგებენ! ვინ იცის, იქნებ სკოლაშიც კი მიჩივლონ და მოითხოვონ, მკაცრად ადევნეთ თვალიო.

დიდხანს მიდიოდნენ უსიტყვოდ. ზღვა უკან ჩამოიტოვეს და კორშის მუხის ხეივანს გაუყვნენ.

უცებ დანიელი ჟაკს მიუახლოვდა და ხელი მოჰკიდა.

— ყური მიგდე! — უთხრა მან. მის ჩამწყდარ ხმაში დაბალი, საზეიმო ნოტები გაისმა, — მე მომავალზე ვფიქრობ. ვინ იცის? იქნებ, დაგვაშორონ კიდეც! ჰოდა, დიდი ხანია ერთი რამ მინდა გთხოვო. ეს იქნება ჩვენი მეგობრობის ერთგვარი საწინდარი, სამარადისო ბეჭედი. სიტყვა მომეცი, რომ შენი ლექსების პირველ კრებულს მე მომიძღვნი... ოღონდ ჩემს სახელს კი ნუ დააწერ, უბრალოდ, ასე წააწერე: „ჩემს მეგობარს“. კარგი?

— ვფიცავ, ამ თხოვნას შეგისრულებ! — წაილუღლუღა ჟაკმა, წელში გასწორდა და ერთბაშად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კიდეც გაიზარდა.

ტყეში, ხის ჩრდილქვეშ შეისვენეს. ნაოპელს დაიის შუქში გახვეული მზე დაჰნათოდა.

ჟაკს კოჭები შესიებოდა, ფეხსაცმელები გაიხადა და ბალახზე გაიშოტა. დანიელი უყურებდა მეგობარს, თუმცა, ეტყობოდა, ფიქრის თავი არ ჰქონდა. ამ შიშველ ფეხებს და გაწითლებულ ქუსლებს ერთბაშად აარიდა თვალი.

— შეხედე, შუქურა! — წამოიძახა ჟაკმა და ხელი გაიშვირა.

დანიელი შეკრთა. შორს, ნაპირისკენ, ცის მოყვითალო ფონზე ხანგამოშვებით რაღაც ციმციმებდა. დანიელმა არაფერი უპასუხა.

აგრილდა. ბიჭებმა გზა განაგრძეს. გადაწყვეტილი ჰქონდათ ღამე ცისქვეშ გაეთიათ, ბუჩქნარში. მაგრამ იგრძნეს, რომ ღამე ცივი იქნებოდა.

ნახევარი საათი იარეს უხმოდ და ბოლოს ახლადშეთეთრებულ სასტუმროს მიადგნენ, რომლის ბაღში ფანჩატურები სართულებად ეშვებოდნენ ზღვისკენ. გაჩახჩახებული დარბაზი ცარიელი ჩანდა. ჟაკი და დანიელი შეყოყმანდნენ, ბჭობდნენ. სახლის ზღურბლთან შეჩერებულ ბიჭებს დიასახლისმა გაუღო კარი, მინის თოლჩიანი ლამპა, სადაც ნავთი თოპაზივით ბრწყინავდა, სახესთან მიუტანა და შეათვალიერა. მომცრო ტანის ხნიერ ქალს გრძელი საყურეები დაბალ, კუსმაგვარ კისრამდე სწვდებოდა.

— ქალბატონო, — წამოიწყო დანიელმა, — ორსაწოლიანი ოთახი ხომ არ გექნებოდათ, ერთი ღამე რომ გაგვეთია?

და სანამ ქალი ჰკითხავდა რასმე, თვითონ დაასწრო:

— ძმები გახლავართ, ტულონში მივდივართ მამასთან, მაგრამ მარსელიდან ძალიან გვიან გამოვედით და დაღამებამდე ვეღარ მოვასწრებთ ტულონში ჩასვლას...

— მეც ასე მგონია! — გაეცინა ქალს, რომელსაც აჩალგაზრდულად, ეშმაკურად უციმციმებდა თვალები და ლაპარაკის დროს ხელებს იქნევდა.

—ფეხით აპირებთ ტულონში ჩასვლას? კარგით ერთი, ზღაპარს ნუ მიყვებით! თუმცა, რა ჩემი საქმეა! ოთახი მაქვს, ორი ფრანკი ეღირება, ფული წინასწარ უნდა გადაიხადოთ...

და რაკი დაინახა დანიელი საფულეს იღებსო, მაშინვე დაუმატა:

— წვენს ვხარშავ. თითო თეფში ხომ არ მოგართვათ?

ბიჭები დაეთანხმნენ.

ოთახი საკუჭნაო აღმოჩნდა; შიგ მხოლოდ ერთი საწოლი იდგა, რაზედაც ნახმარი თეთრეული ეფინა. მეგობრებმა უსიტყვოდ, თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, ფეხსაცმელები სწრაფად გაიხადეს და ჩაცმულნი, ზურგშექცევით შეძვრნენ საბნის ქვეშ. დიდხანს ვერ დაეძინათ. სავსე მთვარე სარკმელიდან იჭყიტებოდა. სხვენიდან ვირთხების გაშმაგებული ფხაკუნი ესმოდათ. ჟაკმა შეთეთრებულ კედელზე თვალი მოჰკრა საზარელ ობობას, რომელიც სიბნელეში სადღაც მიცოცავდა. მან დაიფიცა, მთელი ღამე თვალს

არ მოვხუჭავო. დანიელი კი ხორციელ შეცოდებაზე ფიქრობდა კვლავ. ცთუნების სურათი უფრო გამდიდრებული ფერებით ელანდებოდა; ოფლად იღვრებოდა, განძრევას ვერ ბედავდა, ცნობისმოყვარეობისა, გულზიზღობისა და სიამოვნებისაგან სუნთქვა ეკვროდა.

დილით, ჟაკს ჯერ კიდევ ეძინა, როცა დანიელმა ადგომა დააპირა, უნდოდა მოჩვენებებისაგან დაეღწია თავი, მაგრამ ამ დროს რაღაც ხმაურს მოჰკრა ყური სასტუმროში. წინადღინდელმა შემთხვევამ მთელი ღამე არ მისცა მოსვენება და ახლა იფიქრა, ალბათ, დებოშისთვის მიჭერენო. მართლაც, ურდულაგლეჯილი კარი ფართოდ გაიღო და დიასახლისი ჟანდარმს შემოუძღვა. შემოსვლისას ჟანდარმმა კარის წირთხლს ჰკრა თავი და კეპი გადაუვარდა.

— შებინდებისას გამომეცხადნენ, მტვერში იყვნენ ამოგანგლულნი, — უამბობდა დიასახლისი და სიცილისაგან საყურეები აქეთ-იქით უხტოდა.

— ერთი ამათ ფეხსაცმელებს დახედეთ! ტულონში ფეხით ვაპირებთ ჩასვლასო, ესაო, ისაო... რა ვიცი, რამდენი სისულელე არ მომიჩმახეს!.. აი ამ აყლაყუდამ, — დაუმატა ქალმა, ხელი დანიელისკენ გაიშვირა და სამაჯურები ააჟღარუნა, — ბინისა და ვახშმის საფასური, ოთხნახევარი ფრანკი რომ გადაეხადა, ასფრანკიანი მომცა დასახურდავებლად.

ჟანდარმი იმედგაცრუებული სწმენდდა თავის კეპს:

— აბა, ადექით! — წაიბუზღუნა მან, — და სასწრაფოდ მომახსენეთ, გვარი, სახელი და ასე შემდეგ!..

დანიელი შეყოყმანდა, მაგრამ ჟაკს უკვე მოესწრო ლოგინიდან წამოხტომა. შარვლისა და წინდების ამარა იდგა. ძიძგილა მამლაყინწასავით წაეგრძელებინა კისერი, იტყოდით, აქვე გაათავებს ამ თყლაპსო, რომელსაც სახეში უყვიროდა:

— ჩემი სახელი და გვარი მორის ლეგრანია. ეს კი ჟორჟია, ჩემი ძმა! მამაჩვენი ტულონშია! თქვენ რა, მასთან ჩასვლას გვიკრძალავთ თუ რა ამბავია?!

რამდენიმე საათის შემდეგ ორ ჟანდარმსა და ხუნდებგაყრილ ვიღაც მაწანწალასთან ერთად ბიჭები ფორნით შეგრიალდნენ მარსელში; საპატიმროს მაღალი ჭიშკარი გაიღო და უმალვე მძიმედ მიიხურა.

— აქეთ მოდით! — თქვა ჟანდარმმა და საკნის კარი გააღო, — ჯიბეები გადმოაბრუნეთ! ყველაფერი მე ჩამაბარეთ! ვახშმობამდე ერთად იქნებით, სანამ თქვენს მონაჭორს შეამოწმებდნენ.

მაგრამ ვახშმობამდე არ ალოდინეს, ბრიგადირი მოვიდა მათ წასაყვანად და ლეიტენანტის კაბინეტში შეიყვანა.

— უარი არ გაგივათ. გამაგრული ბრძანებებით. კვირას აქეთია გეძებენ. პარიზიდან ყოფილხართ! თქვენს შორის მაღალ-მაღალი რომაა, აი, თქვენ— ფონტანენი ხართ, თქვენ კი ტიბო! ასეთი კარგი ოჯახის შვილები ხართ და მცირეწლოვანი ბოროტმოქმედებივით დაწანწალებთ!

დანიელი გაბუსუნებული იყურებოდა, მაგრამ ჩანდა, მაინც შვებას გრძნობდა! როგორც იქნა, ბოლო მოეღო ამ უმიზნო ხეტიალს! დედამ უკვე იცის, რომ ცოცხალია და ელოდება! მისვლისთანავე სთხოვს პატიებას, და ეს მობოდიშება ყველაფერს გააქარწყლებს, ყველაფერს, თვით იმასაც, რაზედაც ახლაც კი მშფოთვარე მღელვარებით ფიქრობს, და რასაც ვერასოდეს ვერავის გაანდობს.

ჟაკი კბილებს აკრაჭუნებდა, მუშტებს ამაოდ კუმშავდა ჯიბეებში და იოდის ბოთლსა და სატევარზე ფიქრობდა. შურისძიებისა და იქედან გაპარვის ათასნაირი გეგმა უტრიალებდა თავში.

სწორედ ამ დროს ოფიცერმა დაუმატა:

— საბრალო ნათესავები კი სასოწარკვეთილნი არიან!

ჟაკმა გამგმირავად შეხედა, ერთბაშად სახე დაებრიცა და აქვითინდა. თვალწინ დაუდგა მამა, მადმუაზელი, პატარა ჟიზი... სიყვარულისა და სინდისის ქენჯნით გული ეკუმშებოდა.

— წადით, დაიძინეთ! — განაგრძო ლეიტენანტმა, — ხვალ, რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებთ. მანამ კი განკარგულებას ველი!

## VIII

ორი დღეა ჟენი ბურანშია და თვლემს, დასუსტებული კია, მაგრამ სიცხე აღარ აქვს. ქალბატონი დე ფონტანენი ფანჯარასთან დგას და ქუჩის ხმაურს ყურს უგდებს: ანტუანი მარსელში გაემგზავრა ლტოლვილების ჩამოსაყვანად; ამ საღამოს უნდა ჩამოვიდნენ; ეს-ესაა ცხრა საათი შესრულდა; უკვე აქ უნდა ყოფილიყვნენ.

ქალი შეკრთა: მოეჩვენა, თითქოს მათი სახლის წინ ეტლი გაჩერდა.

კიბის ბაქანს მიაშურა და მოაჯირს მაგრად ჩასჭიდა ხელი. ძაღლიც წკავწკავით გამოვარდა, ბიჭს ესალმებოდა. ქალბატონი დე ფონტანენი დაიხარა... და უცებ, რაკურსში ი ს დაინახა! აი, მისი ქუდი, რომლის ფარფლები სახეს უფარავს, აი, მისთვის ჩვეული მხრების მიმორხევა. მისი კოსტიუმი. იგი წინ მოუძღვის ანტუანს, რომელსაც ძმისთვის ჩაუკიდია ხელი.

დანიელი ზევით აიხედავს და დედას ამჩნევს კიბის მოედანზე: ნათურა ზედ თავზე დაჰნათის და თმა თეთრად უქათქათებს; ხოლო სახე ჩრდილში აქვს; დანიელი თავდახრილი ადის, მაგრამ ხვდება, რომ დედა კიბეზე დაეშვა მის შესახვედრად; ფეხები აღარ ემორჩილება, თავი ვერ აუწევია: სუნთქვა ეკვრის, ქუდის მოხდასღა ახერხებს და უცებ მის წინ აღმოჩნდება, შუბლით დედის მკერდს ეყრდნობა. მაგრამ ისეთი გულმოკლულია, სიხარულს თითქმის აღარც გრძნობს: ამ წუთს როგორ ელოდა და ახლა აღარც კი უხარია.

როცა უკან დაიხია, სახეზე მორჩილება ეხატა, მაგრამ ცრემლის ნატამალი არსად ემჩნეოდა. სამაგიეროდ, ჟაკი კედელს მიყრდნობოდა და მწარედ ქვითინებდა.

ქალბატონმა დე ფონტანენმა შვილის სახე ორივე ხელით მიიზიდა თავისკენ. არავითარი საყვედური: მაგრად აკოცა. მაგრამ მთელი კვირის მანძილზე გადატანილი განცდისაგან ხმა უკანკალებდა.

— ისადილეს მაინც ამ საცოდავმა ბიჭებმა? — ჰკითხა ანტუანს.

— ჟენი როგორაა? — ბუტბუტებდა დანიელი.

—საფრთხემ გაიარა; წადი, ნახე, გელოდება... — და რაკი დანიელი ხელიდან დაუსხლტა და ჟენის ოთახისკენ გავარდა, დედამ მიაძახა:

— ოღონდ ნელა, შვილო, ფრთხილად შედი; იცოდე, მძიმე ავადმყოფი იყო...

ჟაკი ცრემლშემშრალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს იქაურობას... აი როგორი ყოფილა დანიელის სახლი! აი, ამ კიბეზე ამოდის იგი ლიცეუმიდან დაბრუნებისას! ამ ვესტიბიულში შემოდის ყოველდღე! აი ისიც, ვისაც უჩვეულო ალერსიანი ხმით ეძახის დედას!

— თქვენ კი, ჟაკ, თქვენ არ მაკოცებთ? — ეკითხება ქალბატონი დე ფონტანენი.

— უპასუხე! — ღიმილით ეუბნება ანტუანი.

და მსუბუქად წაჰკრავს ხელს. ქალი მკლავებს შლის; ჟაკი შიგ მოეწყვდევა და შუბლს მიაბჯენს მის მკერდს, სადაც ახლახან დანიელს ედო თავი. ქალბატონი დე ფონტანენი დაფიქრებული სახით ეფერება ბიჭის წითურ თმას და თან ცდილობს უფროს ძმას გაუღიმოს. მაგრამ ზღურბლთან შეჩერებულ ანტუანს წასვლა ეჩქარება; ქალს ბავშვის თავი ისევ მკერდზე აქვს მიკრული, მადლობის ნიშნად ორივე ხელს უწვდის ანტუანს და აღელვებით ეუბნება:

— წადით, ბეგონტრებო, მამათქვენი გელოდებათ, ალბათ!

ჟენის ოთახის კარი ღია იყო. ცალმუხლზე ჩაჩოქილ დანიელს ლოგინზე ჩიედო თავი. დის ხელები ხელისგულებში მოემწყვდია და უკოცნიდა. ჟენი ნამტირალევი ჩანდა; დანიელისკენ გადახრილიყო და ამიტომაც გარდიგარდმო იწვა ბალიშზე. სახის ყოველ ნაკვთს დაძაბულობადა ემჩნეოდა. სიგამხდრეს თვალთა გამომეტყველებით მიხვდებოდით მხოლოდ: ავადმყოფურ, წინანდებურად ჯიუტ, მკაცრ გამოხედვას თითქოს რაღაც დამატებოდა, — დასრულებული ქალის იდუმალი გამომეტყველება და ასე იტყოდით, სიყმაწვილე და სიმშვიდე დიდი ხნით დაკარგა ჟენიმ.

ქალბატონი დე ფონტანენი შვილებს მიუახლოვდა. დააპირა დახრილიყო და ორივესთვის მოეხვია მკლავები; მაგრამ მყისვე გადაიფიქრა, ჟენის გადაქანცვას მოერიდა; ამიტომ დანიელი წამოაყენა და თავის ოთახში შეიყვანა.

ოთახი გაჩახჩახებული იყო, სუფრა ბუხრის წინ გაეშალათ. ნაფიცხარა პური, კარაქი, თაფლი მაგიდაზე ელაგა. მოხარშული წაბლი რომ ცხელად შეენახათ, ტილო დაეფარებინათ. დანიელს ძალიან უყვარდა მოხარშული წაბლი! თბილი და რაღაც მოტკბო ჰაერი იგრძნობოდა ოთახში: დანიელი კინაღამ ცუდად გახდა. დედამ თეფში მიაწოდა, მან კი ხელით განზე გასწია. დედას ეწყინა:

— რა მოგივიდა, ჩემო ბიჭო? ნუთუ ხათრს გამიტეხ და ჩემთან ერთად არ დალევ ერთ ფინჯან ჩაის?

დანიელმა დედას შეხედა. სინათლისკენ ზურგით იჯდა. დანიელი ვერ მიმხვდარიყო, რა ცვლილება დატყობოდა დედას: როგორც ყოველთვის, ახლაც ნელ-ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა ჩაის; მიუხედავად ფინჯნიდან ასული ორთქლისა, კარგად ამჩნევდა მის მომღიმარ სახეს, მართალია, ცოტათი მოქანცულ, მაგრამ მაინც წინანდებურ სახეს. ო, რა თავისებური ღიმილი აქვს!.. რა დაკვირვებული მზერა იცის!.. ამდენი სიკეთის ატანა შეუძლებელი იყო! თავი ჩაქინდრა, ნაფიცხარა აიღო, და დედისთვის რომ ესიამოვნებინა, პირთან მიიტანა. დედას სახე გაებადრა; ისეთი ბედნიერი იყო, ხმა ვერ ამოეღო; მოზღვავებულ გრძნობას გულში ვეღარ იტევდა და მის კალთაში მოკრუნჩხულ პატარა ძაღლს თავზე უსვამდა ხელს. დანიელმა პური თეფშზე დასდო, სახის ფერი დაჰკარგოდა, თავაუღებლად შეეკითხა დედას:

— ლიცეუმში რა გიამბეს?

— მე მათ ვუთხარი, ყველაფერი ტყუილია-მეთქი!

როგორც იქნა, დაძაბულობა მოშორდა დანიელის სახეს; აიხედა და დედის თვალებს წააწყდა: მართალია ამ გამოხედვაში სრული ნდობა ამო-

იკითხა, მაგრამ სადღაც ნაიბც იგრძნობოდა შეკითხვა, თითქოს ნათქვამის დამოწმებას სთხოვსო; ამ უტყვ შეკითხვას დანიელმა შუბლნათელი შეხედვით უპასუხა. დედას სახე გაუბრწყინდა, წამოდგა, შვილთან მივიდა და წყნარად უთხრა:

— რატომ, რატომ მე არ მიამბე ყველაფერი, ჩემო ბიჭო, ნაცვლად იმისა, რომ...

სიტყვა გაუწყდა, წელში გასწორდა; წინოთახში გასაღებების ჟღარუნი მოესმა, შეღებული კარისკენ მიბრუნდა და გაიტრუნა. ბაღლი კუდის ქიცინით უხმოდ შეეგება სტუმრად მოსულ მეგობარს.

ოთახში ჟერომი შემოვიდა.

იგი იღიმებოდა.

უპალტოოდ და უქუდოდ იდგა, ისე ბუნებრივად ეჭირა თავი, იტყოდით, ეს კაცი აქ ცხოვრობს და ეს-ეს არის თავის ოთახიდან გამოვიდაო. მან სწრაფად გადახედა დანიელს, ცოლისკენ გაეშურა და ხელზე ეამბორა; ქალს არ წაურთმევია ხელი. ჟერომმა თან ვერბენისა და ბარამბოს სურნელება მოიტანა.

— აი, მეც აქა ვარ, მეგობარო! რა მოხდა? მართალი გითხრა, ძალიან ვწუხვარ, რომ...

დანიელი მხიარული სახით მიუახლოვდა. მამის სიყვარული ჩვეულებად გადაქცეოდა, თორემ ჯერ კიდევ პატარაობიდან დედის ისეთ განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებდა, შეეძლო მამის ეჭვიანობაც კი გამოეწვია. ამიტომ სადღაც შეუცნობელი კმაყოფილებით უფრთხილდებოდა იმ ამბავს, რომ მამამისი წამდაუწუმ იკარგებოდა სახლიდან.

— მაშ, შენ შინა ხარ?! მე კი, ვინ იცის, რა არ მიამბეს! — თქვა ჟერომმა. შვილს ნიკაპზე მოჰკიდა ხელი, ერთხანს წარბშეკრული ათვალიერებდა და ბოლოს აკოცა.

ქალბატონი დე ფონტანენი ფეხზე იდგა. გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი დაბრუნდება, გარეთ გავაგდებო. ახლაც არ განელებოდა წყენა, არ შერყეოდა გადაწყვეტილება, მაგრამ ისე მოულოდნელად წამოადგა თავს, ისეთი ძალდაუტანებლობით შემოვიდა სახლში, რომ ქალი დაიბნა, თვალს ვერ აშორებდა, თავს ვერ უტყდებოდა, როგორ აღელვებდა მისი იქ ყოფნა, რა დიდი გავლენა ჰქონდა მის ალერსიან თვალებს, მის ღიმილს, მის მოძრაობებს; ეს ის მამაკაცი იყო, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე არგუნა ბედმა. თავისი სისუსტე როგორმე რომ გაემართლებინა, ფული გაახსენდა და ამ აზრს მოეჭიდა; იმ დილით უკანასკნელი დანაზოგი და-

ხარჯა: მეტი ლოდინი აღარ შეეძლო. ჟერომმაც იცოდა ეს და, ალბათ, მონავალი თვის ფული მოუტანა.

დანიელი ყოყმანობდა, პასუხი ვერ მოეფიქრებინა, დედას მიუბრუნდა და მის უმწიკვლო სახეზე ისეთი თავისებური, ისეთი ინტიმური რამ აღმოაჩინა, თავი მორცხვად მიაბრუნა. ეტყობა, მარსელში მის თვალებსაც დაჰკარგვოდა უმანკოება.

— გავუჯავრდე ბიჭს, მეგობარო? — ჰკითხა ჟერომმა ცოლს, ღიმილმა წამით სახეზე გადაურბინა და კბილებმაც თეთრად გაიელვა.

ცოლმა პასუხი დააყოვნა, ბოლოს, თითქოს შურისგების წყურვილს იკმაყოფილებსო, ერთბაშად მიახალა:

— ჟენი კინაღამ მომიკვდა!

ჟერომმა დანიელს ხელი გაუშვა და ისეთი შეძრწუნებული სახით მიაშტერდა ცოლს, რომ ქალი უკვე მზად იყო ყველაფერი ეპატიებინა, ოღონდ გაექარწყლებინა ტკივილი, რომლის მიყენებაც წუთის წინ სურდა.

— ახლა უკეთაა! — უთხრა მან, — ნუ გეშინიათ!

შემდეგ თავს ძალა დაატანა და გაუღიმა, უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად დაეშოშმინებინა, სინამდვილეში ეს ღიმილი სრულ კაპიტულაციას ნიშნავდა. ქალი მიხვდა, ყველაფერი ჩემი ღირსების წინააღმდეგ შემობრუნდაო.

— მიდით, ნახეთ! — დაუმატა მან, როცა შეამჩნია, რომ ჟერომს ხელები უკანკალებდა, — ოღონდ არ გააღვიძოთ!

რამდენიმე წუთმა გაიარა. ქალბატონი დე ფონტანენი სკამზე ჩამომჯდარიყო. ჟერომი ფეხისწვერებზე გამოვიდა ჟენის ოთახიდან და ფრთხილად გამოიხურა კარი. სიყვარულით გაბადრულ სახეზე შიში გაჰფანტოდა, კვლავ იღიმებოდა და თვალებს სასაცილოდ ჭუტავდა:

— ნეტა განახათ, როგორ ძინავს! საწოლის კიდეზე გადმოცურებულა და ხელი თავქვეშ ამოუდვია!

თქვა მან და ჩაძინებული გოგონას გრაციოზული პოზა ჰაერში შემოხაზა.

— გამხდარა, მაგრამ შვენის, უფრო გალამაზებულა. ხომ მეთანხმებით?

ქალს ხმა არ ამოუღია. ქმარი ერთხანს შეყოყმანდა და შემდეგ წამოიძახა:

— ამას რას ვხედავ, ტერეზა? თმა სულმთლად გაგჭაღარავებიათ!

ქალი წამოხტა და თითქმის სირბილით მიიჭრა სარკესთან. მართალი უთქვამს: ორი დღე საკმარისი გამხდარა იმისთვის, რომ ისედაც შევერცხლილი ქერა თმა საფეთქლებსა და შუბლთან მთლად გათეთრებოდა. დანიელი მხოლოდ ახლა მიხვდა რა იყო იმ ამოუხსნელი ცვლილების მიზეზი,

რაც შინ დაბრუნებისთანავე შეამჩნია დედას. ქალბატონი დე ფონტანენი სარკეში იყურებოდა, ვერაფერი მოეფიქრებინა და ვერც წყენის დაფარვა შესძლო. სარკეში მის უკან მდგარი ჟერომი დაინახა; იგი უღიმოდა ცოლს, რომელსაც მისდაუნებურად კიდეც ამშვენებდა ეს ღიმილი. ჟერომს კმაყოფილი სახე ჰქონდა: იგი თითით შეეხო სანთლის შუქზე აციმციმებულ ჭაღარა კულულს.

— ასე არაფერი მოგხდენიათ, მეგობარო! არაფერი ასე განსაკუთრებულად არ გამოამჟღავნებდა, — როგორა ვთქვა? — თქვენი თვალების ახალგაზრდულ გამომეტყველებას!

ქალს გულში გაუხარდა. მაგრამ სწორედ ამ სიხარულის დასაფარავად, თითქოს თავს იმართლებსო, გაეპასუხა ქმარს:

— ოჰ, ჟერომ, რომ იცოდეთ, რა საშინელი დღეები და ღამეები გამოვიარე! თხზმაბათს ყოველგვარი ზომები მიღებული გვქონდა, მაგრამ გადარჩენის იმედი აღარ იყო... მე კი სულ მარტო ვიყავი! შიშით გული მისკდებოდა!

— საბრალო მეგობარო! — ფიცხლად წამოიძახა ჟერომმა. — რომ იცოდეთ, როგორ ვწუხვარ! მერედა რა ადვილი იყო ჩემი გამოძახება! ლიონში ვიყავი... ხომ იცით, რა საქმეზე? — ისეთი დარწმუნებული კილოთი მოახსენა ცოლს, ქალი დაფიქრდა, ნეტა რა საქმეზე მელაპარაკებათ. — ოღონდ სულ დამავიწყდა, მისამართი რომ არ დამიტოვებია შინ. თუმცა მე ხომ ერთი დღით მივდიოდი! უკან დასაბრუნებელი ბილეთი კიდეც გამიუქმდა.

მას ერთბაშად მოაგონდა, რომ კარგა ხანი იყო ტერეზასთვის ხარჯის ფული არ მიეცა. უბედურება ის იყო, უახლოეს სამ კვირაში არსაიდან ელოდა ფულს. გონებაში გადათვალა, რამდენი ფრანკი დარჩენოდა ჯიბეში, შუბლი შეიკრა, მაგრამ მყისვე განუმარტა ცოლს შეჭმუხვნის მიზეზი:

— მთელი უბედურება ისაა, რომ ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, როგორც მინდოდა ისე მაინც ვერ მოვავგარე ჩემი საქმეები! უკანასკნელ წუთებამდე კიდევ მქონდა იმედი, მაგრამ ხელმოცარული დავბრუნდი. ლიონელი ბანკირები ისეთი უნდილი და უნდონი არიან!

და გატაცებით მოჰყვა მოგზაურობის ამბებს, ურცხვად ტყუოდა, ტყუოდა დაუსრულებლად!

დანიელი ყურს უგდებდა: მამის წინაშე პირველად გრძნობდა ერთგვარ სირცხვილს. ერთბაშად რატომღაც ის მამაკაცი მოაგონდა, მარსელში იმ ქალმა რომ ახსენა. ჩემი „ბებერი“ ცოლიანია, მხოლოდ ნაშუადღევს დადის ჩემთან, რადგან საღამოობით „კანონიერი ცოლის“ გარეშე შინიდან

ფეხს ვერ დგამსო. დედამისიც ისე უცნაურად უსმენდა ქმარს, მისი სახის გამომეტყველება ვერასგზით. ვერ გამოეცნო დანიელს. დედა-შვილმა თვალი თვალში გაუყარა ერთმანეთს. რა ამოიკითხა მან შვილის თვალებში? იქნებ, მისი განაფიქრი ამოიცნო, რაშიც დანიელი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო. მან უკმაყოფილოდ წაილაპარაკა:

— წადი, დაიძინე, ჩემო ბიჭო! დაღლილობისგან ფეხზე ძლივს დგახარ!

დანიელი დაემორჩილა. მაგრამ როცა საკოცნელად დაიხარა, მომაკვდავი ქენის საწოლთან დახრილი, ყველასაგან მიტოვებული დედა წარმოუდგა თვალწინ. ყველაფერი კი მისი ბრალი იყო! მის მიერ მიყენებულმა ტკივილმა კიდევ უფრო გაუძლიერა სიყვარული. იგი დედას მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— მაპატიე.

ამ სიტყვას შვილის დაბრუნებისთანავე ელოდა ქალბატონი დე ფონტანენი. ამიტომაც, ნაგვიანევმა ბოდიშმა ვეღარ მიანიჭა ის სიამოვნება, რასაც ალბათ, ადრე იგრძნობდა. დანიელი ამას მიხვდა და მამაზე გაბრაზდა. ქალბატონმა დე ფონტანენმაც იგრძნო ეს და შვილზე განაწყენდა, რატომ მაშინ არ მთხოვა პატიება, მარტოკანი რომ ვიყავითო.

ხუმრობით თუ გურმანობით, ჟერომი გაშლილ სუფრას მიუახლოვდა და სასაცილო გამომეტყველებით შეათვალიერა ისინი.

— ნეტა ვისთვის მოუმზადებიათ ამდენი სასუსნავი?

საკმაოდ ხელოვნური სიცილი იცოდა: თავს უკან გადასწევდა, გუგებს თვალების კუთხეში მიიმწყვდევდა და ოდნავ ნაძალადევად სამჯერ წამოიძახოდა:

— ჰა! ჰა! ჰა!

მან ტაბურეტი სუფრასთან მისწია და ჩაიდანს წაავლო ხელი.

— გაცივდებოდა ჩაი, ჯერ ნუ დალევთ, — უთხრა ქალბატონმა დე ფონტანენმა და სამოვარი ჩართო. მაგრამ როცა ჟერომმა შეკამათება დაუპირა, ქალმა ღიმილით დაუმატა: — მაცალეთ, გავაცხელებ.

ოთახში მარტონი იყვნენ; ქალბატონი დე ფონტანენი სამოვართან ფუსფუსებდა, ახლოს იდგა ქმართან და მისგან მონაბერ ბარამბოსა და ვერბენის მომჟავო სუნს გრძნობდა. ჟერომმა თავი ასწია და ღიმილით ახედა; სახეზე მონანიება და სიყვარული აღბეჭდვოდა. პური მოწაფესავით ეჭირა ხელში, ხოლო თავისუფალი ხელი ისე ლაღად მოხვია ცოლს წელზე, როგორც სასიყვარულო საქმეებში გამოცდილ მამაკაცს სჩვევია ხოლმე. ქალბატონი დე ფონტანენი სწრაფად გაუსხლტა ხელიდან, შეეშინდა სისუსტე არ გა-

მოეჩინა. როგორც კი ქმარმა ხელი გაუშვა, კვლავ მიუახლოვდა მაგიდას, ჩაი დაასხა და ხელახლა მოშორდა.

ქალს ღირსეულად და ნაღვლიანად ეჭირა თავი. მორალური ხელშეუხებლობის გრძნობა იმდენად ღრმად გამჯდარიყო მასში, რომ მძაფრი გულისტკივილი გადავიწყებოდა. იგი მალულად ათვალიერებდა ქმარს სარკეში. ქარვისფერი სახე, ნუშისებური თვალები, ტანის ლამაზი მიმოხრა, ჩაცმის ოდნავ ეგზოტიკური სიფაქიზეც კი რაღაც აღმოსავლურ იერს აძლევდა მთელ მის უდარდელ გარეგნობას. მოაგონდა, ერთხელ, ჯერ კიდევ მისი საცოლე რომ იყო, დღიურში ჩაწერა: „ჩემი სატრფო ინდოელი პრინცივით მშვენიერია". ახლაც წინანდებური თვალებით შესცქეროდა. იგი გვერდულად ჩამომჯდარიყო დაბალ ტაბურეტზე და ფეხები ცეცხლისთვის მიეშვირა. ფრჩხილები უღაპლაპებდა; თითის წვერებით სათითაოდ იღებდა ნაფიცხარა პურებს, ზედ ოქროსფერ თაფლს უსვამდა, მთელი ტანით თეფშისკენ იხრებოდა და ხარბად ჭამდა. ჭამა რომ დაამთავრა, ჩაი ერთპაშად გადაჰკრა, მოცეკვავის სიმსუბუქით წამოხტა და სავარძელში გაიშოტა. კაცი იფიქრებდა, არაფერი არ მომხდარა, იგი წინანდებურად ცხოვრობს ამ სახლში. მუხლებზე პიუსი შეახტა, ისიც მოეფერა. მარცხენა ხელის უსახელო თითზე დედისგან მემკვიდრეობით მიღებული მსხვილი სარდიონი ეკეთა, ძველებური კამეა. შავ ფონზე განიმედის რძისფერი სილუეტის გამოსახულებით. ხანგრძლივი ტარებისგან ბეჭედი გათხელებულიყო და ხელის ყოველ განძრევაზე თითზე ცურავდა. ცოლი თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას.

— ნებას მომცემთ, მეგობარო, პაპიროსი გავაბოლო?

გამოუსწორებელი, მაგრამ მეტად მიმზიდველი მამაკაცი გახლდათ. რაღაც განსაკუთრებულად, თავისებურად წარმოთქვამდა ამ სიტყვას — „მეგობარო". ბოლო ხნოვანი ამბორივით აკვდებოდა ბაგეზე. ვერცხლის სათუთუნე ბჟუტავდა ხელში; ქალმა იცნო ეს მშრალი ტკაცანი და ხელის ზურგზე პაპიროსის დაკაკუნებაც, სანამ მას პირში ჩაიდებდა; მისთვის ნაცნობი იყო ეს გრძელი, ლურჯძარღვა ხელებიც, ანთებული ასანთის შუქზე თორ გამჭვირვალე, ალისფერ ნიჟარას რომ წააგავდა.

ძალის დიდი მოკრება დასჭირდა, რომ სუფრა მშვიდად აელაგებინა. ამ კვირაში გადატანილი დაღლილობა სწორედ იმ წუთში იგრძნო, როცა მთელი მხნეობა სჭირდებოდა. იგი ჩამოჯდა. არ იცოდა, რა გადაეწყვიტა; განგების ჩაგონება ბუნდოვნად ესმოდა. ღმერთმა იმისთვის ხომ არ მიუჩინა ამ ცოდვილს, ვისთვისაც, მიუხედავად უზნეობისა, სიკეთე ჯერ კიდევ მისაწვდომი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოაქციოს და კეთილ გზა-

ზე დააყენოს? არა, მისი გადაუდებელი ამოცანა — ოჯახის, კერის, ბავშვების გადარჩენაა. გონება თანდათან უნათლდებოდა; იგი გამხნევდა, რაკი საკუთარი სიმტკიცე იგრძნო. ჟერომის შინ არყოფნისას ლოცვამ ნათელი მოჰფინა იმ გადაწყვეტილებას, რასაც გულში იმარხავდა და რასაც ვეღარაფერი შეურყევდა.

ჟერომი ერთხანს დაფიქრებით, ყურადღებით შესცქეროდა ცოლს. შემდეგ გულწრფელი გამომეტყველება აღებეჭდა თვალებში. ეს გაუბედავი ღიმილი, ეს ფრთხილი შემოხედვა უცნობი როდი იყო ქალისთვის. შეეშინდა, რადგან: მართალია, მისდაუნებურად, ამ ჭირვეული სახის გამომეტყველების გამოცნობა არ უძნელდებოდა, მაგრამ საკუთარი ინტუიციის წყალობით ისეთ საზღვარს აწყდებოდა ხოლმე, რომლის მიღმა მისი გამჭრიახობა ჭაოჭრობში ეფლობოდა. ამიტომაც ეკითხებოდა ხშირად თავის თავს: „ნეტავი გამაგებინა, რა კაცია, რა აქვს გულის სიღრმეში?“

— დიახ, მე მშვენივრად მესმის, — წამოიწყო ჟერომმა მელანქოლიური ტონით, — თქვენ სასტიკად მსჯით, ტერეზ. დიახ, მესმის თქვენი, ძალიან კარგად მესმის. ჩემს ადგილას სხვა რომ იყოს, მეც თქვენსავით მოვიქცეოდი, მკაცრად განვსჯიდი, გავიფიქრებდი, ეს კაცი ნამდვილი არამზადაა მეთქი. დიახ, არამზადა, — ყოველ შემთხვევაში, სიტყვებისა ნუ შეგვეშინდება მაინც! ო, არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ სათქმელი!

— რა საჭიროა? რა საჭიროა?.. — შეაწყვეტინა საბრალო ქალმა, და სახეზე, რომლისათვისაც ფარისევლობა უცხო იყო, წუხილი აღებეჭდა.

ჟერომი სავარძლის ზურგს მიეყრდნო, პაპიროსს აბოლებდა; ფეხი ფეხზე შემოედო და ზანტად აქნევდა. შარვალი კოჭებამდე ასწეოდა.

— ნუ გეშინიათ, კამათს არ ვაპირებ. ფაქტი ჯიუტია. იგი ჩემს წინააღმდეგ მეტყველებს. მაგრამ, ტერეზ, ვინ იცის, იქნებ, ყველაფერი სხვაგვარად უნდა აიხსნას და არა ისე, როგორც ამას თვალში საცემი საბუთები განმარტავენ?!

მან ნაღვლიანად გაიღიმა. საკუთარ შეცდომებზე მსჯელობა და მორალური არგუმენტების მოშველიება ძალიან უყვარდა. შესაძლებელია ამით იკმაყოფილებდა იმ პაწაწინა გრძნობას, თუკი რაიმე შერჩენოდა პროტესტანტობისაგან.

— ხშირად, — განაგრძო მან, — ცუდ საქციელს სულაც არ უდევს საფუძვლად რაიმე უხამსი მიზეზი, აქაოდა რაღაც ინსტინქტი უხეშად დავიკმაყოფილოთ; სინამდვილეში, ზოგჯერ, და ძალიან ხშირადაც — თავისთავად ყოვლად კეთილ გრძნობას აჰყვები, — მაგალითად, სიბრალულს, და საყვარელ ადამიანს მხოლოდ იმიტომ აყენებ ტანჯვას, რომ მეორე, ბედ-

კრული, დაჩაგრული ადამიანი გეცოდება, ფიქრობ, მის გადასარჩენად იოტის ოდენა ყურადღებაც კმარაო...

ტერეზას გაახსენდა მუშა ქალი, სანაპიროზე რომ ტიროდა. სხვა მოვლენებიც აღიძრა: მარიეტა, ნოემი, იგი თვალს ადევნებდა ლაქის ფეხსაცმელის წვერს, რომელზედაც ლამპის ანარეკლი ხან აციალდებოდა, ხანაც ქრებოდა. ქორწინების პირველი დღეები გაიხსენა: ფეროში ერთბაშად მოიმიზეზებდა, გადაუდებელი საქმე მაქვს, სადილად ვარ დაპატიჟებული, წაუსვლელობა არ იქნებაო. გათენებისას ბრუნდებოდა. ოთახში ჩაიკეტებოდა და შებინდებამდე ეძინა. რომელი ერთი მოეგონებინა? რამდენი ანონიმური წერილი წაკითხვისთანავე დაუხევია, დაუწვავს, ფეხით გაუთელია. მაგრამ გესლიანი ბოღმა არა და არ გაჰქარვებია! რამდენი მოახლე გახრწნა, რამდენ მის მეგობარს ქალს აურია გზა-კვალი?! ერთი სიტყვით, ნამდვილი სიცარიელე შეუქმნა ირგვლივ. პირველ ხანებში აკი ძალა მოიკრიბა და საყვედურიც ჰკადრა ქმარს: ფრთხილად, მოკრძალებით შეჰბედა, მაგრამ ჟინით შეპყრობილი, გულჩათხრობილი კაცი ჯერ პურიტანული აღშფოთებით უარყოფდა აშკარა ფაქტებს, შემდეგ კი ერთბაშად გაიღიმებდა და პატარა ბიჭივით ფიცს მოჰყვებოდა, მაპატიე, მეტს აღარ ვიზამო.

— ხომ ხედავთ, — განაგრძო მან, — თქვენს მიმართაც ცუდად ვიქცევი! თუმცა... დიახ, დიახ... სიტყვებს ნუ შეუშინდებით! მე თქვენ მიყვარხართ, ტერეზ, სულითა და გულით პატივსა გცემთ და კიდევ შებრალებით! არასოდეს, გეფიცებით, არასოდეს, ერთხელაც კი, ერთი წუთითაც არ ჰყოლია ბადალი ამ სიყვარულს... ჩემში მხოლოდ ეს ერთადერთი სიყვარული იყო ფესვგამდგარი. ო, ჩემი ცხოვრება იმდენად საშინელია, მახინჯია, იმდენად სამარცხვინოა, მის დასაცავად ენა არ მომიბრუნდება! მაგრამ მერწმუნეთ, მეგობარო, ისეთი პირუთვნელი ქალი, როგორიც თქვენა ხართ, უსამართლობას ჩაიდენდით, თუკი ჩემი საქციელის მიხედვით იმსჯელებდით ჩემზე. მე... მე არც ისეთი კაცი ვარ, როგორიც ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულით ვჩანვარ. ვგრძნობ, ვერ გაგაგებინეთ, რისი თქმა მინდა... აზრის გახსნა არ მეხერხება! ყველაფერი გაცილებით რთულია, ვიდრე სიტყვებით გამოხატვას შევძლებდე. მე თვითონაც ბუნდოვნად წარმოვიდგენ ყველაფერს...

იგი ჩაჩუმდა, თავი ჩაჰქინდრა. სადღაც შორს მიაპყრო თვალი, თითქოს ამაოდ ეცადა ერთი წუთით მაინც ჩასწვდომოდა საკუთარი ცხოვრების იდუმალ ჭეშმარიტებას და ახლა ერთბაშად გამოეცალა ძალა. შემდეგ თავი ასწია და ქალბატონმა დე ფონტანენმა მისი ალერსიანი მზერა იგრძნო. ერთი შეხედვით ეს შემოხედვა უაღრესად მსუბუქი იყო, მაგრამ

უნარი შესწევდა სწრაფად დაეჭირა სხვისი მზერა, აეტაცნა იგი (თუ შეიძლება ასე ვთქვათ) და ერთხანს, სანამ თავს მოარიდებდნენ, თავისკენ მიეზიდნა: იგი წააგავდა მაგნიტს, რომელიც რკინის მძიმე ნაჭერსაც კი იზიდავს, ასწევს, შემდეგ კი ძირს ანარცხებს. ცოლ-ქმრის თვალები კვლავ შეხვდნენ და იმწამსვე აერიდნენ ერთმანეთს. „იქნებ, მართლა უკეთესი ხარ, ვიდრე შენი ცხოვრებაა?" გაიფიქრა ქალმა, მაგრამ მაინც უნდოდ აიჩეჩა მხრები.

— თქვენ ჩემი არ გჯერათ! — წაიბუტბუტა ჟერომმა.

ქალი ეცადა ძალდაუტანებელი ტონით ელაპარაკა:

— ო, ძალიან მინდა მჯეროდეს თქვენი! აკი მრავალჯერ დაგიჯერეთ! მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ხართ თუ არა დამნაშავე, თქვენი ბრალია თუ სხვისი, ბოროტება უკვე ჩაიდინეთ, ჟერომ, ბოროტებას ყოველდღე ჩადიხართ, ბოროტებას კვლავაც ჩაიდენთ! ასე ცხოვრება კი აღარ შეიძლება... უნდა გავეყაროთ ერთმანეთს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავშორდეთ!

მთელი ოთხი დღის განმავლობაში ამ სიტყვებს იმდენჯერ იმეორებდა, რომ ახლა ძალიან მშვიდად წარმოთქვა და ჟერომიც მაშინვე მიხვდა, ქალი არ ხუმრობსო. იგი იმდენად თავზარდაცემული, გაოგნებული დარჩა, ცოლმა მყისვე შეამჩნია და სწრაფად დასძინა:

— ახლა მხოლოდ ბავშვებზე უნდა ვიფიქროთ! სანამ პატარები იყვნენ, არაფერი გაეგებოდათ და მარტო მე...

(კინაღამ წამოცდა „ვიტანჯებოდიო", მაგრამ შერცხვა და თავი შეიკავა).

— ბოროტება, რაც თქვენ მომაყენეთ, ჟერომ, ახლა მხოლოდ ჩემს... სიყვარულს კი აღარ წამლავს, იგი თქვენთან ერთად ოჯახში იჭრება, ჩვენს ოჯახში, ჰაერში ტრიალებს, ამ ჰაერით კი ჩვენი ბავშვები სუნთქავენ. ამას ვეღარ ავიტან. ხომ ხედავთ, დანიელმა რა ჩაიდინა იმ დღეს! ჩემი გულის ტკივილი დაე ღმერთმა ისევე აპატიოს, როგორც მე ვაპატიე! გულის სიღრმეში კიდეც ნანობს, ალბათ, რადგან ჯერ კიდევ უმწიკვლო ბიჭია!

დედას ამაყად, თითქმის გამომწვევად აუელვარდა თვალები.

— მაგრამ თუკი იგი ცუდად მოიქცა, დარწმუნებული ვარ, თქვენმა მაგალითმა წააქეზა. განა ასე ადვილად წავიდოდა შინიდან, განა არაფრად ჩააგდებდა ჩემს წუხილს, წამდაუწუმ რომ არ გხედავდეთ სახლიდან გაპარულს... საქმეების მოსაგვარებლად?

იგი წამოდგა, გაუბედავი ნაბიჯებით გაემართა ბუხრისკენ, თავის ჭადარა თმას დააცქერდა სარკეში, ქმრისკენ შემობრუნდა, თუმცა არ შეუხედავს, და უთხრა:

— ბევრი ვიფიქრე, ჟერომ. ამ კვირაში ძალიან გავიტანჯე. გამუდმებით ვლოცულობდი და ვფიქრობდი. საყვედურის თქმას არც ვაპირებ. მართალი გითხრათ, ამ საღამოს ამის თავი არა მაქვს, საშინლად მოვიქანცე. ოღონდ, გთხოვთ, სიმართლეს თვალებში შეხედოთ და დარწმუნდეთ, რომ მართალი ვარ, რომ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ: ჩვენი ერთად ცხოვრება...

ქალმა მყისვე შეასწორა:

— ის რამდენიმე წელი, რაც ერთად უნდა გვეცხოვრა, თითზე ჩამოსათვლელი ის წლები, რაც კიდევ დაგვრჩენია, პირადად მე საუკუნოდ მეჩვენება, ჟერომ!

ქალი მთლიანად დაიძაბა, ორივე ხელით მარმარილოს ბუხრის თავს მოეჭიდა, მხრებისა და ხელების მოძრაობა სიტყვებსააყოლა და მკაფიოდ, მარცვალ-მარცვალ წარმოთქვა:

— მე...ტი ა..ღარ მსუ...რს!

ჟერომმა არაფერი უპასუხა; მაგრამ სანამ ქალი გვერდზე გადგებოდა, იგი ფეხებში ჩაუვარდა და მის თეძოს ლოყით ისე მიეყრდნო, იტყოდით, პატარა ბიჭი პატიებას ითხოვსო.

— როგორ უნდა დაგშორდე? — ალუღლუღდა იგი. — უბავშვებოდ როგორ უნდა ვიცხოვრო? თავს მოვიკლავ!

და ისეთი ბავშვური მოძრაობით მიიდო ხელი საფეთქელზე, ქალს კინაღამ გაეცინა. ჟერომმა ცოლს მაჯაზე სტაცა ხელი და დაუკოცნა. ქალმა ხელი გაითავისუფლა და თითის წვერი შუბლზე გადაუსვა. ამ უგულისყურო, მოქანცულ მოძრაობაში დედობრივი სითბო უფრო იგრძნობოდა და საბოლოო გულაყრაზე მეტყველებდა. ქმარს კი იმედი მოეცა, თავი ასწია, მაგრამ როცა მის გამომეტყველებას წააწყდა, დარწმუნდა, ვცდებიო. ქალბატონი დე ფონტანენი მაშინვე გვერდზე გადგა. იქვე, საწოლთან, პატარა მაგიდაზე სამგზავრო საათი იდგა, ქალმა მისკენ გაიშვირა ხელი და წაილაპარაკა:

— უკვე ორი საათია!.. ძალიან გვიანია... გთხოვთ... ნახვამდის!

ჟერომმა ციფერბლატს შეხედა, შემდეგ განიერ, გაშლილ საწოლს გადახედა და შენიშნა, რომ ზედ მხოლოდ ერთი ბალიში იდო.

სწორედ ამ დროს ცოლმა უთხრა:

— ეტლის შოვნა, ალბათ, გაგიძნელდებათ!

იგი გაოცდა, დაიბნა: ამ საღამოს შინიდან წასვლა არც უფიქრია. განა საკუთარ სახლში არ იყო? საკმარისია დერეფანში გავიდეს, მისი ოთახი იქვე არაა? რამდენჯერ დაბრუნებულა შუაღამისას ოთხი, ხუთი, ექვსი დღის წანწალის შემდეგ! მეორე დილით კი პიჟამაში ჩაცმული, პირგაპარსული გამოცხადდებოდა საუზმეზე, ხუმრობითა და ხმამაღალი სიცილით შეეცდებოდა გაექრო ბავშვების ის უტყვი, უნდობელი გამომეტყველება, რაც მას ვერაფრით აეხსნა. ქალბატონი დე ფონტანენი თვალს ადევნებდა ქმრის სახეს, მიხვდა, რაზედაც ფიქრობდა, მაგრამ მაინც არ დათმო და წინოთახის კარი გააღო. ჟერომმა გულის სიღრმეში უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ ისე გაცდა, თითქოს მეგობარს ეთხოვებოდა.

პალტოს ჩაცმისას გაახსენდა, რომ ცოლისთვის ფული არ მიუცია. უყოყმანოდ დაუტოვებდა მთელ თანხას, რაც კი ებადა, თუმცა ახლო მომავალში არავითარ შემოსავალს არ ელოდა; მაგრამ იფიქრა, ამან რაიმე გავლენა არ მოახდინოს ჩემი წასვლა-დარჩენის საკითხზე, ვინ იცის ფულის მიღების შემდეგ, იქნებ, ვერ გაბედოს ასე უხეშად ჩემი გასტუმრება და ანგარებაც დამწამოსო; ამის გაფიქრება შეურაცხმყოფელად მიიჩნია და ესღა წაილუღლუღა:

— მეგობარო, კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი...

ცოლს არ დავიწყნია, რომ საბოლოოდ დაშორებასთან ერთად გადაწყვეტილი ჰქონდა ფულზეც ეთქვა უარი.

— ხვალ, ჟერომ, — სწრაფად უპასუხა მან, — ხვალ თუ მოხვალთ, მიგიღებთ. ჰოდა, მაშინ მოვილაპარაკოთ.

ჟერომმა იფიქრა, ზრდილობიანად გამოვემშვიდობებიო ცოლს, ხელში აიღო მისი თითები და ბაგესთან მიიტანა. ერთი წუთით ორივე შეყოყმანდა, მაგრამ ქალბატონმა დე ფონტანენმა სწრაფად გაითავისუფლა ხელი და კიბეზე გასასვლელი კარი გააღო.

— ნახვამდის, მეგობარო... ხვალამდე! — წაილაპარაკა ჟერომმა.

ქალმა უკანასკნელად დაინახა კიბეზე ჩამავალი ქმარყოფილი, რომელსაც ქუდი მოეხადა, მისკენ იყურებოდა და უღიმოდა.

კარი მიიხურა. ქალბატონი დე ფონტანენი მარტო დარჩა. შუბლით მიეყრდნო კარის ძგიდეს. ჭიშკრის გაღების ყრუ ხმამ მთელი ჩაძინებული სახლი შეაზანზარა და ქალიც შეაკრთო. მის ფეხებთან, ხალიჩაზე ღია ფერის ხელთათმანი ეგდო. დაუფიქრებლად დასტაცა ხელი, ტუჩთან მიიტანა, დაყნოსა, ცდილობდა ტყავსა და თამბაქოს სუნთან ერთად სხვა, უფრო ფაქიზი, ნაცნობი არომატი გაერჩია. ერთბაშად თავის გამოსახულებას მოჰკრა

თვალი სარკეში, გაწითლდა, ხელთათმანი დააგდო და შუქი გამორთო. სიბნელემ თითქოს უშველა გაქცეოდა საკუთარ თავს. ხელის ფათურით გაეშურა ბავშვების ოთახისკენ, რათა მათი სუნთქვისათვის შიევდო ყური.

## IX

ანტუანი და ჟაკი ეტლში ჩასხდნენ. ცხენი ძლივს მიჩანჩალებდა, ღორღით მოკირწყლულ რიყეფენილზე ისე უსხლტებოდა ჩლიქები, იტყოდით, კასტანიეტებს ატკაცუნებსო. ქუჩები ჩაბნელებული იყო. დაბჯღორულ ეტლში დაობებული მაუდის სუნი იდგა. ჟაკი სიბნელეში ტიროდა. დაღლილობამ და, ალბათ, იმ ქალის მოფერებამ თუ დედობრივმა ღიმილმა სინდისის ქენჯნა გამოიწვია: რას ეტყოდა მამას? ერთბაშად სხეული მოუდუნდა, სასოწარკვეთა ველარ დამალა და ძმას მხარზე დადო თავი, ანტუანმა ხელი მოხვია. მათ სიცოცხლეში პირველად გაუქრათ მოკრძალება ერთმანეთის მიმართ:

ანტუანმა საუბრის გაბმა სცადა, მაგრამ ცრუ მორცხვობას თავი ვერ დააღწია. ოდნავ უხეში, ნაძალადევი გულთბილობა იგრძნობოდა მის ხმაში:

— კარგი, ბიჭო, გეყოფა!.. აკი მორჩა ყველაფერი! ასე რად იშლი ნერვებს?

იგი გაჩუმდა, იმით დაკმაყოფილდა, რომ ბიჭი მკერდზე მიიკრა. მაგრამ ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა.

— მაინც რა მოგივიდა? — ჰკითხა უფრო რბილად, — რა მოხდა თქვენ შორის? მან აგიყოლია, ხომ?

— ოჰ, არა. მას არც კი უნდოდა, მე, მხოლოდ მე დავიჩემე.

— კი მაგრამ, რატომ?

დუმილი. ანტუანი უგერგილოდ დაჰკითხავდა:

— იცი რა, ასეთი დამოკიდებულება ხშირია კოლეჯში. ეს მეც კარგად ვიცი. შეგიძლია ყველაფერი მიამბო; ვიცი, რაცაა. ზოგჯერ სხვისი გავლენის ქვეშ მოექცევი...

— იგი ჩემი მეგობარია, მორჩა და გათავდა! — წაილაპარაკა ძმის მხარზე თავმიყრდნობილმა ჟაკმა.

— კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ერთად... აი, ერთად რომ ხართ, რას აკეთებთ? — გაბედა და ჰკითხა უფროსმა ძმამ.

— ვსაუბრობთ. იგი მანუგეშებს ხოლმე.

ანტუანმა დაკითხვა შეწყვიტა. ბიჭმა ისე წარმოთქვა, მანუგეშებსო, რომ უფროს ძმას გული შეეკუმშა. უნდოდა ეკითხა: „ნუთუ ასეთი უბედური ხარ, ჩემო ბიჭო?" მაგრამ ჟაკმა გამომწვევად დაუმატა:

— ამას გარდა.. რაკი ყველაფრის გაგება გსურს, გეტყვი: ლექსებს მისწორებს.

— ო, ეს დიდებულია, აი, ეს მომწონს! — უთხრა ანტუანმა. — ძალიან კმაყოფილი ვარ, პოეტი რომ ყოფილხარ.

— მართლა? — იკითხა ბიჭმა.

— დიახ, ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა მე ეს ამბავი ვიცოდი. შენი პოემები წაკითხული მაქვს. რამდენჯერმე მომხვდა ხელში და წავიკითხე. შენთვის არასოდეს მითქვამს. ჩვენ ხომ საერთოდ არ ვმუსაიფობთ, არ კი ვიცი, რატომ... ზოგიერთი შენი ლექსი ძალიან მოსაწონია. ნიჭი უეჭველად გაქვს, ჰოდა, საჭიროა, მეტი იმუშაო!

ჟაკმა უფრო დაბლა დახარა თავი.

— მე ისე მიყვარს ლექსების წერა!.. — წაილუღლუღა მან, — კარგი ლექსების, ჩემი საყვარელი ლექსების გულისთვის ყველაფერს დავთმობდი. ფონტანენი წიგნებს მაძლევს ხოლმე, ოღონდ ხომ არავის ეტყვი, ჰა? სწორედ მან წამაკითხა ლაპრადი და სიული პრიუდომი, ლამარტინი და ვიქტორ ჰიუგო, მიუსე... ოო, მიუსე! მითხარი, აი ეს ლექსი თუ იცი?

ღამის ფერმიხდილივარსკვლავი,
ზორეული მაცნე,
რომლის შუბლი ჩამავალი მზიდან კაფობს...

ან ეს:

დიდი ხანია მან, ვისთანაც მე მეონა,
შენთვის დათმო უფალო, ჩემი სარეცელი,
მაგრამ კვლავ ერთმანეთსა ვართ გადაჯაჭვულნი.
იგი მკვდარ-ცოცხალია მე კი ცოცხალ-მკვდარი!

ანდა ლამარტინის „ჯვარცმა" თუ წაგიკითხავს?

გაცივებულ ბაგეთაგან ვსვამდი მის სუნთქვას,
მის უკანასკნელ ამოსუნთქვას, უკანასკნელ
„მშვიდობითს"

ხომ კარგია? თითქოს წყაროსავით იღვრებაო! მუდამ ცუდად ვხდები, როცა ამ ლექსებს ვკითხულობ.

გული სიხარულს ვერ იტევდა.

— შინ კი, — განაგრძო მან, — ჩემი არ ესმით; დარწმუნებული ვარ, რომ გაეგოთ, ლექსებს ვწერდი, გულს გამიწყალებდნენ. შენ არ ჰგავხარ მათ! — უთხრა მან ანტუანს და მისი მკლავი მკერდზე მიიკრა, — დიდი ხანია ამას ვგრძნობ, ოღონდ შენ მუდამ დუმდი! თანაც, შენ ხომ იშვიათად ხარ შინ!.. ო, რა მიხარია, რომ იცოდე! ვგრძნობ, ამიერიდან ერთის ნაცვლად ორი მეგობარი მეყოლება.

— „Ave, Ceasar" ცისფერთვალა გალელი გოგონა..." — ღიმილით წამოიწყო ანტუანმა.

ჟაკი მყისვე გაუსხლტა მკლავიდან.

— შენ რა, რვეული წაიკითხე? — წამოიყვირა მან.

— მოიცა, ყური მიგდე...

— მამამაც? — ისე გულსაკლავად დაიღრიალა ბიჭმა, რომ ანტუანი დაიბნა.

— არ ვიცი... მგონი, თვალი გადაავლო...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, ბიჭი ეტლის კუთხეში დაეგდო, თავში იტაცა ხელი და ბალიშებს აქეთ-იქით აწყდებოდა.

— ეს ხომ საზიზღრობაა! ის აბატი ნამდვილი ჯაშუშია, არამზადაა! ამას მთელი კლასის თანდასწრებით მივახლი პირში! სახეში მივაფურთხებ! სკოლიდანაც რომ გამაგდონ, ჩემსას მაინც არ დავიშლი, ისევ გავიპარები! თავს მოვიკლავ!

იგი ფეხებს აფართხალებდა. ანტუანს კრინტი ვერ დაეძრა. უცებ ბავშვი დადუმდა, კუთხეში მიიკრუნჩხა, თვალებს იწმენდდა და კბილს კბილზე აცემინებდა. მისი ეს დუმილი უფრო საშიში იყო, ვიდრე გაბრაზება. საბედნიეროდ, ეტლი წმინდა მამათა ქუჩაზე მიდიოდა უკვე; სახლს უახლოვდებოდნენ.

ეტლიდან ჯერ ჟაკი გადმოვიდა. ანუტანი ფულს იხდიდა და თან ბიჭს თვალს არ აშორებდა, ეშინოდა, სიბნელეში თვალსა და ხელს შუა არ გამეპაროსო, მაგრამ ჟაკი დარეტიანებულივით იდგა. მწუხარებისაგან ისედაც გაცრეცილი სახე მაწანწალა ბიჭივით მოტეხოდა, ცრემლის ნაკვალევი არსად ემჩნეოდა, თვალები ძირს დაეხარა.

— დარეკე, რას უცდი? — უთხრა ანტუანმა.

ჟაკს კრინტი არ დაუძრავს, არ განძრეულა. ანტუანმა შინ შეიყვანა. იგი მორჩილად მიჰყვა. მეკარე ქალის, დეიდა ფრიულინგის, ცნობისმოყვარე შემოხედვა არც შეუმჩნევია. საკუთარი უძლურების აღიარებას დაეთრგუნა. ლიფტმა ბუმბულივით აიტაცა და მშობლიურ კლანჭებს მიუგდო:

ოჯახის, პოლიციის, საზოგადოების მექანიზმს თავის ტყვეობაში მოექცია ყოველი მხრიდან და წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო.

მიუხედავად ამისა, როცა ოთახის კარის წინ კიბის საქცევი დაინახა, როცა ნახა ჭადს ისე გაეჩახჩახებინა წინოთახი, როგორც იმ დღეებში, მამისს სტუმრები რომ ჰყავდა ხოლმე სადილად, როცა ჩვეულებურ გარემოში იგრძნო კვლავ თავი, გული სიხარულით აუტოკდა; ხოლო როდესაც წინოთახში ფეხათრევით გამოეგება მადმუაზელი, რომელიც წინანდელზე უფრო დაპატარავებულიყო და უფრო მეტად კოჭლობდა, ერთი სული ჰქონდა, დაევიწყნა ყოველგვარი წყენა და შავი შალის სახელოებში გახვეულ, ამ გაშლილ მკლავებში ჩავარდნოდა. ქალმა გულზე მიიკრა ბიჭი, სახე დაუკოცნა, ეფერებოდა და თან გულისმომკვლელი ხმით მონოტონურად მოთქვამდა:

— ეს რა ცოდვა ჩაიდინე?! ოი, შე უსულგულო, შენა! გინდოდა დარდისაგან დავხოცილიყავით? ღმერთო დიდებულო, ეს რა ცოდვა ჩაიდინა! ნუთუ გულის ნაცვლად ქვა გიდევს?

და შველივით თვალები ცრემლით ევსებოდა. მაგრამ აი, კაბინეტის კარი ფართოდ გაიღო და მამა გამობრძანდა.

იგი მაშინვე ამჩნევს ჟაკს და მღელვარებას ვერ იოკებს. მიუხედავად ამისა, შეჩერდება და ქუთუთოებს ძირს ხრის; თითქოს ელოდება, უძღები შვილი როდის დაუვარდება ფეხთ, როგორც ეს სასტუმრო ოთახის კედელზე დაკიდებულ გრეზის სურათზეა გამოსახული.

მაგრამ ბიჭი ვერ ბედავს, რადგან კაბინეტიც საზეიმოდ გაეჩახჩახებინათ, სასადილოს კარებში ორი მოახლე ფუსფუსებს; ამას გარდა, ბატონი ტიბოც რედინგოტში გამოწყობილა, მაშინ როცა სადამოობით მუდამ ქურთუკს ატარებდა ხოლმე: მთელი ეს უჩვეულო ცერემონია ხელ-ფეხს უბოჭავს ბავშვს; მან ერთბაშად გაითავისუფლა თავი მადმუაზელის მკლავებიდან, უკან დაიხია და თავჩაქინდრული დადგა, თითქოს რაღაცას ელის, თითონაც არ იცის, რასო, და იმდენი სითბო და სიყვარული შემოწოლოდა გულზე, ვერ გადაეწყვიტა, აქვითინდეს თუ გადაიხარხაროს.

მაგრამ ბატონი ტიბოს პირველივე სიტყვამ თითქოს სახლიდან გარიყა იგი. ჟაკის პოზამ, ისიც სხვისი თანდასწრებით, მამას მაშინვე გაუქრო შემწყნარებლური სურვილები და ურჩის მოსათოკად სრული გულგრილობა გამოამჟღავნა:

— აჰა, მოხვედი?! — მიმართა მან ანტუანს, — მე კი უკვე მიკვირდა, აქამდე სად არის-მეთქი, იქ ხომ ნორმალურად მოგვარდა საქმე?

და როცა ანტუანის დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, როცა მის გაწვდილ რბილ ხელს ანტუანი შეეხო, მამამ დაუმატა:

— გმადლობთ, ძვირფასო, ასეთი სადავიდარაბო... ასეთი დამამცირებელი საქმე რომ ამაშორე!..

ერთხანს შეიცადა. იმედი ჰქონდა, დამნაშავე რაღაც ნაბიჯს გადადგამსო, ცალი თვალით ჯერ მსახურებს გადახედა, შემდეგ შვილს, რომელიც გულჩათხრობილი ჩაშტერებოდა ხალიჩას. მეტის ატანა აღარ შეიძლებოდა და გაგულისებულმა განაცხადა:

— ხვალ ვიმსჯელოთ, რა ზომები მივიღოთ იმისათვის, რომ მსგავსი სკანდალი არ განმეორდეს!

მადმუაზელმა ნაბიჯი გადადგა, უნდოდა ჟაკისთვის ხელი ებიძგა, მამასთან მიდიო, ჟაკი თავაუღებლივ მიხვდა მის მოძრაობას, სხვათა შორის, თავის გადარჩენის უკანასკნელ იმედს სწორედ ამაზე ამყარებდა, — მაგრამ ბატონმა ტიბომ ხელით შეაჩერა ქალი და უბრძანა:

— თავი დაანებეთ! თავი დაანებეთ! ეს არამზადა გულქვა გახლავთ! განა ღირსი იყო იმ დარდისა და წუხილისა, რაც მისი გულისთვის გადავიტანეთ?

ანტუანი გამოქომაგებას აპირებდა, მაგრამ მამამისმა აღარ დააცალა:

— ანტუან, ძვირფასო, — უთხრა მან, — სამსახური გამიწიე და ერთი ღამე კიდევ მიხედე ამ ყაჩაღს. პირობას გაძლევ, ხვალ ორივე გავთავისუფლდებით მისგან.

ყველა გაოგნდა. ანტუანი მამას მიუახლოვდა, ჟაკმა მოკრძალებით ასწია თავი, მაგრამ ბატონი ტიბო სიტყვის შებრუნების უფლებას არავის მისცემდა და მტკიცე ხმით განაგრძო:

— ხომ გაიგონე, ანტუან? შეიყვანე მის ოთახში. ეს უმსგავსობა ისედაც დიდხანს გაჭიანურდა.

შემდეგ, როგორც კი ანტუანმა წინ გაიძღოლა ჟაკი და გავიდა დერეფანში, სადაც მსახურები კედელს აკვროდნენ, თითქოს დასჯილს სამარცხვინო ბოძისკენ მიაცილებენო, თვალმოჭუტული ბატონი ტიბო კვლავ შებრუნდა კაბინეტში და კარი მიხურა.

კაბინეტიდან პირდაპირ საძილე ოთახში შევიდა. ეს გახლდათ მშობლების ოთახი; ავეჯი ისეთივე განლაგებით დაეტოვებინა, როგორც ბალღობისას ახსოვდა მამისეული ქარხნის ფლიგელში, რუანთან ახლოს. მემკვიდრეობითაც ასე მიიღო და პარიზშიც გადმოეტანა, სადაც იურიდიული განათლების მისაღებად ჩამოვიდა: წითელი ხის კომოდი, ვოლტერის სტილის სავარძლები, ლურჯი რეპსის ფარდები, საწოლი, სადაც ჯერ მამა გარდაც-

ვლილიყო, შემდეგ დედა; ანალოღიის წინ, რომლის საფარი ქალბატონ ტიბოს მოექარგა, კედელზე ჯვარცმა ეკიდა; რამდენიმე თვის მანძილზე მან ეს ჯვარცმა ორჯერ ჩამოხსნა და მშობლებს გულზედაკრეფილ ხელებში ჩაუდო.

ოთახში მარტო დარჩენილ ბატონ ტიბოს ბუნებრივი პოზა მიედო: ჩასუქებულ კაცს მხრები აეწურა, მოქანცული ადამიანის ნიღაბი თითქოს სახიდან ჩამოუცურდაო, ნაკვთებს სწორედ ისეთი გამომეტყველება მიედო, როგორიც მისი ბავშვობის სურათებზე იყო აღბეჭდილი: იგი ანალოღიას მიუახლოვდა და უმწეოდ დაიჩოქა. მსხვილი თითები მარდად და წესისამებრ გადახლართა ერთმანეთში; მის მოძრაობაში რაღაც მსუბუქი, იდუმალი, განდევგილური იგრძნობოდა. ერთბაშად ზეასწია უსიცოცხლო სახე, დაშვებული ქუთუთოებიდან გამოწურული მზერა ჯვარცმისათვის მიეპყრო: ღმერთს უზიარებდა თავის გულგატეხილობას, ახალ ჭირ-ვარამს და ყოველგვარი გულისწყრომისაგან დაცლილი სულის სიღრმეში ისევე ლოცულობდა, როგორც ყოველი მამა ლოცულობს გზასაცდენილი შვილისთვის. სკამის საბჯენის ქვეშ, სულის საცხონებელ წიგნებს შორის პირველი ზიარების დროს მიღებული კრიალოსანი მოეძებნა; ორმოცი წლის მანძილზე ხმარებისგან გაპრიალებული ბურთულები თავისთავად სრიალებდნენ მის თითებში. მან ისევ დახუჭა თვალები, მაგრამ სახე კვლავ ქრისტეს მიაპყრო; არასოდეს არავის უნახავს მისი ასეთი ღიმილი, ასეთი გულწრფელი, ბედნიერი სახე. ბაგეთა ცმაცუნისგან ოდნავ უკრთოდა ჩამოკიდებული ლოყები, ხოლო მისთვის ჩვეული მოძრაობის — დროდადრო საყელოდან ნიკაპის ერთბაშად ამოსროლის გამო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საცეცხლურს აქნევდა ციური ტახტის ფეხებთან.

მეორე დღეს ჟაკი მარტო იჯდა არეულ ლოგინზე. აღარ იცოდა, შინდარჩენილს როგორ გაეტარებინა ეს შაბათი დღე, რომელიც უქმე დღე არ იყო. ბიჭი ფიქრობდა ლიცეუმზე, ისტორიის გაკვეთილზე, დანიელზე, ყურს უგდებდა დილის უჩვეულო და, მისი აზრით, ავისმომასწავებელ ხმაურს: ხალიჩაზე გადასმული ცოცხის ხმას, ორპირი ქარისგან გაღებულ კარის ჭრიალს. დარეტიანებული აღარ ჩანდა, უმალ აღგზნებული უფრო იყო, ოღონდ თავისი უმოქმედობა და ეს გაურკვეველი მუქარა აუტანელ უხერხულობაში აგდებდა. ახლა მისთვის შვება მხოლოდ იმ შემთხვევის პოვნა იქნებოდა, რომელიც რაიმე საგმირო საქმის ჩადენის საშუალებას მისცემდა; რაიმე გმირული ან უგუნური თავგანწირვის გამო ერთბაშად

დაიცლებოდა იმ ჭარბი სიყვარულისგან, რომლის დაოკებას ვერ ახერხებდა. დროდადრო თავიც ებრალებოდა, ზევით აიხედავდა და უსაზღვრო სიყვარულით, სიძულვილითა და სიამაყით გამოწვეული ბიწიერი ნეტარებით ტკბებოდა წამით.

ვიღაცამ კარის სახელური გადაატრიალა: ყიზელი იყო. ეტყობოდა, ახლახან დაებანათ მისთვის თავი, რადგან შავი, მხრებზე ჩამოშლილი თმა ჯერ კიდევ სველი ჰქონდა; პერანგისა და შარვლის ამარა შემოვიდა ოთახში; კისერი, მკლავები, წვივები ყავისფერი ჰქონდა. განიერი შარვლით, ლამაზი, ფინიის თვალებით, მარწყვივით ტუჩებითა და აწეწილი თმით პატარა ალჟირელს მიაგავდა.

— რა გინდა? — უკმეხად ჰკითხა ჟაკმა.

— შენს სანახავად მოვედი, — უთხრა მან და თვალებში ჩახედა.

ეს ათი წლის გოგონა ბევრ რამეს მიმხვდარიყო ამ ერთ კვირაში. მართალია, ჟაკო დაბრუნდა, მაგრამ, ჩანს, საქმე საბოლოოდ არ მოგვარებულიყო, რაკი მამიდას სწორედ მაშინ უხმეს ბატონ ტიბოსთან, როცა თმას უვარცხნიდა; გოგონას პირობა ჩამოართვეს, იცოდე, კარგად მოიქეციო, და აგე თმაგაშლილი გამოუშვეს ჟაკთან.

— ვინ დარეკა? — ჰკითხა ჟაკმა.

— ბატონი აბატი მოვიდა.

ჟაკმა წარბი შეკრა. ყიზელი საწოლზე აძვრა და გვერდით მიუჯდა. ჟაკს ისე ესიამოვნა ბავშვის გულთბილობა, მადლობის ნიშნად მუხლებზე დაისვა და მოეფერა, თუმცა ყური მაინც კარისკენ ეჭირა.

— გაიქეცი ჩქარა, აქ მოდიან! — წასჩურჩულა მან და დერეფნისკენ უბიძგა.

თვითონ ძლივსღა მოასწრო საწოლიდან წამოვარდნა და გრამატიკის სახელმძღვანელოს გადაშლა. აბატი ვეკარის ხმა მისი ოთახის კართან მოესმა:

— გამარჯობა ჩემო, ჟაკო აქაა?.

კარი გააღო და ზღურბლთან შეჩერდა. ჟაკი თავდახრილი იჯდა. აბატი მიუახლოვდა და ყური აუწია.

— ეს რა ჩაგიდენია! — უთხრა მან.

მაგრამ ბიჭმა ისე კუშტად შეხედა, აბატმა მაშინვე შეცვალა ტონი, იგი მუდამ ფრთხილად ეპყრობოდა ჟაკს. ამ გზასამცდარი ბიჭისადმი განსაკუთრებულ სიმპათიებს გრძნობდა, რასაც ცნობისმოყვარეობა და პატივისცემაც ემატებოდა, აბატი კარგად გრძნობდა, რა ძალაც იმალებოდა ამ ბავშვში.

იგი დაჯდა და ჟაკიც თავისთან მოიხმო.

— პატიება თუ თხოვე მაინც მამას? — ჰკითხა მან, თუმცა საქმის ნამდვილ ვითარებას კარგად გასცნობოდა უკვე.

ჟაკი მიუხვდა თვალთმაქცობას და გაბრაზდა. მან გულგრილად ახედა აბატს და უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია. ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა.

— არ დაგიმალავ, შვილო, — დაიწყო მღვდელმა ნაღვლიანი და ოდნავ გაუბედავი ხმით, — ეს ამბავი ძალიან მეწყინა. მიუხედავად შენი ამჟენი თავქარიანობისა, აქამდე მუდამ გიცავდი მამაშენთან. ვეუბნებოდი: „ჟაკოს კეთილი გული აქვს, აი ნახავთ, რა კარგი ადამიანი დადგება, მოვითმინოთ-მეთქი". დღეს კი აღარ ვიცი, რა ვთქვა, და რაც მთავარია; არ ვიცი, რა ვიფიქრო. შენს შესახებ ისეთი რამ გავიგონე, რასაც ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი! ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ, მაგრამ თავს ვარწმუნებდი: „მოსაფიქრებლად საკმაოდ ჰქონდა დრო, დაბრუნდება და მოინანიებს; არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომლის გამოსყიდვა არ შეიძლებოდეს გულწრფელი მონანიებით-მეთქი". ამის სანაცვლოდ ბრაზიანი სახით შემხვდი, არავითარი სინანული არ გეტყობა შენს მიერ ჩადენილი საქციელის გამო, ერთი კურცხალიც კი არ ჩამოგიგდია ალბათ, ამან კი საცოდავი მამაშენი სულ გაანადგურა. ძალიან შემეცოდა. სულ იმის ფიქრშია, სანამდე მისულა მისი უზნეობა, გული რომ ასე გაქვავებიაო. მართალი გითხრა, ეს აზრი არც მე მაძლევს მოსვენებას.

ჟაკს ჯიბეში ჩაეწყო ხელები, მუშტებს მაგრად კუმშავდა და ნიკაპს მკერდზე აჭერდა, ამით ცდილობდა ქვითინი შეეკავებინა, ერთი კუნთიც არ შერხეოდა სახეზე. მარტო მან იცოდა, როგორ იტანჯებოდა იმის გამო, რომ მამას პატიება არა სთხოვა და რა ნეტარების ცრემლებს დაღვრიდა, მასაც რომ ისევე შეხვედროდნენ, როგორც დანიელს! არა! რაკი ასეა, იგი არავის გაანდობს, რასაც მამის მიმართ გრძნობდა, არავის გაუზიარებს გულღვარძლიანობაში არეულ ამ პირუტყვულ სიყვარულს. ეს გრძნობა თითქოს კიდევ უფრო გაღრმავებოდა მას შემდეგ, რაც თანაზიარი სიყვარულის იმედი სამუდამოდ დაკარგვოდა.

აბატი დუმდა. მისი სახის ნაკვთების უწყინარი გამომეტყველება უფრო ამძიმებდა ამ დუმილს. ერთბაშად შორს მიაშტერა თვალი და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მეზღაპრესავით დაიწყო:

— ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. უმცროსმა ერთ დღეს აიკიდა გუდანაბადი და შორეულ, უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა: იქ მან გარყვნილებაში გაფლანგა რაც რამ ებადა; როცა ყველაფერი გაანიავა, გონს მოვიდა და

თქვა: ავდგები, მამასთან წავალ და ვეტყვი: „მამა! ზეცისა და შენ წინაშე შევცოდე: ღირსი აღარა ვარ შენი შვილი მერქვასო!“ მართლაც, მიადგა კარს. მამამისმა შორიდანვე მოჰკრა მას თვალი, შეეცოდა, მისკენ გაეშურა, გულში ჩაიხუტა და მოეფერა. მაგრამ შვილმა მაინც უთხრა: „მამა! ზეცისა და შენ წინაშე შევცოდე!„ ღირსი აღარა ვარ შენს შვილად ვიწოდებოდე...“

ჟაკმა თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა.

აბატმა ტონი შეიცვალა.

— მე ვიცოდი, რომ სულმთლად წამხდარი არ იყავი, შვილო; ამ დილით, წირვისას შენთვის ვლოცულობდი. ჰოდა, ადექი და უძღები შვილივით, მიდი მამასთან, მასაც შეეცოდები და გეტყვის: „ვიხაროთ! რადგან შვილი ჩემი დაიკარგა, მაგრამ ხელახლა ვპოვე იგი!“

ჟაკს უცებ მოაგონდა, რომ მისი დაბრუნების პატივსაცემად დამით ქალები აენთოთ წინოთახში, რომ ბატონი ტიბო საგანგებოდ გამოწყობილიყო რედინგოტში და როცა გაიფიქრა, ვინ იცის, მთელი ეს საზეიმო მზადება მე ჩავშალეო, გული უფრო აუჩუყდა.

— სხვა რამეც მინდა გითხრა, — განაგრძო მღვდელმა და წითურ თმაზე ხელი გადაუსვა, — მამაშენს სერიოზული გადაწყვეტილება მიუღია შენს მიმართ..

იგი შეყოყმანდა, სიტყვებს ეძებდა, ხელით კი კვლავაც ეფერებოდა გაჩაჩხულ ყურებს, რომლებიც ხან ლოყების გასწვრივ იკეცებოდნენ, ხანაც ზამბარასავით სწორდებოდნენ და ალმური ეკიდებოდათ. ჟაკი იდგა და განძრევას ვერ ბედავდა.

— ... გადაწყვეტილება მეც მოვიწონე, — მკაფიოდ წარმოთქვა აბატმა, საჩვენებელი თითი ბაგეზე მიიტანა და შეეცადა ბიჭის გამოხედვა დაეჭირა, — რამდენიმე ხნით შორს უნდა გაგზავნოს აქედან.

— მაინც სად? — ყრუ ხმით წამოიძახა ჟაკმა.

— თვითონ გეტყვის, შვილო. და როგორიც არ უნდა იყოს შენი აზრი ამის თაობაზე, სასჯელს მონანიებით უნდა დაემორჩილო, უნდა ჩათვალო, რომ შენს საკეთილდღეოდ მიღებული ზომაა. შესაძლებელია, პირველ ხანებში კიდეც გაგიძნელდეს მთელი საათების განმავლობაში მარტოდმარტო, საკუთარ თავთან დარჩენა: ამ წუთებში მუდამ გახსოვდეს, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მარტოობა არ არსებობს, ღმერთი არ მიატოვებს მათ, ვინც მას ენდობა. აბა, ახლა მაკოცე და წამოდი. პატიება სთხოვე მამას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ცრემლებისაგან სახედასიებული ჟაკი თვალანთებული დაბრუნდა თავის ოთახში. იგი სარკეს მიუახლოვდა და ღრმად

ჩაიხედა საკუთარ თვალებში, თითქოს ცოცხალი არსების გამოსახულებას ეძებდა, ვისთანაც თავისი საძულველისა და ღვარძლის ამონთხევა შეეძლო. მაგრამ დერეფანში ფეხის ხმა მოესმა: მისი კარი გასაღებით არ იკეტებოდა, ამიტომაც ბარიკადა სკამებით მოაწყო. შემდეგ, მაგიდას მივარდა, რამდენიმე სტრიქონი დაწერა ფანქრით, ფურცელი კონვერტში ჩადო, ზედ მისამართი დააწერა, მარკა დააწება და წამოდგა. იმ წუთში ნამდვილ გიჟსა ჰგავდა. წერილი ვის ანდოს? ირგვლივ მტრები ასევია! ფანჯარა გამოაღო. მოღრუბლული დილა იყო; ქუჩა ცარიელი ჩანდა. მაგრამ ქვაფენილზე ვიღაც მოხუცი ქალი და პატარა ბიჭი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ. ჟაკმა წერილი ფანჯრიდან ისროლა, კონვერტი ჰაერში დატრიალდა, დატრიალდა და ტროტუარზე დავარდა. ჟაკი სასწრაფოდ მოშორდა ფანჯარას. როცა გაბედა და გადაიხედა, ბარათი ქვაფენილზე აღარ ეგდო, ქალი და ბავშვი კი გზას განაგრძობდნენ. ღონემიხდილმა ხაფანგში გაბმული მხეცივით დაიღმუილა, ლოგინზე დაემხო და უძლური ბრაზისგან მოგვრილი ცახცახი რომ დაეოკებინა, ფეხები საწოლის ზურგს მიაბჯინა; ღრიალის ჩასახშობად ბალიშს გლეჯდა: თავშეკავება ზუსტად იმდენხანს ეყო, რამდენიც საჭირო იყო თავისი სასოწარკვეთილების სხვებისთვის დასამალავად.

სალამოს დანიელმა ასეთი შინაარსის ბარათი მიიღო:

„ჩემო მეგობარო!

ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ჩემი ცხოვრების სითბოვ და სილამაზევ!

ამ წერილს ანდერძივით გწერ.

მე და შენ ერთმანეთს გვაშორებენ, მე ყველას ჩამომაშორეს, სადღაც მიპირებენ გადამალვას, ვერ ვბედავ გითხრა, რატომ, ვერ ვბედავ გითხრა — ხაფ! მამაჩემის მაგივრად მე მრცხვენია! ვგრძნობ, რომ ვერასოდეს ველარ გნახავ შენ, ჩემს ერთადერთს, შენ, რომელსაც შეგეძლო კეთილ ადამიანად გარდავექმნე მე!

მშვიდობით, ჩემო მეგობარო, მშვიდობით!

თუ ძალიან გამაუბედურებენ, თუ ძალიან გამაბოროტებენ, თავს მოვიკლავ! მაშინ შეგიძლია უთხრა მათ, რომ მათი მიზეზით მოვიკალ თავი, თუმცა ისინი ძალიან მიყვარდა!

ჩემი უკანასკნელი ფიქრი იმ სამყაროს ზღურბლთან შენ იქნები, ჩემო მეგობარო!

მშვიდობით!“

## ნაწილი მეორე

## გამასწორებელი სასლი

### I

შარშანს აქეთ, რაც ორი ლტოლვილი მოწაფე მარსელიდან შინ დააბრუნა, ანტუანი ერთხელაც არ მისულა ქალბატონი დე ფონტანენის სანახავად; მიუხედავად ამისა, მოახლემ მაშინვე იცნო იგი და თუმცა უკვე საღამოს ცხრა საათი იყო, უსიტყვოდ შეიწვია შინ.

ქალბატონი დე ფონტანენი შვილებთან ერთად საძილე ოთახში დახვდა. იგი ბუხართან იჯდა წელგამართული და ლამპის შუქზე წიგნს ხმამაღლა კითხულობდა. ჟენი სავარძელში მოკალათებულიყო, ნაწნავს იწიწკნიდა, თვალი ცეცხლისთვის მიეპყრო და ყურადღებით უსმენდა; დანიელი მოშორებით იჯდა, ფეხი ფეხზე გადადებულს მუხლებზე მუყაო დაედო და დედის პორტრეტს ხატავდა ნახშირით. ანტუანი წამით შეყოვნდა ზღურბლზე, იგრძნო, უდროო დროს მოვედიო, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

ქალბატონი დე ფონტანენი საკმაოდ ცივად შეხვდა; ეტყობოდა, მისმა მოსვლამ კიდეც გააკვირვა. ბავშვები იქვე დატოვა, სტუმარი სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა და მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, ადგა და ვაჟიშვილის მოსაყვანად გავიდა.

თხუთმეტი წლის დანიელი ერთი შეხედვით 17 წლის ჭაბუკს ჰგავდა; საულვაშე უკვე შეღინღლოდა. ანტუანი ამან, ცოტა არ იყოს, დააბნია, მაგრამ მისთვის ჩვეული გამომწვევი იერით შეჰყურებდა მაინც სახეში, თითქოს ეუბნებოდა: იცით, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ მიყვარს, სათქმელს პირდაპირ მოგახსენებთო. და როგორც ამ ერთი წლის წინ, რაღაც იდუმალი ინსტინქტით ახლაც იგრძნო, რომ ქალბატონი დე ფონტანენის თანდასწრებით მხოლოდ გულწრფელი საუბარი შეიძლებოდა.

— იცით, რა, — უთხრა მან დანიელს, — მე თქვენს სანახავად უფრო მოვედი. გუშინდელმა ჩვენმა შეხვედრამ დამაფიქრა.

დანიელს გაოცება გამოეხატა სახეზე.

— დიახ, — განაგრძო ანტუანმა, — ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, თქვენ მიგეჩქარებოდათ, არც მე მქონდა დრო, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს... არ ვიცი როგორ აგიხსნათ... ერთი სიტყვით, ჟაკის ამბავი არ გიკითხავთ... აქედან დავასკვენი, რომ მისგან წერილებს იღებთ. ხომ მართალია? ეჭვიც კი შევიტანე, იქნებ, ისეთ რამეს წერს, რაც მე არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიცოდე-მეთქი! არა, მოითმინეთ, ყური დამიგდეთ! ჟაკი შარშან ივნისში წავიდა პარიზიდან. მალე აპრილი დადგება; საცაა ცხრა თვე იქნება, რაც იქაა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მინახავს იგი, არც მას მოუწერია; მაგრამ მამა ხშირად დადის მის სანახავად, მეუბნება, ჯანმრთელადაა, სწავლობს, მარტოობამ და დისციპლინამ შესანიშნავი ზეგავლენა მოახდინაო. ხომ არ ცდება? ან, იქნებ, ატყუებენ? გუშინდელმა ჩვენმა შეხვედრამ რატომღაც შემაშფოთა. გავიფიქრე, ვინ იცის, იქნებ, ბიჭი ცუდადაა, მე კი არც არაფერი ვიცი და ვერაფრით ვშველი-მეთქი. ამ ფიქრს ვერ გავუძელი. და აი, გადავწყვიტე მოვსულიყავი თქვენთან და გულახდილად მოგლაპარაკებოდით. იმედი მაქვს, ჟაკის მიმართ თქვენ კეთილგანწყობილებას არ უღალატებთ. არ იფიქროთ, თითქოს რაიმე საიდუმლოების გამჟღავნებას გთხოვდეთ! მაგრამ ის თქვენ აუცილებლად მოგწერდათ თავის ამბავს და ამდენად მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დამამშვიდოთ ან მაიძულოთ საქმეში ჩავერიო.

დანიელი გულგრილად უსმენდა. ჯერ იფიქრა, სულაც უარს ვიტყვი ანტუანთან საუბარზეო, თავი მაღლა აიღო და დაბნეული, მაგრამ მკაცრი თვალებით შეჰყურებდა სტუმარს. შემდეგ ოდნავ შეცბუნებულმა, დედას გადახედა. ქალი გულდასმით აკვირდებოდა შვილს, აინტერესებდა, როგორ მოიქცეოდა. ლოდინი გაჭიანურდა. ბოლოს, დედამ გაუღიმა:

— სიმართლე თქვი, ჩემო ბიჭო, — უთხრა მან და რაღაც უცნაურად ჩაიქნია ხელი, — ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, სიმართლის თქმა სანანებლად გახდომოდეს ადამიანს.

დანიელმაც დედამისივით ჩაიქნია ხელი და გადაწყვიტა, ყველაფერი ეთქვა. დიახ, ტიბოსგან დროგამოშვებით მოსდის წერილი; ეს ბარათები დღითიდღე უფრო მოკლე და გაუგებარი ხდება. დანიელმა იცის, რომ მისი მეგობარი ერთ პატიოსან, პროვინციულ პედაგოგთან ცხოვრობს პანსიონერად. მაგრამ სად? კონვერტებზე ჩრდილოეთის ერთ-ერთი რკინიგზის საფოსტო ვაგონის ბეჭედია. იქნებ, მოკლევადიან კურსებზეა საბაკალავრო გამოცდებისთვის მოსამზადებლად?

ანტუანი ცდილობდა გაოცება არ გაემჟღავნებინა. ჰმ! აი, რა გულდასმით დაუმალავს სინამდვილე ჟაკს უახლოესი მეგობრისათვის! ნეტა რატომ?

ნუთუ რცხვენია? ალბათ, ამავე გრძნობამ აიძულა ბატონი ტიბო მაღალი წრის საზოგადოებაში კრუის გამასწორებელი კოლონიისათვის, სადაც საკუთარი შვილი გამოამწყვდია, ეწოდებინა — „ზღვის ნაპირას მდებარე სასულიერო სასწავლებელი". ანტუანს ერთბაშად ეჭვიც კი შეეპარა, ჟაკს ამ ბარათებს ვინმე ხომ არ კარნახობსო. იქნებ, დააშინეს ბიჭი? უცებ მოაგონდა, რომ ბოვეს ერთ-ერთმა მემარცხენე გაზეთმა მთელი კომპანია წამოიწყო „მცირეწლოვანი დაცვის საზოგადოების" წინააღმდეგ და მკაცრი ბრალდებაც კი წაუყენა. მართალია, ბატონმა ტიბომ ამხილა მათი სიცრუე, დიფამაციაზე საქმეც აღძრა და კიდეც მოიგო ყოველ ინსტანციაში. მაგრამ, ვინ იცის?..

ანტუანი მხოლოდ საკუთარ თავს ენდობოდა.

— იქნებ, ერთი წერილი მაინც გეჩვენებინათ? — იკითხა მან და როცა შეამჩნია, დანიელი გაწითლდა, ბოდიში მოიხადა. ცოტა ხანს იყუჩა და შემდეგ ისევ გაიღიმა, — იქნებ, მხოლოდ ერთი წერილი მენახა, სულ ერთია, რომელი იქნებოდა...

დანიელი ხმაამოუღებლივ წამოდგა, არც დედისთვის შეუხედავს რჩევის საკითხავად და ოთახიდან გავიდა.

ქალბატონ დე ფონტანენთან მარტოდ დარჩენილ ანტუანს წინანდებური შეგრძნება დაუბრუნდა: უხერხულობა, ცნობისმოყვარეობა, ქალისკენ ლტოლვა. ქალი სადღაც შორს იყურებოდა, თითქოს არც არაფერზე ფიქრობდა, მიუხედავად ამისა, მისი აქ ყოფნაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ანტუანის სულიერ სამყაროსა და შორსმჭვრეტელობას სტიმული მისცემოდა. ამ ქალის ირგვლივ ჰაერიც კი რაღაც იდუმალებით იყო შესუდრული. ახალგაზრდა კაცი აშკარად გრძნობდა, რომ ახლა გაკიცხვა დაფარფატებდა ჰაერში. ანტუანი არ ცდებოდა. რაკი ჟაკის ბედის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა, ქალი ხელაღებით არც ანტუანს კიცხავდა და არც ბატონ ტიბოს, მაგრამ როცა უნივერსიტეტის ქუჩაზე, ტიბოს ოჯახში ერთადერთჯერ მისვლა მოაგონდებოდა, ისეთი შეგრძნება ექმნებოდა, რომ ზოგჯერ, რაც იქ ხდებოდა კარგის მომასწავებელი არ იყო. ანტუანი მიუხვდა ფიქრს და თითქმის მოუწონა კიდეც. სხვა ვინმეს რომ გაებედა და მამამისი გაეკიცხა, იგი, რასაკვირველია, არ მოითმენდა; მაგრამ ახლა, გულის სიღრმეში, ბატონ ტიბოს წინააღმდეგ ქალბატონ დე ფონტანენს კიდეც ემხრობოდა. ჯერ კიდევ შარშან, — ეს მას კარგად ახსოვდა, — ფონტანენების ოჯახში პირველად სტუმრობის შემდეგ მამისეულ სახლში დაბრუნებულს, რამდენიმე დღის განმავლობაში სუნთქვაც კი უჭირდა.

დანიელი დაბრუნდა და საშინლად დაჭმუჭნილი კონვერტი გაუწოდა.

— ეს პირველი წერილია. ყველაზე გრძელი, — თქვა მან და დაჯდა.

„ძვირფასო ფონტანენ!

ჩემი ახალი სავანიდან გწერ, პასუხის მოწერაზე არც იფიქრო, ასეთი რამ აკრძალულია. სხვა მხრივ, აქაურობა მოსაწონია. მასწავლებელი კარგი მყავს, კეთილად მექცევა და მეც ბევრს ვმეცადინეობ. ამხანაგებიც არ მაკლია, ბლომად მყავს, კარგი ბიჭები არიან. ამას გარდა, მამა და ძმა კვირაობით ჩამოდიან ჩემს სანახავად, როგორც ხედავ, ჩინებულად მოვეწყე. გთხოვ, ჩემო საყვარელო დანიელ, თუ ჩვენი მეგობრობა გწამს, მკაცრად ნუ განსჯი მამაჩემს: სულ ერთია, ყველაფერს მაინც ვერ გაიგებ. პირადად მე, ვიცი, რომ ძალიან კეთილი კაცია და კარგადაც მოიქცა, პარიზიდან რომ გამომიშვა, ლიცეუმში ტყუილა-უბრალოდ ვკარგავდი დროს. ახლა ამას თვითონ ვაღიარებ და კმაყოფილიც ვარ. ჩემს მისამართს არ გწერ: მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ წერილებს ვერ მომწერ, რადგან ჩემთვის ეს საშინელება იქნებოდა აქ.

თუ მოვახერხე, კვლავაც მოგწერ, საყვარელო დანიელ.

ჟაკი".

ანტუანმა ორჯერ გადაიკითხა წერილი. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ძმის ხელწერა რომ არ ეცნო, დაეჭვდებოდა, ჟაკის გამოგზავნილი იყო თუ არა იგი. მისამართი სხვა ხელით მიეწერათ კონვერტზე: გლეხის ნაწერს ჰგავდა, გაკრული, გაურკვეველი ხელით, უსუფთაოდ. წერილის ფორმამაც და შინაარსმაც საგონებელში ჩააგდო. ამდენი ტყუილი რად დასჭირდა? „ჩემი ამხანაგები"!.. ჟაკი ხომ მარტო იყო გამომწყვდეული იმ „სპეციალურ" კორპუსში, რომელიც ბატონმა ტიბომ კარგი ოჯახის შვილებისათვის ააშენებინა კრუის გამასწორებელ კოლონიაში და რომელიც მუდამ ცარიელი იყო! ხმის გამცემიც კი არ ჰყავდა, თუ არ ჩავთვლიდით მსახურს, რომელსაც საჭმლის მოტანა თუ სასეირნოდ გაყვანა ევალებოდა, და მასწავლებელს, კომპიენიდან რომ ჩამოდიოდა და ორ-სამ გაკვეთილს აძლევდა კვირაში. „მამა და ძმა ჩემს სანახავად ჩამოდიანო!" ბატონი ტიბო მხოლოდ ოფიციალური საქმეების გამო ჩადიოდა კრუიში ყოველი თვის პირველ ორშაბათს, განმაკარგულებელი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობდა და წასვლის წინ, რამდენიმე წუთით, მართლაც გამოიძახებდა ხოლმე შვილს მოსაცდელ ოთახში. რაც შეეხება ანტუანს, მართალია, ძმის ნახვის სურვილი ზაფხულის არდადეგების დროს რამდენჯერმე გამოთქვა, მაგრამ მამამ აუკრძალა: იმ რეჟიმისათვის, რომელშიც შენი ძმა ჰყავთ, მკაცრი იზოლაციაა მთავარითო.

ანტუანს იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო და ბარათს ხელში ატრიალებ-და. სულიერი სიმშვიდე დაჰკარგვოდა. ერთბაშად ისეთი დაბნეულობა და ისეთი მარტოობა იგრძნო, კინაღამ ყველაფერში გამოუტყდა ამ ნათელ-მოსილ მანდილოსანს, რომელთანაც შემთხვევამ შეახვედრა. გადახედა: ხე-ლები მუხლებზე დაეკრიფა, დაფიქრებული სახითა და სულში ჩამწვდომი მზერით ქალი თითქოს უცდიდა, რას ეტყოდა.

— თუკი შეგვიძლია დაგეხმაროთ! — შეკავებული ღიმილით წაიბუტ-ბუტა ქალმა. მისი ფაფუკი ჭაღარა თმა ამ ღიმილსა და მთელ სახეს ახალ-გაზრდული იერით ამკობდა.

ანტუანმა, ის იყო გულის გადაშლა დააპირა, მაგრამ რატომღაც შე-ყოყმანდა. დანიელი მკაცრი თვალით აკვირდებოდა. ანტუანს შეეშინდა, ორჭოფობა არ დამწამონო, რაც მთავარია, არ უნდოდა ქალბატონ დე ფონტანენს მცდარი შეხედულება ჰქონოდა მასზე და ეფიქრა, ენერგიული კაცი ვერ ყოფილაო. სამაგიეროდ, საკუთარი თავის წინაშე შესანიშნავი არგუმენტი მოიმიზეზა: შეუძლებელია გავამხილოთ ისეთი საიდუმლოება, რასაც ჟაკი ასე გულდასმით მალავსო. ამიტომ ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვას თავი მიანება და კვლავაც რომ უხერხულება არ ეგრძნო, წამოდგა და მას-პინძლებს ხელი გაუწოდა, თითქოს ეუბნებოდა „ნუღარაფერს მკითხავთ. მე მგონი თქვენ მიმიხვდით. ჩვენ ერთმანეთისა გვესმის. მშვიდობით!"

ქუჩაში რომ გავიდა, გარკვეული მარშრუტი არ ჰქონია. თავისთვის იმეორებდა: „მეტი გულგრილობაა საჭირო, მეტი სიმტკიცე!" ხუთი-ექვსი წლის მეცნიერული მუშაობა აიძულებდა ლოგიკურად ემსჯელა: „ჟაკი არ წუწუნებს, მაშასადამე, უბედურად არ გრძნობს თავს!" მიუხედავად ამისა, მაინც სწორედ ამის საწინააღმდეგოს ფიქრობდა. ერთი აზრი აეკვიატა: წამდაუწუმ გამასწორებელი კოლონიის წინააღმდეგ პრესის მიერ ატეხილი კომპანია ახსენდებოდა. განსაკუთრებით ერთი სტატია აგონდებოდა, სა-თაურით: „ბავშვთა კატორღა", სადაც აღსაზრდელთა მატერიალურსა და მორალურ სიდუხჭირეს დაწვრილებით აღწერდნენ: ცუდი კვება, ცუდი ბინა, ფიზიკური დასჯა, ზედამხედველების უხეში მოპყრობა: ანტუანმა მისდაუნებურად მუქარით მოიღერა ხელი: რადაც უნდა დაუჯდეს, სა-ცოდავი ბიჭი უნდა დაიხსნას იმ ჯურღმულიდან! დიდებული როლია! მაგრამ როგორღა უნდა შეასრულოს? მოელაპარაკოს მამას? შეედავოს? ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ანტუანი ხომ სწორედ მამის, დაწესებულების, მისი მეურვეობის ქვეშ მყოფ სასწავლებელს აუჯანყდა? მამის უფლებების წინააღმდეგ ამხედრება იმდენად უჩვეულო იყო მისთვის, რომ ჯერ უხერ-ხულობა იგრძნო, მაგრამ მალე სიამაყით აევსო გული.

შარშანდელი, ჟაკის დაბრუნების მეორე დღეს მომხდარი შემთხვევა მოაგონდა. ბატონმა ტიბომ დილაადრიან მოიხმო ანტუანი კაბინეტში. აბატი ვეკარი ახალმოსული იყო, ბატონი ტიბო ყვიროდა:

— არამზადა! კაცი არ ვიყო, თუ მისი ნებისყოფა არ მოვდრიკო!

იგი ხან კუმშავდა, ხან ჩაჩხავდა თავის ბანჯგვლიან ფართო ხელს და ამ მოძრაობას თითების სახსრების ტკაცუნი მოსდევდა. შემდეგ კმაყოფილი ღიმილით განაცხადა:

— მგონი, ვიპოვე გამოსავალი.

ერთხანს შეჩერდა, შემდეგ ქუთუთოები ზეასწია და დასძინა:

— კრუი.

— როგორ? გამასწორებელ სახლში გინდა გაგზავნო ჟაკი? — წამოიყვირა ანტუანმა.

ცხარე დავა ატყდა.

— მისი ნებისყოფა უნდა მოვდრიკოთ! — იმეორებდა ბატონი ტიბო და თითებს ატკაცუნებდა.

რაკი აბატს ყოყმანი შეატყო, მაშინვე გააცნო, თუ რას წარმოადგენდა განსაკუთრებული რეჟიმი, რასაც ჟაკს შეუქმნიდნენ და რაც, მის სიტყვებს თუ ვირწმუნებდით, კეთილმყოფელად იმოქმედებდა ბიჭზე. ბოლოს, ხმამაღლა, მკაფიოდ, სვენებ-სვენებით დაასკვნა:

— ამრიგად, ცთუნებისგან განრინებულს, მარტოობის წყალობით დამღუპველი მიდრეკილებისგან გაწმენდილს, შრომას შეჩვეულს, ამასობაში 16 წელი შეუსრულდება! და აი მაშინ, მინდა იმედი ვიქონიო, ყოველგვარი საფრთხის გარეშე შეიძლება დავუბრუნოთ იგი ოჯახურ კერას!

აბატმა კვერი დაუკრა:

— დიახ, მარტოობას ზოგჯერ შესანიშნავი სარგებლობა მოაქვს!

ბატონი ტიბოს არგუმენტებმა, რაც აბატმაც მოიწონა, ბოლოს და ბოლოს, ანტუანს აფიქრებინა, ეს ხალხი მართალი უნდა იყოსო. ახლა კი, ვერც თავისთვის და ვერც მამამისისათვის ვერ ეპატიებინა, ასე ბრმად რომ დაეთანხმა.

იგი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, თუმცა გარკვევით არც კი იცოდა, საით. ბელფორის ლომთან უცებ შემობრუნდა და ფართო ნაბიჯებით გაბრუნდა უკან, პაპიროსს პაპიროსზე უკიდებდა, რომლის ბოლი საღამოს ნიავს შორს მიჰქონდა. დიახ, ჭკუით უნდა იმოქმედოს: მალულად წავიდეს კრუიში და მოსამართლესავით წარსდგეს იქ!

ვიღაც ქალი მიუახლოვდა, რამდენიმე ალერსიანი სიტყვა გადაულაპარაკა. ანტუანმა პასუხიც არ აღირსა, სენ-მიშელის ბულვარს დაუყვა.

„დიახ, მოსამართლესავით! — იმეორებდა იგი, — ხელმძღვანელთა ტონები, ზედამხედველთა სიპასტიკე უნდა ვამხილო, სკანდალი ავტეხო და ბავშვი გავათავისუფლო!“

მაგრამ ეს აღტყინება მალე ჩაუქრა. გონებაში ორი აზრი უტრიალებდა: დიდი გეგმის მიღმა რაღაც ჟინმა იჩინა თავი. სენა გადასერა: მიხვდა, გართობის სურვილს საითკენაც მიჰყავდა. თუმცა, რა ვუყოთ მერე? რატომ არ უნდა წავიდეს? განა შეიძლება ასე აღელვებული ჩაწვეს ლოგინში და დაიძინოს? სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მხრები გაშალა, ჩაეცინა: „ძლიერი უნდა ვიყო, ნამდვილი მამაკაცი!“ გაიფიქრა და სანამ ბნელ ქუჩაბანდს ლაღად მიჰყვებოდა, კეთილშობილური აღტყინება არ შორდებოდა: მისი გადაწყვეტილება რაკურსში გამოესახა: — გამარჯვებული. სხივდაფენილი. ამ ორი განზრახვიდან ერთ-ერთი აგერ მთელი 15 წუთია მისი ყურადღების ცენტრში იყო და სანამ მის შესრულებას შეუდგებოდა, მეორე თითქმის განხორციელებულად მიაჩნდა; შემინულ კარს ჩვეული მოძრაობით ჰკრა ხელი და გაიფიქრა:

— ხვალ, შაბათს, საავადმყოფოს ვერ მივატოვებ. სამაგიეროდ, კვირას... კვირა დილით გამასწორებელ კოლონიაში ვიქნები!

## II

რაკი დილის ჩქარი მატარებელი კრუიში არ ჩერდებოდა, ანტუანი იძულებული გახდა კომპიენის წინა სადგურზე, ვენეტში ჩასულიყო. ერთობ აღგზნებული ჩამოხტა ვაგონიდან. მიუხედავად იმისა, რომ მომავალ კვირას გამოცდები ეწყებოდა, ვაგონში ვერასგზით გული ვერ დაუდო შინიდან წამოღებულ სამედიცინო სახელმძღვანელოებს. გადამწყვეტი ჟამი ახლოვდებოდა. ორი დღის განმავლობაში ისეთი სიზუსტით წარმოიდგინა ამ ჯვაროსნული ლაშქრობის დასასრული, ასე ეგონა, ჟაკის პატიმრობას უკვე ბოლო მოეღო და ახლა ძმის გულისმოგებაზედა ფიქრობდა.

გაშლილ, მზით გალაღებულ, ლამაზ გზაზე ანტუანს ორიოდე კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. წვიმიანი დღეების შემდეგ, პირველად ამ წელიწადში, მარტის ამ სურნელოვანი დილის სიგრილეში გაზაფხული იგრძნობოდა. ანტუანი აღტაცებული ათვალიერებდა გზის ორსავე მხარეს გადაჭიმულ დაფარცხულ, უკვე ამწვანებულ მინდვრებს; იყურებოდა შორს, ჰორიზონტისკენ, სადაც მსუბუქი ბოლი ზანტად მიცურავდა მოკრიალებული ცისკენ, ხედავდა მზეზე აციმციმებულ უაზის ფერდობებს. ჭოჭმანი დაეტყო წამით, ნატრობდა, ნეტავ ვცდებოდეო; ირგვლივ ისეთი სიწყნარე, ისეთი

სიწმინდე იყო, განა შეიძლებოდა ასეთ ადგილს ბავშვთა კატორღა გაეშენებინათ?!

გამასწორებელ კოლონიაში მისვლამდე სოფელი კრუი უნდა გაევლო. და უცებ, უკანასკნელი სახლების მოსახვევთან ისე გაშეშდა, თითქოს კომბალი ჩასცხეს თავშიო; თუმცა ამ ადგილებში პირველად იყო, შორიდანვე იცნო იქაურობა: შორს, ცარცოვანი დაბლობის შუაგულში, სადაც მცენარეულობის ნატამალს ვერსად წააწყდებოდით, მობათქაშებული გალავნით გარშემორტყმულ ახალ სასაფლაოსავით, განმარტოებით იდგა დიდი, კრამიტით დახურული შენობა, გისოსიანი ფანჯრებითა და საათის ლაპლაპა ციფერბლატით. მეორე სართულის თავზე ოქროსფერი ასოებით ამოკვეთილი ფილანტროპიული წარწერა რომ არ მოგხვედროდათ თვალში, შენობა ნამდვილი ციხე გეგონებოდათ:

საქველმოქმედო სახლი
დამფუძნებელი ოსკარ ტიბო

ანტუანი გაჰყვა გამასწორებელი კოლონიისკენ მიმავალ გზას, სადაც ერთი ხეც კი არ იყო დარგული. პატარა ფანჯრები შორიდან უყურებდნენ მგზავრს. იგი მიუახლოვდა ჭიშკარს და ზონარი ჩამოსწია: ამ კვირა დღის სიჩუმეში ზარის წკრიალი მეტისმეტად ხმამაღლა გაისმა. ჭიშკარი გაიღო. ძაღლის ჯიხურში ჯაჭვით დაბმულმა უზარმაზარმა, წითურმა დარაჯმა გაშმაგებული ყეფა ატეხა. ანტუანი ეზოში შევიდა. ეზო პატარა ბაღს თუ გაზონს უფრო წააგავდა და ხრეშით მოფენილი ბილიკით გარშემორტყმული, მთავარი კორპუსის წინ მრგვალ მდელოებს ქმნიდა. ანტუანმა იგრძნო, რომ უთვალთვალებდნენ, თუმცა კაცის ჭაჭანება არ იყო ირგვლივ, ძაღლიღა ლამობდა ჯაჭვის აწყვეტას და გაშმაგებით ყეფდა. ჭიშკრის ხელმარცხნივ ქვის ჯვრიანი პატარა ეკვდერი იყო; მარჯვნივ — დაბალი შენობა იდგა წარწერით: „დირექცია". ანტუანი ამ ფლიგელისკენ გაემართა. დახურული კარი სწორედ იმ დროს გაიღო, როცა კართანაზე შედგა ფეხი. ძაღლი კვლავ ყეფდა. ანტუანი შევიდა. ფილებით დაგებული იატაკით, ჟანგმიწით შეღებილი კედლებითა და ახალი სკამებით მორთული ვესტიბიული მონასტრის მისაღებ ოთახს წააგავდა; ოთახი მაგრად გაეხურებინათ. მარჯვენა კედელს ამკობდა ბატონი ტიბოს თაბაშირის ქანდაკება, რომელიც დაბალი ჭერის გამო გიგანტური ზომისა ჩანდა. მოპირდაპირე კედელზე, ალბათ — სიმეტრიისთვის, ბზით მორთული ხის უბრალო შავი ჯვარცმა ეკიდა. ანტუანი თავდაცვის პოზაში იდგა. არა, არ შემცდარა! იქაურობას ციხის სუნი ასდიოდა!

როგორც იქნა, უკანა კედლის სარკმელი გაიღო! ზედამხედველმა თავი გამოჰყო. ანტუანმა წინ დაუდო თავისი და მამამისის სადარბაზო ბარათები და უკმეხად განუცხადა, დირექტორს მიხმეთო.

ხუთიოდე წუთი გავიდა.

მოთმინებიდან გამოსულ ანტუანს დაცდა აღარ უნდოდა, უკვე აპირებდა შენობაში შესვლას, მაგრამ ამ დროს მსუბუქი ნაბიჯები გაისმა დერეფანში; ჩაგოდრებულმა, სათვალიანმა ქერა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც თამბაქოსფერი ფლანელის პიჟამა ეცვა, ღამის ფოსტლების ფლატუნით მოირბინა და სახეგაბრწყინებულმა ორივე ხელი გაუწოდა სტუმარს.

— გამარჯობათ, ექიმო! აი მესმის სასიამოვნო სიურპრიზი! ო, როგორ გაუხარდება თქვენს ძმას! მე კარგად გიცნობთ: ბატონი დამფუძნებელი ხშირად ახსენებს თავის უფროს ვაჟს, ექიმს! ამას გარდა, ნათესაური მსგავსება იმდენად აშკარაა... დიახ, დიახ, — სიცილით დაუმატა მან, — გარწმუნებთ ასეა! შემობრძანდით, ჩემს კაბინეტში შემობრძანდით. გთხოვთ მაპატიოთ. მე ფემი გახლავართ, დირექტორი!

მან კაბინეტისკენ წაიყვანა ანტუანი და ფოსტლების ფლატუნით უკან მისდევდა; ხელები გაეჩაჩხა, თითქოს ეშინოდა, ანტუანი წაიბორძიკებს და მის შესაკავებლად მზად უნდა ვიყოო.

ოთახში შესვლისას,. ანტუანი ძალით დასვა სკამზე და თვითონაც საწერ მაგიდას მიუჯდა.

— ბატონი დამფუძნებელი ხომ კარგად ბრძანდება? — ჰკითხა მან და ხმა დაიწვრილა, — არ ბერდება! არაჩვეულებრივი ადამიანია! რა საწყენია, თქვენთან ერთად რომ არ ჩამოვიდა!

ანტუანი უნდობლად ათვალიერებდა იქაურობას და მტრულად აკვირდებოდა ამ თეთრფეროვან სახეს, ოქროს სათვალეს, რომლის უკან ჩინელის თვალებივით ირიბი ორი თვალი წამდაუწუმ ხამხამებდა და მხიარულ ნაპერწკლებს ისროდა. ანტუანი არ მოელოდა ასეთ ენამზიან მიღებას და სულ დაიბნა, რადგან კატორღის უფროსად მას წარმოედგინა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირქუში ჟანდარმი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, კოლეჯის მკაცრი დირექტორი! ამის ნაცვლად კი ხელში შერჩა პიჟამაში ჩაცმული მომღიმარი ახალგაზრდა კაცი! ანტუანმა თავს ძალა დაატანა და წონასწორობა აღიდგინა.

— ოჰ, დალახვროს ეშმაკმა! — წამოიყვირა უცებ ბატონმა ფემმა. — თქვენ ხომ პირდაპირ საკვირაო წირვის დროს მოხვედით! ბავშვები სამლოცველოში არიან, თქვენი ძმაც იქაა. როგორ მოვიქცეთ?

საათს დახედა.

— ოცი წუთი ან ნახევარი საათი მაინც დააგვიანდებათ, მით უმეტეს, ზიარების მოსურნეთა რიცხვი თუ დიდი იქნა. ეს კი ადვილი შესაძლებელია ასე მოხდეს! ბატონი დამფუძნებელი, ალბათ, გეტყოდათ: ჩვენი სამღვთო სჯულის მასწავლებელი, შესანიშნავი მოძღვარი, ახალგაზრდა, სიმპათიური, უჩვეულოდ მარჯვე მღვდელი გახლავთ! მას შემდეგ, რაც იგი აქაა, ჩვენი აღსაზრდელების რელიგიური გრძნობა სულ შეიცვალა. ოჰ. რა საწყენია! როგორ მოვიქცეთ?

ანტუანი წარბშეჭმუხნული წამოდგა. მოსვლის მიზანი არ დავიწყნია.

— რაკი თქვენი შენობები ახლა ცარიელია, — წაილაპარაკა მან, და თვალი არ მოუშორებია ამ ჩია კაცუნასთვის, — ვფიქრობ, კადნიერებად არ ჩამომართმევთ, თუკი კოლონიის დათვალიერებას გთხოვდით! მინდა საკუთარი თვალით ვნახო ყველაფერი; ბავშვობიდან იმდენი რამ მსმენია...

— მართლა? — გაკვირვებით წამოსცდა დირექტორს. — ამაზე ადვილი რაა! — დაუმატა მან, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

ბატონი ფემი იღიმებოდა და ასე პირზე ღიმმორეული წამით დაფიქრდა.

— იცით რა, ნაგებობა არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენს. ეს გახლავთ პატარა ყაზარმა, არც მეტი, არც ნაკლები! ვფიქრობ, წარმოდგენის შესაქმნელად ეს ჩემი სიტყვებიც საკმარისია.

ანტუანი ფეხს არ იცვლიდა.

— არა, მე მაინც მაინტერესებს! — ჯიუტად წარმოთქვა მან.

და რაკი დირექტორი მოჭუტული თვალებით ლაღად შეჰყურებდა და უხერხულად აკვირდებოდა, დაბეჯითებით დაუმატა:

— გარწმუნებთ, დამაინტერესებს!

— კეთილი, ექიმო! დიდი სიამოვნებით ოღონდ ცოტა ხნით დამიცადეთ: პიჯაკს მოვიხურავ, ფეხზე ჩავიცვამ და წუთში თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

იგი ოთახიდან გავიდა. ანტუანს ზარის წკრიალი მოესმა, ეზოში ხუთჯერ ჩამოჰკრეს ზარს. „აჰა, განგაში ატყდა: მტერი, სახლში შემოგვეჭრა!" გაიფიქრა მან, ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ მქრქალი მინები ჩაესვათ. „მშვიდად! ოთხი თვალი გამოვიბათ! კარგად დავრწმუნდეთ, ვიმოქმედოთ! აი ესაა ახლა ჩემი ამოცანა" — ფიქრობდა ახალგაზრდა კაცი.

როგორც იქნა, ბატონი ფემიც გამოჩნდა.

ოთახიდან გავიდნენ.

— ეს ჩვენი საპარადო ეზო გახლავთ! — ზარ-ზეიმით წამოიწყო დირექტორმა და გულკეთილად გაიცინა.

შემდეგ ნაგაზს მიაშურა, რომელმაც კვლავ ატეხა გაშმაგებული ყეფა, ფეხი უხეშად ჩაარტყა ფერდში და ძაღლი ჯიხურში შევარდა.

— შემთხვევით, მებაღეობით ხომ არა ხართ გატაცებული? თუმცა, დალახვროს ეშმაკმა, რა თქმა უნდა! ექიმი კარგად უნდა ერკვეოდეს მცენარეულობაში!

იგი მაამებელი გამომეტყველებით შეჩერდა პატარა ბაღის შუაგულში.

— თქვენი რჩევა მჭირდება: რით დავფაროთ გალავნის ეს მხარე? სუროთი? მაგრამ ამას ხომ წლები დასჭირდება...

ანდუანს ხმა არ ამოუღია და მთავარი კორპუსისაკენ წაიყვანა დირექტორი. პირველი სართული სწრაფად შემოიარეს. ანტუანი თვალგაფაციცებული მიდიოდა წინ, უფლებამოსილივით აღებდა მოხურულ კარებს; არაფერი გამოპარვია. კედლის ზემო ნაწილი შეეთეთრებინათ, ხოლო იატაკიდან ორი მეტრის სიმაღლეზე გუდრონი წაესვათ. ფანჯრებზე ისევე, როგორც დირექტორის კაბინეტში, მქრქალი მინები ჩაესვათ და გისოსები დაემაგრებინათ. ანტუანი შეეცადა ერთ-ერთი ფანჯარა გამოეღო, მაგრამ ამისთვის სპეციალური გასაღები დასჭირდა; დირექტორმა ჟილეტის ჯიბიდან ამოიღო იგი და ფანჯარაც გახსნა; ანტუანის ყურადღება მიიქცია მისმა ჩაყვითლებულმა, ფაფუკმა მარჯვენა თითებმა; შემდეგ პოლიციელის მახვილი თვალით ჩაიხედა შიდა ეზოში: მოტიტვლებული, უკაცრიელი ჩანდა — არავითარი ნაგავი! ეს იყო დიდი, მართკუთხა მოედანი ფეხით აზელილი, გამხმარი ტალახით და მაღალი გალავნით შემოზღუდული, რომელსაც ზემოდან შუშის ნამტვრევები ეყარა.

ბატონი ფემი გატაცებით უხსნიდა ნაგებობის დანიშნულებას: საკლასო ოთახები, სადურგლო, საზეინკლო, ელექტრომექანიკური სახელოსნო და ასე შემდეგ... ოთახები იყო პატარა, სუფთა. მორიგე ბიჭები თეთრი ხის მაგიდებს ალაგებდნენ სასადილოში; კუთხეებში ჩამწკრივებული ბაკანებიდან მჟავე სუნი ამოდიოდა.

— ყოველი აღსაზრდელი ნასადილევს აქ მოდის და თავის ჯამს, ტოლჩასა და კოვზს თვითონვე რეცხავს. რასაკვირველია, დანა-ჩანგალზე ზედმეტია ლაპარაკი...

ანტუანმა გაოცებით შეხედა, ვერ მიუხვდა. დირექტორმა თვალი ჩაუკრა და განუმარტა:

— წვეტიანი ნივთების ხმარება აკრძალულია!

მეორე სართულზეც საკლასო ოთახები და საჭელოსნოები მოეწყოთ. აქვე იყო საშხაპო, რომლითაც, ეტყობა, ხშირად არ სარგებლობდნენ, მაგრამ დირექტორი მაინც დიდად ამაყობდა. გაჩაჩხებული იდაყვებით, წინ გაშვერილი ხელებით მხიარულად გადადიოდა ოთახიდან ოთახში, გაუთავებლივ ლაყბობდა და თან მექანიკურად ხან დაზგას მისწევდა კედელთან, ხან ლურსმანს აიღებდა იატაკიდან, ხანაც ონკანს კეტავდა; ერთი სიტყვით, ყველაფერს თავის ადგილს უჩენდა.

მესამე სართულზე საძინებელი ოთახები მოეწყოთ, ეს ოთახები ორი ტიპისა იყო: თითო დორტუარში ათიოდე ტახტი ჩაეწკრივებინათ ნაცრისფერი საბნებითა და თეთრეულისთვის განკუთვნილი თაროებით; შუა ოთახში მავთულის ბადიანი რკინის გალია იდგა; ეს გალია რომ არა, საძინებელი ოთახები ჯარისკაცთა საერთო საცხოვრებელს მოგვაგონებდათ.

— ამ გალიაში ამწყვდევთ ბავშვებს? — იკითხა ანტუანმა.

ბატონმა ფემმა კომიკური იერით აასავსავა ხელები და გაიცინა.

— არა, რას ამბობთ! — თქვა მან, — აქ ზედამხედველს სძინავს. როგორც ხედავთ, საწოლს შუაში დგამს ოთხივე კედლიდან თანაბარი მანძილის დაშორებით; ამრიგად, მას ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს, სამაგიეროდ, თვითონ არავითარი საფრთხე არ ელის. ამას გარდა განგაშის შემთხვევაში ზარი იქვეა, მისი მავთულები იატაკქვეშ გადის.

მეორე ტიპის საძინებელი ოთახები ერთმანეთში გასასვლელ ქვის სენაკებს წარმოადგენდნენ, რომლებიც გისოსიან კარებით ისევე იკეტებოდა, როგორც სამხეცის ახორები. ბატონი ფემი ზღურბლთან შეჩერდა. დროგამოშვებით მისი ღიმილი სასოწარკვეთას, ურვას გამოხატავდა და თოჯინასებურ სახეზეც რომელიღაც ბუდას მელანქოლიური იერი გადაურბენდა წამით.

— ოჰ, ექიმო, — თქვა მან. — აქ ჩვენი „თავზეხელაღებულები" ცხოვრობენ! ეს ის ბავშვებია, რომელთა მოყვანა დაუგვიანდათ, მათი საფუძვლიანად გამოსწორება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის ნადებს ვერ იხილავთ აქ... მათ შორის რამდენიმე ბიწიერიც ურევია, ასე არაა? ამიტომაც გვიხდება მათი იზოლირება ღამ-ღამობით!

ანტუანი ახლოს მივიდა გისოსიან კართან. სიბნელეში კარგად გაარჩია არეულ-დარეული, დაძონძილი ლოგინი, უხამსი ნახატებითა და წარწერებით აჭრელებული კედლები. მყისვე უკან დაიხია.

— შიგ ნუ შეიხედავთ, კარგს ვერაფერს ნახავთ! — ამოიოხრა დირექტორმა და ანტუანი იქაურობას მოაშორა, — ხედავთ, აი ეს ცენტრალური დერეფანია, სადაც ზედამხედველი მთელი ღამის განმავლობაში ბოლთას სცემს. ზედამხედველები დასაძინებლად არ წვებიან და ელექტრონსაც არ

[illegible]. მართალია, ეს ყაჩაღანები მკაცრად არიან ჩაკეტილნი. მაგრამ მათ-გან ყველაფერია მოსალოდნელი... დიახ, ასეა!

მან თავი გადააქნია, თვალები მოჭუტა და ერთბაშად სიცილი წასკდა: ნაღვლიანი გამომეტყველება ერთბაშად გაუქრა.

— რამდენი რამის მომსწრე ვარო, რომ იცოდეთ! — გულუბრყვილოდ წარმოთქვა მან და მხრები აიჩეჩა.

ანტუანი იმდენად გაიტაცა ნანახმა, რომ წინასწარ მომზადებული შე-კითხვები სულ გადაავიწყდა; მიუხედავად ამისა, მაინც იკითხა:

— დამნაშავეებს როგორღა სჯით? თქვენი კარცერების ნახვაც მინდა!

ბატონმა ფემმა უკან დაიხია, თვალები გადმოკარკლა და ხელი ხელს შემოჰკრა:

— დალახვროს ეშმაკმა! კარცერებიო? თქვენ რა, ექიმო, და როკეტში ხომ არ გგონიათ თავი? არა, არა... არავითარი კარცერები არაა ჩვენთან, მადლობა ღმერთს! ჩვენი წესდებით ეს სასტიკად აკრძალულია და ბატონი დამფუძნებელი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ამის ნებას არ მოგვცემდა!

ანტუანი შეცბა, აშკარა ირონია იგრძნო დირექტორის მოჭუტულ თვა-ლებში, რომლის ქუთუთოები სათვალის მიღმა ხამხამებდნენ. მას უკვე ეჩოთირებოდა იმ ეჭვიანი ადამიანის როლი, რომლის გათამაშებასაც აპი-რებდა. ის, რაც აქ ნახა, არაფრით არ აქეზებდა ამ როლის შესასრულებ-ლად. ერთგვარი უხერხულობითაც კი ეკითხებოდა თავს, ხომ არ მიმიხვდა დირექტორი იმ უნდობლობას, რამაც კრუიში ჩამომიყვანაო; მაგრამ ამის გამოცნობა ძნელი იყო, რადგან, მიუხედავად თვალის კუთხეში დროდადრო გაელვებული ცბიერი ნაპერწკლებისა, პატონი ფემის გულწრფელობა უდა-ვო ჩანდა.

დირექტორმა სიცილი შეწყვიტა, ანტუანთან მივიდა და მკლავზე ხელი დაადო;

— იხუმრეთ არა? ჩემი არ იყოს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რა მოსდევს გადაჭარბებულ სისასტიკეს: ამბოხება, ან კიდევ რაც უარესია, თვალთმაქცობა... ბატონმა დამფუძნებელმა ამის შესახებ დიდებული სიტყ-ვა წარმოთქვა პარიზის კონგრესზე, მსოფლიო გამოფენის წელს.

მან ხმას დაუწია და ახალგაზრდა კაცს რაღაც განსაკუთრებული სიმ-პათიით შეხედა, თითქოს მხოლოდ თვით იგი და ანტუანი წარმოადგენდნენ რჩეულ ადამიანებს, მხოლოდ მათ შეეძლოთ ამგვარ პედაგოგიურ პრობლე-მებზე ისე ემსჯელათ, საყოველთაო შეცდომები არ ჩაედინათ. ანტუანი მიუხვდა, გულს მოეფონა და სასიამოვნო შთაბეჭდილება გაუღრმავდა.

— მართალია, ეზოში, ისევე, როგორც ეს ყაზარმებშია ხოლმე, პატარა ნაგებობა გვაქვს, რომელსაც არქიტექტორმა პირობითად „გამასწორებელი შენობა“ უწოდა და ასევე აღნიშნა პროექტზეც...

— ?

— მაგრამ იქ ჩვენ მხოლოდ ქვანახშირისა და კარტოფილის ნარაგს ვინახავთ. კარცერები რა საჭიროა! — განაგრძო მან, — როცა დარწმუნება, ჩაგონებას უფრო მეტის გაკეთება შეუძლია?

— ნუთუ მართლა? — იკითხა ანტუანმა.

დირექტორმა ეშმაკურად გაიღიმა და სტუმარს ხელახლა დაადო ხელი მკლავზე.

— მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ! — განაცხადა მან, — დარწმუნებაში, — სჯობს ახლავე აგიხსნათ, — მე ვგულისხმობ ზოგიერთი საჭმლის აკრძალვას. ყველა ჩვენი აღსაზრდელი პირწუწკია. რას იზამთ, ასაკის ბრალია, ხომ ასეა? გამხმარ პურს უდავოდ დამარწმუნებელი ღირსებები აქვს... მაგრამ საჭიროა მოხერხებულად გამოიყენოთ იგი: მთავარია, ცალკე არ ჩაამწყვდიოთ ბავშვი, რომელზედაც გსურთ ზეგავლენა იქონიოთ. როგორც ხედავთ, კარცერული იზოლაციისაგან ძალიან შორსა ვართ! არა! მისი წილი გამხმარი პური სადმე სასადილოს კუთხეში უნდა ღოღნოს და ისიც სწორედ გახურებული ჭამა-სმის დროს, ვთქვათ, შუადღისას, როცა გემრიელ რაგუს მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდის და როცა ამხანაგები ძღომისად ჭამენ. აი, ამის გაძლება ძნელია! ხომ მართალი ვარ? ამ ასაკში ისე სწრაფად ხდებიან! ამისთვის საკმარისია ორი-სამი კვირა, არც მეტი, არც ნაკლები, პირადად მე, ყველაზე ჭირვეულის მორჯულებას სწორედ ამ მეთოდით ვახერხებ მუდამ! მთავარია შთაგონება, დარწმუნება! — დაასკვნა მან და თვალები გადაატრიალა, — უფრო სასტიკი ზომების მიღება არასოდეს დამჭირვებია: გასასწორებლად მობარებული ბავშვებისათვის ერთხელაც არ შემომირტყამს ხელი.

სახე სიამაყითა და გულკეთილობით გაბადროდა. იტყოდით, მართლა უყვარს ეს ონავრები, ისინიც კი, რომელთა გადამკიდეს საზრუნავი არ ელევაო.

კიბეზე დაეშვნენ. ბატონმა ფემმა ჯიბის საათი ამოიღო.

— ნება მომეცით დიდად ყურადსაღები სანახაობა გაჩვენოთ, და გთხოვთ, შემდეგ ბატონ დამფუძნებელსაც უამბოთ ამის შესახებ. დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩება.

ბაღი გაიარეს და ეკვდერში შევიდნენ. ბატონმა ფემმა ნაკურთხი წყალი შესთავაზა სტუმარს. ანტუანმა თვალი მოჰკრა ტილოს სამოსელში

გაპოწყობილ სამოციოდე ბავშვს, რომლებიც სწორ ხაზზე ჩამწკრივებულნი, ქვის იატაკზე კარისკენ ზურგშექცევით უძრავად ჩამჯდარიყვნენ მუხლისთავებზე. წითელწიბურიანი ლურჯი მაუდის ქურთუკებში გამოწყობილი გრძელულვაშიანი ოთხი ზედამხედველი თვალს არ აშორებდა ბავშვებს და იქვე ბოლთასა სცემდა. მღვდელი, რომელსაც ორი აღსაზრდელი ემსახურებოდა, ტრაპეზზე იდგა და წირვას ამთავრებდა.

— ჟაკი სადაა? — ჩურჩულით იკითხა ანტუანმა.

დირექტორმა ტრიბუნაზე მიუთითა, რომლის ქვეშაც იდგნენ და შემდეგ ფეხაკრეფით გავიდა სამლოცველოდან.

— თქვენს ძმას სპეციალური ადგილი აქვს მიჩენილი. იქ, მაღლა, — უთხრა ბატონმა ფემმა, როცა ეზოში გავიდნენ. — იგი მარტოა, უკეთ, თავის მსახურთან ერთადაა, სხვათა შორის, შეგიძლიათ მამას შეატყობინოთ, რომ ჟაკს ახალი მსახური მივუჩინეთ, ამას წინათ კიდეც ველაპარაკეთ მის თაობაზე. უკვე ერთი კვირაა, რაც ეს ყმაწვილი მასთანაა. წინანდელი, ძია ლეონი, ხანშიშესულია და გადავწყვიტეთ ერთ-ერთი სახელოსნოს ზედამხედველად გადაგვეყვანა. ახალი მსახური ახალგაზრდა ლოთარინგიელია — უპატიოსნესი ყმაწვილი, ეს-ეს არის პოლკიდან დაბრუნდა: მეთაურის დენშჩიკი ყოფილა; დიდებული რეკომენდაციები მივიღეთ. მასთან სეირნობა არ მოსწყინდება თქვენს ძმას, ხომ ასეა? ოჰ, დალახვროს ეშმაკმა, ენად გავიკრიფე, ისინი კი აგერ უკვე გამოდიან!

ძალღმა გამძვინვარებული ყეფა ატეხა. ბატონმა ფემმა ჩააჩუმა, სათვალე შეისწორა და საპარადო ეზოს შუაგულში დადგა.

სამლოცველოს კარი ფართოდ გაეღოთ და სამსამად ჩამწკრივებულმა ბავშვებმა, გვერდით რომ ზედამხედველები მოჰყვებოდათ, ფეხშეწყობით ჩაუარეს მათ. უქუდოდ იყვნენ, ფეხზე რბილლანჩიანი ტილოს ფეხსაცმელები ეცვათ, რის გამოც ტანმოვარჯიშეთა გუნდივით უხმოდ მიაბიჯებდნენ; სუფთა ბლუზებზე მჭიდროდ შემოეკრათ ტყავის ქამრები, რომელთა ბალთებს ლაპლაპი გაჰქონდა მზეზე. უფროსი ასაკის აღსაზრდელები 16 — 17 წლისა იქნებოდნენ, უმცროსები — 10—11 წლის. უმრავლესობას გაცრეცილი პირისახე, ჩამქრალი თვალები და მშვიდი, მოზრდილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. ანტუანი დაძაბული ყურადღებით ათვალიერებდა ბავშვებს, მაგრამ არამც თუ ყალბი გამოხედვა ან ორაზროვანი ღიმილი, კუშტი გამომეტყველებაც კი ვერ შენიშნა ვერავის: ისინი არაფრით არ ჰგავდნენ „თავზეხელაღებულებს". მეტიც, ანტუანი იძულებული გახდა, გულში ეღიარებინა, რომ ვერც წამებულებს უწოდებს მათ კაციო.

როცა ეს მცირე კოლონა კორპუსს მიეფარა, ხის კიბეზე მაშინვე გაისმა ნაბიჯებისგან ამტყდარი გუგუნი; ანტუანი მიუბრუნდა ფემს, რომელიც თითქოს თვალებით ეკითხებოდა, და გულწრფელად აღიარა:

— სიარულის დიდებული მანერა აქვთ!

კაცუნამ არაფერი უპასუხა; ოღონდ ფაფუკ ხელებს ნელა იფშვნეტდა, თითქოს საპონს ისვამსო, ხოლო სათვალეებს მიღმა ამაყად აციმციმებული თვალები მადლობას გამოხატავდნენ.

•

ეზო დაიცალა; და აი სწორედ მაშინ, მზის შუქით მოფენილი სამლოცველოს საფეხურებზე ჟაკი გამოჩნდა.

ნუთუ ჟაკი იყო? როგორ გამოცვლილა, გაზრდილა... ანტუანი თვალს არ უჯერებდა. ფორმა არ ეცვა, მაუდის შავ კოსტიუმში გამოწყობილს თავზე ფეტრის ქუდი ეხურა, ხოლო მხრებზე პალტო მოეგდო; ჩასკვნილი, ქერა, ოციოდე წლის ყმაწვილი უკან მოსდევდა, არც მას ეცვა ზედამხედველის ქურთუკი, კართანაზე ჩამოვიდნენ. ჩანდა არც ერთს და არც მეორეს ანტუანი და დირექტორი არ შეუმჩნევიათ. ჟაკი თავდახრილი მიაბიჯებდა მშვიდად, ოღონდ როგორც კი ბატონ ფემს რამდენიმე მეტრით მიუახლოვდა, თავი ასწია, შეჩერდა, გაოცებული სახე მიიღო და მაშინვე ქუდი მოიხადა. ერთი შეხედვით სავსებით ბუნებრივი იყო მისი მოძრაობები, მაგრამ ანტუანმა რატომღაც მაინც ხელოვნურად ჩათვალა ჟაკის გაოცება. მიუხედავად ამისა, ჟაკს გულგრილი სიმშვიდე კვლავ შერჩენოდა სახეზე და, მართალია, იღიმებოდა, გულწრფელი სიხარული მაინც არ ეტყობოდა. ანტუანი ხელებგაწვდილი გაეშურა ძმისკენ; ისიც ნაძალადევ სიხარულს გამოხატავდა.

— რა სასიამოვნო სიურპრიზია, არა, ჟაკ? — წამოიყვირა დირექტორმა, — მაგრამ უნდა გაგიჯავრდეთ: როცა სამლოცველოში ხართ, პალტოს სახელოებში ხელი უნდა გაუყაროთ და ღილებზე შეიკრათ, ტრიბუნაზე ცივა და ადვილი შესაძლებელია გაცივდეთ.

როგორც კი ჟაკმა ბატონი ფემის სიტყვები გაიგონა, მაშინვე მოშორდა ძმას და შიშნარევი მოწიწებით შესციცინა სახეში დირექტორს, თითქოს ცდილობდა გაეგო, რა ფარული მნიშვნელობა იგულისხმებოდა მის სიტყვებში, შემდეგ მყისვე უსიტყვოდ ჩაიცვა პალტო.

— იცი, როგორ გაზრდილხარ?.. — წაიბუტბუტა ანტუანმა.

იგი გაკვირვებით ათვალიერებდა ძმას, ცდილობდა გამოერკვია, რა ცვლილება მომხდარიყო ჟაკის მთელ გარეგნობაში, სიარულში, სახის გამომეტყველებაში, რამაც ანტუანს ასე ერთბაშად ჩაუქრო მთელი აღტყინება.

— ცოტა ხანს ეზოში ხომ არ დარჩებოდით? ისეთი თბილი ამინდია! — შესთავაზა ძმებს დირექტორმა, — ბაღში გავესეირნოთ, შემდეგ კი ჟაკი თავის ოთახში შეგიყვანდათ.

ანტუანი ყოყმანობდა. მან თვალი თვალში გაუყარა ძმას და ჰკითხა:

— გინდა?

ჟაკს თითქოს არც გაეგონოს. ანტუანმა იფიქრა, გამასწორებელი სახლის ფანჯრების წინ ყოფნა, ალბათ, არ ესიამოვნებაო.

— არა, თქვა მან, — გვირჩევნია შენს... ოთახში შევიდეთ, არა?

— როგორც გენებოთ! — წამოიძახა დირექტორმა, — მაგრამ ჯერ ზოგი რამ მინდა დაგათვალიერებინოთ: ჩვენი აღსაზრდელები უნდა გაჩვენოთ. ჟაკ, თქვენც წამოდით!

ჟაკი უკან გაჰყვა ბატონ ფემს, რომელიც ონავარ მოსწავლესავით იცინოდა და იდაყვებგაჩაჩხული მიუძღოდა ანტუანს შესასვლელის კედელთან მოწყობილ მინაშენისკენ; თურმე თორმეტიოდე საბოცვრე უნდოდა ეჩვენებინა. ბატონ ფემს გაგიჟებით უყვარდა პირუტყვთა მოშენება.

— ბოცვერთა ეს ნაყარი ორშაბათს გაჩნდა, — გატაცებით ჰყვებოდა იგი, — და უკვე თვალებს ახელენ, ეს ბაცაცები! აი, ესენი დედლებია, ერთი ამას შეხედეთ, ექიმო, — წაილაპარაკა მან, გალიაში ხელი შეჰყო და შამპანის ჯიშის დიდი, ვერცხლისფერი ბოცვერი ყურით გამოათრია. ბაჭია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხებს აფართხალებდა. — დახეთ! დახეთ! ესეც ერთ-ერთი ჩვენი „თავზეხელაღებული“ გახლავთ.

იგი არ თვალთმაქცობდა. ნამდვილად, გულუბრყვილოდ იცინოდა. ანტუანს გაახსენდა ზემო სართულზე მოწყობილი დორტუარები, სადაც ამ საბოცვრეების მსგავსი რკინის გალია იდგა.

ბატონმა ფემმა თავი მოაბრუნა; სახეზე მიამიტი კაცის ღიმილი ეფინა.

— დალახვროს ეშმაკმა, მე აქ ვლაყბობ, თქვენ კი, როგორც ვხედავ, მხოლოდ ზრდილობის გულისთვის მიგდებთ ყურს, ხომ ასეა? ჟაკის ოთახამდე მიგაცილებთ, მერე კი მარტო დაგტოვებთ. ჟაკ, წინ გაგვიძეხით და გზა გვიჩვენეთ!

ჟაკმა წინ გასწია. ანტუანი წამოეწია და მხარზე ხელი დაადო. მთელი ძალა მოიკრიბა, რათა წარმოედგინა ის გამხდარი, ნერვიული, ტანჩორჩილი ბიჭი, რომელიც შარშან მარსელიდან ჩამოიყვანა.

— ჩემსიმაღლე გამხდარხარ!

მხრიდან ხელი მოაშორა და კეფაზე დაადო, რომელიც ჩიტის წვრილ კისერს წააგავდა. სხეულის ყოველი კიდური ისე წაგრძელებოდა, იტყოდით, საცაა გადატყდებათ. გრძელი ხელები სახელოდან გამოშვეროდა,

შარვალი კოჭებამდე ძლივს წვდებოდა, სიარული დაჭიმული და მოუხეშავი გახდომოდა, თუმცა ამავე დროს რაღაც ახალი, ზამბარისებური, ახალგაზრდული მანერა ეტყობოდა.

განსაკუთრებული აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი კორპუსი დირექციის შენობას ეკვროდა და იქ შესვლამდე ჯერ კანტორა უნდა გაგველოთ. სავსებით ერთნაირი ხუთი ოთახი ჟანგმიწით შეღებილ დერეფანში გადიოდა. ბატონმა ფემმა განაცხადა, რაკი ჟაკი ერთადერთი „განსაკუთრებული" აღსაზრდელია და ამის გამო სხვა ოთახები ცარიელია, ერთ-ერთ ოთახში ჟაკის ზედამხედველი ათევს ღამეს, ხოლო დანარჩენები საკუჭნაოებად გვაქვს გამოყენებულიო.

— აი, ეს გახლავთ ჩვენი პატიმრის საკანი! — თქვა დირექტორმა და ფაფუკი თითით წკიპურტი გაჰკრა ჟაკს, რომელმაც გაშტერებული მზერა მიაპყრო, შემდეგ გვერდზე გადგა და გზა დაუთმო.

ანტუანი გაფაციცებით ათვალიერებდა ოთახს. იგი წააგავდა სასტუმროს უბრალო, მაგრამ სუფთა ნომერს. კედელზე ყვავილებიანი შპალერი გაეკრათ; საკმაოდ ნათელი ოთახი იყო, თუმცა შუქი ზემოდან, ორი მქრქალმინიანი ფრამუგიდან სცემდა, რომელთაც რკინის გისოსები და მავთულის ბადე ეკეთა; ფანჯრები ზედ ჭერზე გამოეჭრათ და ამ მაღალჭერიანი ოთახის იატაკიდან სამი მეტრით იყო დაშორებული. მზე შიგ არ აღწევდა, მაგრამ მაინც ცხელოდა. ადმინისტრაციის კანტორის კალორიფერის წყალობით მეტისმეტადაც კი ცხელოდა. ავეჯი შედგებოდა ფიჭვის კარადის, ორი მოწნული სკამისა და შავი მაგიდისგან, სადაც წიგნები და ლექსიკონები უწესრიგოდ ეყარა. ბილიარდივით ბრტყელ, პატარა ხის საწოლზე უხმარი თეთრი ზეწარი ეფარა. პირსაბანის თასს სუფთა ტილო ეფინა ქვეშ. ხოლო კედელზე რამდენიმე გაქათქათებული პირსახოცი ეკიდა.

ასეთმა გულდასმით დათვალიერებამ სულ დააბნია ანტუანი. ყველაფერი, რაც კი ამ ერთ საათში ნახა, სავსებით ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ელოდა: ჟაკი სხვა აღსაზრდელებისაგან განცალკევებით ცხოვრობდა; მას გულთბილად და პატივისცემით ეპყრობოდნენ, დირექტორი სანდომიანი კაცი ჩანდა და სრულიად არ ჰგავდა ციხის უფროსს. ბატონი ტიბოს ცნობები სინამდვილეს შეეფერებოდა. მიუხედავად მისთვის ჩვეული სიჯიუტისა, ანტუანი იძულებული გახდა უკუეგდო ყოველგვარი ეჭვი.

ერთბაშად შენიშნა, დირექტორი თვალს არ აშორებდა.

— მართლაც დიდებულად მოწყობილხარ! — სწრაფად წაილაპარაკა ანტუანმა და ჟაკს მიუბრუნდა.

ძმამ არაფერი უპასუხა. იგი პალტოსა და ქუდს იხდიდა. ზედამხედველმა მაშინვე ჩამოართვა და საკიდარზე ჩამოჰკიდა.

— თქვენი ძმა გეუბნებათ, კარგად მოწყობილხართო! — გაუმეორა დირექტორმა.

ჟაკი სწრაფად მიბრუნდა მისკენ. ასეთი ზრდილობიანი კარგად აღზრდილი ყმაწვილის მანერები ანტუანს მისთვის არასოდეს შეუმჩნევია.

— დიახ, ბატონო დირექტორო, დიდებულად მოვეწყვე!

— განვიადება საჭირო არაა! — ღიმილით მიუგო დირექტორმა. — უბრალოდ, სისუფთავეს ვადევნებთ თვალყურს, ესაა და ეს! ქების ღირსი მხოლოდ არტურია: — დაუმატა მან და მსახურს შეხედა — საწოლი ისეა დალაგებული, კაცი იტყვის, ინსპექტორის შემოვლას ელოდებიანო...

არტურს სახე გაუბრწყინდა. ანტუანმა თავი ვერ შეიკავა და მეგობრულად გაუღიმა. ლოთარინგიელს მრგვალი თავი, სახის მშვიდი ნაკვთები, სხივგამქრალი თვალები, რაღაც გულწრფელი, მიმზიდველი გამოხედვა და ღიმილი ჰქონდა. იგი კართან იდგა და ულვაშებს იგრეხდა, რომელიც მზემოკიდებული კანის ფონზე თითქმის უფერული ჩანდა.

— „აჰა ის ციხის დარაჯიც, რომელიც ხელში ფარნითა და გასაღებების აცმით ბნელ სარდაფში მოფუსფუსე წარმომედგინა!“ — გაიფიქრა ანტუანმა და უნებურად კიდეც დასცინა თავის თავს. შემდეგ წიგნებთან მივიდა და მხიარულად გადაათვალიერა.

— სალუსტი? ჩანს, ლათინურში წინ წასულხარ! — უთხრა მან ძმას და დამცინავი ღიმილი დიდხანს არ მოშორებია სახეზე.

პასუხი ბატონმა ფემმა გასცა.

— იქნებ, ვცდები, მისი თანდასწრებით რომ გეუბნებით, — ნაბალადევი ჭოჭმანით წამოიწყო მან, ჟაკისკენ თავი გადააქნია და თვალი ჩაუკრა, — მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მასწავლებელი კმაყოფილია მისი მუყაითობით. დღეში ზუსტად... რვა საათს ვმუშაობთ, — განაგრძო მან კატეგორიული ტონით.

შემდეგ კედელზე ჩამოკიდებულ საკლასო დაფასთან მივიდა, შეასწორა, თან ლაპარაკს განაგრძობდა:

— ეს ხელს არ გვიშლის, როგორი ამინდიც უნდა იყოს, — ბატონი მამათქვენი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამას, — ორი საათის განმავლობაში არტურთან ერთად გარეთ ისეირნოს, ერთიც და მეორეც კუნთმაგარი ჭაბუკები არიან და მარშრუტის არჩევანსაც მათ ვანდობ. მოხუც ლეონთან ასე არ იყო: ჩემი აზრით, ისინი შორს არ მიდიოდნენ, სამაგიეროდ, ღობის ძირას სამკურნალო ბალახს აგროვებდნენ, ხომ ასეა? უნდა მოგახსენოთ,

რომ ძია ლეონი ახალგაზრდობაში აფთიაქარის შეგირდი ყოფილა და ათასგვარი მცენარის სახელწოდება იცის ლათინურად. ეს მეტად ყურადსაღებ ი გაკვეთილი გამოდგა ჟაკისთვის მაგრამ მე მაინც მგონია, სჯობს მინდვრებში იხეტიალონ მეტხანს, ჯანმრთელობისთვის ეს უფრო სასარგებლოა.

სანამ ბატონი ფემი ლაპარაკობდა, ანტუანმა რამდენჯერმე გადახედა ძმას. ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ჟაკს სიზმარში ესმის მისი ნაუბარი, დროდადრო თავს ძალას ატანს, ყურადღება რომ დაძაბოსო; ამიტომ სახეზე რაღაც გაურკვეველი შფოთი ეხატა, ბაგე გაპობოდა და ქუთუთოები უთრთოდა.

— დალახვროს ეშმაკმა! გაუთავებლად ვლაყბობ და ვლაყბობ. ჟაკს კი რამდენი ხანია უფროსი ძმა არ უნახავს! — წამოიძახა ბატონმა ფემმა, ფამილარულად აიქნია ხელები და კარს მიაშურა, — თქვენ ალბათ თერთმეტი საათის მატარებელს გაჰყვებით, არა? — ჰკითხა მან ანტუანს.

ანტუანს ამაზე ჯერ არ ეფიქრა, მაგრამ ბატონი ფემის ტონი ყოველგვარ ეჭვს გამორიცხავდა, ამიტომ გასამგზავრებლად მის მიერ შემოთავაზებულ დროზე ახალგაზრდა კაცმა უარი ვერ თქვა. მიუხედავად იმისა, რაც იქ ნახა, ამ უსიცოცხლო ადგილმა და ჟაკის გულგრილობამ გული გაუტეხა. აკი ყველაფერი გაარკვია! ახლა აქ აღარავითარი საქმე არა აქვს!

— დიახ! — თქვა მან, — სამწუხაროდ, ადრე უნდა დავბრუნდე, განმეორებით შემოვლას უნდა მივუსწრო საავადმყოფოში..

— ნურც ინანებთ. საღამომდე სხვა მატარებელი არც იქნება. ნახვამდის.

ძმები მარტო დარჩნენ. ერთხანს უხერხულობა ჩამოვარდა.

— სკამი აიღე! — უთხრა ჟაკმა ანტუანს და საწოლზე დააპირა ჩამოჯდომა, მაგრამ იქვე მეორე სკამი შეამჩნია, გადაიფიქრა და ბუნებრივი ტონით ანტუანს გაუმეორა:

— სკამი აიღე! — თითქოს ეუბნებოდა, დაჯექიო, და თვითონაც დაჯდა.

ანტუანს არაფერი გამოჰპარვია და ეჭვები კვლავ აეშალა.

— ჩვეულებრივ ერთი სკამი გაქვს, არა? — ჰკითხა მან.

— დიახ. მაგრამ არტურმა... თავისი სკამი გვათხოვა, როგორც ყოველდღე, მეცადინეობის დროს აკეთებს ხოლმე.

ანტუანი აღარ ჩააცივდა.

— ოთახი მართლა არა გაქვს ურიგო! — შენიშნა მან და ხელახლა მიმოიხედა ირგვლივ.

შემდეგ სუფთა ზეწრებსა და პირსახოცებზე მიუთითა და ჰკითხა:

— თეთრეულს ხშირად გიცვლიან?

— კვირაობით.

ანტუანი მისთვის ჩვეული მოკლე, ლაღი ფრაზებით ლაპარაკობდა, მაგრამ აქ, კარგი აკუსტიკის მქონე ოთახში, ჟაკის უსიცოცხლო იერის წინაშე, მისი ტონი უკმეხად, თითქმის აგრესიულად გაისმოდა.

— წარმოიდგინე, თვითონაც არ ვიცი, რატომ, სულ მეშინოდა, რომ შენ აქ ცუდად გექცევიან... — თქვა მან.

ჟაკმა გაკვირვებით შეხედა და გაიღიმა. ანტუანი თვალს არ აშორებდა.

— ნურაფერს დამიმალავ! მაშ, მართლა არაფერს უჩივი?

— არაფერს.

— იქნებ გინდა, რაკი აქა ვარ, დირექტორს რაიმე ვთხოვო შენთვის?

— რა უნდა თხოვო?

— რა ვიცი, თვითონ მოიფიქრე.

ჟაკი დაფიქრდა, კვლავ გაიღიმა და თავი გააქნია.

— არა, ხომ ხედავ, ყველაფერი რიგზეა.

ჟაკს ხმაც ისევე შეცვლოდა, როგორც გარეგნობა: ახლა მას მამაკაცური, დუდუნა, დაბალი, სასიამოვნო ტემბრის, თუმცა ოდნავ ყრუ ხმა ჰქონდა, რაც მის ბავშვურ აღნაგობას სრულებით არ ეხამებოდა.

ანტუანი კვლავ შესცქეროდა.

— როგორ გამოიცვალე... არა, კი არ შეიცვალე: სულ სხვა ხარ, სულ სხვა, ყოველმხრივ...

ჟაკს თვალს არ აშორებდა, ცდილობდა მის ახალ გამომეტყველებაში წინანდელი ნაკვთები აღმოეჩინა: იგივე წითური თმა, ოდნავ გამუქებული, თითქმის წაბლისფერი, მაგრამ უწინდებურად ხეშეში და შუბლზე ჩამოყრილი; იგივე თხელი, უფორმო ცხვირი; იგივე დამსკდარი ტუჩები, ქერა, შეუმჩნეველი ბუსუსების ჩრდილი რომ ფარავდა: იგივე დიდი, ოღონდ უფრო გაფართოებული ქვედა ყბა; იგივე გაპარტყუნებული ყურები, მთელ პირს თითქოს განზე რომ სწევდა და მოკუმვის საშუალებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, ეს ნაკვთები არაფრით აგონებდა გუშინდელ ბავშვს, „ტემპერამენტიც კი შეეცვალა თითქოს! — ფიქრობდა ანტუანი, — ნუთუ ეს ის მოძრავი, მოუსვენარი ბიჭია? ახლა მას არაფრისმეტყველი, მთვლემარე სახე აქვს... ნუთუ ეს ის ნერვიული ბიჭია, ახლა რომ ასეთი სისხლნაკლული გამხდარა!“

— აბა ერთი ადექი!..

ამ დათვალიერების დროს ჟაკს თავაზიანი ღიმილი არ შორდებოდა, მაგრამ ეს ღიმილი მის ჩამქრალ მზერას არ აცოცხლებდა, თითქოს თვალები სამუდამოდ დანისლოდა.

ანტუანი ხელებსა და ფეხებს უსინჯავდა.

— როგორ გაზრდილხარ! ასეთი სწრაფი ზრდისგან დაღლილობას ხომ არა გრძნობ?

ჟაკმა თავი გააქნია. ანტუანმა წინ დაიყენა ბიჭი და მაჯაზე ხელი წაავლო. გაცრეცილ კანზე მუქ წინწკლებად ეყარა ჭორფლი; ქვედა ქუთუთოებს სილურჯე რკალავდა.

— სახის ფერი არ მომწონს, — განაგრძო მან სერიოზულად, წარბი შეიჭმუხნა, უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ გაჩუმდა.

ძმის მორჩილმა, არაფრის გამომეტყველმა სახემ უეცრად ის ეჭვები მოაგონა, ეზოში ჟაკის გამოჩენისთანავე რომ აეკვიატა.

— ალბათ გაგაფრთხილეს, რომ წირვის შემდეგ აქ გელოდებოდი, არა? — ჯიქურ იკითხა მან.

ჟაკი ისე უყურებდა, თითქოს ვერაფერს მიმხვდარიყო.

— როცა სამლოცველოდან გამოდიოდი, იცოდა თუ არა, რომ გელოდებოდი? — ჩააცივდა ანტუანი.

— არა, საიდან უნდა მცოდნოდა?

გაოცებული ბიჭი გულუბრყვილოდ იღიმებოდა. ანტუანმაც ხელი აიღო განზრახვაზე:

— ეტყობა, მომეჩვენა.. — წაიბუტბუტა მან, — მოწევა შეიძლება? — იკითხა მან. რათა საუბრის თემა შეეცვალა.

ჟაკმა შეშფოთებით შეხედა და როცა ანტუანმა სათუთუნე გაუწოდა, ნაღვლიანად უთხრა:

— არა. მე არ ვეწევი.

ანტუანმა აღარ იცოდა, რაზე ელაპარაკა. მუდამ ასე ხდებოდა ხოლმე: როცა ისეთ მოსაუბრესთან გინდა მუსაიფის გაბმა, რომელიც პასუხს ძლივს იძლევა, იძულებული ხარ თავს ძალა დაატანო და თითიდან გამოწოვილი შეკითხვები დაუსვა.

— მაშასადამე, მართლა არაფერი გინდა? — კვლავ წამოიწყო მან, — რაც კი გჭირდება, ყველაფერი გაქვს?

— რა თქმა უნდა.

— კარგად გძინავს? საბანი საკმარისი გაქვს?

— ოჰ, დიახ. მეტისმეტადაც კი მცხელა.

— შენი მასწავლებელი როგორია? კარგად გექცევა?

— ძალიან.

არ გბეზრდება ასე მარტოდ, დღედაღამ მეცადინეობა?

— არა.

— საღამოობით რას აკეთებ?

— ვისადილებ თუ არა, მაშინვე ვწვები, რვა საათზე.

— რომელ საათზე დგები?

— ზარის დარეკვისთანავე, შვიდის ნახევარზე.

— მღვდელი თუ მოდის დროდადრო?

— დიახ.

— წესიერი კაცია?

ჟაკმა მიმქრალი თვალები მიაპყრო ანტუანს. შეკითხვის აზრს ვერ მიუხვდა და არცა რა უპასუხნია.

— დირექტორიც შემოდის ხოლმე?

— დიახ. ხშირად.

— სასიამოვნო კაცი ჩანს! უყვართ?

— არ ვიცი. ალბათ, უყვართ.

— შენ არასოდეს ხვდები... დანარჩენებს?

— არასოდეს.

ჟაკი თავჩაქინდრული იჯდა და ანტუანის ყოველ შეკითხვაზე ოდნავ კრთებოდა, ერთი საკითხიდან მეორეზე ასე სწრაფად გადასვლა უჭირდა.

— პოეზია ისევ გიტაცებს? ლექსებს ისევ წერ? — მხიარული ტონით ჰკითხა ანტუანმა.

— ოჰ, არა.

— რატომ?

ჟაკმა თავი გააქნია; შემდეგ მოკრძალებული ღიმილი აუკიაფდა ბაგეზე და ერთხანს ასე დარჩა. ალბათ, ასევე გაიღიმებოდა იგი, ანტუანს რომ ეკითხა, სერსოს თუ თამაშობო.

ანტუანმა საბოლოოდ ამოწურა შეკითხვების მარაგი და გადაწყვიტა დანიელზე ჩამოეგდო სიტყვა. ჟაკი ამას არ მოელოდა; საზე აელეწა.

— საიდან უნდა ვიცოდე მისი ამბავი? — უპასუხა მან. — აქ არავინ იღებს წერილებს.

— კი მაგრამ, შენ თვითონ განა არ წერ?

იგი თვალს არ აშორებდა ძმას, რომელიც ახლაც ისევე იღიმებოდა, როგორც წუთის წინ, როცა ანტუანმა პოეზია უხსენა.

— ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა... ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ...— თქვა მან და მხრები ოდნავ შეათამაშა.

რა უნდოდა ამით ეთქვა? მას რომ ეპასუხნა „არა, მისთვის წერილი ერთხელაც არ მიმიწერიაო", ანტუანი უხეშად შეაწყვეტინებდა, შეარცხვენდა და თანაც ერთგვარ კმაყოფილებასაც იგრძნობდა, რადგან ძმის პასიურობა ნერვებს უშლიდა უკვე. მაგრამ ჟაკმა ისე მტკიცედ და ნაღვლიანად აიცილა თავიდან პირდაპირი პასუხი, ანტუანი გაქვავდა. უცებ შეამჩნია, რომ ჟაკი კარს მიჩერებოდა. ანტუანი ისე დაემორჩილებინა უნებურ სიბრაზეს, ეჭვები ხელახლა გაეღვიძა. კარი, ეტყობოდა, იმიტომ შეეშინათ, გარედან ადვილად დაენახათ, რაც კი ოთახში ხდებოდა; ხოლო კარის თავზე ჩადგმული ბადიანი, ოღონდ შეუმინავი სარკმელი საუბრის მოსმენის საშუალებასაც იძლეოდა.

— ვინმე ხომ არაა დერეფანში? — პირდაპირ ჰკითხა ანტუანმა და ხმას დაუწია.

ჟაკმა გიჟივით შეანათა თვალები.

— სად? დერეფანში? ჰო, ხანდახან დადიან... რატომ მეკითხები? ახლახან ძია ლეონმა გაიარა.

ამ დროს კარს მოაკაკუნეს; ძია ლეონი შემოვიდა. უფროსი ძმის გაცნობა სურდა და შინაურულად ჩამოჯდა მაგიდის კიდეზე.

— აბა, რას იტყვით? — ხომ საღ-სალამათად დაგხვდათ, ჰა? შემოდგომის შემდეგ ხომ დავაკუკაცდა?

იგი იცინოდა. ჩამოშვებული ულვაშებით ძველ გვარდიელს მოგაგონებდათ; დარდიმანდი კაცის სიცილმა ღაწვები აუჭარხლა, წვრილი, წითელი ძარღვებით დაუფარა, რომლებიც განტოტილიყვნენ, თვალის გუგამდე აღწევდნენ და კეთილ, მაგრამ ეშმაკურ თვალებს უმღვრევდნენ.

— აი, მე სახელოსნოში გადამიყვანეს, — თქვა მან და მხრები შეარხია, — მერედა როგორ შევეჩვიე ბატონ ჟაკს! ეჰ, რაც არის, არის... — დაასრულა მან და წამოდგა, — ცხოვრებაზე ჩივილი არ ვარგა... გეთაყვა, ხათრი დამიდეთ და ბატონ ტიბოს ჩემი სალამი გადაეცით, უთხარით, ძია ლეონმა მოკითხვა შემოგითვალათ-თქო: კარგად მიცნობს.

— რა კეთილი მოხუცია! — თქვა ანტუანმა, როცა ლეონი ოთახიდან გავიდა. — თუ გინდა წერილს გადავცემ, — შეწყვეტილი საუბრის აღდგენა დააპირა მან.

მაგრამ, რაკი ჟაკი ვერ მოუხვდა, დაუმატა:

— ნუთუ არ გინდა ფონტანენს ორიოდე სიტყვა მისწერო?

იგი ცდილობდა ღელვის ნატამალი მაინც ამოეკითხა, წარსულის რაიმე გამობახილი მაინც შეემჩნია ჟაკის მშვიდ ნაკვთებში, მაგრამ ამაოდ. ყმაწვილმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ღიმილს ძმისადმი აღარ ელიმებოდა.

— არა, გმადლობთ. არაფერი მაქვს მისაწერი. ხომ გითხარი, ეს ძველი ისტორიაა-მეთქი.

ანტუანი აღარ ჩააცივდა. დაიღალა. თანაც დროც იწურებოდა. ჯიბიდან საათი ამოიღო.

ჟაკი ერთბაშად აფორიაქდა; ეტყობოდა, რაღაცის თქმას აპირებდა. მერე ძმას ჰკითხა, როგორ ხარო. მატარებელი რომელ საათზე გადისო, ისიც ჰკითხა, გამოცდებს როდის აბარებო, და როცა ანტუანი წამოდგა, ჟაკმა ისე ამოიოხრა, უფროსი ძმა დაიბნა.

— უკვე მიდიხარ? ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყავი!

ანტუანმა იფიქრა, ბიჭი ნანობს, ასე გულცივად რომ შემხვდა, და ვინ იცის, იქნებ, ჩემი მოსვლა უფრო გაუხარდა, ვიდრე გამოამჟღავნაო.

— კმაყოფილი ხარ, რომ ჩამოვედი? — უხერხულად წაილუღლუღა მან.

ჟაკის გულისყური თითქოს სხვაგან ფრენდა; შეკრთა, გაოცებული სახე ჰქონდა, ღიმილით მიუგო:

— რასაკვირველია, ძალიან კმაყოფილი ვარ. გმადლობთ.

— შევეცდები კიდევ გინახულო. ნახვამდის — წყენით წაილაპარაკა ანტუანმა.

მან კვლავ ჩახედა თვალებში უმცროს ძმას, მთელი თავისი შორსმჭვრეტელობა დაძაბა და კვლავ მოულბა გული.

— იცი, ბიჭო, ხშირად ვფიქრობ შენზე! შიში მიპყრობს, რომ აქ უბედურად თვლი თავს...

კართან იდგნენ. ანტუანმა ხელი მოჰკიდა:

— ასე რომ იყოს, ხომ მეტყოდი?

ჟაკი შეიშმუშნა. დაიხარა, თითქოს რაღაცის აღიარებას აპირებსო, ბოლოს, უცებ გადაწყვიტა და სხაპასხუპით უთხრა:

— იქნებ რაიმე მიგეცა არტურისთვის, მსახურისთვის... იგი ისეთი თავაზიანია...

და რაკი ანტუანი ხმას არ იღებდა და ყოყმანობდა, დაუმატა:

— მისცემ?

— კი მაგრამ, უსიამოვნება რომ შეგხვდეს?

— არა. არა. წასვლის წინ გულთბილად გამოემშვიდობე და ხელში შეუმჩნევლად ჩაუდე ფეხის ქირა... კარგი?

ჟაკი თითქმის ემუდარებოდა.

— რა თქმა უნდა. ოღონდ მითხარი, სხვა არაფერი გინდა? მიპასუხე... ცუდად ხომ არა გრძნობ თავს?

— ოჰ, არა, არა, — ოდნავ გაგულისებით უპასუხა ჟაკმა, შემდეგ უფრო დაუწია ხმას და ჰკითხა: — რამდენს მისცემ?

— რა ვიცი, რამდენი მივცე? ათი ფრანკი ეყოფა? თუ გინდ ოც ფრანკს მივცემ.

— ჰო, ჰო, ოცი ფრანკი იყოს! — რაღაც ფარული სიხარულით თხოვა ჟაკმა, — გმადლობთ, ანტუან.

და ძმას ხელი მაგრად ჩამოართვა.

ოთახიდან გამოსულ ანტუანს დერეფანში მსახური შეეფეთა. მან ფული უყოყმანოდ აიღო და წრფელი, ჯერ კიდევ ბავშვური სახე კმაყოფილებით აუწითლდა. შემდეგ ანტუანი დირექტორის კაბინეტში შეიყვანა.

— თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლია, — დააზუსტა ბატონმა ფემმა, — საკმაო დრო გაქვთ, ოღონდ მაინც საჭიროა უკვე დაიძრათ.

მათ გაიარეს ვესტიბიული, სადაც ბატონი ტიბოს ბიუსტი მეფურად იდგა; ახლა ანტუანმა ირონიის გარეშე შეხედა მას. უკვე მიხვდა, რატომ მოჰქონდა თავი მამამისს ამ დაწესებულებით, რომელიც მთლიანად მას შეექმნა. ერთბაშად რაღაც სიამაყეც კი იგრძნო, რომ მისი შვილი იყო.

ბატონმა ფემმა ჭიშკრამდე მიაცილა ანტუანი და თხოვა, ღრმა პატივისცემით მომიკითხეთ ბატონი დამფუძნებელიო. ლაპარაკისას ოხუნჯობდა, ოქროს სათვალეს მიღმა თვალებს ჭუტავდა და ანტუანს შინაურულად უჭერდა თავის რბილ, ქალის ხელივით ფაფუკ ხელს; როგორც იქნა, ანტუანმა თავი დააღწია. კაცუნა შუაგულ მზეზე უქუდოდ იდგა შარაგზაზე, იდაყვები გაეჩაჩხა, იცინოდა და მხიარულად თავს აკანტურებდა.

„მკერავი ქალივით ავიშალე ნერვები, — ფიქრობდა ანტუანი გზაზე, — ამ სკოლაში ყველაფერი რიგზე ყოფილა და, რაც მთავარია, ჟაკი მშვენივრად გრძნობს თავს! ყველაზე დიდი სისულელე ისაა, — მოისაზრა მან უცებ, — რომ ამდენი დრო დავკარგე და სასამართლოს გამომძიებელივით ვიბღინძებოდი, ნაცვლად იმისა, რომ მეგობრულად მესაუბრა ბიჭთან". ანტუანი იმასაც ფიქრობდა, ჟაკს არც კი დანანებია ჩემთან დამშვიდობებაო.

„ნაწილობრივ მისი ბრალიცაა, — გაცხარდა იგი, — ისე გულგრილად შეხვდა...“ მიუხედავად ამისა, ნანობდა, უფრო თბილად უნდა მოვქცეოდი, პირველი ნაბიჯი მე უნდა გადამედგა.

ანტუანს მუდმივი საყვარელი არა ჰყოლია და შემთხვევითი შეხვედრებით კმაყოფილდებოდა; მაგრამ ოცდაოთხი წლის ჭაბუკს ზოგჯერ მძიმედ ეკუმშებოდა გული: უნდოდა ვინმე სუსტი არსება შეეკედლებინა, ვინც მხარში ამოუდგომოდა. რაც მეტად შორდებოდა ამ ადგილებს, ძმის სიყვარული მით უფრო ღრმავდებოდა; ვინ იცის, როდისღა ნახავს მას? უბრალოდ საბაბიც რომ ჰქონოდა, უკან დაბრუნდებოდა კოლონიაში.

ანტუანი მზეს თვალს ვერ უსწორებდა და თავჩაქინდრული მიიწევდა წინ. თავი რომ ასწია, შეამჩნია გზას ასცდენოდა. ბავშვებმა მოკლე გზა მიასწავლეს მინდვრის გავლით. ნაბიჯს აუჩქარა. „მატარებელზე რომ დამაგვიანდეს, რა უნდა ვქნა?“ — მხიარულად გაიფიქრა მან. უცებ წარმოიდგინა გამასწორებელ კოლონიაში მისი დაბრუნება: მთელ დღეს ჟაკთან გაატარებდა, თავის სულელურ ეჭვებს გაუმხელდა, არც იმას დაუმალავდა, რომ მამის დაუკითხავად ჩამოვიდა, გულწრფელად. ამხანაგურად მოექცეოდა; გაახსენებდა მარსელიდან დაბრუნებისას ეტლში მათ საუბარს; იმ საღამოს აკი სჯეროდა, კარგი მეგობრები გავხდებითო! მატარებელზე დაგვიანების სურვილი ისე გაუჯდა ძვალსა და რბილში, ნაბიჯიც კი შეანელა, არ იცოდა, რა გადაეწყვიტა. უეცრად ორთქლმავლის წივილი მოესმა; მხარმარცხნივ, მცირე ხევნარს მიღმა, კვამლის ჯიღა ავარდა, ფიქრის დრო აღარ იყო, ანტუანი გაიქცა. სადგურს კარგად ხედავდა. ბილეთი ჯიბეში ჰქონდა, ასე რომ, საკმარისი იყო პირდაპირ ლიანდაგიდან შეხტომოდა რომელიმე ვაგონს. იდაყვები ფერდებზე მიიკრა, თავი უკან გადასწია, წვერიანი ნიკაპი აიქნია და მთელი მკერდით ჩაისუნთქა; იგი მუდამ ამაყობდა თავისი კუნთებით და დარწმუნებულიც იყო, რომ მატარებელს მიუსწრებდა.

მაგრამ რკინიგზის ყრილი ვერ გაითვალისწინა. სადგურზე მისასვლელი გზა, რომელიც პატარა ხიდქვეშ გადიოდა, დაქანებული აღმოჩნდა. ამაოდ ირბინა, ამაოდ დაშვრა, როცა გამოვიდა, მატარებელიც აიძრა სადგურიდან, რადაც ასიოდე მეტრით გაუსწრო.

ანტუანი იმდენად თავმოყვარე იყო, დამარცხება მაინც არ აღიარა; ასე სჯობსო, თავი დაარწმუნა, რომ მომენდომებინა, სატვირთო ვაგონს შევახტებოდიო! სამაგიეროდ, მაშინ სხვა გზა აღარ დამრჩებოდა, ისე წავიდოდი, ჟაკს მეორედ ვეღარ ვნახავდიო, და თავისთავით კმაყოფილი შეჩერდა.

ყველაფერი, რაც მხოლოდ ფიქრში წარმოედგინა, სინამდვილედ ექცა: ფუნდუკში საუზმობა, კოლონიაში დაბრუნება, ძმასთან გატარებული მთელი დღე.

## III

პირველი საათი არ იქნებოდა, როცა ანტუანი ხელახლა „ტიბოს სასწავლებლის“ წინ აღმოჩნდა. ბატონი ფემი ის იყო წასასვლელად ემზადებოდა და ისეთი გაოცებული დარჩა, ერთხანს გაშეშდა კიდეც და სათვალის მიღმა თვალების ხამხამი აუტყდა. ანტუანმა თავისი უიღბლობა მოახსენა. მხოლოდ ამის შემდეგ ახარხარდა ბატონი დირექტორი და მჭევრმეტყველებაც დაუბრუნდა.

ანტუანმა სთხოვა, ჟაკი ნთელი დღით გამოუშვით ჩემთანო.

— ოჰ, დალახვროს ეშმაკმა!.. — წაილაპარაკა შეცბუნებულმა დირექტორმა, — კი, მაგრამ, ჩვენი წესდება ხომ...

მაგრამ ანტუანი ისე ჩააცივდა, მაინც თავისი გაიტანა.

— მაშინ, ბატონ დამფუძნებელს თქვენ თვითონ აუხსენით საქმის ვითარება... ახლავე მოგიყვანთ ჟაკს.

— მეც წამოგყვებით! — უთხრა ანტუანმა.

და მაშინვე ინანა. უდროო დროს მივიდნენ. როგორც კი დერეფანში გავიდა, ანტუანმა ჟაკი დაინახა; იგი ყველას თვალწინ ჩაცუცქულიყო საკუჭნაოში, რომელსაც დირექცია „ვატერს“ უწოდებდა. არტურს ფართოდ გაეღო კარები, თვითონ საგდულს მიყრდნობოდა და ყალიონს აბოლებდა.

ანტუანი სასწრაფოდ შევიდა ჟაკის ოთახში. სახემხიარული დირექტორი ხელებს ისრესდა:

— ხომ ხედავთ, — წამოიძახა მან ბოლოს, — ბავშვებს ისე ვუვლით, აქაც კი არ ვტოვებთ უყურადღებოდ.

ჟაკი შემოვიდა. ანტუანს ეგონა, დარცხვენილი იქნებაო, მაგრამ ბიჭი მშვიდად იკრავდა შარვალს და სახეზეც არავითარი უხერხულობა არ ეტყობოდა. არც ანტუანის დანახვა გაჰკვირვებია თითქოს. ბატონმა ფემმა განუცხადა, სადამოს ექვს საათამდე ნებას გაძლევ ძმასთან ერთად ისეირნოო. ჟაკი თვალებში შეჰყურებდა, იტყოდით, ცდილობს კარგად ჩასწვდეს მისი სიტყვების აზრსო, თუმცა ხმა არ ამოუღია.

— ახლა კი უნდა გავიქცე, მაპატიეთ! — წვრილი ხმით წამოიძახა ბატონმა ფემმა, — მუნიციპალური საბჭოს სხდომა მაქვს. მე ხომ ქალაქის

მერიც გახლავართ! — დაიძახა მან კარებიდან, სიცილით იჭაჭებოდა, თითქოს მეტად სასაცილო რამ ეთქვას; ანტუანსაც გაეღიმა.

ჟაკი ნელა იცვამდა. ანტუანს არ გამოპარვია, რა თავაზიანად აწოდებდა არტური ტანსაცმელს, წაღებიც კი გაუწმინდა; ჟაკიც თითქოს იღერებდა ამ სამსახურს.

ოთახს უკვე დაეკარგოდა ის ლაზათი, რასაც დილით ასე სასიამოვნოდ გააოცა ანტუანი. მიზეზს კი ვერ მიმხვდარიყო. სინი, რომლითაც საუზმე მოეტანათ, ისევ მაგიდაზე იდო: ჭუჭყიანი თეფშით, ცარიელი ტოლჩით, პურის ნამცეცებით. სუფთა თეთრეული სადღაც გამქრალიყო; საკიდარზე ლაქებით დაფარული უხეში რამ ჩვარი ეკიდა; თასის ქვეშ დახეული და ჭუჭყიანი მუშამბის ნაგლეჯი ეფინა; გაქათქათებული ზეწრები ხამი ტილოს დაჭმუჭვნილი ზეწრებით შეეცვალათ. ანტუანს კვლავ აეშალა ეჭვები, მაგრამ გამოკითხვის თავი აღარ ჰქონდა.

— საით წავიდეთ? — მხიარულად ჰკითხა ძმას, შარაგზაზე რომ გამოვიდნენ, — კომპიენში ყოფილხარ? უაზის ნაპირის გასწვრივ თუ ვივლით, დიდი-დიდი სამი კილომეტრის გავლა მოგვიხდება. თანახმა ხარ?

ჟაკი დაეთანხმა. ეტყობა, ცდილობდა უარი არაფერზე ეთქვა ძმისთვის.

ანტუანმა ხელმკლავი გაუყარა და ფეხი აუწყო.

— პირსახოცების შესახებ რას მეტყვი? — გაუცინა ჟაკს.

— პირსახოცების შესახებ? — ჟაკმა კითხვა გაუმეორა, რადგან სათქმელს ვერ მიუხვდა.

— დიახ: დილით, სანამ შენობას მათვალიერებინებდნენ, მოასწრეს და თეთრი ზეწრები დაგიფინეს, ლამაზი, ახალი პირსახოცები ჩამოგიკიდეს. ახლა კი, სამწუხაროდ, იმ დროს დავბრუნდი, როცა არ მელოდნენ და...

ჟაკი შეჩერდა, სახეზე ნაძალადევი ღიმილი ეფინა.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, — დინჯად უთხრა მან აკანკალებული ხმით, — თითქოს ცდილობ, რადაც უნდა დაგიჯდეს, რამე ცუდი აღმოაჩინო ამ სახლში!

გაჩუმდა, წინ გასწია და თითქმის მაშინვე ისევ ალაპარაკდა, მაგრამ უხალისოდ. იტყოდით, ამ უაზრო თემაზე ლაპარაკი მოწყენას ჰგვრისო.

— აქ არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც შენა გგონია: თეთრეულს ყოველი თვის პირველ და მესამე კვირას ცვლიან. არტური ათიოდე დღეა, რაც მემსახურება; მან გასულ კვირას გამოცვალა ზეწრები და პირსახოცები და გადაწყვიტა, რაკი დღეს კვირა იყო, დღესაც გამოეცვალა. მაგრამ თეთრეულის საწყობში, ალბათ, უთხრეს, შეცდიო, და სუფთა საცვლები დააბრუ-

ნებინეს; მომავალ კვირამდე ახალი თეთრეულის მიღების უფლება არა მქონდა.

ჟაკი გაჩუმდა და მინდორს გახედა.

გასეირნება ულაზათოდ დაიწყო. ანტუანი მაშინვე შეეცადა საუბრის თემა შეეცვალა, მაგრამ საკუთარ უგერგილობაზე ბრაზი მოსდიოდა. იგი საშუალებას არ აძლევდა უბრალო, მხიარული ტონით ელაპარაკნა, რაც ასე გულით ეწადა. ანტუანის შეკითხვებს ჟაკი უხალისოდ ჰო და არათი უპასუხებდა. ბოლოს კი, უცებ სთხოვა:

— ანტუან, ძალიან გთხოვ, თეთრეულის შესახებ არაფერი უთხრა დირექტორს, თორემ არტურს მოხვდება ტყუილ-უბრალოდ!

— რასაკვირველია, არ ვეტყვი.

— არც მამას უამბობ, ხომ? — ჩაეძია ჟაკი.

— არხეინად იყავი, არავის არ ვეტყვი. აღარც კი მახსოვს ეს ამბავი. ყური მიგდე, — განაგრძო მან, — თუ გინდა სიმართლეს გეტყვი: წარმოიდგინე, მე თვითონ არ ვიცი, რატომ, მაგრამ თავში ჩავიჭედე, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერაა და შენც კარგად ვერა ხარ...

ჟაკი ოდნავ შემობრუნდა ძმისკენ და სერიოზულად დააკვირდა.

— მთელი დილა აქაურობის გადაქექვას მოვანდომე, — განაგრძო ანტუანმა, — და, როგორც იქნა, მივხვდი, რომ ვცდებოდი. ბოლოს, მოვიმიზეზე, მატარებელზე დამაგვიანდა-მეთქი. არ მინდოდა ისე წავსულიყავი, ცოტა ხნით მაინც არ მესაუბრა შენთან, გესმის?

ჟაკმა არაფერი უპასუხა. ეამებოდა კი ჟაკს ეს მოსალოდნელი საუბარი? ანტუანმა დაბეჯითებით არც ეს იცოდა. შეეშინდა, მცდარ გზას ხომ არ დავადექიო და გაიტრუნა. ფერდობი ნაპირზე ეშვებოდა. ამიტომაც ნაბიჯს აუჩქარეს. მდინარის ტოტს მიუახლოვდნენ, რომელიც სანატორიუმის ტერიტორიაზე ... ბაღიდან რკინის ხიდი გადაეჭიმათ. სამი დიდი, ცარიელი კარჭაპის მაღალი, ყავისფერი კორპუსი წყლის თითქმის უძრავ ზედაპირზე ტივტივებდა.

— კარჭაპით გასეირნება არ გინდა? — მხიარულად ჰკითხა ანტუანმა. — იცი, რა სასიამოვნო იქნება ალვის ხეებს შორის ნელი სრიალი არხზე, შემდეგ რაბებთან შეჩერება; დილის ბურუსი... ხოლო საღამოს, მზის ჩასვლისას დგახარ კარჭაპის კიჩოსთან, პაპიროსს აბოლებ, არაფერზე ფიქრობ, ფეხები წყალზე გადაგიყვია და უდარდელად აქნევ... ერთი ეს მითხარი, შენ კიდევ ხატავ?..

ამჯერად ჟაკი ისე აშკარად შეკრთა, ანტუანმაც კი დაიჭირა და მის გაწითლებულ სახესაც მოჰკრა თვალი.

— რატომ მეკითხები? — იჭვნეულად იკითხა ჟაკმა.

— ისე! — ანტუანს ცნობისმოყვარეობა გაეღვიძა, — სასიამოვნო ნახატი გამოგივიდოდა: სამი კარჭაპი, რაბი, საბიჯელა...

საბაგირო გზა ფართოვდებოდა და შარაგზას ემსგავსებოდა. ძმები ჟაზის მთავარ ტოტს მიუახლოვდნენ, რომლის ადიდებული დინება ტალღებად მოგორავდა მათკენ.

— აგერ კომპიენიც! — თქვა ანტუანმა.

იგი შეჩერდა და თვალები რომ მზისგან მოეჩრდილა, ხელი შუბლზე მიიდო. შორს, მწვანე ფოთოლთა მიღმა, კოშკის მრგვალ, ისრიან სამრეკლოს მოჰკრა თვალი და ის იყო მისი სახელწოდება უნდა ეთქვა, რომ ძმას გადახედა. ჟაკი გვერდით ედგა და თვალები ხელით მოეჩრდილა, თითქოს ჰორიზონტს უკვირდებაო; სინამდვილეში ფეხქვეშ იყურებოდა, იტყოდით, ანტუანს უცდის, როდის განაგრძობს გზასო; იგი მართლაც წავიდა წინ, ოღონდ უსიტყვოდ.

ამ კვირა დღეს, მთელი კომპიენი ქუჩაში გამოფენილიყო. ანტუანი და ჟაკი ხალხს შეერივნენ. დილით, ეტყობოდა, სამხედრო გაწვევა დაეწყოთ; გამოწკეპილი ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად ყიდულობდნენ სამფეროვან ბაფთებს და ხელმკლავგაყრილნი ტროტუარის მთელ სიგანზე მოდიოდნენ, გზას დობავდნენ, ბარბაცებდნენ და ჯარისკაცულ სიმღერებს მღეროდნენ. ღია ფერის კაბებში გამოწყობილ გოგონებსა და ყაზარმებიდან გამოპარულ დრაგუნებს შორის შეამჩნევდით ოჯახებსაც, რომლებიც მთელი შემადგენლობით დასეირნობდნენ მთავარ ქუჩაზე და ერთმანეთს ესალმებოდნენ. გაოგნებული ჟაკი დაბნეული სახით ათვალიერებდა ხალხს და ძალიან ოფლავდა.

— წავიდეთ აქედან, ანტუან... — შეევედრა ბოლოს ძმას.

ანტუანმა და ჟაკმა მთავარი ქუჩის მოედანი გადაჭრეს და ბნელ, წყნარ შესახვევში გადაუხვიეს, რომელიც გორაკისკენ ადიოდა. მალე ისინი მზის სხივებით გაშუქებული სასახლის მოედანზე გავიდნენ. სინათლემ თვალი მოსჭრა ჟაკს და თვალები აახამხამა. ისინი შეჩერდნენ და ჭადრაკულად ჩარგულ ხეებქვეშ ჩამოსხდნენ, სადაც ჩრდილი ჯერჯერობით არ აღწევდა.

— ყური დაუგდე! — უთხრა ჟაკმა ძმას და მუხლზე დაადო ხელი.

სენ-ჟაკის ეკლესიაში მწუხრის ზარი გაისმა; მისი წკრიალი თითქოს მზის შუქს უერთდებოდა და ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნიდა.

ანტუანმა იფიქრა, ბიჭი გაზაფხულის ამ პირველმა კვირამ მისდაუნებურად გააბრუაო, ამიტომაც გაბედა და ჰკითხა:

— რამ ჩაგაფიქრა, ძმობილო?

პასუხის ნაცვლად ჟაკი წამოდგა. ძმებმა უხმოდ გასწიეს პარკისკენ.

ჟაკი პეიზაჟის სილამაზეს ყურადღებას არ აქცევდა, ეტყობოდა, მხოლოდ იმასღა ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ხალხს. სასახლის ირგვლივ, ბალუსტრადიან ტერასაზე გამეფებული სიჩუმე იზიდავდა ყმაწვილებს. ანტუანი უკან მიჰყვებოდა და შეუსვენებლივ ლაპარაკობდა: ლაპარაკობდა ყველაფერზე, რასაც კი გარშემო ხედავდა: ბზის შეკრეჭილ ბუჩქებზე, რომლებიც მდელოთა წწვანე ფონზე მკვეთრად გამოიყოფოდა, ქანდაკებებზე შემომსხდარ გარეულ მტრედებზე, მაგრამ მის საუბარს ჟაკი კანტი-კუნტად თუ გამოეხმაურებოდა.

— მას თუ ელაპარაკე? — ჰკითხა ჟაკმა ერთბაშად.

— ვის?

— ფონტანენს.

— როგორ არა! ლათინურ კვარტალში შევხვდი. ალბათ, გეცოდინება, ახლა იგი ლუი ლე გრანის ლიცეუმში სწავლობს ექსტერნად.

— მართლა? — თქვა ჟაკმა და შემკრთალი ხმით, რომელშიც პირველად ამდენი ხნის შემდეგ, მისთვის დამახასიათებელი მუქარა იგრძნობოდა, დაუმატა:

— ხომ არ გითქვამს, სადა ვარ?

— არ უკითხავს. რატომ მეკითხები? არ გინდა, იცოდეს?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ.

— სერიოზული მიზეზი გქონია! ასეთი მიზეზები ბლომად გაქვს?

ჟაკი გაშტერებული სახით უყურებდა: ანტუანის ხუმრობას ვერ მიმხვდარიყო. შემდეგ, სახემოღუშულმა გზა განაგრძო.

— ჟიზმა? მან თუ იცის? — იკითხა მან უცებ.

— რა? შენი ადგილსამყოფელი? არა, არა მგონია, თუმცა ბავშვებს რას გამოაპარებს კაცი..

ანტუანი მოერიდა ჟაკის წამოწყებულ თემას და განაგრძო:

— ზოგჯერ დასრულებული ქალიშვილივით იქცევა, დააჭყეტს თავის ლამაზ თვალებს და უსმენს ყველაფერს, რასაც ჰყვებიან. ზოგჯერ კი მთლად ბალღია. დაიჯერებ? გუშინ საღამოს მადმუაზელმა მის ძებნაში მთელი სახლი გადააბრუნა. ის კი თურმე ვესტიბიულში მაგიდის ქვეშ შეცუცქულიყო და თოჯინით ერთობოდა. სადაა თერთმეტისა გახდება!

ძმები გლიცინიის ფანჩატურთან მივიდნენ; ჟაკი იქვე, დაწინწკლული ვარდისფერი მარმარილოს სფინქსის გვერდით შეჩერდა კიბის ძირას და

მჭეზე ალაპლაპებულ მის შუბლს ხელი გადაუსვა. იქნებ, ჟიზზე ან მადმუაზელზე ფიქრობდა? იქნებ, ვესტიბიულში დადგმული ძველი მაგიდა, მასზე გადაფარებული ფოჩიანი სუფრა და სადარბაზო ბარათების ვერცხლის სინი გაახსენდა? ყოველ შემთხვევაში, ანტუანს ასე ეგონა.

— დალახვროს ეშმაკმა! — მხიარულად განაგრძო მან. — პირდაპირ ვერ გამიგია, ამდენი აზრები საიდან უჩნდება თავში?! ჩვენს სახლში ხომ ძალიან ძნელია ბავშვი მხიარული იყოს! მადმუაზელი აღმერთებს, მაგრამ შენც ხომ იცი, როგორია: ყველაფრის ეშინია, ყველაფერს უკრძალავს, წუთით არ იშორებს გვერდიდან...

მას გაეცინა და თანამზრახველის სილაღით შეხედა ძმას, რადგან გრძნობდა, მათი ოჯახის ეს წვრილმანები მეტად ძვირფასი იყო ორივესთვის, მხოლოდ მათთვის ჰქონდა რაღაც აზრი და კვლავაც ასეთი ერთადერთი, უბადლო დარჩებოდა: დარჩებოდა ბავშვობის მოგონებად! მიუხედავად ამისა, ჟაკმა ნაძალადევი, გაცრეცილი ღიმილით უპასუხა.

ანტუანი მაინც განაგრძობდა ლაპარაკს:

— გარწმუნებ, სუფრასთანაც მოწყენილობაა ჩვენთან. მამა ან დუმს ან კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვას უმეორებს მადმუაზელს, ან არადა დაწვრილებით ჰყვება, რა გააკეთა იმ დღეს. სხვათა შორის, მის კანდიდატურას კარგი პირი უჩანს აკადემიაში!..

— მართლა? — წამოსცდა ჟაკს და მისი სახის მკაცრ ნაკვთებს ოდნავი სირბილე დაეტყო. მერე წამით დაფიქრდა და გაიღიმა:

— მით უკეთესი!

— მეგობრები მხარში ამოუდგნენ! — ჰყვებოდა ანტუანი. — აბატი განსაცვიფრებელი კაცია! ოთხივე აკადემიაში ჰყოლია ნაცნობები. არჩევნები სამიოდე კვირაში დაიწყება.

ანტუანი აღარ იცინოდა.

— მართალია, დიდი არაფერია, — წაიჩურჩულა მან, — მაგრამ აკადემიკოსობა მაინც ნიშნავს რაღაცას! რაც მთავარია, მამამ კიდეც დაიმსახურა. შენ რას იტყვი?

— ო, რა თქმა უნდა! — გულუბრყვილოდ წამოიძახა ჟაკმა. — იცი, მამა ბუნებით კეთილი კაცია...

იგი შეჩერდა, გაწითლდა, უნდოდა რაღაც დაემატებინა, მაგრამ ვერ გაბედა.

— ვუცდი, სანამ მამა აკადემიაში მტკიცედ მოიკიდებს ფეხს, მერე კი სახელმწიფო გადატრიალებას მოვაწყობ. — გამოცოცხლდა ანტუანი, — დერეფნის ბოლოს რომ ოთახი მაქვს, აღარ ვეტევი შიგ; წიგნების აღკილიც

არ მყოფნის. ალბათ იცი, ჟიზს შენი ოთახი დაუთმეს. მინდა მამა დავიყოლიო და პატარა ბინა ვაქირავებინო პირველ სართულზე, ალბათ გახსოვს, ერთი ბებერი ფრანტი რომ ცხოვრობს; ამ თვის თხუთმეტში ცლის ბინას: იქ სამი ოთახია; ნამდვილი სამუშაო კაბინეტი მექნებოდა, ავადმყოფებს მივიღებდი... ხოლო სამზარეულოში პატარა ლაბორატორიასაც კი მოვაწყობდი...

უეცრად შერცხვა, თავისუფალი, კომფორტის მოყვარული ადამიანის გეგმები ასე რომ გადაუშალა პატარა განდეგილს. მხოლოდ ახლა მოიფიქრა, რომ ჟაკის ოთახი ისე ახსენა, თითქოს ბიჭი არასოდეს დაბრუნდებოდა იქ. ამიტომ გაიტრუნა. ჟაკს კვლავ გულგრილობა ეხატა სახეზე.

— იქნებ წავვესაუზმა? — ყურადღების გადასატანად უთხრა ანტუანმა. — ალბათ, მოგშივდებოდა!

ჟაკთან რაიმე ურთიერთობის აღდგენის ყოველგვარი იმედი დაჰკარგვოდა.

ქალაქში დაბრუნდნენ. ხალხმრავალი ქუჩები ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა. საშაქარლამოები გაჭედილი იყო, ჟაკი ტროტუარზე შეჩერდა და თვალი ვერ მოსწყვიტა ხუთ სართულად დახვავებულ მოსარკულ ნამცხვრებს, საიდანაც კრემი მოწვეთავდა; ამის დანახვაზე ბიჭს თითქოს სუნთქვა შეეკრა.

— შედი! — ღიმილით უთხრა ანტუანმა.

და როცა უფროსმა ძმამ ნამცხვრიანი თეფში მიაწოდა, ჟაკს ხელები უკანკალებდა. ისინი მაღაზიის სიღრმეში დასხდნენ და არჩეული ნამცხვრის პირამიდა წინ დაიდგეს. ვანილისა და თბილი ცომის სუნი მოდიოდა სამზარეულოს შეღებულ კარიდან. ჟაკი მოდუნებული იჯდა სკამზე და გაწითლებული თვალებით, თითქოს სატირლად ემზადებაო, უხმოდ და სწრაფად შეექცეოდა; შეჭამდა, შეჩერდებოდა, ელოდა, სანამ ანტუანი ხელახლა გადაუღებდა ნამცხვარს და კვლავ განაგრძობდა ჭამას. ანტუანმა ორი პატარა ჭიქა პორტვეინი შეუკვეთა. ჟაკს ისევ უკანკალებდა ხელები, ჭიქა მაინც ჩამოართვა, ტუჩთან მიიტანა, დასპირტულმა ღვინომ ყელი ჩასწვა და დაახველა. ანტუანი ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს და ისე ეჭირა თავი, თითქოს ძმას ყურადღებას არ აქცევდა. ჟაკი გათამამდა, ხელახლა მოსვა, იგრძნო ღვინის წვეთები ცეცხლის ბურთულასავით ჩაუსრიალდა ყელში. ერთი ყლუპიც მოსვა, შემდეგ ბოლომდე დაცალა. და როცა ანტუანმა მეორედ აუვსო ჭიქა, თითქოს ვერ შეამჩნია, და მხოლოდ მაშინ აუქნია ხელი, ნუ მისხამო, როცა ჭიქა აივსო.

საშაქარლამოდან რომ გამოვიდნენ, მზე დასავლეთით გადახრილიყო, სიცხეც მინელებულიყო; მაგრამ ჟაკი ამას ვერც გრძნობდა: ლოყები უხურდა, მთელ ტანში ისეთი უჩვეულო ნეტარება უვლიდა, თითქმის იტანჯებოდა.

— სამი კილომეტრი გვაქვს გასავლელი, — უთხრა ანტუანმა, — დროა დავბრუნდეთ.

ჟაკი კინაღამ ატირდა. მოკუმული მუშტები ღრმად ჩაიწყო ჯიბეში, კრიჭაშეკრულს თავი ჩაექინდრა. ანტუანი მალულად აკვირდებოდა და ისეთი ცვლილება რომ დაატყო მის ნაკვთებს, შეეშინდა:

— ხომ არ დაიღალე? — ჰკითხა ძმას.

ძმის ხმაში ჟაკმა უჩვეულო სითბო იგრძნო; ვერაფერი უპასუხა, ოღონდ დაძაბული სახე მისკენ მიაბრუნა და თვალები ცრემლებით აევსო. გაოგნებული ანტუანი ჩუმად მიჰყვებოდა, მაგრამ როცა ქალაქს გასცდნენ და ხიდზე გავიდნენ, ხელმკლავი გაუყარა.

— კრუიში ყოველდღიური სეირნობა ხომ არ გაგახსენდა? — ღიმილით ჰკითხა მან.

ჟაკმა არაფერი უპასუხა. მაგრამ ძმის ყურადღებამ, მისმა თბილმა ხმამ, თავისუფლების ბურანმა, რომელიც აგერ რამდენიმე საათია თავბრუს ახვევდა... ამ პორტვეინმა, ამ თბილმა, ნაღველის მომგვრელმა ნაშუადღევმა, ამდენმა ღელვამ ერთბაშად მოტეხა: იგი აქვითინდა. ანტუანმა მკლავი მოხვია, ფერდობზე დასვა და გვერდით მიუჯდა. იგი აღარ ცდილობდა ეპოვნა ჟაკის ცხოვრებაში ბნელით მოცული საიდუმლოებები; სამაგიეროდ, გულზე მოეშვა, რაკი ასე ერთბაშად გაქრა ის გულგრილობა, რომელსაც დილიდან ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა.

უკაცრიელ ნაპირზე მარტოკანი აღმოჩნდნენ. მათთან იყო მხოლოდ მოდუდუნე წყალი, დაბურული ცა, სადაც მზის უკანასკნელი ათინათი ქრებოდა. წინ, წყლის ზედაპირზე ჯაჭვით მიბმული ნავი ირწეოდა და გამხმარ ლერწამს აშრიალებდა. მაგრამ დიდხანს ვერ დარჩებოდნენ აქ, წინ შორი გზა ედოთ. ანტუანი შეეცადა გამოლაპარაკებოდა ჟაკს:

— რამ დაგაღონა? რატომ ტირი?

ჟაკი უფრო მიეკრო.

ანტუანი ცდილობდა გაეხსენებინა ის სიტყვები, რამაც ცრემლები მოჰგვარა ბავშვს.

— შენი ყოველდღიური სეირნობა რომ მოგაგონდა, ამიტომ ატირდი?

— ჰო, — მიუგო ბიჭმა მხოლოდ იმისთვის, რომ რაიმე ეთქვა.

— კი მაგრამ, რატომ? — ჩააცივდა ანტუანი, — მაინც საღ სეირნობ კვირა დღეს?

დუმილი.

— არტურთან სეირნობა არ გიყვარს?

— არა.

— მერედა რატომ არაფერს მეტყვი? თუკი მოხუცი ლეონი გენატრება, ამაზე ადვილი რა არის...

— ოჰ, არა! — მოულოდნელი სიჯიუტით შეაწყვეტინა ჟაკმა. შემდეგ წელში გასწორდა და ისეთი ბრაზიანი, ისეთი მრავლისმეტყველი, ისეთი ურყეული გამომეტყველება დაეტყო სახეზე, რომ ანტუანი გაშეშდა.

თითქოს ერთ ადგილას გაჩერება უჭირსო, ჟაკი წამოდგა, დიდი ნაბიჯებით გასწია წინ და ძმაც თან გაიყოლია. ანტუანს ეშინოდა, რაიმე შეცდომა არ ჩავიდინოო, მაგრამ, მისი აზრით, ჭრილობისთვის უფრო ცარითოდ უნდა გაეხსნა პირი, და ხელახლა წამოიწყო მისი დაკითხვა.

— მაშ, არც ძია ლეონთან მოგწონს სეირნობა?

ჟაკი ფართოდ გახელილი თვალებით, პირმოკუმული, უსიტყვოდ მიაბიჯებდა.

— კი მაგრამ, ძია ლეონი თითქოს ალერსიანად გექცეოდა? — გაბედა და კვლავ ჩაეკითხა ანტუანი.

ისევ დუმილი. ანტუანს შეეშინდა, ჟაკი კვლავაც არ ჩაიკეტოს თავის თავშიო და ხელმკლავის გაყრა დაუპირა, მაგრამ ბიჭმა ხელი გაითავისუფლა და ნაბიჯს აუჩქარა. ანტუანი დაიბნა, მაინც მისდევდა, აღარ იცოდა, როგორ მოეპოვებინა მისი ნდობა; სწორედ ამ დროს ჟაკს გულამოსკვნილი ქვითინი წასკდა, ნაბიჯი შეანელა, ძმისკენ თავი არ მიუბრუნებია და ასლუკუნდა:

— არავის უთხრა, ანტუან, გესმის, არავისთან არაფერი დაგცდეს... ძია ლეონთან არასოდეს მისეირნია. თითქმის არ მისეირნია...

თქვა და გაჩუმდა. ანტუანმა გამოკითხვა დაუპირა, მაგრამ გუმანით მიხვდა, კრინტი არ უნდა დაეძრა. მართლაც, ჟაკი ენის ბორძიკით, ხრინწიანი ხმით თვითონ ალაპარაკდა:

— პირველ ხანებში ვსეირნობდით... სწორედ ამ სეირნობისას მიამბო... ათასი სისაძაგლე. წიგნებსაც მაძლევდა... მე წარმოდგენაც არ მქონდა, ასეთი რამ თუ არსებობდა! შემდეგ შემომთავაზა. თუ გინდა წერილებს გაგიგზავნიო... აი სწორედ მაშინ მივწერე დანიელს. ამ დილით მოგატყუე: დიახ, მივწერე... მაგრამ მარკის ფული არ მქონდა, ჰოდა, მაშინ... რომ

იცოდე! მან შემამჩნია, რომ ხატვა მეხერხებოდა... გამიგე? ამიხსნა. როგორ უნდა მოვქცეულიყავი... სამაგიეროდ, დანიელის წერილებისთვის მარკებს ყიდულობდა. საღამოობით ჩემს ნახატს ზედამხედველებს აჩვენებდა, ყველანი ახალ-ახალ ნახატებს ითხოვდნენ, უფრო რთულს, უფრო თავსამტვრევს... იმ დღიდან მოკიდებული, ძია ლეონი აღარაფერს ერიდებოდა და ჩემს გასეირნებაზე სულაც აიღო ხელი. ინის ნაცვლად, რომ მინდორში წავსულიყავით, კოლონიას უკანა მხრიდან ვუვლიდით და სოფლად მივყავდი... ბიჭები უკან მოგვდევდნენ... ჩვენ ჩიხში გავუხვევდით და უკანა ეზოდან სამიკიტნოში შევდიოდით. აქ იგი სვამდა, კარტს თამაშობდა და. რა ვიცი, რას არ აკეთებდა; სანამ იქ იჯდა, მე... სამრეცხაოში მამწყვდევდნენ... და თავზე ძველ საბანს მახურავდნენ.

— გმალავდნენ?

— ჰო... ცარიელ სამრეცხაოში, გასაღებით ჩაკეტილ სამრეცხაოში... ორი საათის განმავლობაში...

— კი მაგრამ, რატომ?

— არ ვიცი. გესმის, მედუქნეებს, ალბათ, ეშინოდათ. ერთხელ, სამრეცხაოში თეთრეული გაეფინათ გასაშრობად, ამიტომ მე დერეფანში დამსვეს. მედუქნის ცოლმა თქვა... თქვა...

ჟაკი გულამოსკვნილი ქვითინებდა.

— რა თქვა?

— თქვა... ვერაფერს გაუგებს კაცი ამ ყა... ლთ...ის ნაშიერსო?

ტირილისაგან ბიჭი ძლივს ლუღლუღებდა.

— ვის ნაშიერსო? — ჩაჰკითხა ანტუანმა და მისკენ დაიხარა.

— ...ყ... ყალთაბანდის ნაშიერსო.. — როგორც იქნა, დაამთავრა ბიჭმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა აქვითინდა.

ანტუანი ყურს უგდებდა; უნდოდა დაწვრილებით გაეგო ყველაფერი. სიბრალულიც კი გაუქრა ერთხანს.

— მერე, რა მოხდა მერე? — ჰკითხა მან. — მიამბე!

ჟაკი ერთბაშად შეჩერდა და მკლავზე ჩამოეკიდა ძმას:

— ანტუან, ანტუან, — დაიყვირა მან, — დაიფიცე, რომ არავის არაფერს ეტყვი! დაიფიცე! ეს რომ მამამ გაიგოს... მამა კეთილი კაცია, და ეს ამბავი გულს მოუკლავს... მისი ბრალი არაა, თუ ჩვენი თვალით არ უყურებს ყოველივეს..

შემდეგ უცებ წამოიყვირა:

—მაგრამ, შენ, ანტუან, შენ... არ მიმატოვო, ანტუან, არ მიმატოვო!

— არა, ბიჭო, არა! დამიჯერე, მე შენთან ვარ... არაფერს არ ვიტყვი და მუდამ ისე მოვიქცევი, როგორც შენ მოისურვებ. ოღონდ დაწვრილებით მიამბე ყველაფერი.

და რაკი ჟაკს ლაპარაკის გაგრძელება ვერ გაებედა, თვითონ ჰკითხა:

— გცემდა?

— ვინ?

— ძია ლეონი.

— არა.

იგი ისე გააოცა ანტუანის შეკითხვამ, თავი ვერ შეიკავა და თვალცრემლიანს გაეცინა.

— ხომ არ გცემენ?

— ოჰ, არა.

— მართალს ამბობ? არავის, არასოდეს არ უცემიხარ?

— ოჰ, არა, არავის.

— მერე, მერე? მოჰყევი!

დუმილი.

— ახალი ზედამხედველი, არტური? ცუდი კაცია?

ჟაკმა თავი გააქნია.

— მაშ, რაშია საქმე? ისიც კაფეში დადის?

— არა.

— მასთან ერთად ხომ სეირნობ?

— კი.

— მაშ რას უსაყვედურებ? უხეშად გექცევა?

— არა.

— მაშ? არ მოგწონს იგი?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ.

ანტუანი შეყოყმანდა.

— კი მაგრამ, დალახვროს ღმერთმა, რატომ არ ჩივი? — ჰკითხა მან ბოლს, — დირექტორს რატომ არ ეტყვი ყველაფერს?

ჟაკი შეცივნულივით კანკალებდა, ანტუანს ეკვროდა და ევედრებოდა:

— არა... არა... ანტუან, შენ ხომ დამიფიცე, ხომ დამიფიცე, არაფერს ვიტყვით. არაფერს, არაფერს, არავის!

— ჰო, ჰო! როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცევი. მე მხოლოდ გეკითხები: დირექტორთან რატომ არ უჩივლე-მეთქი ძია ლეონს?

ჟაკმა თავი გააქნია, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

— იქნებ, გგონია, დირექტორმა ყველაფერი იცის და ითმენს? — უკარნახა ანტუანმა.

— ოჰ, არა.

— საერთოდ, რა აზრისა ხარ დირექტორზე?

— არავითარი აზრის არა ვარ.

— როგორ გგონია, სხვა ბავშვებს ცუდად ექცევა?

— არა. საიდან მოიტანე?

— გარეგნულად სასიამოვნო კაცი ჩანს... მართალი გითხრა, დავიბენი: ძია ლეონიც სასიამოვნო კაცი მეგონა! დირექტორის აუგისთვის ხომ არ მოგიკრავს ყური?

— არა.

— ზედამხედველებს თუ ეშინიათ მისი? მაგალითად, ძია ლეონს, არტურს, ეშინიათ მისი?

— ჰო, ცოტათი ეშინიათ.

— რატომ?

— არ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ დირექტორია.

— კი მაგრამ, შენ? შენს მიმართ ხომ არაფერი ცუდი არ შეგიმჩნევია?

— რა უნდა შემემჩნია?

— როცა შენთან შემოდის, როგორ გექცევა?

— რა ვიცი!

— გულწრფელად ლაპარაკს ვერ გაუბედავ?

— ვერა.

— შენ რომ მისთვის გეთქვა, ძია ლეონი, იმის ნაცვლად, რომ მასეირნოს კაფეში დადის, ხოლო მე სამრეცხაოში მმალავსო, როგორ ფიქრობ, რას იზამდა?

— ძია ლეონს გააგდებდა! — შიშით უპასუხა ჟაკმა.

— მაშ, რაღა გიშლიდა ხელს? გეთქვა ყველაფერი!

— რა ვიცი, ანტუან!

ანტუანს ძალა აღარ ჰყოფნიდა გაეხსნა მზაკვრობის ეს ხლართი, რომელიც ჟაკს ხელ-ფეხს უბორკავდა.

— ნუთუ არ გინდა მითხრა, რა გიშლის ხელს? იქნებ, შენ თვითონ არ იცი?

— მათ... ხელთ აქვთ ნახატები... რომელზედაც ძალით... მომაწერინეს ხელი. — წაიჩურჩულა ჟაკმა და თავი ჩაქინდრა.

იგი ყოყმანობდა, დუმდა, მაგრამ მალე ერთბაშად დაუმატა:

— მარტო ამაში არაა საქმე! ბატონ ფემს ვერაფერს ეტყვი, იმიტომ, რომ იგი დირექტორია. გესმის? — დაასრულა მან მოქანცული, მაგრამ წრფელი ხმით.

ანტუანი აღარ ჩასციებია. თავის თავს აღარ ენდობოდა, ეშინოდა, ჩვეულებისამებრ, მეტისმეტად ღრმა და სწრაფად არ მიმხვდარიყო ყველაფერს.

— კარგად მაინც მუშაობ? — ესღა ჰკითხა მან.

რაბი გამოჩნდა კარჭაპებით, რომელთა სარკმლები უკვე განათებული იყო. ჟაკი კვლავ თავჩაქინდრული მიდიოდა.

— მაშასადამე, სწავლის საქმეც ცუდადაა? — გაუმეორა ანტუანმა.

ჟაკი ისე დაეთანხმა, თავი არ აუღია.

— აკი დირექტორი ამბობს, მასწავლებელი კმაყოფილიაო?

— იმიტომ, რომ მასწავლებელი ასე ეუბნება.

— კი მაგრამ, რატომ იტყოდა, თუკი ასე არაა?

ჩანდა, ჟაკს უჭირდა ამ დაკითხვის მნიშვნელობის გაგება.

— გესმის რაშია საქმე? — წამოიწყო მან უხალისოდ, — მასწავლებელი მოხუცია: იგი არც მთხოვს, ვიმეცადინო, მას უთხრეს, უნდა იაროო, და ისიც დადის, მორჩა და გათავდა. მშვენივრად იცის, რომ არავინ შეამოწმებს. თვითონაც კმაყოფილია: ჩემი ნაწერების გასწორება არ უხდება! ერთი საათით მოდის ჩემთან, ვმუსაიფობთ, ტოლივით მექცევა, მიამბობს კომპიენზე, თავის მოწაფეებზე და ამასობაში დროც იწურება... დალხენილი ცხოვრება არც მას აქვს... მიამბო, ერთი ქალიშვილი ჰყოლია, რაღაც ტკივილები ჰქონია მუცელში და წამდაუწუმ ეჩხუბება თურმე მის ცოლს — მეორედ დაქორწინებულა; ვაჟიც ჰყავს, ადიუტანტი ყოფილა, მაგრამ ვიღაც მოლარე ქალს გადაჰკიდებია, ვალებში ჩავარდნილა და სამსახურიდან დაუთხოვიათ... ამას გარდა, ორივეს ისე გვიჭირავს თავი, თითქოს გაკვეთილებიცა და რვეულებიც სრულ წესრიგში გვაქვს, სინამდვილეში კი არაფერს ვაკეთებთ...

ჟაკი გაჩუმდა. საპასუხოდ ანტუანმაც ვერაფერი უთხრა. იგი მოკრძალებას გრძნობდა ამ ბავშვის წინაშე. რომელსაც ცხოვრებაში ამდენი გამოცდილება მიეღო უკვე, თანაც, შესაკითხიც აღარაფერი დარჩენოდა. ბიჭი მონოტონურ, დაბალ ხმაზე კვლავ ალაპარაკდა, მაგრამ სიტყვების ამ ქაოსში ვერც თავს გაუგებდით, ვერც ბოლოს და ვერც იმას გამოიცნობდით, ამდენი ხნის გულჩათხრობილობის შემდეგ, ძმას რატომ გაუხსნა გული ასე ერთბაშად?

— წყალნარევი ღვინისა არ იყოს... იმ შეფერადებულ წყალს შათ ვუტოვებ. გესმის? ჯერ ძია ლეონმა მთხოვა, დავუთმე: ან რად მინდოდა, დოქის წყალიც საკმარისია ჩემთვის... ოღონდ, გული გამიწყალეს, წამდაუწუმ დერეფანში წრიალებენ. ფოსტლები აცვიათ და ისე წამოგეპარებიან, ვერაფერს გაიგებ! ზოგჯერ გული გადამიტრიალდება ხოლმე, მაგრამ შიში კი არაა მთავარი, უბედურება ისაა, ნაბიჯი ვარ გადაგიდგამს, რომ არ შეგიმოწმონ ყველაფერი, სულ გითვალთვალებენ და გითვალთვალებენ... ერთი შეხედვით, თითქოს სულ მარტო ვარ, სინამდვილეში კი არასოდეს, გესმის, არც სეირნობისას, არც არსად, მარტო არ მტოვებენ! ვიცი, ყოველივე ეს წვრილმანია, მაგრამ როცა ამას ბოლო არ უჩანს, ვერ წარმოიდგენ, როგორ მოქმედებს ნერვებზე, — იტყვი, მეტის ატანა აღარ შემიძლიაო... ყოფილა დღეები, როცა მინდოდა საწოლქვეშ შევმძვრალიყავი და ტირილით გული მომეჯერებინა... არ გეგონოს, თითქოს ტირილი მინდოდა, არა! საერთოდ, მინდოდა ისე მეტირა, **არავის დავენახე.** აიდე თუგინდ შენი ჩამოსვლის ამბავი. ამის შესახებ სამლოცველოში მითხრეს. დირექტორმა მდივანი გამოგზავნა, შემამოწმეს როგორ ვიყავი ჩაცმული, და რაკი უქუდოდ წამოვედი, ქუდი და პალტო მომირბენინეს... არ იფიქრო, თითქოს ეს იმიტომ გააკეთეს, შენი გაცურება უნდოდათ, ანტუან, არა! სრულიადაც არა: ასეთი წესი აქვთ, მორჩა და გათავდა! ასევე იქცევიან ორშაბათობით, ყოველი თვის პირველ ორშაბათს, როცა მამა ჩამოდის საბჭოს სხდომაზე. ცდილობენ, კმაყოფილი დარჩეს... ან თუნდაც თეთრეულის ამბავი აიღე: ის სუფთა თეთრეული, რაც შენ დილით ნახე, მუდამ ჩემს კარადაშია შენახული... და თუკი ვინმე მოვა ჩემს სანახავად, გამოაფენენ, რომ ოთახს ლაზათი მისცეს... ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მე ჭუჭყიან საცვლებზე მძინავს, არა, ხშირადაც მიცვლიან და, თუ დამატებით პირსახოცს მოვითხოვ, კიდევაც მომცემენ, მაგრამ ასეთი ჩვეულებაა აქ, გესმის? უცხო კაცს ლამაზად უნდა დახვდეს ყველაფერი... მე ვცდილობ, ამ ამბებს რომ გიყვები ანტუან: ვინ იცის, ისეთი რამ წარმოიდგინო, რასაც ადგილი არა აქვს. გარწმუნებ, არაფერს ვუჩივი: მე აქ ძალიან სუსტ რეჟიმში ვყავარ, არავითარ უსიამოვნებებს არ მაყენებენ, პირიქით. მაგრამ სწორედ ეს ლმობიერებაა, რომ... გესმის?.. ამას გარდა, უსაქმურობაც მიჭირს! მთელი დღე მიჯაჭვულივით ზიხარ და არაფერს, სრულიად არაფერს არ აკეთებ! პირველ ხანებში ყოველი საათი ისე ჭიანურდებოდა, ვერც კი წარმოიდგენ! მერე, საათის მექანიზმი გავტეხე და იმ დღიდან, უკეთ წავიდა საქმე, ახლა თითქმის შევეჩვიე ამ უსაქმურობას. ოღონდ არ ვიცი, როგორ აგიხსნა: ისეთი გრძნობა მაქვს, გულის სიღრმეში თითქოს სადღაც შორს, შორს ვარ

და ვთვლემ... ნამდვილად არც კი ვიტანჯები, რადგან სიზმარში მგონია თავი... მაგრამ მაინც მძიმეა, გესმის?

ჟაკი წამით გაყუჩდა, შემდეგ სვენებ-სვენებით, ენის ბორძიკით მაინც განაგრძო:

— ამას გარდა, ყველაფრის თქმა არ შემიძლია, ანტუან... მაგრამ შენც კარგად იცი.. როცა ასე მარტო ხარ, ათასი სისულელე მოგდის თავში... მით უმეტეს... ძია ლეონის ნაამბობი არ დამვიწყებია.. არც ნახატები... კაცმა რომ თქვას, ეს ხომ უბრალო თავშესაქცევი რამაა. ჰოდა, ღამით ამაზე ვფიქრობ... ვიცი, არ ვარგა ეს... მაგრამ, როცა მარტო ხარ, გესმის? მუდამ მარტო.. ოჰ, რა ტყუილ-უბრალოდ გიყვები ამ ამბებს... ვიცი, მერე ცინაზებ... მაგრამ დღეს ისე დავიღალე... თავი ვერ შემიკავებია...

და იგი ერთბაშად ხმამაღლა აზლუქუნდა, რაღაც უცნაური შიში ტანჯავდა: ასე ეგონა, მისდაუნებურად ტყუის და რაც უფრო მეტად ცდილობს სიმართლე თქვას, მით უფრო უჭირსო. მიუხედავად ამისა, მის ნაამბობში ტყუილის ნატამალი არ ერია; მაგრამ საკუთარი ხმის, გაზვიადებული მღელვარების, აღსარებისთვის შერჩეული ფაქტების გამო ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავის ცხოვრების რაღაც ყალბ სურათს აღწერსო, მაგრამ რა ექნა? სხვა გზა არ ჰქონდა.

ძმები ძლივს მილასლასებდნენ; ნახევარი გზა კი გასავლელი ჰქონდათ. ამასობაში ექვსის ნახევარი გამხდარიყო. ბინდი ჯერაც არ ჩამოწოლილიყო; მდინარის ზედაპირზე დაფენილი ბურუსი ნაპირსაც მოსდებოდა და გარს ეხვეოდა.

ანტუანი დაძაბული ფიქრობდა და თან ხელს აშველებდა ბიჭს, რომელიც წამდაუწუმ ბორძიკობდა; ზედმეტი იყო ფიქრი, როგორ უნდა მოქცეულიყო: გადაწყვეტილება, დიდი ხანია მიეღო: ბავშვი იქაურობას უნდა მოაშოროს! ახლა მთავარია მისი თანხმობა! ეს კი ადვილი საქმე როდია. როგორც კი ჟაკს ამაზე სიტყვა ჩამოუგდო, იგი მკლავზე ჩამოეკიდა, აქვითინდა, ეხვეწებოდა, ხომ დამპირდი, ხომ დამიფიცე, არავის არაფერს ეტყოდი, არაფერს მოიმოქმედებდიო.

— არა, ჩემო ბიჭო, რაკი დავიფიცე. ასეც მოვიქცევი, შენი ნება-სურვილის გარეშე არაფერს წამოვიწყებ. ოღონდ ყური მიგდე. მთელი ეს მორალური მარტოობა, ეს უსაქმურობა, ეს კარჩაკეტილი ცხოვრება, საშინელებაა... მე კი, სულელმა, ამ დილას ვიფიქრე, ჟაკი აქ ბედნიერია-მეთქი!

— მე მართლაც კარგად ვგრძნობ თავს!

და ყველაფერი, რასაც ახლახან უჩიოდა, წამში მიივიწყა: ამა სოფ-

ლისგან განდგომილად ცხოვრებაში, უსაქმურობაში, უკონტროლობაში, ნათესავებისაგან მოწყვეტაში კარგ მხარეებსღა ხედავდა მხოლოდ!

— კარგადა გრძნობ თავს? თუკი ასეა, სირცხვილი შენი! კარგად ხარ? არა, ბიჭო, არ დავიჯერებ, ასეთი გახევება გაკმაყოფილებდეს! ასე ხომ სულით დაეცემი, გამოჩერჩეტდები; შეუძლებლია ასე გასტანოს დიდხანს! მე დაგპირდი, შენი ნებართვის გარეშე არაფერს მოვიმოქმედებ-მეთქი და არხეინად იყავი, სიტყვას არ გავტეხ! მაგრამ შენ თვითონ დაფიქრდი, მოდი, ერთად, კარგი მეგობრებივით, სადად ავწონ-დავწონოთ ყველაფერი... განა მე და შენ ამიერიდან მეგობრები არა ვართ?

— დიახ, ვართ.

— მენდობი?

— დიახ!

— მაშ, რაშია საქმე? რისა გეშინია?

— პარიზში დაბრუნება არ მინდა!

— ყური მიგდე, ბიჭო! ახლახან ისეთი სურათი გადამიშალე შენი ცხოვრებიდან, შეუძლებელია, ჩვენს ოჯახში ცხოვრება უარესი იყოს!

— ოჰ, როგორ არა, უარესია!

ჟაკის ამ წამოძახილმა თავზარი დასცა ანტუანს და ენა ჩაუგდო. „ეს რა ღვთის წყრომაა!“ — გულში გაივლო მან და ფიქრი გაუწყდა. დრო კი იწურებოდა. ასე ეგონა სადღაც წყვდიადში დაეხეტებოდა ბრმასავით; შემდეგ ერთბაშად, თითქოს ლიბრი აეხადა თვალიდანო: გამოსავალი იპოვა! წამიც, და სამოქმედო გეგმა მზად ჰქონდა! გაეცინა.

— ჟაკ! — წამოიყვირა მან, — ყური მიგდე და არ შემაწყვეტინო! ამ უკეთ, მიპასუხე: მე და შენ რომ ობლად დავრჩენილიყავით ამქვეყანად, ნუთუ ჩემთან არ მოხვიდოდი, ჩემთან ცხოვრებაზე უარს იტყოდი?

ბიჭი უცებ ვერ მიუხვდა.

— ოჰ, ანტუან! — წაილაპარაკა მან ბოლოს, — ეს როგორი მოხერხდება! მამა...

მამა დამაბრკოლებელ ზღუდედ ეღობებოდა მათ მომავალს! ერთმა აზრმა გაუელვა ორივეს: „რა კარგად მოეწყობოდა ყველაფერი, უცებ რომ...“ როგორც კი ძმის თვალებში საკუთარი ფიქრის ანარეკლი დაინახა, ანტუანს შერცხვა და თვალი აარიდა.

— დიახ, რასაკვირველია, — თქვა ჟაკმა, — მე რომ შენთან შემეძლოს ცხოვრება, მხოლოდ შენთან, სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი! ვიმუშავებდი... ვინ იცის, კარგად თუ ვიმუშავებდი, იქნებ, ნამდვილი პოეტიც დამდგარიყო ჩემგან...

ანტუანმა ხელით ანიშნა, კმარაო...

— ჰოდა, მისმინე: თუკი სიტყვას მოგცემ, რომ არავინ, ჩემს გარდა, არავინ იზრუნებს შენზე, თანახმა იქნები თუ არა, აქედან წამოსვლაზე?

— დი... დიახ.

იგი მხოლოდ იმიტომ დაეთანხმა, რომ ძმა უყვარდა და არ უნდოდა ეწყენინებინა.

— მომცემდი პირობას, რომ ნებას დამრთავდი ისე მომეწყო შენი ცხოვრება, ისე მომეგვარებინა შენი სწავლა-განათლების საქმე, როგორც მე ჩავთვლიდი ამას საჭიროდ? და საერთოდ, მომცემდი ნებას საკუთარი შვილივით მომევლო შენთვის?

-- დიახ.

— კეთილი და პატიოსანი! — წამოიძახა ანტუანმა და გაჩუმდა. იგი წამით დაფიქრდა. მას მუდამ ჰქონდა ისეთი აკვიატებული სურვილები, რომელთა განხორციელებაში ეჭვი არასოდეს ეპარებოდა; აქამდე მართლაც უმართლებდა ყველაფერი, რაც კი გულით სწადდა. იგი ღიმილით მიუბრუნდა უმცროს ძმას.

— რაც გითხარი, ზღაპარი არ გეგონოს! — მტკიცე ხმით უთხრა მან და სახეზე ღიმილი არ მოშორებია, — ვიცი, რა პასუხისმგებლობასაც ვკისრულობ. ორი კვირაც არ გაივლის, გესმის? ორი კვირა... ენდე ჩემს სიტყვას! ახლა დაუბრუნდი შენს ბუნაგს, მხნედ, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს. გეფიცები, ორი კვირაც არ გაივლის, რომ თავისუფალი იქნები!

ჟაკი ყურს არ უგდებდა და ანტუანს ეკვროდა, რადგან ერთბაშად იგრძნო. რომ ალერსი სწყუროდა; უნდოდა უფროს ძმას გულში ჩაეკრა, მის სითბოს ამოფარებოდა და დიდხანს, დიდხანს უძრავად დარჩენილიყო მის გვერდით.

— ენდე ჩემს სიტყვას! — გაუმეორა ანტუანმა.

თვითონაც იგრძნო, თითქოს ძალა მოემატა და გაკეთილშობილდა! თვითონაც ესიამოვნებოდა, ასეთი ხალისიანი და გაბედული რომ გახდა! ჟაკისა და საკუთარ ცხოვრებას ერთმანეთს ადარებდა: „საცოდავი ბიჭი, მუდამ ისეთი რამ უნდა გადახდეს, რაც სხვას არ დაემართება". იგი გულისხმობდა: „რაც მე არ შემემთხვევათ". ძალიან ეცოდებოდა ძმა. თანაც აშკარად უხაროდა იმის შეგნებაც, რომ იგი ანტუანი იყო, თავშეკავებული, ორგანიზებული ანტუანი, რომელსაც შეუძლია ბედნიერი იყოს, დიდი კაცი, დიდი ექიმი გახდეს! ერთი სული ჰქონდა, ნაბიჯი აეჩქარებინა, მხიარულად

დაესტვინა. მაგრამ ილაჯგაწყვეტილი ჟაკი ძლივს მილასლასებდა. ამასობაში კრუისაც მიუახლოვდნენ.

— ენდე ჩემს სიტყვას? — ერთხელ კიდევ წასჩურჩულა ანტუანმა და მაგრად მოუჭირა ხელი.

ბატონი ფემი ჭიშკართან იდგა და სიგარას ეწეოდა. როცა ძმები შორიდანვე შეამჩნია, ხტუნვა-ხტუნვით შეეგება.

— ეს რა ამბავია! ამდენი სეირნობა ვის გაუგონია! სანაძლეოს დავდებ, კომპიენში იქნებოდით!

იგი მკლავებს შლიდა და მხიარულად იცინოდა.

— ნაპირის გასწვრივ იარეთ, ხომ? რა დიდებული გზაა! რა ლამაზია ჩვენი მხარე, ხომ მართალია?

ჯიბიდან საათი ამოიღო.

— არ იფიქროთ, ჭკუას გასწავლიდეთ, ექიმო, მაგრამ თუ არ გინდათ ხელმეორედ დაიგვიანოთ მატარებელზე...

— მივრბივარ! — უთხრა ანტუანმა, ჟაკს მიუბრუნდა და აღელვებით წაულაპარაკა:

— ნახვამდის, ჟაკ!

მოსაღამოვდა. ბინდბუნდში მაინც გაარჩია ძმის მორჩილი სახე, ჩალურჯებული ქუთუთოები და ძირს მიშტერებული თვალები.

— ნახვამდის! — გაუმეორა მან.

არტური ეზოში ელოდა. ჟაკმა დირექტორთან გამომშვიდობება დააპირა, მაგრამ ბატონი ფემი ზურგით იდგა: როგორც ყოველ საღამოს, ახლაც თვითონ ჰკეტავდა ჭიშკარს. ძაღლი გაშმაგებით ყეფდა, მაგრამ ჟაკმა მაინც გაიგონა არტურის სიტყვები:

— მოდიხართ თუ არა?

იგი უკან გაჰყვა.

თავისი საკნის დანახვაზე ერთგვარი შვება იგრძნო. სკამი, რომელზედაც ანტუანი იჯდა დილით, იქვე იდგა, მაგიდასთან. ჟაკი აქამდე გრძნობდა უფროსი ძმის სითბოს. საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა; სხეული მოთენთოდა, სამაგიეროდ, ტვინი ფხიზლობდა, ყოველდღიური ჟაკის გარდა, მასში ახლა სხვა, არანივთიერი არსებაც ცოცხლობდა, რომელიც დღეს დაბადებულიყო, პირველი ჟაკის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა და მასზე მბრძანებლობდა.

ერთ ადგილას ვერ ისვენებდა და ოთახში წრიალს მოჰყვა. ახალი, ძლიერი გრძნობა ხელს ჰკრავდა ფეხზე მდგარიყო: ეს გახლდათ საკუთარი ძალის შეგრძნება. კართან მივიდა, შედგა, შუბლი მინას მიაყრდნო და ცარიელ

დერეფანში დადგმულ ლამპას თვალი მიაშტერა. კალორიფერის სულისშემხუთველი სიცხე კიდევ უფრო უთენთავდა ისედაც მოქანცულ სხეულს, ზას თითქმის ეძინა. უეცრად შუშის მეორე მხრიდან, ჩრდილი აღიმართა. გასაღებზე ჩაკეტრილი კარი გაიღო: არტურმა სადილი შემოუტანა.

— აბა, იჩქარე, პარაზიტო!

სანამ უგრეხელის შეჭამადს შეუდგებოდა, ჟაკმა შვეიცარული ყველი და წყალნარევი წითელი ღვინით სავსე ტოლჩა გადმოიღო სინიდან.

— ეს მე? — იკითხა მსახურმა.

გაიღიმა, ყველის ნაჭერი აიღო და რომ დერეფნიდან არავის დაენახა, კარადას ამოეფარა: სადილობამდე ბატონ ფემს ჩვეულებად ჰქონდა, დერეფანი შემოევლო ფოსტლებში ფეხგაყოფილს; ხშირად ასეთ ვიზიტს მისი წასვლის შემდეგ მიხვდებოდნენ ხოლმე — სიგარის მოტკბო სუნი რიკულიანი ფრამუგიდან ოთახში აღწევდა.

ჟაკი პურის გულის მსხვილ ნაჭრებს უგრეხელის მოშავო წვენში ალბობდა და ისე შეექცეოდა.

— ახლა კი საბან-გობანს მივაკითხოთ! — უთხრა არტურმა, როცა ჟაკმა სადილი მოათავა.

— ჯერ ხომ რვა საათიც არაა?

— მალე, მალე, დღეს კვირაა! ძმაკაცები მელოდებიან!

ჟაკმა ხმა ვერ ამოიღო და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. არტურს ჯიბეებში ჩაეწყო ხელები და უყურებდა. ამ ქერა ბიჭის ოდნავ პირუტყვულ სახეა და მებორნესავით ჩაფსკვნილ სხეულს რაღაც სასიამოვნო იერი დაჰკრავდა.

— ეტყობა, ძამიკომ, იცის ცხოვრების ფასი! — დამრიგებლური ტონით უთხრა ჟაკს, ხელი ჟილეტისკენ წაიღო, თითქოს ფულს იღებსო. შემდეგ გაიღიმა, ცარიელი სინი აიღო და ოთახიდან გავიდა.

როცა შემობრუნდა, ჟაკი ლოგინში დახვდა.

— უკვე ჩაწექი? — ჰკითხა მან და ჟაკის ფეხსაცმელები პირსაბანის ქვეშ შეაგდო ფეხით, — ერთი მითხარი, სანამ დაწვებოდე, შენს ტანსაცმელს ვერ მიალაგებ?

საწოლთან მივიდა.

— გაიგონე, პარაზიტო?

ორივე ხელი ჟაკს მხრებში ჩაავლო და უცნაურად იცინოდა. ჟაკს კი ნაძალადევი ღიმილი თანდათან უბრეცდა სახეს.

— მუთაქის ქვეშ ხომ არაფერი დაგიმალავს? სანთელი ხომ არა გაქვს? წიგნები?

შემდეგ ხელი მოაფათურა საბნის ქვეშ. მაგრამ ბიჭი ისე მოულოდნელად გაუსხლტა ხელიდან, უკან დაიწია და კედელს აეკრა, არტურმა დაჭერა ვერ მოასწრო. ბავშვს სიძულვილი ჩადგომოდა თვალებში.

— ოჰო, — წაილაპარაკა მსახურმა, — ასეთი ფხუკიანი რადა ვართ დღეს?

და დაუნატა:

— ხომ იცი, შემიძლია ზოგი რამ ვუამბო ხალხს!

იგი ხმადაბლა ლაპარაკობდა და ცალი თვალით დერეფანში გამავალ კარს უყურებდა. მალე ჟაკს აღარც მიაქცია ყურადღება, ნავთის ლამპა აანთო, რომელსაც სამეთვალყუროდ ტოვებდნენ მთელი ღამით, ამომრთველის ყუთი საკუთარი გამღებით ჩაჰკეტა და სტვენით გავიდა ოთახიდან.

ჟაკს კლიტის ორჯერ გაჩხაკუნება და ფილის იატაკზე მსახურის ფოსტლების ფლატუნი მოესმა. იგი ხელახლა დაუბრუნდა ლოგინის შუაგულს, ზურგზე გაწვა და ფეხები გაშოტა. კბილს კბილზე აცემინებდა. ერთბაშად ყოველგვარი რწმენა გაუქრა. როცა დღევანდელი დღე და თავისი აღსარება მოაგონდა, სიბრაზით სახე დაებრიცა, გული ეტკინა: თვალწინ დაუდგა პარიზი, ანტუანი, მათი სახლი, დავა-კამათი, მეცადინეობა, შინაური კონტროლი... ოჰ, გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა. ხელში ჩაუვარდა მტრებს! „რა უნდათ ჩემგან, ამ ხალხს რა უნდა ჩემგან!“ ცრემლები დაპადუპით სცვიოდა. თანაც ჯიუტად ფიქრობდა. არა, ანტუანის ფარული განზრახვა განუხორციელებელია, ბატონი ტიბო ყოველნაირად ხელს შეუშლისო. მამამისი მხსნელად წარმოუდგა. დიახ, ანტუანს გეგმები ჩაეფუშება, ბოლოს და ბოლოს, თავს დამანებებენ და აქ დამტოვებენო. აქ კი მარტოობა, გაოგნება, ბედნიერების მომნიჭებელი სიმშვიდე ეგულებოდა! ჭერზე, მის თავთან, ღამის ნათურის ანარეკლი გამალებით თრთოდა.

აქ სიმშვიდე და ბედნიერება იყო!

## IV

ნახევრადჩაბნელებულ კიბეზე ანტუანი მამამისის მდივანს, ბატონ შალს შეეჩეხა, რომელიც ვირთხასავით მიიპარებოდა კედელ-კედელ; მის დანახვაზე შედგა და დამფრთხალი თვალებით დააკვირდა.

— აა, ეს თქვენა ხართ? — შეკითხვის რიტორიკული მანერა თავისი უფროსისაგან გადმოეღო.

— ცუდი ამბებია! — წაიჩურჩულა მან. — უნივერსიტეტმა სიტყვიერების ფაკულტეტის დეკანის კანდიდატურა წამოაყენა; დაახლოებით თხუთ-

მეტი ხმა დაიკარგა, და თუ ამას იურისტების ხმებსაც დავუმატებთ, ოცდახუთი გამოვა. ჰა, როგორია? რომ იტყვიან ბედი არ სწყალობსო, ესაა სწორედ! თუმცა ბატონი ტიბო თვითონვე აგიხსნით საქმის ვითარებას.

მას მოკრძალებით სჩვეოდა ჩახველება და რაკი ქრონიკული კატარის მსხვერპლად თვლიდა თავს, მთელი დღის განმავლობაში შაქარყინულს წუწნიდა.

— ახლა კი გავიქეცი! დედიკო ალბათ წუხს! — დაუმატა მან და რომ დარწმუნდა, ანტუანის პასუხს ვერ ვეღირსებიო, საათი ამოიღო, სანამ დახედავდა ყურთან მიიდო, პალტოს საყელო აიწია და გასწია.

შვიდი წელი იყო, რაც ეს ტანმორჩილი, სათვალიანი კაცი ბატონ ტიბოსთან დადიოდა, მაგრამ ანტუანმა მის შესახებ იმდენივე იცოდა, რაც მათი ნაცნობობის პირველ დღეებში. ბატონი შალი ცოტას და ხმადაბლა ლაპარაკობდა და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე მსჯელობისას სინონიმების კორიანტელის დაყენება უყვარდა. საქმეში პუნქტუალური გახლდათ, თანაც ათასგვარი წვრილმანი ჩვეულებებით იყო გართული. ცხოვრობდა დედასთან, რომელსაც ჩანდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. მუდამ ჭრაჭუნა ფეხსაცმელები ეცვა; ჟიული ერქვა, მაგრამ ბატონი ტიბო, საკუთარი ღირსების ასამაღლებლად, თავის მდივანს „ბატონ შალს" ეძახდა. ანტუანმა და ჟაკმა მას „შაქარყინული" და „მაბეზარა" შეარქვეს.

ანტუანი პირდაპირ მამის კაბინეტისკენ გაემართა; დაწოლის წინ ბატონი ტიბო საწერ მაგიდას ალაგებდა.

— აა, ეს შენა ხარ? ცუდი ამბებია!

— ვიცი, — შეაწყვეტინა ანტუანმა, — ბატონმა შალმა მიამბო.

ბატონმა ტიბომ ერთბაშად ასწია თავი, და წვეტიანი ნიკაპი აიქნია. მას არ უყვარდა, როცა მისი სათქმელი მოსაუბრემ უკვე იცოდა, მაგრამ ანტუანს ახლა ამის დარდი არა ჰქონდა; იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რისთვისაც მოსულიყო და გრძნობდა, თანდათან უმოქმედობა ეუფლებოდა. მან ეს დროზე შეამჩნია და ამიტომ მიახალა ერთბაშად.

— მეც ძალიან ცუდი ამბები მოგიტანე: ჟაკის დატოვება კრუაში აღარ შეიძლება!

სული მოითქვა და უცბად დაამთავრა სათქმელი:

— ეს-ესაა იქიდან მოვდივარ. ვნახე. გამოვკითხე. მეტად არასასიამოვნო ამბები აღმოვაჩინე. და აი, მოვედი მოგელაპარაკო. რაც შეიძლება, მალე უნდა დავიხსნათ ბიჭი იქიდან.

ბატონი ტიბო ერთხანს გაშეშებული იდგა, მაგრამ ეს გაოგნება მხოლოდ ხმაზე დაეტყო:

— შენ?.. კრუიში იყავი? შენ? როდის? რისთვის? რატომ არ გამაფრთხილე? ხომ არ შეიშალე? მიპასუხე!

ანტუანმა შვება იგრძნო, ასე უცებ რომ გადალახა დაბრკოლება, მაგრამ ძალიან დაიბნა და ხმა ვეღარ ამოიღო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონმა ტიბომ ქუთუთოები ზეასწია. შემდეგ ნელა, თითქოს მისდაუნებურად, ისევ დახარა, დაჯდა და მუშტები საწერ მაგიდაზე დააწყო.

— ამიხსენი, ყმაწვილო, რა ხდება! — მკაფიოდ, ცერემონიული ტონით წამოიწყო მან, — შენ ამბობ, კრუიში ვიყავიო? როდის?

— დღეს.

— როგორ? ვისთან ერთად?

— მარტოკა.

— მერედა შენ იქ... შეგიშვეს?

— რა თქმა უნდა.

— და.. ძმის ნახვის ნებაც მოგცეს?

— მთელი დღე დავყავი მასთან. მარტონი ვიყავით.

ანტუანს ჩვეულებად ჰქონდა, ფრაზის ბოლო სიტყვები გამომწვევად წარმოეთქვა: ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ისედაც განრისხებული ბატონი ტიბო, მაგრამ თანაც აიძულა წინდახედულად ემოქმედა.

— ბავშვი აღარა ხარ, — განაცხადა მან, თითქოს და ანტუანის ასაკი მისი ხმის მიხედვით განესაზღვროს, — უნდა გესმოდეს, რომ ჩემი ნებართვის გარეშე ასეთი ნაბიჯის გადადგმა არასაკადრისია! განა შენ განსაკუთრებული მიზეზი გქონდა ისე წასულიყავი კრუიში, ჩემთვის არაფერი გეკითხა? იქნებ, ძმამ მოგწერა? ხომ არ გიხმო?

— არა, რატომღაც ერთბაშად ამეშალა ეჭვები.

— ეჭვები? რაზე?

— რაზე და... ყველაფერზე... რეჟიმზე... იმ რეჟიმის შედეგებზე, რომელიც აგერ რვა თვეა თავს მოახვიეთ ჟაკს.

— მართალი გითხრა, ყმაწვილო.. შენი საქციელი მაკვირვებს!

იგი ყოყმანობდა, ზომიერ გამოთქმებს არჩევდა, რასაც მისი მოკუმული მუშტები და ნიკაპის წინ წამოგდება სრულიად არ შეესაბამებოდა.

— ასეთი... უნდობლობა მამის მიმართ...

— ყოველი ადამიანი შეიძლება შეცდეს. საბუთიც ხელთა მაქვს!

— რა საბუთი?

— ყური მიგდე, მამა! გაბრაზება რა საჭიროა? ჩემი აზრით, ჩვენ ორივეს ერთი და იგივე გვსურს ჟაკისთვის. სიკეთე! როცა გაიგებ, რა დათრგუნვილი დამხვდა ბიჭი, პირველი შენ იტყვი, რაც შეიძლება მალე წამოვიყვანოთ გამასწორებელი კოლონიიდანო!

— რასა ბრძანებ!

ანტუანმა ყური არ ათხოვა ბატონი ტიბოს დამცინავ რეპლიკას.

— ასეა, მამა!

— მე კი გეუბნები, არა-მეთქი!

— მამა, როცა გაიგებ...

— შემთხვევით, შენ მე ბრიყვი ხომ არ გგონივარ? ან, იქნებ, ფიქრობ, შენი ცნობები იყო ჩემთვის საჭირო იმის გასაგებად, რაც კრუიში ხდება, სადაც აგერ ათ წელზე მეტია ყოველთვიურად ვატარებ საერთო შემოწმებას და ანგარიშსაც ვიბარებ? ვერც ერთი საკითხი ისე ვერ გადაწყდება, სანამ მას საბჭო არ განიხილავს, თავმჯდომარე კი მე გახლავარ! კიდევ რას იტყვი?

— მამა, რაც მე იქ ვნახე...

— კმარა! შენს ძმას შეეძლო იმდენი ტყუილი მოეროშა, რამდენიც მოეხასიათებოდა, მით უმეტეს, შენს მოტყუებას რა უნდა! ჩემთან კი ეგეთები ვერ გაუვა.

— ჟაკს ერთიც არ დაუწუწუნია!

ბატონი ტიბო გაოცებული დარჩა.

— მაშ, რაშია საქმე? — წამოიყვირა მან.

— პირიქით, და სწორედ ესაა საშინელება! იგი ამბობს, რომ მშვიდადაა, ბედნიერია, იქაურობა ძალიან მოსწონს!

და რაკი ანტუანს ბატონი ტიბოს კმაყოფილი სიცილი მოესმა, მან გესლიანად დაუმატა:

— საწყალ ბიჭს ისეთი სასიამოვნო მოგონებანი შერჩა ჩვენს ოჯახზე, რომ ციხეში ჯდომა ურჩევნია.

შეურაცხყოფა მიზანს ვერ მოხვდა.

—ჰოდა, მით უკეთესი! ეტყობა, ჩვენ ერთი აზრი გვქონია. სხვა რაღა გინდა?

ანტუანს იმდენად გაუქრა ჟაკის გათავისუფლების იმედი, იფიქრა, არ ღირს მამას ვუამბო ყველაფერი, რაც კი ბავშვმა გამანდოო, და გადაწყვიტა, საერთო ხასიათის ნაკლოვანებებზე ელაპარაკა, დანარჩენი კი დაემალა.

— სიმართლე გითხრა, მამა, — დაიწყო მან და ბატონ ტიბოს მიაშტერა თვალი, — მეგონა, ჟაკს საჭმელი აკლდა, ცუდად ექცეოდნენ, კარცერ-

ში ამწყვდევდნენ, დიახ, ვიცი. საბედნიეროდ არაფერი არ გამართლდა. მაგრამ ჟაკის ცხოვრებაში ათასჯერ უარესი მორალური სიდუხჭირე აღმოვაჩინე. გატყუებენ, როცა გეუბნებიან, მარტოობა სასარგებლო გამოდგა მისთვისო. წამალი სენზე უფრო სახიფათოა! მთელ დღეებს დამღუპველ უსაქმურობაში ატარებს. მასწავლებელზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. მთავარი ისაა, რომ ჟაკი არაფერს აკეთებს, უკვე ეტყობა, სულ უბრალო დაძაბვაც აღარ ძალუძს მის გონებას. დამიჯერე, ამგვარი ექსპერიმენტის გაგრძელება მისი მომავლის საბოლოოდ გაფუჭებას ნიშნავს. იგი ისეთი გულგრილი გახდა, ისე დასუსტდა, რომ თუკი რამდენიმე თვეს კიდევ დავტოვებთ ასეთ გაოგნებაში, მისი ჯანმრთელობის გამოკეთება გვიანღა იქნება.

ანტუანი თვალს არ აშორებდა მამას; იტყოდით. სურს შეაპობედვიო, მძიმე მზერით დააწვეს მის გულჩათხრობილ სახეს, რომ თანხმობის ნაპერწკალი მაინც დააკვესინოსო. ბატონი ტიბო მოკუნტულიყო. გაუნძრევლად იჯდა და წააგავდა იმ სქელკანიან პირუტყვს, რომლის ძალა შეუმჩნეველია სანამ უმოქმედოდაა; თანაც მას სპილოსავით ფართო, ბრტყელი ყურები ჰქონდა და თვალებიც მასავით ეშმაკურად უკრთოდა. ანტუანის სიტყვამ იგი დაამშვიდა. კოლონიაში არაერთხელ ყოფილა სკანდალის ჩანასახები, ზოგი ზედამხედველის გაგდებაც მოუხდათ, ოღონდ სამსახურიდან მოხსნის მიზეზი არ გაუხმაურებიათ, და ახლა ბატონ ტიბოს შეეშინდა, ეგონა, ანტუანი ამგვარ ამბავს გაუმხელდა. მაგრამ არა! სული მოითქვა.

— როგორ გგონია, ახალი ამბავი მაცნობე? — გულუბრყვილოდ ჰკითხა მან. — ყველაფერი, რასაც ამბობ, სასიქადულოა და შენს თანდაყოლილ დიდსულოვნებაზე მეტყველებს, ყმაწვილო, მაგრამ ნება მიბოძე, გულახდილად გითხრა, რომ გამოსწორების საკითხები მეტად რთულია და ერთ დღეში ვერ გახდები კომპეტენტური ამ დარგში; დაუჯერე სპეციალისტებისა და ჩემს გამოცდილებას! შენ ახსენე სისუსტე, გაოგნება! მადლობა ღმერთს! შენც კარგად მოგეხსენება, როგორი იყო შენი ძმა! ნუთუ ფიქრობ, შესაძლებელია მოტეხო ამგვარი ნებისყოფა, თუკი მას ჯერ წინასწარ არ დააშოშმინებ? როცა ბიწიერ ბავშვს თანდათანობით ვასუსტებთ, ამით მისი მანკიერი ინსტინქტი უძლურდება და მიზანსაც ვაღწევთ; ასე გვასწავლის პრაქტიკა. ჰოდა, ხომ ხედავ: განა შენი ძმა არ გარდაიქმნა? აღარც ბრაზობს, დისციპლინირებულია და ყველას, ვისაც კი მასთან ურთიერთობა აქვს, ზრდილობიანად ექცევა. აკი თვითონვე ამბობ, ახალი ცხოვრების წესი და რიგი შეიყვარაო. იჰ, განა კაცმა არ უნდა იამაყოს იმ შედეგებით, რასაც ამ ერთ წელიწადში მივაღწიეთ?

ბატონი ტიბო კოტიტა თითებით იწიწკნიდა წაწვეტებულ წვერს და, როცა ლაპარაკი მოათავა, შვილისკენ გააპარა თვალი. რიხიანი ხმა და ზვიადი ტონი მის ყოველ, უმნიშვნელო სიტყვასაც კი სიძლიერეს აძლევდა; ანტუანი მამის მორჩილებას ისე იყო შეჩვეული, გულის სიღრმეში კიდეც დაიხია უკან. მაგრამ ამაყმა ბუნებამ ბატონ ტიბოს შეცდომა დააშვებინა:

— თუმცა, ნეტა რად ვირჯები და რად ვიცავ ისეთ გადაწყვეტილებას, რის გადასინჯვაზე არც არის და არც შეიძლება იყოს ლაპარაკი? მე ისე ვიქცევი, როგორც საჭიროდ მიმაჩნია, და თან მეტად კეთილსინდისიერად! რაც მთავარია, არავის ვაბარებ ანგარიშს! ეს ამბავი მხედველობაში გქონდეს, ყმაწვილო!

ანტუანი გაწიწმატდა.

— ამ საშუალებით პირში ბურთს ვერ ჩამჩრი, მამა; გიმეორებ, ჟაკს კრუიში ვეღარ დავტოვებთ!

ბატონ ტიბოს კვლავ გესლიანად გაეცინა. ანტუანმა ძალა მოიკრიბა და თავი შეიკავა.

— არა, მამა, ჟაკის იქ დატოვება ნამდვილი ბოროტმოქმედება იქნებოდა. მას ისეთი მონაცემები აქვს, რომელთა ჩაკვლა არ შეიძლება. ნება მომეცი, ერთი რამ გითხრა, მამა: შენ ხშირად ცდებოდი მისი ხასიათის შეფასებისას... შენს ნერვებზე მოქმედებს და ამიტომაც ვერ ხედავ მის...

— რას ვერ ვხედავ? რაც ის წავიდა, ძლივს ამოვისუნთქეთ, განა ასე არაა? ჰოდა, როცა გამოსწორდება, მაშინ ვიფიქროთ, შეიძლება თუ არა მისი დაბრუნება. მანამ კი...

მუშტი ისე შემართა, თითქოს მთელი ძალით აპირებდა მაგიდაზე დარტყმას, მაგრამ მან მხოლოდ გახსნა მუშტები და ხელის გულები ნელა დაიწყო წინ. სიბრაზე უცხრებოდა. სამაგიეროდ ანტუანის გაანჩხლებამ იფეთქა.

— ჟაკი არ დარჩება კრუიში, მამა! ამის პასუხისმგებელი მე ვარ!

— ოჰო, — დაცინვით წამოიძახა ბატონმა ტიბომ, — ხომ არ დაგავიწყდა, ყმაწვილო, რომ ამ სახლის უფროსი ჯერჯერობით შენ არ ბრძანდები?

— არა, არ დამვიწყნია და ამიტომაც გეკითხებით, რას აპირებთ?

— მე? — ნელა წაისისინა ბატონმა ტიბომ, შემდეგ უგერგილოდ ჩაიცინა და ქუთუთოები წამით ზეასწია. — ორი აზრი არ არსებობს: ბატონ ფემს მაგრად დავტუქსავ იმის გამო, რომ ჩემი ნებართვის გარეშე მიგიღო, ხოლო შენ ამიერიდან გიკრძალავ კოლონიაში მისვლას!

ანტუანმა გულზე დაიკრიფა ხელები.

— აი თურმე რა ფასი ჰქონია შენს ბროშურებსა და კონფერენციებს! ლიტონი სიტყვები ყოფილა ყოველივე! კონგრესებზე ერთს ამბობთ, ხოლო როცა ადამიანი, თუგინდ საკუთარი შვილი, გონებრივად ჩლუნგდება, რა უჭირს, ეს არაფერია! რა საჭიროა გართულებანი, მთავარია, მშვიდად იცხოვრო. მერე კი რაც იქნება, იქნება! ასეა არა?

— თავხედო! — წამოიყვირა ბატონმა ტიბომ და ფეხზე წამოიჭრა. — თუმცა, ვიცოდი, ასეც უნდა მომხდარიყო! დიდი ხანია ვგრძნობ, როგორ შეიცვალე! სუფრასთანაც ბევრჯერ წამოგცდენია ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „შენი“ წიგნები, „შენი“ გაზეთები... ვამჩნევდი შენს გულგრილ დამოკიდებულებას რელიგიური მოვალეობისადმი... ერთი მეორეს მოსდევს: ჯერ რწმენის საკითხში განდგომა, შემდეგ მორალური ანარქია და ბოლოს — ჯანყი!

ანტუანმა მხრები აიჩეჩა:

— ყველაფერს ნუ ავურევთ ერთმანეთში. საქმე ეხება ბავშვს და დაყოვნება არ შეიძლება. მამა, პირობა მომეცი, რომ ჟაკი...

— ამიერიდან გიკრძალავ მის ხსენებას ჩემთან! გასაგებია თუ არა? ერთმანეთს ახედ-დახედეს.

— ესაა შენი უკანასკნელი სიტყვა?

— გადი აქედან.

— არა, მამა, შენ მე არ მიცნობ, — გამომწვევი სიცილით უთხრა ჩუმად ანტუანმა, — ვფიცავ, ჟაკს დავიხსნი იმ კატორღიდან და ვერავითარი ძალა ვერ შემაჩერებს, ვერავითარი.

მსუქანი კაცი ერთბაშად გაცოფდა, კბილები დააკრაჭუნა და შვილისკენ გაემართა:

— გადი-მეთქი!

ანტუანმა კარი გააღო. ზღურბლთან შედგა, შემობრუნდა და ყრუ ხმით წაილაპარაკა:

— ვერავითარი ძალა! ახალი კომპანიის წამოწყებაც რომ მომიხდეს, „ჩემს“ გაზეთებში!

მეორე დილით, ანტუანი, რომელმაც იმ ღამეს თეთრად გაათენა, საარქიეპისკოპოსო სალაროში იდგა და წირვის დამთავრებას ელოდა, უნდოდა რაც შეიძლება მალე ეცნობებინა ახალი ამბავი აბატი ვეკარისათვის, რათა იგი საქმეში ჩარეულიყო. ჟაკს სხვა ვერავინ უშველიდა.

საუბარმა დიდხანს გასტანა. აბატმა გვერდით მოისვა ჭაბუკი, თითქოს აღსარებას ისმენსო. თვითონ, ჩვეულებისამებრ, მკერდი წინ გამოეწია, თავი მარცხნივ გადაეხარა და ისე დაძაბულად უგდებდა ყურს, ერთხელაც არ შეუწყვეტინებია ლაპარაკი. მას ჰქონდა არაფრისმთქმელი, ფერგამქრალი სახე, გრძელი ცხვირით; მაგრამ დროდადრო ანტუანს ისეთ ალერსიან, ჩაციებულ მზერას მიაპყრობდა, თითქოს ცდილობდა მის ნაუბარს უფრო ღრმად ჩასწვდომოდა. ტიბოს ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით, იგი იშვიათად ხვდებოდა ანტუანს, სამაგიეროდ, მის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას ამჟღავნებდა მუდამ. საინტერესო ის იყო, რომ აბატი ამ მხრივ ბატონი ტიბოს გავლენას განიცდიდა: მამის თავმოყვარეობას სავსებით აკმაყოფილებდა ანტუანის წარმატებები და ამიტომაც უყვარდა ვაჟიშვილის ქება.

ანტუანი არ ცდილა რაიმე მარჯვე არგუმენტები მოეშველიებინა აბატის დასარწმუნებლად: მან დაწვრილებით უამბო კრუიში გატარებული მთელი დღისა და მამასთან ჩხუბის ამბავი; აბატმა უსიტყვოდ, მაგრამ ხელების მოძრაობით უსაყვედურა მამასთან კონფლიქტი. სხვათა შორის, მის ხელებს, პრელატის ამ ფაფუკ ხელებს, განსაკუთრებული მეტყველი ძალა ჰქონდა, თითქოს ბუნებამ სახის ნაცვლად ხელები დააჯილდოვა ამ უსარითო; მკერდთან მიტანილი ხელები ადგილს არ იცვლიდნენ, ოღონდ ერთბაშად დაეტყობოდათ ხოლმე აღელვება.

— ჟაკის ბედი ახლა თქვენს ხელშია, ბატონო აბატო, — დაასრულა ანტუანმა, — მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დაარწმუნოთ მამაჩემი.

აბატმა არაფერი უპასუხა. ანტუანს ისე პირქუშად, ისე დაბნეულად შეხედა, ახალგაზრდა კაცმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა, მხოლოდ ახლა იგრძნო, რა უძლური ყოფილა და მის წამოწყებულ საქმეს რა გადაულახავი დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ.

— მერე? — ხმადაბლა იკითხა აბატმა.

— რა მერე?

— ვთქვათ, მამათქვენმა პარიზში დააბრუნა ჟაკი. მერე? რა იქნება მერე?

ანტუანი დაიბნა. მართალია, სამოქმედო გეგმა უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხსენებინა იგი, რადგან ეშინოდა მისი ჩანაფიქრი აბატს არარეალურად არ მიეჩნია. მშობლიური კერის მიტოვება სურდა, ძმები იქვე, პირველ სართულზე დასახლდებოდნენ; ბიჭის მზრუნველობაზე მამა ხელს აიღებდა. უმცროსი ძმის აღზრდაზე, სწავლასა და ყოფაქცევაზე პასუხისმგებლობას თვითონ კისრულობდა. ამჯერად მღვდელ-

მა თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა, ოღონდ ამ ღიმილში ირონიის ნატამალიც არ იგრძნობოდა.

— მძიმე ამოცანა გსურთ იტვირთოთ, მეგობარო.

— ოჰ, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ბიჭს სრული თავისუფლება სჭირდება, — მკვირცხლად მიუგო ანტუანმა. — იძულებით პირობებში ვერასოდეს ვერ განვითარდება! შეგიძლიათ დამცინოთ, ბატონო აბატო, მაგრამ მე მაინც მწამს, რომ თუკი მარტო ვიკისრებდი მის აღზრდას...

პასუხის ნაცვლად მღვდელი თავს უქნევდა და ისე ჩაშტერებით, გამსჭვალავად შესცქეროდა, თითქოს ძალიან შორიდან უცქერისო და გულის სიღრმეში ჩაწვდომას ლამობსო. ანტუანი სასოწარკვეთილი წავიდა. მამის მტკიცე უარმა და აბატის გულგრილობამ იმედი გადაუწურა; მის გაოცებას საზღვარი არ ექნებოდა, რომ გაეგო, —აბატმა გადაწყვიტა იმავე დღეს მისულიყო ბატონი ტიბოს სანახავად.

აბატი არც კი გარჯილა.

აბატსა და მის დას პატარა ბინა ეკავათ ეკლესიის მახლობლად. როცა ჩვეულებისამებრ, წირვის შემდეგ შინ დაბრუნდა ერთი ჭიქა ცივი რძის დასალევად, ბატონი ტიბო სასტუმრო ოთახში დახვდა; ჩასუქებული კაცი მიჯაჭვულივით იჯდა სკამზე, ხელები მუხლებზე დაეწყო და, ეტყობოდა, სიბრაზე ჯერაც არ განელებოდა. აბატის დანახვაზე ფეხზე წამოდგა.

— როგორც იქნა, მოხვედით! — წაიბუზღუნა მან, — ალბათ, გიკვირთ ჩემი დანახვა!

— არც ისე, როგორც თქვენ გგონიათ! — უპასუხა აბატმა. დროდადრო წამიერი ღიმილი თუ თვალების ეშმაკური შუქი უნათებდა მშვიდ სახეს. — შესანიშნავი პოლიცია მყავს: მუდამ საქმის კურსში ვარ. ნებას მომცემთ? — დაუმატა მან და სუფრაზე შემოდგმულ ტოლჩას დასწვდა.

— საქმის კურსში ხართ? ნუთუ უკვე ნახეთ?..

აბატი სვენებ-სვენებით სვამდა რძეს.

— ჰერცოგის მეუღლემ ჯერ კიდევ გუშინ დილით მითხრა ასტიეს ამბავი. მაგრამ საღამოს გავიგე მხოლოდ, რომ თქვენს მეტოქეს უარი უთქვამს თავის კანდიდატურაზე.

— ასტიეს ამბავი? ნუთუ?.. არაფერი მესმის! მე არაფერი ვიცი.

— ნუთუ მართლა? — წაილაპარაკა აბატმა, — მაშ, წილად მრგებია ბედნიერება, ვიყო თქვენი მახარობელი!

წამით შეყოვნდა.

— აბა, ყური მიგდეთ: მოხუც ასტიეს მეოთხეჯერ ჩაექცა სისხლი. ამჯერად უიმედო მდგომარეობაში ყოფილა საცოდავი! ჰოდა, დეკანმა, რომელიც ჭკვიანი კაცი გახლდათ, თავისი კანდიდატურა მოხსნა; ამგვარად, მორალური მეცნიერების განყოფილებიდან ერთადერთი კანდიდატი თქვენ ბრძანდებით.

— დეკანმა... უარი თქვა? — წაიბუტბუტა ბატონმა ტიბომ. — კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ იფიქრა, სიტყვიერების ფაკულტეტის დეკანი სჯობს ხელნაწერთა განყოფილებაში დარჩეს და რამდენიმე კვირა დაუცადოს იმ სავარძელს, რომელსაც არავინ შეეცილება, ვიდრე თქვენ გაგიწიოთ კონკურენცია და ამით საფრთხეში ჩაიგდოს თავი.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს ასეა?

— ოფიციალურად გახლავთ გამოცხადებული. გუშინ საღამოს კათოლიკური ინსტიტუტის სხდომაზე აკადემიის მუდმივ მდივანს შევხვდი; დეკანს თვითონ გადაუცია მისთვის განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე. ამგვარად, მისმა კანდიდატურამ 24 საათიც ვერ გაძლო..

— კი მაგრამ, მაშინ... — წაილუღლუღა ბატონმა ტიბომ.

გაკვირვებისა და სიხარულისგან სუნთქვა შეეკრა. ხელები უკან დაიწყო, მექანიკურად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შემდეგ მღვდელთან მივიდა და კინაღამ მხრებში წაავლო ხელი. როგორც იქნა, თავი შეიკავა და მხოლოდ მკლავზე შეეხო.

— ოჰ, ძვირფასო აბატო, ამას არასოდეს დაგივიწყებთ! გმადლობთ. გმადლობთ.

იგი ისეთი ბედნიერი იყო, სხვა გრძნობები ერთბაშად გაუქრა. სიხარულის ტალღამ ისე უკვალოდ წარეცხა მისი სიბრაზე, რომ მეხსიერების დაძაბვა დასჭირდა, რათა აბატისთვის პასუხი მიეცა: აბატს შეუმჩნევლად შეეყვანა თავის კაბინეტში და მეტად ბუნებრივი ტონით ეკითხებოდა:

— ამ დილა აღრიან ჩემთან რამ მოგიყვანათ, მეგობარო?

ბატონ ტიბოს მხოლოდ ახლა მოაგონდა ანტუანი და გაბრაზებამაც ხელახლა იფეთქა. იგი რჩევის საკითხავად მოსულიყო, არ იცოდა, როგორ მოპყრობოდა უფროს ვაჟს, რომელიც უკანასკნელ ხანებში ძალიან გამოიცვალა, ეტყობოდა, ეჭვისა და ჯანყის სული დაუფლებოდა. მამას უნდოდა გაეგო, ასრულებდა თუ არა იგი რელიგიურ მოვალეობას? ესწრებოდა თუ არა საკვირაო წირვას? ავადმყოფების მოვლის მომიზეზებით შინ იშვიათად სადილობდა, ხოლო თუ სუფრასთან გამოჩნდებოდა, წინანდებურად აღარ იქცეოდა: მამას ეკამათებოდა, აზრთა გასაოცარ თავისუფლებას ამჟღავნებ-

და; უკანასკნელი მუნიციპალური არჩევნების დროს კამათმა ისეთი ცხარე ხასიათი მიიღო თურმე, რომ მამა იძულებული გამხდარა შვილი პატარა ბავშვივით დაეტუქსა. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების გზაზე ანტუანის დასაბრუნებლად საჭირო იყო დაუყოვნებლივ გამოეძებნათ ახალი ღონისძიება, რისთვისაც აბატი ვეკარის მხარდაჭერა და ჩარევა აუცილებლად მიაჩნდა. შემდეგ, ბატონმა ტიბომ მაგალითად მოიყვანა ის უდისციპლინობა, რაც ანტუანმა კრუიში წასვლით გამოიჩინა, გააცნო ანტუანის მიერ იქედან გამოყოლილი უაზრო ვარაუდები და აუწერა ის უმსგავსო სცენაც, რაც მათ საუბარს მოჰყვა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბატონი ტიბოს ნაამბობში აშკარად იგრძნობოდა, რომ დამოუკიდებლობის იმ ნიშნებს, რაშიც ის შვილს ადანაშაულებდა, მისდამი პატივისცემა გამოეწვია და აბატმა ეს მაშინვე შეამჩნია.

საწერ მაგიდასთან დაუდევრად მოკალათებულ აბატს ნაოჭასხმული გულსაფრის ორივე მხარეს გამოეყო ხელები, რომელთაც დასტურის ნიშნად, დროდადრო ასავსავებდა. მაგრამ როგორც კი ჟაკზე ჩამოვარდა სიტყვა, მან თავი ასწია და ყურადღება დაძაბა. მოხერხებულად დასმული კითხვებით, რომლებსაც ერთი შეხედვით, არაფერი საერთო არ ჰქონდათ ერთმანეთთან, მანა აიძულა ეღიარებინა იმ ცნობების სინამდვილე, რაც ცოტა ხნის წინ ვაჟმა შეატყობინა.

— კი მაგრამ... მოიცათ! მოიცათ! — ისე წამოიძახა აბატმა, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო. შემდეგ წამით ჩაფიქრდა. გაოცებული ბატონი ტიბო იცდიდა. ბოლოს აბატმა გადამწყვეტი ტონით დაუმატა:

— ის, რაც ანტუანის საქციელის შესახებ მიამბეთ, თქვენსავით არ მაღელვებს, ჩემო მეგობარო. ამის მოლოდინი კიდეც უნდა გვქონოდა. მეცნიერული მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, თავმოყვარეობას აღუგზნებს და რწმენას შეურყევს ხოლმე ცნობისმოყვარე და გატაცებულ პიროვნებას. ზერელე ცოდნა ღმერთს დააშორებს ადამიანს, ხოლო ღრმა ცოდნა — კვლავ ღმერთთან მიიყვანს. ნუ გეშინიათ. ანტუანი იმ ასაკშია, როცა ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან. კარგად მოიქეცით, რომ გამაფრთხილეთ: ვეცდები უფრო ხშირად შევხვდე და ვესაუბრო. ეს არც ისეთი სერიოზული ამბავია. მოთმინება იქონიეთ. იგი დაგვიბრუნდება. მე უფრო ის მაწუხებს, რაც ჟაკის შესახებ მიამბეთ. ვერც კი წარმომედგინა, რომ ასეთ სასტიკ იზოლაციაში გყავდათ! გამოდის, პატიმარივით ცხოვრობს თურმე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ამბავი მეტად სახიფათოა! გარწმუნებთ, მეგობარო, რომ მისი მდგომარეობა ძალიან მაფიქრებს. ხომ კარგად განსაჯეთ ყველაფერი?

ბატონ ტიბოს გაეღიმა.

— გულახდილად გეტყვით, ჩემო კეთილო აბატო, თქვენც იმასვე გიპასუხებთ, რაც ანტუანს მოვახსენე გუშინ: ნუთუ გგონიათ, რომ ჩვენ სხვაზე უფრო გამოცდილი არა ვართ ასეთ საქმეში?!

— ამას არც მე უარვყოფ, — მშვიდად წაილაპარაკა მღვდელმა, — მაგრამ იმ ბავშვთა შორის, ვისთანაც ჩვეულებრივ გიხდებათ ურთიერთობა, ყველას ხომ არ სჭირდება ისეთი ფრთხილი მოპყრობა, როგორსაც თქვენი შვილის თავისებური ბუნება მოითხოვს? ამას გარდა, როგორც გავიგე, რეჟიმიც განსხვავებული ჰქონიათ: სხვა ბავშვებს, რაკი ერთად ცხოვრობენ, დასვენების საათებიც აქვთ თურმე და ფიზიკურადაც მუშაობენ. თუ გახსოვთ, მეც ვიყავი იმის მომხრე, რომ ჟაკი მკაცრად დაგვესაჯა, მეგონა, ასეთი სახის იზოლაცია გონს მოიყვანს და გამოასწორებს-მეთქი, მაგრამ დალახვროს ეშმაკმა! ვერასგზით ვერ წარმოვიდგინე, რომ ეს ციხეში ჩამწყვდევა იქნებოდა, და რაც მთავარია, ამდენხანს თუ გაგრძელდებოდა! აბა, თქვენ თვითონ დაფიქრდით! ბიჭი, რომელსაც თხუთმეტი წელიც არ შესრულებია, რვა თვის განმავლობაში მარტოა ჩაკეტილი თავის საკანში, ზედამხედველად ვიღაც ხეპრე მიუჩენიათ, რომლის კეთილსინდისიერებაზე მხოლოდ ოფიციალური ცნობები გაქვთ! რაღაც გაკვეთილები დაუნიშნესო, ვთქვათ, რომ ეს ასეა! მაგრამ რას წარმოადგენს ის კომპიენელი მასწავლებელი, რომელიც კვირაში სამ-ოთხ საათს უტარებს მხოლოდ? თქვენ ხომ ამის შესახებ არაფერი იცით? მეორე მხრივ, თქვენს გამოცდილებას იმოწმებთ! ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ თორმეტი წელი ვიცხოვრე მოსწავლეებთან და ცოტაოდენი წარმოდგენა მაინც მაქვს, თუ რას ნიშნავს თხუთმეტი წლის ყმაწვილი! პირდაპირ შემაძრწუნებელია ის ფიზიკური, და რაც მთავარია, მორალური დაცემა, რასაც თქვენი საცოდავი ბავშვი განიცდის, თქვენ კი ვერაფერს ამჩნევთ!

— თქვენც იმასვე იმეორებთ? — წამოიძახა ბატონმა ტიბომ. — მე უფრო ჭკუადამჯდარი ადამიანი მეგონეთ! — დასძინა მან და ჩაიქირქილა, — თუმცა ახლა ჟაკის თავი არა მაქვს...

— მე კი სხვა არაფერი მაინტერესებს! — ხმის აუმაღლებლად შეაწყვეტინა აბატმა. — იმის შემდეგ, რაც ახლახან მოვისმინე, ვფიქრობ, რომ ამ ბავშვის ფიზიკური და მორალური მდგომარეობა საშიშელ საფრთხეშია.

აბატი ერთხანს დაფიქრდა და შემდეგ აურჩქარებლად, მარცვალ-მარცვალ განაგრძო:

— ბავშვი ერთი დღეც აღარ უნდა დარჩეს იქ, სადაც ამჟამადაა!

— რაო? — წაილუღლუღა ბატონმა ტიბომ.

სიჩუმე ჩამოვარდა. უკანასკნელი თორმეტი საათის განმავლობაში ბატონი ტიბოს მტკივნეულ ადგილს უკვე მეორედ შეეხნენ. სიბრაზე ახრჩობდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ამის შესახებ სხვა დროს ვილაპარაკოთ, — დაუთმო მან და წელში გასწორდა.

— მაპატიეთ, — მოულოდნელი სიმკვირცხლით წაილაპარაკა მღვდელმა, — ძალიან მკაცრად არ გამოგვივა, თუ გეტყვით, რომ თქვენ ფრიად... დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა გამოიჩინეთ.

მას ჩვეულება ჰქონდა ზოგიერთი სიტყვა ისე მტკიცედ და თანაც რბილად გამოეთქვა, სახეზე აღელვება არ დასტყობოდა, ხოლო საჩვენებელი თითი ბაგესთან მიჰქონდა ხოლმე, თითქოს ამბობდა: „ფრთხილად იყავით!“ ახლაც ასე მოიქცა და გაიმეორა:

— ფრიად დანაშაულებრივი...

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა:

— ჩადენილი ბოროტება რაც შეიძლება მალე უნდა გამოვასწოროთ!

— რაო? მაინც რას მოითხოვთ ჩემგან? — წამოიყვირა ბატონმა ტიბომ, რომელმაც ამჯერად თავი ვეღარ შეიკავა. იგი მღვდელს მიუბრუნდა და გამომწვევად აპრიხა ცხვირი. — ნუთუ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა შევწყვიტოთ მკურნალობის კურსი, რომელსაც ასეთი შესანიშნავი შედეგი მოაქვს? ის ცუღლუტი შინ დავაბრუნო? კვლავაც უნდა ავიტანო მისი უზნეობა? დიდი მადლობელი ვარ!

მან ისე მოკუმა მუშტები, რომ სახსრებმა გაუტკაცუნეს. კრიჭაშეკრულმა ხრინწიანი ხმით დაიყვირა:

— გულახდილად გეუბნებით: არა! არა! და არა!

აბატმა მშვიდად გაშალა მკლავები, თითქოს ამბობდა, თქვენი ნებაა!

ბატონი ტიბო ფეხზე წამოხტა. ჟაკის ბედი მეორედ წყდებოდა.

— როგორც ვხედავ, ჩემო ძვირფასო აბატო, — თქვა მან, — დღეს თქვენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება და ამიტომ მივდივარ. მაგრამ ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ თქვენც ისეთივე აზრები გაგჩენიათ, რაც ანტუანს. განა მე გულქვა მამა ვარ? განა ყველაფერი არ გავაკეთე იმისთვის, რომ ხან მოფერებით, დაყვავებით, ხანაც წესიერი მაგალითებით, ოჯახური სითბოთი ეს ბიჭი ჭეშმარიტების გზაზე დამეყენებინა? განა მრავალი წლის განმავლობაში არ ვითმენდი, რაც კი მამას შეუძლია შვილისგან აიტანოს? იმას ხომ ვეღარ უარყოფთ, რომ მთელმა ჩემმა გულკეთილობამ ფუჭად ჩაიარა?! საბედნიეროდ, დროზე მივხვდი, რომ სულ სხვა

იყო ჩემი მოვალეობა და როგორი მძიმეც უნდა ყოფილიყო იგი ჩემთვის, იძულებული გავხდი უყოყმანოდ დავთანხმებულიყავი: მაშინ თქვენც მოიწონეთ ჩემი საქციელი; ამასთანავე, ღმერთმა ცოტაოდენი გამოცდილებითაც დამაჯილდოვა და ისეთი გრძნობა მქონდა, — როცა განგებამ სპეციალური კორპუსის აშენება შთამაგონა კრუიში, — ამით საშუალება მომცა საკუთარი სენისთვის წინასწარ მომემზადებინა წამალი. განა ვაჟკაცურად არ გადავიტანე ეს გამოცდა? განა ბევრი მამა მოიქცეოდა ჩემსავით? ნუთუ მე კიდევ რაიმე უნდა ვუსაყვედურო საკუთარ თავს? მადლობა ღმერთს, სინდისი სუფთა მაქვს! — მტკიცედ განაცხადა მან, თუმცა, ეტყობოდა, გულის სიღრმეში რაღაც წინააღმდეგობას გრძნობდა, — და ყველა მამას ვუსურვებ ისეთივე წმინდა სინდისს, როგორიც მე მაქვს, — ოდნავ ყრუდ მოისმოდა მისი ხმა. — ახლა კი მივდივარ.

კარი გააღო; სახეზე კმაყოფილი ღიმილი აუკიაფდა და ნორმანდიელისათვის დამახასიათებელი მყდერი, სარკასტული ხმით დაუმატა:

— საბედნიეროდ, მე უფრო მაგრად მადგას თავი მხრებზე, ვიდრე რომელიმე თქვენგანს!

იგი წინოთახში გავიდა. აბატი უხმოდ მიაცილებდა.

— ნახვამდის, ჩემო ძვირფასო! — არხეინად უთხრა ბატონმა ტიბომ და კიბის მოედანზე გავიდა.

შემდეგ მობრუნდა, უნდოდა ხელი ჩამოერთმია აბატისათვის, მაგრამ უცებ მღვდელი, ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე, ფიქრმორეული ალაპარაკდა:

— „ორი კაცი ტაძარში შევიდა სალოცავად: ერთი ფარისეველი იყო, მეორე — მეზვერე. ფარისეველი ლოცვად დადგა და გულში ლაღადებდა: „ღმერთო! მადლობას გწირავ, რამეთუ ისეთი არა ვარ, როგორიც სხვანი არიან! კვირაში ორჯერ ვმარხულობ და ჩემი ქონების მეათედ წილს ღარიბებს ვურიგებ“. თავის მხრივ, მეზვერე განზე იდგა და ზეცისაკენ თვალის გასწორება ვერ გაებედა; სამაგიეროდ, მკერდზე ირტყამდა მუშტებს და ბუტბუტებდა: „ღმერთო! შემინდე, რამეთუ ცოდვილი ვარ!“

ბატონმა ტიბომ ქუთუთოები ზეასწია: მისი მოძღვარი ბნელ წინოთახში იდგა და სარჩევნებელი თითი ბაგეზე მიედო.

— გარწმუნებთ, სწორედ ეს მონანიებელი წავიდა შინ გამართლებული და არა ფარისეველი: რამეთუ ყოველი, ვინც თავისთავს აღამაღლებს, დამცირებულ იქნება, ხოლო ყოველი, ვინც თავს დაიმცირებს — ამაღლდება!

ჩასუქებულმა კაცმა ისე გაუძლო ამ დარტყმას, წარბიც არ შეურხევია: უძრავად იდგა, თავდახრილი. რაკი სიჩუმე გაგრძელდა, გაბედა და ერთხელ კიდევ ახედა მოძღვარს: აბატს ჩუმად მოესწრო კარის მიხურვა; ბატონი ტიბო მარტო აღმოჩნდა დახშულ კართან. მხრები აიჩეჩა, ერთბაშად შემობრუნდა და წავიდა. ნახევარი სართულიც არ ექნებოდა ჩათავებული, რომ შეჩერდა: მაგრად ჩასჭიდა ხელი კიბის მოაჯირს; ხშირ-ხშირად სუნთქავდა, ნიკაპს გაუხედნავი, ლაგამით გახელებული ცხენივით იქნევდა.

— არა, — წაილაპარაკა მან და უყოყმანოდ შინ გასწია.

მთელი დღე ცდილობდა დაევიწყნა, რაც მოხდა. მაგრამ როცა ნაშუადღევს ბატონმა შალმა დროზე ვერ მიაწოდა საჭირო საქაღალდე, ერთბაშად გაცხარდა და თავი ძლივს შეიკავა. ანტუანი საავადმყოფოში მორიგეობდა. სადილმა ჩუმად ჩაიარა. ბატონმა ტიბომ აღარ დაუცადა, სანამ ჟიზელი დესერტს დაამთავრებდა, ხელსახოცი დაკეცა და კაბინეტში შევიდა.

საათმა რვაჯერ ჩამოჰკრა. „კიდევ მოვასწრებ ამ საღამოს აბატთან მისვლას“, — გაიფიქრა ბატონმა ტიბომ. დაჯდა და მტკიცედ გადაწყვიტა არ წასულიყო: „კვლავ ჟაკზე ჩამომიგდებს სიტყვას! რაკი ვთქვი, არა-მეთქი, მაშასადამე, არა!“ „საინტერესოა, მაინც რა უნდოდა ეთქვა, ფარისევლის ამბავი რომ მოაყოლა?“ — მეასეჯერ მაინც ეკითხებოდა თავისთავს. უცებ ქვედა ტუჩი აუკანკალდა. ბატონ ტიბოს მუდამ ეშინოდა სიკვდილის. წამოდგა და ბუხარზე დახვავებულ ბრინჯაოს ნივთებს ზემოთ თავის გამოსახულებას დააკვირდა სარკეში. სახის ნაკვთებს უკვე დაჰკარგოდათ ის თავდაჯერებული იერი, რაც წელთა სიმრავლეს მისთვის დაეჩნია და აქამდე ვერც მარტოდ ყოფნისას, ვერც ლოცვის ჟამს ვერ მოეცილებინა. ერთიანად კანკალმა აიტანა, მხრები ჩამოუშვა და სავარძელში ჩაჯდა. თავი უცებ სასიკვდილო სარეცელზე წარმოიდგინა და ძრწოლვით გაიფიქრა, იქ ხელცარიელი ხომ არ წარვსდგებიო. სასოწარკვეთით ებღაუჭებოდა ნაცნობების აზრს თავის შესახებ. „მე ხომ წესიერი ადამიანი ვარ!“ — იმეორებდა, მაგრამ მის სიტყვებს მაინც შეკითხვის ტონი დაჰკრავდა. სიტყვებს თავს ვეღარ აღწევდა და გრძნობდა, ის იშვიათი წუთი დამდგარა, როცა თვითანალიზი ჯერ კიდევ გამოუცნობ სიღრმეში იჭრებაო. სავარძლის სახელურზე ხელებჩაბღაუჭებულს მთელი თავისი ცხოვრება წარმოუდგა თვალწინ, მაგრამ იქ ვერც ერთი ღირსეული, წმინდა საქციელი ვერ აღმოაჩინა. მწარე მოგონებები ამოტივტივდნენ მივიწყების მორევიდან. ერთი მათგანი, დანარჩენ მოგონებაზე უფრო მძიმე. ისეთი უცნაური სიზუსტით აეხატა,

რომ თავზე ხელები იტაცა; და ბატონ ტიბოს პირველად შერცხვა თავის სიცოცხლეში! როგორც იქნა, იწვნია ის უდიდესი გრძნობა თვითსიძულვილისა, რაც ესოდენ აუტანელია მოკვდავისათვის, რაც ყოველგვარ მსხვერპლს გაგაღებინებს, ოღონდაც გამართლდე, ღვთის პატიებას ეღირსო, მჭმუნვარე სულის სიმშვიდე და სამარადისო შვების იმედი მოიხვეჭო! ოჰ, ნეტავი კვლავ ჰპოვებდეს ღმერთს!.. მაგრამ ჯერ ხომ აბატის, ღვთის ამ მსახურის პატივისცემა უნდა დაიმსახუროს... დიახ... ერთი წუთითაც აღარ უნდა იცხოვროს ამ წყეულ მარტოობაში, ასეთი მკაცრი განკითხვის შიშით შეპყრობილმა!

გრილმა ჰაერმა შვება მოჰგვარა. სწრაფად რომ მისულიყო, მანქანაში ჩაჯდა. აბატმა ვეკარმა კარი თვითონ გაუღო; ლამპა მაღლა ასწია, შუქი სახეზე ხვდებოდა, და როცა სტუმარს დააკვირდა, აღელვების ნატამალი არ დასტყობია.

— ეს მე ვარ! — თქვა ბატონმა ტიბომ.

მან მექანიკურად გაუწოდა ხელი, გაჩუმდა და სამუშაო კაბინეტისკენ გაემართა.

— იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ხელახლა ჟაკის შესახებ ვილაპარაკოთ, — დაჯდომისთანავე განუცხადა მან.

და როცა მღვდელმა შემრიგებლურად დაუქნია ხელი, დაუმატა:

— დამიჯერეთ: ნუღარ განვაახლებთ ამაზე საუბარს! არ ღირს! თქვენ მცდარ გზას ადგიხართ. სხვათა შორის, თუ გული გერჩით, წაბრძანდით კრუიში და თავად დარწმუნდებით, რომ მართალი ვარ.

შემდეგ გულუბრყვილოდ და თან უკმეხად უთხრა:

— დილანდელი უგუნურობა მომიტევეთ, თქვენ მე კარგად მიცნობთ! ფიცხი ვარ, მე არ... მაგრამ გულწრფელად თუ ვილაპარაკებთ... საქმე ისაა, არც თქვენ მომექეცით კარგად, როცა ფარისეველზე ჩამოაგდეთ სიტყვა! დიახ, დიდი სიმკაცრე გამოიჩინეთ: დალახვროს ეშმაკმა, უფლებაც მაქვს პროტესტისა! აგერ ოცდაათი წელია მთელ ჩემს დროს, ჩემს შესაძლებლობას კათოლიკურ დაწესებულებებს ვუთმობ; კიდევ მეტი — ჩემი შემოსავლის დიდ ნაწილსაც კი მათ ვაძლევ. ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ მოძღვრისგან, მეგობრისგან უნდა მოვისმინო, რომ მე... რომ მე არ.. არა, აღიარეთ, რომ ეს უსამართლობაა!

აბატი მომნანიებელს უყურებდა, თითქოს ეუბნებოდა: თქვენდაუნებურად ყოველ თქვენს სიტყვაში მედიდურობა გამოსჭვივისო...

დიდხანს დუმდნენ.

— ჩემო ძვირფასო აბატო, — შემკრთალი ხმით წამოიწყო ბატონმა ტიბომ, — ვთქვათ, იქნებ, მართლა არა ვარ სრულყოფილად... კეთილი, თანახმა ვარ... ძალიან ხშირად მე... მაგრამ რას იზამთ? ასეთი ბუნებისა ვარ... განა არ იცით, როგორი ადამიანი ვარ?

ცოტაოდენ შემწყნარებლობას ევედრებოდა.

— ოჰ, გზა ხსნისა ისე ძნელია... მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამამაღლოთ და გზა მიჩვენოთ... მე უკვე ვბერდები, მეშინია... — წაიბუტბუტა მან უცაბად.

მისმა შეცვლილმა ხმამ გული მოულბო აბატს. იგრძნო, დუმილი აღარ შეიძლებოდა და სკამი მისკენ მისწია.

— ახლა, მე თვითონაც ვყოყმანობ... — დაიწყო მან, — თანაც, ჩემო მეგობარო, მას შემდეგ, რაც საღვთო სჯულს ასე ღრმად გაუდგამს ფესვები თქვენში, სათქმელი აღარა დამრჩენია რა.

ერთხანს ჩაფიქრდა.

— ვიცი, ღმერთმა ძნელი საქმე დაგავალათ. ღვთის სამსახურით ავტორიტეტი და პატივისცემა მოგიხვეჭიათ ხალხში. ცხადია, ეს ასედაც უნდა ყოფილიყო! მაგრამ ხომ შეიძლებოდა მისი და თქვენი დიდება აგრეოდათ ერთმანეთში! ან აჰყოლოდით ცთუნებას და ნელ-ნელა, თქვენს უნებურად, თქვენი სახელისათვის მოგეცათ უპირატესობა! კარგად ვიცი...

ბატონმა ტიბომ ქუთუთოები ასწია და აღარც დაუშვა. მის უფერულ თვალებში შიშს ჩაესადგურებინა და თანაც, ბავშვური, გულუბრყვილო გამომეტყველებაც შერჩენოდა.

— მიუხედავად, ამისა, გახსოვდეთ! — განაგრძო აბატმა. „ად მაჯორემ დეი გლორიამ!“, მხოლოდ ესაა მთავარი. სხვა დანარჩენი უკეთურია! თქვენ ძლიერთა მოდგმას, ესე იგი მედიდურთა მოდგმას ეკუთვნით, მეგობარო! კარგად ვიცი, რა ძნელია დათრგუნო ამპარტავნობა და იგი კეთილ გზაზე გადაიყვანო! ძნელია, არ იცხოვრო პირადი ცხოვრებისთვის, მაშინაც კი არ დაივიწყო ღმერთი, როცა მთლიანად ღვთისმსახურებით ხარ დაკავებული! ვიცი, რა ძნელია არ მოხვდე იმათ რიცხვში, ვის შესახებაც უფალმა ასე ნაღვლიანად თქვა: „მადიდებს ხალხი ესე ბაგეებით თვისით, გული მათი კი ჩემგან შორსაა!“

— ოჰ, — აღტყინებით წამოიძახა ბატონმა ტიბომ და თავი მაღლა აიღო, — ეს საშინელებაა!.. ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა საშინელებაა ეს!

იგი ნეტარ სიმშვიდეს განიცდიდა ამ თვითდამცირების გამო; ბუნდოვნად შეიცნო, რომ სწორედ ამ გზით შეეძლო დაებრუნებინა მღვდლის კე-

თილკანწყობა და თანაც არაფერი დაეთმო გამასწორებელი კოლონიის საკითხის განხილვისას. რაღაც ძალა უბიძგებდა, შუა გზაზე არ შეჩერდე, საკუთარი რწმენის სიღრმით, მოულოდნელი დიდსულოვნებით აბატი გააოცე, რაღაც უნდა დაგიჯდეს, მისი პატივისცემა დაიმსახურეო.

— მოძღვარო! — შესძახა მან ერთბაშად და მისმა თვალებმა ისეთივე მტკიცე გამომეტყველება მიიღო, როგორიც ანტუანს ჰქონდა, — თუკი აქამდე მხოლოდ უპადრუკი ამპარტავანი ვიყავი, განა დღეს ღმერთი შემთხვევას არ მაძლევს... გამოვისყიდო ყოველი ცოდვა?

შეყოყმანდა, თითქოს თავისთავს ებრძვისო. მართლაც ასე იყო. აბატმა შეამჩნია, ბატონმა ტიბომ ჟილეტთან მიიტანა ცერი სწორედ იმ ადგილას, სადაც გული იყო, და სწრაფად გადაისახა პირჯვარი.

— მხედველობაში მაქვს ჩემი კანდიდატურა, გესმით? ეს მართლაც იქნებოდა მსხვერპლის გაღება, თანაც ამპარტავანი კაცის მიერ შეწირული, რადგან, როგორც თქვენ ბრძანეთ, ამ დილით ჩემი არჩევა გადაწყვეტილი ყოფილა! ასე რომ, მე... ხომ ხედავთ, აქაც სიამაყე იჩენს თავს: განა არ ჯობდა გავჩუმებულიყავი და ისე გამეკეთებინა ეს საქმე, არავისთვის, თქვენთვისაც კი არ გამემხილა? მაგრამ მით უარესი! ამრიგად, მოძღვარო, ფიცს გაძლევთ. ხვალვე, ერთხელ და სამუდამოდ მოვხსნა ჩემი კანდიდატურა აკადემიაში!

აბატმა ხელით ანიშნა რაღაც, მაგრამ ბატონ ტიბოს არ შეუმჩნევია, რადგან კედელზე მიკრული ჯვარცმისკენ იყო მიბრუნებული:

— ღმერთო! — ბუტბუტებდა იგი, — შემინდე, მე ცოდვილს!

ამ აგზნებულ მდგომარეობაშიც კი თავმომწონეობის უკანასკნელი ნატამალი ჩააქსოვა მისდაუნებურად: ამპარტავნობას ისე მტკიცედ გაედგა ფესვები, რომ გულმოდგინე სინანულის დროსაც კი საოცარ კმაყოფილებასა და სიამაყეს განიცდიდა თვითდამცირებისა გამო.

აბატმა გამსჭვალავი თვალი შეავლო: რამდენად გულწრფელი შეიძლება იყოს ეს ადამიანი? მაგრამ იმ წუთში ბატონ ტიბოს ისეთი თვითაღკვეთითა და ღვთისმოსავობით განათებოდა სახე, რომ ნაოჭები და შეშუპებული ნაკვთებიც კი გასწორებოდა და მოხუცის პირსახეს ბალღური სისპეტაკე ეფინა. მისმა იერმა ააფორიაქა მღვდელი. შერცხვა იმ უბადრუკი კმაყოფილებისა, ამ ჩასუქებული მომნანიებლის დაბნევის გამო რომ განიცადა იმ დილით. როლები შეიცვალა. ახლა აბატმა გადაავლო თვალი საკუთარ ცხოვრებას: განა ასე გამალებით მხოლოდ ღმერთის სადიდებლად მიატოვა მან მოსწავლეები და საარქიეპისკოპოში გამონახა ეს თბილი ადგილი?

განა ყოველდღე არ განიცდიდა დანაშაულებრივ, ეგოისტურ კმაყოფილებას, როცა დიპლომატიური მოხერხებულობით მსახურებდა ეკლესიას?

— გულახდილად მითხარით, ნუთუ გჯერათ. რომ ღმერთი შეგინდობს?

ბატონი ტიბოს აკანკალებულმა ხმამ აბატი ვეკარი გამოაფხიზლა და სულიერი წინამძღვრის მოვალეობა შეახსენა. ერთმანეთს გადაჭდობილ თითებზე ნიკაპი დააბჯინა, თავი დასარა და ნაძალადევად გაიღიმა

— მე საშუალება მოგეცით უკიდურესობამდე მისულიყავით, — წაილაპარაკა მან, — საშუალება მოგეცით, ბოლომდე დაგეცალათ ფიალა და დარწმუნებული ვარ, ღვთაებრივი ლმობიერება ამიერიდან გაგიწევთ მფარველობას. მაგრამ, — დასძინა მან და საჩვენებელი თითი ზეაწია, — ამისთვის განზრახვაც კი საკმარისია! თქვენი ჭეშმარიტი მოვალეობა სრულიადაც არაა მსხვერპლის ბოლომდე გაღება. ნუ მეკამათებით! მე, თქვენი მოძღვარი, აღთქმისაგან გათავისუფლებთ. რამეთუ თქვენი უარი ნაკლებ სარგებლობას მოუტანდა ღვთის დიდებას, ვიდრე თქვენი არჩევა. თქვენ ისეთი ყურადსაღები ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა გაქვთ, მათი უგულებელყოფის უფლებას არავინ მოგცემთ. აკადემიის წევრის წოდება იმ გამორჩეულ უკიდურეს — მემარჯვენე რესპუბლიკელთა რიგებში ჩაგაყენებთ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საიმედო ბურჯები. ახალი ავტორიტეტები არიან და თანაც, ჩვენი რელიგიური საქმისთვის საჭირო ხალხად მიგვაჩნია. თქვენ მუდამ ახერხებდით პირადი ცხოვრება ეკლესიის მფარველობის ქვეშ წაგემართათ. ანიტომ, ნება მიეცით ამავე ეკლესიას, ჩემი მეშვეობით, ერთხელ კიდევ გიჩვენოთ გზა! ღმერთს არ სჭირდება თქვენ მიერ გაღებული მსხვერპლი, მეგობარო, როგორც არ უნდა გიმძიმდეთ. უნდა დაემორჩილოთ. დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!

ასე ლაპარაკობდა აბატი და თან ბატონ ტიბოს აკვირდებოდა. მას სახის ნაკვთები თანდათან დამშვიდებოდა და წინანდელი წონასწორობაც დაპბრუნებოდა; როცა მოძღვარმა სათქმელი მოათავა, ჩასუქებულ კაცს ქუთუთოები უკვე დაეხარა და შეუძლებელი იყო ამოგეკითხათ, რა ხდებოდა მისი სულის წიაღში. რაკი მას ოცი წლის ამპარტავნული ოცნება აუხდა, რაკი მოძღვარმა აკადემიკოსის სავარძელი დაუბრუნა, ამით სიცოცხლეც დაუბრუნა მას. მაგრამ, საკუთარ თავზე ასეთი სათაკილო ძალდატანების შემდეგ, ბატონი ტიბო კვლავაც მოშვებული იჯდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, ზეადამიანური მადლიერების გრძნობით რომ იყო გამსჭვალული. ორივეს ერთმა და იმავე აზრმა გაუელვა: მღვდელი თავდახრილი, ხმადაბლა ბუტბუტებდა სამადლობელო ლოცვას. თავი რომ ასწია, ბატონი ტიბო მუხლმოდ-

რეკილი დახვდა: თვალები დაეხუჭა, ზეცისკენ მიპყრობილ სახეზე სიხარული ეფინა, სველ ტუჩებს აცმაცუნებდა, ხოლო გაბალნული, ბზიკნაკბენივით დასიებული ხელები საწერ მაგიდაზე დაეწყო და თითები მაგრად გადაეჭდო ერთმანეთისთვის. კი მაგრამ, ეს ჭკუადსაღები სანახაობა აუტანლად რატომღა მოეჩვენა აბატს? ერთბაშად ისე აღშფოთდა, თავი ვერ შეიკავა, წინ გადაიწია და კინაღამ ხელი ჰკრა მომნანიებელს, მაგრამ კიდევ კარგი, მაშინვე მოეგო გონს და ალერსიანად მხარზე შეეხო. ბატონი ტიბო მძიმედ წამოდგა ფეხზე.

— ჯერ არ მოგვითავებია სათქმელი! — მისთვის ჩვეული უდრეკი მოკრძალებით წამოიწყო მოძღვარმა, — ჟაკის საქმე როგორმე უნდა გადავწყვიტოთ!

ბატონი ტიბო ანაზდად წელში გასწორდა. აბატი დაჯდა.

— ნუ დაემსგავსებით იმ ადამიანებს, რომლებიც, როგორც კი რაიმე მძიმე მოვალეობას მოიხდიან, უშუალო, პირველ ვალს არად აგდებენ. ვთქვათ, ის გამოცდა, თქვენს შვილს რომ მოუწყეთ, სულაც არაა ისეთი მავნებელი, როგორც მე მეშინია; სულ ერთია, ნუღარ განაგრძობთ მას! გაიხსენეთ მონა, რომელმაც ბატონის მიერ ნაბოძები ტალანტი მიწაში ჩამარხა! აბა, ჩემო მეგობარო, ისე ნუ წახვალთ ჩემგან, სანამ მთელი სრულყოფით არ შეიგნებთ ნაკისრ დიდ პასუხისმგებლობას.

ბატონი ტიბო ფეხზე იდგა და უარყოფის ნიშნად თავს აქნევდა, თუმცა ადრინდელი სიჯიუტე აღარ ეტყობოდა. აბატი წამოდგა.

— ყველაზე ძნელია თავი ისე დაიჭირო, — ხმადაბლა წამოიწყო მან, — თითქოს ანტუანს არ უთმობთ, არა?

მოძღვარმა იგრძნო, მისი ნათქვამი მიზანს მოხვდა, ოთახში გაიარა და უცებ ხალისიანი ტონით უთხრა:

— ჩემო მეგობარო, იცით, თქვენს ადგილას რას ვიზამდი? ანტუანს ვეტყოდი: „გინდა შენი ძმა გამასწორებელი კოლონიიდან წამოვიყვანოთ? გინდა, ხომ? კვლავაც ამ აზრს ადგახარ? კეთილი და პატიოსანი! ახლავე დაგიჯერ სიტყვაზე: წადი და წამოიყვანე! ოღონდ შენთან იყოლიე. ხომ გინდოდა, შინ დაბრუნებულიყო, ჰოდა, თვითონ მოუარე!

ბატონი ტიბო არ განძრეულა. აბატმა განაგრძო:

— უფრო მეტსაც ვიზამდი! ვეტყოდი: „მე არა მსურს ჟაკი ჩემს სახლში ცხოვრობდეს. როგორც გინდა, ისე მოახერხე. შენ მუდამ იმ აზრისა ხარ, რომ ჩვენ არ შეგვწევს უნარი გავუგოთ ამ ბავშვს! ჰოდა, თვითონ სცადე!“ ასე და ამგვარად, ხელში შევაჩეჩებდი უმცროს ძმას. ორივეს ერთად დავაბინავებდი, რა თქმა უნდა, სადმე მახლობლად, რათა შინ ესადი-

ლათ, მაგრამ ძმის აღზრდა-პატრონობას მთლიანად ანტუანს მივანდობდი. ნუ შემეკამათებით, მეგობარო, — დასძინა აბატმა, თუმცა ბატონი ტიბო არ განძრეულა, — მოითმინეთ, მაცალეთ ბოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი! ჩემი ჩანაფიქრი არც ისე აუხდენელია, როგორც ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ...

იგი საწერ მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და იდაყვებით დაეყრდნო.

— ყურადღებით მომისმინეთ! — წაილაპარაკა მან, — პ რ ი მ ო: სანაძლეო შეიძლება დავდოთ, რომ ჟაკი უფროს ძმის ავტორიტეტს უფრო ადვილად დაემორჩილება, ვიდრე თქვენსას, და ღრმად ვარ დარწმუნებული, რაკი თავისუფლებას იგრძნობს, თვითონვე შეწყვეტს იმ წინააღმდეგობასა და ურჩობას, რაც მისთვის წინათ შეგვიმჩნევია.

ს ე კ უ ნ დ ო: თუ ანტუანზე ვლაპარაკობთ, მისი სიდინჯე ყოველგვარ გარანტიას უნდა გაძლევდეთ. დარწმუნებული ვარ, თუკი სიტყვაზე დაიჯერებთ, ძმის გათავისუფლების ამ საშუალებაზე უარს არ იტყვის. რაც შეეხება ანტუანის იმ სავალალო მიდრეკილებებს, რაზედაც ამ დილით ვწუწუნებდით, უმცირეს მიზეზს ზოგჯერ უდიდესი შედეგების გამოწვევა შეუძლია: ჩემის აზრით, თუკი ანტუანს დააკისრებთ, რომ მან იზრუნოს ადამიანის სულზე, ამით მას საუკეთესო საპირისპირო საშუალებას მისცემთ და უცილობლად მიიყვანთ იქამდე, რომ გაცილებით ნაკლები ანარქისტული შეხედულება შეექმნას საზოგადოებაზე, მორალსა და რელიგიაზე.

ტ ე რ ც ი ო: ყოველდღიური დავისგან ასე და ამგვარად დაცული თქვენი მამობრივი უფლებები, რომლებიც ისედაც გაუფერულებულია ამდენი ხნის გამოყენებით, ადვილად შეინარჩუნებდა მთელ თავის პრესტიჟს და ორივე ვაჟიშვილს იმ საერთო ხელმძღვანელობას გაუწევდა ზემოდან, რაც მისი ხვედრი და, — როგორ ვთქვა? — მისი ძირითადი დანიშნულებაა სწორედ. და ბოლოს, — აბატის ხმას ნდობის კილო დაეტყო, — გამოგიტყდებით, არჩევნების დროს, სასურველია, ჟაკი კრუიში აღარ იყოს, და საერთოდ, ყოველგვარი მითქმა-მოთქმა შეწყდეს ამის თაობაზე. სახელის განთქმას ათასგვარი ინტერვიუ და გამოძიებანი მოსდევს შედეგად. პრესა იმდენად მოურიდებელია, ნიშანში ამოგიღებთ.. ვიცი, ეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ამბავია, მაგრამ მაინც...

ბატონმა ტიბომ წამით გადახედა აბატს, მის თვალებში შიში იგრძნობოდა. თავისთავსაც ვერ გამოუტყდებოდა, მაგრამ კოლონიიდან შვილის გამოყვანა, უთუოდ გაათავისუფლებდა სინდისის ქენჯნისგან. აბატის კომბინაცია ყოველმხრივ მომგებიანი იყო: ჯერ ერთი, მის თავმოყვარეობას იცავ-

და ანტუანისაგან, მეორეც: ჟაკს დაუბრუნებდა ნორმალურ ცხოვრებას, თანაც ისე, რომ ბატონ ტიბოს აღარ დასჭირდებოდა შვილზე ზრუნვა.

— დარწმუნებული რომ ვიყო, — თქვა მან ბოლოს, — რომ ის ცუღლუტი თავისუფლების მიღებისთანავე ახალ უსიამოვნებას არ მომაყენებდა...

ამჯერად ბრძოლა მოგებული გახლდათ.

აბატი კისრულობდა, პირველი ორი თვის განმავლობაში მაინც, ჩუმად თვალყური ედევნებინა ორივე ძმისათვის; შემდეგ, პირობა მისცა, მეორე დღეს უნივერსიტეტის ქუჩაზე სადილად მისულიყო და მონაწილეობა მიეღო იმ მოლაპარაკებაში, რასაც მამა აპირებდა უფროს ვაჟთან.

ბატონი ტიბო წასასვლელად წამოდგა. იგი მსუბუქად, გახალისებული გულით მიდიოდა. მიუხედავად ამისა, როცა მოძღვარს გულმხურვალედ ართმევდა ხელს, რატომღაც კვლავ მოეჯარა ეჭვები.

— ღმერთმა შემინდოს, ასეთი რომ ვარ! — საცოდავი ხმით წარმოთქვა მან.

აბატმა სიხარულით გადახედა.

— „ვინ იქნება თქვენ შორის ისეთი, — წაიბუტბუტა მან, — რომელსაც ასი ცხვარი ჰყავდეს, ერთი დაეკარგოს, ოთხმოცდაცხრამეტი არ მიატოვოს უდაბნოსა შინა და არ წავიდეს იმ ერთის საძებნელად და მანამ არ დაბრუნდეს, ვიდრე არ იპოვიდეს მას?!“

სახეზე ღიმილმა გადაურბინა, თითი ასწია და დაუმატა:

— გეტყვით მე თქვენ, ზეცაში ასე უფრო მეტი სიხარული იქნება ერთი მონანიებული ცოდვილის გამო!

## VI

ერთ დილით, ცხრა საათიც არ იქნებოდა, როცა ობსერვატორიის გამზირის კონსიერჟი ზემოსართულზე ავიდა და ქალბატონ დე ფონტანენს მოახსენა: ქვევით ვიღაც „პიროვნება“ გელოდებათ, ამოსვლა არ სურს და არც თავის გვარს ამბობსო.

— ვინ პიროვნება? ქალია?

— ქალიშვილი გახლავთ.

ქალბატონმა დე ფონტანენმა მისდაუნებურად უკან დაიხია. ჟერომის ახალი საყვარელი თუ არისო... შანტაჟს ხომ არ მიწყობენო? — გაიფიქრა მან.

— თანაც ისეთი ახალგაზრდაა! — დაუმატა მეკარემ, — სულ ბავშვია.

— მოვდივარ.

მართლაც, ბავშვი იმალებოდა მეკარის ბნელ ჯიხურში... შემდეგ, როგორც იქნა, თავი ასწია...

— ნიკოლ! — წამოიყვირა ქალბატონმა დე ფონტანენმა, როცა ნოემი პტი-დიუტრეილის ქალიშვილი იცნო.

ნიკოლი კინაღამ მკლავებში ჩაუვარდა დეიდამისს, მაგრამ თავი შეიკავა. ლოყები ჩაცვივნოდა და სახე გაცრეცოდა. ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა და წარბები აეზიდა; ძალიან აღგზნებული ჩანდა. მაგრამ ეტყობა, რაღაც გადაწყვეტილება მიეღო და თავს მორჩეოდა.

— დეიდა, მინდა მოგელაპარაკოთ!

— წამოდი...

— ოღონდ ზემოთ არ ამოვალ.

— რატომ?

— არა, ზემოთ არ ამოვალ.

— კი მაგრამ, რატომ? შინ მარტო ვარ.

შეამჩნია, ნიკოლი შეყოყმანდა.

— დანიელი ლიცეუმშია, ჟენის მუსიკის გაკვეთილი აქვს. გეუბნები, საუზმემდე მარტო ვიქნები-მეთქი. აბა, წამოდი!

ნიკოლი უსიტყვოდ გაჰყვა. ქალბატონი დე ფონტანენის საწოლ ოთახში შევიდნენ.

— რა მოხდა? — ისე ჰკითხა მან, თავის უნდობლობას ვერ მალავდა, — ვინ გამოგგზავნა? საიდან მოდიხარ?

ნიკოლმა თვალი თვალში გაუყარა და წამწამები აახამხამა.

— გამოვიპარე.

— ოჰ... — გატანჯული ხმით აღმოხდა ქალბატონ დე ფონტანენს. მიუხედავად ამისა, შვება მაინც იგრძნო, — მერედა ჩემთან მოხვედი?

ნიკოლმა მხრები აიჩეჩა, თითქოს ამბობდა: „აბა სად უნდა წავსულიყავი? სხვა ხომ არავინ მყავს?"

— დაჯექი, გენაცვალე, აბა... ძალიან დაღლილი სახე გაქვს. ხომ არ გშია?

— ცოტა... — გაეღიმა ბავშვს, თითქოს ბოდიშს იხდისო.

— რატომ თავიდან არ მითხარი? — წამოიძახა ქალბატონმა დე ფონტანენმა და ნიკოლი სასადილო ოთახში გაიყვანა.

გოგონა ისე ხარბად წაეტანა პურსა და კარაქს, ქალბატონმა დე ფონტანენმა ცივად მოხარშული ხორცი და მურაბაც გამოუდო ბუფეტიდან. ნიკოლი უსიტყვოდ შეექცეოდა, ნართალია, თავისი მადისა რცხვენოდა, მაგრამ რა ექნა, შიმშილს თავისი გაეტანა. ორი ფინჯანი ჩაი ზედიზედ დალია და ლოყებიც ალეწოდა.

— რამდენი ხანია არ გიჭამია? — ჰკითხა ქალბატონმა დე ფონტანენმა, რომელსაც უფრო ეტყობოდა მღელვარება, ვიდრე გოგონას. — გცივა?

— არა.

— რასაკვირველია, გცივა: კანკალებ.

ნიკოლმა მოუთმენლად გააქნია თავი; არ სიამოვნებდა, სისუსტეს რომ ვერ მალავდა.

— მთელი ღამე გზაში ვიყავი და ცოტა შემცივდა...

— გზაში? საიდან ჩამოხვედი?

— ბრიუსელიდან.

— ბრიუსელიდან? ღმერთო ჩემო! მარტოკა?

— დიახ.

ბავშვის ხმაში მტკიცე გადაწყვეტილება იგრძნობოდა. ქალბატონმა დე ფონტანენმა მაჯაზე ხელი მოჰკიდა.

— გაყინული ხარ, ჩემო გოგონი. საწოლ ოთახში წამოდი. იქნებ, დაძინება სცადო? შემდეგ კი ყველაფერს მიამბობ.

— არა, არა, ახლავე უნდა გითხრათ. სანამ მარტო ვართ. თანაც, სულ არ მეძინება. გარწმუნებთ, არაფერი აღარ მინდა.

აპრილის დამდეგი იყო. ქალბატონმა დე ფონტანენმა ცეცხლი აანთო, ლტოლვილს შალი მოახვია და ძალით დასვა ბუხართან. გოგონა ჯერ გაუძალიანდა, მერე გაგულისებული დაემორჩილა; აელვარებული თვალებით ერთხანს მკაცრად მისჩერებოდა ერთ წერტილს; შემდეგ კედლის საათს შეხედა, უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა ამოეთქვა ყველაფერი; მაგრამ ახლა, როცა მოხერხებულად მოიკალათა ცეცხლთან, სათქმელი ვერ წამოიწყო. დეიდამისი ცდილობდა სახეში არ შეეხედა, უხერხულობა არ იგრძნოს ბავშვმაო. ამასობაში რამდენიმე წუთმა განვლო; ნიკოლი კვლავ დუმდა.

— რაც არ უნდა ჩაგედინა, საყვარელო, — წამოიწყო ბოლოს ქალბატონმა დე ფონტანენმა, — აქ არავინ დაგიწყებს გამოკითხვას! თუ გინდა, ხულაც ნუ გაამჟღავნებ შენს საიდუმლოს, მე ისედაც მადლობელი ვარ, გაჭირვების დროს რომ გაგახსენდი და ჩვენსას მოხვედი. აქ ისე იგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

ნიკოლი წელში გასწორდა: ნუთუ ჰგონიათ, ისეთი რამ ჩავიდინე, რისი გამხელაც მიმძიმსო, გაიფიქრა მან და ისე შეიშმუშნა, მხრებიდან შალი ჩამოუცურდა და ნაკვრივი, ჯანსაღი მკერდი გამოუჩნდა, რაც მის გაცრეცილსა და ბავშვურ სახესთან სრულ კონტრასტს ჰქმნიდა.

— პირიქით! — ანთებული თვალებითა და გამომწვევი ხმით უთხრა გოგონამ, — პირიქით! მინდა ყველაფერი გიამბოთ. დეიდა... როცა თქვენ მონსოს ქუჩაზე მოხვედით ჩვენთან...

— ოჰ, — აღმოხდა ქალბატონ დე ფონტანენს და კვლავ ტანჯვა გამოეხატა სახეზე.

— ... მე ყველაფერი მოვისმინე! — სწრაფად დაამთავრა ნიკოლმა და ქუთუთოები აახამხამა.

დუმილი ჩამოვარდა.

— ვიცი, გენაცვალე.

გოგონამ ხელები სახეზე მიიფარა, თითქოს ცრემლების დაფარვას შეეცადაო, მოწოლილი ქვითინი წამსვე შეიკავა და თავი ასწია; თვალები მშრალი ჰქონდა, ტუჩები მოეკუმა; რის გამოც სახის ჩვეულებრივი გამომეტყველება და ხმაც სულ მთლად შეცვლოდა.

— ძალიან სასტიკად ნუ გაჰკიცხავთ მას, დეიდა ტერეზა! ხომ იცით, იგი ძალიან უბედურია... არ გჯერათ ჩემი?

— მჯერა! — უპასუხა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

ენის წვერზე შეკითხვა ადგა, მაგრამ გოგონას ისეთი სიმშვიდით შეხედა, რომ ვერავის ვერ შეაცდენდა.

— განა... ძია... ჟერომიც... იქაა?

— დიახ.

იგი დაჩუმდა, შემდეგ წარბები აზიდა და დაუმატა:

— სწორედ მან მაფიქრებინა გამოვპარულიყავი... და აქ მოვსულიყავი.

— მან?

— არა, ესე იგი... უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დილით მოდიოდა ჩვენთან, და რაკი მარტოკა ვიყავი, ცოტაოდენ ფულსაც მიტოვებდა ლუკმაპურისთვის; გუშინწინ კი მითხრა: ვინმე ღვთისნიერი ადამიანი რომ შეგიფარებდეს, მასთან უკეთ იქნებოდი, ვიდრე შინ ხარო. სწორედ ასე მითხრა „ღვთისნიერი ადამიანიო“. მე მაშინვე თქვენ მოგაგონდით, დეიდა ტერეზა. დარწმუნებული ვარ, იმასაც თქვენ ჰყავდით მხედველობაში. როგორ გგონიათ, მართალი ვარ!

— შესაძლებელია, ასეც იყოს! — წაიბუტბუტა ქალბატონმა დე ფონტანენმა, რომელსაც ბედნიერებისგან კინაღამ გაეღიმა, მაგრამ მაშინვე დაუმატა. — კი მაგრამ, რატომ იყავი ბავშვო? ან სად იყავი?

— შინ.

— ბრიუსელში?

— დიახ.

— არ ვიცოდი, დედაშენი ბრიუსელში თუ გადასახლდა!

— ნოემბრის ბოლოს მოგვიხდა იქ წასვლა. მონსოს ქუჩაზე მთელი ქონება აგვიწერეს. დედას ბედი არ სწყალობს: უსიამოვნება არ გამოელევა; სასამართლოს აღმასრულებლები სულ ერთთავად ფულს სთხოვდნენ. ახლა უკვე ვალები გადაიხადა და დაბრუნებაც შეუძლია.

ქალბატონმა დე ფონტანენმა ნიკოლს შეხედა: უნდოდა ეკითხა, ვალი ვინ გადაიხადაო. მისი თვალები ისე აშკარად იმლეოდნენ ამ შეკითხვას, გოგონას ბაგეზე თითქოს პასუხიც კი ამოიკითხა. ქალბატონმა დე ფონტანენმა კვლავაც ველარ შეიკავა თავი და ჰკითხა:

— ისიც... ისიც ნოემბერში გაჰყვა დედაშენს?

დეიდა ტერეზას ძკანკალებულ ხმაში ისეთი ტანჯვა მოისმოდა, ნიკოლმა არაფერი უპასუხა.

— დეიდა, — თავს ძალა დაატანა და წაილუღლუღა მან ბოლოს, — ნუ გაწიწკავრდებით, მე არაფერს არ დაგიმალავთ, მაგრამ ასე ერთბაშად ყველაფრის ერთად ახსნა ძალიან მიძნელდება. ბატონ არველდეს იცნობთ?

— არა. ვინაა?

— ცნობილი პარიზელი მევიოლინეა, მე მამეცადინებდა. ოჰ, იგი დიდი, ძალიან დიდი ხელოვანია: კონცერტებსაც მართავს.

— მერე?

— იგი პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ ბელგიელია, ამიტომ, როცა გაქცევა მოგვიხდა, ბელგიაში წაგვიყვანა. ბრიუსელში საკუთარი სახლი აქვს. ჰოდა, იქ დავსახლდით.

— მასთან ერთად?

— დიახ.

გოგონა კითხვას მიუხვდა და პირდაპირ პასუხს არც არიდებდა თავს, ეტყობოდა, რაღაც უცნაურ კმაყოფილებასაც კი გრძნობდა, სათქმელის დაფარვა რომ არ უყვარდა. მაგრამ ახლა მეტის თქმა ველარ გაებედა და გაჩუმდა.

ქალბატონი დე ფონტანენი დიდხანს დუმდა, ბოლოს მაინც ჰკითხა:

— კი მაგრამ, ამ უკანასკნელ დღეებში სად ცხოვრობდი, თუკი მარტო იყავი და ძია ჟერომი მოდიოდა შენს სანახავად?

— იქ.

— იმ კაცის სახლში?

— დიახ.

— და.. ძია ჟერომიც იქ მოდიოდა?

— რა თქმა უნდა.

— კი მაგრამ, მარტო რატომ იყავი? — მორიდებით ჰკითხა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

— იმიტომ, რომ ბატონი რაული ახლა ჟენევაშია... ლიუცერნში აქვს გასტროლები.

— რაული ვინდაა?

— ბატონი არველდე.

— დედაშენი შვეიცარიაში გაჰყვა მას და ბრიუსელში მარტო დაგტოვა?

გოგონამ ისე სასოწარკვეთილად ჩაიქნია ხელი, ქალბატონი დე ფონტანენი გაწითლდა.

— მაპატიე, საყვარელო — წაიბუტბუტა მან, — ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. რაკი ჩამოხვედი, ძალიან კარგადაც მოიქეცი. ჩვენთან დარჩი.

მაგრამ ნიკოლმა ენერგიულად გააქნია თავი.

— არა, არა, მაცალეთ, თითქმის დავამთავრე!

მან ღრმად ამოიოხრა და ერთი ამოსუნთქვით დაასრულა სათქმელი:

— ყური მიგდეთ, დეიდა! მართალია, ბატონი არველდე შვეიცარიაშია, ოღონდ დედა მასთან არაა. იმიტომ, რომ დედას ანგაჟემენტი მოუხერხა ბრიუსელის ერთ-ერთ თეატრში, რომელიღაც ოპერეტაში მიიღო როლი: დედას ხმა აღმოაჩნდა და ბატონმა არველდემ ურჩია დაემუშავებინა. მას დიდი, ძალიან დიდი წარმატებაც ჰქონდა, გაზეთებშიც წერდნენ მის შესახებ; გაზეთის ამონაჭრები ჯიბეში მაქვს, შემიძლია გაჩვენოთ!

ნიკოლს ენა დაება, ერთბაშად დაავიწყდა, რისი თქმა უნდოდა:

— ჰო, რაკი ბატონი რაული შვეიცარიაში მიდიოდა, — განაგრძო მან და თვალებში უცნაური სხივი აუკიაფდა, — ძია ჟერომიც სწორედ ამიტომ ჩამოვიდა. მაგრამ დაიგვიანა. დედა აღარ დახვდა. ერთ საღამოს დედა მომეფერა.. არა, — ნიკოლმა ხმას დაუწია და კოპები შეიკრა, — კინაღამ მცემა, რადგან ვერაფერი მომიხერხა, არ იცოდა, სად დავეტოვებინე!

მან თავი ასწია და ნაძალადევი ღიმილით დაუმატა:

— ოჰ, გულით კი არ მიბრაზდებოდა, ალბათ! პირიქით.

მწარედ გაიღიმა, ამოიოხრა.

— დეიდა ტერეზა, ვერ წარმოიდგენთ. რა უბედური იყო დედა! წასვლა ეჩქარებოდა; ქვემოთ ვიღაც ელოდა. ისიც იცოდა, რომ ძია ჟერომი საცაა უნდა მოსულიყო; მანამდე იგი რამდენჯერმე მოვიდა ჩვენს სანახავად, ბატონ რაულთან ერთად კიდეც დაუკრა, მუსიკით ერთობოდნენ; მაგრამ უკანასკნელად რომ გვესტუმრა, დედას დაუბარა, სანამ ბატონი რაული აქაა, ჩემი ფეხი აქ არ იქნებაო. ჰოდა, წასვლის წინ დედამ დამიბარა. ძია ჟერომს უთხარი, დიდი ხნით მივდივარ. ბავშვს აქ ვტოვებ და მიხედოო. დარწმუნებული ვარ, რომ გამებედა და მეთქვა, ძია ჟერომი ასეც მოიქცეოდა. მაგრამ როცა მოვიდა, ამის სათქმელად ენა ვერ მომიბრუნდა; თანაც ისე გაბრაზდა, შემეშინდა, უკან არ გამოედევნოს-მეთქი, ამიტომაც ვიცრუე; ვუთხარი, დედა ხვალ დაბრუნდება-მეთქი; ყოველდღე ვეუბნებოდი ხვალ ველი-მეთქი. დედაჩემის ბინაში მთელი ბრიუსელი გადააბრუნა, იქ ეგულებოდა. მეტის ატანა აღარ შემეძლო, იქ დარჩენა აღარ მინდოდა; ჯერ ერთი, ბატონი რაულის მსახური საშინლად მეზიზღებოდა! — გოგონას გააჟრჟოლა. — იმ კაცს, დეიდა ტერეზა, იმ კაცს ისეთი საზარელი თვალები აქვს!.. მეზიზღება! და აი, როგორც კი ძია ჟერომმა ღვთისნიერ ადამიანზე ჩამომიგდო სიტყვა, ერთბაშად მივიღე გადაწყვეტილება. გუშინ დილით ცოტაოდენი ფული მომცა, ავდექი და მაშინვე წამოვედი, შემეშინდა, მსახურმა არ წამართვას ფული-მეთქი; საღამომდე ეკლესიაში ვიმალებოდი, ხოლო შემდეგ ღამის საგარეუბნო მატარებელს გამოვყევი.

თავჩაქინდრული გოგონა სხაპასხუპით ლაპარაკობდა. თავი რომ ასწია, ქალბატონი დე ფონტანენის თვინიერი სახე ისეთ აღშფოთებას, ისეთ სისასტიკეს გამოხატავდა, ნიკოლმა ვედრებით დაიკრიფა გულზე ხელები:

— დეიდა ტერეზა! დედას ნუ გაკიცხავთ! გარწმუნებთ, თითონ არაა დამნაშავე; არც მე ვარ მამა აბრამის ბატკანი, ისე ხშირად ვუშლიდი ხელს!.. ეს გასაგებიცაა! მაგრამ ახლა უკვე გავიზარდე და ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. არა, ნამდვილად აღარ შემიძლია, — მოკუმული ბაგეებით გაიმეორა მან. — უნდა ვიმუშაო, ლუკმაპურის ფული თვითონვე ვიშოვნო, სხვის კისერზე რად უნდა ვიყო? ამიტომაც ჩამოვედი, დეიდა ტერეზა. თქვენს გარდა არავინა მყავს. სხვაგვარად, აბა, როგორღა მოვქცეულიყავი? რამდენიმე დღე დამეხმარეთ, დეიდა ტერეზა! მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩემი შველა!

ქალბატონი დე ფონტანენი ისე იყო აღელვებული, ხმას ვერ იღებდა. განა ოდესმე იფიქრებდა, რომ ერთ დღეს ეს ბავშვი ასეთი ახლობელი გახდებოდა მისთვის?! ახლა კი ისეთი სიყვარულით შეჰყურებდა, თვითონვე

გრძნობდა კმაყოფილებას და თანაც საკუთარი გულისტკივილიც უმშვიდდებოდა... ნიკოლი წინანდელსავით ლამაზი აღარ იყო: ცვიების გამონაყარი დაეტოვებინა ტუჩებზე და დაეუშნოებინა. სამაგიეროდ, რა თვალები ჰქონდა! ფართოდ გახელილი, მონაცრისფრო-მოლურჯო თვალები, მეტისმეტად დიდი და მეტისმეტად მრგვალი... რაოდენი უბიწოება, რაოდენი სიმამაცე ამოიკითხებოდა მათ კრიალა გუგებში!..

როგორც იქნა, მოახერხა და ბავშვს გაუღიმა:

— მე კარგად მესმის შენი, გენაცვალე. — მისკენ გადაიხარა და უთხრა: — შენი გადაწყვეტილებაც მომწონს და დახმარებასაც გპირდები. ჯერჯერობით ჩვენთან იცხოვრებ; დასვენება გჭირდება.

ქალბატონი დე ფონტანენი ეუბნებოდა „დასვენებაო“, მაგრამ მის თვალებში ამოიკითხავდით „სიყვარულიო“. ნიკოლი მიუხვდა, თუმცა დათმობა მაინც არ უნდოდა.

— მე მუშაობა მინდა, არ მსურს მძიმე ტვირთად დაგაწვეთ.

— დედაშენმა რომ მოგაკითხოს?

ანკარა თვალებში შიშმა ჩაისადგურა და ერთბაშად საოცარი სიმკაცრეც შეიგრძნობოდა:

— ო, არა, აღარასოდეს! — ხრინწიანი ხმით წაილაპარაკა მან.

ქალბატონ დე ფონტანენს თითქოს არც გაეგონოს, ესღა უთხრა:

— სიხარულით დაგტოვებდი ჩემთან... სამუდამოდ!

გოგონა წამოდგა, თითქოს წაიბორძიკაო, იატაკზე ჩაიჩოქა და დეიდამისს თავი მუხლებზე დაადო. ქალბატონი დე ფონტანენი სახეზე ეფერებოდა და ფიქრობდა, ჩანს, სხვა საკითხების გამორკვევაც მომიხდებაო.

— შენ, ალბათ, ისეთი რამის მოწმე გახდი, ჩემო გოგო, რაც შენს ასაკში არ უნდა გენახა... — გაბედა და უთხრა მან.

ნიკოლი შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ქალმა არ გაუშვა. არ უნდოდა გოგონას დაენახა მისი ალეწილი სახე. ბავშვის შუბლი მუხლებზე მიიკრა, ქერა თმის კულულებს თითზე იხვევდა და თან ცდილობდა შესაფერისი სიტყვები შეერჩია.

— შენ ისეთ რამეებს მიხვდი... ისეთ რამეებს, რაც საიდუმლოდ უნდა შეინახო... გესმის?

ახლა თვალებში ჩახედა ნიკოლს, რომელმაც წამით შეაჩვედრა ანთებული მზერა.

— ო, დეიდა ტერეზა, არხეინად იყავით!... არავის! არავის არაფერს ვეტყვი! ისინი ვერ გაუგებენ დედას და გაკიცხავენ!

დედის საქციელის დაფარვა მასაც ისევე გულით სწადდა, როგორც ქალბატონი დე ფონტანენი უმალავდა შვილებს ჟერომის ნამოქმედარს. ეს მოულოდნელი თანაზიარობა ნიკოლმა საბოლოოდ განამტკიცა, როცა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ფეხზე წამოიჭრა და აღელვებით უთხრა:

— ყური მიგდეთ, დეიდა ტერეზა! აი რა უნდა ვუთხრათ მათ: ვითომ დედა იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო სამუშაოს საძებნელად... მაგალითად, ინგლისში... თანაც ისეთი ადგილი იპოვა ვითომ, ჩემი წაყვანა არ შეიძლებოდა... ვთქვათ, აღმზრდელის ადგილი... კარგი?

და მან ბავშვური ღიმილით დაუმატა:

— და რაკი დედა წასულია, ცხადია, მეც მოწყენილი ვიქნები, ხომ ასეა?

## VII

ბეტერმა ფრანტმა თხუთმეტ აპრილს დაცალა ქვემო სართული. თექვსმეტში დილით მადმუაზელ დე ვეზი ორი მსახურის, მეკარის — ქალბატონ ფრიულინგისა და შავი მუშის თანხლებით უცოლო კაცის ბინაში შევიდა. რაკი ის ბერბიჭას წითელ სახლში საზარციელო სახელით ვერ სარგებლობდა, მადმუაზელ დე ვეზი ზღურბლზე დადგა; ცალი ხელით მხრებზე მოსხმული შავი მერინოსის შალი ეჭირა და მანამ არ აპირებდა ბინაში შესვლას, სანამ ყველა ფანჯარას არ გახსნიდნენ და ოთახებს არ გაანიავებდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, წინოთახში შედგა ფეხი და ცუნცულით შემოიარა მთელი ბინა. როცა მოტიტვლებული კედლების ნახვამ ცოტათი დაამშვიდა, ისე გულმოდგინედ შეუდგა ბინის დალაგებას, იტყოდით, ბოროტი სულების განდევნას ლამობსო.

შინაბერა რომ თითქმის უხმოდ შეეგუა ორივე ძმის წასვლას მშობლიური კერიდან, ანტუანის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ძმების საქციელი ხომ ტრადიციას არღვევდა და ქალის მოსაზრებებს ოჯახისა და აღზრდის თაობაზე სრულიად ეწინააღმდეგებოდა. მადმუაზელის ასეთ საქციელს ანტუანი ჟაკის დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულსა და იმ პატივისცემას მიაწერდა, რითაც ქალი ბატონი ტიბოს ყოველ გადაწყვეტილებას ხვდებოდა. მით უმეტეს, თუკი ეს ზომები აბატი ვეკარის მიერ იქნებოდა სანქცირებული! სინამდვილეში მადმუაზელის გულმოდგინებას სულ სხვა რამ მიზეზი ჰქონდა: მამისეული ბინიდან ანტუანის წასვლა მოხუცს დიდ შვებას ანიჭებდა; მას აქეთ, რაც ჟიზი ამ სახლში მოიყვანეს, გამუდმებულ შიშში იყო, ანტუანმა შინ რაიმე გადამდები სენი არ შემოუტანოსო. ერთ

გაზაფხულზე, საბრალო ჟიზი ექვსი კვირის განმავლობაში ჩაკეტა ოთახში, ხანდახან აივანზე გასვლის ნებას თუ მისცემდა, ხოლო მეზობ-ლაფიტში საავგარაკოდ გამგზავრება კარგა ხნით გადაუდო მთელ ოჯახს მხოლოდ იმიტომ, რომ ნეკარის ძმისწულს, პატარა ლიზბეტ ფრიულინგს ყივანახველა შეჰყროდა, მათ კი შინიდან გასვლისას კონსიერჟის ჯიხურის წინ უნდა გაევლოთ! თავისთავად ცხადია, საავადმყოფოს სუნის, ინსტრუმენტების ხელჩანთისა და მისი წიგნების გამო ანტუანი მუდმივ მუქარად მიაჩნდა. ერთხელ კიდეც შეეხვეწა, ჟიზი მუხლებზე არასოდეს არ დაისვაო. ზოგჯერ ანტუანი უყურადღებობას გამოიჩენდა და იმის ნაცვლად, რომ პალტო თავის ოთახში შეეტანა, იქვე მიაგდებდა სკამზე წინოთახში; ანდა სადილზე დაგვიანებულს ხელის დაბანის დრო აღარ ჰქონდა და პირდაპირ მიუჯდებოდა სუფრას, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ავადმყოფებს უპალტოოდ სინჯავდა, ხოლო საავადმყოფოდან წამოსვლის წინ მუდამ ხელს იბანდა; მიუხედავად ამისა, შიშით გულგახეთქილი ქალი ლუკმას აღარ იდებდა პირში, ხეირიანად დესერტის ჭამასაც არ აცლიდა ბავშვს, მაშინვე მიჰყავდა თავის ოთახში და ყელისა და ცხვირის ანტისეპტიკურ გამოვლებას უტარებდა. ჰოდა, რაკი ანტუანი პირველ სართულზე დასახლდებოდა, ამით მას და ჟიზს შორის ორსართულიანი დაცვითი ზონა შეიქმნებოდა და ავადმყოფობის გადადების ყოველდღიური საფრთხე რამდენადმე შემცირდებოდა, ამიტომაც ქალი ისეთ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა, ეწყობოდით, კეთროვანის ლაზარეთის მოწყობა გადაუწყვეტიათ. სამ დღეში ყველაფერი გახეხეს, გარეცხეს, შპალერი გააკრეს. ფარდები დაკიდეს და ავეჯი დადგეს.

ჟაკს უკვე შეეძლო დაბრუნება.

როგორც კი ეს ბავშვი გაახსენდებოდა, ბადრუაზელეს ენერგია ემატებოდა, ანდა მუშაობას წამით შეწყვეტდა, საყვარელ იერსახეს გაიხსენებდა და დაქანცულ თვალებს მიაპყრობდა. ჟიზის სიყვარული სრულიადაც არ უბნელებდა ჟაკის სიყვარულს. იგი მაშინვე შეუყვარდა, როგორც კი დაიბადა... თუმცა, არა, უფრო ადრეც: რადგან ჟაკის გაჩენამდე დედამისი უყვარდა, ისიც მისი აღზრდილი იყო, მისი მაგივრობა ხომ აკვნიდან გაუწია ჟაკს, რომელსაც დედა ერთხელაც არ უნახავს. და აი, ერთ საღამოს ჟაკმა ბაჯბაჯით გაიარა ხალიჩაზე და პირველი ნაბიჯი მადმუაზელისკენ გადადგა, რომელიც გაშლილი მკლავებით შეეგება ბავშვის ფეხის ადგმას. თხუთმეტი წლის განმავლობაში იგი ისევე დაჰკანკალებდა ჟაკს, როგორც ახლა ჟიზს. განა ამოდენა სიყვარულის სანაცვლოდ სრული გულგრილობა უნდა ხვდომოდა წილად?! ეს ბავშვი, რომელსაც თითქმის არასოდეს თვალს

არ აშორებდა, გამოცანად რჩებოდა მისთვის. ზოგჯერ სასოწარკვეთასაც ეძლეოდა, ფიქრობდა, ეს რა ურჩხული გამიზრდიაო. და როცა იესო ქრისტესავით უწყინარი ქალბატონი ტიბოს ბავშვობა მოაგონდებოდა, ცრემლს ვეღარ იკავებდა; იგი ერთხელაც არ დაფიქრებულა, ჟაკს ვისგან შეეძლო მემკვიდრეობით მიეღო ასეთი სისასტიკე და ამიტომაც იგი ეშმაკის კერძად მიაჩნდა. სამაგიეროდ, ზოგჯერ ბიჭის რაიმე მოულოდნელი, უკიდურესი საქციელი, რაც მის ბავშვურ გულკეთილობას ამჟღავნებდა, ქალს მაშინვე გულს აუჩუყებდა და ცრემლებსაც მოჰგვრიდა, ოღონდ ამჯერად ეს სიხარულის ცრემლები იყო. ჟაკის შინიდან გაპარვას ვერასგზით ვერ შეეგუა, ვერც ის გაიგო, რამ აიძულა ასე მოქცეულიყო; სამაგიეროდ, ახლა უბდოდა ზეიმით შეხვედროდნენ მის დაბრუნებას და რაც კი ბავშვს უყვარდა, ყველაფერი ახალ ბინაში ჰქონოდა. ანტუანი იძულებული გახდა აეკრძალა მისთვის ძველი სათამაშოებით განჯინების გამოვსება; სამაგიეროდ, ქალმა თავის ოთახიდან ჟაკის საყვარელი სავარძელი ჩამოატანინა, სადაც ვისმეზე გაბუტული ჟაკი მოიკრუნჩხებოდა ხოლმე პატარაობისას. ანტუანის რჩევით, ჟაკის ძველი საწოლი ახალი გასაშლელი დივანით შეცვალეს, რომელსაც დილით აკეცავდნენ ხოლმე და ამით ოთახს სამუშაო კაბინეტის დარბაისლური იერი ეძლეოდა.

თითქმის ორი დღეა ჟიზელს არავინ აქცევდა ყურადღებას, ოთახში ჩაკეტეს და უბრძანეს, გაკვეთილებს მიხედეო, მაგრამ გოგონა გულს ვერ უდებს მეცადინეობას, ერთი სული აქვს, ნახოს, ქვევით რა ხდება. ის კი იცის, რომ მისი ჟაკო მალე დაბრუნდება, და რომ სწორედ მისი გულისთვის დააყენეს სახლი თავდაყირა! მთელი დღეები თავის საკანში დაბორიალობს, ამითღა იმშვიდებს ნერვებს.

მესამე დღეს ეს წამება აუტანელი გახდა, ხოლო ცთუნება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რაკი შუადღისას მამიდამისი ზემო სართულზე არ ამოვიდა, აღარც დაფიქრებულა, ოთახიდან გავარდა და კისრისტეხით დაეშვა საფეხურებზე. სწორედ ამ დროს შინ დაბრუნებული ანტუანიც ამოდიოდა კიბეზე. ჟიზს სიცილი წასკდა. როგორც კი ანტუანი რაღაც უცნაურ აუღელვებელ — გამძვინვარებულ სახეს მიიღებდა, გოგონას თავშეუკავებელი, გიჟური ხარხარი აუტყდებოდა ხოლმე, ეს სიცილი მანამ არ ცხრებოდა, სანამ ანტუანი ასეთი სახით უყურებდა და სანამ მადმუაზელი ორჯერ არ გაუჯავრდებოდა. ახლა კი მარტოობით ისარგებლეს და თავი აღარ შეუკავებიათ.

— რა გაცინებს? — ჰკითხა ანტუანმა და მაჯაზე ხელი წაავლო.

ქიზი ხელიდან დასხლტომას ლამობდა და გულიანად იცინოდა. შემდეგ ერთბაშად ჩაჩუმდა.

— როგორმე უნდა გადავეჩვიო ასეთ სიცილს, გესმის? თორემ ვერასოდეს ვერ გავთხოვდები.

— როგორ? გათხოვებასაც აპირებ?

— რასაკვირველია! — უპასუხა გოგონამ და კეთილი ფერიის თვალებით შეხედა.

ანტუანი დააკვირდა მის პატარა, ჩამორგვალებულ სხეულს და პირველად გაუელვა თავში, რომ ეს თერთმეტი წლის ველური გოგო სულ მალე დაქალდებოდა და გათხოვდებოდა. მაჯაზე სწრაფად გაუშვა ხელი.

— ასე მარტოკა, უქუდოდ სად მირბოდი? შალიც არ მოგიხვევია! საცაა ვისაუზმებთ!

— მამიდას ვეძებ. ერთი ამოცანა მაქვს ამოსახსნელი და გამიჭირდა, — გაიპრანჭა გოგონა.

შემდეგ გაწითლდა, კიბის ბნელი სიღრმისკენ თითი გაიშვირა და უცოლო კაცის იდუმალი კარი აჩვენა, საიდანაც სინათლის შუქი გამოკრთოდა; თვალები საოცრად უბრწყინავდა.

— შესვლა გინდა? — ჰკითხა ანტუანმა.

მან უხმოდ ააცმაცუნა მარწყვივით წითელი ტუჩები და ანიშნა, წადიო.

— იცოდე, მოგხვდება!

გოგონა წამით შეცბა, შემდეგ თავისთავად გაუსწორა თვალი. სურდა გამოეცნო, ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. და თქვა:

— აბა, სწორედ! ჯერ ერთი, ეს არავითარი ცოდვა არაა!

ანტუანს გაეღიმა; მადმუაზელი სწორედ ასე განასხვავებდა კეთილსა და ბოროტ საქციელს. ახალგაზრდა კაცმა ერთბაშად გაიფიქრა, მადმუაზელი მავნე გავლენას ხომ არ ახდენს ამ ბავშვზეო, მაგრამ როცა ქიზს შეხედა, დამშვიდდა: იგი ჯანსაღი მცენარე იყო, ყოველგვარ ნიადაგზე რომ გაიფურჩქნებოდა და ყოველგვარ ქომაგს თავს დააღწევდა. ქიზელი ნახევრად ღია კარს თვალს არ აშორებდა.

— კეთილი და პატიოსანი, შემოდი! — უთხრა ანტუანმა.

ქიზმა კინაღამ შეჰკივლა სიხარულისაგან და თავქვეით შევარდა კარში.

მადმუაზელი მარტო იყო ოთახში. ასაკეც დივანზე ფეხის წვერებით შემდგარიყო და კედელზე ჯვარცმას აკრავდა, რომელიც პირველი ზიარების დროს აჩუქა ქიზს და კვლავაც დიდხანს გაუწევდა მფარველობას ბავშვის სულს! ქალი მხიარული, ბედნიერი ჩანდა, გაახალგაზრდავებულად გამოიყუ-

რებოდა, მუშაობდა და თან ღიღინებდა. როცა წინოთახში შემოსული ანტუანის ფეხის ხმა იცნო, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რა დროც იყო გასული. ამასობაში ქიზელმა მთელი ბინა შემოირბინა, სიხარული ვერ დაიოკა, ცეკვას მოჰყვა და ტაში შემოჰკრა.

— ღმერთო დიდებულო! — წაიბუტბუტა მადმუაზელმა და ძირს ჩამოხტა.

სარკეში ძმისშვილს მოჰკრა თვალი: ფანჯრიდან შემოჭრილი ნიავი თმას უწეწავდა, თხასავით ხტუნავდა ერთ ადგილას, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა:

— გაუმარჯოს ორპირ ქააარს! გაუმარჯოს ორპირ ქაარს!

მადმუაზელი ვერაფერს მიმხვდარიყო, თუმცა არც ცდილა გაეგო, რა მოხდა. აზრადაც არ მოსვლია, გოგონამ ურჩობა გამოიჩინა აქ მოსვლითო; 66 წლის მანძილზე ბედის უკუღმართობას დიდი ხანია შეჩვეოდა. მიუხედავად ამისა, თვალის დახამხამებაში მოიძრო შალი, ქიზს მივარდა, სახელდახელოდ მხრებზე შემოახვია, ერთი საყვედურიც არ დასცდენია, ისე გაიგდო წინ და ორი სართული იმაზე სწრაფად აარბენინა, ვიდრე გოგონამ ჩამოირბინა; შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა ქიზი ლოგინში ჩააწვინა, საბნები დაახურა და ერთი ფინჯანი ქაფქაფა ნაყენი დაალევინა.

უნდა ითქვას, რომ მისი შიში სულმთლად უსაფუძვლო როდი გახლდათ! ქიზელის დედა, მადაგასკარის მკვიდრი, რომელიც მაიორმა დე ვეზმა ცოლად შეირთო ტამატავში, სადაც მისი პოლკი გარნიზონად იდგა, ფილტვების ტუბერკულოზით გარდაცვლილა ბავშვის გაჩენიდან ერთი წლის შემდეგ; ორი წელი არც გასულიყო, მაიორიც მომკვდარა რაღაც ხანგრძლივი, უცნაური სენით, ფიქრობდნენ, ცოლმა გადასდოო. ობოლის ერთადერთმა ნათესავმა, მადმუაზელმა ბავშვი მადაგასკარიდან ჩამოაყვანინა, აღზრდაც ითავა, მაგრამ მისი მემკვიდრეობითი სენი მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა ჯერჯერობით სურდოც არ შეხვედროდა ბავშვს. ექიმები თუ სპეციალისტები ყოველწლიურად სინჯავდნენ ქიზს და ერთხმად აღიარებდნენ, სავსებით ჯანმრთელი ორგანიზმი აქვსო.

აკადემიის არჩევნებამდე ორი კვირაღა დარჩენილიყო; ბატონ ტიბოს, ეტყობა, ჟაკის შინ დაბრუნება ეჩქარებოდა. შეთანხმდნენ, რომ ბატონი ფემი მომავალ კვირას ჩამოიყვანდა ბავშვს პარიზში.

წინა დღით, შაბათ საღამოს, ანტუანი შვიდ საათზე წამოვიდა საავადმყოფოდან. ოჯახში რომ არ ესადილა, რესტორანში შეიარა და რვა საათ-

ზე მხიარულად შეაღო თავისი ახალი საცხოვრებლის კარი. იმ დღეს პირველად უნდა გაეთია იქ ღამე. ამიტომაც დიდი კმაყოფილება იგრძნო, როცა გასაღები გადააბრუნა და კარი მიხურა; შუქი ყველგან აანთო, შემდეგ კი ნელი ნაბიჯით შეუდგა საკუთარი სამფლობელოს შემოვლას. ქუჩაზე გამავალი ოთახები თავისთვის დაეტოვებინა — ორი დიდი და ერთიც პატარა ოთახი. პირველი ოთახი თითქმის ცარიელი იყო; პატარა, მრგვალი მაგიდის ირგვლივ სხვადასხვა სტილის რამდენიმე სავარძელი იდგა მხოლოდ; როცა კერძო პრაქტიკა ექნებოდა, აქ მოსაცდელ ოთახს მოაწყობდა; მეორე, ყველაზე ვრცელ ოთახში, ზემო სართულიდან ის ავეჯი ჩამოაზიდვინა, რაც მამისეულ ბინაში ედგა: დიდი საწერი მაგიდა, წიგნების კარადა, ტყავის ორი სავარძელი და სხვა ნივთები, რაც მისი მუყაითი შრომის უტყუი მოწმენი იყვნენ. პატარა ოთახში, სადაც ტუალეტის მაგიდა და ტანსაცმლის კარადა იდგა, საწოლი დაადგმევინა...

წიგნები ჯერჯერობით იატაკზე ეყარა შესასვლელში, დაკეტილი ჩემოდნების გვერდით. კალორიფერიდან სასიამოვნო სითბო იღვრებოდა, ახალი პლაფონების ნათურებიდან მკვეთრი შუქი მთელ ბინას ანათებდა. ანტუანს მთელი საღამო ჰქონდა წინ საკუთარი სამფლობელოს დასაპყრობად; რამდენიმე საათში ყველაფერი უნდა ამოელაგებინა და თავისი ადგილი მიეჩინა. ერთი სიტყვით, მთელი თავისი ცხოვრება ამიერიდან წესრიგში უნდა მოეყვანა. ზემოთ, ალბათ, სადილს ამთავრებდნენ: თეფშზე თავდახრილი ჟიზი თვლემს; ბატონი ტიბო გაბმით ლაპარაკობს; სამაგიეროდ, ანტუანი რა მშვიდადაა! რა სასიამოვნოდ ეჩვენებოდა მარტოობა! იგი კმაყოფილებით მიუახლოვდა ბუხრის თავზე დაკიდებულ სარკეს, წელამდე გამოჩნდა. სარკეში ჩახედვის თავისებური მანერა ჰქონდა: მხრებს აზიდავდა, ყბებს ერთმანეთს დააჭერდა, პირდაპირ დადგებოდა და თავის გამოსახულებას თვალებში მკაცრად ჩახედავდა. იგი ცდილობდა არ შეემჩნია, რომ წელს ზემოთ უფრო გრძელი იყო, მოკლე წვივები და გამხდარი მკლავები ჰქონდა და ამ თითქმის გალეულ სხეულზე — ძლიერი, არაპროპორციული თავი, რომელიც წვერის გამო კიდევ უფრო მსხვილი ჩანდა. მას გულით ეწადა და კიდეც წარმოედგინა თავი კუნთმაგარ, მხარბეჭიან ყმაწვილად! ძალიან მოსწონდა საკუთარი სახის დაძაბული იერი: რადგან შუბლს მუდამ ისე იჭმუხნიდა, თითქოს მთელი ყურადღება თავისი ცხოვრების ყოველ წამს უნდა მიაპყროსო, ამიტომ წარბებს შორის დაბერილი ძარღვი გაჩენოდა და ღრმად ჩამჯდარ თვალებსაც ჯიუტი გამომეტყველება მიეღო, რითაც, სხვათა შორის, თავი მოჰქონდა, ენერგიულობის აშკარა ნიშანიაო. „წიგნების დალაგებით დავიწყოთ! — გადაწყვიტა მან, პიჯაკი

გაიხადა და ცარიელი კარადის ორივე კარი მკვირცხლად გამოაღო, — აბა, რვეულები ლექციების ჩანაწერებით ჯერჯერობით ქვევით იყოს... ლექსიკონები აქვე, ხელმისაწვდომ ადგილას... თერაპია... კეთილი... ტრა-ლა-ლა! როგორც იქნა ჩემსას მივაღწიე! ჩემია პირველი სართული, ჟაკი... სამი კვირის წინ ვინ იოცნებებდა ამაზე?! „იმ გაიძვერას მოუდრე-კე-ლი ნებისყოფა აქვს" — წაილაპარაკა წვრილი ხმით, თითქოს ვიღაცას აჯავრებსო, — მიდევგაა და მოუდ-რეკელი!" წამით მხიარულად გადახედა სარკეს და პირუეტი გააკეთა, რის გამოც მთელი გროვა ბროშურებისა, რომლებიც ხელში ჰქონდა და ნიკაპით ეჭირა, კინაღამ იატაკზე დაყარა, „ჰეი, ნელა! ესეც ასე! აჰა, თაროებიც გამოცოცხლდა... ახლა ქაღალდის ნაგლეჯებს მივხედოთ... ამ საღამოს ყველა საქაღალდე თაროზე დავაწყოთ, როგორც წინათ გვქონდა... მაგრამ მალე ამ ჩანაწერებისა და გამოკვლევების გადარჩევა მოგვიხდება... საკმარისად დახვავებულა... საჭიროა ლოგიკური და ნათელი კლასიფიკაციის გამომუშავება... კატალოგი უნდა შევადგინოთ... როგორც ფილიპს აქვს... კატალოგი ცალკეულ კარტოტეკაზე... სხვათა შორის, ყველა ცნობილი ექიმი..."

მსუბუქი ნაბიჯებით, თითქოს ცეკვავსო, წინ და უკან დარბოდა თაროებსა და წინოთახს შორის. უცებ, სრულიად უმიზეზოდ, პატარა ბიჭივით გაეცინა: „ექიმი ანტუან ტიბო! — წამოიძახა მან, წამით შეჩერდა და თავი მაღლა აიღო, — ექიმი ტიბო... ხომ იცნობ. აი, ის ტიბო, ბავშვთა სპეციალისტი!.."

მან შეუმჩნევლად გადადგა გვერდზე ნაბიჯი, სალმის ნიშნად მსუბუქად თავი დააქნია და დინჯად მოჰყვა წინ და უკან სიარულს. „ახლა კალათა ამოვალაგოთ... ორი წლის შემდეგ ოქროს მედალს ჩავიგდებ ხელში... კლინიკის უფროსი... საავადმყოფოთაშორისი კონკურსი... ამრიგად, აქ დიდიდიდი სამი-ოთხი წელი დავყო. შემდეგ უკვე წესიერი ბინა დაგვჭირდება, ისეთი, პ ა ტ რ ო ნ ს რომ აქვს". ხმა კვლავ გაიწვრილა: „ტიბო ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კლინიცისტია... ფილიპის მარჯვენა ხელი". რა კარგი ალღო მქონია, პირდაპირ ბავშვთა სნეულება რომ ავირჩიე სპეციალობად! როგორც კი ლუიზე, ტურონი გამახსენდება... ბრიყვები!"

„ბრიყვები" — გაიმეორა, მაგრამ, ეტყობოდა, უკვე აღარც ფიქრობდა რაზე ლაპარაკობდა. ხელში ნაირ-ნაირი ნივთები ეჭირა, თვალებს აქეთიქით აცეცებდა და თითოეულს შესაფერ ადგილს urჩევდა. „ჟაკი თუ მოინდომებს, ექიმი გახდეს, დავეხმარები, ვუხელმძღვანელებ... ორი ტიბო და ორივე ექიმი!.. რატომაც არა? ტიბოთა გვარისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი კარიერაა! მართალია, გზა ძნელია, სამაგიეროდ, რა კმაყოფილებას

იგრძნობ, თუკი ბრძოლის ცოტაოდენი უნარი, იოტის ოდენი პატივმოყვარეობა მოგეპოვება! ეს საქმე ყურადღების, მეხსიერების, ნებისყოფის რაოდენ დაძაბვას მოითხოვს! თანაც, ბოლო რომ არ უჩანს! სამაგიეროდ, როგორც კი მიზანს მიაღწევ... სახელგანთქმული ექიმი... მაგალითად, ფილიპისდარი... უნდა შეიმუშაო ის მშვიდი, დამაჯერებელი იერი... უნდა იყო ძალიან ზრდილობიანი, მაგრამ ფამილარობა არაა საჭირო! „ბატონო პროფესორო!", ოჰ, რა სჯობს იყო გამოჩენილი ექიმი, კონსილიუმებზე ისეთი კოლეგების მიწვევა მიიღო, ვისაც ყველაზე მეტად შურს შენი...

„მე კი ყველაზე ძნელი სპეციალობა ავირჩიე — პედიატრობა.. ჯერ ლაპარაკიც არ იციან, თუნდაც გითხრან რამე, შეცდომაში შეგიყვანენ მაინც, ამ საქმეში მართლა მარტოკა ხარ, პირისპირ ხვდები სენს, რომელიც თვითონ უნდა ამოიცნო... კიდევ კარგი, რენტგენი არსებობს... ჩვენს დროში ნამდვილი ექიმი რენტგენოლოგიც უნდა იყოს და ანალიზებიც თვითონ უნდა გააკეთოს. როგორც კი სადოქტორო გამოცდებს მოვრჩები, რენტგენოლოგიას ჩავუჯდები. შემდეგ, ჩემი კაბინეტის გვერდით რენტგენის კაბინეტს მოვაწყობ... სანიტარი ქალიც მეყოლება.. .ანდა ასისტენტი... თეთრხალათიანი... კონსულტაციების დღეებში, როგორც კი სერიოზულ შემთხვევას წავაწყდებით, მაშინვე პიფ... და რენტგენის სურათი მზად იქნება!"

„ტიბოს იმიტომ ვენდობი, რომ მკურნალობას რენტგენოლოგიური გამოკვლევით იწყებს მუდამ!"

საკუთარი ხმის გაგონებაზე გაეღიმა და სარკისკენ გააპარა თვალი: „ჰოდა, ვიცი, ვიცი... რა ამპარტავანიც ბრძანდები! — გაიფიქრა მან და ცინიკურად ჩაეღიმა. აბატი ვეკარი აკი ამბობს „ყველა ტიბო პატივმოყვარეაო!" მაგალითად, მამაჩემი, ნამდვილად ამაყია!.. მაგრამ მე?.. თუმცა, დიახ, დიახ, მეც ამაყი გახლავართ? რატომაც არა? სიამაყე ბერკეტია ჩემთვის, მთელი ჩემი შესაძლებლობის ბერკეტი! ამიტომაც ვიყენებ მას. მაქვს ამის უფლება. განა უპირველეს ყოვლისა, მთელი შესაძლებლობა არ უნდა გამოიყენო? ჩემი შესაძლებლობა კი როგორია?—ანტუანს გაეღიმა და თეთრი კბილები გამოაჩინა — ვიცი, როგორიცაა... ჯერ ერთი, სწრაფად მიხვედრისა და დამახსოვრების უნარი მაქვს: სამუდამოდ ჩამიჯდება გონებაში! შემდეგ, მეტად შრომისმოყვარე ვარ.. „ტიბომ ხარივით იცის მუშაობა!" მით უკეთესი! რაც უნდათ, ისა თქვან?! რომ შეეძლოთ, ალბათ, სიამოვნებით მომბაძავდნენ! ამას გარდა, კიდევ რა? ჰო, ენერგიულიც ვარ, რაც მართალია, მართალია!.. არა-ჩვე-უ-ლებ-რივ ენერგიას ვგრძნობ — დამარცვლით წაილაპარაკა მან და კვლავ სარკისკენ გააპარა თვალი. — ეს რაღაც... პოტენციალივითაა!... კარგად დამუხტული აკუმულატორივით,

რომელიც მუდამ მზადაა ყოველნაირი ძაბვა მომცეს! მაგრამ უპერკეტოდ რა ფასი ექნებოდა მთელ ამ შესაძლებლობებს, ბატონო აბატო?“ მას ხელში ეჭირა ქირურგიული ინსტრუმენტების ბრტყელი, მონიკელებული ყუთი, რომელიც პლაფონის ნათურის შუქზე ლაპლაპებდა, და არ იცოდა, სად დაედო; ბოლოს წიგნის კარადაზე ჩამოდო. „მით უკეთესი! — ხმამაღლა წამოიძახა დამცინავი, ნორმანდიული აქცენტით, რომელსაც ზოგჯერ მამამისი მიმართავდა ხოლმე — ტრა-ლა-ლა! გაუმარჯოს ამპარტავნობას, ბატონო აბატო!“

კალათი ცარიელდებოდა. ანტუანმა პლიუშის ორი პატარა ჩარჩო ამოიღო კალათის ძირიდან და უაზროდ დააკვირდა; ანტუანის დედისა და პაპის სურათები იყო შიგ... ლამაზი, ფრაკში გამოწყობილი მოხუცი კაცი ფეხზე იდგა და წიგნებით დატვირთულ მრგვალ მაგიდას დაყრდნობოდა ხელით; ახალგაზრდა ქალს სახის ნატიფი ნაკვთები და უტყვი, თვინიერი თვალები ჰქონდა; ოთხკუთხად ამოჭრილი კოფთა ეცვა, ორი გრძელი კულული მხრებზე ეფინა რბილად. დედის ამ იერსახეს ანტუანი ისე შეჩვეოდა, სხვაგვარი ვერც წარმოედგინა. თუმცა პორტრეტი ქალბატონი ტიბოს ნიშნობის დღით იყო დათარიღებული და შვილს ასეთი ვარცხნილობით არც კი ახსოვდა დედა. იგი ცხრა წლისა იყო, როცა ჟაკი დაიბადა და დედა გარდაიცვალა. მას უკეთ ახსოვდა პაპა, ეკონომისტი კუტურიე, მაკ მაონის მეგობარი, რომელიც ტიერის დაცემის დროს კინაღამ სენის დეპარტამენტის პრეფექტი გახდა; მრავალი წლის განმავლობაში იგი აკადემიის დეკანი იყო. ანტუანს კარგად ახსოვდა მისი სანდომიანი სახე, თეთრი მარმაშის ყელსახვევები და ზვიგენის ტყავის ბუდეში ჩალაგებული სადაფისტარიანი, შვიდი სამართებელი.

მან ორივე ჩარჩო ბუხარზე დადო, მთის ქანებსა და მთა-მადნეულის ნიმუშებს შორის. სხვადასხვა ნივთებითა და ქაღალდებით დახვავებული პაწერი მაგიდაღა დარჩა დასალაგებელი. მხიარულად შეუდგა საქმეს. ოთახმა თვალის დახამხამებაში იცვალა იერი. ყველაფერი რომ მოათავა, ანტუანმა კმაყოფილებით გადახედა იქაურობას „რაც შეეხება საცვლებსა და ტანსაცმელს, ეს უკვე დეიდა ფრიულინგის საქმეა!“ ზანტად გაიფიქრა მან. (რაკი მადმუაზელის მზრუნველობისაგან აპირებდა თავის დახსნას, დაბეჯითებით ითხოვა მხოლოდ კონსიერჟმა იდიასახლისოს პირველ სართულზეო). ანტუანმა სიგარეტს მოუკიდა, ტყავის სავარძელში ჩაჯდა და ფეხები გაშალა. უსაქმოდ იშვიათად ყოფილა, მთელი საღამო მის განკარგულებაში იყო და, ცოტა არ იყოს, ადგილს ვერ პოულობდა. დაწოლის დრო

არ იყო. რა ჰქნას? შინ დარჩეს? იოცნებოს და სიგარეტი გააბოლოს? მართალია, რამდენიმე წერილი ჰქონდა დასაწერი, მაგრამ არა, მორჩა!

„აი რა! — გაახსენდა ერთბაშად და წამოდგა. — აკი მინდოდა შემემოწმებინა თუ რას წერს ემონი ბავშვთა დიაბეტის შესახებ...“ მან სქელყდანიანი, აკინძული წიგნი აიღო, მუხლებზე დაიდო და გადაფურცლა. „დიახ! რასაკვირველია, ეს უნდა მცოდნოდა! — წაილაპარაკა მან და წარბები შეიკრა, — როგორ შევმცდარვარ!.. ფილიპი რომ არა, საცოდავი ბიჭი დაიღუპებოდა და ჩემი ბრალი იქნებოდა... თუმცა, არა, სულმთლად ჩემი ბრალი არ იქნებოდა, მაგრამ მაინც...“ წიგნი დახურა და მაგიდაზე დაადო. ოჰ, რა სასტიკია ასეთ შემთხვევაში პ ა ტ რ ო ნ! მეტისმეტად პატივმოყვარეა, ისე იჭვნეულად უფრთხილდება თავის რეპუტაციას! „თქვენ მიერ დანიშნული მკურნალობა მხოლოდ გააუარესებდა ბავშვის მდგომარეობას, ჩემო საბრალო ტიბო!“ განა ბოროტება არაა ამის თქმა პრაქტიკანტების, მომვლელი ქალების თანდასწრებით?!

ანტუანმა ჯიბეში ჩაიწყო ხელები და ოთახში გაიარ-გამოიარა. „აუცილებლად უნდა გამეცა პასუხი. უნდა მეთქვა: „ჯერ ერთი, თქვენ, სწორედ თქვენ რომ შეგესრულებინათ თქვენი მოვალეობა...“ იგი მიპასუხებდა: „ბატონო ტიბო, ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, ვერავინ...“ მაშინ მე მკვახედ მოვუჭრიდი: „უკაცრავად! დილით რომ დროზე მობრძანებულიყავით, ან იმის ნაცვლად, რომ თორმეტის ნახევარზე კერძო პაციენტებთან არ გაქცეულიყავით და კონსილიუმზე ბოლომდე დარჩენილიყავით კლინკაში, თქვენი საქმის შესრულება მე არ მომიხდებოდა და არც შეცდომას დავუშვებდი!“ სწორედ ასე უნდა მეთქვა! თანაც, ყველას გასაგონად! ერთი-ორი კვირა კი გამებუტებოდა, მაგრამ ამის დარდი არ მექნებოდა! მორჩა და გათავდა!“

ერთბაშად სახეზე გაანჩხლება გამოეხატა, მხრები აიჩეჩა და მისდაუნებურად, საათის მომართვას შეუდგა; უცებ შეაჟრჟოლა, პიჯაკი ჩაიცვა და ხელახლა ჩაჯდა სავარძელში. წინანდელი სიხარული გაქრობოდა, გულში საშინელ სიცივეს დაესადგურნა. „ბრიყვი!“ — ბოროტი ღიმილით წაილაპარკა მან. ფეხი ფეხზე გადაიდო და სიგარეტი გააბოლა. ბრიყვიო, კი თქვა, მაგრამ მაინც იმაზე ფიქრობდა, რა ზუსტი თვალი, გამოცდილება და უტყუარი ალღო აქვს ექიმ ფილიპს; და იმ წუთში პ ა ტ რ ო ნ ი ს გენიალურობა გასაოცარი სიცხადით წარმოუდგა. „მე? რაღა ვარ? — შეეკითხა თავისთავს და ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს სული ეხუთებაო. — განა ოდესმე შევძლებ ფილიპივით ნათლად შევამჩნიო ყველაფერი? განა ოდესმე მექნება ის მკაფიო შორსმჭვრეტელობა, რომელიც მხოლოდ გენი-

ბლუჰ კლინიცისტებს ახასიათებთ? მე კი რა მაქვს?.. ჰო... მეხსიერება, მუყაითობა, მიდეგაობა... მაგრამ ხელქვეითისთვის საჭირო ამ თვისებათა გარდა სხვა რამ თუ არის ჩემში? პირველად ხომ არ წამიფორხილებია დიაგნოზის დასმისას.. თანაც რა ადვილი იყო... დიახ, ძალიან ადვილად გამოსაცნობი დიაგნოზი გახლდათ... ერთი სიტყვით... კლასიკური, აშკარად ტიპიური შემთხვევა იყო... ოჰ, — ამოიოხრა მან და მკლავი გაშალა — თავისთავად არ მოვა ასეთი რამ! საჭიროა მუშაობა, ცოდნის შეძენა, დიახ, ცოდნის შეძენა! — ანაზდად ფერი დაეკარგა, — ხვალ კი ჟაკი ჩამოვა! — გაახსენდა მას, — ხვალ საღამოს ჟაკი აქ იქნება, აი, იმ ოთახში, მე კი... მე...“

სავარძლიდან წამოხტა. ერთბაშად ჭეშმარიტი სახით წარმოუდგა ძმასთან ცხოვრების გეგმა: გამოუსწორებელი სისულელე ჩაედინა! პასუხისმგებლობა, რომელიც თავისთავზე აიღო, აღარ აფიქრებდა, მხოლოდ და მხოლოდ ის ბორკილები აწუხებდა, მის მოქმედებას ამიერიდან რომ შებოჭავდა. ვერ მიმხვდარიყო, ასე როგორ შეცდა და მხსნელის როლი რატომ იკისრა? განა ტყუილ-უბრალოდ დასაკარგი დრო ჰქონდა? განა შეეძლო, თუნდაც კვირაში ერთი საათი მოეკლო თავისი ძირითადი საქმისათვის? სულელი! თავისი დასაკლავი დანა თვითონვე გამოჩხრიკა! რაც არის არის! უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

მექანიკურად გაიარა წინოთახი, ჟაკის ოთახის კარი შეაღო, ზღურბლზე შეჩერდა და გაოგნებულმა სიბნელეში შეიხედა. სასოწარკვეთას სავსებით დაემორჩილებინა. „დალახვროს ეშმაკმა! სად გავიქცე“ სადღა ვიპოვო სიმშვიდეს, რომ ვიმუშაო, საკუთარ თავზე ვიფიქრო მხოლოდ? რატომ მაინცდამაინც მე უნდა ვემსხვერპლო ოჯახს, მეგობრებს, ჟაკს? ყველამ პირი შეკრა ჩემს წინააღმდეგ. უნდათ ხელი შემიშალონ მუშაობაში, ცხოვრება ჩამიმწარონ!“

სისხლი სახეში მოაწვა, ყელი გაუშრა. სამზარეულოში გავიდა, ორი ჭიქა ცივი წყალი დალია და კაბინეტში დაბრუნდა.

სიმხნევემ უღალატა და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. უხერხულად გრძნობდა თავს ამ ოთახში, რომელსაც ჯერ ვერ შეჩვეოდა, სადაც აქამდე ნაცნობ საგნებს თითქოს სულ სხვა იერი მიეღოთ და სადაც ყველაფერი მტრულად ეჩვენებოდა.

დაწოლის სამზადისს მთელი საათი მოანდომა და დიდხანს, დიდხანს არ ჩაეძინა. ეხამუშებოდა ქუჩის ხმაური; ქვაფენილზე გამვლელთა ყოველი ნაბიჯი აკრთობდა. ათასი არადმისაჩნევი ფიქრი უტრიალებდა თავში: მაღვიძარა შესაკეთებელიაო, წინაღამით რა დიდხანს ველოდე მანქანას, ფილი-

პის სახლიდან რომ ვბრუნდებოდით... დროდადრო ჟაკის დაბრუნება გაახსენდებოდა, გულში გაჰკვენწლავდა და უიმედობისგან შაშფურივით ტრიალებდა ვიწრო საწოლში.

„ბოლოს და ბოლოს, პირად ცხოვრებაზეც ხომ უნდა ვიზრუნო! — გაანჩხლებით გაიფიქრა მან, — როგორც უნდათ, ისე მოაგვარონ თავიანთი საქმე! რაკი ასე გადავწყვიტეთ, კეთილი... იცხოვროს აქ! მის სწავლა-განათლებაზეც ვიზრუნებ. მერე კი, რაც უნდა ის გააკეთოს! მართალია, დავთანხმდი, მე მივხედავ-მეთქი, მაგრამ კმარა! ჩემს წინსვლას ამან ხელი არ უნდა შეუშალოს! ბოლოს და ბოლოს, პირადი ცხოვრებაც ხომ უნდა მოვაგვარო!.. დანარჩენი კი...“ ჰოდა ბავშვის სიყვარულისგან იმ საღამოს კვალიც აღარ შერჩენოდა. კრუიში წასვლა გაახსენდა, კვლავ თვალწინ დაუდგა ძმის გამხდარი, მარტოობით, და ვინ იცის, იქნებ, ტუბერკულოზითაც დაღრღნილი სახე?! თუკი ასეა, მამას დაითანხმებს და საუკეთესო სანატორიუმში გაგზავნის ჟაკს: ოვერნში ან უმალ პირენეის მთებში, ვიდრე შვეიცარიაში. ანტუანი კი მარტო დარჩება, ნებისმიერად გამოიყენებს დროს, იმუშავებს... „ბიჭის ოთახში საძინებელს მოვაწყობდი“, მისდაუნებურად გაიფიქრა მან.

# VIII

მეორე დღეს ანტუანს სულ სხვა გუნებაზე გაეღვიძა. და დილით, საავადმყოფოში ყოფნისას, წარამარა საათზე იყურებოდა, მოუთმენლობას ვერ ფარავდა; ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა ძმას, რომელიც ბატონ ფემს უნდა ჩამოეყვანა. მატარებლის მოსვლას კარგა ხანი უკლდა, ბაქანზე რომ მივიდა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა; იგი იხსენებდა, რაც უნდა ეთქვა ბატონი ფემისთვის მისი დაწესებულების შესახებ, მაგრამ როგორც კი მატარებელი ბაქანზე ჩამოდგა და უამრავ მგზავრთა შორის ჟაკის სილუეტი და დირექტორის სათვალე შენიშნა, ანტუანს წინასწარ მომზადებული, ღრმა გრძნობებით გამსჭვალული სიტყვები გადაავიწყდა და ჩამოსულებისკენ გაეშურა.

ბატონი ფემი ისე სახეგაბრწყინებული მიესალმა ანტუანს, იტყოდით, გულითად მეგობარს შეხვდაო. იგი კოხტად გამოწყობილიყო, ღია ფერის ხელთათმანები ეცვა და, ეტყობა, ისე გულმოდგინებით გაპარსულიყო, კანი გაღიზიანებოდა და ამიტომაც მაგრად შეპუდრულიყო. მას, ალბათ, განზრახული ჰქონდა სახლამდე მიეცილებინა ძმები და კაფეში ეპატიჟებოდა. მაგრამ ანტუანს მისი მოშორება ეჩქარებოდა და სასწრაფოდ დაიქირავა

ტაქსი. პატრონმა ძმამ საკუთარი ხელით შეაგდო შიგ ჟაკის ბარგი-ბარხანა და ბორბლებმა კინაღამ გადაუარა ლაქის ფეხსაცმელებზე, რადგან მოინდომა ერთხელ კიდევ დამშვიდობებოდა ახალგაზრდებს, ფანჯარაში თავი შეჰყო, ორივე ძმას ხელი ჩამოართვა და ანტუანს სთხოვა, დამფუძნებელს ჩემი გულწრფელი სალამი გადაეცითო.

ჟაკი ტიროდა.

მას არც სიტყვით, არც მოძრაობით არ გამოუხატავს თავისი მადლობა ძმის ასეთი გულთბილი მიღების გამო. მაგრამ ბიჭის ამ პროსტრაციამ ანტუანს კიდევ უფრო შეაბრალა იგი და სულ ახალ-ახალი გრძნობებით ევსებოდა გული. ვინმეს რომ წინადღინდელი მტრული განწყობილება მოეგონებინა მისთვის, უარს იტყოდა და გულწრფელად დაარწმუნებდა, ჩემს არსებობას, რომელიც აქამდე საშინლად უაზრო და ამაო იყო, ამ ბიჭის ჩამოსვლით მიზანი მიეცაო.

როცა ჟაკი თავიანთ ახალ სამყოფელში შეიყვანა და კარი მიხურა, ანტუანს ისევე აუტოკდა სიხარულით გული, როგორც მიჯნურს უხარია პირველ საყვარელთან საგანგებოდ მომზადებულ ბინაში განმარტოება. თვითონაც მაშინვე იგრძნო ეს და დასცინა კიდეც თავისთავს; მაგრამ რას დაგიდევდათ, სასაცილოც რომ ყოფილიყო, მთავარია, ბედნიერ და კეთილ ადამიანად თვლიდა თავს! და თუმცა ძმის სახეზე ამაოდ ეძებდა კმაყოფილების რაიმე ნიშანს, ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ იმ ამოცანას, რაც მან იკისრა, პირნათლად შეასრულებდა.

მადმუაზელს მოესწრო და ჟაკის ჩამოსვლამდე ერთხელ კიდევ თვალი გადაევლო მისი სამყოფელისთვის. მეტი სიმყუდროვისათვის ბუხარი აენთო და შუა მაგიდაზე ვანილიანი შაქარმოყრილი ნუშის ნამცხვარი დაედო თეფშით. ბათ უბანში ამ ნამცხვრით თავი მოჰქონდათ და ოდესღაც ჟაკსაც ძალიან უყვარდა. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, იის კონა იდო ჭიქაში, საიდანაც ქაღალდის წვრილი ნაგლეჯი მოჩანდა: ყიზილს ფერადი ფანქრით დაეწერა:

ს ა ჩ უ ქ რ ა დ ჟ ა კ ო ს!

მაგრამ ჟაკომ ვერც ეს სამზადისი შეამჩნია; შემოსვლისთანავე, როგორც კი ანტუანმა პალტო გახადა, ისევ-ისე, ხელში ქუდჩაბღუჯული ჩამოჯდა სკამზე.

— წამოდი საკუთარი სამფლობელო დაგათვალიერებინო! — უთხრა ანტუანმა.

ჟაკი ნელა დაეწია, უგულისყუროდ მოავლო თვალი ოთახებს და კვლავ ჩამოჯდა, იტყოდით, რაღაცის მოლოდინი აშინებსო.

— გინდა, ზევით ავიდეთ, ისინი ვნახოთ? — შესთავაზა ანტუანმა.

ჟაკი ისე შეკრთა, უფროსი ძმა მაშინვე მიხვდა, ბიჭი ჩამოსვლის წუთიდან მხოლოდ ამაზე ფიქრობდაო. სახეზე მკვდრისფერი დაედო, თავი ჩაქინდრა; მაგრამ მაშინვე წამოდგა, თითქოს საბედისწერო საათის მოახლოება თავზარსაც სცემდა და თანაც მოუთმენლად ელოდა, როდის მოედება ბოლო ამ წუთსო.

— აბა, წავიდეთ! ერთი წუთით შევიდეთ და მაშინვე გამოვბრუნდეთ უკან! — გაამხნევა ანტუანმა.

ბატონი ტიბო თავის კაბინეტში ელოდა შვილებს. კარგ გუნებაზე გახლდათ: ცა მოწმენდილი ჩანდა, გაზაფხული დგებოდა; კვირა დილის წირვის დროს, სკამზე იჯდა სამრევლო ეკლესიაში და კმაყოფილებით იმეორებდა გულში, მომავალ კვირას ამავე ადგილას, ალბათ, ახალი აკადემიკოსი იჯდებაო. იგი მიეგება შვილებს და უმცროს ვაჟს გადაეხვია. ჟაკი ქვითინებდა. მისი ცრემლები ბატონმა ტიბომ სინანულისა და კეთილი ზრახვების დამადასტურებელ ნიშნად მიიღო. ამან ძალიან აღელვა, თუმცა ცდილობდა არ შეემჩნია. მან ბავშვი ერთ-ერთ იმ მაღალზურგიან სავარძელზე დასვა, ბუხრის ორივე მხარეს რომ იდგა. თვითონ ფეხზე იყო, ხელები უკან დაეწყო. წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ჩვეულებისამებრ ქშინავდა, ალერსიანი ხმით მოკლე და თან მკაცრ დარიგებებს იძლეოდა, მიაგონებდა ჟაკს, რა პირობით მიიღო მამის ჭერქვეშ დაბრუნების უფლება და ურჩევდა, ანტუანის მიმართაც ისეთივე მოწიწება და მორჩილება გამოეჩინა, როგორც მამის მიმართ უნდა გამოემჟღავნებინა.

მოულოდნელი სტუმრის მოსვლამ სიტყვის დასკვნითი ნაწილი შეამოკლებინა. მომავალი კოლეგა მობრძანდა და რაკი სტუმრის უყურადღებოდ დატოვება არ სურდა სასტუმრო ოთახში, შვილები გაუშვა. კაბინეტის კარამდე მაინც მიაცილა, ცალი ხელით პორტიერი გადასწია, მეორე კი პატარა მომნანიებელს დაადო თავზე. ჟაკმა იგრძნო, მამის თითები ეფერებოდა თმაზე, ისეთი უჩვეულო ფამილარობით უთათუნებდა ხელს კეფაზე, ბიჭმა აღელვება ვერ შეიკავა, მობრუნდა, მამის ფართო, დონდლო ხელს ხელი სტაცა და ტუჩებთან დაუპირა მიტანა. გაოცებულმა ბატონმა ტიბომ უკმაყოფილოდ გაახილა ცალი თვალი და დაბნეულმა, ხელი წაართვა:

— აბა, აბა, ეს რაღაა... — წაიბუტბუტა მან და რამდენჯერმე ზედიზედ ამოაგდო კისერი საყელოდან. ამგვარი მგრძნობიარობა, მისი აზრით, კეთილის მომასწავებელი არ იქნებოდა!

მადმუაზელთანაც შევიდნენ; ქალი ჟიზელს აცმევდა, მწუხრის ლოცვაზე უნდა წაეყვანა. როცა ონავარი, ცუღლუტი ბიჭის ნაცვლად მაღალი, თვა-

ლებდაჭითლებული, სახეგაცრეცილი ყმაწვილი დაინახა, მადმუაზელმა ხელები დაიკრიფა, ბაფთა, რომელსაც გოგონას თმაზე უკეთებდა, თითებსშუა გაუსრიალდა, ისე გაშეშდა, ძლივს მოიფიქრა და მოეხვია ბიჭს.

— ღმერთო დიდებულო! ნუთუ შენა ხარ? — წამოიძახა ბოლოს და მივარდა.

მაგრად მიიკრა მკერდზე ჟაკო, შემდეგ უკან დაიხია, ისეთი აბრიალებული თვალებით დააცქერდა, თითქოს შეჭმას უპირებსო, მაგრამ მისი სახის ნაკვთები, რომლებიც ასე ძალიან უყვარდა, ვერ იქნა და მაინც ვეღარ იცნო. ყველაზე მეტად ჟიზს არ გაუმართლდა მოლოდინი და დაფრთხა, ხალიჩას მიშტერებოდა და რომ არ გადაეხარხარა, ტუჩებს იკვნეტდა. ჟაკის პირველი ღიმილი მაინც მას ერგო.

— ვერ მიცანი? — ჰკითხა მან გოგონას და მიუახლოვდა.

პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო! გოგონა კისერზე ჩამოეკონწიალა. შემდეგ ხელი ჩაჰკიდა, აღარც უშვებდა. თან თხასავით კუნტრუშობდა, მაგრამ დალაპარაკებას ჯერ კიდევ ვერ ბედავდა, ისიც კი არ ჰკითხა, ჩემი მოტანილი იები თუ ნახეო.

კიბეზე ორივე ერთად დაეშვა. ჟიზელი ხელს არ უშვებდა ჟაკოს და პატარა პირუტყვის მგრძნობელობით ეკვროდა ხმისამოუღებლად. კიბის ბოლო საფეხურზე ერთმანეთს დაშორდნენ. მაგრამ სადარბაზოში ჟიზი კვლავ შემობრუნდა და შემინული კარიდან ორივე ხელით კოცნა გაუგზავნა; ჟაკს არც ეს შეუმჩნევია.

ბინაში დაბრუნებისთანავე ანტუანი მიხვდა, რომ ჟაკი უკეთ გამოიყურებოდა, ეტყობა, ნათესავებთან შეხვედრამ შვება აგრძნობინა.

— როგორ ფიქრობ, ხომ კარგად ვიქნებით აქ მე და შენ? მიპასუხე!

— კარგად.

— აბა, დაჯექი! თავისუფლად მოეწყვე. აი იმ დიდ სავარძელში ჩაჯექი, ნახე, რა მოხერხებულია! ახლავე ჩაის მოვადუღებ. არ გშია? წადი, ნამცხვარი მოიტანე.

— არა, გმადლობ.

— მე კი სიამოვნებით შევჭამ ნამცხვარს.

ანტუანის კარგ გუნება-განწყობილებას ვეღარაფერი შეცვლიდა. ეს მარტოხელა მაშვრალი, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რა კარგი გრძნობა ყოფილა ახლობლის სიყვარული, მასზე მზრუნველობა, მისთვის გულის გა-

დახსნა. იგი წარამარა იცინოდა უმიზეზოდ. ბედნიერებისგან თავბრუდახვეული უჩვეულოდ ექსპანსიური გახდა.

— პაპიროსი გინდა? არა? ასე რად მიყურებ?.. არ ეწევი? ისე მიყურებ, თითქოს... თითქოს მახეს გიგებდე! კარგი რა, ბიჭო, თავისუფლად იყავი, დალახვროს ღმერთმა! ცოტაოდენი ნდობა მაინც გქონდეს! გაიგე, გამასწორებელ კოლონიაში აღარა ხარ! ისევ ეჭვით მიყურებ? მითხარი!

— არა... არა.

— მაშ, რაშია საქმე? ფიქრობ, მოგატყუე, შინ დაგაბრუნე, მაგრამ თავისუფლება, რომლის იმედი გქონდა, მაინც ვერ მიიღე?

— არა... არა.

— რისი გეშინია? გინდა რამე?

— არა.

— მაშინ? რა ხდება მაგ შენს ჯიუტ გოგრაში? ჰა!

იგი ბიჭთან მივიდა, კინაღამ დაიხარა და აკოცა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა. ჟაკმა კუშტად ახედა: მიხვდა, ანტუანი პასუხს ელოდა.

— რატომ მეკითხები? — წაილაპარაკა მან, ოდნავ შეკრთა და დაუმატა — განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. ანტუანი ისეთი თანაგრძნობით უყურებდა ძმას, რომ ჟაკს კვლავ ტირილი მოუნდა.

— ავადმყოფს ჰგავხარ, ჩემო ბიჭო! — ნაღვლიანად უთხრა ანტუანმა. — მაგრამ ნუ გეშინია, გაივლის! ოღონდ ნება მომეცი, გიმკურნალო... შეგიყვარო, — მორცხვად დაუმატა მან, ისე რომ ძმისთვის არ შეუხედავს. — ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთს. თვითონ დაფიქრდი, ჩვენს შორის ცხრა წელია განსხვავება. ეს კი ნამდვილ უფსკრულს წააგავდა, სანამ ბავშვი იყავი. შენ რომ თერთმეტი წლის გახდი, მე ოცი წელი შემისრულდა; შეუძლებელია, რაიმე საერთო გვქონოდა. ახლა სულ სხვაა, არც კი ვიცი. მიყვარდა თუ არა წინათ? ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. ხომ ხედავ, ყველაფერს გულახდილად გეუბნები. მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ რაღაც ცვლილება მოხდა! მე ძალიან კმაყოფილი ვარ.. ძალიან მიხარია, შენ რომ აქ, ჩემთან ხარ! ერთად ცხოვრება უფრო ადვილიც იქნება და უკეთესიც. ხომ მართალია? საქმე ისაა, რომ დარწმუნებული ვარ, როცა საავადმყოფოდან გამოვალ, ვეცდები სწრაფად დავბრუნდე შინ. მოვალ და საწერ მაგიდასთან, წიგნებში თავჩარგული დამხვდები. ხომ ასეა? საღამოობით, ზედა სართულიდან ადრე ჩამოვალთ, ჩვენ-ჩვენს ოთახებში მოვიკალათებთ ლამპასთან; კარი ღია გვექნება, რომ ერთმანეთი დავინახოთ, ერთმანეთის ახლოს ვიგრძნოთ თავი... ზოგჯერ კიდეც წავი-

წუწაიღებთ, იმდენს ვილაყბებთ მეგობრულად. ბილიც კი დაგვავიწყდება... რა მოგივიდა? ტირი?

იგი მიუახლოვდა ჟაკს, სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, შეყოყმანდა, მაგრამ მაინც მოხვია ხელი. ჟაკმა ნამტირალევი სახე გვერდზე მიაბრუნა, თუმცა ხელი არ გაუშვია ძმისთვის და დიდხანს ისეთი აღგზნებით, ისე მაგრად უჭერდა, თითქმის აჰკინა ხელი.

— ოჰ, ანტუან, ანტუან! — წამოიძახა მან ბოლოს ჩამქრალი ხმით, — რომ იცოდე, რა გადავიტანე მთელი წლის მანძილზე!..

იგი ისე ქვითინებდა, ანტუანმა აღარაფერი ჰკითხა, მკლავები მხრებზე მოჰხვია და მკერდზე ნაზად მიიკრა. ოდესღაც, ბნელ ეტლში, მასთან პირველი გულახდილი ლაპარაკის დროს, ასეთივე ღრმა სიბრალულმა შეიპყრო და ნებისყოფისა და ძალის ისეთი უეცარი მოზღვავება იგრძნო, ალბათ, ორივეს ეყოფოდა. იმ დღიდან მოკიდებული, ხშირად გაუელვებდა ხოლმე თავში რაღაც ბუნდოვანი აზრი, რომელსაც დღეს უცნაური სიცხადე მიეღო ერთბაშად. იგი წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა.

— ყური მიგდე, — განსაკუთრებული აღტყინებით წამოიწყო მან, — მართალი გითხრა, არც კი ვიცი, მაინცდამაინც დღეს, რატომ გელაპარაკები ამაზე. მით უმეტეს, რომ შესაძლებლობა გვექნება ამ თემას კვლავაც დავუბრუნდეთ. იცი, რას ვფიქრობ? ჩვენ ხომ ძმები ვართ! ეს თითქოს არაფერია, მაგრამ ჩემთვის სულ ახალი და დიდმნიშვნელოვანი რამაა. ძმები! არათუ სისხლი სისხლთაგანი, ოდითგანვე ერთი და იგივე ფესვი, ერთი და იგივე მასაზრდოებელი წვენი, იგივე სწრაფვა! ჩვენ არა თუ ორი სუბიექტი ვართ — ანტუანი და ჟაკი! ჩვენ ორი ტიბო ვართ, ჩვენ — ტიბოთა მთელი მოდგმა ვართ! გესმის, რის თქმა მინდა ამით? უბედურებაც სწორედ ისაა, რომ ჩვენში სწორედ ეს სწრაფვა, ეს ერთნაირი სწრაფვა, ტიბოთა სწრაფვა ცოცხლობს! გესმის? ჩვენ, ტიბოები, სხვებს არა ვგავართ, მე კიდეც მგონია, რომ ჩვენ სხვაზე მეტი გვაქვს რაღაც, ამის მიზეზი კი ისაა, რომ ტიბოს გვარს ვეკუთვნით! პირადად მე, ყველგან, სადაც კი ვყოფილვარ: კოლეჯში, სამედიცინო ფაკულტეტზე, საავადმყოფოში, ყველგან ვგრძნობდი, რომ ტიბო ვიყავი, განსაკუთრებული არსება, ვერ ვბედავ ვთქვა, უმაღლესი კლასის არსება-მეთქი, თუმცა რატომაც არა? დიახ, უმაღლესი კატეგორიის არსებანი ვართ, ისეთი ძალით შეიარაღებულნი, სხვას რომ არ გააჩნია. ამაზე არ გიფიქრია? მაგალითად, სკოლაში, მიუხედავად შენი სიზარმაცისა, ნუთუ არ გიგრძვნია ის შინაგანი სწრაფვა, რაც ძალის თვალსაზრისით სხვაზე მაღლა გაყენებდა?

— დიახ, ვგრძნობდი, — თქვა ჟაკმა.

იგი აღარ ტიროდა, უცნაური ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ძმას და ერთბაშად ისეთი საზრიანი და მომწიფებული გამომეტყველება მიიღო, იტყოდით, ათი წელი მოემატაო.

— ამ ამბავში დიდი ხანია დავრწმუნდი! — განაგრძო ანტუანმა, — ჩვენში, ალბათ, — არ ვიცი, რა დავარქვა... რაღაც განსაკუთრებული ნაერთი იმალება სიამაყისა, სიმამაცისა და სიკერპისა; აი, მაგალითად, ავიღოთ მამა... თუმცა შენ მას კარგად არ იცნობ... სხვათა შორის, იგი სულ სხვანაირია! ჰოდა, — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წაილაპარაკა მან, ჟაკის პირდაპირ დაჯდა, წინ გადაიხარა და მამამისივით მუხლებზე დაიწყო ხელები, — აი რა მინდოდა მეთქვა დღეს შენთვის: ეს ფარული ძალა წარამარა იჩენს ხოლმე თავს ჩემს ცხოვრებაში, არ ვიცი, როგორ ვთქვა... რაღაც ტალღისებურად, უეცარი ზვირთებივით, ცურვის დროს რომ ზევით აგვისვრის ხოლმე, მიგვაქანებს, უზარმაზარი ნახტომით მთელი სივრცის მიღმა გადაგვტყორცნის! აი ნახავ! რა დიდებული გრძნობაა! მაგრამ იცოდე, მთავარია, აქედან სარგებლობა გამოიტანო! როცა ასეთი ძალის პატრონი ხარ, შეუძლებელი არაფერია შენთვის, ძნელიც კი არაფერია შენთვის! ხოლო მე და შენ სწორედ ასეთ ძალას ვფლობთ. გესმის? მე, მაგალითად... თუმცა ახლა ჩემზე ლაპარაკის დრო არაა. შენზე ვილაპარაკოთ. დადგა მომენტი, როცა შენ თვითონ უნდა მოსინჯო ეს ძალა, გაეცნო მას და გამოიყენო. თუკი მ ო ი ნ დ ო მ ე ბ, დაკარგულ დროს თვალის დახამხამებაში აღადგენ. მ ო ნ დ ო მ ე ბ ა! შეუძლებელია ყველას ჰქონდეს ეს მ ო ნ დ ო მ ე ბ ა (სხვათა შორის, სულ ახლახან მივხვდი ამას!) მაგალითად, მე შემიძლია მოვინდომო. შენც შეგიძლია მოინდომო. ყველა ტიბოს შეუძლია მოინდომოს. აშკარაა, რომ ტიბოთა მოდგმა, რასაც გინდა, იმას წამოიწყებს! სხვას გაუსწრებს! პატივისცემას შთააგონებს! ასეცაა საჭირო! მთვლემარე ძალა ხომ უნდა გამომჟღავნდეს, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე გვარეულობაში! ტიბოს საგვარეულოს ნერგმა ჩვენში, ჩემსა და შენში, უნდა იხაროს. გესმის, რას ნიშნავს შთამომავლობის გაფურჩქვნა?!

ჟაკი დაძაბული ყურადღებით შეჰყურებდა თვალებში ანტუანს.

— გესმის თუ არა, ჟაკ?

— როგორ არა, მესმის!— თითქმის წამოიყვირა მან.

ღია ფერის თვალები უჩვეულოდ აუელვარდა, ხოლო ხმაში გაღიზიანებული ნოტები მოისმა. ბაგეების კუთხეში უცნაური ნაოჭი გასჩენოდა: იტყოდით, ძმაზე საშინლად ბრაზობს, ამ მოულოდნელი აღტყინებით სული

რომ აუფორიაქაო; უცებ გააჟრჟოლა, შემდეგ სახე დაემაბა და დაღლილი გამომეტყველება მიიღო.

— ოჰ, დამანებე თავი! — წაილუღლუღა მან ერთბაშად, თავი ჩაქინდრა და სახეზე ხელები აიფარა.

ანტუანი გაჩუმდა. ძმას აკვირდებოდა. ამ ორ კვირაში უფრო გამხდარა და გაფითრებულა! მოკლედ შეკრეჭილი წითური თმის გამო თავის ქალას არანორმალური მოცულობა მიეღო, ყურებიც უფრო გაფთხნოდა თითქოს, კისერიც უფრო გაწვრილებოდა, ანტუანს თვალში ეცა სიფრიფანა კანი საფეთქლებთან, სახის მქრქალი ფერი, ამოღამებული თვალები.

— გადაეჩვიე? — პირდაპირ ჰკითხა მან.

— რას? — წაიდუდუნა ჟაკმა.

ნათელი თვალები დაენისლა, გაწითლდა, მაგრამ სახეზე მოჩვენებითი გაოცება მაინც შერჩა. ანტუანმა არაფერი უპასუხა.

დიდი დრო გასულიყო: საათს დახედა და წამოდგა, ხუთი საათის შემოვლისთვის უნდა მიესწრო საავადმყოფოში. ვერ გაებედა ძმისთვის ეთქვა, მარტო გტოვებ სადილობამდეო; მაგრამ მისი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ჟაკს თითქმის გაუხარდა კიდეც მისი წასვლა.

და მართლაც, მარტოდ დარჩენილმა, შვება იგრძნო. ბინის დათვალიერება დააპირა, მაგრამ როცა წინოთახში გავიდა და დახურული კარის წინ აღმოჩნდა, რაღაც გაურკვეველმა შიშმა აიტანა, ოთახში დაბრუნდა და ჩაიკეტა. აქამდე არც თავისი ოთახისთვის შეუხედავს ხეირიანად. როგორც იქნა, იის კონა და ქაღალდის ვიწრო ნაგლეჯი შენიშნა. იმდღევანდელი ამბები თავში აერია: მამასთან შეხვედრა, ანტუანთან საუბარი. დივანზე წამოწვა, ისევ ამოუჯდა გული, ოღონდ სასოწარკვეთისგან კი არა! არა, იგი უმეტესად დაღლილობისგან ტიროდა; ამას გარდა, ტიროდა ამ ოთახის, ამ იების გამო, ტიროდა იმიტომ, რომ მამამ თავზე ხელი გადაუსვა, ტიროდა ანტუანის მზრუნველობის გამო, მთელი ამ ახალი, უცნობი ცხოვრების გამო; იგი იმიტომ ტიროდა, რომ ერთბაშად ყველამ მოინდომა მისი შეყვარება; იმიტომ, რომ ამიერიდან ყველა იზრუნებდა მასზე, დაელაპარაკებოდა, გაუღიმებდა; იმიტომ რომ ამიერიდან ყველას უნდა უპასუხოს; იმიტომ, რომ მის სიმშვიდეს ბოლო მოეღო.

## IX

ძმას რომ ახალ ცხოვრებასთან შეგუება გაადვილებოდა, ანტუანმა საოქტომბროდ გადასდო ლიცეუმში ჟაკის შეყვანა. უნივერსიტეტში მომუშავე ამხანაგებთან ერთად მან გასამეორებელი კურსის პროგრამა შეიმუშა-

ვა, რაც აზროვნების უნარს თანდათანობით აღუდგენდა ბავშვს. ეს საქმე სამჭა მასწავლებელმა ითავა. სამივენი ახალგაზრდები და ანტუანის მეგობრები იყვნენ. თავისუფალი მსმენელი განსაზღვრულ საათებში მუშაობდა და ისიც, სანამ მოთმინება ჰყოფნიდა. სულ მალე ანტუანი სიხარულს ვეღარ იტევდა გულში, რადგან დარწმუნდა, რომ გამასწორებელ კოლონიაში განმარტოებულ ცხოვრებას ისეთი დიდი ზიანი არ მიუყენებია მისი ძმის გონებრივი შესაძლებლობისათვის, როგორც მას ეშინოდა; პირიქით, ერთი მხრივ, მისი გონება თავისებურადაც კი მომწიფებულა ამ მარტოობაში; ასე რომ, საკმაოდ ნელა აღებული სტარტის შემდეგ, წარმატება ისეთი სწრაფი ტემპით წარიმართა, ანტუანი ნამდვილად არ ელოდა. ჟაკი სარგებლობდა მიღებული თავისუფლებით, ოღონდ ბოროტად არ იყენებდა. აბატ ვეკართან უტყვი შეთანხმებით, ანტუანს ღრმად სწამდა, რომ არავითარი საფრთხე არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჟაკისთვის მიცემულ თავისუფლებას; ამის შესახებ მამასთანაც არ ულაპარაკია, რადგან იცოდა, ჟაკს მდიდარი ბუნება ჰქონდა და მიზანშეწონილად მიაჩნდა თავის ნებაზე და თავისებურად გაეღრმავებინა იგი ბიჭს.

პირველ ხანებში ჟაკს საშინლად უჭირდა შინიდან გასვლა. ქუჩა აბრუებდა. ანტუანი ათასნაირ ხერხს მიმართავდა, დავალებებს აძლევდა, ოღონდ როგორმე გაეშვა სუფთა ჰაერზე. ასე და ამგვარად, ჟაკი კვლავ შეხვდა თავის უბანს. მალე კიდევაც მოეწონა ამგვარი გასეირნება; მშვენიერი ამინდი იდგა. ძალიან შეუყვარდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრამდე მისვლა სანაპიროს გასწვრივ, ზოგჯერ ტიულრის პარკშიც ხეტიალობდა. ერთხელ ლუვრის მუზეუმშიც გაბედა შესვლა; მაგრამ ისეთი შეხუთული ჰაერი და ბუღი იდგა შიგ, ხოლო სურათების მწკრივი ისეთი ერთფეროვანი ეჩვენა, სასწრაფოდ გავარდა იქიდან და აღარც დაბრუნებულა.

სუფრასთან მუდამ დუმდა; მამას უსმენდა. სხვათა შორის, ეს ჩასუქებული კაცი ისეთი მბრძანებლობის მოყვარული და უკმეხი გახლდათ, ყველა, ვისაც კი მის ჭერქვეშ უხდებოდა ცხოვრება, იძულებული ხდებოდა ხმაგაკმენდილი ყოფილიყო და მაამებელი გამომეტყველებით ეგდო ყური მისთვის. თვით მადმუაზელიც კი, მისი მუდმივი თაყვანისმცემელი, ნამდვილ სახეს არასოდეს უჩვენებდა. ბატონ ტიბოს მოსწონდა მოწიწების გამომეტყველი ეს სიჩუმე, რასაც გულუბრყვილობით, საერთო მოწონების ნიშნად მიიჩნევდა, ეს კი საშუალებას აძლევდა საკუთარი მოსაზრებანი ძალით თავს მოეხვია ყველასათვის. ჟაკს თავშეკავებულად ეჭცეოდა და რაკი თქვა, სიტყვა აღარც გაუტეხია. ერთხელაც არ უკითხავს, რას აკეთებდა ბავშვი მთელი დღეების განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, ბატონი ტიბო ერთ საკითხში ვერასგზით დაიყოლიეს: კატეგორიულად აკრძალა ფონტანენების ოჯახთან ურთიერთობა და ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაშორებლად, კიდეც განაცხადა, რომ ჟაკი იმ ზაფხულს დასასვენებლად აღარ წავიდოდა მეზონ-ლაფიტში, სადაც ბატონი ტიბო გაზაფხულობით მიემგზავრებოდა ხოლმე მაჯმუაზელთან ერთად და სადაც ფონტანენებსაც ჰქონდათ პატარა აგარაკი ტყის პირას. გადაწყდა, ჟაკი და ანტუანი პარიზში დარჩებოდნენ იმ ზაფხულს.

ფონტატნენებთან შეხვედრის აკრძალვამ სერიოზული ლაპარაკი გამოიწვია ძმებს შორის. ჟაკი ჯერ აღშფოთდა: მისი აზრით, ერთხელ დაშვებულ უსამართლობას ვერასოდეს გამოასწორებდნენ, თუკი მის მეგობარს ასეთი ეჭვის თვალით შეხედავდნენ. ასეთი მძაფრი რეაქცია კიდეც მოეწონა ანტუანს; ეს იმის დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნია, რომ ჟაკი, ნამდვილი ჟაკი, მკვდრეთით აღმდგარიყო. მაგრამ, როცა ჟაკს ამ პირველმა გაცხარებამ გაუარა, ანტუანი შეეცადა გონს მოეყვანა იგი; სხვათა შორის, არც კი გასჭირვებია დაპირება მიეღო ჟაკისგან, რომ დანიელს არ შეხვედროდა. მართლაც, ჟაკი მის ნახვას არც ისე ძალიან ცდილობდა, როგორც ეს ეგონათ. იგი ჯერ კიდევ იმდენად იყო გატყიურებული, გარეშე ხალხთან შეხვედრაზე არც ფიქრობდა, უფროს ძმასთან ურთიერთობით კმაყოფილდებოდა, მით უმეტეს, რომ ანტუანი ცდილობდა უბრალოდ, ამხანაგურად ეცხოვრათ, ასაკობრივ განსხვავებას არ აგრძნობინებდა და, რაც მთავარია, თავის უფლებებს ბოროტად არ იყენებდა.

ერთხელ, ივნისის პირველ დღეებში, შინ დაბრუნებულ ჟაკს ჭიშკართან მთელი შეკრებულობა დახვდა: დეიდა ფრიულინგს დამბლა დასცემოდა და თავის ჯიხურში გარდიგარდმო ეგდო იატაკზე. საღამოს გონს მოვიდა, მაგრამ მარჯვენა მკლავი და ფეხი წართმეოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ის იყო ანტუანი შინიდან გასვლას აპირებდა, რომ ზარის ხმა მოესმა. კარებში ვარდისფერ კოფთასა და შავ წინსაფარში გამოწყობილი გრეტჰენი იდგა. სახეალეწილმა გოგონამ თამამად გაუღიმა და უთხრა:

— ოთახების დასალაგებლად მოვედი... ბატონო ანტუან, ვეღარ მიცანით? მე ლიზბეტ ფრიულინგი ვარ...

იგი ლაპარაკობდა ელზასურ კილოზე, რაც მისი ბავშვური ბაგეებიდან გალობასავით მოისმოდა. ანტუანს კარგად ახსოვდა „დეიდა ფრიულინგის ობოლი გოგო", რომელიც ასკინკილას უვლიდა ეზოში; გოგონა სტრასბურგიდან ჩამოსულიყო ავადმყოფი მამიდის მოსავლელად და. ცხადია, მის

სამუშაოსაც თვითონვე შეასრულებდა. რაკი ახლა დროის დაკარგვა არ უნდოდა, მაშინვე შეუდგა ოთახების დალაგებას.

იგი ყოველდღე მოდიოდა. საუზმე სინით მოჰქონდა და ახალგაზრდა ძმებს ემსახურებოდა. ანტუანი დასცინოდა, წამდაუწუმ, რად წითლდებიო და გერმანიაში ცხოვრებას აამბობინებდა. გოგონა ცხრამეტი წლის იყო; ექვსი წლის წინ პარიზიდან წასულიყო და ბიძასთან ცხოვრობდა, რომელსაც სტრასბურგში სადგურის მახლობლად რესტორნიანი სასტუმრო ჰქონდა; სანამ ანტუანი შინ იყო, ჟაკი ხანდახან ჩაერეოდა ხოლმე საუბარში, მაგრამ როგორც კი მარტოდ დარჩებოდა ლიზბეტთან, თავს არიდებდა მას.

მიუხედავად ამისა, საავადმყოფოში ანტუანის მორიგეობის დროს, ლიზბეტს პირდაპირ ჟაკის ოთახში შეჰქონდა საუზმე. ჟაკი ეკითხებოდა დეიდა ფრიულინგის ჯანმრთელობის ამბავს და ლიზბეტიც დაწვრილებით ცნობებს არ იშურებდა: დეიდა ფრიულინგმა მოიკეთა, მაგრამ ნელ-ნელა- იკრებს ჯანს, მადა დღითი დღე უკეთესი აქვსო. ლიზბეტი პირისგემოს მოყვარული გახლდათ. ამ ტანმორჩილი, ბუნჩულა გოგოს მოქნილობა ცეკვა-თამაშითა და სიმღერით გატაცებაზე მეტყველებდა. სიცილის დროს ჟაკს შეჰყურებდა ხოლმე. ცქრიალა პირისახე ჰქონდა, პატარა ცხვირი, წითელი ოდნავ დაბერილი ტუჩები, ფაიფურისებური თვალები, ხოლო შუბლზე ჩამოყრილ ხშირ ქერა კულულებს კანაფისფერი დაჰკრავდა.

ლიზბეტი დღითიდღე მეტხანს ლაყბობდა. ჟაკი ნელ-ნელა სძლევდა სიმორცხვეს, დინჯად და ყურადღებით უსმენდა. საერთოდ, ყურისგდების ისეთი მანერა ჰქონდა მუდამ, ყველა გადაუხსნიდა ხოლმე გულს: მსახურები, სკოლის ამხანაგები, ზოგჯერ მასწავლებლებიც კი უყოყმანოდ გაანდობდნენ თავიანთ საიდუმლოებას. ლიზბეტი მასთან უფრო თავისუფლად ლაპარაკობდა, ვიდრე ანტუანთან; სამაგიეროდ, უფროს ძმასთან ძალიან გულუბრყვილოდ იქცეოდა.

ერთ დილით ლიზბეტმა შეამჩნია, რომ ჟაკი გერმანულ ლექსიკონს ფურცლავდა; ის ცოტაოდენი თავშეკავებულობა, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა, ერთბაშად გაუქრა, უნდოდა გაეგო, რას თარგმნიდა ჟაკი, და როცა გოეთეს ლექსს მოჰკრა თვალი, გული აუჩუყდა. ერთი ლექსი ზეპირადაც იცოდა და მის სიტყვებზე დაწერილ რომანსსაც მღეროდა:

„იდინე, იდინე, საყვარელო მდინარევ!..
მხიარული აღარასოდეს ვიქნები"*

გერმანული პოეზია თავბრუს ახვევდა მუდამ. ახლაც წაიღიღინა რამდენიმე რომანსი დაბალ ხმაზე და პირველი ლექსების შინაარსიც თარგმნა. პოეზიის საუკეთესო ნიმუშად ბავშვური და ნაღვლიანი ლექსები მიაჩნდა.

მე რომ მერცხალი ვყოფილიყავი
სულ ფრენა-ფრენით მოგაშურებდი!

მაგრამ შილერი განსაკუთრებით უყვარდა. უეცრად მეხსიერება დაძაბა და ერთი ამოსუნთქვით თქვა ზეპირად ნაწყვეტი, რომელიც ძალიან მოსწონდა; ეს იყო ფრაგმენტი „მარიამ სტიუარტიდან", როცა დაპატიმრებულ ახალგაზრდა დედოფალს ციხის ბაღში სეირნობის ნებას რთავენ და მზის სხივებით თვალებმოჭრილი, ახალგაზრდული აღტყინებით მირბის ჭალაზე. ჟაკს ყოველი სიტყვის მნიშვნელობა არ ესმოდა. ლიზბეტი გზადაგზა უთარგმნიდა; თავისუფლებისკენ ლტოლვის უკეთ გადმოსაცემად ისეთი ტონი აირჩია, რომ ჟაკს კრუი მოაგონდა და გული აემღვრა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბო თავისი სიდუხჭირე. ჯერ კიდევ ისე მარტო გრძნობდა თავს, ისე იშვიათად ლაპარაკობდა, რომ საკუთარი ხმა სწრაფად აბრუებდა. მერე გამოცოცხლდა, ჭეშმარიტების დამახინჯებით გული იჯერა, თხრობაში ათასგვარი ლიტერატურული რემინისცენციები შეიტანა: რადგან უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მისი მუშაობა უმეტეს წილად ანტუანის ბიბლიოთეკიდან აღებული რომანების კითხვით ამოიწურებოდა. ჟაკს კარგად ესმოდა, რომ ასეთი რომანტიკული ტრანსპორტირება გაცილებით მეტ გავლენას ახდენდა მგრძნობიარე ლიზბეტზე, ვიდრე უბადრუკი სინამდვილის აღწერა. და როცა ეს ლამაზი გოგონა ისევ ატირდა მის წინაშე, როგორც მინიონი მისტიროდა სამშობლოს, ჟაკმა პირველად შეიგრძნო აქამდე უცნობი, შემოქმედებითი სიტკბოება და ლიზბეტის მიმართ ისეთი მადლიერებით განიმსჭვალა, რომ გულში იმედის შუქი ჩაუდგა; აკანკალებულმა კიდეც გაიფიქრა, ეს ხომ არ არის სიყვარულიო.

მეორე დღეს ჟაკი მოუთმენლად ელოდა ლიზბეტს. შესაძლებელია, გოგონამ კიდეც იგრძნო ეს: ფერადი სურათებით, ავტოგრაფებით, გამხმარი ყვავილებით სავსე ალბომი მიიტანა თან: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ყმაწვილი ქალის მიერ გატარებული დღეები! მთელი ცხოვრების მატიანე! ჟაკი კითხვას კითხვაზე აყრიდა; უყვარდა გაოცება და, მართლაც, რაც არ იცოდა, ყველაფერი ანცვიფრებდა. ლიზბეტის ამბები ისეთი სარწმუნო

დეტალებით იყო შელამაზებული, მათ სიმართლეში ეჭვს ვერ შეიტანდით. მიუხედავად ამისა, როცა სახეალეწილ გოგონას ჩვეულებრივზე მეტად გაუწვრილდებოდა ხმა, სწორედ ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ტყუილის, გამონაგონის, ანდა სიზმრის მოყოლისას აქვთ ხოლმე. ლიზბეტი სიამოვნებისგან კანკალებდა, როცა ახალგაზრდების თავყრილობის ადგილს, საცეკვაო სკოლაში გატარებულ ზამთრის საღამოებს მოიგონებდა; ცეკვის მასწავლებელს სულ პაწაწინა ვიოლინო ეჭირა თურმე ხელში, მოცეკვავეთა წყვილებს უკან მისდევდა და ტაქტს ითვლიდა, ხოლო მ ა დ ა მ ი ვენური ვალსების ფირფიტებს აწყობდა პიანოლაზე. შუაღამისას სავახშმოდ სხდებოდნენ. შემდეგ სიცილ-კისკისით, ჯგუფ-ჯგუფად გარეთ გარბოდნენ, სიბნელეში ლაზღანდარობდნენ და სახლამდე მიაცილებდნენ ერთმანეთს. თოვლი ისეთი რბილი იყო ფეხქვეშ, ცა ისეთი მოკრიალებული, ქარიც ისე წიწკნიდათ ლოყებს, რომ მოცეკვავეებს უნტერ-ოფიცრებიც შეემატებოდნენ ხოლმე. ერთ-ერთ მათგანს ფრედი ერქვა, მეორეს — ვილი. ლიზბეტი დიდხანს შეყოყმანდა, სანამ მუნდირებში გამოწყობილ ოფიცერთა შორის თითს დაადებდა ხის ზონზროხა თოჯინას, რომელიც ვილის სახელს ატარებდა: „ოჰ, — ამბობდა იგი, და სახელოთი მტვერს აცლიდა ფოტოსურათს, — რომ იცოდეთ, რა კეთილშობილი, ნაზი ყმაწვილია!“ ეტყობოდა, გოგონა სახლშიც ყოფილა მასთან, რადგან მთელ ამბავს მოუყვა ჟაკს ციტრის, ყოლოს და კაზეინის შესახებ; შუა თხრობაში ერთბაშად ჩაჩუმდა, მოულოდნელად ჩაიქირქილა და სათქმელი აღარ დაამთავრა. ხან საქმროს უწოდებდა ვილის, ხან ისე ახსენებდა, თითქოს მისთვის სამუდამოდ ყოფილიყოს დაკარგული. ბოლოს და ბოლოს, ჟაკი მიხვდა, რომ იგი პრუსიის რომელიღაც გარნიზონში გადაეგზავნათ ბნელით მოცული, რაღაც სასაცილო თავგადასავლის გამო, რომლის გახსენებაზეც ლიზბეტი ხან შეშინებულივით ცახცახებდა, ხანაც სიცილი აუვარდებოდა: მან ახსენა სასტუმროს ნომერი დერეფნის ბოლოს, რომლის პარკეტი საშინლად ჭრიალებდა თურმე, მერე ისე აბდაუბდად დაიწყო მოყოლა, კაციშვილი ვერაფერს გაუგებდა; ოთახი, როგორც ირკვეოდა, თვით ფრიულინგის სასტუმროში ყოფილა, რადგან სხვაგვარად მოხუცი ბიძა შუაღამისას ეზოში ვერ გამოეკიდებოდა უნტერ-ოფიცერს და პერანგისა და წინდების ამარას ქუჩაში ვერ გააგდებდა. ლიზბეტმა მეტი გარკვეულობისათვის დასძინა, ბიძაჩემს სურს ცოლად შემირთოს, რომ მთელ ოჯახს მე მოვუარო. ისიც უთხრა, ბიძაჩემი ტუჩგაპობილი კაცია, დღე და ღამე ჭვარტლის სუნით აყროლებული სიგარა პირში გაურჭვია და აბოლებსო. ერთბაშად გოგონამ სიცილი შეწყვიტა და უმიზნოდ ატირდა.

ჟაკი საწერ მაგიდასთან იჯდა, წინ გადაშლილი ალბომი ედო. ლიზბეტი სავარძლის სახელურზე ჩამომჯდარიყო. როცა თავს დახრიდა, ჟაკი მის სუნთქვას გრძნობდა, ხოლო თმის კულულები ყურზე ეხებოდა. მაგრამ არავითარ მღელვარებას არ განიცდიდა. მართალია, ზნეობრივ სიმახინჯეს ადრე გასცნობოდა, მაგრამ ახლა სულ სხვა სამყარო იტაცებდა, რომელიც, მისი აზრით, თავისთავში აღმოაჩინა, სინამდვილეში კი ახლახან წაკითხული ინგლისური რომანიდან გამოეტანა: უმწიკვლო სიყვარული, ბედნიერებისა და უბიწოების მოზღვავებული გრძნობა.

მთელი დღის განმავლობაში იგი გონებაში ამზადებდა მეორე დილით ლიზბეტთან შეხვედრის სცენას: აი, ისინი მთელ ბინაში მარტონი არიან, საღამომდე ვერვინ დაურღვევს მყუდროებას, ლიზბეტს დივანზე ჩამოაჯენს, მარჯვენა კუთხეში; წინგადახრილი გოგონა თავჩაქინდრული ზის, თვითონ კი დგას; გოგონას მრგვალად ამოჭრილი კოფთა აცვია, აკვირდება მის კეფას. კეფაზე — თმის აწეწილ კულულს; გოგონას ზევით ახედვა ვერ გაუბედნია; ჟაკი მისკენ იხრება: „როგორ არ მინდა, აქედან წახვიდეთ"! აი, მხოლოდ მაშინღა ასწევს იგი თავს და ისეთი თვალებით შემოხედავს, თითქოს რაღაცას ეკითხებაო... მისი პასუხი კი შუბლზე ამბორი იქნება, საქმროს ამბორი! „ხუთი წლის შემდეგ ოცი წელი შემისრულდება. მამას ვეტყვი: „ბავშვი აღარა ვარ". თუ მეტყვიან: „ეს ხომ კონსიერჟის ძმისწულიაო", მე...—ჟაკმა მუქარის ნიშნად მაღლა ასწია ხელი: „საცოლე! საცოლე! თქვენ ჩემი საცოლე ხართ!" მისი პატარა ოთახი ვეღარ იტევდა ამოდენა სიხარულს. ქუჩაში გავიდა. თბილოდა. სიამოვნებით მიაბიჯებდა მზით გასხივოსნებულ ქუჩაში; „საცოლე! საცოლე! იგი ჩემი საცოლეა!"

მეორე დილით ჟაკს ისე დასძინებოდა, ლიზბეტის ზარის ხმა არც გაუგონია და ლოგინიდან მხოლოდ მაშინ წამოხტა, როცა ანტუანის ოთახიდან სიცილი მოესმა. ანტუანს უკვე ესაუზმა და წასვლას აპირებდა. მას ორივე ხელი მაგრად ჩაევლო გოგონას მხრებისთვის:

— გესმის? — ემუქრებოდა იგი, — თუ კიდევ დაალევინებ ყავას, იცოდე ჩემთან გექნება საქმე!

ლიზბეტი ჩვეულებისამებრ გულღიად იცინოდა, ვერ დაეჯერებინა, რომ გემრიელად მომზადებული ტკბილი და ცხელი რძიანი ყავა მამიდა ფრიულინგს ავნებდა.

ჟაკი და ლიზბეტი მარტო დარჩნენ. წინადღით ანისმოყრილი კრენდელები გამოეცხო ჟაკისთვის და ახლა სინით მოეტანა. იგი მოწიწებით შეპ-

ყურებდა ჟაკს, რომელიც საუზმობდა. ჟაკი თავისთავზე ბრაზობდა, რატომ მშიაო. სამწუხაროდ, წინასწარ არ უფიქრია ამაზე; არ იცოდა, როგორ შეეფარდებინა ერთმანეთისთვის სინამდვილე და ის სცენა, რომელიც წინადღით ასე გულდასმით მოამზადა. ამ უიღბლობას ისიც დაემატა, რომ ვიღაცამ დარეკა. ამას კი მართლა არ მოელოდა; დიდი ფრიულინგი კოჭლობით შემოვიდა ოთახში; სულმთლად განკურნებული არა ვარ, მაგრამ თავს უკეთ ვგრძნობ, გაცილებით უკეთ და ბატონი ჟაკის ნახვა მომინდაო, თქვა მოხუცმა. ლიზბეტი იძულებული გახდა მეკარის ჯიხურამდე მიეცილებინა იგი და სავარძელში ჩაესვა. დრო გადიოდა. ლიზბეტი არ ბრუნდებოდა. ჟაკი ვერასოდეს ვერ ეგუებოდა გარეშე, ხელშემშლელ პირობებს. ბრაზმორეული დარბოდა წინ და უკან, ძველებურად იყო გაშმაგებული, კბილებს აკრაჭუნებდა, ხელები მოეკუმა და ღრმად ჩაეწყო ჯიბეებში. ახლა უკვე ლიზბეტზე მოსდიოდა გული.

როგორც იქნა, დაბრუნდა; ჟაკს პირი გაშრობოდა, თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა; მოლოდინს ისე გაეტანჯა, ხელები უკანკალებდა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს მეცაჯინეობას აპირებდა. გოგონამ ოთახი მიალაგა და, ნახვამდისო, დაუძახა. წიგნებში თავჩარგული გულდაკოდილი ჟაკი არც კი შეეცადა მის შეჩერებას, მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე მიეყრდნო სავარძლის ზურგს, და მწარედ გაეღიმა, სარკეში ჩაიხედა, უნდოდა ამ ღიმილით დამტკბარიყო. ოცჯერ მაინც წარმოიდგინა წინადღით ჩაფიქრებული სცენა: ლიზბეტი ზის, თვითონ დგას, კეფაზე... უცებ ისეთი ზიზღი იგრძნო, თვალებზე ხელი მიიფარა, დივანზე მიეგდო და კინაღამ ტირილი წასკდა. მაგრამ ცრემლი გაშრობოდა. ნერვიულობა და ბრაზი ახრჩობდა მხოლოდ.

მეორე დილით ლიზბეტი ნაღვლიანი შემოვიდა ოთახში; ჟაკმა იფიქრა, მე მსაყვედურობსო, და წინანდღინდელი წყენა იმ წამსვე გაუქრა. გოგონას კი უსიამოვნო წერილი მიეღო სტრასბურგიდან. ბიძამისი სწერდა, სასწრაფოდ დაბრუნდი, სასტუმრო სავსეა ხალხით, ერთ კვირას კიდევ გაცდი, მეტს არაო. ლიზბეტს უნდოდა წერილი ჟაკისთვის ეჩვენებინა, მაგრამ ყმაწვილმა ისეთი მოკრძალებით და გულთბილად მიაშურა, გადაწყვიტა, ჩემი უსიამოვნებით ხასიათს აღარ გავუფუჭებო; ლიზბეტი სწორედ იმ ადგილას ჩამოჯდა დივანზე, სადაც ჟაკს ჰქონდა ჩაფიქრებული, ამიტომ თვითონაც იქ დადგა, სადაც თავისი ადგილი ეგულებოდა. ლიზბეტს თავი დაეხარა; თმის კულულების ქვეშ ჟაკმა თვალი შეავლო კეფას, გულამოჭრილ კოფ-

თას. იგი, ის იყო ავტომატურად უნდა დახრილიყო მისკენ, რომ ლიზბეტი ნაადრევად გასწორდა წელში, გაკვირვებით ახედა ყმაწვილს, გაუღიმა, თავისკენ მიიზიდა დივანზე და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სახე სახეზე მიადო, საფეთქელით საფეთქელს შეეხო, თავისი თბილი ლოყით ლოყაზე მიეკრო:

— საყვარელო!..

ამ ტკბილმა მოქცევამ კინაღამ გრძნობა დააკარგვინა ჟაკს. თვალები მილულა. ლიზბეტი ნემსით დაჩხვლეტილი თითებით ეფერებოდა ლოყაზე, საყელოში უფათურებდა, ღილი გაუხსნა, ნეტარმა ცახცახმა აიტანა ბიჭი. მაგნიტის ძალის მქონე პატარა ხელი პერანგსა და სხეულს შორის დასრიალებდა და ბოლოს მკერდზე შეჩერდა. მაშინ თვითონაც გაბედა და ორი თითით გულსაბნევს შეეხო. ლიზბეტი დაეხმარა და თვითონ შეიხსნა. ჟაკს სუნთქვა შეეკრა. უცხო სხეული მოხვდა ხელზე. გოგონა შეიძრა, თითქოს ელიტინებაო, და ბიჭმა ერთბაშად იგრძნო, რომ ქალის ძუძუ თბილ მახასავით მიეკრო ხელის გულზე. გაწითლდა და უნდილად აკოცა ლიზბეტს, რომელმაც სწრაფად დაუბრუნა ამბორი და შიგ ტუჩებში აკოცა; ბიჭი დაიბნა, ამ ვნებიანი კოცნის შემდეგ სხვისი, გრილი ნერწყვი შერჩენოდა ტუჩებზე და შეეზიზღა. ლიზბეტმა კვლავ სახე სახეზე მიადო და აღარ ინძრეოდა. ჟაკი საფეთქლებზე გრძნობდა ქალის წამწამების ხამხამს.

ეს ამბავი ჩვეულებად ექცათ. ლიზბეტი წინოთახში იხსნიდა გულსაბნევს და შემოსვლისთანავე პორტიერზე აბნევდა; შემდეგ დივანზე მოკალათდებოდნენ, ლოყით მიეკვროდნენ ერთმანეთს, ხელებს თბილად მოაცუჩებდნენ და გაიტრუნებოდნენ. ანდა, ლიზბეტი ზოგჯერ გერმანულ რომანსს მღეროდა და ორთავეს ცრემლი აუკიაფდებოდათ თვალებზე და დიდხანს, ძალიან დიდხანს ეს ორი გადახვეწილი სხეული რიტმულად ირხეოდა აქეთ-იქით, მათი სუნთქვა ერთმანეთში ირეოდა, სხვა არავითარი სურვილი არ ახარებდა მათ სულს. თუ შემთხვევით, ჟაკის თითები კოფთის ქვეშ ამოძრავდებოდა, ან თუ თავს გადასწევდა ოდნავ, რათა ტუჩებით შეხებოდა ლიზბეტის ღაწვებს, გოგონა თვალს თვალში გაუყრიდა, თითქოს ევედრებოდა, ჭკუით იყავითო, ჩხრავდა და ეჩურჩულებოდა:

— ნაზად მომექეცით!

სხვათა შორის, როგორც კი თითები თავის ადგილს მოძებნიდნენ, მართლა ჭკვიანად იქცეოდნენ. უტყვი შეთანხმებით ლიზბეტი და ჟაკი მათთვის უცნობ მოძრაობებს ერიდებოდნენ. მთელი საათი ალერსი იმაში გამოიხა-

ტებოდა, რომ სახით გაუთავებლად, მოთმინებით ეკვროდნენ ერთმანეთს და ამოოხვრის დროს მათი თითები ათრთოლებული მკერდის სითბოსგან აუწერელ სიამოვნებას განიცდიდნენ. ლიზბეტი მოქანცული ჩანდა ხშირად და მოზღვავებულ გრძნობებსაც ადვილად არიდებდა თავს: ჟაკთან ყოფნისას უმწიკვლო სიყვარული და პოეზია ათრობდა; რაც შეეხება ჟაკს, მას უფრო გარკვეული ცთუნების დაძლევაც კი არ უხდებოდა: ეს უმანკო ალერსი თვითმიზანი გახლდათ მისთვის, ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ შესაძლებელია მსგავსი ალერსი ვნების სხვაგვარი გამოვლინების საწინდარი ყოფილიყო. თუკი ზოგჯერ ქალის სხეულის სითბო ფიზიკურად ააღელვებდა, ეს მისდაუნებურად ხდებოდა თითქოს: ლიზბეტს რომ მღელვარება შეემჩნია, ჟაკს, ალბათ, სირცხვილითა და ზიზღით გული გაუსკდებოდა. ლიზბეტთან ყოფნის დროს არავითარი ავხორცული ჟინი არ მორევია. მის სულსა და ხორცს შორის სრული გათიშულობა სუფევდა. სული მიჯნურს ეკუთვნოდა; ხორცი მარტოობაში ცხოვრობდა სულ სხვა, ღამის სამყაროში, სადაც ლიზბეტს ადგილი არ გააჩნდა. თუკი ზოგჯერ, უძილო ღამეში საწოლიდან წამოხტებოდა, სარკის წინ პერანგს ჩამოიგლეჯდა, საკუთარ ხელებს იკოცნიდა გაშმაგებული, დაუკმაყოფილებელი ჟინით იძლევავდა სხეულს, ამას მხოლოდ მარტოობაში აკეთებდა, შორს ლიზბეტისაგან. მიჯნურის იერსახე არასოდეს აღრეულა მისი წარმოსახვების ჩვეულებრივ პროცესიაში.

ამასობაში ლიზბეტის გამგზავრების დროც ახლოვდებოდა; იგი მომავალ კვირას უნდა წასულიყო პარიზიდან — საღამოს მატარებლით, მას კი გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ჟაკი გაეფრთხილებინა.

სწორედ იმ კვირა დღეს ანტუანი სადილობისას დაბრუნდა შინ. ჟაკი ზემო სართულში ეგულებოდა და თავის ოთახში შევიდა. ლიზბეტი ელოდა. იგი ტირილით მივარდა ანტუანს და მხარზე ჩამოადო თავი.

— როგორაა საქმე? — უცნაური ღიმილით ჰკითხა ანტუანმა,

გოგონამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— შენ კი საცაა უნდა წახვიდე, ხომ?

— დიახ.

ანტუანმა ხელი ჩაიქნია.

— თავისი ბრალიცაა! — წაილაპარაკა ლიზბეტმა, — ამაზე არც კი ფიქრობს.

— აკი დამპირდი, მის მაგივრად მე მოვაგვარებ ყველაფერსო.

ლიზბეტმა შეხედა, თითქოს სიძულვილიც კი იგრძნო მისდამი. ანტუანი ვერ მიმხვდარიყო, რომ ჟაკი „იგივე არაა“ ლიზბეტისთვის. მაგრამ რა ექნა,

ანტუანი ლამაზი იყო, მისი დამღუპველი იერი კიდეც მოსწონდა და იმასაც აპატიებდა, რომ სხვებსა ჰგავდა.

ლიზბეტს უკვე პორტიერზე მიებნია თავისი გულსაბნევი და დაბნეული სახით იხდიდა ტანსაცმელს. გამგზავრებაზე ფიქრობდა. როცა ანტუანმა მკლავი მოხვია, გოგონამ ისე გაიცინა, თითქოს უღიტინებენო, ბოლოს უხმოდ ჩაიქირქილა:

— საყვარელო, ამ უკანასკნელ ღამეს მაინც მოიქეცი ნაზად.

ანტუანი მთელი საღამო არ იყო შინ. თერთმეტ საათზე ჟაკმა გაიგონა მისი დაბრუნება და ოთახში ფეხაკრეფით შესვლა. თვითონაც დაწოლას აპირებდა და აღარ გამოლაპარაკებია.

ლოგინში რომ ჩაწვა, მუხლთან რაღაც მკვრივი მოხვდა: პაკეტი იყო, რაღაც საჩუქარი! ანისმოყრილი, წებოვანი რამდენიმე კრენდელი ტყვიის ქაღალდში გაეხვიათ, ხოლო აბრეშუმის ცხვირსახოცში, რაზედაც ჟაკის ინიციალები ამოექარგათ, იასამნისფერი ბარათი იდო:

ჩ ე მ ს  მ ი ჯ ნ უ რ ს:

ლიზბეტს არასოდეს მოუწერია მისთვის წერილი. ჟაკს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ლიზბეტი აქვე, სასთუმალთან დგას თავდახრილიო. მან მწარეული სიცილით გახსნა კონვერტი:

„ბატონო ჟაკ!

როცა ამ ბარათს მიიღებთ, მე შორს ვიქნები...“ თვალთ დაუბნელდა, სტრიქონები ერთმანეთში აერია; შუბლზე ოფლმა დაასხა.

„...მე შორს ვიქნები, იმიტომ, რომ ამ საღამოს 22 საათსა და 12 წუთზე სტრასბურგს მივდივარ მატარებლით, აღმოსავლეთის სადგურიდან...“

— ანტუან!

ისეთი გულისგამგმირავი ყვირილი აღმოხდა, რომ ანტუანმა მაშინვე მოირბინა, სასიკვდილოდ დაჭრილი ეგონა ძმა.

ჟაკი საწოლზე იჯდა, მკლავები გაეჩაჩხა, პირი დაეღო, თვალებში მუდარა ჩასდგომოდა: იფიქრებდით, კვდება და მხოლოდ ანტუანს შეუძლია მისი გადარჩენაო. საწოლზე ბარათი ეგდო. ანტუანმა გადაიკითხა, არ გაჰკვირვებია: ლიზბეტი მან მიაცილა სადგურზე. იგი ძმისკენ დაიხარა, მაგრამ ჟაკმა შეაჩერა:

— გაჩუმდი... გაჩუმდი... შენ ვერ მიხვდები, ანტუან, შენ ვერ გაიგებ...

ლიზბეტის სიტყვებს იმეორებდა. სახეზე სიკერპე აღბეჭდოდა; მძიმე და ჯიუტი მზერა უწინდელ ჟაკს მოგაგონებდათ. უცბად ღრმად ამოიოხრა, ტუ-

ჩები აუკანკალდა, თითქოს ვიღაცას ემალებაო, თავი მიაბრუნა, აქვითინდა და მუთაქაზე დაეგდო. ცალი მკლავი უკან დარჩა. ანტუანმა მაგრად მოუჭირა დაკრუნჩხულ ხელს, რომელიც მაშინვე მოებღაუჭა.

ანტუანმა არ იცოდა, რა ეთქვა, დაჰყურებდა ქვითინისგან აცახცახებულ ძმის ზურგს; ერთხელ კიდევ წარმოუდგა თვალწინ ფერფლის ქვეშ შეყუჟული ალი, რომელიც მუდამჟამს მზად იყო ასაბრიალებლად. და იგი მიხვდა, რა ამაოა მისი, როგორც აღმზრდელის, პრეტენზიები!

ნახევარი საათი გავიდა; ჟაკმა ხელი შეუშვა. აღარ ქვითინებდა, მხოლოდ სლუკუნებდა, სუნთქვაც თანაბარი გაუხდა თანდათან: ჩაეძინა. ანტუანი არ ინძრეოდა, წასვლა ვერ გაებედა. შიშით ფიქრობდა ბიჭის მომავალზე. ნახევარი საათიც დაიცადა, შემდეგ ფეხაკრეფით გავიდა და კარი ნახევრად მიხურა.

როცა მეორე დღეს ანტუანი შინიდან გავიდა, ჟაკს ისევ ეძინა, ან თავი მოიმძინარა.

ზევით, სუფრასთან შეხვდნენ ერთმანეთს. ჟაკს დაქანცული სახე ჰქონდა, ბაგეების კუთხეში ამრეზილი ნაოჭი გასჩენოდა, და საერთოდ, იმ ბავშვს წააგავდა, რომელიც ამაყობს, ჩემი არავის ესმისო. მიუხედავად ამისა, სადილობის დროს, ანტუანს თვალს არიდებდა: არ სურდა ვინმე სიბრალული ეგრძნო, ანტუანიც მიუხვდა. თანაც, არც მას უნდოდა ლიზბეტზე ლაპარაკი.

კვლავ წინანდებურად განაგრძეს ცხოვრება, თითქოსდა არაფერი მომხდარაო.

## X

ერთხელ, საღამოს, სანამ სადილად დასხდებოდნენ, ანტუანი გაკვირვებული დარჩა, როცა წერილებს შორის დაბეჭდილი კონვერტი შეამჩნია. ბარათი ჟაკს ეკუთვნოდა. ხელი ვერ იცნო და რაკი ძმა გვერდით ედგა, არ უნდოდა რაიმე ჭოჭმანი დასტყობოდა.

— შენი წერილია! — უთხრა მან ჟაკს.

ჟაკი სწრაფად მოუახლოვდა და სახე აელეწა. ანტუანი წიგნების კატალოგს ფურცლავდა და კონვერტი ისე გაუწოდა, ძმისთვის არც შეუხედავს. როცა თავი ასწია, დაინახა, ჟაკს ჯიბეში ჩაედვა წერილი, ერთმანეთს შეხედეს; ჟაკი უტიფრად უყურებდა.

— ასე რად მიყურებ? — ჰკითხა მან ბოლოს, — მე მგონია, წერილების მიღების უფლება უნდა მქონდეს, არა?

ანტუანი უსიტყვოდ დააკვირდა ძმას, ზურგი შეაქცია და ოთახიდან გავიდა.

სადილზე იგი ბატონ ტიბოს ესაუბრებოდა და ჟაკს სრულებით არ აქცევდა ყურადღებას. როგორც ყოველ საღამოს, ახლაც ერთად ჩავიდნენ ქვემოთ, თუმცა სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. ანტუანი თავის ოთახში შევიდა, მაგრამ როგორც კი საწერ მაგიდას მიუჯდა, ჟაკმა დაუკაკუნებლად შეაღო კარი და გახსნილი ბარათი გამომწვევად დაუგდო მაგიდაზე.

— რაკი ჩემს კორესპონდენციასაც უთვალთვალებ!..

ანტუანს ბარათი არ გადაუკითხავს, დაკეცა და ჟაკს დაუბრუნა; რაკი ძმა ხელს არ ჰკიდებდა, თვითონაც შეუშვა ხელი და წერილი ნოხზე დავარდა. ჟაკმა აიღო და ჯიბეში ჩაიდო:

— მაშინ ნუღარ მებუტები! — გაბასრა მან.

ანტუანმა მხრები აიჩეჩა.

— და თანაც, თუ გინდა იცოდე, მე უკვე მომბეზრდა ეს ამბავი! — ერთბაშად ხმას აუმაღლა ჟაკმა. — ბავშვი აღარ ვარ... მე მინდა... მე სრული უფლება მაქვს...

ანტუანის მოშტერებული და მშვიდი მზერა აცოფებდა ბიჭს.

— გეუბნები, მომბეზრდა-მეთქი! — დაიყვირა მან.

— რა მოგბეზრდა?

— ყველაფერი.

მის სახეს ყოველგვარი გამომეტყველება დაეკარგა: ჩაშტერებული, ბრაზიანი გამოხედვა, გაჩაჩხული ყურები, ნახევრად დაღებული პირი ბრიყვულ იერს აძლევდა, სახეალეწილ ბავშვს.

— სხვათა შორის, ეს წერილი შეცდომით მოხვდა ამ მისამართით! მე ვწერდი, „მოთხოვნამდე“ გამოეგზავნათ! მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ისე შემეძლო წერილების მიღება, არავისთვის არ ჩამებარებინა ანგარიში!

ანტუანი უხმოდ აკვირდებოდა ძმას. ეს დუმილი მომგებიანი იყო მისთვის, უხერხულობას ფარავდა; ჟაკს ასეთი ტონით არასოდეს ულაპარაკია მასთან.

— ჯერ ერთი, მე ფონტანენის ნახვა მსურს, გესმის? ამას ვერავინ ამიკრძალავს.

ანტუანს ახლაღა მოაგონდა: წერილი სწორედ იმ ხელით იყო დაწერილი, რუანი რვეულიდან რომ ახსოვდა. მაშასადამე, მიუხედავად დაპირებისა, ჟაკს მაინც ჰქონია მიწერ-მოწერა ფონტანენთან. საინტერესოა, ქალბატონმა დე

ფონტანენმა თუ იცის ეს ამბავი? ნუთუ ფარული მიმოწერის უფლებას აძლევს შვილს?

ანტუანს პირველად უხდებოდა მამის როლში ყოფნა. დიდი ხანი არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ბატონი ტიბოს წინაშე თვითონაც ასეთ მოხაში შეიძლებოდა მდგარიყო, როგორც ახლა ჟაკი იდგა მის წინაშე. ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა.

— მაშასადამე, ფონტანენს წერილებს სწერ, არა? — წარბშეკრულმა ჰკითხა ძმას.

თანხმობის ნიშნად ჟაკმა უტიფრად თავი დაუქნია.

— ჩემი ნებართვის გარეშე?

— მერე რა? — არ შეეპუა ბიჭი.

ანტუანი კინაღამ წამოხტა და სილა გააწნა თავხედს. მაგრამ მუშტები მოკუმა. დავა ისეთ სახეს იღებდა, შესაძლებელი იყო, ერთბაშად დაჰკარგოდა ის, რასაც ასე უფრთხილდებოდნენ.

— გადი აქედან! — ნაძალადევი სასოწარკვეთით უთხრა მან. — თვითონ არ გესმის, რაებს ამბობ ამ საღამოს.

— მე ვამბობ... ვამბობ, რომ ყველაფერი მომბეზრდა! — დაიყვირა ჟაკმა და ფეხები დააბაკუნა. — ბავშვი აღარა ვარ. მინდა, ვისთანაც მომესურვება, იმასთან ვიარო. ასე ცხოვრება აუტანელია. მინდა ფონტანენს შევხვდე, რადგან ფონტანენი ჩემი მეგობარია. ამიტომაც მივწერე წერილი. დიახ, მე თვითონ ვიცი, რასაც ვაკეთებ. პაემანიც დავუნიშნე. შეგიძლია მოახსენო... ვისაც გნებავს! მომბეზრდა, მომბეზრდა, მომბეზრდა!

იგი გაბრაზებით აბრახუნებდა ფეხებს, სიბრულვილისა და აღშფოთების გარდა აღარაფერს გრძნობდა.

ერთი რამ არ თქვა მან, ანტუანი კი თვითონ ვერ მიხვდა: ლიზბეტის გამგზავრების შემდეგ საცოდავი ბიჭი ისეთ სიცარიელეს გრძნობდა და თანაც ისე დამძიმებული ჰქონდა გული, უნდოდა მისი ტოლისთვის გაენდო თავისი ჭაბუკური საიდუმლოება; კიდევ მეტი — უნდოდა დანიელისთვის გაეზიარებინა ეს დარდი, რომელიც თითქმის ახრჩობდა, და ამ მარტოობაში უკვე წინასწარ ნეტარებდა ყოვლისმომცველი მეგობრობის წუთებით, როცა მეგობარს შეევედრებოდა, ლიზბეტის მეორე ნახევარი შენ შეიყვარეო, ხოლო ლიზბეტს სთხოვდა, ნება მიეცი დანიელს სიყვარულის ეს მეორე ნახევარი მას ხვდეს წილადო.

— აკი გითხარი, გადი-მეთქი! — გაუმეორა ანტუანმა, რომელსაც თავი ისე ეჭირა, თითქოს არ ღელავდა და თავისი უპირატესობა კიდეც უხაროდა. — როცა გონს მოხვალ, მაშინ მოვილაპარაკოთ!

— ლაჩარო! — დაიღრიალა ჟაკმა, რომელიც ანტუანის გულგრილობას გაეხელებია. — ჯალათო!

შემდეგ კარი გაიჯახუნა და გავიდა.

ანტუანი წამოდგა, კარი გასაღებზე ჩაკეტა და სავარძელში მძიმედ დაეშვა. სიბრაზისგან მკვდრის ფერი დასდებოდა სახეზე.

„ჯალათოო!“ არამზადა. „ჯალათოო!“ თუ კაცი ვარ, ძვირად დავუჯდენ ამ სიტყვას! თუ ფიქრობს, ყველაფრის ნება მაქვსო, ძალიან ცდება! მთელი საღამო ჩამიშხამდა! მუშაობა აღარ შემიძლია. თუ კაცი ვარ, ძვირად დავუჯდენ ჩემი მყუდროების დარღვევას! ეს რა სისულელე ჩავიდინე! იმის ასეთი რეგვენის გულისთვის! „ჯალათოო!“ რასაც მეტ სიკეთეს გაუკეთებ ამ ლაწირაკებს... თუმცა მე თვითონ ვარ რეგვენი: მისი გულისთვის დროს ვკარგავ, მუშაობაში ხელი მეშლება, მაგრამ მორჩა! ამიერიდან საკუთარ თავზე უნდა ვიზრუნო, წინ გამოცდები მაქვს... ეს რეგვენი ვერ...

ადგილს ვერ პოულობდა, წინ და უკან დარბოდა ოთახში. უცებ ქალბატონი დე ფონტანენი წარმოუდგა თვალწინ; სახეზე მტკიცე და საზრიანი გამომეტყველება აღებეჭდა: „რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, ქალბატონო, ვცადე ალერსიანად, გულთბილად მოვქცეოდი. სრული თავისუფლება მივეცი. მადლობის ნაცვლად, ხომ ხედავთ!.. დამიჯერეთ, ქალბატონო, არიან ისეთი ბუნების ადამიანები, რომელთაც ვერაფერს მოუხერხებს კაცი. მათგან თავის დასაცავად საზოგადოებას ერთადერთი გამოსავალი აქვს: როგორმე ხელი უნდა შეუშალონ და ზიანის მიყენების საშუალება არ მისცენ. ბავშვთა დაცვის საზოგადოებას ტყუილ-უბრალოდ კი არ უწოდებენ გამასწორებელ კოლონიას.

ანტუანმა თავი მიაბრუნა კარისკენ, რაღაც ხმაური მოესმა, თითქოს თაგვი ფხაჭუნობდა. დახურულ კარქვეშ ქაღალდი შემოაცურეს: „მაპატიე, ჯალათი რომ გიწოდე. უკვე დავმშვიდდი. ნება მომეცი შემოვიდე!“

ანტუანს უნებურად გაეღიმა. უცებ ისეთი სითბო იგრძნო, აღარც დაფიქრებულა, კართან მივიდა და გააღო. ჟაკი მხრებჩამოყრილი იდგა და იცდიდა. ეტყობოდა, აღელვებას სულმთლად არ გაევლო, თავი დაეხარა და სიცილი რომ არ წასკდომოდა, ტუჩებს იკვნეტდა. ანტუანი შეურაცხყოფილი, მედიდური იერით შეხვდა; შემდეგ მაგიდასთან დაჯდა.

— სამუშაო მაქვს, — მკვახედ წაილაპარაკა მან, — ამ საღამოს ისედაც ბევრი დრო წამართვი. რა გინდა?

ჟაკმა მოციცინარე თვალები პირდაპირ სახეში შეანათა ძმას.

— მინდა დანიელს შევხვდე! — გამოუცხადა მან.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენც კარგად იცი, რომ მამა ამის წინააღმდეგია, — წამოიწყო ანტუანმა. — მე არ დამეზარა და მიზეზიც მოგახსენე. ხომ გახსოვს? იმ დღეს ჩვენ შევთანხმდით, რომ შეეგუებოდი შენს მდგომარეობას და აღარ შეეცდებოდი ფონტანენებთან ურთიერთობის აღდგენას. მე ვენდე შენს სიტყვებს და აი, ხომ ხედავ, რა შედეგი მოჰყვა ამას? შენ მომატყუე: პირველი შემთხვევისთანავე დაარღვიე ჩვენი პირობა! ახლა მორჩა, ამიერიდან ვეღარაფერში გენდობი.

ჟაკი აქვითინდა.

— ასე ნუ ლაპარაკობ, ანტუან, ეს ხომ უსამართლობაა! შენ არაფერი არ იცი. მართალია, ცუდად მოვიქეცი, შენი ნებართვის გარეშე წერილი არ უნდა მიმეწერა. მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ იძულებული ვიქნებოდი სხვა რამეც მეამბნა შენთვის, მე კი არ შემეძლო... ლიზბეტი... — ჩურჩულით დაამთავრა მან.

— საქმე ეს არაა, — მაშინვე შეაწყვეტინა ანტუანმა, რადგან უნდოდა თავიდან აეცდინა ძმის აღსარება, რაც მას უფრო მეტად ჩააგდებდა უხერხულობაში, ვიდრე ჟაკს. მან სცადა როგორმე შეეცვლევინებინა საუბრის თემა და უთხრა: — შემიძლია ერთხელ კიდევ, უკანასკნელად ვცადო. თუ პირობას მომცემ...

— არა, ანტუან, არ შემიძლია... პირობას ვერ მოგცემ, ფონტანენს არ შევხვდები-მეთქი. პირიქით, შენ უნდა მომცე სიტყვა, რომ მისი ნახვის ნებას დამრთავ. მომისმინე, ანტუან, ნუ ბრაზობ, ვფიცავ ღმერთის წინაშე, ამიერიდან არაფერს დაგიმალავ. მაგრამ დანიელის ნახვა ძალიან მინდა, ოღონდ შენი ნებართვის გარეშე არ მსურს ვნახო. სხვათა შორის, არც მას უნდა. მე მას მივწერე, „მოკითხვამდე" გამოგზავნე წერილები-მეთქი, მაგრამ არ მოისურვა, აი, ნახე რას მწერს! „რატომ უნდა მოგწერო „მოკითხვამდე?" დასამალი რა გვაქვს? შენი ძმა მუდამ ჩვენს მხარეზე იყო. წერილსაც ამიტომ ვწერ მის სახელზე, ის კი შენ გადმოგცემს!" ბოლოს უარს ამბობს პაემანზე, რომელიც პანთეონის უკან დავუნიშნე. „ამის შესახებ დედას მოველაპარაკე. სჯობს, რომელიმე კვირა დღეს, და რაც შეიძლება მალე, მთელი დღით მოხვიდე ჩემთან. დედას ძალიან უყვარხართ ორივე, შენ და შენი ძმა. დამავალა ორივე დაპატიჟეთ". ხომ ხედავ, რა წესიერი ბიჭია?! მამას კი ეს ვერც წარმოუდგენია და ისე ჰკიცხავს, არც კი იცნობს; მართალი გითხრა, ძალიან არც კი ვბრაზობ მამაჩემზე, მაგრამ შენ, ანტუან, შენ პირდაპირ მაკვირვებ! შენ ხომ იცნობ დანიელს, გესმის მისი! დედამისიც გინახავს; არავითარი საბაბი არ გაქვს მამასავით იქცეოდე. შენ კიდეც უნდა გიხაროდეს ასეთი მეგობარი რომ მყავს. რამდენი ხანია,

სულ მარტოკა ვარ! მაპატიე, შენ არ გყავხარ მხედველობაში, ეს შენც კარგად იცი. მაგრამ შენ სულ სხვა ხარ და დანიელი სხვაა. განა შენ არა გყავს შენი ასაკის მეგობრები? შენც ხომ კარგად იცი, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობარი?

„ღმერთმანი არ ვიცი...“ — გაიფიქრა ანტუანმა და გაუკვირდა ასეთი ბედნიერი, ნაზი გამომეტყველება რომ ჰქონდა ჟაკს სახეზე, როცა სიტყვას „მეგობარს“ წარმოთქვამდა. უცებ გულით მოუნდა მივარდნოდა ძმას და გადახვეოდა. მაგრამ ჟაკის გამოხედვაში რაღაც ისეთი კერპი, გამომწვევი შეიმჩნეოდა, რაც ანტუანის თავმოყვარეობას შეურაცხყოფდა. ამიტომაც კინაღამ სცადა წინააღდგომოდა ამ სიჯიუტეს და ერთბაშად მოედრიკა იგი. მაგრამ ჟაკის ენერგია გარკვეულ მოწიწებასაც უღვიძებდა. ანტუანმა არაფერი უპასუხა, ფეხები გაშოტა და ჩაფიქრდა. „მართლაცდა, — ფიქრობდა იგი, — თუ მიუკერძოებლად ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მამაჩემის აკრძალვა უგუნურია. იმ ფონტანენებს მხოლოდ კარგი გავლენა შეუძლია მოახდინოს ჟაკზე. შესანიშნავ წრეში იქნება. მეც კი დამეხმარებოდა ჩემი მოვალეობის აღსრულებაში. დიახ, რა თქმა უნდა, ის ქალი მომეხმარებოდა, ჩემზე ნათლად გაერკვეოდა საქმეში; სულ ბალღი ავტორიტეტსაც მოიპოვებდა ბიჭთან; დიდებული ქალია. მაგრამ ოდესმე მამამ რომ გაიგოს... რა მოხდა მერე? ბავშვი აღარა ვარ. ჟაკის საქციელზე ვინ აგებს პასუხს? მე, მაშასადამე, საბოლოო გადაწყვეტილების უფლებაც მე მენიჭება. ჩემის აზრით, თუ კარგად ჩაუკვირდებით, მამის აკრძალვა უგუნური და უსამართლოა; მე მას არ ვუწევ ანგარიშს, მორჩა და გათავდა! ამით ჟაკს კიდევ უფრო დავიახლოვებ. იფიქრებს, ანტუანი ისეთი არ ყოფილა, როგორიც მამააო. ამას გარდა, დარწმუნებული ვარ, დედა...“ მას მეორედ დაუდგა თვალწინ ქალბატონი დე ფონტანენის მომღიმარი სახე: „ქალბატონო, მინდოდა თვითონ მომეყვანა თქვენთან ჩემი ძმა...“

იგი წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა და შემდეგ ჟაკის წინ შეჩერდა. უმცროსი ძმა დაძაბული სახით, უძრავად იდგა, მტკიცედ გადაეწყვიტა, ანტუანისთვის არ დაეთმო და მისი წინააღმდეგობა მოედრიკა.

— რაკი მაიძულებ, სხვა გზა არ დამრჩენია, ყველაფერი უნდა გითხრა: მიუხედავად მამის განკარგულებისა, მე მუდამ მსურდა, რომ ფონტანენებთან კარგი ურთიერთობა გვქონოდა. კიდეც ვფიქრობდი, თვითონ წამეყვანე მათთან. მაგრამ მინდოდა, ჯერ კარგად მოსულიყავი გონს, და გადავწყვიტე, სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე მოგვეცადა. დანიელთან მიწერილმა წერილმა საქმე დააჩქარა. კეთილი! მთელ პასუხისმგებლობას მე ვკისრუ-

ლობ! არც მამას და არც აბატს არაფერი ეცოდინებათ. თუ გინდა, კვირას წავიდეთ.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, დაყვავებით დაუმატა; თანაც მის სიტყვებში საყვედურიც გამოსჭვიოდა:

— არ დაგავიწყდეს, რომ შენ ძალიან შეცდი, დიდი უსამართლობა ჩაიდინე, როცა ასეთი უნდობლობა გამომიცხადე! ათასჯერ მითქვამს შენთვის, ბიჭო; ჩვენს შორის სრული გულახდილობა უნდა იყოს, ურთიერთნდობა უნდა გვქონდეს, სხვაგვარად ჩვენი იმედები გაცამტვერდება-მეთქი!

— კვირას? — წაიჩურჩულა ჟაკმა. იგი სახტად დარჩა, უბრძოლველად რომ მიაღწია მიზანს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რაღაც ხრიკებს მიწყობენ და ვერ კი მივმხვდარვარო. შემდეგ შერცხვა თავისი ეჭვებისა. თურმე ანტუანი მისი ნამდვილი მეგობარი ყოფილა. რა საწყენია, ასეთი ხნიერი რომაა! კი მაგრამ, ნუთუ მომავალ კვირას... რატომ ასე მალე? ახლა უკვე ეჭვმა შეიპყრო: მართლა გულით უნდა მეგობართან შეხვედრა?

## XI

კვირა დღე იყო. დანიელი დედის გვერდით იჯდა და ხატავდა. უეცრად ზარის ხმა გაისმა და ძაღლი აყეფდა. ქალბატონმა დე ფონტანენმა წიგნი გვერდზე გადადო.

— მე წავალ, დედა, — უთხრა დანიელმა, დედას გაუსწრო და წინოთახში გავიდა.

უსახსრობის გამო ჯერ მოახლე დაითხოვეს, ერთი თვის შემდეგ კი მზარეულიც გაუშვეს. ოჯახურ საქმიანობაში ნიკოლი და ჟენი ეხმარებოდნენ ქალბატონ დე ფონტანენს.

დიასახლისს გულისყური წინოთახისკენ ჰქონდა მიპყრობილი და როცა პასტორი გრეგორის ხმა იცნო, გაეღიმა, წამოდგა და მიაშურა. პასტორს დანიელისთვის ორივე მხარში წაევლო ხელი, ღიმილით ათვალიერებდა და ხრინწიანი ხმით ეუბნებოდა:

— როგორ, ყმაწვილო, ასეთ მშვენიერ ამინდში სახლში ზიხარ? ნუთუ ფრანგებს არასოდეს გაიტაცებს ნავით სეირნობა ან კროკეტის თამაში და საერთოდ, რაიმე სპორტი?

პასტორის თვალის გუგებს ისე მოსდებოდა ფერადი გარსი, თეთრონები აღარსად ჩანდა და ამ პატარა, შავი თვალების ბრწყინვალება მეტად ძნელი ასატანი იყო ახლოდან: ამიტომ დანიელს სახე განზე მიებრუნებინა და დაბნეულად იღიმებოდა.

— ნუ უსაყვედურებთ, — უთხრა ქალბატონმა დე ფონტანენმა, — ამხანაგს ელოდება. ძმები ტიბოები, ხომ გახსოვთ?

პასტორმა სახე შეიჭმუხნა, ცდილობდა მოეგონებინა, მერე გამშრალი ხელისგულები ისე მაგრად წაუსვა ერთმანეთს, იტყოდით, საცაა ნაპერწკლები გამოცვივაო, ხოლო ბაგეები უცნაურმა უხმო სიცილმა გაუპო.

—ოო, დიახ! — წაილაპარაკა მან ბოლოს. — წვეროსანი ექიმი, არა? კარგი, სასიამოვნო ახალგაზრდაა. გახსოვთ, რა გაოცებული სახე მიიღო, როცა ჩვენი საყვარელი გოგონა მკვდრეთით დახვდა აღდგენილი? ის ხომ თერმომეტრით აპირებდა მკვდრეთით მის აღდგენას?! საცოდავი! ჩვენი გოგონა სადღაა? ისიც ოთახშია ჩაკეტილი ამ დიდებულ, მზიან ამინდში?

— არა, დამშვიდდით! ჟენი და მისი დეიდაშვილი გარეთ არიან. ძლივს მოითმინეს საუზმემდე... ფოტოაპარატს სინჯავენ, რომელიც დაბადების დღეს საჩუქრად მოართვეს ჟენის.

ის იყო დანიელს სკამი უნდა მიეწოდებინა პასტორისთვის, რომ დედის უკანასკნელ სიტყვებზე თავი ასწია; დედამისს ხმა უკანკალებდა.

— ნიკოლზე რას მეტყვით? — იკითხა გრეგორიმ და დაჯდა. — ახალი არაფერია?

ქალბატონმა დე ფონტანენმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. შვილის თანდასწრებით ამ თემაზე არ სურდა ლაპარაკი; ნიკოლის ხსენებაზე დანიელმა ცალი თვალით პასტორს გადახედა.

— მითხარით, ყმაწვილო, — ჰკითხა უცებ გრეგორიმ დანიელს, — ის თქვენი წვეროსანი მეგობარი ექიმი, რომელ საათზე უნდა მოვიდეს გულის გასაწყალებლად?

— არ ვიცი. ალბათ, სამი საათისთვის მოვა.

გრეგორი წელში გასწორდა, ანაფორის ჟილეტიდან ფართო, თეფშისოდენა ვერცხლის საათი ამოიღო.

— ძალიან კარგი! — წამოიძახა მან, — შენს განკარგულებაში თითქმის მთელი საათია, შე ზარმაცო შენა! პიჯაკი მოიხურე, ლუქსემბურგის პარკს სწრაფად შემოურბინე და სირბილის რეკორდი დაამყარე! გადი!

ჭაბუკმა დედას თვალებით ჰკითხა რჩევა და შემდეგ წამოდგა.

— კეთილი, კეთილი! ახლავე დაგტოვებთ მარტო, — ცბიერი ღიმილით თქვა მან.

— ოო, შე ეშმაკის ფეხო! — წაიბუზღუნა გრეგორიმ და მუშტი მოუღერა.

მაგრამ როგორც კი ქალბატონ დე ფონტანენთან მარტო დარჩა, სუფ-

თად გაპარსული სახე სიკეთით გაებადრა და გამოხედვაც ალერსიანი გაუხდა.

— ახლა, — წამოიწყო მან, — დროა მხოლოდ და მხოლოდ თქვენს გულს მოველაპარაკო, მეირფასო!

იგი ისე დაიძაბა, თითქოს ლოცულობსო, შემდეგ ნერვიულად შეიყო თითები ყორნის ფრთასავით შავ თმაში, სკამი აიღო და უნაგირივით გადააჯდა.

— მე მას შევხვდი, — თქვა და მაშინვე შეამჩნია, რომ ქალბატონი დე ფონტანენი საშინლად გაფითრდა, — თვითონვე გამომგზავნა თქვენთან. ძალიან ნანობს... რომ იცოდეთ, რა უბედურია!

პასტორი თვალს არ აშორებდა ქალს: იტყოდით, ამ ერთთავად მხიარულ მზერაში იმიტომ ახვევს მეგობარს, სურს სიტყვებით მიყენებული ტანჯვა გაუნელოსო.

— პარიზშია? — ისე იკითხა ქალმა, საკუთარ სიტყვებს ყურს არ უგდებდა, რადგან კარგად იცოდა, ორი დღის წინ, ჟენის დაბადების დღეს, ჟერომი მოსულიყო და ბავშვის საჩუქარი — ფოტოაპარატი — მეკარე ქალთან დაეტოვებინა. სადაც არ უნდა ყოფილიყო ჟერომი, თავისიანების დაბადების დღე მუდამ ახსოვდა.

— პირადად ნახეთ? — დაბნეულად იკითხა ქალმა, რომელსაც კვლავ უხერხულობა დაეტყო სახეზე; უკანასკნელი თვეების განმავლობაში განუწყვეტლივ ფიქრობდა ქმარზე, ოღონდ ისე ბუნდოვნად, რომ ახლა, როცა მასზე ჩამოუგდეს სიტყვა, რაღაც უცნაურად გახევდა.

— უბედურია! — დაბეჯითებით გაიმეორა პასტორმა, — სინდისის ქენჯნა აწუხებს. ის უბადრუკი დედაკაცი ისევ მღერის თურმე, მაგრამ ჟერომს მისი სახელის გაგონებაც არ უნდა, საბოლოოდ აცრუებია გული! ამბობს, ჩემი ცოლ-შვილის უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო; მეც მგონია, ასე უნდა იყოს! პატიებას გთხოვთ; ყველაფერს გპირდებათ, ოღონდაც შეირიგოთ! გევედრებით, განქორწინებაზე ფიქრს თავი მიანებეთ, აშკარად შევატყვე, მის სახეს ალალ-მართალი კაცის ბეჭედი აზის: იგი ჭეშმარიტად გულწრფელი და კეთილი ადამიანია.

ქალი დუმდა და სადღაც შორს იყურებოდა. მისი შესუქებული ლაწვები, მსხვილი ნიკაპი და რბილი, მგრძნობიარე ტუჩები ისეთ ლმობიერებას გამოხატავდნენ, გრეგორის ეგონა, ქალმა უკვე აპატიაო.

— ასე მითხრა, ამ თვეში სასამართლოზე უნდა გამოვცხადდეთ ორივე, ჯერ შერიგებას შემოგვთავაზებენ, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება მთელი ის დავიდარაბა, რაც განქორწინებისთვისაა საჭირო, ამიტომ, — განაგრძო

მან, — პატიებას გთხოვთ. იგი სულ გამოცვლილია, კიდეც თქვა, სულ არა ვარ ისეთი, როგორიც ვჩანვარ, სინამდვილეში გაცილებით უკეთესი ვარ, ვიდრე თქვენ ფიქრობთო. მეც ასე მგონია. ახლა მხოლოდ მუშაობაზე ოცნებობს; ეცდება რაიმე სამუშაო იშოვნოს. და თუ ნებას დართავდით, აქ, თქვენთან იცხოვრებს, საბოლოოდ გამოსწორდება და ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

გრეგორიმ შეამჩნია, რომ ქალმა მაგრად მოკუმა ტუჩები, ქვედა ყბა აუკანკალდა, შემდეგ მხრები შეიბერტყა და ერთბაშად თქვა:

— არა.

ხმა მტკიცე ჰქონდა, გამოხედვა მჭმუნვარე და მედიდური. ეტყობოდა, საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო. გრეგორიმ თავი უკან გადასწია, თვალი მოხუჭა და ერთხანს ხმა არ ამოუღია.

— ყური მიგდეთ! — გაისმა მისი სავსებით შეცვლილი, თითქოს შორიდან მოსული, ცივი ხმა. — გინდათ მოგიყვეთ ერთ ამბავს, რომელიც თქვენ, ალბათ, არც კი იცით? ეს იმ კაცის თავგადასავალი გახლავთ, რომელსაც ერთი ქალი უყვარდა. ვიწყებ, ყური მიგდეთ: იგი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა ერთი ღარიბი, მაგრამ კეთილი, ლამაზი ქალიშვილის საქმრო გახდა. ეს გოგონა ღმერთსაც გულით შეყვარებოდა და, რა გასაკვირია, თუ იმ ჭაბუკსაც უყვარდა...

პასტორს ანაზდად მკაცრი გაუხდა თვალები.

— ...მთელი სულითა და გულით, — ხაზგასმით დაასრულა მან.

შემდეგ, ჩანდა, თავს ძალა დაატანა, გაიხსენა სად შეჩერდა და საკმაოდ სწრაფად განაგრძო:

— ქორწინების შემდეგ კი აი, რა მოხდა: ამ კაცმა შეამჩნია, რომ ცოლს მარტო იგი კი არ უყვარდა, არამედ მეორე მამაკაციც... მათი ოჯახის მეგობარი, რომელსაც ძმასავით ხვდებოდა ცოლ-ქმარი. მაშინ უბედურმა ქმარმა შორეულ მოგზაურობაში წაიყვანა ცოლი, უნდოდა დახმარებოდა და ქალს გულიდან გადაეყარა იმ კაცზე ფიქრი; მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამიერიდან მის ცოლს მუდამ ის კაცი, მათი მეგობარი ეყვარებოდა, ხოლო ქმარი — არასოდეს! და აი, მაშინ დაიწყო ჯოჯოხეთური წამება! ქმარი გრძნობდა, რომ მრუშობა და ღალატი ჯერ სხეულში გასჯდომოდა მის ცოლს, შემდეგ გულში, ბოლოს კი სულსაც დაუფლებოდა, რადგან ქალი უმართებულო და ბოროტი გახდა. დიახ, — დინჯად წარმოთქვა გრეგორიმ,— მართლაც რომ საშინელება იყო! ქალი გაბოროტდა, რადგან მის საყვარელს გზას უღობავდნენ; ქმარიც გაბოროტდა, რადგან ირგვლივ სიავკაცე დაბუდებული იყო. ჰოდა, იცით, რა ჰქნა ამ კაცმა? ლოცვად დადგა. ბოლოს გაიფიქრა: „რაკი მე ეს ადამიანი მიყვარს, ბოროტებაც უნდა ავაშორო თავიდან!" შემ-

დეგ, ცოლი და მეგობარი ოთახში მოიხმო, ხელში ახალი აღთქმა აიღო და მხიარულად განაცხადა: „თავად მე ზეიმით გამტკიცებთ თქვენ ცოლ-ქმრად წინაშე ღმერთისა". სამივე ტიროდა, მაგრამ იმ კაცმა დაუმატა: „ნუ გეშინიათ, მე წავალ და ჩემი დაბრუნებით არასოდეს არ დაგირღვევთ ბედნიერებას!"

გრეგორიმ თვალებზე ხელი აიფარა და ხმადაბლა განაგრძო:

— ოჰ, ძვირფასო, რომ იცოდეთ, ღვთის რა ჯილდოა ამ ყოვლისმომცველი, მსხვერპლად გაღებული სიყვარულის მოგონება!

შემდეგ თავი ასწია.

— მან კიდეც შეასრულა დაპირება! მთელი ფული იმათ დაუტოვა, რადგან თვითონ მდიდარი იყო, ხოლო ცოლი უბედური იობივით ღარიბ-ღატაკი. იგი შორს გაეშურა, ქვეყნის დასალიერში და, როგორც ვიცი, ახლაც მარტოა, თუმცა მას შემდეგ 17 წელი გავიდა. არც სარჩო-საბადებელი გააჩნია, და ჩემი არ იყოს, მხოლოდ „ქრისტიანული სამეცნიერო საზოგადოების" უბრალო შეგირდ-სანიტრად მუშაობს ლუკმაპურის საშოვნელად.

ქალბატონი დე ფონტანენი აღელვებით აკვირდებოდა მეგობარს.

— მოითმინეთ! — სწრაფად დაუმატა პასტორმა, — ახლავე დავამთავრებ!

სახის ყოველი ნაკვთი საოცრად უთამაშებდა, ხოლო სკამის ზურგზე ჩამოწყობილი ჩონჩხისებური თითები ერთმანეთში გადაეხლართა.

— საცოდავს ეგონა, ბედნიერება მათ დაუტოვა, ხოლო უბედურება თვითონ გაიყოლია! მაგრამ აი, აქ იჩინა თავი ღვთის განჩინებამ, ბოროტება სწორედ მათთან დარჩენილა. შეყვარებულებმა დასცინეს უბედურ კაცს! სული დაჰგმეს. მის მიერ გაღებული მსხვერპლი ცრემლებით მიიღეს, მაგრამ გულის სიღრმეში მასხრად აიგდეს საცოდავი, მთელი ნაცნობების წინაშე ცილი დასწამეს, მისი წერილები ყველას წააკითხეს, ამ კაცის სათნოება მის წინააღმდეგვე გამოიყენეს. ისიც კი უთქვამთ, ცოლი უკაპიკოდ მიატოვა, თვითონ კი ვიღაც ქალს გაეკიდა ევროპაშიო. დიახ, ასე უთქვამთ! შემდეგ, სასამართლოს მოხელეები მოისყიდეს და განქორწინების დროს საბრალმდებლო განაჩენიც კი გამოუტანეს!

პასტორმა წამით თვალები დახარა, რაღაც ხრინწიანი ბგერა აღმოხდა, წამოდგა და სკამი გულდასმით დადგა იმ ადგილას, საიდანაც აიღო. ტანჯვის კვალიც არ ეტყობოდა სახეზე.

— აი, რა არის სიყვარული! — კვლავ წამოიწყო მან და უძრავად მჯდარი ქალბატონი დე ფონტანენისკენ დაიხარა, — პატიება ისეთი აუცილებელი რამაა, რომ ახლა ის ვერაგი, მაგრამ საყვარელი ქალი რომ მოვიდეს

ჩემთან და მითხრას: ჯეიმს, თქვენს ჭერქვეშ უნდა დავბრუნდე, კვლავ ჩემი ყურმოჭრილი მონა უნდა გახდეთ, თუ მომეხასიათება კვლავაც აგიგდებთ მასხრადო, მე, ალბათ, ვუპასუხებ: მოდით და წაიღეთ ის მცირეოდენიც, რაც მაბადია. თქვენი დაბრუნების გამო ღმერთს მადლობას ვწირავ. ყოველ დონეს ვიხმარ, თქვენს თვალში ნამდვილად კეთილი ადამიანი ვჩანდე, რათა თქვენც გახდეთ კეთილი, რადგან არ არს ბოროტება ქვეყანასა ამასმეთქი! დიახ, dear, ჭეშმარიტად, თუ ოდესმე ჩემი ცოლი მოვა ჩემთან და თავშესაფარს მომთხოვს, სწორედ ასე მოვიქცევი. მე იმას კი არ ვეტყოდი, დოლი, მიპატიებია-მეთქი, არამედ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი-მეთქი! ამრიგად ჩემი სიტყვები ფუჭად არ ჩაივლიდა; რადგან მხოლოდ სიკეთეს ძალუძს დათრგუნოს ბოროტება!

იგი გაჩუმდა, გულხელი დაიკრიფა, ოთხკუთხა ნიკაპი ხელში მოიმწყვდია და მქადაგებლის მგალობელი ხმით წაილაპარაკა:

— თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ, ქალბატონო დე ფონტანენ! რადგან ეს კაცი მთელი არსებით გიყვართ, ხოლო სიყვარული — სამართლიანობაა, რამეთუ ქრისტე გვასწავებს ჩვენ: უკეთუ სამართალი თქვენი მსგავს არს სამართლისა მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა!

— თქვენ მას არ იცნობთ, ჯეიმს, — წაიბუტბუტა ქალმა. — მის ირგვლივ ჰაერიც კი მოწამლულია, ყველგან ბოროტებას თესავს, ბავშვებსაც გასვრის.

— ოდეს ქრისტე ხელითა თვისთა შეეხო წყლულსა კეთროვანისასა, არა სნეულ იქმნა ხელი იგი ქრისტესი, არამედ კეთროვანი იგი განიწმინდა.

— თქვენ თქვით, რომ მე იგი მიყვარს, არა, ეს არაა მართალი, ოღონდ ესაა, მე ძალიან კარგად ვიცნობ მას. ვიცი, რასაც ნიშნავს მისი დაპირებები. ერთხელ და ორჯერ კი არ მიპატიებია!

— ოდეს ჰკითხა პეტრემ ქრისტეს: „რამდენგზის ჯერ-არს შენდობა ძმისა, არა შვიდგზის?“ ქრისტემ მიუგო: „რაი არს შვიდგზის?! მე ესრეთ მითქვამს: სამოცდაათ-შვიდგზის“.

— ჯეიმს, გიმეორებთ, თქვენ მას არ იცნობთ!

— ვინ შემძლებ არს იფიქროს: „ვიცნობ ძმასა ჩემსა?“ ქრისტე იტყვის, „ვითარმედ მე არა ვის ბრალეულ-ვყოფ“. მე კი, გრეგორი ვამბობ: თუკი ვინმე ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობს, გულის სიღრმეში არავითარ სირცხვილს არა გრძნობს და უბედურადაც მხოლოდ იმიტომ არ მიაჩნია თავი, რომ იგი ჯერ კიდევ შორსაა ჭეშმარიტი ჟამისაგან. სამაგიეროდ, ჭეშმარიტების ჟამთან ისაა ახლოს, ვინც ტირის, რადგან მისი ცხოვრება ცოდვილი

გახლდათ. აკი გითხარით, იგი ნანობს, ალალ-მართალი კაცის სახე აქვს-მეთქი!

— თქვენ ხომ ყველაფერი არ იცით, ჯეიმს! ჰკითხეთ, რა გააკეთა მან, როცა ის დედაკაცი ბელგიაში გაექცა მევალეებს და სხვა მამაკაცთან ერთად ბრიუსელიდანაც გაიპარა! მან ყველაფერი მიატოვა და მას გამოეკიდა, თანახმა იყო ყოველგვარი დამცირება გადაეტანა: ორი თვის განმავლობაში კონტროლიორად მუშაობდა იმ თეატრში, სადაც ის ქალბატონი მღეროდა! გეუბნებით: სირცხვილისაგან თავი არ გამოეყოფა! ქალი მევიოლინესთან ცხოვრობდა, მან კი ყველაფერი აპატია, მათთან სადილობდა, თავისი ხასის საყვარელთან მუსიკით იქცევდა თავს. ალალ-მართალი კაცის სახე აქვსო! არა, თქვენ მას არ იცნობთ. დღეს იგი პარიზშია, ნანობს, ამბობს, ის ქალი მივატოვე, ჩემს სიცოცხლეში აღარ შევხვდებიო. მაშინ მის ვალებს რატომღა იხდის? ცხადია, ამით ცდილობს კვლავ თავისკენ გადმოიბიროს. იგი ხომ ნოემის კრედიტორებს სათითაოდ უხდის ფულს? დიახ, აი რატომაა იგი პარიზში. იმას აღარ იკითხავთ, საიდან აქვს ეს ფული? ჩემს ფულებს, ბავშვების ფულებს ხარჯავს! იცით, სამი კვირის წინ რა ჩაიდინა? მეზონ-ლაფიტის კარმიდამო დააგირავა და ოცდახუთი ათასი ფრანკი მისცა ნოემის ერთ-ერთ ყველაზე ჭირვეულ მევალეს!

ქალმა თავი ჩაქინდრა: ჯერ კიდევ არ ეთქვა ყველაფერი. გაახსენდა, ერთ დღეს ნოტარიუსმა რომ დაიბარა, ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე. კანტორასთან ჟერომი ელოდებოდა. გირაოს შესადგენად ცოლის მინდობილობა სჭირდებოდა, რადგან მამული მემკვიდრეობით მიეღო ქალს. ემუდარა, უკაპიკოდ ვარ და ისღა დამრჩენია, თავი მოვიკლაო; იქვე, ქვაფენილზე დაუპირებია ჯიბეების ამობრუნება; ქალი აღარც გამალიანებია და ნოტარიუსთანაც მიჰყვა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი წუწუნის მოსმენა აღარ უნდოდა შუა ქუჩაში, ამასთანავე, თვითონაც უფულოდ იყო, ხოლო ჟერომი დაჰპირდა, მიღებული თანხიდან რამდენიმე ათას ფრანკს შენც მოგცემო, ამ ფულით ევვსიოდე თვეს როგორმე იოლად წავიდოდა. განქორწინების შემდეგ კი რეგულარულად მიიღებდა კუთვნილ თანხას.

— გიმეორებთ, ჯეიმს, თქვენ მას არ იცნობთ. იგი გეფიცებათ, რომ გამოიცვალა, ჩვენთან სურს ცხოვრება, მაგრამ მე რომ გიამბოთ, რაც მან გუშინწინ ჩაიდინა, როცა, მეკარე ქალს საჩუქარი გადასცა ჟენისთვის, არ დაიჯერებთ! ჩვენი სადარბაზოდან ასიოდე მეტრის დაშორებით მანქანა ელოდა... სადაც მარტო როდი იჯდა...

ქალს შეაჟრჟოლა, უცებ მოაგონდა ტუილრის სანაპირო, ჟერომი და შავებში ჩაცმული უბრალო მუშა ქალი, სკამზე რომ იჯდა და ტიროდა.

— აი, როგორი ადამიანი გახლავთ იგი! — წამოიძახა მან და წამოდგა. — იმდენად ნამუსგარეცხილია, შვილთან მოდის, დაბადების დღე უნდა მიულოცოს და შემთხვევით ქუჩაში გაცნობილი საყვარელი ეტლში ელოდება! თქვენ კი მეუბნებით, ისევ გიყვართო! არა, ეს არაა მართალი!

ქალი წელში გასწორდა. იმ წუთში თითქოს მართლაც ეზიზღებოდა ქმარი.

გრიგორიმ მკაცრად შეხედა.

— არა ხართ მართალი! — წაილაპარაკა მან. — არცა ოდენ ფიქრითა გავბედოთ და არა მივუგოთ ბოროტებით! სული არს ყოველი, ნივთიერი იგი არს წონაი სულიერისაი. ქრისტე იტყვის...

ძაღლის ყეფამ სიტყვა გააწყვეტინა.

— ალბათ, ის შეჩვენებული წვეროსანი ექიმი მობრძანდა! — ტუჩის აპრეხით წაიბუზღუნა მან. გაიქცა, ხელახლა აიღო სკამი და დაჯდა.

კარი გაიღო. მართლაც ანტუანი შემოვიდა ჟაკისა და დანიელის თანხლებით.

რაკი ამ ვიზიტის პასუხისმგებლობა თვითონ იკისრა, ანტუანი მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა ოთახში. სინათლე ღია ფანჯრიდან პირდაპირ სახეში სცემდა, თმა და წვერი მუქად მოუჩანდა; სხივთა ციმციმი მის სწორკუთხა თეთრ შუბლს ეცემოდა და გენიის შარავანდედით მოსავდა; და თუმცა იგი საშუალო ტანისა იყო, იმ წუთში მაღალი ჩანდა. ქალბატონი დე ფონტანენი უყურებდა და წინანდელი სიმპათია ერთბაშად გაუღრმავდა. სანამ მის სალამს ქალი ხელის ჩამორთმევით უპასუხებდა, ანტუანმა გრეგორის მოჰკრა თვალი, იცნო და მისი დანახვა არ ესიამოვნა. პასტორი ადგილიდან არ განძრეულა და თითქმის გამომწვევად დაუქნია თავი.

ჟაკი მოშორებით იდგა, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ამ უცნაურ, ცხვირწაწითლებულ კაცს. გრეგორი კი კვლავ უნაგირივით გადამჯდარიყო სკამზე. ნიკაპი გადაჯვარედინებულ ხელებზე დაეყრდნო, ბაგეზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა და გულკეთილად ათვალიერებდა ჭაბუკებს. ამ დროს ქალბატონი დე ფონტანენი ისეთი ალერსიანი თვალებით მიუახლოვდა ჟაკს, რომ ბიჭს წამსვე ის საღამო მოაგონდა, როცა ქალმა ატირებული ჩაიკრა გულში. ეტყობა, ქალსაც ეს წუთი გაახსენდა, რადგან უცებ წამოიძახა:

— ისე გაზრდილა, ვეღარც კი გავბედავ... — კეკლუცი სიცილით თქვა მან და გადაეხვია, — თუმცა მე ხომ დედად გეკუთვნით, რაკი დანიელი თქვენი ძმობილია!

უეცრად შეამჩნია, რომ გრეგორი წამოდგა და წასვლა დააპირა.

— ჯერ ხომ არ წახვალთ, ჯეიმს?

— მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ! — მიუგო მან.

ორივე ძმას მაგრად ჩამოართვა ხელი და ქალბატონ დე ფონტანენს მიუახლოვდა:

— ორიოდე სიტყვა დამრჩა სათქმელი, — უთხრა ქალმა, როცა ოთახიდან გავიდნენ, — გულწრფელად მიპასუხეთ: ყოველივე იმის შემდეგ, რაც გიამბეთ, მაინც ფიქრობთ, რომ ჟერომი ღირსია კვლავ თავისი ადგილი დაიკავოს ოჯახში? — პასუხის მოლოდინში ქალმა თვალი თვალში გაუყარა, — პასუხი კარგად აწონ-დაწონეთ, ჯეიმს. თუ მეტყვით, აპატიეთო, ვაპატიებ.

გრეგორი დუმდა; მისი გამოხედვა, მისი სახე იმ ყოვლისმომცველ სიბრალულს გამოხატავდა, რაც კმაყოფილებას ჰგვრის მათ, ვისაც ჰგონიათ, ჭეშმარიტებას ვფლობთო. წამით კიდეც მოეჩვენა, ქალბატონ დე ფონტანენს თვალებში იმედის სხივმა გაუელვაო. არა, ქრისტე ასეთ პატიებას არ მოსთხოვდა ქალს! გრეგორიმ უკმაყოფილოდ მიაბრუნა სახე და ჩაიქირქილა. მაშინ ქალმა მკლავზე ხელი მოჰკიდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ალერსით მიაცილებსო, და უთხრა:

— გმადლობთ, ჯეიმს. უთხარით, რომ ვერ ვაპატიებ.

გრეგორი ყურს არ უგდებდა: თავისთვის ლოცულობდა!

— დაისადგუროს ქრისტემ გულსა შინა თქვენსა! — წაიდუდუნა მან და ისე გავიდა, ქალისთვის არც შეუხედავს.

როცა ქალი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, აღელვებას ძლივს იკავებდა. ანტუანი აქეთ-იქით იყურებოდა და პირველ ვიზიტს იგონებდა.

— რა კარგი ჰქენით, თქვენც რომ მოხვედით. აი აქ დაბრძანდით! — თავს ძალა დაატანა და სტუმართმოყვარე დიასახლისივით მიმართა ქალმა. — აი აქ დაბრძანდით, — და იქვე, მის ახლოს მდგარ სკამზე მიუთითა. — ჩვენი ახალგაზრდების იმედი არ უნდა გვქონდეს, კომპანიას არ გაგვიწევენ...

მართლაც, დანიელმა ხელმკლავი გაუყარა ჟაკს და თავის ოთახში წაიყვანა. ახლა ისინი ერთი სიმაღლისანი იყვნენ. დანიელი არ მოელოდა, ასე თუ გამოიცვლებოდა მისი მეგობარი. ამან კიდევ უფრო გაუღრმავა მისდამი თბილი გრძნობები და გულის გადაშლის სურვილსაც ვეღარ იოკებდა: როგორც კი მარტო დარჩნენ, მყის გამოცოცხლდა და სახეზე იდუმალი გამომეტყველება აღებეჭდა.

— პირველ ყოვლისა, უნდა გაგაფრთხილო: შენ მას ნახავ, იგი ჩემი დეიდაშვილია და ჩვენთან ცხოვრობს... იგი... ღვთაებრივია!

ჟაკს ოდნავი უხერხულობა ხომ არ შეამჩნია? ანდა თვითონვე ხომ არ იგრძნო უხერხულობა ამ ოდნავ დაგვიანებული სინდისის ქენჯნის გამო?!

— თუმცა ჯერ შენი ამბები მითხარი! — თავაზიანად გაუღიმა მან მეგობარს; ამხანაგებთან ურთიერთობაშიც კი ცერემონიულ ზრდილობას იჩენდა მუდამ. — მთელი წელი გავიდა! წარმოგიდგენია?

და რაკი ჟაკი ხმას არ იღებდა, დანიელი მისკენ დაიხარა და ხმადაბლა დაუმატა:

— ჯერ აშკარად ვერაფერს ვამჩნევ, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს!

დანიელის ჩაჟინებული მზერა და ხმა ეჩოთირებოდა ჟაკს, ახლადა მიხვდა, ჩემს წინაშე სულ სხვა დანიელი დგასო. თუმცა ვერც გარკვეულიყო, კერძოდ რაში გამოიხატებოდა ეს ცვლილება! იგივე ნაკვთები, ოღონდ სახე დაგრძელებოდა ოდნავ, სამაგიეროდ, ბაგეს წინანდებური გამომეტყველება არ შორდებოდა: მათი უცნაური ამრეზილობა კიდევ უფრო ნათლად იკვეთებოდა ახლადამოსული ულვაშის გამო; ღიმილიც იგივე შერჩენოდა: ცალი ყბით გაღიმება სჩვეოდა მუდამ, ამიტომ სახის ნაკვთები ერთბაშად ეცვლებოდა და მარცხენა მხარეს ზედა კბილებს უჩენდა; ოღონდ თვალები ნაკლები უმანკოებით უბრწყინავდა; წარბებიც ზევით ასწეოდა საფეთქლებისკენ და ამის გამო გამოხედვა უფრო ალერსიანი გახდომოდა; რაც შეეხება ქცევას, მის ხმასა და მანერებში ისეთი მოურიდებლობა იგრძნობოდა, რასაც წინათ, ალბათ, ვერ გაბედავდა.

ჟაკი ათვალიერებდა დანიელს და პასუხზე არც კი ფიქრობდა; შესაძლებელია, სწორედ ამ სითამამემ და მოურიდებლობამ, რაც მას ერთსა და იმავე დროს ნერვებსაც უშლიდა და კიდეც მოსწონდა, აგრძნობინა, რა ღრმა სიყვარულით მოუწევდა კვლავ გული მეგობრისკენ, სწორედ ისევე, როგორც ოდესღაც ლიცეუმში; ჟაკს ცრემლი მოადგა თვალებზე.

— მითხარი, რა მოხდა მთელი ერთი წლის მანძილზე? ყველაფერი მიამბე! — შესძახა დანიელმა, რომელიც ცმუკავდა, ცდილობდა ძალა დაეტანებინა თავის თავისთვის და ყური დაეგდო. ბოლოს მაინც დაჯდა.

მთელ მის საქციელში გულწრფელი სიყვარული მჟღავნდებოდა, მაგრამ ჟაკმა მაინც იგრძნო რაღაც სიყალბე, რაც ხელფეხს უბორკავდა. მიუხედავად ამისა, გამასწორებელ კოლონიაზე მაინც ალაპარაკდა. და ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, მისდაუნებურად იმავე ლიტერატურული შაბლონით ალაპარაკდა, რის ზეგავლენაც ლიზბეტზე გამოსცადა; რაღაც

ბოჭავდა, ხელს უშლიდა შეულამაზებლად ეამბნა კოლონიის ყოველდღიური საქმიანობა.

— ისე იშვიათად რატომ მწერდი?

ჟაკმა არ გაუმხილა ნამდვილი მიზეზი: არ უნდოდა ცუდად ეფიქრათ მამამისზე, თუმცა თვითონ, ყოველმხრივ ჰკიცხავდა ბატონ ტიბოს საქციელს.

— იცი რა, მარტოობა ძალიან ცვლის ადამიანს, — თქვა მან და გაჩუმდა; ამის გაფიქრებაც კი კმაროდა იმისთვის, რომ სახე ერთბაშად გაქვავებოდა, — ყველაფერს გულგრილად უყურებ. ამას გარდა, რაღაც ბუნდოვანი შიში გიპყრობს, რასაც ვერასგზით თავს ვერ აღწევ. მოძრაობ, მაგრამ მექანიკურად. ბოლოს იქამდე მიდიხარ, არც კი იცი, ვინა ხარ, ან არსებობ კი საერთოდ? იცი, ამისგან ადამიანს შეიძლება გულიც გაუსკდეს... ან ჭკუიდან შეიშალოს, — დაუმატა მან და თვალი გაუშტერდა. შემდეგ უნებურად შეკრთა, ტონი შეიცვალა და ანტუანის კრუიში ჩასვლა უამბო.

დანიელი ჩუმად უსმენდა, მაგრამ როგორც კი შეატყო, ჟაკის აღსარება დასასრულს უახლოვდებაო, გამოცოცხლდა.

— მისი სახელი არც კი მითქვამს, — წამოიძახა მან, — ნიკოლი ჰქვია. მოგწონს?

— ძალიან, — უპასუხა ჟაკმა და ლიზბეტის სახელის ავკარგიანობაზე პირველად დაფიქრდა.

— ძალიან უხდება ეს სახელი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. აი, თვითონაც ნახავ. იგი ლამაზი არაა, არა... ლამაზი არაა. ლამაზზე უკეთესია: ნორჩი, სიცოცხლით სავსე. რომ იცოდე, რა თვალები აქვს! — დანიელი წამით შეყოყმანდა — ერთი სიტყვით, გემრიელი გოგონაა! გესმის!

ჟაკმა თვალი აარიდა. თვითონაც სურდა გულწრფელად ეამბნა თავისი სამიჯნურო თავგადასავალი, აკი კიდეც ამისთვის მოვიდა! მაგრამ დანიელის პირველმა აღსარებამ ხალისი დაუკარგა, ამიტომ ახლაც ნაძალადევად, თითქმის დარცხვენილი უსმენდა.

— დღეს, — დაუოკებელი გატაცებით ჰყვებოდა დანიელი, — დედა და ჟენი დილიდანვე სადღაც წავიდნენ, მე და ნიკოლი მარტონი ვსვამდით ჩაის. მთელ ბინაში მარტონი ვიყავით. ხეირიანად არც კი ეცვა ჯერ ტანზე, დიდებული სანახავი იყო! ფეხდაფეხ მივყევი ჟენის ოთახში, სადაც მას სძინავს. ჰოდა, ჩემო კარგო, საძინებელი ოთახის, ქალწულის ლოგინის დანახვისას... ერთი სიტყვით, ხელი მოვხვიე წამით. მართალია, ხელი მკრა, მაგრამ იცინოდა. ო, რომ იცოდე, რა მოქნილი ტანი აქვს! ჰოდა, გაიქცა, დედაჩემის ოთახში ჩაიკეტა და კარი არასგზით აღარ გამიღო... რა იდი-

ოტობას ვყვები, არა? — თქვა მან და წამოდგა. უნდოდა გაეღიმა, მაგრამ ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული.

— ცოლად უნდა შეირთო? — ჰკითხა ჟაკმა.

— მე?

ამ პასუხმა ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჟაკზე, იტყოდით, შეურაცხყვესო. მისი მეგობარი ყოველ წამს უფრო და უფრო უცხო ხდებოდა მისთვის. დანიელმა ისეთი გაოცებული, ოდნავ დამცინავი გამოხედვით შეათვალიერა, ჟაკს საბოლოოდ გაუცივდა გული.

— შენ რაღას აპირებ? — ჰკითხა დანიელმა და ახლოს მიუჯდა, — შენი წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შენც...

ჟაკს არც კი შეუხედავს მისთვის, ისე გააქნია თავი, თითქოს ეუბნებოდა: „არა, მორჩა, ჩემს შესახებ ვეღარაფერს გაიგებ!" თუმცა დანიელს არც დაუცდია პასუხისთვის, ისე წამოდგა. ამ დროს წკრიალა ხმები მოესმათ გარედან.

— კეთილი. სხვა დროს მიამბობ... აი ისინიც მოვიდნენ, წამოდი!

მან სარკეში ჩაიხედა, თავი უკან გადასწია და დერეფანს მიაშურა.

— ბავშვებო, — მოისმა ქალბატონი დე ფონტანენის ხმა, — საუზმე მზადაა...

ჩაი სასადილო ოთახში გაეწყოთ. ჟაკმა კარებიდანვე შეამჩნია ორი ქალიშვილი და გული გადაუქანდა. სეირნობისგან ლოყებავარდისფერებულნი, ჯერ კიდევ ქუდებსა და ხელთათმანებში გამოწყობილნი, იდგნენ სუფრასთან. ჟენიმ დანიელს მიაშურა და მკლავზე ჩამოეკიდა. ამას ყურადღება არ მიუქცევია, ჟაკს ფრთხილად წაუბიძგა ნიკოლისკენ და ხუმრობანარევი ცერემონიით გააცნო ისინი ერთმანეთს. ჟაკმა მაშინვე იგრძნო ნიკოლის ცნობისმოყვარე შემოხედვა და ჟენის მძიმე, სულშიჩამწვდომი მზერა; ქალბატონ დე ფონტანენს გადახედა, რომელიც ანტუანთან ერთად სასტუმრო ოთახის კართან იდგა და გაწყვეტილ სიტყვას ამთავრებდა:

— ...შთააგონო ბავშვებს, — ნაღვლიანი ღიმილით ამბობდა ქალი, — რომ სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია ამქვეყნად და რომ იგი წარმოუდგენლად ხანმოკლეა.

ჟაკი დიდი ხანია არ ყოფილა უცხო წრეში და ახლა ყველაფერი ისე აინტერესებდა, მოკრძალება ერთბაშად გაუქრა. ნიკოლის თანდაყოლილი სიკოხტავე და მომხიბვლელობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მომცრო ტანის ჟენი მასთან შედარებით ულამაზოც კი მოეჩვენა. ნიკოლი დანიელს

ელაპარაკებოდა და იცინოდა. ჟაკს არ ესმოდა მათი სიტყვები, ოღონდ ხედავდა, გოგონა გაკვირვებისა და სიხარულისგან ერთთავად ზევით სწევდა წარბებს. მონაცრისფრო-მოლურჯო ასპიდისფერი, ოდნავ წამოწეული, შორი-შორ ჩასმული, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად მრგვალი, მაგრამ კრიალა და მომცინარი თვალები წამდაუწუმ ფენდა სხივს მის თეთრ პირბადრ სახეს, რომელიც უფრო ფართო მოჩანდა გვირგვინივით თავზე შემოხვეული მსხვილი, ქერა ნაწნავების გამო. ნიკოლს ჩვეულებად ჰქონდა ოდნავ წინდახრილი მდგარიყო და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მეგობარს ეგებებოდა და თავის ამაღელვებელ ღიმილს ყოველ ახალმოსულს სთავაზობსო. ჟაკი ათვალიერებდა ნიკოლს. უნებურად მოაგონდა, რა უსიამოვნოდ მოხვდა გულში დანიელის ნათქვამი: „გემრიელი გოგონაა“. ნიკოლმა როგორც კი იგრძნო, მე მიყურებენო, შეეცადა მეტი ბუნებრიობა გამოემჟღავნებინა, მაგრამ მოხდა, პირიქით, ხელოვნური პოზა გამოუვიდა.

საქმე ის არის, რომ ჟაკი არასოდეს ცდილობდა დაემალა ის ინტერესი, რასაც ხალხი მასში იწვევდა; პირდაღებული ბალღივით გულუბრყვილოდ ათვალიერებდა ყველაფერს, სახე უქვავდებოდა და თვალებშიც სხივი უქრებოდა. წინათ, კრუიდან დაბრუნებამდე, ასეთი როდი იყო. ისე გულგრილად ჩაუვლიდა ადამიანს, ვერასოდეს ვერავის სცნობდა. ახლა, პირიქით, სადაც არ უნდა ყოფილიყო—მაღაზიაში თუ ქუჩაში, გამვლელებს ისე უყურებდა, იტყოდით, თვალებით უპირებს შეჭმასო. მაგრამ ანალიზს არასოდეს უკეთებდა, რას ამჩნევდა ამ ხალხში, ფიქრს სურვილისამებრ წარმართავდა, რადგან მისთვის საკმარისი იყო სახის გამომეტყველებასა თუ პოზაში დაეჭირა რაიმე თავისებურება, რათა მის წარმოდგენაში რაღაც განსაკუთრებულ პიროვნებად ქცეულიყვნენ შემთხვევითი ნაცნობები, რომელთაც შემდეგ თვითონვე აძლევდა მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ქალბატონმა დე ფონტანენმა მკლავზე ხელი დაადო და ოცნებიდან გამოიყვანა.

— წამოდით, ჩემ გვერდით დაჯექით, — უთხრა მან, — ცოტა ხნით წარმოვიდგინოთ, ვითომ ჩემი სტუმარიც ხართ!

მან თეფში და ფინჯანი მიაწოდა.

— ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ მოხვედით! ჟენი, ჩემო გოგონა, ნამცხვარი მოგვაწოდე! თქვენმა ძმამ ახლახან მიამბო, თურმე მარტო ცხოვრობთ თქვენს პატარა, მყუდრო ბინაში. ძალიან გამიხარდა! რა დიდებულია, როცა ორი ძმა მეგობრულად ცხოვრობს: ძალიან მოხარული ვარ, დანიელი და ჟენიც ასე ახლო რომ არიან! რა გაცინებს, ჩემო ბიჭო? — ჰკითხა ქალმა დანიელს, რომელიც ანტუანთან ერთად მაგიდას მიუახლოვდა, —

აუცილებლად უნდა დასცინოს თავის ბებერ დედას! ჰოდა, სასჯელიც მიიღე: კეთილი ინებე და ყველას თანდასწრებით მაკოცე!

დანიელი იცინოდა, ცოტა არ იყოს, უხერხულობას გრძნობდა, მაგრამ დაიხარა და ბაგეებით შეეხო დედის საფეთქელს. ყოველი უმნიშვნელო მოძრაობაც კი გრაციოზული ჰქონდა.

ჟენი მოპირდაპირე მხარეს იჯდა და თვალს ადევნებდა ამ სცენას: სახეზე ისეთი ნაზი ღიმილი გადაჰფენოდა, ანტუანი აღტაცებაში მოვიდა. გოგონამ ვეღარ გაუძლო ცთუნებას და ძმას კვლავ ჩამოეკიდა მკლავზე. „აი კიდევ ერთი იმათგანი, — გაიფიქრა ანტუანმა, — რომლებიც უფრო მეტს იძლევა ხოლმე, ვიდრე ღებულობს!“ ჯერ კიდევ პირველი ვიზიტის დროს გააოცა ანტუანი იმ ქალურმა გამოხედვამ, რომელიც ჟენის ბავშვურ სახეზე შეამჩნია. არც ის დარჩა შეუმჩნეველი, რომ ახლადფორმირებული მკერდის გამოსაჩენად, გოგონა დროდადრო ლამაზი მოძრაობით მხრებს შეიშმუშნიდა ხოლმე. და შემდეგ ისევ გასწორდებოდა. ჟენი არაფრით არ ჰგავდა დედას; არც დანიელს; ეს არც იყო გასაკვირი: იგი, თითქოს, სულ სხვა ცხოვრებისთვის გაჩენილიყო.

ქალბატონი დე ფონტანენი ნელ-ნელა სვამდა ჩაის, ფინჯანი ახლოს მიეტანა მომღიმარ სახესთან და ორთქლის მიღმა მეგობრულად უთვალთვალებდა ჟაკს. კრიალა და ნაზი გამოხედვის წყალობით თვალები გასხივოსნებული და აელვარებული უჩანდა, ხოლო ჭაღარა თმა შარავანდედივით ედგა მის ახალგაზრდულ, ფართოდ გადახსნილ შუბლს. ჟაკი ხან დედას შესცქეროდა, ხან მის ვაჟს. იმ წუთებში ორივე ისე ძალიან უყვარდა, კიდეც სურდა ყველას დაენახა მისი ეს გრძნობა, რადგან ყველაზე მეტად ამის ეშინოდა მუდამ, ვაითუ ვინმემ ვერ გამიგოსო. მისი ცნობისმოყვარე მიდრეკილება ადამიანის შეცნობისა იქამდე მიდიოდა, ცდილობდა პატარა ადგილი მაინც დაეჭირა მათ ფიქრსა და გონებაში, სურდა მისი ცხოვრება მათ ცხოვრებას შერწყმოდა.

ნიკოლი და ჟენი ფანჯარასთან იდგნენ და დავობდნენ. დანიელიც მათ შეუერთდა. სამივე დაიხარა ფოტოაპარატისკენ, უნდოდათ შეემოწმებინათ სუფთა ფირი თუ იყო დარჩენილი სურათის გადასაღებად.

— თუ ჩემი ხათრი გაქვთ! — მისთვის უჩვეულო გატაცებით წამოიძახა უცებ დანიელმა და ბრძანებანარევი ალერსით შეხედა ნიკოლს. — გთხოვთ! აი ასე, როგორც ახლა ხართ, ქუდიანი! ჩემი მეგობარი ტიბო კი გვერდით დადგება.

— ჟაკ, — დაუძახა მან და ხმას დაუწია, — ძალიან გთხოვ, აუცილებლად მინდა ერთად გადავიღოთ სურათი!

ჟაკი მივიდა. დანიელმა თითქმის ძალით წაათრია ისინი სასტუმრო ოთახში, იქ მეტი შუქიაო, ირწმუნებოდა.

ქალბატონი დე ფონტანენი და ანტუანი სასადილო ოთახში დარჩნენ.

— არ მინდა რაიმე მცდარი შთაბეჭდილება შეგექმნათ ჩვენს ვიზიტზე,— პირდაპირ უთხრა ბოლოს ანტუანმა, რადგან ფიქრობდა ამით გულწრფელობა მოემატებაო სიტყვებს, — მამის ყურამდე რომ მივიდეს, ჟაკი აქ იყოო, და რაც მთავარია, იგი მე მოვიყვანე თქვენთან, მგონია, დღესვე ამაღლებინებდა ხელს ჟაკის მეთვალყურეობაზე და ხელახლა მოგვიხდებოდა საქმის დაწყება.

— უბედური კაცია! — ისეთი ხმით წაილაპარაკა ქალბატონმა დე ფონტანენმა, რომ ანტუანს გაეღიმა.

— გეცოდებათ?

— მებრალება, რადგან ვერ დაიმსახურა ისეთი ვაჟიშვილების ნდობა, როგორიც თქვენ და ჟაკი ხართ!

— ეს არც მისი ბრალია და არც ჩემი. მამაჩემი, როგორც მოგეხსენებათ, სახელოვანი და პატივსაცემი ადამიანია. მეც ვცემ პატივს. მაგრამ რას იზამთ? არასოდეს, არავითარ საკითხში არამცთუ ერთსულოვნება, აზრთა მსგავსებაც კი არ გაგვაჩნდა... რა საკითხიც არ უნდა ყოფილიყო, საერთო თვალსაზრისი არასოდეს არა გვქონია...

— ყველას როდი ერგო თავისი წილი სინათლისა!

— რელიგიას თუ გულისხმობთ, — მკვირცხლად შეესიტყვა ანტუანი,— მამა ღრმად მორწმუნე ადამიანია!

ქალბატონმა დე ფონტანენმა თავი გააქნია.

— პავლე მოციქული გვასწავლიდა, ვითარმედ წინაშე ღმერთისა უბიწო არს არა ოდენ იგი, რომელი ისმენს სჯულსა, არამედ იგი, რომელი აღასრულებს მას.

ქალბატონი ტიბო გულწრფელად ებრალებოდა და ამასთანავე ინსტინქტურ მტრობასაც გრძნობდა მისდამი. ფიქრობდა, რომ მის შვილთან, მის ოჯახთან და თვით მასთან ურთიერთობის აკრძალვა მხოლოდ ქვენა გულისწადილით გამოწვეული საშინელი უსამართლობა იყო. იგი ზიზღით იგონებდა ამ ჩაგოდრებული მამაკაცის იერს, ვერც ის ეჭვები ეპატიებინა, რითაც ყველაზე ძვირფასი რამ შეურაცხყო: მისი მორალური სიამაყე, მისი პროტესტანტიზმი. ანიტომაც იყო მადლიერი ანტუანისა, ყური რომ არ ათხოვა მამის აკრძალვას და გააუქმა იგი.

— თქვენ? თქვენც იცავთ რელიგიურ ადათ-წესებს? — უეცარი ძრწოლვით იკითხა ქალმა.

უარყოფის ნიშნად ანტუანმა თავი გააქნია; ქალს ისე გაეხარდა, სახე გაუბრწყინდა.

— უნდა ვაღიარო, დიდხანს ვასრულებდი ამ წესებს, — მოახსენა მან.

ასე ეგონა, ქალბატონ დე ფონტანენთან ყოფნისას გონება უფრო უნათლდებოდა, ყოველ შემთხვევაში, იგი უფრო მჭევრმეტყველი ხდებოდა. ქალს ყურის დაგდების ისეთი მანერა ჰქონდა, მოსაუბრის გულს მყისვე ინადირებდა, თანაც ამხნევებდა, ჩვეულებრივზე მაღალი იდეალებისაკენ ამაღლებულიყო.

— მე მხოლოდ წეს-ჩვეულებებს ვიცავდი, ნამდვილი რწმენა არასოდეს მქონია; ღმერთი ლიცეუმის დირექტორად წარმომედგინა, რომელსაც ვერაფერს გამოაპარებ და რომელსაც წესიერი მანერებითა და საქციელით ადვილად მოთაფლავ; მართალია, მე მას ვემორჩილებოდი, მაგრამ ამ მორჩილებაში მოწყენის გარდა ვერაფერს ვხედავდი. როგორც ყველა საგანში, საღვთო რჯულშიც პირველი მოწაფე ვიყავი. როგორ დამეკარგა რწმენა? მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, როცა მივხვდი, რწმენა აღარ გამაჩნია-მეთქი — ეს ოთხი თუ ხუთი წლის წინ მოხდა, — მე უკვე მეცნიერული კულტურის იმ საფეხურზე ვიდექი, სადაც რელიგიური რწმენისთვის ცოტაოდენი ადგილიღა რჩებოდა. მე პოზიტივისტი გახლავართ, — ამაყად განაცხადა ანტუანმა. ნამდვილად კი, იგი გამოთქვამდა აზრს, რომელიც იმ წუთში მოსდიოდა თავში, რადგან ასეთი დაწვრილებითი ანალიზისთვის აქამდე არც შემთხვევა და არც დრო არ ჰქონია, — მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს მეცნიერებას ყველაფრის ახსნა შეუძლია, არა! სამაგიეროდ იგი ყოველთვის ადასტურებს. ჩემთვის კი ესეც კმარა. ყოველგვარი „როგორ" იმდენადაა საინტერესო ჩემთვის, რამდენადაც საშუალებას მომცემს სინანულის გარეშე ვთქვა უარი ყოველგვარი „რატომის" პასუხის ამაოძებნაზე. თუმცა, — სწრაფად დაუმატა მან და ხმას დაუწია, — ახსნა-განმარტების ამ ორ მეთოდს შორის, იქნებ, მხოლოდ ხარისხში იყოს განსხვავება?

ანტუანმა ისე გაიღიმა, თითქოს ბოდიშს იხდისო.

— რაც შეეხება მორალს, — განაგრძო მან, — მე მას ყურადღებას არც კი ვაქცევ. მკიცხავთ ხომ? საქმე ისაა, რომ მე ძალიან მიყვარს ჩემი სამუშაო, მიყვარს ცხოვრება, ვარ ენერგიული, საქმიანი და, მგონი, კიდეც დავრწმუნდი, რომ აქტიურობა თავისთავად უკვე წარმოადგენს ცხოვრების გარკვეულ წესს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ერთხელაც არ შევყოყმანებულვარ, როგორ უნდა მოვქცეულიყავი.

ქალბატონმა დე ფონტანენმა არაფერი უპასუხა. ანტუანის აღსარებით იგი მიხვდა, სრულიად განსხვავებული ადამიანები ვყოფილვართო, მაგრამ ამის გამო არ გაბრაზებულა; სამაგიეროდ, გულის სიღრმეში მით უფრო მადლიერი იყო ღმერთისა, რაკი მუდამ მის სულს დასტრიალებდა, უსაზღვრო ნდობასა და სიხარულს ანიჭებდა, შარავანდედივით აშუქებდა. მართლაც, მიუხედავად ყოველგვარი უსიამოვნებისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უფრო უბედური იყო, ვიდრე მის ირგვლივ მყოფი ადამიანები, მაინც ჰქონდა უპირატესობა — მხნეობის, სულიერი წონასწორობისა და ბედნიერების წყარო ყოფილიყო ყველასათვის. იმ წუთში ანტუანიც კი გრძნობდა ამას: მამის ნაცნობთა შორის არასოდეს შეხვედრია ადამიანს, ასეთი ცხოველმყოფელი პატივისცემა რომ გამოეწვიოს და რომლის სიახლოვესაც ასეთი ამაღელვებელი გავლენა მოეხდინოს თავისი სიწმინდით. ერთბაშად მოუნდა კიდევ უფრო დაახლოებოდა ამ ქალს, თუგინდ ამისათვის ჭეშმარიტებიდან გადახვევაც დასჭირებოდა!

— პროტესტანტიზმი მუდამ მიზიდავდა, განაცხადა მან, თუმცა ფონტანენების გაცნობამდე პროტესტანტებზე არასოდეს უფიქრია. — თქვენი რეფორმაცია მთელი რევოლუციაა რელიგიურ სარბიელზე. თქვენს რელიგიაში ემანსიპაციის საწყისები იგრძნობა.

ქალი უსმენდა და თანდათან მეტი სიმპათიით იმსჭვალებოდა. ანტუანი მის თვალში ახალგაზრდა, მგზნებარე, რაინდული პიროვნება იყო უკვე. მოსწონდა მისი მკვირცხლი სახე, შუბლზე ნაოჭი, რაც დაძაბული ყურადღების მაცნე გახლდათ: ანტუანმა თავი ასწია და ქალს ბავშვივით გაუხარდა, როცა მის ნაკვთებში ერთი ისეთი თავისებურება ამოიკითხა, რის გამოც ანტუანის გამოხედვა კიდევ უფრო აზრიანი ჩანდა: ზემო ქუთუთოები ისეთი თხელი ჰქონდა, თვალის ფართოდ გახელისას თითქმის იკარგებოდა წარბის რკალქვეშ, წამწამებს ერწყმოდა და თვალებს თითქმის ორჯერ უფრო დიდრონს აჩენდა. „ამ შუბლის პატრონი, — გაიფიქრა ქალმა, — შეუძლებელია სულმდაბალი იყოს!" ერთბაშად ასეთმა აზრმაც გაუელვა: — ანტუანი სწორედ ის მამაკაცია, რომელიც სიყვარულის ღირსიაო. ქალს ჯერ კიდევ არ განელებოდა გულდვარძლიანობა ქმრის მიმართ: „რა ბედნიერებაა დაუკავშირო შენი ცხოვრება ასეთ ადამიანს!.." პირველად თავის სიცოცხლეში, სხვა მამაკაცი შეადარა ჟერომს, და რაც მთავარია, პირველად იგრძნო სინანული, პირველად გაიფიქრა, სხვა მამაკაცი მომიტანდაო ბედნიერებას. მართალია, ეს იყო წამიერი, მალული, ვნებიანი აღტყინება, რამაც სული აუფორიაქა, მაგრამ თითქმის მაშინვე შერცხვა, ყოველ შემთხვევაში,

მაშინვე მოთოკა ეს გრძნობა; სამაგიეროდ, მონანიებითა თუ სინანულით გამოწვეული სიმწარე გაცილებით ნელა გაუქრა.

ჟენისა და ჟაკის შემოსვლამ საბოლოოდ გამოარკვია ამ ზმანებიდან. შორიდანვე გაუღიმა ახალგაზრდებს და ამით ანიშნა მასთან მისულიყვნენ, თითქოს ეშინოდა, არ იფიქრონ, უდროო დროს მოვედითო. მაგრამ პირველივე შეხედვით იგრძნო, რომ მათ შორის რაღაც მოხდა.

ასეც იყო.

როგორც კი დანიელმა ნიკოლსა და ჟაკს სურათი გადაუღო, მაშინვე შესთავაზა ყველას, წამოდით, ახლავე შევამოწმოთ ნეგატივიო. ჯერ კიდევ დილით დაპირებია ჟენისა და ნიკოლს, სურათების გამჟღავნებას გასწავლითო; გოგონებს, რაც საჭირო იყო, ყველაფერი მოემზადებინათ ცარიელ განჯინაში, რომელიც დერეფნის ბოლოს იდგა და დანიელი ფოტო-ლაბორატორიად იყენებდა. განჯინა ისეთი ვიწრო იყო, ორი ადამიანი გაჭირვებით თუ დაეტეოდა. ამიტომ დანიელმა ისე მოაწყო, პირველად ნიკოლი შეუშვა შიგ: შემდეგ ჟენის მივარდა, აცახცახებული ხელი მხარზე დაადო და წასჩურჩულა:

— ტიბოს მიხედე!

გოგონამ გაკვირვებული თვალით, გამკიცხავად შეხედა, მაგრამ იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა მასზე ძმას, მაშინვე დაემორჩილა; მისი მოთხოვნის მანერა, ხმა, მისი თამამი გამოხედვა, მოუთმენლობის გამომხატველი იერი, იმდენად მომხიბლავი იყო, მის სურვილს ვერავინ აღუდგებოდა წინ.

სანამ ეს წამიერი გადალაპარაკება ხდებოდა, ჟაკი მოშორებით იდგა სასტუმრო ოთახში, შემინული კარადის წინ. ჟენი მიუახლოვდა და როცა დარწმუნდა, დანიელის ფანდი არ შეუმჩნევიაო, ჰკითხა:

— თქვენც გაინტერესებთ ფოტოგრაფია?

— არა.

მართალია, მეტად მახვილი სმენა უნდა ჰქონოდა ადამიანს, ჟაკის პასუხში უხერხულობა რომ შეემჩნია, მაგრამ ჟენი მაინც მიხვდა, ეს არ უნდა მეკითხაო. ერთბაშად მოაგონდა, რომ ჟაკი კარგა ხანს თითქმის ჩამწყვდეული ჰყავდათ სადღაც, შეეცადა სხვა თემაზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ესღა ჰკითხა:

— დანიელი დიდი ხანია არ გინახავთ, ხომ?

ჟაკმა თვალები დახარა.

— დიახ. ძალიან დიდი ხანია. თითქმის... წელიწადზე მეტია.

სახეზე უსიამოვნო ჩრდილმა გადაურბინა ჟენის. მეორე შეკითხვა პირველზე უფრო უხეირო გამოდგა; ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს

გოგონა ცდილობდა მარტოში გაპარვა მოეგონებინა ჟაკისთვის. მით უარესი! ჟენის აქამდე ვერ ეპატიებინა მისთვის ის ძველი ტკივილი; მისი აზრით, მთელი პასუხისმგებლობა ჟაკს აწევს კისერზე. მართალია, მას კარგად არ იცნობდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ სიძულვილს გრძნობდა მისდამი. და როცა იმ საღამოს სუფრასთან დაინახა, ანაზდად მოაგონდა მწუხარება, ჟაკმა რომ მიაყენა მის ოჯახს. მაშინვე აითვალისწუნა, საშინლად არ მოეწონა. ჯერ ერთი, მახინჯიაო, გაიფიქრა. მეტიც: ვულგარულადაც კი მოეჩვენა თავისი ვეება თავით, სახის უშნო ნაკვთებით, ყბით, დასკდარი ტუჩებით, ყურებით, ყალყზე დამდგარი წითური თმით. დანიელისთვის ვერ ეპატიებინა ასეთ ამხანაგთან სიახლოვე. იმდენად ეჭვიანობდა, კიდეც გაეხარდა, რომ ასეთი შეუხედავი გამოდგა ის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ბედავდა და ძმის სიყვარულში ეცილებოდა.

ჟენიმ მუხლზე დაისვა ფინია და უგულისყუროდ ეფერებოდა. ჟაკი თავჩაქინდრული იჯდა, სახლიდან გაპარვაზე ჩამოგდებულმა სიტყვამ ის საღამო მოაგონა, როცა ამ ოჯახში პირველად შემოდგა ფეხი.

— როგორ ფიქრობთ, ძალიან შეიცვალა? — მხოლოდ იმისთვის იკითხა ჟენიმ, რომ სიჩუმე დაერღვიათ.

— არა, — მექანიკურად უპასუხა ჭაბუკმა, მაგრამ მაშინვე მოვიდა გონს და დაუმატა: — თუმცა, როგორ არა, შეცვლილია!

ჟენიმ მისი კეთილსინდისიერი ხასიათი მაშინვე იგრძნო და ამ გულწრფელობის გამო მადლიერიც დარჩა; იმ წუთში მას ოდნავ გაუქრა კიდეც სიძულვილი. ჟაკმაც ხომ არ იგრძნო ეს წამიერი წყალობა? დანიელზე ფიქრს თავი მიანება, ჟენის უყურებდა და ათასნაირი ვარაუდი გაუჩნდა თავში მის შესახებ. გარკვევით ვერც გეტყოდათ, რაც ამოიკითხა ამ გოგონას გარეგნობაში. მიუხედავად ამისა, გულჩახვეულმა და თან მეტყველმა სახემ, ამ მკვირცხლმა, მაგრამ იდუმალებით მოცული თვალების სიღრმემ ერთბაშად მიახვედრა, ჟენის ნერვიული, მერყევი ბუნება აქვსო, ხოლო მისი მგრძნობიარე არსება მუდმივ თრთოლვას განიცდისო. ჟაკს ანაზდად გაუელვა თავში, კარგი იქნებოდა ახლოს გავეცნობოდი ამ ბავშვს, მომენახა გზა მისი ჩაკეტილი გულისკენ და ვინ იცის, იქნებ, კიდეც დავმეგობრებოდით! ვაითუ შემიყვარდეს? წამით ამაზეც იოცნება: და ეს გახლდათ ნეტარი წამი. უსიამოვნო წარსული გადაავიწყდა და ისე მოეჩვენა, ამიერიდან შეუძლებელია თავი უბედურად ჩავთვალოო; ირგვლივ მიმოიხედა, მორიდებული ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ჟენის, ვერ ამჩნევდა, რა თავშეკავებული, დაძაბული იჯდა იგი. ამ უთავბოლო ფიქრებმა ლიზბეტი მოაგონა. ანაზდად: ჩვეულებრივი, მახლობელი, უბრალო, თითქმის შეუმჩნე-

ველი გოგონა! აკი ცოლად უნდოდა მისი შერთვა?! ამ ვარაუდის გულუბრყვილობა პირველად იგრძნო აშკარად. მაშ რაღა ყოფილა? უცებ ისეთი ნაპრალი, ისეთი საშინელი სიცარიელე გაჩნდა მის ცხოვრებაში, საჭირო იყო, რადაც უნდა დასჯდომოდა, სასწრაფოდ ამოევსო იგი, — სხვათა შორის, ჟენი სრულიად ბუნებრივად ამოავსებდა მას, მაგრამ...

— ...კოლეჯში?

იგი შეკრთა, თურმე ჟენი რაღაცას ეკითხებოდა.

— მაპატიეთ, რა თქვით?

— კოლეჯში სწავლობთ?

— ჯერ არა, — გული გადაუქანდა ჟაკს, — ძალიან ჩამოვრჩი და მასწავლებლებთან, ჩემი ძმის მეგობრებთან ვემზადები.

შემდეგ, ყოველგვარი ბოროტი ზრახვის გარეშე, დაუმატა:

— თქვენ, ალბათ, სწავლობთ, არა?

ჟენის ეწყინა, როგორ გამიბედა და გამოკითხვა დამიწყოო, ხოლო მისმა მეგობრულმა შემოხედვამ სულ გააცოფა.

— მე სკოლაში არ დავდივარ, — უკმეხად უპასუხა მან, — კერძოდ ვემზადები.

ჟაკს უხეირო სიტყვა წამოცდა:

— რა თქმა უნდა, ქალიშვილებისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ჟენიმ შეუტია:

— დედა სულ სხვა აზრისაა. დანიელიც.

იგი არ მალავდა მტრულ განწყობილებას და უბღვერდა ჟაკს. ყმაწვილიც მიხვდა თავის უნიათობას, გამოსწორება მოინდომა, იფიქრა, გულს მოვიგებო და უთხრა:

— ქალიშვილებმა ყველაფერი, რაც საჭიროა, ისედაც იციან...

მაშინვე იგრძნო, რომ მეტისმეტად შეტოპა ტყუილებში; აღარც აზრები ემორჩილებოდა, აღარც სიტყვები. ფიქრობდა, გამასწორებელ კოლონიაში, ჩანს სულ გამოვშტერებულვარო; გაწითლდა და სახეზე მოწოლილმა ალმურმა იმდენად გააოგნა, სხვა გამოსავალი რომ ვეღარ იპოვა, ერთბაშად გაბრაზდა: მწარე სიტყვით უნდოდა ჯავრი ეყარა, ვერაფერი მოიგონა, სულ დაიბნა, და იმ ვულგარული, დამცინავი ტონით, რასაც მამამისი მიმართავდა ხოლმე ხშირად, ერთბაშად მიახალა:

— მთავარია კარგი ხასიათი, ამას კი ვერც ერთ სკოლაში ვერ ისწავლის ქალი!

ჟენიმ შეიკავა თავი, წარბიც არ შეუხრია, მხრებიც კი არ აუჩეჩია, და რაკი სწორედ ამ დროს ფინიამ ხმამაღლა, მოურიდებლად დაამთქნარა, ჟენიმ მთელი გაბრაზება მასზე გადმოანთხია:

— ფუი, რა საძაგელია! რა უზრდელია! — წამოიძახა მან გაცოფებული ხმით. — ფუი, რა უზრდელია! — ჟიუტად გაიმეორა, შემდეგ გამარჯვებული სახით ძაღლი იატაკზე ჩამოსვა, წამოდგა, აივანზე გავიდა და მოაჯირს მიეყრდნო. ხუთ წუთს გაგრძელდა ეს აუტანელი სიჩუმე. ჟაკი ადგილიდან არ განძრეულა; სული ეხუთებოდა. სასადილო ოთახიდან ხან ქალბატონი დე ფონტანენის ხმა მოისმოდა, ხან ანტუანის. ჟენი ზურგით იდგა, საფორტეპიანო პიესის რომელიღაც მოტივს ღიღინებდა და თან გამომწვევად ითვლიდა ტაქტს ფეხით. ოო, იგი ყველაფერს უამბობს ძმას, მოსთხოვს ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს ამ ოტროველასთან! ოო, როგორ სძულს! მან ცალი თვალი შეავლო ჟაკს, რომელსაც სახე აჭარხლებოდა, მაგრამ დინჯად იჯდა. ჟენი უფრო გადიდგულდა. უნდოდა რაღაც ისეთი მოეგონებინა, რომ კიდევ უფრო დაემცირებინა ჟაკი.

— წამოდი, პიუს! მე მივდივარ.

აივნიდან გამოსულმა ჟაკს ისე ჩაუარა, თითქოს ვერც ამჩნევსო, და ნელი ნაბიჯით სასადილო ოთახისკენ გაემართა.

ჟაკს მარტოდ დარჩენისა შეეშინდა, ვაითუ ამდენი ხათაბალის შემდეგ აქედან წასვლაც ვერ მოვახერხოო, და მოშორებით გაჰყვა უკან.

გულნატკენობა ერთბაშად ნაღველში გადაეზარდა, როცა ქალბატონი დე ფონტანენი გულთბილად შეხვდა ორივეს.

— ძმამ მიგატოვათ, ხომ? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— დანიელს ვთხოვე, ახლავე გამოამჟღავნე სურათები-მეთქი. ახლავე მოვა, დიდხანს არ მოუნდება! — უპასუხა ჟენიმ დედას და თვალი აარიდა.

გოგონა ცდილობდა ჟაკისთვის არ შეეხედა: ეჭვობდა, ყველაფერს მიხვდაო, და ამ უნებურმა თანაზიარობამ კიდევ უფრო გააღრმავა მათი მტრული დამოკიდებულება. ჟაკმა გაიფიქრა, რა მატყუარა ყოფილაო; არც ძმის საქციელის ასე მზაკვრულად დაფარვა მოუწონა. ჟენი ხვდებოდა, რომ ჟაკი ჰკიცხავდა და ამან თავმოყვარეობა შეულახა.

ქალბატონმა დე ფონტანენმა ორივეს გაუღიმა, ანიშნა, დასხედითო.

— ჩემი პატარა ავადმყოფი ძალიან გაზრდილა, — თქვა ანტუანმა.

ჟაკი ჩუმად იჯდა და იატაკს დასჩერებოდა. სასოწარკვეთა თანდათან იპყრობდა. ჩანს, წინანდელი ბუნება აღარასოდეს დაუბრუნდებოდა, ავადმყოფად, სულის სიღრმემდე დაავადებულად მიიჩნია თავი, სუსტიც იყო

და უხეშიც, მხოლოდ ულმობელი ბედის ტრიალისა და საკუთარი სურვილების მონა.

— მუსიკა გიყვართ? — ჰკითხა მას ქალბატონმა დე ფონტანენმა.

ჟაკს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს კითხვას ვერ მიუხვდაო, თვალზე ცრემლი მოადგა, სწრაფად დაიხარა, ვითომდა ფეხსაცმლის თასმას იკრავდა; მის მაგივრად ანტუანმა უპასუხა. ყურებში ზუზუნი ედგა. სიკვდილს ნატრობდა. ნ ე ტ ა ვ ი ჟ ე ნ ი თ უ უ ყ უ რ ე ბ დ ა?

თხუთმეტიოდე წუთი გასულიყო მას შემდეგ, რაც დანიელი და ნიკოლი ჩაბნელებულ საკუჭნაოში შევიდნენ. დანიელმა კარს სასწრაფოდ გაუყარა ურდული და ფირი აპარატიდან ამოიღო.

— კარს ხელი არ ახლოთ,— წაილაპარაკა მან, — შუქის ვიწრო ზოლიც კი გააფუჭებს მთელ კოჭს.

ნიკოლი ჯერ ვერაფერს ხედავდა სიბნელეში, მაგრამ მალე რაღაც ალისფერი ჩრდილები შეამჩნია იქვე, რომლებიც ფანრის წითელ რგოლებში მოძრაობდნენ, შემდეგ ნელ-ნელა გაარჩია გრძელი, თლილი, თითქოს მაჯასთან გადახსნილი ხელები, რომლებიც პატარა აბაზანას ანჯღრევდნენ. იგი გარკვევით ვერც ამჩნევდა დანიელს, მხოლოდ ორი ცოცხალი ნაპერალი მოჩანდა, მაგრამ ამ ვიწრო საკუჭნაოში დანიელის ყოველ მოძრაობას ისე გრძნობდა, თითქოს პირადად მას ეხებოდა ხელებით.

— ხედავთ... რამეს? — წაიდუდუნა გოგონამ.

დანიელმა პასუხი დააყოვნა: ტკბილად ეჩვენებოდა მათი დუმილით გამოწვეული ეს შიში. სიბნელის გამო აღარავითარი თავშეკავება აღარ სჭირდებოდა, ამიტომაც თავისუფლად მიიბრუნდა ნიკოლისკენ, ნესტოები დაბერა და მის სუნს ნეტარებით ისუნთქავდა:

— არა, ჯერ ვერაფერს ვხედავ, — თქვა მან ბოლოს.

კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე. შემდეგ პატარა აბაზანა, რომელსაც ნიკოლი თვალს არ აშორებდა, შეჩერდა: ალისფერი ხელები ფანრის შუქის რგოლს გასცდა. ეს წამი ძალიან გაგრძელდა. უცებ ნიკოლმა იგრძნო, მკლავები მაგრად მოხვიეს მხრებზე, არ გაკვირვებია, პირიქით, თითქმის გაეხარდა, რადგან მოლოდინის ბოლო მოეღო; მაგრამ მაშინვე გადაიხარა უკან, შემდეგ მარჯვნივ, მარცხნივ, თავს არიდებდა დანიელის ტუჩებს, რომელთა სიახლოვე კიდეც სწადდა და კიდეც აშინებდა. ბოლოს, მაინც შეეხნენ ერთმანეთის სახეებით. დანიელის გავარვარებული ტუჩები რაღაც ელასტიკურს, სრიალასა და ცივს მოხვდა: ნიკოლს ნაწნავი ჰქონდა შემოხვეული თავზე; დანიელი უნებურად შეკრთა და უკან დაიხია, ნიკოლმა ამით ისარგებლა და დაიძახა:

— ჟენი!

დანიელმა ტუჩზე ხელი დააფარა, კართან მიიმწყვდია, მთელი ტანით აეკრა, და თითქოს აბოდებსო, კბილებში გასცრა:

— ჩუმად, ნუ ყვირი... მოიცა, ნიკოლ... ძვირფასო, საყვარელო... ყური მიგდე...

და რაკი ნიკოლი სუსტად უძალიანდებოდა, დანიელს ეგონა, დამითმობსო. სიბნელეში, გოგონას ზურგს უკან გაუყო ხელი და ურდულს ეძებდა: კარი ერთბაშად გაიღო და სიბნელეში შუქი შემოიჭრა. დანიელმა ხელი გაუშვა; კარი მიიხურა. მაგრამ ნიკოლმა მოასწრო და მისი სახე შეათვალიერა. ვეღარ იცნო! ჩიტურ, ფერგამქრალ ნიღაბს წააგავდა, რომელსაც თვალების ირგვლივ ვარდისფერი ლაქები გასჩენოდა და საფეთქლებისკენ აეზიდა ისინი; დავიწროებულ თვალის გუგებს გამომეტყველება წართმეოდათ; ჩვეულებრივად თხელი ბაგეები დასიებოდა, დაბრეცოდა, ღია დარჩენოდა... ფერომი! დანიელი საერთოდ არ ჰგავდა მამას, მაგრამ ახლა, სინათლის ამ პირქუშ შუქზე მაინც ფერომი წარმოუდგა გოგონას თვალწინ!

— მომილოცავს! — წაიბურტყუნა დანიელმა. — მთელი კოჭი გაფუჭდა.

ნიკოლმა დინჯად უპასუხა:

— ცოტა ხანს აქ დავრჩეთ. მოსალაპარაკებელი მაქვს თქვენთან. ოღონდ ურდული გადასწიეთ.

— არა, საცაა, ჟენი შემოვა.

ნიკოლი ერთხანს შეყოყმანდა, შემდეგ უთხრა:

— მაშინ დაიფიცეთ, რომ ხელს აღარ მახლებთ.

დანიელს უნდოდა მივარდნოდა, პირზე დაეფარებინა მუშტი, კაბა ჩამოეგლიჯა; მიუბედავად ანისა, თავს დამარცხებულად თვლიდა.

— ვფიცავ! — თქვა მან ბოლოს.

— მაშ, მომისმინეთ, დანიელ. მე... მე ნება მოგეცით მეტად, მეტად შორს შეგეტოპათ... ამ დილით შეცდომა დავუშვი. მაგრამ ამჯერად ჩემი პასუხი ასეთი იქნება: არა! ამისათვის არ გამოვქცეულვარ სახლიდან.

ეს უკანასკნელი სიტყვები სწრაფად, თითქოს თავისთვის წაილაპარაკა, შემდეგ ისევ დანიელს მიმართა:

— თუ გინდათ, ჩემს საიდუმლოებას გაგიმხელთ: მე დედას გამოვექეცი... ო, არ იფიქროთ, თითქოს ვკიცხავდე, არა, ოღონდ იგი მეტად უბედური... და გაჭირვებას აყოლილი ქალია! მეტს ვერაფერს გეტყვით.

იგი გაჩუმდა. ფერომის ანაზრზენი იერსახე კვლავ თვალწინ ედგა. დანიელი ისევე გააუბედურებდა მას, როგორც მისი აზრით, ფერომმა გააუბედურა დედამისი.

— თქვენ მე ცუდად მიცნობთ, — სწრაფად წამოიწყო ნიკოლმა, რადგან დანიელის დუმილი აშინებდა, სხვათა შორის, კარგად ვიცი, რომ ეს ისევ ჩემი ბრალია. ჩემი ნამდვილი სახე ჯერ არ მიჩვენებია თქვენთვის, აი, ჟე-ნისთან სულ სხვაგვარად მიჭირავს თავი. თქვენთან რატომღაც გავლაღდი, თქვენ კი იფიქრეთ... თუმცა, არა. საქმე ეს კი არაა! არ მინდა, რომ ჩემი ცხოვრება... დიახ, არ მინდა ჩემი ცხოვრება ასე დაიწყოს. განა ამისთვის ღირდა ისეთ ქალთან მეძებნა თავშესაფარი, როგორიც დეიდა ტერეზაა? არა მე მინდა... ალბათ, დამცინებთ, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია: მე მინ-და როგორმე... ოდესმე... იმ ადამიანის პატივისცემა დავიმსახურო, რომე-ლიც მთელი გულით შემიყვარებს... რომელსაც მუდამ ვეყვარები... მე მინ-და იგი იყოს სერიოზული... ერთი სიტყვით...

— კი მაგრამ, განა მე სერიოზული არა ვარ? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო დანიელმა; ნიკოლიც მიხვდა მისი ტონით, რომ იგი საცოდავად იღიმებოდა და იმწამსვე იგრძნო, ყოველგვარმა საფრთხემ გაიარაო.

— ოჰ, არა, — თითქმის მხიარულად თქვა ნიკოლმა, — ნუ გამიწყრე-ბით, დანიელ, მაგრამ რაღაც უნდა გითხრათ! თქვენ ხომ მე არ გიყვარ-ვართ...

— ოჰო!

— არა, არა. თქვენ მე კი არ გიყვარვართ, არამედ სხვა რამ. მეც ასევე ვარ, მე თქვენ არ... თუმცა პირდაპირ გეტყვით: ჩემი აზრით, თქვენისთანა ადამიანს ვერასოდეს შევიყვარებ!

— ჩემისთანას?

— მე მინდა ვთქვა: ჩვეულებრივ ადამიანს... მე მინდა შევიყვარო!.. რა თქმა უნდა, უფრო მოგვიანებით... ოღონდ იგი უნდა იყოს... ერთი სიტყ-ვით... ვინმე სპეტაკი ადამიანი, რომელიც ჩემთან... სულ სხვა მიზნებით მოვა... არ ვიცი, როგორ აგიხსნათ? ერთი სიტყვით, იგი ძალიან განსხვავე-ბული უნდა იყოს თქვენგან!

— გმადლობთ!

დანიელს ჟინი დასცხრომოდა. ახლა მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, სასა-ცილო არ გამხდარიყო.

— ჰოდა, — წამოიწყო ნიკოლმა, — ახლა შევრიგდეთ და რაც მოხდა, დავივიწყოთ!

მან კარი შეაღო: დანიელი აღარ გაძალიანებია.

— მეგობრები ვართ, ხომ? — ჰკითხა ნიკოლმა და ხელი გაუწოდა.

დანიელმა არაფერი უპასუხა. ოღონდ დაკვირვებით ათვალიერებდა მის კბილებს, თვალებს, სახის კანს, მთელ პირსახეს, რომელსაც ნიკოლი აკრძა-

ლული ხილივით სთავაზობდა თითქოს. ბოლოს ნაძალადევად გაეღიმა და ქუთუთოები აუხამხამდა. ნიკოლმა მაგრად მოუჭირა ხელი.

— ცხოვრებას ნუ გამიფუჭებთ! — ალერსიანი თრთოლვით წაილაპარაკა მან, წარბები სასაცილოდ აზიდა და დაუმატა: — ჯერჯერობით ფირის კოჭის გაფუჭება ვიკმაროთ!

დანიელს გაეცინა. ასეთ მხიარულ განწყობას არ მოითხოვდა მისგან ნიკოლი და ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გოგონას გული ეტკინა. მიუხედავად ამისა, იგი ნამდვილად ამაყობდა თავისი გამარჯვებითა და იმ შეხედულებით, რაც დანიელს უფრო მოგვიანებით შეექმნებოდა მის შესახებ.

— რა ჰქენით? — შორიდანვე დაუყვირა ჟენიმ, როგორც კი ისინი სასადილო ოთახში დაინახა.

— არაფერი არ გამოვიდა! გაფუჭდა! — მკვახედ მიუგო დანიელმა.

ჟაკს გაუხარდა. ნიკოლი ეშმაკურად იღიმებოდა.

— სულ გაფუჭდა! — დაუმატა მან.

მაგრამ როცა შეამჩნია, ჟენიმ წარბებშეჭმუხნული სახე გვერდზე მიიბრუნა და თვალზე ცრემლი მოადგაო, ნიკოლმა მაშინვე მიირბინა მასთან და მოეხვია.

ოთახში მეგობრის შემოსვლის შემდეგ ჟაკი საკუთარ ბედზე აღარ ფიქრობდა. მთელი გულისყური დანიელისკენ მიეპყრო: შეუძლებელი იყო გულდამშვიდებით ეცქირა მის სახეზე აღბეჭდილ სრულიად ახალი გამომეტყველებისათვის: რაღაც უცნაური წინააღმდეგობა იგრძნობოდა სახის ზემო და ქვემო ნაწილებს შორის, შეუსაბამობა ამ კუშტ, შეჟურვებულ, დაფანტულ გამოხედვასა და ცინიკურ ღიმილს შორის, რის გამოც ტუჩის კილო ზევით ასწეოდა და სახის ნაკვთები მარცხნივ მოჰქცეოდა.

მეგობრებმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს, დანიელმა ოდნავ შეიკრა წარბი და ადგილი გადაინაცვლა.

ყველაზე მეტად ამ უნდობლობამ შეურაცხყო ჟაკი. ხელახლა შეხვედრამ ყოველმხრივ გაუცრუა იმედი. როგორც იქნა, მიხვდა ამას. ერთი წამითაც არ უგრძნია ნამდვილი სიახლოვე. ლიზბეტის სახელიც კი ვერ გაუმჟღავნა მეგობარს. იმედის გაცრუებამ თითქოს გული ატკინა, ნამდვილად კი მხოლოდ ის სტანჯავდა, — თუმცა ამას თვითონაც ვერ ხვდებოდა, — რომ პირველად გაბედა და კრიტიკული თვალით შეხედა თავის სიყვარულს და კიდეც დაჰკარგა იგი. როგორც ყველა ბავშვი, ისიც მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობდა, რადგან წარსულს სწრაფად ივიწყებდა, ხოლო მომავალი მოუთმენლობას იწვევდა მასში. დღეს ეს აუტანელი სიმწარე ჯიუტად თან სდევდა მის

აწმყოს. ნაშუადღევი სასოწარკვეთით იწურებოდა და როცა ანტუანმა ანიშნა, წავიდეთო, ჟაკმა შვებით ამოისუნთქა.

დანიელმა თვალი მოჰკრა ანტუანის ნიშანს და სასწრაფოდ მიაშურა ჟაკს:

— ჯერ ხომ არ წახვალთ?

— დიახ, მივდივართ.

— უკვე? — იკითხა მან და ხმადაბლა დაუმატა: — ჩვენ ხომ ისე ცოტა ხანს ვიყავით ერთად...

ამ დღეს იმედის გაცრუების მეტი არაფერი მოუტანია დანიელისთვისაც. ამას დაემატა სინდისის ქენჯნა, რასაც ჟაკის მიმართ, — და რაც ყველაზე უფრო უმძიმებდა გულს, — თავიანთი მეგობრობის მიმართ გრძნობდა.

— მაპატიე, — წაილაპარაკა მან უცებ და ჟაკი ფანჯრის ნიშასთან მიიყვანა. ეს სიტყვა ისეთი მოკრძალებითა და გულკეთილობით წარმოთქვა, ჟაკს ერთბაშად გადაავიწყდა ყოველგვარი წყენა და წინანდელი სითბო დაეუფლა.

— დღეს ყველაფერი უხეიროდ მოეწყო... კვლავ როდისღა გნახავ? — ჩაეცივდა დანიელი, — აუცილებლად უნდა გნახო, ოღონდ მარტო, დიდი ხნით. ჩვენ უკვე ვეღარ ვცნობთ ერთმანეთს. ეს არცაა გასაკვირველი: მთელი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს, წარმოგიდგენია? მაგრამ ეს აღარ უნდა განმეორდეს!

უცებ დაფიქრდა; რაღა ემშველებოდა მათ მეგობრობას, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში არსაიდან მხარდაჭერა არა ჰქონია, გარდა რაღაც მისტიკური ერთგულებისა, რომლის სიმყიფეში ახლახან დარწმუნდნენ! ოჰ, არა, შეუძლებელია მათი მეგობრობა ასე გაქრეს, ეს არც ერთმა არ უნდა დაუშვას!

დანიელი კვლავ ბავშვად თვლიდა ჟაკს, მაგრამ მაინც წინანდებურად უყვარდა. და ვინ იცის, იქნებ, უფრო მეტადაც, რადგან თვითონ რატომღაც ეგონა, უფროსი ვარო და უპირატესობასაც გრძნობდა.

— კვირაობით მუდამ შინ ვართ, — ეუბნებოდა სწორედ ამ დროს ქალბატონი დე ფონტანენი ანტუანს, — ჯილდოების დარიგებამდე პარიზიდან არ წავალთ.

ქალს თვალები გაუბრწყინდა და რაკი დარწმუნდა, შვილი ზურგით დგას და ჩემი ნათქვამი არ ესმისო, ამაყად დაუმატა:

— დანიელი სხვადასხვა ჯილდოს მიიღებს სკოლაში! გინდათ, წამოდით და ჩემს საგანძურს გაჩვენებთ!

ქალი სიხარულით გაეშურა თავისი ოთახისკენ. ანტუანი უკან გაჰყვა. საწერი მაგიდის უჯრაში ფერადი მუყაოს ოციოდე დაფნის გვირგვინი ეწყო. ქალმა თითქმის მაშინვე შესწია უჯრა, უხერხულად გაეცინა, რადგან ერთბაშად შერცხვა, რა ბავშვივით ვიქცევიო.

— ოღონდ დანიელს არაფერი უთხრათ, — სთხოვა ქალმა, — მან არც კი იცის, რომ მის ჯილდოებს ასე სასოებით ვინახავ!

ისინი უსიტყვოდ დაბრუნდნენ სასადილო ოთახში.

— აბა, ჟაკ, მოდიხარ? — დაუძახა ანტუანმა.

— დღევანდელი დღე არ ითვლება, — წაილაპარაკა ქალბატონმა დე ფონტანენმა და ორივე ხელი გაუწოდა ჟაკს; იგი ჯიუტად მიშტერებოდა ყმაწვილს, თითქოს ყველაფერს მიუხვდაო, — აქ ყველანი თქვენი მეგობრები ვართ, ჩემო პატარა ჟაკ; როცა არ უნდა მოხვიდეთ, მუდამ მოხარული ვიქნებით. ასევე, რა თქმა უნდა, თქვენი უფროსი ძმის ნახვაც გაგვეხარდება, — დაუმატა მან და მოხდენილი მოძრაობით შემობრუნდა ანტუანისკენ.

ჟაკი თვალებით ეძებდა ჟენის, მაგრამ იგი თავის დეიდაშვილთან ერთად ოთახიდან გასულიყო. ჟაკი დაიხარა და აბრეშუმივით ნაზ შუბლზე აკოცა ძაღლს.

ქალბატონი დე ფონტანენი სასადილო ოთახში შებრუნდა და სუფრის ალაგებას შეუდგა. დანიელი დაბნეული სახით შეჰყვა დედას, კარის ძგიდეს მიეყრდნო, ხმა არ ამოუღია და პაპიროსი გააბოლა. იგი ნიკოლის ნათქვამზე ფიქრობდა. რატომ დამალეს, რომ გოგონა შინიდან გამოიქცა და მათთან შეაფარა თავი? ვის დაემალა?

ქალბატონი დე ფონტანენი ახალგაზრდა ქალის სიმკვირცხლით მიდი-მოდიოდა ოთახში და თან ანტუანთან საუბარზე, მის ნაამბობზე, მის სწავლაზე, მის მომავალ გეგმაზე, მის მამაზე ფიქრობდა. „პატიოსანი გულის პატრონია... თან რა ლამაზი შუბლი აქვს" ეპითეტის გამოძებნასაც კი შეეცადა: „დაფიქრებული შუბლი აქვს!" სიხარულით დაუმატა მან. ისიც გაიხსენა, ერთი საათის წინ რომ გულში გაივლო... წამიერ ცოდვას შემთხვევით ისიც ხომ არ აჰყვა? გრეგორის სიტყვები მოაგონდა. და უცებ სრულიად უმიზეზოდ, ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, თეფშს ხელი უშვა, მაგიდაზე დასდო, თითები სახეზე გადაისვა, თითქოს სურდა ამ სიხარულს ხელით შეხებოდა. შემდეგ შვილთან მივიდა, მხიარულად ჩამოადო ხელები მხარზე, თვალებში ჩახედა, უხმოდ აკოცა და ოთახიდან გავიდა. დანიელი სახტად დარჩა.

ქალმა საწერ მაგიდას მიაშურა და მსხვილი, ბავშვური, ოდნავ გაკრული ხელით დაწერა:

„ჯეიმს ძვირფასო!

დღეს გულწრფელად მეჭირა თქვენთან თავი. რომელ ჩვენთაგანს გვაქვს განსჯის უფლება? მადლობას ვწირავ უფალს, ერთხელ კიდევ რომ განმანათლა. ჟერომს გადაეცით, გაყრაზე უარს ვამბობ. გადაეცით...“

ცრემლებმა თვალები დაუბინდეს და უთავბოლოდ აცეკვდნენ სიტყვები.

## XII

რამდენიმე დღე გავიდა. ერთხელ ანტუანს ალიონზე გაეღვიძა, დარაბებზე აკაკუნებდნენ. მეკონკე არ უნდა ყოფილიყო, ჭიშკარს არავინ გაუღებდა. ზარის წკრიალი კონსიერჟის ოთახიდან ისმოდა; ანტუანმა გადაწყვიტა, ალბათ რაღაც უბედურება მოხდაო.

მართლაც, დეიდა ფრიულინგი მომკვდარიყო. თავში კვლავ ჩაქცეოდა სისხლი და საწოლის ფეხებთან ეგდო.

ჟაკი იმ დროს შევიდა, როცა მოხუცი ქალის ცხედარს საწოლზე ასვენებდნენ. ღიად დარჩენილი პირიდან ჩაყვითლებული კბილები მოუჩანდა. ერთბაშად საზარელი სურათი გაახსენდა: ჰო, დიახ... ტულონის გზაზე დაგდებული თვირთვილა ცხენის ლეში მოაგონდა... შემდეგ უცებ გაიფიქრა. ალბათ, ლიზბეტი ჩამოვაო.

გავიდა კიდევ ორი დღე. ლიზბეტი არ ჩამოსულა. მაშასადამე, აღარც ჩამოვიდოდა. მით უკეთესი! ჟაკი აღარ ცდილობდა თავის გრძნობებში გარკვეულიყო. ობსერვატორიის ქუჩაზე ვიზიტის შემდეგაც კი მუშაობდა პოემაზე, სადაც მიჯნურს უმღეროდა და მის წასვლას დარდობდა, მაგრამ მასთან შეხვედრას გულით არც კი ნატრობდა.

მიუხედავად ამისა, დღეში ათჯერ მაინც ჩაუვლიდა კონსიერჟის ოთახს, მუდამ შეშინებული იხედებოდა შიგ და მუდამ დამშვიდებული, თუმცა უკმაყოფილო ბრუნდებოდა იქიდან.

დასაფლავების წინა დღით, ჟაკმა მარტო ისადილა რესტორანში, სადაც მეზონ-ლაფიტში ბატონი ტიბოს წასვლის შემდეგ ანტუანთან ერთად დადიოდა ხოლმე. შინ დაბრუნებისთანავე თვალში ეცა მეკარის ოთახთან დადგმული ჩემოდანი. ჟაკი ცახცახმა აიტანა, შუბლზე ოფლმა დაასხა. კუბოს ირგვლივ ანთებული სანთლების შუქზე დაჩოქილი, სამგლოვიარო პირბადით შემოსილი გოგონას სილუეტი გაარჩია; ჟაკი უყოყმანოდ შევიდა ოთახში. ორმა მონაზონმა გულგრილად გადმოხედა, ლიზბეტი არც განძრეულა. გა-

რეთ ისეთი საღამო იდგა, გაავდრებას აპირებდა. თბილი, მოტკბო სუნი ტრიალებდა ოთახში. კუბოზე დაყრილი ყვავილები ჭკნებოდა. ჟაკი უძრავად იდგა და ნანობდა, რად შემოვედიო. სამგლოვიარო მორთულობით გამოწვეული ეს უხერხულობა ვერასგზით ვერ დაეძლია. ლიზბეტზე აღარც ფიქრობდა და შემთხვევას ეძებდა, როგორმე აქედან წასულიყო. მონაზონი წამოდგა, თაფლის სანთელს ნაწვისი მოაცილა; ჟაკმა ამით ისარგებლა და ოთახიდან გაიპარა.

ნუთუ ლიზბეტმა იგრძნო ჟაკის იქ ყოფნა? იქნებ, მისი ნაბიჯი იცნო? ჟაკი თავისი ბინის კართან ჯერ არც მისულიყო, როცა ლიზბეტის ფეხის ხმა მოესმა. მაშინვე შემობრუნდა. ერთხანს პირისპირ იდგნენ ჩაბნელებული კიბის ქვეშ. ლიზბეტი პირბადეჩამოშვებული იდგა და ტიროდა, ჟაკის გამოწვდილი ხელი არ შეუმჩნევია. ხათრის გულისთვის ჟაკიც დიდი სიამოვნებით ატირდებოდა, მაგრამ მოწყენისა და რიდის მეტს არაფერს გრძნობდა.

ზევიდან კარის მიჯახუნების ხმა მოესმა. ჟაკს შეეშინდა, არავინ მოგვისწროსო, და ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მაგრამ ისე ღელავდა, სიბნელეში კარის ჭუჭრუტანა ვერ ეპოვნა.

— იქნებ, ამ კარის გასაღები არაა? — უკარნახა ლიზბეტმა.

ამ მგალობელი ხმის გაგონებამ ჟაკი სულ დააბნია. როგორც იქნა, კარი გააღო; ლიზბეტი შეყოყმანდა. ზემოდან ვიღაც ჩამოდიოდა უკვე.

— ანტუანი მორიგეა, — წაიჩურჩულა ჟაკმა ლიზბეტის გასამხნევებლად და იგრძნო, გაწითლდა. ლიზბეტმა თამამად გადააბიჯა ზღურბლს.

როცა ჟაკმა კარი მიხურა და სინათლე აანთო, ლიზბეტი პირდაპირ მისი ოთახისკენ გაემართა და ჩვეული მანერით ჩამოჯდა დივანზე. ახლაღა შეამჩნია ჟაკმა, რომ ლიზბეტს თვალები დასიებოდა, მწუხარებისგან სახე დაუშნოებოდა, ერთი სიტყვით, სულ შეცვლილიყო. იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ცალი თითი შებინდული ჰქონდა. ჟაკი დაჯდომას ვერ ბედავდა; გონებიდან არ შორდებოდა ის სამგლოვიარო გარემოცვა, რის გამოც ლიზბეტს დაბრუნება მოუხდა.

— რა შეხუთული ჰაერია! — თქვა ქალიშვილმა, — საცაა გაავდრდება.

დივანზე მიიწია, თითქოს წინანდებურად უხმობდა ჟაკს, მოდი, გვერდით, მომიჯექიო. ჟაკი დაჯდა; და მაშინვე, უსიტყვოდ, პირბადის მოუხდელად, ჟაკის მხარეს გადასწია ოდნავ თავი, ისევე მიადო სახე ჟაკს, როგორც წინათ იცოდა. სველი ლოყის შეხება არ ესიამოვნა ჭაბუკს. კრეპს კი საღებავისა და ლაქის სუნი ასდიოდა. ჟაკმა არ იცოდა, რა ექნა, რა ეთქვა. ხელის მოკიდება სცადა; ლიზბეტმა შეჰკივლა.

— გაჭრილი გაქვთ თითი? — ჰკითხა ჟაკმა.

— ოჰ... საწყალი გამიჩინდა! — ამოიოხრა მან.

ამ ამოოხვრაში ყველაფერი აირია. ტკივილიც, მწუხარებაც, დაუშრეტელი გრძნობათა ტალღაც. იგი თითიდან უგულისყუროდ იხსნიდა სახვევს და როცა დანაოჭებული, მოლურჯო-ფერგამქრალი თითი გამოჩნდა ჩირქგროვისაგან ამძვრალი ფრჩხილით, ჟაკს სუნთქვა შეეკრა, თავბრუ დაესხა, თითქოს ლიზბეტს სხეულის საიდუმლო კუნჭული გაეშიშვლებინოს მის თვალწინ. ამასთან, მჭიდროდ მიკრული სხეულის სითბოს ტანსაცმლიდანაც გრძნობდა. ქალი ფაიფურისებური თვალებით მისჩერებოდა, თითქოს კვლავაც ევედრებოდა, გული არ მატკინოთო. მიუხედავად ზიზღისა, ჟაკს სწადდა კოცნით მოერჩინა მტკივანი თითი.

მაგრამ სწორედ ამ დროს ლიზბეტი წამოდგა, ნაღვლიანად იხვევდა თითს.

— უნდა წავიდე! — წაილაპარაკა მან.

ისეთი დაღლილი სახე ჰქონდა, ჟაკმა შესთავაზა:

— იქნებ, ერთი ჭიქა ჩაი დაგელიათ? თუ გინდათ, მე მოგიმზადებთ!

ლიზბეტმა ჯერ უცნაურად გადახედა მას, ხოლო შემდეგ გაუღიმა:

— დიდი სიამოვნებით. ოღონდ ცოტა ხნით წავალ, ვილოცებ და მალე დავბრუნდები!

ჟაკმა სასწრაფოდ აადუღა წყალი, ჩაი მოამზადა და თავის ოთახში გაიტანა. ლიზბეტი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ჟაკი დაჯდა.

ახლა უკვე მოუთმენლად ელოდა. თვითონაც არ იცოდა, რატომღაც ძალიან ღელავდა. აინტერესებდა, აქამდე რატომ არ დაბრუნდა ლიზბეტი, მაგრამ დაკაკუნებას ვერ ბედავდა, დეიდა ფრიულინგს ვერ შეეცილებოდა. მაინც რას უცდის, რატომ არ ბრუნდებაო, ფიქრობდა იგი, წამდაუწუმ დგებოდა და ჩაიდანს ხელს ადებდა. როცა ჩაიდანი გაცივდა, ადგომის საბაბიც აღარ ჰქონდა და ისიც აღარ განძრეულა. ლამპაზე მიშტერებული მზერისგან თვალები სტკიოდა, მოუთმენლობისგან ცახცახებდა; გარეთ ელვამ გაანათა და დარაბებიდან შემოსულმა შუქმა ნერვები აუფორიაქა. მოვიდოდა კი საერთოდ? ამ კითხვამ ისე გააოგნა, ისე გააუბედურა, სიკვდილი ინატრა.

ყრუდ დაიქუხა. ბუმ! ჩაიდანი აფეთქდა! ახია! ჩაი ისე იღვრებოდა, იტყოდით, წვიმა კოკისპირულადასხამსო, ჭავლები დარაბებს უტყლაშუნებდა. ლიზბეტი გაწუწულა, წყალი წურწურით ჩამოსდის ლოყებიდან, კრეპს საღებავი მოსცილებია, გახუნებულა, და საქორწინო პირბადეზე ფერმიხდილი და გამჭვირვალე გამხდარა...

ჟაკი ერთბაშად შეკრთა: ლიზბეტი დაბრუნებულიყო, გვერდით მისჯდომოდა და სახე სახეზე მიედო.

— ჩაგეძინა, საყვარელო?

წინათ არასოდეს არ ელაპარაკებოდა „შენობით", პირბადე აეხადა და, მიუხედავად ტირილისაგან ჩაღამებული თვალებისა, მიუხედავად დაბრეცილი ბაგეებისა, ჟაკმა ძილ-ღვიძილში, როგორც იქნა, იცნო სატრფოს სახე.

ლიზბეტმა მოქანცული ადამიანივით აიწურა მხრები.

— ახლა კი აუცილებლად შემირთავს ბიძაჩემი! — წაილაპარაკა მან და თავი დახარა. ტიროდა? მოწუწუნე, მაგრამ ბედს შერიგებული ადამიანის კილო ჰქონდა. ვინ იცის, იქნებ, ცნობისმოყვარეობითაც კი უყურებდა თავის ახალ მომავალს.

ჟაკი ასე ღრმა ანალიზებს აღარ შეუდგა. იმ წუთში იმდენად სასიამოვნოდ ეჩვენებოდა მისი შებრალება, კიდეც სურდა ლიზბეტი გაუბედურებული ენახა! მან მკლავი მოხვია გოგონას და მაგრად მიიკრა მკერდზე, თითქოს უნდოდა ერთ სხეულად ქცეულიყვნენ ორივენი. ლიზბეტი მის ტუჩებს დაეწაფა, ჟაკმაც ნებაზე მიუშვა. ასეთი ყოვლისმომცველი აღფრთოვანება არასოდეს უგრძნია; ლიზბეტს, ჩანს, წინასწარ შეეხსნა კაბის ღილები; ჟაკს აღარ დასჭირვებია ძებნა, შიშველი მკერდი მაშინვე თბილად მოხვდა ხელის გულზე.

ლიზბეტი მთელი ტანით შემობრუნდა, რათა ჟაკის ხელს განიერი კაბის ქვეშ თავისუფლად ენავარდა მთელ ტანზე.

— ერთად ვილოცოთ მამიდა ფრიულინგის სულისთვის! — წაიჩურჩულა ლიზბეტმა.

ჟაკს გაღიმების თავიც არ ჰქონდა. მის ალერსში იმდენი მგზნებარება იყო, ლოცვადაც კი ჩათვალა იგი.

უცებ ლიზბეტს კვნესა აღმოხდა და ხელიდან დაუსხლტა. ჟაკმა იფიქრა, თითი ვატკინე ან უკვე განირბისო, მაგრამ ლიზბეტმა მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა ოთახში, სინათლე ჩააქრო და მაშინვე დაბრუნდა. ზედ ყურთან მისი „საყვარელო" კვლავ გაიგონა ჟაკმა, შემდეგ ტუჩებზე მისი ტუჩები იგრძნო, ხოლო აკანკალებული თითები მის სამოსზე დაფუსფუსებდნენ...

მეხის გავარდნამ გამოაღვიძა. ეზოში წვიმა ასხამდა და ქვაფენილზე ხმაურით ტყლაშუნებდა. ლიზბეტი?.. სადაა? უკუნი ღამეა. ჟაკი მარტოკა იწვა არეულ-დარეულ დივანზე. წამოდგომა დააპირა, უნდოდა მის ხამებ-

ნელად წასულიყო, იდაყვებზეც კი წამოიწია, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა და ბალიშებზე დაეცა.

კარგა ხნის გათენებული იყო, თვალი რომ გაახილა. ჯერ ჩაიდანი დაინახა მაგიდაზე, შემდეგ დაჭმუჭნილ პიჯაკს მოჰკრა თვალი იატაკზე. ერთბაშად ყველაფერი მოაგონდა და წამოდგა. გადაულახავმა სურვილმა შეიპყრო; ახლავე გაეხადა რაც კი ტანთ ეცვა და გაოფლიანებული სხეული განებანა. გრილი წყლით ვრცელ აბაზანაში ბანაობამ ნათლობა გაახსენა. ტანი ხეირიანად არც კი ჰქონდა შემშრალებული, ისე მოჰყვა ოთახში წინ და უკან სიარულს, წელში იმართებოდა, ფეხის კუნთებსა და გაგრილებულ კანზე ხელს იტყაპუნებდა, სავსებით გადავიწყებოდა სირცხვილი, რაც კი ამ სიშიშვლეს შეეძლო მოეგონებინა. სარკეში მისი მოხდენილი ტანი მოჩანდა და ამდენი ხნის შემდეგ, პირველად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დაუკვირდა საკუთარ სხეულს. ერთბაშად წარსული შეცოდებები მოაგონდა, მხრები აიჩეჩა და შეუწყნარებლურად გაეღიმა: „რა ბავშვური სისულელეები იყოო", — გაიფიქრა მან. ეს საკითხი ამოწურულად ჩათვალა. საბოლოოდ, თითქოს დიდი ხნის განმავლობაში შეუცნობელმა, დიდი ხნის მანძილზე უკუგდებულმა ძალ-ღონემ, როგორც იქნა, თავისი ნამდვილი ადგილი იპოვა. იგი არც კი დაფიქრებულა იმაზე, რაც წინადღით მოხდა, არც ლიზბეთი გახსენებია, მთავარი ის იყო, რომ გრძნობდა, გულში სიხარული ჩაბუდებოდა და სულითა და ხორცით განწმენდილიყო. ეს იმას კი არ ნიშნავდა, თითქოს რაღაც ახალი აღმოეჩინოს, პირიქით: ასე ეგონა, წინანდელი წონასწორობა აღვიდგინეო. ჟაკი იმ გამოჯანმრთელებულ ჭაბუკს წააგავდა, რომელსაც უხარია, მაგრამ არ უკვირს საკუთარი ძალ-ღონის აღდგენა.

იგი ტიტველი შეიპარა წინოთახში და კარი შეაღო. მეკარის ჩაბნელებულ ოთახში ლიზბეთის ლანდს მოჰკრა თვალი; როგორც წინადღეს, ლიზბეთს ახლაც პირბადე ეკეთა და მუხლისთავებზე ჩაჩოქილიყო.

ვიღაც მამაკაცები კიბეზე იდგნენ და ჭიშკარზე შავ ქსოვილს აკრავდნენ. მოაგონდა, დასაფლავება ცხრა საათზე იყო დანიშნული. ისე სწრაფად ჩაიცვა, თითქოს ზეიმზე მიეჩქარებაო. იმ დილით ყოველგვარი მოძრაობა სიხარულს გვრიდა.

ოთახი თითქმის მიალაგა კიდეც, როცა მეზონ-ლაფიტიდან ჩამოსული ბატონი ტიბო შემოვიდა.

ჟაკი მამამისის გვერდით მიჰყვებოდა კუბოს. ამ ხალხთან ერთად, რომელთაც მისი საიდუმლოება არ იცოდნენ, ისიც შევიდა ეკლესიაში, ცხედარს

შემოუარა და აუღელვებლად, რაღაც უპირატესობის გრძნობით ჩამოართვა ხელი ლიზბეტს.

მეკარის ოთახი მთელი დღე ცარიელი იყო. ჟაკი იცდიდა. ყოველწუთს მოელოდა ლიზბეტის დაბრუნებას, ოღონდ ნათლად ვერ გაერკვია, რა სურვილი იმალებოდა ამ მოუთმენლობაში.

ოთხ საათზე ზარის ხმა შემოესმა; კარის გასაღებად გაიქცა. ლათინური ენის მასწავლებელი მოსულიყო! ჟაკს სულ გადაავიწყდა, რომ იმ დღეს გაკვეთილი ჰქონდა.

უგულისყუროდ უსმენდა მსჯელობას ჰორაციუსის შესახებ, როცა კვლავ დარეკეს. ამჯერად ლიზბეტი იყო. ზღურბლთან შედგა. ღია კარიდანვე მოჰკრა თვალი მაგიდასთან დახრილი მასწავლებლის ზურგს. ჟაკი და ლიზბეტი პირისპირ იდგნენ, თითქოს თვალებით ერთმანეთს რაღაცას ეკითხებიანო. ყმაწვილს ვერ წარმოედგინა, რომ ლიზბეტი გამოსამშვიდობებლად მოსულიყო, რომ იგი ექვსი საათის მატარებელს მიჰყვებოდა. ლიზბეტმაც ვერ გაუბედა ეს ეთქვა, ოღონდ შეცივნულივით შეაჟრჟოლა, თვალები აახამხამა, ნატკივანი თითი ტუჩზე მიიდო, შემდეგ ისე დაიხარა, თითქოს მატარებელს უკვე სამუდამოდ მიჰყავდა, ხელით კოცნა გაუგზავნა და გაიქცა.

მასწავლებელმა შეწყვეტილი ფრაზა დაამთავრა:

— პურპურარუმ უსუს უდრის პურპურა ქვა უტუნტურ, ნიუანსს თუ ხვდებით?

ჟაკი იღიმებოდა, თითქოს მართლაც მიხვდა ნიუანსს. ის კი იმაზე ფიქრობდა, ლიზბეტი მალე დაბრუნდებაო, თვალწინ წარმოუდგა ბნელ შემოსასვლელში მდგარი გოგონა, რომელსაც პირბადე აეხადა და სახე მისკენ მოებრუნებინა; გაახსენდა კოცნა, რომელიც თითქოს შეხვეული თითით მოსწყვიტა ბაგეს და გამოუგზავნა.

— განაგრძეთ! — უთხრა მასწავლებელმა.

# ნაწილი მესამე

## ზაფხული

### I

ძმები ლუქსემბურგის ბაღის გასწვრივ მიაბიჯებდნენ. სენატის კოშკის საათმა ხუთის ნახევარი დარეკა.

— გეტყობა, ღელავ! — თქვა ანტუანმა, რომელსაც ქანცი გამოელეოდა ჟაკის აჩქარებული ნაბიჯების გამო, — უჰ! რა სიცხეა! ალბათ, გაავდრდება!

ჟაკმა ნაბიჯი შეანელა და, ქუდი საფეთქლებთან რომ უჭერდა, შუბლზე აიწია.

— ვღელავ? სრულებითაც არა. პირიქით. არ გჯერა? მართალი გითხრა, მიკვირს კიდეც ასე მშვიდად რომ ვარ. აი, უკვე ორი ღამეა მკვდარივით მძინავს და დილით, გამოღვიძებისას ერთთავად დაბრუჟებული ვარ. გარწმუნებ, ძალიან დამშვიდებული ვარ. შენ არც კი უნდა წამოსულიყავი ამ სიშორეზე. ისედაც ბევრი საქმე გაქვს! მით უმეტეს, რომ დანიელი იქ დამხვდება. ჰო, წარმოგიდგენია? ამ დილით სპეციალურად ჩამოვიდა კაბურგიდან*. ეს წუთია ტელეფონით მელაპარაკა, მკითხა, სიებს რომელ საათზე გამოაკრავენო. ასეთ საქმეში მუდამ ყურადღებიანია... ბატრენკურიც უნდა მოვიდეს. როგორც ხედავ, მარტო არ ვიქნები!

ჯიბიდან საათი ამოიღო.

— ერთი სიტყვით, ნახევარ საათში...

„როგორ ღელავს!“ — გაიფიქრა ანტუანმა, — ცოტა არ იყოს, მეც ვღელავ. თუმცა ფავრი გვარწმუნებს, ჟაკი მიღებულიაო!“

ანტუანი, როგორც ყოველთვის, ახლაც თავიდან იშორებდა ფიქრს, ვაითუ ჟაკი ჩაიჭრაო. მან მამობრივი სიყვარულით შეავლო თვალი უმცროსს ძმას და პირმოკუმულმა წაიღიღინა: „ჩემს გულში... ჩემს გულში...“ მაინც რას ამეკვიატა ეს მელოდია? პატარა ოლგა მღეროდა ამ დილით. მგონი, დიუპარკის* რომანსია. ნეტავ, არ დაავიწყდეს, ბელინს შეახსენოს, რომ მეშვიდე ნომერს პუნქცია გაუკეთოს! ჩემს გულში... ლა... ლა... ლა!..“

„ნუთუ მართლა გამიხარდება, რომ ჩამრიცხონ? — ფიქრობდა ჟაკი, — ყოველ შემთხვევაში, ამათზე უფრო, რა თქმა უნდა, არა!“ — ჟაკი მამასა და ანტუანს გულისხმობდა.

— მეზონ-ლაფიტში რომ ვსადილობდი უკანასკნელად, იცი რა მოხდა? — აღელვებით ჩიაგობდა ჟაკს, — ნერვები საშინლად მქონდა აშლილი, რადგან ის-ის იყო ზეპირი გამოცდები დავამთავრე. ჰოდა, სუფრასთან მამამ ნისთეის ჩვეული გამომეტყველებით, პირდაპირ მომახალა:

— თუ არ ჩაგრიცხეს, მაშინ რა უნდა გ ი ყ ო თ?

სიტყვა გაუწყდა: მეორე მოგონებამ პირველი ერთბაშად განდევნა. „როგორ ვღელავ ამ საღამოს!" — გაიფიქრა მან, გაეღიმა და ძმას მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— თუმცა ეს კი არ იყო უცნაური, ანტუან, არამედ ის, რაც მეორე დღეს მოხდა. აუცილებლად უნდა გიამბო... რაკი თავისუფალი ვიყავი, მამა ჩამაცივდა, ჩემს მაგივრად შენ წადი ბატონი კრესპენის დასაფლავებაზეო. გახსოვს? ჰოდა, მაშინ სრულიად გაუგებარი რამ მოხდა. დანიშნულ დროზე ადრე მომიხდა მისვლა. წვიმდა; ეკლესიაში შევედი; მართალი გითხრა, ძალიან ვბრაზობდი, მთელი დილა უქმად დამეკარგვინეს-მეთქი! მაგრამ, მთავარი ეს არაა!.. ჰოდა, შევდივარ ეკლესიაში, ცარიელ რიგს ვეძებ და სკამზე ვჯდები. გვერდით ვიღაც მღვდელი მომიჯდა. არ დაგავიწყდეს, უამრავი თავისუფალი სკამი იდგა, მიუხედავად ამისა, მღვდელი მაინცდამაინც ჩემს გვერდით დაჯდა. ისეთი ახალგაზრდა იყო, ალბათ, სემინარისტი იქნებოდა; სუფთად ეცვა; მაშინვე კბილის ელექსირის სუნი მეცა და, რაც მთავარია, ხელში ქოლგა ეჭირა, შავტარიანი, უშველებელი ქოლგა, რომელსაც სველი ძაღლის სუნი ასდიოდა. ნუ იცინი, ანტუან, ჯერ სადა ხარ! მორჩა, ამ მღვდლის გარდა, ვეღარაფერზე ვერ ვფიქრობდი. ცხვირი ლოცვანში ჩაერგო და ტუჩების ცმაცუნით აჰყოლოდა წირვას. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ „ამაღლების"* დრო რომ დადგა, იმის ნაცვლად რომ მის წინ დადგმული სალოცავი სკამით ესარგებლა — რაც ისე ძალიან არ გამიკვირდებოდა, — პირდაპირ იატაკზე ჩაიჩოქა და ფილებზე განერთხო. მე, პირიქით, ფეხზე ვიდექი. როცა წამოდგა, შემომხედა, თვალი თვალში გამიყარა, არ ვიცი, ჩემი პოზა გამომწვევად რად ჩათვალა, მის სახეზე უკმაყოფილება თუ გაკიცხვა ამოვიკითხე. შემდეგ თვალები უცნაურად გადაატრიალა და ნაძალადევად ზვიადი, რაღაც აუტანელი იერი მიიღო! ჰოდა... დღესაც არ მესმის, რა მოვიმოქმედე მაშინ?! ჯიბიდან სადარბაზო ბარათი ამოვიღე, რამდენიმე სიტყვა მივაჯღაბნე და მას გავუწოდე. (ჟაკი ტყუოდა: უბრალოდ, იმ წუთს გაუელვა თავში, ადვილი შესაძლებელი იყო ასე მოვქცეულიყავიო. მაინც, რატომ ტყუოდა?) აბატმა ცხვირი აიბზუა: შეყოყმანდა; იმედგაცრუებული გავხდი... ჰო, ბარათი ძალით ჩავჩარა ხელში. მან თვალი გადაავლო სადარბაზო ბარათს, გაოგნებული სახით შემომხედა, იღლიიდან ქუდი გამო-

იძრო, თავის უზარმაზარ ქოლგას ხელი დაავლო და მოკურცხლა... დიახ... ისე მოკურცხლა, თითქოს ეშმაკეულს გაურბისო... მართალი გითხრა, აღარც მე შემეძლო იქ გაჩერება, ბრაზი მახრჩობდა! სამგლოვიარო პროცესიისთვის აღარც დამიცდია, ისე გავშორდი იქაურობას.

— კი მაგრამ... ისეთი რა დააწერე იმ სადარბაზო ბარათს?

— ჰო, მართლა! სადარბაზო ბარათზე... იდიოტობაა!.. ახლა თქმასაც ვეღარ ვბედავ... ასე დავაწერე: „პირადად მე, ღმერთი არა მწამს!“ ძახილის ნიშანიც დავუსვი და ხელიც მოვაწერე! ისიც სადარბაზო ბარათს! ხომ სისულელეა? „ღმერთი არა მწამს!“

ჟაკს თვალები გაუფართოვდა, გაუშტერდა.

— ჯერ ერთი, განა ამის მტკიცება შეიძლება?

წამით ჩაჩუმდა და თვალი გააყოლა სამგლოვიარო ტანსაცმელში უზადოდ გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს, მედიჩის მოედანი რომ გადასერა.

— რა სისულელეა! — წამოიწყო მან ენის ბორძიკით, თითქოს მძიმე აღსარებას აიძულებს თავისთავსო, — იცი, ანტუან, ამ წუთში რაზე ვფიქრობდი? შენ რომ მომკვდარიყავი, ალბათ, დიდი სიამოვნებით ჩავიცვამდი ისეთ კოხტა შავ კოსტიუმს, როგორც აი, იმ ტიპს აცვია! წამით კიდეც ვინატრე შენი სიკვდილი, ჰო, ნამდვილად ვინატრე! როგორ გგონია, საგიჟეთში ხომ არ დავამთავრებ ჩემს დღეებს?

ანტუანმა მხრები აიჩეჩა.

— დასანანია, ასე რომ არაა! — განაგრძობდა ჟაკი, — შევეცდებოდი სიგიჟის უკანასკნელ საფეხურამდე შემეცნო საკუთარი თავი! ყური მიგდე. განზრახული მქონდა, ამბავი დამეწერა ერთი მეტად ჭკვიანი ადამიანისა, რომელიც გაგიჟდებოდა. ყოველი მისი საქციელი უგუნური იქნებოდა; მიუხედავად ამისა, ძალიან მოფიქრებულად იმოქმედებდა და, მისი აზრით, ფრიად ლოგიკურადაც მოიქცეოდა. გესმის? მე მისი გონების ცენტრში შევიჭრებოდი და...

ანტუანი ხმას არ იღებდა. ეს მანერა უკვე ჩვევად გადაქცეოდა. მაგრამ მის დუმილში ისეთი დაძაბული ყურადღება იგრძნობოდა, რომ მოსაუბრეს არათუ უდუნდებოდა აზრები, პირიქით, უფრო ეგზნებოდა.

— ოჰ, დრო რომ მქონოდა და მემუშავა, მეცადა!.. — ამოიოხრა ჟაკმა. — მაგრამ ამ გამოცდებსაც რომ აღარ მოეღო ბოლო! მე კი უკვე ოცი წლისა ვარ. პირდაპირ საშინელებაა!

„იოდი წავისვი და არ მიშველა, ახალი ძირმაგარა გამიჩენია!“ — გაიფიქრა მან, როცა ხელი მოისვა კეფაზე, სადაც პერანგის საყელოს ხახუნს მუწუკი გაეღიზიანებინა.

— მითხარი, ანტუან! — მიუბრუნდა იგი ძმას, — ოცი წლისა შენ ხომ აღარ იყავი ბავშვი? ეს კარგად მახსოვს. მე კი სულ არ ვიცვლები. ვგრძნობ, ახლაც ისა ვარ, რაც ათი წლის წინ ვიყავი! როგორ ფიქრობ, ხომ ასეა?

— არა.

„მართალს ამბობს, — ფიქრობდა ანტუანი, — ეს უწყვეტობის შეგნებაა, ან უკეთ, შეგნების უწყვეტობაა... იგი იმ ბებერს ჰგავს, რომელიც ამბობს „ოჰ, ართურჩიკის თამაში ისე მიყვარდა!..“ იგივე ფეხები, იგივე ხელები, იგივე ადამიანი. თუნდაც ჩემი მაგალითი ავიღოთ: რა შიში ვჭამე იმ ღამეს კოტრეში, საშინელი შეტევის დროს ოთახიდან გასვლა ვერ გავბედე! მერედა ვინ? ექიმმა ტიბომ... ჩვენი კლინიკის უფროსი.. დიდებული ტიპია! — კმაყოფილებით დაუმატა მან, თითქოს თავისი სტუდენტი-პრაქტიკანტების აზრს ისმენსო.

— გული გაგიწყალე, არა? — ჰკითხა ჟაკმა, ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— საიდან მოიტანე!

— აკი ვხედავ: ძლივს მპასუხობ და ისე მისმენ, როგორც ციებ-ცხელებით შეპყრობილ ავადმყოფს.

— ოჰ, სრულიადაც არა.

„ყურის გამორეცხვამაც თუ არ დაუკლო სიცხე... — ფიქრობდა ანტუანი, რომელსაც იმ დილით საავადმყოფოში მოყვანილი ბავშვის გატანჯული სახე მოაგონდა. — „ჩემს გულში... ჩემს გულში... ლა... ლა-ლა“.

— დაგიჩემებია, დელავო! — განაგრძო ჟაკმა, — გიმეორებ, ცდები-მეთქი. გინდა, ანტუან, ერთ რამეში გამოგიტყდები?! ზოგჯერ, თითქმის ვნატრობ, ნეტავი არ მიმიღონ-მეთქი!

— ვითომ რატომ?

— მინდა გავიქცე.

— გაიქცე? რას გინდა გაექცე?

— ყველაფერს. მანქანის ყოველ კბილანას! შენ, მათ, თითოეულ თქვენგანს!

იმის ნაცვლად, რომ ანტუანს ეთქვა რასაც ფიქრობდა: „სისულელეებს ჩმახავო!“ იგი ძმას მიუბრუნდა და დააკვირდა:

— მინდა უკან დასახევი გზა მოვიჭრა! აქაურობას მოვშორდე! — განაგრძობდა ჟაკი. — დიახ, დიახ, წავიდე, მარტო წავიდე, სულ ერთია სად! აი, სად მოვიპოვებდი სიმშვიდეს და ვიმუშავებდი კიდეც.

კარგად იცოდა, რომ არსად წამსვლელი არ იყო და მით უფრო გატა-

ცებით ოცნებობდა! ერთბაშად ჩაჩუმდა. მაგრამ თითქმის მაშინვე ნაძალადევი ღიმილით ალაპარაკდა;

— და იქ, დიახ, შესაძლებელია, მხოლოდ იქ მეპატიებინა მათთვის!

ანტუანი გაჩუმდა:

— შენ კიდევ ფიქრობ იმაზე?

— რაზე?

— აკი თქვი: მათ ვაპატიებდიო. ვის? რას აპატიებდი? გაპაპწორებული კოლონიის ამბავს?

ჟაკმა ბრაზით გადახედა ძმას, მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო. რა თქმა უნდა, კრუიში ცხოვრებას გულისხმობდა! მაგრამ განა ახლა ღირდა ამაზე ლაპარაკი? სულ ერთია, ანტუანი მაინც ვერ გაუგებდა!

თანაც, ეს აზრი პატიების შესახებ, რატომ მოუვიდა თავში? თვითონაც არ იცოდა, თუმცა ასეთ ალტერნატივას წამდაუწუმ აწყდებოდა: ან უნდა ეპატიებინა, ან არადა, ღვარძლი გულში ჩაეხვია; ან უნდა დაშოშმინებულიყო, ბედს დამორჩილებოდა, ამ უზარმაზარი მანქანის პაწაწინა კბილანად დარჩენილიყო, ან არადა, პირიქით, საკუთარი დაუოკებელი ძალისთვის თავისუფლება მიეცა, მთელი თავისი ღვარძლი გადმოენთხია... თვითონაც ვერ გეტყოდათ რაზე... საერთოდ ცხოვრებაზე, მორალზე, ოჯახსა თუ საზოგადოებაზე! ეს იყო ძველი ღვარძლი, რომელიც პატარაობიდანვე დაჰგროვებოდა, ეს იყო ბუნდოვანი შეგრძნება, რომ მისი არავის ესმოდა, არავინ პატივს არ სცემდა, ადამიანთა მოდგმას მუდამ ათვალწუნებული ჰყავდა. დიახ, რა თქმა უნდა, რომ მოეხერხებინა და გაქცეულიყო, იგი აუცილებლად ჰპოვებდა იმ სულიერ სიმშვიდეს, რომელიც, მისი აზრით, სხვათა მიზეზით ვერ აღედგინა.

— აი იქ ვიმუშავებდი! — გაიმეორა მან.

— სად იქ?

— ხომ ხედავ, კიდევ მეკითხები, სად? შენ ვერ გაიგებ, ანტუან! შენ ხომ მუდამ ყველაფერს ეგუებოდი. ერთხელ არჩეულ გზას მიჰყვებოდი.

ერთბაშად უფროს ძმაზე ისეთი რამ გაიფიქრა, რასაც იშვიათად თუ გაივლებდა გულში. ანტუანი გულმოდგინე და შრომისმოყვარე ადამიანად წარმოუდგა. ენერგიულია? შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჭკვიანი თუა? ზოოლოგის ჭკუა აქვს! და მისი ჭკუა იკვებება ფაქტებით. რამდენადაც სარბიელი მეცნიერულ კვლევაშიღა ჰპოვა! ასეთმა ჭკუამ მთელი ფილოსოფია შექმნა აქტიურობის ცნებაზე. და ამით დაკმაყოფილდა! მაგრამ რაც მთავარია, ასეთი ჭკუა თავის იდუმალ მნიშვნელობას უკარგავს ყოველივეს, რასაც სამყაროს ჭეშმარიტი აზრი და სილამაზე შეჰვია.

— არა, მე შენსავით არა ვარ! — გატაცებით წამოიძახა ჟაკმა. შემდეგ, მცირე მანძილით გაშორდა ძმას და უსიტყვოდ, მარტო გაუყვა ტროტუარის კიდეს.

„აქ სული მეხუთება, — ფიქრობდა იგი, — ყველაფერი, რის გაკეთებასაც მაიძულებენ, მძაგს და მღუპავს! მასწავლებლები! ამხანაგები! მათი გატაცებანი, მათი საყვარელი წიგნები! თანამედროვე მწერლები! ოჰ, დედამიწის ზურგზე ვინმე რომ მიხვდებოდეს, რას წარმოვადგენ მე, ან რისი გაკეთება ძალმიძს!.. არა, ამას ვერავინ ხვდება, თვით დანიელიც კი!“

სიფიცხე ერთბაშად დაუცხრა. ანტუანის ლაპარაკი არ ესმოდა.

„უნდა დაივიწყო ყველაფერი! — ფიქრობდა ჟაკი, — კალაპოტიდან ამოვარდე! საკუთარ გულში ჩაიხედო! და მერე ყველაფერი თქვა. ჯერ არავის ჰქონია გამბედაობა — ეთქვა ყველაფერი .და აი, როგორც იქნა, ვიღაც გამოჩნდა: ეს მე ვარ!“

ისე ცხელოდა, ძმებს სუფლოს ქუჩის აღმართის ავლა გაუჭირდათ ნაბიჯი შეანელეს. ანტუანი ისევ ლაპარაკობდა, ჟაკი — დუმდა; ეს შენიშნა ჟაკმა და გულში გაეცინა: „უნდა ვაღიარო, ანტუანთან კამათი არასოდეს მეხერხებოდა. მე მას ან ვუძალიანდები და ვშმაგდები, ან ხმაგაკმენდილი ვუსმენ მის არგუმენტებს და პასუხი ვერ გამიცია. აი, როგორც ახლა! ცოტა არ იყოს, ეს უკვე ორპირობა გამოდის. მე ხომ ვიცი, რომ ჩემი დუმილი ანტუანს თანხმობად მიაჩნია. ეს კი ასე არ არის! პირიქით. მე ჩემს აზრებს ასე ადვილად არ ვთმობ, ვებღაუჭები! იმის დარდი სულაც არა მაქვს, სხვები თუ ვერ გაუგებენ ვერაფერს. მე ხომ მჯერა მათი მნიშვნელობისა?! მთავარია ამ აზრთა მნიშვნელობის დამტკიცება შევძლოთ! ამისთვის კი საკმარისია ხელი გავანძრიოთ! არგუმენტებს მუდამ იპოვის კაცი. რაც შეეხება ანტუანს, მას თავისი გზა აქვს! იმაზე არასოდეს დაფიქრებულა, იქნებ, ჟაკის აზრებშიაც არის ჭკუის ნატამალიო! ოჰ, რა მარტო ვარ ამ ქვეყანაზე!“

იგი კვლავ აიტანა წასვლის ჟინმა. „რა დიდებული იქნებოდა, ერთბაშად რომ მიმეტოვებინა ყველა და ყველაფერი! *„მიტოვებული ოთახები! გამგზავრების ნეტარი წუთები!“**

ისევ გაეღიმა, ანტუანს ეშმაკურად გადახედა და თქვა:

— „ოჯახებო! მე თქვენ მძულხართ! ჩაკეტილი სახლები, გამოკეტილი კარები!..“

— ვისია?

— „ნათანაელ, შენ მხოლოდ გავლისას შეაჩნევ ყველაფერს და არსად შეჩერდები...“

— ვისია?

— ეჰ, — აღმოხდა ჟაკს, ღიმილი სახეზე შეაშრა და ფეხს აუჩქარა. — ეს იმ წიგნიდანაა, რომლის ბრალიცაა ყველაფერი! იმ წიგნიდან, დანიელმა რომ გამართლება მოუნახა... კიდევ უარესი: ქება-დიდება რომ შეასხა თავის... თავის ცინიკურ აზრებს. წიგნიდან, რომელიც მან ზეპირად იცის, ხოლო მე... არა! — აკანკალებული ხმით დაუმატა მან, — არა, ვერ ვიტყვი, მეზიზღება-მეთქი, მაგრამ იცი, ანტუან? ეს ისეთი წიგნია, ხელებს რომ გწვავს კითხვის დროს და იმდენად სახიფათოა, რომ მასთან პირისპირ დარჩენა არასოდეს მომსურვებია.

და უნებურად თვითკმაყოფილებით ხელახლა წამოიწყო: — „მიტოვებული ოთახები! გამგზავრების ნეტარი წუთები!“

ისევ ჩაჩუმდა... უცებ კილო შეცვალა და ხრინწიანი ხმით განაგრძო:

— მე ვამბობ... უნდა წავიდე-მეთქი! მაგრამ გვიანღაა. მე უკვე ნამდვილად აღარ შემიძლია წასვლა.

ანტუანი შეეკამათა:

— ისე ამბობ „უნდა წავიდეო“, თითქოს სამშობლოდან წასვლაზე იყოს ლაპარაკი! რა თქმა უნდა, ეს რთული საქმეა! მაგრამ მოგზაურობა... რატომაც არ შეიძლება? თუკი ჩარიცხული ხარ, მამა სრულიად ბუნებრივად ჩათვლის იმ ამბავს, რომ ზაფხულში სამოგზაუროდ წახვიდე სადმე.

ჟაკმა თავი გააქნია:

— ძალიან გვიანაა...

„ნეტავი რას გულისხმობს?“

— მეზონ-ლაფიტში ხომ არ აპირებ მთელი ორი თვის გატარებას, მამასთან და მადმუაზელთან ერთად?

— ვაპირებ!

მან ორაზროვნად აიქნია ხელი. როცა პანთეონის მოედანს* ჩაუარეს და ულმის ქუჩაზე შეუხვიეს, ჟაკმა პედაგოგიური სასწავლებლის წინ თავშეყრილი ხალხის ჯგუფისკენ გაიშვირა თითი. სახე მოეღრუბლა.

— „რა უცნაური ბიჭია!“ — გაიფიქრა ანტუანმა, ამას ხშირად იტყოდა ხოლმე, გულთბილად, უნებური სიამაყით, თუმცა ყოველგვარი მოულოდნელობა მუდამ სძულდა და ჟაკიც წარამარა უბნევდა გზა-კვალს, ანტუანი მაინც ცდილობდა აეხსნა ძმის საქციელი. უთავბოლო სიტყვები, რაც ჟაკს ხშირად წამოსცდებოდა ხოლმე. ანტუანს აიძულებდა მთელი თავისი მოსაზრებულობა დაეძაბა. სხვათა შორის, ეს ინტელექტუალური ვარჯიში კიდეცართობდა, რადგან მისი აზრით, საშუალება ეძლეოდა ღრმად ჩასწვდომოდა უმცროსი ძმის ბუნებას. სინამდვილეში, საკმარისი იყო ანტუანს

გადაეწყვიტა, საჭირო ფსიქოლოგიურ დასკვნას მივაგენით, რომ ჟაკის ახალი განცხადება თავდაყირა აყენებდა მის მოსაზრებას. ისიც იძულებული ხდებოდა თავიდან წამოეწყო ყოველივე და უმეტესად, სულ საწინააღმდეგო დასკვნები გამოეტანა. ასეგვარად, ძმასთან საუბრის შემდეგ ანტუანს ხელში რჩებოდა ერთმანეთის საპირისპირო მსჯელობები, რომელთაგან, მხოლოდ უკანასკნელს თვლიდა საბოლოოდ.

ძმები სასწავლებლის პირქუშ ფასადს მიადგნენ. ანტუანი ჟაკისკენ შემობრუნდა და დაკვირვებული თვალი შეავლო. „თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, — გაიფიქრა მან, — აშკარად დავინახავთ, რომ ოჯახური ცხოვრება ამ ბიჭისათვის გაცილებით უფრო ტკბილია, ვიდრე მას ჰგონია“.

ჭიშკარი ღია დახვდათ, ეზო სავსე იყო ხალხით. ვესტიბიულის შესასვლელთან დანიელ დე ფონტანენი ქერა ჭაბუკს ესაუბრებოდა.

„დანიელი თუ დაგვინახავს პირველად, მაშასადამე, ჩარიცხული ვარ!“ — გაიფიქრა ჟაკმა.

მაგრამ ანტუანის ძახილზე ფონტანენმა და ბატენკურმა ერთდროულად მოიხედეს.

— ძალიან ღელავ? — იკითხა დანიელმა.

— სულაც არ ვღელავ.

„ჟენის სახელს თუ ახსენებს, მაშასადამე, მიღებული ვარ!“ — დაასკვნა ჟაკმა.

— ყველაზე საშინელი წუთები — სიის გამოკვრამდე დარჩენილი უკანასკნელი თხუთმეტი წუთია! — თქვა ანტუანმა.

— ასე გგონიათ? — ღიმილით ჰკითხა დანიელმა.

იგი ზოგჯერ ბავშვური სიჯიუტით ეკამათებოდა ხოლმე ანტუანს, რომელსაც „ექიმოს“ ეძახდა და მისი ნაადრევი სიდინჯე სიცილსა ჰგვრიდა. — ჩემი აზრით, ყოველგვარი მოლოდინი მაინც სასიამოვნოა!

ანტუანმა მხრები შეიშმუშნა.

— გესმის? — მიუბრუნდა იგი ძმას, — პირადად მე, თოთხმეტჯერ თუ თხუთმეტჯერ განვიცადე ასეთი „მოლოდინი“, მაგრამ მაინც ვერ შევეჩვიე. თანაც შევამჩნიე, რომ ისინი, ვისაც ასეთ წუთებში სტოიკურად უჭირავთ თავი, თითქმის ყოველთვის საშუალო და სუსტი ადამიანები არიან.

— ყველას როდი შეუძლია სიამოვნება ჰპოვოს მოუთმენლობაში! — შეეკამათა დანიელი, რომლის თვალები მუდამ დაცინვას გამოხატავდა ანტუანთან საუბრისას, მაგრამ საკმარისი იყო ჟაკისთვის შეეხედა, მაშინვე ალერსიანი ხდებოდა.

ანტუანი თავის აზრს ავითარებდა:

— სერიოზულად გეუბნებით: ყოყმანი აუტანელია ძლიერი პიროვნებისათვის! ჭეშმარიტი სიმამაცე ის კი არაა, დაჯდე და მშვიდად ელოდო როდის დაგიდგება შემთხვევა, არამედ თვითონ უნდა გაეშურო მისკენ, რაც შეიძლება სწრაფად აუღო ალღო და კიდეც მიიღო! ხომ ასეა, ჟაკ?

— არა, მე დანიელის აზრისა ვარ! — მიუგო ჟაკმა, თუმცა მათი კამათისათვის ყური არ დაუგდია. და რაკი დანიელი ანტუანთან საუბარს განაგრძობდა, ფრთხილად შეაპარა, თუმცა კარგად გრძნობდა, რომ ცუღლუტობდა: — დედაშენი და შენი და ისევ მეზონ-ლაფიტში არიან?

დანიელს არ გაუგონია, მართალია, ჟაკი დაჟინებით ფიქრობდა, ჩავიჭერიო, ერთბაშად მაინც მიხვდა, რომ გამარჯვებისა ურყევად სწამდა. „მამას ესიამოვნება", — გაიფიქრა მან და ღიმილი მოერია.

— გმადლობთ, სიმონ, რომ მოხვედით! — უთხრა მან ბატენკურს.

ბატენკური ალერსიანი თვალებით შეჰყურებდა ჟაკს; იგი არასოდეს არ მალავდა თავის ღრმა აღტაცებას დანიელის მეგობრისადმი; ჟაკს კი, პირიქით, მისი დამოკიდებულება ხშირად ანერვიულებდა, რადგან გრძნობდა, არ შეეძლო თბილად მოჰქცეოდა ამ ყმაწვილს.

ეზოში ატყდარი ყაყანი ერთბაშად შეწყდა. ქვემო სართულის ერთ-ერთ ფანჯარას თეთრი სწორკუთხა ქაღალდი ააკრეს. ჟაკმა ბუნდოვნად იგრძნო, რომ ძლიერმა ტალღამ თითქოს მოგლიჯა იგი ქვაფენილს და ამ ნაცნესაკენ გააქანა.

ყურებში ზუზუნი ესმოდა. ანტუანი ლაპარაკობდა:

— ჩარიცხულია! მესამეა!

სწორედ ეს მხიარული, მკაფიო ხმა ჩაესმა ყურებში, მაგრამ სიტყვების მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა მოკრძალებით შემობრუნდა და ძმის გაბრწყინებული სახე დაინახა. მოდუნებული ხელით ქუდი უკან გადაიწია; ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე. დანიელსა და ბატენკურს ხალხის ტალღა გაერღვიათ და მისკენ მოეშურებოდნენ. დანიელი ჟაკს მისჩერებოდა, ჟაკიც თვალს არ აშორებდა მიახლოებულ მეგობარს, რომლის ზემო ტუჩი ისე აწეულიყო, კბილებს უჩენდა, თუმცა ღიმილი თითქოს არც კი ეფინა სახეზე.

ატყდა ჩურჩული, მთელ ეზოს მოეფინა. ცხოვრება ხელახლა ჩადგა კალაპოტში. ჟაკმა ღრმად ამოიოხრა. სისხლი კვლავ აუმოძრავდა ძარღვებში. უეცრად მახე, ხაფანგი დაუდგა თვალწინ და „ჩავვარდიო" გაიფიქრა. შემდეგ ფიქრი სხვაზე გადაიტანა. ზეპირი გამოცდა გაიხსენა ბერძნულ ენაში, სწო-

რედ ის მომენტი, როცა შეცდომა დაუშვა: თვალწინ დაუდგა მწვანე ხალიჩა და „ხოლფორდს"* ტომზე მასწავლებლის გაბრტყელებული თითი ამოზურცული ფრჩხილით, რომელიც რქის ნათალს წააგავდა.

— პირველი ვინაა?

ბატონკურდა ავარი დაასახელა, მაგრამ ჟაკმა ვერ მოჰკრა ყური. „პირველი მე ვიქნებოდი, იმ სიტყვის მნიშვნელობა რომ გამომეცნო: თავშესაფარი, ტაძარი... „ოჯახური ტაძრის გუშაგნი"... ჟაკი რამდენჯერმე შეეცადა მსჯელობათა მთელი ჯაჭვი აღედგინა, რამაც იმ მიუტევებელ უაზრობამდე მიიყვანა.

— აბა, ექიმო, გამხიარულდით! — დანიელმა მხარზე ჩამოჰკრა ხელი ანტუანს, რომელსაც გაეღიმა.

კმაყოფილების გამომჟღავნებისას ანტუანი თითქმის მუდამ იშმუშნებოდა უხერხულობისაგან, რადგან მისი დინჯი იერი და მხიარული საქციელი ვერასგზით ვერ ეგუებოდა ერთმანეთს. დანიელს კი, პირიქით, სიხარულის დამალვა არ უყვარდა. ახლაც ერთგვარი აღხორცებული კმაყოფილებით ათვალიერებდა მეგობრებს, მეზობლებს, განსაკუთრებით კი, იქ მისულ ქალებს, დედებსა თუ ძებს, რომელთა თითოეულ სიტყვაში, თითოეულ მოძრაობაში დაუფარავი სიყვარული გამოსჭვიოდა იმ წუთს.

ანტუანმა საათს დახედა და ჟაკს მიუბრუნდა:

— აბა, სხვა საქმე ხომ აღარა გაქვს აქ?

ჟაკი შეკრთა.

— მე? არა, — ნაღვლიანად უპასუხა მან, რადგან შეეშინია, მისდაუნებურად, — ალბათ, სიის გამოცხადების დროს, — კვლავ მოეგლიჯა წუწუკი, რომელიც აგერ მთელი კვირა იყო უშნოდ ამოსვლოდა ტუჩზე.

— მაშინ წავიდეთ! — უთხრა ანტუანმა, — სადილობამდე ერთი ავადმყოფი მყავს სანახავი.

ეზოდან რომ გამოვიდნენ, ფავრი დაინახეს, ამბის გასაგებად მოსულიყო.

— ხომ ხედავთ! — აღტაცებით წამოიძახა მან, — აკი მითხრეს, ფრანგული თხზულება დიდებულად დაწერაო.

ფავრის ერთი წლის წინ დაემთავრებინა პედაგოგიური სასწავლებელი და პროვინციაში რომ არ წასულიყო, დროებითი შემცვლელის თანამდებობაზე მუშაობდა სენ-ლუის* კოლეჯში, ხოლო თავისუფალ დროს მოწაფეებს ამეცადინებდა დღისით, რაც საშუალებას აძლევდა ღამით პარიზის ცხოვრებით დატკბარიყო. პედაგოგის ხელობა ეჯავრებოდა, ჟურნალისტობა იტაცებდა, მაგრამ გულში მაინც პოლიტიკურ კარიერაზე ოცნებობდა.

ჟაკს მოაგონდა, რომ ფავრი კარგად იცნობდა ბერძნული ენის პედაგოგს. კვლავ გაიხსენა მწვანე ხალიჩა, გაგრძელებული თითი და იგრძნო, სირცხვილისაგან ალმური მოეკიდა, იგი ჯერაც ვერ მიმხვდარიყო ხეირიანად, რომ ინსტიტუტში ჩარიცხეს და შვების ნაცვლად დაღლილობასღა გრძნობდა; ამასთანავე, თავისი უაზრო პასუხისა თუ მუწუკის გახსენებაზე ბრაზი ახრჩობდა.

დანიელსა და ბატენკურს მხიარულად ჩაევლოთ ხელი მისთვის და ცეკვა-ცეკვით მიათრევდნენ პანთეონისკენ. ანტუანი და ფავრი უკან მისდევდნენ.

— ჩემი მაღვიძარა შვიდის ნახევარზე რეკავს, ჭიქაზე შედგმულ ლამბაქზე მიდევს, — ხმამაღლა, კმაყოფილებით იცინოდა ფავრი, — ვბუზღუნებ, ცალ თვალს ვახელ, სინათლეს ვანთებ, ისარს შვიდ საათზე ვაყენებ, ზარის ღილაკს ზედ მკერდზე ვიკრავ და ხელახლა ვიძინებ. ნალე მიწისძვრა მთელ შენობას, მთელ კვარტალს აზანზარებს, მაგრამ მე ვბრაზობ და მაინც არ ვდგები. ხუთ წუთს ვაძლევ საკუთარ თავს, შემდეგ ათს, შემდეგ — თხუთმეტს; და როცა ამ ვადას მთელი ორი წუთით გადავაცილებ, უკვე ოც წუთამდე ამყავს, რადგან ციფრების დამრგვალება ხომ საჭიროა! ბოლოს, როგორც იქნება, ლოგინიდან გამოვძვრები. მეხანძრის აკაზმულობისა არ იყოს, ტანსაცმელი წინასწარ მაქვს მომზადებული და სამ სკამზე გადაფენილი. შვიდ საათსა და ოცდარვა წუთზე უკვე ქუჩაში ვარ. რა თქმა უნდა, წასვლის წინ ერთხელაც არ მახსოვს მესაუზმოს ან პირი დამებანოს. მეტრომდე მისასვლელად ოთხი წუთი მრჩება. ზუსტად რვა საათზე კათედრაზე ავდივარ და იწყება ტვინის ჭყლეტა. როგორც ხედავთ, მხოლოდ ამ დროს ვამთავრებ მუშაობას. მერე აბაზანა ხომ უნდა მივიღო, ხომ უნდა ჩავიცვა, ვისადილო, მეგობრები ვინახულო? ჰოდა, როდისღა ვიმუშაო?

ანტუანი უგულისყუროდ უსმენდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ტაქსს ეძებდა.

— ჟაკ, — წაილაპარაკა მან, — ჩემთან ერთად ხომ ისადილებ?

— ჟაკი ჩვენთან ისადილებს! — თქვა დანიელმა.

— არა, არა! — დაიყვირა ჟაკმა, — დღეს ანტუანთან ვსადილობ. „ბოლოს და ბოლოს მომწყდებიან თუ არა თავიდან? — გაანჩხლებით გაიფიქრა მან, — ჯერ ერთი, მუწუკზე იოდი უნდა წავისვა“.

— მოდით, ერთად ვისადილოთ! — შესთავაზა ფავრიმ.

— სად?

— სულ ერთია. თუგინდ, პეკმელთან!

ჟაკმა ხელები აასავსავა:

— არა, ამ საღამოს არ შემიძლია, დაღლილი ვარ.

— ნუ გაუწყალე გული! — წასჩურჩულა დანიელმა და ხელმკლავი გაუყარა. — ექიმო, პეკმელთან მოდით!

ანტუანმა ტაქსი გააჩერა, შემობრუნდა და შეყოყმანდა:

— კი მაგრამ, ვინ არის ეს პეკმელი?

— ყოველ შემთხვევაში ის არაა, თქვენ რომ გგონიათ. — ანდაზით უპასუხა ფავრიმ.

ანტუანმა შეკითხვის გამომხატველი თვალებით გადახედა დანიელს.

— პეკმელი? — წამოიწყო დანიელმა, — განმარტება გამიჭირდება. ასე არ არის, პატ? ჩვეულებრივ ღამის ბუნაგებთან არავითარი საერთო არა აქვს. თითქმის ოჯახური პანსიონია. მართალია, ხუთიდან რვა საათამდე ნამდვილი ბარია. რვა საათზე „დამსვენებლები" იფანტებიან და „ადგილობრივი მცხოვრებლებიდა" რჩებიან: ჰოდა, აი მაშინ მაგიდებს ერთმანეთს მიადგამენ, გრძელ, სუფთა სუფრას გადააფარებენ, დეიდა პეკმელს შუაში ჩაისვამენ და ერთად სადილობენ. ორკესტრი დიდებულია, გოგონები ერთმანეთზე უკეთესი. კიდევ რა გნებავთ? აბა, შეთანხმდით? მოხვალთ პეკმელთან?

საღამოობით ანტუანი იშვიათად გამოდიოდა შინიდან: დღისით ბევრი მუშაობა უხდებოდა, ხოლო საღამოობით საავადმყოფოთაშორისო კონკურსისათვის ემზადებოდა. მაგრამ იმ დღეს გრძნობდა, რომ ჰემატოლოგიას გულს ვერ დაუდებდა, თანაც მეორე დღეს კვირა იყო, ორშაბათს ისევ სამუშაო ელოდა. ასე რომ, დროდადრო, შაბათ საღამოს, პირად მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებდა ხოლმე. ამჯერად, პეკმელის ცთუნებას ვეღარ გაუძლო... ლამაზი გოგონები...

— რაკი ასე ძალიან გინდათ... — ძალდაუტანებელი იერით უპასუხა მან, — ოღონდ მითხარით მაინც, სადაა?

— მონსინის ქუჩაზე. ცხრის ნახევრამდე დაგელოდებით.

— უფრო ადრე მოვალ! — დაუყვირა ანტუანმა და მანქანის კარი მიიჯახუნა.

ჟაკი აღარ გასძალიანებია. ძმის თანხმობამ გეგმები შეუცვალა. თანაც გულის სიღრმეში დანიელის ხუშტურების შესრულება მუდამ სიამოვნებდა.

— ფეხით წავიდეთ? — იკითხა ბატენკურმა.

— მე მეტროთი წავალ! — თქვა ფავრიმ და ნიკაპზე მოისვა ხელი, — ტანსაცმელს გამოვიცვლი და შემოგიერთდებით.

ქარიშხლის მაუწყებელი ბუდი დასწოლოდა პარიზს; ივლისის ბოლოს, საღამოობით, ჰაერი ისეთი დამძიმებული და შეხუთული იყო, რომ გამოცნობა გაგიძნელდებოდათ: ბურუსი იდგა თუ მტვერი!

პეკმელამდე ნახევარი საათის სავალი გზა იყო. ბატენკური ჟაკს მიუახლოვდა და ყოველგვარი ირონიის გარეშე უთხრა:

— თქვენ უკვე დაადექით დიდების გზას!

ჟაკი უსიამოვნოდ შეიშმუშნა, ხოლო დანიელს გაეღიმა. ბატენკური ხუთი წლით უფროსი იყო მასზე. მაგრამ დანიელი მაინც ბალღივით ექცეოდა და სწორედ მისი დაუშრეტელი გულუბრყვილობის გამო იტანდა ყოველივეს, რაც ჟაკს ასე ნერვებს უშლიდა. მას მოაგონდა დღეები, როცა ბატენკურს ლექსის წაკითხვას თხოვდნენ თავშესაქცევად; ისიც დადგებოდა ბუხრის წინ, კითხულობდა და ვერ ხვდებოდა, ლექსის მესამე სიტყვა ასეთ სიცილ-ხარხარს რატომ იწვევდა ამხანაგებში:

„ო, კორსიკელო! ო სწორო თმანო!*
მშვენიერია საფრანგეთი
მესიდორის* მცხუნვარე მზის ქვეშ".

იმ ხანებში სიმონ დე ბატენკური ახალი ჩამოსული იყო ჩრდილოეთის რომელიღაც ქალაქიდან, სადაც მამამისი პოლკის მეთაურად მსახურობდა. მას ეცვა თავიდან ბოლომდე ღილებით შეკრული შავი სერთუკი, რომელიც პროვინციაში შეეკვეთა პარიზში წამოსვლის წინ; აქ იგი თეოლოგიის შესწავლას აპირებდა. მომავალი პასტორი ხშირად დადიოდა ქალბატონ დე ფონტანენის ოჯახში; ქალი თავს მოვალედ თვლიდა გულთბილად მოპქცეოდა ყმაწვილს, რადგან ქალბატონი ბატენკური მისი ბავშვობის მეგობარი გახლდათ.

— თქვენმა ლათინურმა კვარტალმა თავი მომაბეზრა! — თქვა ყოფილმა თეოლოგმა, რომელიც ამჟამად ეტუალის კვარტალში გადასულიყო საცხოვრებლად. ღია ფერის კოსტიუმებს ატარებდა, მშობლებს წაჩხუბებოდა, რადგან ფრიად უაზრო ქორწინებას აპირებდა; მთელი დღეების განმავლობაში თანამედროვე ესტამპებს ალაგებდა ლუდვიგსონის მაღაზიაში, სადაც დანიელს მოეწყო და თვეში ოთხას ფრანკს იღებდა.

ჟაკმა თავი ასწია, ირგვლივ მიმოიხედა და ვარდებით სავსე კალათის უკან ჩაცუცქულ მოხუც მეყვავილეს ჰკიდა თვალი. ეს ქალი მას ადრეც შეემჩნია, როცა ანტუანთან ერთად აქეთ გამოიარა, მაგრამ ფიქრებში გართულს მაშინ სათანადო ყურადღება არ მიუქცევია, ახლა კი სუფლოს აღმართზე ასვლა რომ გაიხსენა, ერთბაშად იგრძნო, თითქოს რაღაც აკლდა:

ასე ხდება ხოლმე, როცა შეჩვეულ ნივთს, მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში თითზე წამოცმულ ბეჭედს ჰკარგავს ადამიანი. მას თითქმის ერთბაშად გაუქრა რამდენიმე კვირის მანძილზე შემოწოლილი დარდი, რომელიც ერთი საათის წინათ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გულს უკუმშავდა. სამაგიეროდ, საშინელი სიცარიელეც დაუტოვა სულში. გამოკრული სია რომ ნახა, პირველად მაშინ იგრძნო საკუთარი წარმატება, მაგრამ მაინც ისე გაოგნებული და წელში გატეხილივით მილასლასებდა, იტყოდით, სიმაღლიდან ჩამოვარდნილაო.

— ზღვაში თუ ბანაობდი მაინც? — ჰკითხა ბატენკურმა დანიელს.

ჟაკი მათკენ შებრუნდა.

— მართლა, შენ ხომ სპეციალურად ჩემი გულისთვის ჩამოხვედი! — წაილაპარაკა მან და ალერსიანად გადახედა მეგობარს. — კარგი დრო გაატარე?

— უკეთესი არ შეიძლება. მართალი გითხრა, არც მოველოდი, — წამოიძახა დანიელმა.

ჟაკს მწარედ გაეღიმა:

— როგორც ყოველთვის!

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს: წინანდელი კამათი თითქოს ახლაც გრძელდებოდა.

ჟაკი მეტად მკაცრ სიყვარულს ამჟღავნებდა დანიელის მიმართ, რაც სავსებით განსხვავდებოდა იმ მეგობრული დამოკიდებულებისაგან, დანიელი რომ გრძნობდა ჟაკის მიმართ: „შენ მე უფრო მეტ მოთხოვნილებას მიყენებ, ვიდრე საკუთარ თავს!! — ეუბნებოდა ზოგჯერ დანიელი. — ვერ იქნა და ვერ შეეჩვიე იმ ცხოვრებას, როგორსაც მე ვეწევი“.

„შენს ცხოვრებას როგორმე შევეგუები, მაგრამ ცხოვრებისადმი შენს დამოკიდებულებას ვერ შევჩვევივარ!“ — პასუხობდა ჟაკი.

ამ თემაზე უთანხმოებას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა.

ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ, დანიელმა გაკვალული გზით წასვლა აღარ ისურვა. მამამისი შინ არასოდეს არ იყო, შვილზეც არასოდეს ზრუნავდა, ხოლო დედამ ნება დართო თვითონვე აერჩია თავისი გზა; ქალი რაღაც მისტიკური ნდობით, მუდამ პატივისცემით ეკიდებოდა მტკიცე ნების ყოველგვარ გამოვლინებას, როცა კი საქმე მის შვილებსა და, საერთოდ, მომავალს შეეხებოდა; პირველ ყოვლისა მას სურდა, შვილი თავისუფალი ყოფილიყო და თავი მოვალედ არ ჩაეთვალა ოჯახის კეთილდღეობისთვის ეზრუნა. მიუხედავად ამისა, დანიელი სწორედ ამაზე ფიქრობდა. მთელი ორი წელიწადი შემთხვევას ეძებდა, იქნებ, მოვალეობა როგორმე შეეთავ-

სოთ უკიდურეს აუცილებლობასთანო, და ეს საზრუნავი მოსვენებას უკარგავდა. ეს ისეთი სულიერი ჭოჭმანი იყო, რომლის სირთულეს ჟაკიც ვერ ჩასწვდებოდა. საქმე ისაა, რომ ერთი შეხედვით, დანიელი მეტისმეტად არხეინად მუშაობდა, ხატავდა მარტოკა, საკუთარი ჭირვეულობისა და მიდრეკილების გარდა არავითარი სხვა მეგზური არ ჰყავდა, ფუნჯს თითქმის არ ეკარებოდა, უფრო ხშირად ფანქრით ხატავდა, ზოგჯერ მენატურესთან ერთად მთელი დღე ოთახში ჩაიკეტებოდა, ნახევარ ალბომს ჩანახატებით ავსებდა, ხოლო შემდეგ მთელი კვირის მანძილზე ფანქარს ხელს არ ახლებდა. ამიტომაც, რასაკვირველია, ვერავინ მიხვდებოდა რაოდენ მაღალი აზრისა იყო საკუთარ თავზე, საკუთარ მომავალზე. ეს გახლდათ ყოველგვარი თვითკმაყოფილებისაგან თავისუფალი, უტყვი სიამაყე: იგი ელოდა იმ დღეს, როცა თავიდან აუცდენელი კანონზომიერების გამო ყოველივე კარგი, რაც კი მასში იმალებოდა, თავს იჩენდა: დანიელს ღრმად სწამდა თავისი ხვედრისა — პირველხარისხოვანი მხატვარი დავდგებიო, მაგრამ როდის და რა გზით მიაღწევდა ამ მწვერვალს, თვითონაც არ იცოდა. თან ისე იქცეოდა, თითქოს ეს საკითხი არც აწუხებდა; ყველას გასაგონად აცხადებდა, ადამიანი ცხოვრების დინებას უნდა მიენდოსო. სხვათა შორის, თვითონ დროდადრო მართლაც მიჰყვებოდა ხოლმე, თუმცა ზოგჯერ სინდისის ქენჯნასაც გრძნობდა. მაგრამ გახსენება იმ მორალური პრინციპებისა, დედამისს რომ ჩაენერგა მისთვის, წამიერი იყო და ცხოვრების მომქანცველ გზაზე მათ არც შეეძლოთ მისი შეჩერება. „საშინელი სულიერი კრიზისის დროსაც კი, რაც ამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე განვიცადე, — სწერდა იგი ჟაკს (მაშინ დანიელი თვრამეტი წლისა იყო), — ვფიცავ, საკუთარი საქციელის გამო სირცხვილი არასოდეს მიგრძვნია. უფრო მეტიც: მქონია წუთები, როცა ვყოყმანობდი, რაღაც გატაცებას ვუსაყვედურებდი ჩემს თავს, მაგრამ სინამდვილეში, სწორედ იმ წუთს გაცილებით ნაკლებად ვბრაზობდი საკუთარ თავზე, ვიდრე შემდეგ, როცა ცხოვრებას თავისი გაჰქონდა და ჩემს ბავშვურ თვითგვემასა და ძალადობას ვიხსენებდი".

დიდი დრო არ იყო გასული ამ წერილის დაწერიდან, რომ გარეუბნის მატარებელში დანიელი შეხვდა ადამიანს, ვისაც მაშინ მან და ჟაკმა „კაცი ვაგონიდან" შეარქვეს. იმ ადამიანს, ცხადია, ეჭვიც არ აუღია, ამ წუთიერი შეხვედრით რა დიდი როლი ითამაშა ორი ჭაბუკის დავაჟკაცებაში.

ოქტომბერი იყო; დანიელი ვერსალიდან ბრუნდებოდა; საუცხოო ამინდი იდგა; მთელი ნაშუადღევი პარკში გაატარა ჩრდილქვეშ და მხოლოდ უკანასკნელ წუთს შეახტა ვაგონს. ბედმა ინება, მის პირდაპირ მჯდომარე ხნიერი კაცი, მთლად უცნობი არ გამომდგარიყო: იმ დღეს, რამდენჯერმე მოეკრა

მისთვის თვალი დიდი ტრიანონის წარაფებში და დანიელს რატომღაც შეეჩვენა, დაემახსოვრებინა იგი; ხოლო ახლა, როცა მისი უკეთ დათვალიერების საშუალება მიეცა, თავისი თანამგზავრით აღტაცებული დარჩა. იგი გაცილებით ახალგაზრდა აღმოჩნდა, ვიდრე დანიელს შორიდან მოეჩვენა: მართალია, თმა გასთეთრებოდა, მაგრამ ორმოცდაათი წლისა არც კი იქნებოდა; მოკლედ შეკრეჭილი, გაჭაღარავებული წვერისა და სწორი ნაკვთების გამო საოცრად ფაქიზი გამომეტყველება ჰქონდა მის ოვალურ სახეს. სახის ფერი, მიმოხვრა. ხელები, კოსტიუმის ღიაფერის ქსოვილი, იშვიათი ტონის ჰალსტუხი, განსაკუთრებით კი ლურჯი, ანთებული, მკვირცხლი, მოუსვენარი თვალები ჭაბუკურ იერს სძენდა მთელ მის გარეგნობას. იგი გაწაფული თითებით ფურცლავდა გზამკვლევივით რბილყდიან, უსათაურო წიგნს; სიურენისა და სენ-კლუს სადგურებს შორის დერეფანში გავიდა, თავი ფანჯარაში გაჰყო და დაისის ოქროსფერ ალში გახვეულ პარიზის პანორამას გახედა. ცოტა ხნის შემდეგ იგი კუპეს შემინულ კარს მიეყრდნო, დაკრეფილ ხელებში იდუმალებით მოცული წიგნი ეჭირა, რომელიც დანიელის სახის სიმაღლეზე აღმოჩნდა მინის მიღმა. თლილი, კარგად მოვლილი, ნერვული. მრავლისმეტყველი თითები ერთბაშად შეინძრნენ, წიგნი გადაიშალა და მინაზე მიკრულ ფურცელზე დანიელმა რამდენიმე სიტყვის ამოკითხვაც მოახერხა:

ნათანაელ მე შენ გაგაცნობ მგზნებარებას,
მღელვარე და თავაწყვეტილ ცხოვრებას...

წიგნმა ადგილი ინაცვლა. დანიელმა ფურცლის თავზე დაბეჭდილი სათაურის წაკითხვა მოასწრო: „მიწიერი საზრდო“.

ამ წიგნმა დანიელი ისე დააინტერესა, იმავე დღეს შემოირბინა წიგნის მაღაზიები. ნაწარმოებს არავინ იცნობდა. ნუთუ ეს საიდუმლოება თან გაჰყვა „კაცს ვაგონიდან?“ „პათეტიკური არსებობა, ნათანაელ, ვიდრე სიმშვიდე...“ იმეორებდა დანიელი. მეორე დღეს ოდეონის პასაჟში* მივიდა და კატალოგები გადაჩხრიკა, რამდენიმე საათის შემდეგ წიგნი ჯიბეში ჰქონდა, შინ დაბრუნდა და ოთახში ჩაიკეტა.

წიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა. ნაშუადღევი მიიწურა. საღამოხანს სახლიდან გავიდა. ასეთი აფორიაქება, ასეთი დიდებული აღტყინება არასოდეს უგრძვნია. ფართო ნაბიჯებით მიუყვებოდა სანაპიროს, სახლს ძალიან დაშორებულიყო. სადილად ფუნთუშა შეჭამა და შინ დაბრუნდა: წიგნი მაგიდაზე ელოდა. ერთხანს უტრიალა, ხელახლა გადაშლა ვერ გა-

ბედა. დაწვა, მაგრამ ძილი გაუფრთხა. მაშინ ფარ-ხმალი დაყარა, წამოსასხამში გაეხვია და ნელა, თავიდან შეუდგა კითხვას. გრძნობდა, საზეიმო წუთი დამდგარიყო, მისი გონების ყველაზე ინტიმურ კუნჭულში რაღაც მუშაობა, რაღაც საიდუმლო ჩანასახის გაღვივება დაწყებულიყო. როცა განთიადისას წიგნის უკანასკნელი გვერდის წაკითხვა დაასრულა, იგრძნო — ცხოვრებას სულ სხვა თვალით უყურებდა.

„ხელი თამამად შევახე თითოეულ ნივთს და ჩემთა სურვილითა ყოველ საგანზე უფლებამოსილად ვცანი თავი“.

„სარგებლობა სურვილებშია და სურვილთა დაკმაყოფილებაშიცაა სარგებლობა, რადგან სწორედ შემდეგ მატულობენ სურვილები“.

ჭაბუკი მიხვდა, რომ მორალური მანია, რაც კი აღზრდასთან ერთად ჰქონდა შესისხლხორცებული, ხელის ერთი მოსმით მოიცილა. სიტყვას „ცოდვა“ სულ სხვა მნიშვნელობა მიეღო უკვე.

— „ისე უნდა იმოქმედო, არც კი დაუფიქრდე, კარგია ეს საქციელი თუ ცუდი! ისე უნდა შეიყვარო, დარდი არ გქონდეს, სიკეთეა ეს თუ ბოროტება...“

გრძნობებმა, რასაც დანიელი აქამდე ნაძალადევად თუ აჰყვებოდა ხოლმე, ერთბაშად აიწყვიტეს თავი და ლაღად დაიჭირეს პირველი ადგილი; ღირსებათა მთელი იერარქიული კიბე, რაც კი მას ურყევად მიაჩნდა ბავშვობიდან, იმ ღამეს რამდენიმე საათში გადაყირავდა. მეორე დღეს თავს ისე გრძნობდა, თითქოს წინაღამეს მონათლესო. რაც უფრო მეტად უარყოფდა ყოველივეს, რასაც წინათ იჭვმიუტანლად რაცხდა, ნეტარი სიმშვიდე მით უფრო მეტად ეუფლებოდა იმავე ძალას, რომელიც ამდენხანს სულს უფორიაქებდა.

ეს ახალი აღმოჩენა ჟაკის გარდა არავისთვის გაუნდვია, მოგვიანებით ელაპარაკა მას ამის შესახებ. ესეც იყო მათი მეგობრობის ერთ-ერთი მუდამი; ორივე ისე ფიქრობდა მასზე, როგორც რელიგიურ საიდუმლოებაზე და მას ქარაგმულად თუ ახსენებდნენ მხოლოდ. მიუხედავად ამისა, დანიელი ბევრს ეცადა, მაგრამ ჟაკი მაინც ვერ დაიყოლია; იგი ჯიუტად გაურბოდა ამ გადამდებ აღტყინებას: ეგზომ მათრობელა წყაროსთან წყურვილის მოკვლაზე უარს ამბობდა; ასე ეგონა, საკუთარ თავს უძალიანდებოდა, უფრო ღონიერი რჩებოდა, შეუვალობას ინარჩუნებდა; მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ წიგნში დანიელმა თავისი ცხოვრების წესი, თავისი „საზრდო“ ჰპოვა, და ჟაკის წინააღმდეგობაში სწორედ ამიტომ იგრძნობოდა შური და სასოწარკვეთილება.

— შენ, რა, ბუნების სასწაულად ხომ არა თვლი ლუდვიგსონს? — ეკითხებოდა პატენკური დანიელს.

— ლუდვიგსონი, ჩემო კარგო ბაჭ... — უხსნიდა დანიელი.

ჟაკმა მხრები აიჩეჩა და მეგობრები წინ გაუშვა.

ეს ლუდვიგსონი, ვისთანაც დანიელი რამდენიმე თვის წინ მოწყობილიყო სამუშაოდ და რომელიც ყოველ დედაქალაქში, სადაც კი მას კანტორა გაეხსნა, ევროპული ხელოვნების ნიმუშთა ერთ-ერთ უტიფარ ვაჭრად ითვლებოდა, დიდი ხანია ორი მეგობრის უთანხმოების საგნად ქცეულიყო. ჟაკი ვერ შეერიგებოდა იმ აზრს, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, თუნდაც მხოლოდ ფულის შოვნის მიზნით, დანიელი ამ ვაჭრუკანას საქმეების თანამონაწილე ხდებოდა. მაგრამ ვერც ჟაკი და ვერც ვერავინ ვერ დაიტრაბახებდა იმით, რომ დანიელს უარს ათქმევინებდა რომელიმე ისეთ წამოწყებაზე, რაც მას გულით ეწადა. ხოლო ლუდვიგსონის ჭკუა, მისი დაუცხრომელი ენერგიულობა, — რაც იქამდე მიდიოდა, რომ უძილობა ჩვეულებად ექცია, — ფუფუნების ზიზღი, ზოგჯერ ფულის აბუჩად აგდებაც კი ამ ბობოლას მიერ, რომელსაც მხოლოდ რისკი და წარმატება ახვევდა თავბრუს, ყოვლისშემძლეობა ამ ბნელი საქმოსნისა, ვისი ცხოვრებაც ქარზე შერხეული ჩირაღდნის ახრჩოლებულ, მაგრამ თვალისმომჭრელ ალს წააგავდა, ცხოველ ინტერესს უღვიძებდა დანიელს. და ისიც ცნობისმოყვარეობის გულისთვის უფრო დათანხმდა მასთან მუშაობას, ვიდრე ხელმოკლეობის გამო.

ჟაკს კარგად ახსოვდა დანიელისა და ლუდვიგსონის პირველი შეხვედრა. ორი რასის, ორი საზოგადოების პირისპირ შეყრა. სწორედ იქ იყო იმ დილით, სახელოსნოში, რომელიც დანიელს მისებრ ხელმოკლე რამდენიმე ამხანაგთან ერთად ექირავებინა. ლუდვიგსონი დაუკაკუნებლად გამოცხადდა და დანიელის მტრულ შეხვედრას ღიმილით უპასუხა; შემდეგ არც თავისი გვარი დაუსახელებია, სკამზეც არ ჩამომჯდარა, ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე ჯიბიდან ისე ამოიღო საფულე, თითქოს სცენის მსახიობი ქისას ესვრისო მსახურს და, „მას, რომელიც ამ ბატონთაგან ფონტანენი ბრძანდებოდა", თვეში ექვსასი ფრანკი შესთავაზა სამი წლის ვადით, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი, ლუდვიგსონი, ლუდვიგსონის გალერეის მფლობელი, და სამხატვრო ფირმების „ლუდვიგსონი და კომპანიის" დირექტორი, ერთადერთი მესაკუთრე იქნებოდა ყველა იმ ეტიუდებისა, რასაც დანიელი ამ ხნის მანძილზე შეასრულებდა და ზედ თავის გვარსა და თარიღს მიაწერდა. დანიელი იმ ხანებში ძალიან ცოტას მუშაობდა, არც ერთი თავისი ესკიზი ჯერ არ გამოეფინა, არც გაეყიდა და [illegible] ვერ [illegible],

საიდან შეექმნა ლუდვიგსონს ამგვარი ამაღლებული აზრი მის ნიჭზე და ასეთი ხელსაყრელი წინადადებით რატომ მიმართა. დანიელი მუდამ თვლიდა, რომ შემოქმედებაში სრული თავისუფლება უნდა ჰქონოდა; ამგვარად, კარგად ესმოდა, თუ ამ ხელშეკრულების პირობებს დათანხმდებოდა, ლუდვიგსონი მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდა გასამრჯელოს, თუკი დანიელი წინასწარ დათქმული თანხის შესაფერისი რაოდენობის სურათს ჩააბარებდა ყოველთვიურად. დანიელს კი დოგმად ჰქონდა მიღებული: ემუშავა ხალისით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამიტომაც მან გულგრილი თავაზიანობით სთხოვა ლუდვიგსონს, სახელოსნოდან გაბრძანდითო, და გაოგნებული ამხანაგების თანდასწრებით სტუმარი ისე სწრაფად გაისტუმრა, მოფიქრების საშუალებაც კი არ მისცა.

მაგრამ ეს შეხვედრა ამით არ დამთავრებულა. ლუდვიგსონი ხელმეორედ მოვიდა, მეტი წინდახედულება გამოიჩინა და რამდენიმე თვის შემდეგ ვაჭარსა და დანიელს შორის, რომელსაც ეს ამბავი უკვე ართობდა, ნამდვილი საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. ლუდვიგსონი სამ ენაზე ბეჭდავდა მდიდრულ ჟურნალს სახვითი ხელოვნების საკითხებზე; დანიელს სთხოვა, ფრანგული გამოცემისთვის სტატიები შემირჩიეთო (ახალგაზრდა კაცის ხასიათი პირველი ნახვისთანავე მოეწონა და არც მისი უტყუარი გემოვნება გამოპარვია). სამუშაო მოსაწყენი როდი იყო; თანაც მხოლოდ თავისუფალ საათებში მუშაობდა და მალე ფრანგული განყოფილების ნამდვილი ხელმძღვანელიც გახდა. ლუდვიგსონი დიდ თანხას ხარჯავდა თავისთავზე, ამიტომ პრინციპად გაეხადა, ჰყოლოდა თანამშრომელთა რაც შეიძლება მცირე შტატი, სამაგიეროდ, გულდასმით შეერჩია იგი, მოქმედების სრული თავისუფლება მიეცა მათთვის და შრომაც ხელხვავიანად აენაზღაურებინა. დანიელი არც მოელოდა, სულ მალე ისეთივე ხელფასი დაუნიშნეს, რასაც ინგლისური და გერმანული განყოფილების რედაქტორები იღებდნენ. არსებობა იყო საჭირო. სწორედ ამიტომ ერჩივნა დანიელს ისეთი სამუშაო ჰქონოდა, რომელსაც ნამდვილ ხელოვნებასთან არავითარი საქმე არ ეხებოდა. მიუხედავად ამისა, მის ზოგიერთ სურათს, რომელთა კერძო გამოფენაც მოაწყო ლუდვიგსონმა, კოლექციონერები უკვე ეძებდნენ. სურათების გამყიდველთან ურთიერთობას აშკარა სარგებლობა მოჰქონდა დანიელისთვის; საშუალებას აძლევდა დედასა და დასაც დახმარებოდა, თვითონაც თავის ნებაზე ეცხოვრა, არავითარი ვალდებულებით არ შეებოჭა თავი და ნამდვილი მუშაობისათვის საჭირო დროც შეუზღუდავად ჰქონოდა.

ჟაკი სენ-ჟერმენის მოედანთან დაეწია მეგობრებს.

— ...წარმოუდგენელი სიურპრიზი იყო ჩემთვის, — ლაპარაკობდა დანიელი, — როცა იქ ვიღაც მდიდარი ქვრივი გამაცნეს! თურმე ქალბატონი ლუდვიგსონი ყოფილა!

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შენს ლუდვიგსონს დედა ეყოლებოდა! — ჩაერია საუბარში ჟაკი.

— ვერც მე, — კვერი დაუკრა დანიელმა, — თანაც როგორი დედა! წარმოიდგინე... ოჰ, როგორ შევცდი, ჩანახატი რომ არ გავაკეთე!.. მართალია, რამდენიმე ესკიზი კი მაქვს, მაგრამ ნატურიდან არაა შესრულებული: ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის. წარმოიდგინე მუმია, რომელიც საცირკო ნომრის შესასრულებლად ჰაერით გაუბერიათ ჯამბაზებს! ეს ბებერი ეგვიპტელი ებრაელი, ასი წლისა მაინც იქნება, ქონსა და ნიკრისის ქარს დაუმახინჯებია, შემწვარი ხახვის სუნი ასდის, უთითო თათმანებს ატარებს. ლაქიებს, „შენობით“ ელაპარაკება, შვილს ბამბინოს[1] ეძახის, ბოლიწოთი იკვებება და უცნობს თუ ნაცნობს, ყველას თამბაქოს სთავაზობს...

— როგორ, თამბაქოს ეწევა? — იკითხა ბატენკურმა.

— არა, ბურნუთს. ეს შავი ფხვნილი ბრილიანტის გულსაბნევს აცვია, რომელიც ლუდვიგსონს, ღმერთმა უწყის, რატომ მიუტყუებია მისთვის...

დანიელი წამით შეჩერდა, ერთმა აზრმა გაუელვა და გაეღიმა:

— ...ნანერევების გროვაზე აბრდღვიალებული ფარანივით! — დაუმატა მან.

ჟაკს გაეღიმა: დანიელის ენამახვილობას მუდამ მოთმინებით იტანდა.

— საინტერესოა, შენ რატომ გაგიმხილა თავისი ოჯახის ეს გულისამრევი საიდუმლოება?

— ვერ წარმოიდგენ, რა სწორად გამოთქვი! ახალი გეგმები გასჩენია. არაჩვეულებრივი ტიპია!

— არაჩვეულებრივი ტიპი იმიტომაა, რომ უმდიდრესი კაცია. აბა ერთი ვინმე ღარიბ-ღატაკი იყოს, ნამდვილი...

დანიელმა შეაწყვეტინა:

— თავი დაანებე ვეთაყვა. ეს კაცი მე მომწონს და არც მისი გეგმაა სულელური: მონოგრაფიათა სერია უნდა, გამოსცეს. „ხელოვნების ოსტატთა სურათები“. გადაუწყვეტია რეპროდუქციათა კრებულები დაბეჭდოს და შემდეგ განსაკუთრებულ ფასებში გაყიდოს...

---

1 ბიჭუნა (იტ.).

ყაკი აღარ უპმენდა; უგუნებოდ იყო; დარდი შემოსწოლოდა. ნეტავი რატომ? დაღლილობის ბრალი თუ იყო? ან, იქნებ, მთელი დღის ნერვიულობისა? იქნებ, ნანობდა, ამხანაგებს რად წამოვყევი და მარტო არ დავრჩიო, რაც ასე ძალიან სურდა? ან იქნებ იმიტომ, რომ საყელო კისერს უჭრიდა?

ბატრენკური შუაში ჩაუდგა ორ მეგობარს. იგი შემთხვევას ეძებდა ეთხოვა, ქორწილზე მოწმედ გამომყევითო. რამდენიმე თვის განმავლობაში, დღედაღამ, დაუოკებელი აღტყინებით ოცნებობდა ამ დღეზე და მისი ისედაც გაკნაჭული სხეული თვალდათვალ ჩამომდნარიყო; სამაგიეროდ, თითქმის მიაღწია მიზნისთვის. კანონით გათვალისწინებული ვადა, რაც მშობლების წინააღმდეგობისათვის ანგარიშის გასაწევადაა განკუთვნილი, ახლახან გასულიყო და სწორედ იმ დილით ქორწინების დღეც დაენიშნათ: „ორი კვირის შემდეგ"... — გაიფიქრა მან და სახეზე სისხლი მოაწვა; სიწითლის დასაფარავად თავი გვერდზე მიაბრუნა, ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— არ გაინძრე! — წამოიძახა დანიელმა, — ვერ წარმოიდგენ, თიკანი, როგორ გიგავს პროფილი!

მართლაც, ბატრენკურს გრძელი, ტუჩებამდე ჩამოზრდილი ცხვირი, რკალისებური ნესტოები და მრგვალი თვალები ჰქონდა, ხოლო იმ საღამოს თმის კულული ოფლს საფეთქლებზე მიეწებებინა და პატარა, წვეტიან რქას მიუგავდა.

ბატრენკურმა ნაღვლიანად დაიხურა ქუდი და სადღაც შორს, კარუსელის მოედნის* მიღმა, ტუილრის ბაღისკენ გააპარა მზერა, სადაც მტვრის ზოლებს წითელი ფერი დასდებოდა.

„საცოდავი კიკინა თიკანი! — ფიქრობდა დანიელი. — ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი ვნებიანი ყმაწვილი იქნებოდა? იმ ქალის გულისთვის მთელი თავისი პრინციპები უარყო, ოჯახს წაეჩხუბა... თოთხმეტი წლით უფროსი ქვრივის გულისთვის, რომელიც თანაც ხნედაცემული ქალია... მართალია, მაღალსადღეგრძელი კია, მაგრამ მაინც ხნედაცემულია..."

მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. მოაგონდა გასული შემოდგომის დღე, როცა სიმონი ჩააცივდა, ეს ლამაზი ქვრივი გამაცანიო: მერე ისიც გაიხსენა, რაც ამ გაცნობას მოჰყვა ერთი კვირის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში სინდისი სუფთა ჰქონდა: აკი ყოველი ღონე იხმარა, რომ ბატრენკურს ეს უგუნური საქციელი არ ჩაედინა; მაგრამ რა ექნა, მეტისმეტად სულელურ ქინს წააწყდა! და რაკი ყოველგვარ ვნებას პატივს სცემდა, იმით დაკ-

მაყოფილდა, რომ იმ ქალთან შეხვედრას ერიდებოდა და საქორწინო ავანტიურის პერიპეტიებს მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალს.

— ბედნიერ კაცს სრულიად არ შეეფერება ისეთი მელანქოლიური იერი, როგორიც თქვენ გაქვთ! — უთხრა ბატენკურმა ჟაკს და ამით ცდილობდა დანიელის დაჟინვით მიღებული წყენის სამაგიერო ჟაკისთვის მიეზღო.

— ნუთუ ვერ გაიგე, რომ მას იმედი ჰქონდა ჩავიჭრებით?! — დაუყვირა დანიელმა.

ჟაკმა ისეთი დაფიქრებული თვალებით შეხედა, დანიელი გაოცებული დარჩა, ახლოს მივიდა, ხელი მხარზე ჩამოადო და ღიმილით წასჩურჩულა:

— „...რადგან ყოველ საგანს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს!“

ამ სიტყვებმა ჟაკს მთელი ის ნაწყვეტი მოაგონა, რომლის ციტირება ასე ძალიან უყვარდა დანიელს:

„ვაი შენ, თუ ამბობ, ჩემი ბედნიერება მხოლოდ იმიტომ გაქრა, რომ ასეთ ბედნიერებაზე არ მიოცნებიაო... ხვალინდელ დღეზე ოცნება — სიხარულია, მაგრამ ხვალინდელი დღის სიხარული — სულ სხვა რამ არის, და საბედნიეროდ, არაფრით წააგავს წინანდელ ოცნებას შენსას, რადგან ყოველ საგანს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს!“

ჟაკს გაეღიმა.

— სიგარეტი მომეცი! — უთხრა მან დანიელს და მის საამებლად სახიდან ნაღვლის მოშორება სცადა.

„ხვალინდელ დღეზე ოცნება — სიხარულია!“ ასე ეგონა, რაღაც, ჯერ კიდევ მიუწვდომელი სიხარული მართლაც ტრიალებდა მის ირგვლივ. ხვალ? გაიღვიძებს და ღია ფანჯრიდან ხის კენწეროებს მიღმა ამოსულ მზეს დაინახავს! ხვალ ხომ მეზონ-ლაფიტი და მისი ჩრდილოვანი პარკის სიგრილე ელის?!

## II

ოპერის კვარტალის ამ უკაცრიელ ქუჩაზე ქვაფენილის გასწვრივ ფარდაჩამოშვებულ, უაბრო კაბარეს ფასადთან ჩამწკრივებული მანქანებიდა იპყრობდა ყურადღებას. მსახურმა მბრუნავ კარს ხელი ჰკრა. დანიელმა უკან დაიხია, ჟაკი და ბატენკური ისე გაუშვა წინ, იტყოდით, სტუმრებს საკუთარ სახლში ეპატიჟებაო.

თავშეკავებული წამოძახილებით შეხვდნენ დანიელს. აქ მას „წინასწარმეტყველს“ ეძახდნენ და ბარის მუდმივ სტუმართაგან ძალიან ცოტამ იცოდა მისი ნამდვილი სახელი. ბევრი ხალხი არც იყო დარბაზში. ბარის უკან,

შედრმავებულ ადგილას ვიწრო, ხვეული თეთრი კიბე, რომელიც კედლების ხის პანელების მსგავსად ოქროსფერი სახეებით იყო მოხატული, ქალბატონი პეკმელის ანტრესოლზე ადიოდა, სადაც პიანინოზე, ვიოლინოსა და ვიოლონჩელზე იმ სეზონის ვალსს უკრავდნენ. იატაკზე მეწამული ხალიჩა ეფინა და რამდენიმე წყვილი ბოსტონს ცეკვავდა ჩამავალი მზის შუქზე, რომელსაც გიპიურის ფარდები მკრქალ ფერს აძლევდა.

ვენტილატორი განუწყვეტელი ზუზუნით არხევდა ჭადის საკიდრებსა და პალმის მწვანე ტოტებს, ხოლო მოცეკვავეებს მუსლინის შარფებს უფრიალებდა.

ჯაკი, რომელსაც უცხო გარემო მაშინვე აბრუებდა, უსიტყვოდ მიჰყვა დანიელს და მაგიდასთან მივიდა, საიდანაც ორი მომიჯნავე დარბაზი მოჩანდა. უკანა ოთახში ბატენკური ახალგაზრდა ქალების ჯგუფს მიკედლებოდა და უკვე ცეკვავდა.

— შენ მუდამ ძალით უნდა წამოგათრიოს კაცმა! — უთხრა დანიელმა ჯაკს. — დარწმუნებული ვარ, ახლა კიდეც მოგწონს აქაურობა. გამოტყდი, რომ ეს პატარა ბარი ძალიან მყუდრო და სასიამოვნოა.

— ჩემთვის კოკტეილი შეუკვეთე! — უკმეხად მიუგო ჯაკმა. — რძით, მოცხარით და ლიმონის ცედრით!

სტუმრებს თეთრი ტილოს სამოსში გამოწყობილი „გერლს“[1] ემსახურებოდნენ, რომელთაც ზედმეტ სახელად „მოწყალების დებს“ ეძახდნენ.

— გინდა შორიდან გაგაცნო ამ ბარის ზოგიერთი მუდმივი მეინახე? — განაგრძო დანიელმა, ადგილი მოინაცვლა და ჯაკს მიუჯდა. — პირველ ყოვლისა, ცისფერ კაბაში გამოწყობილი ქერა მანდილოსანი დიასახლისი გახლავს. მას „დეიდა პეკმელს“ უწოდებენ, თუმცა, როგორც ხედავ, ჯერ კიდევ საკმაოდ მადისაღმძვრელი ბანოვანია. მართლა გეუბნები! მთელი საღამო ღიმილით მიდი-მოდის თავის ახალგაზრდა კლიენტებს შორის; იგი წააგავს სახელგანთქმულ მკერავს, რომელსაც თავისი მანეკენების გამოფენა მოუწყვია. აბა, იმ შავგვრემან ტიპს დააკვირდი, მას რომ მიესალმა, ახლა კი იმ ფერმკრთალ გოგოს ელაპარაკება, ბატენკურთან რომ ცეკვავდა წეღან, არა, აქეთ რომ დგას... ამ ქერა გოგოს პოლი ჰქვია, სახე ანგელოზს მიუგავს, ოღონდ ოდნავ დაცემულ ანგელოზს... შეხედე, რაღაც უცნაურ სასმელს წრუპავს, ალბათ, მწვანე კიურასოა. ჰოდა, ის ტიპი, მას რომ ელაპარაკება, მხატვარი ნიკოლსკია, დიდებული ეგზემპლარი: ცრუპენტელა, თაღლითი, მაგრამ რაინდული ბუნებისა. მუდამ, როცა კი რომელიმე პაც-

---

[1] გოგონები (ინგლ.).

მანზე დაუგვიანდება, ამბობს, დუელი მქონდაო, და იმ წუთში თვითონვე სჯერა თავისი გამონაგონისა. სულ ფულს სესხულობს, სულ უფულოდაა, მაგრამ რაკი ნიჭი არ აკლია, ვალის საფასურად სურათებს იძლევა. საქმის გასაადვილებლად იცი, რა მოიგონა? ზაფხულობით სოფელში მიდის და ორმოცდაათ მეტრიან ტილოზე შარაგზას ხატავს, ჰო, მთელ გზას, ხეებით, ურმებით, ველოსიპედებით, მზის ჩასვლის პეიზაჟით; ხოლო ზამთრობით მევალის ფიზიონომიისა და ვალის თანხის მიხედვით ამ გზას ნაწილ-ნაწილ ჭრის. ირწმუნება, რუსი ვარ, მრავალი ყმის პატრონიო. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, რასაკვირველია, ყველა დასცინოდა, რადგან მისი პატრიოტიზმი მონმარტრზე* დარჩენითა და კაფეებში ყოფნით ამოიწურებოდა. ჰოდა, იცი, რა ჰქნა? წავიდა, მთელი წელიწადი არ გამოჩენილა და მხოლოდ პორტარტურის აღების შემდეგ დაბრუნდა. თან ჩამოიტანა ომის ამსახველი უამრავი ფოტოსურათი, რომლითაც ჯიბეები ჰქონდა გამოტენილი. ამბობდა: „ხედავთ, ძვირფასო, პოზიციაზე განლაგებულ ამ ბატარეას? მის უკან უზარმაზარ კლდესაც ხომ ხედავთ? კლდის უკან თოფის ლულას თუ ამჩნევთ? ჰოდა, ძვირფასო, აი, ის მე ვარ“. ამასთან ეტიუდებით სავსე რამდენიმე საქაღალდეც ჩამოიტანა და მომდევნო ორი წლის განმავლობაში სიცილიური პეიზაჟებით იხდიდა ვალებს... შეხედე, ეტყობა. იგრძნო, მასზე რომ ვლაპარაკობდი: სიამოვნებისგან ინდაურივით გაიფხორა.

ჟაკი იდაყვებით დაყრდნობოდა მაგიდას და ხმას არ იღებდა. ასეთ პოზაში მუდამ უაზრო გამომეტყველება ჰქონდა: ნახევრად დაღებული პირი, ჩამქრალი თვალები, პირუტყვული გამოხედვა, მთვლემარე და კუშტი. იგი ყურს უგდებდა მეგობარს და თან ნიკოლსკისა და პოლს ათვალიერებდა. გოგონას პომადა ეჭირა ხელში, შემდეგ ტუჩები მოამრგვალა, ზედ წითელი პომადა მიადვა და ისე დაატრიალა, თითქოს ბურღავსო. მხატვარი შესცქეროდა და თან მის საფულეს თითზე ატრიალებდა. აშკარად ჩანდა, მათ შორის მხოლოდ ამხანაგური დამოკიდებულება იყო, თუმცა ქალი წამდაუწუმ ადებდა ხელს მკლავზე, მუხლებზე, უსწორებდა ჰალსტუხს; ერთბაშად მხატვარი მისკენ დაიხარა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ქალმა თავისი პატარა, ფერმიხდილი ხელი სახეზე მიაფარა და სიცილით განზე გასწია... ჟაკი შეიშმუშნა.

პოლის ახლოს ვიღაც შავგვრემანი ქალი მარტო იჯდა კუთხეში. შავი ატლასის მოსასხამს შემცივნებულივით ტანზე იხვევდა და თვალს არ აშორებდა პოლს, რომელიც მას ვერც კი ამჩნევდა.

ჟაკი დაფიქრებული გადაჰყურებდა ამ ბრბოს. უკვირდებოდა მათ თუ თხზავდა რასმეს? ცოტა ხნით თუ დააცქერდებოდა რომელიმე მათგანს,

მაშინვე რაღაც რთულ გრძნობებს მიაწერდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, სულაც არ ცდილობდა გაეანალიზებინა ყოველივე, რასაც ხედავდა; სულ ერთია, თავის გუმანს სიტყვებით მაინც ვერ გამოხატავდა, ნანახი კი იმდენად იტაცებდა, გაორება და რისამე აღნუსხვა არ ძალუძდა. მაგრამ გარეშე ხალხთან ამგვარი — წარმოსახვითი თუ ჭეშმარიტი — ურთიერთობა მაინც აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა.

— ის მაღალი ქალი ვინდაა, ბარმენს რომ ელაპარაკება?

— ლურჯი ფარშევანგი?- მარგალიტის მძივი მუხლამდე რომ სცემს?

— ჰო. რა ბოროტი გამომეტყველება აქვს!

— ეს მარი-ჟოზეფია. საკმაოდ ლამაზი ქალია. სახელიც იმპერატორის მეუღლისა აქვს. მისი მარგალიტების ისტორია კი ძალიან სასაცილოა. ყური მიგდე, — ღიმილით განაგრძო დანიელმა, — ეს ქალი პარფიუმერის ვაჟის, რეივილის საყვარელი იყო; რეივილს კანონიერი მეუღლე ჰყავდა, რომელიც ბანკირ ჟოსთან ღალატობდა. ყურს მიგდებ?

— რა თქმა უნდა, მთელი გულისყურით გისმენ.

— რა ვიცი, ისეთი სახე გაქვს, თითქოს გძინავს... ჰოდა, ერთ დღეს ჟოსმა, რომელიც უმდიდრესი კაცი გახლავს, გადაწყვიტა თავისი საყვარლისათვის, ქალბატონი რეივილისათვის მარგალიტები ეჩუქებინა. დიდხანს იფიქრა, ისე როგორ მოქცეულიყო, რეივილს ეჭვი არ მიეტანა. მაგრამ ჟოსი გამოჯაგული კაცია: მან ლატარია მოაწყო ცოდვამონანიებული მეძავების სასარგებლოდ, მისი საყვარლის ქმარს, რეივილს ოც სუდ ღირებული ათი ბილეთი მიჰყიდა და მისი ცოლისთვის განკუთვნილი ყელსაბამი მოაგებინა. მაგრამ სწორედ აქ აირდაირია მონასტერი: რეივილმა წერილი მისწერა ჟოსს, მადლობას უხდიდა ასეთი სიკეთისათვის და თხოვდა, ლატარიის შესახებ არაფერი ეთქვა ქალბატონი რეივილისთვის, რადგან მარგალიტების ყელსაბამი თავისი საყვარლისათვის, მარი-ჟოზეფისთვის გაეგზავნა... მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ბოლოა. გაოცებულ ჟოზსს ერთი ფიქრიღა უტრიალებდა თავში: როგორმე ან ყელსაბამი ჩაეგდო ხელში, ან ქალი, რომელსაც იგი აჩუქეს. სამი თვის შემდეგ მან მიატოვა ქალბატონი რეივილი და ჩვენს მეგობარს, რეივილს საყვარელი წაართვა; ერთი სიტყვით, უყელსაბამო ცოლი ყელსაბამიან საყვარელში გადაცვალა. იმ ჩვენს რეივილს კი სულ გადაავიწყდა, ყელსაბამი მხოლოდ ორასიოდე სუ რომ დაუჯდა და ვისაც მოიხელთებს, კურტიზანების წარმოუდგენელ უსინდისობაზე ელაპარაკება ღვარძლიანად...

— გამარჯობათ, ვერა, — წაილაპარაკა დანიელმა და ხელი ჩამოართვა დარბაზში ახლახან შემოსულ ახალგაზრდა, ლამაზ ნამაკავს, რომელსაც

წამოძახილებით შეხვდნენ: „გარგარს გაუმარჯოსო“! — ხომ იცნობთ ერთმანეთს? — ჰკითა მან ჟაკს, რომელმაც უგულოდ გაუწოდა ხელი ვერფს. — გამარჯობათ, მშვენიერო! — შესძახა დანიელმა, სწრაფად დაიხარა და ხელზე ეამბორა რუსი მხატვრის ფერმიხდილ ამხანაგს, პოლს: — ნება მიბოძეთ ჩემი მეგობარი ტიბო გაგაცნოთ!

ჟაკი წამოდგა.

ახალგაზრდა ქალმა წამით თვალი შეავლო ჟაკს, სამაგიეროდ, ავადმყოფური გამოხედვა უფრო დიდი ხნით დანიელზე შეაჩერა; ჩანდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და გზა განაგრძო.

— გეტყობა. აქაურობის ხშირი სტუმარი ხარ! — უთხრა ჟაკმა დანიელს.

— არა. თუმცა, მართალი ხარ. უკვე ჩვეულებად მექცა. კვირაში რამდენჯერმე მაინც შემოვივლი. მიუხედავად ამისა, ერთი და იგივე ადგილი და ხალხი საერთოდ ძალიან მალე მბეზრდება. მიყვარს, როცა ცხოვრების დინებას ვგრძნობ.

„ჩარიცხული ვარ!“ — გაიფიქრა უცებ ჟაკმა, მთელი მკერდით ამოისუნთქა და ერთმა აზრმა გაუელვა:

— ხომ არ იცი, მეზონ-ლაფიტის ტელეგრაფი რომელ საათზე იხურება?

— უკვე დაკეტილია. მაგრამ თუ ამ საღამოს დეპეშას გაგზავნი, მამაშენი ხვალ დილა-ადრიან მიიღებს.

ჟაკმა მსახური იხმო:

— ქაღალდი და მელანი მომიტანეთ!

დეპეშის შედგენას ისეთი გულმოდგინებით შეუდგა, ეს დაგვიანებული მოუთმენლობაც, — რაც შეიძლება სწრაფად შეეტყობინებინა თავისი წარმატება, — იმდენად დამახასიათებელი იყო ჟაკისთვის, რომ დანიელს გაეღიმა. მისკენ გადაიხარა, უნდოდა წაეკითხა, რას წერდა. მაგრამ ერთბაშად განზე გაიწია — ნახულმა გააოცა, განსაკუთრებით კი საკუთარი მოურიდებლობისა შერცხვა: ბატონ ტიბოს მისამართის ნაცვლად, ეს სიტყვები ამოიკითხა: „მეზონ-ლაფიტი, შმენ ლა ფორე, ქალბატონ დე ფონტანენს!“

საყოველთაო ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ბარის მუდმივმა სტუმარმა, ხანშიშესულმა ქალმა, რომელიც ლამაზი, შავგვრემანი ქალიშვილის თანხლებით შემოვიდა. ახალგაზრდა ქალის არცთუ მოკრძალებული, მაგრამ დაძაბული იერი მაშინვე გაფიქრებინებდათ, აქ პირველადააო.

— ოჰო, ახალბედა მოიყვანეს! — ჩაილაპარაკა დანიელმა. გვერდზე ვერფმა ჩაიარა და ღიმილით გაეხმიანა:

— განა არ იცოდით? დეიდა ჟუჟუმ ახალი გოგო აღმოაჩინა.

„დიდებულია ეს პატარა! — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ავტორიტეტულად გამოაცხადა დანიელმა.

ჟაკმა მოიხედა: მართლაც წარმტაცი გოგონა იყო: ნათელი თვალებით, ფერუმარილს შეუჩვეველი ღაწვებით; მთელი მისი იერსახე მეტყველებდა, რომ პირველად იყო ასეთ ადგილებში. ტანზე ღია ვარდისფერი თხელი ბატისტის სადა კაბა ეცვა, არავითარი სამკაული არ ამშვენებდა. თვით ყველაზე ახალგაზრდა გოგონებიც დამჭკნარ-გახუნებული მოჩანდნენ მის გვერდით.

დანიელმა ხელახლა დაიკავა ადგილი ჟაკის გვერდით.

— დეიდა ჟუჟუ ახლოს უნდა გაიცნო! — უთხრა მან. — მე კარგად ვიცნობ: საინტერესო ტიპია. საზოგადოებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ჟუჟუს, საკმაოდ კარგ ბინაში ცხოვრობს; მიღების დღეც აქვს, საღამოებს აწყობს და ახალბედებს მფარველობს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არავისი ხასა არ ყოფილა არასოდეს. მუდამ წესიერ მეძავად ითვლებოდა და არც მაღალ სფეროებში მოხვედრას ცდილა. ოცდაათი წლის განმავლობაში რეგისტრირებული მეძავი იყო, მისი უბანი წმინდა მადლენის* ეკლესიასთან იწყებოდა და დრუოს ქუჩასთან მთავრდებოდა. მაგრამ ცხოვრება ორად ჰქონდა გაყოფილი: დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე ქალბატონი ბარბენი ერქვა, რიშეს ქუჩაზე ანტრესოლი ეჭირა და უბრალო მეშჩანივით ცხოვრობდა: ოთახში ჭაღი ეკიდა, მოახლე ჰყავდა და ისეთივე საზრუნავებით იყო გართული, რაც ყოველ წვრილ ბურჟუას აქვს ხოლმე: ხარჯთაღრიცხვის წიგნით, ბირჟის ბიულეტენით, რითაც თავის დაბანდებულ კაპიტალს ადევნებდა თვალს, ყოველგვარი ოჯახური უსიამოვნებებით, ნათესაური კავშირებით: ძმისწული ბარბენები, დისწული ბარბენები, დაბადების დღეები და, წარმოიდგინე, წელიწადში ერთხელ საშობაო ნაძვის ხესაც კი მართავდა ბავშვებისათვის. არ იფიქრო, რამეს ვიგონებდე. ხუთ საათზე, ყოველდღე, ყოველნაირ ამინდში ფანელის კაბის ნაცვლად მდიდრულ კოსტიუმში გამოეწყობოდა და ყოველგვარი გულზიზღობის გარეშე პირად საქმეებზე მიბრძანდებოდა. ახლა იგი ქალბატონი ბარბენი აღარ გახლავთ, არამედ მუდამ მხიარული, კეთილსინდისიერი, დაუქანცველი, ბულვარების სასტუმროებში ცნობილი და დაფასებული ჟუჟუ!

ჟაკი თვალს აღარ აშორებდა დეიდა ჟუჟუს. ქალს პატიოსანი სოფლელი მღვდლის სახე ჰქონდა, ენერგიული, ცქრიალა, ოდნავ ეშმაკური გამომე-

ტყვლებით. მოკლედშეკრეჭილ ჭაღარა თმაზე ჭილის ქუდი მებადურის ქუდივით ეხურა.

— ყოველგვარი გულზიზღობის გარეშე... — დაფიქრებით გაიმეორა მან.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა დანიელმა, შემდეგ ცბიერი, ოდნავ გამომწვევი მზერა გააპარა მისკენ და უიტმენის* ლექსის ორი სტრიქონი წარმოთქვა:

თქვენ ქვაფენილებზე მოწრიალე, ან საკუთარ ოთახებში მემრუშე მეძავებო,
მე ვინ ვარ, რომ ჩემზე მრუშები გიწოდოთ?

„შემოდგომის ნაკადულები"*

დანიელი კარგად იცნობდა ჟაკის მოკრძალებულ ბუნებას, იცოდა, რომ ასეთი საუბარი მას შეურაცხყოფდა, მაგრამ განგებ ექცეოდა ასე; ნერვები ეშლებოდა, რადგან იცოდა, რომ მთელი თვეების განმავლობაში, ჟაკი ძალიან ადვილად, — ვინ იცის, იქნებ, მეგობრის თავაწყვეტილი ქცევის ჯიბრზე — თითქოს უბიწო ცხოვრებას ეწეოდა! დანიელი იმდენად გულუბრყვილო იყო, ჟაკის საქციელი ზოგჯერ კიდეც აშინებდა. მან იცოდა, რომ თვითონ ჟაკსაც აფიქრებდა ხანდახან თავისი ტემპერამენტის პასიურობა, რადგან თდესღაც არც მას აკლდა მგზნებარება. ამ საჩოთირო საკითხს ისინი მხოლოდ ერთხელ შეეხნენ, როცა წარსულ ზამთარს თეატრიდან დაბრუნებისას შეყვარებულთა წყვილებს წამდაუწუმ ხვდებოდნენ დიდ ბულვარზე. მეგობრის გულგრილობამ დანიელი გააოცა, მაგრამ პასუხად ჟაკმა ესღა უთხრა: „სხვათა შორის, მე ძალიან მაგარი აგებულებისა ვარ. ჯარში გასაწვევ კომისიაზე დავრწმუნდი, რომ თურმე ყველაზე ჯანმრთელთა რიცხვს ვეკუთვნი!" დანიელს ახლაც ახსოვდა ის ოდნავ შესამჩნევი შეშფოთება, რაც ჟაკის ხმას დაეტყო მაშინ.

ფავრის შემოსვლამ მოგონებები შეაწყვეტინა; შორიდანვე შეამჩნია: ნაძალადევი უდარდელობით ქუდს, საბიჯგ ჯოხსა და ხელთათმანებს აბარებდა მეგარდეროზეს და თან მათკენ იყურებოდა.

— შენი ძმა ჯერაც არ მოსულა? — სიცილით ჰკითხა ჟაკს ფავრიმ.

ფავრი საღამოობით მეტისმეტად მაღალ საყელოსა და ისეთ ახალთახალ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, იტყოდით, ეს-ესაა მაღაზიიდან ქირით გამოიტანაო. ხოლო ახალგაპარსულ ნიკაპს ისე გამომწვევად იშვერდა წინ, ვერფმა ერთხელ კიდეც იხუმრა: პედაგოგიური სასწავლებელი ბაბილონის დასაპყრობად მიეშურებაო*.

„ჩარიცხული ვარ!" — კვლავ გაუელვა ჟაკს და ერთბაშად იქიდან გაპარვა და ღამის მატარებლით მეზონში წასვლა მოუნდა, მაგრამ მაშინვე

გადაიფიქრა, მოაგონდა, საცაა ანტუანი უნდა მოსულიყო. „არა! — გადაწყვიტა მან, — ხვალ წავალ, დილაადრიან". უცებ თითქოს კიდეც იგრძნო სოფლის სიგრილე: დილის მზეს თითქოს უკვე შეესრუტა ნამი ხეივანში... პეკმელის ბარი ვიდას ახსოვდა!..

მაგრამ უცებ ჭადრები აინთო და ჟაკიც გამოერკვა.

„ჩარიცხული ვარ!" — უკანასკნელად გაიფიქრა მან, თითქოს რეალურ სამყაროსთან თავისი კონტაქტი ამით დაამოწმაო. შემდეგ თვალებით ძებნა დაუწყო მეგობარს და მალე ოთახის კუთხეში შეამჩნია: დანიელი ხმადაბლა ემუსაიფებოდა დეიდა ჟუჟუს. იგი გვერდულად ჩამომჯდარიყო დასაკეც სკამზე და მისი განოცოცხლებული მასლაათი უფრო თვალსაჩინოს ხდიდა ამ ყმაწვილი კაცის კოპწია თავს, ჭკვიანურ სახეს, გამოხედვას, ღიმილს, დაბეჭდილ ხელებს, რომლებიც ოდნავ აეწია ზევით: და ეს ხელები, ღიმილი, გამოხედვა ისეთი მეტყველი გახლდათ, როგორც მისი ბაგეები. ჟაკს თვალი ვერ მოეწყვიტა: „რა ლამაზია! — მისდაუნებურად გაიფიქრა მან. — რა კარგია, როცა აზალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ადამიანს, აი, ასე, მთელი არსებით შეუძლია დატკბეს დღევანდელი დღით, ყოველი წამით! რამდენი ბუნებრიობაა მის ამ თამაშში! მან არც კი იცის, მე რომ ვუყურებ; ამაზე არც ფიქრობს; არავის კონტროლისა არ ეშინია. რა საინტერესოა, როცა ადამიანს სწორედ იმ წუთში მიუსწრებ, როცა არ იცის, რომ უყურებენ, როცა იგი ბუნებრივია! მაგრამ განა არსებობს ისეთი ადამიანი, ვინც ასეთ საჯარო ადგილას იყოს და ირგვლივმყოფებს არ აშჩნევდეს? დანიელი ლაპარაკობს და მთელი გულისყური მხოლოდ საკუთარი სათქმელისკენ აქვს მიპყრობილი. მე კი არასოდეს არა ვარ ბუნებრივი! საკუთარ თავში ასე ჩაკეტვას ვერასოდეს ვერ შევძლებ, — თუკი, რა თქმა უნდა, სადმე ყველასგან მოშორებით არ ვიქნები ოთახში ჩაკეტილი! თუმცა მაშინაც!.. — წამით ჩაფიქრდა. — „თავისთავად, დანიელს დამკვირვებელი კაცის ბუნება არ აქვს. ამიტომაც სანახაობა ჩემსავით როდი ჩაითრევს ხოლმე! მას შეუძლია დარჩეს ისეთი, როგორიცაა!" ჟაკი კვლავ ჩაფიქრდა. „მე კი გარე სამყარო მიტანმთქავს!" — დაასკვნა მან და წამოდგა.

— არა, ჩემო ლამაზო წინასწარმეტყველო, ამაოდ ჩაწცივებიხარ. ეს ბავშვი საშიში არაა! — ეუბნებოდა დეიდა ჟუჟუ დანიელს, რომელმაც ისეთი გაცოცხლებული თვალებით გადახედა, ქალს გაეცინა: — ერთი ამას დახედეთ! „ე მანდ შენთვის იჯექი, ყმაწვილო, ახლავე გაგივლის!" (დეიდა ჟუჟუს ეს უკანასკნელი ფრაზა, სხვა უაზრო ხუმრობასთან ერთად, როგორიცაა: „ბალღო, იყავი ჩემი კერპი!" ან „არავის აინტერესებს!" ანდა „ეს ყველაფერი სისულელეა" — ისეთივე უაზრო გამონათქვამი იყო, რასაც

ყოველ სეზონში ცვლიდნენ და იქაური მუდმივი მეინახეები წამდაუწუმ გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს მრავლისმეტყველი ღიმილით).

— ის მაინც მითხარი, როგორ გაიცანი? — ჩააცივდა დანიელი.

— არა, ჩემო ლამაზო! აკი გითხარი, შენი საკბილო არაა-მეთქი. არაჩვეულებრივი გოგოა, კეთილი, შინაყუდა: ნამდვილი მარგალიტია!

— გამაგებინე მაინც როგორ გაიცანი?

— პირობას მომცემ, რომ ჩამომეხსნები?

— რა თქმა უნდა!

— კეთილი, აბა, მისმინე! შენც ხომ გახსოვს, პლევრიტი რომ მქონდა? ჰოდა, მასაც გაეგო ეს ამბავი, არავისთვის არაფერი არ უკითხავს, თვითონვე მოვიდა. არ დაგავიწყდეს, მე ხეირიანად არც კი ვიცნობდი. მართალია, ერთი-ორჯერ კი დავეხმარე, მაგრამ მეტად უმნიშვნელოდ. (უნდა მოგახსენოთ, დიდი უსიამოვნება შეხვედროდა საწყალს: რაღაც სერიოზული ამბავი გადახდენია თავს, რამდენადაც მივხვდი, მაღალი საზოგადოების მამაკაცი შეყვარებია და ბავშვი — წარმოიდგენდი განა ამას? — მაშინვე მომკვდარა. ამიტომ, საკმარისია მასთან ბავშვი ახსენო, მაშინვე ტირილს იწყებს). ჰოდა, იმას გეუბნებოდი — პლევრიტით რომ ავად გავხდი, ჩემთან მოვიდა-მეთქი, მოწყალების დასავით შემოაღო კარი და ექვსი კვირის განმავლობაში ღვიძლი ქალიშვილივით მივლიდა; დღე-ღამეში ას კოტოშს მაინც მაყრიდა, დიახ, ჩემო კარგო, ნამდვილად გადამარჩინა, თანაც კაპიკი არ დამჯდომია. გეუბნები, ნამდვილი მარგალიტია-მეთქი! სულ ახალგაზრდაა, სიყვარულიანობას მეტი არაფერი გაეგება. გადავწყვიტე საქმეში გავუშვა. იცი რას ნიშნავს „საქმეში გაშვება“? (სხვათა შორის, ამაში შენც შეგიძლია დამეხმარო; ახლავე აგიხსნი, როგორ!). ერთი სიტყვით, სამი დღეა ეს გოგონა გვერდიდან არ მომშორებია. პირველ ყოვლისა, სახელი უნდა შემერჩია. ვიქტორინი ჰქვია. ვიქტორინ ლე გალი! ლე გალს კიდევ არა უშავს, მაგრამ ვიქტორინი — საშინელებაა, ამიტომ რინეტი დავარქვი. ხომ სჯობია, ჰა? ასე და ამგვარად, განვაგრძოთ! კოლენი წესიერ წარმოთქმას ასწავლიდა; ისეთი ბრეტონული წარმოთქმა ჰქონდა, სიცილით მოკვდებოდი. მართალია, ჯერ სრულყოფილად ვერ მოიშორა, მაგრამ შენ წარმოიდგინე, კიდევ უხდება: რაღაც უცხოური, თითქოს ინგლისური აქცენტით ლაპარაკობს და პირდაპირ ჩასაყლაპია! ბოსტონის ცეკვა ორ კვირაში ისწავლა; ბუმბულივით მსუბუქია; თანაც სულელი გოგო არაა, კარგი სმენა და სასიამოვნო ტემბრის, გემრიელი ხმა აქვს. განსაკუთრებით მიყვარს ასეთი ხმა. როგორც ხედავ, ყოველმხრივ შეკრული გოგოა. ამ საღამოს წყალში უნდა შევუშვა: ხალხში გამომყავს. ისეა დაკვირვებია შემხვედრ ქარს დავუცადოთ

და აფრა აღუშვათ! მოიცა, ნუ იცინი! აი, სწორედ ახლა შეგიძლია დამეხმარო. ამ გოგონას შესახებ ლუდვიგსონს ველაპარაკე; იმის შემდეგ, რაც ბერტამ მიატოვა, შეშლილივით ედება დობე-ყორეს. დამპირდა, ამ საღამოს აქ შემოივლიდა მის სანახავად. შენ მხოლოდ უთხარი, მომწონს-თქო და მაშინვე დაკარგავს ჭკუას. გესმის? ამ ბავშვს სწორედ ლუდვიგსონისთანა მამაკაცი სჭირდება. ერთი აზრი აქვს აკვიატებული: რაც შეიძლება მეტი მაყუთი დააგროვოს და ბრეტონში დაბრუნდეს. რას იზამ, ბხუთი გემოვნება აქვს! ყველა ბრეტონელი ასეთია: ბაზრის მოედანზე — ქოხმახი, თავზე — თეთრი ჩაჩი და ლიტანიები! მორჩა! მთელი შენი ბრეტონი ესაა! ოქროს მთებს არ თხოულობს, ჭკუიანად თუ იქნება და კეთილ რჩევას დაუჯერებს, საწადელს თვითონვე მიაღწევს! მინდა ოციოდე ასიგნაცია პირველივე ხი-ფთაზე გადავადებინო შავი დღისთვის, მერე კი მე ვიცი, როგორც დავუბანდებ ამ ფულს! შენ კი ერთი ეს მითხარი, ოქროს საბადოებში თუ ერკვევი?

— სუფრას შემოუსხედით! — გაისმა ერთბაშად აქეთ-იქიდან.

დანიელი ჟაკს მიუახლოვდა.

— შენი ძმა არ გამოჩენილა? წამო, დავსხდეთ!

ხმაური ამტყდარიყო ოცი კაცისათვის გაწყობილი სუფრის ირგვლივ. დანიელმა იმდენი იწრიალა, ჟაკი რინეტის მხარმარცხნივ დააყენა; დეიდა ფუფუ წამით არ ტოვებდა გოგონას და მარჯვენა მხარეს ტყუპასავით მიჰკვროდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიკავა და ჟაკიც დაჯდომას აპირებდა, დანიელმა ხელი წაჰკრა:

— ადგილი გამიცვალე!

უთხრა მან, პასუხისთვის არ დაუცდია და განზე რომ გაეწია, მხარზე ისე მაგრად ჩაავლო თითები, ჟაკს კინაღამ ყვირილი აღმოხდა. დანიელს ბოდიშიც არ მოუხდია.

— დეიდა ფუფუ, — წაილაპარაკა მან, — ზრდილობა მოითხოვს, მეზობელი ქალიშვილი გამაცნოთ!

— ოჰ, შენ... — წაიბუზღუნა დედაბერმა, რომელიც ახლაღა მიუხვდა დანიელს მის ფანდებს. შემდეგ სუფრის წევრებს მიმართა: — გაიცანით მადმუაზელ რინეტი! — და დაუმატა: — იცოდეთ, ჩემი პროტეჟეა!

— ჩვენი სახელებიც უთხარით, ჩვენიც! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— აჰა, ატეხეს ალიაქოთი! — ამოიოხრა დეიდა ფუფუმ, ზლაზვნით წამოდგა. ქუდი მოიხადა და გადაუგდო ერთ-ერთ „მოწყალების დას", რომელიც სუფრას ემსახურებოდა.

— წინასწარმეტყველი! — შეუდგა იგი სტუმრების ჩამოთვლას და პირველად დანიელზე მიუთითა. — ლამაზი ყმაწვილი!

— საღამო მშვიდობისა, ბატონო! — ღიმილით წაილაპარაკა გოგონამ.

დანიელი ხელზე ეამბორა.

— განაგრძეთ!

— მისი მეგობარი. სახელი არ ვიცი. — განაგრძო დეიდა ჟუჟუმ და ჟაკისკენ გაიშვირა ხელი.

— გამარჯობათ, ბატონო! — უთხრა რინეტმა.

— შემდეგ: პოლი, სილვია, ქალბატონი დოლორეს და უცნობი ბავშვი: სასწაულის შვილი. ვერფი, იგივე გარგარი. გაბი. მათარა...

— გმადლობთ, — ჩაიქირქილა ვიღაცამ. — მაინც მირჩევნია ჩემი წინაპრების გვარით გამიცნოთ, მადმუაზელ: ფავრი, თქვენი დიდი თაყვანისმცემელი...

— „*ბავშვო, იყავ ჩემი კერპი!*“ — გაისმა დამცინავი ხმა.

— ლილი და ჰარმონიკა ანუ განუყრელნი, — სიტყვა ჩამოართვა დეიდა ჟუჟუმ და წამოძახილებს ყურადღებას არ აქცევდა. — პოლკოვნიკი. მშვენიერი მო. ჩემთვის უცნობი მამაკაცი ორ მანდილოსანთან ერთად, რომელთაც კარგად ვიცნობ, მაგრამ სახელები დამავიწყდა. ცარიელი ადგილი. მეორეც idem. ბატენკური, მეტსახელად „*პატარა ბატი*“. მარი ჟოზეფი და მისი მარგალიტები. ქალბატონი პეკმელი. და ბოლოს, დეიდა ჟუჟუ! — რევერანსით დაამთავრა მან.

— გამარჯობათ, ბატონო! საღამო მშვიდობისა, მადმუაზელ!

— საღამო მშვიდობისა, ბატონო! — გამარჯობათ! — ვერცხლივით წკრიალა ხმით იმეორებდა რინეტი და გულღიად იღიმებოდა.

— მას მამზელ რინეტი კი არ უნდა ერქვას, არამედ მამზელ გამარჯობა! — შენიშნა ფავრმა.

— თანახმა ვარ! — კვერი დაუკრა გოგონამ.

— მამზელ გამარჯობას სადღეგრძელო იყოს!

გოგონა იცინოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ მის პატივსაცემად ამტყდარი ეს ალიაქოთი სიამოვნებას ჰგვრიდა.

— ახლა კი მოდით, წვნიანს შევექცეთ! — შესთავაზა სტუმრებს ქალბატონმა პეკმელმა.

ჟაკმა მუჯლუგუნი გაჰკრა დანიელს, ბეჭდისებრი წითელი ნაკვალევი დაანახვა თავის მაჯაზე და ჰკითხა:

— რა იყო წეღან, რამ გიკბინა?

დანიელის მხიარულ გამოხედვაში არავითარი სინდისის ქენჯნა არ იგრძნობოდა, პირიქით, აღგზნებული, ოდნავ ველური თვალებით შეჰყურებდა მეგობარს.

— მე ისა ვარ, ვინც სიყვარულის ჟინს აუფორიაქებია! — ხმადაბლა უპასუხა მან.

ჟაკმა თავი დახარა, უნდოდა კარგად შეეთვალიერებინა რინეტი, რომელმაც სწორედ იმ დროს მიაბრუნა მისკენ თავი და თვალები შეანათა: მწვანე, უბეწიკვლო, ხამანწკასავით სველი თვალები.

დანიელი განაგრძობდა,

„განა დედამიწა იზიდავს? განა ყოველი მატერია აფორიაქებული არაა სხვა მატერიის მიზიდულობით? ჩემი სხეულიც ასევე მიილტვის იმისკენ, ვისაც ვხვდები ან ვიცნობ“.

(ადამის შვილები)

ჟაკი მოიღუშა. არაერთხელ ყოფილა მოწმე დანიელის ამ ვნებიანი აღტყინებისა, რაც ისეთი სიძლიერით უბიძგებდა თავდავიწყებისაკენ, რომ ვერავითარი ძალა ვერ აკავებდა და ყოველი ასეთი შემოტევის შემდეგ ჟაკის მეგობრულ გრძნობებს თითქოს რაღაც აკლდებოდა. მაგრამ ახლა ერთმა სასაცილო დეტალმა ფიქრები შეაწყვეტინა: შეამჩნია, რომ დანიელის ცხვირს ყარაჩი ბალანი მოსდებოდა შიგნიდან და ნესტოები ნიღბის ჭრილებს დამსგავსებოდა. შემდეგ თვალი შეავლო ორაკულის თითებს, გრძელ, თლილ, აქა-იქ ასეთივე ბუსუსებით დაფარულ თითებს. „ბანჯგვლიანი მამაკაცი! — გაიფიქრა ჟაკმა და სიცილი ძლივს შეიკავა.

ამ დროს დანიელი მისკენ დაიხარა და კილოშეუცვლელად, თითქოს უიტმენის ციტატს ამთავრებსო, გადაულაპარაკა:

— ჭიქა შეუვსე შენს მეზობელს, ძვირფასო.

— ქალბატონო პეკმელ, მენიუ გაურკვეველი ხელით დაუწერიათ დღეს, — ენა მოიჩლიქა ვიღაცამ სუფრის ბოლოში.

— ქალბატონი პეკმელი ორ ნოლს მიიღებს! — განაცხადა ფავრმა.

— არაფერია. მთავარია ჯანმრთელობა! — ფილოსოფიურად შენიშნა ქერა ქალმა.

ჟაკის გვერდით პოლი, ფერმკრთალი სახის ზნედაცემული ანგელოზი იჯდა, იქით — მკერდფოფინა ქალიშვილი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში დუმდა და თითოეული ლუკმის შემდეგ ტუჩებს იწმენდდა; ცოტა მოშორებით, თითქმის ჟაკის პირდაპირ, შუბლზე კულულებჩამოშლილი შავგვრემანი ქალის გვერდით, რომელსაც დეიდა ჟუჟუმ ქალბატონი დოლორესი უწოდა, შავ, ღარიბულ ტანსაცმელში გამოწყობილი შვიდი-რვა წლის ბიჭუნა თვალაციმციმებული შესცქეროდა სტუმრებს და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— თქვენთვის ჯერაც არ მოუტანიათ წვნიანი? — ჰკითხა ჟაკმა თავის მეზობელ ქალს.

— გმადლობთ, მე წვნიანს არ ვჭამ.

იგი ერთთავად თავდახრილი იჯდა და თუკი აიხედავდა, მხოლოდ დანიელს უყურებდა. ბევრი ეცადა, როგორმე დანიელის გვერდით მოხვედრილიყო, მაგრამ ბოლო წუთს შეამჩნია, ჟაკსა და დანიელს ადგილები რომ შეეცვალათ. ამიტომ ბრაზობდა ჟაკზე. ეს მუწუკებიანი, ძირმაგარებით კისერდაღრღნილი ბიჭი საიდანღა გაჩნდაო, ფიქრობდა იგი. წითური მამაკაცები საერთოდ ეჯავრებოდა, ამ წაბლისფერთმიან ყმაწვილს კი სწორედ წითური ფერი დაჰკრავდა, თანაც ბალანმოდებული შუბლის, გაფთხვენილი ყურებისა და უცნაური ყბის გამო ველურ პირუტყვს მიამსგავსა.

— რაღას უცდი, ხელსახოცს რატომ არ იკრავ? — ხმამაღლა უთხრა ქალბატონმა დოლორესმა პატარა ბიჭს, შეანჯღრია და ცილინდრისფორმიანი ხელსახოცი ისე შემოახვია კისერზე, ბავშვს სახე თითქმის აღარ უჩანდა.

— როცა ქალი თვითონვე აღიარებს რამდენი წლისაა, ეს ნიშნავს, რომ მისთვის ასაკს მნიშვნელობა აღარა აქვს — ხმამაღლა ეკამათებოდა ფავრი მარი-ჟოზეფს, — მე თქვენ გეუბნებით, ზუსტად ორმოცდახუთი წლის წინ, როცა იგი კონსერვატორიაში შედიოდა, ინდენად შეღერებული იყო, უმცროსი დის მეტრიკა წარადგინა და ამით ორი წლით მაინც გაიახალგაზრდავა თავი. ასე რომ, გამოდის...

— ეს არავის აინტერესებს! — ჩაილაპარაკა დეიდა ჟუჟუმ.

— ფავრი საღადმოაზროვნე ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც მანამ არ ჩაებმება საუბარში, სანამ არ გაიხსენებს, რომ სიმძიმის ძალის აჩქარება პარიზში 9 მეტრსა და 80 სანტიმეტრს უდრის. — განაცხადა ვერფემ, რომელიც ოდესღაც ცენტრალურ სკოლაში* აპირებდა შესვლას. მას სახის ფერის გამო შეარქვეს გარგარი: ღია ცისქვეშ სპორტულ ვარჯიშს კანი ოქროსფრად აელაპლაპებინა და ჭორფლითაც დაეფარა. სხვა მხრივ, შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცი გახლდათ: მხარბეჭიანი, ძლიერი, გამოწეული ყვრიმალითა და მსხვილი ტუჩებით; მისი ლურჯი თვალების ელვარება და აპრიალებული ლოყები იმის მაუწყებელი იყო საღამოობით, რომ მთელი დღის განმავლობაში ნავარჯიშევი კუნთები უზადო ფორმაში ჰქონდა.

— არავინ იცის, რით მოკვდა! — თქვა ვიღაცამ.

— ის თუ იცოდი, რით ცხოვრობდა? — დაცინვით ჰკითხა მეორემ.

— აბა, ჩქარა, — ეუბნებოდა ქალბატონი დოლორესი ბავშვს, — იცი, საცაა დესერტს მოიტანენ და შენ არ მოგცემენ.

— რატომ? — ჰკითხა ბიჭმა და სხივჩამდგარი თვალები მიანათა.

— თუ ვეტყვი, არ მოგცემენ. გირჩევნია, დამიჯერო და ჩქარა შეჭამო!

ქალმა ჟაკის ყურადღებიანი შემოხედვა შეამჩნია და თანამოაზრესავით გაუღიმა.

— იცით, ძალიან ჭირვეულია ჭამაში! — თქვა მან. — რომელიმე საჭმლის გემო თუ არ იცის, მორჩა, ეშინია მისი ჭამა. იცი, რას გაჭმევენ? მტრედების რაგუს! რა თქმა უნდა, მას ლორზე მოთუშული კომბოსტო უფრო ხშირად მიურთმევია, ვიდრე მტრედის რაგუ! ძალიან ანებივრებდნენ. როგორც ყველა დედისერთა ბავშვს, გამუდმებით ელოლიავებოდნენ, ეფერებოდნენ, მით უმეტეს, დედამისი დიდხანს ავადმყოფობდა! დიახ, დიახ! — წაილაპარაკა მან და თმაგადაპარსულ, მრგვალ თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს. — განებივრებულია, ეს საძაგელი! არა უშავს, მამიდასთან ასეთი რამე არ გაუვა! იცით, ამ ვაჟბატონს უნდოდა გოგონასავით გრძელი კულულები ჰქონოდა. ოჰ, მორჩა! ამიერიდან კაპრიზებისა და ნებივრობის დრო აღარ ექნება. აბა, ჭამე! ხომ ხედავ, ძია გიყურებს! ჩქარა!

ქალი კმაყოფილი იყო, ყურს რომ უგდებდნენ და ჟაკსა და პოლს კვლავ გაუღიმა.

— ობოლია! — დაუმატა მან. — ერთი კვირის წინ დედა მოუკვდა; ჩემი ძმის ცოლი იყო. ლოთარინგიაში ჭლექით გარდაიცვალა. თავის სოფელში! საბრალო ბიჭი! ბედი მისი კიდევ, რომ დავთანხმდი და ჩემთან წამოვიყვანე. არც დედის, არც მამის მხრიდან ჩემს მეტი არავინა ჰყავს. სამაგიეროდ, დიდი სახათაბალო საქმე ვიკისრე!

ბიჭმა ჭამა შეწყვიტა და მამიდამისს ახედა. მიხვდა რამეს?

— დედაჩემი მოკვდა? — უცნაური ტონით იკითხა მან.

— ეს შენი საქმე არაა. ჭამე!

— აღარ მინდა.

— ხედავთ, როგორია?! — წაილაპარაკა ქალბატონმა დოლორესმა. — ჰო, ჰო, დედაშენი მოკვდა. ახლა კი დამიჯერე და ჭამე, თორემ იცოდე, ნაყინს ვერ მიიღებ.

სწორედ ამ დროს პოლმა თავი მოაბრუნა და ჟაკის თვალებს წააწყდა. ჟაკმა ამ ქალის გამოხედვაშიც იგივე უხერხულობა ამოიკითხა, რასაც თვითონ გრძნობდა. ქალს გამხდარი, მოძრავი, ფერმიხდილი, ლოყებზე უფრო გაცრეცილი კისერი ჰქონდა. მთელი მისი სუსტი იერსახე მოგიწოდებდათ, ნაზად მოქცეოდით. ჟაკი შეჰყურებდა მის კისერს, შეუმჩნეველი ბუსუ-

სებით დაფარულ სიფრიფანა კანს და რაღაც ტკბილ გემოს გრძნობდა ბაგეზე. ქალიც მალულად ათვალიერებდა: წინანდებურად მახინჯი აღარ ეჩვენა. მაგრამ უცებ ისეთი ჩხვლეტა იგრძნო გულში, მკვდრის ფერი დაედო: ხელები მაგიდის კიდეს ჩასჭიდა, თავი უკან გადააგდო ოდნავ და გრძნობა რომ არ დაეკარგა, ენას იკვნეტდა.

ჟაკმა ეს შეამჩნია. ქალი იმ ჩიტს წააგავდა, რომელიც აქ, ამ სუფრასთან მოფრენილიყო სასიკვდილოდ.

— რა მოგივიდათ? — წასჩურჩულა ჟაკმა.

ნახევრად მოჭუტული ქუთუთოებიდან ქალს გადაბრუნებული გუგები უჩანდა. მაგრამ მაინც ძალა დაატანა თავს და არ განძრეულა, ისე წაიბუტბუტა:

— არაფერი თქვათ.

ჟაკს ისე უჭერდა რაღაც ყელში, ალბათ დაყვირებასაც ვერ მოახერხებდა. თანაც, მათ არავინ აქცევდა ყურადღებას. იგი თვალს არ აშორებდა პოლის ხელებს: გაშეშებული, სანთელივით გამჭვირვალე თითები ისე გაფითრებოდა, ფრჩხილები მოლილისფრო ლაქებად აჩნდა ზედ.

— ჩემი მაღვიძარა შვიდისნახევარზე რეკავს ჭიქაზე შემოდგმულ ლამბაქზე... — კმაყოფილი, ღუღუნა ხმით უხსნიდა ფავრი მეზობელ ქალს.

პოლს უკვე მოსვლოდა ფერი და თვალები გაეხილა; იგი ჟაკისკენ შემობრუნდა და სუსტი ღიმილით მადლობა გამოხატა დუმილისათვის.

— გამიარა! — ამოისუნთქა მან. — დროდადრო ასე მომდის: გულზე ჭვალი დამადგება ხოლმე.

შემდეგ ოდნავ შეანძრია გაქვავებული ბაგეები და ნაღვლიანად დაუმატა:

— „ი ჯ ე ქ ი, ყ მ ა წ ვ ი ლ ო, ა ხ ლ ა ვ ე  გ ა მ ი ვ ლ ი ს!“

ჟაკს სურვილი ჰქონდა, ეს ქალი ხელში აეყვანა და ამ ჭუჭყიანი ადგილიდან მოეცილებინა, სადმე შორს წაეყვანა; ახლა იმასღა ოცნებობდა, მთელი სიცოცხლე მისთვის შეეწირა და როგორმე გადაერჩინა; ოჰ, როგორ შეიყვარებდა ყოველ სუსტ არსებას, ოღონდაც მოისურვოს, ან სულაც უბრალოდ დათანხმდეს და მის ძალას მიენდოს!

თავისი ამაო ოცნება კინაღამ დანიელს გაანდო, მაგრამ მას ჟაკისთვის არ ეცალა.

დანიელი დედა ჟუჟუს ემუსაიფებოდა; რაკი მათ შორის რინეტი იჯდა, ამიტომ საბაბიც ჰქონდა მისკენ მიბრუნებულიყო და თბილ სხეულს ახლოს მიკვროდა. თუმცა ტაქტიკური მოსაზრების გამო დანიელი ჯერ ერთხელაც არ დალაპარაკებოდა გოგონას, მაინც აშკარა იყო, მხოლოდ მასზე ფიქრობდა. რინეტმა რამდენჯერმე დაიჭირა მისი მზერა და რატომღაც ყოველი

მისი გამოხედვა სიამოვნების ნაცვლად გულს უყინავდა. ხოლო მისი ჭომ-ზიდველი, ვაჟკაცური სახე, მართალია, მოსწონდა, მაგრამ მაინც აღიზიანებდა.

სუფრის მეორე თავში საკმაოდ გაცხოველებული კამათი გაეჩაღებინათ.

— ნამდვილი კოხტაპრუწა ბრძანდებით! — უყვიროდა გარგარი ფავრს.

— მეც ხშირად ვუმეორებ ამას ჩემს თავს! — დაემოწმა ფავრი.

— ეტყობა, ხმადაბლა უმეორებთ.

სიცილი ატყდა. გამარჯვება ვერფს დარჩა.

— ფავრ, ჩემო კარგო — წამოიძახა მან და განზებ აუმაღლა ხმას. — ნება მიბოძეთ, ერთი რამ გითხრათ! ახლახან იმ მამაკაცივით ლაპარაკობდით ქალებზე, რომლებსაც არასოდეს სცოდნია... მათთან ლაპარაკი!

დანიელმა შეხედა ფავრს, რომელიც იცინოდა და მოეჩვენა, პედაგოგიური სასწავლებლის წარმომადგენელმა ისე გააპარა თვალი რინეტისაკენ, თითქოს ეს კამათი მისი გულისთვის ამტყდარიყოს. შემოხედვა თავხედური და უხამსი იყო, რამაც დანიელს კიდევ უფრო გაუღრმავა ანტიპათია ფავრის მიმართ. მან უამრავი დამამცირებელი ანეკდოტი იცოდა მის შესახებ და გადაწყვიტა რინეტისათვის ეამბნა. მსგავს ცთუნებას ვერასოდეს ვერ უძლებდა ხოლმე იგი. დანიელმა ხმას დაუწია, უნდოდა მხოლოდ ამ ორ ქალს მოესმინა მისი ნათქვამი და ისე გადაიხარა დეიდა ჟუჟუსკენ, რინეტი ძალაუნებურად აღმოჩნდა საუბრის მონაწილე:

— ფავრისა და ერთი გათხოვილი ქალის ამბავი თუ იცი? — ნაძალადევი გულგრილობით ჰკითხა მან დეიდა ჟუჟუს.

— არა, — ცნობისმოყვარეობით წამოიძახა მოხუცმა. — აბა ერთი მიამბე! პაპიროსიც მომაწოდე. ამ სადილს დღეს ბოლო არ უჩანს!

— ერთ მშვენიერ დღეს ის ქალი — იგი დიდი ხანია მისი საყვარელი იყო, — ჩემოდნით შეუვარდა შინ: „მეტი აღარ შემიძლია, შენთან უნდა ვიცხოვრო!" და სხვა და სხვა... „კი მაგრამ, ქმარი?" „ქმარი? მას ასეთი შინაარსის წერილი დავუტოვე: „საყვარელო... ეჟენ! ჩემი ცხოვრების გზაჯვარედინს მივადექი..." და სხვა და სხვა... „მსურს და ვფიქრობ, უფლება მაქვს, მთელი ჩემი სიყვარული მეგობრულ გულს გავანდო" და სხვა და სხვა... „ასეთი გული უკვე ვიპოვე და მივდივარ!"

— ვთქვათ, გული ვერაფერი...

— ეს მისი საქმეა. ყური დამიგდე, ბოლოს რა მოხდა. ჩვენი ფავრი თავზარდაცემულია... ქალი კისერზე ჰყავს ჩამოკიდებული და თანაც ისეთი ქალი, რომელიც საცაა ქმარს გაეყრება და ცოლად შერთვას მოსთხოვს... აი, სწორედ ამ დროს დაებადა, როგორც თვითონ ამბობს, გენიალური იდეა!

ქმარს წერილი მისწერა: „ბატონო, უნდა ვაღიარო, რომ თქვენმა მეუღლემ ჩემი გულისთვის დატოვა ოჯახური კერა. სალამით, ფავრი".

— დიდებულია! — წაიჩურჩულა რინეტმა.

— არც ისე! — ღვარძლიანი ღიმილით მიუგო დანიელმა. — ახლავე მიხვდებით. ფავრი ეშმაკი კაცია, მან უბრალოდ წინასწარ მიიღო ზომები; იცოდა, რომ ქმარი მის წერილს სასამართლოში წარადგენდა, ხოლო კანონი უკრძალავს მამაკაცს ცოლად შეირთოს თავისი საყვარელი... როცა ფავრი ამ ამბავს ჰყვება, წამდაუწუმ იმეორებს: „კოდექსის ცოდნა მუდამ სასარგებლოა!"

რინეტი დაფიქრდა; შემდეგ, როგორც იქნა, მიხვდა და წამოიძახა:

— ოჰ! ეს ხომ უსინდისობაა!

დანიელს ისე ახლოს მიეტანა მასთან თავი, რინეტის სუნთქვა პირდაპირ სახეში, ბაკეებზე მოხვდა და თვალებმოჭუტულმა ღრმად შეისუნთქა.

— ქალი მიატოვა? — იკითხა მოხუცმა ჟუჟუმ.

დანიელს ხმა არ ამოუღია. რინეტმა გადახედა. ყმაწვილი იმდენად იყო დარწმუნებული, დაუოკებელ სურვილს ვერ დავმალავო, რომ ზევით ახედვა ვერ გაბედა. გოგონა დააცქერდა მის გადატკეცილ კანს, ბაგესთან დაჩენილ მკაცრ ნაოჭს, ათრთოლებულ ქუთუთოებს და თითქოს დიდი ხანია გაუგო ამ სახის მაცდურ საიდუმლოებასო, ერთბაშად ინსტინქტივით გადაულახავმა რაღაც გრძნობამ ირინა მასში თავი და დანიელის წინააღმდეგ აღაშფოთა.

— ქალი? ქალს რაღა მოუვიდა? — გაუმეორა კითხვა დეიდა ჟუჟუმ.

დანიელი დამშვიდდა, თუმცა მის ხმაში ჯერ კიდევ იგრძნობოდა მსუბუქი თრთოლა.

— ამბობენ, თავი მოიკლაო, — თქვა მან, — ფავრი კი ირწმუნება, ჭლექიანი იყოო.

მან ნაძალადევად გაიღიმა და ხელი გადაისვა შუბლზე.

რინეტი წელგამართული აკვროდა სკამის ზურგს, რათა რაც შეიძლება ნაკლებად ეგრძნო დანიელის სიახლოვე. ასე რამ ააფორიაქა მაინც? აი, ამ სახემ, ამ ღიმილმა, ამ შემოხედვამ ააწრიალა უცებ; ყველაფერი შეეჯავრა ამ ლამაზი ჭაბუკისა: თავის დახრის მანერა, მოხდენილი მოძრაობები, განსაკუთრებით კი ხელი, გრძელი, ნერვიული ხელი... ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ამდენი სიძულვილი ექნებოდა უცნობი ადამიანის მიმართ, რასაც, ალბათ, მალე ველარ შეიკავებდა და ერთბაშად გადმოანთხევდა.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, მე კოკობზიკა ვყოფილვარ! — წამოიძახა მარი-ჟოზეფმა და სუფრის ყველა წევრს მოწმედ იხმობდა.

ბატრენკური გულუბრყვილოდ იღიმებოდა.

— რა ჩემი ბრალია? ისეთი უმშვენიერესი ცნების აღსანიშნავად, როგორც მოწონების სურვილია, ფრანგულ ენაში სხვა სიტყვა არ არსებობს...

— კარგი რამაა, კარგი შენ მოგივიდეს! — წამოიძახა ქალბატონმა დოლორესმა.

ყველამ მოიხედა, მაგრამ მისი წამოძახილი პატარა ბიჭს ეკუთვნოდა. მთელი კოვზი ნაყინი შავ ქურთუკზე გადმოესხა და მამიდამისი პირსაბანისკენ მიათრევდა.

ჟაკმა მისი წასვლით ისარგებლა, პოლისკენ უფრო ახლოს მიიწია და გახარებულმა ჰკითხა:

— იცნობთ მას?

— შორიდან.

მეტი აღარაფერი უნდოდა ეთქვა: საერთოდ ყბედი არ ჩანდა, თანაც გულზე სევდა შემოსწოლოდა, მაგრამ რაკი ჟაკი ყურადღებით მოექცა, საუბარი აღარ შეუწყვეტია:

— იცით, ავი ქალი არაა. თანაც მდიდარია. იგი დიდხანს ცხოვრობდა ერთ ტიპთან, რომელიც თეატრისთვის წერდა. შემდეგ მეაფთიაქეს გაჰყვა ცოლად. მალე ქმარი მოუკვდა. მისი პატრენტების წყალობით ახლაც აქვს სარფიანი რენტები: „დოლორესის საკორძე" არ გაგიგიათ? არა? რაც მართალია, მართალია, ნიმუშებს მუდამ ჩანთით დაატარებს. დიდებული რამაა, აი, ნახავთ! ცოტა უცნაური ქალია. შინ ათიოდე კატა ჰყავს. ვინ იცის, საიდან არ მოჰყავს! თევზებიც ბლომად ჰყავს, საწოლ ოთახში უზარმაზარი აქვარიუმი უდგას. გაგიჟებით უყვარს ცხოველები.

— სამაგიეროდ, ბავშვები არ უყვარს.

პოლმა თავი გადააქნია.

— რას იზამთ, ასეთი ქალია! — დაასკვნა მან.

დროდადრო ქოშინებდა ლაპარაკისას. ჟაკმა ეს შეამჩნია, მაგრამ საუბრის შეწყვეტაც ენანებოდა. იფიქრა, ალბათ. ავადმყოფი გული აქვსო და ერთბაშად, დაუფიქრებლად წაილაპარაკა:

— „გულს თავისი მიზეზები აქვს, რასაც გონება ვერ მისწვდება"*.

ქალი წამით ჩაფიქრდა.

„რაც გონებას არ ვააჩნია" — შეუსწორა მან და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა, — თორემ რითმა არ გამოგივათ...

მიუხედავად ყველაფრისა, ამ ქალისკენ ნამდვილად მიუწევდა გული, მაგრამ სურვილი — მთელი ცხოვრება მტლად დაედო მისთვის, უკვე გაქრობოდა. „როგორც კი ადამიანი ნებას მოსცემს, ოდნავ მაინც ჩავიხედო

მის გულში, მზად ვარ მაშინვე შევიყვარო", გაიფიქრა მან და გაიხსენა, რომ თავისი ეს თვისება შარშან, ანტუანის მეგობრებთან ერთად, ვიროფლეის ტყეში სეირნობისას აღმოაჩინა, როცა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა, შვედმა გოგონამ ხელმკლავი გაუყარა და პავშვობის შთაბეჭდილებები გაუზიარა...

ჟაკს ერთბაშად მოაგონდა, რომ ანტუანი აქამდე არ მოსულიყო. ათის ნახევარი იყო!

შიშმა აიტანა, ყველაფერი გადაავიწყდა, დანიელს მკლავში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია:

— ეტყობა, რაღაც შეემთხვა!

— ვის?

— ანტუანს.

სწორედ ამ დროს სუფრიდან წამოიშალნენ. ჟაკიც წამოდგა. დანიელი ცდილობდა რინეტს არ მოშორებოდა, მაგრამ ჟაკის დამშვიდებასაც შეეცადა.

— ხომ არ გაგიჟდი! ექიმები... ალბათ, ვინმე ავადმყოფი...

მაგრამ ჟაკი უკვე შორს იყო. მას არც ფიქრის თავი ჰქონდა, აღარც წინათგრძნობასთან ბრძოლა ძალუძდა, გარდერობისკენ გაიქცა და ისე გავარდა ქუჩაში, არც არავის გამომშვიდობებია, არც პოლი მოჰგონებია. „ჩემი ბრალია... ანტუანს თუ რაიმე უბედურება შეემთხვა, ჩემი ბრალი იქნება, — იმეორებდა შეშფოთებული — ჩემი ბრალია... ჩემი ბრალია... მხოლოდ იმისთვის, რომ შავი კოსტიუმი მქონოდა იმ ტიპივით... მედიჩის გზაჯვარედინზე რომ შემხვდა..."

მუსიკოსთა ტრიო ვალსს უკრავდა. რამდენიმე წყვილი უკვე ცეკვავდა დარბაზში. დანიელმა ფავრს მოჰკრა თვალი: ნიკაპი წინ გაეშვირა, თითქოს ჰაერს ყნოსავსო და ახამხამებული თვალები რინეტისთვის მიეშტერებინა. მაგრამ დანიელმა დაასწრო და სხარტად მიიჭრა გოგონასთან.

— ბოსტონს იცეკვებთ ჩემთან?

რინეტმა დაინახა მისკენ წამოსული დანიელი და მტრულად შეხვდა: ჯერ აცალა, სანამ მის წინაშე თავს დახრიდა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— არა.

დანიელს გაკვირვება არ გამოუმჟღავნებია და გაუღიმა.

— რატომ „არა"? — იმავე ინტონაციით ჰკითხა და იმდენად დარწმუნებული იყო, დავიყაბულებო, სწრაფად დაუმატა: — წავიდეთ!

ნაზიჯიც გადადგა მისკენ. ამ თვითდაჯერებულობამ საბოლოოდ აღაშფოთა ქალიშვილი.

— თქვენთან არ ვიცეკვებ! — ხაზგასმით მიუგო მან.

— არა? — გაიმეორა დანიელმა და ისე გამომწვევად შეანათა შავი თვალები, თითქოს ეუბნებოდა: „საკმარისია მოვინდომო, რომ...“

რინეტი შემობრუნდა, იქვე შეამჩნია ფავრი, რომელიც ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, მიახლოებოდა თუ არა, სწრაფად გაემართა მისკენ, თითქოს მიპატიჟება უკვე მიიღო და უსიტყვოდ დაიწყო ცეკვა.

დარბაზში ლუდვიგსონი შემოსულიყო: სმოკინგსა და ჭილის ქუდში გამოწყობილი დახლთან იდგა, დეიდა პეკმელსა და მარი-ჟოზეფს ელაპარაკებოდა, რომელსაც გულზე ჩამოკიდებულ მარგალიტის ყელსაბამს შინაურულად უტრიალებდა. დროდადრო კუს სიზანტით აახელდა ხოლმე ქუთუთოებს, მთვლემარე თვალებით ტყვიისთავიანი კობრის დარტყმასავით დააცქერდებოდა რამეს თუ ვინმეს და ამრიგად მთელ დარბაზს თვალთახედვიდან არ უშვებდა.

დეიდა ჟუჟუ მოცეკვავეთა შორის იკაფავდა გზას, რინეტს ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაეწია და იდაყვში წაავლო ხელი

— სწრაფად! მოიქეცი ისე, როგორც გასწავლე!

პოლს კუთხეში მოემწყვდია დანიელი, რომელიც უგულისყურო ღიმილით უსმენდა ახალგაზრდა ქალს. მან დაინახა დეიდა ჟუჟუ: იგი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიუახლოვდა მარი-ჟოზეფის ჯგუფს; რინეტმაც სწრაფად მიანება თავი ცეკვას და უკანა ოთახში განმარტოებით მდგარ მაგიდას მიუჯდა. ლუდვიგსონმა და დეიდა ჟუჟუმ თითქმის იმ წამსვე გაიარეს ორივე დარბაზი და მისკენ გაემართნენ. ლუდვიგსონი როგორც კი იგრძნობდა, მიყურებენო, მაშინვე ძველი დროის მეეტლესავით გაიჯგიმებოდა ხოლმე; მან კარგად იცოდა, რომ ბუნებამ ჰურიის უკანალით დააჯილდოვა და როგორც კი ნაბიჯს აუჩქარებდა, აქეთ-იქით უხტოდა, ამიტომაც უკვირდებოდა საკუთარ მიხრა-მოხრას. ლუდვიგსონი მსხვილი ტუჩებით დაეწაფა რინეტის მიერ გამოწვდილ ხელს. თავი რომ დახარა, დანიელს თვალში ეცა მისი გაპრტყელებული ქალა, რომელსაც მარჯვედ დაწყობილი შავი თმა მაგრად მიკვროდა. „თავდაჯერება უდავოდ ეხერხება — გაიფიქრა დანიელმა. — ეს ლევანტიელი მასხარა მეკურტნეს კი წააგავს, მაგრამ დიდი ვეზირის მანერებიც არ აკლია“.

ლუდვიგსონი ნელა იხდიდა ხელთათმანებს და თან მცოდნის თვალით ათვალიერებდა რინეტს; შემდეგ მის პირდაპირ დაჯდა, ხოლო დეიდა ჟუჟუ გვერდით მიუჯდა. მათთვის უკვე მოჰქონდათ ღვინო, თუმცა ლუდვიგსონს

ჯერ არაფერი შეეკვეთა. მის გემოვნებას აქ კარგად იცნობდნენ: შამპანურს არ მიირთმევდა, მხოლოდ ასტის ღვინოს სვამდა, ისიც არა ქაფიანს, არა ჩაციებულს, არამედ ოთახის ტემპერატურისას: თბილი, ზუსტად ისეთი, როგორც მზის გულზე გამთბარი ხილის წვენიაო, ამბობდა იგი.

დანიელი პოლს მოშორდა, პაპიროსს მოუკიდა, დახლს შემოუარა, რამდენიმე კაცს ხელი ჩამოართვა, მეორე დარბაზისკენ გაემართა და იქ მოიკალათა. ლუდვიგსონი და დიდა ჟუჟუ მისკენ ზურგშექცევით ისხდნენ, სამაგიეროდ რინეტს პირდაპირ უყურებდა, თუმცა მათ მთელი ოთახი ჰყოფდა. ასტის ღვინით სავსე თასებთან მაშინვე გაიმართა გაცხოველებული საუბარი. ლუდვიგსონის ენამახვილობაზე რინეტს ეღიმებოდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ მან უკვე მოხიბლა ლუდვიგსონი, რომელიც წამდაუწუმ იხრებოდა მისკენ და ქათინაურებს არ აკლებდა. როცა გოგონამ იგრძნო, დანიელი მითვალთვალებსო, ნაძალადევი მხიარულება დაეტყო.

თაღთან, რომელიც ორ დარბაზს ერთმანეთს აკავშირებდა, მოცეკვავე წყვილების მოძრაობა არ წყდებოდა. დახლთან ვიღაც ტანდაბალ, ლოყებდაყიდაყა ქალიშვილს, რომელიც ლორენსის* ნახატ პორტრეტს ჰგავდა, თეთრი კიბის მოაჯირისთვის ჩაევლო ხელები, ცალი ფეხით საფეხურზე შემდგარიყო, მეორეს აქეთ-იქით აქნევდა, სახე ზევით აეშვირა და ორკესტრის თანხლებით იმ უაზრო მინამღერს წრიპინებდა, რაც იმ ზაფხულს ყველას პირზე ეკერა:

ტიმელუ, ლამელუ, პან, პან ტიმელა!

დანიელს სიგარეტი გაერჭო კბილებში, მაგიდას დაყრდნობოდა და რინეტს თვალს არ აშორებდა. იგი აღარ იღიმებოდა. სახე თითქოს გაქვავებოდა, ტუჩები შეკუმშვოდა. „ნეტავი სად მინახავს?" ფიქრობდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც გადაჭარბებით ხარხარებდა და ცდილობდა დანიელის თვალებს არ წაწყდომოდა, რაც ძალიან უჭირდა; როგორც ეს სარკის წინ მოფარფატე ტოროლას ემართება ხოლმე, დანიელის ჯიუტი გამოხედვა თანდათან უფრო მეტად იპყრობდა მის ყურადღებას: დაბურული, მაგრამ არა ამღვრეული მზერა სადღაც რინეტის უკან, თითქოსდა, ზუსტად განსაზღვრულ წერტილს მიშტერებოდა; ამ ბასრ და მძაფრ, მწველ და მაგნიტურ გამოხედვას, მართალია, ქალი ზოგჯერ თვალს არიდებდა, მაგრამ ამისთვის სულ უფრო და უფრო მეტი ძალის მოკრება სჭირდებოდა.

უეცრად დანიელმა იგრძნო, რომ მის გვერდით რაღაც შეინძრა. ნერვები იმდენად ჰქონდა დაძაბული, მისდაუნებურად კიდეც შეკრთა. დოლორესის აბრეშუმის წამოსასხამში გახვეული ობოლი ბიჭი იქვე გრძელ სკამზე

ბალიშებზე იწვა და ეძინა; თითი ტუჩებზე მიეტანა, ხოლო ცრემლი ჯერაც ეკიდა წამწამზე.

მუსიკის ხმა შეწყდა. ვიოლინოზე დამკვრელმა სკამებს შემოუარა და ფული შეაგროვა. დანიელთანაც მივიდა; მან ბანკის ბილეთი ხელსახოცის ქვეშ ამოუდო და წასჩურჩულა:

— შემდეგი ბოსტონი 15 წუთის განმავლობაში შეუწყვეტლად დაუკარით!

ვიოლინისტმა თანხმობის ნიშნად მუქი წამწამები აახამხამა.

დანიელმა იგრძნო, რინეტი უთვალთვალებდა. მაშინ თავი მაღლა ასწია და თვალი თვალში გაუყარა. მიხვდა, ბრძოლის ველი მას დარჩენოდა; ნადავლის შესამოწმებლად ერთი-ორჯერ კიდეც გაიმეორა ეს თამაში: ჩახედავდა თვალებში, შემდეგ აარიდებდა. ბოლოს უკვე აღარ მოუშორებია თვალი.

სახეანთებული ლუდვიგსონი თავს არ იზოგავდა; მიუხედავად ამისა, ყურადღება, რასაც რინეტი მის მიმართ იჩენდა, ნაძალადევი და უგულისყურო ხდებოდა თანდათან. როცა ვიოლინომ ვალს-ბოსტონი დაუკრა და როგორც კი ხემი სიმებს შეეხო, დანიელის დაძაბული სახის დანახვაზე ქალს ისეთი თრთოლვა გადმოეცა, გაიფიქრა, საცაა გადამწყვეტი წუთი დადგებაო. მართლაც, დანიელი წამოდგა, მშვიდად, ისე რომ მსხვერპლისთვის თვალი არ მოუშორებია, მთელი დარბაზი გაიარა და პირდაპირ რინეტისკენ გაემართა. „ჩემს დამოკიდებულებას ლუდვიგსონთან სასწორზე ვაგდებ“, — ამის გაფიქრებალა მოასწრო მან და ამ აზრმა თითქოს მათრახი გადაუჭირაო მის სურვილს. რინეტი უყურებდა მისკენ მომავალ დანიელს და ისეთი ჩამტკრებული მზერა ჰქონდა, თვალების გამომეტყველება იმდენად არაბუნებრივი გაუხდა, ლუდვიგსონმა და დეიდა ჟუჟუმ ერთდროულად მოიხედეს. ლუდვიგსონმა იფიქრა, დანიელი ჩემთან მოდის მისასალმებლადო, და სუფრასთან მიპატიჟება დაუპირა. მაგრამ დანიელმა თითქოს ვერც იცნო, ახალგაზრდა ქალს თავი დაუკრა და პირდაპირ მწვანე თვალებში ჩახედა, სადაც შიშნარევი თანხმობა ამოიკითხებოდა. იგი მორჩილად წამოდგა: დანიელმა უსიტყვოდ შემოხვია წელზე მკლავი, მკერდთან ახლოს მიიკრა და იმ დარბაზისკენ წაიყვანა, სადაც ორკესტრი უკრავდა.

ლუდვიგსონი და დეიდა ჟუჟუ წამით გაქვავდნენ, მიმავალ წყვილს თვალი გააყოლეს, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს.

— რა თავხედობაა! — წაისისინა ქალმა და მოკეცილი ლაბაბი აღელვებისა და სიბრაზისგან აუცახცახდა.

ლუდვიგსონმა წარბები აზიდა და არაფერი უპასუხა, ისედაც ფერმკრთალ სახეზე გაფითრება ვერ დაეტყობოდა. სარდიონივით მეწამულფრჩხილებიანი უზარმაზარი ხელი მის წინ დადგმული თასისკენ გაიწვდინა, ტუჩებთან მიიტანა და ასტის ღვინო მოსვა. დეიდა ჟუჟუ ისე აქოშინდა, იტყოდით, შორი მანძილიდან მორბისო.

— დარწმუნებული ვარ, ეს ცხვირმოუხოცელი ვეღარ იმუშავებს ამიერიდან თქვენთან! — წაილაპარაკა მან და შურისმაძიებელი ქალივით ჩაიქირქილა.

ლუდვიგსონმა გაოცება გამოხატა:

— ბატონი დე ფონტანენი? კი მაგრამ, რატომ?

და იმ სენიორივით გაიღიმა, რომელიც ასეთ წვრილმანს ყურადღებას არ აქცევს; შემდეგ ღირსეული თავდაჭერილობით შეუდგა ხელთათმანების ჩაცმას. ვინ იცის, იქნებ, ამ შემთხვევამ კიდეც გაართო? ჯიბიდან საფულე ამოიღო, ფული მაგიდაზე დაყარა, წამოდგა და დეიდა ჟუჟუს ზრდილობიანად გამოეთხოვა. შემდეგ საცეკვაო დარბაზისკენ გაემართა, ზღურბლზე შეჩერდა და სანამ მოცეკვავე წყვილი გაივლიდა, შეიცადა. დანიელმა დაიჭირა მისი მთვლემარე გამოხედვა, სადაც ბრაზი, შური და აღტაცება ერთმანეთში არეულიყო; მერე თვალი გააყოლა: ლუდვიგსონმა გრძელ მერხებს ჩაუარა, გასასვლელისკენ გაემართა, შემინულ ტამბურში შევიდა, რომელმაც თითქოს თავის მორევში ჩაითრია, რათა შემდეგ ქუჩაში გადაესროლა.

დანიელი ნელა ცეკვავდა, შორიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, იტყოდით, არც კი ირხევაო. თავაღერებული, დაძაბული და თან უდარდელი გულგრილობით ფეხებს ისე ამოძრავებდა, თითის წვერები თითქმის არ შორდებოდა იატაკს. გაბრუებული რინეტი ჯერაც ვერ გარკვეულიყო: სასოწარკვეთილი იყო თუ აღტაცებული, და პარტნიორის ყოველ ილეთს ისე ჰყვებოდა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ მასთან ცეკვავდა. ათი წუთის შემდეგ მხოლოდ ეს წყვილი განაგრძობდა ცეკვას; სხვები დიდი ხანია დაქანცულიყვნენ და ახლა გარს შემორტყმოდნენ. გავიდა ხუთი წუთიც. ისინი კვლავ ცეკვავდნენ. ბოლოს ორკესტრმა უკანასკნელი აკორდი აიღო და მუსიკაც ნელ-ნელა შეწყდა.

ცეკვა უკანასკნელ აკორდამდე არ შეუწყვეტიათ: რინეტი თითქმის უგრძნობლად მიყრდნობოდა დანიელის მხარს; მას კი დინჯი გამომეტყველება ჰქონდა და ნახევრად მოჭუტულ ანთებულ თვალებს დროდადრო შეავლებდა ხოლმე ახალგაზრდა ქალს; მისი გამოხედვა ხან სიბრალულის ცახცახს იწვევდა ქალში, ხან კი სურვილს აღუძრავდა.

გაისმა აპლოდისმენტები.

დანიელმა ლუდვიგსონის მაგიდასთან მიიყვანა რინეტი, შეუდარებელი სილაღით დაიკავა თავისუფალი ადგილი, მეოთხე თასი მოატანინა, ასტის ღვინით შეივსო, მხიარულად ასწია, დეიდა ჟუჟუსკენ გაიშვირა და გამოცალა.

— ფუი! — წამოიძახა მან, — რა სიროფია!

რინეტს ნერვიული სიცილი აუტყდა და თვალებზე ცრემლები მოადგა.

დეიდა ჟუჟუ აღტაცებით შესცქეროდა დანიელს; სიბრაზე უკვე დასცხრომოდა. შემდეგ წამოდგა, მხრები შეიბერტყა და სასაცილოდ ამოიოხრა.

— *„სისულელეა ყველაფერი. მთავარია ჯანმრთელობა!“*

ნახევარი საათის შემდეგ რინეტი და დანიელი ერთად გავიდნენ პეკმელის ბარიდან.

ნაწვიმარი იყო.

— მანქანა გნებავთ? — შესთავაზა ბარის მსახურმა.

— ცოტა ხანს ფეხით გავიაროთ! — თქვა რინეტმა და მის ხმაში რბილი ნოტები გაისმა, რაც გახარებულ დანიელს მხედველობიდან არ გამორჩენია.

მართალია, კოკისპირულად ეწვიმა, მაგრამ დახუთული ჰაერი კვლავ ქარიშხალს იუწყებოდა. ქუჩები უკაცრიელი და ჩაბნელებული იყო. დანიელი და რინეტი ნელა მიაბიჯებდნენ წყლის წვეთებისგან ალაპლაპებულ ტროტუარზე.

გზაზე ჯარისკაცი შემოხვდათ: ხელები წელზე შემოეხვია ორი ქალისთვის და აიძულებდა, ფეხი ამიწყვეთო.

— ერთი! ორი! არა, ასე არა! მარცხენა ფეხზე უნდა შეხტეთ: ერთი! ორი! — ხითხითებდა იგი.

მათი სიცილი დიდხანს ისმოდა მდუმარე სახლების ფასადთა შორის.

რინეტს ეგონა, დანიელი ბარიდან გამოსვლისთანავე ხელმკლავს გაუყრიდა, მაგრამ ჭაბუკი მოლოდინის ტკბილ ზმანებას აეტანა და სურდა ნერვული ცახცახის დაწყებამდე გაგრძელებულიყო იგი. ამიტომ, როგორც კი სადღაც შორს ელვა დაიკლაკნა, პირველად ისევ რინეტი მიუახლოვდა.

— ქარიშხალს არ გადაუღია. სადაა იწვიმებს.

— ამას რა სჯობს! — ალერსიანად უთხრა დანიელმა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

დანიელის თავშეკავებამ რინეტი ისე დააბნია, ეს ორაზროვანი სიტყვები ვერ გაიგო.

— იცით, ვერავინ დამარწმუნებს, რომ თქვენ სადღაც არ მინახავხართ, — უთხრა მან.

დანიელს გაეღიმა, მაგრამ სიბნელე ფარავდა; ამ გაცვეთილი ფრაზისთვის მადლობის მეტი რა ეთქმოდა. მაგრამ მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ქალი მართლაც იყო დარწმუნებული, სადღაც შეხვედრივართ ერთმანეთსო. დანიელმა კინაღამ ბავშვური ანცობით მიუგო: „მეც ასე მგონია!" რასაც ვარაუდების გადასინჯვა მოჰყვებოდა ალბათ, მაგრამ არჩია დუმილით გაეოცებინა ქალი.

— წინასწარმეტყველს რატომ გეძახიან? — ჰკითხა რინეტმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— იმიტომ რომ დანიელი მქვია*.

— დანიელი! რა გვარი ხართ?

ახალგაზრდა კაცი შეყოყმანდა; მცირეოდენი გულდიაობაც კი არ უყვარდა. მაგრამ რინეტის ცნობისმოყვარეობა იმდენად ალალი ჩანდა, გამოგონებული გვარის თქმა შერცხვა.

— დანიელ დე ფონტანენი გახლავართ! — მიუგო მან.

ქალს ხმა არ ამოუღია, ოღონდ ერთბაშად შეხედა. დანიელს ეგონა, ქვას ფეხი წამოკრაო, და უნდოდა ხელი შეეშველებინა. რინეტი ხელიდან დაუსხლტა. ეს უკვე საკმარისი იყო იმისთვის, რომ დანიელს სურვილი აღძვროდა, გაეჯიუტებულიყო: შეეცადა მკლავში წაევლო ხელი; რინეტმა ახლოს არ გაიკარა და გვერდზე გახტა; შემდეგ ერთბაშად შეიცვალა მიმართულება და მოპირდაპირე ქუჩაზე გადაუხვია. დანიელმა იფიქრა, მეთამაშებაო, და თვითონაც სალაღობოდ განეწყო. მაგრამ ქალი ნამდვილად გაურბოდა: ისე აუჩქარა ნაბიჯს, დანიელი ძლივს ეწეოდა. მიუხედავად ამისა, თამაშმა გაართო: უკაცრიელ უბანში ჩქარი სიარული ნადირობას აგონებდა. ბოლოს, ცოტა არ იყოს, დაიღალა და სწორედ იმ დროს, როცა რინეტმა ბნელ ქუჩაზე შეუხვია, რომელსაც ისინი ისევ იმ ადგილას უნდა მიეყვანა, საიდანაც წამოვიდნენ, დანიელმა რინეტის შეჩერება მოინდომა, მესამედ შეეცადა ხელის წავლებას, მაგრამ იგი კვლავ დაუსხლტა.

— ეს უკვე სისულელეა! — გაანჩხლებით წაიბუტბუტა მან, — კარგი, შეჩერდით!

რინეტმა ნაბიჯს აუჩქარა, ცდილობდა ბნელ-ბნელი ადგილით ევლო, წამდაუწუმ გადი-გამოდიოდა ტროტუარზე, თითქოს კვალის აბნევა სურსო და ბოლოს მარდად მოკურცხლა. დანიელი რამდენიმე ნახტომით დაეწია და რომელიღაც სადარბაზოს კარის ნიშში შეაგდო ქალი. და მაშინ ერთბაშად ისეთი შეშინებული გამომეტყველება შეამჩნია სახეზე, შეუძლებელი იყო იგი ხელოვნური ყოფილიყო.

— რა მოხდა?

აქლოშინებული ქალი ნესტრიან კუთხეში მიკრუნჩხულიყო და შეშლილი თვალებით იყურებოდა. დანიელი წამით შეყოყმანდა. ვერაფერს მიმხვდარიყო, მაგრამ აშკარად ამჩნევდა, რომ რაღაც სერიოზული ცვლილება მომხდარიყო. ხელის მოხვევა დაუპირა, რინეტი ისეთი შეძრწუნებული სახით მოწყდა ადგილიდან, რომ კაბის ვოლანი ჩამოეგლიჯა.

— გამაგებინეთ, რა მოხდა? — გაუმეორა მან და უკან დაიხია — ნუთუ ჩემი გეშინიათ? იქნებ, ცუდადა ხართ?

ქალი ნერვულ ცახცახს აეტანა, კრინტი ვერ დაეძრა, თუმცა თვალსაც ვერ აშორებდა.

დანიელს ვერაფერი გაეგო. ქალი შეეცოდა.

— თუ გინდათ, დაგტოვებთ! — უთხრა მან.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: დანიელმა იგრძნო, რომ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა.

— მართლა? გინდათ წავიდე? — ისეთი ტკბილი ხმით ჰკითხა, იტყოდით, უპატრონო ბავშვის მოთვინიერება განუზრახავსო.

— ჰო, — ჩუმად, თითქმის უკმეხად მიაძახა რინეტმა.

არა, ცხადია, ხუმრობის თავი არ ჰქონდა. დანიელი მიხვდა, რომ მეტი ჩაციება უზრდელობა იქნებოდა, დამარცხებას ერთბაშად შეურიგდა და გადაწყვიტა თავაზიანად გამოთხოვებოდა.

— კეთილი! — უთხრა მან. — ოღონდ აქ, სადარბაზოსთან ხომ ვერ მიგატოვებთ ამ შუაღამისას! ცოტა გავიაროთ, მანქანა შეგვხვდება და თავსაც დაგანებებთ... თანახმა ხართ?

უხმოდ გაემართნენ ოპერის გამზირისკენ, საიდანაც სინათლის შუქი შორიდანვე ციმციმებდა. იქამდე მისვლა არც დასჭირებიათ, თავისუფალი ტაქსი შეხვდათ; დანიელმა შოფერს ანიშნა და მანქანა ტროტუართან შეჩერდა. რინეტს ჯიუტად დაეხარა თვალები. დანიელმა მანქანის კარი გამოაღო. საფეხურზე ფეხის შედგმისთანავე ქალი დანიელისკენ შემობრუნდა და სახეზე ისე დააცქერდა, იტყოდით, უკანასკნელად სურს დააკვირდესო. დანიელს ნაძალადევი ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე, ქუდი მოიხადა, ცდილობდა ისე დაეჭირა თავი, თითქოს მეგობარს ეთხოვებოდა. როცა რინეტი დარწმუნდა, ჩემს გაცილებას არ აპირებსო, სახის ნაკვთებს დაძაბული გამომეტყველება ერთბაშად გაუქრა. შოფერს მისამართი უთხრა. შემდეგ დანიელს მიუბრუნდა და თითქოს ბოდიშს უხდისო, წაილაპარაკა:

— მაპატიეთ. ამ საღამოს მარტო უნდა დამტოვოთ, ბატონო დანიელ, ხვალ ყველაფერს აგიხსნით!

— კეთილი! ნახვამდის! — თავი დაუკრა დანიელმა. — კი მაგრამ. სად შევხვდეთ?

— ჰო, მართლა! სად შევხვდეთ? — გულუბრყვილოდ გაიმეორა ქალმა. — თუ გინდათ, ქალბატონ ჟუჟუსთან. დიახ, დიახ. ქალბატონ ჟუჟუსთან. სამ საათზე...

— კეთილი. სამ საათზე!

მან ხელი გაუწოდა, ქალმაც მისცა ხელთათმანიანი ხელი, რომლის თითის წვერები დანიელმა ტუჩებთან მიიტანა. მანქანა დაიძრა.

დანიელი მხოლოდ ახლა აიტანა სიბრაზემ. და ის იყო, თავის დამშვიდებას აპირებდა, როცა დაინახა, ახალგაზრდა ქალი მანქანიდან გადაპრილიყო და შოფერს ეუბნებოდა, შეჩერდითო.

დანიელი ტაქსის კართან მიიჭრა. რინეტს უკვე გამოეღო იგი, თვითონ მანქანის სიღრმეში მიკრუნჩხულიყო; დანიელმა ფართოდ გახელილი თვალებიდა შეამჩნია სიბნელეში; მივიდა, მანქანაში შევარდა. ხელის მოხვევისთანავე რინეტმა შიგ ტუჩებში აკოცა. დანიელმა იგრძნო, რომ იგი არც სულმოკლეობითა და არც შიშით არ ნებდებოდა, უბრალოდ, მსხვერპლად ეწირებოდა. იგი ისე ქვითინებდა, იტყოდით, სასოწარკვეთილებისგან ტირისო, თან გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა:

— მე მინდა... მინდა...

დანიელს თავზარი დაეცა, როცა გაიგონა:

— მე... შენგან... ბავშვი... მინდა მყავდეს!

— იმავე მისამართით წავიდე? — იკითხა შოფერმა.

## III

როგორც კი ანტუანი ჟაკსა და მის მეგობრებს გამოეთხოვა, მაშინვე პასის* კვარტალისკენ გაეშურა, სადაც „ფილტვების ანთებისთვის უნდა დაეხედა", ხოლო იქიდან უნივერსიტეტის ქუჩაზე წავიდა მაღისეულ სახლში, რომლის ქვედა სართული ხუთი წლის წინ დაექირავებინა ძმასთან ერთად. შინ მანქანით დაბრუნდა, პაპიროსს აბოლებდა და იმაზე ფიქრობდა, რომ მისმა პატარა ავადმყოფმა მართლაც მოიკეთა, რომ ექიმის სამუშაო დღე, როგორც იქნა, დამთავრდა და რომ დიდებულ გუნება-განწყობილებაზე იყო.

„უნდა ვაღიარო, რომ გუშინ საღამოს ვერაფრით დავიკვეხნიდი. როცა ნახველის ამოღება ასე სწრაფად წყდება... „პულსუს ბონუს, ურინა ბონა, სედ აეგერ მორიტურ..."* მთავარია, ახლა ენთოკარდიტი ავიშოროთ თავიდან... დედა ჯერ კიდევ ლამაზი ქალია... დღეს პარიზიც ლამაზია..." — ფიქ-

რობდა ანტუანი. ტროკადეროს* რომ ჩაუარეს მანქანით, მწვანეში ჩაფლულ ბაღში შეიხედა, თავი მოაბრუნა და შეყვარებულ წყვილს გააყოლა თვალი უკაცრიელ ხეივანში. ეიფელის კოშკს, ხიდზე აღმართულ ქანდაკებებს, სენას ვარდისფერი დასდებოდა. „ჩემს სულში... ნა-ნა-ნა“... ძრავის გუგუნი ბანს აძლევდა. „ჩემს სულში... სძინავს!“ წაილაპარაკა მან უცებ — „დიახ, ასეა: „ჩემს სულში სძინავს... ნა-ნა-ნა“ დალახვროს ღმერთმა! სიტყვები რამ გადამავიწყა! მაინც რას უნდა ეძინოს ჩემს სულში?.. მთვლემარე დორს?“ გაეღიმა მას და ერთბაშად ის სასიამოვნო წუთები წარმოიდგინა, რაც პეკმელის ბარში მოელოდა იმ საღამოს. ვინ იცის, იქნებ, სამიჯნურო თავგადასავალიც გადახდეს?!. ამ ფარულ სურვილს აყოლილმა იგრძნო, ბედნიერი იყო სიცოცხლეს რომ შეჰხაროდა. ნერე პაპიროსი გადააგდო, ფეხი ფეხზე გადაიდო და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, რომელსაც მანქანის სწრაფი სრბოლა თავისებურად აგრილებდა. „ოღონდაც ბავშვისთვის კოტოშების დაყრა არ დაავიწყდეს ბელენს! — გაიფიქრა მან. — ბიჭუნას უეჭველად გადავარჩენთ, თანაც ქირურგიული ჩარევის გარეშე. ერთი ლუაზის სახე მაინახა მაშინ! ოჰ, ეს დასტაქრები! დიდ მოდაში კი არიან, მაგრამ ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! ნაღდვილი ჯამბაზები ბრძანდებიან! მოხუცი ძია ბლეკი მართალს ამბობდა: „სამი ვაჟი რომ მყავდეს, ყველაზე უნიჭოს ვეტყოდი, მეანი გახდი-მეთქი. სპორტის მოყვარულს ვურჩევდი, სკალპელი აიღე-მეთქი ხელში, ხოლო ამ სამიდან ყველაზე ჭკვიანს ვეტყოდი: „თერაპევტი გახდი, რაც შეიძლება მეტ ავადმყოფს უმკურნალე და ეცადე თანდათან უფრო მეტი დაკვირვება გამოიჩინო!“ ანტუანმა კვლავ იგრძნო სიხარული, რომელიც ღრმად შეჭრილიყო მისი არსების ყველა კუნჭულში. „ჩემი ცხოვრება სწორად ავაწყვე!“ დაბალ ხმაზე წაიდუდუნა მან.

ბინაში შესვლისთანავე, როგორც კი ჟაკის ოთახის ღია კარს მოჰკრა თვალი, მოაგონდა რომ მისი ძმა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხეს. ხუთი წლის სიფხიზლესა და ფრთხილ მოქცევას უკვე გამოეღო შედეგი. „კარგად მახსოვს ის საღამო, როცა დიუ-ეკოლის ქუჩაზე ფავრი შემომხვდა. პირველად მაშინ მომივიდა აზრად, პედაგოგიურ სასწავლებელში შესვლა მერჩია ჟაკისთვის. მონჟის სკვერი* თოვლისგან იყო გადათეთრებული. იმ საღამოს ნაკლებ ცხელოდა, ვიდრე დღეს!“ — ამოიოხრა მან, ცივი აბაზანის მიღებით გამოწვეული სიამოვნება წინასწარ წარმოიდგინა და ბავშვური მოუთმენლობით მიყარმოყარა ტანსაცმელი.

აბაზანიდან გამოცოცხლებული გამოვიდა, პეკმელზე ფიქრობდა და სიამოვნებისაგან სტვენდა. მის ცხოვრებაში, იმას, რასაც ანტუანი „ქალებს“

უწოდებდა, მეორე ხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ხოლო სენტიმენტალური სიყვარული საერთოდ არ არსებობდა მისთვის. შემთხვევითი შეხვედრებით კმაყოფილდებოდა და ამით კიდეც ამაყობდა, რადგან ასე უფრო „პრაქტიკულია" ამბობდა. სხვათა შორის, ცალკეულ საღამოებს თუ არ ჩავთვლით, უამისოდაც იოლად გადიოდა. ოღონდ დისციპლინისა ან ფიზიკური გულგრილობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ „ყველაფერი ეს" სრულიად განსხვავდებოდა იმ ცხოვრებისაგან, რაც მან ერთხელ და სამუდამოდ შეარჩია თავისთვის. მსგავსი ახირებული სურვილები სისუსტედ მიაჩნდა, ხოლო თავისთავს „ძლიერთა" მოდგმას აკუთვნებდა.

ძინ! ზარი დარეკეს. ანტუანმა საათს გადახედა. თუ გაჭირდა, სამამ პეკრელთან სტუმრები თავს მოიყრიდნენ, ავადმყოფთან შევლას კიდევ მოასწრებს.

— ვინ არის?

— მე ვარ, ბატონო ანტუან!

ანტუანმა შალის ხმა იცნო და კარი გაუღო. როცა ბატონი ტიბო მეზონლაფიტში ისვენებდა, მისი მდივანი უნივერსიტეტის ქუჩაზე განაგრძობდა მუშაობას.

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? — მისთვის ჩვეული ფრაზით მიმართა ბატონმა შალმა და რაკი ანტუანი ტრუსების ამარა დახვდა, უხერხულობა იგრძნო, თავი მიაბრუნა და ჩაილაპარაკა: — რა ბრძანეთ? იცვამთ, არა? — შემდეგ ისეთი სახით ასწია თითი, თითქოს რაღაც გამოცანა ამოხსნაო, და დაუმატა: — ხელს ხომ არ გიშლით?

— ოცდახუთი წუთის შემდეგ უნდა წავიდე! — სწრაფად უთხრა ანტუანმა.

— დრო თავსაყრელად გვქონია: შეხედეთ, ექიმო.

ქუდი მაგიდაზე დადო, სათვალე მოიხსნა და თვალები გადმოკარკლა.

— ვერაფერს ამჩნევთ?

— რას?

— თვალს.

— რომელს?

— აი ამას.

— ნუ ინძრევით. აბსოლუტურად ვერაფერს ვამჩნევ. ალბათ, გაგიცივდათ!

— ალბათ. გმადლობთ. არაფერია: ეტყობა, ორპირ ქარზე გამიცივდა... ორივე ფანჯარა გამოვაღე.

ჩაახველა და სათვალე გაიკეთა.

— გმადლობთ. აი უკვე დავმშვიდდი. თვალი ორჯერ ქარზე გამიცივდა. ეს ხშირად ხდება. არაფერია. ხომ ხედავთ, დიდხანს არ შეგაწუხებთ! — ჩაიქირქილა მან.

მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ქუდი აეღო, სკამის კიდეზე ჩამოჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

— ცხელა! — თქვა ანტუანმა.

— რა თქმა უნდა! — დაემოწმა იგი და თვალები ეშმაკურად მოჭუტა. — ქარიშხლის მომასწავებელი ამინდია. ვაი მას, ვისაც აქეთ-იქით უხდება სიარული, ვისაც საქმეები აქვს მოსაგვარებელი.

ანტუანი ფეხსაცმლის ზონარს იკრავდა. მან უცებ ასწია თავი.

— რა საქმეები?

— დალახვროს ეშმაკმა! ისიც ამ სიცხეში! კანცელარიებსა და კომისარიატებში ადამიანი სიცხისგან იხრჩობა. ჰოდა, ყოველდღე მეორე დღისთვის სდებენ საქმეს, — დაასკვნა მან და სიბრალულით დააქნია თავი.

ანტუანი თვალს არ აშორებდა.

— მართლა! — წაილაპარაკა ბატონმა შალმა, — დიდი ხანია მინდა გკითხოთ: ხანშიშესულთა თავშესაფარზე თუ გსმენიათ რამე?

— ხანშიშესულთა...

— დიახ. მოხუცთა თავშესაფარზე. ოღონდ ქრონიკულად დაავადებულთათვის კი არა! პუენ-დიუ-ჟურში პენსიონერთა თავშესაფარია. ჰავის მხრივ უკეთესს ვერას ინატრებს ადამიანი, და რაკი ამის შესახებ სიტყვა ჩამოვაგდეთ, ბატონო ანტუან, ერთი რამ კიდევ მინდა გკითხოთ: მივიწყებული ხუთფრანკიანი მონეტა ხომ არ გიპოვიათ ოდესმე?

— მივიწყებული?.. სად მიპოვნია? ჯიბეში?

— არა. ბაღში. ან სადმე, ქუჩაში?

ანტუანს შარვალი ხელით ეჭირა, ბატონ შალს შეჰყურებდა და ფიქრობდა: „როგორც კი ამ ბრიყვთან აღმოჩნდები, მაშინვე გრძნობ, როგორ იდიოტდები!“ მან თავს ძალა დაატანა, ყურადღება დაძაბა და სერიოზულად უთხრა:

— კარგად ვერ მივხვდით, რას მეკითხებით?

— ყური მიგდეთ: განა არ ხდება, რომ ადამიანი ჰკარგავს, მაგალითად, რაიმე ნივთს? ჰოდა, ხომ შეიძლება ისიც მოხდეს, რომ მერე ეს ნივთი მეორე ადამიანმა იპოვოს?

— რა თქმა უნდა, შეიძლება!

— ჰოდა, ეს ნივთი, შემთხვევით, თქვენ რომ გეპოვნათ, რას იზამდით?

— მოვძებნიდი იმ ადამიანს, ვისაც იგი ეკუთვნოდა.

— მოძებნილით. ხომ? კი მაგრამ, თუკი არავინ არ იქნება?
— სად?
— მაგალითად, ბაღში, ქუჩაში...
— მაშინ ამ ნივთს... პოლიციის კომისარიატში წავიღებდი.
ბატონმა შალმა ცალი ყბით გაიღიმა:
— ნივთის მაგივრად, ფული რომ ყოფილიყო? ოჰ, ვთქვათ, ხუთფრანკიანი მონეტა ყოფილიყო? ყველას კარგად მოგვეხსენება, რა ბედიც ეწევა ხოლმე ფულს ასეთი ადამიანების ხელში!
— თქვენ გგონიათ, კომისარი თვითონ ჩაიჯიბავდა ფულს?
— რა თქმა უნდა.
— რას ამბობთ, ბატონო შალ! ჯერ ერთი, იმდენი ფორმალობა და საბუთების შედგენაა საჭირო!.. იცით, ერთხელ მე და ჩემმა მეგობარმა ბავშვის ლამაზი საყდარუნო ვიპოვეთ ეტლში... სულ სპილოს ძვლითა და ვერცხლით იყო ნაკეთები. კომისარიატში ჩაიწერეს ჩემი მეგობრისა და ჩემი გვარები, მეეტლის ვინაობა, ჩვენი მისამართები, ეტლის ნომერი, განცხადებაზე ხელი მოგვაწერინეს და ქვითარიც კი გადმოგვცეს. გიკვირთ? უკეთესს გეტყვით: ერთი წლის შემდეგ ჩემს მეგობარს აცნობეს, საყდარუნო არავის მოუკითხავს, შეგიძლიათ მოხვიდეთ და წაიღოთო.
— ეს რა საჭირო იყო?
— ასეთი წესია: თუ ნაპოვნ ნივთს პატრონი არ გამოუჩნდება, კანონით, ერთი წლისა და ერთი დღის შემდეგ იგი მპოვნელის კუთვნილებაში გადადის.
— ერთი წლისა და ერთი დღის შემდეგ? მპოვნელის კუთვნილებაში?
— სრული ჭეშმარიტებაა.
ბატონმა შალმა მხრები აიწურა.
— საყდარუნო კიდევ ჰო... მაგრამ ეს რომ ბანკის ბილეთები იყოს... ვთქვათ, ორმოცდაათფრანკიანი ბილეთი?
— სულ ერთია.
— არა მგონია, ბატონო ანტუან!
— მე კი დარწმუნებული ვარ, ბატონო შალ!
ჭაღარა ჯუჯა სკამზე ჩამომჯდარიყო და სათვალეების ზემოდან თვალმიშტერებით შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს. შემდეგ თვალი აარიდა, მუშტში ჩაახველა და უთხრა:
— ეს საუბარი დედაჩემის გამო წამოვიწყე.
— განა დედათქვენმა ფული იპოვა?
— რაო? — შეკითხვითვე გამოეხმაურა ბატონი შალი და სკამზე შე-

იშმუშნა. იგი ჭარხალივით გაწითლდა, სახეზე საშინელი ყოყმანი დაეტყო, მაგრამ მალე ეშმაკურად გაეღიმა.

— არა, მე თავშესაფარზე მოგახსენებთ.

შემდეგ, რაკი დაინახა ანტუანი პიჯაკს იცვამდა, სკამიდან წამოიწია და მიეშველა, რომ მკლავი სახელოში გაეყარა.

— ნამდვილი ლა მანშის გადასასვლელია [1], — ისუმრა მან და ანტუანის უკან მდგარმა ყურში ჩასჩურჩულა: — იცით რა? მთელი უბედურება ისაა, რომ ისინი 9.000 ფრანკს მთხოვენ. ამას წვრილმანი ხარჯებიც დაუმატეთ და თითქმის 10.000 ფრანკი გამოდის. თანაც ეს 10.000 ფრანკი წინასწარ უნდა შევიტანოთ: პირდაპირ ასეა დადგენილი. კი მაგრამ, იქნებ, წამოსვლა გადაწყვიტოს იქიდან, მაშინ რაღა უნდა ჰქნას?

— წამოსვლა? — ჰკითხა ანტუანმა, შემობრუნდა და ჯუჯას დააცქერდა. ეტყობოდა, კვლავაც ვერაფერს მიუხვდა და უსიამოვნო გრძნობას მოეცვა.

— დალახვროს ეშმაკმა, იგი სამ კვირასაც არ გაჩერდება იქ! განა ეს საქმეა? მალე სამოცდაჩვიდმეტი წლისა გახდება; სანაძლეოს დავდებ, შინ რომ დარჩეს, ამ 10.000 ფრანკის დახარჯვას ვერც კი მოასწრებს! მართალს არ ვამბობ?

— სამოცდაჩვიდმეტი წლისაა? — გაიმეორა ანტუანმა და უნებურად გამოანგარიშებას მოჰყვა გონებაში.

ამასობაში დრო გადაავიწყდა. „საკმარისია სხვაზე გადაიტანო ყურადღება, გაიფიქრა მან, რომ შენს წინაშე რაღაც პრობლემა მაშინვე წამოიჭრება“ (მიუხედავად პროფესიული ჩვევებისა, იგი იმდენ ყურადღებას უთმობდა საკუთარ თავს, რომ როცა სხვას მიაპყრობდა გულისყურს, ასე ეგონა, ყურადღება დამეფანტაო). რა თქმა უნდა, ეს ბრიყვიც პრობლემაა! „პრობლემა შალი!“ ახალგაზრდა კაცს მოაგონდა მათი ნაცნობობის პირველი წელი. სკოლის აბატთა რჩევით ბატონმა ტიბომ არდადეგების დროს რეპეტიტორის თანამდებობაზე ბატონი შალი მოიწვია; შემდეგ, მისი პუნქტუალობით აღტაცებულმა მდივნადაც აიყვანა. „აგერ უკვე თვრამეტი წელია, რაც ამ კაცს ყოველდღე ვხვდები მაგრამ მის შესახებ არაფერი ვიცი..“ — ფიქრობდა ანტუანი.

— დედაჩემი შესანიშნავი ქალია! — განაგრძობდა ბატონი შალი, და ანტუანს თვალს ვერ უსწორებდა. — არ იფიქროთ, ბატონო ანტუან, რომ

[1] სიტყვის თამაშია: ლა მანშ-სახელო; და — ლამანშის სრუტე, რომელიც ინგლისს საფრანგეთისაგან ჰყოფს.

ჩვენს ოჯახში ყველა ისეთი არარაობა იყოს, როგორიც, შესაძლებელია, მე ვარ. დეჯარენზე ამას ვერ ვიტყვით! იგი ნამდვილი ცხოვრებისთვისაა გაჩენილი და არა ისეთი უბადრუკი არსებობისათვის, როგორსაც ჩვენ ვეწევით. მაგრამ, როგორც ხშირად იმეორებენ ხოლმე წმინდა როხის ეკლესიის მსახურნი, ჩვენი ნამდვილი მეგობრები, თვით ბატონი მოძღვარიც კი, რომელსაც ბევრი სმენია ბატონი ტიბოს შესახებ, — „ყველას თავისი მწარე ხვედრი აქვს!". დიახ. ასე ამბობენ ისინი და ეს მართალიცაა. არ იფიქროთ, თითქოს მე არ მინდოდეს. პირიქით, დარწმუნებული რომ ვიყო!.. ათი ათასი ფრანკი... ოღონდაც მერე მშვიდად ვიცხოვრო ჩემთვის!.. მაგრამ ის აქ არ გაჩერდება. ფულს კი მერე აღარავინ დამიბრუნებს. გესმით, რაშია საქმე? ისინი სიფრთხილეს იჩენენ! შესვლისას წესიერად გაფორმებულ ღერბიან ქაღალდს მოგაჩეჩებენ და მთელ მანუსკრიპტზე უნდა მოაწერო ხელი. ზუსტად ისეთივე პროცედურაა, როგორც თქვენს კომისარიატში! ოღონდ ისინი თავს არ ისულელებენ: ერთი წლის შემდეგ არ დაგიბარებენ; არაფერს არ გიბრუნებენ. არაფერს, სულ არაფერს, სულ არაფერს, -- დაცინვით დაუმატა მან და ტონის შეუცვლელად იკითხა:

— თქვენი მეგობარი როგორღა მოიქცა? წავიდა მის წამოსაღებად?

— სპილოს ძვლის საყდარუნოს წამოსაღებად? რა თქმა უნდა, არა!

ბატონი შალი ჩაფიქრდა.

— მართალია, სპილოს ძვლის საყდარუნო... მაგრამ ფული რომ ყოფილიყო, მაშინ სხვა საქმეა! საკმარისია, ადამიანმა ფული დაკარგოს ქუჩაში, იგი მაშინვე განაცხადებს პარიზის ყველა კომისარიატში! სანამდელის დავდებ, ზოგჯერ უფრო დიდ თანხას განაცხადებენ ხოლმე, ვიდრე დაუკარგავთ. რით დაასაბუთებთ?

ანტუანმა პასუხი არ გასცა. ბატონი შალი კი ჯიუტად შესცქეროდა. ბოლოს დაცინვით გაიმეორა:

— თქვით, რით დაასაბუთებთ?

— რით დავასაბუთებთ? — გაღიზიანებით გაიმეორა ანტუანმა. — დაწვრილებით უნდა აღწეროთ ყველაფერი: როგორ დაკარგეთ, ოქროს მონეტები იყო თუ ქაღალდის ფული. იყო თუ არა...

— ოჰ, ეს უკვე ზედმეტია! — მკვირცხლად შეაწყვეტინა ბატონმა შალმა. — ქაღალდის ფული იყო თუ ოქროს მონეტები, ამას არავინ იკითხავს! მართალია, ყველაფერი დაწვრილებით უნდა დაიწეროს, ამაში გეთანხმებით. მაგრამ დანარჩენი... ზედმეტია! — უგულისყუროდ რამდენჯერმე გაიმეორა მან, — ეს უკვე ზედმეტია! ეს უკვე ზედმეტია!

ანტუანმა საათს დახედა.

— არ იფიქროთ სახლიდან გითხოვდეთ, მაგრამ უნდა წავიდე!
ბატონი შალი შეკრთა და სკამიდან ჩამოხტა.

— კონსულტაციისთვის გმადლობთ, ექიმო. შინ დავბრუნდები და კომპრესს დავიდებ... ყურებში ცოტაოდენი ბამბაა საჭირო... ეს არაფერი!

ანტუანმა ღიმილი ვერ შეიკავა, როცა კაცუნა ცუნცულით გასრიალდა წინოთახის გაპრიალებულ პარკეტზე. ბატონი შალის ფეხსაცმელები მუდამ ჭრაჭუნებდა; ეს გახლდათ მისი ცხოვრების ერთ-ერთი „მწარე ხვედრი"; იგი რჩევას ეკითხებოდა ყოველ მეწაღეს, მოსინჯა ყოველნაირი ზურგისა თუ ქუსლის მქონე ფეხსაცმელი, ყოველნაირი ლანჩები — ტყავის, ქეჩის, რეზინის; დადიოდა პედიკურის მკეთებელთან; იატაკის გამპრიალებლის შეგულიანებით თავისი ფეხები იმ გამომგონებელს მიანდო, რომელიც ელასტიკურ ფეხსაცმელებს, ე. წ. „ურუმრებს" ამზადებდა სპეციალურად ოფიციანტებისა და შინამოსამსახურეებისათვის. ამაოდ! მაშინ, მან ფეხის წვერებზე სიარული ისწავლა: და ეს პატარათავიანი, მრგვალთვალება კაცი, რომლის სერთუკის კალთები აქეთ-იქით ფრიალებდა, ფრთაშეკრეჭილ კაჭკაჭს დაემსგავსა.

— მართლა, კინაღამ დამავიწყდა! — წაილაპარაკა მან კარებთან, — ახლა მადაზიები დაკეტილია. ფულს ხომ ვერ დამიხურდავებდით?

— რამდენს?

— ათას ფრანკს.

— უჰ! — წამოცდა ანტუანს და უჯრა გამოაღო.

— მსხვილი თანხის ჯიბით ტარება არ მიყვარს, — განუმარტა ბატონმა შალმა. — მით უმეტეს, ახლახან მელაპარაკებოდით ფულის დაკარგვაზე... ათას ფრანკიან ქაღალდს რომ მომცემდეთ... ანდა ოცი ორმოცდაათფრანკიანი ბილეთი თუ გექნებოდათ... დასტა რაც უფრო მსხვილია, მით უფრო ნაკლებია რისკი... ყოველთვის არა, რა თქმა უნდა!..

— არა, მე მხოლოდ ორი ხუთასფრანკიანი ბილეთი მაქვს, — უთხრა ანტუანმა და უჯრის შეწევა დააპირა.

— კეთილი, იყოს! — თქვა ბატონმა შალმა და მიუახლოვდა, — სულ არარაობას ეს სჯობს!

მან ჟილეტის შიგნითა ჯიბიდან ფული ამოიღო. ანტუანს გაუწოდა და დახურდავებული ფულის ჯიბეში ჩადებას აპირებდა, რომ უეცრად ზარი ისე გაბმით აწკარუნდა, ორივე შეკრთა; ბატონმა შალმა ფულის შენახვა ვერ მოასწრო და ამიტომაც წაიბურტყუნა:

— მოიცათ, მოიცათ...

მაგრამ საქმე ერთბაშად მოებრუნა, როცა თავისი სახლის მეკარის ხმა იცნო. იგი მუშტებს ურტყამდა კარს და ყვიროდა:

— ბატონი შალი აქ ხომ არ არის?

კარის გასაღებად ანტუანი გაიქცა.

— აქ არის? — ყვიროდა აქლოშინებული მეკარე. — ჩქარა! უბედურება მოხდა! გოგონა მანქანამ გაიტანა.

ბატონმა შალმა გაიგონა. წაბარბაცდა. ანტუანმა დროზე მიუსწრო, ხელი შეაშველა, იატაკზე დააწვინა და ცივი ტილო მოუსვა სახეზე. საცოდავმა ბერიკაცმა თვალები გაახილა და წამოდგომას შეეცადა.

— ოჰ, ბატონო ჟიულ! — წამოიძახა მეკარემ, — ჩქარა წამოდით, ეტლი გველოდება.

— მოკვდა? — ჰკითხა ანტუანმა. თუმცა არც იცოდა, ვინ იყო ეს გოგონა.

— არც არაფერი უვნია! — წაიბუტბუტა მეკარემ.

ანტუანმა თაროდან ქირურგიული ხელსაწყოებით სავსე სამგზავრო ჩანთა გადმოიღო, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის მუდამ მზად ჰქონდა. უცებ მოაგონდა, რომ იოდის ბოთლი ჟაკს მისცა, ძმის ოთახში შევარდა და თან მეკარეს დაუყვირა:

— ეს ბატონი ეტლში ჩასვით და დამიცადეთ. მეც გამოგყვებით.

ეტლი ტიულრის ახლოს, ბაკის ქუჩაზე შეჩერდა, ბატონი შალის სახლის წინ; გზაზე ანტუანი მთელი გულისყურით უსმენდა მეკარის ახსნა-უბნას, მაგრამ წესიერად მაინც ვერ გაიგო, რა მოხდა. ვიღაც პატარა გოგო ჩვეულებისამებრ იმ დღესაც გასულიყო ქუჩაში ბატონი ჟიულის შესახვედრად. რაკი ბატონი ჟიული იგვიანებდა, როგორც ჩანს, გოგონას რივოლის ქუჩაზე დაუპირებია გადასვლა; ამ დროს რომელიღაც მაღაზიის დამტარებელი სამბორბლიანი ველოსიპედით დასჯახებია და სხეულზე გადაუვლია. ხალხი რომ შეგროვილა, გაზეთის გამყიდველ ქალსაც მოურბენია, გოგონა ნაწნავებით უცვნია და მისი მისამართიც უთქვამს. ბავშვი უგრძნობლად შეუყვანიათ სახლში.

ბატონი შალი ეტლის სიღრმეში მოკრუნჩხულიყო; არ ტიროდა, ოღონდ ყოველი ახალი ცნობის გაგონებაზე მოკუმული მუშტი ტუჩებთან მიჰქონდა, რომ სლუკუნი შეეკავებინა. ხალხი ჯერაც არ დაშლილიყო, სახლის წინ ირეოდა, მერე ორად გაიპო და ბატონ შალს გზა მისცეს. მისმა ორმა თანამგზავრმა თითქმის ხელით აიტანა იგი კიბის ზემო საფეხურამდე. ბატონმა შალმა ბარბაცით შეუხვია დერეფნის ბოლოს; ოთახის კარი ღია დახვდათ. მეკარემ ანტუანი წინ გაუშვა, მკლავზე შეეხო და უთხრა:

— ჩემი ცოლი ჭკვიანი ქალია, მაშინვე წავიდა ექიმის მოსაყვანად, იგი აქვე ახლოს დადის ხოლმე რესტორანში სასადილოდ. იქედი მაქვს, კიდეც იპოვიდა.

მოწონების ნიშნად ანტუანმა თავი დაუქნია და ბატონ შალს გაჰყვა. მათ ჩაუარეს პატარ-პატარა ოთახებს, რომლებიც საკუჭაოს უფრო ჰგავდნენ და შიგ ისეთივე ობის სუნი იდგა, როგორც კედლის კარადებშია ხოლმე; შემდეგ, ოროთახიან ბინაში შევიდნენ, დაბალჭერიან, ნახევრადბნელ, ფილებით დაგებულ ოთახებში სულის შემხუთველი ჰაერი იდგა, თუმცა ეზოსკენ ყველა ფანჯარა ღია იყო; უკანა ოთახში ანტუანმა მრგვალ მაგიდას შემოუარა, რომლის ჩაშავებულ მუშამბაზე ოთხი თეფში და დანაჩანგალი ეწყო. ბატონმა შალმა კარი შეაღო, განათებულ ოთახში შევიდა და ღონემიხდილმა წაიბუტბუტა:

— დედერ... დედერ...

— ჟუულ! — გაისმა მკაცრი ხმა.

ანტუანმა თავდაპირველად მხოლოდ ლამპა გაარჩია, რომელიც ვარდისფერ ხალათიან ქალს ორივე ხელით ეჭირა: მას წითური თმა, შუბლი და მკერდი უცნაურად უბრწყინავდა ლამპის შუქზე; შემდეგ, საწოლიც შეამჩნია, რომელსაც ქალი ლამპით ანათებდა: რამდენიმე ადამიანის ლანდი დახრილიყო ზედ. ფანჯრიდან შემოჭრილი ბინდბუნდი ლამპის სინათლეზე იკარგებოდა, ოთახს მწუხრი დასწოლოდა და იეაუროობა მოჩვენებებს დაესაკუთრებინა. ანტუანმა ბატონი შალი სკამზე დასვა და თვითონ საწოლს მიუახლოვდა. პენსნიანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ქუდის მოხდაც ვერ მოესწრო, საწოლზე დახრილიყო და გასისხლიანებულ ტანსაცმელს მაკრატლით უჭრიდა პატარა მსხვერპლს; ბავშვს შუბლზე ჩამოწეწილ თმაზე სისხლი მიხმობოდა და სახე თითქმის არ მოუჩანდა. მუხლებზე ჩაჩოქილი მოხუცი ქალი ექიმს ეხმარებოდა.

— ცოცხალია? — იკითხა ანტუანმა.

ექიმი შემობრუნდა, ანტუანი დაინახა, შეყოყმანდა, შუბლზე ხელი გადაისვა და გაუბედავად უპასუხა:

— დიახ...

— ბატონი შალი ჩემთან იყო, როცა მას მოაკითხეს! — აუხსნა ანტუანმა, — თან წამოვიღეთ ყველაფერი, რაც კი პირველი დახმარებისათვის არის საჭირო. მე ექიმი ტიბო ვარ, — ხმადაბლა დაუმატა მან, — ბავშვთა კლინიკის უფროსი.

ექიმი წელში გასწორდა და გვერდზე გადგომა დააპირა.

— არა, არა, განაგრძეთ, განაგრძეთ! — მაშინვე უთხრა ანტუანმა და უკან დაიწია, — მაჯა როგორია?

— თითქმის არ ისინჯება, — მიუგო ახალგაზრდა ექიმმა და ხელახლა შეუდგა თავის საქმეს.

ანტუანმა ახალგაზრდა, წითურთმიან ქალს გადახედა, მისი შეშინებული გამოხედვა დაიჭირა და უთხრა:

— ქალბატონო, უმჯობესი იქნებოდა სასწრაფო დახმარება გამოგეძახათ და თქვენი შვილი ახლავე გადაგვეყვანა ჩემს საავადმყოფოში.

— არა! — გარკვევით დაიყვირა ვიღაცამ.

ანტუანმა მხოლოდ ახლა შეამჩნია სასთუმალთან მდგარი მოხუცი ქალი, ალბათ, ბებია, რომელიც თავისი გლეხური, ანკარა წყალივით კამკამა თვალებით შეჰყურებდა მას: წვეტიანი ცხვირი, ძლიერი ნაკვთები თითქოს ამოშვერილიყო ქონის ოკეანეში, რომლის უკანასკნელი ტალღები ნაოჭებად დაფენილიყო კისერზე.

— ვიცი, ღარიბ-ღატაკნი ვართ, — მორჩილი ხმით განაგრძო მან, — მაგრამ მაინც საკუთარ საწოლზე გვირჩევნია სიკვდილი. დედეტს საავადმყოფოში არ წავიყვანთ.

— კი მაგრამ, რატომ, ქალბატონო? — ჩააცივდა ანტუანი.

ქალმა დანაოჭებული კისერი აჭიმა, ნიკაპი წინ აიქნია და ნაღვლიანი, მაგრამ მტკიცე ხმით მოუჭრა:

— ასე გვირჩევნია!

ანტუანმა ახალგაზრდა ქალს გადახედა: იგი ბუზებს იგერიებდა აპრიალებულ სახეზე და ეტყობოდა, საკუთარი აზრის გამოთქმას არც აპირებდა. მაშინ ანტუანმა გადაწყვიტა ბატონი შალი მოეხმო. მოხუცი მუხლებზე ჩაჩოქილიყო იმ სკამის წინ, სადაც ანტუანმა მისი დასმა დააპირა, და რომ აღარაფერი მოესმინა, აღარაფერი დაენახა, მხოლოდ მკლავებში ჩაერგო თავი. დედაბერი, ეტყობა, თვალს ადევნებდა ანტუანის ყოველ მოძრაობას, განზრახვას მიუხვდა, დაასწრო და ხმამაღლა იკითხა:

— ხომ მართალს ვამბობ, ჟიულ!

ბატონი შალი შეკრთა:

— დიახ, დედიკო!

ქალს კმაყოფილება გამოეხატა სახეზე და მშობლიური მზრუნველობით დაუმატა:

— აქ ნუ დგახარ, ჟიულ. სჯობს შენს ოთახში გახვიდე.

უბედურმა ბერიკაცმა გადაფითრებული სახე ასწია; თვალები შეუსვე-

ნაბლივ უხამხამებდა სათვალის მიღმა. იგი ისე წამოდგა, დედისთვის სიტყვა არ შეუბრუნებია და ფეხის წვერებზე გავიდა.

ანტუანი ტუჩებს იკვნეტდა, მიხვდა, კამათით ვერაფერს გახდებოდა, პიჯაკი გაიხადა და პერანგის სახელოები აიკაპიწა. შემდეგ, საწოლის წინ ჩაიჩოქა. მუდამ ასე იცოდა: ერთდროულად კიდეც ფიქრობდა და კიდევაც მოქმედებდა, რადგან ამა თუ იმ საკითხის აწონ-დაწონვა მის ბუნებას არ ეგუებოდა, მოთმინება არ ჰყოფნიდა და გადაწყვეტილების მიღება მუდამ ეჩქარებოდა. სწრაფი და გაბედული მოქმედება მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე შეცდომებისთვის თავის არიდება: დაფიქრება მხოლოდ მოქმედების დაწყების საშუალება იყო მისთვის, თუნდაც იგი ნაჩქარევი ყოფილიყო.

ექიმისა და მეორე, მთელი ტანით აკანკალებული მოხუცი ქალის დახმარებით მან ბავშვი გააშიშვლა: გამხდარი, ფერმიხდილი, თითქმის უსისხლო სხეული იდო მის წინ. ეტყობა ველოსიპედი მთელი ძალით დასჯახებოდა გოგონას და წაექცია, რადგან მთელი ტანი დალურჯებული ჰქონდა და ბარძაყის გასწვრივ, თეძოდან — მუხლამდე მუქი ზოლი ირიბად გასდევდა.

— მარჯვენა! — დააზუსტა ახალგაზრდა ექიმმა.

მართლაც, მარჯვენა ტერფი გადაბრეცილი იყო და ამოგდებული; გასისხლიანებული ფეხი დამახინჯებული და დამოკლებული ჩანდა.

— ბარძაყის ძვლის მოტეხილობა უნდა ჰქონდეს, არა? — გაუბედავად იკითხა ექიმმა.

ანტუანმა არაფერი უპასუხა. ჩაფიქრებულიყო. „მეტისმეტად ძლიერი შოკი აქვს, — გაიფიქრა მან, — ჩანს, აქ სხვა რამეცაა: მაინც რა უნდა იყოს?" მუხლის კვირისთავი მოსინჯა; შემდეგ, ნელ-ნელა ზევით ააცურა თითები და უეცრად მუხლიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით, ბარძაყის შიდა მხარეს ოდნავ შესამჩნევი ჭრილობიდან სისხლმა შადრევანივით იფეთქა.

— ო! — აღმოხდა მას.

— ნუთუ ბარძაყის არტერია... — წამოიყვირა ახალგაზრდა ექიმმა.

ანტუანი სასწრაფოდ წამოდგა.

ერთადერთი გადაწყვეტილებაღა დარჩენოდა მისაღები. ამ აუცილებლობამ ძალა შეჰმატა; გარეშე პირთა თანდასწრებით, საკუთარი უნარისა განსაკუთრებით სწამდა; „დასტაქართან წავიყვანო? — გაიფიქრა მან. — არა, საავადმყოფომდე ვერ მიატანს. მაშინ, ვინ უნდა გაუკეთოს ოპერაცია? მე? რატომაც არა? სხვა გამოსავალი არცაა".

— გადაკვანძვას უპირებთ? — ჰკითხა ექიმმა, რომელსაც ანტუანის დუმილი აღიზიანებდა.

მაგრამ ანტუანი პასუხს არც აპირებდა. „რასაკვირველია, უნდა გადაიკვანძოს! — გაიფიქრა მან, — თანაც, რაც შეიძლება, სწრაფად; ვინ იცის, იქნებ, უკვე დაგვიანებულიცაა".

ბასრი თვალი მოავლო ირგვლივ. „უნდა გადაიკვანძოს. მაგრამ რით? ამ წითურ დედაკაცს ქამარი არ უკეთია; ფარდებს ფოჩები არა აქვს; ელექტრიური ქსოვილი რომ მქონდეს! აჰა! აგერ აქაა". მან თვალისდახამხამებაში გაიხადა ჟილეტი, აჭიმი მოიხსნა, ხელის ერთი გაქნევით გახია, ხელახლა ჩაიჩოქა, აჭიმისაგან ლახტი გააკეთა და ბარძაყის თავთან მაგრად შემოაჭირა ბავშვს.

— ასე! ორი წუთით მაინც მოვითქვამთ სულს! — თქვა მან და წამოდგა.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ლოყებზე. გრძნობდა, ყველა მას შესჩერებოდა.

— ბავშვი დაიღუპება, თუკი ახლავე არ გავუკეთებთ ოპერაციას! — მტკიცე ხმით წარმოთქვა მან, — ვცადოთ!

საწოლს ყველანი მოცილდნენ, მათ შორის ის ქალიც, რომელსაც ლამპა ეჭირა, და შემცბარი ახალგაზრდა ექიმიც.

ანტუანი პირმოკუმული იდგა, დაძაბული, თითქოს მკაცრი თვალებით ბმოწმებსო საკუთარ თავს. „უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდეა საჭირო, — ფიქრობდა იგი, — მაგიდა? შემოსვლისას მრგვალი მაგიდა შევნიშნე".

—გამინათეთ! — დაუყვირა მან ახალგაზრდა ქალს, — თქვენც გამომყევით, — დაუმატა მან და ექიმს მიუბრუნდა.

იგი აჩქარებით გავიდა გვერდით ოთახში. „ასე! — ფიქრობდა იგი. — აქ საოპერაციო ოთახს მოვაწყობთ". ჭურჭელი ხელის ერთი მოსმით აალაგა მაგიდიდან და თეფშები ერთმანეთზე დაახვავა. „ეს იქნება ლამპის შესადგამი!" — დაასკვნა მან. მთელი ოთახი ბრძოლის ველივით იგდო ხელში. „ახლა გოგონა გადმოვიყვანოთ!" ავადმყოფის ოთახში შებრუნდა; ექიმი და ახალგაზრდა ქალი ყოველ მის მოძრაობას თვალს ადევნებდნენ და ფეხდაფეხ მისდევდნენ. ანტუანმა ექიმს ბავშვზე მიუთითა და უთხრა:

— მე მას ხელში ავიყვან. ძალიან მსუბუქია. ოღონდ თქვენ ფეხებზე მოჰკიდეთ ხელი.

გოგონას ზურგქვეშ შეუყო ხელი და მაგიდაზე გადაიყვანა. ბავშვმა დაიკვნესა. შემდეგ წითურთმიან ქალს ლამპა გამოართვა, აბაჟური მოხსნა და თეფშების გროვაზე დასდო. „გენიალური ტიპი ვარ!" ამის გაფიქრება მო-

ხანგრძლივ მან, როცა ირგვლივ მიმოიხედა. ლამპა გაჩახჩახებულ ჭურჭლისათვით ენთო მოწითალო სიბნელეში, სადაც ახალგაზრდა ქალის აპრიალებული სახე და ექიმის პენსნე ლაპლაპებდა. მკვეთრი შუქი პატარა სხეულს ეცემოდა, რომლის კიდურებს ნერვიული კრუნჩხვა გადაუვლიდა ხოლმე დროდადრო. ქარიშხლით გაბრუებული ბუზები ოთახში ირეოდნენ. სიცხისა და მღელვარებისაგან ანტუანი ოფლად იღვრებოდა. „იცოცხლებს კი ოპერაციის დამთავრებამდე?" — ეკითხებოდა იგი თავისთავს; მაგრამ რაღაც ძალას უკვე აეტაცა, თავისთავში ასე დარწმუნებული არასოდეს ყოფილა.

მან ხელი დასტაცა საექიმო ჩანთას, იქიდან ქლოროფორმიანი ბოთლი და ბანდი ამოიღო და ექიმს გაუწოდა.

— სადმე გახსენით, აგერ, ბუფეტზე! საკერავი მანქანა აქედან მოაშორეთ! ჩანთიდან ყველაფერი ამოალაგეთ!

შემდეგ, ბოთლით ხელში შემობრუნდა, ბნელ კართან რაღაც ლანდებს მოჰკრა თვალი: ორივე მოხუცი ქალი გაუნძრევლად იდგა. ერთ-ერთ მათგანს, ბატონი შალის დედას, ჭოჭრივით მრგვალი თვალები დაეჭყიტა; მეორეს — მოკუმშული ხელები ტუჩებთან მიეტანა.

— გადით აქედან! — ბრძანა ანტუანმა.

და როცა ქალებმა უკან დაიხიეს და იმ ოთახში დააპირეს მისვლა, სადაც საწოლი იდგა, მან ბინის მეორე ბოლოსკენ მიუთითა:

— არა!.. სადმე უფრო მოშორებით წადით. აი, იქით!

ქალები უსიტყვოდ დამორჩილდნენ, მთელი ოთახი გადასერეს და გაუჩინარდნენ.

— არა, თქვენ არ წახვიდეთ! — გაანჩხლებით დაუყვირა ანტუანმა წითურთმიან ქალს, რომელიც მოხუცებთან ერთად აპირებდა გასვლას.

ქალი მაშინვე შემობრუნდა. ანტუანი წამით დააცქერდა: ლამაზი, ოდნავ შესუქებული პირისახე, ეტყობოდა, დარდს გაეკეთილშობილებინა: მისი მშვიდი, მოწიფული გამომეტყველება ანტუანს მოეწონა. „საბრალო ქალი! — ფიქრობდა გაიფიქრა მან. — მაგრამ რას იზამ? დამჭირდება!"

— თქვენ დედა ხართ, არა? — ჰკითხა მან.

ქალმა თავი გააქნია:

— არა.

— ჰოდა, მით უკეთესი... — თქვა მან, კომპრესი დაასველა და ბავშვს მარჯვედ დაადო ცხვირზე.

— აი აქ დადექით და ეს დაიჭირეთ! — უთხრა მან ქალს და ბოთლი გაუწოდა. — როცა განიშნებთ, ბანდს ხელახლა დაასველებთ.

ოთახში ქლოროფორმის სუნი იდგა. გოგონამ დაიკვნესა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და გაყუჩდა.

ანტუანმა უკანასკნელად მიმოიხედა ირგვლივ: ბრძოლის ველი გაწმენდილია; პროფესიული სიძნელეების გადალახვაღა დარჩენოდა. გადამწყვეტი მომენტი დამდგარიყო; შიში ისე გაუქრა, თითქოს ჯადოსნური კვერთხით აუქნიესო. ბუფეტთან მივიდა, სადაც ექიმი ჩანთიდან ინსტრუმენტებს იღებდა და ხელსახოცზე ალაგებდა; „შევამოწმოთ! — გაიფიქრა ანტუანმა, თითქოს ცდილობდა რამდენიმე წამი მოეგო, — ინსტრუმენტების ყუთი. აჰა! სკალპელი, პინცეტები. დოლბანდის კოლოფი. ბამბა — ყველაფერი წესრიგშია! სპირტი. კოფეინი. იოდი და სხვა და სხვა. რაც საჭიროა, ყველაფერი აქაა! აბა, დავიწყოთ!“ მან ხელახლა იგრძნო ენერგიის მოზღვავება, შემოქმედების სასიამოვნო თავბრუხვევა, საკუთარი თავის უსაზღვრო რწმენა, უკიდურესად დაძაბული სიცოცხლისუნარიანობა, და რაც მთავარია, იმის შეგნება, როგორც ექიმი, რა მოულოდნელად გავზრდილვართ!

ანტუანმა თავი ასწია და თვალი თვალში გაუყარა ახალგაზრდა ექიმს, თითქოს ეუბნებოდა: „ყოჩაღი კაცი ჩანხართ! ძნელი საქმე ვითავეთ ორივემ!“

ახალგაზრდა ექიმს წარბიც არ შეუხრია. ანტუანის ყოველ მოძრაობას თვალს მოწიწებით ადევნებდა, კარგად იცოდა, რომ ოპერაცია ერთადერთი შანსი იყო ბავშვის გადასარჩენად; თუმცა მარტოკა არაფრის გულისთვის არ ითავებდა ოპერაციის გაკეთებას, სამაგიეროდ, ანტუანთან ერთად არაფერს შეუშინდებოდა. „ახალგაზრდა კოლეგა ურიგო არ ჩანს! — გაიფიქრა ანტუანმა, — ბედი მქონია! აბა, ახლა თასი გვჭირდება! თუმცა რა საჭიროა? უიმისოდაც იოლად გავალთ!“ მან იოდი აიღო და ორივე ხელზე იდაყვამდე წაისვა.

— ახლა თქვენი ჯერია! — უთხრა და იოდის ფლაკონი ექიმს გაუწოდა, რომელიც გულდასმით აპრიალებდა პენსნეს მინებს.

თვალისმომჭრელმა ელვამ, რომელსაც მაშინვე ქუხილიც მოჰყვა, ფანჯრები გაანათა.

„ფანფარები ნაადრევია! — გაიფიქრა ანტუანმა — ხელში ჯერ არ ამიღია სკალპელი. წითურთმიანი არ შეკრთალა. ქუხილი ნერვებს ამშვიდებს და კიდეც აგრილებს. დარწმუნებული ვარ, აქ, ამ სახურავქვეშ სიცხე ახლა 35° აღწევს.“ მან ბავშვის ფეხზე კომპრესები საოპერაციო ველის ირგვლივ შემოაწყო. შემდეგ, ახალგაზრდა ქალს მიუბრუნდა:

— რამდენიმე წვეთი ქლოროფორმი! კმარა. ასე!

„ეს ქალი ჯარისკაცივით ემორჩილება ჩემს ბრძანებას!“ გაიფიქრა მან.

„ოჰ, ეს ქალები!“ შემდეგ, ყურადღებით დააცქერდა პატარა, შესიებულ ბარძაყს, ნერწყვი გადაყლაპა და სკალპელი ასწია:

— ვიწყებთ!

ზუსტი მოძრაობით გაკვეთა.

— სისხლი ამოწმინდეთ! — უთხრა მან მის გვერდით დახრილ ექიმს. „რა გამხდარი ბავშვია. ახლავე მივაგნებთ. დახეთ, ჩემმა დედეტმა ხვრინვაც ამოუშვა. ასე. უნდა ავჩქარდეთ. ახლა გოსეს ხელსაწყოა საჭირო“, — თქვენი ჯერია! — წასჩურჩულა მან ექიმს, რომელმაც სისხლიანი ბამბა გადააგდო, გოსე აიღო და ჭრილობა გააფართოვა.

ანტუანი წამით შეყოვნდა. „ესეც ასე! — გაიფიქრა მან. — ზონდი სადაა? ჰო, აქ ყოფილა. ჰუნტერის არხში. კლასიკური ლიგატურაა. კარგადაა საქმე. ბუმ! ისევ დაიქუხა. ეტყობა, სადღაც ახლოს ჩამოვარდა მეხი. ალბათ, ლუვრს დაეცა ან, იქნებ, წმინდა როხის ეკლესიის მსახურთ?!. ალბათ!“ ანტუანი გრძნობდა, რომ ძალიან მშვიდად იყო. მას უკვე აღარც ბავშვის მდგომარეობა აწუხებდა, არც თავიდან აუცდენელი სიკვდილი: იგი ლაღად ფიქრობდა „ბარძაყის არტერიის“ ლიგატურაზე ჰუნტერის არხში“.

„ბუმ! კიდევ გავარდა მეხი. წვიმა კი თითქმის არ მოდის. შეხუთული ჰაერია. არტერია გადატეხის კერის დონესთანაა დაზიანებული; იგი ძვლის ნამსხვრევებს გაუხეთქია! ეს ადვილი მისახვედრია! მაგრამ გოგონა ჭარბსისხლიანობით ვერ დაიკვეხნის.. — ბავშვს გადახედა, — ჰმ, უნდა ვიჩქაროთ! მართალია, იოლი მისახვედრია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამისგან ადვილად კვდებიან.. პინცეტი! ასე! აი კიდევ დაიქუხა! ბუმ! ეს უკვე მეტისმეტია! იაფფასიანი ეფექტია... მე კი მხოლოდ წვრილი აბრეშუმიდა მაქვს; მით უარესი!“ მან მილაკი გატეხა, იქიდან ხანგალი ამოიღო და ორივე პინცეტს თითო ლიგატურა მიადო. „დიდებულია! საცაა მოვრჩები. კოლლატერალური სისხლის მიმოქცევაც კმარა, მით უმეტეს ამ ასაკში. შესანიშნავი ტიპი ვარ! ნუთუ ჩემს ნამდვილ მოწოდებას ავცდი? ყველა მონაცემები მქონია იმისათვის, რომ დასტაქარი ვყოფილიყავი, სახელგანთქმული დასტაქარი...“ ორჯერ დაიქუხა კიდევ, შემდეგ სიჩუმე ჩამოწვა და მაკრატლით ხრჭიალიც მოისმა: ანტუანი აბრეშუმის ძაფის ბოლოებს აჭრიდა. „მორჩა! არაფერი დაგვკლებია: თვალის გადავლება.. გულგრილობა. ენერგიულობა. სიმარჯვე!“

უცებ ყურები ცქვიტა და გაფითრდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — დაბალ ხმაზე წაილაპარაკა მან.

ბავშვი აღარ სუნთქავდა.

მან ახალგაზრდა ქალს უხეშად ჰკრა ხელი. ბავშვს კომპრესი სახიდან ააგლიჯა და ყური მკერდზე დაადო. ექიმი და ახალგაზრდა ქალი იცდიდნენ და თვალს არ აშორებდნენ ანტუანს.

— როგორ არა, სუნთქავს! — წაილაპარაკა მან. მკლავზე წაავლო ხელი ბავშვს, მაგრამ მაჯა ისეთი აჩქარებული ჰქონდა, ვერასგზით ვერ დაითვალა.

— ფუი! — დასტვინა მან და ისედაც დაბრეცილი სახე სულ დაემანჭა. მორმა თანაშემწეებმა იგრძნეს მისი შემოხედვა. მაგრამ თვითონ ვერავის არჩევდა.

შემდეგ, ორივეს უბრძანა:

— თქვენ პინცეტები მოაშორეთ, ჭრილობა შეუხვიეთ და მერე ლახტი მოხსენით, ცოცხლად! თქვენ, კი საწერ-კალამი მომიტანეთ. ეს არაა საჭირო, უბის წიგნაკი მაქვს. — იგი ბამბით სწრაფად იმშრალებდა ხელებს, — რომელი საათია? ჯერ ცხრაც არ ყოფილა. აფთიაქი ღიაა. ახლავე გაიქეცით!

ქალი მის წინ იდგა; შეუმჩნეველი მოძრაობით დააპირა ხალათის კალთების მჭიდროდ შემოხვევა. ანტუანი მაშინვე მიუხვდა, ქუჩაში ასე გასვლა ეუხერხულებოდა. და მან ერთბაშად წარმოიდგინა ამ ქალის მსუქანი სხეული. რეცეპტი სასწრაფოდ შეადგინა და ხელი მოაწერა.

— ერთლიტრიანი ამპულა. გაიქეცით, ქალბატონო, გაიქეცით!

— კი მაგრამ, თუ... — წაიბუტბუტა ქალმა.

ანტუანმა ახედ-დახედა.

— თუ დაკეტილი დაგხვდათ, — დაუყვირა მან, — მანამ რეკეთ ზარს, მანამ აბრახუნეთ, სანამ არ გაგიღებენ! გაიქეცით!

ქალი წავიდა. ანტუანმა თავი დახარა და რომ დარწმუნდა, ქალი მირბისო, ახალგაზრდა ექიმს მიუბრუნდა.

— შრატი უნდა ვცადოთ! ოღონდ კანქვეშ კი არა, — ახლა აღარ უშველის, — არამედ ინტრავენური. ჩვენი უკანასკნელი იმედი ესდაა!

ბუფეტიდან ორი პატარა ამპულა აიღო.

— ლახტი მოხსენით? ასე. ქაფური მაინც გაუკეთეთ. შემდეგ კოფეინი ნახევარ-ნახევარი ამპულა. საცოდავი გოგონა... ოღონდ, სწრაფად, გეთაყვა!

ბავშვს მიუახლოვდა და გამხდარ მაჯაზე წაავლო ხელი. ოდნავ შესამჩნევი ცახცახის გარდა არაფერი იგრძნობოდა: „ამჯერად მაჯა მართლაც აღარ ისინჯება!“ — გაიფიქრა ანტუანმა, წამით სისუსტე იგრძნო, სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

— ოჰ. დასწყევლოს ეშმაკმა! — დაბალ ხმაზე წაილაპარაკა მან, — თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მაინც ვერ ვუშველეთ!

ბავშვი თანდათან ფითრდებოდა. კვდებოდა. ოდნავ გაპობილ ბაგეების კუთხეში ანტუანმა აბლაბუდასავით თხელი, ორად ორი ღერი ხვეული თმა შეამჩნია. დროდადრო ირხეოდა: ბავშვი ჯერ კიდევ სუნთქავდა.

„მართალია, ახლომხედველია, მაგრამ მარჯვეა! — გაიფიქრა ანტუანმა, როცა ახალგაზრდა ექიმმა ნემსები გაუკეთა პატარა ავადმყოფს. — სულ ერთია, ამას არაფერი ეშველება!" იგი უმალ სინანულს გრძნობდა, ვიდრე სიბრალულს. ექიმებისათვის დამახასიათებელი უგრძნობლობით მსჯელობდა: მათთვის ხომ სხვისი ტანჯვა ცდას, სარგებელს, პროფესიულ ინტერესს წარმოადგენს, ხოლო გამდიდრების ერთადერთ წყაროდ ტკივილს ან სიკვდილს იყენებენ.

შორიდან კარის ჯახუნი მოესმა; ანტუანი ახალგაზრდა ქალს შეეგება. ქალმა რბილი ნაბიჯებით მიირბინა და შეეცადა არ გაემჟღავნებინა, სულს რომ ძლივს ითქვამდა. ანტუანმა პაკეტი ხელიდან გამოგლიჯა.

— ჩქარა, ცხელი წყალი! — უთხრა მან ქალს და მადლობის თქმა არც გახსენებია.

— ადუღებული?

— არა. შრატის გასათბობად მჭირდება, სწრაფად!

ანტუანს პაკეტის გახსნა ვერც კი მოესწრო, რომ ქალი უკვე დაბრუნდა და ქაფქაფა წყლით სავსე ქვაბი მოიტანა.

— კარგი. ძალიან კარგი! — წაიბუტბუტა ამჯერად ანტუანმა, მაგრამ ქალისთვის არც ახლა შეუხედავს.

დრო არ ითმენდა. წამში ამპულას თავი წაამტვრია და რეზინის მილაკი წამოაცვა. კედელზე შვეიცარული ბარომეტრი ეკიდა მოჩუქურთმებული ხის ბუდეში. ცალი ხელით ჩამოხსნა, მეორეთი ამპულა ლურსმანზე ჩამოკიდა, შემდეგ ცხელი წყლით სავსე ქვაბს ხელი დასტაცა, წამით დაფიქრდა და რეზინის ხვეული მილაკი ქვაბის ფსკერზე ჩააგდო. „მილაკში გავლისას შრატი კიდეც გათბება. დიდებულია!" გაიფიქრა მან და ექიმს გადახედა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ იგი ყველაფერს ხედავდა. შემდეგ ბავშვთან დაბრუნდა, უსიცოცხლო მკლავი აუწია, იოდი წაუსვა, სკალპელის ერთი დასმით სისხლძარღვი გადაუხსნა, შიგ ზონდი შეიყვანა და ვენაში ნემსი შეურჭო.

— შედის! — წამოიყვირა მან. — მაჯა დაუთვალეთ. მე ვედარ გავინძრევი.

დაუსრულებელმა ათმა წუთმა სამარისებურ სიჩუმეში გაიარა. ოფლში გაწურული ანტუანი სუნთქვაშეკრული ელოდა და მზრიცს თვალს არ აშორებდა.

ბოლოს ამპულას შეხედა.

— რამდენი დარჩა?

— თითქმის ნახევარი ლიტრა.

— მაჯა?

ექიმმა უსიტყვოდ გააქნია თავი.

მომდევნო ხუთი წუთიც აუტანელ შიშში გავიდა. ანტუანმა ხელახლა შეხედა ამპულას.

— რამდენია?

— მესამედი ლიტრა დარჩა.

— მაჯა?

ექიმი შეყოყმანდა.

— არ ვიცი. თითქოს ოდნავ... ოდნავ ისინჯება.

— დათვლა შეგიძლიათ?

პაუზა.

— არა.

„მაჯა რომ აღდგებოდეს... — გაიფიქრა ანტუანმა. იგი ალბათ ათი წლის სიცოცხლეს გაიღებდა, ოღონდ ამ პაწია გვამისთვის სული შთაებერა. — ნეტავი რამდენი წლისაა? შვიდის? რომც გადავარჩინო, სულ ერთია, ათი წლის მერე ამ ბუნაგში ჭლექი გაუჩნდება. გადავარჩენ კი? სიკვდილის პირსაა... უკანასკნელ დღეშია... დასწყევლოს ღმერთმა, კი მაგრამ, მე ხომ ყველაფერი გავაკეთე! შრატი შედის. ეტყობა, მაინც დაგვიანებულია... მოვითმინოთ... რას იზამ? მოთმინების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია. რა ყოჩაღი ყოფილა ეს წითურთმიანი! ლამაზი ქალია. დედა არ ყოფილა. მაშ ვინღაა? ეს ხალხი არასოდეს უხსენებია შალს. ნუთუ მისი ბავშვია? ვერაფერი გამიგია. იმ დედაბერს კი რა სახე აქვს!.. ასეა თუ ისე, ჩემთვის ხელი არ შეუშლიათ. ასეთ შემთხვევაში მუდამ ერთბაშად იძენ ავტორიტეტს. მაშინვე მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე. ენერგიული ადამიანის გავლენა!.. მაგრამ წარმატებისათვის უთუოდ უნდა მივაღწია... მივაღწიე კი? არა, ეტყობა, შინ გადმოყვანისას ბევრი სისხლი დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, გამოკეთების ნიშანწყალი ჯერჯერობით არ ეტყობა. ოჰ, დალახვროს ეშმაკმა!"

იგი დააკვირდა ფერმიხდილ ბაგეებს და მათ კუთხეში გაჩხერილ ოქროსფერი თმის ორ ბეწვს, რომლებიც დროდადრო კვლავაც ირხეოდა. მოეჩვენა,

თითქოს სუნთქვა უფრო გარკვევით ისმოდა, ხომ არ შემცდარა? ნახევარი წუთი გავიდა. შეუმჩნეველმა ოხვრამ თითქოს ჩეასწია გოგონას მკერდი და ჩაჩუმდა, იტყოდით, სიცოცხლის უკანასკნელი წამი ამოწურაო. ანტუანმა თვალი მიაშტერა ბავშვს და წამით გაქვავდა. არა, ჯერ კიდევ სუნთქავდა. უნდა მოითმინონ, მოითმინონ, მოითმინონ!

ერთი წუთის შემდეგ ბავშვმა კვლავ ამოიოხრა. ამჯერად უფრო გარკვევით.

— რამდენია?

— ამპულა თითქმის დაიცალა.

— მაჯა უბრუნდება?

— დიახ.

ანტუანმა შვებით ამოისუნთქა.

— შეგიძლიათ დაითვალოთ?

ექიმმა ჯიბიდან საათი ამოიღო, პენსნე შეისწორა, წუთით გაჩუმდა და ბოლოს წარმოთქვა:

— ასორმოცი... თუ ასორმოცდაათი.

— სულ არარაობას მაინც სჯობს! — წამოცდა ანტუანს. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა დაემალა ის დიდი შვება, რასაც მისდაუნებურად, უკვე გრძნობდა. მიუხედავად ამისა, არ ცდებოდა. მდგომარეობა უდავოდ გაუმჯობესდა. სუნთქვა თანდათან დაუმშვიდდა. ანტუანმა თავი შეიკავა, რომ არ წამომხტარიყო, პატარა ბიჭივით არ დაესტვინა, არ წაემღერა: „*სულ არარაობას მაინც სჯობს... ტრა... ლა... ლა!*" მაინც წაიმღერა გულში იმ მოტივზე, რომელიც დილიდანვე აკვიატებოდა: „ჩემს სულში... ჩემს სულში თელემს... ნა... ნა... ნა...!" რა თელემს? ოჰ, აი რა: მთვარის შუქი! ზაფხულის მთვარის შუქი!" — გაიხსენა მან უცებ.

ჩემს სულში თელემს მთვარის შუქი,
ზაფხულის ნაზი მთვარის შუქი...

წამით შვება, ნამდვილი სიხარული იგრძნო.

„გოგონა გადარჩა! — გაიფიქრა მან, — უნდა გადარჩეს!"

ზაფხულის ნაზი მთვარის შუქი...

— ამპულა დაიცალა! — თქვა ექიმმა.

— კარგია!

ამ დროს ბავშვი, რომელსაც ანტუანი თვალს არ აშორებდა, შეკრთა. ანტუანი თითქმის მხიარულად შემობრუნდა ახალგაზრდა ქალისკენ, რომე-

ლიც მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში წარბშეუხრელად იდგა ბუფეტთან.

— ეს რა ამბავია, ქალბატონო, — ბუზღუნით დაუყვირა მან, — დაგვეძინა? სათბუნი სადაა?

ქალმა ისეთი გაოცებით შეხედა, ანტუანს კინაღამ გაეღიმა.

— რასაკვირველია, ქალბატონო, ეს ხომ ცხადზე უცხადესია!! დიახ, დიახ, სათბუნი მოიტანეთ. ოღონდ ძალიან ცხელი, გოგონას ფეხები უნდა გავუთბოთ!

ქალს სიხარულით აუციმციმდა თვალები და გაიქცა. ანტუანი დაიხარა, ნემსი ფრთხილად, ნაზად გამოუღო ვენიდან და თითის წვერებით კომპრესი დაადო ნაჩხვლეტზე. ბავშვის ხელის მტევანი ჯერაც უსიცოცხლოდ ეკიდა მაგიდიდან. ანტუანმა მაჯა დაუჭირა.

— ერთი ამპულა ქაფური კიდევ შევუშხაპუნოთ, ჩემო კარგო, ყოველ შემთხვევისათვის და ამით ჩვენი შესაძლებლობა ამოწურული იქნება!

შემდეგ კბილებში გასცრა:

— და აღარც გამიკვირდება, თუკი კარგ შედეგს მივიღებთ!

გამამხნევებელი ძალის მოზღვავება კვლავაც იგრძნო.

ქალი დაბრუნდა და პატარა დოქი შემოიტანა. იგი გაუბედავად შეჩერდა, მაგრამ რაკი ანტუანმა არაფერი უთხრა, ბავშვს მიუახლოვდა.

— ასე არ შეიძლება, ქალბატონო! — ხუმრობანარევი უხეშობით უთხრა ანტუანმა, — ასე ხომ დაწვავთ ბავშვს! დოქი აქ მომეცით! წარმოგიდგენიათ? სათბუნის გახვევაც მე უნდა ვასწავლო!

ამჯერად გაუღიმა, იქვე დაგდებულ, დახვეულ ხელსახოცს ხელი დასტაცა, რგოლი მოაშორა, ბუფეტის თავზე მიაგდო, დოქი ხელსახოცში გაახვია და ბავშვს ფეხებთან დაუდგა. წითურთმიანი ქალი გაოცებით შეჰყურებდა ანტუანს; ბავშვურ ღიმილს სულმთლად შეეცვალა და გაეახალგაზრდავებინა ანტუანის სახე.

— ... გადარჩა? — მოკრძალებით ჰკითხა მან.

ანტუანმა მაინც ვერ გაბედა დაბეჯითებით ეპასუხა.

— პასუხს ერთი საათის შემდეგ გეტყვით! — წაიბუზღუნა მან.

ამ სიტყვებმა მაინც არ შეაცდინა ქალი, რომელმაც გაბედულად მიაგება ანტუანს აღტაცებული შემოხედვა.

„ეს ლამაზი ქალი ნეტა აქ რას აკეთებს?" — მესამედ გაიფიქრა ანტუანმა. შემდეგ კარზე მიუთითა და ჰკითხა:

— სხვები სად არიან?

ქალს გაეღიმა.

— იცდიან.

— დამშვიდეთ. უთხარით, წავიდნენ, დაიძინონ! თქვენც წადით, ქალ-ბატონო, თქვენც გჭირდებათ დასვენება.

— ოჰ, მე.. — წაიჩურჩულა ქალმა გასვლის წინ.

— გოგონა საწოლზე გადავიყვანოთ, — უთხრა ანტუანმა ექიმს. — წე-ლანდელივით თქვენ ფეხზე მოკიდეთ ხელი. ბუთაქა გამოაცალეთ: თავი სხეულის დონეზე ედოს. ახლა დროა აპარატის საქმე მოაგვაროთ. ერთი ის ხელსახოცი მომაწოდეთ! პაკეტიდან შემოხსნილი თოკიც მომეცით! ექს-ტენზორი უნდა მოვაწყოთ. თოკი საწოლის რიკულებს შორის გაუყარეთ. ასე. რკინის საწოლები ფრიად მოსახერხებელია. ახლა რამე სიმძიმეა სა-ჭირო. სულ ერთია, რა იქნება! აი თუნდაც ის ქვაბი. არა, უთო სჯობს! ყველაფერი ხელთა გვაქვს. დიახ, დიახ, ისიც მომაწოდეთ! აი ასე. ხვალ ამ მოწყობილობას გავაუმჯობესებთ, მანამ კი ფეხის დასაჭიმად ესეც კმარა... თქვენ რას იტყოდით?

ექიმმა არაფერი უპასუხა. იგი თვალს არ აშორებდა ანტუანს. ალბათ, მართლაც სწორედ ასე უყურებდა მაცხოვარს, როცა ლაზარე კუბოდან წა-მოდგა *. ბოლოს,ბაგეები გაეპო და ესდა წაიბუტბუტა:

— შეიძლება თქვენი... ჩანთა დავალაგო?

ამ მოკრძალებულ ხმაში მაშინვე იგრძნობოდა, რაოდენ დიდი მოთხოვ-ნილება ჰქონდა ახალგაზრდა ექიმს სამსახური გაეწია, ერთგულება დაემტ-კიცებინა ანტუანისთვის; ამან კი ისევე დაახვია თავბრუ ანტუანს, როგორც ყოველ ხელმძღვანელს ემართება ხოლმე ასეთ შემთხვევაში. ისინი მარტო იყვნენ ოთახში. ანტუანი ახალგაზრდა კაცს მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა.

— რომ იცოდეთ, რა გენიალური ტიპი ხართ, ჩემო კარგო!

ექიმს სული თქვა შეეკრა. მაგრამ თავის ახალგაზრდა კოლეგაზე უფრო მეტად შემცბარმა ანტუანმა პასუხის საშუალება აღარ მისცა.

— ახლა შინ წადით, მეგობარო. უკვე გვიანაა. აქ ორი ექიმი საჭირო აღარაა. — შეყოყმანდა. — ვფიქრობ, შეიძლება უკვე ვთქვათ, რომ ბავშვი გადარჩენილია. მე ასე მგონია. მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მე აქ დავრ-ჩები, თუკი, რასაკვირველია, ნებას მომცემთ...— რადგან— განაგრძო მან, — არ დამვიწყნია, რომ გოგონა თქვენი ავადმყოფია. დიახ, დიახ, მე მხოლოდ იძულებული გავხდი სასწრაფოდ ჩავრეოდი საქმეში... მეტად ზუსტი მონაცე-მები გაქვდათ... ხომ მართალი ვარ? სამაგიეროდ, ხვალიდან მთლიანად თქვენს ხელში ვტოვებ ბავშვს და სრულიად დამშვიდებულიც ვიქნები: მეტად საიმედო ხელი გაქვთ!

ანტუანმა სათქმელი დაამთავრა და ექიმი კარამდე მიაცილა.

— შეგიძლიათ ხვალ შუადღისას შემოიაროთ? — ჰკითხა მან, — როგორც კი შემოვლას მოვრჩები საავადმყოფოში, მეც მოვალ. შემდგომში მკურნალობის შესახებ მოვილაპარაკოთ...

— პროფესორო, მე... მე ისეთი ბედნიერი ვარ, რაკი შევძელი...

ანტუანს პირველად უწოდეს პროფესორი. ამ საკმევლის ბაბუი მთლიანად შეისუნთქა, როცა ახალგაზრდა კაცს სწრაფად ართმევდა ხელს, მაგრამ ერთბაშად გამოფხიზლდა:

— მე პროფესორი არა ვარ! — აღელვებით წამოიწყო მან, — მე კიდევ ვსწავლობ, ჩემო კარგო, შეგირდი ვარ, უბრალო შეგირდი. ისეთივე, როგორც თქვენ, როგორც ბევრი სხვა, როგორც ყველა... ვცდით... ვეძებთ... ვსინჯავთ... ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია. ეს კი უკვე კარგია!

ახალგაზრდა ექიმის წასვლას მოუთმენლად მოელოდა ანტუანი. მარტო დარჩენა თუ სურდა? მიუხედავად ამისა, როგორც კი ახალგაზრდა ქალის ნაბიჯები გაიგონა, მაშინვე გამოცოცხლდა.

— თქვენ რა, დაძინებას არ აპირებთ?

— არა, ექიმო.

ანტუანი აღარ ჩასციებია.

ავადმყოფმა ძილში დაიკვნესა, შემდეგ დაასლოკინა და ამოახველა.

— კარგია, დედიკო! — წაილაპარაკა ანტუანმა, — ძალიან კარგია!

მაჯა გაუსინჯა.

— ასოცი. თანდათან უკეთესი და უკეთესი.

მან დინჯად შეხედა ახალგაზრდა ქალს.

— ამჯერად, ნამდვილად ვფიქრობ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა!

ქალს ხმა არ ამოუღია. ანტუანმა იგრძნო, მას მისი სჯეროდა. გულით უნდოდა საუბარი გაება, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

— თქვენ ძალიან იყოჩაღეთ! — წამოიწყო მან და როგორც მუდამ სჩვეოდა ხოლმე მორცხვობის ჟამს, ახლაც პირდაპირ ჰკითხა: — ამ ოჯახის რა ხართ თქვენ?

— მე? არავინ. მეზობელი. მეგობრებიც კი არა ვართ. უბრალოდ, მეექვსე სართულზე ვცხოვრობ.

— მაშინ, ბავშვის დედა რომელია? აღარაფერი მესმის!

— დედა მკვდარი უნდა ჰყავდეს, ალინას და ყოფილა.

— ალინა ვინღაა?

— მოახლეა.

— ეს ის დედაბერია, ხელები რომ უკანკალებდა?

— დიახ.

— მაშასადამე, გოგონა შალების ნათესავი არ ყოფილა.

— არა. ალინას დისწულია და მათთან იზრდება. რა თქმა უნდა, ბატონი ჟიულის ხარჯზე.

ისინი ახლოს ისხდნენ ერთმანეთთან და ხმადაბლა საუბრობდნენ. ანტუანი ახლოდან ხედავდა მის ტუჩებს, ლოყებს, ფეროვან კანს, რომელსაც დაღლილობისგან რაღაც თავისებური მომხიბვლელობა მიეღო; ამდენი დაძაბულობისგან ანტუანი დაქანცვასაც გრძნობდა, აღტყინებასაც და საკუთარი ინსტინქტებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ შესწევდა.

გოგონამ ძილში ბორგვა დაიწყო. ანტუანი და ახალგაზრდა ქალი საწოლს მიუახლოვდნენ. ბავშვმა თვალი გაახილა და ისევ დახუჭა.

— ალბათ, სინათლე აწუხებს! — თქვა ქალმა და ლამპა მოშორებით გადადგა. შემდეგ, ავადმყოფის სასთუმალთან მივიდა, შუბლიდან ოფლის წვეთები მოსწმინდა. ანტუანი თვალს ადევნებდა და როცა ქალი დაიხარა, თითქოს კომბალი ჩასცხეს თავშიო: ხალათის ქსოვილის ქვეშ ახალგაზრდა ქალის სხეული ჩინური ლანდის მსგავსად ისეთი ამაღელვებელი სიცხადით გამოიკვეთა, თითქოს ქალი მის წინაშე გაშიშვლებულიყოს ერთბაშად; სუნთქვა შეეკრა, თვალები საშინლად აეწვა, მაგრამ ათრთოლებული მკერდისთვის მზერა მაინც ვერ მოეწყვიტა. ანაზდად ხელები გაუცივდა და დაეკრუნჩხა: არც ერთი ქალის მიმართ არ გასჩენია არასოდეს ასეთი უეცარი სურვილი.

— მადმუაზელ რაშელ... — გაისმა ვიღაცის ჩურჩული.

ქალი წამოდგა.

— ალინას ბავშვთან დარჩენა სურს.

იგი იღიმებოდა, ეტყობა, მოახლეს შუამდგომლობას უწევდა. მესამე პირის გამოჩენამ სინანული აგრძნობინა ანტუანს, მაგრამ უარის თქმაც ვერ გაებედა.

—რაშელი გქვიათ? — წაილაპარაკა მან, — კეთილი, კეთილი, შემოვიდეს.

მან ძლივს გაარჩია მოხუცი, რომელმაც საწოლის წინ ჩაიჩოქა. თვითონ ღია ფანჯარასთან მივიდა. საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩს ურტყამდნენ; ქუჩიდან ოდნავი სიგრილეც კი არ შემოდიოდა. სახურავების ზემოთ, შორს, ელვა ცას აპობდა დროდადრო. ანტუანმა სამი თუ ოთხი საათის ფეხზე დგომის შემდეგ ახლაღა იგრძნო დაღლილობა, მიმოიხედა, სკამს ეძებდა. ფანჯრებს შორის, პირდაპირ იატაკზე, ბავშვის ორი ლეიბისაგან დივანი გაემართათ; დედეტის საწოლი იყო, ალბათ, ხოლო ოთახი ალინასი უნდა

ყოფილიყო. ანტუანი ჩამოჯდა ამ ღარიბულ საწოლზე, ზურგით კედელს მიეყრდნო და იგრძნო, ვნებას ველარ იოკებდა. ნეტავი იმ გამჭვირვალე ქსოვილიდან მკვრივი მკერდის თრთოლა ერთხელ კიდევ დაანახვა. მაგრამ რაშელს შუქი არ სცემდა.

— ფეხი ხომ არ გაუნძრევია ბავშვს? — ჩურჩულით ისე იკითხა, არ წამომდგარა.

ქალი საწოლისკენ გაემართა და მსუბუქი ქსოვილის ქვეშ სხეულიც შეირხა.

— არა.

ანტუანს პირი გაუშრა. თვალები ისევ ეწვოდა. უნდოდა როგორმე ლამპის პირდაპირ დაეყენებინა რაშელი.

— ისევ გაფითრებულია?

— არა, უკეთ გამოიყურება.

— თავი გაუსწორეთ, გეთაყვა. რაც შეიძლება დაბლა და სწორად ედოს...

როგორც იქნა, რაშელი განათებულ ზოლში მოხვდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. ეს წამიც საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ანტუანი ვნებას კვლავ აეფორიაქებინა. იძულებული გახდა თვალები დაეხუჭა და ზურგით მაგრად მიყრდნობოდა კედელს; დიდხანს იჯდა ასე პირმოკუმული, ცდილობდა საიდუმლო ხილვა დახრილ ქუთუთოებში ჩაემარხა. ზაფხულში დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელი სუნისგან, კვამლის, ნაკელისა და ასფალტის მტვრის მყრალი სუნისგან, სუნთქვა ჭირდა. ბუზები ტყვიასავით ეხეთქებოდნენ აბაჟურს და ანტუანის გაოფლიანებულ სახეს თავს ესხმოდნენ. დროდადრო საიდანღაც, ქალაქის მიღმა ქუხილი მოისმოდა.

სიცხემ, აღგზნებამ და მეტისმეტმა ნერვიულობამ ნელ-ნელა გამოაცალა ღონე ანტუანს; მოითენთა, კუნთები მოუდუნდა, მხრებით კედელს აეკრა: ჩაეძინა.

მეტად თავისებურმა შეგრძნებამ გამოაფხიზლა, ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში მიხვდა, რაღაც სასიამოვნო ლტოლვა დაუფლებოდა. დიდხანს იყო ასეთ ბუნდოვან ნეტარებაში, სანამ გაარკვევდა, სხეულის რომელი ნაწილით, რომელი წერტილიდან იპარებოდა მასში სითბოსა და განცხრომის ეს შეგრძნება. თურმე ფეხიდან! იმავე წამს შეიცნო, რომ ვიღაც მოსულიყო და მის გვერდით ჩამომჯდარიყო; რომ სითბო ბარძაყიდან გადმოეცემოდა; რომ ეს სხეულიცა და სითბოც რაშელს ეკუთვნოდა და რომ ეს შეგრძნება სინამდვილეში ხორციელი სიამოვნება იყო, ხოლო როცა მისი წყარო გაიგო, იგი უფრო მეტად გაუტკბა. ეტყობა, ახალგაზრდა ქალი მისდაუნე-

ბურად მიკვროდა ძილში. ანტუანმა მაშინვე შეისაზრა — არ განძრეული-ყო. სავსებით გამოფხიზლდა. ტანსაცმელის ქსოვილიდან ორი ბარძაყის კონტაქტი ერთი მტკაველის ზედაპირზე დამყარებულიყო, სადაც ანტუანის ბრძნობიარობას ერთბაშად მოეყარა თავი. იგი უძრავად იჯდა, მძიმედ სუნთქავდა, უჩვეულოდ ნათელი გონებით შეიგრძნობდა ყოველივეს და მათი ორი სხეულის სითბოს შერწყმა ხანგრძლივ, ვნებიან კოცნაზე უფრო აღიზიანებდა.

უცებ რაშელსაც გამოეღვიძა, გაიზმორა, ნელა მოშორდა ანტუანს და ძილში გაიმართა. ანტუანმაც ისე დაიჭირა თავი, თითქოს მის განძრევაზე გამოეღვიძა. რაშელი ღიმილით გამოუტყდა:

— ცოტა ხანს ჩამთვლიმა.

— მეც.

— გათენებულა! — თქვა ქალმა, მკლავები ასწია და თმა შეისწორა.

ანტუანმა საათს დახედა, მალე ოთხი საათი შესრულდებოდა. მკლავები გულზე ისე დაიკრიფა, იტყოდით, ლოცულობსო. შემდეგ ბავშვს მიუახლოვდა და საბანი გადახადა. „ერთი წვეთი სისხლი არაა, დიდებულია!“ რაშელს თვალს ადევნებდა და თან მაჯას უსინჯავდა ბავშვს: ას ოცი დაითვალა. „...ა ცხელი ფეხი ჰქონდა!“ გაიფიქრა მან.

რაშელი ღიმილით იყურებოდა კედელზე სამი ლურსმნით მიმაგრებული სარკის ნამტვრევში. წითური თმის ფაფანაკით, შეხსნილი უბით, ტიტველი, ღონიერი მკლავებით, ლაღი, თამამი, ოდნავ დამცინავი გამოხედვით იგი წააგავდა რესპუბლიკური აჯანყების ქანდაკებას: „მარსელიეზა ბარიკადებზე!“ *

— რასა ვგავარ! — თქვა ქალმა და ტუჩები აიბზუა.

მან მშვენივრად იცოდა, რომ მის სახის ფერსა და ახალგაზრდულ იერს ძილგამღრიან გაღვიძება ვერას დააკლებდა. ეს რაშელმა ანტუანის სახეზეც ამოიკითხა, როცა იგი მიუახლოვდა და მის გამოსახულებას სარკეში შეხვდა. ისიც შეამჩნია, რომ მამაკაცის ეს გამოხედვა მის სახეს კი არ ეძებდა, არამედ ტუჩებს.

ამასობაში ანტუანმა სარკეში საკუთარ თავსაც მოჰკრა თვალი: აკაპიწებული სახელოები, იოდით დამწვარი მკლავები, სისხლში მოსვრილი, დაჭმუჭნილი პერანგი.

— მე კი პეკმელთან მელოდებოდნენ სადილად! — თქვა მან.

რაშელს სახე გაებადრა:

— ოჰო, პეკმელის სტუმარიცა ხართ ხოლმე?! — დაინტერესდა იგი.

ორივეს უცინოდა თვალები. ანტუანი ერთბაშად გამხიარულდა. მთელი მისი ნაცნობობა დედათა სქესს შორის, ფუხსუტუნა ქალების წრეს არ სცილდებოდა, და აი, ერთბაშად რაშელი თავის სურვილების თანაზიარად მიიჩნია.

— ახლა კი წავალ შინ! — თქვა ქალმა; — თუ დაგჭირდეთ, დამიძახეთ, არ მოგერიდოთ! — დაუბარა მან ალინას, რომელიც იქვე იდგა და ორივეს შეჰყურებდა.

ანტუანს არ გამოუმშვიდობებია, ხალათი გადაიკალთა და მსუბუქი ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან.

ანტუანს რაშელის გასვლისთანავე მოუნდა გასვლა. „რა კარგია ახლა სუფთა ჰაერზე გავლა! — გაიფიქრა მან და სახურავიდან დილის ცას გახედა. — თანაც შინ უნდა მივიდე, ჟაკს ვუამბო ყველაფერი... დავიბან, ტანსაცმელს გამოვიცვლი, საავადმყოფოში შევივლი და დავბრუნდები. იქნებ, ეს ქალი კიდეც მოვიხმო ხელახლა, ვეტყვი, გადახვევაზე მიშველე-მეთქი. ან სულაც, როცა დავბრუნდები, მაშინ გავაფრთხილებ, თუმცა არც კი ვიცი, მარტო ცხოვრობს თუ არა..."

ალინას რჩევა-დარიგება მისცა იმ შემთხვევისთვის. თუკი ბავშვს მის იქ არ ყოფნაში გამოეღვიძებოდა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ანაზდად ბატონი შალი მოაგონდა.

— მისი ოთახის კარი ვესტიბიულში გადის, ზუსტად ღუმელის გვერდით, — აუხსნა მოახლემ.

მართლაც, ღუმელთან, კედლის განჯინის მსგავსი კარი წაგრძელებულ, სამკუთხა ოთახში შედიოდა, სადაც სინათლე კიბეზე გამავალი სამერცხულიდან აღწევდა მხოლოდ. ანტუანი არ შემცდარა. ბატონი შალი ჩაცმული იწვა რკინის საწოლზე და პირდაღებული ხვრინავდა. „ამ იდიოტს ბამბით გამოუტენია ყურები!" — გაიფიქრა ანტუანმა და გადაწყვიტა რამდენიმე წუთი დაეცადა, სანამ ბერიკაცი თვალს გაახელდა. ფერად მუყაოზე დაწებებული ღვთისმოსაური სურათები კედელზე ეკიდა. ეტაჟერზეც რელიგიური წიგნები ელაგა, ხოლო სულ მაღალ თაროზე სუნამოს ცარიელი ფლაკონების ორ მწკრივს შორის გლობუსი იდგა.

„შალის პრობლემა! — გაახსენდა ანტუანს, — პრობლემათა მანია მჭირს პირდაპირ! ადვილი საქმეა: არაფრისმთქმელი ფიზიონომია, ბრიყვული ცხოვრება... სამაგიეროდ, საკმარისია რაიმეს ჩავუკვირდე, მაშინვე ვამახინჯებ, ვართულებ, სიფრთხილეა საჭირო. იმ ტულუზელი მოაბლისა არ იყოს!.. მოიცა, ეს ასოციაცია რამ გამოიწვია? იმან ხომ არა, რომ მისი საკუჭნაოც კიბეზე გამავალი სამერცხულით ნიავდება? არა. ხელსაბანი საპ-

ნის მკრალი სუნის ბრალია... რა საოცარია აზრთა ასოციაცია!..“ მან კმაყოფილებით გაიხსენა ერთი სასტუმროს მსახური ქალი, რომელიც ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში გაიცნო, როცა მამამისს, რომელიღაც კონგრესზე წაჰყვა, და ერთ საღამოს მსახურს სასტუმროს სხვენზეც ეწვია. იმ წუთში რას არ გაიღებდა, ოღონდ ხელახლა ენახა იმ გოგოს გათქვირებული სხეული, რომელმაც მაშინ ასე ძალიან ასიამოვნა ოკრობოკრო საწოლზე!

ბატონი შალი ისევ ხვრინავდა. ანტუანს მეტის მოცდა აღარ შეეძლო და კიბისკენ დერეფანს გაჰყვა.

კიბის პირველივე საფეხურზე მოაგონდა, რომ რაშელი ქვემო სართულზე ცხოვრობდა და კიბის მოსახვევში მისი ოთახის კარს დაუწყო ძებნა; ცხადია, რაშელის ოთახის კარი უნდა ყოფილიყო, რადგან სხვა ბინა აქ არ იყო. ღია რატომაა?

დაფიქრების დრო არ ჰქონდა. კიბეზე ისე ჩავიდა, ნაბიჯის შენელება ვერ გაბედა. მალე რაშელის ბინასთან აღმოჩნდა.

რაშელი წინოთახში იდგა და შემთხვევით, ნაბიჯების ხმაზე განოიხედა. პირი დაებანა, თმა დაევარცხნა, ვარდისფერი ხალათი გამოეცვალა და ახლა თეთრი აბრეშუმის კიმონო ეცვა. ამ თეთრ ფონზე წითური თმა კელაპტრის ალს წააგავდა.

— ნახვამდის, მადმუაზელ! — უთხრა ანტუანმა.

ქალი მისკენ წამოვიდა და კარებში გაჩერდა:

— ექიმო, წასვლის წინ ხომ არ ისაუზმებდით? ეს-ეს არის შოკოლადი მოვხარშე.

— არა, ძალიან ჭუჭყიანი ვარ. მართლა! მართლა! ნახვამდის!

მან ხელი გაუწოდა. ქალს ხელი არ მიუცია, ღიმილიდა აუთამაშდა ბაგეზე.

— ნახვამდის! — გაუმეორა ანტუანმა. მაგრამ რაკი ქალი კვლავ იღიმებოდა და ხელს მაინც არ უწვდიდა. დაუმატა:

— უარს მეუბნებით ხელის ჩამორთმევაზე?

ანტუანმა შეამჩნია, როგორ შეაცივდა ქალს ღიმილი და შემოხედვაც მკაცრი გაუხდა. შემდეგ, ხელი გაუწოდა, მაგრამ ანტუანმა ჩამორთმევა ვერც კი მოასწრო: რაშელმა ძალით წაავლო ხელი, წინოთახში უხეშად შეათრია და კარი მიიჯახუნა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ქალი აღარ იღიმებოდა. მიუხედავად ამისა, გაპობილი ბაგეებიდან კბილები თეთრად უელავდა. მისი თმის სურნელებამ ანტუანი გააბრუა: მოაგონდა ქალის შიშველი მკერდი, ცხელი ბარძაყი. ერთბაშად სახე მიუახლოვა და გაფარ-

თოვბულ თვალებში ჩახედა. რაშელი არ განძრეულა. ანტუანეტამ მხოლოდ ახლა იგრძნო მისი სხეულის ოდნავი მოდუნება, როცა წელზე ხელი მოხვია: პირველად რაშელმა გაუშორა ტუჩები, შემდეგ ხელიდან დაუსხლტა, თავი დახარა, ხელახლა გაიღიმა და წაიბურტყუნა:

— ასეთი ღამეები ნერვებს აღიზიანებს...

ღია კარიდან ანტუანეტა ვარდისფერი აბრეშუმით გადაფარებულ საწოლს ხედავდა ოთახის სიღრმეში; ამომავალი მზე ამ შორეულ, მაგრამ უკვე შინაურულ სარეცელს ცისკრის შუქში გახვეულ უზარმაზარი ყვავილის ჯამს ამსგავსებდა.

## IV

იმავე დილით, თორმეტის ნახევარზე რაშელმა შალების ბინას მიუკაკუნა.

— შემოდით! — ცივი ხმით დაუყვირა ვიღაცამ.

ქალბატონ შალს უკვე დაეკავებინა თავისი ადგილი სასადილო ოთახის ღია ფანჯარასთან, წელგამართული იჯდა, ფეხები პატარა სკამზე ჩამოეწყო და, როგორც ყოველთვის, ხელები ახლაც უქმად ჩამოეშვა. „მრცხვენია პირდაპირ, ვერაფერს რომ ვერ ვაკეთებ! — იცოდა ხოლმე თქმა, — მაგრამ ჩემს ასაკში სხვისთვის გარჯა აღარ შეიძლება!"

— ბავშვი როგორაა? — იკითხა რაშელმა.

— გამოიღვიძა, წყალი დალია და ხელახლა ჩაეძინა.

— ბატონი ჟიული შინ არაა?

— გავიდა! — ქალბატონმა შალმა მორჩილი იერი მიიღო და წარბები აიწურა.

რაშელი იმედგაცრუებული ჩანდა.

დედაბერმა ნაღვლიანად განაგრძო:

— მთელი დილა ბუზნაკბენივით წრიალებდა. ოჰ, კვირა დღე წამებაა იმისთვის, ვისაც ოჯახში მამაკაცი ჰყავს. ვფიქრობდი, ამ უბედურების შემდეგ უკეთ მოგვექცევა-მეთქი. საქმეში ხართ! ამ დილითაც სხვა საფიქრალი გაუჩნდა. ღმერთმა იცის კი — რა! ასეთ შემთხვევაში მუდამ ჩაჩოჩ-უგრძელდება ხოლმე ცხვირი. დღესაც ისეთივე იყო, როგორც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე ვხედავ და ვიტან! დილის წირვაზე ერთი საათით ადრე წავიდა. ასეთი საქციელი ბუნებრივად მიგაჩნიათ? ჯერაც არ დაბრუნებულა. დახეთ! — თქვა მან უცებ და ტუჩები აიბზუა, — მგონი, მოვიდა! ძაღლი ახსენეო და... ჟიულ, გეშუდარები, — განაგრძო მან და დე-

ხის წვერებზე შემოსულ შვილს მიუბრუნდა, — კარს ასე ნუ აჯახუნებ. თუ ჩემს ავადმყოფ გულს არაფრად აგდებ, დედიკო მაინც შეიბრალე, ბავშვს ძილი გაუწყდება!

ბატონი შალი ისე დაბნეული და მწუხარე იყურებოდა, თავის მართლება არ უცდია.

— წამოდით, გოგონა ვნახოთ! — შესთავაზა რაშელმა და როგორც კი მძინარე ბავშვის საწოლს მიუახლოვდნენ, ჰკითხა: — დიდი ხანია იცნობთ ექიმ ტიბოს?

— რა თქვით? — ამოილუღლუღა შალმა.

თვალებში შიში ჩაუდგა; მაგრამ მალე ეშმაკურად გაუღიმა, ექოსავით გაიმეორა, რა თქვითო, და ჩაჩუმდა. მერე ერთბაშად მიბრუნდა მისკენ, და თითქოს აღსარებას ეუბნებაო, უთხრა:

— ყური მიგდეთ, მადმუაზელ რაშელ! თქვენ დიდი სიკეთე გამოიჩინეთ დედიკოს მიმართ: ახლა მეც გთხოვთ. ერთი პატარა სამსახური გამიწიოთ. უბედურებამ ისეთი თავზარი დამცა, ეტყობა, ამ დილით ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი. თუ სინდისი მაქვს, დაუყოვნებლივ უნდა დავბრუნდე იქ. მაგრამ იმ... იმ სარკმელთან მარტოდ ხელახლა მისვლა, საშინელებაა!.. უარს ნუ მეტყვით! — შეევედრა იგი, — პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მადმუაზელ რაშელ, ათი წუთის მეტს არ დაგაკარგვინებთ.

მართალია, რაშელმა ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამისა, მაგრამ მაინც დაეთანხმა ღიმილით, იმედი ჰქონდა, მისი უცნაურობებით თავს შევიქცევო; თანაც მარტო ყოფნით ისარგებლებდა და ანტუანის შესახებ გამოჰკითხავდა. მიუხედავად ამისა, მთელი გზა ისე გაიარეს, შალს კრინტი არ დაუძრავს და თავიც ისე ეჭირა, თითქოს ქალის შეკითხვები არც ესმოდა.

შუადღეს გადაცილებული იყო, როცა პოლიციაში მივიდნენ. კომისარი ახალი წასული დახვდათ. ბატონი შალი ისეთი თავზარდაცემული დარჩა, მორიგე მოხელე კიდეც გააოცა:

— მერედა რა მოხდა? სულ ერთი არაა? მე აქ არა ვარ? რა გნებავთ?

ბატონმა შალმა შიშით გააპარა თვალი მისკენ და რაკი წასვლაც ვერ გაებედა, ახსნა-განმარტებას შეუდგა.

— საქმე ის გახლავთ, რომ ბევრი ვიფიქრე ამის თაობაზე... ჩემს განცხადებას ზოგი რამ უნდა დავუმატო.

— რომელ განცხადებას?

— მე აქ დილით გახლდით და აი, იმ სარკმელთან ვილაპარაკე.

— თქვენი გვარი? ახლავე მოვძებნი თქვენს დოსიეს.

რაშელი ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდა. მოხელე მალე დაბრუნდა, ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა და მთხოვნელი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

— შალ? ჟიულ ოგიუსტი? თქვენა ხართ, ხომ? რაშია საქმე?

— ვშიშობ, ბატონმა კომისარმა კარგად ვერ გაიგო, სად ვიპოვე ფული.

— რივოლის ქუჩაზე! — მოხელემ ქაღალდს დახედა და ისე უპასუხა. ბატონს შალს ისე გაებადრა სახე, თითქოს სანაძლეო მოეგოს:

— ხომ ხედავთ! არა, სულმთლად ასე არაა! მე ხელახლა დავბრუნდი იქ და უნდა გამოგიტყდეთ, ადგილზე მისვლისას დაწვრილებით გამახსენდა ყველაფერი. ურიგო არ იქნება, თუკი გულახდილად გადმოგცემთ საქმის ვითარებას: — მან მუშტში ჩაახველა და განაგრძო: — ერთი სიტყვით, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ფული ქუჩაში ვიპოვე. ეს უმალ ტუილრის ბაღში მოხდა. დიახ. მე ბაღში ვიყავი, გესმით? ქვის სკამზე ვიჯექი. თანხმობის მოედნიდან ლუვრისკენ რომ წამოხვალთ, იქვე გაზეთების ჯიხურია. ჰოდა, აი, იქ, მეორე სკამზე ვიჯექი, ხელში საბიჯგი ჯოხი მეჭირა. მალე მიხვდებით, ასე გულდასმით რატომ აღვწერ ამ დეტალს. ვხედავ, ჩემსკენ ვიღაც მამაკაცი და ქალი მოდიან, უკან ბიჭი მოსდევთ. საუბრობენ. მე კიდეც გავიფიქრე: აი ამ წყვილმა ოჯახის შექმნა შესძლო, ბავშვიც ჰყავთ-მეთქი და სხვა და სხვა. როგორც ხედავთ, ყველაფერს გიამბობთ. ამ დროს ბიჭი სწორედ ჩემი სკამის წინ დაეცა. ყვირილი ატეხა. მართალი გითხრათ, გულჩვილი კაცი არ გახლავართ და არც გავნძრეულვარ. დედამისი მივარდა და ჩემს წინ, თითქმის ჩემს ფეხებთან — რა ჩემი ბრალია, არა? — ჩაიჩოქა და ბავშვისთვის სახე რომ მოეწმინდა, საფულედან, რომელიც ხელში ეჭირა, ცხვირსახოცი თუ რაღაც ამგვარი ამოიღო. მე კი ისევ ვზივარ. ჰოდა, — განაგრძო ბატონმა შალმა და საჩვენებელი თითი ასწია, — როცა წავიდნენ, მე საბიჯგი ჯოხი შევათამაშე, ჯოხის წვერით მიწას ვჩიჩქნიდი და უცებ: ფული დავინახე. ეს წვრილმანები მოგვიანებით მომაგონდა. მე მუდამ პუნქტუალური ადამიანი გახლდით. მადმუაზელი დამემოწმება: ორმოცდათორმეტი წლისა ვარ და ვერავინ ვერაფერს მისაყვედურებს: ესეც საქმეა! ასე რომ, მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი ზედმეტია! მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ იმ ქალსა და მის საფულეს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეთ ამ ფულთან: ამას გულახდილად გეუბნებით!

— ვერ დაეწეოდით? — ჰკითხა რაშელმა.

— ვერა. უკვე შორს იყვნენ.

პოლიციის მოხელემ თავი აიღო.

— რაიმე ნიშნებს ხომ ვერ გვეტყოდით?

— მამაკაცისას ვერაფერს მოგახსენებთ. ქალს კი მუქი ტანსაცმელი ეცვა; დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა. ბიჭს ორთქლმავალი ეჭირა. დიახ, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ: პატარა ორთქლმავალს მიათრევდა უკან. ვამბობ, პატარას-მეთქი, მაგრამ მოდით, შევთანხმდეთ: მე მინდა გითხრათ, აი, ამ სიდიდისა იქნებოდა... უკან მიათრევდა. ყველაფერი ჩაწერეთ?

— არხეინად ბრძანდებოდეთ. სულ ესაა?

— დიახ.

— გმადლობთ.

რაშელი უკვე გასასვლელში იდგა. ნაცვლად იმისა, რომ ბატონი შალი უკან გაჰყოლოდა, სარკმელის გამონაშვერს დაეყრდნო და დაიხარა.

— კიდევ ერთი პატარა დეტალი: — წაილაპარაკა მან და ჭარხალივით გაწითლდა, — შესაძლებელია დღეს დილით, როცა ფულს ვაბარებდი, შევცდი... დიახ.

იგი შეჩერდა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— ჩემი აზრით, ქადალდის ორი ფული მივეცი კომისარს. ხომ მართალია? ორი ხუთასფრანკიანი ბილეთი. ასე არაა? დიახ, დიახ, ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ასე იყო. ეს ჩემი შეცდომა, ან უკეთ, დაუდევრობა იყო. იმიტომ, რომ... ის, რაც მე იქ ვიპოვე... სულმთლად ასეთი ფორმით როდი გახლდათ: იქ მხოლოდ ერთი ბილეთი იყო... ერთი ათასფრანკიანი ბილეთი, გესმით? — მან ხელახლა მოიწმინდა ოფლი, რომელიც წურწურით ჩამოსდიოდა, — გთხოვთ, ესეც აღნიშნოთ, რაკი გამახსენდა. თუმცა ბოლოს და ბოლოს, ეს მაინც ერთი და იგივეა!..

— არა, ეს ერთი და იგივე არაა! — შეეკამათა მოხელე. — ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია! ათასფრანკიანი ბილეთის დამკარგავი კაცი ასჯერაც რომ მოსულიყო აქ, თქვენს ხუთასფრანკიან ორ ბილეთს სულ ერთია არ მისცემდნენ. აი ამაშია საქმე!

მან უკმაყოფილოდ შეათვალიერა ბატონი შალი.

— პირადობის მოწმობა თუ გაქვთ?

ბატონმა შალმა ჯიბეები მოიჩხრიკა.

— არა.

— აი, ეს ცუდია! — თქვა პოლიციის მოხელემ. — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ასე ვერ გაგიშვებთ. პოლიციელი სახლამდე გაგყვებათ: თქვენი მეკარე დაგვიმოწმებს, რომ თქვენი გვარი, სახელი და მისამართი გამოგონილი არაა.

ეტყობოდა, ბატონი შალისთვის უკვე სულ ერთი იყო ყველაფერი. საზე დამშვიდებოდა, ღიმილიც კი ეფინა, ოღონდ ოფლს ისევ წამდაუწუმ იწმენდდა.

— როგორც გნებავდეთ! თქვენი ნებაა! — თავაზიანად უპასუხა მან.

რაშელს ხარხარი აუტყდა. ბატონმა შალმა ნაღვლიანად შეხედა; შემდეგ დაფიქრდა, მიუახლოვდა და ენის ბორძიკით უთხრა:

— ზოგჯერ, მადმუაზელ რაშელ, უცნობი მავანის უბრალო ჟაკეტის ქვეშ უფრო კეთილშობილური, დიახ, უფრო დიდსულოვანი, მე მინდა დავუმატო: უფრო პატიოსანი გული იმალება, ვიდრე პატივითა და სახელით აღვსილი დიდი პიროვნების ცილინდრის ქვეშ!

ნიკაპი უკანკალებდა. უკვე ნანობდა, ასე რომ გაცხარდა.

— ეს თქვენ არ გეხებათ, მადმუაზელ რაშელ. არც თქვენ ბატონო პოლიციელო! — დაუმატა მან და ოთახში შემოსულ სერჟანტს თანაგრძნობით შეხედა.

რაშელმა ბატონი შალი და პოლიციელი ნეკარის ოთახში დატოვა. თვითონ კი ზევით ავიდა.

ანტუანი კარებთან უცდიდა.

რაშელი არ მოელოდა მას და ისეთი სიხარული იგრძნო, წამით თვალები დახუჭა, მაგრამ სახეზე მაინც არაფერი შეიმჩნია.

— ვრეკე, ვრეკე და იმედი გამიწყდა! — გამოუტყდა ანტუანი.

ისინი მხიარულად შეჰყურებდნენ ერთმანეთს და შეთქმულებივით იღიმებოდნენ.

— ამ დილით რას აკეთებთ? — ჰკითხა ანტუანმა, რომელიც აღტაცებული ათვალიერებდა ღიაფერის ტილოს კოსტიუმში და ყვავილებიან ქუდში კოხტად გამოწყობილ ქალს.

— დილით? რაღა დილაა. უკვე მეორე საათია. ჯერ არ მისაუზმია.

— არც მე.

ანტუანმა ერთბაშად მიიღო გადაწყვეტილება:

— გინდათ ერთად ვისაუზმოთ? თანახმა ხართ? ჰო?

ქალი იღიმებოდა. ანტუანის გამომეტყველებას ნამდვილად დაეტყვევებინა: იგი წააგავდა იმ ხარბ ბავშვს, რომელსაც თავისი სურვილების დამალვა არ ძალუძს.

— თქვით, თანახმა ვარ-თქო! .

— კეთილი. თანახმა ვარ.

— ოჰ! — აღმოხდა ანტუანს და შვებით ამოისუნთქა.

რაშელმა კარი გააღო.

— ოღონდ მოახლეს გავაფრთხილებ და შინ გავუშვებ, — დაუმატა მან.

ანტუანი წამით მარტო დარჩა კიბის საქცევზე. მას აქამდე შერჩენოდა ის შეგრძნება, რაც იმ დილით განიცადა მისკენ წამოსული რაშელის დანახვისას. „როგორ გამომიწოდა ტუჩები!“ — გაიფიქრა მან და ამ მოგონებამ ისე ააღელვა, მუშტები მოკუმა და კედელს მიეყრდნო.

რაშელი დაბრუნდა.

— წავიდეთ! საშინლად მშია! — უთხრა მან ისეთი ავხორცი ღიმილით, თითქოს ვნება იხმობსო.

— თუ გინდათ მარტო გადით, მე ქუჩაში დაგეწევით! — მოუხერხებლად შესთავაზა ანტუანმა.

რაშელმა სიცილით მოიხედა:

— მე? მე ხომ სრულიად თავისუფალი ქალი ვარ და არასოდეს არაფერი მაქვს დასამალი!

ისინი რივოლის ქუჩას გაჰყვნენ. ანტუანს კვლავ ეცა თვალში მისი სიარულის რითმული, მსუბუქი მანერა: ისე ადგამდა ნაბიჯებს, იტყოდით, ცეკვავსო.

— სად წავიდეთ? — ჰკითხა ანტუანმა.

— აი, აქვე რომ შევსულიყავით? უკვე ისედაც გვიანაა! — თქვა რაშელმა და ქოლგის ბოლოთი იმ უბნის რესტორანზე მიუთითა ქუჩის კუთხეში.

ანტრესოლში არავინ იყო. პატარა მაგიდები მომრგვალებულ ფანჯრებთან ჩაენწკრივებინათ; თაღებს ქვეშ, თითქმის იატაკის დონეზე გამოჭრილი სარკმლები რაღაც უცნაურ შუქს ჰფენდნენ დაბალჭერიან დარბაზს, სადაც მზე არასოდეს აღწევდა და ამიტომაც მუდამ გრილოდა. რაშელი და ანტუანი ერთმანეთის პირისპირ დსხდნენ და ისეთი გამომეტყველება ჩადგომოდათ თვალებში, როგორიც თამაშის დაწყების წინ აქვთ ხოლმე ბავშვებს.

— მე თქვენი გვარიც კი არ ვიცი! — უთხრა უცებ ანტუანმა.

—რაშელ გეპფერტი. ასაკი — ოცდაექვსი წლისა. ნიკაპი — ოვალური. ცხვირი — საშუალო ზომისა...

— კბილები ყველა საღია?

— ახლავე ნახავთ! — წამოიძახა ქალმა და სოსისებით სავსე თეფშს დააცხრა.

— ფრთხილად, ნივრიანი უნდა იყოს!

— მერე რა უშავს? მით უარესი! — შეეკამათა ქალი, — გაგიჟებით მიყვარს ყველაფერი მდაბიური! [1]

გეპფერტი... იმის გაფიქრებამ, რომ შესაძლებელია რაშელი ებრაელი იყოსო, ანტუანს ის მცირეოდენი ცრურწმენა აუფორიაქა, რაც კი აღზრდისგან შერჩენოდა: ოღონდ ზუსტად იმდენად, რომ მის თავგადასავალს დამოუკიდებლობისა და ეგზოტიკის პიკანტური ელფერი მისცემოდა.

— მამაჩემი ებრაელი გახლდათ! — განაცხადა რაშელმა, თითქოს ახალგაზრდა კაცის ფიქრებს მიხვდაო.

ოფიციანტმა, მერძევესავით რომ წამოეცვა სამკლავურები, მენიუ მოიტანა.

— მიკსიდ გრილ?! * — შესთავაზა ანტუანმა.

რაშელს სახეზე უცნაური ღიმილი აუკიაფდა, რომლის შეკავება, ეტყობა, ვერ მოეხერხებინა.

— რას იცინით? ეს გენიალური რამაა! ამდენი გემრიელი საჭმელი ერთადაა შეწვარი. თირკმელები, ბეკონი, სოსისები, კოტლეტები.

— ...კრესითა და ვაშლის სუფლეთი! — დაუმატა ოფიციანტმა.

— ვიცი, ძალიან მიყვარს, — განაცხადა რაშელმა; მართალია, სიცილი, როგორც იქნა, შეიკავა, მაგრამ თვალები მაინც უცნაურად უციმციმებდა.

— რას დალევთ?

— ლუდს.

— მეც, ოღონდ კარგად ჩაციებულს.

ანტუანი შესცქეროდა ქალს, რომელიც უმი არტიშოკის ფოთლებს კვნეტდა.

— ძლიერ მიყვარს ძმრიანი საჭმელი! — აღიარა მან.

— მეც.

ძალიან უნდოდა ერთნაირი გემოვნება ჰქონოდათ. თავს იკავებდა, თორემ, ალბათ, წამდაუწუმ შეაწყვეტინებდა ლაპარაკს და წამოიძახებდა: მეც ასეთი ვარო. მან თითქოს ზუსტად იცოდა წინასწარ, რას იტყოდა ან რას მოიმოქმედებდა რაშელი: მას სწორედ ისე ჩაცმული ქალები მოსწონდა, როგორც რაშელი იცვამდა. კისერზე ძველებური ქარვის ყელსაბამი ეკეთა, რომლის მსხვილი, გამჭვირვალე და წაგრძელებული მარცვლები რაღაც ხილს აგონებდა, მალაგის ყურძენსა თუ მზეზე დაბერილი მარაბელის მარცვლებს. რძესავით თეთრი კანი ამაღელვებლად პრიალებდა. ანტუანი გრძნობდა, რომ ამ ქალთან ყოფნისას იგი იმ დამშეულ ადამიანს ემსგავ-

[1] სიტყვის თამაშია: კანაი — ვულგარული, მდაბიო; აი — ნიორი.

სებოდა, რომელიც ვერასოდეს ვერაფრით მოიკლავდა შიმშილს. „როგორ გამომიწოდა ტუჩები!" — ხელახლა გაიხსენა მან და გული გადაუქანდა. ახლა კი აგერ, მის წინ ზის იგივე ქალი... რაშელი იღიმებოდა!

ორი ქაფმოდებული ტოლჩა დადგეს მაგიდაზე. ანტუანს და რაშელს ერთი სული ჰქონდათ, როდის მიიტანდნენ ტუჩებთან. ანტუანი თვალს არ აშორებდა ქალს და ასე ერთდროულად ლუდის დალევა მეტადართობდა; ხოლო როცა ეს პიკანტური, აქაფებული სასმელი ჯერ ენაზე იგრძნო, მერე კი სწორედ იმ წამს გათბა, როცა იმავე გაყინულმა სითხემ რაშელსაც დაუსველა ენა, ასე ეგონა, ჩვენი ტუჩები ხელახლა შეეხნენ ერთმანეთსო. წამით თავბრუ დაესხა; რაშელის ხმამ გამოაფხიზლა:

— ... ისინი ისე ექცევიან, როგორც მოჯამაგირეს...

— ვინ ისინი?

— დედა და მოახლე. (ანტუანი მიხვდა, რომ ქალი შალის ოჯახზე ლაპარაკობდა). — დედაბერს შვილისთვის სხვა სახელი არ ემეტება გარდა „დოყლაპიასი".

— დამიჯერეთ, ეს სახელი მას ძალან შვენის!

— ჯერ შემოსულიც არაა შინ და დედამისი უკვე აბუჩად იგდებს; დილით კიბეზე დგას და ყველას, ბავშვსაც კი თვითონ უწმენდს ფეხსაცმელებს.

— ბატონი შალი? — მხიარულად ჰკითხა ანტუანმა.

ერთბაშად წარმოიდგინა ბატონი შალი, რომელიც ბატონი ტიბოს კარნახით ათასგვარ წერილებს აჯგენდა, ანდა ბატონი ტიბოს მაგივრად მორალურ მეცნიერებათა აკადემიიდან რომელიმე მის კოლეგას იღებდა!

— თითქოს მოლაპარაკებულები არიანო, ყველა მას ძარცვავს! იქამდე მიდიან, შინიდან გასვლის წინ, ვითომ ჯაგრისით უწმენდნენ ტანსაცმელს, მის ზურგს უკან დგანან და ჯიბიდან ფულს ჰპარავენ. შარშან დედაბერმა სამი თუ ოთხი ათასი ფრანკის ყალბ თამასუქს მოაწერა ხელი შვილის ნაცვლად. გვეგონა, ბატონ შალს დამბლა დაეცემოდა.

— მერე რა ჰქნა?

— რა თქმა უნდა, ყველა თამასუქი გაანაღდა. მთელი ექვსი თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ იხდიდა ვალს. აბა, ხომ არ დააბეზღებდა დედამისს!

— ჩვენ ამ კაცს ყოველდღე ვხედავთ და ვერც კი წარმოგვედგინა, ასეთი გაწამებული ცხოვრება თუ ჰქონდა!

— არასოდეს არ ყოფილხართ მათთან?

— არასოდეს.

— ყველაზე ღარიბ-ღატაკი უკეთ იქნება მოწყობილი ოჯახში, ვიდრე ისინი ამჟამად. მაგრამ ორი წლის წინ უნდა გენახათ მათი ბინა! ფილებით დაგებული იატაკები, ხის პანელები, კედლის განჯინები... დამიჯერეთ, ვოლტერის თანამედროვედ წარმოგიდგებოდათ თავი. მთელი ავეჯი ინკრუსტაციებით, საგვარეულო პორტრეტებით, ძველებური ვერცხლეულით ჰქონდათ სავსე.

— მერედა სად გაქრა ყველაფერი?

— ქალებმა ჩუმ-ჩუმად გაჰყიდეს. ერთ საღამოს ბატონი შალი შინ ბრუნდება და ხედავს, რომ ლუი XVI-ის სტილის საწერი მაგიდა სადღაც გაქრა. მეორედ, ხალიჩები ვეღარ შეამჩნია კედლებზე, მერე — სავარძლები, კედლის საათი, მინიატურები. პაპამისის პორტრეტიც კი გაეყიდათ: მუნდირში ჩაცმულ გულად ვაჟკაცს იდლიის ქვეშ სამკუთხა ქუდი ეჭირა და გაშლილ რუქასთან იდგა.

— სამხედრო შთამომავლები ჰყავდა?

— თითქმის: ლა ფაიეტის * დროს ამერიკაში მსახურობდა თურმე.

ანტუანი მიხვდა, რომ, მართალია რაშელი ენამოქნილი ჩანდა, სამაგიეროდ კარგად ლაპარაკობდა, დეტალების ხატოვნად მოყოლა ემარჯვებოდა. უდავოდ ჭკვიანი ქალი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ისეთი გონებაგახსნილობა, დაკვირვებისა და დამახსოვრების ისეთი მანერა შეამჩნია, რასაც იგი ძალიან აფასებდა.

— ჩვენთან, — თქვა მან, — ერთხელაც არ დასცდენია საყვედური.

— ოჰ, მე კი რამდენჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ საცოდავი კიბეზე იდგა და ტიროდა!

— დაუჯერებელი ამბავია! — წამოიძახა ანტუანმა.

ეს სიტყვები ისეთი მკვირცხლი გამოხედვითა და ღიმილით აღმოხდა რომ რაშელს მაშინვე გადაავიწყდა რაზე ლაპარაკობდა, ანტუანს დააკვირდა.

— ნუთუ მართლა ასეთი გაჭირვებულები არიან? — ჩაეკითხა ახალგაზრდა კაცი.

— რასაკვირველია, არა! დედაბრები ფულს აგროვებენ და ინახავენ. გარწმუნებთ, თვითონ არაფერს იკლებენ, მაგრამ საკმარისია შვილმა თავისთვის სადეჭი რეზინი იყიდოს, ერთ დავიდარაბას აუტეხავენ! ოჰ, ყველაფერი რომ გიამბოთ, რაც მისმა მეზობლებმა ვიცით! ალინამ მოინდომა... აბა თუ გამოიცნობთ!.. უნდოდა ცოლად გაჰყოლოდა ბატონ ჟიულს! ნუ იცინით. ცოტაც და საქმე გაიჩარხებოდა! ეტყობა, დედაბერთან იყო მოლაპარაკებული. საბედნიეროდ, ერთ დღეს ქალები წაიჩხუბნენ.

— შალი თანახმა იყო:
— ოჰ, დედეტის ხათრით, ალბათ, დათანხმდებოდა. დედეტზე მზე და მთვარე ამოსდის. როცა ქალებს სურთ რაიმე დასტყუონ, ემუქრებიან, ბავშვს სავოიაში, ალინას სამშობლოში, გავგზავნითო. შალი მაშინვე ატირდება და ყველაფერზე თანახმაა.

ანტუანი აღარ უსმენდა: იგი შეჰყურებდა ქალის ბაგეების მოძრაობას, ამ ბაგეებს ხომ სულ ცოტა ხნის წინ კოცნიდა; რაშელს ლამაზი ტუჩები ჰქონდა, შუაში მსუქანი, კუთხეებთან კი ნასერივით თხელი; როცა გაჩუმდებოდა, ტუჩის კუთხეები ოდნავ აიწეოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ღიმილი, — ოღონდ დამცინავი კი არა, არამედ მშვიდი, მხიარული ღიმილი, პირზე შეაშრაო.

მას იმდენად არ აინტერესებდა საცოდავი შალის ბედი, რომ დაბალ ხმაზე განაცხადა:
— იცით, მე ბედნიერი კაცი ვარ!
თქვა და გაწითლდა.

რაშელს ხარხარი აუტყდა. იმის შემდეგ, რაც წინადღით საოპერაციო მაგიდასთან ასე კარგად შეაფასა ამ მამაკაცის ყველა თვისება, ახლა უხაროდა მისი ბავშვური ხასიათიც რომ გაიცნო, რადგან იგი ანტუანს უფრო მეტად აახლოებდა მასთან.
— რამდენი ხანია? — ჰკითხა რაშელმა.
— ამ დილიდან! — ცოტათი იცრუა ანტუანმა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინც მართალს ამბობდა. მოაგონდა, მზით გასხივოსნებულ ქუჩაზე რა გრძნობით გამოვიდა რაშელის ბინიდან. არასოდეს ძალთა ასეთი მოზღვავება არ განუცდია: წარმოუდგენელი გულგრილობით გაარღვია სამეფო ხიდთან შექმნილი ჭედვა, გაძვრა მანქანებს შორის და თან ფიქრობდა. „როგორი რწმენა მაქვს საკუთარი თავისა, ამ წუთში მთელი ჩემი შესაძლებლობის გამგებელი ვარ! ზოგი თავისუფალ ნებისყოფას უარყოფს".
— შეიძლება შემწვარი სოკო გადმოგიღოთ? — ჰკითხა მან რაშელს.
— უით პლეიჟურ [1].
— ინგლისურად ლაპარაკობთ?
— რა თქმა უნდა. სი სონ ვედუტა კოზე პიუ სტრაორდინარე [2].
— იტალიურადაც! გერმანულიც იცით?

---

[1] სიამოვნებით (ინგ.).
[2] უფრო უჩვეულოც ბევრი გვინახავს. (იტალ.).

— აბერ ნიჰ ზერ გუტ [1].

ანტუანი დაფიქრდა.

— ბევრი გიმოგზაურიათ?

რაშელმა ღიმილი შეიკავა.

— ცოტა.

მისი ტონი ისეთი იდუმალი მოეჩვენა, ქალს თვალებში ჩახედა.

— რას ვამბობდი? — იკითხა ანტუანმა.

მაგრამ სიტყვებს რა მნიშვნელობა ჰქონდა: ორივე გრძნობდა, რომ გამოხედვებით, ღიმილით, ინტონაციით, უბრალო მოძრაობებითაც კი ყოველწამს იბმებოდა მათ შორის ურთიერთობა.

რაშელმა უცებ შეხედა და უთხრა:

— როგორ არ ჰგავხართ იმ ადამიანს, წუხელ რომ ვნახე...

— გეფიცებით, თქვენს წინაშე იგივე ადამიანია! — წამოიძახა ანტუანმა და იოდისგან ჯერ კიდევ გაყვითლებული ხელები მაღლა ასწია. — მაგრამ როცა ერთერთი კოტლეტიდან ძვალია ამოსაღები, სახელოვანი დასტაქრის როლს ნამდვილად ვერ გავითამაშებ!

— იცით? მე უკვე მოვასწარი და კარგად შევისწავლეთ!

— მერე?

ქალი გაჩუმდა.

— ასეთ სანახაობას პირველად ესწრებოდით? — ჰკითხა ანტუანმა.

ქალმა შეხედა, მაშინვე არ გაუცია პასუხი და გაეცინა.

— მე? — ისეთი ტონით იკითხა ბოლოს, თითქოს ეუბნებოდა „ასეთები მინახავს?!" მაგრამ მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა სიტყვა: — ოპერაციის გაკეთება ხშირად გიხდებათ?

— არა, არასოდეს. ქირურგიაში არ ვმუშაობ. პედიატრი ვარ, ბავშვების ექიმი...

— დასტაქარი რატომ არა ხართ? თქვენისთანა ადამიანი...

— უნდა ვიფიქროთ, რომ დასტაქრობა ჩემი მოწოდება არ იყო.

— ოჰ, რა საწყენია! — ამოიოხრა ქალმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქალის სიტყვებმა რატომღაც ნაღველი მოჰგვარა ანტუანს.

— ეჰ, ექიმი... დასტაქარი.. — წამოიწყო მან ხმამაღლა, — მოწოდების შესახებ ხალხს ყალბი აზრი აქვს შექმნილი! გგონია, ამა თუ იმ პროფესიას თვითონ ირჩევ, სინამდვილეში კი, შემთხვევების ამბავია და მეტი

---

[1] ოღონდ არც ძალიან კარგად. (გერმ.).

არაფერი... (ქალმა შეამჩნია, რომ ანტუანის სახეს ხელახლა მიეღო ის ვაჟკაცური იერი, რომელმაც ასე დაატყვევა წინა ღამით ბავშვის სასთუმალთან) — რა საჭიროა საკამათოდ გავხადოთ ის, რაც უკვე მოხდა? — განაგრძობდა ანტუანი, — ადამიანის მიერ არჩეული გზა მუდამ საუკეთესოა, თუკი იგი წინსვლის საშუალებას მოგცემს!

და როცა მოაგონდა, რომ მის წინ იჯდა მშვენიერი ქალი, რომელმაც რამდენიმე საათში მოახერხა განსაკუთრებული ადგილი დაეკავებინა მის ცხოვრებაში, იგი ერთბაშად აფორიაქდა: „მთავარია, ხელი არ შემიშალოს მუშაობაში, წინსვლაში!"

ქალს არ გამოპარვია მისი შეჭმუხნული შუბლი.

— თქვენ, ალბათ, საშინლად ჯიუტი ხართ!

— არ დამცინებთ? — გაიცინა ანტუანმა. — დევიზად ლათინური სიტყვა მქონდა დიდხანს: „სტაბო", რაც ნიშნავს: „გავუძლებ!" იგი ჩემს საფოსტო ქაღალდებზეც დავაბეჭდვინე, წიგნების ჩამონაჭერზეც ვაწერდი.

ჯიბიდან საათის ძეწკვი ამოიღო:

— ამ ძველებურ ბრელოკზეც ამოვაკვეთინე და ახლაც ვატარებ.

რაშელმა ხელი მოჰკიდა ძეწკვზე დამაგრებულ ბრელოკს.

— მშვენიერია!

— მართლა? მოგწონთ?

ქალი მიუხვდა და ბრელოკი მაშინვე დაუბრუნა.

— არა.

ანტუანმა უკვე მოხსნა იგი ძეწკვიდან.

— აიღეთ, გთხოვთ.

— ხომ არ გაგიჟდით?

— რაშელ! სამახსოვროდ...

— რის სამახსოვროდ...

— ყველაფრის!

— ყველაფრის? — გაიმეორა მან, ანტუანს თვალი თვალში გაუყარა და ლაღად გაეცინა.

ოჰ, როგორ მოსწონდა ანტუანს იგი იმ წუთში! როგორ მოსწონდა მისი წრფელი, თითქმის ბავშვური ღიმილი! იგი არ ჰგავდა არც ერთ მის ნაცნობ ფეხმსუბუქ დიაცს, არც ერთ ქალიშვილსა თუ ახალგაზრდა ქალს, რომლებიც პარიზის ოჯახებში უნახავს ან სასტუმროებში შეხვედრია არდადეგების დროს! ეს ქალები უფრო აფრთხობდნენ, ვიდრე იზიდავდნენ მას. რაშელის წინაშე უხერხულობას არ გრძნობდა: მის დონეზე იდგა. ამ ქალში ერთდროულად წარმართული მომხიბვლელობაც იგრძნობოდა და ის

უბრალოებაც, რაც თავის ხელობაში შეყვარებულ ფეხმსუბუქ ქალებს აქვთ ხოლმე. მაგრამ ამ მომხიბვლელობას თრაზროვნებისა და ვულგარულობის კვალი არ ეჩნეოდა. ოჰ, როგორ მოსწონდა იგი იმ წუთში! მარტო შეუდარებელ საყვარელს როდი ხედავდა მასში; პირველად თავის სიცოცხლეში გაიფიქრა, რომ ცხოვრების თანამგზავრი, ნამდვილი მეგობარი ვიპოვეო!

ეს ფიქრი დილიდანვე აკვიატებოდა. მას უკვე აეშენებინა ახალი ცხოვრების სართულები, სადაც რაშელს თავისი ადგილი ექნებოდა. კონტრაქტს მეორე მხარის თანხმობაღა აკლდა. ბავშვური სურვილით შეპყრობილს უნდოდა ახლავე ეტაცნა მისთვის ხელი და ეთქვა, „თქვენ ხართ ის, ვისაც ველოდი. ამიერიდან უარს ვამბობ ყოველდღიურ, შემთხვევით კავშირებზე. მაგრამ რაკი ყოველგვარი გაურკვევლობა მძულს, მოდით, ახლავე მოვაგვაროთ ჩვენი მომავალი დამოკიდებულება. თქვენ იქნებით ჩემი საყვარელი! მოდით, მოვაგვაროთ ეს საქმე!" რამდენჯერმე კინაღამ ხმამაღლა გაუზიარა თავისი ფიქრები. შეეცადა მომავალზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ რაშელი მუდამ ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა; ანტუანმაც ვეღარ გაბედა თავისი გეგმების გამჟღავნება.

— კარგია აქ, არა? — წაილაპარაკა რაშელმა. იგი დაშაქრულ მოცხარს შეექცეოდა და ტუჩები დაწითლებოდა.

— დიახ. უნდა დავიმახსოვრო. პარიზში ყველაფერს იშოვის კაცი, თვით პროვინციასაც კი!

შემდეგ ცარიელ დარბაზს გადახედა და დაუმატა:

— თანაც არც იმის შიში გაქვს, რომ აქ ვინმეს შეხვდები!

— აჰა, არ გესიამოვნებათ, ვინმემ ჩემთან რომ დაგინახოთ?

— ღმერთო ჩემო! მე ხომ თქვენ გამო ვწუხვარ.

რაშელმა მხრები აიჩეჩა:

— ჩემს გამო?

მოსწონდა, რომ ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა ანტუანს, მაგრამ ახსნაგანმარტებას არ ეშურებოდა. ახალგაზრდა კაცი ისეთი შემკრთალი თვალებით ეკითხებოდა თითქოს რაღაცას, რომ იძულებული გახდა გაენდო:

— გიმეორებთ ანგარიშს არავის ვაბარებ. თავის სარჩენად მცირეოდენი თანხა მაქვს, ყოველ შემთხვევაში, მყოფნის. სამაგიეროდ, თავისუფალი ვარ.

დაჟაბული გამომეტყველება ანტუანს ერთბაშად გულუბრყვილო იერით შეეცვალა. ქალი მიხვდა, რომ ანტუანმა ასე ახსნა მისი სიტყვები: „თუ მოინდომებ, შენი ვიქნები!" ანტუანის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, რა-

შელი, ალბათ, აღშფოთდებოდა; მაგრამ ანტუანი მოსწონდა და რაკი უხაროდა, მასაც მოვწონვარო, აღარ გაბრაზებულა სწრაფად რომ ვერ გაუგო ნათქვამი.

ყავა მოიტანეს. რაშელი გაყუჩდა და დაფიქრდა. ეტყობა, ხანგრძლივი კავშირი მასაც შესაძლებლად მიაჩნდა, რადგან ერთბაშად გაიფიქრა, ამ წვერს აუცილებლად მოვაპარსვინებო. მაგრამ იგი ანტუანს არ იცნობდა! ისეთივე გატაცება, რასაც დღეს რაშელი მის მიმართ გრძნობდა, სხვების მიმართაც ჰქონია წინათ. ამიტომ ანტუანი არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში და ნება არ უნდა მისცეს მეტისმეტად თვითდაჯერებულობა გამოიჩინოს და ასე ხშირად დაუწყოს ყურება!

— პაპიროსი გინდათ?

— არა, მე ჩემი სიგარეტები მაქვს, უფრო რბილი.

ანტუანმა ანთებული ასანთი მიუახლოვა; ქალმა ნაფაზი დაარტყა და ბოლში გაეხვია.

— გმადლობთ.

დიახ, რა თქმა უნდა, მთავარია, ყოველგვარი გაუგებრობა აიცდინოს თავიდან. რაშელისთვის მით უფრო ადვილი იყო სრული გულახდილობა, რამდენადაც ამით არავითარ რისკს არ სწევდა. მან ფინჯანი გასწია, სუფრას იდაყვებით დაეყრდნო და ნიკაპი გადაჯვარედინებულ თითებზე ჩამოადო. პაპიროსის კვამლისგან თვალები ისე მოეჭუტა, თითქმის აღარც უჩანდა.

— მე ვამბობ, თავისუფალი ვარ-მეთქი! — გარკვევით წამოიწყო მან, — მაგრამ ის კი არ მითქვამს, ვინმეს შეუძლია თავის ნებაზე მატაროს-მეთქი. გამიგეთ?

ანტუანს ჩვეული გამომეტყველება მიეღო.

— გულახდილად გეტყვით, — განაგრძო ქალმა, — რომ ცხოვრებამ ერთხელ უკვე საკმაოდ ჩამწიხლა. ყოველთვის როდი ვიყავი თავისუფალი. მაგალითად, ორი წლის წინ სად მქონდა თავისუფლება? ახლა მაქვს და ძალიანაც ვაფასებ (თავისი ნათქვამის თვითონვე სჯეროდა). ისე ვაფასებ, რომ არაფრის გულისთვის არ დავთმობ. გამიგეთ?

— დიახ.

რაშელი წამით ჩაჩუმდა. ანტუანი ათვალიერებდა ქალს, მაგრამ რაშელს არ შეუხედავს მისთვის, ეღიმებოდა და ფინჯანში კოვზს ურევდა.

— სხვათა შორის, გულწრფელად გეუბნებით: მე არ გამაჩნია ის თვისება, რაც ერთგულ მეგობარს, საიმედო საყვარელს მოეთხოვება. მიყვარს,

როცა ყოველ ჩემს კაპრიზს ვიკმაყოფილებ. ყოველს. ამისთვის კი თავისუფლებაა საჭირო. მინდა თავისუფალი დავრჩე. გამიგეთ?

იგი ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა ცხელ ყავას და პირი ეთუთქებოდა.

ანტუანი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. იმედები ერთბაშად დაენგრა. მაგრამ რაშელი ჯერ ხომ იჯდა მის წინ? ჯერ ხომ ყველაფერი არ დაკარგულა? მას არ ჩვეოდა ხელი აეღო იმისგან, რაც გულით სწადდა და ვერც მარცხს ეგუებოდა. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა ნათელი ჩანდა: სჯობს ასე იყოს, ვიდრე ილუზიებით მოიტყუოს თავი; რაკი ყველაფერი იცი, უნდა იმოქმედო კიდეც!.. მას ერთი წუთითაც არ წარმოუდგენია, შესაძლებელია, რაშელი ხელიდან დამისხლტეს ანდა ჩემს გეგმებს არ დაეთანხმოსო. ასეთი ხასიათი ჰქონდა: მუდამ დარწმუნებული იყო, მიზანს მივაღწევო.

ახლა მხოლოდ ისღა დარჩენოდა რაშელი უკეთ გაეცნო, ჩამოეგლიჯა მისთვის ნიღაბი, რომელიც ჯერ კიდევ ჰფარავდა.

— მაშასადამე, ორი წლის წინ თავისუფალი არ იყავით, ხომ? — წაიბუტბუტა მან და შეკითხვა აშკარად დაუსვა. — ამჟამად მართლა გათავისუფლდით? სამუდამოდ?

რაშელი ისე დააკვირდა, იტყოდით, ბავშვს უყურებსო. შემდეგ ირონიულად აუციმციმდა თვალები, თითქოს ეუბნებოდა: „კეთილი გიპასუხებთ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მე თვითონ მსურს გიპასუხოთ!“

— ის მამაკაცი, ვისთანაც მე ვცხოვრობდი, ეგვიპტის სუდანში დასახლდა!— თქვა მან. — საფრანგეთში არასოდეს დაბრუნდება.

მან ჩუმად ჩაიცინა, ანტუანს თვალი აარიდა, ერთბაშად დაუმატა:

— წავიდეთ!

და წამოდგა.

რესტორნიდან გამოსულმა ალჟირის ქუჩისკენ გაუხვია. ანტუანი უხმოდ მიჰყვებოდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; განშორება უძნელდებოდა.

როცა რაშელის სახლის სადარბაზოს მიუახლოვდნენ, ქალი თვითონ დაეხმარა:

— დედეტის სანახავად არ ამოხვალთ? — შესთავაზა მან და მაშინვე დაუმატა: — თუმცა ვინ იცის, იქნებ, სხვა საქმეები გაქვთ.

ანტუანს მართლაც უნდა შეევლო ერთ ავადმყოფ ბავშვთან, პასის ქუჩაზე. ამას გარდა, კორექტურაც ჰქონდა წასაკითხი იმ მოხსენებისა, რომელიც იმ დილით მის ხელმძღვანელს საავადმყოფოში მიუტანია და უთხო-

ვია, სქოლიოები შეამოწმეო, და რაც მთავარია, მეზონ-ლაფიტში სადილად ელოდებოდნენ, უნდოდა ადრე ჩასულიყო და ჟაკთან საუბრის დრო ჰქონოდა. მაგრამ ახლა, რაკი რაშელთან შესვლის შესაძლებლობა მიეცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი გადაიდო.

— მთელი დღე თავისუფალი მაქვს! — განაცხადა მან და რაშელი წინ გაუშვა.

წამით გაუელვა, ასეთი საქციელით ხომ ხელი შემეშლება მუშაობაში, მთელი ჩემი აწყობილი ცხოვრება ყირამალა დგებაო. მაგრამ მით უარესი! (კინაღამ, გაიფიქრა, მით უკეთესიო!).

კიბეს უხმოდ აჰყვნენ.

ოთახის კართან მისვლისას რაშელმა გასაღები კლიტის ჭუჭრუტანაში შეჰყო და შემობრუნდა. სახეზე სურვილი ეხატა — უეშმაკო და დაუფარავი სურვილი, ლაღი, მხიარული, დაუოკებელი სურვილი.

## V

ჟაკმა სირბილით მოირბინა შიბ პეკბელის რესტორნიდან და, როგორც კი მეკარისგან გაიგო, რაღაც უბედური შემთხვევის გამო ანტუანი ავადმყოფთან წაიყვანესო, ცრუმორწმუნეობრივი შიში იმწამსვე გაუქრა: მიუხედავად ამისა, მაინც შეძრწუნებული იდგა, როგორ დავიჯერო, რომ სამგლოვიარო ტანსაცმლის ნატვრას შეეძლო ძმის სიკვდილი გამოეწვიაო. შემდეგ, ძირმაგარაზე იოდის წასმა დააპირა, ბოთლი ვერ იპოვა და საბოლოოდ მოეშალა ნერვები. გაანჩხლებული შეუდგა ტანზე გახდას, თუმცა, ჩვეულებისამებრ, თვითონაც არ იცოდა, რა აბრაზებდა და რაკი თავისი უხასიათობისა თვითონვე რცხვენოდა, ეს ამბავი ძალიან აწუხებდა. დიდხანს იწრიალა ლოგინში, ვერ დაიძინა. უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრით არავითარ სიხარულს არ გრძნობდა.

მეორე დილით ანტუანი ჭიშკარში შეხვდა ჟაკს, რომელიც ძმის უნახავად აპირებდა მეზონ-ლაფიტში წასვლას. ანტუანმა რამდენიმე სიტყვით უამბო წინა ღამის თავგადასავალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, რაშელი არ უხსენებია. თვალები უელვარებდა, ჩამოგრძელებულ სახეზე საზრიანლო განწყობილება ეხატა, რაც ჟაკმა ოპერაციის სირთულეს მიაწერა.

როცა ჟაკი მეზონ-ლაფიტის სადგურზე ჩამოვიდა, ზარების რეკვა ისმოდა. არსად ეჩქარებოდა: ბატონი ტიბო, ისევე როგორც მადმუაზელ დე

ვეზი და ჟიზელი, კვირის წირვას არასოდეს აკლდებოდნენ; ასე რომ, საკმაო დრო ჰქონდა, აგარაკზე მისვლამდე თავისუფლად შეეძლო გაესეირნა. მყუდრო, დაჩრდილული პარკი სახეტიალოდ იწვევდა. ხეივნები უკაცრიელი ჩანდა. გრძელ სკამზე ჩამოჯდა. მყუდროებას ბალახში აჭრიალებული ჭრიჭინების კრუალი და ხიდან თითო-თითოდ აფრენილი ბეღურების ფრთხიალიღა არღვევდა. ჟაკი გასუსული იჯდა ხისქვეშ, ბაგეზე ღიმილი ეფინა, არაფერზე ფიქრობდა და იქ ყოფნით ბედნიერი იყო.

მეზონის ძველებური მამული, სენ-ჟერმენ-ან-ლეის ტყეს ემიჯნებოდა, რესტავრაციის დროს იგი შეესყიდა ლაფიტს *, რომელსაც შემდეგ მთელი ეს ხუთასი ჰექტარი პარკი ნაწილ-ნაწილად გაეყიდა, ხოლო თავისთვის მხოლოდ სასახლე დაეტოვებინა. მიუხედავად ამისა, ფინანსისტს ზომები მიეღო, რათა დიდებული ხედი, მისი რეზიდენციიდან რომ მოჩანდა, ნაკვეთის დაქუცმაცებით არ გაფუჭებულიყო და რომ ხეები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოეჭრათ. ამის წყალობით, მეზონს უზარმაზარი ფეოდალური პარკის იერი შერჩენოდა: მისი ორასწლოვანი ცაცხვების ხეივნები შეუღობავ და მწვანეში ჩაფლულ, პატარ-პატარა აგარაკების მთელ კოლონიას გულუხვად ემსახურებოდა.

ბატონი ტიბოს აგარაკი სასახლიდან ჩრდილო აღმოსავლეთით იდგა, თეთრი ბარიერით გარშემორტყმულ, მაღალი ხეებით დაჩრდილულ მდელოზე, რომლის ცენტრში ბზის ბუჩქებს შორის მრგვალი აუზი მოეწყოთ.

ჟაკი ნელი ნაბიჯით გაემართა მდელოსაკენ. როგორც კი სახლი გამოჩნდა, შესასვლელ ბარიერთან შორიდანვე მოჰკრა თვალი თეთრ კაბას: ჟიზელი ელოდა. იგი სადგურიდან მომავალ ხეივანს გაჰყურებდა და მოახლოებული ჟაკი ვერ შეამჩნია. ჟაკი ერთბაშად სიხარულმა აიტაცა და გაიქცა. ჟიზელმა დაინახა, ხელი დაუქნია, შემდეგ პირთან მიიტანა და თითქოს რუპორში ლაპარაკობსო, დაუყვირა:

— მიგიღეს?

ჟიზელი უკვე თექვსმეტი წლისა გამხდარიყო, მაგრამ მადმუაზელის ნებართვის გარეშე ბაღიდან გასვლის უფლება მაინც არ ჰქონდა.

ჟაკმა მისი გახელება მოისურვა და არაფერი უპასუხა. სამაგიეროდ, გოგონამ მის თვალებში ამოიკითხა პასუხი და ბავშვივით მოჰყვა ადგილზე ხტუნვას. შემდეგ კისერზე ჩამოეკიდა.

— კარგი, კარგი გეყოფა, შე გიჟო! — ჩვეულებისამებრ ჩაილაპარაკა ჟაკმა.

ჟიზელი სიცილით დაუსხლტა ხელიდან, მერე სიხარულისგან ათრთოლებულმა ხელახლა დაუწყო ძიძგილი. ჟაკი ხედავდა სიცილისაგან გაბად-

რულ შის სახეს, ცრემლებისგან გაბრწყინებულ თვალებს: გული აუჩუყდა და მადლიერმა წამით მკერდზეც მიიკრა გოგონა.

ჟიზელს გაეცინა და ხმას დაუწია.

— რა არ მოვიგონე იმისთვის, რომ მამიდა როგორმე დილის წირვაზე წამეყვანა. მეგონა, ათი საათის მატარებელს ჩამოჰყვებოდი. მამაშენი ჯერ არ დაბრუნებულა. წამოდი! — უთხრა მან და აგარაკისკენ წაათრია.

ვესტიბიულის სიღრმეში მადმუაზელი გამოჩნდა. ისედაც ბომცრო ტანის ქალი წელში მოხრილიყო და ზურგზე კუზი გასჩენოდა. აღელვებისაგან თავის კანტური აუტყდა და ჟაკისკენ სწრაფი ნაბიჯებით გამოეშურა, მაგრამ როცა ჟაკი პარმაღის პირველ საფეხურზე დადგა, ქალი შეჩერდა, თოჯინასავით პატარა ხელები წინ გაიშვირა, შორიდან მოეხვია და კინაღამ წონასწორობა დაკარგა.

— მიგიღეს? მიგიღეს? — ისე ბუტბუტებდა, თითქოს რაღაცას ღეჭავსო.

— ვაი! — სიცილით დაიყვირა ჟაკმა, — ფრთხილად! ძირმაგარა მაქვს და საშინლად მტკივა.

— აბა ერთი შემობრუნდი! ღმერთო დიდებულო!

და თითქოს ეს წუწუკი უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვიდრე პედაგოგიური სასწავლებლის გამოცდები, ქალი ამბების გამოკითხვას შეეშვა, აიძულა ჟაკი ადუღებული წყლით მოებანა მტკივნეული ადგილი და ზედ სალბუნი დაედო.

გადახვევაას უკვე ამთავრებდნენ მადმუაზელის ოთახში, როცა ბაღის ჭიშკრის ზარი აწკარუნდა: ბატონი ტიბო დაბრუნებულიყო.

— ჟაკი მიიღეს! — დაიკივლა ჟიზელმა, რომელიც ფანჯარაში გადაყუდებულიყო. ჟაკი კიბეზე ჩავიდა და მამას მიეგება.

— აჰა, ჩამოხვედი! რომელი ადგილი გერგო? — ჰკითხა ბატონმა ტიბომ და ჩატეტკილი სახე კმაყოფილებისაგან შეუფაკლდა.

— მესამე.

ბატონ ტიბოს კიდევ უფრო აშკარად დაეტყო კმაყოფილება. მართალია, დაშვებული ქუთუთოები არ აუწევია, მაგრამ ცხვირის კუნთი აუთრთოლდა, პენსნე ზონარზე ჩამოეკიდა და შვილს ხელი გაუწოდა.

— არც ისე ცუდია! — წაილაპარაკა მან და ჟაკის ხელს თავისი რბილი თითები ერთ ხანს არ მოაშორა. წამით შეყოყმანდა, თითქოს ბრაზობსო, წაიდუდუნა:

— რა სიცხეა! — შემდეგ შვილი თავისკენ მიიზიდა და აკოცა.

ჟაკს მაგრად უძგეროდა გული. უნდოდა შეეხედა მამისთვის, მაგრამ ბატონი ტიბო უკვე მიბრუნებულიყო და სწრაფი ნაბიჯებით პარმაღზე ადიოდა. იგი კაბინეტში შევიდა. ლოცვანი მაგიდაზე დააგდო, გაიარ-გამოიარა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახე ნელა მოიწმინდა.

საუზმე სუფრაზე ეწყო.

ჟიზელს ბალბის თაიგული დაედო ჟაკის თეფშის წინ, რაც საზეიმო იერს აძლევდა სუფრას. გოგონას სიხარულით ავსებოდა გული და სიცილს ვერ იოკებდა. ჟიზელი მკაცრად იზრდებოდა ამ ორ მოხუცთან, მაგრამ ბუნებით იყო სიცოცხლით სავსე და ამიტომაც არ აწუხებდა ეს კარჩაკეტილი ცხოვრება. ბედნიერების მოლოდინში განა ბედნიერად არ უნდა ეგრძნო თავი?!

ბატონი ტიბო ხელების ფშვნეტით შემოვიდა ოთახში.

— ახლა, — წამოიწყო მან, როგორც კი ხელსახოცი გაშალა და მუშტები თეფშის ორივე მხარეს ჩამოსდო, — ახლა მთავარია, მიღწეულით არ დაკმაყოფილდე. ჩვენ, ტიბოები უტვინო ხალხი როდი ვართ! და თუკი სასწავლებელში შესვლისას მესამე ადგილი გერგო, მუყაითი მუშაობის შედეგად პირველ ადგილზე რატომ არ უნდა გამოხვიდე ან სასწავლებლის დამთავრებისას?

მან ცალი თვალი გაახილა. წვერი ზევით აიშვირა და სახეზე ეშმაკური იერი გამოეხატა:

— თითოეულ გამოშვებაზე ვიღაცას ხომ უნდა ერგოს პირველი ადგილი?

მამის ღიმილს ჟაკმა ორჭოფული ღიმილი შეაგება. ოჯახში სადილობისას იგი ისე შეჩვეოდა თავის მოკატუნებას, ენაზე კბილის დაჭერა თითქმის არც კი უხდებოდა. თუმცა ეს ჩვევა საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნდა და ზოგჯერ კიდეც უსაყვედურებდა ხოლმე თავის თავს.

— ასეთი სახელგანთქმული სკოლიდან პირველი ადგილით გამოსვლა, — განაგრძობდა ბატონი ტიბო, — თუ ჩემი არ გჯერა, შენ ძმას ჰკითხე — მთელი ცხოვრების მანძილზე შეგრჩება: სადაც არ უნდა წახვიდე, დარწმუნებული იქნები, რომ ყველგან პატივისცემით მოგექცევიან. ანტუანი ხომ კარგად გრძნობს თავს?

— საუზმის შემდეგ უნდა ჩამოვიდეს.

ჟაკს აზრადაც არ მოსვლია მამისათვის ეამბნა ის უბედურება, რაც შალის ოჯახს დაატყდა თავს. თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, ბატონ

ტიბოს თანდასწრებით ყველანი დუმდნენ: რაიმე ახალი ამბის შეტყობინებას ვერავინ ბედავდა, რადგან შეუძლებელი იყო წინასწარ მიმხვდარიყვნენ, ეს ჩასუქებული, ყოვლისშემძლე, მეტად ენერგიული კაცი რა დასკვნას გამოიტანდა ამ ცნობიდან ან რა საშუალებით, წერილებითა თუ ვიზიტით, მისცემდა უფლებას თავის თავს საქმეში ჩარეულიყო და ყველაფერი აერდაერია.

— ალბათ, წაიკითხავდით, ვილბოში ჩვენი კოოპერატივის გაკოტრების ამბავს! ამდილანდელი პრესაც ადასტურებს. — უთხრა მან მადმუაზელს, თუმცა კარგად იცოდა, რომ ქალი გაზეთს არასოდეს კითხულობდა.

მიუხედავად ამისა, მადმუაზელმა მაინც დაუკრა თავი თანხმობის ნიშნად. ბატონმა ტიბომ ჩაიქირქილა. შემდეგ გაჩუმდა და საუზმის ბოლომდე ხმა არ ამოუღია, თითქოს არვისთან არ აინტერესებდა მუსაიფი. ბოლო ხანებში სმენა ღალატობდა, დღითიდღე უფრო მეტად ემუქრებოდა მარტოობა და ამიტომაც იჯდა ხშირად ასე. ღონიერი მოჭიდავისა არ იყოს, უზომოდ ჭამდა და ხმას არ იღებდა, იტყოდით, თავისთავში ჩაკეტილაო, სინამდვილეში კი რომელიმე დახლართულ საქმეზე ფიქრობდა. მისი მაცთუნებელი ინერტულობა ჩასაფრებული ობობას გარინდებას წააგავდა. იგი იცდიდა, სანამ გონება მოეშველებოდა და ამა თუ იმ ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი საკითხის გადაწყვეტას მიაღებინებდა. სხვათა შორის, მუდამ ასე მუშაობდა: პასიურად, გაქვავებულივით, ნახევრად თვალმოჭუტული, და მხოლოდ ტვინი ფხიზლობდა: ამ დიდ მაშვრალს არასოდეს არავითარი შენიშვნა არ ჩაუწერია, თავისი მოხსენება შავადაც კი არასოდეს დაუწერია; ყველაფერი გარდაუვლად და დეტალურად გროვდებოდა და აღიბეჭდებოდა ამ უძრავი თავის ქალის ქვეშ.

მადმუაზელი მის პირდაპირ იჯდა და საუზმის მსვლელობას თვალყურს ადევნებდა. მას მაგიდაზე დაეწყო ჯერ კიდევ ლამაზი, პატარა ხელები, რომლებსაც კიტრის წვენზე მომზადებული ნელსაცხებლით იზელდა (ეგონა, ამის შესახებ არავინ იცოდა). ქალი თითქმის არაფერს ჭამდა. დესერტზე ერთი ფინჯანი რძე მოჰქონდათ ბისკვიტით, რასაც კეკლუცად ახრამუნებდა; თავი მოსწონდა, თაგვივით პატარა კბილები აქამდე რომ საღად შერჩენოდა. მუდამ ფიქრობდა, ხალხი ზედმეტად ივსებს კუჭსო, და ამიტომაც ძმისწულის თეფშს გულდასმით თვალს ადევნებდა. მაგრამ იმ დილით, ჟაკის პატივსაცემად თავისი პრინციპებისათვის ეღალატნა და დესერტის შემდეგ კიდეც შესთავაზა:

— ჟაკო, ჩემს ახალ მურაბას ხომ არ გასინჯავ?

— „გემო — შესანიშნავი! მოსანელებლად — დიდებული!" — წაიჩურჩულა ჟაკმა და ჟიზელს თვალი ჩაუკრა: ამ ძველ ხუმრობაზე, რომელიც ბავშვობის ამბავთან — შაქარყინულის პაკეტთან და თავაწყვეტილ მხიარულებასთან იყო დაკავშირებული, ორივეს ბავშვებივით აუტყდათ ხარხარი და სიცილისაგან თვალებზე ცრემლები მოადგათ.

ბატონ ტიბოს არაფერი გაუგონია, მაგრამ გულკეთილად გაეღიმა.

— ბოროტო! ეშმაკის ფეხო! — წამოიძახა მადმუაზელმა, — გირჩევნია ნახო, რა კარგი მოხარშულია.

ლალისფერი ჟელეთი სავსე ორმოცდაათიოდე ქილა, ჭურჭლის პატარა მაგიდაზე დაეწყოთ და სანამ რომით გაჟღენთილ მრგვალ ქაღალდებს ჩაუფენდნენ და თავს მოუკრავდნენ, დოლბანდი გადაეფარებინათ, რომელსაც ამაოდ ეხვეოდნენ ბუზები.

სასადილო ოთახიდან ორი შემინული კარი ვერანდაზე გადიოდა, სადაც ყვავილებიანი ჟარდინიერები იდგა. შტორების მთელ სიგრძეზე მზეს თვალისმომჭრელი ზოლები დაეფინა იატაკზე. კრაზანა ზუზუნით დასტრიალებდა ქლიავის საკომპოტეს და შუადღის ამ ლაციცში მთელი სახლიც მასთან ერთად გუგუნებდა თითქოს. უმაღლეს სასწავლებელში შესვლით გამოწვეული წამიერი სიხარულის ღირსად, ჟაკი მხოლოდ ამ საუზმობის წუთებს იხსენებდა მოგვიანებით.

აღგზნებული, ბედნიერი, მაგრამ ჩვეულებისამებრ ჩუმი ჟიზელი თანამონაწილესავით გადახედავდა ხოლმე ჟაკს მალულად და ყოველ მის ნათქვამზე კისკისებდა:

— ოჰ, ჟიზ, რა საშინელი ტუჩ-კბილი გაქვს! — ხმის კანკალით უსაყვედურებდა ხოლმე მადმუაზელი, რომელიც ვერასგზით ვერ შეეგუებოდა ჟიზელის ფართო პირსა და მსხვილ კბილებს. არც მისი შავი, ტალღისებრი თმა მოსწონდა, არც აბზეკილი ცხვირი, არც რბილი, ხორბლისფერი კანი, რაც მისდაუნებურად ხშირად აგონებდა ჟიზელის დედას, მეტისს, რომელიც მაიორმა დე ვეზმა მადაგასკარში შეირთო ცოლად. ამიტომ ყოველ ნაბიჯზე აგონებდა ძმისწულს, რა შთამომავლობასაც ეკუთვნოდა იგი მამის მხრიდან.

— შენს ასაკში რომ ვიყავი, — ღიმილით წამოიწყო მან, — ბებიაჩემი, აი ის, სურათზე შოტლანდიური შარფი რომ ახვევია, მაიძულებდა ასჯერ მაინც გამემეორებინა ზედიზედ: „მომაწოდეთ, გეთაყვა, ორიოდე ცალი ტურსის ქლიავი!" უნდოდა პატარა პირი მქონოდა!

მადმუაზელი ლაპარაკობდა და თან დაგრეხილი ხელსახოცით კრაზანას დაჭერას ლამობდა, და როცა იგი დაუძვრებოდა, სიცილს ვერ იკავებდა.

ეს საყვარელი ქალი უცხვირპირო მოხუცი როდი გახლდათ; ბედის უკუღმართობამ ვერ წაართვა ახალგაზრდული, მომხიბვლელი სიცილი, რომელიც მარჯალიტის წკრიალს მოგაგონებდათ.

— ბებიაჩემს, — განაგრძო მან, — ერთხელ, ტუილერიში, მინისტრთან, გრაფ დე ვილელმთან * უცეკვია თურმე. ჩვენს დროში იგი ძალიან უბედური ქალი იქნებოდა, რადგან არც დიდი პირი ჰქონდა და არც დიდი ფეხები.

მადმუაზელი თავს იწონებდა თავისი ფეხებით, რომლებიც ჩვილი ბავშვივით პატარა ჰქონდა და თითების დაბრეცის შიშით ბრტყელცხვირა, ნაჭრის ფეხსაცმელებს ხმარობდა მხოლოდ.

სამ საათზე ყველანი მწუხრის ლოცვაზე წავიდნენ და სახლი დაცარიელდა. ჟაკი მარტო დარჩა თავის ოთახში, რომელიც მესამე სართულზე იყო, მანსარდზე. ოთახი ფართო, გრილი იყო და კედლებზე ყვავილებიანი შპალერი გაეკრათ. მართალია, ფანჯრებიდან თვალუწვდენელი ჰორიზონტი არ იშლებოდა, სამაგიეროდ, ატყორცნილი ორი წაბლის ხე ფრთისებრ-ფოთლოვანი კენწეროებით თვალს ახარებდა.

მაგიდაზე ლექსიკონები და ფილოლოგიური ტრაქტატი იდო; ჟაკმა კედლის განჯინის ქვედა თაროზე მიაგდო ეს წიგნები და საწერ მაგიდას მიუჯდა. „ბავშვი ვარ თუ მამაკაცი?“ — ჰკითხა მან ანაზდად თავისთავს, — დანიელი? დანიელი სულ სხვაა. მე კი... ვინ ვარ მე?“ ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს იგი მთელი სამყარო ყოფილიყო. წინააღმდეგობით სავსე სამყარო; ქაოსი, სიმდიდრის ქაოსი. საკუთარი სიდიადის შეგრძნებაზე გაეცინა, თვალი გადაავლო წითელი ხის მაგიდას, რომელიც გაესუფთავებინა. რისთვის? გეგმათა ნაკლებობას, რასაკვირველია, არ განიცდიდა! რამდენი თვეა რაღაც ახლის წამოწყების ცთუნებას თითქმის ყოველდღე იშორებდა თავიდან. „როგორც კი უმაღლეს სასწავლებელში მოვეწყობი, მაშინვე ხელს მოვკიდებ!“ — ფიქრობდა მაშინ. ახლა კი, როცა თავისუფლება ხელთ ჰქონდა, აღარაფერი ეჩვენებოდა ყურადღების ღირსად, არც „მოთხრობა ჭაბუკზე“, არც „ცეცხლები“ და არც „უეცარი აღსარება!“

ჟაკი მაგიდას მოშორდა, ოთახში გაიარა, თაროზე წიგნებს გადახედა: ჯერ კიდევ შარშან გადაერჩია რამდენიმე წიგნი — როცა თავისუფალი ვიქნები, გადავიკითხავო, ამიტომ იდგა და ფიქრობდა, პირველად რომელი აეღო, მაგრამ უსიამოვნოდ შეიჭმუხნა შუბლი და ხელცარიელი მიეგდო საწოლზე.

— „კმარა წიგნები! კმარა მსჯელობა! კმარა ფრაზები! — გაიფიქრა მან — ვორდს! ვორდს! ვორდს!* — რაღაც მიუწვდომლისკენ გაიწოდა ხელი და კინაღამ ატირდა. „ნუთუ უკვე შემიძლია... ვიარსებო? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა თავისთავს: თუ ისევ ბავშვი ვარ? თუ უკვე მამაკაცი ვარ?“ — გაიფიქრა ისევ.

ძლიერ სურვილებს გულში ვეღარ იტევდა, მაჯლაჯუნასავით აწვა; ვერც იმის თქმას გაბედავდა, ალბათ, თუ რას მოელოდა ბედისგან.

— ცხოვრება! — გაიმეორა მან. — მოქმედება!

— სიყვარული! — დაუმატა ბოლოს და თვალი დახუჭა.

ერთი საათის შემდეგ საწოლიდან წამოდგა. ოცნებობდა თუ ეძინა? თავის განძრევა უჭირდა, კისერი ისევ სტკიოდა. უმიზეზო კაეშანსა და მოჭარბებულ ენერგიას გული დაემძიმებინა, მოქმედების სურვილი ჩაეხშო და გონება დაებნელებინა. ოთახს თვალი მოავლო. მთელი ორი თვე აქ, ამ სახლში უნდა დამყაყდეს? მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რაღაც იდუმალ ბედს სწორედ აქ მიეჯაჭვა იგი იმ წელს, რადგან სხვაგან სევდა უფრო მეტად დაუღრღნიდა გულს.

ფანჯარასთან მივიდა და გადაეყუდა; დარდი იმ წამსვე გაეფანტა: წაბლის ხის ქვედა ტოტებში ჟიზელის კაბას თეთრ ლაქასავით მოჰკრა თვალი. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ცხოვრების ხალისი და ახალგაზრდული გატაცება მხოლოდ ჟიზელის გვერდით დაბრუნდებაო!

ჟაკი შეეცადა მოულოდნელად წასდგომოდა თავს გოგონას, მაგრამ ჟიზელმა, რომელსაც ყურები დაცქვეტილი ჰქონდა და, ჩანს, კითხვისთვისაც ვერ დაედო გული, მისი ნაბიჯები მყისვე იცნო და სწრაფად შემობრუნდა:

— ვერ მოგართვი!

— რას კითხულობ?

ჟიზელმა პასუხის ღირსი არ გახადა, ხელები გადააჯვარედინა და წიგნი მკერდზე მიიკრა, კმაყოფილი, მაგრამ გამომწვევი იერით შეხედეს ერთმანეთს:

— ერთი, ორი, სამი...

ჟაკმა სავარძელი შეანძრია და გოგონა ბალახზე დაცურდა. წიგნი მაინც არ გაუშვა ხელიდან; ჟაკი მის მოქნილ, თბილ სხეულს კარგა ხანს ეჭიდებოდა და, როგორც იქნა, ბოლოს, მოახერხა წიგნის წართმევა.

— „პატარა სავოიარი“ * ტომი პირველი. უჰ! ერთი ეს მითხარი, ბევრი ტომია?

— სამი.

— მოცილოცავს! საინტერესოა?

ჟიზელს გაეცინა.

— ჯერ პირველი ტომიც არ დამისრულებია.

— მაშინ რაღას კითხულობ ასეთ სისულელეებს?

— თითქოს ნაირნაირი წიგნები მქონდეს. არჩევანი არ გამაჩნია.

(„ჟიზს კითხვა არ უყვარს!“ — ირწმუნებოდა მადმუაზელი, როცა ამის გამო უსაყვედურებდნენ).

— მე გათხოვებ ხოლმე წიგნებს! — განუცხადა ჟაკმა, რომელსაც კმაყოფილებას ჰგვრიდა, როცა ვინმეს ამბოხისა და ურჩობისაკენ აქეზებდა.

ჟიზელს თითქოს არც გაუგონია მისი სიტყვები.

— არ წახვიდე! — შეეხვეწა იგი ჟაკს და ბალახზე გაწვა. — აგერ სავარძელში ჩაჯექი, ან აი, იქ!

ჟაკი მის გვერდით წამოწვა. მზის სხივებში გახვეული აგარაკი ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით იდგა ქვიშით მოფენილ მოედანზე, სადაც ყუთებში ჩარგული ფორთოხლის ხეები ჩაემწკრივებინათ; აქ კი, ხეების ჩრდილში, ბალახი ისევ ნორჩი იყო.

— შენ უკვე თავისუფალი ხარ, ხომ, ჟაკო? სულ გათავისუფლდი? — ჰკითხა მან და ნაძალადევი, აშკარად ხელოვნური სითამამით დაუმატა: — ახლა რას აპირებ?

— რას ვაპირებ?

— ჰო. რაკი თავისუფალი ხარ, ამ ორი თვით სად აპირებ წასვლას?

— არსად.

— რაო? ჩვენთან დარჩები? — წამოიძახა გოგონამ და კეთილი ძაღლის მრგვალი, ბრჭყვიალა თვალები შეანათა.

— ჰო. ოღონდ ათში ტურენში * წავალ მეგობრის ქორწილზე.

— მერე?

— არ ვიცი, — ჟაკმა თავი მიაბრუნა, — ვფიქრობ, არდადეგები მეზონში გავატარო.

— მართლა? — წაიბუტბუტა ჟიზმა და დაიხარა, უნდოდა ჟაკის შემოხედვა დაეჭირა.

ჟაკს გაეღიმა, ბედნიერი იყო, რაკი ჟიზელი გაახარა. მას თითქმის აღარ აშინებდა მთელი ორი თვე ამ გულუბრყვილო და ნაზ გოგოსთან გაეტარებინა, რომელიც საკუთარ დასავით, — შეიძლება უფრო მეტადაც, უყვარდა. ჟაკს ვერც კი წარმოედგინა, რომ თავისი ჩამოსვლით ასე გაახალისებდა ამ ბავშვის ცხოვრებას! მით უმეტეს, მუდამ სჯეროდა, რომ მასთან ყოფნა გუ-

ლით არავის უნატრია. ამ აღმოჩენით ისეთი კმაყოფილი დარჩა, რომ ბალახზე გაშოტილი გოგონას ხელს ნაზად მოეფერა.

— რა რბილი კანი გაქვს, ჟიზ! შენც კიტრის მალამოს ისვამ?

გოგონას გაეცინა, მასთან მიიჩოჩდა და ამ მოძრაობით ჟაკმა შეამჩნია, ტანიც მოქნილი ჰქონიაო. ჟიზს ახალგაზრდა ნადირის ბუნებრივი და გიჟმაჟი მგრძნობელობა ჰქონდა, მისი ხორხისმიერი სიცილი, თუკი იგი ბავშვურ სიცილ-კისკისს არ ატეხდა, შეყვარებულის ღუღუნს წააგავდა. სამაგიეროდ, მისი ქალწულებრივი სული ლაღობდა ამ ჯანსაღ სხეულში, რომელიც ათასნაირი სურვილებისაგან თრთოდა უკვე, თუმცა ამის მიზეზს ჯერჯერობით ვერ მიმხვდარიყო.

— მამიდა მეუბნება, წელსაც ადრეა შენთვის ჩოგბურთის თამაშიო, — თქვა მან და ტუჩი აიბზუა, — შენ ივლი კლუბში?

— ალბათ, არა.

— ველოსიპედით ისეირნებ?

— შეიძლება!

— რა ბედნიერებაა! — წამოიძახა მან და ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც საოცარი სანახაობა ეშლებოდა თვალწინ. — იცი, მამიდამ მითხრა, ჟაკთან ერთად ყველგან გაგიშვებო. წამიყვან?

ჟაკი მის მუქ, მოციმციმე თვალებს მიშტერებოდა.

— რა ლამაზი თვალები გაქვს, ჟიზ?

ჟაკმა შეამჩნია, რომ ჟიზი ანაზდად შეცბა და ამის გამო კიდევ უფრო ჩაუმუქდა თვალები. გოგონამ ღიმილით თავი მიიბრუნა. ის მხიარული, მომცინარი იერი, რაც პირველი ნახვისთანავე გაგაოცებდათ მასში, მარტო თვალების ელვარებით როდი გამოიხატებოდა, არც მოძრავი ჩაკუჭული ლოყებით, რომლებიც ტუჩების კუთხეებთან წამდაუწუმ აჩენდნენ ჩრდილს; იგი ეტყობოდა მის მრგვალ ღაწვებსაც, გაპრტყელებულ ცხვირსაც, წინ გაშვერილ, მომრგვალებულ ბიჭურ ნიკაპსაც და, საერთოდ, მთელ მის მთვარესავით გაბადრულ სახეს, რაზედაც ჯანსაღი იერი და კეთილი ხასიათი ეხატა.

რაკი ჟაკმა მის უკანასკნელ შეკითხვას პასუხი არ აღირსა, ჟიზელს შეეშინდა:

— მითხარი, წამიყვან?

— სად წაგიყვან?

— ტყეში ან მარლიში *, როგორც შარშან ზაფხულს დაგყავდი.

ჟიზს ისე გაეხარდა, როცა თანხმობის ნიშნად ჟაკმა გაუღიმა, რომ მისკენ გაგორდა და აკოცა. დიდხანს იყვნენ ასე გვერდიგვერდ, პირაღმა იწვნენ და თვალები ხეების ტოტებში გაჩენილ სიღრმისთვის მიეპყროთ.

ორივეს ესმოდა შადრევნის ჩუხჩუხი, აუზის ირგვლივ აჭეხილი ბაყაყების ყიყინი მდელოზე და ზოგჯერ ბაღის მოაჯირის გასწვრივ ჩავლილ მოსეირნეთა ხმაც. ვერანდაზე დადგმული ჟარდინერებიდან აღწევდა თავისებური სუნი პეტუნიისა, რომლის წებოვანი ჯამები დღენიადაგ იხრუკებოდა მზის გულზე და ცხელ ჰაერს ერეოდა.

— რა სასაცილო ხარ, ჟაკო, სულ ერთთავად დაფიქრებული ხარ! მაინც რაზე ფიქრობ?

ჟაკი ცალ იდაყვს დაეყრდნო, ჟიზს დააცქერდა და ოდნავ სველი, გაოცებული, გაპობილი ბაგეები შეამჩნია.

— იმაზე ვფიქრობ, რა ლამაზი კბილები გქონია!

ჟიზი არ გაწითლებულა, ოღონდ მხრები შეიშმუშნა:

— არა, სერიოზულად გელაპარაკები! — ბავშვური ჩაციებით უთხრა ჟიზმა.

ჟაკს გაეცინა.

კრაზანა, რომელიც უჩვეულო ზომის ჩანდა მოწითალო სხივზე, დიდხანს დასტრიალებდა თავზე, შემდეგ მატყლის გორგალივით დაასკდა ჟაკს სახეზე, ბოლოს მიწისკენ დაეშვა და ბზუილით ჩაძვრა გაზონის ხვრელში.

— კიდევ იმას ვფიქრობ, ჟიზ, რომ ეს ბზიკი შენა გგავს!

— მე?

— ჰო.

— რით?

— აბა რა ვიცი! — თქვა ჟაკმა და ხელახლა გაწვა ზურგზე. — შენსავით მრგვალია და შავი. და მისი ბზუილიც შენს სიცილს მაგონებს.

სერიოზულად წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა ჟიზი ღრმად ჩააფიქრა. ორივე დუმდა. ოქროსფრად შეფერილ მოწითალო მდელოზე ირიბი ჩრდილები გაწოლილიყო. მზე ჟიზელსაც მისწვდა სახეზე; ოქროსფერი ბრჭყვიალა წინწკლები ლოყებზე აუთამაშა. თვალები მოსჭრა, თითქოს კიდეც შეუღიტინაო, თავი ვეღარ შეიკავა და თვალმოჭუტულს სიცილი აუტყდა.

როცა ჭიშკრის ზარი აწკარუხდა და ჟაკმა ანტუანი დაინახა ხეივნის ბოლოს, ისეთი მტკიცე სახით წამოხტა და შეეგება, თითქოს წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, ასე მოქცეულიყო.

— ამ საღამოსვე გაბრუნდები?

— ჰო. თერთმეტის ოც წუთზე.

ანტუანის სახემ კვლავ გააოცა ჟაკი, ოღონდ ამჯერად დაღლილობისაგან ჩამოგრძელებულმა ნაკვთებმა კი არა, არამედ გაბადრულმა იერმა, რაც უჩვეულო, თითქმის საბრძოლო განწყობილებას აძლევდა.

ჟაკმა ხმას დაუწია:

— ნასადილევს ქალბატონ დე ფონტანენთან არ წამომყვები?—და როცა იგრძნო, ძმა ყოყმანობდა, თვალი აარიდა და სწრაფად დაუმატა:—მე აუცილებლად უნდა მივიდე მის სანახავად, ხვალ კი მარტო წასვლა არ მინდოდა.

— დანიელი შინ იქნება?

ჟაკმა კარგად იცოდა, რომ დანიელი არ ჩამოსულიყო.

— რა თქმა უნდა! — იცრუა მან.

ისინი გაჩუმდნენ, რადგან სასტუმრო ოთახის ფანჯარაში ბატონი ტიბო გამოჩნდა, გაშლილი გაზეთით ხელში.

— ოჰო, ჩამოხვედი? — დაუძახა მან ანტუანს. — მიხარია, მოსვლა რომ მოახერხე. — იგი მუდამ ზრდილობიანად ელაპარაკებოდა უფროს ვაჟს, — ბაღში მომიცადეთ, ახლავე ჩამოვალ.

— მაშ, შევთანხმდით, ხომ? — წასჩურჩულა ძმას ჟაკმა, — ნასადილევს მოვიმიზეზოთ, გასეირნება გვინდა-თქო და წავიდეთ.

ბატონ ტიბოს მთელი ამ ხნის განმავლობაში აზრადაც არ მოსვლია ჟაკისთვის ხელახლა აეკრძალა ფონტანენებთან ურთიერთობა. ძმებიც ისე ფრთხილად იქცეოდნენ, მის თანდასწრებით მათ გვარსაც კი არ ახსენებდნენ. ნუთუ არ იცოდა, რომ დიდი ხანია უგულებელჰყვეს მისი ბრძანება? ამის მტკიცება არავის შეეძლო. მაგრამ თვითონ იგი, მამის ავტორიტეტს ისე დაებრმავებინა, ვერც კი წარმოიდგენდა, შვილები თუ ხელაღებით გაუწევდნენ ურჩობას.

— ასე და ამ გვარად, იგი ჩარიცხულია! — თქვა ბატონმა ტიბომ, რომელიც პარმაღის საფეხურზე ჩამოდიოდა. — შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მისი მომავალი უზრუნველყოფილია... წამოდით, სადილობამდე მდელოზე გავისეირნოთ! — განაგრძო მან და ეს უჩვეულო წინადადება რომ აეხსნა, დაუმატა: — მინდა ორივეს მოგელაპარაკოთ. ოღონდ ჯერ ის მითხარი, — მიუბრუნდა იგი ანტუანს, — საღამოს გაზეთები თუ წაიკითხე? ყურადღება თუ მიაქციე, რას წერენ ვილბაოს გაკოტრების შესახებ?

— თქვენს მუშათა კოოპერატივზე მეკითხებით?

— დიახ, ჩემო კარგო, საქმე ჩაიფუშა, თანაც ისე სამარცხვინოდ... თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი.

მან ისე უცნაურად ჩაიხითხითა, მისი სიცილი მშრალ ხველას უფრო წააგავდა.

„როგორ გამომიწოდა ტუჩები!“ — გაიხსენა ანტუანმა. თვალწინ წარმოუდგა რესტორანი, რაშელი, რომელიც მაგიდასთან იჯდა მის პირდაპირ.

იატაკის დონეზე განლაგებული დაბალი ფანჯრები ქალს ისე ანათებდნენ, იტყოდით სცენაზე ზისო. „ნეტავი ისე უცნაურად რატომ გაიცინა, როცა ჩიკსიდ გრილ * შევთავაზე?“

ანტუანმა თავს ძალა დაატანა და მამის სიტყვებს ყური მიუგდო. სხვათა შორის, ძალიან აკვირვებდა, ბატონი ტიბო ასე ადვილად რომ ურიგდებოდა „საქმის ჩაფუშვას“. რადგან ეს ქველმოქმედიც იმ საზოგადოების წევრი იყო, რომელიც ფულად დახმარებას უწევდა ღილების ვილბოელ მეწარმეებს, როცა მათ უკანასკნელი გაფიცვის შემდეგ სამომხმარებლო კოოპერატივი შექმნეს იმის დასამტკიცებლად, მწარმოებლების გარეშეც შეგვიძლია არსებობაო.

ბატონი ტიბო უკვე ორატორობდა:

— ჩემი აზრით, ქარში გაფანტული ფული როდი იყო! ჩვენი მოვალეობა პირნათლად მოვიხადეთ: მუშათა კლასის უტოპიურ გეგმებს სერიოზულად მოვეკიდეთ; პირველად ჩვენ გავუწიეთ ფულადი დახმარება. შედეგი: წელიწადნახევარიც არ გასულა და გაკოტრდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ მუშათა დელეგაციასა და ჩვენს შორის შესანიშნავი შუაკაცი გვყავდა. შენ მას კარგად იცნობ, — დაუმატა მან, შეჩერდა და ჟაკს მოუბრუნდა, — ფემი, შენს დროს კრუიში რომ იყო!

ჟაკს ხმა არ ამოუღია.

— კოოპერატივის მთელი ხელმძღვანელობა ხელში ჰყავს იმ წერილების წყალობით, სადაც ეს ცრუმოციქულები სუბსიდიასა გვთხოვენ; დიახ, დიახ! გაფიცვის ყველაზე მძიმე წუთებში დაწერილი წერილებია... ვერც ერთი მათგანი ვერ წაგვივა ხელიდან.

ბატონი ტიბოს უცნაური ხველა ხელახლა მოისმა.

— მაგრამ ამის შესახებ კი არ მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება! — თქვა მან და სიარული განაგრძო.

იგი მძიმედ მიაბიჯებდა, სუნთქვა უჭირდა, ფეხებს ქვიშაზე მიათრევდა, ხელები უკან დაეწყო და მთელი ტანით წინ გადაზნექილიყო, გახსნილი ქურთუკის კალთები თავისუფლად უფრიალებდა. ვაჟიშვილები უხმოდ მიჰყვებოდნენ ორივე მხარეს. ჟაკს ერთი ფრაზა ამოეკითხა სადღაც და ახლა ანაზდად გაახსენდა: „როცა ორ ადამიანს ვხედავ, ხანშიშესულსა და ახალგაზრდას, რომლებიც გვერდიგვერდ მიჩანჩალებენ და სალაპარაკო თემა ვერ გამოუძებნიათ, მაშინვე ვხვდები, მამა-შვილია-მეთქი!“

— აი, რა მინდოდა მეთქვა! — წამოიწყო ბატონმა ტიბომ. — მინდა გავიგო, რა აზრისა იქნებით ერთი ჩემი გეგმის შესახებ, რომელიც პირადად თქვენ გეხებათ.

ნაღვლიანი და მისთვის უჩვეული ნოტები გაისმა მის ხმაში.

— როცა ჩემს ასაკს მიაღწევთ, შვილებო, იძულებული გახდებით საკუთარ თავს ჰკითხოთ: „რა გავაკეთე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე?" მე კარგად ვიცი, — ამას ბატონი ვეკარიც მეუბნება ხშირად, რომ კეთილ საქმეზე დახარჯული ენერგია ერთ საერთო მიზანს ემსახურება და ერთად გროვდება. სამაგიეროდ, ძალიან მძიმეა იმის გაფიქრება, რომ მთელი შენი პირადი ცხოვრების მანძილზე გაწეული შრომა შესაძლებელია შენი შთამომავლობის უმნიშვნელო მონაღებში დაიკარგოს! განა კანონიერი არაა, მამამ მოისურვოს მის შვილებს მაინც ახსოვდეთ იგი? თუნდაც იმისთვის, რომ მისაბაძ მაგალითად გაიხადონ?

მან ამოიოხრა.

— გულწრფელად უნდა გითხრათ, მე თქვენზე უფრო ვზრუნავ, ვიდრე საკუთარ თავზე. ასე ვიფიქრე, მომავალში, ალბათ, კიდეც გესიამოვნებათ, როცა თქვენ, ჩემს ვაჟიშვილებს, არ აგრევენ ყველა იმ ტიბოში, ვინც კი საფრანგეთში ცხოვრობს. განა ჯეროვნად არა გვაქვს დასაბუთებული, რომ მესამე წოდების ტიტული ორი საუკუნის მანძილზე ვატარეთ? ეს უკვე რაღაცას ნიშნავს! პირადად მე, თუ არ ვცდები, ეს საპატიო მემკვიდრეობა გავზარდე და უფლებაც მაქვს ვისურვო — ეს კი ჩემი ჯილდო იქნება, — რომ თქვენი წარმოშობა აღიარებული იქნას. მე უფლება მაქვს, რომ ჩემი გვარი თქვენც სრული სახით ატაროთ, რათა იგი დაუმახინჯებლად გადასცეთ იმათ, ვინც ჩემი სისხლიდან გაჩნდება მომავალში. მსგავსი სურვილები საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს გათვალისწინებული აქვს. ყოველი ფორმალობა, რაც კი თქვენი სამოქალაქო მდგომარეობის შესაცვლელად იყო საჭირო, მრავალი თვის წინ შევასრულე; უახლოეს ხანაში რამდენიმე საბუთს გადმოგცემთ ხელმოსაწერად; და, ჩემი აზრით, პარიზში დაბრუნებისთანავე, არა უგვიანეს შობისა, კანონიერი უფლება გექნებათ იყოთ არა ვიღაც ტიბო, არა უბრალოდ — ტ ი ბ ო, არამედ ო ს კ ა რ-ტ ი ბ ო, ტირეთი: ექიმი ანტუან *ოსკარ-ტიბო!*

მან ხელი ხელზე გადაისვა და მოიფშვნიტა.

— აი, ამის თქმა მინდოდა. მადლობას ნუ მეტყვით. კმარა ამაზე ლაპარაკი. წავიდეთ, ვისადილოთ! მადმუაზელი უკვე გვიხმობს.

მან უხუცესი პატრიარქივით ჩამოადო მხრებზე ხელი ორივე ვაჟს და დასძინა:

— და თუ მოხდება ისე, რომ წარჩინების ეს ნიშანი სარგებლობას მოგიტანთ ცხოვრებაში, მით უკეთესი, ჩემო შვილებო! გულწრფელად რომ ვილაპარაკოთ, განა სამართლიანი არაა, ადამიანი რომელსაც არასოდეს არა-

ფერი არ უთხოვია ამა ქვეყნის ხელისუფალთათვის, შესაძლებლობას აძლევდეს შთამომავლობას ხეირი ნახოს იმ პატივისაგან, მის წინაპარს რომ მოუხვეჭია?!

ხმა უკანკალებდა და გული რომ არ აჩუყებოდა, სწრაფად გადაუხვია ბილიკიდან, რომელსაც მამა და შვილები მიჰყვებოდნენ. კორდის ბელტზე ფეხის ბორძიკით მარტოკა გაემართა აგარაკისკენ. ანტუანსა და ჟაკს არასოდეს უნახავთ მამა ასე აღელვებული.

— ასეთ რამეს ყველა როდი მოიფიქრებდა! — წასჩურჩულა ჟაკს ანტუანმა, რომელსაც მხიარული განწყობა მაინც ვერ დაეოკებინა.

— გაჩუმდი! — მიუგო ჟაკმა. მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძმა ჭუჭყიანი ხელებით შეეხო გულზე. ჟაკი იშვიათად ახსენებდა მამამისს უპატივცემულოდ. გაკიცხვას მუდამ თავს არიდებდა: საკუთარი შორსმჭვრეტელობა მუდამ მძიმედ აწვა ხოლმე გულზე, როცა იგი უმეტეს წილად, მისდაუნებურად, მამამისის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. დღეს კი გული ატკინა იმ ნაღველმა, რაც ბატონ ტიბოს სურვილში იგრძნობოდა: მისი სახელი როგორმე სიკვდილის შემდეგაც არ გამქრალიყო! მიუხედავად ოცი წლის ასაკისა, სიკვდილზე ფიქრი განა მასაც სასოწარკვეთილებაში არ აგდებდა?!

„რატომ წამოვიყვანე ანტუანი?" ფიქრობდა ჟაკი ერთი საათის შემდეგ, როცა ძმასთან ერთად ორმწკრივად ჩარიგებული ასწლოვანი ცაცხვების მწვანე ხეივანს მიჰყვებოდა, რომელიც სასახლიდან ტყისკენ მიემართებოდა. კეფა სტკიოდა: მადმუაზელი მანამ არ მოეშვა ანტუანს, სანამ ჟაკის ძირმაგარა არ გაასინჯვინა და სკალპელით არ გააჭრევინა, თუმცა პაციენტი ცივ უარზე იყო, შეხვეული კისრით სტუმრად წასვლა არაფრად ეჭაშნიკებოდა.

ანტუანი დაღლილ-დაქანცული გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ენად გაკრეჭილიყო; რაშელის გარდა ვეღარაფერზე ფიქრობდა; ჯერ კიდევ გუშინ, სწორედ ამ დროს, არც იცნობდა ამ ქალს, ახლა კი სიცოცხლეს ერჩივნა.

მისი აღტყინება მკვეთრად განსხვავდებოდა იმ გრძნობისაგან, რომელსაც ჟაკი გამოეცოცხლებინა ამ მშვიდობიანი დღის მიწურულს, განსაკუთრებით ამ წუთში, ამ გზაზე; მოახლოებულ ვიზიტზე ფიქრი მასში იმედის აღმძვრელ ემოციას იწვევდა. იგი გვერდით მიჰყვებოდა ანტუანს; რაღაც უკმაყოფილო გრძნობა, ეჭვი დაუფლებოდა; ამ საღამოს ძმის წინააღმდეგ განწყობილიყო ინსტინქტურად. თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, ბოლმას გულში იხვევდა, და ჩვეულებისამებრ მეგობრულად საუბრობდნენ. სინამდვილეში, ისინი სიტყვებს, ფრაზებს, ღიმილს ისევე ესროდნენ ერთ-

შანეთს, როგორც ორი მოქიშპე მტერი მიწის ბელტებს ისვრის ხოლმე ბარით, მათ შორის მიწაყრილის ასამაღლებლად. ეს მანევრი არც ერთს არ გამოჰპარვია: ძმები იყვნენ და ისეთი გამახვილებული მგრძნობიარობა ჰქონდათ, რაიმე სერიოზული საიდუმლოების დამალვა ვერ მოეხერხებინათ. ანტუანი ისეთი ინტონაციით გაწოთქვამდა აღტაცებას გვიანობამდე აყვავებული ცაცხვის სურნელებაზე (რაც გულის სიღრმეში რაშელის სურნელოვან თმას აგონებდა), რომ ამით თუმცა გარკვეცით არა, მაგრამ მაინც აღსარებაზე მეტი უთხრა ჟაკს. ამიტომ, უმცროს ძმას არც გაჰკვირვებია, როცა ანტუანმა აკვიატებულ ცთუნებას ველარ გაუძლო, ხელმკლავი გაუყარა, ნაბიჯს აუჩქარა და უცნაური ღამისთევა და ყველაფერი, რაც მას მოჰყვა, ერთბაშად უამბო. ანტუანის ტონმა, სიცილმა, მოწიფული ადამიანის საქციელმა, ზოგიერთმა ინტიმურმა დეტალმა, რაც უფროსი ძმისთვის დამახასიათებელ თავდაჭერილობას სრულიად არ ეგუებოდა, აქამდე უცნობი, უხერხული გრძნობა აღუძრა ჟაკს. მიუხედავად ამისა, თავი შეიკავა, უღიმოდა, მოწონების ნიშნად თავს უქნევდა, მაგრამ სულის სიღრმეში ნამდვილად იტანჯებოდა; ამ ტანჯვისთვის ძმას საყვედურობდა და ვერც ვერასოდეს აპატიებდა ამ საყვედურს, რაც თვითონვე დაიმსახურა. ანტუანი თანმიმდევრობით აგრძნობინებდა ბოლო თორმეტი საათის მანძილზე გადატანილ თავბრუდამხვევ განცდებს და ჟაკიც ასევე თანმიმდევრობით აშაყად ეფარებოდა შინაგან შეუპოვრობას, ამასთანავე სიწმინდის მოთხოვნილებაც უფრო მეტად იზრდებოდა მასში.

როცა ანტუანმა ნაშუადღევის ამბავი მოუთხრო და თავისთავს ნება მისცა ისეთი სიტყვები ეხმარა, როგორიცაა „სიყვარულში გატარებული დღე", ჟაკი ისე აღშფოთდა, თავი ველარ შეიკავა და დაუყვირა:

— ოჰ, არა, ანტუან, არა! სიყვარული სულ სხვა რამ არის!

ანტუანს, ცოტა არ იყოს, ყოყოჩურად გაეღიმა, მიუხედავად ამისა, გაოცება ვერ დამალა და გაჩუმდა.

პარკის ბოლოს, ძველ გალავანთან, რომელიც ოდესღაც მთელ ამ მამულს გარს ერტყა, ტყის პირას, ფონტანენების ძველი სახლი იდგა. ეს აგარაკი ქალბატონ დე ფონტანენს დედისგან მიეღო მემკვიდრეობით. აკაციების ხეებით შემოსაზღვრული გზა, თითქმის უკაცრიელი იყო და ამიტომაც მაღალი ბალახი მოსდებოდა. ეს გზა ბაღის კედელში გაჭრილ ჭიშკარს უერთდებოდა.

ბინდდებოდა, როცა ძმები სახლის ბჭეს მიადგნენ. ზარმა დაიწკრიალა და კარ-მიდამოს მეორე ბოლოდან, ზედ სახლთან, რომლის რამდენიმე ფანჯარა უკვე განათებული იყო, პიუსის, ჟენის ფინიის, ყეფა მოისმა. ნასადილევს ფონტანენები ჩვეულებრივ, სახლის უკან, ორი ჭადრის ხის ტოტებით დაჩრდილულ ნაკვეთზე იკრიბებოდნენ, ბანივით რომ დაჰყურებდა ძველი თხრილის ორმოს. ძმები იძულებულნი გახდნენ უზარმაზარი ავტომანქანისათვის შემოევლოთ, რომელიც გზას ღობავდა.

— სტუმრები ჰყოლიათ, — წაიჩურჩულა ჟაკმა და ინანა კიდეც, რად მოვედითო.

მაგრამ ქალბატონი დე ფონტანენი უკვე შემოეგება მათ.

— მივხვდი, რომ თქვენ იქნებოდით! — წამოიძახა დანახვისთანავე.

ქალი მკლავებგაშლილი და მხიარული, გაღიმებული სახით მოდიოდა სწრაფი ნაბიჯებით.

— ისე გაგვეხარდა, დანიელის დეპეშა რომ მივიღეთ ამ დილით! (ჟაკი არ დაბნეულა). — მე ხომ ვიცოდი, რომ ჩაგრიცხავდნენ! — განაგრძო მან და დინჯად შეხედა ჟაკს. — ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როდესაც ივნისის ერთ კვირა დღეს დანიელს ჩამოჰყევით აქ. ოჰ, ჩემი დანიელი! ალბათ, როგორი კმაყოფილია, როგორ ამაყობს ამ ამბით! ჟენისაც ძალიან გაეხარდა.

— განა დანიელი აქ არაა ამ საღამოს? — იკითხა ანტუანმა.

ამასობაში, წრედ განლაგებულ სავარძლებს მიუახლოვდნენ, ჟაკმა თავისებური ტემბრის, ათრთოლებული და ამავე დროს დაბალი ხმა მაშინვე გაარჩია სხვა ხმათა შორის: ჟენი ლაპარაკობდა. იგი იჯდა თავის დეიდაშვილთან, ნიკოლთან და ორმოციოდე წლის მამაკაცთან, რომელსაც ანტუანმა გაოცებული სახით მიაშურა. ამ ახალგაზრდა დასტაქართან ერთად ოდესღაც ნეკერის საავადმყოფოში * უმუშავნია თურმე. ახალგაზრდა ექიმებმა ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი.

— იცნობთ ერთმანეთს? — აღტაცებით წამოიძახა ქალბატონმა დე ფონტანენმა, — ანტუანი და ჟაკ ტიბო, დანიელის უახლოესი მეგობრები არიან! — აუხსნა მან ექიმ ეკეს. — უფლებას თუ მომცემთ, ჩვენ საიდუმლოებას მათაც გავანდობთ. ჩემი პატარა ნიკოლი, — მიუბრუნდა იგი ანტუანს, — ნებას დამრთავს მისი ნიშნობა შეგატყობინოთ, ასე არაა, საყვარელო? ეს ჯერ ოფიციალური ამბავი არაა, მაგრამ როგორც ხედავთ, ნიკოლმა თავისი საქმრო დეიდასთან მოიყვანა უკვე და საკმარისია ორივეს შეხედოთ, რომ მათი საიდუმლოება მაშინვე გამოიცნოთ!

ჟენი არ შეეგებებია ძმებს, ოღონდ როცა მის წინ შედგნენ, წამოდგა და გულგრილად ჩამოართვა ხელი ორივეს.

— ნიკოლ, წამოდი მტრედებს გაჩვენებ! — უთხრა მან ნიკოლს, სანამ სტუმრები სავარძლებში სხდებოდნენ. — რვა ბარტყია, რომლებიც...

— ... რომლებიც ჯერ კიდევ ბუმბუს სწოვენ? — ნაძალადევი სითამამით შეაწყვეტინა ჟაკმა, მაგრამ სინანდვილეში უკმეხი, უადგილო ქილიკობა გამოუვიდა და ენა მოიკვნიტა.

ჟენიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ნათქვამი ვერ გაიგონაო, და განაგრძო:

— ... რომლებიც უკვე იწყებენ ფრენას!

— კი მაგრამ, განა ახლა არ სძინავთ? — თქვა ქალბატონმა დე ფონტანენმა და ამით ჟენის შეჩერებას ეცადა.

— მით უკეთესი, დედიკო! დღისით ახლოს ვერ მიხვალ. თქვენც წამოხვალთ, ფელიქს?

ექიმი ეკე, რომელიც ანტუანს ესაუბრებოდა, სწრაფად დაეწია ქალიშვილებს.

— დიდებული წყვილია! — ახალგაზრდა დანიშნულების გასვლისთანავე უთხრა ძმებს ქალბატონმა დე ფონტანენმა. — საბრალო ნიკოლს არავითარი სახსარი არ გააჩნია და აკვიატებული ფიქრი არ ასვენებს, ეშინია, მძიმე ტვირთად არ დააწვეს ვინმეს! სამი წელია, რაც ექთნად მუშაობს და ამით ირჩენს თავს. როგორც ხედავთ, ბედმა გაუღიმა! ექიმმა ეკემ ერთ-ერთი ავადმყოფის სასთუმალთან გაიცნო იგი, მაშინვე მიხვდა, რა ჭკვიანი, თავდადებული, მამაცი გოგონა იყო და შეიყვარა! ჰოდა, აი შედეგიც! ხომ დიდებული წყვილია?!

იგი გულუბრყვილოდ შეჰხაროდა ამ რომანტიკულ ამბავს, რომელსაც კეთილშობილური გრძნობა და სათნოება ედო საფუძვლად. ლაპარაკის დროს იგი უმეტესად ანტუანს მიმართავდა და მეგობრულად ემუსაიფებოდა, რაც თითქოს იმის მაუწყებელი იყო, რომ მუდამ საერთო აზრი ჰქონდათ ამა თუ იმ საკითხზე; ქალს მოსწონდა ანტუანის შუბლი, ჭკვიანი გამოხედვა და არასოდეს უფიქრია იმაზე, რომ ახალგაზრდა კაცი სრული თექვსმეტი წლით იყო მასზე უმცროსი და შვილად შეეფერებოდა. ანტუანმა აღტაცებაში მოიყვანა იგი, როცა დაარწმუნა, ფელიქს ეკე შესანიშნავი დასტაქარია და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი ექნებათ.

ჟაკი არ ჩარეულა მათ საუბარში. „... რომლებიც ჯერ კიდევ ბუმბუს სწოვენ!“ — გაცოფებით იმეორებდა თავისთვის. შემოდგა თუ არა ამ სახლში ფეხი, ყველაფერი, ქალბატონი დე ფონტანენის თავაზიანი ლაპარაკიც

კი, ნერვებს უშლიდა. მის ქათინაურებს ბოლომდე ველარ დაუგდო ყური და სახე მიიბრუნა. ქალის მაგივრად თითონ რცხვენოდა, ასეთ დიდ მნიშვნელობას რატომ აძლევს ჩემს წარმატებასო, თუმცა ახალი ამბავი თვითონვე აცნობა დეპეშით! „ყოველ შემთხვევაში, ჟენიმ გამათავისუფლა მოლოცვისაგან, — გაიფიქრა მან, — იქნებ, ხვდება, რომ ამ წარმატებას არაფრად ვაგდებ და უფრო მაღლა ვდგავარ? არა. სრული გულგრილობა გამოამჟღავნა. მე ვდგავარ მაღლა?... „რომლებიც ჯერ კიდევ ძუძუს სწოვენ...“ ბრიყვი... საინტერესოა, ესმის კი, რას წარმოადგენს პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტი? ანდა რა თავში იხლის ჩემს მომავალს! ძლივს მომესალმა... მე კი... ეს სისულელე რამ წამომაროშვინა?!“ ჟაკი გაწითლდა და მაგრად მოკუმა პირი. „მომესალმა, მაგრამ დეიდაშვილს უსმენდა მთელი გულისყურით... მისი თვალები... ვერაფერს გაუგებ... სახე ბავშვური აქვს, მაგრამ თვალები...“ ძირმაგარის ჩხვლეტას გამუდმებით გრძნობდა, თუმცა ეს ჩირქოვანი მუწუკი ისე არ აწუხებდა, როგორც შეხვეული კისერი, აკი ყველა ერთად შეუჩნდა, მადმუაზელიც, ჟიზიც, გინდა თუ არა ბანდი დაიდე კისერზეო.

ანტუანი იღიმებოდა, ქალბატონ დე ფონტანენს ესაუბრებოდა და ჟაკს ყურადღებას არ აქცევდა.

— ... მორალური თვალსაზრისით... — მოესმა ჟაკს ანტუანის სიტყვები.

„ანტუანი მუსაიფობს, სხვა არაფერი აინტერესებს!“ — გაიფიქრა მან. მისი ძმის ამ გადაჭარბებულმა თავაზიანობამ, ამ „მორალურმა თვალსაზრისმა“, ერთბაშად აუშფოთა ჟაკი და შეუწყნარებელ პირფერობად მიიჩნია, მით უმეტეს, იმ მოურიდებელი აღსარების შემდეგ, რაც უფროსმა ძმამ ცოტა ხნის წინ გაანდო მას; უჰ, როგორ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან! ჟაკი უცებ ისეთ უკიდურესობაში გადავარდა, ველარავითარ საერთოს ვერ პოულობდა ძმასა და საკუთარ თავს შორის. დიახ, ადრე თუ გვიან, უეჭველად გაიყრება მათი გზები! ეს უცილობელი გახლავთ: ორივეს უბადლო ბუნება ჰქონდა, ორივე თავისებური იყო! მწარე ნაღველი შემოაწვა გულზე, როგორც კი გაიფიქრა, ხუთი წლის ურთიერთთანაზიარობა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთმანეთისადმი გულგრილობა თავიდან აგვეცდინა, ვინ იცის უცხონი, იქნებ, მტრებიც კი გავხდეთ ერთმანეთის!. ჟაკი კინაღამ წამოხტა, უნდოდა რაიმე მოემიზეზებინა და იქაურობას გასცლოდა, სახეტიალოდ წასულიყო სადმე შორს, სიბნელეში, თუნდაც ტყეში! ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მისთვის ღიმილი ემეტებოდა, ჟიზი იყო! სიამოვნებით იტყოდა უარს გუშინდელ წარმატებაზე, ოღონდაც ახლავე, ხელახლა აღმოჩნდეს მდელობზე, ჟიზის გვერ-

დით, ახლოს ჰქონდეს მისი სახე, მისი თვალები!.. ყოველ შემთხვევაში, მის თვალებში არავითარი საიდუმლოება არ იმალება! გაახსენდა მისი გაოომეტყველება, როცა ყვიროდა: „მითხარი, წამიყვან?!" მერე გაეცინა და გვრიტივით აღუღუნდა. რაც შეეხება ჟენის, არც კი ახსოვს, უნახავს კი ოდესმე მისი სიცილი? მას ხომ ღიმილიც საპოწარკვეთილი აქვს მუდამ! რა მემართება? — გაიფიქრა მან ბოლოს და სცადა, გონს მოსულიყო. მაგრამ ეს ნოსტალგია ნებისყოფაზე ძლიერი აღმოჩნდა, მას გულდვარძლიანობაც ემატებოდა და ყოველივეს აძულებდა: ქალბატონი დე ფონტანენის სიტყვებს, ანტუანის დამცირებას, ხალხს, საკუთარ სიჭაბუკეს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, ჟენისაც კი, რომელიც ეტყობა, ამ საყოველთაო უფერულ გარემოში დიდებულად გრძნობდა თავს.

— არდადეგებს როგორ გაატარებთ, ჟაკ? — მიმართა მას ქალბატონმა დე ფონტანენმა, — იქნებ, როგორმე დანიელი დაგეყოლიებინათ და რამდენიმე კვირით პარიზიდან წამოგეყვანათ! ორივე იმოგზაურებდით: ეს ისეთი საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ორივესთვის! (ქალს მუდამ ეგონა, რომ მის შვილს არაჩვეულებრივი მომავალი ექნებოდა და რაკი ჯერჯერობით ამის დამადასტურებელს ვერაფერს ხედავდა, გული სტკიოდა; ამას გარდა, მართალია, ცდილობდა არ ეფიქრა, მაგრამ ზოგჯერ დანიელის ცხოვრებაც აწუხებდა: თავისუფალი, მეტად უწესრიგო და გაფიქრებასაც კი ვერ ბედავდა — თავაწყვეტილი ცხოვრება).

როცა გაიგო ჟაკი ზაფხულის გატარებას მეზონში აპირებსო, ქალმა შესძახა:

— რა მოხარული ვარ! იმედი მაქვს, თქვენი შემწეობით დანიელს ხშირად ვნახავთ აქ; იგი შვებულებით არასოდეს სარგებლობს და იმდენს იზამს, ჯანს გაიტეხს... ჟენი — მიუბრუნდა იგი ქალიშვილს, რომელიც სტუმრების თანხლებით ოთახში შემოსულიყო, — სასიამოვნო ამბავი უნდა შეგატყობინო: ჟაკი მთელი ზაფხული ჩვენთან იქნება. წარმომიდგენია, რა საინტერესო პარტიები გათამაშდება ჩოგბურთში!.. ჟენი წელს პირდაპირ შეშლილია ჩოგბურთით: მთელი დილა კლუბშია. აქ ამჟამად სახელმოხვეჭილ ჩოგბურთელთა წრეა ჩამოყალიბებული, — უთხრა მან ექიმ ეკეს, რომელიც მის გვერდით ჩამომჯდარიყო, — შესანიშნავმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი, დილ-დილობით იკრიბებიან, კორტებიც დიდებულია, ათასგვარ მატჩებსა და ჩემპიონატს აწყობენ... მართალი გითხრათ, ბევრი არაფერი გამეგება, — სიცილით აღიარა ქალმა, — მაგრამ, ეტყობა ძალიან საინტერესო თამაშები უნდა ჩატარდეს. ჰოდა, სულ ერთთავად ჭაბუკების ნაკლებობაზე წუწუნებენ. თქვენ ხომ ისევ ხართ კლუბის წევრი, ჟაკ?

— დიახ, ქალბატონო!

— კიდევ კარგი!.. ნიკოლ, ეცადე ამ ზაფხულს მთელი კვირით ჩამოხვიდე შენს საქმროსთან ერთად. არა, ჟენი? დარწმუნებული ვარ, ექიმი ეგეც კარგი მოთამაშე იქნება.

ჟაკი ეკეს მიუბრუნდა. სასტუმრო ოთახში დადგმული ლამპის შუქი ღია კარიდან პირდაპირ ახალგაზრდა დასტაქარის სერიოზულ და მოგრძო სახეს, წაბლისფერ, მოკლედ შეკრეჭილ წვერსა და საფეთქლებთან შევერცხლილ თმას ეცემოდა. ეტყობოდა ნიკოლზე ათი წლით მაინც იქნებოდა უფროსი. პენსნეს შუშებზე ათამაშებული ათინათი თვალების გამომეტყველებას უფარავდა. მაგრამ მთელი მისი დაფიქრებული იერი მნახველის ღრმა სიმპათიას იწვევდა. „რა თქმა უნდა, — გაიფიქრა ჟაკმა, — მე ბავშვი ვარ; ნამდვილი ნამაკაცი აი ესაა! მამაკაცი, რომლის შეყვარება შეიძლება. მე კი...“

ანტუანი წამოდგა; დაღლილი იყო, თანაც მატარებელზე დაგვიანებაც არ უნდოდა. ჟაკმა გაბრაზებით შეხედა. მართალია რამდენიმე წუთის წინ საბაბს ეძებდა როგორმე სწრაფად გაცლოდა აქაურობას, მაგრამ ახლა საღამოს ასე დასრულებაც ვერ გადაეწყვიტა. მიუხედავად ამისა, იძულებული გახდა ძმას უკან გაჰყოლოდა.

იგი ჟენის მიუახლოვდა:

— წელს ვისთან თამაშობთ კლუბში?

ჟენიმ შეხედა და წარბების თხელი ხაზი ოდნავ აირკალა:

— ვისთანაც მომიხდება! — მიუგო მან.

— ორივე კაზენებთან, ფოკესთან, პერიგოს მთელ იმ ბანდასთან, არა?

— რა თქმა უნდა.

— მაშ, ისევ ის ხალხია? ისევ ის გონებამახვილი ყმაწვილები?

— რას იზამთ? ყველა ხომ პედაგოგიურ სასწავლებელს ვერ დაამთავრებს?

— ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, იმისათვის, რომ ჩოგბურთი კარგად ითამაშო, ბრიყვი უნდა იყო!

— შესაძლებელია! — ჟენიმ გამომწვევად ასწია თავი. — ეს თქვენ უკეთ მოგეხსენებათ: ოდესღაც მშვენიერი ჩოგბურთელი ბრძანდებოდით, — და რომ ეგრძნობინებინა, საუბარი დამთავრებულიაო, დეიდაშვილს მიუბრუნდა და ჰკითხა: — ჯერ ხომ არ მიდიხარ, ნიკოლ?

— ფელიქსს ჰკითხე!

— რა უნდა ჰკითხოს ფელიქსს? — თქვა ეკემ და ქალიშვილებს მიუახლოვდა.

„ამ პატარა გოგოს ბრწყინვალე სახისფერი აქვს, — გაიფიქრა ანტუანმა და ნიკოლს მიაჩერდა, — მაგრამ რაშელთან შედარებით...“

ერთბაშად სიხარულით აევსო გული.

— აბა, ჟაკ, იმედია მალე ვნახავთ ერთმანეთს! — თქვა ქალბატონმა დე ფონტანენმა. — ჟენი, ხვალ ხომ წახვალ ჩოგბურთის სათამაშოდ?

— არ ვიცი, დედა, არა მგონია!

— თუ ხვალ არა, ამ დღეებში მაინც შეხვდებით ერთმანეთს, — შემრიგებლური ტონით წაილაპარაკა ქალბატონმა დე ფონტანენმა და, ანტუანის უარის მიუხედავად, ძმები ბაღის ჭიშკრამდე მიაცილა.

— მართალი გითხრა, საყვარელო, ძალიან უგულოდ შეხვდი მეგობრებს! — წამოიძახა ნიკოლმა, როცა ძმები საკმაო მანძილით დაშორდნენ.

— ჯერ ერთი, ისინი ჩემი მეგობრები არ არიან! — შეეკამათა გოგონა.

— ტიბოსთან მიმუშავია, — ჩაერია ლაპარაკში ეკე, — ყოველმხრივ შესანიშნავი ყმაწვილია, როგორც სპეციალისტსაც უკვე კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი. რაც შეეხება მის ძმას, მართალი გითხრა, არ ვიცნობ, მაგრამ, — დაუმატა მან და ნაცრისფერი თვალები ეშმაკურად აუციმციმდა პენსნეს მიღმა, რადგან ჟენისა და ჟაკის საუბრისთვის ყური მოეკრა, — ძალიან იშვიათია, ბრიყვები პირველივე ცდაზე მიიღონ პედაგოგიურ სასწავლებელში, თანაც საუკეთესოთა შორის...

ჟენი გაწითლდა. ნიკოლი სასწრაფოდ ჩაერია საუბარში. მას საკმაოდ დიდხანს ეცხოვრა დეიდაშვილთან და ჟენის ხასიათის ზოგი უცნაურობა კარგად შეესწავლა, განსაკუთრებით ეს მორცხვობა, რაც მის თავმოყვარეობას ეჯიბრებოდა გამუდმებით და ზოგჯერ გადაჭარბებულ ფხუკიანობაშიც გადადიოდა.

— საცოდავს ძირმაგარა ამოსვლია კისერზე! — შეებრალა ჟაკი ნიკოლს. — ასეთ დროს თავაზიანობის თავი არა აქვს ადამიანს!

ჟენიმ არაფერი უპასუხა; ეკემაც აღარ განაგრძო საუბარი და საცოლეს მიუბრუნდა:

— ნიკოლ, დროა ჩვენც მოვემზადოთ წასასვლელად! — პუნქტუალური ადამიანის ტონით უთხრა მან.

ქალბატონი დე ფონტანენის გამოჩენამ საბოლოოდ შეცვალა საუბრის თემა.

ჟენი დეიდაშვილს გაჰყვა ოთახში, სადაც პალტო დაეტოვებინა. საკმაოდ დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ჟენიმ წაილაპარაკა:

— მთელი ზაფხული ჩამიმწარდება.

ნიკოლი სარკესთან იჯდა და თმას ისწორებდა: მის საზრუნავს ისღა შეადგენდა, როგორმე საქმროს მოსწონებოდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ლამაზი იყო; იგი ცდილობდა გამოეცნო, რას ელაპარაკებოდა ეკე ქვევით, დეიდამისს და წინასწარ განცხრომით ფიქრობდა იმაზე, როგორ გაისეირნებდა საქმროს მანქანით ღამის სიჩუმეში; ჟენის ცუდ გუნება-განწყობას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა, მაგრამ როცა მისი სახის მკაცრ გამომეტყველებას მოჰკრა თვალი, გაეღიმა:

— რა ბავშვი ხარ! — უთხრა და ისე აღარ შეუმჩნევია, რა თვალით გადახედა ჟენიმ.

მოისმა მანქანის საყვირის ხმა, ნიკოლი მხიარულად შემოტრიალდა, მისთვის ჩვეული სინაზით, უმანკოებითა და სიკეკლუცით, რაც ასე მომხიბვლელს ხდიდა მუდამ, დეიდაშვილს მივარდა და უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ ჟენიმ უნებურად შეჰკივლა და განზე გახტა. ვერ იტანდა, როცა წელზე ხელს ჰხვევდნენ; სხვისი შეხება ისეთ ფიზიკურ ზიზღს ჰგვრიდა, ცეკვაც კი არ უსწავლია არასოდეს; და როცა ერთხელ, ჯერ კიდევ ბავშვმა, ლუქსემბურგის ბაღში ფეხი იღრძო და იძულებული გახდნენ შინ მანქანით წამოეყვანათ, ჟენიმ ამჯობინა ნატკენი ფეხით გაჭირვებით ასულიყო კიბეზე, ვიდრე მეკარეს ხელში ატატებული აეყვანა ოთახში.

— რა უკარება ხარ! — წამოიყვირა ნიკოლმა. შემდეგ თვალებში ჩახედა და იმ წუთებზე გადაუკრა სიტყვა, როცა სადილის წინ მარტოკანი დარჩნენ, ვარდის ხეივანში.

— მოხარული ვარ, შენთან ლაპარაკი რომ მოვახერხე, საყვარელო! არის დღეები, როცა ბედნიერებისაგან ვიხრჩვები! იცი, შენთან მუდამ ისეთი ვიყავი, როგორც სინამდვილეში ვარ! დიახ, დიახ..., საკუთარ თავთანაც სწორედ ისეთი ვარ, როგორც შენთან! გულით მინდა, ჩემო კარგო, შენც მალე...

მანქანის ანთებულ ფარებს ფეერიული და თეატრალური იერი მიეცა ბაღისთვის; ეკეს კაპოტი აეხადა და ექიმის გამოცდილი მოძრაობით შუქს ამაგრებდა. ნიკოლს პალტო დაეკეცა, უნდოდა მუხლებზე დაედო, მაგრამ საქმრომ ძალით ჩააცვა. თითქოს მისი მეურვეაო, იგი პატარა ბავშვივით ექცეოდა ნიკოლს, ან, ვინ იცის, იქნებ ყველა ქალს ექცეოდა ასე? ნიკოლი ისე ხალისიანად დაემორჩილა, ჟენის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა და რაღაც უსიამოვნო გრძნობაც კი გაუჩნდა ამ ორი დანიშნულის მიმართ. „არა, — გაიფიქრა მან და თავისი კოხტა თავი ჯიუტად გადააქნია — ასეთ ბედნიერებას... ნამდვილად არ ვინატრებდი..."

იგი დიდხანს იდგა ბაღის მოაჯირთან, პატარა ძაღლი მკლავებში ეჭირა და თვალს აყოლებდა ხეებს შორის გაჩენილ სინათლის ზოლს, რომელიც წინ უსწრებდა მანქანას. მას ისეთი მწარე ნაღველი შემოსწოლოდა, ისე ბრაზობდა, — არ კი იცოდა რაზე, — იმდენად უმიზეზოდ მიაჩნდა ყოველგვარი იმედი, რომ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და რამდენიმე წამს კიდეც ნატრობდა, ნეტავი ისე მოვკვდე, ცხოვრების სიხარული ვერ ვიგემოო.

## VI

ჟიზელი ვერ მიმხვდარიყო, ეს რამდენიმე ხანია დღები ასე მოკლე, ზაფხული ასე გასხივოსნებული რად გამხდარიყო? დილ-დილობით ფართოდ გაღებული ფანჯრის წინ რომ იცვამდა, თავს რატომ ვერ იკავებდა? რატომ მღეროდა და რატომ უღიმოდა ყველაფერს, რასაც კი ირგვლივ ხედავდა: სარკესაც და მოწმენდილ ცასაც, ბაღსაც და ფანჯრის რაფაზე დადგმულ აი, იმ სურნელოვან მუხუდოსაც, საკუთარი ხელით რომ რწყავდა ხოლმე, ბანზე ყუთებში ჩარგულ ფორთოხლის ხეებსაც, რომლებსაც ზღარბივით შეეგრაგნათ ფურცლები, თითქოს ასე უკეთ იცავენ თავს მზისგანო.

ბატონი ტიბო ორი-სამი დღე რჩებოდა მხოლოდ მეზონ ლაფიტში, შემდეგ მთელი ოცდაოთხი საათით მიდიოდა პარიზში. მისი იქ არყოფნის დროს ჰაერი თითქოს უფრო მსუბუქი ხდებოდა აგარაკზე. საუზმე თუ სადილი გართობას ჰგავდა: ჟაკი და ჟიზელი პატარა ბავშვებივით ხარხარებდნენ უმიზეზოდ. გამხიარულებული მადმუაზელი საკუჭნაოდან — სამრეცხაოში, სამზარეულოდან — საშრობ ოთახში დაცუნცულებდა და ძველებურ ლოცვანებს ღიღინებდა, რაც ნადოს * კუპლეტებს უფრო წააგავდა. ჟაკიც აღარ იყო დაძაბული, გონება უნათლდებოდა, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები უჩნდებოდა და თავშეუკავებლად ჰყვებოდა ხოლმე თავის სტიქიას: ბაღის რომელიმე კუთხეში შეძვრებოდა, ხან წამოწვებოდა, ხან წამოხტებოდა, ხანაც რაღაც შენიშვნებს იწერდა. ჟიზელსაც გადასდებოდა სურვილი, რაც შეიძლება მხიარულად გაეყვანა დრო, კიბეზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, საიდანაც თვალს ადევნებდა ჟაკის წინ და უკან სირბილს ხეებქვეშ, თავი ჩარგული ჰქონდა დიკენსის წიგნში „დიადი იმედები“ *. ამ წიგნის წაკითხვის ნება მადმუაზელს ჟაკის ჩაციებით მიეცა, ინგლისურ ენაში გაიწაფებაო. კითხვისას ჟიზი ცხარე ცრემლებს ღვრიდა, რადგან უკვე მიმხვდარიყო, პიპი უგულო და თავქარიან მისს ესტელას გულისთვის საცოდავ ბიდის მიატოვებსო.

აგვისტოს მეორე ნახევარში ჟაკი ტურენში იყო, ქორწილზე. ბატონ ურს ხელისმომკიდედ მიეწვია და უარი ვეღარ უთხრა. ამ რამდენიმე დღით მისმა წასვლამ აგარაკს თითქოს ერთბაშად დაუკარგა მომხიბვლელობა.

მეზონში დაბრუნებულს მთელი ღამე მშფოთვარედ გაეტარებინა და დილითაც ადრე გამოეღვიძა. სარკის წინ გულდასმით იპარსავდა პირს და თავს ირწმუნებდა, სიწითლე აღარ მეტყობა სახეზე და ძირმაგარას ადგილას უმნიშვნელო ნაიარევიღა მეჩნევაო. მიუხედავად ამისა, როცა მოაგონდა რა უფერული დღეები ელოდა წინ, ისე შეეკუმშა გული, ჩაცმას თავი მიანება და გაცოფებული დაეგდო ლოგინზე. „კვირა კვირას მისდევს!— ფიქრობდა იგი. — განა ასეთ არდადეგებზე ვოცნებობდი?" შემდეგ ფეხზე წამოიჭრა: „უნდა ვივარჯიშო!" ჩაილაპარაკა დინჯი ტონით, რასაც მისი აჩქარებული მოძრაობები მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა. კარადიდან საყელოგადაკეცილი პერანგი ამოიღო, ფეხსაცმელები და ჩოგანი შეამოწმა, მერე ველოსიპედს მოაჯდა და კლუბისკენ გასწია.

ჩოგბურთის ორი მოედანი დაკავებული იყო. ჟენი უკვე თამაშობდა. მას ვითომც არც შეუმჩნევია ჟაკის მისვლა, არც ჟაკი ჩქარობდა მასთან მიახლოებას და მისალმებას. გუნდების გადაჯგუფების შემდეგ ერთად აღმოჩნდნენ — ჯერ მოწინააღმდეგეთა ჯგუფში, შემდეგ პარტნიორებად. ორივენი ერთნაირი ძალის მოთამაშეები იყვნენ.

და აი, ერთბაშად, თითქოს შეთანხმებულანო, ისეთივე აგდებული, ამხანაგური ტონით მიმართეს ერთმანეთს, როგორც სჩვეოდათ ხოლმე. ჟაკი ბევრ ყურადღებას უთმობდა ჟენის, მაგრამ მაინც კრიჭაში ედგა, შეურაცხმყოფელადაც ექცეოდა ზოგჯერ, შეცდომას თუ დაუშვებდა, დასცინოდა, და აშკარად ეტყობოდა, მასთან კინკლაობა დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა. არც ჟენი რჩებოდა ვალში და მისთვის უჩვეულო სისხარტით უპასუხებდა. ასეთ მოურიდებელ პარტნიორთან თამაშზე უარის თქმა ადვილად შეეძლო, მაგრამ, ეტყობოდა, არც ფიქრობდა მისგან თავის დაღწევას, პირიქით, გაჯიუტებულიყო და სურდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, უკანასკნელი სიტყვა მას დარჩენოდა. და როცა სხვა ჩოგბურთელები სასაუზმოდ წავიდწამოვიდნენ, ჟენიმ გამომწვევად მიაძახა ჟაკს:

— ოთხ ხელს მშრალად მოგიგებთ!

და მართლაც, ისეთი გაცხარებით შეუტია, რომ ჟაკმა 4:0 წააგო.

გამარჯვებამ დიდსულოვანი გახადა ჟენი:

— ეს არ ითვლება! გეტყობათ, არ გივარჯიშნიათ. ამ დღეებში უეჭველად აიღებთ რევანშს!

მის ხმას ჩვეულებრივი ყრუ ტემბრი დაბრუნებოდა. „რა ბავშვები ვართ ორივე!“ გაიფიქრა ჟაკმა. ბედნიერი იყო, ხასიათის ამ ერთნაირი თვისების აღმოჩენით. ამან თითქოს კიდეც ჩაუსახა იმედის ნაპერწკალი. და როცა თავისი საქციელი გაიხსენა, შერცხვა. მაგრამ სხვა გზაც ვერ გამოენახა. ჟენისთან, ალბათ, ვერასოდეს დაიჭერდა თავს ბუნებრივად, თუმცა არავისთან ისე არ სურდა დაახლოება, როგორც ჟენისთან.

შუადღე იყო, როცა კლუბიდან გამოვიდნენ ველოსიპედებზე ხელჩაკიდებულნი.

— ნახვამდის, — უთხრა ჟენიმ. — წინ წადით. მე ველოსიპედზე არ დავჯდები, ისე მცხელა, მეშინია, არ გავცივდე.

ჟაკმა არაფერი უპასუხა, მაგრამ არც მოშორებია, გვერდით მიჰყვებოდა. ჟენის არ უყვარდა, როცა აცივდებოდნენ: და რაკი, მიუხედავად თავისი სურვილისა, ეს აბეზარა თანამგზავრი ვერ მოიშორა, ნერვები ეშლებოდა. ჟაკი ვერაფერს მიმხვდარიყო და ფიქრობდა, ხვალ ისევ მივალ ჩოგბურთის კორტზე, მაგრამ რა მოვიმიზეზო, ჩემი ასეთი გულმოდგინება რით ავხსნაო.

— რაკი ტურენიდან დავბრუნდი... — უხერხულად წამოიწყო მან და დამცინავი ტონი ერთბაშად მიატოვა (სხვათა შორის, ჟენის ჯერ კიდევ შარშან შეემჩნია, როგორც კი მარტოდ რჩებოდნენ, ჟაკი მის გაბრაზებას აღარ ცდილობდა).

— ტურენში იყავით? — ჰკითხა მან მხოლოდ იმისთვის, რომ რაიმე ეთქვა.

— დიახ. მეგობრის ქორწილზე ვიყავი. თქვენც იცნობთ მას. სწორედ თქვენთან გავიცანი. ბატენკური.

— სიმონ დე ბატენკური?

ჟენი გაჩუმდა, ეტყობოდა, რაღაცას იგონებდა და მერე კატეგორიული ტონით განუცხადა:

— მე იგი არ მომწონდა.

— მართლა? რატომ?

ჟენი ასეთ დაკითხვებს ვერ იტანდა.

— მეტისმეტად მკაცრი ყოფილხართ. ნამდვილად სასიამოვნო ყმაწვილია — განაგრძო ჟაკმა, რაკი ჟენიმ პასუხის ღირსად არ გახდა. მაგრამ მაშინვე დაუთმო: — თუმცა, კაცმა რომ თქვას, მართალი ხართ! ძალიან უფერული პიროვნებაა.

თანხმობის ნიშნად ჟენიმ თავი დაუქნია. ჟაკს გაეხარდა.

— მე არც კი ვიცოდი, თქვენ თუ დაუმეგობრდით! — უთხრა ჟენიმ.

— მაპატიეთ. თვითონ დამიმეგობრდა. — ღიმილით შეუსწორა ჟაკმა. — ეს მოხდა ერთ საღამოს. აღარ მახსოვს, საიდან მოვდიოდით. ძალიან გვიანი იყო. დანიელი ჩამოგვერჩა. ჰოდა, არ ვიცი, ბატენკურს რა მოეჩვენა, ერთბაშად გული გადამიშალა. მთელი თავისი ცხოვრება ისე მიამბო, როგორც ბანკირს მიანდობენ ხოლმე თავის ქონებას და ეუბნებიან: თქვენ მოუარეთ ჩემს საქმეებს, სავსებით გენდობითო.

ჟენი ერთგვარი ცნობისმოყვარეობით უგდებდა ყურს და თანამგზავრის ჩამოცილებაზე აღარ ფიქრობდა.

— ხშირად გიხდებათ ასეთი აღსარების მოსმენა? — ჰკითხა მან.

— არა, რატომ მეკითხებით?.. თუმცა, მგონი, ასეცაა... — გაეღიმა, — დიახ, მართლაც, საკმაოდ ხშირად მიხდება. — შემდეგ გამოწვევად დაუმატა: — გიკვირთ?

და როცა ჟენის პასუხი მოისმინა, აღელდა:

— სრულიადაც არ მიკვირს.

ბაღების გასწვრივ მიდიოდნენ; ცხელი ნიავი სახეში სცემდათ და იქედან მონაბერ სურნელში, დამბალი მიწის სუნში, მზეზე გამთბარი ყვავილების, ინდური მიხაკის, ჰელიოტროპის ნაზ არომატში ახვევდა ორივეს. ჟაკი დუმდა. ლაპარაკი ისევ ჟენიმ წამოიწყო:

— ასე რომ, აღსარების მოსმენის შემდეგ, კიდეც დააქორწინეთ, არა?

— ოჰ, არა, პირიქით. ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ამ უაზრო ქორწინებისთვის ხელი შემეშალა. ქვრივი, თოთხმეტი წლით უფროსი, თანაც ბავშვიანი ქალი! წარმოგიდგენიათ? მშობლები კიდეც წაეჩხუბნენ ბატენკურს, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

ჟაკს მოაგონდა, რომ ერთხელ მისი მეგობრის მიმართ მოხერხებულად იხმარა სიტყვა „სათაელი“ * თავისი სალიტურღიო მნიშვნელობით.

— ამ ქალის გულისთვის ბატენკური ნამდვილად სათაელი გახდა! — დაუმატა მან.

— ლამაზი ქალია? — ჰკითხა ჟენიმ და მისი მოხერხებული გამოთქმისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ჟაკი ისე დიდი ხნით დაფიქრდა, ჟენიმ ბაგე მოკუმა და წაიბუტბუტა:

— არ მეგონა, ასეთი მძიმე თუ გამოდგებოდა ჩემი შეკითხვა.

ჟაკს არც ახლა გაღიმებია, რადგან კვლავაც ჩაფიქრებულიყო.

— ვერ გეტყვით, რომ ლამაზი იყოს. პირიქით. საშინელია. სხვა სიტყვა ვერც მომიძებნია. — და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მაინც რა საინტერესოა ადამიანი!

ჟაკმა თავი ასწია და ჟენის გაოცებულ სახეს წააწყდა.

— მართლა გეუპნებით! — განაგრძო მან. — ყოველი ადამიანი საინტერესოა! ისეთებიც კი, რომელთაც არავინ აქცევს ყურადღებას. შეგიმჩნევიათ? როცა თქვენს ნაცნობზე ელაპარაკებით ვინმეს, რომელიც მას იცნობს, რამდენი მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი ნიშანი გამორჩენია მის შესახებ თქვენს მოსაუბრეს! ამიტომაც არის, ხალხი ასე ცუდად რომ უგებს ერთმანეთს.

ჟაკმა ხელახლა გადახედა ჟენის, რომელიც ყურადღებით უსმენდა და მის ნათქვამს კიდეც იმეორებდა თავისთვის. ჟენისთან საუბრის დროს ჟაკს რაღაც უნდობლობა აწვალებდა მუდამ, ახლა კი გაეხარდა, რაკი სრული ნდობა ამოიკითხა მის გამომეტყველებაში, უნდოდა უფრო მეტად დაეპყრო მისი ყურადღება და საქორწინო ცერემონიალის ზოგიერთი ისეთი დეტალის მოყოლით აეღელვებინა, რაც ჯერ კიდევ არ გაქრობოდა მეხსიერებიდან.

— რაზე შევჩერდი? — დაბნეულად წაილაპარაკა მან. — იმ ქალის ცხოვრებას დიდი სიამოვნებით აღვწერდი ერთ მშვენიერ დღეს იმ მცირეოდენი ცნობების მიხედვით, რაც მე ვიცი! ამბობენ, თავდაპირველად მაღაზიის გამყიდველი იყოო. მეტად ჯიუტი ზნეობა ჰქონია... — განაგრძო მან და უბის წიგნაკში ჩაწერილ ფორმულას იმეორებდა: — ჟიულენ სორელის ღვიძლი და * გახლავთ. მოგწონთ „წითელი და შავი!"?

— არა. სულაც არ მომწონს.

— ოჰო! — გაუკვირდა ჟაკს. — დიახ, მივხვდი, რის თქმაც გინდათ. — წამით ჩაფიქრდა და განაგრძო. — მაგრამ თუკი ფრჩხილებს გავხსნით, ჩემი თხრობას ბოლო არ ექნება. მითხარით, ბოროტად ხომ არ ვსარგებლობ თქვენი თავაზიანობით და ხომ არ გაცდენთ?

ჟენის შეეშინდა, არ იფიქროს, ძალიან მაინტერესებს მასთან საუბარიო, და უგულისყუროდ მიაძახა:

— არა, დანიელის გულისთვის ჩვენ მხოლოდ პირველის ნახევარზე ვსაუზმობთ.

— დანიელი აქაა?

ჟენი იძულებული გახდა ეცრუა.

— უთქვამს, შეიძლება, ჩამოვიდეო. — მიუგო ჟენიმ და გაწითლდა. — თქვენ არსად გეჩქარებათ?

— არა. მამა პარიზშია. ჩრდილში გადავიდეთ, გინდათ?.. დიდი სურვილი მაქვს საქორწინო საუზმეზე გიამბოთ. ოჰ, ისეთი არაფერია, მაგრამ გარწმუნებთ, მაინც მძიმე სანახაობა იყო. აი, მისმინეთ! ჯერ ერთი — ფონი: შუასაუკუნეების ტიპის სასახლე, კოშკით, რომელიც გუპიოს აღუდგენია. გუპიო ქალის პირველი ქმარია, გენიალური ტიპი, ოდესღაც გალან-

ტერიის მაღაზიის გამყიდველი, რომელსაც კომერციული ნიჭი გამოუვლენია, ჩვენი პროვინციული ქალაქები XIX-ე საუკუნის უნივერსალური მაღაზიებით აუჭრელებია; ალბათ, თქვენც გინახავთ ისინი, და სიკვდილის შემდეგ, ჩანს, მრავალი მილიონი დაუტოვებია. რადგან, უნდა აღვნიშნო, რომ ქვრივი წარმოუდგენლად მდიდარია. ქორწინებამდე მე მას არ ვიცნობდი. როგორ აგიწეროთ? გამხდარი, მოქნილი, ძალიან კოხტა ტანი, უსიმპათიო სახე: ამაყი პროფილი, ოდნავ აჭრელებული, შავგვრემანი პირისკანი, რუხი თვალები, ნაცრისფერი თხუნელას თვალები: გუბის წყალივით მღვრიე. წარმოიდგინეთ? მანერები განებივრებული ბავშვისა, დიახ. მანერები უფრო ახალგაზრდული აქვს, ვიდრე სახე. ლაპარაკობს, იცინის ხმამაღლა და დროდადრო... როგორ აგიხსნათ? ნაცრისფერ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს მძიმე ქუთუთოებს ქვეშ. და აი მაშინ, მისი ბავშვური საქციელი ნამდვილად შიშის მომგვრელია! უნებურად მოგაგონდება, რა ხმებიც დაირხა მისი დაქვრივების შემდეგ: თითქოს მას გუპიო რაღაც ნელმოქმედი საწამლავით მოეწამლოს!

— მე უკვე მეშინია კიდეც ამ ქალის! — წამოიძახა ჟენიმ და აღარ დაუფარავს ის ცნობისმოყვარეობა, რაც ჟაკმა გაუღვიძა. ჟაკმაც იგრძნო ეს ამბავი, გაეხარდა და გამხნევდა.

— დიახ. ასეა, — გაიმეორა მან, — ეს ქალი როგორღაც შიშს იწვევს. მაგონდება; სწორედ ასეთი გრძნობა გამიჩნდა, როცა სუფრასთან ვსხდებოდით; ვუყურებდი: თეთრი ყვავილებით მორთული იდგა მაკიდის წინ, სახეზე რაღაც სასტიკი გამომეტყველება შერჩენოდა...

— თეთრებში იყო გამოწყობილი?

— თითქმის. სულმთლად საქორწინო კაბა არ ეცვა, ბალში სასეირნო კაბა უფრო იყო, ანდა თუ გნებავთ, სათეატრო, მქრქალი თეთრი, უმალ კრემის ფერისა. საუზმე პატარ-პატარა მაგიდებზე გაეწყოთ. დასაჯდომი ადგილები არ ჰყოფნიდათ, მაგრამ ამას არ დაგიდევდათ, თავის სუფრასთან ეპატიჟებოდა ყველას. ბატენკური გვერდით ედგა. ნერვიულობდა; და ქალმა კიდეც უთხრა, ხომ ხედავთ, ყველაფერი აურ-დაურიეთო. ერთმანეთს შეხედს... ოჰ, რომ იცოდეთ, რა უცნაურად გადახედეს ერთმანეთს? ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მათ შორის აღარაფერი ახალგაზრდული, სიცოცხლისუნარიანი აღარ დარჩენილიყო, ყველაფერი შორეულ წარსულს ჩაბარებოდა.

— „შესაძლოა, — ფიქრობდა ჟენი. — შესაძლოა, არც ისეთი უზნეოა, როგორიც მეგონა, არც ისეთი უგულოა, არც ისეთი..." და ერთბაშად მიხვდა, რომ დიდი ხანია ჟაკს მგრძნობიარე და კეთილ ყმაწვილად თვლიდა. ამან

უკვე დააზნია იგი და. მართლია, ჟაკს ყურს უგდებდა, მისდაუნებურად ცდილობდა დაეჭირა ყოველი უმნიშვნელო ნიშანი, რაც კი ჟაკის სასარგებლოდ შექმნილ შეხედულებას დაუდასტურებდა.

— სიმონმა მოისურვა, რომ მარცხენა მხარეს მე დავმჯდარიყავი, — განაგრძო ჟაკმა, — მის მეგობართაგან მხოლოდ მე ვესწრებოდი ქორწილს. დანიელი დაჰპირდა ჩამოვალო, მაგრამ გაიპარა. ბატენკურებიდანაც არავინ იყო: სიმონთან თანშეზრდილი ბიძაშვილიც კი არ მოსულა; უკანასკნელი მატარებლის მოსვლამდე იმედი ჰქონდა, რომ ჩამოვიდოდა. ნამდვილად შეგეცოდებოდათ, საბრალო ბიჭი! გარწმუნებთ, იგი ძალიან შთაბეჭდილებიანი და საკმაოდ ფაქიზი ბუნების პატრონია; მის შესახებ ბევრი რამ გაიგია. იგი სტუმრებს ათვალიერებდა, ყველანი უცხონი იყვნენ. მშობლებზე ფიქრობდა. კიდეც მითხრა, არასოდეს არ ვიფიქრებდი, ასე გულცივად თუ მომექცეოდნენ, ეტყობა ჩემზე ძალიან ბრაზობენო. ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ მომიბრუნდა: „ერთი სიტყვაც არ შემომითვალეს, დეპეშაც კი არ გამომიგზავნეს! მაშასადამე, მე მათთვის აღარ ვარსებობ! შენ როგორ გგონია?“ არ ვიცოდი, რა მეპასუხნა. მაშინ სასწრაფოდ დაუმატა: „ოჰ, ჩემზე კი არ ვდარდობ, ჩემთვის სულ ერთია. ანა მეცოდება!“ ის საშინელი ანა კი სწორედ იმ დროს დეპეშას კითხულობდა, რომელიც ის-ის იყო მოეტანათ, დეპეშა მის სახელზე იყო, ვიღაც მეგობარი ქალი ულოცავდა. მაშინ ბატენკურმა ვეღარ მოითმინა, ყურადღება აღარ მიაქცია არც სტუმრებს, რომლებიც თვალებში მიშტერებოდნენ, არც ანას, კუშტად, გულგრილად რომ უთვალთვალებდა და ატირდა. ქალი გაცოფდა. ბატენკურმა ეს იგრძნო. აბა რა იქნებოდა, მის გვერდით იჯდა! მაჯაზე მოჰკიდა ხელი და ბალღივით ალუღლუღდა: „მაპატიეთ!“ საშინელი იყო ამის მოსმენა. ქალს წარბიც არ შეუხრია. მაშინ, ეს კიდევ უფრო მძიმე სანახავი იყო, ვიდრე მისი ცრემლები, ბატენკური ნაძალადევად გამხიარულდა, ხუმრობდა. დროდადრო, ღმერთმა უწყის, რას არ ბოდავდა, თვალები კი ცრემლებით ევსებოდა, წამდაუწუმ იწმენდდა ხელით და თან გაუთავებლად ყბედობდა.

ჟაკი ისე აღელვებით აღწერდა ამ სცენას, ჟენიმ წაიჩურჩულა:

— რა საშინელებაა...

ჟაკმა ისეთი სიხარული იგრძნო, როგორსაც ავტორი გრძნობს პირველივე ნაწარმოების წარმატებით. ძალიან გაუხარდა. მაგრამ არაფრით არ გამოუმჟღავნებია და ეშმაკობაც კი იხმარა:

— თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? — ჰკითხა მან, თითქოს ჟენის სიტყვები არც კი გაეგონოს, და მაშინვე განაგრძო: — ჯერ სადა ხართ! როცა დესერტი შემოიტანეს, მოშორებით მდგარი მაგიდებიდან ყვირილი ატეხეს! „ნეფე-

დედოფალს გაუმარჯოს!“ ბატენკური და მისი ცოლი იძულებულნი იყვნენ ადგარიყვნენ და შამპანურით სავსე თასებით მაგიდებისთვის შემოევლოთ. აი, მაშინ მოხდა ერთი მეტად ამაღელვებელი ამბავი. მაგიდების შემოვლის დროს მათ სულ გადავიწყდათ ბავშვი, რომელიც ქალს პირველი ქმრიდან ჰყავს, რვა-ცხრა წლის გოგონა. იგი უკან გამოეკიდა მათ. ისინი კი უკვე დაბრუნდნენ თავიანთ ადგილას. დედამ გულგრილად აკოცა შვილს და საყელო გაუსწორა. შემდეგ ბატენკურისკენ უბიძგა ხელი, მაგრამ სიმონს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და ვერაფერს ხედავდა, რადგან ამ შემოვლის დროს ერთი მეგობრული შემოხედვა არ უგრძვნია: იძულებულნი გახდნენ გოგონა მუხლებზე დაესვათ მისთვის. რომ გენახათ, რა ყალბი ღიმილით დაიხარა ამ სხვისი ბავშვისკენ! გოგონამ ლოყა მიუშვირა; მას ისეთი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, არასოდეს დამავიწყდება. ბატენკურმა, როგორც იქნა, აკოცა. მაგრამ რაკი ბავშვი მაინც არ მოშორდა, იგი სულელურად უსვამდა ხელს ნიკაპზე, აი ასე, ცალი თითით. მიხვდით? დამიჯერეთ, ისეთი სანახაობა იყო, გული გეტკინებოდათ. ერთი სიტყვით, კარგი ამბავი მოხდა!.. ასე არაა?

ჟენის ისე გაუკვირდა ამ უკანასკნელი სიტყვების ტონი, ერთბაშად, მოაბრუნა თავი და შეამჩნია, რომ ჟაკის გამოხედვაში აღარ იგრძნობოდა ის ტლანქი სისასტიკე, რაც ასე არ მოსწონდა მას; პირიქით, იმ წუთში ჟაკის ნათელი, მოძრავი, მეტყველი გუგები, კამკამა წყალივით სუფთა იყო. „ყოველთვის ასეთი რატომ არაა?“ — გაიფიქრა ჟენიმ.

ჟაკი იღიმებოდა. ამ მოგონებათა ნაღვლიანი მხარე უფრო ნაკლებს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე სხვისი ცხოვრების საიდუმლოებაში ჩაწვდომის სურვილი, ვიდრე უნარი ადამიანთა ჩანაფიქრისა და გრძნობების გამჟღავნებისა. ამ კმაყოფილებას ჟენიც განიცდიდა; და ორივეს მით უფრო უღრმავდებოდათ ეს კმაყოფილება, რამდენადაც ერთად შეიგრძნობდნენ მას.

ამ საუბარში ხეივნის ბოლოს მიაღწიეს. ტყის პირიც გამოჩნდა. მზეს თვალისმომჭრელი ხალიჩა გაეფინა ბალახზე. ჟაკი შეჩერდა.

— რამდენს ვლაყბობ! — თქვა მან, — თავი მოგაბეზრეთ!

ჟენის არაფერი უთქვამს.

მიუხედავად ამისა, გამომშვიდობების ნაცვლად, ჟაკმა შესთავაზა:

— რაკი აქამდე მოვედი, მინდა თქვენი ძმაც ვნახო.

მან უდროო დროს გაახსენა ტყუილი ჟენის, რომელიც ამან მით უფრო გაალიზიანა, რომ ჟაკს მისი სიტყვებში ეჭვი არ შეუტანია. ამიტომ ხმა არ ამოუღია. ჟაკმა იფიქრა, თავი შევაწყინე და აღარ სურს შინამდე მივაცილოო.

გული დაწყდა. მიუხედავად ამისა, ვერ იქნა და ვერ მოშორდა, ცუდი შთაბეჭდილებით არ უნდოდა გაეშვა, მით უმეტეს იმ დილით, როცა ეგონა, ჩვენ შორის უკვე გაჩნდა ისეთი რამ, რაზედაც მთელი თვეები, მთელი წლები ვოცნებობდიო.

უხმოდ გაიარეს აკაციის ტევრით შემოსაზღვრული გზა, რომელიც ჭიშკრისკენ მიემართებოდა. ჟაკი რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მისდევდა ჟენის და გვერდიდან ხედავდა მისი ლაწვების ლამაზ, სევდიან რკალს.

რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო ნაკლებ სარწმუნო ხდებოდა, რომ ჟაკი გადაიფიქრებდა და მოშორდებოდა ჟენის. წუთი წუთს მისდევდა. ჭიშკართან მივიდნენ.

ჟენიმ კარი შეაღო. ჟაკი უკან მიჰყვა. ბაღი გაიარეს. ბანზე არავინ ჩანდა, არც სასტუმრო ოთახში.

— დედა! — დაიძახა ჟენიმ.

არავინ უპასუხა. სამზარეულოს ფანჯარასთან მივიდა და ტყუილში გაპმულმა, იკითხა:

— ბატონი დანიელი ჩამოვიდა?

— არა, მადმუაზელ, მაგრამ ეს-ეს არის რაღაც დეპეშა მოიტანეს.

— დედას ნუ შეაწუხებთ! — უთხრა ბოლოს ჟაკმა. — მე წავალ.

ჟენი წელგამართული, ჯიუტი სახით იდგა.

— ნახვამდის! — წაილუღლუღა ჟაკმა, — ალბათ, ხვალამდე, არა?

— ნახვამდის! — უპასუხა ჟენიმ და სტუმრის გასაცილებლად ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

როგორც კი ჟაკი გატრიალდა, ჟენი წინოთახში შევიდა, ჩოგბურთის გამალებით ჩააგდო ბუდეში, მერე სკივრზე მიაგდო, თითქოს ამ უხეში მოძრაობით იოხებს გულსო. „არა, ხვალ არ წავალ! რა თქმა უნდა, არ წავალ ხვალ!“ — გაიფიქრა მან.

ქალბატონი დე ფონტანენი თავის ოთახში იყო და ჟენის ძახილიც გაიგონა და ჟაკის ხმაც. მაგრამ ისეთი აფორიაქებული იყო, მოჩვენებითი სიმშვიდის გამომჟღავნება ნამდვილად გაუჭირდებოდა. ის-ის იყო ქმრისგან დეპეშა მიეღო. ჟერომი ამსტერდამში ყოფილა, მარტოდ, უფულოდ და, თუ მის სიტყვებს დაუჯერებოდა, ავადმყოფი ნოემის სასთუმალთან. ქალბატონ დე ფონტანენს მაშინვე მიეღო გადაწყვეტილება: იმ ღამესვე წასულიყო პარიზში, დარჩენილი ფული ბანკიდან გამოეტანა და ჟერომის მიერ გამოგზავნილი მისამართით გაეგზავნა.

იგი ტანზე იცვამდა, როცა ოთახში ქალიშვილი შევიდა. დედის აღელვებული სახე და მაგიდაზე დაგდებული დეპეშა რომ დაინახა, შეეშინდა.

— რა მოხდა? — წაიბუტბუტა მან.

და მაშინვე გაუელვა: „რაღაც მოხდა; მე კი აქ არ ვიყავი. სულ ჟაკის ბრალია“.

— ისეთი არაფერი, საყვარელო! — ამოიოხრა ქალბატონმა დე ფონტანენმა. — მამას.... მამას ცოტაოდენი ფული სჭირდება.

მას თავისი სისუსტისა შერცხვა. უფრო მეტად კი ქალიშვილის წინაშე მამის ნაცვლად რცხვენოდა, გაწითლდა და სახეზე ხელები აიფარა.

## VII

ვაგონის შეორთქლილი მინის მიღმა მტრედისფრად ინათა. კუთხეში მიყუჟული ქალბატონი დე ფონტანენი თვალდაბინდული შესცქეროდა ჰოლანდიის დაბალ ჭალებს.

წინადღით პარიზში ჩასულს შინ მეორე დეპეშა დახვდა ჟერომისაგან: „ექიმის აზრით, ნოემის მდგომარეობა უიმედოა. მარტო დარჩენა არ შეიძლება. გევედრებით, ჩამოდით. თუ შესაძლებელია, ფული წამოიღეთ!“ საღამოს მატარებელს გამოჰყვა; დანიელს ვეღარ დაუცადა, მაგრამ ბარათი დაუტოვა, აწყობინებდა, მივდივარ და ჟენის მიხედეო.

მატარებელი გაჩერდა. ქალბატონმა ძახილი გაიგონა:

— ჰაარლემი!

ეს იყო ამსტერდამის წინა გაჩერება. ლამპები ჩააქრეს. მზე ჯერ არ ამოწვერილიყო, მაგრამ მრავალფეროვანი მქრქალი მარგალიტისფერი სითეთრით მაინც მოეხატა ცა. მგზავრები იღვიძებდნენ, ფუსფუსებდნენ, პალტოებს ჰკეცავდნენ. ქალბატონი დე ფონტანენი არ განძრეულა, ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო ასე გარინდებული და თავის საქციელს არ დაფიქრებოდა. ნოემი კვდებოდა. იგი შეეცადა თავის გრძნობებში გარკვეულიყო. ეჭვიანობდა? არა. ეჭვიანობა ის უეცარი აღშფოთება იყო, რაც ქორწინების პირველ დღეებში უღრღნიდა გულს, როცა ჯერ კიდევ ყოყმანობდა, სარწმუნო ფაქტებისაც არ სჯეროდა, თავიდან იშორებდა აუტანელ, აკვიატებულ მოჩვენებებს. ეჭვი დიდი ხანია დაეურვებინა, ოღონდ მას ძალიან უსამართლოდ მოექცნენ და აი, ეს სტანჯავდა ახლა. თუმცა, განა ამას ტანჯვა ერქვა? მას ხომ უფრო მწარე განცდებიც ჰქონია! სხვათა შორის, ისიც საკითხავია, იყო თუ არა იგი ეჭვიანი? ყველაზე საშინელი განცდები მაშინ ჰქონდა, როცა მოგვიანებით გაიგებდა, თურმე გამაბ-

რიყვესო; ჟერომის საყვარლებისადმი უმეტესად ქედმაღლურ სიბრალულს და ზოგჯერ ისეთივე სიმპათიასაც გრძნობდა, თავქარიანი დების მიმართ რომ აქვთ ხოლმე.

შეეცადა ჩანთის თასმები შეეკრა, მაგრამ თითები უკანკალებდა. ვაგონიდან ყველაზე ბოლოს გავიდა. სწრაფად, დაბნეულად მიმოიხედა ირგვლივ, ვისაც ეძებდა — ვერ იპოვა. ნუთუ დეპეშა არ მიუღია? ვინ იცის, იქნებ, შორიდან მითვალთვალებსო, გაიფიქრა და მთელი ტანით ჟაიბაძა. შემდეგ ჩამოსულთა ტალღას შეერია.

ვიღაც მკლავზე შეეხო. მის წინ ჟერომი იდგა; იგი გაუბედავად, მაგრამ მაინც სახეგაბადრული შეჰყურებდა. უქუდოდ იყო, ოდნავ წინ წახრილიყო, მიუხედავად დაღლილი გამომეტყველებისა და ცოტათი მოხრილი მხრებისა, აღმოსავლური პრინცის თვალწარმტაცი წარმოსადეგობა მაინც შერჩენოდა. სანამ ხმას ამოიღებდა და ცოლს მიესალმებოდა, მგზავრთა ტალღამ წინ გააქანა ორივე. იგი მაინც აფუსფუსდა, სასწრაფოდ ჩამოართვა ჩანთა. „არ მომკვდარა!“ — გაიფიქრა ქალბატონმა დე ფონტანენმა, და ერთბაშად შეეშინდა, რადგან იგრძნო, რომ ნოემის სიკვდილის მოწმე უნდა გამხდარიყო.

უხმოდ გავიდნენ სადგურის მოედანზე. ჟერომმა თავისუფალ ეტლს ანიშნა მიახლოვებულიყო. ეტლში ჩაჯდომისას უცნაურმა მღელვარებამ, რაც ბედნიერებას წააგავდა, კინაღამ დახრჩო ქალი: ჟერომის ხმა ესმოდა! და სანამ ჟერომი ჰოლანდიურ ენაზე ელაპარაკებოდა მეეტლეს, ქალი წამით შეჰყოვნდა საფეხურზე, გაშეშებულ ტანზე ჟრუანტელმა დაუარა, შემდეგ თვალი გაახილა და დაჯდა.

ჟერომი ღია ეტლში მოკალათდა ცოლის გვერდით და მაშინვე მისკენ მიაბრუნა თავი. ქალმა იცნო მიმქრალი ციმციმი მისი თაფლისფერი თვალებისა, რომლებსაც ოქროსფერი დაჰკრავდა ხოლმე. ამ თბილმა შემოხედვამ ერთხელ კიდევ გაულხო გული. ჟერომს, ეტყობოდა, სურვილი ჰქონდა ხელი მოეკიდა, მხრებზე შეხებოდა ცოლს; მაგრამ მის თავაზიან, დახვეწილ მანერებს ასეთი რამ არ შეეფერებოდა; ტერეზა ისე შეცბა, თითქოს ქმარი უკადრისად მოქცეოდეს; თანაც აღელდა, რადგან მისი ლტოლვა სიყვარულის დადასტურებად მიიჩნია, რისი იმედიც უკვე დიდი ხანია გაქრობოდა.

სიჩუმე პირველად ტერეზამ დაარღვია.

— როგორაა?.. — სახელი ვერ თქვა, ენა დაება და მაშინვე დაუმატა: — წვალობს?

— არა, არა! — მიუგო ჟერომმა, — სულ არ წვალობს.

ქალი ცდილობდა სახეში არ შეეხედა, მაგრამ ქმრის ტონს დაატყო, რომ ნოემი გაცილებით უკეთ იყო, ხოლო ჟერომი, — ყოველ შემთხვევაში

მას ასე მოეჩვენა—საკმაოდ დარცხვენილი ჩანდა, ავადმყოფი საყვარლის სას-თუმალთან ცოლი რომ გამოიძახა. ქალბატონი დე ფონტანენი მწარე სინა-ნულმა შეიპყრო ვეღარ გაიგო, ჯადომ შეჰკრა თუ რა მოუვიდა, ასე ქუდ-მოგლეჯილი რომ გამოექანა?! რაკი ნოემი ცოცხალი გადარჩებოდა, რაკი ქვეყნად ხელახლა დაიწყებოდა და ძველებურადვე გაგრძელდებოდა; თვითონ რისთვის ჩამოვიდა აქ? გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამგზავრებუ-ლიყო უკან.

— გმადლობთ, ტერეზ.. — წაიჩურჩულა ჟერომმა.

მისი ხმის ნაზი ტემბრი, მოწიწების, მოკრძალების გამომხატველი იყო. ჟერომს მუხლებზე ეწყო თავის გრძელი, ძარღვიანი, ოდნავ აკანკალებუ-ლი თითები; ქალმა შეამჩნია, რომ ხელები ოდნავ გახდომოდა და კამეას ფართოთვლიანი ბეჭედი ხალვათად ეკეთა არათითზე. იგი ცდილობდა თავი არ აეწია, მაგრამ თვალს ვერ აშორებდა ამ გაშიშვლებულ ხელს და ჩამოს-ვლასაც აღარ ნანობდა; რატომ უნდა გაბრუნდეს? ლოცვით შთაგონებულ ლტოლვას აყოლილი, აკი საკუთარი სურვილით წამოვიდა? შეუძლებელია რაიმე ცუდი შედეგი მოჰყოლოდა მის საქციელს. როგორც კი რწმენა მოიშ-ველია და წასვლაზე ფიქრი თავიდან მოიშორა, მაშინვე დაუბრუნდა ძალა. ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობა ყოყმანის საშუალებას არასოდეს აძლევდა.

ეტლი ფართოქუჩიან, გაშლილ ქალაქში შევიდა. მაღაზიის დარაბები ჯერ კიდევ მიხურული იყო, სამაგიეროდ, მუშები უკვე მიაბიჯებდნენ ქარხ-ნისკენ. ეტლმა ვიწრო ქუჩაზე გადაუხვია, სადაც შარაგზები ერთმანეთს კუზიანი ხიდებით უკავშირდებოდა; ქუჩა მთელ რიგ პარალელურ არხებს სერავდა. ირგვლივ სახლები იყო ჩამწკრივებული, რომელთა სადა, მაღალი, ვიწრო, უპეტყსად თეთრფანჯრიანი წითელი ფასადები დაგუბებულ წყალში ირეკლებოდა სანაპიროზე დარგული, დახრილი თელის ტოტებს შორის. ქალ-ბატონმა დე ფონტანენმა იგრძნო, რა შორს იყო საფრანგეთისგან.

— ბავშვები როგორ არიან? — იკითხა ჟერომმა.

ქალმა შეამჩნია, იგი დიდხანს ყოყმანობდა, სანამ ამას ჰკითხავდა. იგი ღელავდა და უხერხულობის დაფარვას აღარ ცდილობდა.

— ძალიან კარგად.

— დანიელი რას აკეთებს?

— პარიზში მუშაობს. თავისუფალ დროს როგორც კი მოიხელთებს, მეზონში ჩამოდის.

— მეზონში იყავით?

— დიახ.

ჟერომი გაჩუმდა. ეტყობოდა, მოაგონდა პარკი, ტყისპირა აგარაკი.

— ჟენი... როგორაა?

— კარგად.

ამ კითხვისას ჟერომის თვალებში ისეთი ვედრება ეხატა, ცოლმა მაშინვე დაუმატა:

— ძალიან გაიზარდა, შეიცვალა...

ჟერომის ტუჩები აუცახცახდა, ძალუმად ატანებისგან ხმამ უღალატა და წაიჩურჩულა

— მართლა? რა თქმა უნდა, გამოიცვლებოდა...

შემდეგ ისევ გაჩუმდა, თავი მიაბრუნა, ერთბაშად შუბლზე გადაისვა ხელი და ყრუ ხმით წამოიძახა:

— ოჰ, რა საშინელებაა ყოველივე ეს!

მერე უცებ გამოაცხადა:

— მე თითქმის უკაპიკოდ ვარ, ტერეზ!

— ფული ჩამოვიტანე, — სწრაფად მიაგება ცოლმა.

ქმრის წამოძახილში ისეთი სასოწარკვეთილება იგრძნო, გაუხარდა, მისი დამშვიდება რომ შეიძლო. მაგრამ მაშინვე შეურაცხმყოფელმა ფიქრმაც გაუელვა: ნოემი არც ისე ავადაა, როგორც მარწმუნებდა, მხოლოდ ფულისთვის დამიბარაო. და როცა ცოტა ხნის შემდეგ ჟერომმა ვერ მოითმინა და თავი ისე დაიმცირა, ჰკითხა, რამდენიო, აღშფოთებული ქალი შეკრთა. წამით კინაღამ აჰყვა ცთუნებას, უნდოდა უფრო ნაკლები თანხა დაესახელებინა, ვიდრე ჩამოიტანა.

— რისი შეგროვებაც მოვახერხე! — უთხრა მან. — სამი ათასი ფრანკი და ცოტა მეტია.

— ოჰ, გმადლობთ... გმადლობთ! — წაილუღლუღა ქმარმა. — რომ იცოდეთ ტერეზ!.. მთავარია ხუთასი ფლორინი ექიმს გადავუხადო...

ეტლმა ქვის ხიდი გადაჭრა, რომელიც ნავებით დაფარულ, ფართო მდინარეზე იყო გადებული; შემდეგ გარეუბნის ერთ-ერთ შესახვევს ჩაუარა, ფართო, უკაცრიელ მოედანზე გავიდა და სამლოცველოს წინ შეჩერდა.

ჟერომი ეკიპაჟიდან ჩამოვიდა, მეეტლეს ფული გადაუხადა, ჩანთა აიღო, ტერეზა წინ გაუშვა, კიბის საფეხურები ნირშეუცვლელად აიარა და კარი გააღო. ეს სამლოცველო არც კათოლიკურ ეკლესიას წააგავდა და არც პროტესტანტულ ტაძარს; იქნებ, სინაგოგა იყო?

— მაპატიეთ, — წაიჩურჩულა ჟერომმა, — არ მინდოდა ეტლი სახლის წინ შეჩერებულიყო. უცხოელებს მკაცრად უთვალთვალებენ; ყველაფერს აგიხსნით! — შემდეგ ხმა შეიცვალა, მაღალი წრის ადამიანივით თავაზიანად

გაუღიმა და. დაუმატა: — ამას გარდა, რამდენიმე ნაბიჯის გავლა ფეხით ურიგო არ იქნება, ხომ ასეა? დღეს ისე თბილა!.. მე წინ გაგიძღვებით.

ქალი უსიტყვოდ გაჰყვა უკან. ეტლი მოედანზე აღარ იდგა. ჟერომი თაღიან პასაჟში შევიდა, საიდანაც საფეხურების მეშვეობით არხის ერთ-ერთ სანაპიროზე შეიძლებოდა ჩასვლა; ნაპირის მეორე მხარეს სახლების საძირკვლები პირდაპირ წყალში ჩამწკრივებულიყო. მზის სხივები უხვად ციმციმებდა აგურებსა და ფანჯრების აპრჭყვიალებულ მინებზე, რომლებიც ნემსიწვერებსა და დედოფლის ყვავილებს გაემხიარულებინა. სანაპიროზე ხალხის ტევა არ იყო, ბალაგანებსა და კალათებს მთელი ნაპირი დაეკავებინათ და იქაურობა ღია ცის ქვეშ გამართულ ბაზრობას მოგაგონებდათ. ყვავილებს, რომელთა სურნელება წყლიდან მოდენილ მყრალ სუნს ერთვოდა, პატარ-პატარა ბარჟებიდან მოეზიდებოდნენ და ძველმანებსა და ათასნაირ ხარახურაზე აეწყობდნენ.

ჟერომი შემობრუნდა:

— ძალიან ხომ არ დაიღალეთ მეგობარო?

მან ახლაც ისევე გალობასავით წარმოთქვა სიტყვა „მეგო... ბარო“, როგორც წინათ სჩვეოდა. ქალმა არაფერი უპასუხა და თავი ჩაქინდრა. მისი სიტყვებით გამოწვეული მღელვარება ჟერომს არც შეუმჩნევია. მან კუთხის სახლის ორფერდა სახურავი დაანახა მდინარის მეორე ნაპირას, სადაც ვიწრო ხიდით შეიძლებოდა მისვლა, და უთხრა:

— აი იქაა. ოჰ, ღარიბული სახლია... მაპატიეთ, ასე უბრალოდ რომ გხვდებით...

სახლი მართალია ღარიბული იყო, მაგრამ, ეტყობოდა, ახლახან წითლად შეეღებათ, თეთრი ფიცრებით გაელამაზებინათ და კარგად მოვლილ იახტას წააგავდა. მეორე სართულის ფანჯრებზე ფორთოხლისფერი შტორები ჩამოეშვათ და ტერეზამ ზედ წვრილი ასოებით გამოყვანილი წარწერა წაიკითხა:

*როსიე-მატილდას პანსიონი.*

მაშასადამე, ჟერომი თითქმის სასტუმროში ცხოვრობდა. ტერეზას გულზე მოეშვა, რადგან შიში არ გაუმართლდა, მათთან არ იქნებოდა ბინად.

საცალფეხო ხიდი გაიარეს. მეორე სართულის ერთ-ერთი შტორი შეინძრა. ნუთუ ნოემი უთვალთვალებდა? ქალბატონი დე ფონტანენი წელში გასწორდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ქვედა სართულის ფანჯრებს შორის გაკრული თუნუქის შეთხიპნილი აბრა: ყარყატი იდგა ბუდესთან, საიდანაც შიშველი ჩვილი იწვდიდა ხელებს.

ისინი სადარბაზოში შევიდნენ და მასტიკის სუნით გაჟღენთილ კიბეს აჰყვნენ. ჟერომი კარის წინ შეჩერდა. ორჯერ დარეკა. შიგნიდან ფეხის ხმა მოისმა, გისოსიანი პატარა ფანჯარა ოდნავ შეიღო, ასევე ოდნავ გაიღო კარიც და ჟერომი შეუშვეს.

— ნებას მომცემთ? — შესვლის წინ უთხრა მან ცოლს, — მე მხოლოდ გავაფრთხილებ.

ქალბატონმა დე ფონტანენმა გაიგონა, რომ ჰოლანდიურ ენაზე კამათობდნენ, მაგრამ თითქმის მაშინვე ჟერომმა ფართოდ გაუღო კარი. მარტო იყო. მიხვეულ-მოხვეული, გრძელი, გაპრიალებული დერეფანი გაიარეს. ქალბატონ დე ფონტანენს გული ეკუმშებოდა: ეშინოდა პირისპირ არ აღმოჩენილიყო ნოემისთან, ცდილობდა ბოლომდე ღირსეულად დაეჭირა თავი და წონასწორობა არ დაეკარგა, მაგრამ ოთახში, სადაც ისინი შევიდნენ, ეტყობოდა, არავინ ცხოვრობდა. ამ სუფთა და ნათელი ოთახის ფანჯრები არხს გადაჰყურებდა.

— აი, ეს იქნება თქვენი ოთახი, მეგობარო! — წაილაპარაკა ჟერომმა.

ტერეზამ კინაღამ ჰკითხა: „კი მაგრამ, ნოემი სადაა?"

ჟერომი თითქოს მიუხვდა:

— რამდენიმე წუთით დაგტოვებთ. ვნახავ, იქ ხომ არ ვჭირდები.

სანამ ოთახიდან გავიდოდა, ცოლთან მივიდა და მისი ხელი აიღო:

— ოჰ, ტერეზ, ნება მომეცით, გითხრათ... რომ იცოდეთ, რა შიში გამოვიარე! სამაგიეროდ, თქვენ აქა ხართ ახლა, აქ. ჩემ გვერდით...

ცოლის ხელს ბაგით შეეხო, ლოყით მოეფერა. ტერეზამ უკან დაიხია; ჟერომს არ უცდია მისი შეჩერება.

— ახლავე დავბრუნდები და წაგიყვანთ, — უთხრა მან და მოშორდა. — ხომ... ნახავთ მას?

დიახ, იგი ნახავს ნოემის, რაკი თავისივე სურვილით ჩამოვიდა აქ! მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მაშინვე წავა! თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ქმარს, ჟერომმა წაიბუტბუტა, გმადლობთო, მაგრამ მას არ გაუგონია, ხელჩანთაზე დაიხარა და თითქოს შიგ რაღაცას ეძებსო, მის გასვლამდე თავი არ აუღია.

მარტოდდარჩენილს მაშინვე გაუქრა ყოველგვარი რწმენა. ქუდი მოიხადა, სარკეში ჩაიხედა, დაღლილი სახე შემოჰყურებდა სარკიდან. შუბლზე ხელი გადაისვა. რა უნდა აქ? შერცხვა. მაგრამ დაფიქრების საშუალება არ მისცეს. კარს მიუკაკუნეს.

პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, კარი გაიღო და წითელ ხალათში ჩაცმული ქალი შემოვიდა; მიუხედავად იმისა, რომ შავი თმა და ფერუმარილით

შეთხიპნილი სახე ჰქონდა, ხანდაზმულობა აშკარად ემჩნეოდა. ქალბატონი დე ფონტანენისთვის გაუგებარ ენაზე რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, მოუთმენლად ჩაიქნია ხელი და ცისფერხალათიან ახალგაზრდა ქალს მოუხმო, რომელიც, ეტყობა, დერეფანში ელოდებოდა. იგი ხორხისმიერი ხმით მიესალმა ტერეზას.

— Dag, ქალბატონო, გამარჯობათ!

ახალმოსულთა შორის ხანმოკლე საუბარი გაიმართა. ხნიერი ქალი უხსნიდა ახალგაზრდას, რაც უნდა ეთქვა. იგი წამით დაფიქრდა, კეკლუცად შემობრუნდა და სვენებ-სვენებით წამოიწყო:

— დიასახლისი თქვა: თქვენ უნდა წაიყვანა ავადმყოფი, მადამ. გადაიხადა ფული და გადავიდა სხვა სახლისთვის. ვერსტაად უ? * გაიგო რას ვამბობ?

ქალბატონმა დე ფონტანენმა ორჭოფულად ანიშნა, ეს მე არ მეხებაო. მაშინ ხნიერი ქალი შეწუხებული და ჯიუტი იერით ჩაერია ლაპარაკში.

— დიასახლისი თქვა, შეგიძლია ერთად არ გადაიხადა ვალი, ჯერ ბინა შეცვალა, წადი, წაიყვანა ავადმყოფი, მადამ, სხვაგან სასტუმროში, ვერსტაად უ? ასე უკეთ იქნება პოლიცის * გამო.

კარი გაიღო და ჟერომი შემოვიდა. იგი მიუახლოვდა წითელხალათიანს, ჰოლანდიურ ენაზე ჩხუბი დაუწყო და კარზე მიუთითა. ცისფერხალათიანი დუმდა, უტიფრად უყურებდა ხან ჟერომს, ხან ტერეზას; ხნიერი ქალი, ეტყობა, საშინლად გამწარდა, მუშტები მოიღერა, ბოშა ქალივით ააჟღარუნა სამაჯურები და თითქოს სათითაოდ ტკეპნისო სიტყვებს, მოკლე-მოკლე ფრაზებს ისროდა, სადაც ერთი და იგივე სიტყვები მეორდებოდა.

— მორგენ... მორგენ.. პოლიცი *.

როგორც იქნა, ჟერომმა ორივე გაიყვანა ოთახიდან და კარი გასაღებზე ჩაკეტა.

— მაპატიეთ! — უთხრა ცოლს, როცა მისკენ შემობრუნდა.

ტერეზამ ახლაღა შეამჩნია, რომ ნოემისთან მისვლის ნაცვლად ჟერომმა წესრიგში მოიყვანა თავი: წვერი გაიპარსა, ოდნავ კიდეც შეპუდრულიყო და გაახალგაზრდავებული გამოიყურებოდა. „მე კი რას ვგავვარ ვაგონში უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ!" — გაიფიქრა ქალმა.

— უნდა გამეფრთხილებინეთ, რომ კარი დაგვეკეტათ! — განაგრძო ჟერომმა და ცოლთან მივიდა. — ეს ბებერი დიასახლისი კეთილი, მაგრამ ყბედი და მოურიდებელი ქალია...

— ჩვენგან რა უნდოდა? — უგულისყუროდ ჰკითხა ტერეზამ, მას ეცნო ლიმონის არომატი: პირის დაბანის შემდეგ ჟერომი მუდამ ლიმონის წყალს

ხმარობდა ხოლმე, და ერთხანს ბაცეცაპობილი, დაბურული თვალებით უძრავად იდვა.

— ვერც მე გავუგე მის ჟარგონს! — უპასუხა ჟერომმა. — ეტყობა, ახალი მდუმური ეგონეთ.

— ცისფერხალათიანმა რამდენჯერმე გაიმეორა, ფული უნდა გადაიხადოთ და სხვაგან უნდა გადახვიდეთო.

ჟერომმა მხრები აიჩეჩა, თავი უკან გადააგდო და ხარხარი ატეხა. მისი ყალბი, ქარაფშუტული სიცილი ძველებური მხიარულების ექოსავით მოესმა ქალბატონ დე ფონტანენს.

— ჰა! ჰა! ჰა!.. რა სისულელეა! — წამოიძახა ჟერომმა. — ამ ბიბრუცუნას, ალბათ, ეშინია, ფულს არ გადამიხდიანო.

ჟერომს ვერც კი წარმოედგინა, რომ ოდესმე დადგებოდა ისეთი მომენტი, როცა მას ვალების გადახდა გაუჭირდებოდა.

— რა ჩემი ბრალია? — ნაღვლიანად განაგრძო ერთბაშად — ბევრჯერ ვცადე. არც ერთ სასტუმროში არ შემიშვეს.

— კი მაგრამ. რატომ მეუბნებოდა: პოლიციის გამოო?

— პოლიცია ახსენა? — ჰკითხა გაოცებულმა ჟერომმა.

— მე მგონია.

ქალმა ხელახლა შეამჩნია მის სახეზე ის ყალბი გამომეტყველება. რომელიც თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებს აგონებდა და მუდამ ისე მძიმედ აწვებოდა გულზე, თითქოს მოწამლულ ჰაერს სუნთქავსო.

— უსაქმო ქალების მონაჭორია! პოლიციას რა ხელი აქვს? ან იმიტომ ხომ არ დაიწყებს კვლევა-ძიებას, პირველ სართულზე პოლიკლინიკა რომაა? არა, მთავარია. ახალგაზრდა ექიმს მისი კუთვნილი ხუთასი ფლორინი გადავუხადოთ.

ქალბატონი დე ფონტანენი ვერაფერს მიმხვდარიყო და სწორედ ეს აწუხებდა: მუდამ გარკვეულობას მოითხოვდა ყველაფერში. ყველაზე მეტად მაინც ის სტანჯავდა, არ იცოდა, რა ეფიქრა იმ ბნელ საქმეებზე, რომელშიაც ჟერომი, ჩვეულებისამებრ. გახვეულიყო.

— რამდენი ხანია აქა ხართ? — ჰკითხა მან, რადგან გადაწყვიტა როგორმე სინამდვილე დაედგინა.

— ორი კვირაა. ნაკლები... ათი თუ თორმეტი დღე იქნება... ახლაც სიზმარში მგონია თავი.

— კი მაგრამ... რა ავადმყოფობაა? — განაგრძო ქალმა და უკანასკნელ სიტყვას ისე გაუსვა ხაზი, ჟერომმა ვეღარ აარიდა პასუხს თავი.

— დიახ... სწორედ.. —წამოიწყო მან. — უცხოელ ექიმებთან მოლაპარაკება საშინლად ძნელია! იცით, ეს რაღაც ადგილობრივი სენია... ჰოლანდიური ციება!.. მიზეზი ჭრხის მავნე ანაორთქლი უნდა იყოს!.. — იგი წამით დაფიქრდა, — ამ ქალაქში ჭაობის ციებ-ცხელება ძალიანაა გავრცელებული... ყოველნაირი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი მიაზმებია...

ქალი უგულისყუროდ უსმენდა. არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ როგორც კი ნოემის შესახებ ჩამოვარდებოდა სიტყვა, არც პოზით, არც მხრების აჩეჩვით, არც იმ დაუდევარი ტონით, რომლითაც ჟერომი ამ სენზე ლაპარაკობდა, იგი დაუოკებელ ვნებას არ ამჟღავნებდა. მიუხედავად ამისა, ქალი თავისთავს უკრძალავდა, ეს ამბავი ნოემიზე გულის აყრის ნიშნად ჩაეთვალა.

ჟერომმა ვერ შეამჩნია მისი გამომცდელი მზერა, ფანჯარას მიუახლოვდა, სანაპიროს გადახედა გულდასმით, თუმცა ფარდები არ გადაუწევია. როცა ტერეზას მიუბრუნდა, სახეზე ის სერიოზული, მომნანიებელი, გულწრფელი იერი ეხატა, რაც ქალისთვის ასე ნაცნობი იყო, რაც ასე ძალიან აშინებდა მას.

— გმადლობთ. თქვენ ძალიან კეთილი ხართ! — თქვა უცებ ჟერომმა. — მიუხედავად მთელი მწუხარებისა, რაც მე მოგაყენეთ, მაინც ჩამოხვედით. ტერეზ... მევოხარო...

ქალს მისთვის არც შეუხედავს, ისე გადგა განზე. მაგრამ სხვისი გრძნობები, განსაკუთრებით კი, ჟერომის გრძნობები ისე კარგად ესმოდა, რომ იმ წუთში კიდეც სჯეროდა მისი მღელვარება და არც მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში ეპარებოდა ეჭვი. მიუხედავად ამისა, პასუხი მაინც არ მისცა და არც საუბრის გაბმა ისურვა.

— წამიყვანეთ... მასთან! — წაილაპარაკა მან.

ჟერომი წამით შეყოყმანდა. შემდეგ დათანხმდა:

— წამოდით!

საშინელი წამი ახლოვდებოდა.

— „გავმხნევდეთ! — უმეორებდა თავისთავს ქალბატონი დე ფონტანენი და ჩაბნელებულ, გრძელ დერეფანში ჟერომს მიჰყვებოდა, — ისევ წევს? თუ უკვე უკეთაა? რა უნდა ვუთხრა?“ ერთბაშად მოაგონდა, დაღლილობისგან რა გაცრეცილი ჰქონდა სახე, და ინანა, ქუდი რომ მოიხადა.

ჟერომი ჩაკეტილი კარის წინ შეჩერდა. ქალბატონმა დე ფონტანენმა აკანკალებული ხელი გადაისვა ჭაღარა თმაზე. „რა დიდებული მოვეჩვენები!“ ფიქრობდა იგი. ძალა ღალატობდა.

ჟერომმა ჩუმად შეაღო კარი. „წევს!" გაუელვა ტერეზას.

ოთახში ნახევრად ბნელოდა. ცისფერყვავილებიანი მოლურჯო-მომწვანო ფარდები გადაწეული იყო. ვიღაც ორი ქალი ფეხზე წამოდგა. ერთ-ერთ მათგანს წინსაფარი ეკეთა და ქსოვდა; ეს დაბალ-დაბალი ქალი მოახლე ან მომვლელი უნდა ყოფილიყო. მეორეს, ორმოცდაათიოდე წლის მატრონას, იასამნისფერი ხილაბანდი იტალიელი გლეხი ქალივით წაეკრა თავზე. როგორც კი ქალბატონი დე ფონტანენი შუა ოთახისკენ წამოვიდა, მან მაშინვე უკან დაიხია, ჟერომს რაღაც წასჩურჩულა და გავიდა.

ტერეზას არც ქალის გასვლა შეუმჩნევია, არც არეულ-დარეული ოთახი, არც თასები და არც საწოლზე დაგდებული ჭუჭყიანი პირსახოცები. მთელი ყურადღება ავადმყოფისთვის მიეპყრო, რომელიც სასთუმალგამოშლილი იწვა ლოგინზე. ნეტავი თავს თუ მოაბრუნებს? ეტყობოდა, ეძინა; ხვრინვა ისმოდა. ქალბატონ დე ფონტანენს ლაჩრულმა ფიქრმა გაუელვა თავში: იქნებ, სჯობს წავიდე და მძინარე არ შევაწუხოო. მაგრამ ჟერომმა ანიშნა, საწოლს მიახლოებოდა. ტერეზამ წინააღმდეგობის გაწევა ველარ გაბედა. ახლადა შეამჩნია, რომ ავადმყოფს თვალები ღია ჰქონდა და ხრიალი ფართოდ დაღებული პირიდან ისმოდა დროდადრო. ტერეზამ თვალები სიბნელეს შეაჩვია და ნოემის უსისხლო სახე, ჩამქრალი, მკვდარი პირუტყვის უპეებივით ჩალურჯებული უპეები შეათვალიერა. მაშინვე მიხვდა: ის, ვინც აქ იწვა, სასიკვდილოდ იყო განწირული. ამან ისე ააფორიაქა, სწრაფად შემობრუნდა, თითქოს საშველად იხმობს იქ მყოფებსო. მაგრამ ჟერომი გვერდით ედგა და თუმცა მწუხარებისაგან გატანჯული სახით დაჰყურებდა მომაკვდავს, ტერეზა მიხვდა, ახალს ვერაფერს ეტყოდა ქმარს.

— უკანასკნელი სისხლისდენის შემდეგ, — ხმადაბლა აუხსნა ჟერომმა, — ეს კი უკვე მეოთხედ მოუვიდა, გრძნობაზე აღარ მოსულა. ხოლო წუხელ ხრიალიც დაეწყო.

ორი კურცხალი ნელა მოადგა თვალებზე, წამწამს ჩამოეკიდა და შავგვრემან სახეზე ჩამოუგორდა.

ქალბატონი დე ფონტანენი ამაოდ ცდილობდა თავი შეეკავებინა, ეს საზარელი სანახაობა ვერ აიტანა. ნუთუ ნოემი კვდებოდა? ნუთუ საბოლოოდ ჩამოშორდებოდა გზიდან? წუთის წინ კი ეგონა, ალბათ, გამარჯვებული სახით დამხვდებაო! ტერეზას თვალი ვერ მოეწყვიტა ამ სახისათვის, სადაც ყველაფერი გაშეშებულიყო: თვალებიც, ერთმანეთზე მიკრული ცხვირის ნესტოებიც, გადათეთრებული ტუჩებიც; საიდანაც ხრინწიანი, შეწყვეტილი და კვლავ აღდგენილი სუნთქვა ისე ისმოდა, თითქოს შორიდან მოდისო. ტერეზა სათითაოდ უკვირდებოდა სახის ნაკვთებს, მაგრამ შიშნარევი ცნო-

ბისმოყვარეობა ვერასგზით ვერ დააკმაყოფილებინა. ნუთუ ნოემისა იყო ეს ჩაჭკნილი, უსისხლო სხეული, მშრალ, აპრიალებულ შუბლზე მიკრული ეს შავი კულული? ძნელი იყო ამ ფერდაკარგული, ყოველგვარ მეტყველებას მოკლებული სახის ცნობა. რამდენი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ? ერთბაშად მოაგონდა უკანასკნელი შეხვედრა, ხუთი-ექვსი წლის წინ, როცა ნოემისთან ყვირილით მიირბინა: „დამიბრუნე ჩემი ქმარი!“ თითქოს ახლაც ჩაესმა ყურში მისი ბიძაშვილის ხმამაღალი სიცილი, უნებურად შეკრთა და თვალწინ წარმოუდგა დივანზე გაშხლართული უტიფარი, ლამაზი ქალი, მისი ხორცსავსე მხარი, მაქმანის ქვეშ რომ თრთოდა. ეს იმ დღეს იყო, როცა ნიკოლი წინოთახში...

— ნიკოლი? — ჰკითხა მან ქმარს ანაზდად.

— რა თქვით?

— ნიკოლს თუ შეატყობინეთ?

— არა.

თვითონ რატომ არ მოისაზრა, როცა პარიზიდან მოდიოდა? მან განზე გაიყვანა ჟერომი:

— ჟერომ, უნდა შეატყობინოთ! ბოლოს და ბოლოს, დედამისია.

მუდარით სავსე თვალებში ქალმა ამ კაცის სულმოკლეობა ამოიკითხა და თვითონაც შეყოყმანდა. „ამ საშინელ სახლში ნიკოლის ჩამოსვლა, ამ ოთახში ნიკოლის გამოჩენა, ამ საწოლთან ნიკოლისა და ჟერომის შეხვედრა? — გაუელვა მას; მიუხედავად ამისა, მართალია ნაკლები სიმტკიცით, მაგრამ მაინც გაუმეორა — უნდა შეატყობინოთ!“

ჟერომს მიწისფერი დასდებოდა; მუდამ ასე მოსდიოდა, როცა ეურჩებოდნენ: სახე დაღმეჭოდა და განზე გაწეულ ბაგეთაგან კბილების თხელი მწკრივი მუქარასავით მოჩანდა.

— ჟერომ, ნიკოლი უნდა ჩამოვიდეს! — წყნარად გაუმეორა ცოლმა.

ჟერომს თხელი წარბები ანაზდად აეჭიმა, შემდეგ დაეშვა. ჯერაც ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს მკაცრად გადახედა ცოლს, დაუთმო.

— მომეცით მისი მისამართი! — უთხრა მან.

როგორც კი ჟერომი ტელეგრაფში წავიდა, ტერეზა მაშინვე მიუახლოვდა ნოემის საწოლს, რომელსაც უკვე ვეღარ შორდებოდა.

იგი უძრავად იდგა, მკლავები უღონოდ ჩამოეშვა, ერთმანეთზე გადაეჯვარედინებინა. როგორ გაიფიქრა, ავადმყოფი უკვე კარგად გრძნობს თავს? ან ჟერომი რატომ არაა უფრო თავზარდაცემული? ახლა რაღას იზამს ჟერომი? დაუბრუნდება მას? ოჰ, რა თქმა უნდა, მასთან დაბრუნებას არ შესთავაზებს, მაგრამ თავშესაფარზე ვერ ეტყვის უარს...

უცნაურმა სიხარულმა აიტანა, ან უკეთ შერიგების ტკბილმა გრძნობამ მოიცვა, მაშინვე შერცხვა და შეეცადა თავიდან მოეშორებინა ამაზე ფიქრი. ლოცვაც სცადა. უნდოდა ელოცა იმ სულისათვის, რომელიც უფალს უბრუნდებოდა. „საცოდავი სული! — ფიქრობდა ქალი, — მისი ტვირთი არასოდეს ყოფილა მძიმე! მაგრამ განა ყოველი ტანჯვა, სრულყოფილების გზაზე საბედისწეროდ გადადგმულ ახალ ნაბიჯს არ წარმოადგენს?! უკეთესისკენ გარდაუვლად მისწრაფებისას, ნუთუ, ადამიანის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს ის მცირეოდენი გარჯაც კი, რაც მან ამქვეყნიური არსებობის თანმიმდევრული ეტაპების გავლისას შეასრულა?" ტერეზას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნოემიმ ბევრი იწვალა; მიუხედავად თავისი ბრწყინვალე ცხოვრებისა, რა თქმა უნდა, უბედურს მუდამ თან სდევდა მწარე სინანული და სინდისის ქენჯნა, რომელსაც ადამიანი, მართალია, აშკარად ვერ გრძნობს, მაგრამ ფარულად მაინც შეშფოთებულია საკუთარი დანაშაულის შეგნებით. და ეს ტანჯვა, ისევე როგორც სიყვარული თუნდაც დანაშაულებრივი, თუნდაც ამდენი ბოროტების გამომწვევი სიყვარული, მაინც საუკეთესო გარდასახვად ჩაეთვლება ამ უბედურ სულს! იმ წუთს ტერეზა ნოემის ადვილად აპატიებდა ამ სიავეს. თუმცა საკუთარ დამსახურებად არც მიაჩნდა ეს. იძულებული იყო თავს გამოტყდომოდა, რომ ნოემის სიკვდილს დიდ უბედურებად არ თვლიდა არავისთვის. ჟერომისა არ იყოს, ისიც შეჩვეოდა აზრს, რომ ნოემი უნდა დაღუპულიყო. მისი გრძნობები ულმობელი სისწრაფით ვითარდებოდა. ერთი საათიც არ გასულიყო იმის შემდეგ, რაც მან ეს იცოდა და გულზე ხელდაკრეფილი უკვე ბედს დამორჩილებოდა.

როცა ორი დღის შემდეგ ნიკოლი პარიზის ექსპრესს ჩამოჰყვა, დედამისი ოცდათექვსმეტი საათის გარდაცვლილი დახვდა და მეორე დღეს კიდეც ასაფლავებდნენ.

ეტყობოდა, ყველას ეჩქარებოდა ამ საქმის მოთავება: სახლის დიასახლისსაც, ჟერომსაც, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ექიმს, რომელიც მოუთმენლად ელოდა ხუთასი ფლორინის მიღებას; პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ, მან ისე გასცა გარდაცვალების მოწმობა, ზედა სართულზე ასვლა და მიცვალებულის ოთახში შეხედვა არც კი იკადრა.

ტერეზამ სურვილი გამოთქვა, ნოემის უკანასკნელად გამოწყობაში მეც მივიღებ მონაწილეობასო; თუმცა ეს მოვალეობა მეტად უმძიმდა, სამაგიეროდ, ნიკოლს ეტყოდა, ეს წმინდა საქმე შენს მაგივრად მე შევასრულეო.

მაგრამ უკანასკნელ წუთს რაღაც მოიმიზეზეს, ტერეზა მიცვალებულის ოთახიდან გაისტუმრეს და მომვლელმა ქალმა აღასრულა ყოველივე. „იგი ჩირჩვეულია ასეთ რამეებს!“ — აუხსნა ჟერომმა და ამ პროცედურის შესრულების მოწმედ მეორე მომვლელი ქალიდა დატოვა მასთან.

მალე მთელი ყურადღება ნიკოლზე გადაიტანეს. დროულიც იყო: ქალბატონი დე ფონტანენისთვის აუტანელი ხდებოდა დერეფანში დიასახლისთან, იმ მატრონასთან და ექიმთან შეხვედრები. საცოდავ ქალს ჩამოსვლის პირველ დღეებიდანვე ეხუთებოდა სული ამ აყროლებულ სახლში. ნიკოლის გახსნილმა შუბლმა, მისმა ჯანსაღმა გარეგნობამ, ახალგაზრდობამ, თითქოს გაწმინდა იქაური ჰაერი. მიუხედავად ამისა, ქალბატონ დე ფონტანენს ეჩაჩნდა, რომ ნიკოლის ხმამაღალი ქვითინი, რამაც ასე შეაძრწუნა მეზობელ ოთახში დამალული ჟერომი, სრულიად არ შეეფერებოდა იმ გრძნობას, რაც შვილს უნდა ჰქონოდა უღირსი დედის მიმართ. ამ ძლიერმა, დაუფიქრებელმა, ბავშვურმა მწუხარებამ ერთხელ კიდევ დაუდასტურა შეხედულება, რაც მას დისწულის ბუნებაზე შეექმნა: მისი აზრით, ნიკოლი დიდსულოვანი, კეთილშობილი, მაგრამ ზერელე ბუნების გოგონა იყო.

ნიკოლს უნდოდა დედის ცხედარი საფრანგეთში გადაესვენებინა; რაკი ჟერომთან ლაპარაკი არ ინება (დედამისის ყოველგვარ საქციელს ჟერომს აბრალებდა), ამ საკითხის მოგვარებაც დეიდა ტერეზამ ითავა და მტკიცე უარიც მიიღო. ჟერომმა მოიმიზეზა, გვამის გადასვენება წარმოუდგენლად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, შესასრულებელი იქნება ათასი ფორმალობა და, რაც მთავარია, ჰოლანდიის პოლიცია ყოველ წვრილმანს გამოეკიდება, რადგან უცხოელების მიმართ მეტად შარიანიაო.

იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ ამ განზრახვიდან.

მართალია, ნიკოლი დარდსა და მგზავრობას გაეტანჯა, მაინც გადაწყვიტა მთელი ღამე კუბოსთან დარჩენილიყო. უკანასკნელი ღამე სამივემ ერთად, უხმოდ გაატარეს ნოემის ოთახში. ყვავილებში ჩაფლული კუბო ორ სკამზე იდგა. ვარდებისა და ჟასმინის გამაბრუებელი სუნის გამო იძულებულნი გახდნენ ფანჯრები ფართოდ გაეღოთ. თბილი, ნათელი ღამე იდგა: მთვარის შუქი თვალისმომჭრელად ციმციმებდა. დროდადრო სახლის ხიმინჯთან წყლის ტყლაშუნი ისმოდა. სადღაც, მეზობლად ზარის რეკა დროს ამცნობდათ. მთვარის სინათლე პარკეტზე მიცურავდა, თანდათან გრძელდებოდა და ნახევრად ფურცლებდაცვენილი თეთრი ვარდისკენ მიცოცავდა; ვარდი კუბოს ფეხებთან ეგდო და გამჭვირვალე, თითქმის ცისფერი ჩანდა. ნიკოლი მტრულად ათვალიერებდა არეულდარეულ ოთახს. ალბათ, აქ ცხოვრობდა დედამისი! ალბათ, აქ იტანჯებოდა! იქნებ, ამ ყვავილებიანი

შპალერის თვალიერებისას დროს იგრძნო აღსასრულის მოახლოება, და, ვინ იცის, იქნებ, თავის ბედუკუღმართ ცხოვრებაში ჩადენილი ყოველი სისუ-ლელე სათითაოდ კიდეც გაიხსენა?! ნუთუ ბოლო წუთებში მაინც არ მო-აგონდა ერთადერთი შვილი?

ნოემი ადრე დილით დაასაფლავეს.

არც სახლის პატრონი, არც ბებია-ქალი დასაფლავებას არ დასწრე-ბია. დეიდა ტერეზა ნიკოლსა და ჟერომს შორის მიდიოდა; უცხოთაგან მოხუცი პასტორიღა ესწრებოდა სამგლოვიარო ცერემონიას; იგი ქალბატონ დე ფონტანენს მოეწვია მიცვალებულის გასაცილებლად და სულთბრძოლის ლოცვის სათქმელად.

ქალბატონმა დე ფონტანენმა გადაწყვიტა ნიკოლისათვის უსიამოვნება აერიდებინა, არხზე მდებარე სახლში აღარ დაებრუნებინა და სასაფლაოდან პირდაპირ სადგურზე წაეყვანა. ბარგს ჟერომი მიიტანდა სადგურზე, მაგ-რამ ნიკოლმა უარი თქვა თან წაეღო თუნდ პატარა ნივთიც კი, რაც უცხო-ეთში დედამისის ცხოვრებას მოაგონებდა. ამიტომ, ნოემის ჩემოდნები ხელუხლებლად დაუტოვეს დიასახლისს, რითაც მასთან ანგარიშის საბო-ლოოდ გასწორებაც გაიადვილეს.

როცა ჟერომმა ვალები გადაიხადა და სადგურში წასასვლელად ეტლში ჯდებოდა, ერთბაშად გაახსენდა, რომ მატარებლის წასვლამდე ბევრი დრო ჰქონდა; იგი აჰყვა უეცარ გატაცებას და მეეტლეს უბრძანა უკან მიბრუნე-ბულიყო; გადაწყვიტა უკანასკნელად, ერთხელ კიდევ მისულიყო სასაფლა-ოზე.

საფლავის ძებნაში კარგა ხანს იხეტიალა. როგორც იქნა, შორიდან იცნო ახლადმოთხრილი მიწა, ქუდი მოიხადა და ნელი ნაბიჯით გაემართა იქით-კენ. აი, აქ ემარხა ახლა მათი ერთად ცხოვრების, დაშორებების, ეჭვიანო-ბისა და შერიგებების ექვსი წელი, მოგონებებისა და საიდუმლოების, იმ უკანასკნელი, ყველაზე ტრაგიკული საიდუმლოების ექვსი წელი, რომელიც აი, აქ დამთავრებულიყო. „ყოველ შემთხვევაში, — ფიქრობდა ჟერომი, — შესაძლებელია, უარესადაც დამთავრებულიყო!.. ძალიან არ ვიტანჯები“, — გამოუტყდა თავისთავს, თუმცა მოჭმუხნული წარბები და ცრემლებით სავ-სე თვალები საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. განა მისი ბრალია, ცოლის ჩა-მოსვლით გამოწვეული სიხარული მის მწუხარებაზე ძლიერი რომ აღმოჩნ-და? მას ხომ მხოლოდ ტერეზა უყვარდა! მაგრამ გაიგებდა კი ამას იგი ოდესმე? ეს სასტიკი და ცივი ქალი მიხვდებოდა კი ოდესმე, რომ მიუხე-

დავად ყოველივესი, მხოლოდ იგი ავსებდა სატრფიალო თავგადასავლების მქონე ამ კაცის ცხოვრებას, სადაც მას მხოლოდ ერთხელ განეცადა ნამდვილი სიყვარული? მიხვდებოდა კი იგი ოდესმე, რომ სრულყოფილ სიყვარულთან შედარებით ყოველი სხვა გატაცება წამიერი იყო მუდამ? ამის ახალი საბუთი კი, ამ წუთშიც კი ჰქონდა: ნოემის სიკვდილმა იგი ვერც მოტეხა და ვერც მარტოობაში ჩააგდო. სანამ ტერეზა ცოცხალი იქნება, ცხრა მთას იქითაც რომ გადაიკარგოს, ყოველგვარი კავშირიც რომ გაწყვიტოს მასთან, ჟერომი მარტო არ იქნება! წამით შეეცადა წარმოედგინა, რომ აქ, ყვავილებით მორთული ამ საფლავის ქვეშ ტერეზა განისვენებდა. მაგრამ ასეთი ფიქრიც კი აუტანელი იყო მისთვის. იგი არც კიცხავდა თავს იმ ტკივილის გამო, რაც ცოლს მიაყენა, რადგან ამ წუთს, ამ საფლავის წინაშე ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს არაფერი არსებითი არ წაერთმიოს ცოლისთვის, ყველაზე სანუკვარი და ყველაზე მარადი, რასაც გულით ატარებდა, მხოლოდ მისთვის ჰქონდა განკუთვნილი! არასოდეს, არც ერთი წუთით არ უღალატნია მისთვის. „ნეტავი რას მიპირებს?" — გაიფიქრა მან და, ეტყობოდა, იმედი არ გადაწურვოდა, — ალბათ, შინ, ბავშვებთან დაბრუნებას შემომთავაზებსო... ჟერომი თავდახრილი იდგა საფლავთან. სახეზე ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები, მაგრამ იმედი მაინც ჩაბუდებულიყო მის გულში. „ყველაფერი გამოსწორდებოდა, ნიკოლი რომ აქ არ იყოს!"

მას გაახსენდა გოგონას ღიმილი, მისი ულმობელი შემოხედვა. თითქოს ახლაც ყურში ესმოდა ღია საფლავთან მისი უსიტყვო, გულისმომკვლელი, თავშეუკავებელი ქვითინი.

ნიკოლზე ფიქრი ნამდვილი წამება იყო ჟერომისთვის. განა აღშფოთებული ბავშვი მისი გულისთვის არ გაექცა დედის კერას? მეხსიერებაში ერთბაშად წარმოუდგა ნაწყვეტი ლოცვიდან: „ვაი მას, ვინც ცოდვის მიზეზია..." როგორ უნდა გამოვისყიდო ეს დანაშაული? — ფიქრობდა ჟერომი! — როგორ მოვიქცე რომ მაპატიოს? როგორ დავიბრუნო მისი კეთილგანწყობა? მისთვის აუტანელი იყო იმის შეგრძნება, რომ ვიღაცას არ უყვარდა იგი, და უცებ დიდებულმა აზრმა გაუელვა თავში: „რომ ვიშვილო?!"

ერთბაშად ყველაფერი განათდა თითქოს. მაშინვე თვალწინ წარმოუდგა ყოველივე: ნიკოლი მასთან იცხოვრებს, მყუდროდ მოაწყობს პატარა ბინას, ზრუნვას არ მოაკლებს ჟერომს, სტუმრების მიღებაში მიეშველება. შესაძლებელია, ზაფხულობით სამოგზაუროდაც კი წავიდნენ ორივენი. ყველა მოუწონებს საქციელს, როცა დაინახავენ, რომ იგი ასე მონდომებით ეცდება დანაშაულის გამოსწორებას.

ჟერომმა ქუდი დაიხურა, სადლავს გაშორდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია ეტლისკენ.

სადგურზე რომ მივიდა, მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. ტერეზას და ნიკოლს ადგილები უკვე დაეკავებინათ კუპეში. ქალბატონ დე ფონტანენს უკვირდა, ჟერომი აქამდე რომ არსად ჩანდა, პანსიონში რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეხვდათ, ყველაფერია მოსალოდნელი, ნუთუ ვერ მოახერხებს წამოსვლასო? — ფიქრობდა იგი. მანამ კი იმაზე ოცნებობდა, იქნებ, როგორმე მეზონში წავიყვანო, ოჯახში დაბრუნება, ან სულაც მონანიება გავუადვილოო! ნუთუ მის ოცნებას ასრულება არ ეწერა?! და შიში კიდევ უფრო გაუღრმავდა, როცა ქმარი ჩქარი ნაბიჯით და შეწუხებული სახით შემოვიდა კუპეში:

— ნიკოლი სადაა?

— იქაა, დერეფანში — მიუგო გაოცებულმა ქალმა.

ნიკოლი ნახევრად დაშვებულ ფანჯარასთან იდგა; იგი უნდილად გასცქეროდა ბრჭყვიალა ლიანდაგების ქსელს. სახეზე სევდა, უფრო მეტად კი დაღლილობა აღბეჭდოდა. მართალია, დარდი მძიმედ აწვა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, რადგან ასეთი დიდი მწუხარებაც კი ვერას დააკლებდა მის ბედნიერებას. რა მნიშვნელობა აქვს დედამისი ცოცხალია თუ მკვდარი? საქმრო ხომ ელოდებოდა?! იგი კვლავაც შეეცადა ცოდვილი აზრის თავიდან მოშორებას: დედის დაკარგვა მისთვის, ყოველ შემთხვევაში, მისი საქმროსთვის, შვება, იმ ერთადერთი შავი ლაქის გაქრობა იყო, რაც აქამდე აბნელებდა მის მომავალს!

ჟერომის მოახლოება არ გაუგონია.

— ნიკოლ! გემუდარებით. დედის ხათრით მაინც მაპატიეთ!

ნიკოლი შეკრთა და შემობრუნდა. მის წინ ჟერომი იდგა, ქუდს ხელში აწვალებდა და მოკრძალებული, ალერსიანი თვალებით შეჰყურებდა. მწუხარებისგან და სინდისის ქენჯნისაგან მოტეხილ სახეს ამჯერად ზიზღი არ გამოუწვევია: შეეცოდა. სიკეთის გამოსამჟღავნებლად იგი თითქოს შემთხვევას უცდიდა. კეთილი, აპატიებს!

მან არაფერი უპასუხა, ოღონდ შავხელთათმანიანი ხელი მეგობრულად გაუწოდა; ჟერომა აღელვება ვერ შეიკავა, ხელი ჩამოართვა და მაგრად მოუჭირა.

— გმადლობთ! — უთხრა მან და გაშორდა.

რამდენიმე წუთმა გაიარა. ნიკოლი არ განძრეულა. ფიქრობდა, მართლაც ასე სჯობს, დეიდა ტერეზას გულისთვისო. ამ ამაღელვებელ სცენას უეჭველად უამბობდა თავის საქმროს. მგზავრები შემოდიოდნენ ვაგონში

და მას ჩემოდნებით ეჯახებოდნენ. როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა. ბიძგმა გარინდებიდან გამოიყვანა. კუპეში დაბრუნდა. უცნობ მგზავრებს თავისუფალი ადგილები დაეკავებინათ. კუპეს სიღრმეში ძია ჟერომი შეამჩნია, რომელსაც მოხერხებულად მოეკალათნა ქალბატონი დე ფონტანენის პირდაპირ, ჩამოკიდებულ მარყუჟში ხელი გაეყარა, ფანჯრიდან პეიზაჟს ათვალიერებდა და თან ლორითა და პურით გემრიელად ილუკმებოდა.

## VIII

ჟაკი მთელი საღამო სიტყვა-სიტყვით იხსენებდა ჟენისთან საუბარს. იგი არ ცდილობდა გამოერკვია, ასე რატომ აეკვიატა, რატომ ვერ მოეშორებინა თავიდან ეს მოგონებები, რომლებმაც ღამითაც რამდენჯერმე გამოაღვიძეს და შეუნელებელი სიხარულით კვლავ და კვლავ იხსენებდა მათ. და როცა დილით ჩოგბურთის კორტზე ჟენი ვერ დაინახა, საშინელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული პარტიის გათამაშებაზე უარი ვერ თქვა, ცუდად თამაშობდა და წამდაუწუმ თვალი კარებისკენ ეჭირა. დრო კი გადიოდა. ჟენი აღარ მოვიდოდა, ალბათ. როგორც კი შემთხვევა მიეცა, ჟაკმა მაშინვე თავი მიანება თამაშს. მართალია, იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა.

უცებ მისკენ მომავალ დანიელს მოჰკრა თვალი.

— ჟენი სადაა? — ჰკითხა ჟაკმა, რომელსაც მეგობრის მოსვლა არ გაჰკვირვებია.

— ამ დილით არ ითამაშებს. უკვე მიდიხარ? გაგაცილებ. წუხელ ჩამოვედი... ჰო, მართლა! — განაგრძო მან, როგორც კი კლუბიდან გავიდნენ, — დედას რამდენიმე დღით წასვლა მოუხდა და ჟენი რომ მარტო არ დარჩენილიყო, მთხოვა, მეზონში გამეთია ღამე; ხომ იცი, ჩვენი აგარაკი მოშორებით დგას და... მამაჩემის ჩვეულებრივი გამოხდომაა... საცოდავი დედა კი ვერაფერზე უარს ვერეუბნება.

დანიელი ერთხანს ჩუმად იყო, შეწუხებული სახე ჰქონდა, შემდეგ გაიღიმა. დიდხანს არ უყვარდა უსიამოვნო ამბებზე ფიქრი.

— შენ როგორა ხარ? — გულთბილად ჰკითხა მან. — იცი, ძალიან ბევრი ვიფიქრე შენს „უნებურ აღსარებაზე". ნამდვილად ახლაც ძალიან მომწონს. და რამდენსაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო მომწონს. ძალიან თავისებური ფსიქოლოგიაა, ოდნავ უხეში, ადგილ-ადგილ ბუნდოვანიც. სა-

მაგიეროდ, დიდებული ჩანაფიქრია, და ორივე გმირის ხასიათი ნამდვილია, ახლებურად არის გახსნილი.

— არა, დანიელ! — დაუოკებელი მოუთმენლობით შეაწყვეტინა ჟაკმა. — ჩემზე ამ ლექსით ნუ იმსჯელებ. ჯერ ერთი, საშინელი ფორმაა! მაღალფარდოვანია, მძიმე, ფუჭი ლაყბობით გადატვირთული... „ატავიზმი!..“ — გაიფიქრა გაცოფებულმა.

— შინაარსითაც... — განაგრძო მან. — ჯერ ყველაფერი მეტისმეტად პირობითია, ხელოვნური... ადამიანურობის სარჩულია... მშვენივრად მესმის, როგორ უნდა გაკეთდეს, მაგრამ...

ერთბაშად ჩაჩუმდა.

— ახლა რაზე მუშაობ? სხვა რამ დაიწყე?

— ჰო. — ჟაკი მისდაუნებურად გაწითლდა. — ნეტწილად კი ვისვენებ, — დაუმატა მან, — არ მეგონა, მთელი წლის ჩაკეტილი ცხოვრება ასე თუ მომქანცავდა. ამას გარდა, მე ხომ ის საცოდავი ბატენკური დაჭორწინე! რა კვაჭი ხარ!

— ჟენიმ ყველაფერი მიამბო,, — თქვა დანიელმა.

ჟაკი ხელახლა გაწითლდა. ჯერ უსიამოვნება იგრძნო, გუშინდელი საუბარი ჟენიმ საიდუმლოდ რატომ არ შეინახაო, მაგრამ იმწამსვე გაუხარდა, ეტყობა, ამ საუბარს შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ დამახსოვრებია კიდეც და იმავე საღამოს ძმისთვისაც უამბნიაო.

— წამოდი, სენის ნაპირას ჩავიდეთ და გზაზე ვისაუბროთ,—შესთავაზა ჟაკმა და ხელმკლავი გაუყარა დანიელს.

— არ შემიძლია, ძმობილო! ორის ოც წუთზე პარიზში ვბრუნდები. გესმის? დამით კიდევ შემიძლია სახლის მოდარაჯე ძაღლის როლი შევასრულო, მაგრამ დღისით...

ჟაკს არ მოეწონა მისი ღიმილი, რომელმაც მიახვედრა, რა მოვალეობაც უხმობდა დანიელს პარიზში და ხელი სწრაფად მოაშორა.

— იცი რა? — უთხრა დანიელმა, ამ უსიამოვნო გრძნობის გასაფანტავად, — წამოდი, ჩვენთან ვისაუზმოთ! ჟენის ძალიან გაეხარდება.

ჟაკი ისე აღელდა, თვალები დახარა და, თითქოს ყოყმანობსო, ერთხანს ხმა არ ამოუღია: მამამისი ჯერ არ იქნებოდა დაბრუნებული, ასე რომ, ადვილად შეეძლო შინ არ ესაუზმა. სიხარულით ისე უტოკავდა გული, თვითონაც უკვირდა, ბოლოს როგორც იქნა, აღელვება დაიოკა და უპასუხა:

— კეთილი! ოღონდ ჩვენებს გავაფრთხილებ. შენ იარე. მოედანზე დაგეწევი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მართლაც დაეწია დანიელს, რომელიც ჟაკის წილოდინში ბალაზზე წამოწოლილიყო, აგარაკის წინ.

— რა კარგი ამინდია! — წამოიძახა მან და მზეზე გაიშოტა, — ოჰ, რა ლამაზია ამ დილით პარკი! ბედნიერი ხარ, ასეთ მიდამოში რომ ცხოვრობ.

— რა გიშლის ხელს, შენც იცხოვრე?! — მიუგო ჟაკმა.

დანიელი წამოდგა.

— ოჰ! ეს მეც კარგად ვიცი! — მეოცნებე და გალაღებული იერით უთხრა მან, — მაგრამ მე... ჩემი საქმე სულ სხვაა... ოჰ, ძვირფასო, — შეცვლილი ხმით დაუმატა და ჟაკს მიუახლოვდა, — ჩემი აზრით, გენიალურ სატრფიალო თავგადასავალს მივაგენი!

— მწვანეთვალება გოგონას?

— მწვანეთვალებას?

— პეკმელის რესტორნიდან.

დანიელი შეჩერდა და სადღაც შორს მიაპყრო თვალი, შემდეგ ეშმაკურად გაიღიმა:

— რინეტი? ოჰ, არა! ახალი და გაცილებით უკეთესი! — კვლავ დაწვა. — ოჰ, ის რინეტი! — თქვა ბოლოს. — რა უცნაური გოგოა! იცი, თვითონ მიმატოვა! ჰო, რამდენიმე დღის შემდეგ. — დანიელს იმ მამაკაცივით გაეცინა, რომელსაც ასეთი რამ პირველად შეემთხვა. — შენ, როგორც რომანისტს რინეტი, ალბათ, დაგაინტერესებდა, მე კი მომქანცა. არასოდეს არ შემხვედრია ასეთი ქალი, კაცი ვერაფერს გაუგებს! აქამდე არ ვიცი, ოდესმე ათი წუთი მაინც თუ ვუყვარდი ზედიზედ? მაგრამ, როცა ვუყვარდი!.. ერთი სიტყვით, აფრენილი გოგოა!.. ეტყობა, რაღაც ბნელით მოცული წარსული ჰქონია, რაც აქამდე ვერ დაუვიწყნია; იცი, რომ მითხრან რინეტი რომელიღაც საშინელი ბანდის წევრი იყოო, სულაც არ გამიკვირდება!

— აღარ ხვდები?

— არა, არც ის ვიცი, რა მოუვიდა. პეკმელთან აღარ გამოჩენილა. ხანდახან კიდეც მომენატრება, — დაუმატა მან, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. — ვამბობ, მენატრება-მეთქი, მაგრამ მართალი გითხრა, დიდხანს მაინც ვერ გავატანდა ეს ამბავი; სულ მალე აუტანელი ხდებოდა. ვერ წარმოიდგენ რა მოურიდებელია! სულ ჩემი პირადი ცხოვრების ამბავს მეკითხებოდა. დიახ, დიახ. ოჯახზე, დედაზე, დაზე; მეტსაც გეტყვი — მამაჩემითაც კი დაინტერესდა.

რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გაიარა, მერე ისევ განაგრძო.

— ასეა თუ ისე, დიდებული მოგონება შემრჩა მასზე: იმ საღამოს ცხვირწინ ავართვი იგი ლიუდვიგსონს!

— სამაგიეროდ, ჯამაგირი ხომ არ... აგართვა?

— ლიუდვიგსონმა? — დანიელს თვალები გაუბრწყინდა, გაეცინა და კბილები აუელვარდა, — ჯერ არა მქონია შემთხვევა, ჩემი ლიუდვიგსონი გამეკიცხა! ერთხელაც არ უგრძნობინებია, რომ ის ამბავი ახსოვს. შენ რაც გინდა ის იფიქრე მის შესახებ, ძმობილო, მაგრამ მე კი გეტყვი: დიდებული კაცია!

ჟენი მთელი დილა შინიდან არ გასულა. როცა დანიელმა შესთავაზა, ჩოგბურთის სათამაშოდ წამოდიო, სასტიკი უარი უთხრა, არ მცალიაო. მაგრამ გული ვერაფერს დაუდო და არ იცოდა, დრო რით მოეკლა.

როცა ფანჯრიდან ბაღში შემოსული მეგობრები დაინახა, ჯერ გული დაწყდა, უხაროდა, ძმასთან მარტოდ ვისაუზმებო, ეს სიამოვნება კი ახლა ჟაკის გამო უნდა მოჰკლებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც კი დანიელის მხიარული სახე გამოჩნდა კარებში, უკმაყოფილება მაშინვე გაეფანტა.

— გამოიცანი, საუზმეზე ვინ მოგიყვანე?

„კაბის გამოცვლას მოვასწრებ!“ — გაიფიქრა ჟენიმ.

ჟაკი ბაღში დასეირნობდა; პარკის ეს კუთხე არასოდეს ასეთი მიმზიდველი არ სჩვენებია. აგარაკებით გაშენებული პარკის ბოლოს ფონტანენების მამული ტყის პირას მიგდებულ ლამაზ ფერმას ჰგავდა. მაღალფანჯრებიან მთავარ შენობას, რომელიც წარსულში სანადირო პავილიონი უნდა ყოფილიყო და შემდეგ, ეტყობა, ათასჯერ გადაეკეთებინათ, სხვადასხვა ფორმის ფლიგელები ეკვროდა; გადახურული პარმაღის ქვეშ, ხის კიბით, რომელიც ბეღელში ასასვლელ მისადგმელ კიბეს ჰგავდა, ყველაზე მაღალ ფლიგელთან შეიძლებოდა მისვლა; კრამიტის დაქანებულ სახურავზე ჟენის მტრედები განუწყვეტლივ დაგოგმანებდნენ; კედლებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ ძველებური, მუქვარდისფერი ბათქაში, რომელიც იტალიური წესის სადებავით ისრუტავდა სინათლეს. მაღალი, უწესრიგოდ დარგული ფიჭვის ხეები მშრალ ჩრდილში ახვევდა სახლს, ირგვლივ ფისის სუნს აფრქვევდა და ბალახს გაზრდის საშუალებას არ აძლევდა.

დანიელის მხიარულება ყველას გადაედო და საუზმემ ხალისიანად ჩაიარა. დანიელს უხაროდა, ასე სასიამოვნოდ რომ გაატარა დილა, იმედი ჰქონდა ნაშუადღევიც ხალისიანი ექნებოდა. ღიაცისფერი ტილოს კაბა მო-

უწონა ჟენის, მკერდთან თეთრი ვარდი დაუბნია, „დაიკოს“ ეძახდა, ყველაფერზე იცინოდა და საკუთარი ენამახვილობით თვითონვე ტკბებოდა.

მან ჟაკსა და ჟენის სთხოვა, სადგურზე გამაცილეთ და მატარებლის გასვლამდე დამიცადეთო.

— სადილად დაბრუნდები? — ჰკითხა ჟენიმ.

ჟაკმა გულისტკივილით შეამჩნია, რომ მიუხედავად მორიდებული და თვინიერი გარეგნობისა, ჟენის ზოგჯერ (ალბათ, მისდაუნებურად) მკვახე ტონი ჰქონდა.

— ღმერთმანი, ნამდვილად ვერ გეტყვი, დავბრუნდები თუ არა! — უპასუხა დანიელმა. — ესე იგი, ამით ის მინდა ვთქვა, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ, შვიდი საათის მატარებელს მაინც გამოვყვე. ყოველ შემთხვევაში, ღამით აუცილებლად ჩამოვალ. დედასაც ასე მივწერ.

დამჯერი ბავშვის ტონით წარმოთქმული ეს ბოლო სიტყვები ისე უცნაურად ჟღერდა ამ ვაჟკაცის ბაგეთაგან, რომ ჟაკს სიცილი აუტყდა. ჟენი კისერზე საბმელს უკრავდა ძაღლს, ჟაკის სიცილზე თავი ასწია და მომცინარე თვალებით ახედა.

მატარებელი სადგურზე ჩამოდგა. დანიელი ორივეს გამოემშვიდობა და ცარიელი წინა ვაგონისკენ გაიქცა. ჟენი და ჟაკი დიდხანს უყურებდნენ: დანიელს ფანჯრიდან თავი გამოეყო და ანცი ბიჭივით ცხვირსახოცს აფრიალებდა.

დანიელის მხიარული გუნება-განწყობით გაბრუებულთ ვეღარ მოესწროთ იმაზე ფიქრი, რომ მარტოდ უნდა დარჩენილიყვნენ. ამიტომ ისეთი ამხანაგური ტონით განაგრძეს საუბარი, თითქოს დანიელი კვლავ მათთან ყოფილიყოს. ამ ახალი შერიგებით ისეთი შვება იგრძნო ორივემ, ცდილობდნენ ყურადღებით ყოფილიყვნენ და ეს ერთსულოვნება არ დაერღვიათ.

დანიელის გამგზავრებას ოდნავ დაენაღვლიანებინა ჟენი: შინიდან მისი წამდაუწუმ წასვლის მიზეზი აფიქრებდა.

— დანიელს უნდა მოელაპარაკოთ. ასე წინ და უკან სიარულში ნუ გაჰყავს არდადეგები. მან არც კი იცის, როგორ წუხს დედა, როცა წელს ასე იშვიათად ხედავს შინ. ოჰ, რასაკვირველია, თქვენ ახლა მის დაცვას მოჰყვებით! — დაუმატა მან, ოღონდ, ყოველგვარი ენაკვიმატობის გარეშე.

— არა. მისი დაცვა სულაც არ მიფიქრია! — მიუგო ჟაკმა. — ნუთუ გგონიათ, რომ მე ვუწონებ საქციელს?

— ეუბნებით მაინც თქვენს მოსაზრებას?
— რა თქმა უნდა!
— მაგრამ ყურს არ გიგდებთ, ხომ?
— ყურს კი მიგდებს, მაგრამ საქმე უფრო სერიოზულადაა: მე მგონია, მას ჩემი არ ესმის.
ჟენი მიუბრუნდა და თამამად შეუსწორა:
— ... მას თქვენი აღარ ესმის, არა?
— შეიძლება, ასეც იყოს.
საუბარი თავიდანვე სერიოზული ტონით წარიმართა; დანიელის საზაბით ურთიერსიმპათია ჯერ კიდევ წინადღით იგრძნო ორივემ, მაგრამ აშკარად მისი გამომჟღავნება ვერ გაებედათ და სანამ პარკში შევიდოდნენ, ჟენიმ თვითონვე შესთავაზა:
— იქნებ, შარაგზით წავსულიყავით? სახლამდე ტყით მიმაცილებდით! ჯერ ხომ ისე აღრეა და თანაც ისე თბილა!
ჟაკმა უსაზღვრო ბედნიერება იგრძნო, მის დაფარვას არც კი ცდილა, მაგრამ ამ სიხარულს მაინც ვერ აჰყვა და მათი საერთო, სანუკვარი თემა რომ არ ამოწურულიყო, საუბარი სასწრაფოდ განაახლა:
— დანიელს ისე გატაცებით უყვარს ცხოვრება!
— ოჰ, ეს მეც კარგად ვიცი! — უთხრა ჟენიმ. — ლაღი ცხოვრება უყვარს, მაგრამ ასეთი ლაღი ცხოვრება, მუდამ ძალიან... ძალიან სახიფათოა და ბიწიერი, — დაუმატა მან და ჟაკისთვის არ შეუხედავს.
ჟაკმა დინჯად დაუკრა კვერი:
— ბიწიერიცაა. მეც ასე მგონია, ჟენი!
ეს სიტყვა ხშირად ადგა ენის წვერზე, მაგრამ აქამდე ვერ წარმოეთქვა, ამიტომაც აღტაცებული დარჩა, როცა ჟენის წამოსცდა. დანიელის ყველა თავგადასავალი ბიწიერი იყო. ანტუანის ვნებასაც ბიწიერად თვლიდა. ბიწიერი იყო ყოველი ხორციელი სურვილი. სუფთა იყო მხოლოდ ის უსახელო გრძნობა, რაც რამდენიმე თვის წინ ჩასახულიყო მის გულში და მეთრე დღეა, რაც ყოველ წუთს უფრო მეტად იფურჩქნებოდა!
ამასობაში, გარეგნულად ძალიან მშვიდად განაგრძობდა:
— როგორ ვბრაზობ დანიელზე ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გამო! მისი...
— უზნეობის გამო! — გულუბრყვილოდ დაუმატა ჟენიმ; მუდამ ან ტერმინს ხმარობდა იგი იმის სინონიმად, რაც კი მის უმანკოებას საეჭვოდ მიაჩნდა.
— უმალ მისი ცინიზმის გამო! — შეუსწორა ჟაკმა, რომელსაც ეს შე-

უღირებელი ტერმინი აერჩია. მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ამით საკუთარი თავიც გავეცით. ამიტომ შეჩერდა და წამოიძახა: — ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს პატივს ვცემდე იმ ადამიანებს, რომლებიც გამუდმებულ ჭიდილში არიან საკუთარ თავთან: მე მირჩევნია... (ჟენი თვალს არ აშორებდა, ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა მის აზრს, თითქოს ამ უკანასკნელ ფრაზას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევსო)... მე მირჩევნია ისეთი ბუნების ხალხი, რომლებსაც გადაუწყვეტიათ ისეთივე დარჩნენ, როგორიც სინამდვილეში არიან. მიუხედავად ამისა, საჭიროა...

რამდენიმე მაგალითი მოადგა ენაზე, მაგრამ ახალგაზრდა ქალის თანდასწრებით მისი ხმამაღლა თქმა ვერ გაბედა. შეყოყმანდა.

— დიახ, — წამოიწყო ჟენიმ, — პირადად მე, ძალიან მეშინია, დანიელმა საერთოდ არ დაკარგოს... როგორ გითხრათ?.. შეცდომის მიხვედრის უნარი. გესმით ჩემი?

თანხმობის ნიშნად ჟაკმა თავი დაუქნია და თავის მხრივ, ახლა იგი დააკვირდა ჟენის, რადგან მისი დაფიქრებული სახე უფრო ღრმა შინაარსს აძლევდა მის სიტყვებს. „რამდენი უნებური აღსარებაა მის ნათქვამში!“ გაიფიქრა მან.

ჟენი თავს იკავებდა, მაგრამ მოკუმული ბაგე და შეკრული სუნთქვა იმაზე მეტყველებდა, რომ იგი იმ წუთს ცდილობდა როგორმე ჩაეხშო ის უეცარი სიფიცხე, რაც ხშირად აძაბუნებდა და ამის დამალვას მუდამ ლამობდა. „სასტიკ და გულჩათხრობილ იერს ასე ადვილად რატომ ღებულობს მისი სახე? — ფიქრობდა ჟაკი. — იმიტომ ხომ არა, რომ წარბის ხაზი მეტისმეტად თხელი და მკაცრი აქვს? იქნებ, იმიტომ, რომ შევიწროებული გუგები ფერადი გარსის მოლურჯო-რუხ, მეტისმეტად ღია ფონზე ორ შავ წერტილს ქმნის?“ იმ წუთიდან ჟაკს დანიელი გადაავიწყდა და მხოლოდ ჟენიზე ფიქრობდა.

რამდენიმე წუთს უხმოდ მიაბიჯებდნენ. მათ ვერც კი იგრძნეს, რომ დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. მაგრამ როცა საუბრის განახლება მოესურვილათ, ორივემ შეამჩნია, რომ ფიქრებით შორს წასულიყვნენ, იქნებ სხვადასხვა მხარესაც კი. ამიტომაც აღარ იცოდნენ, როგორ დაერღვიათ სიჩუმე.

საბედნიეროდ, იმ ადგილას გზა რაღაც სახელოსნოს ჩაუდიოდა, შესაკეთებელ მანქანებს მთელი შარაგზა ჩაეხერგათ, და ძრავების თუხთუხი საუბრის ხალისს უკარგავდა ადამიანს.

ბებერმა, ქეციანმა ხეიბარმა ძაღლმა, რომელიც საპოხი ზეთის გუბეში დატყაპუნობდა, ჟენის ფინიის ირგვლივ იწყო წრიალი; ჟენიმ ხელში აიყ-

ვანა პიუპი. მაგრამ სახელოსნოს ჭიშკარს ხეირიანად არც კი გაცილებოდნენ, ყმუილი შემოესმათ; შემობრუნდნენ: თხუთმეტიოდე წლის შეგირდს რკინების ღრჭიალით გამოეყვანა გარაჟიდან ავტომობილის ჩონჩხი, მასი უცბად შემოებრუნებინა, დროზე ვერ მოესწრო შემაჩერება და ბებერმა ძაღლმა თავს ვერ უშველა; ჟაკმა და ჟენიმ დაინახეს, მანქანა როგორ დაეჯახა უბედურ პირუტყვს, წააქცია და ორივე ბორბლით გადაუარა სხეულზე.

— მოკვდება! მოკვდება! — ყვიროდა შეშინებული ჟენი.

— არა, წამოდგა!

და მართლაც გასისხლიანებულმა ძაღლმა წელი აითრია და წკმუტუნით გაიქცა, დაჩეჩქვილი უკანალს მტვრიან გზაზე მიითრევდა, ბარბაცით აქეთ-იქით აწყდებოდა და ყოველი ორი ნაბიჯის გადადგმაზე ეცემოდა.

— მოკვდება! მოკვდება! — იმეორებდა შეშლილივით სახეშეცვლილი ჟენი.

ძაღლი რომელიღაც სახლის ეზოში მიიმალა. დროდადრო ისმოდა კიდევ მისი წკმუტუნი, რომელიც მალე შეწყდა. სახელოსნოს მუშები ამ სანახაობას გაემხიარულებინა და სისხლიან კვალს მიჰყვნენ. ერთ-ერთი მათგანი ეზოს მიადგა.

— აქაა. აღარ ინძრევა! — დაუყვირა მან ამხანაგებს.

თითქოს შვება იგრძნოო, ჟენიმ თავისი ძაღლი მიწაზე ჩამოსვა და ჟაკთან ერთად ტყის ბილიკს დაადგა. ერთად გადატანილმა მღელვარებამ კიდევ უფრო დააახლოვა ისინი.

— არასოდეს დამავიწყდება, — თქვა ჟაკმა, — თქვენი სახე და ხმა, ყვირილი რომ ატეხეთ!

— რა სულელი ვარ, არა? ნერვების ბრალია. რას ვყვიროდი?

— ყვიროდით, „მოკვდებაო!" არ დაგავიწყდეთ: მანქანამ თქვენ თვალწინ გაიტანა ძაღლი, რომელიც სისხლიან ფაფად იქცა ერთ წუთში. აი ეს იყო შემზარწუნებელი! მიუხედავად ამისა, ნამდვილი საშინელება მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა, ესე იგი იმ ტრაგიკულ წუთში, როცა ჯერ კიდევ ცოცხალ ძაღლს ისღა დარჩენოდა, გაწოლილიყო და მომკვდარიყო. ხომ ასეა? ყველაზე პათეტიკური მომენტი, სწორედ ეს გადასვლაა, ეს შეუმჩნეველი ჩავარდნა ცხოვრებიდან არარობაში! ამ წუთის მიმართ ჩვენში არსებობს რაღაც შიში, ერთგვარი წმიდათაწმიდა შიში, რაც მუდამ მზადაა თავი იჩინოს... ხშირად ფიქრობთ სიკვდილზე?

— დიახ... თუმცა არა! ძალიან ხშირად არა... თქვენ?

— ოჰ, მე... თითქმის ვამუდმებით. ზუსტად რომ გითხრათ, ფიქრთა დინებას უფრო ხშირად სიკვდილის იდეისკენ მივყავარ. მაგრამ, — და-

უმატა მან სასოწარკვეთილი ტონით, — რამდენიც გინდათ იფიქრეთ, ეს ისეთი აზრია...

აღარ დაამთავრა. მის ალეწილ, აღელვებულ, თითქმის გამშვენიერებულ სახეზე სიცოცხლისკენ სწრაფვა სიკვდილის შიშს შერეოდა.

რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გაიარეს. შემდეგ ისევ ჟენიმ წამოიწყო მოკრძალებით:

— არ ვიცი რატომ, ამას არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს თემასთან, ერთი ამბავი გამახსენდა, დანიელმა, ალბათ, კიდეც გიამბოთ: ჩემი პირველი შეხვედრა ზღვასთან.

— არა. მიამბეთ.

— ოჰ, ძველი ამბავია... თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლის ვიქნებოდი მაშინ. და აი: არდადეგები უკვე იწურებოდა, როცა მე და დედა ტრეპორში * წავედით, სადაც დანიელი გველოდა, მოგვწერა, რომელ სადგურზეც უნდა ჩამოვსულიყავით, ოღონდ ახლა აღარ მახსოვს; თვითონ ურიკით დაგვხვდა. ზღვა რომ ერთბაშად დამენახა და არა ნაკუწ-ნაკუწად, გზის სხვადასხვა მოსახვევებიდან, თვალები ამიხვია... სისულელე იყო, არა? მერე ურიკიდან ჩამომიყვანა და ხელჩაკიდებული წამიყვანა. ყოველ ნაბიჯზე ვბორძიკობდი, ქარიშხლის მაუწყებელი ქარი სახეში მცემდა, ყურებში ხლვენა, ღმუილი, ჯოჯოხეთური ხმაური მესმოდა, შიშისაგან ვკანკალებდი და დანიელს ვეხვეწებოდი, თავი დამანებე-მეთქი. ბოლოს, ნაპირის ყველაზე მაღალ ფერდობზე ამიყვანა, ჩუმად ჩემს უკან დადგა და სახვევი თვალებიდან მომხსნა. და აი, მთელი ზღვა ერთბაშად გადაიშალა ჩემს თვალწინ: თავაწყვეტილი ზღვა თითქმის ჩემ ფეხებთან ბობოქრობდა; დაქანებულ კლდეებს შორის, ჩემს ირგვლივ, ყველგან, თვალუწვდენელ სივრცეზე ზღვა იყო. სუნთქვა შემეკრა; დანიელის მკლავებზე უღონოდ მივესვენე. გრძნობაზე რამდენიმე წუთის შემდეგ მოვედი მხოლოდ. და ავქვითინდი... საშინელი ქვითინი ამიტყდა... იძულებულნი გახდნენ შინ წავეყვანე, დავეწვინე; სიცხე მომცა. დედა ძალიან უკმაყოფილო დარჩა... ჰოდა, იცით? ახლა არაფერს ვნანობ! ასე მგონია, ზღვას კარგად ვიცნობ-მეთქი!

ასეთი გამომეტყველება ჟაკს არასოდეს შეუნიშნავს მის სახეზე: ნაღველი გაქრობოდა, თვალებში ლაღი, ოდნავ უცნაური სხივი ჩადგომოდა, რომელიც მალე ჩაუქრა.

ჟაკი ნელ-ნელა ეცნობოდა ჟენის ბუნებას. თავშეკავებულობიდან უეცარ აღტაცებაში მისი გადასვლები მიძინებულ, წყალუხვ წყაროს ჰგავდა, რომელიც მხოლოდ დროდადრო ჰპოვებს ამოსავალს. შესაძლებელია, სწორედ ამაში იმალებოდა იმ მელანქოლიის საიდუმლოება, რაც შინაგანი ცხოვ-

რების ასეთ ანარეკლს ჰფენდა სახეზე, ხოლო მის წამიერ გაღიმებას ახეთ ფასდაუდებელ სილამაზეს ანიჭებდა. უეცრად საშინლად შეეშინდა, რადგან გაიფიქრა, საცაა ჩვენი სეირნობა დამთავრდებაო.

— ხომ არსად გეჩქარებათ? — შეპარვით წამოიწყო მან, როცა ძველებური ჭიშკრის თაღით ტყეში შევიდნენ. — შემოვუაროთ! სანაძლეოს დავდებ, ეს ვიწრო ბილიკი თქვენთვის უცნობი იქნება!

ფეხი რბილად ეფლობოდა ბარდებით დაჩრდილულ ქვიშნარ ხეივანში, რომელსაც ბალახის ფართო ზოლი გასდევდა, და ეს ზოლი თანდათან ვიწროვდებოდა. ტყის ამ მონაკვეთში ხეები ცუდად იზრდებოდა და მათი დასნეულებული ფოთლებიდან ყოველმხრივ შეიძლებოდა ცის დანახვა.

ისინი ჩუმად მიდიოდნენ, მაგრამ ეს დუმილი არ აწუხებდათ. „რა მომივიდა? — ფიქრობდა ჟენი, — იგი სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორიც მეგონა. არა, იგი... იგი — მაგრამ ვერც ერთი ეპითეტი ვერ აკმაყოფილებდა. — როგორ ვგავართ ერთმანეთს, — შენიშნა მან ერთბაშად და ამ უტყუარმა გრძნობამ სიხარული მოჰგვარა. შემდეგ შეშფოთდა — ნეტა, რაზე ფიქრობს?"

ჟაკი არაფერზე არ ფიქრობდა. ოღონდ ტკბილ, იმედებისგან დაცლილ ნეტარებას მისცემოდა. რაკი მის გვერდით მიაბიჯებდა, სხვა მას არაფერი უნდოდა.

— ტყის ყველაზე ულამაზო კუთხეში შემოგიყვანეთ! — წაიბუტბუტა მან ბოლოს.

მისი ხმის გაგონებაზე ჟენი შეკრთა და ორივეს გაუელვა, რომ მათ დუმილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბუნდოვანი აზრების გასარკვევად, რაზედაც ცალ-ცალკე ფიქრობდნენ.

— დიახ, მართალი ხართ! — დაეთანხმა იგი.

— ბალახის ნაცვლად მიწას აქ რაღაც ჭანგა მოსდებია, — თქვა ჟაკმა, რომელიც ფეხით ჩიჩქნიდა მიწას.

— შეხედეთ, ჩემი ძაღლი რა გემრიელად შეექცევა მას!

რაც მოადგებოდათ ენაზე, იმას ამბობდნენ. მათთვის ახლა სიტყვებს სულ სხვა მნიშვნელობა ეძლეოდა. „მომწონს მისი კაბის ცისფერი ტონი! — გაიფიქრა ჟაკმა, — ასე ძალიან რატომ უხდება ცისფერი, ოდნავ მორუხო ფერი?" შემდეგ ერთბაშად წამოიძახა:

— ახლავე გეტყვით! მე იმიტომ ვარ ასეთი უნდილი, რომ არ შემიძლია ყურადღება მოვწყვიტო იმას, რასაც სულის სიღრმეში ვგრძნობ.

— მეც ასეთი ვარ — თითქოს კვერს უკრავსო. განაცხადა ჟენიმ, — თითქმის ერთთავად ვოცნებობ. ოცნება ძალიან მიყვარს. თქვენ? ის, რაზე-

დაც მე ვიცნობ, მხოლოდ მე მეკუთვნის. მიხარია, სხვებთან გაყოფა რომ არ მჭირდება. გესმით ჩემი?

— ოჰ, ძალიან კარგად მესმის, — უთხრა ჟაკმა.

გზის გადასაკვეთზე აკაციის აყვავებული ბუჩქი შეამჩნიეს, რომლის ერთი ტოტი წვრილი კენკრებით დახუნძლულიყო. ჟაკი დიდი სიამოვნებით მიართმევდა ამ ტოტს ჟენის და ეტყოდა: „აჰა, ყვავილები, ნაყოფი, ფოთლები და ტოტები. თანაც..." შემდეგ შეჩერდებოდა, შეხედავდა... ვერ გაბედა. და როცა ბუჩქი უკან დარჩათ, ესღა გაიფიქრა: „ოჰ ღმერთო, რა მწიგნობარი ვარ!"

— ვერლენი გიყვართ? — ჰკითხა მან.

— დიახ. განსაკუთრებით „სიბრძნე", რომელიც ოდესღაც დანიელს ასე მოსწონდა.

ჟაკმა წაიჩურჩულა:

„ოჰ, ქალთა სილამაზე, მათი სისუსტე და ეს ფერმკრთალი ხელები, რომლებიც ხშირად სიკეთს მოიმოქმედებენ, მაგრამ ყოველგვარი ბოროტების ჩადენაც ძალუძთ..." *

— მალარმე? * — ჰკითხა ჟაკმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. — მე თანამედროვე პოეტების ლექსთა საკმაოდ კარგი კრებული მაქვს. თუ გნებავთ, მოგიტანთ?

— მომიტანეთ...

— ბოდლერი * გიყვართ?

— არც ისე. არც უიტმენი, თუმცა ბოდლერს ცუდად ვიცნობ.

— უიტმენი წაგიკითხავთ?

— ამ ზამთარს დანიელი მიკითხავდა. მესმის, ასე ძალიან რატომ უყვარს უიტმენი მე... (ორივეს მოაგონდა სიტყვა „უზნეო", ცოტა ხნის წინ რომ წარმოითქვა. „როგორ მგავს მე!" გაიფიქრა ჟაკმა).

— ... თქვენ კი — მიეშველა ჟაკი, — სწორედ ამიტომ არ მოგწონთ უიტმენი ისე, როგორც დანიელს, არა?

ჟენიმ თავი დაუქნია, გაუხარდა, მისი სათქმელი ჟაკმა რომ დაამთავრა.

ბილიკი ისევ გაგანიერდა და მდელობს მიადგა, სადაც მუხლუხებით დაღრღნილ ორ მუხას შორის გრძელი სკამი იდგა. ჟენიმ ფართოფარფლიანი რბილი ჩალის ქუდი ბალახზე გადაისროლა და დაჯდა.

— დანიელთან თქვენი სიახლოვე, — წაილაპარაკა მან ერთბაშად, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, — ზოგჯერ კიდეც მიკვირს.

— რატომ? — გაეღიმა ჟაკს. — იმიტომ, რომ თქვენი აზრით, მე დანიელს არ ვგავარ?

— დღეს სული არ ჰგავხართ.

ჟაკი ფერდობზე გაწვა მოშორებით.

— დანიელთან ჩემი მეგობრობა... — ხმადაბლა წამოიწყო მან, — როდესმეულაპარაკნია თქვენთან ჩემზე?

— არა... თუმცა, დიახ... ცოტა რამ მსმენია.

ჟენი გაწითლდა, მაგრამ ჟაკი არ უყურებდა.

— დიახ, — განაგრძო მან და ბალახს დაუწყო წიწკნა, — ეს უკვე მყარი მეგობრობა გახლავთ ახლა, ერთგვარად დაშოშმინებული გრძნობა. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო!

იგი გაჩუმდა და თითით ჩვის ათინათი დაანახვა: აქატივით გაშუქებულ ლოკოკინა ბალახის წვერზე აცოცებულიყო და ლაბისებრივ ულვაშა გაუბედავად აქნევდა ამ თვალისმომჭრელ შუქზე.

— იცით, — წამოიწყო ჟაკმა ანაზდად, — სკოლაში ყოფნის დროს, იყო დღეები, როცა მეჩვენებოდა ჭკუიდან ვიშლები-მეთქი: იმდენი ფიქრები ირეოდა ჩემს საცოდავ თავში და მუდამ კი მარტო ვიყავი!

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ძმასთან ერთად ცხოვრობდით?

— საბედნიეროდ. და ასევე საბედნიეროდ, ძალიან თავისუფალიც ვიყავი. ასე რომ არ ყოფილიყო, მგონი, მართლა გავგიჟდებოდი... ან გავიქცეოდი.

ჟენის გაახსენდა მარსელში მათი გაპარვა და, პირველად ამდენი ხნის მანძილზე, არ გაბრაზებულა.

— ვგრძნობდი, რომ ჩემი არ ესმოდათ, — ნაღვლიანად წაილაპარაკა ჟაკმა, — არავის ესმოდა, არც ძმას და ხშირად არც დანიელს.

— „ზუსტად ჩემსავით ყოფილა!“ — გაიფიქრა ჟენიმ.

— იმ პერიოდში არავითარი სწავლა-განათლება არ მიტაცებდა. ვერაფერს გულს ვერ ვუდებდი. ვკითხულობდი, გაშმაგებით ვკითხულობდი ყველაფერს, რაც კი ანტუანის ბიბლიოთეკაში იყო, რასაც კი დანიელი მოზიტანდა. გადავიკითხე თითქმის ყველა თანამედროვე რომანი — ფრანგული, ინგლისური, რუსული. რომ იცოდეთ, რა აღტყინებას მანიჭებდა ეს კითხვა! წიგნების გარეშე მოსაწყენად მეჩვენებოდა ყოველივე: გაკვეთილებიც, ტექსტების კირკიტიც, წესიერი ხალხის მორალიც! ასეთი რამისათვის ნამდვილად არ ვიყავი გაჩენილი!

ჟაკი ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე ლაპარაკობდა თავისთავზე, მაგრამ როგორც ყოველი ახალგაზრდა, ჯანსაღი ადამიანი, ისიც სავსე იყო საკუთარი „მე“-თი და თვითანალიზზე უფრო ღრმა სიამოვნება ვერც კი

წარმოედგინა; მით უმეტეს, ახლა ჟენის დაკვირვებულ შემოხედვასაც გრძნობდა. ასეთი გატაცებული ლაპარაკი მუდამ გადამდებია.

— ეს ის პერიოდი იყო, — განაგრძო მან, — როცა მთელ ღამეებს ვათენებდი და ოცდაათგვერდიან წერილებს ვწერდი დანიელს. ამ წერილებში დღის მანძილზე განცდილ აღმაფრენას, და რაც მთავარია, მთელ ჩემს სისულელეს აღვწერდი. ოჰ, ახლა, ალბათ, სასაცილოდ არ მეყოფოდა ეს ამბავი... მაგრამ, არა, — დაუმატა მან და შუბლზე ხელები მოიჭირა, — ამის გამო ისე დავისაჯე, აქამდე ვერ მიპატიებია ადამიანებისათვის!.. დანიელს ის წერილები გამოვართვი და გადავიკითხე. თითოეული მათგანი აღსარებას წააგავს, რომელიც სულით ავადმყოფს ცნობიერების დაბრუნების წუთებში დაუწერია. წერილსა და წერილს შორის, რამდენიმე დღისა, ზოგჯერ რამდენიმე საათის, შუალედია. თითოეული წერილი აფეთქებას წააგავს, შინაგანი კრიზისით გამოწვეულ აფეთქებას, რომელიც უმეტესად სრულიად საპირისპირო ყოფილა წინა კრიზისთან შედარებით. ეს გახლდათ რელიგიური კრიზისი, რადგან იმ ხანებში თავდავიწყებით ვიყავი გატაცებული სახარებით, ხან ძველი აღთქმით, ხანაც კონტის * პოზიტივიზმით. რომ იცოდეთ, როგორი წერილი დამიწერია ემერსონის * წაკითხვის შემდეგ! მე გადავიტანე სიყმაწვილის ყოველი სენი: მწვავე „ვინჩეტობა“ *, უიმედო, „ბოდლერიტობა“! * სამაგიეროდ, არც ერთი დაავადება ქრონიკული არ ყოფილა. დილით კლასიკოსი ვიყავი, საღამოს — რომანტიკოსი, და ანტუანის ლაბორატორიაში ჩემი მალერბი * და ჩემი ბუალო * მალულად ამიგუზგუზებია. ყველაფერს მარტოკა ვაკეთებდი და დემონიურად ვიცინოდი! მეორე დღეს კი ყველაფერი, რაც კი ლიტერატურას ეხებოდა, ერთნაირად ფუჭი და გულისამრევი მეჩვენებოდა. გეომეტრიაში ვიქექებოდი; თავიდან ვიწყებდი მის შესწავლას; მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ახალი წესები აღმომეჩინა და აქამდე დადგენილი მონაცემები თავდაყირა დამეყენებინა. შემდეგ ისევ პოეზია გამიტაცებდა და დანიელისათვის ოდებს, ორასსტრიქონიან, თითქმის უწანაშალოდ დაწერილ ეპისტოლეებს ვთხზავდი. მაგრამ ყველაზე წარმოუდგენელი მაინც ის იყო, — დაუმატა ჟაკმა და უცებ დაწმვიდდა, — რომ სავსებით სერიოზულად, თანაც ინგლისურ ენაზე, დიახ, თავიდან ბოლომდე ინგლისურად, ოცდათხვგერდიანი ტრაქტატი დავწერე: „პიროვნების ემანსიპაცია საზოგადოებასთან ურთიერთობაში!“ ეს ტრაქტატი ახლაც შენახული მაქვს. მოიცათ, ჯერ სად ხართ! ტრაქტატს წინასიტყვაობა ახლდა, მართალია მოკლე, მაგრამ... ახალ ბერძნულ ენაზე! (ეს უკანასკნელი დეტალი მთლად სიმართლეს არ შეეფერებოდა: ჟაკს

ახსოვდა მხოლოდ, რომ აპირებდა ასეთი წინასიტყვაობის დაწერას);

ჟაკს სიცილი აუტყდა:

— არა, გიჟი არ გეგონოთ! — თქვა მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. ხელახლა გაყურდა და ხუმრობანარევი სერიოზულობით, ოღონდ ყოველგვარი ყოყოჩობის გარეშე, დაუმატა:

— ყოველ შემთხვევაში, სხვებისგან საკმაოდ განვსხვავდებოდი!...

ჟენი დაფიქრებული სახით ეფერებოდა ძაღლს. წინათ ჟაკი ხშირად ეჩვენებოდა შიშისმომგვრელ, თითქმის სახიფათო ბდამიანად! ახლა კი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ სრულიადაც არ ეშინოდა მისი.

ჟაკი ბალახზე გაწვა და სივრცეს გაჰყურებდა. ბედნიერი იყო, ასე გულახდილად რომ ილაპარაკა.

— რა კარგია ამ ხეებქვეშ ყოფნა, არა?

— დიახ. კარგია, რომელი საათია?

საათი არც ერთს არ წამოეღო. ტყის პირი შორს არ იყო. არც არსად ეჩქარებოდათ. ჟენი გრძელ სკამზე იჯდა და კარგად ამჩნევდა ნაცნობი წაბლის ხეების კენწეროებს, უფრო შორს კი, მეტყევის სახლთან, კედარს, რომელსაც თავისებური შავი ხელები ლურჯი ცისკენ გაეწვდინა.

ჟენი მის მუხლებზე გაწოლილი ძაღლისკენ დაიხარა, ჟაკს თვალი აარიდა და წარმოთქვა:

— დანიელმა წამიკითხა თქვენი ლექსები.

ჟაკის დუმილით გაკვირვებულმა გაბედა და შეხედა. ჟაკი თმის წვერებამდე გაწითლებულიყო; თვალები შეშლილივით გაურბოდა აქეთ-იქით. ჟენიც აილეწა და წამოიძახა:

— ოჰ, როგორ შევცდი, რომ გითხარით!

ჟაკი უკვე ნანობდა, ასე რომ გაწიწმატდა და ცდილობდა დამშვიდებულიყო. მიუხედავად ამისა, აუტანელი გახდა იმის გაფიქრება, რომ ვინმე, მით უმეტეს ჟენი, ამ ჭაბუკური ლუღლუღის მიხედვით იმსჯელებდა მის შესახებ. ჯერ ხომ არავისთვის არაფრით არ დაუმტკიცებია რა შესაძლებლობის პატრონი გახლდათ! სწორედ ეს აღონებდა, სწორედ ეს ტანჯავდა დღითი დღე.

— ჩემი ლექსების ფასი ნულია! — უკმეხად წამოისროლა მან.

ჟენის ხმა არ ამოუღია, არ განძრეულა, არაფრით უგრძნობინებია, ეს ასე არ არისო, და ჟაკი ამითაც მადლიერი იყო.

— წარმომიდგენია, რა აზრისა იქნებით ჩემზე! თუკი... ისინი, ვინც, ოჰ!.. — წამოიძახა მან ბოლოს — რომ იცოდეთ, რა მაქვს ჩაფიქრებული?!

ეს თემა, ჟენის სიახლოვე და ტყის დუმილი ისე აღელვებდა ჟაკს, რომ ხმა ჩაუწყდა, თვალები აეწვა, ეგონა, საცაა ცრემლები წამომცვივაო.

— იმისი არ იყოს! — განაგრძო მან წამიერი სიჩუმის შემდეგ. — ხალხი უმაღლეს სკოლაში შესვლას მილოცავს! წარმოგიდგენიათ? რომ იცოდეთ, თვითონ რა აზრისა ვარ ამის შესახებ? მრცხვენია! დიახ, მრცხვენია არა მარტო იმისა, რომ ჩემზე მსჯელობის უფლება მივეცი მთელ ამ... ოჰ, რომ იცოდეთ, რას წარმოადგენენ ისინი! ყველა ერთ ყალიბშია ჩამოსხმული! ერთსა და იმავე წიგნებზე არიან გაზრდილნი! წიგნები, მუდამ წიგნები! და მე, დიახ, მე სამათხოვროდ უნდა მივსულიყავი ამ ხალხთან!.. მეც დავემორჩილე...

სიტყვები არ ყოფნიდა. კარგად ესმოდა, რომ თავის სიძულვილს ვერავითარი საფუძვლიანი მოტივით ვერ გაამართლებდა, მაგრამ სერიოზული, ნამდვილი არგუმენტები იმდენად მყარად მიაჩნდა, ისე ღრმად შეზრდოდა მის არსებას, რომ უცებ ვერ ამოიგლეჯდა ძირფესვიანად და ვერც სააშკარაოზე გამოიტანდა.

— ყველანი მეზიზღებიან! — დაიყვირა მან. — ყველაზე მეტად კი საკუთარი თავი მძაგს, რაკი მეც მათ შორის ვიმყოფები! ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ... იმ ამბავს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ მათ!

რაც უფრო მეტად ჰკარგავდა ჟაკი წონასწორობას, ჟენის მით უფრო უადვილდებოდა თავშეკავება; მართალია, ჟაკის აზრებს მთლად ვერც ჩასწვდომოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც შეამჩნია: ჟაკი წამდაუწუმ იგონებდა რაღაც წყენას, რაც ვერასგზით ეპატიებინა ვიღაცეებისათვის. ეტყობა, მართლაც ბევრი გადაუტანია! მიუხედავად ამისა, — ამ მხრივ ჟაკი მისგან განსხვავდებოდა! — აშკარა იყო, რომ მომავლის რწმენა, მომავალი ბედნიერების რწმენა მაინც შერჩენოდა! მის წყევლა-კრულვაში იმედი და გულდაჯერება კვლავაც იგრძნობოდა, მისი პატივმოყვარეობა უსაზღვრო ჩანდა, ეჭვის საბაბს არ იძლეოდა. წინათ ჟენი არასოდეს დაფიქრებულა ჟაკის მომავალზე, მაგრამ ახლა სრულიადაც არ გაჰკვირვებია, როცა მიხვდა, რომ იგი მაღალი მიზნებისკენ მიისწრაფოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როდესაც ჟაკს უხეშ, ტლანქ ბიჭად თვლიდა, უჩვეულო ძალას მუდამ ამჩნევდა მასში. ხოლო დღეს, ეს მგზნებარე სიტყვები, ეს ალი, რაც მის გულს მოსდებოდა, თავბრუს ახვევდა ჟენის, თითქოს გრძნობათა ამ გრიგალს ნებისდაუნებურად ისიც აეტაცნა და ერთბაშად ჟენიმ ისეთი მწვავე უსუსურობა იგრძნო, ფეხზე წამოიჭრა!..

— მაპატიეთ, — ჩამქრალი ხმით უთხრა ჟაკმა. — მაგრამ როგორც ხედავთ, ყველაფერი გულთან მიმაქვს!

ისინი დაადგნენ ბილიკს, რომელიც საგუშაგო გზასავით გარს უვლიდა ძველი თხრილების ხვეულებს და ტყიდან გამავალი მეორე კარით პარკს მიადგნენ. რკინის მესერიანი ღობის ჭიშკარი ჩაკეტილი იყო და ბოქლომი ციხის ურდულივით ჭრიალებდა.

მზე შუბისტარზე იდგა; ოთხი საათი იქნებოდა. სეირნობის შეწყვეტას არაფერი აიძულებდათ. მაშ, შინისკენ მიმავალ გზას რაღას დაადგნენ?

რამდენიმე წყვილი შემოხვდათ პარკში, ჯერ კიდევ გუშინ ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მიჰყვებოდნენ ამ ხეივნებს. დღეს კი, როცა ვინმე გამვლელი შემოხვდებოდათ და ასე გვერდიგვერდ მიმავალთ დაინახავდნენ, სირცხვილის ალმური სწვავდა ორივეს.

— მაშ, ასე! — თქვა უცებ ჟაკმა, როცა ორი ხეივნის გზაჯვარედინს მიადგნენ, — აქ უნდა მიგატოვოთ, არა?

— დიახ, — უპასუხა ჟენიმ უყოყმანოდ, — მე თითქმის შინა ვარ.

ჟაკი სახედაბნეული იდგა, ქუდის მოხდაც გადაავიწყდა. უხერხულობისაგან კვლავ მისთვის ჩვეული მძიმე, უხეში იერი აღბეჭდოდა სახეზე, რაც სეირნობის დროს ერთხელაც არ შეუმჩნევია ჟენის. ჟაკმა ხელიც არ გაუწოდა, ოდონდ თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და სანამ იქაურობას გაეცლებოდა, დარცხვენით შეხედა ჟენის.

— რატომ... მუდამ ასეთი არა ვარ... თქვენთან? — წაიბუტბუტა მან.

ჟენის თითქოს არ გაუგონია ეს სიტყვები, არც მობრუნებულა და პირდაპირ ბალახზე გადაჰკვეთა გზა. გუშინს აქეთ თვითონაც ეს ფრაზა აკვიატებოდა. მაგრამ ერთბაშად ისეთმა ეჭვმა გაჰკენწლა, რომლის გამხელას საკუთარ თავსაც ძლივს უბედავდა: იქნებ, ჟაკს იმის თქმა სურდა: რატომ არა მაქვს უფლება, მუდამ ისევე ახლო ვიყო თქვენთან, როგორც დღესო?.. ამ ვარაუდმა სხეული აუწვა, ნაბიჯს აუჩქარა და თავის ოთახში შევარდა: ლოყებალეწილს ფეხები უკანკალებდა და ფიქრსაც კი ვეღარ ბედავდა...

დღის მეორე ნახევარში აღელვებულ ფუსფუსში გაატარა: ოთახი ახლებურად მოაწყო, ავეჯს ადგილი შეუცვალა, კიბეებთან დადგმული საცვლების კარადა დაალაგა, მთელ სახლში ყვავილების თაიგულები გამოცვალა ხან ძაღლს დასტაცებდა ხელს, გულში იკრავდა, ეფერებოდა; როცა უკანასკნელად შეხედა საათს და დარწმუნდა, დანიელი აღარ დაბრუნდებაო, სასოწარკვეთამ მოიცვა: სუფრასთან მარტოდ დაჯდომა არ ძალუძდა, სახლის ბანზე ავიდა, მთელი თეფში მარწყვი შეჭამა და დღის აგონიას რომ არ დასწრებოდა, სასტუმრო ოთახში შევიდა, ლამპები აანთო, ბეთჰოვენის კრებული აიღო, შემდეგ გადაიფიქრა, ნოტები თავის ადგილას დასდო, შოპენის „ეტიუდებს" დასტაცა ხელი და როიალთან მიირბინა.

დღე მართლაც რაღაც უცნაურად ნელა იწურებოდა: მთვარე უკვე ამოსულიყო, მაგრამ ხეებს ამოფარებოდა და ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები შეუმჩნევლად შეეცვალა.

ჟაკმა ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე ჯიბეში ჩაიდო თანამედროვე პოეტების ლექსთა კრებული, ჟენის რომ შეჰპირდა, და რაკი საღამოს შინ გული არ უდგებოდა, სახეტიალოდ პარკში გავიდა. ათასგვარი აზრი უტრიალებდა, მაგრამ დიდხანს ვერაფერზე დაფიქრებულიყო. ნახევარი საათის შემდეგ აკაციებით დარგულ ბილიკს მიჰყვებოდა უკვე.

„ოღონდაც კარი დაკეტილი არ დამხვდეს!“ გაიფიქრა მან.

კარი ღია იყო. ზარი აწკარუნდა. ჟაკი დაუპატიჟებელი სტუმარივით შეკრთა. ფიჭვის ხეებიდან ფისის თბილი სურნელი მოდიოდა, რასაც ჭიანჭველის ბუდიდან ამოსული სუნი ერეოდა. როიალის ყრუ ხმა ოდნავ აცოცხლებდა მიყუჩებულ ბაღს. ალბათ, ჟენი და დანიელი უკრავდნენ. სასტუმრო ოთახი მოპირდაპირე ფასადს გადაჰყურებდა. ხოლო იმ ადგილიდან, სადაც ჟაკი იდგა, ჩარაზული ფანჯრების გამო სახლი ჩაძინებულსა ჰგავდა; სამაგიეროდ სახურავი უცნაურ შუქს გაენათებინა; ჟაკი გაკვირვებული შემობრუნდა: მთვარე ყოფილა; ხის კენწეროებიდან შემოპარული მისი შუქი მქრქალად ანათებდა სახურავის კეხს, ხოლო პატარა სარკმელები თვალისმომჭრელად ლაპლაპებდნენ. ჟაკი გულაძგერებული მიუახლოვდა სახლს, ეუხერხულებოდა, ასე გაუფრთხილებლად რომ უნდა მისულიყო მასპინძელთან და როცა პიუსი წკავ-წკავით შემოეგება, შვებით ამოისუნთქა. ეტყობა, როიალის ხმა ძაღლის ყეფას ახშობდა, რადგან დაკვრა არ შეუწყვეტიათ. ჟაკი დაიხარა, ძაღლი ხელში აიყვანა, როგორც ეს ჟენის სჩვეოდა ხოლმე, აბრეშუმივით რბილ შუბლს ტუჩებით შეეხო. შემდეგ გვერდით ფლიგელს შემოუარა, ბანზე ავიდა და სასტუმრო ოთახის ღია, განათებულ კარს მიადგა; წინ ნელა მიიწევდა, ცდილობდა გამოეცნო, რას უკრავდა ჟენი: მელოდია გაუბედავად ისმოდა, თითქოს ერთხანს სიცილსა და ტირილს შორის შეყოყმანდა კიდეცო, და ბოლოს გამარჯვებულივით ავარდა ჰაერში, სადღაც მაღლა, სადაც აღარც სიხარული და აღარც მწუხარება აღარაა.

ჟაკი კარის ზღურბლს მიუახლოვდა. სასტუმრო ოთახი ცარიელი მოეჩვენა. თავდაპირველად როიალი გაარჩია, ზედ სპარსული შალი ეფინა და პატარ-პატარა ძვირფასი ნივთები ეწყო. შემდეგ, ორ ჩინურ ლარნაკს შორის ვიღაცის დაბრეცილი სახე დაინახა, რომელიც სანთლების შუქზე ჩამოკიდებულ ნიღაბს წააგავდა: შინაგან თრთოლვას შეეცვალა ჟენისთვის

სახე, რომლის გამომეტყველება მუდამ გულწრფელი, შეუნიღბავი იყო. ჟაკმა უნებურად უკან დაიხია, ასე ეგონა, გაშიშვლებულს მივუსწარიო.

განზე გადგა, სახლის ჩრდილს ამოეფარა, ქურდივით ცახცახებდა, ძაღლს ხელს არ უშვებდა, მკერდზე იკრავდა და იცდიდა, სანამ ჟენი პიესის დაკვრას მოათავებდა: შემდეგ ხმამაღლა დაუძახა პიუსს, თითქოს ეს წუთია ბაღში შემოვიდაო.

ჟენიმ მისი ხმა მაშინვე იცნო, შეკრთა და სასწრაფოდ წამოდგა. სახეზე ჯერ კიდევ შერჩენოდა მარტოობით გამოწვეული მღელვარება და მისი შეშინებული თვალები ჟაკის მზერას ისე გაურბოდა, იტყოდით რაღაც საიდუმლოების გამჟღავნებისა ეშინიაო.

— ხომ არ შეგეშინდათ? — ჰკითხა ჟაკმა.

ჟენიმ წარბები შეიჭმუხნა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

— დანიელი ჯერაც არ დაბრუნებულა? — განაგრძო ჟაკმა და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — იმ ლექსების კრებული მოგიტანეთ, დილით რომ დაგპირდით.

მან უხერხულად ამოიღო ჯიბიდან წიგნი. ჟენიმ ჩამოართვა და მექანიკურად გადაფურცლა. ჟენი არც თვითონ ჯდებოდა, არც ჟაკს სთავაზობდა სკამს. ჟაკი მიუხვდა, უნდა წასულიყო. ბანზე გავიდა. ჟენი გაჰყვა.

— ნუ წუხდებით! — წაილუღლუღა ჟაკმა.

ჟენი მაინც მიაცილებდა, უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად გაესტუმრებინა იგი, არ იცოდა კი როგორ, და გამომშვიდობების ნიშნად ხელის ჩამორთმევაც ვერ გაებედა. მთვარე ხეებიდან ამოცურებულიყო და ისე მკვეთრად ანათებდა იქაურობას, რომ ჟენისკენ შემობრუნებულმა ჟაკმა მისი ახამხამებული წამწამები აშკარად დაინახა. ხოლო ცისფერ კაბას აჩრდილის მოსასხამის სიმსუბუქე მისცემოდა.

მთელი ბაღი ისე გაიარეს, ხმა არ ამოუღიათ. ჟაკმა ჭიშკარი გააღო და გზაზე გავიდა.

ჟენიც დაუფიქრებლად გაჰყვა ჭიშკრიდან და ბილიკზე ჟაკის წინ შედგა.

შარავანდედით გარშემორტყმული მთვარის შუქი კედელს ეცემოდა, სადაც ჟაკმა გოგონას ლანდი დაინახა: მისი პროფილი, ხელი, უკან დამაგრებული თმა, ნიკაპი და ტუჩებიც კი, შავი ხავერდისებური, უზადო მოხაზულობის სილუეტი, რომელსაც თითი შემოავლო. გიჟურმა აზრმა გაუელვა; წამითაც არ დაფიქრებულა და იმ გამბედაობით, რასაც მხოლოდ მოკრძალებული ხალხი იჩენს ხოლმე, კედლისკენ გადაიხარა და საყვარელი სახის ლანდს ეამბორა.

ჟენიმ სწრაფად დაიხია უკან, თითქოს სურდა თავისი გამოსახულება გამოეტაცნა ხელიდან, და ჭიშკარში შევარდა, ბაღის ნათელი კვადრატი ჩაქრა: ჭიშკარი მიიხურა. ჟაკს ესმოდა მისი ნაბიჯების ხმა ქვიშაზე; იგი მირბოდა. თვითონაც სწრაფად მოწყდა ადგილს და სიბნელეში გაუჩინარდა.

იგი იცინოდა.

ჟენი კი მირბოდა, თითქოს უნდოდა გაჰქცეოდა იმ თეთრსა და შავ ლანდებს, რომლებსაც მდუმარე ბაღი აევსოთ. სახლში შევარდა, თავის ოთახშიავიდა და საწოლზე დაემხო. მთელ ტანზე ცივი ოფლი ასხამდა. ცახცახებდა, გული ეკუმშებოდა; აკანკალებული ხელები მკერდთან მიედო, შუბლი ბალიშში ჩაემალა. ნებისყოფა მოიკრიბა, რათა ერთადერთი სურვილი აესრულებინა: ყოველივე დაევიწყა! სირცხვილი ჰკლავდა, ცრემლებს უშრობდა, რაღაც ახალ, უცნობ გრძნობას მოეცვა: ეშინოდა, საკუთარი თავისა ეშინოდა.

ქვევით, მარტო მიტოვებული პიუსი აყეფდა. დანიელი დაბრუნებულიყო. იგი სტვენით ავიდა კიბეზე. წამით ჟენის კარის წინ შეჩერდა; რაკი ჭრილთან სინათლე ვერ შენიშნა, იფიქრა, სძინავსო, და დაკაკუნება ვეღარ გაბედა. საპირისპიროდ, სასტუმრო ოთახი გაჩახჩახებული დახვდა... დანიელის არც ერთი მოძრაობა არ გამოპარვია ჟენის, მაინც არ განძრეულა: სიბნელეში მარტოდ უნდოდა ყოფნა. მაგრამ როცა მიმავალი ძმის ფეხის ხმა შემოესმა, შიშმა აიტანა და საწოლიდან წამოხტა:

— დანიელ!

დანიელს ლამპა ეჭირა ხელში და მის შუქზე ჟენის ჩატეხილი სახე და გაშტერებული მზერა შეამჩნია. იფიქრა, ჩემმა დაგვიანებამ შეაშინაო, და თავის გამართლება დააპირა, ჟენიმ სიტყვა შეაწყვეტინა:

— არა, უბრალოდ, ვნერვიულობდი! — სტვენასავით გაისმა მისი ხმა. — შენი მეგობარი ვერასგზით ვერ მოვიშორე. ფეხდაფეხ მომდევდა, მომდევდა, არ იქნა და არ წავიდა.

ჟენი სიბრაზისაგან გაფითრებულიყო და თითოეულ სიტყვას დამარცვლით გამოთქვამდა. შემდეგ სახე აუჭარხლდა, ერთბაშად აქვითინდა და უღონოდ ჩაწოლდა საწოლზე:

— დამიჯერე, დანიელ... უთხარი... გააგდე... აღარ შემიძლია, დამიჯერე, მეტი აღარ შემიძლია!

დანიელი დაბნეული უყურებდა დას, ცდილობდა მიმხვდარიყო, რა მოხდა მათ შორის.

— კი მაგრამ... რა მოგივიდა? — წაილუღლუღა მან.

მერე თითქოს მიხვდა რაღაცასო, მაგრამ ხმამაღლა თქმა ვერ გაებედა. ბაგეები დაებრიცა, ზევით აზიდა და უხერხულად ჩაეღიმა:

— საბრალო ჟაკი... — წარმოთქვა მან ბოლოს, — იქნებ, შეყვ...

ინტონაცია ისეთი მრავალმნიშვნელოვანი იყო, რომ სიტყვის დამთავრება საჭიროდ არ ჩათვალა... გაუკვირდა, ამ სიტყვებმა ჟენი რომ არ შეაკრთო, ისე იჯდა თავდახრილი, თითქოს ყველაფერი სულ ერთი იყო მისთვის: თავის მდგომარეობას ჩაჰფიქრებოდა. ისე დიდხანს არ ამოუღია ხმა, დანიელს ეგონა, პასუხს არ მაღირსებსო, მაგრამ ჟენიმ ერთბაშად წაილაპარაკა:

— შესაძლებელია, ახეცაა! — მის ხმას ჩვეულებრივი ტონი დაბრუნებოდა.

„ჟენის უყვარს იგი!“ გაიფიქრა დანიელმა და ეს აღმოჩენა ისეთი მოულოდნელი იყო მისთვის, გაოცებისგან ხმა ჩაუწყდა.

ჟენიმ სწორედ ამ დროს დაიჭირა ძმის მზერა და აშკარად მიუხვდა ფიქრს. აღშფოთდა: ლურჯ თვალებს ნაპერწკლები მოსწყდა, სახე გამომწვევი გაუხდა; დანიელს თვალი თვალში გაუყარა, თავი ენერგიულად გააქნია და სამჯერ ზედიზედ ისე გაიმეორა, ხმა არ აუმაღლებია:

— არასოდეს! არასოდეს! არასოდეს!

და რაკი დანიელი მაინც გაუბედავად, მაგრამ ისეთი მოსიყვარულე, გამომცდელი თვალით შესცქეროდა, როგორც ეს უფროს ძმას სჩვევია ხოლმე, ჟენიმ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ძმას მიუახლოვდა, ურჩი კულული შუბლიდან გადაუწია, ლოყაზე მსუბუქად გაარტყა ხელი და ჰკითხა:

— ისადილე მაინც, სულელო?

## IX

ანტუანი ბუხრის წინ იდგა პიჟამაში და მალაური კრისით ქიშმიშიან ნამცხვარს ჭრიდა.

— სქელად მოჭერი, ფისო! — ზანტად, მთქნარებით უთხრა რაშელმა. იგი შიშველი იწვა საწოლზე და ხელები თავქვეშ ამოედო.

ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ტილოს ფარდა ბოლომდე ჩამოეშვათ და ოთახში სასიამოვნო სიბნელე იდგა, როგორიც მზის სხივებით განათებულ კაფეებშია ხოლმე. პარიზი აგვისტოს კვირა დღის ცეცხლზე იხრუკებოდა. ქუჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სახლშიც სიჩუმე დამკვიდრებულიყო, ალბათ, ცარიელი იყო; მხოლოდ ზემო სართულიდან ისმოდა ხმამაღალი დუ-

დუნი. ალინა გაზეთს უკითხავდა ქალბატონ შალსა და პატარა ავადმყოფს, რომელიც უკვე გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ რამდენიმე კვირა მაინც უნდა წოლილიყო ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

— მშია! — განაცხადა რაშელმა და კატასავით ვარდისფერი პირი დააღო.

— წყალი ჯერ არ ადუღებულა.

— მით უარესი! მოიტა!

ანტუანმა ნამცხვრის სქელი ნაჭერი საწოლის კიდეზე ჩამოუდო თეფშით. რაშელი არ წამომდგარა, ოღონდ ნახევრად შემობრუნდა, იდაყვზე დაეყრდნო და თავი უკან გადასწია; იგი ორი თითით იტეხდა ნამცხვარს და პირში იდებდა.

— შენ არ გინდა, საყვარელო?

— ჩაის ადუღებას დავუცდი! — უპასუხა ანტუანმა და სავარძლის ბალიშებში მოკალათდა.

— დაიღალე?

ანტუანმა გაუღიმა.

საწოლი დაბალი იყო, გადაშლილი. ვარდისფერი აბრეშუმის ფარდა თადივით აკეცილიყო ალკოვის სიღრმეში, სადაც რაშელის ტიტველი, დიდებული, გაშოტილი სხეული ალეგორიულ ფიგურასავით ესვენა გამჭვირვალე ნიჟარის ფსკერზე.

— მხატვარი რომ ვიყო... — წასჩურჩულა ანტუანმა.

— აკი ვთქვი, დაიღალე-მეთქი! — შენიშნა რაშელმა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა, — როცა შენში მხატვარი იღვიძებს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაღლილი ბრძანდები!

თავი უკან გადააგდო, და სახე წითური თმის დალალების ჩრდილში მოექცა. სადაფივით მოლივლივე ტანი შუქს ჰფენდა ირგვლივ. ნამგალივით მომრგვალებული მარჯვენა ფეხი რბილად ჩაფლულიყო ლეიბზე, მეორე კი — პირიქით, მოხრილი და ზევით აწეული თეძოს ხაზს რელიეფურად გამოჰყოფდა და სპილოს ძვლისებურ მუხლსაც ნათლად აჩენდა.

— მშია! — დაიკვნესა მან და როცა ანტუანი ცარიელი თეფშის ასაღებად მიუახლოვდა, რაშელმა მამაკაცივით ღონიერი მკლავები კისერზე შემოაჭდო და მისი სახე ახლოს მიიზიდა.

— ო, ეს საძაგელი წვერი! — წამოიძახა მან, მაგრამ ხელი მაინც არ გაუშვია, — ბოლოს და ბოლოს, როდის მოგვაშორებ ამ სისაძაგლეს?!

ანტუანი წელში გასწორდა, შეწუხებული თვალი სარკისკენ გააპარა და ნამცხვრის მეორე ნაჭრის მოსატანად გაემართა.

— ყველაზე მეტად სწორედ ეს მომწონს შენში! — უთხრა მან, როცა რაშელმა მადიანად ჩაკბიჩა ნამცხვარი.

— ჩემი მადა?

— შენი სიჯანსაღე, შენი სხეული, რაშიც ასე კარგად მოძრაობს სისხლი! ტონუსური ხარ! მეც მაგარი ჩონჩხი მაქვს! — დაუმატა მან და სარკეში ხელახლა შეათვალიერა თავისი თავი. მხრებში გაიშალა, მკერდი წინ წამოზნიქა, გაბერა, მაგრამ იმას ვეღარ ატყობდა, უზარმაზარ თავთან შედარებით რაოდენ უსუსური ჩანდა მისი სხეულის ცალკეული ნაწილები. ღრმად სჯეროდა, რომ მთელი მისი ფიზიკური აღნაგობა ისეთივე ძლიერ შთაბეჭდილებას იწვევდა მნახველში, როგორც მისი სახის გამომეტყველება. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე კი, სიყვარულით აღტყინებულს, ძალისა და სრულყოფის ეს შეგრძნება ყოყოჩობაში გადაზრდოდა.

— იცი, — დაასკვნა მან. — მე და შენ ისეთი აგებულებისანი ვართ, ერთ საუკუნეს ვიცოცხლებთ.

— ერთად? — წასჩურჩულა რაშელმა და ალერსიანი, ნახევრად მოჭუტული თვალებით შეხედა. ნაღვლიანმა ფიქრმა გაჰკენწლა: ვაითუ, დიდხანს არ გასტანოს ამ გატაცებამ, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ ბედნიერება მოაქვს ჩემთვისო. თვალი გაახილა, ფეხები მოისინჯა, თავის ელასტიურ სხეულზე ხელი გადაისვა და თქვა:

— ოჰ, თუ არავინ მომკლა, ღრმა სიბერემდე ვიცოცხლებ. მამაჩემი სამოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა და მაინც ორმოცდაათი წლის მამაკაცის ღონე ჰქონდა. უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, მზის ალხით მოკვდა. სხვათა შორის, ჩვენს საგვარეულოში, უბედური შემთხვევით იღუპება ყველა. ძმა დამეხრჩო. არც მე მიწერია ბუნებრივი სიკვდილი, რევოლვერის ტყვია განმგმირავს. დიდი ხანია ასეთი წინათგრძნობა მაქვს.

— დედა?

— დედაჩემი? იგი არ მომკვდარა. ყოველ ნახვაზე უფრო გაახალგაზრდავებული მეჩვენება. თუმცა მის ცხოვრებას... — ხმის ტონი არ შეუცვლია, ისე დაუმატა — სენტ-ანში * გვყავს ჩაკეტილი.

— თავშესაფარში? სულით...

— განა არ მითქვამს?

მან ისე გაუღიმა, თითქოს ბოდიშს უხდისო და სწრაფად განაგრძო:

— აგერ ჩვიდმეტი წელია, რაც იქაა. კარგად არც კი მახსოვს დედაჩემი. წარმოგიდგენია? ცხრა წლისა ვიყავი. მხიარული ქალია, სულაც არ

ეტყობა, თუ იტანჯება, მღერის... ჩვენს ოჯახში ყველანი ამტანნი ვართ. წყალი აგიდუღდა.

ანტუანი ქურისკენ გაეშურა და სანამ ჩაი იხარშებოდა, პირსაბნისკენ დაიხარა, ცალი ხელით წვერი დაიფარა, უბჯოდა წარმოედგინა, წვერგაპარსული რა სანახავი იქნებოდა. არა. მას მოსწონდა ეს მუქი მასა, რომელიც სახის ქვედა ნაწილს რკალად შემოვლებოდა: ეს წვერი ისეთ დინჯ იერს აძლევდა მის მართკუთხა, ნათელ შუბლს, წარბების რკალს, გამოხედვას! და თანაც, ინსტინქტურად ეშინოდა პირ-სახის გაშიშვლებისა, თითქოს რაღაც სამარცხვინო აღიარება მოჰყვებოდა ამას.

რაშელი საწოლზე წამოჯდა, ფინჯანი ჩაი შესვა, პაპიროსი გააბოლა და ხელახლა დაწვა.

— მოდი ჩემთან. მანდ რას იბუტები?

ანტუანი მხიარულად მიუწვა გვერდით და მისკენ გადაიხარა. საწოლის სითბოში გაშლილი თმის სურნელი მოეფრქვია: ამაღელვებელი და ტკბილი, ნაგარი და ოდნავ გულისამრევი სუნი, რომელსაც ხან ეძებდა; ხან კი გაურბოდა, რადგან დიდი ხნის ყნოსვით მთელი სხეული, თვით ფილტვებიც კი, ამ სუნით ჰქონდა გაჟღენთილი.

— რა გინდა? — ჰკითხა რაშელმა.

— გიყურებ.

— ფისო...

ანტუანმა როგორც კი ტუჩები მოაშორა, ხელახლა მიიღო წინანდებური პოზა: რაშელს ცნობისმოყვარეობით დააცქერდა, თვალებში ჩახედა.

— ასე რად მიყურებ?

— შენს გუგებს ვეძებ.

— განა ასე ძნელი საპოვნელია?

— ჰო, წამწამები ფარავს. თვალების წინ ოქროსფერი ნისლივითაა გაწოლილი. სწორედ ეს გაძლევს ასეთ იერს...

— როგორ იერს?

— იდუმალს.

რაშელმა მხრები შეიშმუშნა და წაილაპარაკა:

— ლურჯი გუგები მაქვს.

— ასე გგონია?

— მოვერცხლისფრო-მოლურჯო.

— სულაც არა! — წამოიძახა ანტუანმა, ხუმრობით კვლავ დაეწაფა მის ტუჩებს და მაშინვე მოაშორა, — თვალები ხან რუხი გაქვს, ხან წითური. რაღაც ამღვრეული, ბუნდოვანი ფერისა.

— დიდი მადლობელი ვარ! — იცინოდა რაშელი და მარჯვნიდან მარცხნივ ატრიალებდა თავს.

ანტუანი უყურებდა და ფიქრობდა: „ორი კვირა... ასე მგონია, მთელი თვე გავიდა-მეთქი. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რა ფერის თვალები აქვს, საერთოდ, რა ვიცი მის შესახებ? ოცდაექვსი წელი უჩემოდ უცხოვრია ჩემს სამყაროსგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში... ესე იგი ათასნაირი თავგადასავლით და განცდებით სავსე წლები... თანაც, როგორც ნელ-ნელა ვხვდები, ეს თავგადასავლები იდუმალებით სავსე უნდა იყოს!..“ ანტუანი თავისთავსაც არ უტყდებოდა, რა სიამოვნებას ჰგვრიდა ეს აღმოჩენები. მაგრამ რაშელს არაფერს აგრძნობინებდა, არასოდეს არაფერს ეკითხებოდა. სამაგიეროდ, რაშელი ხალისით ოქროპირობდა. ანტუანი ყურს უგდებდა, უკვირდებოდა, ცალკეულ ამბებსა და თარიღებს ერთმანეთს ადარებდა, ცდილობდა მიხვედრილიყო, უმეტეს წილად კი უკვირდა, უკვირდა გამუდმებით, თუმცა ყოველ ღონეს ხმარობდა ეს გაოცება როგორმე დაემალა... ნუთუ ამის მიზეზი გულჩათხრობილობა იყო? არა. დიდი ხანია დასჩემდა, სხვებთან ისე დაეჭირა თავი, თითქოს ყველაფერი იცოდა! მას მხოლოდ ავადმყოფების გამოკითხვა ეხერხებოდა. ცნობისმოყვარეობას, გაკვირვებას იმ გრძნობათა რიცხვს მიაწერდა, მიხვედრილობისა და დაკვირვების ნიღბის ქვეშ დამალვას რომ შეაჩვია მისმა თავმოყვარეობამ.

— დღეს ისე მიყურებ, თითქოს პირველად მხედავ! — უთხრა რაშელმა, — კარგი ახლა, გეყოფა!

მოთმინება ელეოდა. და ეს გამომცდელი მზერა თავიდან რომ აეშორებინა, თვალი დახუჭა. ანტუანი შეეცადა თითით აეწია ქუთუთოები.

— კმარა!.. მორჩა!.. თვალებში ჩახედვის ნებას აღარ მოგცემ! — უთხრა ქალმა და ტიტველი მკლავი თვალებზე აიფარა.

— მაშასადამე, რაღაცას მიმალავ, ჩემო პატარა სფინქსო!

ანტუანმა მშვენიერი, სრიალა მკლავი მხრებიდან მაჯამდე დაუკოცნა.

„გულჩახვეულია? — ეკითხებოდა თავისთავს ანტუანი, — არა... თავშეკავებული ნამდვილადაა, ოღონდ არა გულჩახვეული! პირიქით. თავისთავზე ხალისით ჰყვება ამბებს. დღითი დღე უფრო ენაწყლიანობს... იმიტომ, რომ ვუყვარვარ! — აღტაცებით გაიფიქრა მან, — იმიტომ, რომ ვუყვარვარ!“

რაშელმა კისერზე შემოხვია მკლავები, ერთხელ კიდევ მიიზიდა მისი სახე და უცებ სერიოზული ხმით თქვა:

— იცი, ეს მართალია: ვერც კი წარმოგიდგენია, რამდენი რამ შეიძლება კაცმა დაინახოს ერთ უბრალო გამოხედვაში.

რაშელი გაჩუმდა. ანტუანს მისი უხმო სიცილი მოესმა, რომელიც ხშირად აღმოხდებოდა ხოლმე, როცა წარსულს იგონებდა.

— მახსოვს ერთმა შემოხედვამ, ერთმა უბრალო შემოხედვამ როგორ გამიმხილა იმ კაცის საიდუმლოება, რომელიც ჩემი საყვარელი იყო სამი თვის განმავლობაში. სუფრასთან, ბორდოს რესტორანში, ერთმანეთის პირდაპირ ვისხედით. ვსაუბრობდით. ხან თეფშებს დავყურებდით, ხან ერთმანეთს, ხანაც დარბაზს გადავავლებდით თვალს. უცებ, — ეს არასოდეს დამავიწყდება, — სულ ერთი წამით მისი გამოხედვა დავიჭირე. ჩემს უკან ისეთი გამომეტყველებით მიაშტერდა რაღაცას... ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ უნებურად იმ წამსვე მივიხედე იქით...

— მერე?

— მერე?.. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, — სულ სხვა ტონით მიუგო ქალმა, — რომ საკუთარ თვალებსაც არ უნდა ენდო.

ანტუანი კინაღამ ჩააცივდა, მითხარი რა საიდუმლოებას მიხვდიო, მაგრამ ვერ გაბედა. საშინლად ეშინოდა ასეთი მიამიტი შეკითხვებით გულუბრყვილობა არ დაეწამებინათ მისთვის. ორჯერ თუ სამჯერ სცადა ამგვარი დაკითხვა მოეწყო, მაგრამ რაშელი ისე გაოცებული, მხიარული სახით შეხედავდა, ისე დამცინავად იღიმებოდა მუდამ, ანტუანი შეურაცხყოფილი რჩებოდა.

ამიტომაც გაჩუმდა. ისევ რაშელი ალაპარაკდა.

— ძველი ამბების მოგონება სევდას მგვრის... მაკოცე. კიდევ. უფრო მაგრად.

მაგრამ, ეტყობა, მოგონება მაინც ვერ მოიშორა თავიდან, რადგან მაშინვე დაუმატა:

— სხვათა შორის, როცა მე ვთქვი მისი საიდუმლოება-მეთქი, ნამდვილად უნდა მეთქვა „მისი ერთ-ერთი საიდუმლოება!“ მუდამებს რა გამოულევდა იმ კაცს!

ამ მოგონებებიდან თუ ანტუანის უსიტყვო დაკითხვებისაგან თავის დასაღწევად რაშელი ისეთი ნელი, ნარნარი მოძრაობით შებრუნდა, იტყოდით, რგოლებიანი გველის სხეული ჰქონიაო.

—რა მოქნილი ტანი გაქვს! — უთხრა ანტუანმა და ისე გადაუსვა ხელი, როგორც ჯიშიან პირუტყვს ეფერებიან ხოლმე.

— ნუთუ მართლა? იცით თუ არა, ბატონო ჩემო, რომ ათი წლის განმავლობაში ოპერასთან არსებული საბალეტო სკოლის მოსწავლე გახლდით?

— შენ? პარიზში?

— დიახ, ჩემო ბატონო! და სწორედ მაშინ დავანებე ცეკვას თავი, როცა პირველ როლებს ვასრულებდი უკვე!

— დიდი ხანია მას შემდეგ?

— ექვსი წელია.

— რატომ დაანებე თავი?

— ფეხებმა მიღალატეს, — წამით სახე მოეღრუბლა. — მერე კინაღამ მოჯირითეც გავხდი, — თითქმის მაშინვე მიახალა: — ცირკში. გიკვირს?

— არა, — მტკიცე ხმით უპასუხა ანტუანმა, — რომელ ცირკში?

— ო, ოღონდ საფრანგეთში კი არა! ერთ საერთაშორისო, მსხვილ დასში, რომელსაც ირში მთელ მსოფლიოში დაატარებდა იმხანებში. ხომ იცი ირში ვინაა? აი, ის ჩემი მეგობარი, რომლის შესახებაც გიამბობდი! ამჟამად ეს ტიპი ეგვიპტის სუდანშია. უნდოდა ჩემი ნიჭი და მიდრეკილებანი შემოსავლის წყაროდ ექცია, მაგრამ ვერ მივართვი!

იგი ლაპარაკობდა და თან თავს იქცევდა: ნამდვილი ტანმოვარჯიშის სიმარჯვით ხან ერთ ფეხს შლიდა და ხრიდა, ხან მეორეს.

— ასეთი აზრი თურმე ნეილში გასჩენია, ცხენზე ჯირითში მავარჯიშებდა. ჯირითი ძალიან მიყვარდა. შესანიშნავი ცხენები გვყავდა. ჰოდა, მეც ვსარგებლობდი.

— ნეილში ცხოვრობდით?

— მე არა. ის ცხოვრობდა, იმხანად მანეჟი ჰქონდა ნეილში. ცხენები მუდამ უყვარდა. მეც მიყვარს. შენ არა?

— ცხენზე ჯდომა მეც მომწონს, — უპასუხა ანტუანმა და წამოდგა. — ოღონდ შემთხვევა არ მქონია, არც დრო.

— სამაგიეროდ, მე მქონია ბევრი შემთხვევა. თანაც როგორი! ერთხელ ოცდაორი დღის განმავლობაში უნაგირიდან არ ჩამოვსულვართ!

— სად?

— მაროკოს უდაბნოში.

— მაროკოში ყოფილხარ?

— ორჯერ. გრასის * სისტემის ძველ თოფებს ჰყიდდა ირში სამხრეთის ტომებში. ნამდვილი ექსპედიცია მოაწყო. ჰოდა, ერთხელ ჩვენს დუარს თავს დაესხნენ. მთელი დღე და ღამე ვიბრძოდით... არა, მთელი ღამე: კუნაპეტი ღამე იდგა... ოჰ, რა საშინელება იყო... და მეორე დღესაც. მთელი დილა ვისროდით. ღამით იშვიათად ესხმიან ხოლმე თავს. ჩვენ ჩვიდმეტი მებარგული მოგვიკლეს და ოცდაათზე მეტი დაგვიჭრეს. როცა სროლა ატყდებოდა, მე ყუთებს შორის ჩავწვებოდი ხოლმე, მაგრამ მაინც მომხვდა!

— ტყვია მოგხვდა?

— ჰო, — სიცილით მიუგო რაშელმა, — ისეთი არაფერია! გაკაწრული მქონდა.

და წელთან, ნეკნებქვეშ აბრეშუმივით რბილი ნაიარევი აჩვენა.

— აკი მითხარი, მანქანიდან გადმოვვარდიო? — უთხრა ანტუანმა, იგი უკვე აღარ იღიმებოდა.

— ეჰ! — აღმოხდა რაშელს და მხრები აიწურა. — ეს პირველ დღეს გითხარი, სიმართლე რომ მეთქვა, იფიქრებდი, ყოყლოჩინობსო.

ორივე გაჩუმდა.

„მაშასადამე, შეუძლია მომატყუოს!“ — გაიფიქრა ანტუანმა.

რაშელი ოცნებებს გაჰყვა, მერე თვალები რაღაც ბოროტი ცეცხლით აუელვარდა, რომელიც თითქმის მაშინვე ჩაუქრა.

— იმ ხანებში მას ევონა, მუდამ თან წავყვებოდი, მაგრამ ცდებოდა.

მუდამ, როცა რაშელი ასეთი სიძულვილით იგონებდა თავის წარსულს, ანტუანი გაურკვეველ სიამოვნებას გრძნობდა. ერთი სული ჰქონდა, ეთქვა, ჩემთან დარჩი სამუდამოდო. ახლა თავი დახარა, იარას ლოყა მიადო და გაყუჩდა. მისდაუნებურად, ანტუანის ყური, ექიმის ყური, სისხლის რბილ, სასიამოვნო მიმოქცევას ისმენდა აგუგუნებული მკერდიდან და გულის შორეულ, მაგრამ სავსე ცემასაც მკაფიოდ იჭერდა. ანტუანს ნესტოები აუთრთოლდა. საწოლის სითბოში რაშელის სხეულიდან ისეთივე სურნელება მოდიოდა, როგორც თმიდან, ოღონდ უფრო სუსტი და შერბილებული: გამაბრუებელი და მოტკბო, სიცხარეში შეზავებული სუნი; ოფლის სუნი, რომელიც ათასნაირ არომატს მოგაგონებდათ: ახლადშედღვებილი კარაქის, კაკლის ფოთლის, ცაცხვის მერქანის, ვანილიანი, მოხალული ნუშის სუნს; ეს უმალ ანაორთქლი, ან უკეთ, გემო უფრო იყო, ვიდრე სუნი, რადგან ტუჩებზე რაღაც სანელებლის შეგრძნება რჩებოდა.

— ამ ამბავს ნუღარასოდეს გამახსენებ, — თქვა ქალმა, — ერთი ის სიგარეტი მომაწოდე! არა, აი ის, ახლები რომ აწყვია პატარა მაგიდაზე... ერთი მეგობარი ქალი მიმზადებს: მერილენდის * თამბაქოში ცოტაოდენი მწვანე ჩაია შერეული; მას შეტრუსული ფილის სუნი აქვს, თუ ღია ცისქვეშ გაშლილი კარავისა, თუ რა ვიცი რისი — შემოდგომისა და ნადირობის სუნი! ერთი სიტყვით, საფანტის სუნი ხომ გიგრძვნია, როცა ტყეში გასროლილი ტყვიის შემდეგ ბოლი ძნელად იფანტება ბურუსში?!

ანტუანი ხელახლა გაიშოტა მის გვერდით და თამბაქოს ბოლში გაეხვია. იგი ხელით ეფერებოდა გლუვ, თითქმის ფოსფორისებურ მოთეთრო-მოვარდისფრო ნუცელს, რომელიც უხადოდ გამოყვანილ ნიჟარასავით ფარ-

თო იყო. ეტყობოდა, [illegible] დროს აღმოსავლურ [illegible] შეჩვეულიყო, ამიტომაც ქალის სხეულის ამ ნაწილს სინორჩე და სიფაქიზე აქამდე შეენარჩუნებინა.

— უმბილიკუს სიკუტ კრატერ ებურნეუს * — წაიდუდუნა ანტუანმა და დიდი ვაივაგლახით გაიხსენა ადგილი „ჰიმნი. ჰიმნთაგანი“, რომელმაც ასე ძალიან ააღელვა თექვსმეტი წლის ასაკში: „ვენტერ ტუუს სიკუტ... მმ... სიკუტ კუპა!“

— რას ნიშნავს? — ჰკითხა რაშელმა და წამოიწყო, — მოიცა, მე თვითონ მივხვდები — კულპა ვიცი, მეა კულპა — ესე იგი, ჩემი ცოდვა, დანაშაული. მერე რაო? შენი მუცელი ცოდვააო?

ანტუანს სიცილი წასკდა. მას შემდეგ, რაც რაშელს დაუახლოვდა, მხიარული გუნება-განწყობილების დამალვას აღარ ცდილობდა.

— არა, კუპა! „შენი მუცელი ფიალასა ჰგავს!“ — შეუსწორა მან და მხარზე ჩამოადო თავი. შემდეგ კვლავ გაიხსენა ადგილები: „კვამ პულხრაე სუნტ მამაე ტუაე, სორორ მეა“ „რა მშვენიერი დვრილები გაქვს, დაო ჩემო!“ ... სიკუტ დუო... — აქ ერთი სიტყვა დამავიწყდა!.. გემელი კვი პასკუნტურ ინ ლილიუს „ორ ბეკეკას ჰგვანან, შროშანებს შორის რომ ძოვენ!“

რაშელი ნაზად იღიმებოდა და ისე ითვალიერებდა მკერდს, თითქოს წყვილი, ერთგული ფინიები ჰყოლოდა მიკრული.

— ასეთი ვარდისფერი დვრილები იშვიათია, სუფთა ვარდისფერი... ვაშლის ხის კოკრებივით ვარდისფერი! — სერიოზულად განაცხადა რაშელმა, — შენ, როგორც ექიმს, ეს უნდა შეგემჩნია!

— ღმერთმანი, მართალს ამბობ! — მიუგო ანტუანმა, — უგრანულაციო პიგმენტური ეპიდერმისი: თეთრი, თეთრი და ბოლოს ვარდისფერი ჩრდილები...

მან თვალები დახუჭა და ქალს ახლოს მიეკრა.

— ოჰ, რა მხრები გაქვს!.. — მთვლემარე ხმით წაილუღლუღა მან, — მე საშინლად მეჯავრება ვიწრო, მცივანა მხრები, აი ისეთი, პატარა გოგოებს რომ აქვთ ხოლმე!

— მართლა?

— ოჰ, ეს ფუნთუშა, ხორცსავსე მხრები... ეს დიდებული მკვრივი ნაკეცები... საპნის ქაფივით ფაფუკი სხეული... აი, ასეთი მიყვარს. ნუ ინძრევი, რომ იცოდე, რა კარგად ვარ!

და უცებ მძიმე მოგონებამ უსიამოვნოდ გაჰკენწლა! „საპნის ქაფივით ფაფუკი სხეული!..“ ეს მოხდა დედიქას უბედური შემთხვევის რამდენიმე

დღის შემდეგ, როცა იგი ერთ საღამოს დანიელთან ერთად მეზონიდან ბრუნდებოდა. ისინი მარტონი იყვნენ კუპეში და რაკი ანტუანს რაშელის გარდა არაფერზე შეეძლო ფიქრი, თანაც საშუალება მიეცა საქმის მცოდნე ადამიანისათვის გაენდო თავისი თავგადასავალი, ვეღარ მოითმინა და იმ ტრაგიკული ღამის ამბავი უამბო; მთელი გზის მანძილზე უყვებოდა „ინ ექსტრემის“* გაკეთებული ოპერაციის შესახებ, პატარა ავადმყოფის სასთუმალთან გატარებული მშფოთვარე წუთების შესახებ; უამბო, რა უეცარი ჟინით ააფორიაქა იმ წითურმა ლამაზმანმა, რომელსაც მის გვერდით ჩასძინებოდა, და მაშინაც სწორედ ეს გამოთქმა იხმარა: „ფუნთუშა, ხორცსავსე მხრები... საპნის ქაფივით ფაფუკი სხეული...“ მაგრამ ამაზე მეტის მოყოლა ვეღარ გაბედა და მივიდა თუ არა იმ ადგილას, როცა გარიჟრაჟზე შალების ოთახიდან გამოსულს რაშელის ბინის კარი ღია დახვდა, მოკრძალებულობამ თუ უმალ, ახალგაზრდა კაცის წინაშე თავისი ნებისყოფის თავმოწონების სურვილმა ესღა ათქმევინა: „ვინ იცის, იქნებ, კიდეც მელოდა! იქნებ, უნდა მესარგებლა შემთხვევით? მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, თავი შევიკავე, ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი და გავიარე... თქვენ როგორღა მოიქცეოდით ჩემს ადგილას?“ — ჰკითხა მან დანიელს, რომელიც ჩუმად უსმენდა; ახალგაზრდა კაცმა თვალებში ჩახედა და შემდეგ ერთბაშად მიახალა: „ზუსტად თქვენსავით მოვიქცეოდი, თქვე მატყუარავ, თქვენა!“

ანტუანს აქამდე ჩაესმოდა, დანიელის დამცინავი, სკეპტიკური, შეურაცხმყოფელი ტონი, რომელსაც ცოტაოდენი სითბო მაინც შერჩენოდა და ამიტომაც ვერ გაუბრაზდა მაშინ. ამ ამბის გახსენება მუდამ უსიამოვნო გრძნობას იწვევდა ანტუანში... მატყუარაო... მართალია, ზოგჯერ უხდებოდა ვინმეს მოტყუება ან უფრო ზუსტად, ტყუილის თქმა!

— „ფუნთუშა, ხორცსავსე მხრები...“ — თავის მხრივ, რაშელიც დაეფიქრებინა ამ გამოთქმას.

— ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს ჩათქვირებული დედაკაცი გავხდე! — წაილაპარაკა მან, — ხომ იცი, ებრაელი ქალები.... მაგრამ დედაჩემი არასოდეს ყოფილა მსუქანი, მე კი მხოლოდ ნახევარი პორცია ურიული სისხლი მაქვს... ოჰ, თექვსმეტი წლის წინ რომ გენახე, როცა მოსამზადებელ კლასში შევედი! ნამდვილი წითური თაგვი ვიყავი...

იგი ისე სწრაფად წამოხტა ლოგინიდან, ანტუანმა მისი შეკავება ვერ მოასწრო.

— რა მოგივიდა?

— ერთი აზრი მომივიდა.

— უნდა გაგეფრთხილებინე!

— გაუფრთხილებლად სჯობს! — მიუგო მან და სიცილით ბიცილა გაწვდილი ხელი.

— ლულუ... მოდი, დავიძინოთ! — მიმქრალი ხმით წაიჩურჩულა ანტუანმა.

— გვეყოფა ძილი. დროა ჩავიცვათ! — უპასუხა მან და პენუარი გადაიცვა.

შემდეგ სეკრეტართან მიირბინა, გააღო, ფოტოსურათებით სავსე უჯრა გამოაღო, საწოლზე ჩამოჯდა და უჯრა მუხლებზე დაიდო.

— გაგიჟებით მიყვარს ძველი ფოტოსურათების თვალიერება. ზოგჯერ საღამოობით ვქექავ და ვფიქრობ... აბა, მოისვენე! აი ნახე, არ გაინტერესებს?

ანტუანი ჩახმახივით მოკუნტულიყო მის უკან, ახლა წამოიწია, სურათებმა დააინტერესა და მოხერხებულად დაეყრდნო საწოლს. იგი შეჰყურებდა ერთბაშად დადინჯებული რაშელის პროფილს, ფოტოსურათებზე დახრილ სახეს, სადაც წამწამები ღაწვებამდე სცემდა და საღილეებივით ვიწრო თვალებს გომგუთის ხაზით ევლებოდა გარს. თმა ნაჩქარევად აეწია უკან და თითქმის ნარინჯისფერი, ხაოიანი აბრეშუმის ვორგალს წააგავდა სიბნელეში; მაგრამ როგორც კი თავს შეარხევდა, საფეთქლებთან და კეფასთან ისეთი წკიპ-წკიპი ისმოდა, იტყოდით, ნაპერწკლები ცვივაო.

— აი, ამას ვეძებდი სწორედ! ხედავ ამ პატარა მოცეკვავეს? ეს მე ვარ. ოჰ, რა მაგრად მომხვდა იმ დღეს — ბალეტის კაბაზე ვოლანები დამჭმუჭნოდა, სადღაც კედელთან მომითელია... მიცანი? თმა მხრებზე მაქვს ჩამოშვებული, რა წვეტიანი იდაყვები მქონია! ან რა ბრტყელი, ჩავარდნილი მკერდი მაქვს! ვერც მხიარული გამომეტყველებით დავიტრაბახებთ, არა? აქ კი... შეხედე, უკვე მესამე კლასში ვარ: კანჭები უფრო ლაზათიანი გამხდომია. ეს ჩვენი კლასია. ხედავ, მოაჯირთან ვდგავართ! მიპოვე? აგერ, აქა ვარ. ეს კი ლუიზაა. ეს სახელი არაფერს გეუბნება? ეს ის სახელგანთქმული ფიტი ბელა გახლავს, რომელიც ჩემთან სწავლობდა და რომელსაც იმ ხანებში უბრალოდ ლუიზა ერქვა, ზოგჯერ ლუიზონსაც კი ვეძახდით. ერთმანეთს ვეცილებოდით, ვინ სად დამდგარიყო. ეს ფლებიტი რომ არა, ალბათ მეც ერთ-ერთი პირველი ვარსკვლავი ვიქნებოდი ახლა... გინდა ირში გაჩვენო? ოჰო, დაგაინტერესა? აი ეს გახლავს. აბა, მოგწონს? ასეთი ხნიერი არ გეგონა, ხომ? მაგრამ გარწმუნებ, მიუხედავად ორმოცდაათი წლის ასაკისა, მაინც ყოჩაღად გამოიყურება. საშინელი კაცია! შეხედე მის კისერს! რა უზარმაზარი, მხრებში ჩამძვრალი ქეჩო აქვს; თავი რომ მოაბ-

ოუნოს, მთელი ტანით უნდა შემოტრიალდეს, პირველ შეხვედრაზე ჩარჩი ან მწვრთნელი გეგონება. ხომ მართალია? მისი ქალიშვილი მუდამ ეუბნებოდა: „მილორდ, შენ მონათვაჭარს ჰგავხარ!“ ამის გაგონებაზე იგი იცინოდა, მისთვის ჩვეული ყრუ ხმით იცინოდა. ერთი შეხედე, როგორი თავის ქალა, რა ფართო, კეხიანი ცხვირი, რანაირი პირის ჭრილი აქვს! მართალია, ირში მახინჯია, სამაგიეროდ, უბრალო კაცუნა არ გეგონოს! თვალები? ასეთი თვალები რომ არ ჰქონდეს, კიდევ უფრო მეტად დაემსგავსებოდა პირუტყვს. არ ვიცი, როგორ აგიხსნა. განა თვითდაჯერებული იერი არა აქვს? თანაც შმაგი კაცისა! შმაგი და ავხორცი! აი, ვის უყვარს სიცოცხლე! იცი, როგორც არ უნდა მძულდეს იგი, დიდი სურვილი მაქვს მის შესახებ იგივე სიტყვები გავიმეორო, რასაც ბულდოგზე ამბობენ ხოლმე: „თავისი სიმახინჯით მშვენიერია!“ შენ რას იტყვი, ასე არაა?.. აგერ, მამაჩემი! შეგირდებთან ერთად. იგი მუდამ ასეთი იყო: ჟილეტში, უპიჯაკოდ, ჭაღარა მოკლე წვერით, ზონარზე ჩამოკიდებული მაკრატლით. საკმარისი იყო ქსოვილის სამიოდე ნაკუწი, ოთხი ქინძისთავი მიგეცათ მისთვის და კოსტიუმი მზად გექნებოდათ! ეს სურათი მის სახელოსნოშია გადაღებული. ხედავ, იქ, მოფარდული მანეკენები დგას სიღრმეში, ხოლო კედელზე მოდელებია გაკრული. ოპერის კოსტიუმერად რომ მოეწყო, კერძო კლიენტებს აღარ უკერავდა. შეგიძლია, ახლაც ჰკითხო ოპერის მსახიობებს და ნახავ, რას გეტყვიან მია გეპფერტის შესახებ! როცა იძულებული გახდა დედაჩემი თავშესაფარში წაეყვანა და მარტო დავრჩით, საწყალ ბერიკაცს ეგონა, მასთან ვიმუშავებდი, იმედი ჰქონდა თავის დუქანს მიანდერძებდა. შემოსავლიანი სახელოსნო იყო. ამას ისიც მოწმობს, რომ შემიძლია ისე ვიცხოვრო, არაფერი გავაკეთო. მაგრამ შენც კარგად მოგეხსენება, პატარა გოგოსათვის რას ნიშნავს სახელოსნო, სადაც მსახიობები ირევიან! ერთადერთი აზრი მიტრიალებდა თავში: მოცეკვავე გავმხდარიყავი; მამამ ნება დამრთო, თვითონვე მიმაბარა ღრიდა შტაუპეს. და როცა მიხვდა, საქმე კარგად მიდიოდა, კმაყოფილიც დარჩა. ხშირად მელაპარაკებოდა ჩემს მომავალზე. ეჰ, საცოდავი ბერიკაცი რომ ხედავდეს, რა არარაობად ვიქეცი! ვერ წარმოიდგენ, რა ცხარე ცრემლით ვტიროდი, როცა იძულებული გავხდი ყველაფერი მიმეტოვებინა. საერთოდ, ქალები პატივმოყვარენი არ არიან, ცხოვრობენ ისე, როგორც მოუხდებათ! მაგრამ ჩვენ, თეატრის მსახიობები, სულ სხვა ადამიანები ვართ: წარმატებას ვებღაუჭებით, ვიბრძვით და სწრაფად ვეგუებით ამ ბრძოლას, ყოველ შემთხვევაში ისევე, როგორც წარმატებას. და როცა იძულებულნი ვხდებით თავი მივანებოთ ყველაფერს, მომავლის აღარავითარი იმედი არ გვქონდეს, ვცხოვრობთ ისე, როგორც

სხვები ცხოვრობენ, ეს უკვე საშინელებაა!.. აი, ხედავ, ეს სურათები მოგზაურობის დროს არის გადაღებული. ყველაფერი არეულ-დარეულია! ეს სურათი კი საუზმის დროს გადავიღეთ კარპატებში, სახელდობრ სად, არ მახსოვს; ირში სანადიროდ იყო წამოსული, გრძელი ულვაში მოუშვა და სულთანს დაემსგავსა. უფლისწული* მაჭმუდს ეძახდა მუდამ: ჩემს უკან შავგვრემანი ტიპი დგას, ხედავ? უფლისწული პიერია, რომელიც მერე სერბიის მეფე გახდა. მან მაჩუქა ეს ორი მწევარი, რომლებიც წინა პლანზე წვანან: შენსავით არიან გაშოტილნი, ზუსტად შენსავით... აი, ეს ყმაწვილი კი, რომელიც იცინის, როგორ ფიქრობ, მგავს? კარგად დაუკვირდი. არ მგავს? ჩემი ძმაა. დიახ. დიახ. იგი მამაჩემივით შავგვრემანი იყო, მე კი — დედასავით ქერა ვარ... ჰო, ალისფერით თმა მაქვს. არა? რათ? ოჰ, რა სულელი ხარ! კარგი, რაკი ასე გსურს... ჰო... წითური ვარ! სამაგიეროდ, ხასიათით მამას ვგავარ. ჩემი ძმა კი დედას ჰგავდა. შეხედე, ამ სურათზე უკეთაა გამოსული... დედაჩემის სურათი არა მაქვს, არც ერთი! მამამ ყველა დახია. და საერთოდ, მის შესახებ არასოდეს ლაპარაკობდა. სენტ-ანშიც არასოდეს წავუყვანივარ. თვითონ კვირაში ორჯერ მიდიოდა და ცხრა წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაუცდენია. მომვლელმა ქალებმა მიამბეს შემდეგ: მოვიდოდა, დედაშენს წინ დაუჯდებოდა და მთელი საათი, ხან მეტიც რჩებოდა მასთანო, მის ვიზიტებს აზრი არ ჰქონდა თურმე, რადგან დედაჩემი ვერც კი სცნობდა, ვერც მას და ვერც ვერავის. მაგრამ მამა აღმერთებდა. იგი დედაჩემზე ბევრად უფროსი ყოფილა. მისი ამბები ვერასგზით ვერ დაევიწყნა. კარგად მახსოვს ის საღამო, როცა მამას მოაკითხეს სახელოსნოში და უთხრეს, თქვენი ცოლი დააპატიმრესო. დიახ, „ლუვრში“* დაუჭერიათ. მაღაზიის ვიტრინიდან რაღაც ნაქსოვი მოუპარავს. წარმოგიდგენია? ქალბატონმა გეპფერტმა, ოპერის კოსტიუმერის ცოლმა იქურდა! მუფტაში მამაკაცის წინდები და ბავშვის ნაქსოვი კოსტიუმი უპოვეს თურმე. მაგრამ მაშინვე გაუთავისუფლებიათ, უთქვამთ კლეპტომანიითაა დაავადებულიო. იცი ეს რას ნიშნავს? ეტყობა, ავადმყოფობა უკვე ეწყებოდა... ჰოდა, ჩემი ძმაც დაემსგავსა. ბანკის რაღაც საქმეებში იყო გარეული და საშინელი საქციელი ჩაიდინა. ირშიც ერია ამ საქმეში. ადრე თუ გვიან ჩემ ძმასაც დედაჩემის ბედი ეწეოდა, სხვა უბედურება რომ არ დასტეხოდა თავს... არა, არა, ამას ხელს ნუ ახლებ... ჰო, ხელი არ ახლო! შეგიძლია დამიჯერო, მე არა ვარ! ეს ჩემი... პატარა ნათლულია... მკვდარია... სჯობს აი ეს ნახო. ეს... ეს... ტანკერის.. გალავანთანაა... არაფერია... არაფერი! ყურადღებას ნუ აქცევ, ფისო.. უკვე გაპიარა. ხომ ხედავ, აღარ ვტირი... აი ეს, ბუბანას ხეობაა! სიგებასის მხედრების ბანაკი... აი, აქ კი

მე ვარ სადი-ბელ-აბასის მარაბუსთან, სიღრმეში მარაკეშს ხედავ?.. ეს კი არ მახსოვს სადღაც, მისუმ-მისუმის თუ დონგოს ახლოსაა გადაღებული. ეს შემთა ტომების ორი ბელადია. ძალიან გავწვალდი, სანამ ამ სურათს გადავიღებდი. ესენი ხომ კაციჭამიები არიან? ჰო, რა თქმა უნდა, კიდევ არსებობენ... ოჰ, ეს კი საშინელებაა! არაფერს ამჩნევ? აი აქ, ქვების პატარა გროვაა. ახლა ხედავ? ჰოდა, ქვეშ ქალია ჩაქოლილი. საშინელებაა! წარმოიდგინე: წესიერი ქალი ყოფილა, ქმარს უმიზეზოდ მიუტოვებია, სადღაც გამქრალა და სამი წელიწადი არ გამოჩენილა. ქალს ეგონა, მოკვდაო, და ხელახლა გათხოვილა. ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ პირველი ქმარი დაბრუნებულა. ორქმრიანობას ეს ტომები გაუგონარ ბოროტმოქმედებად თვლიან. ჰოდა, ქალი ჩაქოლეს. ამის სანახავად ირშმა სპეციალურად ჩამომიყვანა მეშედიდან; მაგრამ იქ რა გამაჩერებდა? შორს გავიქეცი, ხუთას მეტრზე გავეცალე იქაურობას. დასჯის დღეს დავინახე, როგორ მიათრევდნენ იმ ქალს სოფელში. ამის დანახვაც ვერ ავიტანე და ცუდად გავხდი... ის კი ბოლომდე დაესწრო დასჯას: პირველ რიგშიც კი იდგა თურმე... ახლა ყური მიგდე! თურმე ორმო ამოუთხრიათ, ძალიან ღრმა სამარე. შემდეგ ქალი მოუყვანიათ. ისე ჩაწოლილა შიგ, ხმა არ ამოუღია. წარმოგიდგენია? ქალი ჩუმად იყო, სამაგიეროდ, ხალხი ღრიალებდა: თუმცა შორს ვიყავი, მეც მესმოდა მათი ყვირილი, ჩაჰქოლეთო... ცერემონიალი უხუცეს ქურუმს დაუწყია: ჯერ განაჩენი წაუკითხავს. შემდეგ პირველად მას აუღია უზარმაზარი ლოდი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ორმოში ჩაუგდია. ირშმა მითხრა, ქალს კრინტი რა დაუძრავსო; ამის შემდეგ ხალხს აუწყვეტია. ლოდების უზარმაზარი გროვა წინასწარ ჰქონდათ მომზადებული, თითოეული მათგანი იღებდა ქვის ლოდს და ორმოში აგდებდა. ირშმა დაიფიცა, მე არ ჩამიგდიაო. როცა ორმო პირამდე ამოვსებულა, (და როგორც ხედავ, ნაპირებიც აღარა ჩანს) წივილ-კივილით მივარდნილან და ფეხებით დაუტკეპნიათ. შემდეგ ყველა წასულა. მაშინ ირშმა მაიძულა დავბრუნებულიყავი და სურათი გადამეღო, რადგან აპარატი მე მქონდა. რა მექნა? იძულებული ვიყავი, წავსულიყავ... თუ დამიჯერებ, ამ ამბის ყოველ გახსენებაზე ლამის გული ამომივარდეს საგულედან. იგი აი, იქ იწვა, მიწის ქვეშ... ალბათ, უკვე მკვდარი იყო... ოჰ, არა, ამას ხელი არ ახლო!

ანტუანმა, რომელსაც რაშელის მხრებიდან გადმოეყო თავი, ერთმანეთში გადახლართულ ორ ტიტველ სხეულს მოჰკრა თვალი. რაშელმა სწრაფად დააფარა ხელი თვალებზე; და როცა მისი ხელისგულის სითბო ქუთუთოებზე იგრძნო, ერთბაშად მოაგონდა, რომ რაშელი ზუსტად ასეთი, თითქმის ნაკლებად დაძაბული მოძრაობით აფარებდა ხოლმე ხელს თვა-

ლებზე, რათა ვნებისაგან გაფითრებული სახე არ ეჩვენებინა მისთვის. ანტუანმა ხუმრობით სცადა თავის გათავისუფლება, მაგრამ რაშელი სწრაფად წამოხტა და ფოტოსურათების შეკვრა მკერდზე მიიკრა. სეკრეტერთან მიირბინა, სურათები სიცილით ჩაყარა უჯრაში და ჩაკეტა...

— ჯერ ერთი, ეს სურათები მე არ მეკუთვნის, — უთხრა მან, — და არც უფლება მაქვს სხვას ვაჩვენო...

— ვის ეკუთვნის?

— ირშს.

იგი კვლავ მივიდა ანტუანთან და საწოლზე ჩამოჯდა.

— იცოდე, ახლა ჭკვიანად იყავი! განვაგრძოთ. ხომ არ მოგბეზრდა? ნახე, აი კიდევ ერთი ექსპედიცია... სენ-კლუს * ტყეში მივსეირნობდით სახედრებით. ხედავ კიმონოს სახელოები უკვე მოდაში იყო. ნახე, რა ლამაზი კოსტიუმი მაცვია!..

## X

„თავს ვიტყუებ მუდამ! — ფიქრობდა ქალბატონი დე ფონტანენი, — თავს არ ვუტყდები, თორემ, რისი იმედი უნდა მქონდეს“.

იგი ფარდაჩამოშვებულ ფანჯრის წინ იდგა სასტუმრო ოთახში და თვალს ადევნებდა ჟერომს, დანიელსა და ჟენის, რომლებიც ბაღში სეირნობდნენ.

„თვით ყველაზე პირუთვნელი ადამიანებიც კი არხეინად ეგუებიან სიცრუეს!“ — გაიფიქრა მან. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც ზოგჯერ ღიმილს ვერ იკავებდა, ახლაც მოზღვავებოდა ის ბედნიერი გრძნობა, რომელიც ტალღასავით აწვებოდა დროდადრო.

ქალი ფანჯარას მოსწყდა და ბანზე გავიდა. დღის ის მონაკვეთი იყო, როცა თვალს კონტურების გარჩევა უჭირს; ფერდაკარგული ვარსკვლავები აქა-იქ უკვე კიაფობდნენ ლივლივა ცაზე. ქალბატონი დე ფონტანენი ჩამოჯდა. წამით გადახედა საკუთარ სამფლობელოს. ამოიოხრა. კარგად იცოდა, ჟერომი დიდხანს ვერ აიტანდა ისეთ ცხოვრებას, როგორსაც ამ ორი კვირის მანძილზე ეწეოდა, კარგად გრძნობდა, რომ ეს აღდგენილი ოჯახური იდილია კვლავაც მოჩვენებითი იქნებოდა! ქმარი ისეთი ყურადღებიანი, ისეთი მოსიყვარულე იყო მის მიმართ, შიშნარევი სიხარულით ათრთოლებულ ქალს განა შეეძლო წინანდელი ჟერომი არ ეცნო? განა ეს იმას არ მოწმობდა, რომ ჟერომი სულაც არ გამოცვლილა და რომ იგი სულ მალე ისევე წავიდოდა, როგორც მუდამ მიდიოდა ხოლმე? ეს უკვე აღარ იყო ის მოტეხილი, დაბეჩავებული მამაკაცი, რომელიც მან ჰოლანდიიდან ჩამოიყ-

ვანა და რომელიც წყალწაღებულივით ებღაუჭებოდა ცოლს! მართალია, როგორც კი პირისპირ რჩებოდა მასთან, მაშინვე დასჯილ ბავშვს ემსგავსებოდა; ისიც მართალია, თავისი გლოვა რომ მოაგონდებოდა, მაშინვე მორჩილად, დინჯად ოხრავდა, მაგრამ, მიუხედავად, ამისა, საზაფხულო კოსტიუმები უკვე ამოელაგებინა ჩემოდნიდან და მისდაუნებურად ახალგაზრდული იერიც აღბეჭდოდა სახეზე. სწორედ ამ დილითაც, როცა ცოლმა საუზმის წინ შესთავაზა, წადით, ჟენი კლუბიდან წამოიყვანეთ და თქვენც გაისეირნეთ ცოტაო, მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს უგულოდ დაუთმო ცოლის რჩევას; სამაგიეროდ, თხოვნის განმეორება აღარ დასჭირვებია, მაშინვე წამოდგა და თეთრი ფანელის შარვალსა და დიაფერის პიჯაკში გამოწყობილი ცოტა ხნის შემდეგ კოხტად მიაბიჯებდა: ქალმა დაინახა, როგორ ჩაუარა ჟერომმა ჟასმინის ბუჩქს, პატარა ღერო მოაწყვიტა და კოსტიუმის საღილეში ჩაიბნია.

ამ დროს დანიელმა შეამჩნია, დედა მარტო ზისო, და მასთან მივიდა. ქმრის დაბრუნების შემდეგ ქალბატონი დე ფონტანენი რაღაც უხერხულობას გრძნობდა ვაჟიშვილის წინაშე. დანიელი ამას მაშინვე მიხვდა, მეზონში ჩამოსვლას მოუხშირა და არასოდეს ასეთი ყურადღებიანი არ ყოფილა დედის მიმართ, თითქოს ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, ბევრ რამეს გამჩნევ, მაგრამ არ გკიცხავო.

დანიელი დაბალ, მოხერხებულ, ტილოს სავარძელში ჩაჯდა, რომელიც მუდამ უყვარდა, პაპიროსი გააბოლა და დედას გაუღიმა (ხელები, ყოველი მოძრაობა მამისა ჰქონდა!)

— ამ საღამოსაც უნდა დაბრუნდე პარიზში, ჩემო ბიჭო?

— დიახ, დედიკო. ხვალ დილაადრიან საქმიანი პაემანი მაქვს.

და თავის სამუშაოზე ჩამოუგდო სიტყვა, რასაც ძალიან იშვიათად აკეთებდა ხოლმე: საზამთრო სეზონის გახსნისათვის „ესთეტიკური აღზრდის" ნომერს ამზადებდა, რომელიც ევროპაში ფერწერის ახალ სკოლას ეძღვნებოდა; ილუსტრირებული ტექსტებისათვის რეპროდუქციების შერჩევამ ძალიან დააინტერესა თურმე. მალე დედა-შვილს საუბრის თემა გამოელიათ.

ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში საღამოს ჩურჩულიდა მოისმოდა, რომელსაც სადღაც, ბანის ქვეშ, ტყის თხრილში მიყუჟული ჭრიჭინების კრუალი არღვევდა მხოლოდ. დროდადრო, ფიჭვის ტოტებიდან ამოვარდნილ ქარს თან მოჰქონდა ტრუსის სუნი და გამხმარ ფოთლებსა და ჭადრებსდაცვენილ ქერქებს ქვიშაზე აშრიალებდა. ღამურამ რამდენჯერმე რბილად

შემოჰკრა ფრთები ერთმანეთს და ქალბატონი დე ფონტანენის თმას შე-ეხო; ქალმა უნებურად შეჰკივლა.

— კვირას თუ ჩამოხვალ? — ჰკითხა მან შვილს.

— როგორ არა! ხვალ ორი დღით ჩამოვალ.

— შენი მეგობარი ჟაკიც დაგეპატიჟა საუზმეზე... სწორედ გუშინ შევხვდი სოფელში. რა ალალ-მართალი და მდიდარი ბუნების პატრონია! გუშინ საკმაოდ დიდი მანძილი გამოვიარეთ ერთად, — დაუმატა მან.

ქალი მართლა ასეთი აზრისა იყო ჟაკზე, მაგრამ მისი სიტყვები ნაწილობრივ იმით აიხსნებოდა, რომ ჟაკს იმ თვისებებს მიაწერდა, რაც ანტუანისთვის შეემჩნია, ნაწილობრივ კი იმითაც, რომ დანიელისთვის უნდოდა ესიამოვნებინა.

დანიელს სახე მოეღრუბლა. გაახსენდა ჟენის უცნაური აღგზნება იმ საღამოს, როცა ჟაკთან ერთად ტყეში სეირნობდა. „ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, ცუდად ფორმირებული, წონასწორობას მოკლებული საბრალო გოგო!“ ნაღვლიანად გაიფიქრა მან. „ფიქრებმა, მარტოობამ, წიგნებმა მეტისმეტად ნაადრევად მოამწიფეს... თანაც ცხოვრებისა არაფერი გაეგება! რით შემიძლია ვუშველო? ბოლო დროს თითქმის უნდობლად მიყურებს. ჯანმრთელი მაინც იყოს! პატარა ბავშვის ნერვები აქვს! ახლა ეს რომანტიკულობაც დაემატა! თავში ჩაუჭედია, ჩემი არავის ესმისო, გულს არავის უხსნის. ასეთი ჩუმი თავმოყვარეობა ყოვლისმომწამვლელია! ყველაფერს აიტანს კაცი, თუკი ეს ამბავი გარდამავალი ასაკის ბრალია!“

იგი სავარძლიდან წამოდგა, ახლოს მიუჯდა დედას და სინდისის დასამშვიდებლად ჰკითხა:

— მითხარი, დედიკო, განსაკუთრებული ხომ არაფერი შეგიმჩნევია ჟაკის დამოკიდებულებაში თქვენს მიმართ? ან ჟენის მიმართ?

— ჟენის მიმართ? — გაიმეორა ქალბატონმა დე ფონტანენმა.

დანიელის სიტყვებმა ერთბაშად მოაგონეს ფარული ბრძოლა. ბრძოლა? არა, ალბათ, უფრო უმნიშვნელო გრძნობა: ის წამიერი შთაბეჭდილება, რომელიც მის მგრძნობიარე ბუნებას ოდესღაც განუცდია, მაგრამ რიგიანად არც გაუაზრებია. შიშით გული შეეკუმშა და ამ აღტყინებულ წუთებში უფალი გაიხსენა: „ნუ მიგვატოვებ!“ — შეჰღაღადა მან გულში.

ჟერომი და ჟენი სეირნობიდან დაბრუნდნენ.

— რატომ არაფერს მოიხურავთ, მეგობარო? — წამოიყვირა ჟერომმა. — გაფრთხილდით, წინა დღეებთან შედარებით, ამ საღამოს გაცილებით გრილა! — იგი წინოთახში შევიდა, მოსასხამი გამოიტანა და მხრებზე მოახვია ცოლს. შემდეგ დაინახა, რომ ჟენი ქვიშაზე მოათრევდა ტირიფის წნელი-

საგან დაწნულ სკამლოგინს, რომელზედაც ნასადილევს ისვენებდა ხოლმე, ახლა კი ჭადრების ქვეშ დარჩენოდათ და მისაშველებლად გაიქცა. ჟერომს ძალიან გაუჭირდა ამ უკარება ფრინველის მოშინაურება; ჟენიმ მთელი ბავშვობა დედასთან გაატარა, უნებურად მისი ტანჯვის მოზიარეც გახდა და იმთავითვე აღარ უყურებდა მამას კარგი თვალით. მაგრამ, როცა ჟერომს იგი ასე გამოცვლილი, თითქმის დაქალებული დახვდა, აღტაცებაში მოვიდა, თავს დასტრიალებდა, თავის მომხიბვლელ, დახვეწილ მანერებს არ იშურებდა და ისე გულკეთილად, იმდენი ტაქტით ექცეოდა, გოგონას ძალიან გაუჭირდა გულგრილი დარჩენილიყო მის მიმართ. დღეს მამა-შვილს ისე გულწრფელად ესაუბრათ, ჟერომი აქამდე ჩანდა აღელვებული.

— ო, რა სასიამოვნო სუნს აფრქევს თქვენი ვარდები, მეგობარო, — უთხრა მან და საქანელა სავარძლის რითმულ მოძრაობას აჰყვა, — დიჟონის ვარდები სულ აყვავებულა სამტრედესთან.

დანიელი წამოდგა.

— დროა! — თქვა მან, დედასთან მივიდა და შუბლზე აკოცა.

ქალმა ორივე ხელი მოხვია, მიიზიდა, თვალებში ჩახედა და წაილაპარაკა:

— რამხელა ვაჟკაცი მომესწრო!

— სადგურამდე მიგაცილებ! — შესთავაზა ჟერომმა.

დილის სეირნობამ სურვილი აღუძრა გასულიყო ამ ბაღიდან, სადაც ორი კვირის განმავლობაში ჩაკეტილად ცხოვრობდა.

— შენ არ წამოხვალ, ჟენი?

— მე დედასთან დავრჩები.

— პაპიროსი მომეცი, — უთხრა ჟერომმა დანიელს და ხელმკლავი გაუყარა (საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ თამბაქოს საყიდლად შინიდან არ გადიოდა და პაპიროსის წევაც მიატოვა).

ქალბატონმა დე ფონტანენმა თვალი გააყოლა მიმავალ მამაკაცებს. ჟერომის ხმა შემოესმა:

— როგორ ფიქრობ, აღმოსავლურ თამბაქოს ვიშოვი სადგურზე?

ფიჭვნარს მიეფარნენ.

ჟერომი მაგრად უჭერდა ხელს ამ ლამაზი ყმაწვილის, თავისი ვაჟიშვილის მკლავს. რა დიდი, მიმზიდველი ძალა ჰქონდა მასზე ახალგაზრდებს! მაგრამ ამ მიმზიდველობას სინანული სწამლავდა! მეზონში ჩამოსვლის შემდეგ ყოველდღე იტანჯებოდა ამ გრძნობით: ჟენის გარეგნობა წამდაუწუმ აგონებდა საკუთარ სიჭაბუკეს და გული ეკუმშებოდა. იმ დილითაც ეტკინა გული ჩოგბურთის კორტზე! უყურებდა თვალციმციმა ახალგაზრდებს, თამაშისაგან თმა რომ აწეწოდათ, მკერდი გაღეღოდათ, ტანსაცმელი

დაჭმუჭნოდათ, მაგრამ მათ ახალგაზრდულ მომხიბვლელობას ამით არაფერი აკლდებოდა; მოქნილი, მზით გასხივოსნებული სხეულები, თვით ოფლიც კი ნორჩი იყო და ჯანსაღ სურნელს აფრქვევდა ირგვლივ. ჟერომმა ათი წუთი დაჰყო იქ, მაგრამ მაინც მოასწრო და სასტიკი სიცხადით შეიგრძნო რამდენად აუფასურებდა ასაკი ადამიანს! შერცხვა, შესძაგდა ის ყოველდღიური ბრძოლა, საკუთარ თავთან რომ უხდებოდა დაჭკნობის, უსუფთაობის, სიბერის სუნის წინააღმდეგ! იმ საბოლოო დაშლის მაუწყებელი ყოველგვარი ნიშნების წინააღმდეგ, რაც უკვე დაწყებულიყო მის ორგანიზმში! და რაკი თავისი დამძიმებული ნაბიჯები, ხშირი სუნთქვა შვილის სხარტ სიარულს შეადარა, რაკი იგრძნო, რა ამაო იყო მისი ცდა, თვითონაც ასე მხნედ ევლო, ერთბაშად გამოგლიჯა ხელი და შურით სავსე წამოძახილი ვერ შეიკავა:

— ოჰ, ნეტავი შენი ოცი წელი მომცა, ჩემო კარგო!

ქალბატონი დე ფონტანენი ქალიშვილს არ შეკამათებია, როცა ჟენიმ, მასთან დარჩენის სურვილი გამოთქვა.

— დაღლილი სახე გაქვს, გენაცვალე! — უთხრა მან, მარტო რომ დარჩნენ, — ხომ არ დაწვები?

— ოჰ, არა! — წამოიძახა ჟენიმ, — რა გაათენებს ამსიგრძე ღამეს.

— ცუდად ხომ არ გძინავს ბოლო დროს?

— არცთუ ძალიან კარგად.

— რატომ, საყვარელო?

ეს სიტყვები ისეთი ინტონაციით წარმოთქვა ქალმა, ეტყობოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩააქსოვა. ჟენიმ გაკვირვებით შეხედა დედას, მაშინვე მიხვდა, რაღაც ფარული აზრი აქვს და ახსნა-განმარტებას მთხოვსო. ამიტომ ინსტინქტურად გადაწყვიტა, ყოველგვარი დაკითხვისათვის აერიდებინა თავი. ბუნებით შეიძლება არც იყო გულჩათხრობილი. მაგრამ, როგორც კი იგრძნობდა, გულის გადახსნას მთხოვენო, მაშინვე ჩაიკეტებოდა თავისთავში.

ქალბატონ დე ფონტანენს კი პირფერობა არ შეეძლო: იგი ქალიშვილს მიუბრუნდა და ბინდბუნდის შუქზე პირდაპირ ჩახედა თვალებში, იმედი ჰქონდა მისი ალერსიანი მზერა ერთბაშად გაალღობდა ჟენის ამ დაძაბულობას, რაც ასე აშორებდა მათ ერთმანეთისაგან.

— რაკი ამ საღამოს მარტო დავრჩით, — უჩვეულო სიმტკიცით წამოიწყო მან, თითქოს პატიებას თხოვს ქალიშვილს იმ ცვლილებების გამო,

რაც მათ ურთიერთობაში იგრძნობოდა მამის დაბრუნების შემდეგ, — მინდა ერთ საკითხზე მოგელაპარაკო, გენაცვალე... მხედველობაში მყავს უმცროსი ტიბო, რომელსაც სწორედ გუშინ შევხვდი გზაზე.

სიტყვა გაუწყდა: სანამ მთავარ თემას უშუალოდ არ შეეხებოდა, შეეძლო მიკიბ-მოკიბვით არ ელაპარაკა, მაგრამ ახლა აღარ იცოდა, რა ეთქვა; სამაგიეროდ, ისე გადახრილიყო ჟენისკენ, მისი პოზა თითქმის სათქმელსაც ამთავრებდა და კითხვასაც ზუსტად უსვამდა.

ჟენიმ არაფერი უპასუხა. ქალბატონი დე ფონტანენი ნელ-ნელა წელში გაიმართა; შემდეგ ბაღში გადაიხედა. ღამის წყვდიადს მოეცვა იგი.

ხუთი წუთი გავიდა.

გრილმა ნიავმა დაუბერა. ქალბატონ დე ფონტანენს მოეჩვენა, რომ ჟენის შეაჟრჟოლა.

— გაცივდები, წამოდი, ოთახში შევიდეთ! — უთხრა მან.

მის ხმას ჩვეულებრივი ტემბრი მიეღო. „რა საჭიროა ჩაციება?" — გაიფიქრა ქალმა. უხაროდა, ქალიშვილს ამ თემაზე რომ ჩამოუგდო სიტყვა, თანაც დარწმუნებული იყო, ჟენი მიხვდა და ამიერიდან ნდობით მომექცევაო.

უსიტყვოდ წამოდგნენ, წინოთახი გაიარეს და ჩაბნელებულ კიბეს აჰყვნენ. ქალბატონი დე ფონტანენი წინ მიდიოდა, ჟენის ოთახთან შედგა და, როგორც ყოველ საღამოს, ახლაც აკოცა. იგი მის სახეს ხედავდა, მაგრამ იგრძნო, აღშფოთებას მთელი მისი სხეული დაეძაბა. წამით ლოყა შვილის ლოყას მიადო და მაშინვე მიხვდა, რომ თანაგრძნობის გამომხატველი ეს მოძრაობა ჟენის არ მოეწონა; ქალბატონი დე ფონტანენი ფრთხილად მოშორდა და საძინებელი ოთახისკენ გაემართა. მაგრამ შეამჩნია, იმის ნაცვლად, რომ ოთახის კარი გაეღო და შიგ შესულიყო, ჟენი დედას მისდევდა ფეხდაფეხ. იმავე წამს მისი აღელვებული წამოძახილიც მოესმა, რაც თითქოს ერთი ამოსუნთქვით ესროლა.

— დედა, თუკი შენ ფიქრობ, რომ იგი ხშირად დადის ჩვენთან, გულგრილად მოექეცი. მორჩა და გათავდა!

— ვის მოვექცე გულგრილად? — ჰკითხა ქალბატონმა დე ფონტანენმა და მისკენ შემობრუნდა. — ჟაკს? ხშირად დადისო? კი მაგრამ, იგი ხომ ორ კვირაზე მეტია ჩვენთან არ მოსულა?

(მართლაც, მას შემდეგ, რაც ჟაკმა ბატონი დე ფონტანენის შინ დაბრუნება და ამით მათ ოჯახში მომხდარი ცვლილება შეიტყო დანიელისაგან, მათთან მისვლას ერიდებოდა).

იმ ხანებში ჟენიც იშვიათად დადიოდა კლუბში, ჟაკს აშკარად თავს არიდებდა და როგორც კი ყმაწვილს ჩოგბურთის სათამაშოდ გაიწვევდნენ, მაშინვე შინ გარბოდა; ასე რომ, ახალგაზრდები უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ჟენი თამამად შევიდა დედამისის საწოლ ოთახში, კარი მიხურა, გაქვავებულივით დაჯდა და ხმას არ იღებდა.

ქალბატონ დე ფონტანენს შეებრალა შვილი და შეეცადა როგორმე შეემსუბუქებინა აღსარება.

— გარწმუნებ, გენაცვალე, კარგად ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდა.

— რად დასჭირდა დანიელს იმ ტიპოების ჩვენთან მოყვანა? — გაცხარებით წამოიწყო ჟენიმ. — დანიელს რომ ასეთი უცნაური მეგობრობა არ ჰქონოდა იმ ხალხთან, არც არაფერი მოხდებოდა.

— კი მაგრამ, მაინც რა მოხდა, გენაცვალე? — ჰკითხა ქალბატონმა დე ფონტანენმა, რომელსაც გულმა მაგრად დაუწყო ცემა.

— არაფერიც არ მომხდარა! — გაწიწმატდა ჟენი. — როდის ვთქვი, რაღაც მოხდა-მეთქი? მაგრამ დანიელი და შენც კი, დედიკო, წამდაუწუმ რომ არ ჰპატიჟებდეთ იმ ტიპოებს, მე არ... მე...

სიტყვა გაუწყდა.

ქალბატონმა დე ფონტანენმა ძალა მოიკრიბა.

— ამიხსენი, რა მოხდა, გენაცვალე? ხომ არაფერი შეგიმჩნევია მის... იქნებ, რაიმე... განსაკუთრებული გრძნობა...

ჟენიმ შეკითხვის დამთავრება არ აცალა და თანხმობის ნიშნად თავი ჩაქინდრა. მოაგონდა, მთვარის შუქით განათებული ბაღი, ჭიშკარი, საკუთარი სილუეტი კედელზე და ჟაკის შეურაცხმყოფელი საქციელი; მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეს საშინელი წამი, რომელიც აქამდე ვერ დაევიწყნა, არავისთვის გაემხილა, თითქოს გულის სიღრმეში მისი ჩამარხვით უფლებას იტოვებდა ან ძრწოლვით, ან სულაც, აღელვებით ეფიქრა მასზე.

ქალბატონი დე ფონტანენი გრძნობდა, გადამწყვეტი მომენტი დამდგარიყო და არ უნდოდა ჟენისთვის გაჩუმებისა და გულჩათხრობილობის საშუალება მიეცა. საცოდავი ქალი აკანკალებული ხელით დაეყრდნო მაგიდას, რომელიც მის უკან იდგა და მთელი ტანით გადაიხარა შვილისკენ: ღია ფანჯრიდან შემოსულ მკრთალ სინათლეზე ძლივს არჩევდა მის სახეს.

— გენაცვალე, ამას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, — უთხრა მან ბოლოს, — თუკი შენ... თუკი შენც...

მჯერად ჟენიმ უარყოფის ნიშნად რამდენჯერმე გადააქნია თავი; ქალბატონმა დე ფონტანენმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთი მოშორდა გულიდანო.

— მე მუდამ მძულდნენ ეს ტიპოები! — ჟენიმ უცებ ისეთი უცნაური ხმით წამოიძახა, დედამისი გაოცებული დარჩა, — უფროსი თავდაჯერებული ხეპრეა, ხოლო უმცროსი...

— ეს არაა მართალი! — შეაწყვეტინა ქალბატონმა დე ფონტანენმა და ხაბნელეში სახე აუჭარხლდა.

— ... ხოლო უმცროსი ძმა, დანიელის ბოროტი გენია იყო მუდამ! — დაამთავრა ჟენიმ და ხელახლა გაიმეორა ძველი ბრალდება, რაც დიდი ხანია თვითონვე გაებათილებინა. — ოჰ, დედიკო, ნუ იცავ მათ: შეუძლებელია გიყვარდეს ისინი. ეს ადამიანები ძალიან განსხვავებულნი არიან შენგან, გარწმუნებ, დედიკო, მე არ ვცდები: ისინი ჩვენ არა გვგვანან. ისინი... არ ვიცი... მაშინაც კი, როცა ერთნაირი შეხედულება გვაქვს რაიმეზე, მაშინაც კი არ შეიძლება მათი ნდობა: მუდამ სხვანაირად ესმით ყველაფერი, სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ! ოჰ, ისინი ისეთი... — ჟენი შეყოყმანდა, — საზიზღარი მოდგმაა!.. — წამოიყვირა მან უცებ. — საზიზღარი! — და არეულ-დარეული ფიქრებით აღტაცებულმა ერთი ამოსუნთქვით წამოისროლა: — მე არ მინდა რაიმე დაგიმალო, დედა. არა, არასოდეს არ დაგიმალავ. ჰოდა, როცა პატარა ვიყავი, ჩემი აზრით, რაღაც საშინელი გრძნობა მქონდა... ჟაკზე ვეჭვიანობდი. გული მტკიოდა. როცა ვხედავდი, დანიელი რა ძალიან იყო გატაცებული ამ ბიჭით! მეგონა, დანიელის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს-მეთქი! ეგოისტი, ამპარტავანი, ჯიუტი, ჩხუბისთავი, უზრდელი მეგონა! მარტო მისი გარეგნობა რად ღირდა: პირი, ყბები... ვცდილობდი არ მეფიქრა მასზე! მაგრამ არ შემეძლო: მუდამ იმის ცდაში იყო, რითი მოეკლა ჩემთვის გული, მე ყველაფერს ვიმახსოვრებდი და ვბრაზობდი! ის კი წამდაუწუმ ჩვენთან მოდიოდა, თითქოს ჯიბრზე არ მოშორდებოდა!.. ეს იყო წინათ. არ ვიცი, რაღაზედ ვიხსენებ ამ ამბავს... ამასობაში, კარგად დავუკვირდი მას. განსაკუთრებით წელს, ზაფხულ თვეს. ახლა სულ სხვა აზრისა ვარ. ვცდილობ სამართლიანი ვიყო. მიუხედავად ყველაფრისა, მის კარგ თვისებებსაც ვამჩნევ. ერთ რამეს გეტყვი, დედიკო! რამდენჯერმე კიდეც ვიგრძენი, რომ რატომღაც მეც... მეც მიზიდავდა მასთან ყოფნა... თუმცა არა, არა! ეს არაა მართალი. მე ყველაფერი მეჯავრება მისი! თითქმის ყველაფერი.

ქალბატონმა დე ფონტანენმა დამთმობი კილოთი განუცხადა:

— ჟაკის შესახებ ვერაფერს გეტყვი... შენ უფრო მეტი შესაძლებლობა

გქონდა დაჰკვირვებოდი. სამაგიეროდ, რაც შეეხება ანტუანს, შემიძლია დაგარმწმუნო...

— კი მაგრამ, მე არც ჟაკის შესახებ მითქვამს... — სწრაფად შეაწყვეტინა გოგონამ, — არასოდეს არ უარვყოფდი, რომ მასაც დიდი ღირსებები აქვს! — ჟენიმ ნელ-ნელა შეიცვალა ტონი და ახლა დინჯად ლაპარაკობდა, — ჯერ ერთი, ყოველი მისი სიტყვა იმის საბუთია, რომ ძალიან ჭკვიანი ბიჭია. ამას მეც ვაღიარებ. მეტსაც გეტყვი: მორალურად შეურყვნელია, იგი არა მარტო გულწრფელია, არამედ მაღალი გრძნობები და კეთილშობილებაც არ აკლია. ხომ ხედავ, დედიკო! მტრულად არა ვარ მისდამი განწყობილი?! ამას გარდა, მე მგონია, — სერიოზულად დასძინა მან და თითოეულ სიტყვას ისე დაფიქრებით წარმოსთქვამდა, რომ გაოცებული ქალბატონი დე ფონტანენი მთელი გულისყურით უკვირდებოდა. — მე მგონია, მისი მოწოდება ძალიან დიდი, შესაძლებელია მეტისმეტად ამაღლებული ხვედრიც კი იყოს! როგორც აღნიშნევ, ვცდილობ სამართლიანი ვიყო! ახლა თითქოს დარწმუნებულიც კი ვარ რომ მასში ის ფარული ძალაა, რასაც გენიალურობას უწოდებენ. დიახ, სწორედ გენიალურობას! — თითქოს გამომწვევი ტონით გაიმეორა მან, თუმცა დედამისი შეკამათებას არც აპირებდა.

— მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს! — სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა გოგონამ. — იგი ტიპოთა მოდგმას ეკუთვნის, პირწავარდნილი ტიპოა! მე კი ისინი მეჯავრებიან!

ქალბატონი დე ფონტანენი გაოგნებული იდგა და ხმა ვერ ამოეღო.

— კი მაგრამ... ჟენი! — წაიბუტბუტა, როგორც იქნა.

ჟენიმ დედის ხმაში იგივე აზრი ამოიკითხა, რაც რამდენიმე ხნის წინ დანიელის თვალებში. იგი ბავშვური უშუალობით მივარდა ქალბატონ დე ფონტანენს და პირზე ხელი დააფარა:

— არა, არა! ტყუილია! მე შენ გეუბნები, ტყუილია-მეთქი!

შემდეგ, სანამ დედა გულში იკრავდა და მკლავებს ისე ხვევდა, თითქოს რაღაცისგან უნდა დაეცვასო, ჟენიმ იგრძნო, როგორ მოეშვა ის კვანძი, აქამდე რომ ყელში ებჯინებოდა; იგი აქვითინდა და უმწეოდ ისევე იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას, როგორც პატარაობისას ჩვეოდა ხოლმე:

— დედიკო... დედიკო... დედიკო...

ქალბატონი დე ფონტანენი მაგრად იკრავდა შვილს გულში და დაბალი ხმით ამშვიდებდა:

— ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო... ნუ ტირი. ეს რა აზრები მოგსვლია თავში?.. შენ ხომ ძალას არავინ გატანს... საბედნიეროდ, შენ არ... (ერთ-

ბაშად მოაგონდა ბატონ ტიბოსთან ერთადერთი შეხვედრა ბიჭების გაპარვის მეორე დღეს; კვლავ თვალწინ წარმოუდგა ჩასუქებული მოხუცი, რომელსაც თავის სამუშაო ოთახში ორი მღვდელი ედგა გვერდით; უცებ წარმოიდგინა, როგორ აუკრძალავდა იგი ამ სიყვარულს ჟაკს, როგორ დაამცირებდა ჟენის ამ სუფთა გრძნობას!). ოჰ, საბედნიეროდ, ეს ასე არაა!.. საკუთარ თავთან არაფერი გაქვს სასაყვედურო... იმ ყმაწვილს მე მოველაპარაკები, მივახვედრებ, რომ... ნუ ტირი, გენაცვალე... ყველაფერი დაგავიწყდება... ყველაფერი გაივლის... ნუ ტირი!

მაგრამ ჟენი გულამოსკვნით ქვითინებდა, რადგან დედის ყოველი სიტყვა უფრო მეტად უთუთქავდა გულს. დედა-შვილი დიდხანს იდგა სიბნელეში ასე გადახვეულნი. შვილს დედის კალთაში შეეხიზნა თავისი მწუხარება, დედა მონოტონურად იმეორებდა დამამშვიდებელ, სასტიკ სიტყვებს და თვალები შიშით გაფართოებოდა, რადგან მისთვის ჩვეული შორსმჭვრეტელობით ნათლად ხედავდა, რა გარდუვალი ხვედრი ელოდა ჟენის, რასაც ამიერიდან ვერც შიშით, ვერც ალერსით, ვერც ლოცვით ვეღარ ააშორებდა: „ყოველთა არსებათა უკიდეგანო ამაღლება სულიწმინდისა მიმართ!“ — თავზარდაცემული ფიქრობდა იგი — „თითოეული ჩვენგანი განსაცდელითგან განსაცდელამდე, შეცთომითგან შეცდომამდეც კი მარტოდმარტო უნდა ვიდოდეს გზითა იმით, რაიცა მისთვის არს განკუთვნილ უკუნითი უკუნისამდე!“

მხოლოდ მაშინ შეკრთა ორივე, როცა კარის გაღების ხმა შემოესმათ ქვემოდან და წინოთახის ფილებზე ჟერომის ნაბიჯები იცნეს. ჟენიმ მკლავები მოაშორა დედას და უსიტყვოდ გაიქცა; იგი ბარბაცებდა თავზე დამტყდარი უბედურებით, რომლის სიმძიმეს ვერვინ შეუმსუბუქებდა ამქვეყნად.

## XI

ბულვარზე მოსეირნეები კინოთეატრის წინ გაკრულ უშველებელ აფიშასთან ჩერდებოდნენ

უცნობი აფრიკა,

მოგზაურობა უოლოფებთან, სერერებთან,

ფულბებთან, მუნდანგებთან და

ბაგრიმიელებთან *.

— ცხრის ნახევარზე იწყება მხოლოდ! — ამოიოხრა რაშელმა.

— ხომ გითხარი!

რაკი ანტუანს ძალიან დაენანა ვარდისფერი, მყუდრო ოთახის მიტოვება, ახლა გისოსიანი ქვედა ლოჟა აედო დარბაზის სიღრმეში, რომ ამით

მაინც შეექმნა განმარტოების ილუზია. იგი ჯერ კიდევ სალაროსთან იდგა, როცა რაშელი მიუახლოვდა.

— ერთი საოცრება უკვე აღმოვაჩინე! — უთხრა მან და პერისტილის ქვეშ წაათრია, სადაც ფილმის რამდენიმე კადრი გამოეფინათ. — შეხედე!

ანტუანმა წარწერა წაიკითხა: „მუნდანგი ქალიშვილი ფეტვს ანიავებს მდინარე მეიო კაბის * ნაპირას", და ბრინჯაოსფერი ტიტველი სხეული დაინახა, რომელსაც ჩალის დაწნული ქამრის გარდა არაფერი ფარავდა. სახედაფიქრებული ლამაზი მუნდანგი ქალი ცალ ფეხზე იდგა; მკერდი ტვირთისაგან დასჭიმოდა, ხოლო მარჯვენა ხელი მაღლა აეშვირა და მარცვლით სავსე გოგრის საწყაო ეჭირა; ფეტვი ვიწრო ნაკადად ცვიოდა ხის ჯამში, რომელიც გოგონას მუხლთან მიეჭირა მარცხენა ხელით. შეუძლებელია მისი პოზა წინასწარ ყოფილიყო მოფიქრებული: ოდნავ უკან თავგადაწეული, კოხტად მოხრილი მკლავების მოძრაობა, დაჭიმული, მკვეთრად გამორჩეული ორი მკვრივი ძუძუ, წელთან [illegible], დაძგიბული თეძო და წინ წადგმული მეორე ფეხი, [illegible] წვერით ებჯინებოდა მიწას, — მთელი ეს ჰარმონია ბუნებრივი იყო, ბუნებით ნაკარნახევი და ამაღელვებლად მშვენიერი.

— ერთი ამათ შეხედე! — განაგრძო რაშელმა და ანტუანს ათიოდე შავკანიანი ყმაწვილი დაანახვა, რომელთაც ვიწრო პირაგუა გაედევათ მხარზე. — რა ლამაზია ეს პატარა ბიჭი! იგი უოლოფია. ხედავ? კისერზე გრი-გრი * აქვს, ლურჯი ბუბუ * და ჩალმა.

იმ საღამოს რაშელი განსაკუთრებული აღგზნებით ლაპარაკობდა; ოდნავ გაპობილ ბაგეზე ღიმილიც ისე უკრთოდა, თითქოს სახის კუნთები მისდაუნებურად შეეკუმშაო; მოჭუტული ქუთუთოებიდან ანთებული თვალები მოუჩანდა, რომლებსაც აქეთ-იქით აცეცებდა და ვერცხლისფერ ნაპერწკლებს ისროდა; ანტუანს არასოდეს არ შეუმჩნევია მისთვის ასეთი გამომეტყველება.

— შევიდეთ! — შესთავაზა ქალმა.

— სეანსის დაწყებამდე მთელი თხუთმეტი წუთია!

— არა უშავს! — ბავშვური მოუთმენლობით მიუგო რაშელმა. — შევიდეთ!

დარბაზი ცარიელი იყო. ორკესტრის მუსიკოსები ინსტრუმენტების აწყობით გართულიყვნენ. ანტუანმა ლოჟის გისოსი ასწია. რაშელი ფეხზე იდგა.

— ჰალსტუხი მოუშვი! — სიცილით უთხრა მან, — მუდამ ისეთი სახე

გაქვს, თითქოს თავის ჩამოხრჩობას აპირებდი. მაგრამ კისერზე თოკშებმული გამოიპარე!

ანტუანმა შეუმჩნევლად შეიჭმუხნა სახე.

— რომ იცოდე, როგორ მიხარია, ამ სურათს შენთან ერთად რომ ვნახავ! — დაუმატა რაშელმა და ანტუანის სახე ორივე ხელით მიიზიდა საკოცნელად, — მით უმეტეს, რომ წვერის გაპარსვის შემდეგ ძალიან მომწონხარ!

შემდეგ მანტო გაიხადა, ქუდიც მოიხადა და ხელთათმანებიც გაიძრო. დასხდნენ. ლოჟაზე აფარებული გისოსი ხალხისაგან ფარავდა, სამაგიეროდ, თვითონ თვალს ადევნებდნენ დარბაზის თანმიმდევრულ სახეცვლილებას: იგი აღარ წააგავდა ჩუმ, მტვრიან, მოწითალო მღვიმეს, სადაც აქა-იქ რაღაც ნამსხვრევები ამოტივტივებულიყო თითქოს; რამდენიმე წუთში იგი თანდათან გადაიქცა სახეთა მასად, მოჟღურტულე ფრინველთა ვოლიერად, რომელსაც სასულე ინსტრუმენტების ხმა ქრომატიულ გამასავით ფარავდა დროდადრო. მიუხედავად უჩვეულოდ ცხელი ზაფხულისა, სექტემბრის მეორე ნახევარში ბევრი პარიზელი დაბრუნებულიყო აგარაკიდან ეს აღარ იყო არდადეგების პარიზი, რომელიც ყოველ წელს ახლებურად უყვარდა რაშელს, თითქოს იგი ახლადაღმოჩენილი ქალაქი ყოფილიყოს.

— გესმის? — ჰკითხა მან ანტუანს.

ორკესტრი გაზაფხულის ჰიმნს უკრავდა „ვალკირიიდან“ *.

რაშელს ანტუანის მხარზე დაედო თავი. ქალის მოკუმული ბაგეთაგან დიდინი მოისმა, თითქოს აჟღერებულ ვიოლინოს ბანს აძლევსო.

— ჰუკოსთვის მოგისმენია? ტენორ ჰუკოსთვის? — უგულისყუროდ ჰკითხა ქალმა.

— მომისმენია. რატომ მეკითხები?

რაშელს პასუხი არ მიუცია. ოცნებას გაჰყოლოდა. შემდეგ, თითქოს შერცხვა, აქამდე რომ არ გაუზიარა ფიქრები, და ხმადაბლა მიუგო:

— ჩემი საყვარელი იყო.

რაშელის წარსული მუდამ უღვიძებდა ანტუანს ცნობისმოყვარეობას, თანაც არავითარ ეჭვიანობას არ იწვევდა მასში. როცა რაშელი გულწრფელად აღიარებდა: ჩემს სხეულს არაფერი ახსოვსო, ანტუანს კარგად ესმოდა რისი თქმაც სურდა ამით. მიუხედავად ამისა, ჰუკო... მას თვალწინ დაუდგა თეთრი ატლასის კამზოლში გამოწყობილი, სასაცილო გარეგნობის კაცი, რომელიც „მეისტერზინგერების“ * მესამე მოქმედებაში ხის კუბზე ამძვრალიყო; კოჭდაბალი, გაბერილი მომღერალი, პარიკის მიუხედავად, ბოშას წააგავდა და გულზე ხელმიდებული მუდამ სასიყვარულო დუეტს

ასრულებდა. ასეთი შეუფერებელი არჩევნის გამო ანტუანს გული წყდებოდა რაშელზე.

— მოგისმენია, აი ამას როგორ მღერის? — განაგრძო ქალმა, თითი აიშვირა და ჰაერში მუსიკალური ფრაზის არაბესკი შემოხაზა. — ნუთუ ბუკოზე არ მილაპარაკია შენთან?

— არა.

ანტუანს რაშელის თავი ისე მიეყრდნო მკერდზე, მისი სახის დასანახავად თვალების დახრაღა სჭირდებოდა. ის მკვირცხლი გამომეტყველება, რომელიც ძველი ამბების მოგონებისას უჩნდებოდა ხოლმე, ამჟამად სახიდან გაჰქრობოდა; წარბები ოდნავ შეეჭმუხნა, თვალები თითქმის მოეხუჭა, ხოლო ბაგეების კუთხეები ჩამოშვებოდა. „კაეშნიანი იერი ნამდვილად დამშვენდებოდა!" — გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა. შემდეგ, როცა იგრძნო, ქალი კვლავ დადუმდაო, იმის დასამტკიცებლად, რომ მისი წარსული მოგონებები არ აბრაზებდა, მაშინვე ჰკითხა:

— რაო, რას ამბობდი იმ შენს ბუკოზე?

რაშელი შეკრთა.

— რაო? ბუკო? — მიმქრალი ღიმილით იკითხა მან. — იცი, კაცმა რომ თქვას, ბუკო ვერაფერი შვილია! უბრალოდ, პირველი იყო, მორჩა და გათავდა!

— მე? — ნაძალადევი სიმშვიდით ჰკითხა ანტუანმა.

— შენ მესამე ხარ! — თვალიც არ დაუხამხამებია, ისე მიუგო რაშელმა.

— „ბუკო, ირში და მე... ნუთუ სულ ესაა?" — გაიფიქრა ანტუანმა.

რაშელი თანდათან გამოცოცხლდა:

— გინდა გიამბო?.. აი, თვითონვე ნახავ, რა უბრალო ამბავია. მამაჩემი ახალი გარდაცვლილი იყო; ძმა ჰამბურგში მუშაობდა. მე მთელი დღეები თეატრში ვიყავი; საღამოობით, თუ არ ვცეკვავდი, საშინელ მარტოობას ვგრძნობდი. თვრამეტი წლის ასაკში მუდამ ასეა. ბუკო დიდი ხანი დამდევდა ლანდივით. მე კი არაფრად ვაგდებდი, რამხელა წარმოდგენა აქვს-მეთქი საკუთარ თავზე... — ქალი შეყოყმანდა, — მოსულელო ტიპად ვთვლიდი! ჰო, მგონია, იმ ხანებში უკვე ბრიყვად მიმაჩნდა... მაგრამ ისეთი პირუტყვი თუ იყო, მაინც არ ვიცოდი! — წამოცდა ერთბაშად.

შემდეგ დარბაზს გადახედა: ის-ის იყო სინათლე ჩაექროთ.

— რით იწყება პროგრამა?

— ქრონიკით.

— მერე?

— თეატრალური დადგმა უნდა იყოს, ალბათ, რაიმე იდიოტობა იქნება!

— კი მაგრამ, აფრიკა?

— ბოლოს გაუშვებენ.

— კეთილი, — თქვა მან და თავისი სურნელოვანი თმით დაბურული თავი ხელახლა ჩამოადო მხარზე. — თუ რაიმე საინტერესო იქნება, გამაფრთხილე. ხომ არ გაწუხებ, ფისო? ისე მოხერხებულად მოვეწყვე...

ანტუანმა მის სველ, გაპობილ ბაგეებს დახედა; ერთმანეთს აკოცეს.

— ბუკო? — კვლავ ჩაეკითხა ანტუანმა.

მოლოდინი არ გაუმართლდა: რაშელს აღარ ეძინებოდა.

— ახლა მიკვირს, როგორ ავიტანე იმდენი რამ! ოჰ, როგორ მექცეოდა! ნამდვილ მხეცსავით! ოდესღაც ჯორების მარეკი ყოფილა ორანის* პროვინციაში. მეგობრებს ვეცოდებოდი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ რატომ ვერ ვშორდებოდი. ახლაც არ მესმის... — ქალი გაჩუმდა და შემდეგ დაუმატა, — არა, ვფიქრობ, მარტოობისა მეშინოდა.

ანტუანს ასეთი სევდა არასოდეს შეუნიშნავს რაშელის ხმაში. მან მაგრად მოხვია მკლავები, თითქოს საფრთხისაგან უნდა დაიფაროსო. შემდეგ გაუწყრა. გაახსენდა, რომ მისი გულზვიადობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სიბრალული იყო: იქნებ, ძმის სიყვარულიც სწორედ ამ თანაგრძნობაში იმალებოდა, ან, იქნებ, რაშელთან შეხვედრამდის, სწორედ ეს სიბრალული მიაჩნდა სიყვარულის ერთ-ერთ გამოხატულებად?

— მერე? — ჰკითხა მან.

— მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, მიმატოვა! — უთხრა რაშელმა, რომელსაც არავითარი სინანული არ ეტყობოდა.

ქალი ერთხანს ჩუმად იყო და მერე, დაბალ ხმაზე, თითქოს აღსარებისათვის სიჩუმეს იხმობსო, დაუმატა:

— მე მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი.

ანტუანი გველნაკბენივით შეხტა. ფეხმძიმედო? შეუძლებელია. ეს როგორ მოხდა, რომ მან, ექიმმა, სამისო ნიშანკვალი ვერ შეამჩნია?.. — ოჰ, სისულელეა!

კინო-ჟურნალს უგულისყუროდ და უკმაყოფილოდ ადევნებდა თვალს.

### დიდ მანევრებზე

**ბატონ ფალიერის* საუბარი გერმანელ სამხედრო ატაშესთან.**

**დაზვერვის სამსახურის მომავალი.**

შონპლანით მიწაზე ეშვება ლათამი *, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გადასცემს მთავარსარდალს.

მამაცი ავიატორის მიღება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

— არა, მარტო ამიტომ არ მივუტოვებივარ, — შეუსწორა რაშელმა, — მისი ვალები კვლავაც რომ გადამეხადა...

ანტუანს ერთბაშად გაახსენდა ახალშობილი ბავშვის სურათი, რომელიც რაშელთან ნახა: „ეს ჩემი ნათლულია. მკვდარია!" წამოიძახა მაშინ ქალმა და სურათი ხელიდან გამოგლიჯა.

ამ წუთში რაშელის აღსარებას იმდენად არ გაუკვირვებია იგი, რამდენადაც თავისი პროფესიული თავმოყვარეობა მიიჩნია დამცირებულად.

— ნუთუ ეს მართალია? — წაიბუტბუტა მან, — შენ მართლა გყავდა ბავშვი? თუმცა დიდი ხანია ეჭვი მქონდა! — ნაძალადევი ღიმილით დაუმატა მან.

— ეჭვი როგორ გქონდა, როცა არაფერი მეტყობა? მე ხომ თავს ისე ვუვლიდი, თეატრის გამო!..

— გავიწყდება, ექიმი რომ ვარ? — მიუგო ანტუანმა და მხრები შეიბერტყა.

რაშელს გაეღიმა. ანტუანის შორსმჭვრეტელობით ამაყობდა. ერთხანს დუმდა, შემდეგ ისევ ალაპარაკდა, თუმცა მოდუნებული პოზა მაინც არ შეუცვლია.

— იცი, ფისო, იმ დღეებს რომ ვიგონებ, ასე მგონია, საუკეთესო წლები უკვე გაქრა-მეთქი! ოჰ, რა გულზვიადი ქალი ვიყავი! და რაკი საკმაოდ დავმძიმდი და იძულებული გავხდი თეატრიდან შვებულება ამეღო, იცი, სად წავედი? ნორმანდიაში! პატარა მიყრუებულ სოფელში, სადაც ერთი ნაცნობი მოხუცი ქალი ცხოვრობდა: ჩვენი ყოფილი მოახლე, ჩემი და ჩემი ძმის გამზრდელი. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მანებივრებდა! მზად ვიყავი სამუდამოდ მასთან დავრჩენილიყავი! ასეც უნდა მოვქცეულიყავი. მაგრამ, იცი? თეატრი ეს ისეთი რამაა, თუ ერთხელ გემო გაუსინჯე... მეგონა, სწორად მოვიქეცი, ბავშვი ძიძის ანაბარა რომ დავტოვე... არაფრის შიში არ მქონდა. მაგრამ რვა თვის შემდეგ... მეც ავად გავხდი, — ამოიოხრა მან, — მშობიარობამ ჯანმრთელობა შემირყია... იძულებული გავხდი თეატრი მიმეტოვებინა და ყველაფერი ერთბაშად დავკარგე. კვლავ მარტო დავრჩი.

ანტუანი დაიხარა და შეხედა. რაშელი არ ტიროდა, ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა ლოჟის ჭერს, მაგრამ ქუთუთოებზე ნელ-ნელა ეპარებოდა ცრემლი. ანტუანმა ქალის მწუხარებისადმი ისეთი მონიწება

იგრძნო, კოცნაც ვერ გაუბედა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ნეტავი კიდევ რას მეტყვისო! რაშელთან ყოფნის დროს დღითიდღე ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ეგონა, როგორც იქნა მივაგენი წერტილს, როცა საშუალება მეძლევა ჩემი საყვარლის წარსული ცხოვრების ერთი კუთხე მაინც დავინახოო; მაგრამ მეორე დღეს რაიმე აღსარება ან მოგონება, ხანაც უბრალო ქარაგმა უეცრად ისეთ წარმოუდგენელ ჰორიზონტებს გადაუშლიდა, რომ მას ხელახლა თავგზა ებნეოდა.

რაშელი თმის შესასწორებლად წამოიწია, მაგრამ უცებ გაშეშდა: ხელი ეკრანისკენ გაეშვირა.

— ოჰ! — წამოიძახა მან და ცრემლშეუშრობელი თვალები ყურადღებით მიაპყრო ცხენოსან გოგონას, რომელიც ცხენს გაშმაგებით მიაჭენებდა, ხოლო ოცდაათიოდე ინდიელი მხედარი კვალდაკვალ ისე მისდევდა, იტყოდით, ძაღლების ხროვა ნადირს მიერეკებაო. ამორძალი კლდეზე აზობდა ცხენით, წამით კლდის თხემზე პროფილით გამოჩნდა, ციცაბო კალთას დაჰყვა და უყოყმანოდ გადაეშვა მორევში; ოცდაათი მხედარი უკან დაედევნა და აქაფებულ ტალღებში გაქრა; მაგრამ ქალს უკვე მიეღწია ნაპირისათვის, ცხენს დეზი ჰკრა და ხელახლა გააჭენა: ამაოდ: მდევრები ფეხდაფეხ მისდევდნენ. ის იყო ლასოც უნდა გადაესროლათ, რომლის ტკაცუნი ჰაერში უკვე მოისმა მის თავზე, მაგრამ ამ დროს ქალი რკინის ხიდზე ავარდა, რომლის ქვეშ სწრაფმა მატარებელმა გრიგალივით ჩაიქროლა. ქალი იმ წამსვე მოწყდა უნაგირს, მოაჯირზე გადაალაჯა და სიცარიელეში ჩახტა.

დარბაზი სულგანაბული უყურებდა.

გოგონა ხელახლა გამოჩნდა: სწრაფი მატარებელი შორს მიაქროლებდა. თმაგაწეწილი, ღონეშემოყრილი იდგა ვაგონზე და ქარი კაბის კალთებს უფრიალებდა. ინდიელები კი ხიდქვეშ იდგნენ და ამაოდ უმიზნებდნენ თოფს.

— ნახე? — წამოიძახა კმაყოფილებისაგან აკანკალებულმა რაშელმა. — ვგიჟდები, ისე მიყვარს ასეთი რამეები!

ანტუანმა ხელახლა მიიზიდა ქალი, მუხლებზე დაისვა, მკლავები მოხვია, ბავშვივით გულში ჩაიკრა, უნდოდა დაემშვიდებინა და მათი სიყვარულის გარდა ყველაფერი დაევიწყებინა. ხმას არ იღებდა, მის ყელსაბამს ეთამაშებოდა მხოლოდ: თაფლისფერი მძივები ერთმანეთისგან დაშორებულიყვნენ მონაცრისფრო-ტყვიისფერი ქარვის მარცვლებით, რომლებიც თითებში სრესისაგან თბებოდა და ისეთ მკვეთრ სუნს გამოსცემდა, რომ ხშირად ორი დღის შემდეგაც კი გრძნობდა ანტუანი ხელის გულზე იმ სურნე-

ლებას. როცა ანტუანმა კაბის უბე გახსნა და ლოყა მკერდზე მიადო, რაშელი არ განძრეულა:

— შემოდით! — წამოიძახა მან უცებ.

თეატრის ახალგაზრდა კონტროლიორს ლოჟა შეშლოდა, ამიტომ მაშინვე მიხურა კარი, თუმცა მაინც მოასწრო და ანტუანის მკლავებში მომწყვდეულ მკერდგაღეღილ რაშელს ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი. ანტუანმა წამოწევა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო.

რაშელს გაეცინა.

— რა სულელი ხარ! მან, ალბათ, იფიქრა.. კარგი გოგო კი იყო, არა?

ამ სიტყვებმა, მისმა ტონმა ისე გააკვირვა ანტუანი, შეეცადა რაშელის გამომეტყველება დაეჭირა. მაგრამ იგი შუბლით მიყრდნობოდა მის მხარს და მხოლოდ სიცილიღა შემოესმა: იდუმალი, თითქმის ჩუმი ქირქილი, რომელიც ანტუანს უსიამოვნო გრძნობას ჰგვრიდა მუდამ.

ის შეუცნობელი მხარე, რასაც დროდადრო ამჟღავნებდა ხოლმე რაშელი, პირდაღებული უფსკრულის შთაბეჭდილებას ტოვებდა მასზე. უხერხულობასა და ცნობისმოყვარეობას რაღაც ფარული შეურაცხყოფაც ემატებოდა. რადგან აქამდე იგი, როგორც ექიმი, ყველას აოცებდა თავისი სკეპტიკური ღიმილითა და ნაცადი ქარაგმებით. მაგრამ რაშელის გამოჩენისთანავე როლები შეიცვალა: ანტუანმა აღმოაჩინა, რომ საოცრად გამოუცდელი ყოფილა, ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვერ უტყდებოდა, მაგრამ გრძნობდა, ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ.

ერთხელ, ვალში რომ არ დარჩენილიყო, თვითონაც სცადა კლინიკის შთაბეჭდილებებთან ერთად ყურმოკრული ბილწი ანეკდოტები ეამბნა და რაღაც უცნაური ეროტიული ამბავიც კი შეეთხზა, სპეციალურად რაშელისათვის; თანაც ისე ჰყვებოდა, თითქოს თვითონაც ყოფილიყო მონაწილე, მაგრამ რაშელს სიცილი აუტყდა:

— გეყოფა, გეყოფა! — ალერსიანად შეაწყვეტინა მან, — რად მინდა ეს ამბები? განა მე ისეთი არ მიყვარხარ, როგორიც ხარ?

ანტუანი გაწითლდა, ეწყინა და მსგავსი რამ აღარასოდეს უცდია.

ანტრაქტი ისე დამთავრდა, არც ერთს არ ამოუღია ხმა.

ეკრანზე აფრიკული ფილმის ანონსი გამოჩნდა. დარბაზში ჩაბნელდა. ორკესტრმა ზანგური მელოდია დაუკრა.

რაშელმა თავისი სკამი გასწია და ლოჟის ბარიერს მიუჯდა.

— ხეირიანი სურათი მაინც იქნებოდეს! — წაილაპარაკა მან.

პეიზაჟი პეიზაჟს სცვლიდა, მდინარის მკვდარი წყალი მიედინებოდა უზარმაზარ ხეებქვეშ, რომელთა ერთმანეთში გადახლართული ფესვები მი-

წას ჩაკრეჭოდა. ჰიპოპოტამი დამხრჩვალი ხარის ლეშივით დაცურავდა წყლის ზედაპირზე. შავი, პატარა მაიმუნები, რომლებსაც თეთრი ბეწვი ხელსახოცივით ეფინათ მკერდზე და ბებერ მეზღვაურს წააგავდნენ, ქვიშაზე აცოცობდნენ. აი, სოფელიც გამოჩნდა: გვალვით დახეთქილი, უკაცრიელი მოედანი; ქოხები და ღობეები; ეზო „სადაც ახალგაზრდა ქალები" ფუნჩულები წელსზევით გაშიშვლებულიყვნენ, ქარშემოკრული გავები უკან გაეშვირათ და გრძელ, ხის ჭურჭლებში ნაყავდნენ ბარცვალს; ირგვლივ პატარა ზანგები გორავდნენ მტვერში; ქალებს ფართო კალათები მოჰქონდათ: ზოგს თერძივით მოეკეცა ფეხები და ართავდა, მარცხენა ხელში მატყლის ფთილა ეჭირა, მარჯვენათი კი ხის გობში დამაგრებულ ბზრიალასებურ თითისტარს ატრიალებდა, რომელზედაც ძაფი ეხვეოდა.

რაშელს ფეხი ფეხზე შემოედო, მკლავით მუხლს დაყრდნობოდა, ნიკაპი ხელისგულებზე დაებჯინა და ეკრანს თვალს არ აშორებდა. ანტუანს მისი სუნთქვა ესმოდა: დროდადრო ქალი დაბალ ხმაზე ეუბნებოდა:

— ფისო... შეხედე... შეხედე!

ფილმი ტამტამის ველური მუსიკით დაამთავრეს; პალმის ხეებით დარგულ მოედანს ჩინდი ეფინებოდა. შავკანიანთა ბრბო დაძაბული სახეებითა და სიხარულით ათრთოლებული სხეულებით გარს შემოხვეოდა სრულიად გატიტვლებულ ორ ლამაზ, მთვრალ ზანგს, რომლებსაც ოფლისაგან კანი უპრიალებდათ; ისინი ერთმანეთს დასდევდნენ, ხან ეჯახებოდნენ, ხან გვერდზე გასხლტებოდნენ, შემდეგ ხელახლა მივარდებოდნენ ერთმანეთს კბილების ღრჭენით, მებრძოლი, ავხორცული, რიტმული ექსტაზით ეხახუნებოდნენ ურთიერთს, რადგან მათი მიმიკა საბრძოლო აღტყინებასაც გამოხატავდა თანმიმდევრობით და ავხორცულ სიყვარულსაც. შავკანიანი მაყურებელი სუნთქვაშეკრული იდგა, სიხარულით ფეხებს აბაკუნებდა, ორი თავაწყვეტილი მოცეკვავის ირგვლივ თანდათან წრეს ავიწროებდა და განუწყვეტელი, თანდათანობით აჩქარებული ტაშისა და დაფდაფის ცემით უფრო მეტად ახელებდა. კინოდარბაზში ორკესტრი დადუმებულიყო. კულისებიდან თანაბარი ტაშისცემა მოისმოდა, რაც თავბრუდამხვევ სიცოცხლეს შთაუბერავდა ნახულ სახეებს, ხოლო ამ დაღმეჭილი მოცეკვავე ფანატიკოსების შემაძრწუნებლად დაძაბულ ავხორცობას გადამდებსა ხდიდა.

სეანსი დამთავრდა.

ხალხმა დარბაზი დატოვა. დამლაგებლები ტილოს შალითებს აცმევდნენ სავარძლებს.

გაოგნებული რაშელი ხმას ვერ იღებდა; წამოდგომაც ვერ მოეხერხებინა, მაგრამ როცა ანტუანმა მანტო მიაწოდა, მხოლოდ მაშინ ადგა და ტუ-

ჩებში აკოცა საყვარელს. ისინი უხმოდ გავიდნენ ყვეყაზე ბოლოს. კინო-თეატრის წინ, სადაც ათასფვარი განათობი აფკილეციდან გამოსული ხალ-ხი ირეოდა, ბულვარის სუფთა ჰაერზე სინათლეებით აციმციმებულ ღამის სითბოში, სადაც შემოდგომის ფოთლები უკვე ტრიალებდნენ, ანტუანმა რაშელს ხელმკლავი გაუყარა და ყურში ჩასჩურჩულა, შინ წავიდეთო.

— ოჰ, ჯერ არა. სადმე სხვაგან წამიყვანე. მწყურია. — წამოიძახა რა-შელმა.

შემდეგ, პერისტილის ქვეშ მოწყობილი ვიტრინა რომ დაინახა, მობ-რუნდა, უნდოდა ახალგაზრდა ზანვის სურათი ერთხელ კიდევ ენახა.

— ოჰ, — თქვა მან, — პირდაპირ საოცარია, როგორ ჰგავს იგი იმ ყმაწვილს, რომელმაც კაზამანსის * მთელი სანაპირო ჩვენთან ერთად გა-მოიარა. უთლოფი იყო: მამადუ დენგო.

— სად წავიდეთ? — ჰკითხა იმედგაცრუებულმა ანტუანმა, თუმცა თა-ვისი უკმაყოფილება არაფრით გამოუხატავს.

— სულ ერთია. იქნებ, „ბრიტანიკაში" წავსულიყავით? ან არადა, პეკმელთან? ოღონდ ფეხით გავიაროთ. ჰო, პეკმელთან. გაყინული შარტ-რეზი დავლიოთ და შინ დავბრუნდეთ.

იგი თავდავიწყებით მიეკრო ანტუანს და ამ მოძრაობაში მრავალი და-პირება ჩააქსოვა.

— სწორედ დღეს, ამ ფილმის ნახვის შემდეგ, განსაკუთრებით მწყდე-ბა გული იმ პატარა მამადუს გახსენებაზე, — განაგრძო მან, — გახსოვს, სურათი გაჩვენე, სადაც ირში ვეშაპზე სანადირო გემის კიჩოზე ზის?! შენ კიდევაც თქვი, კოლონიურ ჩაფხუტში გამოწყობილ ბუდას ჰგავსო. ჰოდა, თეთრი ბუჩუთი მორთული შავ-შავი ბიჭი, რომლის მხარსაც ხელით ეყრდნობოდა ირში, სწორედ მამადუ იყო.

— რა იცი, იქნებ, ესეც მისი სურათია? — გულის მოსაგებად უთხრა ანტუანმა.

რაშელმა არაფერი უპასუხა, ოღონდ შეაჟრჟოლა.

— საცოდავი ბიჭი! რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ თვალწინ ჩანთქეს ნიანგებმა! ჰო, ბანაობის დროს. თუმცა, არა, ირშმა... ირშმა სანაძლეო დადო, მამადუ ვერ გაბედავს და მდინარის რომელიღაც ტოტს ვერ გადა-ცურავსო! ჩემ მიერ მოკლული ქოჩორა ყანჩა უნდა ამოეღო წყლიდან. ოჰ, როგორ ვინანე შემდეგ, რად მოვკალი ის ყანჩა-მეთქი! ბიჭმა გადაწყვიტა ბედი ეცადა, წყალში გადაეშვა და გაცურა; ჩვენ თვალს ვადევნებდით... და უცებ! ოჰ, საშინელი სურათი იყო! წარმოგიდგენია? სულ რამდენიმე წამ-ში მოხდა ყველაფერი... დავინახეთ, როგორ აითვალა წყლის ზედაპირზე,

ნიანგმა, ეტყობა, ფეხში ჩაავლო პირი... ოო, როგორ დაიყვირა! ასეთ შემთხვევაში ირმს ბადალი არა ჰყავდა; მაშინვე მიხვდა ყველაფერს, ბიჭი დაღუპულია და საშინელი ტანჯვით სიკვდილი ელისო. დაუმიზნა და ბუფ! გოგრასავით გაუსკდა თავი. ასე სჯობდა, ხომ მართალია? მაგრამ მაშინ კინაღამ გული შემიწუხდა.

რაშელი გაჩუმდა და ანტუანს მაგრად მიეკრა.

— მეორე დღეს გადავწყვიტე ის ადგილი სამახსოვროდ გადამეღო. წყალი ისეთი ანკარა, ისეთი წყნარი იყო, თვალს არ ვუჯერებდი...

მას ხმა შეცვლოდა. ხელახლა დადუმდა, ამჯერად კარგა ხანს. შემდეგ ისევ განაგრძო:,

— ოჰ, ირმისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს! მას ხომ ძალიან უყვარდა ის ბიჭი! მაგრამ ხელი არც კი აკანკალებია. ასეთი კაცია... იმ უბედური შემთხვევის შემდეგაც მაგრად იყო და თავისი მაღვიძარა საათი შეჰპირდა იმას, ვინც ქოჩორა ყანჩას წყლიდან ამოიტანდა. მე აღარ მინდოდა; მიბრძანა, ხმა ჩაიწყვიტეო და წარმოიდგინე, იძულებული გავხდი, დავმორჩილებოდი... ბოლოს და ბოლოს, მაინც მივიღე ჩემი ყანჩა. ერთმა მებარგულმა გაბედა და ჩვენს ბიჭზე იღბლიანი აღმოჩნდა.

რაშელს გაეღიმა.

— ახლაც შინა მაქვს. მისი ბუმბულით ნაცრისფერი ხავერდის პატარა ქუდი მქონდა გაწყობილი ამ ზამთარს. რომ იცოდე, რა ლამაზია!

ანტუანი დუმდა.

— ოჰ, რამდენი წააგე, ის ადგილები რომ არ გინახავს! — უთხრა რაშელმა და ერთბაშად მოშორდა. მაგრამ, ეტყობა, მაშინვე ინანა, ხელახლა გაუყარა ხელმკლავი. — ყურადღებას ნუ მაქცევ, ფისო: ასეთი საღამოები, როგორიც დღესაა, ავად მხდის მუდამ. დარწმუნებული ვარ, ახლაც სიცხე მექნება... საქმე ისაა, რომ საფრანგეთში სული მეხუთება. მხოლოდ იქაა ნამდვილი ცხოვრება! ოჰ, რომ იცოდე, როგორი თავისუფალია თეთრკანიანი შავკანიანთა შორის! აქ ვერავინ წარმოიდგენს, რას ნიშნავს იქაური თავისუფლება! არავითარი კანონი, არავითარი კონტროლი! არავითარი შიში არა გაქვს, რას იტყვიან შენზე! გესმის? შეგიძლია მიხვდე, რას ნიშნავს ეს? უფლება გაქვს ყველგან და ყოველთვის იყო ისეთი, როგორიც ხარ!.. შავკანიანებთან ისევე თავისუფლად გრძნობ თავს, როგორც აქ, საკუთარ ძაღლთან! მაგრამ ამასთანავე, შენ ცხოვრობ შესანიშნავ ადამიანთა შორის, ვერ წარმოიდგენ, რა ტაქტიანი, ზნეობრივად ფაქიზი ხალხია! შენს ირგვლივ მხოლოდ მხიარული და ახალგაზრდული ღიმილია, ანთებული თვალებია, შენს უმნიშვნელო სურვილს იმწამსვე რომ ხვდებიან... მახსოვს...

ხომ არ მოგწყინდა, ფისო?.. მახსოვს, ერთხელ შებინდებისას გაშლილ მინდორში შევისვენეთ. ირში რომელიღაც ტომის მეთაურს ელაპარაკებოდა წყაროსთან, სადაც ქალები წყლის ასაღებად მიდიოდნენ. სწორედ ამ დროს ორი მშვენიერი გოგონა დავინახეთ, რომელთაც თხის უზარმაზარი ტიკი მოჰქონდათ. „ჩემი ქალიშვილები არიან!“ — გვითხრა კაიდმა.* მეტი არაფერი უთქვამს. მოხუცი მიხვდა. იმავე საღამოს მე და ირში კარავში ვისხედით. უცებ ჭილობი აიწია და ის ორი გოგონა ღიმილით შემოვიდა. როგორც გითხარი, შენს უმნიშვნელო სურვილსაც კი მიხვდებიან! — განაგრძო რაშელმა და რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გაიარა. — ერთი შემთხვევაც მახსენდება... იცი, ძალიან მომეშვება ხოლმე გულზე, როცა ამ ამბებს ვინმეს ვუყვები... მაგონდება ერთი ადგილი — ლომე,* კინოში ვიყავით... საღამოობით ყველა მიდის კინოში. კინო-თეატრი მოწყობილია კაფეს გაჩახჩახებულ ბანზე, ირგვლივ ყუთებში ჩარგული მცენარეებია. შუქს აქრობენ და ფილმი იწყება. ხალხი გამაგრილებელ სასმელებს წრუპავს. წარმოგიდგენია? თეთრი ტილოს ტანსაცმელში ჩაცმული, ეკრანის ანარეკლით ოდნავ განათებული ევროპელები მაგიდებს უსხედან; მათ უკან ენით აუწერელი ლურჯი ღამე ჩამოწოლილა, ხოლო ვარსკვლავები ისე არსად ციმციმებენ, როგორც იქ; ირგვლივ ადგილობრივი მცხოვრებლები, ქალიშვილები და ჭაბუკები დგანან სიბნელეში, სახეები ძლივს მოუჩანთ, სამაგიეროდ, თვალები, ლამაზი თვალები კატის თვალებივით უბრწყინავთ!.. ჰოდა, არავითარი ნიშნის მიცემა არ გჭირდება! საკმარისია, რომელიმე ამ პრიალა სახეს დააკვირდე, წამით ღრმად ჩახედო თვალებში... და მორჩა. საკმარისია. რამდენიმე წუთის შემდეგ ადგები, უკან არც კი მოიხედავ, ისე გახვალ, ბრუნდები სასტუმროში, რომლის კარს განგებ არ ჰკეტავ... მე მეორე სართულზე ვცხოვრობდი... ტანთ გახდა ძლივს მოვასწარი... მესმის, დარაბაზე აფხაჭუნებენ. შუქს ვაქრობ, კარს ვაღებ: ისაა! ყმაწვილი ხვლიკივით ამომძვრალიყო კედელზე, თავისი ბუბუ უხმოდ ჩაიძრო ტანიდან. არასოდეს არ დამავიწყდება... ტუჩები სველი ჰქონდა, გრილი, ისეთი გრილი...,

„დასწყევლოს ეშმაკმა! — უნებურად გაიფიქრა ანტუანმა. — ზანგი? წინასწარი სამედიცინო შემოწმების გარეშე!..“

— ოჰ, როგორი კანი აქვთ! — განაგრძობდა რაშელი. — ხილის კანივით თხელი. ვერც კი წარმოიდგენ, რა არის ეს! ატლასივით სრიალა, მშრალი კანი, თითქოს ეს-ეს არის, ტალკი წაუსვამთო; უზადო, სრულიად უხორკლო, დაუცვარავი, ცხელი კანი, ოღონდ ეს სითბო შიგნიდან მოდის. აი სწორედ ისეთი, მარმაშის სახელთებიდან სიცხეს რომ იგრძნობ ხოლმე... გესმის? ანდა ფრინველის თბილი სხეული თუ მოგისინჯავს მისი ბუმ-

ბუჩქის ქვეშ!.. როცა ამ კაცს იქაურ სინათლეზე უყურებ, როცა მზის სხივი ამ მხრებსა თუ თეძოებს დასთამაშებს, ამ მოყავისფრო-ოქროსფერ აბრეშუმს რაღაც მოლურჯო ფერად ედება; არ ვიცი, როგორ აგიხსნა... იტყვი, ფოლადის შეუმჩნეველი ფხვნილი მოუყრიათ ზედ, ან მთვარის ანარეკლი შეუწყვეტლად ციმციმებსო... ახლა თვალებს არ იკითხავ? ალბათ, შეგიმჩნევია, რა ალერსიანი თვალები აქვთ? გუგები სხარტად დაჰქრიან თეთრ სკლერაზე, რომელსაც მოყვითალო ფერი დაჰკრავს... ამას გარდა, არ ვიცი, როგორ აგიხსნა... იქ სიყვარულიც სხვანაირია, ვიდრე თქვენთან. იქ ეს არის მდუმარე აქტი, თანაც წმიდათაწმიდა და ბუნებრივი. ღრმად ბუნებრივი. ამ დროს გამორიცხულია ყოველგვარი ფიქრი და თუ აქ ესა თუ ის თავშექცევა მეტნაკლებად მალულად ხდება, იქ იგი ისეთივე კანონიერია, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესავით, სიყვარულივით ბუნებრივი და წმიდათაწმიდა. გესმის, ჩემო ფისო?.. ირში მუდამ ამბობდა, ევროპაში თქვენ ხელთაა ის, რასაც იმსახურებთ. იქ კი ჩვენთვის, თავისუფალი ხალხისათვის შექმნილი მხარეაო. ოჰ, როგორ უყვარდა შავკანიანები!

გაეცინა.

— იცი, პირველად როგორ შევამჩნიე ეს ამბავი? მგონი, კიდეც მოგიყევი. ბორდოს რესტორანი. ჩემს პირდაპირ იჯდა. ვსაუბრობდით. უეცრად ჩემს უკან წამით ვიღაცას მიაშტერდა, თვალები ისე... ისე უცნაურად გაუბრწყინდა, რომ სწრაფად მოვბრუნდი და უფლისწულივით მშვენიერი, თხუთმეტიოდე წლის შავკანიანი ბიჭი შევამჩნიე, ფორთოხლებით სავსე სინი მოჰქონდა.

— შესაძლებელია, — დაუმატა მან მიმქრალი ხმით, — სწორედ იმ დღეს გამიჩნდა სურვილი, მეც წავსულიყავი იქ...

ერთხანს დუმილით მიდიოდნენ.

— ვოცნებობ, — წამოიწყო მან ხელახლა, — ვოცნებობ, სიბერეში საკუთარი სახლის მფლობელი გავხდე... დიახ... ნუ აღშფოთდი, ასეთი სახლები ათასნაირია; რასაკვირველია, მე წესიერი სახლი მექნება!.. ერთი სიტყვით, მოხუცთა შორის დაბერება არ მსურს... მე მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემს ირგვლივ მუდამ იქნებიან ახალგაზრდები, ლამაზი და ახალგაზრდა სხეულები, თავისუფალი და ვნებიანი ხალხი... შენთვის ესეც გაუგებარია, ხომ, ძვირფასო?

ამ ლაპარაკში პეკმელის რესტორანს მიუახლოვდნენ და ანტუანეტას არაფერი უთხრა. თუმცა პასუხი ვერც მოეფიქრებინა; რაშელის უცნაური გამოცდილება გაკვირვებასღა იწვევდა მასში. იგი გრძნობდა, რომ ისინი ძალიან განსხვავებულნი არიან, რომ იგი თავისი ბურჟუაზიული წარმო-

შობით, საქმიანობით, პატივმოყვარეობით, წინასწარ ორგანიზებული მომავლით მაგრად იყო მიჯაჭვული საფრანგეთის მიწაზე. იგი მშვენივრად გრძნობდა იმ ბორკილებს, რომელთაც იგი შეებოჭათ, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნატრია მათი დამსხვრევა; ის, რაც ასე ძალიან უყვარდა რაშელს, მას სძულდა, მისთვის უცხო იყო. შინაურ ცხოვრებასაც ასე სძულთ ხოლმე ყოველივე, რაც კი სახლის ირგვლივ დაძრწის და ოჯახის სიმშვიდეს ემუქრება.

ბარის ფასადი ჩაბნელებულსა ჰგავდა და შიგნით გამეფებულ გამოცოცხლებას ჟოლოსფერი ფარდებიდან გამოსული სინათლის ზოლებით თუ მიხვდებოდით. მბრუნავი კარი აჭრიალდა, შეტრიალდა და მტვრითა და ალკოჰოლის სუნით გაჟღენთილ ცხელ ჰაერში ქარის ქროლვა შეიჭრა.

დარბაზში ტევა არ იყო. ცეკვავდნენ. რაშელმა თავისუფალი მაგიდა შენიშნა საგარდეროობესთან ახლოს და ჯერ მანტო არც კი ჰქონდა გახდილი, ყინულიანი მწვანე შარტრეზი რომ შეუკვეთა. როგორც კი დაკვეთა მოუტანეს, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, თვალები დახარა, პირში ორი წვეთი ჩაიდო და აღარ განძრეულა.

— მოიწყინე? — წასჩურჩულა ანტუანმა.

რაშელს სმა არ შეუწყვეტია, ქუთუთოები წამით ასწია და, შეძლებისდაგვარად, მხიარულად გაუღიმა.

გვერდით მაგიდაზე ვიღაც იაპონელი იჯდა, ბავშვური გამომეტყველება და ჩაჟანგებული, პატარა კბილები ჰქონდა. მის ახლოს შავგვრემან ქალს სუფრაზე ურცხვად გაეჭიმა ათლეტური მკლავი, რომელსაც იაპონელი უგულისყუროდ უსინჯავდა.

— ხელახლა შეუკვეთე ჩემთვის შარტრეზი, კარგი? — თხოვა რაშელმა ანტუანს და ცარიელი ჭიქა დაანახვა.

ანტუანმა ვიღაცის შეხება იგრძნო მხარზე.

— უცებ ვერ გიცანით! — უთხრეს მეგობრულად, — წვერი მოგიპარსიათ?

მის წინ დანიელი იდგა, კოხტა, ტანაშოლტილი. ჭაღის შუქი მკვეთრად ანათებდა მის სუფთა, ოვალურ სახეს, ხელში მარაო-რეკლამა ეჭირა, რომელსაც ზამბარასავით ღუნავდა, მერე ხელს უშვებდა და თან უტიფრად იღიმებოდა. იგი წააგავდა შურდულის შემოწმებაში გართულ ჭაბუკ დავითს. *

ანტუანმა რაშელს გააცნო იგი, და ერთბაშად მოაგონდა დანიელის ნათქვამი: „მეც თქვენსავით მოვიქცეოდი, თქვე მატყუარავ!“ ახლა მას ეს

მოგონება საწყენად აღარ ეჩვენებოდა, და როცა ახალგაზრდა კაცმა ოდნავ გამომწვევად შეათვალიერა რაშელი, ანტუანს კიდეც მოეწონა მისი გამომეტყველება. დანიელი ჯერ ხელზე ემთხვია ქალს, მერე მის სახეს, მხრებსა და ყელს დააკვირდა: ატმისფერი აბრეშუმის ფონზე რაშელის ყელი და მკერდი განსაკუთრებული სითეთრით გამოირჩეოდა.

დანიელმა ანტუანს გადახედა, შემდეგ თითქოს ნამუშევარს უქებსო, ქალსაც გაუღიმა.

— დიახ. მართალია. ასე გაცილებით სჯობს! — დაასკვნა მან.

— გაცილებით სჯობს, სანამ ცოცხლები ვართ! — ქილიკა სტუდენტის ტონით უპასუხა ანტუანმა. — მაგრამ ჩემსავით რომ გვამებთან გქონდეთ საქმე!.. ორი დღის შემდეგ...

რაშელმა მაგიდას დაჰკრა ხელი, უნდოდა ანტუანი გაეჩუმებინა. ხშირად ავიწყდებოდა, რომ იგი ექიმი იყო. მერე ანტუანისკენ მიაბრუნა თავი, წამით დააცქერდა და წაიჩურჩულა:

— ჩემი ტუბიბი [1].

ნუთუ ეს ის სახე იყო, რომელსაც პირველად ლამპის მკვეთრ შუქზე შეჰყურებდა ოპერაციის ღამეს, ახლა კი ასეთი ახლობელი გამხდარიყო მისთვის? ნუთუ ეს იგივე ვაჟკაცური, შიშისმომგვრელი, მშვენიერი და მარად მიუწვდომელი პირისახე იყო? განსაკუთრებით ახლა, წვერის გაპარსვის შემდეგ ყოველი ამობურცული თუ ჩაზნექილი ადგილი, სულ პაწაწინა ხალიც კი, ნაცნობი იყო მისთვის! სამართებელმა ერთბაშად გამოაჩინა ოდნავ ჩავარდნილი ლოყები, მოდუნებული კანით; მათი რბილი კონტური ქვედა ყბის უხეშ მოხაზულობას არბილებდა. ბრმისა არ იყოს, რა ადვილად, თითების ფათურითაც კი ცნობდა მათ, რადგან სიბნელეში რამდენჯერმე მოუმწყვდევია ხელში, ცნობდა ყბის ამ ოთხკუთხა ძვალსა და ნიკაპის მოკლე გამონაშვერს, რომელიც ქვემო ნაწილში ისე ბრტყელდებოდა, გაკვირვებულმა კიდეც უთხრა ერთხელ, თითქმის გველისებური ყბა გაქვსო; მაგრამ, მისი აზრით, წვერის გაპარსვის მერე ყველაზე ამოუცნობი პირის ჭრილი რჩებოდა, ტეხილი, გრძელი და ძალიან მოქნილი, თანაც უძრავი ჭრილი, რომლის კუთხეები ზევით არასოდეს იწევდა, ხოლო ქვევით — ძალიან იშვიათად; ამ პირის ჭრილს კუთხეებთან ძლიერი, თითქმის არაადამიანური ნაოჭები ჰქონდა, რომელთაც ანტიკურ ქანდაკებებს თუ შეამჩნევთ მხოლოდ ბაგეებზე. „ნუთუ ასეთი ძლიერი ნებისყოფა აქვს?“ თავისთავს ეკითხებოდა

---

[1] ტ უ ბ ი ბ ი — (არაბ.) ექიმი, ექიმბაში.

ქალი. მან თავი დახარა, თვალები ეშმაკურად გადაატრიალა და რბილი, გრძელი წამწამები წარბით ოქროსფრად აუციმციმდა.

ანტუანს შეყვარებულის ბედნიერი ღიმილი ეფინა სახეზე, კმაყოფილი იყო, რაშელი ასე რომ ათვალიერებდა. წვერის გაპარსვის შემდეგ სულ სხვა შეხედულება გაუჩნდა თავისთავზე, წინანდებურად დიდ მნიშვნელობას აღარ აძლევდა თავის მტკიცე გამოხედვას, მან ახალი შესაძლებლობანი აღმოაჩინა თავისთავში, რაც დღითიდღე უფრო მოსწონდა. და საერთოდ, უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძნობდა, რომ ძირფესვიანად გარდაიქმნა; რაშელთან შეხვედრამდე მის ცხოვრებაში მომხდარი ამბები წყვდიადით მოცულიყო. ეს ამბები წინათ მოხდა! რის წინ? უფრო ღრმად დაზუსტებას არც ცდილობდა: ვარდაქმნის წინ. მორჩა და გათავდა! რადგან იგი სულიერადაც თითქოს უფრო მოქნილი გახდა, უფრო დავაჟკაცდა, მაგრამ თანაც უფრო გაახალგაზრდავდა. იგი სიამოვნებით იმეორებდა გულში, უფრო ღონიერი გავხდიო. მართალი იყო. შესაძლებელია, ეს ღონე წინანდელზე უფრო უგულისყურო ყოფილიყო, სამაგიეროდ, თავისი უშუალობით უფრო ძლიერი და თავისი ლტოლვით უფრო ჭეშმარიტი გახლდათ. ამის შედეგს მუშაობაშიც გრძნობდა, რაც სიყვარულის წყალობით კინაღამ შეფერხდა, მაგრამ მალე ჩვეულებისამებრ წარიმართა და მის ცხოვრებას წყალუხვ მდინარესავით ავსებდა ხელახლა.

— ჩემს გარეგნობას ნუ აქცევთ ამდენ ყურადღებას! — უთხრა ანტუანმა დანიელს და სკამი შესთავაზა, — ეს-ეს არის კინოდან გამოვედით. აფრიკული სურათია!

— ოდესმე თუ წასულხართ ევროპიდან? — ჰკითხა მას რაშელმა.

დანიელი გააოცა მისი ხმის ტემბრმა.

— არა, ქალბატონო.

— ჰოდა, — განაგრძო ქალმა და ახლადმოტანილ შარტრეზს ორი წვეთით ხარბათ დაეწაფა, — წადით, ნახეთ ის ფილმი... სხვათა შორის, მებარგულეების მსვლელობასაც ნახავთ მზის ჩასვლის დროს... ხომ კარგია, ანტუან? ასევე ნახავთ პატარა ბიჭებს, რომლებიც ქვიშაზე გორაობენ, სანამ ქალები პიროგუას ცლიან...

— აუცილებლად წავალ, — თქვა დანიელმა და ქალს თვალი ვერ მოსწყვიტა. — ანიტას თუ იცნობთ? — დაუმატა მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

უარყოფის ნიშნად რაშელმა თავი გააქნია.

— ფერადკანიანი ამერიკელი ქალია, ამ ბარის მუდმივი სტუმარი. შეხედეთ, აქედანაც მოჩანს: თეთრი კაბა აცვია და იმ მაღალ-მაღალი მარიყოზნეფის უკან დგას, რომლის შესახებ ამბობენ, ბევრი მარგალიტი აქვსო.

რაშელი წამოიწია და მოცეკვავე წყვილებს შორის ფართოფარფლებიანი ქუდით დაჩრდილული მოყავისფრო პროფილი შეათვალიერა.

— იგი შავკანიანი კი არა, კრეოლია! — თქვა მან და იმედგაცრუება ვერ დაფარა.

დანიელს ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— მაპატიეთ, ქალბატონო! — უთხრა მან და შემდეგ ანტუანს მიუბრუნდა: — აქ ხშირად დადიხართ?

ანტუანმა კინაღამ უპასუხა, დიახ, მაგრამ რაშელის იქ ყოფნამ აიძულა, სიმართლე ეთქვა.

— თითქმის არასოდეს! — მიუგო მან.

რაშელი თვალს ადევნებდა ანიტას, მას მარი-ჟოზეფთან დაეწყო ცეკვა. ამერიკელ ქალს თეთრი ატლასის კაბა ეცვა, რომელიც გედის ბუმბულივით ლაპლაპებდა მის მოქნილ ტანზე და გრძელი ფეხების ყოველ მოძრაობაზე სადაფის ფერებს ისროდა.

— ხვალ მეზონში მოდიხართ? — ჰკითხა ანტუანმა.

— იქედან ამ საღამოს დავბრუნდი! — უპასუხა დანიელმა. უნდოდა ტაკზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ერთი ახალგაზრდა ქალი დაინახა და სწრაფად წამოდგა; ქალი ესპანელს ჰგავდა, ყვითელი შალი ეხურა მხრებზე, აქეთ-იქით იყურებოდა, ჩანდა, ვიღაცას ეძებდა.

— მაპატიეთ! — წაიბუტბუტა დანიელმა და წავიდა.

მან ქალს ფრთხილად შეუყო ხელი შალს ქვეშ და ცეკვით წაიყვანა დარბაზის იმ კუთხისკენ, სადაც მუსიკოსები ისხდნენ.

ანიტა შეჩერდა. რაშელი თვალს ადევნებდა: ქალმა მშვენიერი ვედის მშვიდი ნარნარით გაიარა მოცეკვავეთა ტალღა და იმ კუთხისკენ გაცურა, სადაც ანტუანი და რაშელი ისხდნენ. კრეოლი ოდნავ შეეხო ანტუანის სკამს, რაშელს ახლოს ჩაუარა და იქვე, გრძელ სკამს მიუახლოვდა; შემდეგ ჩანთიდან რაღაც ნივთი ამოიღო, ხელის გულში მოიმწყვდია და, რაკი ეგონა, არავინ მიყურებსო, ან, იქნებ, არაფერს დაგიდევდათ, ცალი ფეხი გრძელ სკამზე შემოსდო, კაბის კალთა მოხერხებულად აიკეცა და ბარძაყში ნემსი გაირჭო. თეთრი აბრეშუმის ორ ზოლს შორის რაშელმა თვალი მოჰკრა თამბაქოსფერი ხორცის ვიწრო ხაზს და თვალების ხამხამი ვერ შეიკავა. ანიტამ კაბა ჩაიწია, შემდეგ მოშვებული მოძრაობით წელში გასწორდა, რის გამოც ყურის ბიბილოზე მარგალიტით მიმაგრებული ბროლის საყურეები თვალისმომჭრელად აუციმციმდა შავგვრემან ლოყებზე და ნელი ნაბიჯით მეგობარ ქალთან დაბრუნდა.

რაშელი ხელახლა დაეყრდნო მავიდას, თვალი დახუჭა და გაყინული ლიმონის ფერთიდან მოწრუპა. ვიოლინოთა ტკბილ ხმასა და მრავალენოვანი მეტყველი ქამანჩების გაუთავებელ მოძრაობას იგი მოეთენთა, თითქოს გაებრუებინა.

ანტუანი უყურებდა.

— ლულუ... — წაიჩურჩულა მან.

რაშელმა თვალები გაახილა, უკანასკნელი მწვანე წვეთიც არ ჩატოვა ისედაც გაუფერულებულ თლილ ჭიქაში, ანტუანს სიცილით, თითქმის უტიფრად შეხედა და ჰკითხა:

— შავკანიანი ქალი... გყოლია ოდესმე?

— არა! — უპასუხა ანტუანმა და გაბედულად გააქნია თავი.

რაშელი გაჩუმდა. რაღაც გაურკვეველი ღიმილი აუთამაშდა ბაგეებზე.

— აბა, წავიდეთ! — მკვახედ უთხრა მან.

იგი უკვე ფეხზე იდგა და ღამის მასკარადის დომინოსავით ეხვეოდა მუქი თავთის მანტოში. მბრუნავ კარს რომ მიუახლოვდნენ, რაშელის მოკუმულ ბაგეებს კვლავ მოსწყდა ის უხმო სიცილი, რომელიც მუდამ ასე აშინებდა ანტუანს.

## XII

იმ ხანებში, როცა ჟერომი ჯერ კიდევ პარიზში ცხოვრობდა, მეკარისთვის დაევალებინა, ჩემი კორესპონდენცია შემინახეო; დროდადრო პირადად მიდიოდა ობსერვატორიის ქუჩაზე წერილების წამოსაღებად. შემდეგ, დიდხანს არ გამოჩენილა იქ და არც ახალი მისამართი შეუტყობინებია მეკარისათვის; ორი წლის განმავლობაში წერილების მთელი შეკვრა დაგროვილიყო და, როგორც კი მეკარემ გაიგო, ბატონი დე ფონტანენი მეზობლად ჩასულაო, წერილების გროვა დანიელს ჩააბარა და სთხოვა, პირადად მამას გადაეცითო.

ჟერომი გაკვირვებული დარჩა, როცა ამ ათასნაირ ქაღალდების გროვაში დიდი ხნის წინ დაწერილი წერილი იპოვა.

ერთი, რვა თვის წინ დაწერილი ბარათი აუწყებდა, რომელიღაც უილბლო წარმოების ლიკვიდაციის შედეგად, თქვენს სახელზე ექვსი ათასი და რამდენიმე ასეული ფრანკი ირიცხება ბანკშიო.

სახე გაუბრწყინდა. ამ საქმეზე დიდი ხანია ხელი ჰქონდა ჩაქნეული და ამ მცირეოდენი თანხის გადმორიცხვამ ერთბაშად გაუქრო ის მძიმე გრძნობა, რომელსაც მეზონში დასახლების დღიდანვე განიცდიდა; ეს მძიმე გრძნო-

ბა გამოწვეული იყო არა მარტო იმ ოჯახში ცხოვრებით, სადაც თავისი ადგილი უკვე ვეღარ ეპოვა, არამედ ფულადი გასაჭირით, რასაც თავმოყვარეობის შემლახველადაც თვლიდა.

ცოლ-ქმარს ხუთი წლის წინ გაეყოთ ქონება. ქალბატონმა დე ფონტანენმა უარი თქვა განქორწინებაზე, სამაგიეროდ, ქმარს უფლება წაართვა იმ მცირე შემოსავალზე, რაც მამისაგან, პასტორისაგან მიეღო მემკვიდრეობით. მართალია, ეს ქონება უკვე დაქუცმაცებული იყო, მაგრამ ქალს ასე თუ ისე მაინც აძლევდა არსებობის საშუალებას. მისი წყალობით მას არც ბინა დაუცლია და არც შვილების აღზრდისათვის დაუკლია ხელი. რაც შეეხება ჟერომს, თავისი საგვარეულო ქონებიდან ცოტა რამ ჯერ კიდევ შერჩენოდა და ათასნაირ საქმეებში დაებანდებინა: ბელგიასა და ჰოლანდიაში, სადაც ნოემი მას თან დაათრევდა მუდამ, იგი ბირჟაზე თამაშობდა, სპეკულაციას ეწეოდა, ახალ გამოგონებებს აფინანსებდა; მიუხედავად ქარაფშუტობისა, დაჯილდოებული იყო ერთგვარი ალღოთი, რასაც ავანტიურისადმი მიდრეკილებაც უწყობდა ხელს, და ზოგჯერ მომგებიან საქმეებშიც აბანდებდა ხოლმე ფულს; ბედი ხან გაუღიმებდა, ხან ზურგს აქცევდა, მაგრამ, უმეტეს წილად, მაინც დიდკაცურად ცხოვრობდა; დროდადრო სინდისის მოსაწყნარებლად, კიდეც ახერხებდა და ცოლს რამდენიმე ათას ფრანკს გადაუგზავნიდა ხოლმე, რათა ამით მცირედი წვლილი მაინც შეეტანა ჟენისა და დანიელის აღზრდაში. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ ცხოვრების უკანასკნელი თვეების განმავლობაში მისი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად შერყეულიყო; მთელი კაპიტალი დაბანდებული ჰქონდა და არამცთუ არ შეეძლო ამსტერდამში ჩატანილი ფული დაებრუნებინა ტერეზასათვის, არამედ იძულებულიც კი გახდა მის ხარჯზე ეცხოვრა და სწორედ ეს სტანჯავდა ახლა. განსაკუთრებით ის აზრი უკლავდა გულს, რომ ტერეზას შეეძლო ყალბი წარმოდგენა ჰქონოდა მის გრძნობებზე და ეფიქრა, ოჯახში დაბრუნება ხელმოკლეობამ აიძულაო.

ამგვარად, ამ მოულოდნელი თანხით ჟერომი ცოტათი მაინც აღიდგენდა თავის ღირსებას: ვალის გადახდის საშუალება ეძლეოდა.

იგი კარებისაკენ გაეშურა, უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად ეცნობებინა ცოლისათვის ეს სასიამოვნო ამბავი. ერთბაშად მეორე კონვერტიც გახსნა. ვერასგზით ვერ მიხვდა, ვისგან უნდა ყოფილიყო უცნობი ხელით ნაჯღაბნი ეს წერილი; მიუხედავად ამისა, გაოგნებული გაშეშდა ადგილზე:

„ბატონო,

მინდა შეგატყობინოთ, რომ ისეთი რამ დამემართა, რაც პირადად მე არც კი მწყინს, პირიქით, და მიუხედავად ყველაფრისა, თავს ძალიან ბედ-

ნიერად ვგრძნობ, რადგან მარტოობით დიდხანს ვიტანჯებოდი, ოღონდ ეს არის სამსახურიდან დამითხოვეს და სასოწარკვეთაში ვარ, და არა მგონია კვლავაც უკაპიკოდ დამტოვოთ ასეთ დროს, რადგან სხვა სამუშაო ვეღარ ვიშოვენე, უკვე ყველა მამჩნევს, მე კი მხოლოდ 30 ფრანკი და 10 სუ დამრჩა, და რითი გავზარდო ბავშვი, რომელიც მინდა, ისე გავზარდო მე თვითონ, როგორც საჭიროა.

ასე რომ, არ იფიქროთ, თითქოს რაიმეს გისაყვედურებდეთ, ოღონდ ვიმედოვნებ ამ წერილის მიღებისას კეთილად განეწყობით ჩემდამი, რადგან ხვალ ან ზეგ, ყოველ შემთხვევაში ხუთშაბათს მაინც, აუცილებლად უნდა მიშველოთ, თორემ არ ვიცი, რა ვქნა.

მარად თქვენი მოყვარული

ვ. ლე გად".

ჟერომი ჯერ კი ვერ მიხვდა, ვინ იყო ეს ლე გადი? მაგრამ უცებ მოისაზრა: ვიქტორინი! კრიკრი!

ჟერომი მაშინვე გამობრუნდა, მაგიდას მიუჯდა, წერილს ხელში ატრიალებდა და ფიქრობდა: „ხვალ ან ზეგ..." ბეჭედზე თარიღი გაარჩია და გამოიანგარიშა: წერილი ორი წელი იცდიდა თურმე! საბრალო კრიკრი! ნეტა რა მოუვიდა? მისი ამდენი ხნის დუმილი ან კი როგორ ახსნა? ნეტავ ბავშვს რა მოუვიდა? კითხვას-კითხვაზე აყრიდა თავისთავს აუღელვებლად და ის თანაგრძნობაც პირობითი იყო, რაც სახეზე აღბეჭდოდა იმ წუთში; ამასობაში მეხსიერებაში შემაშფოთებელი სიცხადით წარმოუდგა მორცხვი, აცახცახებული სხეული, უმანკო თვალები, ბავშვური ტუჩები...

კრიკრი!.. სად გაიცნო ნეტავ? ჰო, ნოემისთან. მან იგი ბრეტანიდან წამოიყვანა. მერე? ბუნდოვნად ახსოვდა ქალაქგარეთა სასტუმრო, სადაც მთელი ორი კვირა გადამალული ჰყავდა. რატომ მიატოვა?.. უკეთ მოაგონდა მასთან მეორედ შეხვედრა, ორი წლის შემდეგ, როცა ნოემი სადღაც გაეპარა; თვალწინ წარმოუდგა მოახლის მანსარდა, სადაც შებინდებისას შეიპარებოდა ხოლმე; შემდეგ რიშპანსის ქუჩაზე ავეჯით გაქირავებული ოთახიც მოაგონდა, სადაც იგი დასახლდა და ვნებას აყოლილი, ორი თუ სამი თვე ცხოვრობდა მასთან... იქნებ, მეტხანსაც?

ჟერომმა წერილი გადაიკითხა, თარიღს დააკვირდა, ნაცნობი სითბო მოაწვა სახეში, თვალთ დაუბნელდა. წამოდგა, ერთი ჭიქა წყალი დალია, კრიკრის ბარათი ჯიბეში ჩაიდო, ხელში ბანკის უწყება დაიჭირა და დარბაზისაკენ გაემართა.

ერთი საათის შემდეგ მატარებელი პარიზისაკენ მიაქროლებდა.

სექტემბრის მზიანი დილა იყო. სენ-ლაზარის სადგურიდან გამოსვლის-თანავე ჟერომმა სასიამოვნო თავბრუხვევა იგრძნო. ათ საათზე ბანკში მივიდა. მოუთმენლად იცდიდა პატარა სარკმელთან; და როცა ფულის მიღებაზე ხელი მოაწერა, როცა თანხა საფულეში ჩაიდო და, როგორც იქნა, მანქანაში ჩაჯდა, რომელიც ქვემოთ ელოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამჯერად სამუდამოდ დააღწია თავი წყვდიადს, სადაც უკანასკნელი კვირეების მანძილზე იტანჯებოდა, თითქოს მკვდრეთით აღსდგა და ცხოვრებას დაუბრუნდა.

მთელი პარიზი შემოირბინა, მეკარიდან მეკარესთან დარბოდა, ათასნაირი ჩახლართული ზომები მიიღო, რაც თავდაპირველად უშედეგოდ მთავრდებოდა. შუადღის ორი საათი შესრულდა და საუზმისათვის დრო ვერ გამოეძებნა. ბოლოს, როგორც იქნა, მივიდა ვიღაც ქალბატონ ბარბენთან, რომელსაც ქალბატონ ჟუჟუსაკ ეძახდნენ. ქალი შინ არ დახვდა, მაგრამ მიხვდა, ყბედმა მოახლემ შეატყობინა, ამ მადმუაზელ ლე გადს, ე. ი. მადმუაზელ რინეტს კარგად ვიცნობო.

— მას სასტუმროში აქვს ოთახი, ოღონდ იქ ოთხშაბათობით, თავის გამოსასვლელ დღეს, მიდის მხოლოდ.

ჟერომი გაწითლდა. ერთბაშად მიხვდა ყველაფერს.

— ვიცი, — მრავლისმეტყველი ღიმილით უთხრა მან. — სწორედ ის მეორე მისამართი მჭირდება.

მათ ამხანაგებივით გადახედეს ერთმანეთს. „რა კარგი გოგოა!“ გაიფიქრა ჟერომმა. მაგრამ კრიკრის გარდა ახლა აღარავიზე უნდოდა ფიქრი.

— სტოკჰოლმის ქუჩაზეა! — ღიმილით აცნობა ბოლოს მოახლემ.

ჟერომი ახალი მისამართით გაემართა, მანქანიდან გადმოვიდა და სახლი, რომელსაც ეძებდა, მალე იპოვა. რაღაც სევდამ, რომელსაც მისდაუნებურად ებრძოდა უკვე, ერთბაშად განდევნა დილიდანვე გულსშემოწოლილი ყველა სასიამოვნო გრძნობა.

გაკაშკაშებული დღის შუქიდან ჟერომი პირდაპირ ამ შენობის უცნაურ ბინდბუნდში მოხვდა და გზა-კვალი აერია. იგი შეიყვანეს „იაპონურ“ ოთახში, სადაც საწოლის თავთან კედელზე გაკრული იაფფასიანი მარაოს გარდა ვერაფერ იაპონურს ვერ იპოვიდით; ჟერომი ქუდს აწვალებდა ხელში და საითაც არ მიიხედავდა, სარკე ულმობლად არეკლავდა მის ძალდატანებულ პოზას, ბოლოს, იძულებული გახდა დივანის კიდეზე ჩამომჯდარიყო.

კარი ფართოდ გაიღო: იასამნისფერ ტუნიკაში ჩაცმული ქალიშვილი შემოვიდა და ადგილზევე გაშეშდა.

— ოჰ! — აღმოხდა მას.

ჟერომს ეგონა ქალიშვილს ოთახის კარი შეეშალაო, მაგრამ იგი უკან-უკან იხედა კარისაკენ, რომელიც მექანიკურად გამოეკეტა შემოსულისას, და თან ბუტბუტებდა:

— თქვენ აქ რა გინდათ?

ჟერომმა ხეირიანად ვერც კი იცნო:

— ნუთუ ეს შენა ხარ, კრიკრი?

ახალგაზრდა ქალი თვალს არ აცილებდა ჟერომს, თითქოს ეშინოდა, საცაა ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებსო, ხელი საწოლისაკენ გაიწვდინა, გადასაფარებელი აიღო და შიგ გაეხვია.

— რა მოხდა? ვინმემ გამოგგზავნათ ჩემთან? — ჰკითხა მან.

ჟერომი ამაოდ ცდილობდა გაეხსენებინა კრიკრის ბავშვური სახის ნაკვთები, ამაოდ მიშტერებოდა ამ ლამაზი ქალის შეღებილ, ოდნავ შესიებულ, შეშუპებულ სახეს, მოკლედ შეკრეჭილ თმას; თვით ხმაც, ადრინდელი კრიალა, გლეხური ხმაც კი ვერ იცნო.

— რა გნებავთ ჩემგან? — კვლავ ჰკითხა ქალმა.

— შენს სანახავად მოვედი, კრიკრი.

ჟერომი გულთბილად ელაპარაკებოდა. ქალმა თავისებურად ახსნა ეს სიტყვები და წამით დაიბნა; შემდეგ თვალი მოარიდა, თითქოს მდგომარეობას შეეგუაო.

— თქვენი ნებაა! — წაილაპარაკა მან.

საწოლის გადასაფარებელი მაინც არ მოუხდია, ოღონდ მკერდი და მკლავები ოდნავ გამოაჩინა, დივანთან მივიდა და ჩამოჯდა.

— ვინ გამოგგზავნათ ჩემთან? — თავდაჭერილმა გაუმეორა.

ჟერომი ვერასგზით ვერ მიხვდარიყო, რას ნიშნავდა ეს შეკითხვა. იგი ქალის წინ იდგა და დაბნეული სახით უამბობდა, საზღვარგარეთ დიდი ხნის ყოფნის შემდეგ ახლახან დავბრუნდი საფრანგეთში და მხოლოდ დღეს მივიღე შენი წერილიო.

— ჩემი წერილი? — ჰკითხა ქალმა და ახედა. ჟერომმა იცნო მორუხო-მომწვანო თვალთა სუფთა ციმციმი და წერილი გაუწოდა: ქალმა ჩამოართვა და გაოცებული ათვალიერებდა.

— მართალია! — წარმოთქვა ბოლოს და ბოროტად გადახედა ჟერომს. ბარათს ერთხანს ხელში ატრიალებდა, შემდეგ თავი გადააქნია და განაგრძო: — წარმოგიდგენიათ! თქვენ არც კი მიპასუხეთ!

— კი მაგრამ, კრიკრი, მე ხომ მხოლოდ ამ დილით გავხსენი ეს წერილი!

— სულ ერთია, პასუხი მაინც უნდა მოგვეცათ! — ჯიუტად იმეორებდა იგი და თავს აქნევდა.

ჟერომი მოთმინებით იმეორებდა თავისას:

— მე ხომ მაშინვე წამოვედი შენს სანახავად! — შემდეგ პასუხისათვის აღარ დაუცდია და ჰკითხა: — მითხარი, ბავშვი სადაა?

ქალმა ბაგე მოკუმა, ნერწყვი გადაყლაპა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, თვალებზე ცრემლი მოაწვა:

— მოკვდა. უდღეური დაიბადა.

ჟერომმა ამოიოხრა, რაც შვებით ამოსუნთქვას უფრო ჰგავდა. რინეტის ულმობელი, ჩაშტერებული მზერით დარცხვენილი და დამცირებული იდგა და ხმას არ იღებდა.

— რაც მოხდა, ყველაფერი თქვენი ბრალია! — თქვა ქალმა (თუმცა ხმაში აღარ იგრძნობოდა ის სისასტიკე, რაც მის თვალებში ამოიკითხებოდა). — თქვენ კარგად იცოდით, რომ მე ვინმე მათრევალა არ ვიყავი! ორჯერ ვირწმუნე თქვენი სიტყვები! თქვენი გულისთვის ორჯერ მივატოვე ყოველივე და უკან გამოგყევით! ოჰ, როგორ ვტიროდი, მეორედ რომ მიმატოვეთ!..

იგი ქვემოდან უყურებდა ჟერომს, მხრები აეწურა, ბაგეები დაბრეცოდა; ცრემლებისაგან აბრჭყვიალებული თვალები მწვანედ ჩამუქებოდა. ჟერომი კი ნერვებაშლილი, გულდამძიმებული იდგა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და ნაძალადევად იღიმებოდა (ცალი ყბით მისი ღიმილი ძალიან წააგავდა დანიელის ღიმილს!).

რინეტმა ცრემლი მოიწმინდა და მოულოდნელად, მშვიდი ხმით ჰკითხა:

— ქალბატონი როგორ ბრძანდება?

ჟერომი მიხვდა, ნოემის ამბავს რომ ეკითხებოდა. როცა აქეთ მოდიოდა, გადაწყვიტა ქალბატონი პტი-დიუტრეილის სიკვდილი არ გაემჟღავნებინა, ეშინოდა, კრიკრი არ აღელვებულიყო და სინდისის ქენჯნა არ ეგრძნო, რაც მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაში ნამდვილად შეუშლიდა ხელს. ამიტომ დიდხანს არ უფიქრია და წინასწარ მომზადებული ტყუილი მოახსენა:

— ქალბატონი? საზღვარგარეთის თეატრებში გამოდის. — მიუხედავად ამისა, მღელვარება ძლივს შეიკავა, როცა დაუმატა: — ვფიქრობ, ჯანმრთელად უნდა იყოს.

— თეატრში გამოდის? — მოწიწებით გაიმეორა რინეტმა.

ორივე გაჩუმდა. შემდეგ რინეტი ისეთი სახით მიბრუნდა მისკენ, თით-

ქოს რაღაცას ელისო, მკერდი და მხრები უფრო მეტად გამოიჩინა და გაიღიმა.

— მარტო ასე სასეირნოდ არ მოხვიდოდით აქ, ხომ მართალია? — ჰკითხა მან.

ჟერომმა კარგად იცოდა, საკმარისი იყო ნიშანი მიეცა და რინეტი ყველაფერზე დათანხმდებოდა. მაგრამ მას აღარაფერი შერჩენოდა იმ აწყვეტილი სურვილიდან, რაც მეძებარი ძაღლივით დაარბენინებდა დილიდანვე პარიზის ქუჩებში აი, ამ ნადავლის კვალდაკვალ.

— არავითარი სხვა განზრახვა მე არ მქონია! — უპასუხა მან.

ამ სიტყვებმა რინეტი, ეტყობა, გააოცა და, ცოტა არ იყოს, კიდეც შეურაცხყო.

— იცით, ჩვენ აქ ნება არა გვაქვს სტუმრები ისე, „ტყუილუბრალოდ“ მივიღოთ.

ჟერომი შეეცადა სიტყვები ბანზე აეგდო:

— თმა რატომ შეიჭერი?

— აქ ასეა მიღებული.

იგი თავაზიანად იღიმებოდა, რადგან სათქმელი შემოლეოდა. წასვლასვე ვერ გადაეწყვიტა. გულის სიღრმეში რაღაც დაუკმაყოფილებელი გრძნობა ღრღნიდა და ამ ოთახიდან გასვლის უფლებას არ აძლევდა, თითქოს რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი სწორედ აქ უნდა გადაედგა. მაინც რა? საცოდავი კრიკრი!.. ბოროტება უკვე ჩადენილია: ახლა ვეღარაფრით ვერ უშველი. ვეღარაფრით?

მისი ღიმილით თავგზააბნეული რინეტი მალულად ათვალიერებდა ჟერომს, უმალ ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა, ვიდრე გულღრძოობა. რატომ მივიდა? ნუთუ ცოტათი მაინც უყვარს? ამ კითხვამ სულ დააბნია; და უცებ ერთმა აზრმა გაუელვა: შეეძლო მისგან კიდევ ჰყოლოდა ბავშვი! მთელი მისი დამსხვრეული იმედები უცებ გამოცოცხლდა. ჟერომის ვაჟი, დანიელის უმცროსი ძმა, შვილი, რომელიც მხოლოდ მისი იქნებოდა!.. იგი კინაღამ ფეხქვეშ ჩაუვარდა, კინაღამ მუხლებზე შემოეხვია ჟერომს და ვედრებით სავსე თვალებით კინაღამ შეეხვეწა: „შვილი მინდა შენგან!“ მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, უბრალო კაპრიზის გულისათვის ერთბაშად დაემსხვრია ასე გაჭირვებით ნაგები მთელი თავისი მომავალი ცხოვრება... იგი შეკრთა, აუხდენელი ოცნებიდან გამოერკვა და ბაგემოკუმულმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „არა, ასეთი რამ არ შეიძლება!“

— დანიელი როგორაა? — იკითხა მან ერთბაშად.

— ვინ? დანიელი? ჩემი ვაჟი? — დაბნეული სახით ჰკითხა ჟერომმა და დაუმატა: — საიდან იცნობ მას?

თვითონაც არ იცოდა, რატომ, რინეტს იმედი მიეცა, ჟერომის დაბრუნებას დანიელთან უნდა ჰქონდესო რაღაც კავშირი. მაგრამ ახლა ინანა, მისი სახელი რომ ახსენა; მტკიცედ გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა: ვერც მამა და ვერც შვილი ვერ გაიგებენ ვერასდროს, რა სიყვარულით, სიყვარულის რა ღელვით...

სიტყვა ბანზე აუგდო:

— საიდან ვიცნობ? მას ვინ არ იცნობს პარიზში. ერთმანეთს შევხვედრივართ.

ჟერომს შეეშინდა. მაგრამ მაინც ვერ გაბედა და ვერ ჰკითხა: „აქ?“

— სად? — ამოილუღლუღა ბოლოს.

— რა ვიცი, სად არ შევხვედრივარ! ღამის თავშესაქცევ ადგილებში.

— ასეც ვიცოდი! — წამოიძახა ჟერომმა, — მე მას უკვე მოვახსენე ჩემი აზრი იმ ცხოვრების შესახებ, როგორსაც იგი ეწევა!

რინეტმა მაშინვე დაუმატა:

— ოჰ, ეს დიდი ხნის ამბავია, არც კი ვიცი, კიდევ დადის თუ არა იმ ადგილებში. ჩემი არ იყოს, იქნებ, ისიც დაჭკვიანდა.

ჟერომმა შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. გულწრფელი გულისტკივილით ფიქრობდა ახალგაზრდების თავაშვებულ ცხოვრებაზე, მორალურ დაცემაზე, შემდეგ ამ სახლზე, გარყვნილების გზაზე დამდგარ ამ ქალზე... „რატომაა ცხოვრება ასე მოწყობილი?“ — გაიფიქრა მან და ერთბაშად სასოწარკვეთა და სინანული იგრძნო.

რინეტს კვლავაც ეხატებოდა მომავლის ზმანებანი, რომელთა მისაღწევად ყოველ ღონეს ხმარობდა. იგი წვივსაკრავს ატკაცუნებდა და ხმამაღლა ოცნებობდა:

— დიახ, გაჭირვებას უკვე თავი დავაღწიე. ამიტომაც აღარ ვბრაზობ თქვენზე... თუ კვლავაც ჭკვიანად მოვიქცევი და ასე ვიმუშავებ, სამ წელიწადში, ჰაიდა... თავს დავუკრავ პარიზს! თქვენს ბინძურ, მათხოვარა პარიზს!

— რატომ სამ წელიწადში?

— მა რა? იანგარიშეთ: ჯერ თვე არ გასულა, რაც აქ მოვეწყვე და უკვე ორმოცდაათი — სამოცი ფრანკი სუფთად მრჩება დღეში. კვირაში ეს ოთხას ფრანკს უდრის. მაშასადამე, სამი წლის შემდეგ, ან სულაც უფრო ადრე, ოცდაათი ათასი ფრანკი მაინც მექნება დაგროვილი. ჰოდა, მაშინ, იმავე დღეს, მშვიდობით კრიკრი, რინეტ, და მისთანანო! ვიქტორინი ხელს

ჟაავლებს თავის მაყუთებს, აიკრავს ხაბაკ-ხუბაკს და ჰაიდა... ლანიონის მატარებელში ჩასკუპდება! კარგად მეყოლეთ, ბატონებო!

ქალი იცინოდა.

„არა, მე მაინც არა ვარ ისეთი ცუდი, როგორც ვიქცევი! — რაღაც სასოწარკვეთილი დაბეჯითებით ირწმუნებდა თავს ჟერომი — არა. ეს უჯრო რთული საქმეა! მე უკეთესი ვარ, ვიდრე ჩემი ცხოვრებაა. მიუხედავად ამისა, მე რომ არა, ეს გოგონა... მე რომ არა!" მეხსიერებაში კვლავ ამოტივტივდა საღვთო წერილის სიტყვები: „ვაი მას, ვისი მიზეზითაც მოხდა ცოდვა!"

— მშობლები ცოცხალი გყავს? — ჰკითხა მან.

გონებაში ნელ-ნელა ეხატებოდა რაღაც ბუნდოვანი ჩანაფიქრი, რომლის მოშორებასაც უკვე ცდილობდა.

— მამა შარშან გარდაიცვალა, წმინდა ივის დღეს.

რინეტი გაჩუმდა, უნდოდა პირჯვარი გადაეწერა, მაგრამ ვერ გაბედა:

— დეიდაღა დამრჩა. პატარა სახლი აქვს მოედანზე, ეკლესიის უკან. პერო-გირეკში ყოფილხართ? ჩემს გარდა სხვა მემკვიდრე არა ჰყავს დედაბერს. მართალია, ქონება თავზე საყრელად არ გააჩნია, მაგრამ სახლი კი აქვს. რენტით ცხოვრობს. წელიწადში ათასი ფრანკი აქვს. დიდხანს უმსახურია კეთილშობილ მემამულეებთან. ახლაც მუშაობს ეკლესიაში სკამების გამქირავებლად. ამასაც ცოტაოდენი შემოსავალი მოაქვს მისთვის, ჰოდა, — განაგრძო მან და სახე გაებადრა, — ქალბატონი ჟუჟუ ამბობს, რომ ოცდაათი ათასი ფრანკით იმდენივე ან დაახლოებით იმდენივე რენტა მეც მექნება. თანაც ცოტას მეც წავიმუშავებ, როცა ზედმეტი ფული დამჭირდება. ერთად ვიცხოვრებთ. ჩვენ მუდამ კარგად ვეწყობოდით ერთმანეთს. და, რაც მთავარია, იქ, — ქალმა ღრმად ამოიოხრა და ატლასის ფეხსაცმელებში ფეხის თითები შეანძრია, — ჩემს შესახებ არავინ არაფერი იცის: ყველაფერს ბოლო მოეღება, ყოველივე დავიწყებას მიეცემა!

ჟერომი წამოდგა. მისმა ჩანაფიქრმა ფართო სახე მიიღო, მთელი მისი არსება მოიცვა. ოთახში გაიარ-გამოიარა. დიდსულოვნება გამოიჩინოს?.. გამოისყიდოს...

რინეტის წინ შეჩერდა.

— ეტყობა, ძალიან გიყვართ თქვენი ბრეტანი!

ქალს ისე გაუკვირდა „თქვენობით" რომ დაელაპარაკნენ, რომ ერთბაშად ხმა ვერ ამოიღო.

— რა საკითხავია! — წაილაპარაკა მან ბოლოს.

— ჰოდა, ახლავე დაბრუნდებით იქ... დიახ... ყური მიგდეთ!

კვლავ მოჰყვა წინ და უკან სიარულს. განებივრებული ბავშვის მოუთმენლობას აეტანა. „ახლავე თუ არ მოვაგვარე ეს საქმე, — გაიფიქრა მან, — მერე აღარაფერზე ვაგებ პასუხს!“

— ყური მიგდეთ! — სვენებ-სვენებით გაუმეორა მან, — თქვენ ახლავე დაბრუნდებით ბრეტანში! — შემდეგ თვალი თვალში გაუყარა და ერთბაშად მიახალა: — ამ საღამოსვე!

რინეტს გაეცინა:

— მე?

— დიახ, თქვენ.

— დღეს?

— დიახ.

— პეროში?

— დიახ, პეროში.

რინეტი აღარ იცინოდა, წარბები შეეკრა და მტრულად შეჰყურებდა: რაღაზე დასცინის? მისი ოცნების მასხარად აგდება რად დასჭირდა?

— დეიდათქვენივით თქვენც რომ იღებდეთ წელიწადში ათას ფრანკს...— წამოიწყო ჟერომმა.

იგი იღიმებოდა; მის ღიმილს დაცინვის ნატამალი არ ეტყობოდა. რისი თქმა უნდოდა ამ ათასი ფრანკით? რინეტმა დინჯად გამოიანგარიშა, თანხა თორმეტზე გაჰყო.

აღარც ჟერომი იღიმებოდა და სერიოზულად ეკითხებოდა:

— რა გვარია იქაური ნოტარიუსი?

— ნოტარიუსი? რომელი? ბატონი ბენიკი?

ჟერომი წელში გასწორდა.

— ჰოდა, კრიკრი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყოველი წლის პირველ სექტემბერს, ბატონი ბენიკი ათას ფრანკს გადმოგცემს ჩემი სახელით. ამ წლის ფული კი ახლავე მიიღე! — განუცხადა მან და საფულე გახსნა, — აი, კიდევ დამატებით ათასი ფრანკი, პირველ ხანებში დაგჭირდებათ იქ! აიღეთ!

რინეტს თვალები დაეჭყიტა, ტუჩებს იკვნეტდა, და კრინტი ვერ დაძრა. ფული თვალწინ ჰქონდა, საკმარისი იყო ხელი გაეწვდინა და მისი იქნებოდა... გულუბრყვილობა ჯერ კიდევ შერჩენოდა და ამიტომ უნდობლობას კი არ გრძნობდა, უბრალოდ, გაოცებული იყო. ბოლოს მაინც აიღო ფული, რომელსაც ჟერომი მოთმინებით უწვდიდა; ქაღალდის ფული სულ პატარად მოკეცა, წინდაში ჩაიდო, ჟერომს ახედა, მაგრამ არ იცოდა, რა ეთქვა. აზრადაც არ მოსვლია ეკოცნა მისთვის. სულ დაავიწყდა, რას წარ-

მოადგენდა თვითონ, ან ერთმანეთისთვის რანი იყვნენ: იგი კვლავ ბატონ ჟეროიად, ქალბატონ პტი-დიუტრეილის მეგობრად იქცა, თვითონ კი ისევ დაიმორცხვა მის წინაშე, როგორც პირველ დღეებში იქცეოდა ხოლმე.

— ოღონდ, ერთი პირობით! — დაუმატა ჟერომმა, — დღესვე უნდა წაბრძანდე!

რინეტი სახტად დარჩა.

— დღესვე? ამ საღამოს? ოჰ, ბატონო, როგორ გეკადრებათ? ეს ხომ შეუძლებელია!

ჟერომი უმალ ხელს აიღებდა ამ კეთილი განზრახვიდან, ვიდრე მის სისრულეში მოყვანას ერთი დღით მაინც გადასდებდა.

— ამ საღამოსვე, ჩემო პატარავ, და თანაც ჩემი თანდასწრებით!

რინეტი მაშინვე მიხვდა, არ დათმობსო, და უცებ გაბრაზდა. ამ საღამოსვე? ეს ხომ უაზრობაა! ჯერ ერთი, სწორედ სამუშაო დროა! მეორეც, სასტუმროში ნივთები აქვს დატოვებული. რა უნდა უთხრას მეგობარ ქალს, რომელთანაც სანახევროდ ქირაობს ოთახს? ან ქალბატონი ჟუჟუ რას იტყვის? მრეცხავთან მიბარებულ საცვლებს რაღა უყოს? რაც მთავარია, აქედან ასე ადვილად როდი გაუშვებენ!.. რინეტი კინაღამ შეიშალა, მახეში გაბმული ჩიტივით აფრთხიალდა.

— ქალბატონ . როზას დავუძახებ! — წამოიძახა ცრემლმორეულმა, როცა ყოველგვარი არგუმენტი გამოელია, — თქვენ თვითონვე დარწმუნდებით, რომ ეს შეუძლებელია! ჯერ ერთი, არც მე მინდა!

— მიდი, მიდი, მალე!

,

ჟერომი გაცხარებულ კამათს მოელოდა და კიდეც მოემზადა ხმის ასამაღლებლად. ამიტომ გააკვირვა ქალბატონი როზას კეთილისმაუწყებელმა ღიმილმა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ქალმა, რადგან ეგონა პოლიციის მიერ მოწყობილ ხრიკს აუღო ალღო, — ჩვენი ქალები სავსებით თავისუფლები არიან; ძალით არავის ვაკავებთ.

შემდეგ რინეტს მიუბრუნდა, ფაფუკი ხელები ერთმანეთს შემოჰკრა და ისეთი ტონით მიმართა, შეკამათებას რომ ვერ ეგუება:

— ჩქარა გადაიცვით, გენაცვალე! ხომ ხედავთ, ბატონი გელოდებათ...

რინეტი თავზარდაცემულივით იდგა, გულზე ხელები დაეკრიფა და ხან ჟერომს შეხედავდა, ხან დიასახლისს. ფერუმარილიანი სახე მსხვილი ცრემლებისაგან დაღაროდა. ერთმანეთის საპირისპირო ათასნაირი აზრი

ერეოდა თავში. ძალამიხდილი, გაშმაგებული, გაოგნებული იდგა. იმ წუთში ჟერომი ნამდვილად სძულდა. ოთახიდან გასვლაც ვერ გაებედა, უნდოდა, როგორმე ენიშნებინა, წინდაში შენახულ ასიგნაციებზე კრინტი არ დასძრათო. ქალბატონ როზას სახე აუჭარხლდა სიბრაზისგან, იძულებული გახდა იდაყვში წაევლო ხელი რინეტისათვის და კარისკენ ეკრა ხელი:

— ბოლოს და ბოლოს, დაგვემორჩილებით თუ არა, მადმუაზელ! (და შენი ფეხი აქ არ ვნახო, შე ჯაშუშო, შენა! — დაბალ ხმაზე დაუმატა მან.).

ნახევარი საათის შემდეგ ტაქსმა ჟერომი და რინეტი ავეჯით გაქირავებულ სახლთან მიიყვანა, სადაც იგი ცხოვრობდა.

რინეტი აღარ ტიროდა. უკვე შეგუებოდა იმ აზრს, რომ სასწრაფოდ უნდა გასცლოდა პარიზს, მით უმეტეს, რომ მას არავინ არაფერს ეკითხებოდა. მიუხედავად ამისა, დროდადრო რაღაც რეფრენივით იმეორებდა:

— სამი წლის შემდეგ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო... მაგრამ ახლავე, არა, არ მინდა!

ჟერომი ხმას არ იღებდა და ხელზე უპარტყუნებდა ხელს. მხოლოდ თავისთვის იმეორებდა ხმადაბლა: „ამ საღამოს, აუცილებლად ამ საღამოს!“ გრძნობდა, წინააღმდეგობის გადასალახავად ენერგია არ აკლდა; ისიც იცოდა, რომ ამ ენერგიასაც ჰქონდა საზღვარი. დროის დაკარგვა შეუძლებელი იყო.

იმ თვის ბინის ანგარიში და რკინიგზის განრიგი მოითხოვა. მატარებელი 12 საათსა და 15 წუთზე გადიოდა.

რინეტმა სთხოვა, საკიდრის ქვემოთ დადგმული გაურანდავი ხის ძველი სკივრი გადმომაღებინეთო. შიგ მრგვლად დახვეული ტანსაცმელი ეგდო.

— ეს ჩემი იმდროინდელი ტანსაცმელია, მოახლედ რომ ვმუშაობდი! — თქვა მან.

ჟერომს ნოემის გარდერობი მოაგონდა, რომელიც ნიკოლმა ამსტერდამელ დიასახლისს დაუტოვა. იგი დაჯდა, რინეტი მუხლებზე დაისვა, დარიგებლური ტონით დაუწყო ჭკუის სწავლება. ისე მგზნებარედ ელაპარაკებოდა, ფრაზის ბოლოს ხმაც კი აუკანკალდა; ურჩევდა, მეძავი ქალის ტანსაცმელი გაიხადე, ხელი აიღე ამ ცხოვრებაზე და წინანდელივით უბრალო და სუფთა გახდიო.

რინეტი დინჯად უსმენდა. დიდი ხნის წინ მივიწყებული ეს სიტყვები მისი სულის სიღრმეში ჰპოვებდა გამოძახილს. „მართალია, — უნებურად გაიფიქრა მან, — სად ეს ტანსაცმელი და სად ჩვენი სოფელი?! ასე მორთული რომ გამოვჩნდე კვირის წირვაზე, რას იფიქრებენ ჩემზე? მიუხედა-

ვად ამისა, მაინც ვერ გადაეწყვიტა გადაეგდო ან ვისმესთვის. ერუქებინა მაქმანის საცვლები, ჭყეტელა კაბები, რაც ამდენი ხელმომჭირნეობის შემდეგად შეეძინა. მოაგონდა, რომ იმ ქალის ვალი ჰქონდა, ვისთანაც სანახევროდ ქირაობდა ოთახს. ორასი ფრანკი მართებდა მისი; იმის შემდეგ, რაც წასვლაზე ჩამოუგდეს სიტყვა, ეს ფული მოსვენებას არ აძლევდა; ჰოდა, თუკი ამ გამონაცვალ ტანსაცმელს მეგობარ ქალს დაუტოვებდა, ვალს ისე გადაიხდიდა ჟერომის ნაჩუქარ თანხას კაპიკს არ მოაკლებდა. ეს საქმეც მოგვარდა.

როგორც კი გაიფიქრა, ხელახლა ჩავიცვამ ჩემს გაქახუნებულ, შავი სარჟის კაბასო, სიხარულისგან ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, იტყოდით, მასკარადისათვის ემზადებაო. სწრაფად ჩამოხტა ჟერომის მუხლებიდან, ნერვული ხარხარი აუტყდა და მთელი ტანით ისე ცახცახებდა, გეგონებოდათ, ქვითინებსო.

ჟერომი შეტრიალდა: არ უნდოდა რინეტს უხერხულობა ეგრძნო ჩაცმის დროს. ფანჯარასთან მივიდა, პაწაწინა ეზოს კედლებს მიაშტერდა.

— „მე მაინც უკეთესი ვარ, ვიდრე ჰგონიათ!“ — ფიქრობდა იგი.

მისი აზრით, ამ კეთილი საქციელით გამოისყიდდა დანაშაულს, რომლის პასუხისმგებლად, სხვათა შორის, თავს არასოდეს თვლიდა.

მიუხედავად ამისა, მის სრულ სიმშვიდეს მაინც აკლდა რაღაც და უცებ ისე წამოიძახა, თავი არც მოუბრუნებია:

— მითხარით, თქვენზე აღარ ვბრაზობ-თქო!

— ოჰ, არ ვბრაზობ!

— მითხარით, მითხარით, მიპატიებია-თქო!

რინეტს გაუჭირდა ამის თქმა.

— გამოიჩინეთ ამდენი სიკეთე! — ემუდარებოდა ჟერომი და ფანჯარას თვალს არ აშორებდა, — გეხვეწებით, მხოლოდ ეს ორი სიტყვა მითხარით!

ქალმა, როგორც იქნა, ამოილუღლუღა:

— რა თქმა უნდა... მიპატიებია თქვენთვის, ბატონო!

— გმადლობთ.,

თვალებზე ცრემლი მოადგა. მოეჩვენა, თითქოს საყოველთაო თანხმობა დაბრუნებოდა, დიდი ხნის წვალების შემდეგ კვლავ აღედგინა სულიერი სიმშვიდე.

ქვედა სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან იაჯონის ჭიკჭიკი ისმოდა. „მე კეთილი კაცი ვარ! — თავს ირწმუნებდა ჟერომი, — მცდარი შეხედულება აქვთ ჩემზე. ხალხს ჩემი არ ესმის. მე უკეთესი ვარ, ვიდრე ჩემი ცხოვრებაა!“ უცნაური სინაზე და სიბრალული დაუფლებოდა მის გულს.

— საცოდავი კრიკრი! — წაიჩურჩულა მან.

შემობრუნდა. რინეტი შავი კაბის ღილებს იკრავდა. თმა სადად გადაევარცხნა უკან, სახეზე ფერუმარილი ჩამოეცილებინა და წინანდებურად ნორჩი იერი აღბეჭდოდა: ხელახლა ქცეულიყო მორცხვ, ჯიუტ მოახლედ, რომელიც ნოემიმ ექვსი წლის წინ წამოიყვანა ბრეტონიდან.

ჟერომმა ვეღარ მოითმინა, მიუახლოვდა და წელზე ხელი მოხვია.

„მე კეთილი კაცი ვარ, იმაზე უკეთესი ვარ, ვიდრე ჩემზე ფიქრობენ!“ რეფრენივით იმეორებდა იგი. თითები მისდაუნებურად ხსნიდა ქვედატანის ღილებს, ხოლო ტუჩები ნამობრივი ამბორით შეეხო რინეტის შუბლს.

რინეტი თითქმის ისევე შეკრთა, როგორც წინათ სჩვეოდა ხოლმე. მაგრამ ჟერომს ახლა მაგრად მოენწყვდია იგი მკლავებში.

— ოჰ, — ამოიოხრა ქალმა, — იცით, თქვენ ისევ ის სუნამო გასხიათ, რომელსაც ლიმონადის სუნი აქვს...

მან გაიღიმა, ტუჩები გაუწოდა და თვალები დახუჭა.

განა მადლიერების გრძნობის გამოსახატავად რინეტს სხვა რაიმეს გაღება შეეძლო? განა მისტიკური აღგზნების წუთებში ჟერომსაც მხოლოდ ამ ერთადერთი ჟესტით არ უნდა გამოეხატა ის რელიგიური თანაგრძნობა, რომლითაც სული ჰქონდა სავსე?!

მონპარნასის სადგურზე მოვიდნენ. მატარებელი უკვე ლიანდაგზე იდგა. რინეტმა მხოლოდ მაშინ დაიჯერა სინამდვილე, როცა ვაგონზე მიკრული წარწერა დაინახა: „ლანიონი“. არა, არავითარი „ხრიკი“ აქ არაა. საცაა მართლაც აუხდებოდა ოცნება, ამდენ ხანს რომ ელოლიავებოდა. კი მაგრამ, ერთბაშად ასე რამ დაალონა?

ჟერომმა კუპეში ადგილი დაუკავა და ბაქანზე წინ და უკან სიარულს მოჰყვნენ; აღარ საუბრობდნენ. რინეტი რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ფიქრობდა. სიჩუმის დარღვევა მაინც ვერ გადაეწყვიტა. ეტყობოდა, ჟერომსაც რაღაც აწუხებდა, რადგან რამდენჯერმე მიაბრუნა თავი მისკენ, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს, რინეტისთვის არც შეუხედავს, ისე გამოტყდა:

— მე შენ მოგატყუე, კრიკრი. ქალბატონი პტი-დიუტრეილი გარდაიცვალა.

რინეტს დაწვრილებით არ გამოუკითხავს მისი ამბავი, ოღონდ უხმოდ ტიროდა და ეს უტყვი, ნაღველი მალამოდ მოეცხო ჟერომის გულს. „ორივენი რა კეთილები ვართ!“ — გაიფიქრა გრძნობამორეულმა.

მატარებლის გასვლამდე არც ერთს ხმა არ ამოუღია. ცოტაც და რინეტი რომ უფრო გაბედული ყოფილიყო, ალბათ, ჟერომს ფულს დაუბრუნებდა, ქალბატონ როზასთან გაიქცეოდა და შეევედრებოდა, მიმიღეთო. რავე შეეხება ჟერომს, მატარებლის ეს გაუთავებელი ლოდინი ისე მობეზრებოდა, ქალის გადასარჩენად აღარავითარ სიამოვნებას აღარ გრძნობდა.

როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა. რინეტმა ძალა მოიკრიბა, ფანჯრიდან თავი გადმოჰყო და დაუყვირა:

— გთხოვთ, ბატონო, მოკითხვა გადასცეთ ბატონ დანიელს!

ბორბლების ხმაურში ჟერომმა სიტყვები ვერ გაარჩია. რინეტი მიხვდა, რომ მისი ნათქვამი ვერ გაიგონეს, ბაგე აუკანკალდა და ხელები მკერდთან მოეკრუნჩხა. ჟერომი კი უღიმოდა, მისი გამგზავრება უხაროდა და ქუდს კოხტად უქნევდა.

იმ წუთში ახალმა იდეამ გაუელვა და მოუთმენლობამ აიტანა: პირველივე მატარებლით წასულიყო მეზონ-ლაფიტში, ფეხებში ჩავარდნოდა ცოლს და ყველაფერში, თითქმის ყველაფერში გამოტყდომოდა.

„თანაც — გაიფიქრა მან, პაპიროსს მოუკიდა და ფართო ნაბიჯებით გაშორდა სადგურს, — სჯობს ყოველწლიურად ამ რენტის ამბავი ტერეზამ იცოდეს: თადარიგიანი ქალია და ვადას არასოდეს გადააცილებს!"

## XIII

ანტუანი კვირაში რამდენჯერმე შეუვლიდა ხოლმე რაშელს სამუშაოს შემდეგ და სასადილოდ ერთად მიდიოდნენ.

ერთხელ, სახლიდან გასვლის წინ, რაშელი სარკესთან მივიდა და ჩანთიდან საპუდრის ამოღების დროს დაკეცილი ქაღალდი ამოუვარდა. ანტუანმა აიღო.

— ოჰ, გმადლობ.

მის ხმაში ანტუანს რაღაც დაბნეული ნოტები მოესმა. რაშელი მაშინვე მიუხვდა ფიქრს.

— რა იყო? — ნაძალადევი ხუმრობით ჰკითხა ქალმა. — რა ეჭვები წამოგეშალა? აჰა, წაიკითხე! მატარებლის განრიგია!

ანტუანმა ქაღალდი არ ჩამოართვა. რაშელმა ხელახლა ჩაიდო ჩანთაში. მაგრამ ანტუანმა მაშინვე ჰკითხა:

— მიდიხარ სადმე?

წამწამთა ხამხამი და ნაძალადევი ღიმილი აშკარა გახდა ამჟამად.

— რაშელ!

ღიმილი სახეს მოშორდა. ანტუანი ერთბაშად შიშმა აიტანა. „ოჰ, არა, არ მინდა... მოშორებას ცოტა ხნითაც ვერ ავიტანდი!" გაიფიქრა მან.

შემდეგ ქალთან მივიდა, ხელი მოჰკიდა. რაშელი ქვითინით ჩაუვარდა მკლავებში.

— რა მოხდა?.. რა მოხდა? — ბუტბუტებდა ანტუანი.

რაშელი სწრაფად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით გამოუტყდა:

— არაფერი არ მომხდარა, არაფერი. უბრალოდ, განერვიულებული ვარ. ყური მიგდე, შენ თვითონ დარწმუნდები, რომ ისეთი არაფერი მომხდარა! უბრალოდ... ბავშვის საფლავი მომაგონდა. შენ იცი, დიდი ხანია გე-ლა-როზიერში არ ვყოფილვარ... უნდა წავიდე. გაიგე? შენ კი შეგაშინე! მაპა-ტიე.

შემდეგ, მაგრად მოეხვია ანტუანს და კვნესა აღმოხდა:

— ფისო, მითხარი, ნუთუ მართლა ასე გიყვარვარ? ძალიან გაგაუბე-დურებდი, თუკი... თუკი ოდესმე...

— გაჩუმდი! — წაიჩურჩულა ანტუანმა და შეშინდა, რადგან იგრძნო რაშელს უკვე დიდი ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში. — რამდენი დღით... რამდენი დღით მიდიხარ? — მოკრძალებით დაუმატა მან.

რაშელი ხელიდან დაუსხლტა და ნაძალადევი სიცილით პირსაბანთან მიირბინა თვალების ამოსაბანად.

— რა სისულელეა ასე ტირილი! — წამოიძახა ქალმა, — იცი, ეს ამბა-ვი სადამოხანს მოხდა, სწორედ სადილის წინ. შინ ვიყავი. მეგობრები მყავდა... შენ მათ არ იცნობ. უცებ ზარის ხმა გაისმა: დეპეშა მოვიდა, ბავშვი ავადაა, მდგომარეობა სერიოზულია, ჩამოდიო. მივხვდი. როგორც მეცვა, ისე გავიქეცი სადგურზე: კილიტებით მორთული ტიულის ქუდით, საზაფხულო ფეხსაცმელებით; პირველსავე მატარებელს შევახტი. მთელი ღამე სიცივისაგან ვძაგძაგებდი. მარტოკა მივდიოდი... საოცარია, როგორ არ გავგიჟდი?! — ცოტა ხანს დამაცადე, სჯობს შემაშრეს! — მიუბრუნდა იგი ანტუანს. სახე გამოუცოცხლდა — შენ რომ კარგი ბიჭი იყო, იცი, რას იზამდი? წამომყვებოდი! ყური მიგდე! ორი დღე გვეყოფოდა — შაბათი და კვირა. ღამეს რუანში ან კოდბეკში გავათევდით, მეორე დილით კი გე-ლა-როზიერის სასაფლაოზე წავიდოდით. რა დიდებული გასეირნება იქნებოდა, არა? რას იტყვი?

სექტემბრის უკანასკნელ შაბათს გაემგზავრნენ. მშვენიერი ამინდი იდგა. მატარებელი ნაშუადღევს გავიდა. ვაგონი თითქმის ცარიელი იყო: კუპეში მარტონი ისხდნენ.

ანტუანს უხაროდა: მთელი ორი დღე რაშელთან ერთად დაისვენებდა; ნერვული დაძაბულობა აღარ ეტყობოდა, გაახალგაზრდავებული თვალები უციმციმებდა, პატარა ბიჭივით ფუსფუსებდა, რაშელს დასცინოდა, ხელბარგით მთელი ბადე აავსეო; მის გვერდით არ ჯდებოდა, მინდა პირდაპირ გიყურო სახეშიო.

— კარგი, გეყოფა! — უთხრა ბოლოს რაშელმა, როცა ანტუანი ხელახლა წამოხტა და ფარდის გადაწევა დააპირა, — ნუ გეშინია, არ დავდნები!

— შენ კი არ დადნები, მაგრამ როცა მზეზე ხარ, მე ვბრმავდები.

ასეც იყო! მზის სხივი ქალის სახესა და თმას ალისფრად აკიაფებდა ხოლმე და შეუძლებელი იყო დიდხანს გეცქირათ მისთვის, საშინლად იღლებოდა თვალი.

— ჩვენ ხომ არასოდეს გვიმგზავრია ერთად! — თქვა ანტუანმა. — თუ გიფიქრია ამაზე ოდესმე?

რაშელმა გაღიმება ვერ მოახერხა. ბაგეების კუთხეში რაღაც მკაცრი, ჯიუტი ნაოჭები გაჩნდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ანტუანმა და მისკენ გადაიხარა.

— არაფერი... მგზავრობა...

ანტუანი გაჩუმდა; ერთბაშად მოაგონდა, რომ მგზავრობის მიზანი ეგოისტურად გადაავიწყებოდა.

— მგზავრობის დროს მუდამ ვღელავ! — აუხსნა რაშელმა, — პეიზაჟი სწრაფად იცვლება... წინ კი უცნობი სამყაროა!

წამით ჰორიზონტს გააყოლა თვალი.

— რამდენი მივლია ჩემს ცხოვრებაში, მატარებლით, გემით!

სახე მოეღრუბლა. ანტუანმა ადგილი მოინაცვლა, მის გვერდით დივანზე გაწვა და თავი მუხლებზე დაუდო.

— უმბილიკუს სიკუტ კრატერ ებურნეუს. * — წაიჩურჩულა მან. შემდეგ ცოტა ხნით ჩაჩუმდა და როცა იგრძნო, რაშელი სადღაც შორს იყო ფიქრით, ჰკითხა: — რაზე ფიქრობ?

—არაფერზე! — ცდილობდა მხიარული იერი მიეღო, — შენს ჰალსტუხზე ვფიქრობ, სკოლის მასწავლებლის ჰალსტუხს წააგავს! — წამოიძახა მან და ნასკვში თითი გაუყო. — წარმოგიდგენია? მოგზაურობის დროსაც კი ვერ მოგიხერხებია უფრო თავისუფლად, ოდნავ მოშვებულად მაინც გაგენასკვა იგი!

ქალი გაიზმორა და ხელახლა გაიღიმა:

— რა ბედნიერებაა მარტონი რომ ვართ კუპეში!.. ილაპარაკე, რამე მიამბე!

ანტუანს გაეცინა.

— კი მაგრამ, ჩვეულებრივ ხომ შენ ჰყვები ხოლმე? მე რა უნდა გიამბო? ავადმყოფები... შემოვლა... სხვა რა მაქვს საამბობი? მუდამ ისე ვცხოვრობდი, როგორც თხუნელა თავის ბუნაგში; ხვრელიდან შენ გამომიყვანე და ქვეყანა დამანახე!

ასეთი აღსარება პირველად ესმოდა მისგან რაშელს, იგი დაიხარა, მუხლებზე დადებულ საყვარელ თავს ორივე ხელი შემოაჭდო და დააშტერდა.

— მართალია, რასაც ამბობ? მითხარი, მართალია?

— იცი რა, — განაგრძო ანტუანმა და პოზა არ შეუცვლია, — მომავალ წელს მე და შენ ნუ დავრჩებით პარიზში მთელ ზაფხულს.

— კეთილი.

— წელს შვებულება არ ამიღია. ორი კვირისას ერთად ვითხოვ.

— კეთილი.

— იქნებ, სამი კვირაც მომცენ.

— კეთილი.

— ერთად წავიდეთ სადმე... სულ ერთია სად... კარგი?

— კარგი.

— თუ გინდა მთაში წავიდეთ. ვოგეზში. ან შვეიცარიაში. ანდა სადმე, უფრო შორს.

რაშელი ჩაფიქრებული იჯდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ანტუანმა.

— ამაზე. ჰო, შვეიცარიაში წავიდეთ.

— იქნებ, იტალიურ ტბებზე.

— ოჰ, არა!

— რატომ? იტალიური ტბები არ მოგწონს?

— არა.

დივანზე გაშოტილი ანტუანი მატარებლის რწევას დაემშვიდებინა და უსიტყვოდ დაეთანხმა:

— კეთილი. სადმე სხვაგან წავიდეთ... სადაც მოისურვებ...

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ზანტად ჰკითხა:

— მაინც რატომ არ მოგწონს იტალიური ტბები?

რაშელი თითს აყოლებდა ანტუანის შუბლს, ქუთუთოებს, საფეთქლებს, რომლებიც ისევე ჰქონდა ჩავარდნილი, როგორც ლოყები. მან არაფერი

უპასუხა; ანტუანმა თვალები დახუჭა, ჩათვლიმა, მაგრამ ერთი და იგივე ფიქრი ჯიუტად უტრიალებდა თავში.

— რატომ არ მეუბნები, მაინც რატომ არ მოგწონს იტალიური ტბები?

რაშელს უსიამოვნო ლანდმა გადაურბინა სახეზე.

— აარონი იქ მოკვდა! ჩემი ძმა? გაიგე? პალანძაში. •

ანტუანმა ინანა, რად ჩავაცივდიო, მაგრამ მაინც განაგრძო:

— განა ის იქ ცხოვრობდა?

— ოჰ, არა: სამოგზაუროდ წავიდა. საქორწინო მოგზაურობაში.

მან წარბი შეიკრა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს ანტუანის ფიქრს მიუხვდაო, წაიჩურჩულა:

— უჰ, რამდენი რამ მინახავს ცხოვრებაში!

— რძალთან ჩხუბი ხომ არ მოგსვლია? — ჰკითხა ანტუანმა. — ერთხელაც არ გიხსენებია ჩემთან.

მატარებელმა სვლა შეანელა. რაშელი წამოდგა და ფანჯარას გადაეყუდა; მაგრამ, ეტყობა, ანტუანის შეკითხვა მაინც გაიგონა, რადგან მობრუნდა და ჰკითხა:

— რა თქვი? რომელი რძალი? კლარა?

— ჰო, შენი ძმის ცოლზე გეკითხები. აკი თქვი, აარონი საქორწინო მოგზაურობის დროს მოკვდაო.

— ერთად დაიღუპნენ. აკი გითხარი... ნუთუ არ მიამბნია? — იგი ფანჯარაში იყურებოდა ისევ, — ტბაში დაიხრჩვნენ. ვერავინ გაიგო, რა მოუვიდათ! — წამით შეყოყმანდა. — ვერავინ, გარდა ირშისა.

— ირშისა? — იკითხა ანტუანმა და იდაყვებს დაეყრდნო, — როგორ, ისიც მათთან იყო?.. მაშ, შენც იქ იყავი?

— ოჰ, მოდი, დღეს ამაზე ნუ ვილაპარაკებთ! — სთხოვა რაშელმა და დაჯდა. — ჩანთა მომაწოდე. მოგშივდა? — შოკოლადის ფილას ქაღალდი მოხსნა, კბილებში ჩაიდო და ასევე კბილებით ანტუანს გაუწოდა. ახალგაზრდა კაცი ღიმილით აჰყვა თამაშს და შოკოლადი მოკვნიტა.

— ასე უფრო გემრიელია! — უთხრა რაშელმა და თვალი ჩაუკრა.

და უცებ სულ მოულოდნელად, უკმეხად წამოიწყო:

— კლარა ირშის ქალიშვილი იყო; ახლა ხომ გესმის? ქალიშვილის წყალობით გავიცანი მამა. განა არ მიამბნია?

უარყოფის ნიშნად ანტუანმა თავი გააქნია, მაგრამ დაკითხვას აღარ შესდგომია, ცდილობდა ეს ახალი დეტალები როგორმე დაეკავშირებინა წინათ მოსმენილ ამბებთან. ამას გარდა, დაკვირვებული იყო, როგორც კი

შეწყვეტდა დაკითხვებს, რაშელი თვითონვე ჰყვებოდა ხოლმე ყველაფერს. ახლაც ასე მოიქცა.

— კლარას ფოტოსურათი არ მიჩვენებია? მოვძებნი და გაჩვენებ, სკოლის მეგობარი იყო ჩემი. დაწყებით კლასებში გავიცანით ერთმანეთი. მაგრამ მან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო საბალეტო სკოლაში. ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა; ან იქნებ, ირშს ერჩივნა თავისთან ჰყოლოდა... ადვილი შესაძლებელია, ასეც იყო... ჩვენ დავმეგობრდით. კვირაობით ნეილის მანეჟზე მივდიოდი მის სანახავად. ჯირითიც ერთად ვისწავლეთ. ხოლო მოგვიანებით, ჩვეულებად გვექცა, სამივეს ერთად გვესეირნა ცხენებით.

— ვის სამივეს?

— ვის და, კლარას, ირშსა და მე. აღდგომის დღეებიდან მოყოლებული, კვირაში სამჯერ, დილის ექვს საათზე მათთან ვიყავი. რვა საათზე უკვე თეატრში მივრბოდი. იმ ორი საათის განმავლობაში მთელი ბულონის ტყე ჩვენ გვეკუთვნოდა. დიდებული დრო იყო!

წამით გაჩუმდა. ანტუანი დივანის სახელურს დაყრდნობოდა, არ ინძრეოდა, ქალს თვალს არ აშორებდა.

— უცნაური გოგონა იყო, — იგონებდა რაშელი, — მამაცი, ძალიან გულკეთილი. მიმზიდველიც. ოდნავ გამომწვევი მიმზიდველობა და ზოგჯერ, მამამისივით სასტიკი გამოხედვა ჰქონდა. იმ ხანებში იგი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. აარონს რამდენიმე წლის განმავლობაში უყვარდა გაგიჟებით: მხოლოდ იმიტომ მუშაობდა, რომ ოდესმე მისი შერთვის საშუალება ჰქონოდა. კლარა კი უარზე იდგა. და, რა თქმა უნდა, ირშიც. მაგრამ ბოლოს, კლარა რატომღაც დათანხმდა. მართალი გითხრა, მაშინ ვერ მივხვდი, რატომ გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა. ნიშნობამდე არავითარი ეჭვი არ შემიტანია. ხოლო როცა გავიგე, გვიანღა იყო. ვეღარაფერს ვიტყოდი.

რაშელი გაჩუმდა.

— ქორწინებიდან სამი კვირა იქნებოდა გასული, ირშმა პალანძაში გამომიძახა დეპეშით. მე არც კი ვიცოდი, რომ იგი იქ იყო. როცა შევიტყვე, რომ ისიც მათთან ყოფილა, მაშინვე მივხვდი, რაღაც უბედურება დატრიალღებოდა იქ-მეთქი! თუმცა ახლა ეს უკვე აღარაა საიდუმლოება. კლარას სისხლნაჟღენთები აღმოაჩნდა კისერზე. ეტყობა, ხელით დაახრჩო.

— ვინ?

— აარონმა. მისმა ქმარმა. იმ საღამოს ნავი დაექირავებინა და მარტო აპირებდა თურმე ტბაზე გასეირნებას. ირშს ხელი არ შეუშლია; პირიქით; ამის მიზეზებიც ჰქონდა, ალბათ! იცოდა, რომ აარონს თავის მოკვლა განეზრახა. ჩანს, კლარაც მიმხვდარიყო: უსარგებლოა მომენტით, როცა ირში

თვალს არ აღევნებდა, და ნავში ჩამხტარა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოსაზრება ასეთია... რადგან ირში... — მას შეაკრთოლა, — ირშს ვერაფერს დასტყუებს კაცი...

ქალი დადუმდა.

— კი მაგრამ, თავი რატომ უნდა მოეკლა? — ჰკითხა ანტუანმა.

— აარონი მუდამ ლაპარაკობდა თვითმკვლელობაზე. ეს აზრი ბავშვობიდანვე აკვიატებოდა. სწორედ ამიტომ ვერ გავბედე მეთქვა მისთვის ყველაფერი და ცოლის შერთვა ვერ დავუშალე. მერე კი რამდენი ვინანე!.. — ნაღვლიანად თქვა მან. — რომ მოველაპარაკებოდი, იქნებ, დღესაც... — ქალმა ისე შეხედა ანტუანს, თითქოს საკუთარი სინდისის ქენჯნისაგან თხოვს დაიხსნასო. — დიახ. მე დანაშაულზე მივუსწარი მათ, მაგრამ განა ეს საფუძველს მაძლევდა აარონისთვის გამემხილა მათი საიდუმლოება? მითხარი! რამდენჯერ უთქვამს, თუ კლარა ცოლად არ გამომყვება, თავს მოვიკლავო. ასეც მოიქცეოდა, თუკი შევატყობინებდი იმ ამბავს, რაც შემთხვევით გავიგე. როგორ ფიქრობ, ასე არ იქნებოდა?

ანტუანმა არ იცოდა, რა ეპასუხნა და ესღა ჰკითხა:

— შემთხვევით?

— ჰო, სრულიად შემთხვევით: დილით, კლარასა და ირშს გავუარე, ბულონის ტყეში უნდა წავსულიყავით. პირდაპირ კლარას ოთახში ავედი, ზევით; უცებ რაღაც ბღლარძუნი მომესმა, მივირბინე... კარი შეღებული იყო. კლარა პერანგის ამარა იდგა, ტიტველი მკლავებით; საცხენოსნო კაბა ფეხებში ებლანდებოდა; კარი რომ გავაღე, დავინახე, კლარამ სკამიდან მათრახი აიღო და ერთი თუ ორი! რაც ძალი და ღონე ჰქონდა სახეში გადაუჭირა ირშს.

— მამამისს?

— დიახ, ჩემო კარგო! უნდა გამოგიტყდე, არაერთხელ გამიხსენებია შემდეგში ეს ფაქტი! — რაღაც ბოროტი სიხარულით წამოიძახა მან, — ირში მუდამ თვალწინ მედგა: სახეგაფითრებულს ნაიარევი თანდათან უმუქდებოდა! აკი მასაც უყვარდა ცემა-ტყეპა! და თანაც, რა მაგარი ხელი ჰქონდა! იმჯერად კი ხა! ხა! ხა! თვითონაც გაუსინჯა გემო მათრახს!

— კი მაგრამ... მაინც რა მოხდა?

— ზუსტად ვერც მე გავიგე, რა მოხდა იმ დილით... ეტყობა, ნიშნობის შემდეგ კლარა უარს ეუბნებოდა. მაშინვე ამ აზრმა გამიელვა თავში. ათასი რამ გამახსენდა უცბად, რაც წინათაც მაკვირვებდა ხოლმე; მაშინვე მივხვდი, ნათლად დავინახე ყოველივე... ირში ამპარტავნული იერით გამოვიდა ოთახიდან და სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის: ისეთი სახით ჩამიარა, თითქოს ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მე არსად არ ვილაპარაკებდი

ამის შესახებ. როგორც ხედავ, მართალი გამოდგა. კლარას შევუჩნდი. ყველაფერში გამომიტყდა. მაგრამ დაიფიცა, და მეც დავრწმუნდი, მართალს ამბობს-მეთქი, დაიფიცა, მორჩა, ასეთი რამ აღარ განმეორდება და სწორედ ამიტომაც ვთხოვდები, მინდა ამ სიბინძურეს თავი დავაღწიოო. ვისთვის უნდა დაეღწია თავი? ირშისთვის? თუ... საკუთარი ვნებისთვის? აი, ამაზე უნდა დავფიქრებულიყავი მაშინ. უნდა მივმხვდარიყავი, თუგინდ მისი ტონითაც კი, რომ ამ ამბავს ასე ადვილად ვერ დააღწევდა თავს.

რაშელი გაჩუმდა. მერე ყრუ ხმით დაუმატა:

—როცა ქალი ასეთი სიძულვილით იხსენიებს მამაკაცს, ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ მისი მონა-მორჩილია!

წამით დაფიქრდა, თავი ჩაჰკიდა, თვალები დახარა. შემდეგ ხელახლა წამოიწყო:

— ცოტა ხნის მერე დავრწმუნდი, რომ ასეც იყო. რაკი სწორედ კლარამ, საქორწინო მოგზაურობის დროსაც... გესმის? თვითონვე გამოიძახა ირში იტალიაში!.. მერე რა მოხდა, არ ვიცი. აარონმა, ალბათ, მიუსწრო: უამისოდ თავის დახრჩობას რაზე გადაწყვეტდა?.. ერთი რამ მაინც ვერ გამიგია: რა განზრახვა ჰქონდა კლარას? რატომ ჩაუხტა ქმარს ნავში? თვითმკვლელობისთვის უნდოდა ხელის შეშლა? თუ გადაწყვიტა მასთან ერთად მომკვდარიყო? შეიძლება, ასეც იფიქროს კაცმა და ისეც... წარმოგიდგენია, რა სანახაობა იქნებოდა? ორნი ნავში, გვიან ღამით, შუა ტბაში? ათასჯერ დავფიქრებულვარ, რა მოხდა-მეთქი იქ? ნუთუ კლარამ ცინიკურად აღიარა ყოველივე? მისგან არაფერი იყო გასაკვირველი. იქნებ, აარონმა გადაწყვიტა ისიც გაექრო, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეს სისაძაგლე აღარ განმეორდებოდა?! მეორე დღეს ცარიელი ნავი იპოვეს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ — ორივე გვამიც... მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ირშმა იმავე საღამოს, საფოსტო განყოფილების დახურვამდე, ჯერ ძებნა არც კი გამოეცხადებიათ, დეპეშა გამომიგზავნა.

რაშელი რამდენიმე ხანს ჩაფიქრებული იყო. მერე განაგრძო:

— შენ, ალბათ, ამის შესახებ იმდროინდელ გაზეთებში წაიკითხავდი; მაგრამ, ეტყობა, ყურადღება არ მიგიქცევია. ძიება იტალიურმა პოლიციამ აწარმოა; მალე ფრანგული პოლიციაც ჩაერია საქმეში: პარიზში აარონისა და ჩემი ბინა გაჩხრიკეს, მაგრამ საიდუმლოება ამოუხსნელი დარჩა... მე კი მათზე მეტი ვიცოდი!

— შენი ირში არ შეუწუხებიათ?

რაშელი მკვირცხლად გასწორდა წელში:

— არა, — დინჯად თქვა მან, — ჩემი ირში ერთხელაც არ შეუწუხებიათ.

მის ხმასა და გამოხედვაში გამოწვევა იგრძნობოდა, მაგრამ ანტუანს ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის... როცა რაშელი თავგადასავალს ჰყვებოდა, ხშირად ჰქონია ასეთი გამომწვევი ტონი, თითქოს სიამოვნებას ჰგვრიდა, იმ კაცის გაოცება, რომელმაც პირველი შეხვედრისთანავე იქონია ძლიერი გავლენა მასზე.

—ირში არ შეუწუხებიათ, — უკვე სულ სხვა ტონით, დაცინვით გაიმეორა მან. — მაგრამ ჭკუა იხმარა და იმ წელიწადს საფრანგეთში აღარ დაბრუნებულა!

— ნუთუ გგონია, რომ მისმა ქალიშვილმა საქორწინო მოგზაურობის დროსაც...

— კმარა! — წამოიყვირა რაშელმა და მაგარი კოცნით შეაწყვეტინა ლაპარაკი ანტუანს. იგი ასეთ ვნებას მხოლოდ მაშინ ამჟღავნებდა ხოლმე, როცა ირშზე ჩამოვარდებოდა სიტყვა. — შენ სხვებს არ ჰგავხარ! — ეჩურჩულებოდა იგი და მაგრად ეკვროდა. — შენ კეთილი ხარ, დიდსულოვანი! პირდაპირი! ოჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, ფისო!

და როცა მისი ნაამბობით აღელვებულმა ანტუანმა რაღაცის კითხვა დააპირა, რაშელმა გაუმეორა:

— კმარა! კმარა... ამაზე ლაპარაკი ძალიან მიმძიმს. მინდა ყველაფერი დავივიწყო.... რაც შეიძლება დიდი ხნით... მომეხვიე, მომეფერე... ჰო, მომეფერე, კარგად მომეალერსე, ფისო, იქნებ, დავივიწყო...

ანტუანმა მაგრად მოხვია მკლავები. და უცებ, თითქოს ქვეშეცნეულების სიღრმიდან, ფათერაკების წყურვილმა ახალი ინსტინქტივით იჩინა მასში თავი: სურდა თავის წესიერ ცხოვრებას გაქცეოდა, ყველაფერი ხელახლა დაეწყო, საფრთხეში ჩაეგდო თავი, თავისუფალ და ფუჭ საქციელზე დაეხარჯა მთელი ენერგია, რასაც აქამდე ასეთი სიამაყით ახმარდა შრომას.

— გინდა ერთად წავიდეთ სადმე? ყური მიგდე. ხელახლა დავიწყოთ ცხოვრება სადმე, შორს, შორს... შენ ჯერ არ იცი, რა შემიძლია მე!

— შენ? — სიცილით ჰკითხა რაშელმა და ტუჩები გაუწოდა.

ანტუანი უცებ გონს მოეგო, შეეცადა დაერწმუნებინა რაშელი, ვიხუმრეო და გაუღიმა.

— რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! — უთხრა ქალმა.

და ისეთი ნაღვლიანი თვალებით დააკვირდა, რომ ანტუანი ამ გამოხედვას კარგა ხნის შემდეგაც იხსენებდა.

ანტუანი კარგად იცნობდა რუანს. მამამისი წარმოშობით ნორმანდიიდან იყო. რუანში ბატონი ტიბოს რამდენიმე ახლო ნათესავი ცხოვრობდა. ამას გარდა, რვა წლის წინ ანტუანი სამხედრო ვალდებულებას იხდიდა იქ.

სხვა რა გზა ჰქონდა, რაშელი სადილობამდე დაჰყვებოდა მას მიყრუებულ, ჯარისკაცებით სავსე გარეუბანში, მდინარის მეორე მხარეს და დიდხანს ხეტიალობდა მასთან ერთად ყაზარმის თვალუწვდენელი გალავნის ირგვლივ.

— ლაზარეთი! — სიხარულით წამოიყვირა ანტუანმა და მკვეთრად განათებული შენობა დაანახა. — მეორე ფანჯარას ხედავ? ეს კანცელარიაა. რამდენი დღე ვმჯდარვარ იქ უსაქმოდ! წაკითხვის საშუალებაც არ მქონია: ორი თუ სამი სიმულანტი ჯარისკაცი და სიყვარულის რამდენიმე მსხვერპლიდა მყავდა მოსავლელი.

იგი ისე იცინოდა, ჩანდა, ღვარძლის ნატამალიც არ შერჩენოდა და ბოლოს დაუმატა:

— სამაგიეროდ, დღეს რა ბედნიერი ვარ!

რაშელმა არაფერი უპასუხა და წინ წავიდა; ანტუანმა ვერ შეამჩნია, რომ ქალი ძლივს იკავებდა ცრემლებს.

კინოთეატრის წინ აფიშა გაეკრათ!

უცნობი აფრიკა!

ანტუანმა ეს აფიშა რაშელს დაანახვა, რომელმაც თავი გადააქნია და სასტუმროსკენ გასწია.

სადილობისას ანტუანმა ვერასგზით ვერ მოახერხა მისი გამხიარულება; ხოლო, როცა ერთბაშად მათი მოგზაურობის მიზანი მოაგონდებოდა, ეს მხიარული გუნება-განწყობილება ვერ ეპატიებინა თავისთავისთვის.

როგორც კი სასტუმროს ოთახში ავიდნენ, რაშელი კისერზე ჩამოეკიდა.

— ნუ გამიბრაზდები! — წასჩურჩულა მან.

— რაზე უნდა გაგიბრაზდე?

— იმაზე, რომ დასვენება ჩაგიმწარე!

ანტუანმა შეკამათება დააპირა. რაშელი კვლავ მოეხვია და თითქოს თავისთვის იმეორებსო, ბუტბუტებდა:

— ოჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!

მეორე დღეს დილაადრიან ჩავიდნენ კოებეკში *. სულისშემხუთველი სიცხე იდგა. განიერ მდინარეს ნისლი გადაჰფენოდა და ციმციმით მიედინებოდა. ანტუანმა ჩემოდნები პატარა სასტუმროში მიიტანა, საცაც ეტლებსაც აქირავებდნენ. ეტლი დათქმულ დროზე ადრე მოსულიყო და ფანჯარასთან იდგა: ანტუანი და რაშელი იქვე ახლოს საუზმობდნენ. რაშელმა სწრაფად მოათავა დესერტი, ღია ეტლში თვითონვე ჩაალაგა ათასნაირი პაკეტები, მეეტლეს დაწვრილებით აუხსნა, რომელი გზით უნდა წასულიყვნენ და ძველ ეტლში მხიარულად შევარდა..

რაც უფრო ახლოვდებოდა ჯისი მგზავრობის მძიმე წუთები, ქალი თითქოს მით უფრო ხალისიანი ხდებოდა. გზამ აღტაცებაში მოიყვანა. ცნობდა ყოველ აღმართს და დაღმართს, ბორცვებში ჩარჩენილ ჯვრებს, ყოველი სოფლის ყოველ მოედანს, ყველაფერი აოცებდა: კაცი იფიქრებდა, პარიზის გარეუბნებს არ გასცილებიაო.

— აბა, ერთი შეხედე! რა ქათმებია! იმ დამბლადაცემულ დედაბერს ხედავ? მზეზე იხრუკება! ნახე, საპირწონედ ქვის ლოდი ჩამოუდგიათ დობეზე! რა ჩამორჩენილები არიან! ხომ ხედავ, მართალი ვიყავი, როცა გაგაფრთხილე, მიყრუებული ადგილია-მეთქი.

როცა გელ-ლა-როზერის პატარა ეკლესიის ირგვლივ მიმოფანტული სახლების სახურავები შეამჩნია ხეობაში, მთელი ტანით წამოიმართა ეტლში და სახე ისე გაუნათდა, თითქოს მშობლიურ მხარეს დაუბრუნდაო.

— სასაფლაო მარცხნივაა, სოფლიდან კარგა დაშორებით. აი, იმ ალვის ხეებს იქით. მოიცა, ახლავე დაგანახვებ... სოფელში ჩორთით წაიყვანეთ ცხენები, — მიმართა მან მეეტლეს, როცა სოფლის პირველ სახლებს გაუსწორდნენ.

ჩალით გადახურული სახლები ბალხმოდებული ეზოს სიღრმეში მიმალულიყო და შავზოლებიანი თეთრი ფასადებიდა ლაპლაპებდა მზეზე, ვაშლის ხეებს მიღმა. მგზავრებმა ორ ტირიფს შორის აგებულ კრამიტიან სახლს ჩაუარეს.

— მერია! — აღტაცებით წამოიძახა რაშელმა. — არაფერი არ შეუცვლიათ. აი აქ მომცეს მეტრიკა.. იქ კი, უკან, ხედავ? იქ მისი ძიძა ცხოვრობდა. რა კეთილი ხალხი იყო! აქედან სადღაც გადავიდნენ, თორემ აუცილებლად შევირბენდი და დედაბერს გადავეხვეოდი... შეხედე, ერთხელ აი, ამ სახლშიც ვცხოვრობდი. ყოველ ჩამოსვლაზე იქ მიმიყვანდნენ; სადაც თავისუფალი ლოგინი ეგულებოდათ. მათთან ერთად ვჭამდი, დავცინოდი მათ დიალექტს. ყაფაზში ჩამწყვდეული ნადირივით მიყურებდნენ, დავწვებოდი თუ არა, დედაკაცები ჩემს სანახავად მოდიოდნენ, იმიტომ,

რომ პიჟამაში მეძინა! ვერ წარმოიდგენ, როგორი ჩამორჩენილები არიან! მაგრამ მაინც კარგი ხალხია! ბავშვი რომ მომიკვდა, უნდა გენახა, რა გულთბილად მომექცნენ! ცოტა შოგვიანებით ათასი რამ გამოვუგზავნე ყველას: დაშაქრული ხილი, ბაფთები თავსამკაულებისთვის, ლიქიორი — მღვდელს.

რაშელი ისევ წამოდგა.

— სასაფლაო აი, იმ ბორცვს იქითაა .ხედავ? ღარტაფში საფლავები რომ მოჩანს. გულზე დამადე ხელი: იცი, რატომ მიძგერს ასე? მუდამ მეშინია, ვაითუ იქ აღარ დამხვდეს ჩემი საცოდავი გოგონა-მეთქი! საქმე ისაა, რომ საფლავის ადგილი სამუდამოდ არ შევვისყიდია: გვითხრეს, ჩვენში მიღებული არააო. ჰოდა, ჩემდაუნებურად, მუდამ, როცა კი აქ მოვდივარ, ამას ვფიქრობ: ვაითუ, ბავშვი საფლავიდან ამომიგდეს-მეთქი! აქვთ ამის უფლება!.. ხეივნის შესასვლელთან შეჩერდით, მეგობარო!.. ჭიშკრამდე ფეხით მივალთ... წამო, წამო ჩქარა!

რაშელი ეტლიდან გადმოხტა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ჭიშკრისკენ; გააღო, გალავნის კუთხეში გაუჩინარდა, მერე ისევ გამოჩნდა და ანტუანს დაუყვირა:

— ისევ აქაა!

მზე ეფრქვეოდა გახარებულ სახეზე. რაშელი ხელახლა მიიმალა.

ანტუანი მიუახლოვდა. ქალი დოინჯშემოყრილი იდგა სარეველა ბალახით დაფარულ საფლავთან, რომელიც გალავნის ორ კუთხეს შორის მოემწყვდეულიყო. მაღალი ჭინჭრის უკან საფლავის ზღუდის ნამსხვრევები დახვავებულიყო.

— აქ კია, მაგრამ რა დღეშია! ოჰ, უბედურო გოგო, რა მოუვლელია შენი საფლავი! ყოველწლიურად ოც ფრანკს ვუგზავნი საფლავის მოსავლელად, მაგრამ ეტყობა რამე?!

მერე ანტუანს მიუბრუნდა და, თითქოს პატიებას სთხოვსო, თავისი აზრის გამო, გაუბედავად სთხოვა:

— იქნებ, ქუდი მოგეხადა, ფისო?

ანტუანი გაწითლდა და მაშინვე მოიხადა ქუდი.

— საწყალი ჩემი გოგო! — თქვა რაშელმა, ანტუანს მხარზე ჩამოადო ხელი და თვალები ცრემლებით აევსო, — წარმოგიდგენია? სიკვდილის წინ ვერც კი ვნახე! დავიგვიანე. ანგელოზი, ნამდვილი პატარა, ფერმიხდილი ანგელოზი იყო... — უცებ თვალები შეიმშრალა. და გაიღიმა, — რა დიდებული გასეირნება მოგიწყვე, არა? რას იზამ? ძველი ამბავია, მაგრამ აღელვება ვერ შევიკავებია. კიდევ კარგი, სამუშაო გვაქვს: დაფიქრების საშუალება არ გვაძლევს... წამოდი!

უკან გაბრუნდნენ, მეეტლემ შესთავაზა, გიშველითო, მაგრამ უარი უთხრეს, სასაფლაოზე თვითონვე გადაიტანა პაკეტები, რომელთა გასახსნელად რაშელმა ბალახზე ჩაიჩოქა. მეზობელი საფლავის ფილაზე რიგრიგობით დაალაგა ბარი, სასხლავი დანა, ხის ჩაქუჩი; შემდეგ მუყაოს ყუთი გახსნა, სადაც თეთრი და ცისფერი მძივებით მორთული გვირგვინი იდო.

— ახლა კი მესმის, რატომ იყო ასეთი მძიმე! — ღიმილით უთხრა ანტუანმა.

რაშელი მხიარულად წამოდგა.

— დაცინვას გირჩევნია, მომეხმარო! პიჯაკი გაიხადე... აჰა, სასხლავი გამომართვი! უნდა მოიჭრას და ამოიგლიჯოს ეს ეკალბარდი, აქაურობას რომ მოსდებია. ხედავ, აი, ამ ავურების მიხედვით მიხვდები, სადაა საფლავი. ჩემი საცოდავი გოგოს კუბო არც დიდი იყო, არც მძიმე!.. ეს აქ მომეცი!.. გვირგვინის ნამსხვრევია. ძველი გვირგვინია... „ჩვენს საყვარელ შვილს" — ძუკომ მოუტანა. მე მთელი წელი აღარ ვცხოვრობდი მასთან, მაგრამ მაინც შევატყობინე, გესმის? .სხვათა შორის, ძალიან წესიერად ეჭირა თავი. ჩამოვიდა, ძაძები ეცვა... გეფიცები, ძალიან კმაყოფილი დავრჩი: რაც არ უნდა იყოს, დასაფლავების დღეს მარტო არ ვგრძნობდი თავს!.. რა ვქნა, ასეთი ბრიყვი ვარ!... მოიცა: ეს ჯვარია. ასწიე, ახლავე გავასაგრებთ.

ანტუანმა ბალახი მისწი-მოსწია და მოულოდნელობისაგან შეკრთა: თავდაპირველად წარწერა მთლიანად ვერ შეამჩნია: „როქსან-რაშელ გეპფერტი", პირველი სახელი წაშლილიყო და მხოლოდ მეორე ამოიკითხა. წამით დაფიქრდა.

— აბა! — შეუძახა რაშელმა, — ვიმუშაოთ! აი იმ კიდიდან დავიწყოთ.

ანტუანი გულიანად მოეკიდა საქმეს. წესად ჰქონდა არაფერი გაეკეთებინა სანახევროდ. უპიჯაკოდ, სასხლავითა და ბარით ხელში, მალე შავ მუშასავით გაოფლიანდა.

— ერთი ეს გვირგვინები მომაწოდე! — უთხრა რაშელმა, — კარგად გავწმენდ... ოჰ, ერთი აკლია! წარმოგიდგენია? სწორედ ყველაზე ლამაზი წაუღიათ, ირშის მოტანილი! ფაიფურის ყვავილებისგან გაკეთებული! ეს უკვე მეტისმეტია!

ანტუანი მხიარულად ადევნებდა თვალს: უქუდოდ, გაწეწილი, მზეზე აბრდღვიალებული თმით, ბრაზნარევი დამცინავი ღიმილით, აკეცილი ქვედატანით, დაკაპიწებული სახელოებით აქეთ-იქით აწყდებოდა და სათითაოდ ათვალიერებდა საფლავებს და გაამჩხლებული ბუზღუნებდა:

— ოჰ, ერთი ამ სვავებს დააიხედეთ, ეტყობა, მომპარეს!

სასოწარკვეთილი დაბრუნდა:

— ისე ვუფრთხილდებოდი იმ გვირგვინს! ალბათ, ბრელოკები გაიკეთეს მისგან. იცი, რა ყრუალა ხალხია! სამაგიეროდ, — დაუმატა მან და თითქოს ჯადოსნური ჯოხი აუქნიესო, დამშვიდდა, — ყვითელი ქვიშა ვიშოვე: აქაურობას ძალიან მოუხდება!

საფლავი თანდათან იცვლიდა იერს. ჯვარი წამოაყენეს, ჩაქუჩის დარტყმით მიწაში ჩაარჭეს და იგი ახლა ზევიდან დაჰყურებდა აგურის სწორკუთხედს, რომელსაც სარეველა ბალახი მოაშორეს; საფლავს ირგვლივ ვიწრო, ქვიშამოყრილი ბილიკი ჩასდევდა და მოვლილ იერს აძლევდა.

მუშაობაში გართულები ვერ ამჩნევდნენ ცა როგორ იღრუბლებოდა და როცა წვიმის პირველი წვეთები დაეცათ, გაუკვირდათ. ხეობის გაღმა ქუხილი მოისმა. ტყვიისფერი ცის ქვეშ ქვები უფრო თეთრი მოჩანდა, ხოლო ბალახი უფრო მწვანე.

— ვიჩქაროთ! — თქვა რაშელმა. დედობრივი სიყვარულით გადახედა საფლავს. — დიდებულად ვიმუშავეთ! — წაიჩურჩულა მან. — აგარაკის პატარა ბაღს არ დაემსგავსა აქაურობა?!

გალავნის კუთხეში ანტუანმა ვარდის ბუჩქიდან ჩამოშვებული ტოტი შენიშნა, რომელზედაც ქარი ყვითელგულა ორ ვარდს არხევდა. გადაწყვიტა, გამომშვიდობების ნიშნად პატარა როქსანასათვის დაეტოვებინა იგი. მაგრამ ეუხერხულა და ამჯობინა ეს რომანტიკული ჟესტი დედისთვის განეკუთვნებინა: ვარდები მოკრიფა და რაშელს მიართვა.

ქალმა ჩამოართვა და სასწრაფოდ მიიბნია მკერდთან.

— გმადლობ! — უთხრა მან. — ახლა კი გავიქცეთ, თორემ ქუდი გამიფუჭდება.

მან ორივე ხელით აიკეცა კაბის კალთები, რომელსაც წვიმა უკვე უტყლაშუნებდა და უკან მოუხედავად გაიქცა ეტლისკენ.

მეეტლეს ცხენი გამოეშვა ეტლიდან და ხეებს შეფარებოდა. ანტუანმა და რაშელმა ეტლის გადმოხურულ კაპოტს შეაფარეს თავი და მუხლებზე მძიმე წინსაფარი გადაიხურეს, რომელსაც დაობებული ტყავის სუნი ასდიოდა. რაშელი იცინოდა: ამ მოულოდნელმა ქარიშხალმა კარგ გუნებაზე დააყენა და თანაც, ბედნიერად გრძნობდა თავს, მოვალეობა მოვიხადეო.

წვიმამ თანდათან იკლო, ღრუბლები სწრაფად მიცურავდა აღმოსავლეთისაკენ და მალე, ორთქლისგან გასუფთავებულ ჰაერში ხელახლა გაბრწყინდნენ ჩამავალი მზის თვალისმომჭრელი სხივები. მეეტლე ცხენის შებმას შეუდგა. იქვე ახლოს, პატარა ბიჭები გაწუწულ ბატებს მიერეკებოდნენ.

ყველაზე პატარა, ასე ცხრა-ათი წლის ბიჭი ეტლის საფეხურს შეახტა და წკრიალა ხმით შესძახა:

— რაო, ბატონებო და ქალბატონებო, სიყვარულობანა მოგწონთ?

და ხის ქოშების კაკუნით მოკურცხლა.

რაშელს ხარხარი აუტყდა.

— ესეც შენი ყრუალები! — წამოიძახა ანტუანმა. — მომავალი თაობა იმედებს იძლევა!

ეტლი, როგორც იქნა, მზად იყო გასამგზავრებლად. მაგრამ კოდბეკის მატარებელს მაინც ველარ მიუსწრებდნენ: მთავარი რკინიგზის უახლოეს სადგურამდე ეტლით მოუხდებოდათ მისვლა. ანტუანი აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო პარიზში ღამით, რათა ორშაბათ დილით საავადმყოფოში გამოცხადებულიყო.

სენტ-უენ-ლა-ნუში სავახშმოდ შეჩერდნენ. როგორც ყოველ კვირა დღეს, ფუნდუკი ახლაც ხალხით გაჭედილი დახვდათ. ახალმოსულებს უკანა ოთახში გაუშალეს სუფრა.

უხმოდ ისადილეს. რაშელი დაღინჯებული იჯდა, დაფიქრებულიყო და დასაფლავების დღე აგონდებოდა: მაშინაც ამ დროს, ასეთივე ეტლით ჩამოვიდა, ვინ იცის, იქნებ, სწორედ იგივე ეტლი იყო, ოღონდ მაშინ ტენორი ეჯდა გვერდით. განსაკუთრებით კარგად ახსოვდა ჩამოსვლისთანავე მათ შორის ამტყდარი ჩხუბი; ჰუკო მივარდა და აი, იმ კიდობანთან სილა გააწნა; ისიც ახსოვდა, რომ იმავე ღამეს, ამავე სასტუმრო ოთახში, მაინც დანებდა მას და შემდეგ მთელი ოთხი თვის განმავლობაში იტანდა მის სიბრიყვესა და უხეშობას... მიუხედავად ამისა, მასზე არც კი ბრაზობდა, პირიქით, ჰუკოსა და მისი სილის გახსენებამ ახლა ვნებებიც კი აუშალა. მაგრამ ეს შემთხვევა ანტუანს მაინც არ უამბო; საერთოდ, არასოდეს უთქვამს ის ამბავი, რომ ტენორი მას სცემდა.

შემდეგ, მეორე ახირებულმა აზრმა წამოჰყო თავი და რაშელი მიხვდა ასე დიდხანს სწორედ იმიტომ იგონებდა წარსულს, რომ უნდოდა თავიდან მოეშორებინა აკვიატებული ფიქრები.

წამოდგა.

— გინდა, სადგურამდე ფეხით წავიდეთ! — უთხრა მან ანტუანს. — მატარებელი 11 საათზე გადის. ბარგს მეეტლე მიიტანს.

— რვა კილომეტრი ამ სიბნელეში, ამ ტალახში ფეხით გავიაროთ?

— მერე რა მოხდა?

— ხომ არ გაგიჟდი?

— ოჰ, — დაიკვნესა ქალმა, — სადგურზე ძალამიხდილი მივიდოდი და ამით უკეთ ვიგრძნობდი თავს!

მაგრამ მეტად აღარ ჩააცივდა და ანტუანს ეტლისკენ გაჰყვა.

კუპაპეტ ღამეში ჰაერი სუფთა იყო. რაშელი ეტლში ჩაჯდომისთანავე ქოლგის წვერით შეეხო ზურგზე მეეტლეს და უთხრა:

— ნელი ნაბიჯით იარეთ, დრო ბევრი გვაქვს! — შემდეგ ანტუანს მიეკრა და წაიჩურჩულა: — აქ ისე თბილა, აქ ისე კარგია...

რამდენიმე წუთის შემდეგ, ანტუანი ხელით მოეფერა ლოყაზე და იგრძნო, რომ იგი ცრემლებს დაენამა.

— ნერვები მომეშალა! — აუხსნა რაშელმა და ანტუანის ხელი მოიშორა. მერე უფრო ახლოს მიიწია და სთხოვა: — მაგრად მომხვიე ხელი, ფისო, ნუ გამიშვებ!

უხმოდ ეკვროდნენ ერთმანეთს. ხეები, სახლები, რომელთაც წამით ანათებდა ეტლის ფანარი, აჩრდილივით წამოიწეოდნენ ხოლმე და ისევ იკარგებოდნენ სიბნელეში. ცის კამარა კვლავაც ბრწყინავდა. რაშელს ანტუანის მხარზე ედო თავი, რომელსაც დანჯღრეული ეტლი აქეთ-იქით არყევდა. რაშელი დროდადრო წამოიწევდა, საყვარელს ნოეხვეოდა და ამოიოხრებდა:

— რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!

რკინიგზის სადგურზე ანტუანისა და რაშელის გარდა არავინ უცდიდა პარიზის მატარებელს. ისინი ბაქანზე იდგნენ ფარდულქვეშ. რაშელს ხელმკლავი გაეყარა ანტუანისთვის და ხმას არ იღებდა.

რკინიგზელები აქეთ-იქით დარბოდნენ და სიბნელეში ფარნებს აქნევდნენ, რომელთა შუქი სველ ქვაფენილზე ირეკლებოდა.

— ჩქარი მატარებელი მოდის! უკან დაიხიეთ!

ჩქარმა მატარებელმა ელვის სისწრაფითა და ყურისწამღები ხმაურით ჩაიქროლა, მისმა ჩაბნელებულმა ვაგონებმა წამით გამოაჩინა განათებული თრმოები და თან წარიტაცა ყველაფერი, რისი ატაცებაც კი მოახერხა, თვით ჰაერიც კი. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრად, სადღაც შორს, უსუსური, ყრუ ელექტროზარი აწკარუნდა და ექსპრესის მოახლოება აუწყა.

მატარებელი მხოლოდ ოცდაათი წამით იდგა ბაქანზე. ძლივს მოასწრეს რომელიდაც კუპეში შეხტომა, სადაც სამ მგზავრს უკვე ეძინა; ნათურისათვის ლურჯი ქსოვილი შემოეხვიათ. რაშელმა ქუდი მოიხადა და ძალამიხდილი დაეშვა თავისუფალ კუთხეში. ანტუანი გვერდით მიუჯდა; მაგრამ

რაშელი, იმის ნაცვლად, რომ მას მიყრდნობოდა, ფანჯრის მინას მიეკრა შუბლით.

მის თმას, რომელსაც დღის შუქზე ფორთოხლის ფერი, თითქმის ვარდისფერი დაჰკრავდა, ახლა ამ ნახევრად ჩაბნელებულ ვაგონში გარკვეული ფერი აღარ ჰქონდა. იგი თითქოს რაღაც თხიერ, გავარვარებულ ნივთიერებად, ლითონის აბრეშუმად თუ მინის ნართად ქცეულიყო; ხოლო ლოყების ფოსფორისებური სითეთრე რაღაც არარეალურ ფერს აძლევდა სნეულის კანს. ხელი გრძელ სკამზე დაედო უღონოდ და როცა ანტუანი მას შეეხო, იგრძნო, რაშელი მთელი ტანით ცახცახებდა. ხმადაბლა ჰკითხა, რა მოგივიდაო. პასუხის ნაცვლად ქალმა ხელი მაგრად მოუჭირა და სახე ჩიაბრუნა. ანტუანს ვერ გაეგო, რა მოხდა, გაიხსენა მთელი მისი საქციელი სასაფლაოზე ყოფნისას: ნუთუ ეს ნერვული დაძაბულობა იმ მგზავრობის შედეგი იყო, რომელმაც თითქმის მხიარულად ჩაიარა? ანტუანს ვერაფერი გაეგო, დაიბნა.

მატარებელი პარიზს მიუახლოვდა. მგზავრებს გამოეღვიძათ, დაამთქნარეს და ნათურას ქსოვილი შემოხსნეს. ანტუანმა შეამჩნია, რომ რაშელს კვლავაც ჯიუტად დაეხარა თავი.

იგი ხალხის ტალღას ისე მიჰყვა, რაშელისათვის არავითარი შეკითხვა არ მიუცია. მაგრამ, როგორც კი ტაქსში ჩასხდნენ, ხელი მოჰკიდა.

— რა მოხდა?

— არაფერი.

— რაშელ, რა მოხდა?

— თავი დამანებე, ხომ ხედავ, უკვე გამიარა.

— არა, არ დაგანებებ თავს. ამის უფლება მაქვს... რა მოხდა?

ქალმა ნამტირალევი სახე ასწია, სასოწარკვეთით შეხედა და უთხრა:

— ვერ გეტყვი.

მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შეიკავა თავი, მკერდზე მიეყრდნო და წასჩურჩულა:

— ოჰ, ამისთვის ძალა არ მეყოფა, არასოდეს, არასოდეს, ფისო, არასოდეს!

ანტუანი მაშინვე მიხვდა, რომ მისი ბედნიერების წამები დათვლილი იყო, რომ რაშელი თავს ანებებდა, დატოვებდა მარტოს და რომ იგი ვერაფერს გახდებოდა, სრულიად ვერაფერს. იგი უსიტყვოდ მიუხვდა ყოველივეს, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მიზეზს გაიგებდა, ვიდრე გულისტკენას იგრძნობდა. და თითქოს დიდი ხანია, ამას ელოდა.

ალჟირის ქუჩაზე ისე აჰყვნენ სახლის კიბეს, ისე შევიდნენ რაშელის ბინაში, არც ერთს ხმა არ ამოუღია.

რაშელმა ვარდისფერ ოთახში ცოტა ხნით მარტო დატოვა ანტუანი. იგი იდგა, უაზროდ დაჰყურებდა ნიშში შედგმულ საწოლს, ტუალეტის მაგიდას, მთელ ამ სამყაროს, რაც მათთვის ასეთი ახლობელი გამხდარიყო. რაშელს მანტო გაეხადა; ანტუანი თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას: შემოვიდა, კარი მიხურა, მისკენ წამოვიდა; ოქროსფერი წამწამები თვალის გუგებს უფარავდა. სამაგიეროდ, ბაგეზე უცნაური გამომეტყველება ეფინა.

ანტუანს სრულიად გაუწყდა იმედი. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ და უთხრა.

— ეს არ არის მართალი, ხომ?.. შენ მე არ მიმატოვებ!

რაშელი ჩამოჯდა და დაქანცული ხმით, სვენებ-სვენებით უპასუხა; ნუ ღელავ, შორი გზა მაქვს გასავლელი, საქმეზე უნდა წავიდე ბელგიის კონგოშიო. მერე დაწვრილებით მოჰყვა ახსნა-განმარტებას. მამისგან მიღებული მემკვიდრეობა, მთელი მისი ქონება, ირშის წყალობით ზეთის სახდელ წარმოებაში დაებანდებინა. აქამდე შესანიშნავი პირი უჩანდა თურმე ამ საქმეს და კარგ შემოსავალსაც იძლეოდა, მაგრამ ახლახან ერთ-ერთი დირექტორი გარდაცვლილიყო და ქალს ყური მოუკრავს, რომ მეორე დირექტორი, — ამჟამად მთელი საქმის ბატონ-პატრონი, — მოლაპარაკებას აწარმოებს თურმე ბრიუსელის მსხვილ კომერსანტებთან, რომელთაც კინშასაში, * ე. ი. იმავე მხარეში, ზეთსახდელი ქარხანა გაუხსნიათ; რაშელის წარმოებას კონკურენციას უწევენ და მის გასაკოტრებლად ყოველ ღონეს ხმარობენ. (ლაპარაკის დროს რაშელს თანდათან უფრო დამაჯერებელი ხმა უხდებოდა). ეს საკითხი პოლიტიკური მდგომარეობითაც გართულებულიყო. იმ მიულერებს ბელგიის მთავრობა უჭერდა მხარს. ამგვარად, რაშელი ასე შორიდან ვეღარავის ანდობდა თავის საქმეს: აქ ხომ მის ერთადერთ შემოსავალზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე, მთელ მის მომავალზე იყო ლაპარაკი? მას ბევრი უფიქრია ამაზე, თავი უმტვრევია. ირში ეგვიპტეში ცხოვრობდა და ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა კონგოსთან. ქალს ერთადერთი გამოსავალიღა დარჩენოდა: თვითონვე წასულიყო და იმ ზეთსახდელ წარმოებაში რეორგანიზაცია მოეხდინა, ან არადა, შესაფერის თანხად მიეყიდა იგი მიულერებისათვის.

მისი სიმშვიდე ანტუანსაც გადაედო: გაფითრებული, წარბშეკრული შეჰყურებდა ქალს და სიტყვას არ აწყვეტინებდა.

— ამ საქმის მოგვარება სწრაფად შეიძლება... — გაბედა და ხმა ამოიღო ბოლოს.

— კიდეც შეიძლება და კიდეც არა.

— მაინც? ერთ თვეში?.. თუ უფრო მეტი დრო დასჭირდება? ორი თვე?.. — ხმა აუკანკალდა. — სამი თვე?

— დიახ.

— იქნებ, უფრო ნაკლები, ჰა?

— ოო, არა. ერთი თვე მარტო მგზავრობას მოუნდება.

— იქნებ, ვინმე... ვინმე საიმედო პირი გაგვეგზავნა?

რაშელმა მხრები აიწურა.

— საიმედო? ვინ იქნება ისეთი, ვისაც ყოველგვარი კონტროლის გარეშე ენდობოდი ოთხი კვირის განმავლობაში? კონკურენტები ჩასაფრებულნი არიან, ყოველ ახალ კომპანიონს მოისყიდიან.

ეს ისეთი ჭეშმარიტება იყო, რომ ანტუანი აღარ ჩასციებია. ოღონდ თავიდანვე ერთადერთი შეკითხვა ადგა ენაზე: „როდის?" სხვა საკითხის გადაწყვეტა საჩქარო არ იყო. მან ქალისაკენ ნაბიჯი გადადგა და მოკრძალებული ხმით, რაც სრულიად არ ეგუებოდა ამ ენერგიული ადამიანის დაძაბულ სახეს, ჰკითხა:

— ლულუ, ასე ერთბაშად ხომ არ წახვალ? მითხარი?

— ერთბაშად, არა... მაგრამ მალე წავალ! — გამოუტყდა იგი.

ანტუანს მთელი სხეული დაეძაბა.

— როდის?

— როცა ყველაფერს მოვაგვარებ. ჯერ ვერაფერს გეტყვი. სიჩუმე ჩამოვარდა და ამ ხნის განმავლობაში ორივეს კინაღამ უმტყუნა ნებისყოფამ. რაშელის გატანჯული სახის დანახვაზე ანტუანი მიხვდა, რომ ქალს ძალა ელეოდა; და თვით მასაც ღალატობდა სიმტკიცე. იგი რაშელს მიუახლოვდა და კვლავ შეევედრა:

— ეს არაა მართალი, შენ არ წახვალ!

რაშელმა გულზე მიიკრა ანტუანი, ბარბაცით მიიყვანა საწოლთან და ორივენი ზედ დავარდნენ.

— გაჩუმდი! — წაიჩურჩულა მან. — ნურაფერს მეკითხები. სიტყვა აღარ დასძრა, სიტყვა აღარ დასძრა ამის შესახებ, თორემ ახლავე წავალ, გავიქცევი.

დამარცხებული ანტუანი დაემორჩილა და გაჩუმდა. მერე სახე რაშელის ჩამოშლილ თმაში ჩარგო და ამჯერად თვითონაც ატირდა.

## XIV

რაშელი უტეხად ადგა თავის ნათქვამს. მთელი თვე თავს არიდებდა ყოველგვარ დაკითხვებს. როცა ანტუანის შეშფოთებულ თვალებს წააწყდებოდა, სახეს მიაბრუნებდა. საშინელ წამებაში გავიდა მთელი თვე. ერთად იყვნენ, მაგრამ ტკივილის მომგვრელი იყო ყოველი ნაბიჯი, ყოველი ფიქრი.

მას შემდეგ, რაც ანტუანმა რაშელის გადაწყვეტილება მოისმინა, მეორე დღიდანვე შეეცადა მოეკრიბა მთელი თავისი ნებისყოფა, მაგრამ ამაოდ: პირიქით, გაუკვირდა, ასე ძალიან რომ იტანჯებოდა და კიდეც რცხვენოდა, ამდენად უსუსური როგორა ვარ, დარდი ვერ დამიძლევიაო. შემდეგ ერთმა ეჭვმაც არ მისცა მოსვენება: „ნუთუ მე მართლა...?“ მაგრამ მაშინვე დაუმატებდა: „ოღონდაც არავინ შემამჩნიოს!“ საბედნიეროდ, თავისი საქმე იმდენად უყვარდა, კარგ თილისმასავით, ყოველ დილით, როგორც კი საავადმყოფოს ეზოში შევიდოდა, ექიმის მოვალეობას მაშინვე იგრძნობდა ხოლმე. ავადმყოფებთან ყოფნისას მხოლოდ მათზე ფიქრობდა. მაგრამ საკმარისი იყო თავისუფალი დრო გასჩენოდა, თუნდაც ავადმყოფთა ორ შემოვლას შორის, ანდა შინ, სადილობის დროს (ბატონი ტიბო აგარაკიდან დაბრუნებულიყო და ოქტომბრის თვიდან ჩვეულებრივი ტრადიციებიც აღდგენილიყო ოჯახში), სასოწარკვეთილება მაშინვე მოიცავდა და ერთბაშად ისეთ დაბნეულ, ნერვებაშლილ ადამიანად იქცეოდა, თითქოს იმ ძალის გამოსამჟღავნებლად, რომლითაც წინათ ასე ამაყობდა, ბრაზის გარდა ვერავითარი საშუალება ვერ გამოეძებნა.

მთელ საღამოებსა და ღამეებს რაშელთან ატარებდა. უსიხარულოდ. მათ სიტყვებსა და დუმილს იდუმალი ფიქრები სწამლავდა; ალერსი სწრაფად ღლიდა ორივეს, მაგრამ იმ წყურვილს, რაც თითქმის მტრულად იზიდავდა ერთმანეთისკენ, მაინც ვერ იკლავდნენ.

ნოემბრის პირველი დღეები იდგა; ერთხელ ანტუანი ალჟირის ქუჩაზე მივიდა; სახლის კარი ღია დახვდა; წინოთახის მოტიტვლებული კედლები და უხალიჩო იატაკი მაშინვე ეცა თვალში. ბინაში შევარდა: ცარიელი, დაყრუებული ოთახები... ვარდისფერ საძინებელ ოთახში საწოლის ნიში უმიზნო ორმოს დამსგავსებოდა.

სამზარეულოდან ხმაური მოესმა; გაგიჟებული ანტუანი იქით გავარდა. მეკარე ქალი იატაკზე ჩაცუცქულიყო და ძონძებს არჩევდა. ანტუანმა ხელიდან გამოგლიჯა მის სახელზე დატოვებული წერილი. პირველივე სტრიქონებზე მოითქვა სული: არა, რაშელი ჯერ არ წასულა პარიზიდან. მეზო-

ბელ სასტუმროში ელოდებოდა და მხოლოდ მეორე დღეს, ღამის მატარებლით აპირებდა ჰავრში * გამგზავრებას. ანტუანმა იმ წამსვე მოიპაზრა, რა უნდა მოეგონებინა იმისათვის, რომ მეორე დღეს საავადმყოფოში არ გამოცხადებულიყო და რაშელი ჰავრამდე გაეცილებინა.

მეორე დღეს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ, მაგრამ როგორც იქნა, საღამოს ექვს საათზე სამსახურებრივი და პირადი საქმეები მოგვარებული ჰქონდა და წასვლაც მოახერხა.

რაშელს სადგურზე შეხვდა. იგი გაფითრებული, მოტეხილი იდგა სალაროსთან და ახალთახალი ჩემოდნების მთელ ზვინს აბარებდა შემნახველ საკანს. ეტყობა, კოსტიუმიც ახალი ეცვა, რადგან ანტუანი პირველად ხედავდა მის ტანზე.

მხოლოდ მეორე დილით, როცა ჰავრის სასტუმროში, ცხელი წყლის აბაზანით აპირებდა ნერვების დამშვიდებას, ანტუანს ერთი პატარა დეტალი მოაგონდა ერთბაშად და თავზარი დაეცა: რაშელის ბარგზე ასეთი ინიციალები შენიშნა: რ. ი.

იგი საჩქაროდ ამოხტა წყლიდან, ოთახის კარს ხელი ჰკრა და ჰკითხა:

— შენ.. შენ ირშთან მიდიხარ?

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რაშელმა ნაზად გაუღიმა.

— ჰო! — ისე ხმადაბლა მიუგო ქალმა, რომ ანტუანს ამოსუნთქვაღა მოესმა მხოლოდ. მერე აღსარების ნიშნად თვალები დახარა და თავი ორჯერ დაუქნია.

ანტუანი იქვე ჩამოჯდა სკამზე: რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღია. სასაყვედურო სიტყვა ვერ მოეძებნა. მწუხარებამ და ეჭვიანობამ კი არ მოტეხა ასე ერთბაშად, არამედ თავისი უძლურების შეგრძნებამ, იმის შეგრძნებამ, რომ არც ერთი მათგანი არ იყო დამნაშავე; ეტყობა, თვით ცხოვრების სიმძიმეს მოეტეხა ასე.

უცებ მთელი ტანით აკანკალდა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, ტიტველი და სველი რომ იყო.

— გაცივდები! — უთხრა რაშელმა.

არ იცოდნენ, რა ეთქვათ ერთმანეთისთვის. ანტუანმა ისე შეიმშრალა ტანი, არც კი დაფიქრებულა, რას აკეთებდა. შემდეგ ჩაიცვა; რაშელი იმავე პოზაში იდგა, რამდენიმე წუთის წინ რომ დახვდა; რადიატორს მიყრდნობოდა, ფრჩხილების საპრიალებლით ხელში. ორივე იტანჯებოდა; მიუხედავად ამისა, ერთგვარ შვებასაც გრძნობდნენ. უკანასკნელი თვის მანძილზე ანტუანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ყველაფერი არ იცოდა! ახლა კი, ყოველ შემთხვევაში, მთელი სიცხადით წარმოუდგა ჭეშ-

მარიტება; რაშელმაც, როგორც იქნა, თავი დააღწია ტყუილების ამ ხლართს, ხელახლა იგრძნო, როგორ უბრუნდებოდა წინანდელი ღირსება და მის სულში თითქოს ფრთები შეესხა რაღაცასო.

ბოლოს ისევ მან დაარღვია სიჩუმე.

— იქნებ, შევცდი, რომ გატყუებდი, — ისეთი სახით უთხრა მან, რომ სინდისის ქენჯნის ნატამალი არ ეტყობოდა და სიყვარული და თანაგრძნობაღა ეხატა მხოლოდ. — მუდამ რაღაც შაბლონური, სულელური, ყალბი შეხედულება გვაქვს ეჭვიანობაზე... ყოველ შემთხვევაში, მერწმუნე, ისევ შენი გულისთვის, შენი სიმშვიდისთვის გატყუებდი. პირადად მე გეფიცები, ამით მხოლოდ ვიტანჯებოდი. ახლა მოხარული ვარ, რომ წასვლის წინ მაინც გეუბნები სიმართლეს.

ანტუანს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ჩაცმას თავი მიანება და ჩამოჯდა.

— დიახ, — განაგრძო რაშელმა, — ირში მიხმობს და მეც მივდივარ.

კვლავაც გაჩუმდა. შემდეგ, რაკი დაინახა, ანტუანი ლაპარაკს არ აპირებსო, გრძნობების მოზღვავებას ვეღარ გაუძლო, ისედაც დიდხანს იკავებდა თავს და განაგრძო:

— რა კეთილი ხარ, ფისო, რომ დუმხარ! გმადლობ... ყველაფერი ვიცი, რაც შეიძლება მითხრა: მე ხომ მთელი რვა თვეა ვებრძვი თავს! ის, რასაც მე ჩავდივარ, დიდი სისულელეა, მაგრამ ვერაფერი შემიშლის ხელს... შენ, ალბათ, გგონია, რომ აფრიკა მიზიდავს. იცი რა? რა თქმა უნდა, ეს ასეცაა: იმდენად მიზიდავს, რომ მისი ნახვის სურვილისგან ზოგჯერ კინაღამ გული წამსვლია!.. მიუხედავად ამისა, ეტყობა, მარტო აფრიკის ნახვის სურვილი არ კმარა... შენ, ალბათ, გგონია, რომ მე ანგარება მამოძრავებს. ესეც მართალია! ირში ცოლად შემირთავს; იგი მდიდარია, ძალიან მდიდარი, ხოლო ჩემს ასაკში ქორწინება, რაც უნდა იყოს, რაღაცას მაინც ნიშნავს: ძნელია მთელი შენი სიცოცხლე გარიყული გრძნობდე თავს!.. მაგრამ არც ესაა მთავარი. არა, გამოგიტყდები, მე ამ ანგარიშებზე მაღლა ვდგავარ, რამდენადაც ეს ებრაელისთვის, ან უკეთ, ნახევრად ებრაელისთვისაა შესაძლებელი. ამის დამამტკიცებელი საბუთი ისაა, რომ თუმცა შენც მდიდარი ხარ, ან მოკლე ხანში შენც გამდიდრდები, მაგრამ ხვალ რომ შემომთავაზო ცოლად გამომყევიო, სულ ერთია, მაინც წავიდოდი!

მე უნდა გული გატკინო, ფისო, მაგრამ გამოიჩინე ვაჟკაცობა და მომისმინე: მეც მომეშვება გულზე, როცა ყველაფერს გაგიმხელ და შენთვისაც სჯობს ყოველივე იცოდე. მე თავის მოკვლა მინდოდა. მორფიუმით. სწრაფად, ყოველგვარი ტკივილებისა და დავიდარაბის გარეშე მორჩებოდა ყველაფერი! საჭირო დოზაც ვიშოვნე. მაგრამ გუშინ პარიზიდან გამგზავრების

წინ გადავცურე. საქმე ისაა, რომ სიცოცხლე მინდა. სიკვდილის დიდი სურვილი არასოდეს მქონია... ირშის ხსენებაზე შენ არასოდეს გიეჭვიანია, და სწორადაც იქცეოდი! როგორ შეიძლებოდა, ირშის გამო აეშლოდა ეჭვები! მას კი, შენც კარგად იცი, მას შეეძლო შენზე ეეჭვიანა! მე შენ მიყვარხარ, ფისო; მიყვარხარ ისე, როგორც არასოდეს არავინ მყვარებია. ის კი მეზიზღება. რა მაქვს დასამალი, მეზიზღება! ის ხომ ადამიანი არაა... ეს... ეს არის... არ ვიცი რა არის! მე იგი მძაგს და კიდეც მეშინია მისი. იმდენჯერ ვუცემივარ! კვლავაც მცემს. შესაძლებელია, კიდეც მომკლას... ოჰ, როგორი ეჭვიანია... ერთხელ, სპილოს ძვლის ნაპირზე * მებარგული მოისყიდა და ჩემი დახრჩობა დაავალა. იცი რატომ? იმიტომ, რომ ეგონა, მისი ბიჭი ჩემს ქოხში შემოიპარა ღამით. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი!..

— მისგან ყველაფერია მოსალოდნელი! — ნაღვლიანად განაგრძო ქალმა, — მაგრამ მის სურვილს ვერავინ აღუდგება წინ! ყური მიგდე: მინდა ერთი რამ გიამბო: ამის სათქმელად გაბედაობა არასოდეს მყოფნიდა: ეს იქ, პალანძაში მოხდა, სადაც მან გამომიძახა იმ უბედურების დროს. ჰოდა, სწორედ იქ დაიწყო... თუმცა დიდი ხანია ვხვდებოდი... თანაც საშინლად მეშინოდა მისი. მახსოვს, ერთხელ რაღაც სასმელი მომიმზადა. მაგრამ როცა მომაწოდა, ისე უცნაურად იღიმებოდა, დალევა ვერ გავბედე... მიუხედავად ამისა... გესმის? ოჰ, ვერ წარმოიდგენ, მიზიდულობის რა ძალა აქვს ამ კაცს!

ანტუანს ხელახლა გააჟრჟოლა. რაშელმა პენუარი წამოასხა მხრებზე და ჩამქრალი ხმით განაგრძო:

— ოჰ, მას არც მუქარა დასჭირვებია, არც ძალით დაუმორჩილებივარ. მშვენივრად იცოდა, რომ ლოდინიღა დასჭირდებოდა: თავის უპირატესობას კარგად გრძნობდა. მე თვითონ დავუკაკუნე კარს! მან კი მხოლოდ მეორე დღეს შემიშვა ოთახში... მეც მივატოვე ყველაფერი და გავყევი უკან; საფრანგეთში აღარც დავბრუნებულვარ; ერთგული ძაღლივით, საკუთარი ლანდივით დავდევდი. ორი, თითქმის, სამი წლის განმავლობაში რა არ გადავიტანე! დაღლა, საფრთხე, ცემა, დამცირება, ციხე, ყველაფერი! ჰო, ციხეც. მთელი ეს სამი წელიწადი გამუდმებულ შიშში გავატარე, არ ვიცოდი, მეორე დღეს რა მელოდა. ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში ვიმალებოდი, ქუჩაში გასვლას ვერ ვბედავდი... სალონიკში * ნამდვილი სკანდალი ატყდა. თურქეთის პოლიცია კვალდაკვალ მოგვდევდა; სანამ საზღვარს მივაღწევდით, ხუთჯერ მოგვიხდა გვარის გამოცვლა! მუდამ ზნედაცემული იყო! ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში მთელი ოჯახის მოსყიდვა მოახერხა: ჯარიკაცების ნათრევი ვიღაც ქალი, მისი ორი და, პატარა ძმა... ამას

იგი „მიკსიდ გრილს“ * უწოდებდა... ერთხელ პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს ჩვენს სახლს და დაგვაპატიმრეს. რას ვიზამდი? სამი თვე დავყავით წინასწარ პატიმრობაში, მაგრამ ნაინც მოახერხა და გაგვათავისუფლა... ოჰ, ყველაფერი რომ გიამბო!.. რა არ მინახავს, რა არ გადამიტანია!

შენ, ალბათ, ფიქრობ, ახლა მესმის რატომ მიატოვე ირშიო, მაგრამ არა, ეს ასე არაა! მე არ მიმიტოვებია, მოგატყუე. ამას მე ვერასგზით ვერ გავბედავდი. პირიქით, მან გამომაგდო! თანაც როგორ დამცინოდა! ასე მითხრა, წაეთრიე აქედან! როცა მოვიპურვებ, მაშინ დაგაბრუნებო.

სახეში მივაფურთხე... გინდა სიმართლე იცოდე? დაბრუნების შემდეგ სულ მასზე ვფიქრობდი! ველოდი! ველოდი! და აი, როგორც იქნა, გამომიძახა!.. ახლა გესმის, რატომ მივდივარ?

იგი წამოდგა, ანტუანის წინ ჩაიჩოქა, თავი მუხლებზე დაუდო და ატირდა.

ანტუანი მიშტერებოდა ქვითინით აცახცახებულ კეფას. ორივე კანკალებდა.

თვალდახუჭულმა რაშელმა მაინც წაიბუტბუტა:

— ოჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!

მთელი დღე, შეთანხმებულივით აღარაფერზე ულაპარაკნიათ, ან რა უნდა ეთქვათ ერთმანეთისთვის! საუზმეზე, რაკი იძულებულნი გახდნენ ერთმანეთის პირდაპირ დამსხდარიყვნენ, ერთნაირი ფიქრით ამღვრეული თვალები მრავალგზის გაეპარათ ერთმანეთისკენ, მაგრამ მაშინვე აარიდეს მზერა. რა საჭირო იყო?

რაშელმა დიდი დრო მოანდომა რაღაც წვრილმანი ნივთების ყიდვას და ისე ეჭირა თავი, თითქოს მთელი ყურადღებით აკეთებდა ამ საქმეს. ქარს წვიმის ქარაშოტი მოჰქონდა გაშლილი ზღვიდან, ქუჩებში ისროდა და სახლის ფასადებს წივილით უვლიდა. სადილობამდე ანტუანი მორჩილად დაჰყვებოდა რაშელს მაღაზიიდან მაღაზიაში. ქალს წინასწარ არ დასჭირვებია ბილეთის შოვნა, რადგან სატვირთო სამგზავრო გემი „რომანია“, რომლითაც გამგზავრებას აპირებდა, ოსტენდედან * მოდიოდა, ჰავრში დილის ხუთი საათისათვის იქნებოდა და ერთი საათის შემდეგ გზას განაგრძობდა. ირში კასაბლანკაში * დახვდებოდა. ამგვარად, მთელ იმ ამბავში, რაც მან ბელგიის კონგოს შესახებ უთხრა ანტუანს, ერთი სიტყვაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს.

ისინი განგებ აჭიანურებდნენ სადილს, უკანასკნელ ღამეს სასტუმროს ოთახში მარტოდ დარჩენა ორივეს ეშინოდა. რესტორანი, სადაც სასადილოდ შევიდნენ, ხალხმრავალი, გაჩახჩახებული, ხმაურიან, უზარმაზარ ჰოლს

წარმოადგენდა, რომელსაც ერთსა და იმავე დროს სასადილოდაც იყენებდნენ, დანსინგადაც და საბილიარდედაც: თანბაქოს კვამლში გახვეულ ხალხს შეეძლო მთელი საღამო გაეტარებინა ბილიარდის ჭოკის წკარუნსა და ვალსის მიბნედილ ხმაში. ათი საათი იქნებოდა, როცა დარბაზში მოხეტიალე იტალიური დასი შემოიჭრა: წითელ ბლუზებსა და თეთრ შარვლებში გამოწყობილ თორმეტიოდე კაცს ნეაპოლელი მებანდურეების ჩაჩი ეხურათ, რომელთა ფოჩები მხრებზე სცემდათ; თითოეულ მათგანს ხელში მუსიკალური ინსტრუმენტი ეჭირა: ვიოლინო, გიტარა, დაირა და კასტანიეტები. ისინი უკრავდნენ, თან მთელი ხმით მღეროდნენ და დარბაზში ჭინკებივით დახტოდნენ. ანტუანი და რაშელი მადლიერების გრძნობით შესცქეროდნენ ამ ჯამბაზებს, რომლებმაც წამით მაინც მიიპყრეს ტანჯვით გამოწურული მათი ყურადღება. მაგრამ როცა ამ ალქაჯებმა ფული შეაგროვეს და უკანასკნელი კუპლეტებიც იმღერეს, ორივემ იგრძნო, რომ ნაღველი გაორკეცებოდათ. ამიტომ წამოდგნენ, გარეთ გავიდნენ, თავსხმას არ მოერიდნენ და აძაგძაგებულებმა სასტუმროს მიაშურეს.

შუაღამე იყო. რაშელი სამ საათზე უნდა გაეღვიძებინათ. ნოემბრის ქარაშოტი თუთიის აივანს განუწყვეტლივ უტყლაშუნებდა წვიმის წვეთებს; ეს ხანმოკლე ღამე ანტუანმა და რაშელმა უსიტყვოდ, ყოველგვარი სურვილის გარეშე გაატარეს. მწუხარებისაგან თავზარდაცემული ორი ბავშვივით ეკვროდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ ერთხელ ჰკითხა ანტუანმა:

— ხომ არ გცივა?

რაშელი მთელი ტანით ძაგძაგებდა.

— არა, — მიუგო მან, მაგრამ მიეკრა, თითქოს მფარველობას, საკუთარი თავისგან დაცვას თხოვსო, — მეშინია...

ანტუანს არაფერი უპასუხია. ამდენმა გაურკვევლობამ უკვე დააბნია.

კარს რომ მიუკაკუნეს, რაშელი ერთბაშად წამოხტა ლოგინიდან, უნდოდა უკანასკნელი ამბორი როგორმე აეწორებინა. ანტუანიც მადლიერი დარჩა. ნებისყოფის შეუნარჩუნებლად ერთმანეთში ჰპოვებდნენ საყრდენს.

უსიტყვოდ ჩაიცვეს. არაფერს იმჩნევდნენ, ერთმანეთს კიდეც შველოდნენ, ერთად ცხოვრების ჩვევას ბოლომდე არ ღალატობდნენ. ანტუანი დაეხმარა სავსე ჩემოდნის დაკეტვაში: მთელი სიმძიმით აწვებოდა მუხლებით, ხოლო რაშელი იატაკზე ჩაცუცქულიყო და გასაღებით ჰკეტავდა. როცა ყველაფერი მზად იყო, როცა აღარავითარი ბანალური სიტყვა აღარ დარჩათ სათქმელი, აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი, როცა რაშელმა საბნები აკეცა, სამგზავრო ქუდი დაიხურა, პირბადე აიკრა, ხელთათმანები ჩაიცვა

და ხელჩანთის შალითა ღილებზე შეაბნია, ეტლის მოსვლამდე რამდენიმე წუთის ლოდინი მაინც მოუხდათ. რაშელი პატარა სკამზე ჩამოჯდა კართან და ერთბაშად სიცივემ აიტანა; ბაგე მაგრად მოკუმა, რათა კბილების კაწკაწი შეეჩერებინა, თავი დახარა და მუხლებზე მკლავები შემოიჭირა. ანტუანმაც აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა და, რაკი რაშელთან მიახლოებაც ვერ გაებედა, ჩამოჯდა ყველაზე მაღალ სკივრზე და უსუსურად ჩამოუშვა მკლავები. რამდენიმე წამმა გაიარა ამ სასტიკ დუმილში, რაც გამგზავრებას მუდამ უსწრებს წინ. ისეთი სახიფათო, ისეთი მწვავე იყო ეს მომენტი, ალბათ, ვერც ერთი ვერ გაუძლებდა, დარწმუნებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, რამდენიმე წამში ყველაფერი დამთავრდებაო. რაშელს ერთი სლავური ჩვევა მოაგონდა: როცა საყვარელი ადამიანი შორს მიემგზავრებოდა, ახლობლები მის ირგვლივ სხდებიან და ყველა დაფიქრებული დუმს. მან კინაღამ გაანდო ეს ამბავი ანტუანს, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ ხმამ მიღალატოსო.

რაშელმა ფეხის ხმა გაიგონა დერეფანში. მსახურები ბარგის წასაღებად მოდიოდნენ. მან, ერთბაშად თავი ასწია და მთელი ტანით შემობრუნდა; მის გამოხედვაში ისეთი უსაზღვრო სასოწარკვეთა, ისეთი შიში და სიყვარული გამოიხატა, რომ ანტუანმა მკლავები გაუწოდა:

— ლულუ!

კარი გაიღო. ოთახი ხალხით აივსო. რაშელი წამოდგა. მასაც ეს უნდოდა: გამომშვიდობების დროს ხალხი ყოფილიყო ირგვლივ. ნაბიჯი გადადგა და ანტუანს ჩაეკრა. ანტუანმა მკლავები არ მოხვია: იცოდა, მერე ვერ მოაშორებდა ხელს და არც გაუშვებდა. ტუჩებზე უკანასკნელად იგრძნო რაშელის ცხელი, რბილი, აკანკალებული ბაგეები. ქალის ჩურჩულს გუმანით მიხვდა:

— მშვიდობით, ჩემო ფისო!

რაშელი სწრაფად მოშორდა, უკან მოუხედავად გავარდა ფართოდ გაღებული კარიდან და ბნელ დერეფანში მიიმალა, ანტუანი იდგა, მუშტები მოეკუმა და გარდა უცნაური გაოცებისა, არაფერს გრძნობდა.

რაშელმა პირობა ჩამოართვა ანტუანს, გემამდე არ მიმაცილოო. თანაც შეთანხმდნენ, რომ ანტუანი ჩრდილოეთის მიწაყრილის ბოლოს მივიდოდა შუქურას ძირთან და „რომანიას" გასვლას ნავსადგურიდან ადევნებდა თვალს. როგორც კი ანტუანი მიხვდა, ეტლი წავიდაო, რაკი ამ ოთახში დაბრუნება აღარ უნდოდა, დარეკა, რომ მისი ბარგი კამერაში მიებარებინათ. შემდეგ ქუჩაში გავარდა და ბნელ ღამეს ამოეფარა.

ნისლში გახვეულ, მიძინებულ ქალაქს წვიმა წურწურით ჩამოსდიოდა.

შავი ღრუბლები ისევ ეხურა თავზე; ღრუბელთა რაზმები კი ჰორიზონტზე შეჯგუფებულიყო; ქარიშხლის ამ ორ ნაკვალევს შორის, რომლებიც შეერთებას ლამობდნენ, ცის ფერგამკრთალი ზოლი თითქოს დნებოდა.

ანტუანმა გზა არ იცოდა, მაგრამ მაინც მიაგნებდა, ფარნის შუქზე დიდხანს იწვალა ქარაშოტის გამო, სანამ ქალაქის გეგმას გაშლიდა. ირგვლივ ჯანღი ჩამოწოლილიყო, გზას უბნევდა, მაგრამ ტალღების ტყლაშუნმა და საზღვაო საყვირის შორეულმა ხმამ მიახვედრა, რა მიმართულებითაც უნდა წასულიყო. იგი მიაპობდა ქარს, რომელიც ლუკაში აფრიალებდა პალტოს კალთებს, გადაუარა ტალახის წებოვან ბორცვებს და ბოლოს, როგორც იქნა, ცუდად მოასფალტებულ სანაპიროზე გავიდა.

ზღვაში შეჭრილი ზოლი ბოლოში ვიწროვდებოდა. მარჯვნივ ხმამაღლა და თანაბრად გუგუნებდა გაშლილი ოკეანე, ხოლო მარცხნივ ნავსადგურის აუზში მომწყვდეული წყლის ბუნდოვანი დგაფუნიღა მოისმოდა; საიდანღაც თანდათან უფრო გარკვევით ისმოდა საყვირის ხრინწიანი ხრიალი და ცამდე წვდებოდა: ჰუ! ჰუ! ჰუ!

ათი წუთი ისე იარა ანტუანმა, კაციშვილი არ შეხვედრია; ბოლოს, თითქმის ზედ საკუთარ თავს ზემოთ შუქურა შეამჩნია, რომელსაც აქამდე ნისლი ფარავდა. მიწაყრილის ნაპირას მისულიყო.

შუქურას პლატფორმაზე ასასვლელად საფეხურები იყო გაჭრილი; ანტუანი ძირს შეჩერდა, გზის გაგნებას ლამობდა. იდგა მარტო, ქარისა და ზღვის ღმუილით გარემოცული. მის წინ გადაშლილი რძისფერი შუქი აღმოსავლეთს იუწყებოდა, სადაც ზამთრის მზე, ალბათ, უკვე ამოსულიყო ხალხთა რომელიღაც ჯგუფისთვის. მის ფეხებთან, გრანიტში შეჭრილი კიბის საფეხურები წყლის უხილავ უფსკრულში ინთქმებოდა: კლდეც რომ დახრილიყო, მიწაყრილზე მომწყდარ ზვირთებს მაინც ვერ გაარჩევდა; მაგრამ ქვევით, სულ ახლოს, კარგად ესმოდა მათი თანაბარი ხუნთქვა, რაც ხანგრძლივ ამოოხვრასა და დახშულ ქვითინს უფრო წააგავდა.

დრო გადიოდა, ანტუანი კი ამას ვერ გრძნობდა. მკვეთრი შუქი ნელ-ნელა შემოიპარა ნისლში, რომელიც ყოველი მხრიდან აშორებდა ცოცხალ სამყაროს. იგი უკვე ამჩნევდა სამხრეთ მოლზე აციმციმებულ ცეცხლს, და ამ ორ შუქურას შორის გაჩენილ მოვერცხლისფერო სივრცისთვის თვალი ვეღარ მოეწყვიტა; რადგან იქ, ამ ორ კერას შორის, იგი უნდა გამოჩენილიყო.

უცებ, შორს, იმ წერტილიდან, რომელსაც ანტუანი მიჩერებოდა, სილუეტი წამოიმართა მარცხნივ, გარიჟრაჟის მაუწყებელი მკვეთრი ლაქის შუაგულში. ამ რძისფერ ჰაერში ვიწრო, მაღალი მასა, რომელიც თვალსა

და თვალს შორის ფართოვდებოდა, ხომალდის ფორმას იღებდა, აციმციმებულ, უფერულ, ვეებერთელა გემად იქცეოდა, რომელსაც მუქი, დაბლა დაშვებული კვამლის ჯიღა უკან მისთრევდა.

„რომანია" ფარვატერში შემობრუნებულიყო.

ანტუანმა რკინის მოაჯირს ხელი ჩასჭიდა, სახეში წვიმა უტყლაშუნებდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, მექანიკურად ითვლიდა გემბანებს ანძებს, მილებს... რაშელ! იგი იქ იდგა, მისგან რაღაც ასიოდე მეტრის დაშორებით, ალბათ, მისებრ წინ წახრილი, მისკენ მოიწევდა, მისთვის მიეპყრო ცრემლით დაოსებული თვალები, მაგრამ მას ვერ ხედავდა; და, მიუხედავად იმისა, რომ ეს დასახიჩრებული სიყვარული კვლავაც ერთმანეთისკენ იზიდავდა ამ ორ ადამიანს, იგი უძლური იყო გამოთხოვების ამ დიდებული ჟესტით მაინც მოეტანა შვება მათთვის. ანტუანის თავზე აბრდღვიალებული შუქურას სინათლე რბილი ფუნჯივით ეალერსებოდა ამ უსახო მასას, რომელიც უკვე ნისლში იკარგებოდა და მათი უკანასკნელი შემოხედვა საიდუმლოებასავით მიჰქონდა თან.

ანტუანი დიდხანს იდგა გაშეშებული, კურცხალი არ მოსწყდომია მის თვალს, გონება თითქოს თვლემდაო, წასვლაზეც აღარ ფიქრობდა. ყურებიც შეჩვეოდა საყვირის ხმას და აღარც მისი წივილი ესმოდა.

ბოლოს, გამოერკვა, საათს დახედა და ქალაქისაკენ გაემართა. სიცივისაგან მთლად ძაგძაგებდა. თანდათან ნაბიჯს აუჩქარა, ტალახის გუბეებს ვეღარ ამჩნევდა და პირდაპირ შიგ მიაბოტებდა. ავანპორტის ნავსაშენზე იასამნისფერი სფეროები ენთო. ხის ჩაქუჩების ყრუ კაკუნი მოისმოდა დახშულ ჰაერში. საოცნებო ქალაქი აღმართულიყო პლაჟის უკან, რომელსაც ზღვის მოქცევა აწყდებოდა. საბარგო ორთვალებს ყვირილითა და მათრახის ტყლაშუნით მიაგორებდნენ კენჭებით მოფენილ ნაპირზე. ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ ანტუანს შვება მოუტანა ამ ღრიანცელმა. იგი შეჩერდა და ქვებზე რკინის ბორბლების ღრჭიალს ყური მიუგდო.

შემდეგ ერთბაშად მოისაზრა, რომ მატარებელი ათ საათზე გადიოდა მხოლოდ, მისი ჩვეულებრივი წინდახედულება რაშელთან ერთად გამქრალიყო: მხედველობიდან სულ გამორჩენოდა, რომ მთელი სამი საათის ლოდინი მოუხდებოდა. რა ექნა? ამ უაზრო სამი საათის საშინელმა სიცარიელემ ნაღველი ისე გაუორკეცა, აღარაფრის თავი არ ჰქონდა; დობეს მიეყრდნო და გული ამოუჯდა.

მალე მისდაუნებურად გზა განაგრძო.

ქუჩები გამოცოცხლებულიყო. თმააბურძგნული ბიჭები რიგში ჩამდგარიყვნენ შადრევნებთან და წყალს ერთმანეთს ეცილებოდნენ. შარაგზის

მთელ სიგანეზე საბარგო მანქანები ხმაურით მიგორავდნენ დოკებისაკენ. ანტუანმა დიდხანს იარა, თუმცა ხეირიანად არც კი იცოდა, სად მიდიოდა. გამთენიისას ყვავილების ფარდულთან იდგა მოედანზე, მათი სასტუმროს წინ: სწორედ იქ, გუშინ სადილობის წინ კინაღამ უყიდა რაშელს ქრიზანთემების თაიგული, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან უსიტყვო შეთანხმებით გადაეწყვიტათ, განშორებამდე თავი აერიდებინათ ყოველგვარი ჟესტისა თუ სიტყვისათვის, რაც კი მათი ნებისყოფის მოდუნებას გამოიწვევდა და ასეთი გაჭირვებით შეკავებულ მწუხარებასაც გამოამჟღავნებდა.

ანტუანს გაახსენდა, რომ ბარგის საცავი კამერის ქვითარი უნდა მიეღო სასტუმროს კანტორაში და უცებ მათი ოთახის, მათი საწოლის ნახვაც მოუნდა... მაგრამ ნომერი უკვე დაეკავებინათ: ის-ის იყო ორი მოგზაური ქალისთვის მიექირავებინათ.

იმედგაცრუებული ანტუანი მოედანზე ჩავიდა, ერთხანს სკვერზე იწრიალა, ის ქუჩაც იცნო, სადაც წინადღით ერთად მიდიოდნენ და იმავე რესტორნისკენ გაუხვია, სადაც ნეაპოლელებს მოუსმინეს. იქ რომ მივიდა, შიგ შესვლაც გადაწყვიტა.

იგი იმავე მაგიდას ეძებდა, სადაც ისადილეს, იმავე ოფიციანტის ნახვა მოუნდა, რომელიც მათ მოემსახურა, მაგრამ წინადღის ნახულიდან ვეღარაფერი იცნო. მინის სახურავიდან ჩამავალ მკვეთრ შუქს დამის გასართობი ეს ადგილი უზარმაზარ, ჭუჭყიან და გაყინულ ფარდულად ექცია; სკამები მაგიდებზე ეწყო; ესტრადაზე მერხები აეყირავებინათ, ვიოლონჩელი შავ კუბოში ჩაედოთ, როიალზე მუშამბა გადაეფარებინათ, რომელიც სქელკანიან პირუტყვის ქერცლოვან ტყავს წააგავდა და მთელი ესტრადა გვამებით დატვირთული ტიკივით ცურავდა მტვრის ამ ოკეანეში.

— ნება მიბოძეთ, ბატონო!

მსახური მაგიდის ქვეშ ჰგვიდა. ანტუანმა გრძელ მერხზე დააწყო ფეხები და თვალი გააყოლა ცოცხის მოძრაობას: საცობი, ორი ღერი ასანთი, ფორთოხლის ნაფცქვენი... არა, მანდარინისა ყოფილა... დარბაზში ორპირმა ქარმა დაუბერა და ნაგავი მიმოფანტა. მსახურმა ჩაახველა. ანტუანი გონს მოეგო, თვალით საათს დაუწყო ძებნა: საუბედუროდ, მხოლოდ შვიდი წუთი გასულიყო მას შემდეგ, რაც აქ შემოვიდა.

ხელახლა დაჯდეს? გარეთ გავიდა, თავში გაუელვა, ვაგონში აღარ გავიტანჯებიო, ეტლში ჩახტა და სადგურზე ისე შევარდა, თითქოს რაღაც თავშესაფარი აღმოეჩინოს.

ბარგი ჩააბარა. კვლავ მოუხდა ლოდინი. მთელ საათზე მეტხანს ივალა!

წინ და უკან სიარულს მოჰყვა. პლატფორმაზე ისე დაქროდა, თითქოს მდევრებს გაურბოდა. „რა გინდა ჩემგან?“ ფიქრობდა იგი და წყრომით უყურებდა მემანქანეს, რომელიც გაჩერებული ორთქლმავლიდან თვალს ადევნებდა. ანტუანი შემობრუნდა და შეამჩნია, მებარგულეების ჯგუფიც მას შესცქეროდა. თავი შეიკავა, უკან გაბრუნდა, მოსაცდელი დარბაზის კარი შეაღო და სავარძელზე დაეცდო. იგი ამ საზეიმო და ჩაბნელებულ დარბაზში მარტო იჯდა. შემინული კარიდან მოხუცი ქალის ჭაღარა კეფა მოჩანდა: ბავშვს არწევდა და ოდნავ გაბზარული, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ხმით ძველებურ, ლაშქრულ სიმღერას ღიღინებდა, რომელსაც მადმუაზელი უმღეროდა ხოლმე ჟიზს:

ზღვის ნიჟარების შესაგროვებლად
წასვლა არ მინდა ჩემო დედიკო...

თვალები ცრემლებით აევსო. ოღონდაც არაფერი გაიგონოს, არაფერი დაინახოს!

სახეზე ხელები აიფარა. მაგრამ მაშინვე რაშელი წარმოუდგა თვალწინ. თითებს, რომლებიც მის ყელსაბამს ეხებოდა ღამით, ჯერ კიდევ შერჩენოდა ქარვის სუნი! მკერდზე მისი მრგვალი მხარის შეხება იგრძნო, ხოლო ბაგეებზე მისი თბილი კანი... ეს ზმანება იმდენად ძლიერი იყო, თავი უკან გადასწია, სავარძლის რბილ საზურგეს კეფა მიაყრდნო, ხელებით სახელურებს ჩაეჭიდა და გაინაბა. რაშელის ფრაზა გაახსენდა: „თავის მოკვლა მინდოდა...“ ჰო! თავი უნდა მოიკლას! თვითმკვლელობა ერთადერთი გამოსავალია ასეთი მწუხარებისაგან თავის დასაღწევად... ეს იქნება წინასწარმოუმზადებელი, თითქმის უნებური თვითმკვლელობა, რომელსაც მხოლოდ იმისთვის ჩაიდენს, იქნებ, როგორმე ამ ნაღველისაგან გავთავისუფლდეო. სანამ უფრო აუტანელი გახდებოდეს, სანამ უფრო მაგრად არ იგრძნობდეს მის მარწუხებს!

უეცრად შეკრთა და ფეხზე წამოიჭრა; ვიღაც კაცი, რომლის მიახლოება არ უგრძნია, მკლავზე შეეხო. უნებური მოძრაობით კინაღამ უბიძგა, კინაღამ მუშტის დარტყმით წააქცია.

— რა მოგივიდათ? — გაუკვირდა კაცს.

მოხუცი კონტროლიორი ბილეთებს ამოწმებდა.

— პარი... პარიზის მატარებელი? — წაიბუტბუტა ანტუანმა.

— მესამე პლატფორმაზე!

ანტუანმა მთვარეულივით შეხედა მოხუცს და ბარბაცით გასწია გასასვლელისაკენ.

— ნუ ჩქარობთ, მატარებელი ჯერ არ ჩამომდგარა! — მიაძახა კონტროლიორმა და როცა შეამჩნია, დარბაზიდან გასვლის წინ ანტუანი წაბარბაცდა და კარს მიეჯახა, მოხუცმა მხრები აიჩეჩა და წაიბუზღუნა:

— ბრგე კაცის შესახედაობა კი აქვს!

## ნაწილი მეოთხე

## ავადმყოფების მიღების დღე

### I

პირველის ნახევარია. უნივერსიტეტის ქუჩაზე ანტუანი ტაქსიდან გადმოხტა და სწრაფი ნაბიჯით ჭიშკარს მიაშურა. „დღეს ორშაბათია: ავადმყოფების მიღების დღე“, — გაიფიქრა მან.

— გამარჯობათ, ბატ'ონო!

ანტუანი შემობრუნდა: ორი ბიჭუნა ქარს მოფარებოდა ჭიშკრის კუთხეში. უფროსმა ქუდი მოიხადა, მრგვალი, ბეღურასავით მოძრავი თავი ასწია და თამამად შეხედა ანტუანს.

ანტუანი შეჩერდა.

— იცით რა ?!. წამალს ხომ ვერ გამოუწერდით აი, ამ... ამას? ავადაა.

ანტუანი მიუახლოვდა „ამას“, რომელიც განზე იდგა.

— რა მოგივიდა, ბიჭიკო?

გამკრავმა ქარმა დაუბერა, ბიჭს პელერინა გადაუწია და შეხვეული მკლავი გამოუჩინა.

— ისეთი არაფერია! — არხეინი ტონით განაგრძო უფროსმა. — ვერც კი ვიტყვით, სამუშაოზე დაშავდაო, თუმცა ეს დაწყევლილი მუწუკი სწორედ სტამბაში მუშაობის დროს გამოუვიდა. მთელი მკლავი ტეხს.

ანტუანს ეჩქარებოდა.

— ტემპერატურა აქვს?

— რა ბრძანეთ?

— სიცხე თუ აქვს-მეთქი?

— დიახ, მგონი, უნდა ჰქონდეს, — თავი დაუქნია უფროსმა და შეშინებული თვალებით მიაჩერდა ანტუანს.

— მშობლებს უთხარი, ორ საათზე შარიტეს * ამბულატორიაში მოიყვანონ კონსულტაციაზე: ხომ იცი, დიდი საავადმყოფო რომ არის, მარცხნივ?!

იმედგაცრუებულმა ბიჭმა წამით სახე შეჭმუხნა, მაგრამ მაშინვე თავაზიანად გაიღიმა:

— მეგონა, თქვენ თვითონ იკადრებდით და...

მერე თავი შეიკავა და ყოველგვარ დაბრკოლებას შეჩვეული ადამიანივით დაუმატა:

— არა უშავს, რამეს მოვახერხებთ, გმადლობთ, ბატონო. ლულუ, წამოდი.

მან გულუბრყვილოდ გაუღიმა ანტუანს, თავაზიანად დაუქნია ქუდი და ქუჩაში გასვლა დააპირა.

ანაზდად ანტუანი დაინტერესდა. წამით შეყოყმანდა და ბოლოს ჰკითხა:

— თქვენ რა, მე მელოდებოდით?

— დიახ, ბატ'ნო.

— ჩემთან ვინ... — ანტუანმა სადარბაზოს კარი შეაღო, — აქ შემოდით, ორპირ ქარზე ნუ დგახართ. ჩემთან ვინ გამოგგზავნათ?

— არავინ. — ბიჭს სახე გაუნათდა, — მე თქვენ გიცნობთ. ნოტარიუსის კანტორაში ვმუშაობ... აი იქ, ეზოს სიღრმეში...

ანტუანი ავადმყოფი ბიჭის გვერდით იდგა და მისდაუნებურად მაჯაზე მოჰკიდა ხელი: ოფლიანი ხელისგულის, ცხელი მაჯის შეხება რატომღაც მუდამ აღელვებდა.

— სად ცხოვრობენ თქვენები, ბიჭიკო?

უმცროსმა დაღლილი თვალებით გადახედა ძმას.

— რობერ!

რობერი საუბარში ჩაერია.

— მშობლები არა გვყავს, ბატ'ნო! — წამით გაჩუმდა და მერე დაუმატა: — ჩვენ კი ვერნეილის ქუჩაზე ვცხოვრობთ.

— არც დედა გყავთ, არც მამა?

— არა.

— ბებია ან ბაბუა მაინც გეყოლებათ?

— არა, ბატონო.

ბიჭს სერიოზული სახე და ალალი გამოხედვა ჰქონდა. ჩანდა, არც წოსაუბრის სიბრალულის ან ინტერესის აღძვრას ცდილობდა, არც თავისი დარდის გამომჟღავნებას. ბავშვური გულუბრყვილობა ანტუანის გაოცებულ სახეს უფრო ეტყობოდა.

— რამდენი წლისა ხარ?

— თხუთმეტის.

— ეს?

— ცამეტნახევრისა.

— „ეშმაკმა წაიღოს ამათი თავი!“ — გაიფიქრა ანტუანმა. — პირველს თხუთმეტი წუთი აკლია უკვე! სანამ ავადმყოფების მიღებას დავიწყებდე, ფილიპს უნდა დავურეკო! ვისაუზმო! ზემოთ ავიდე! და სენტ-ონორეს გარეუბანშიც მოვასწრო დაბრუნება... შემირჩიეს რა ამათაც დღე...“

— კეთილი! — თქვა მან უცებ. — წამოდი, მაჩვენე რა გაქვს მაგ ხელზე!

რობერს თითქოს არც გაჰკვირვებია, ოღონდ სიხარულით თვალები აუციმციმდა. ანტუანმა ისეთი სახე მიიღო, იტყოდით, ვერ შეამჩნია ბიჭის სიხარულიო, ბავშვებს წინ გაუძღვა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, პირველ სართულზე მდებარე თავისი ბინის კარი გააღო და წინოთახის გავლით ბიჭები კაბინეტში შეიყვანა.

სამზარეულოს ზღურბლზე ლეონი გამოჩნდა.

— ჯერ ნუ მომიტანთ საუზმეს, ლეონ... შენ კი, აბა ერთი, გაიხადე. სწრაფად. ძმა მოგეხმარება. ფრთხილად... ასე. ახლა აქ მოდი.

ბიჭს საკმაოდ სუფთა საცვლები ეცვა. გამხდარი მკლავი გამოუჩნდა. მაჯის ზემოთ კანქვეშა უჯრედის ჩირქოვანი ანთება შეინიშნებოდა. ანტუანს დრო უკვე გადავიწყებოდა; თითი ზედ ჩირქოვან მუწუკს დააჭირა. შემდეგ მეორე ხელის ორი თითით სიმსივნეს დააწვა კიდეზე. ასე: აშკარად იგრძნო, რომ საჩვენებელი თითის ქვეშ ჩირქგროვამ ადგილი მოინაცვლა.

— აი აქ გტკივა?

მან ჯერ იდაყვამდე გასიებული ხელი მოუსინჯა: შემდეგ მხარი და იღლიის ქვეშ გაწითლებული ლიმფური ჯირკვლები.

— ცოტათი... — წაიჩურჩულა ბავშვმა, რომელიც დაძაბული იდგა და თვალს არ აშორებდა უფროს ძმას.

— რასაკვირველია, გტკივა! — წაიბუზღუნა ანტუანმა — მაგრამ, ვეტყობა, ყოჩაღი ბიჭი ხარ.

ანტუანმა ღრმად ჩახედა შეშინებულ თვალებში; ნდობის ნაპერწკალი თითქოს შეტორტმანდა წამით, შემდეგ ანტუანს მიაშტერდა. ანტუანს გა-

ეღიმა. ბიჭმა მაშინვე დახარა თავი, მაგრამ ანტუანმა ხელი ალერსით მოუთათუნა ლოყაზე და ჯიუტად დახრილი ნიკაპი ნელა აუწია.

— ყური მიგდე. ზემოდან ოდნავ გავსერავ და ნახევარ საათში შვებასაც იგრძნობ... ხომ აჯობებს?.. გამომყევი!

დამჯერე ბიჭუნა თამამად გადადგამს ნაბიჯს; მაგრამ როგორც კი ანტუანი თვალს მოაშორებს, მხნეობა ღალატობს, ძმისკენ მიბრუნდება, და, თითქოს შველას თხოვსო, ეუბნება:

— რობერ! შენც წამოდი!

გვერდით ოთახი, ქაშანურის ფილებით, ლინოლეუმით, ავტოკლავით, მომინანქრებული მაგიდითა და ზედ რეფლექტორით, საჭიროების შემთხვევაში, პატარა ოპერაციებისათვის ჰქონდა განკუთვნილი. ლეონმა ეს ოთახი „ლაბორატორიად" მონათლა; წინათ აქ სააბაზანო იყო. ძველი ბინა, რომელიც ანტუანსა და მის ძმას მამისეულ სახლში ეჭირათ, მაშინაც კი ვიწრო იყო, როცა ანტუანი მარტო დარჩა. ამ რამდენიმე ხნის წინ ბედმა გაუღიმა და გვერდით შენობაში ოთხოთახიანი ბინა დაიქირავა ქვემო სართულზე. იქვე გადაიტანა სამუშაო კაბინეტი, საძინებელი ოთახი და ეს „ლაბორატორიაც" მოაწყო. თავისი ძველი კაბინეტი ავადმყოფების მოსაცდელ ოთახად გადააკეთა. წინოთახში კარი გააჭრევინა და ორი ბინა გააერთიანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სიმსივნე გასერილი იყო..

— ცოტაც მოითმინე... ასე... ცოტა კიდევ და მზადაა! — თქვა ანტუანმა და უკან დაიხია. ბავშვი უეცრად გაფითრდა და თითქმის გულწასული დაეცა ძმის მკლავებზე.

— ლეონ! — მხიარულად დაიყვირა ანტუანმა, — ერთი ამ ვაჟკაცებს ცოტაოდენი კონიაკი მოუტანეთ! — მან ორი ნაჭერი შაქარი არაყში დაასველა. — აბა ერთი მოწუწნე! შენც!

შემდეგ ნაოპერაციევი ბიჭისკენ დაიხარა.

— მაგარი ხომ არაა!

— გემრიელია! — წაიჩურჩულა ბიჭუნამ და გაუღიმა:

— მომე მკლავი, ნუ გეშინია აკი გითხარი, მორჩა-მეთქი. მოჰანვა და შეხვევაღა დაგვრჩა. ეს კი სულაც არაა მტკივნეული.

ტელეფონის ზარი აწკარუნდა. წინოთახში ლეონის ხმა გაისმა:

— არა, ქალბატონო, ექიმს არ სცალია... დღეს ვერა... დღეს მიღების დღე აქვს... ოჰ, არა, სადილობამდე ვერასგზით ვერ მოახერხებს... კეთილი, ქალბატონო... სიამოვნებით!..

— ყოველ შემთხვევისათვის ტამპონი უნდა დავადოთ! — ბუტბუტებდა ანტუანი, რომელიც მუწუკს დაკვირვებით ათვალიერებდა, — კეთილი. ბინ-დიც მაგრად შემოვაჭიროთ, ასე აჯობებს... ახლა კი, მისმინე, უფროსო: ძმას შინ წაიყვან და ჩააწვენ, ხელი რომ არ გაანძრიოს. ვისთან ცხოვ-რობთ? ბიჭს ვინ უვლის?

— მე ვუვლი.

გამოხედვა პირდაპირი, გაბედული ჰქონდა და სახეზეც ისეთი სერი-ოზულობა აღბეჭდვოდა, სიცილის ხალისი დაგეკარგებოდათ. ანტუანმა კედლის საათს შეხედა და ცნობისმოყვარეობა ერთხელ კიდევ შეიკავა.

— ვერნეილის ქუჩაზე რომელ ნომერში ცხოვრობთ?

— 37-ა.

— რობერ... გვარი?

— რობერ ბონარი.

ანტუანმა მისამართი ჩაიწერა. თავი ასწია. ბიჭები იდგნენ და კამკამა თვალებით მისჩერებოდნენ. მათ გამოხედვაში ანტუანმა მადლობის ნაცვლად ნდობა და ღრმა რწმენა ამოიკითხა.

— აბა, ბიჭებო, ახლა წადით... მეჩქარება. ექვსიდან რვა საათამდე ვერ-ნეილის ქუჩაზე შემოვივლი და ტამპონს გამოვუცვლი, გასაგებია?

— დიახ, ბატონო! — თქვა უფროსმა, რომელმაც, ეტყობა, ანტუანის ყურადღება ბუნებრივად ჩათვალა. — უკანასკნელ სართულზე ვცხოვრობთ, ბინა № 3, ზუსტად კიბის პირდაპირ.

ანტუანმა ბავშვები გაისტუმრა და ლეონს გასძახა:

— შეგიძლიათ საუზმე მომიტანოთ!

შემდეგ ტელეფონთან მივიდა.

— ალო! ელისეი, 01—32.

წინოთახში დადგმულ მაგიდაზე გადაშლილი დავთარი იდო აპარატის გვერდით; შიგ ავადმყოფების გვარები ეწერა, იმ დღეს რომ უნდა მიეღო. ანტუანს ყურმილი არ მოუშორებია, თავი დახარა და ამოიკითხა:

„1913. ორშაბათი. 13 ოქტომბერი. 14 საათი და 30 წუთი — ქალბა-ტონი დე ბატენკური". დანიშნულ დროს ვერ მივალ, მოიცდის... „15 საათი და 30 წ. — რიუმელი". ჰო... „ლიუტენი" — კეთილი! „ქალბატონი ერ-ნესტი" — არ ვიცი, ვინაა... „ვიანზონი"... დე ფაიელი". ასე:

— ალო! 01-32? პროფესორი ფილიპი თუ დაბრუნდა? ექიმი ტიბო გელაპარაკებათ... (პაუზა). ალო! გამარჯობათ, პ ა ტ რ ო ნ!.. საუზმეზე ხომ არ შეგიშალეთ ხელი? კონსილიუმის თაობაზე გირეკავთ. სასწრაფოა.

დიახ... ძალიან... ეკეს ბავშვი... დიახ, ქირურგი ეკესი... ძალიან სერიოზული მდგომარეობაა: ვაი რომ, არავითარი იმედი არაა. ყურის ანთება... დროზე ვერ მიუხვდნენ... ათასნაირი გართულებებით, ყველაფერს აგიხსნით... საშინელებაა! არა, არა, პ ა ტ რ ო ნ... მას სწორედ თქვენი მისვლა სურს... ეკეს უარს ხომ ვერ ეტყვით?.. რა თქმა უნდა, რაც შეიძლება მალე. ახლავე... მიღების დღე მაქვს... დღეს ხომ ორშაბათია... ასე რომ, შევთანხმდით?! ორს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, გამოგივლით. გმადლობთ, პ ა ტ რ ო ნ!

ყურმილი დაკიდა, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ჩანაწერებს და ამოიოხრა, თუმცა სახეზე აღბეჭდილი კმაყოფილი იერი დაღლილობას სულაც არ ამჟღავნებდა.

ლეონი მიუახლოვდა; უწვერულვაშო სახეზე ბრიყვული ღიმილი ეფინა.

— იცით, ბატონო, ჩვენს კატას კნუტები ეყოლა.

— არა, მართლა?

ანტუანი გახალისებული გავარდა სამზარეულოსაკენ. ჩვრებით სავსე ყუთში, სადაც პატარა ბეწვპრიალა გორგლები ინძრეოდნენ, დედა კატა გვერდზე წამოწოლილიყო და ხორკლიანი ენით ლოკავდა მათ.

— რამდენია?

— შვიდი. რძალმა მთხოვა, ერთი დამიტოვეთო.

ლეონი მეკარის ძმა იყო. თითქმის ორი წელია, რაც ანტუანთან მსახურობდა და თავის მოვალეობას რიტუალური გულმოდგინებით ასრულებდა. ეს ჩუმი, სახეგაცრეცილი ყმაწვილი გაურკვეველი ასაკისა გახლდათ; უფერული, მეჩხერი და რბილი თმა უცნაურ გვირგვინად ედგა მის წაგრძელებულ თავს; ძალიან გრძელი, ჩაკიდული ცხვირი და მეტწილად მოხუჭული თვალები მოუხეშავ იერს აძლევდა, რასაც ღიმილი კიდევ უფრო შესამჩნევსა ხდიდა. მაგრამ ეს მოუქნელობა განზრახ აფარებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მოხერხებული ნიღაბი იყო, რომლის მიღმა ჯანსაღი სკეპტიციზმითა და თავისებური იუმორით აღსავსე ნათელი გონება იმალებოდა.

— დანარჩენ ექვსს დაახრჩობთ? — ჰკითხა ანტუანმა.

— მაშ, როგორ?! — მშვიდად მიუგო ლეონმა, — შინ ხომ არ დავიტოვებთ, ბატონო ანტუან!

ანტუანს გაეღიმა, ქუსლებზე შემოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ჟაკის ყოფილ ოთახში, რომელიც სასადილო ოთახად გადაეკეთებინათ.

ერბო-კვერცხი, შეწვარი ხორცი და ხილი მაგიდაზე ეწყო. ანტუანს არ უყვარდა ცალ-ცალკე რომ შემოჰქონდათ კერძები. ომლეტს ცხელი ერბოსა და კვამლის სასიამოვნო სუნი ასდიოდა. საავადმყოფოში გატარებული მთელი დილის შემდეგ, ანტუანი სუფრასთან ისვენებდა 15 წუთის განმავლობაში, სანამ ავადმყოფების მიღებას შეუდგებოდა ნაშუადღევს.

— ზემოდან არაფერი შემოუთვლიათ?

— არა, ბატონო.

— ქალბატონ ფრანკლენს არ დაურეკია?

— როგორ არა, ბატონო. პარასკევისათვის ჩაეწერა. წიგნში აღნიშნული მაქვს.

ტელეფონის ზარი. ლეონის ხმა:

— არა, ქალბატონო, 17 საათსა და 30 წუთზე არ სცალია... 18 საათიც... როგორც გენებოთ, ქალბატონო!

— ვინ იყო?

— ქალბატონი სტოკნეი, — მხრები აიწურა ლეონმა. — რომელიდაც მეგობრის ბავშვის გამო რეკავდა. იგი მოგწერთ.

— ქალბატონი ერნესტი ვინდაა? 17 საათისათვის ჩაწერილა, — ჰკითხა ანტუანმა, მაგრამ პასუხს არ დაუცადა და დაუმატა: — ქალბატონ დე ბატენკურთან ბოდიში მომხადეთ: ოცი წუთით მაინც დამაგვიანდება... ერთი, გაზეთები მომაწოდეთ! გმადლობთ, — ანტუანმა კედლის საათს გადახედა, ზემოთ, ალბათ, უკვე ადგნენ სუფრიდან, — თუ შეიძლება, დარეკეთ. მადმუაზელ ჟიზელს სთხოვეთ და აპარატი აქ შემომიტანეთ. ყავაც ახლავე მომიტანეთ.

მან ხელი დასტაცა ყურმილს, სახე დაუმშვიდდა, თვალები უცინოდა, სადღაც შორს იყურებოდა, იტყოდით, მთელი მისი პიროვნება, ერთბაშად მავთულის მეორე ბოლოში გადასახლდაო.

— ალო!.. ჰო, მე ვარ. ოჰ, თითქმის დავამთავრე! — გაეცინა. — არა, ყურძენი დიდებულია. ერთმა პაციენტმა გამომიგზავნა... ზემოთ როგორაა საქმე? — ყური დაუგდო. სახე თანდათან მოეღრუბლა. — მართლა? ნემსის გაკეთების წინ თუ მერე? როგორმე უნდა დავარწმუნოთ, რომ ნორმალური ამბავია... — პაუზა. შუბლიდან ისევ გადაეყარა ღრუბლები: — მითხარი, ჟიზ, აპარატთან მარტო ხარ? ყური მიგდე, დღეს აუცილებლად უნდა გნახო. მოსალაპარაკებელი მაქვს. სერიოზულად... რა თქმა უნდა, აქ. ოთხის ნახევრიდან, როცა გინდა! შევთანხმდით? ლეონი შემოგიყვანს... მაშ ასე! კეთილი... როგორც კი ყავას დავლევ, ამოვალ.

# II

ანტუანს მამამისის ბინის გასაღებიც ჰქონდა: ზარის დარეკვა არ დასჭირვებია და პირდაპირ საცვლების საკუჭნაოსთან მივიდა.

— ბატონი ტიბო კაბინეტში შევიყვანეთ, — უპასუხა მის შეკითხვას ადრიენმა.

ანტუანმა ფეხის წვერებზე გაიარა დერეფანი, სადაც აფთიაქის სუნი ტრიალებდა, და ბატონ ტიბოს საპირისფარეშო ოთახში შევიდა. „როგორც კი აქ შემოვდგამ ფეხს, გული საშინლად მეკუმშება, — გაიფიქრა მან, — ჰმ, ექიმი მაინც არ ვიყო!.. მაგრამ აქ ისე თავისუფლად ვერ ვგრძნობ თავს, როგორც სხვაგან...“

ოთახში შესვლისთანავე ტემპერატურის მაჩვენებელი ფურცელი მოხვდა თვალში. საპირისფარეშო ოთახი საათიაქო ლაბორატორიას წააგავდა: წამლის ბოთლები, ფაიფურის ჯამები, ბამბის პაკეტები ეწყო თაროებსა და მაგიდაზე. „ერთი ეს ქილა ვნახოთ! ასეც ვიცოდი. თირკმელები რიგიანად ვერ მუშაობს; ყოველ შემთხვევაში, ანალიზი დაგვანახვებს, რა ხდება! მორფიუმის საქმე როგორღაა? — ანტუანმა ამპულებით სავსე კოლოფები გახსნა, რომლის ეტიკეტი თვითონვე გადაეშალა ჩუმად, ავადმყოფს რაიმე ეჭვი რომ არ აეღო. — დღეღამეში სამი ცენტი გრამი... უკვე? ნეტა ექთანმა სად წაიღო?.. ოჰ, აგერ მენზურა...“

მარჯვედ, თითქმის მხიარულად შეუდგა ანალიზის გაკეთებას. მან სპირტქურაზე უკვე შემოდგა სინჯარა, როცა კარმა გაიჭრიალა; ანტუანს გული აუძგერდა, და სწრაფად შემობრუნდა: არა, ჟიზი არ იყო. მადმუაზელი მოკლე ნაბიჯებით მოცუნცულებდა მისკენ; მოხუცი ხისმჭრელივით წელში ორად მოხრილიყო და ბოლო ხანებში ისე მოკუნტულიყო, ამაოდ იღრძელებდა კისერს, ანტუანის ხელების ზევით, სულ ერთია, ვერაფერს ხედავდნენ კვამლისფერ, ვიწრო სათვალეს ამოფარებული მისი მკვირცხლი, თვალები. საკმარისი იყო ოდნავ შეშფოთებულიყო, რომ მისდაუნებურად თავის ქიცინი აუტყდებოდა ხოლმე და მისი პატარა, სპილოსძვლისფერი შუბლი ყვითლად აპრიალდებოდა საფეთქლებთან ჩამოჩვებულ ორ, თეთრ კულულს შორის.

— ოჰ, ანტუან, მოხვედი? — ამოიოხრა მან და თავის კანტურისაგან გაბზარული ხმით პირდაპირ მიახალა: — იცი, გუშინ და დღეს უკვე აუტანელია! ექთანმა სელინამ ორი ფინჯანი ბულიონი და ერთ ლიტრაზე მეტი რძე ტყუილ-უბრალოდ გამიფუჭა! თორმეტ სუდ ღირებულ ბანანებს უფცქ-

ვნის, ის კი პირს არ აკარებს! დარჩენილი საჭმლის გამოყენება მიკრობების გამო აღარ შეიძლება! ოჰ, არ იფიქრო, თითქოს ექთანს, ან საერთოდ ვინმეს ვესაყვედურებოდე!.. მით უმეტეს, ეს ქალი პირდაპირ ანგელოზია... მაგრამ მაინც მოელაპარაკე, ანტუან, აუკრძალე, უთხარი, ნუ აკეთებს ასეთ რამეს! ძალას რად ატანს ავადმყოფს? დააცადოს, თუ უნდა, თვითონ მოსთხოვს! ყოველ წამს რაღაცას სთავაზობს! მაგალითად, დღეს დილით ნაყინი მიართვა! ანტუან, წარმოგიდგენია? განა ნაყინი შეიძლება მისთვის? ხომ გაეყინა გულ-ნუცელი? თანაც, კლოტილდას იმის დრო სადა აქვს, რომ მენაყინესთან ირბინოს? ამდენ ხალხს დაპურება არ უნდა?

ანტუანი მოთმინებით უგდებდა ყურს, ანალიზს აკეთებდა და თან სიტყვას ბანზე უგდებდა ბუზღუნით. „25 წლის მანძილზე მამაჩემის გაუთავებელ ლაპარაკს უსიტყვოდ იტანდა, — ფიქრობდა იგი, — ეტყობა, დაკარგულ დროს ახლა ინაზღაურებს".

— იცი, რამდენი კაცია გამოსაკვები? — განაგრძობდა შინაბერა. — ისედაც ბევრნი ვიყავით, ახლა ექთანი და ყიზიც დაემატა! სამი — სამზარეულოში სადილობს, სამი — სასადილო ოთახში, ამას მამაშენიც დაუმატე! აბა, იანგარიშე! მე კი სამოცდათვრამეტი წლისა ვარ და ჩემს მდგომარეობაში...

მან სასწრაფოდ დაიხია უკან, რადგან ანტუანი წამოდგა და ხელის დასაბანად გაემართა. ქალს მუდამ ეშინოდა ავადმყოფობის, გადამდები სენისა. მთელი წლის განმავლობაში კი იძულებული იყო მძიმე ავადმყოფის ახლოს ეცხოვრა, ურთიერთობა ჰქონოდა ექთანებთან, ექიმებთან, ესუნთქა წამლის სუნით; ყველაფერი ეს საწამლავივით მოქმედებდა მასზე და ისედაც დაძაბუნებული სხეულის საერთო რღვევას აჩქარებდა, რასაც, სხვათა შორის, თვითონვე გრძნობდა.

— მას შემდეგ, რაც უფალმა ჩემი ჟაკი წამართვა, — წუწუნებდა იგი, — ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს!

როცა დაინახა, ანტუანი ფეხს არ იცვლიდა და ხელებს გამალებით ისაპნავდა, მოხუცმა ორი ნაბიჯი გადადგა პირსაბანისკენ.

— ექთანს მოელაპარაკე, ანტუან, მოელაპარაკე. იგი მხოლოდ შენ დაგიჯერებს!

ანტუანმა შემარიგებელი სიტყვა „კეთილიო" ესროლა, შემდეგ ყურადღება აღარ მიუქცევია და ოთახიდან გავიდა. ქალმა ალერსიანი თვალი გააყოლა. რაკი ანტუანი არასოდეს არ ეკამათებოდა და ყველაფერზე კვერს უკრავდა, ამიტომ იგი მისთვის „ნუგეში იყო ამქვეყნად".

ანტუანს ხელახლა მოუხდა დერეფნის გავლა, რათა მამამისის სამუშაო ოთახში წინოთახიდან შემოსულიყო. ვითომდა ის-ის იყო ქვემო სართულიდან ამოვიდა.

ბატონ ტიბოსთან ექთანიდა დაუხვდა. „ჩანს, ჟიზი თავის ოთახშია! — გაიფიქრა ანტუანმა, — მაშასადამე ჩემი მოსვლა უნდა გაეგონა... გამირბის!“

— გამარჯობა, მამა! — იმ ძალდაუტანებელი ხმით უთხრა მან, რომლითაც ბოლო ხანებში მიმართავდა ხოლმე, — გამარჯობათ, ექთანო!

ბატონმა ტიბომ ქუთუთოები ასწია.

— მოხვედი?..

იგი ფანჯარასთან იჯდა მაღალ, შტოფგადაკრულ სავარძელში; თავი ისე დამძიმებოდა, თითქოს მხრებსაც უჭირთო მისი ტარება და ნიკაპი კისერზე შემოხვეულ ხელსახოცში ჩაეყო; მკერდი როგორღაც ჩავარდნოდა, გაბრტყელებოდა და ამიტომაც, სავარძლის მაღალ საზურგესთან მიყუდებული შავი ყავარჯნები მეტისმეტი გრძელი ჩანდა. ფსევდორენესანსის სტილზე მოხატული ვიტრაჟი ცისარტყელას ფერებში ახვევდა მომვლელი ქალის, სელინას თავსაბურს, ხოლო სუფრაზე ღვინისფერ ლაქებს სტოვებდა; მაგიდაზე მუხუდოს სუპით სავსე თეფში იდგა, რომელსაც ორთქლი ასდიოდა.

— აბა! — უთხრა მომვლელმა ქალმა, კოვზით სუპი აიღო, კოვზი თეფშის კიდეზე გაუსვა წვეთების მოსაშორებლად, შემდეგ სანამ ავადმყოფი თავს მოაბრუნებდა, კოვზი მოღუნებულ ბაგეებს შორის ჩაუდვა, ნაძალადევი ხუმრობის კილოთი „ჰოპლაო“ დაიძახა და წვენი ისე ჩაუსხა პირში, თითქოს ძუძუმწოვარა ბავშვს საწოვარას აძლევსო; ავადმყოფს მუხლებზე დალაგებული ხელები ნერვიულობისაგან უკანკალებდა; თავმოყვარე მოხუცი საშინლად იტანჯებოდა, რაკი დამოუკიდებლად ჭამა არ შეეძლო, მით უმეტეს, როცა ამის მოწმე ვინმე ხდებოდა. მან თავს ძალა დაატანა, სცადა მომვლელისათვის წაერთმია და ხელში დაეჭირა კოვზი, მაგრამ ისედაც გაშეშებული თითები ახლა შეშუპებისაგან დასიებოდა და აღარ ემორჩილებოდა; ავადმყოფს კოვზი ხელიდან გაუვარდა და ხალიჩაზე დავარდა. მან უხეშად ჰკრა ხელი თეფშს, მაგიდას და მომვლელ ქალსაც.

— არ მშია, არ მინდა... ნუ მაძალებთ! — დაიყვირა და შვილს შეხედა, თითქოს შველას სთხოვსო. ანტუანის დუმილით გამხნევებულმა, მონაზონს გაბრაზებით გადახედა: — მომაშორეთ ყველაფერი!

მომვლელმა ქალმა უსიტყვოდ დაიხია უკან და ავადმყოფის თვალს მიეფარა. მოხუცს ხველა აუტყდა (მშრალი ხველა, მართალია, სუნთქვას

არ უკრავდა, მაგრამ წამდაუწუმ აწყვეტინებდა სიტყვას, ამიტომ მუშტებს კუმშავდა და ჩამოშვებული ქუთუთოები ეჭმუხნებოდა).

— იცი, — ისეთი ტონით წამოიწყო ბატონმა ტიბომ, თითქოს ვიდაცას გულს უკლავსო, — გუშინ საღამოს და დღეს დილით გული მერეოდა!

ანტუანმა იგრძნო, მამა ჩუმჩუმად მითვალთვალებსო, და ძალდაუტანებელი იერი მიიღო:

— მართლა?

— შენი აზრით, ეს ბუნებრივია?

— მართალი გითხრა, ამას კიდეც მოველოდი! — ღიმილით შეაპარა ანტუანმა (იგი ძალდაუტანებლად თამაშობდა თავის როლს. არც ერთი ავადმყოფის მიმართ არ გამოუჩენია ამდენი მოთმინება და სიბრალული: იგი ყოველდღე ამოდიოდა მის სანახავად, ხშირად დილა-საღამოსაც, და მუდამ, თითქოს ჭრილობას უხვევსო, მოთმინებით, დაუქანცავად იგონებდა ათასნაირ ყალბ, მაგრამ ლოგიკურ მოსაზრებებს, დამაჯერებელი ტონით უმეორებდა ერთსა და იმავე გამამხნევებელ სიტყვებს).

— რას იზამ, მამა, შენი კუჭი წინანდებურად ახალგაზრდა როდია! თითქმის რვა თვეა ათასნაირი მიქსტურებითა და ფხვნილებით ვჭყიპავთ. მადლობა უნდა ვუთხრათ, უფრო ადრე რომ არ გამოამჟღავნა ეს გადაღლა!

ბატონი ტიბო გაჩუმდა. დაფიქრდა. შვილის ახალმა არგუმენტმა გაამხნევა და, რაკი ბრალი სხვა ვინმეს ან სხვა რამეს ედებოდა, ამ აზრმა შვებაც მოჰგვარა.

— დიახ... — თქვა მან და ხელი ხელს შემოჰკრა, თუმცა არავითარი ხმა არ მოჰყოლია, — იმ ვირებმა წამლებით სულ მთლად... ვაიმე ფეხი!.. სულ მთლად... სულ გამიფუჭეს კუჭი!.. ვაი!

უცებ ისეთი მწვავე ტკივილი იგრძნო, სახის ნაკვთები დაებრიცა, მთელი ტანით განზე გადაიხარა, ანტუანსა და მომვლელ ქალს მკლავებზე წაავლო ხელი, ფეხები გაშოტა და ძლივს გაუძლო იმ საშინელ ცეცხლს, გულმუცელს რომ უწვავდა.

— აკი მითხარი... ტერივიეს შრატი... იშიასს შველისო, — ამოიხრიალა მან, — აბა, ახლა რას იტყვი: როგორ გგონია, უკეთა ვარ?

— რა თქმა უნდა! — გულგრილად მიუგო ანტუანმა.

ბატონი ტიბო გაშტერებული მიაჩერდა შვილს.

— აკი თვითონვე ამბობდით, ბატონო, სამშაბათიდან ტკივილები გაცილებით შემინელდაო, — დაიყვირა მომვლელმა ქალმა; მას ჩვეულებად ექცა ხმა აემაღლებინა, რომ მისი ნათქვამი გაეგონათ. თანაც, შემთხვევით ისარგებლა და ავადმყოფს ერთი კოვზი სუპი პირში ჩაასხა.

— სამშაბათიდან? — წაიბუტბუტა მოხუცმა და შეეცადა საკუთარი ნათქვამი გაეხსენებინა. მერე ჩაჩუმდა.

ანტუანი უხმოდ, გულდამძიმებული მისჩერებოდა მამის ჩამომხმარ სახეს: ყბის კუნთები მოშვებოდა, წარბები აზიდოდა, ქუთუთოები უთრთოდა. საცოდავ მოხუცს გულით ეწადა დარწმუნებულიყო, რომ გამოკეთდებოდა; და მართლაც, აქამდე წამითაც არ შეპარვია ეჭვი. ერთხანს უგულისყუროდ ყლაპავდა რძეს; ბოლოს მობეზრდა და ისე მოუთმენლად მოიშორა ხელით მომვლელი, რომ ქალმა დაუთმო და ხელსახოციც შემოხსნა.

— კუჭი გამიფუჭეს! — გაიმეორა მან, სანამ მონაზონი ნიკაპს უწმენდდა.

მაგრამ, როგორც კი ქალმა სინი აიღო და ოთახიდან გავიდა, ბატონი ტიბო, თითქოს შვილთან მარტოდ დარჩენას ელოდაო, ცალ იდაყვზე დაეყრდნო სწრაფად, კონფინდენციალურად გაიღიმა და ანტუანს ანიშნა უფრო ახლოს დამჯდარიყო.

— ძალიან ყოჩაღი ქალია ეს სელინა, — დამაჯერებელი ტონით წამოიწყო მან, — ნამდვილი წმინდანია, გესმის, ანტუან? ვერასოდეს ვერ მოვახერხებთ ისე გადავუხადოთ პატივისცემა, როგორც... როგორც ეკადრება... განა მისი მონასტრის ხათრით... ვიცი, მათი წინამძღვარი მე უნდა მიმადლოდეს ბევრ რამეს. მაგრამ სწორედ ამიტომაც! ძალიან მეუხერხულება. როგორ შეიძლება ამდენხანს ბოროტად გამოვიყენო მისი თავგანწირვა, როცა მას, ალბათ, გაცილებით მძიმე ავადმყოფები ელიან და იტანჯებიან! შენ რას იტყვი?

იფიქრა, ანტუანი შემეკამათებაო, და ხელით შეაჩერა, მიუხედავად იმისა, რომ ხველა ყოველ სიტყვას აწყვეტინებდა, ნიკაპი ისე გასწია წინ, თითქოს შვილს მორჩილებით ეთანხმებაო და განაგრძო:

— რა თქმა უნდა, იმას კი არ ვამბობ, რომ დღეს ან ხვალ უნდა გავაკეთოთ ეს-მეთქი. მაგრამ... როგორ ფიქრობ, სულ მალე... როცა უკეთ შევიქნები, ხომ უნდა გავათავისუფლოთ ეს კეთილი ქალი? ვერ წარმოიდგენ, ჩემო კარგო, რა მძიმეა, როცა შენს გვერდით მუდამ არის ვიღაც! როგორც კი შესაძლებლობა გვექნება, გავუშვათ! კარგი?

ანტუანს ძალა არ ჰყოფნიდა პასუხის გასაცემად და დასტურის ნიშნად ხშირ-ხშირად უქნევდა თავს. აი, რა მოუვიდა ამ შეუვალ ავტორიტეტს, რომელთანაც მთელი ახალგაზრდობის პერიოდში შეჯახება უხდებოდა! წინათ, ეს დესპოტი უსიტყვოდ დაითხოვდა აბეზარ ექთანს; ახლა კი, ძალამიხდილი, განიარაღებული იყო... ფიზიკური ნგრევა ასეთ დროს უფრო

იგრძნობოდა, ვიდრე მაშინ, როცა ანტუანი თითებით სინჯავდა მის დამაბულ ორგანოებს.

— უკვე მიდიხარ? — ამოიოხრა ბატონმა ტიბომ, როცა ანტუანი წამოდგა. ამ საყვედურში იგრძნობოდა ვედრებაც და თითქმის სიყვარულიც.

ანტუანს გული აუჩუყდა.

— რა ვქნა, წასასვლელი ვარ! — ღიმილით უთხრა მან. — მთელი დღე ავადმყოფებითა მაქვს დაკავებული. ვეცდები საღამოს შემოვიარო.

მამასთან მივიდა, უნდოდა ეკოცნა: დიდი ხანი არ იყო, რაც ეს ჩვეულება დასჩემდა, მაგრამ მოხუცმა თავი მიაბრუნა.

— კეთილი, წადი, ჩემო კარგო, წადი!..

ანტუანი უსიტყვოდ გავიდა.

მადმუაზელი სკამზე სასაცილოდ ჩამომჯდარიყო წინოთახში და ანტუანს ელოდა.

— უნდა მოგელაპარაკო, ანტუან... მოწყალე ქალზე უნდა მოგელაპარაკო...

მაგრამ ანტუანს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა. პალტოს და ქუდს ხელი დაავლო და კარი გაიჯახუნა.

კიბის საფეხურთან წამით მხნეობამ უღალატა; მერე თავს ძალა დაატანა, ძლივსძლივობით ჩაიცვა პალტო, და ერთბაშად გაახსენდა, როცა ჯარისკაცი იყო, სწორედ ასე წამოიგდებდა ხოლმე ზურგჩანთას და გზას განაგრძობდა...

ქუჩამ, მანქანებმა, გამვლელებმა, რომელთა წაქცევასაც შემოდგომის ქარი ლამობდა, სიმხნევე დაუბრუნეს.

და ტაქსის საძებნელად გაეშურა.

## III

„ოცი წუთი აკლია, — გაიფიქრა ანტუანმა, როცა მანქანამ წაშ. მადლენის ეკლესიას ჩაუქროლა, — მივუსწრებ, ოღონდ ზუსტად... პ ა ტ რ ო ნ ი კი ისეთი პუნქტუალურია, დარწმუნებული ვარ, უკვე იცვამს!“

მართლაც, ექიმი ფილიპი ოთახის ზღურბლთან ელოდებოდა.

— გამარჯობათ, ტიბო! — წაიბუზღუნა მან. მისი ხმა, ტაკიმასხარას ხმა, თითქოს დაცინვას გამოხატავდა მუდამ. — ზუსტად თხუთმეტი წუთი აკლია... გავსწიოთ.

— გავსწიოთ, პ ა ტ რ ო ნ! — მხიარულად გაიმეორა ანტუანმა.

იგი ყოველთვის დიდ სიამოვნებას განიცდიდა, ფილიპის კვალს რომ მიჰყვებოდა. ორი წლის განმავლობაში მის ასისტენტად მუშაობდა და ამ ენერგიულ კაცთან ყოველნაირად ჰქონდა უშუალო კონტაქტი. მალე თუმცა იძულებული გახდა სამსახურის ადგილი შეეცვალა, მაგრამ მასწავლებელთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია და მის ცხოვრებაში პ ა ტ რ ო ნ ი ს ადგილი შემდეგშიც ვერავინ დაიჭირა. ანტუანის ხსენებისას მუდამ დააყოლებდნენ ხოლმე: „ტიბო, ფილიპის სულიერი მოწაფე!“ იგი მართლაც მისი მოწაფე, მოადგილე, სულიერი შვილი იყო. მიუხედავად ამისა, შეტაკებაც ხშირად უხდებოდათ! ახალგაზრდული სული მოწიფულობას უმხედრდებოდა! გაბედულება, რისკისადმი სწრაფვა — სიფრთხილეს! შვიდი წლის მეგობრობისა და პროფესიული ურთიერთობის წყალობით, მათი კავშირი ურღვევი გახდა. როგორც კი ანტუანი ფილიპის გვერდით აღმოჩნდებოდა, იგი მისდაუნებურად გარდაიქმნებოდა, თითქოს მოცულობაშიც კი იკლებდა: დამოუკიდებელი და სრულყოფილი პიროვნება, როგორიც იგი ერთი წუთის წინ იყო ხოლმე, ავტომატურად აღმოჩნდებოდა ფილიპის მეურვეობის ქვეშ, მაგრამ ამით სულაც არ იყო უკმაყოფილო. და ეს გულთბილი დამოკიდებულება პ ა ტ რ ო ნ ი ს მიმართ უფრო მეტად იმით უღრმავდებოდა, რომ საკუთარი თავმოყვარეობაც დაკმაყოფილებული ჰქონდა. პროფესორის უდავო ავტორიტეტი, მისი მოურიდებელი ხასიათი ადამიანებთან, რაც საყოველთაოდ იყო აღიარებული, განსაკუთრებულ ფასს აძლევდა ანტუანისადმი მის კეთილგანწყობილებას. როგორც კი მასწავლებელი და მოწაფე ერთად აღმოჩნდებოდნენ, შესანიშნავ გუნება-განწყობაზე დგებოდნენ. მიაჩნდათ, რომ კაცობრიობის საშუალო ნაწილი შეგნებული და უნიჭო ხალხისაგან შედგება, და რომ საბედნიეროდ, ამ საერთო კანონს ორივე დაუსხლტა. მაგრამ ნდობა, რომელსაც პ ა ტ რ ო ნ ი, ეს ნაკლებ ექსპანსიური ადამიანი, ანტუანს უცხადებდა, მისი ბუნებრივი ტონი, შემპარავი ღიმილი, თვალის ჩაკვრა, რითაც ზოგიერთ ენამახვილობაზე მიანიშნებდა, თვით მისი, მხოლოდ მესაიდუმლეთათვის გასაგები ლექსიკონიც კი, ყველაფერი ეს თითქოს იმას მოწმობდა, რომ ანტუანი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც ფილიპს თავისუფლად შეეძლო საუბარი, ერთადერთი ადამიანი, ვინც მას ნამდვილად გაუგებდა. უსიამოვნება იშვიათად მოსდიოდათ, მათი გამომწვევი მიზეზი მუდამ ერთი და იმავე ხასიათისა გახლდათ. ანტუანი ხშირად უსაყვედურებდა იმის გამო, რომ ფილიპი ზოგჯერ საკუთარ თავს ატყუებდა, როცა სკეპტიციზმით ნაკარნახევ უეცარ მიგნებას ძირითად გადაწყვეტილებად თვლიდა; ანდა, იმის შემდეგ, რაც ერთმანეთს აზრს გაუზიარებდნენ და შეთანხმდებოდნენ, ფილიპი უცებ უკან დაიხევდა, საკუთარ

ნათქვამს დასცინებდა და განაცხადებდა: „სხვა თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ის, რაც ჩვენ ახლა ვთქვით, იდიოტობაა და მეტი არაფერი!" ამას მოჰყვებოდა: „არც ერთ ჩვენს გადაწყვეტილებას ფასი არა აქვს, არც ერთი ჩვენი მტკიცება კაპიკად არ ღირს!" აი, მაშინ ანტუანი ყალყზე დგებოდა, ასეთ პოზიციას ნამდვილად ვერ იტანდა: იგი ისე იტანჯებოდა, თითქოს ფიზიკური ტკივილი მიაყენესო. ამიტომ, ზრდილობიანად გამოეთხოვებოდა ხოლმე პ ა ტ რ ო ნ ს და სასწრაფოდ უბრუნდებოდა თავის საქმეებს, რათა წონასწორობა კეთილისმყოფელი საქმიანობით აღედგინა.

კიბეზე ტერივიე შემოხვდათ, რომელიც რაღაც გადაუდებელ საქმეზე რჩევის საკითხავად მოსულიყო პ ა ტ რ ო ნ თ ა ნ. ტერივიეც ფილიპის მოწაფე იყო, მაგრამ ახლა ზოგად თერაპიაში მუშაობდა. ასაკით ანტუანზე უფროსი იყო. ბატონ ტიბოსაც იგი მკურნალობდა.

პ ა ტ რ ო ნ ი შეჩერდა, უძრავად იდგა, წინ გადაზნექილი ტანით, მკლავებჩამოყრილი; ტანსაცმელი თითქმის ეკიდა გამხდარ სხეულზე, და მუყაოს იმ აწოწილ სათამაშო ჯამბაზს წააგავდა, რომლის თოკის ჩამოწევა დავიწყებიათ. თავის მოსაუბრესთან, დაბალ, ჩასუქებულ მოძრავ და მომღიმარ ტერევიესთან სასაცილო კონტრასტს ჰქმნიდა. კიბის ფანჯრიდან ორივეს პირდაპირ სახეში სცემდა შუქი, რამაც თავი შეაქცევინა ანტუანს. უკან რომ იდგა და ყურადღებით უკვირდებოდა პ ა ტ რ ო ნ ს. უყვარდა ახლებურად, უცხო თვალით შეეთვალიერებინა კარგად ნაცნობი ადამიანები. იმ წუთში ფილიპი ჩაშტერებით, მისთვის ჩვეული თანამი, გამგმირავი თვალებით მისჩერებოდა ტერევიეს; მის ღიაფერის თვალებს ჯერ კიდევ შავი წარბები გადმოხუროდა, თუმცა, წვერი, საძაგელი, თხისებური წვერი, ხელოვნურ, ნიკაპზე მიწებებულ, გაქუცულ ფოჩს რომ წააგავდა, ერთიანად გასთეთრებოდა. სხვათა შორის, იტყოდით, მთელი მისი გარეგნობა ისეა აწყობილი, ხალხი გააღიზიანოს, ანტიპათია გამოიწვიოსო; ულაზათო ტანსაცმელი, უხეში მანერები, მეტისმეტად გრძელი და მოწითალო ცხვირი, ქსუტუნი, კბილების ღრჭენა და უფერული, მუდამ სველი ბაგეები, საიდანაც გაბზარული, დუდღუნა ხმა ამოდიოდა. ეს ხმა ზოგჯერ, ენამწარედ გახუმრებისას ან გამანადგურებელი სიტყვის წამოსროლისას, ფალცეტს აღწევდა; და აი, მაშინ, წარბების ამ ხშირი ტევრიდან მაიმუნის თვალებივით მკვირცხლი გუგები ნაპერწკლებს ისროდა, რაც იმას მოწმობდა, რომ საკუთარი ენამახვილობით კმაყოფილი ბრძანდებოდა, ხოლო მსმენელს მოსწონდა თუ არა იგი, ამის დარდი არა ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, როგორი უსიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო პირველი შთაბეჭდილება, ფილიპს მხოლოდ ახალბედა და უფერული ხალხი ვერ იტანდა. მართლაც, ანტუანი ამჩნევდა, რომ არც ერთი მკურნალი ექიმი ისეთ ნდობას არ იწვევდა ავადმყოფებში, კოლეგები არც ერთ პროფესორს ისე არ სცემდნენ პატივს, სტუდენტები არც ერთ პროფესორთან მოხვედრას ისე გატაცებით არ ცდილობდნენ და საავადმყოფოს პრინციპული ახალგაზრდობა არავის ისე მოწიწებით არ ექცეოდა, როგორც ფილიპს. მისი ყველაზე ღვარძლიანი სიტყვა თავს დააცხრებოდა ხოლმე ცხოვრებისეულ ნაკლს, ადამიანურ სისულელეს და მხოლოდ ბრიყვს თუ შეულახავდა თავმოყვარეობას. საკმარისი იყო, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გენახათ იგი, რომ მაშინვე გეგრძნოთ არა მარტო ყოველგვარ წვრილმანობასა და კაცთმოძულებას მოკლებული მისი ნათელი გონიერება, არამედ ფიცხელი მგრძნობიარობაც, რასაც ყოველდღიური უკუღმართობა საშინელ უსიამოვნებას აყენებდა. აი, მაშინ ადვილად მიხვდებოდით, რომ მისი უხეში თავდასხმები მხოლოდ ვაჟკაცურ რეაქციას წარმოადგენდა მელანქოლიის წინააღმდეგ, მხოლოდ ილუზიას მოკლებული სიბრალულის საპირისპირო იყო, და რომ ეს მწარე ენამახვილობა, რითაც ბრიყვებში ღვარძლს იწვევდა, თუ კარგად ჩაუკვირდებოდით, მისი ჩვეულებრივი ფილოსოფია გახლდათ და სხვა არაფერი.

ანტუანი უგულისყუროდ უსმენდა ექიმების საუბარს. ლაპარაკობდნენ ავადმყოფის შესახებ, რომელსაც ტერივიე მკურნალობდა და წინა დღით პ ა ტ რ ო ნ ს გაესინჯა. ეტყობოდა, მძიმე ავადმყოფი უნდა ყოფილიყო. ტერივიე მტკიცედ იცავდა თავის მოსაზრებას.

— არა, — განაცხადა ფილიპმა, — პირადად მე, ჭაბუკო, ერთ კუბიკურ სანტიმეტრს გავბედავდი მხოლოდ. ან უკეთ: ნახევარ სანტიმეტრს და ისიც, თუ ძალიან გნებავთ, ორ მიღებაზე.

და რაკი მოსაუბრე ცხარობდა და ამ ფრთხილ რჩევას აშკარად ეურჩებოდა, ფილიპმა ფლეგმატურად ჩამოადო ხელი მხარზე და წაიდუდუნა:

— იცით, რას გეტყვით, ტერივიე? როცა ავადმყოფი ამ მდგომარეობაშია, მის სასთუმალთან ორი ძალა იბრძვის: ბუნება და სენი. მოდის ექიმი და ალალბედზე ისვრის: ალჩუ თუ თოხანი! თუ დარტყმა სენს მოხვდება — ალჩუა, თუ ბუნებას — თოხანი; ჰოდა, ავადმყოფი მაშინ მორიტურუს! * ასეთია ეს თამაში, ძვირფასო. ჩემს ასაკში ექიმი ფრთხილი ხდება, ცდილობს მაგარი არ გამოუვიდეს დარტყმა!

რამდენიმე წამს უძრავად იდგა, ნერწყვს ყლაპავდა. მისი ახაწხამებული

თვალები თითქოს თვალის ფსკერს უქექავდა ტერივიეს. შემდეგ ხელი მო-ახვია, ანტუანს ეშმაკურად გადახედა და კიბეზე დაეშვა.

ანტუანმა და ტერივიემ წინ გაუშვეს და უკან გაჰყვნენ.

— მამა როგორაა? — ჰკითხა ტერივიემ.

— გულის რევა დაეწყო გუშინ.

— ოჰ... — ტერივიეს შუბლი შეეჭმუხნა და ტუჩები უსიამოვნოდ აბრი-ზა; რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ კვლავ ჰკითხა:

— ამ დღეებში ფეხები ხომ არ გაესინჯავს მისთვის?

— არა.

— გუშინწინ შევამჩნიე, ოდნავ შეშუპებოდა.

— ცილა?

— უმალ ფლებიტისა მეშინია. ამ საღამოს შემოვივლი. ოთხიდან ხუ-თამდე. შინ იქნები?

ფილიპის ლიმუზინი სადარბაზოსთან იდგა. ტერივიე გამოემშვიდობა მათ და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. „ამ ბოლო დროს იმდენს ვხარჯავ ტაქსი-ში, — გაიფიქრა ანტუანმა, — სჯობს, საკუთარი პატარა მანქანა შევიძინო!“

— საით მივდივართ, ტიბო?

— სენტ-ონორეს გარეუბანში.

მცივანა ფილიპი მანქანის სიღრმეში მოიკრუნჩხა და სანამ შოფერი ადგილიდან დასძრავდა ლიმუზინს, ანტუანს მიუბრუნდა:

— აბა, ძვირფასო, სწრაფად განაცხადეთ საქმის ვითარება. მართლა უიმედო მდგომარეობაა?

— უიმედოა, პ ა ტ რ ო ნ! ორი წლის გოგონა, საცოდავი უბედური ბავშვი: ტუჩგაპობილი, თანდაყოლილი ორადგაპობილი სასით. ეკემ თვითონ გაუკეთა ოპერაცია გაზაფხულზე, ამას გარდა, გულის ფუნქციონალური უკმარობაც აქვს. როგორც ხედავთ... ეს ასეა. ამას დავუმატოთ, უბრალოდ რომ ვთქვათ, შუა ყურის მწვავე ანთება. სოფელში გამხდარა ავად. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მათი ერთადერთი ბავშვია...

ფილიპი უგულისყუროდ ადევნებდა თვალს ქუჩების სწრაფ სრბოლას და უცებ სიბრალულის გამომხატველი ბუზღუნი დასცდა.

— ... მაგრამ ქალბატონი ეკე შვიდი თვის ფეხმძიმეა. მძიმე ორსულობა აქვს. ჩემი აზრით, ძალიან გაუფრთხილებელი ქალია. ერთი სიტყვით, ახა-ლი უბედურების თავიდან ასაცილებლად, ეკემ პარიზიდან წაიყვანა და მეზონ-ლაფიტში დაასახლა ქალბატონი ეკეს დეიდის სახლში. მე ვიცნობ მათ. ჩემი ძმის მეგობრები იყვნენ. ბავშვს, სწორედ იქ დაწყებია ყურის ანთება.

— როდის?

— არავინ იცის. ძიძას არაფერი უთქვამს, ალბათ, ვერ შეამჩნია. დედა საწოლიდან არ დგება და ამიტომ ვერაფერი შეატყო. შემდეგ უფიქრია, კბილები ამოსდისო. ბოლოს, შაბათ საღამოს...

— გუშინწინ?

— გუშინწინ ეკე მეზონში ჩასულა, ჩვეულებისამებრ, კვირა დღე. იქ უნდოდა თურმე გაეტარებინა, და მაშინვე შეუმჩნევია, რომ გოგონა საფრთხეში იყო. სასწრაფო დახმარება გამოუძახნია და იმავე საღამოს ცოლ-შვილი პარიზში წამოუყვანია. კეთილი და პატიოსანი. ჩამოსვლისთანავე დამირეკა ტელეფონით. კვირა დილით გავსინჯე ბავშვი და საკუთარი ინიციატივით ოკულისტ ლანკეტოს გამოვუძახე. ყოველგვარი გართულება დავადგინეთ: ბუნებრივია, დვრილისებრი მორჩების ანთება, გვერდითი წიაღის დაჩირქება და სხვა... გუშინ და დღეს ყველაფერი ვსინჯეთ. უშედეგოდ! მდგომარეობა ყოველ საათში უარესდება. დღეს დილით მენინგიტის ნიშნებიც შევამჩნიე...

— ქირურგიული ჩარევა ხომ არ გახდებოდა საჭირო?

— მე მგონი, შეუძლებელია. ეკემ წუხელ პეშო გამოიძახა. მან კატეგორიულად განაცხადა: გული ისეთ მდგომარეობაში აქვს, ოპერაციაზე ფიქრი ზედმეტიაო. ყინულს ადებენ და ამითღა უმსუბუქებენ საშინელ ტანჯვას.

ფილიპი კვლავაც შორს იყურებოდა და ხელახლა აღმოხდა ბუზღუნი.

— აი ასეთია საქმის ვითარება, — შეწუხებული სახით განაგრძო ანტუანმა — ახლა, პ ა ტ რ ო ნ, თქვენი ჯერია. — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დაუმატა: — მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მე მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ დავიგვიანებთ და... სანამ მივალთ, ყველაფერი მოთავებული იქნება!

— ილუზიები ხომ არა აქვს ეკეს?

— ოჰ, არა.

ფილიპი გაჩუმდა, შემდეგ ანტუანს მუხლებზე დაადო ხელი:

— ასე გადაწყვეტით ნუ ლაპარაკობთ, ტიბო, საცოდავი ეკე ექიმია და იცის, რომ არავითარი იმედი არაა, მაგრამ ამასთან იგი მამაცია... იცით რაშია საქმე? რამდენადაც უფრო მძიმეა მდგომარეობა, საკუთარ თავს მით უფრო ადვილად ეთამაშები დამალობანას...

სახეზე იმედგაცრუების ღიმილი ათამაშდა და წაიდუდუნა:

— საბედნიეროდ, არა?.. საბედნიეროდ.

ეკე მეოთხე სართულზე ცხოვრობდა. შეჩერებული ლიფტის ხმაზე ოთახის კარი გაიღო: ელოდნენ. თეთრხალათიანმა მსუქანმა მამაკაცმა, რომლის შავი წვერი ეგოდენ დამახასიათებელ იერს აძლევდა სემიტურ ტიპს, ანტუანს ხელი ჩამოართვა.

— ისააკ შტუდლერი! — გააცნო ანტუანმა ფილიპს.

ეს იყო სამედიცინო ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი, რომელსაც ინსტიტუტისათვის თავი მიუნებებია, მაგრამ მუდამ ექიმების წრეში ტრიალებდა. უნივერსიტეტის მეგობარი ეკე ბრმა სიყვარულით უყვარდა და ძაღლივით ერთგული იყო მისი. აგარაკიდან მეგობრის უეცარი დაბრუნება ტელეფონით შეუტყობინებიათ, მას კი ყველაფერი მიუტოვებია და მაშინვე გამოქცეულა, რომ ავადმყოფი ბავშვისათვის მიეხედა.

ბინის კარი ფართოდ გაეღოთ და იგი ისე უნიათოდ გამოიყურებოდა, როგორც საერთოდ გაზაფხულზე, აგარაკზე გამგზავრების წინ არის ხოლმე: რაკი ფარდები ჩამოეხსნათ, დარაბებსაც ვერ აღებდნენ; ოთახებში სინათლე ენთო და ზედ ჭერზე მიკრული ნათურების მკვეთრი შუქი შუა ოთახში დადგმულ თეთრ შალითიან ავეჯს ბავშვების კატაფალკებს ამსგავსებდა. სასტუმრო ოთახში, სადაც შტუდლერმა ორივე ექიმი დატოვა და ეკეს მოსაყვანად გავიდა, ღია, სანახევრად დაცლილი სკივრის ირგვლივ ათასნაირი ნივთები ეყარა იატაკზე.

კარი ერთბაშად გაიღო და თითქმის ჩაუცმელი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც განაწამები შეშინებული სახე და აწეწილი მშვენიერი ქერა თმა ჰქონდა, ისე სწრაფად შემოვიდა ოთახში, როგორც ამის საშუალებას აძლევდა დამძიმებული ნაბიჯები. ცალი ხელი მუცელზე ედო, ცალით კი პენუარის კალთას იწევდა, რომ ფეხებში არ გაბლანდოდა და არ წაქცეულიყო. ხშირი სუნთქვა ლაპარაკს უშლიდა, ტუჩები უკანკალებდა. მან პირდაპირ ფილიპს მიაშურა, რომელმაც მის ფართო, ნამტირალევ თვალებში ისეთი გულისგამგმირავი ვედრება ამოიკითხა, მისალმებაც კი დაავიწყდა და მისდაუნებურად ხელი შეაშველა მხოლოდ, თითქოს ამით უნდოდა დაემშვიდებინა.

ამ დროს წინოთახიდან ეკე შემოვარდა.

— ნიკოლ!

სიბრაზისაგან ხმა უკანკალებდა, სახეზე მკვდრის ფერი ედო, ნაკვთები დაბრეცოდა. მან ყურადღება არ მიაქცია ფილიპს, ახალგაზრდა ქალს მი-

ვარდა, შეანჯღრია და ისე ღონივრად აიტაცა ხელში, ასეთი ძალა მისგან წარმოუდგენელი იყო. ქალი ქვითინებდა და არ გასძალიანებია.

— კარი გაშიღეთ! — გადაულაპარაკა ეკემ ანტუანს, რომელმაც შიშვნეულებლად მიირბინა მასთან.

ნიკოლს თავი უკან გადავარდნოდა; ანტუანი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცოლ-ქმარს და ნიკოლის თავი ხელებში ეჭირა. ქალი რაღაცას წუწუნებდა და ანტუანმა მაინც გაარჩია ჩურჩულით წარმოთქმული ცალკეული სიტყვები:

— ვერასოდეს მაპატიებ... ყველაფერი ჩემი ბრალია, მხოლოდ ჩემი... მე ვარ დამნაშავე, მახინჯი რომ დაიბადა... აკი დიდხანს მიბრაზდებოდი... ახლაც ჩემი ბრალია... დროზე რომ შემეჩნია და წესიერად მომევლო...

ოთახში შევიდნენ, სადაც ანტუანმა ფართო, აშლილი საწოლი შეამჩნია. ახალგაზრდა ქალი, ალბათ, ექიმების მოსვლას უთვალთვალებდა და, მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, მაშინვე წამომხტარა ლოგინიდან.

სასოწარკვეთილმა ქალმა ახლა ანტუანს წაავლო ხელი და აღარ უშვებდა.

— გემუდარებით, ბატონო... ფელიქსი არასოდეს არ მაპატიებს... ვერ მაპატიებს, თუკი... ყველაფერი სცადეთ! გადაარჩინეთ, გემუდარებით, ბატონო!..

ქმარმა ფრთხილად დააწვინა და საბანი დაახურა. ქალმა ხელი გაუშვა ანტუანს და გაჩუმდა.

ეკე დაიხარა. ანტუანმა თვალი შეასწრო მათ გამოხედვას: ქალს დატანჯული, დაბნეული გამოხედვა ჰქონდა, მამაკაცს მკაცრი.

— ადგომა არ გაბედო! გესმის?

ქალმა თვალები დახუჭა. მაშინვე ეკე უფრო დაბლა დაიხარა, ტუჩებით შეეხო მის თმას და დახურულ ქუთუთოებზე ისე აკოცა, თითქოს რაღაც ხელშეკრულებაზე დაუსვა ბეჭედი და წინდაწინ აპატიაო.

შემდეგ ანტუანი ოთახიდან გაიყვანა.

პ ა ტ რ ო ნ ი ბავშვთან დახვდათ, შტუდლერს შეეყვანა მასთან; ფილიპს პიჯაკი გაეხადა და თეთრი ხალათი გადაეცვა. მშვიდი, გულჩათხრობილი სახით, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ ბავშვი და თვითონ არსებობენო, გულდასმით და მეთოდურად სინჯავდა ავადმყოფს, თუმცა როგორც კი ბავშვს დახედა, მაშინვე მიხვდა, ყოველგვარი მკურნალობა ამაო იქნებაო.

ეკე ხმას არ იღებდა, ხელები უკანკალებდა და სახეში მიშტერებოდა პროფესორს. გასინჯვა ათიოდე წუთს გაგრძელდა.

ფილიპმა თავი ასწია და თვალებით ეკეს დაუწყო ძებნა. ეკეს ვეღარ იცნობდა ადამიანი: მოღუშული სახე, გაყინული მზერა, ქუთუთოები დასიებული, დაწითლებული, თითქოს ქარსა და ქვიშას ამოუხმრაო. პირქუშ სახეზე ტრაგიკული იერი დასდებოდა. ფილიპმა სწრაფად შეავლო თვალი: მიხვდა, ყოველგვარი თვალთმაქცობა ზედმეტი იქნებოდა და უარი თქვა რაიმე მკურნალობის დანიშვნაზე, რასაც ერთი წუთის წინ მაინც აპირებდა მამის დასამშვიდებლად. მან ხალათი გაიხადა, ხელები სწრაფად დაიბანა, ექთანის მიერ მოწოდებული პიჯაკი ჩაიცვა და ოთახიდან ისე გავიდა, ბავშვისკენ აღარც მოუხედავს. ეკე და ანტუანი უკან მიჰყვნენ.

წინოთახში მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაინც მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით! — თქვა ეკემ.

ფილიპმა ოდნავ აიჩეჩა მხრები და ბაგე რბილად ააწკლაპუნა. ეკე სათვალიდან უკვირდებოდა. მისი გამოხედვა თანდათანობით იცვლებოდა, ჯერ მკაცრი, შემდეგ აშრეზილი, თითქმის სიძულვილის გამომხატველი! ბოლოს, ეს ბოროტი ნაპერწკალი ჩაქრა, და, თითქოს ბოდიშს იხდისო, წაილაპარაკა:

— ადამიანს მუდამ აქვს რაღაც შეუძლებელის იმედი!

ფილიპს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა და საკიდრიდან ნელა ჩამოხსნა ქუდი. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გარეთ გასულიყო, ეკესთან მივიდა, შეყოყმანდა და მერე, უხერხულად დაადო ხელი მხარზე. სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ, თითქოს გამოერკვაო, უკან დაიხია, ჩაახველა და როგორც იქნა, გავიდა.

ანტუანი ეკესთან მივიდა.

— დღეს მიღების დღე მაქვს. საღამოს ცხრა საათისთვის შემოვივლი.

ეკე გაუნძრევლად იდგა, უაზრო თვალებით მისჩერებოდა ღია კარს, საიდანაც ფილიპთან ერთად მისი უკანასკნელი იმედი გაქრა. მან ოდნავ დაუქნია თავი ანტუანს და ამით ანიშნა, მესმისო.

ფილიპმა ისე გაიარა ორი სართული, ხმა არ ამოუღია, შემდეგ შეჩერდა, შემობრუნდა, ჩაახველა, ნერწყვი გადაყლაპა და ჩვეულებრივზე მეტად დუდღუნა ხმით თქვა:

— რაღაც მაინც უნდა გამომეწერა, არა? უტ ალიგუიდ ფიერი ვიდეატურ... * მაგრამ... ვერ გავბედე.

იგი გაჩუმდა, რამდენიმე საფეხური ჩაათავა და ისე წაილაპარაკა, ამჯერად თავიც არ მოუბრუნებია:

— თქვენსავით ოპტიმისტი არა ვარ. ერთი-ორი დღე შეიძლება გაგრძელდეს...

კიბის უკანასკნელ საფეხურთან ორი ქალი შემოხვდა სადარბაზოში, სადაც საკმაოდ ბნელოდა.

— ოჰ, ბატონო ტიბო!

ანტუანმა ქალბატონი დე ფონტანენი იცნო.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მან ნაძალადევი სიმხნევით, ცდილობდა შიში არ დასტყობოდა მის ხმას. — ჩვენც ამბის გასაგებად მოვედით!

პასუხის ნაცვლად, ანტუანმა თავი გააქნია.

— არა, არა! ჯერ არავინ იცის, როგორ წავა საქმე! — საყვედურით წამოიძახა ქალბატონმა დე ფონტანენმა, თითქოს ანტუანის საქციელი აიძულებდა. რაც შეიძლება სწრაფად დაეთრგუნა ავი თვალი.

— იმედი მუდამ უნდა გვქონდეს, ექიმო, იმედი! ეს ხომ შეუძლებელია! ეს ხომ საშინელება იქნებოდა, არა, ჟენი?

ანტუანმა მაშინღა შენიშნა ქალიშვილი, რომელიც განზე იდგა; მაპატიეთ, ვერ გიცანითო, წაიბუტბუტა სწრაფად. ჟენიმ თითქოს რაღაც უხერხულობა იგრძნო, შეყოყმანდა, მაგრამ მაინც გაუწოდა ხელი. ანტუანმა მისი დაბნეული გამომეტყველება და ქუთუთოების ნერვული თრთოლა შეამჩნია, არ გაჰკვირვებია, რადგან იცოდა, რომ ჟენის ძალიან უყვარდა ნიკოლი. „რა უცნაურად გამოცვლილა", — გაიფიქრა ანტუანმა და პ ა ტ რ ო ნ ს დაეწია. მის მეხსიერებაში, სადღაც ძალიან შორს, ხელახლა აღსდგა ღიაფერის კაბაში გამოწყობილი გოგონას სილუეტი, ერთ საღამოს ბაღში მოსეირნე რომ ნახა. ამ შეხვედრამ გული ატკინა. „საწყალი ჟაკი, ალბათ ვეღარც კი იცნობდა!" — გაიფიქრა მან.

ფილიპი მოღუშული მიმჯდარიყო მანქანის კუთხეში.

— ინსტიტუტში მივდივარ, — თქვა მან, — ბარემ შინ მიგიყვანთ, მაინც გზაზეა!

მთელი მანძილი ისე გალიეს, კრინტი არ დაუძრავთ. მაგრამ როცა ანტუანი უნივერსიტეტის ქუჩასთან გამოეთხოვა, ფილიპმა, როგორც იქნა, თავი დააღწია გაოგნებას და უთხრა:

— ჰო, მართლა, ტიბო... თქვენ ხომ ენაბრგვილ ბავშვებსაც მკურნალობთ ნაწილობრივ... ამას წინათ ერთი მანდილოსანი გამოგიგზავნეთ, ქალბატონი ერნესტი...

— დღეს უნდა ვნახო...

— ბიჭუნას მოგიყვანთ, ხუთი თუ ექვსი წლისაა, მაგრამ ერთი წლის ბავშვივით ლაპარაკობს. ჩანს, ზოგიერთი ბგერის წარმოთქმა სულ არ შეუძლია, მაგრამ საკმარისია უთხრათ, ლოცვანი წაიკითხეო, მაშინვე მუხლებზე იჩოქებს და „მამაო ჩვენოს“ თავიდან ბოლომდე ჩააბულბულებს! სხვა მხრივ, საკმაოდ გონიერი ბავშვი უნდა იყოს. ვფიქრობ, ეს შემთხვევა ძალიან დაგაინტერესებთ...

## V

როგორც კი გასაღებმა გაიჩხაკუნა, ლეონმა მაშინვე გამოაღო კარი.

— მადმუაზელ დე ბატენკური უკვე გელოდებათ... — თქვა მან მისთვის ჩვეული დაეჭვებული გამომეტყველებით, — მე მგონი, გუვერნანტი უნდა ახლდეს თან...

— „მისი გვარი ბატენკური სულაც არაა, — გაიფიქრა ანტუანმა. იგი ხომ გუპიოს შვილია... XX საუკუნის უნივერსალური მადაზია...“

ანტუანი საწოლ ოთახში შევიდა, უნდოდა საყელო და პიჯაკი გამოეცვალა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის ტანსაცმელს და მუდამ სადად, მაგრამ კოხტად იცვამდა. შემდეგ სამუშაო კაბინეტისაკენ გასწია, თვალი მიმოავლო იქაურობას, დარწმუნდა ყველაფერი რიგზეაო, და რაკი თვითონაც მზად იყო ავადმყოფების მისაღებად და სამუშაოდ, სწრაფად გადასწია პორტიერი და მისაღები ოთახის კარი გააღო.

კოხტა, ახალგაზრდა ქალი ფეხზე წამოდგა. ანტუანმა იცნო ინგლისელი გუვერნანტი, რომელიც გაზაფხულზე ქალბატონ ბატენკურსა და მის ქალიშვილს მოჰყვა. (კარგი მეხსიერების წყალობით მას ერთბაშად მოაგონდა ერთი უბრალო დეტალი, რამაც მაშინ ძალიან გააკვირვა: ვიზიტი თითქმის დამთავრებული იყო, საწერ მაგიდასთან იჯდა და რეცეპტს წერდა; ერთბაშად თავი ასწია და ქალბატონ დე ბატენკურსა და ამ ინგლისელ ქალს თვალი შეასწრო; ქალები ერთმანეთის გვერდით იდგნენ, ფანჯრის ამბრაზურასთან; ანტუანს აქამდე ვერ დაევიწყნა მშვენიერი ანას თვალებში გაელვებული ნაპერწკალი, როცა მან ალერსით გადაუსვა თითი მასწავლებელს საფეთქელზე და ჩამოშლილი თმის კულული შეუსწორა).

ინგლისელმა ქალმა თამამად დაუკრა თავი ანტუანს და გოგონა წინ შეუშვა. ანტუანმა გზა დაუთმო ახალმოსულებს და ამ ორი ახალგაზრდა ქალის სუფთა სხეულთა სუნმა წამით გააბრუა. ორივე ქერა იყო. კოხტა ტანი და შესანიშნავი სახისფერი ჰქონდათ.

იუგეტს პალტო მკლავზე გადაეგდო; ცამეტი წლის გოგონა ისეთი მაღალი იყო, რომ მოკლე, უსახელო კაბაში უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბავშვურ მკლავებზე ზაფხულის კვალი, ლამაზი ნამზეური აჩნდა; ქერა, რბილი თმა ურჩ კულულებად ეხვეოდა და ლაღად ერკალებოდა სახეს, რომელსაც გაუბედავი ღიმილი და ფართოდ გახელილი თვალების ზანტი გამოხედვა ერთგვარ სევდიან იერს აძლევდა.

ინგლისელი ქალი ანტუანს მიუბრუნდა და როცა ფრანგულ ენაზე წამოიწყო ლაპარაკი, ისედაც ფეროვანი სახე უფრო მეტად აუვარდისფრდა; მისი მელოდიური ხმა ჩიტის ჭიკჭიკს მოგაგონებდათ: ჰყვებოდა, ქალბატონი დე ბატენკური საუზმეზე დაჰპატიჟეს და დაგვიბარა, მანქანა გამომიგზავნეთო... საცაა, მოვაო.

ანტუანი იუგეტს მიუახლოვდა, მხარზე მოუთათუნა ხელი და სინათლისკენ მიაბრუნა.

— აბა, როგორა გრძნობთ თავს? — ლაღად ჰკითხა მან.

გოგონამ თავი დაუქნია და უხალისოდ გაუღიმა. ანტუანი უკვირდებოდა ბავშვის ტუჩების, ნუნების ფერს, თვალთა ლორწოვან გარსს, მაგრამ ფიქრებით სულ სხვაგან იყო. ახლახან, მისაღებ ოთახში შეამჩნია, რომ გოგონა, რომელიც თითქოს ბუნებით მეტად ნარნარი უნდა ყოფილიყო, როგორღაც მოუხერხებლად წამოდგა სავარძლიდან და ოდნავ გაშეშებული მოძრაობით მისკენ გამოემართა; ხოლო როცა ანტუანმა მხარზე ხელი დაადო, მის დაკვირვებულ მზერას არც ის გამოჰპარვია, რომ იუგეტი შეიჭმუხნა და განზე გაიწია.

ეს ბავშვი მეორედ იყო მასთან. ამ ოჯახის მუდმივ ექიმად არ ითვლებოდა. ეტყობა, ქმარმა, სიმონ დე ბატენკურმა, ჟაკის ყოფილმა მეგობარმა, გადააწყვეტინა მშვენიერ ქალბატონ დე ბატენკურს ბავშვი ტიბოსთან მიეყვანა გაზაფხულზე და საერთო ფიზიკურ მდგომარეობაზე მისი აზრი მოესმინა; ქალმა მაშინ კი უთხრა, ბავშვი მალე იღლება, ალბათ, სწრაფი ზრდის ბრალიაო, მაგრამ იმ ხანებში ანტუანს არავითარი ავადმყოფური სიმპტომები არ შეუმჩნევია გასინჯვისას. თუმცა, რაკი საერთო მდგომარეობამ დააეჭვა, მკაცრი რეჟიმი დაუნიშნა, ხოლო დედას პირობა ჩამოართვა, ყოველ თვეში გოგონა ჩემთან მოიყვანეთო. მას შემდეგ იუგეტი თვალით არ უნახავს.

— აბა ერთი, ტანზე გაიხადეთ.. — თქვა მან.

— მისს მერი! — დაუძახა იუგეტმა.

ანტუანი საწერ მაგიდას მიუჯდა და ძალდაუტანებელი სიმშვიდით გადაფურცლა ივნისის თვეში შედგენილი ჩანაწერები. ბავშვის გასინჯვისას

არავითარი ყურადსაღები სიმპტომი არ შეუნიშნავს მაშინ, მაგრამ რაღაც ეჭვები კი მაინც გაჩენოდა თურმე; ასე ზერელე შთაბეჭდილების წყალობით ხშირად აღმოუჩენია ფარული სენი, მიუხედავად ამისა, არასოდეს ადვილად არ ერწმუნებოდა ხოლმე მათ. ანტუანმა გაზაფხულზე გადაღებული რენტგენის სურათი გაშალა და გულდაჯერებით დაუწყო სინჯვა. შემდეგ წამოდგა. იუგეტი შუა ოთახში ჩამომჯდარიყო სავარძლის სახელურზე და მისს მერის დახმარებით ჩანტად იხდიდა კაბას. ზონრის ან ღილკილოს გახსნაში ისე მოუხერხებლად ეშველებოდა გუვერნანტს, რომ ინგლისელმა ქალმა რამდენჯერმე გაჰკრა ხელი; ბოლოს მოთმინებაც დაეკარგა და თითებზე დაარტყა. ამ ჩხუბში მოძრაობისა და მერის ანგელოზური, მაგრამ კუშტი სახის დანახვაზე ანტუანმა გადაწყვიტა, ამ მშვენიერ ასულს ბავშვი არ უყვარსო.

მიუახლოვდა.

— გმადლობთ, საკმარისია! — თქვა მან.

გოგონამ მშვენიერი, ლურჯი, ნათელი, გასხივოსნებული თვალებით ახედა; თვითონაც არ იცოდა, რატომ, ეს ექიმი მოსწონდა. საერთოდ, მიუხედავად მკაცრი და გულჩათხრობილი გამომეტყველებისა, ანტუანი უგულო ექიმის შთაბეჭდილებას როდი ტოვებდა ავადმყოფებზე; თვით ახალგაზრდებიც კი, რომლებიც ნაკლებ შორსმჭვრეტელები გახლავან, არასოდეს არ ცდებოდნენ: შუბლზე გაჩენილი ნაოჭი, დაკვირვებული, ჯიუტი მზერა, ძლიერი მუდამ მოკუმული ქვედა ყბა, სიბრძნისა და ძლიერების საწინდარს წარმოადგენდა ხოლმე მათთვის. „ავადმყოფებისათვის ერთი რამაა მთავარი: ექიმი სერიოზულად მოეკიდოს მას", — დემონური ღიმილით იტყოდა ხოლმე პ ა ტ რ ო ნ ი.

ანტუანი მოთმინებით, ყურადღებით სინჯავდა ბავშვს. ფილტვებში საშიში არაფერი აღმოაჩნდა. ფილიპივით ნელა, მეთოდურად განაგრძობდა სინჯვას. გულზეც არავითარი ცვლილება არ იყო. „პოტის დაავადება... " — უკარნახებდა იდუმალი ხმა. — ნუთუ პოტის დაავადება აქვს?"

— დაიხარეთ! — უთხრა მან უცებ, — თუმცა არა. სჯობს რაიმე ასწიოთ... მაგალითად, თქვენი ფეხსაცმელი.

წელში რომ არ მოხრილიყო, გოგონამ მუხლები მოღუნა. ცუდი ნიშანია. ანტუანს მაინც ჰქონდა იმედი, იქნებ, ვცდებიო; ვეღარ ითმენდა, უნდოდა სწრაფად ამოეცნო ავადმყოფობა.

— სწორად დადექით! — განაგრძო მან, — მკლავები გადააჯვარედინეთ. ასე. ახლა დაიხარეთ... მოიხარეთ... უფრო მეტად!..

გოგონა წელში გასწორდა. ბაგე ნელა, მომხიბვლელად, ალერსიანი ღიმილით გაეპო.

— მტკივა! — წაიბუტბუტა მან, თითქოს ბოდიშს იხდისო.

— კეთილი! — ჩაილაპარაკა ანტუანმა.

ერთხანს უაზროდ უყურებდა ბავშვს. შემდეგ სახეში შეხედა და გაუღიმა. გოგონა იმ წუთს სასაცილო და მიმზიდველი ჩანდა: თითქმის შიშველი იდგა, ცალ ხელში ფეხსაცმელი ეჭირა და ფართო, გაკვირვებული თვალებით ალერსიანად მისჩერებოდა ანტუანს. უკვე დაიღალა და ცალი ხელით სკამის საზურგეს დაეყრდნო. თეთრ, აბრეშუმივით სრიალა მკერდთან შედარებით, მწიფე გარგარისფერი მხრები, მკლავები და მრგვალი წვივები თითქმის მუქად მოუჩანდა; ამ ნამზეურობის გამო კანი ცხელი, მწვავე მოგეჩვენებოდათ.

— აი, აქ დაწექით! — უბრძანა ანტუანმა და ტახტზე ზეწარი გაუშალა. იგი აღარ იღიმებოდა, ხელახლა შეეპყრო შიშს, — თავდაღმა გაწექით! კარგად გაიჭიმეთ!

გადამწყვეტი მომენტი დადგა. ანტუანმა ჩაიჩოქა, ქუსლებს მაგრად დაეყრდნო და მაჯები რომ არ დასძაბვოდა, ხელები წინ გაიშვირა. ორი წამი უძრავად იდგა, თითქოს ძალას იკრებსო. მის წინ გაჭიმულ ძარღვიან და გახევებულ ზურგს შეშფოთებით აყოლებდა დაბნეულ მზერას ბეჭიდან — წელის ამონადუნამდე. შემდეგ, ხელის გული კისერს დაადო. კისერი ოდნავ შეკრთა. ორი თითი ხერხემალს დააჭირა: ცდილობდა თანაბრად შეხებოდა, სათითაოდ დაეთვალა ხერხემლის მალები, და ამ ძვლის კრიალოსანს ნელ-ნელა ჩაჰყვა ბოლომდე.

ერთბაშად ბავშვის სხეული აცახცახდა, ჩაიხნიქა: ანტუანმა ძლივს მოასწრო ხელის აღება. ბალიშებში თავჩარგულ გოგონას სიცილი აუტყდა და თითქმის გაგუდული ხმით მტკიცედ დაიძახა:

— რას შვრებით, ექიმო? მტკივა!

— ნუთუ მართლა? მაინც სად გტკივათ? — და რომ ბავშვისთვის თავგზა აებნია, სხვადასხვა ადგილებზე აჭერდა ხელს. — აქ?

— არა.

— აქ?

— არა.

აღარავითარი ეჭვი რომ არ დარჩენოდა და საბოლოოდ დარწმუნებულიყო, ანტუანმა საჩვენებელი თითი ხერხემლის მტკივნეულ ადგილას დააჭირა და ჰკითხა:

— აქ?

გოგონამ მსუბუქად წამოიკივლა, რასაც ნაძალადევი სიცილი მოჰყვა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— გადმობრუნდით! — უცნაურად ალერსიანი ხმით უთხრა ანტუანმა.

მან გაუსინჯა კისერი, მკერდი, იღლიები; იუგეტი დამორჩილებული იწვა, ცდილობდა კვლავაც არ დაეკვნესა. მაგრამ როცა ანტუანმა საზარდულის ნერვიულ კვანძს დააჭირა ხელი, გოგონამ ყრუდ ამოიგმინა.

ანტუანი წამოდგა; სახეზე არავითარი ღელვა არ ეტყობოდა, მაგრამ ცდილობდა ბავშვის თვალებს არ წაწყდომოდა.

— კეთილი. მოგეშვებით! — ისე უთხრა, თითქოს ხუმრობით ეუბნებაო. — რა უკარება ყოფილხართ!

ვიღაცამ დააკაკუნა და კარიც იმწამსვე გაიღო.

— მე ვარ, ექიმო! — გაისმა ნაზი ხმა და მშვენიერი ანა ჩქარი ნაბიჯებით შემოვიდა ოთახში. — მაპატიეთ, პირდაპირ მრცხვენია, ასე რომ დავიგვიანე... მაგრამ აუტანელ უბანში ცხოვრობთ. — ქალს გაეცინა. — იმედი მაქვს, არ დამელოდებოდით! — დაუმატა მან და შვილს თვალებით დაუწყო ძებნა. — არ გაცივდე, გესმის? — უკმეხად უთხრა მან. — მერი, ძვირფასო, ძალიან დამავალებთ, მხრებზე თუ მოახურავთ რაიმეს.

უხეში ტონი ერთბაშად შეეცვალა ალერსიანი და დინჯი ინტონაციით, რაც მის დაბალ კონტრალტოს ეგზომ უხდებოდა.

ქალი ანტუანისკენ გაეშურა; მოქნილი, გამომწვევი სხეული ჰქონდა, მაგრამ მის სიცქვიტეში მუდამ იგრძნობოდა რაღაც სიმშრალე, უხეში სიკერპე, რომელიც მოხიბვლის ჩვევას მოეტეხა, შეერბილებინა, ალერსით მოხიბვლაში კი დიდი ხანია ბადალი არ ჰყავდა. მუშკის მკვეთრ სუნს თითქოს უმძიმდა ჰაერში გაფანტვა და მხოლოდ ქალს შემოხვეოდა ირგვლივ. ღიაფერის ხელთათმნიანი ხელი ლაღად გაუწოდა ანტუანს და მაჯაზე წამოცმული ძეწკვი აწკარუნდა.

— გამარჯობათ!

ნაცრისფერი თვალებით თვალის სიღრმეში ჩახედა ანტუანს, რომელმაც შეამჩნია მისი ოდნავ გაპობილი ტუჩები; ტალღისებური ხუქი თმის ქვეშ კანი ოდნავ შესამჩნევი ნაოჭებით დაფარვოდა საფეთქელთან. ანტუანმა თვალი აარიდა.

— კმაყოფილი ხართ, ექიმო? — ჰკითხა ქალმა. — დიდხანს მოუნდებით გასინჯვას?

— სადღეისოდ... სადღეისოდ ეს ვიკმაროთ! — უპასუხა ანტუანმა, რო-

მელსაც ღიმილი შეყინვოდა ბაგეზე. შემდეგ ინგლისელს მიუბრუნდა — შეგიძლიათ ჩააცვათ მადმუაზელს!

— გამოტყდით, რომ სად-სალამათი მოგიყვანეთ! — წამოიძახა ქალბატონმა დე ბატენკურმა და, ჩვეულებისამებრ, სინათლეს ზურგი შეაქცია. — ალბათ, გეტყოდათ, რომ მისი გულისთვის...

ანტუანი პირსაბანს მიუახლოვდა, ზრდილობის გულისთვის ქალისკენ მიაბრუნა თავი და თან ხელები გაისაპნა.

— ...მისი გულისთვის ორი თვე გავატარეთ ოსტენდეში! თუმცა ეს ისედაც ჩანს: ხომ ხედავთ, როგორ მოეკიდა მზე?! მაგრამ, ექვსი კვირის წინ რომ გენახათ!.. არა, მისს მერი?

ანტუანი დაფიქრებულიყო. ამჯერად, ტუბერკულოზმა აშკარად იჩინა თავი: იგი უკვე სამირკვლიდან უტევდა მთელ შენობას, საფუძვლიანად ღრღნიდა ხერხემალს... მართალია, იგი აპირებდა ეთქვა: „მკურნალობა შეიძლება..." მაგრამ სინამდვილეში ასე არ ფიქრობდა. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, საერთო მდგომარეობა შიშს ჰგვრიდა. ყველა ჯირკვალი დასიებული ჰქონდა. იუგეტი მოხუცი გუპიოს შვილი იყო და, ცხადია, ეს უზნეო მემკვიდრეობა კარგს არაფერს უქადდა მომავალში.

— გითხრათ თუ არა, რომ „პალასში" გამართულ კონკურსზე ნამზეურობის მესამე ჯილდო მიიღო? ხოლო კაზინოს კონკურსზე ქების სიგელით დააჯილდოეს?!

ქალი ენას აჩლიფინებდა ოდნავ, სწორედ იმდენად, რომ მის სახიფათო მომხიბვლელობას ერთი ბეწო გულუბრყვილობის, დამშვიდების ნიუანსი ჰქონოდა. შავგვრემანი ქალისთვის უჩვეულო მორუხო-მომწვანო თვალები უცნაურად უელვარებდა ხოლმე ანაზდად. პირველ შეხვედრისთანავე ამ ქალმა რაღაც ყრუ გაღიზიანება იგრძნო ანტუანის მიმართ. ანა დე ბატენკურს უყვარდა, როცა თაყვანისცემას აღუძრავდა მის ირგვლივ მყოფ მამაკაცებსა და ქალებს; თუმცა წლების მომატებასთან ერთად ამ თაყვანისცემიდან რაიმე სარგებლის გამოტანას იშვიათად ახერხებდა: მაგრამ აქედან მიღებული სიამოვნება რაც უფრო პლატონური გახლდათ, მით უფრო გაშმაგებით ცდილობდა ავხორცული ატმოსფერო შეექმნა ირგვლივ. ანტუანის საქციელი სწორედ იმიტომ აღიზიანებდა, რომ მის დაკვირვებულ, მხიარულ გამოხედვაში, მართალია რაღაც სურვილი ამოიკითხებოდა, მაგრამ ქალი კარგად გრძნობდა, რომ ეს სურვილი ადვილად დასაოკებელი იყო და ნათლად მსჯელობის უნარს არ აკარგვინებდა.

ქალმა ლაპარაკი შეწყვიტა.

— მაპატიეთ, — წაილაპარაკა მან და გულიანად გაიცინა, — მაგრამ ამ მანტოში დავიხრჩვი...

არ წამომდგარა, არც ახალგაზრდა ექიმისათვის მოუშორებია თვალი და ნარნარი მოძრაობით განიერი ქურქი უკან გადაიგდო სკამზე; ახლა გულზე ჩამოკიდებული საათის ძეწკვი აჟღარუნდა. ქალმა შვებით ამოისუნთქა. ღრმად გულამოჭრილი კაბიდან მოქნილი, ჯერ კიდევ დაუმჭკნარი და ასე ვთქვათ, მოუტეხავი კისერი გამოუჩნდა, რადგან ამ კისერზე ამაყად ედგა პატარა თავი არწივისებური პროფილით, რომელსაც ქუდი ჩაფხუტივით ფარავდა.

ამასობაში წელში ოდნავ მოხრილი ანტუანი ნელა იწმენდდა ხელებს და დაბნეული, შეწუხებული სახით წინასწარ ხედავდა, როგორ მოედებოდა ანთება ძვლოვან ქსოვილს, გამოხრული ხერხემალი ჯერ დარბილდებოდა, ხოლო შემდეგ ერთბაშად დაიშლებოდა. აუცილებელი იყო, რაც შეიძლება სწრაფად ეცადათ ერთადერთი საშუალება: ავადმყოფი თაბაშირის კორსეტში ჩაეწვინათ რამდენიმე თვით, შესაძლებელია, რამდენიმე წლითაც...

— ამ ზაფხულს ოსტენდეში დიდი მხიარულება იყო, ექიმო! — ხმა აუმაღლა ქალბატონმა დე ბატენკურმა, უნდოდა ანტუანს გაეგონა მისი ნათქვამი, — უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ვიტყოდი, მეტისმეტად ბევრმა... ნამდვილი ბაზრობა გეგონებოდათ!

გაეცინა. შემდეგ, როცა დაინახა, ექიმი ყურს არ მიგდებსო, ხმას თანდათან დაუწია და ალერსიანი თვალით გადახედა მისს მერის, რომელიც ჟიუკეტს აცმევდა. მაგრამ იგი მაყურებლის როლს ვერასოდეს იტანდა: თვითონვე უნდა ჩარეულიყო საქმეში. სასწრაფოდ წამოდგა, საყელოზე გაჩენილი ნაკეცი გაუსწორა, ხელის ერთი აქნევით კოფთა წესრიგში მოიყვანა, შემდეგ ინგლისელი ქალისკენ შინაურულად დაიხარა და დაბალი ხმით უთხრა:

— იცით, მერი, იუდსონთან გაკეთებული საყელო უფრო მომწონს. ნიმუში სიუზის უნდა მივუტანოთ... გასწორდი! — გაღიზიანებით დაუყვირა ბავშვს, — ერთი სული აქვს როდის ჩამოჯდება! როგორ უნდა გაიგოს კაცმა, წესიერად ადგას თუ არა კაბა?

მერე კოხტად შემოტრიალდა ანტუანისკენ:

— ვერ წარმოიდგენთ, რა ზარმაცია ეს აყლაყუდა, ექიმო! მე მუდამ ვერცხლის წყალივით მოძრავი ვიყავი და ამიტომაც ვერ ამიტანია მისი მანერები!

ანტუანმა და ჟიუკეტმა ერთმანეთს შეხედეს, თითქოს თვალებით რაღაცას ეკითხებიანო ერთმანეთს. ანტუანი თავს იკავებდა, მაგრამ მაინც ეშმაკუ-

რად აუციმციმდა თვალები, და იუგეტსაც ღიმილი მოერია. „მაშ ასე! — გაიფიქრა ახალგაზრდა ექიმმა, — დღეს ოთხშაბათია, პარასკევს ან შაბათს თაბაშირში უნდა იწვეს. მერე კი ვნახოთ..."

მერე?.. ერთხანს დაფიქრებული იდგა. თვალწინ წარმოუდგა ბერკის სანატორიუმის ტერასა: მარილიანი ქარი ჩაწკრივებულ „კუბოთა" შორის დაქრის... ყველაზე მოგრძო ურიკაზე, სასთუმალგამოშლილ ლეიბზე გაწოლილი ავადმყოფის აი, ეს მშვენიერი, ლურჯი, მკვირცხლი თვალები დიუნის ჰორიზონტს მისჩერებია.

— ოსტენდეში, ყოველ დილით ცეკვის გაკვეთილები იმართებოდა კაზინოში, მინდოდა ამასაც ევლო, — კვლავ ქალიშვილის სიზარმაცეზე ჩიოდა ქალბატონი დე ბატენკური, — წარმოიდგინეთ, ყოველი ცეკვის შემდეგ ეს ქალბატონი მოცელილივით ეცემოდა სავარძელზე და ისე ზლუქუნებდა, ყველას ყურადღებას იპყრობდა! ყველას ეცოდებოდა... — ქალმა მხრები აიჩეჩა, — მე კი ასეთ აზიზობას ვერ ვიტან! — გაანჩხლებით დაასრულა მან და ახალგაზრდა ექიმს შეხედა.

ანტუანმა ისეთი სისასტიკე ამოიკითხა მის თვალებში, რომ ერთბაშად მოაგონდა ამ ქალის შესახებ დარხეული ხმა: მოხუცი გუპიო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საშინლად ეჭვიანობდა და ამიტომაც გახდა საწამლავის მსხვერპლიო...

— ბოლოს და ბოლოს, მისი საქციელი იმდენად სასაცილო გახდა, — ღვარძლიანად დაუმატა ქალმა, — იძულებული ვიყავი დამეთმო.

ანტუანმა მკაცრად შეათვალიერა ქალი. მას უკვე მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო: ამ ქალთან სერიოზული ლაპარაკი არ ღირდა. ახლავე გაუშვებს, სამაგიეროდ, ქმარს გამოუძახებს სასწრაფოდ. იუგეტი ბატენკურის შვილი არ იყო, მაგრამ ანტუანს კარგად ახსოვდა, რა აზრისა იყო ჟაკი სიმონზე: თავცარიელია, მაგრამ ოქროს გული აქვსო.

— თქვენი მეუღლე პარიზშია? — ჰკითხა მან ქალს.

ქალბატონმა დე ბატენკურმა გადაწყვიტა, როგორც იქნა, ახალგაზრდა კაცმა საუბარს გალანტური ხასიათი მისცაო. ადრეც უნდა ეფიქრა! ქალს რაღაც სათხოვნელი ჰქონდა, ხოლო ამისთვის მისი გული უნდა მოენადირებინა. მას გაეცინა და ინგლისელი ქალი მოწმედ მოიხმო:

— გესმით, მერი? არა, ძვირფასო ბატონო: თებერვლის თვემდე ტურენში დარჩენა გვაქვს მისჯილი, სანადირო სეზონის დაწყების გამო... ამ კვირაში როგორღაც მოვახერხე წამოსვლა ორ წყება სტუმართა მიღება-გასტუმრებას შორის, მაგრამ შაბათს ხელახლა აივსება. ჩემი სახლი სტუმრებით.

ანტუანმა არაფერი უპასუხა და მისმა ამ დუმილმა საბოლოოდ გააბრაზა ქალი, ეტყობა, ამ ველურის მოთვინიერებაზე ფიქრიც ზედმეტია. „ეს კაცი თავისი დაბნეული სახით სასაცილოა და თან, ცუდადაა აღზრდილიო", — გაიფიქრა მან.

ქალმა მთელი ოთახი გაიარა და მანტო აიღო.

— „კეთილი და პატიოსანი!" — გაიფიქრა ანტუანმა, — ბატენკურს ახლავე დეპეშას გავუგზავნი. მისამართი მაქვს. ხვალ თუ არა ზეგ მაინც ჩამოვა პარიზში. ხუთშაბათს — რენტგენი. ყოველ შემთხვევისათვის. პ ა ტ რ ო ნ თ ა ნ კონსილიუმია საჭირო, ხოლო შაბათს თაბაშირში ჩავაწვენთ.

იუგეტი სავარძელში იჯდა და დინჯად იცვამდა ხელთათმანს. ქალბატონი დე ბატენკური ქურქში გახვეულიყო და სარკის წინ ოქროსფერი ხოხბის ფრთებით მორთულ ქუდს ისწორებდა, რომელიც ვალკირიის ჩაფხუტს წააგავდა.

— აბა, ექიმო, — გაჰკენწლა ქალმა, — რეცეპტს მაინც ხომ არ გამოგვიწერდით? ამჟამად რას გვირჩევდით? მისს მერისთან ერთად ინგლისური შარაბანით სანადიროდ წასვლას ხომ არ აუკრძალავთ?

## VI

ქალბატონი დე ბატენკურის წასვლისთანავე ანტუანი კაბინეტში დაბრუნდა და მისაღები ოთახის კარი გააღო.

რიუმელი ისე სწრაფად გამოეშურა, იტყოდით, ერთი წუთიც არ აქვს ტყუილ-უბრალოდ დასაკარგიო.

— გალოდინეთ! — მოუბოდიშა ანტუანმა.

პროტესტის ნიშნად ახალმოსულმა თავაზიანად გაუღიმა და შინაურულად ჩამოართვა ხელი. თითქოს ეუბნებოდა, მე აქ მხოლოდ თქვენი პაციენტი ვარო.

მას შავი, აბრეშუმის გადანაკეციანი სერთუკი ეცვა, ცალ ხელში კი ცილინდრი ეჭირა. სხვათა შორის, ეს ოფიციალური ჩაცმულობა სავსებით შეეფერებოდა მის წარმოსადეგ გარეგნობას.

— ოჰო, — მხიარულად შესძახა ანტუანმა, — ეტყობა, რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციიდან მოდიხართ პირდაპირ?

რიუმელმა კმაყოფილებით გაიცინა.

— სულ მთლად ასე არაა, ჩემო კარგო, მე მხოლოდ სერბიის საელჩოდან მოვდივარ: დანილოვსკის მისიის პატივსაცემად გამართეს საუზმე; იგი გავლით იყო პარიზში, მაგრამ მთელი კვირა დარჩა. ახალი საზრუნავი გა-

მიჩინეს: მინისტრი დედოფალ ელისაბედის * შესახვედრად მგზავნის. უცნაური აზრი მოსვლია თავში: განუცხადებია, ექვსის ნახევარზე ქრიზანთემების გამოფენა უნდა დავათვალიეროთ. კიდევ კარგი, ვიცნობ. უბრალო და სასიამოვნო ქალია. ყვავილები გაგიჟებით უყვარს, ხოლო ცერემონიებს ვერ იტანს. ასე რომ, რამდენიმე სიტყვით მივესალმები მხოლოდ, რასაც არავითარი საზეიმო ხასიათი არ ექნება.

იგი ისე უგულისყუროდ იღიმებოდა, ანტუანმა გადაწყვიტა, მისასალმებელ სიტყვას ადგენს, რომელიც, ალბათ, ერთსა და იმავე დროს მოწიწების, თავაზიანობისა და ენამახვილობის ნიმუში უნდა იყოსო.

რიუმელი ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცი იყო. ლომის ფაფარივით უკან გადაყრილი ქერა, ხშირი თმა ძველი რომაელის ოდნავ შესუქებულ სახეს შემორკალოდა; ზევით აპრეხილი ულვაშები, და ცისფერი, მკვირცხლი, გამჭოლავი თვალები ჰქონდა. „ულვაშები რომ არა, ცხვრის პროფილი ექნებოდა ამ მტაცებელს!" — ფიქრობდა ზოგჯერ ანტუანი.

— ოჰ, რომ იცოდეთ, რა საუზმე იყო, მეგობარო! — წამით შეისვენა, ცალი თვალი მოჭუტა და თავი გადააქნია. — ოცი თუ ოცდახუთი სტუმარი იჯდა სუფრასთან, თითოეული მათგანი წარჩინებული დიდი კაცი იყო, მაგრამ რა გინდა? ორ-სამ ჭკვიან ადამიანს თუ დაითვლით. პირდაპირ საშინელებაა!.. მიუხედავად ამისა, ერთი სასარგებლო საქმე მაინც გავჩარხე, მგონი. მინისტრმა არაფერი იცის. მეშინია, საქმე არ გამიფუჭოს... ის ხომ იმ ძაღლს ჰგავს, ძვალი რომ არ ეთმობა!..

ამ კაცის დიქცია და ეშმაკური ღიმილი, რომლითაც წარმოთქვამდა სიტყვებს, მართალია, მუდამ ერთნაირი, მაგრამ მაინც ენამახვილობის ელფერს სდებდა ყოველ მის ნათქვამს.

— ნებას მომცემთ? — შეაწყვეტინა ანტუანმა და საწერ მაგიდას მიუჯდა, — სასწრაფო დეპეშა მაქვს გასაგზავნი. თქვენ ილაპარაკეთ. მე მოგისმენთ. სერბიული საუზმის შემდეგ თავს როგორღა გრძნობთ?

რიუმელმა თითქოს შეკითხვა ვერ გაიგონაო, არაფერი უპასუხა. იგი უგულისყუროდ განაგრძობდა თხრობას. „საკმარისია ლაპარაკი წამოიწყოს და მაშინვე ჰკარგავს საქმიანი კაცის იერს", — გაიფიქრა ანტუანმა და სანამ პატრენკურისათვის განკუთვნილ დეპეშას ადგენდა, მის ყურამდე ცალკეული ფრაზები აღწევდა:

— ... მას შემდეგ, რაც გერმანია აფუსფუსდა... ლაიპციგში 1813 წლის ამბების * აღსანიშნავი ძეგლის გახსნისათვის ემზადებიან... ძეგლის საზეიმო გახსნა მითქმა-მოთქმას გამოიწვევს... ყოველ საბაბს იყენებენ. საცაა ატყდება, მეგობარო! ოღონდ ორი-სამი წელი მოიცადეთ... საცაა ატყდება!..

— რა? — იკითხა ანტუანმა და თავი ასწია. — ომი?

იგი მხიარულად უყურებდა რიუმელს.

— ომი, რასაკვირველია! — სერიოზულად უპასუხა მან. — გეზი პირდაპირ ომისკენაა აღებული.

რიუმელი უწყინარი მანიით იყო შეპყრობილი. დიდი ხანია წინასწარმეტყველებდა, ახლო მომავალში ომი დაიწყებაო ევროპაში. ზოგჯერ იტყოდით, ამის იმედზე არისო. ახლაც დაუნაჭა: „აი, მაშინ დადგება დრო ყველას დაანახო, რა შესაძლებლობაც გვაქვს!“ ეს ორაზროვანი ფრაზა, იქნებ, ასე აგვეხსნა: საბრძოლველად წავალო, მაგრამ ანტუანმა უყოყმანოდ თარგმნა: ხელისუფლების სათავეში მოვექცევიო.

რიუმელი საწერ მაგიდასთან მისულიყო, ანტუანისკენ დაიხარა და უნებურად ხმას დაუწია:

— თვალს ხომ ადევნებთ, რა ხდება ავსტრიაში?

— ჰო... დიახ, ოღონდ ისე, როგორც ეს უმეცარ ადამიანს შეეფერება!

— ტისა * უკვე უმიზნებს ბერხტოლდის * ადგილს. ჰოდა, ტისა მე 1910 წელს შევისწავლე კარგად: ყველაზე თავზეხელაღებული კაცია. სხვათა შორის, მან ეს კიდეც დაამტკიცა უნგრეთის პარლამენტის პრეზიდენტობის დროს. ხომ წაიკითხეთ მისი სიტყვა, აშკარად რომ ემუქრებოდა რუსეთს?

ანტუანმა წერა დაამთავრა და წამოდგა.

— არა, — თქვა მან. — მაგრამ მას შემდეგ, რაც გაზეთების კითხვის ასაკს მივაღწიე, მივხვდი, რომ ავსტრია მუდამ თავზეხელაღებულის როლში გამოდის. მიუხედავად ამისა, აქამდე ამას არავითარი სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია.

— იმიტომ, რომ გერმანია აკავებდა. მაგრამ დაახლოებით ერთი თვის წინ გერმანიაში მომხდარი ცვლილებების გამო ავსტრია უკვე საშიში ხდება. ხალხი ჯერ ვერაფერს ამჩნევს.

— ამიხსენით, გეთაყვა ,რა ხდება? — ჰკითხა ანტუანმა, რომელიც ამ ამბავმა მისდაუნებურად დააინტერესა.

რიუმელმა საათს დახედა და წელში გასწორდა.

— თქვენთვის ახალი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ, მიუხედავად მოჩვენებითი კავშირისა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე იმპერატორი სასიამოვნო სიტყვებით მიმართავს ერთმანეთს, დამოკიდებულება გერმანიასა და ავსტრიას შორის ხუთი-ექვსი წელია, რაც...

— მერედა განა ეს უთანხმოება მშვიდობის გარანტია არ არის ჩვენთვის?

— დაუფასებელი გარანტიაა! ეს ი ყ ო ერთადერთი გარანტია!

— იყო?

რიუმელმა სერიოზულად დაუქნია თავი.

— ახლა კი, მეგობარო, ყოველივე შეიცვალა! — დაამთავრა მან და ისე შეხედა, თითქოს თავისთავს ეკითხებოდა, ძალიან ხომ არ შევტოპეო, შემდეგ კბილებში გასცრა: — შესაძლებელია, ჩვენი ბრალიც იყოს.

— ჩვენი ბრალი?

— ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა! ოღონდ ეს უკვე ძალიან დახლართული ამბავია. რას იტყვით, თუ გაგანდობთ, რომ ყველაზე გათვითცნობიერებულ ხალხს ევროპაში ჰგონია, თითქოს ჩვენ ჩუმ-ჩუმად საბრძოლო განწყობილება გვქონდეს!

— ჩვენ? რა სისულელეა!

— ფრანგი არ მოგზაურობს. ფრანგს, ჩემო კარგო, ვერც კი წარმოუდგენია, შორიდან რა შთაბეჭდილებას ახდენს მისი უკიდურესი პოლიტიკა... ასეა თუ ისე, ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის თანდათანობითი დაახლოება, მათი ახალი სამხედრო შეთანხმება, მთელი ის დიპლომატიური თამაში, რაც აგერ, ორი წელია წარმოებს, ყოველივე ეს, მართებულად თუ უმართებულოდ ბერლინს სერიოზულად აწუხებს. რაკი გერმანია აღმოჩნდა იმის წინაშე, რასაც სრულიად სამართლიანად სამთა შეთანხმების * „საფრთხეებს" უწოდებს, იგი ერთბაშად მიხვდა, რომ ადვილი შესაძლებელია სრულიად მარტოდ აღმოჩნდეს. მან კარგად იცის, რომ იტალია მხოლოდ თეორიულად შედის „სამთა კავშირში" *. გერმანიის მხარეზე ახლა მხოლოდ ავსტრიაა, და ამიტომაც რამდენიმე კვირის წინ გადაწყვიტა სასწრაფოდ ჯაება მასთან მეგობრული კავშირი. თუნდაც ეს სერიოზული დათმობის საფასურად დაჯდომოდა, თუნდაც ამას პოლიტიკის კურსის შეცვლა გამოეწვია. გესმით, რაშია საქმე? აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია საჭირო, რომ ერთბაშად შეცვალოს პოზიცია, ავსტრიის პოლიტიკა ბალკანეთის მიმართ სწორად მიიჩნიოს, და, შესაძლებელია, კიდეც გაამხნევოს ამ საქმეში; ამბობენ, ეს ნაბიჯი უკვე გადადგმულიაო. ეს ამბავი მით უფრო სერიოზულია, რომ ავსტრიამ, როგორც კი ქარის მიმართულების შეცვლა იგრძნო, მაშინვე ისარგებლა ამით და, როგორც დაინახეთ, ხმასაც აუმაღლა. და აი, გერმანია თავისი ნებით უცხადებს სოლიდარობას ავსტრიის მეტად გაბედულ საქციელს, და დღეს თუ ხვალ ეს სითამამე, ღმერთმა უწყის, სანამდე მივა. მთელ ევროპას ავტომატურად ჩაითრევენ ბალკანეთის ხოცვა-ჟლეტაში!.. ახლა ხომ გესმით, საქმეში ჩახედული ადამიანი რატომ ხდება პესიმისტი, ან ყოველ შემთხვევაში მოსვენებას რატომ ჰკარგავს?

ანტუანი სკეპტიკურად დუმდა. გამოცდილებით იცოდა, რომ საგარეო პოლიტიკის სპეციალისტები მუდამ თავიდან აუცდენელ კონფლიქტების წინასწარმეტყველებენ. მან ლეონს დაურეკა და მსახურის მოსვლას კარებთან უცდიდა; უნდოდა რაც შეიძლებოდა სწრაფად შედგომოდა სერიოზულ საქმეს და მკაცრად ადევნებდა თვალს რიუმელს, რომელიც ლაპარაკს გაეტაცნა, დრო დაავიწყებოდა და ბუხრის წინ ბოლთას სცემდა.

რიუმელის მამა, ყოფილი სენატორი, ერთ დროს ბატონ ტიბოს მეგობრობდა. (იგი სწორედ რომ დროზე გარდაცვლილიყო — რესპუბლიკური დიდების კიბეზე შვილის ასვლას არ მოსწრებია). ანტუანი საკმაოდ ხშირად ხვდებოდა რიუმელს, მაგრამ ამ კვირაში მან ერთობ მოუხშირა ექიმთან სიარულს და ანტუანის მკაცრი აზრი ამ კაცის შესახებ ყოველ შეხვედრისას უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. მან შეამჩნია, რომ რიუმელის მჭევრმეტყველების მიღმა, გავლენიანი პირის თავაზიანობის, სერიოზული პრობლემებით დაინტერესების მიღმა, ისეთი წვრილმანი ბუნება იჩენდა მუდამ თავს, რაც მის პირად პატივმოყვარეობას გულუბრყვილოდ ამჟღავნებდა. აშკარად ჩანდა, რომ ერთადერთი ძლიერი გრძნობა, რომლის უნარიც რიუმელს ჰქონდა, პატივმოყვარეობა იყო. ანტუანს ეს პატივმოყვარეობა რიუმელის ნამდვილი შესაძლებლობის არაპროპორციულადაც კი მიაჩნდა, ხოლო შესაძლებლობანი, მისი აზრით, მეტად შეზღუდული ჰქონდა: საშუალო განათლება, თავმდაბლობა, ოღონდ მოკრძალებას მოკლებული თავმდაბლობა, მერყევი ხასიათი; ყოველივე ეს მოხერხებულად იყო შენიღბული მომავალი დიდი კაცის მანერებით.

ამასობაში ლეონიც მოვიდა დეპეშის წასაღებად. „გვეყოფა პოლიტიკა და ფსიქოლოგია!“ — გაიფიქრა ანტუანმა და ქაღალდაჭმუჭნულ რიუმელს მიუბრუნდა:

— აბა! კვლავ ძველებურადაა საქმე?

რიუმელს ერთბაშად მოეღრუბლა სახე.

ერთ დღეს, გასული კვირის დამდეგს, საღამოს ცხრა საათზე, გაფითრებული რიუმელი ანტუანის კაბინეტში შევიდა. ორი დღით ადრე ისეთი სენი შეჰყროდა, რომელსაც ვერ გაანდობდა ვერც თავის ექიმს და, მით უმეტეს, ვერც უცნობ ექიმს. „იმიტომ, რომ, — უთხრა მან ანტუანს, — უნდა გამიგოთ, მეგობარო: ჯერ ერთი, ცოლიანი კაცი ვარ, მეორეც — ასეა თუ ისე, ოფიციალური პირი გახლავარ. და ჩემი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ადვილად შეიძლება გაუფრთხილებლობისა და შანტაჟის მსხვერპლი გახდეს!..“ მას ერთბაშად გახსენებია ახალგაზრდა ტიბო ექიმიათ, და ანტუანს მოაკითხა, შეეხვეწა, მიმკურნალეო. ანტუანი ბევრს ევადა,

როგორმე დაეთანხმებინა და სპეციალისტთან გაეგზავნა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, რას იზამდა, დათანხმდა: ჯერ ერთი, იგი მუდამ მზად იყო გამოეყენებინა თავისი ხელობა და, მეორეც, ამ პოლიტიკური მოღვაწეთაც დაინტერესდა.

— ნუთუ სულ არა ხართ უკეთ?

რიუმელმა საცოდავად გადააქნია თავი და ხმა არ ამოუღია. ეს ყბედი თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკს ვეღარ ბედავდა, ვერ გამომტყდარიყო, რომ ხანდახან საშინელ ტკივილებს იტანდა, და რომ იმ დღესაც, დიპლომატიური საუზმის შემდეგ ისეთი აუტანელი ტკივილები დაეწყო, იძულებული გახდა საქმიანი საუბარი შეეწყვიტა და თამბაქოს მოსაწევი ოთახიდან სასწრაფოდ გასულიყო.

ანტუანი დაფიქრდა.

— რას იზამთ? — მტკიცედ თქვა მან, — სხვა გზა არაა, აზოტმჟავა მარილი უნდა ვცადოთ.

მან „ლაბორატორიის" კარი გამოაღო და მდუმარე რიუმელი შიგ შეიყვანა. შემდეგ მისკენ ზურგით დადგა, ხსნარი მოამზადა და შპრიცი კოკაინით შეავსო. როცა თავისი მსხვერპლისკენ შემობრუნდა, რიუმელს საპარადო რედენგოტის გახდა უკვე მოესწრო. უსაყელოდ, უშარვლოდ — ეს უკვე საცოდავი, ტკივილითა და შიშით გატანჯული, დამცირებული ავადმყოფი გახლდათ, რომელიც უხერხულად იხდიდა დალაქავებულ საცვლებს.

მიუხედავად ამისა, ეტყობოდა, სულით ჯერაც არ დაცემულიყო. როცა ანტუანი მიუახლოვდა, თავი ასწია და სცადა ძალდაუტანებლად გაეღიმა, თუმცა ძალიან იტანჯებოდა და ეს ტანჯვა მრავალმხრივი იყო; მას მორალური მარტოობაც აწუხებდა: რადგან, ბედმა ეს უსიამოვნება არ აკმარა და კიდევ უფრო გააწვალა იმის შეგრძნებით, რომ არ შეეძლო საბოლოოდ ჩამოეგლიჯა ნიღაბი, გამოტყდომოდა ვინმეს: ამ სულელურმა შემთხვევამ ხომ მარტო ხორციელი დამცირება მაგემა, არამედ თავმოყვარეობაც შემილახაო. ვაგლახ! ვისთვის უნდა გადაეხსნა გული? მას ხომ მეგობარი არ ჰყავდა. ათი წელია, რაც პოლიტიკამ მარტო ცხოვრება მიუსაჯა პირმოთნე და ორპირი ამხანაგების წრეში. თავის ახლოს არც ერთი გულწრფელი მეგობარი არ ეგულებოდა. თუმცა, როგორ არა, ერთადერთი გულშემატკივარი მისი ცოლი იყო. მართლაც ის მიაჩნდა ერთადერთ მეგობრად, ერთადერთ ადამიანად, რომელიც მას იცნობდა, რომელსაც უყვარდა ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო; მხოლოდ მას გაენდობოდა და შვებასაც იგრძნობდა, მაგრამ ვაი რომ, სწორედ მისთვის უნდა დაემალა ეს საძულველი ამბავი!

ფიზიკურმა ტკივილმა შეაწყვეტინა ეს ფიქრი. აზოტმჟავა მარილი მოქმედებას იწყებდა. რიუმელმა ტკივილით გამოწვეული პირველი კვნესა შეიკავა. მაგრამ მალე, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიუხედავად, ამაოდ იკვნეტდა ტუჩებს, ამაოდ კუმშავდა მუშტებს, თავის შეკავება ვეღარ მოეხერხებინა. ღრმა მოწვამ მშობიარე ქალივით ააკივლა. ცისფერ თვალებში მსხვილი კურცხალი აუკიაფდა.

ანტუანს შეეცოდა.

— აბა, გამხნევდით, მეგობარო! ცოტაც და დავამთავრებ... მტკივნეულია, მაგრამ აუცილებელია. ახლავე გაგივლით. მშვიდად იწექით. ცოტაოდენი კოკაინი კიდევ უნდა შეგიშხაპუნოთ.

რიუმელი ყურს არ უგდებდა. ულმობელი რეფლექტორის ქვეშ გაჩაჩხული იწვა მაგიდაზე და გაჭრილი ბაყაყივით აფართხალებდა ფეხებს.

ანტუანმა, როგორც იქნა, ტკივილები დაუყუჩა.

— ხუთის თხუთმეტი წუთია, — უთხრა მან, — რომელ საათზე უნდა წახვიდეთ?

— მხო... მხოლოდ ხუთზე, — ამოიკვნესა უბედურმა, — მანქანა ქვევით... მელოდება.

ანტუანმა მეგობრულად, გამამხნევებლად, გაუღიმა, მაგრამ ამ ღიმილს ორაზროვანი ელფერიც ჰქონდა: მისდაუნებურად თვალწინ წარმოუდგა კარგად გაწვრთნილი, სამფეროვან კოკარდიანი მძღოლი, აუღელვებელი სახით რომ იჯდა, ალბათ, საჭესთან და მინისტრის საგანგებო დავალების ბატონ აღმასრულებელს ელოდებოდა; თვალწინ წარმოუდგა წითელი ხალიჩა, რომელსაც, ალბათ, სწორედ ამ წუთში აფენდნენ ყვავილების გამოფენის პავილიონებს ქვეშ, და სწორედ ეს რიუმელი, რომელიც ახლა ახალშობილივით აფართხალებდა ფეხებს, ერთი საათის შემდეგ რედინგოტში გამოწყობილი, კატის ულვაშებიან სახეზე გადაფენილი უცნაური ღიმილით, მიეგებება ტანმორჩილ დედოფალ ელისაბედს. მაგრამ ანტუანმა მხოლოდ ერთი წუთით გადაიტანა ყურადღება ამ ამბებზე. შემდეგ ექიმის თვალწინ კვლავ ავადმყოფი იწვა; მაგრამ ის ხომ მის ავადმყოფადაც არ ითვლებოდა, უბრალოდ ერთ-ერთი შემთხვევა იყო მისი პრაქტიკიდან, რაზედაც მხოლოდ თვითონ აგებდა პასუხს და იმ წუთშიც სწორედ მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრობდა.

ლეონმა კარზე სამჯერ დააკაკუნა ფრთხილად და ანტუანი ფიქრებიდან გამოერკვა. „ჟიზი მოვიდა!“ — გაიფიქრა და იარაღები ავტოკლავის სინზე დაყარა. მართალია, რიუმელის მიტოვება ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ რაკი ჩვევად ჰქონდა პროფესიული მოვალეობა არასოდეს არ უგულებელეყო,

იძულებული გახდა მანამ დაეცადა მოთმინებით, სანამ ავადმყოფს ტკივილები არ გაუვლიდა.

— დაისვენეთ, რამდენ ხანსაც გინდოდეთ! — უთხრა მან რიუმელს ოთახიდან გასვლისას, — ეს ოთახი არ დამჭირდება, ხუთს რომ ათი წუთი დააკლდება მოვალ და გაგაფრთხილებთ.

## VII

ლეონს ჟიზისათვის უთქვამს:

— თუ შეიძლება, აქ მოიცადეთ, მადმუაზელ.

„აქ“ — ჟაკის ყოფილი ოთახი იყო, სადაც საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო და სარდაფისებურ სიჩუმეს და სიბნელეს დაესადგურებინა. ჟიზს ოთახის ზღურბლიდანვე აუძგერდა გული და აღელვების დასაოკებლად, ძალის მოსაკრებად, ლოცვასავით შეჰღაღადა ღმერთს შველა. შემდეგ, მექანიკურად ჩამოჯდა დივანზე, სადაც ჯერ ბავშვობისას, შემდეგ კი ყმაწვილობაში, მოიკალათებდა ხოლმე და გაუთავებლად ლაყბობდა ჟაკოსთან.

მისაღები ოთახიდან თუ ქუჩიდან ბავშვის ხმამაღალი სლუკუნი მოესმა. ჟიზი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს. ბოლო დროს ყოველი წვრილმანი უჩვილებდა გულს. საბედნიეროდ, ახლა სულ მარტო იყო. ექიმს უნდა ეჩვენოს, ოღონდ ანტუანს კი არა! ცუდად გრძნობს თავს, ძალიან გახდა. უძილობის ბრალი თუა. ცხრამეტი წლის ასაკში, რა თქმა უნდა, ასეთი რამ არაბუნებრივია... წამით დაფიქრდა, რა უცნაურად გაირბინა ამ ცხრამეტმა წელმა: ჯერ დასასრული არ უჩანდა ორ მოხუცთან გატარებულ მის ბავშვობას; შემდეგ, თექვსმეტი წლის ასაკში ამხელა უბედურება დაატყდა თავს, რაც უცნაურმა საიდუმლოებამ სულ გაართულა!

ლეონი შემოვიდა. სინათლე აანთო. ჟიზმა ვერ გაუბედა ეთქვა, ბინდბუნდი მირჩევნიაო. განათებულ ოთახში თითოეულ ავეჯს, თითოეულ ნივთს სცნობდა. ეტყობა, ანტუანი ძმის ხსოვნას ისე მოწიწებით ინახავდა, თითქმის არაფრისთვის არ ეხლო ხელი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ოთახში სადილობდა, ნივთები თანდათან გადაეადგილებინათ, დანიშნულებაც შეეცვალათ, სულ სხვა ელფერი მიეცათ: შუა ოთახში გაშლილი სასადილო მაგიდა იდგა, საწერი მაგიდა თავის დანიშნულებას აღარ ასრულებდა და ზედ საპურესა და საკომპოტეს შორის ჩაის სერვიზი დაელაგებინათ. წიგნის კარადაც კი... წინათ მინებს მიღმა ეს მწვანე ფარდები გადაწეული არ იყო. ჟიზი დაიხარა და ერთ-ერთი გაწეული ფარდიდან ჭურჭელს მოჰკრა თვალი; ზემოთ თაროზე წიგნები დაელაგებინათ... რას იტყოდა საწყალი ჟაკი.

ბუფეტად გადაქცეული თავისი წიგნის კარადა რომ ენახა?!. ჟაკი!.. ჟიზს ვერ წარმოედგინა, რომ იგი მკვდარი იყო. ახლა რომ კარში გამოჩენილიყო, მას არამც თუ გაუკვირდებოდა, პირიქით, ყოველწამს ელოდა მის მოსვლას. სამი წელია, რაც ამ ცრუმორწმუნეობრივი ლოდინის გამო გაბრუებული და გულდამძიმებული დადიოდა.

აქ კი, ამ ნაცნობ საგნებს შორის, მოგონებები აეშალა. წამოდგომა ვერ გაბედა, ძლივს სუნთქავდა: ეშინოდა ჰაერი არ შეერხია, დუმილი არ დაერღვია. ბუხრის თავზე ანტუანის ფოტოსურათია. ჟიზი დააკვირდა. გაიხსენა ის დღე, როცა ანტუანმა ჟაკს აჩუქა ეს სურათი; მადმუაზელმაც სწორედ ასეთი სურათი მიიღო; იგი იქაა, ზემოთ. ანტუანი ასეთი იყო წინათ, ანტუანი, რომელიც უფროს ძმასავით უყვარდა, რომელიც ამ სამი მძიმე წლის მანძილზე მუდამ მხარში ედგა. ჟაკის დაკარგვის შემდეგ ჟიზი ხშირად მოდიოდა მასთან და ჟაკზე საუბრობდნენ. რამდენჯერმე კინაღამ გაანდო საიდუმლო! ახლა ყველაფერი შეიცვალა. რატომ? რა მოხდა მათ შორის? ზუსტად ვერაფერს გეტყოდათ: ოღონდ აქამდე ახსოვს ის წამიერი სცენა, რაც ივნისში, ლონდონში გამგზავრების წინა დღეს მოხდა. ანტუანი კინაღამ გაგიჟდა, ჟიზის უცილობელი გამგზავრება რომ გაიგო, თუმცა წასვლის ნამდვილ მიზეზს მაინც ვერ მიხვდა. განა მაშინ რა უთხრა ისეთი? ჟიზი თითქოს მიხვდა, რომ ანტუანს უფროს ძმასავით კი არ უყვარდა იგი, არამედ „სხვანაირად“ ფიქრობდა მასზე, ნუთუ შესაძლებელი იყო ეს? იქნებ, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფია? არა. მის ორაზროვან წერილებშიც, მეტისმეტად თბილ და თანაც თავშეკავებულ წერილებშიც აღარ იგრძნობოდა წინანდელი მშვიდი, მეგობრული სიყვარული. ამიტომაც, საფრანგეთში დაბრუნებისთანავე ინსტინქტურად გაურბოდა ანტუანს და ამ ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ დარჩენილა მასთან მარტო. ნეტავი, დღეს რაღაზე იხმო?!.

იგი შეკრთა. ანტუანია. ადვილად იცნო მისი სწრაფი, მწყობრი ნაბიჯები. აი, ღიმილით შემოვიდა და შეჩერდა. სახე დაღლილი აქვს, მაგრამ შუბლი გადაშლილი, თვალები—მკვირცხლი, ბედნიერი. ძალამიხდილი ჟიზი ერთბაშად გამოერკვა: საკმარისია ანტუანი გამოჩნდეს, რომ თავისი ცხოველმყოფელი ენერგია ყველას გადასდოს.

— გამარჯობა, ზანგის გოგო! — ღიმილით ეუბნება იგი.

(ეს ზედმეტი სახელი დიდი ხნის წინ შეარქვა ბატონმა ტიბომ, ერთ დღეს, როცა კარგ გუნებაზე იყო. ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც მად-

მუაზელ დე ვეზი იძულებული გახდა ობოლი ძმისწული ეშვილა და ეს მადაგასკარელი მულატის ქალიშვილი, პატარა ველურს რომ ჰგავდა, ტიბოს ოჯახში შემოეყვანა).

— ბევრი ავადმყოფი გყავს დღეს? — ჰკითხა ჟიზმა, მხოლოდ იმისთვის, რომ ეთქვა რაიმე.

— რას იზამ, ასეთია ჩვენი ხელობა! — მხიარულად მიუგო მან. — გინდა კაბინეტში შევიდეთ? თუ აქ გირჩევნია? — და პასუხისთვის არ დაუცდია, გვერდით მიუჯდა:

— როგორა ხარ? რაღაც ამ ბოლო დროს სულ ვეღარ ვხედავთ ერთმანეთს... რა ლამაზი შალი გაქვს... ხელი მომეცი...

მან შინაურულად დაიდო მუშტზე ჟიზის ხელი, შემდეგ ზევით ასწია. ჟიზი არ გასძალიანებია.

— შენი პაწაწინა ხელი წინანდებურად ფაფუკი აღარაა...

ჟიზი ნაძალადევად იღიმება და შავგვრემანი ლოყები ეკუჭება. ჟიზს ხელი არ წაურთმევია, მაგრამ ანტუანი გრძნობს, გოგონა ისეა დაძაბული, საცაა ხელიდან დაუსხლტება. ლამისაა ანტუანმა წასჩურჩულოს: „რაც დაბრუნდი, ისეთი უკარება გახდი...“ მაგრამ გონს მოდის, წარბს იკრავს და ჩუმდება.

— მამაშენი ისევ ჩაწვა ლოგინში, ფეხი ასტკივდა, — სიტყვა ბანზე აუგდო ჟიზმა.

ანტუანი არ პასუხობს. დიდი ხანია ასე პირდაპირ არ დარჩენილა ჟიზთან. იგი კვლავ დაჰყურებს მის შავგვრემან, პატარა ხელს; გამხდარ, კუნთოვან მაჯამდე აყოლებს თვალს ძარღვების მოხაზულობას; სათითაოდ უთვალიერებს თითებს, ცდილობს გაიცინოს.

— კაცი იფიქრებს, ლამაზი, ღიაფერის სიგარებიაო...

ამავე დროს, თითქოსდა თხელი კვამლის მიღმა, თვალებით ეალერსება მის მოქნილ, წინ გადმოზნექილ ტანს, მომრგვალებულ მხრებს, მუხლებს, რომლებსაც აბრეშუმის შალი ჰფარავს; რა მიმზიდველობა აქვს მისთვის ამ ბუნებრივ მოთენთილობას, ასე ახლოს რომ გრძნობს!.. რაღაც უცნაური, ძლიერი გრძნობა ეუფლება... სისხლი უჩქროლავს... შეკავებული ნაკადი სადაცაა გადმოლახავს ნაპირებს... შესძლებს კი შეიკავოს სურვილი და წელზე არ მოჰხვიოს ხელი, გულზე არ მიიკრას ეს მოქნილი, ნორჩი სხეული? იგი იმით კმაყოფილდება, რომ თავს ჰხრის, ლოყით ეხება პატარა ხელს და ჩურჩულებს:

— რა ნაზი კანი გაქვს... ზანგის გოგო!

მისი თვალები, მთვრალი მათხოვრის თვალები, შემდეგ ჩერდება ჟიზის სახეზე; ჟიზი ინსტინქტურად მიაბრუნებს თავს, ხელს ითავისუფლებს და მტკიცე ხმით ეკითხება:

— რა უნდა გეთქვა?

ანტუანი გონს მოდის.

— საშინელი ამბავი უნდა შეგატყობინო, ჩემო პატარავ...

საშინელი? მტანჯველმა ეჭვმა ელვის სისწრაფით გაურბინა თავში. რა მოხდა? მაშასადამე, ამჯერად ერთბაშად ემსხვრევა ყველა იმედი? სასოწარკვეთილი თვალს მიმოავლებს ოთახს, ნაღვლიანად აცქერდება თითოეულ ნივთს, საყვარელ ადამიანს რომ აგონებს.

მაგრამ ანტუანი ამთავრებს სათქმელს:

— იცი? მამა მ ძ ი მ ე ავადმყოფია!

ჟიზს ისეთი სახე აქვს, თითქოს ვერ გაიგონაო. გონს მოსასვლელად დრო სჭირდება... ბოლოს გაიმეორებს:

— მ ძ ი მ ე ავადმყოფია?

მაგრამ გაიმეორა თუ არა ეს, უცებ მოისაზრა, რომ ეს ამბავი მან უკვე იცოდა, თუმცა არავის არ უცნობებია მისთვის. წარბები აზიდა, თვალებში ნაძალადევი წუხილი ჩაუდგა და დაუმატა:

— იმდენად ცუდადაა... რომ...

ანტუანმა თავი დაუქნია და, თითქოს დიდი ხანია შეეჩვიაო ამ აზრს, დაუმატა:

— ამ ზამთარს გაკეთებულმა ოპერაციამ, მარჯვენა თირკმლის ამოკვეთამ, ერთი შედეგი მოგვცა მხოლოდ: სიმსივნის თვისებაზე ყოველგვარი ილუზია გაგვიფანტა! მეორე თირკმელი თითქმის მაშინვე დაზიანდა. მაგრამ ავადმყოფობამ სულ სხვა სახე მიიღო, მთელ ორგანიზმს მოედო; საბედნიეროდ, თუკი შეიძლება ასე ვთქვათ... ეს საშუალებას მოგვცემს მოვატყუოთ ავადმყოფი, მას ჯერ ეჭვი არ აქვს, არ იცის, რომ მისი დღეები დათვლილია...

— შენი აზრით.. რამდენი ხანი დარჩენია?.. — ეკითხება ჟიზი ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

ანტუანი აკვირდება. კმაყოფილი ჩანს. ჟიზი ექიმის შესანიშნავი მეუღლე დადგება. რაც უნდა მოხდეს, თავშეკავების უნარი არასოდეს უღალატებს. აი ახლაც, ერთი კურცხალი არ მოსწყდომია მის თვალებს. რამდენიმე თვეში ურყეულოდ მომწიფებულა უცხოეთში. ანტუანს თავისთავისთვის ვერ უპატიებია, რომ ჟიზს მუდამ ბავშვად თვლიდა.

— დიდი, დიდი ორი-სამი თვე... — იმავე ტონით მიუგებს და სწრაფად დაუმატებს, — შესაძლებელია, ნაკლებიც!

მართალია, ჟიზს ერთბაშად აღქმის უნარი არ გააჩნია, მაგრამ მაინც ხვდება, რომ ანტუანის უკანასკნელ სიტყვებში რაღაც ისეთი იმალება, რაც პირადად მას შეეხება, და რაკი ანტუანი როგორც იქნა, იცილებს ნიღაბს, თვითონაც შვებას გრძნობს.

— მითხარი, ჟიზ, ახლა, როცა ყველაფერი იცი, მაინც მარტო დამტოვებ? ნუთუ ხელახლა დაბრუნდები იქ?

ჟიზი პასუხს არ აძლევს, ჩუმად ზის აელვარებული, ერთ წერტილს მიშტერებული თვალებით იყურება წინ. მის მრგვალ სახეზე ნაკვთი არ ინძრევა, მაგრამ პატარა ნაოჭი, შინაგანი ბრძოლის ერთადერთი ნიშანი წარბებს შორის ჩნდება წამდაუწუმ, ჩნდება და იმალება, კვლავ ჩნდება და კვლავ იმალება. მას ჯერ ძალიან თბილი გრძნობა ეუფლება: ანტუანის თხოვნა აღელვებს! ვერასოდეს წარმოედგინა რომ ვინმეს, მით უმეტეს ანტუანს. მისი მხარდაჭერა გასჭირდებოდა. ანტუანი ხომ მთელი ოჯახის ბურჯი იყო!

მაგრამ არა! გრძნობს, მახეს უგებენ; კარგად ესმის, რატომ ცდილობს ანტუანი პარიზში მის დატოვებას. და მთელი არსებით ამბოხდება. ინგლისში ყოფნა ერთადერთი საშუალებაა უდიდესი განზრახვის განსახორციელებლად. მისი არსებობის ერთადერთი მიზანია! ოჰ, რომ შეეძლოს და ანტუანს აუხსნას ყველაფერი! მაგრამ ეს ხომ საიდუმლოს გამჟღავნებას ნიშნავს?! ისიც ვის, ვის უნდა გაუმჟღავნოს? ადამიანს, რომელიც ყველაზე ნაკლებადაა მომზადებული ამ აღსარების მოსასმენად?! იქნებ, უფრო მოგვიანებით... წერილობით... ოღონდ ახლა არა!

მისი ჯიუტი, მიშტერებული მზერა ავის მომასწავებლად მიაჩნია ანტუანს. მიუხედავად ამისა, არ ეშვება და ეკითხება:

— პასუხს რატომ არ მაძლევ?

ჟიზი კრთება. მაგრამ ჯიუტი გამომეტყველება მაინც არ ცილდება სახიდან.

— პირიქით, ანტუან! სწორედ ახლა. ვიდრე ოდესმე, უნდა ვეცადო რაც შეიძლება სწრაფად მივიღო ინგლისური დიპლომი. მე უფრო ადრე მომიხდება საკუთარი თავის რჩენა, ვიდრე მეგონა...

ანტუანი გაბრაზებით ჩაიქნევს ხელს და ჩააჩუმებს. გაოცებულია, რადგან ჟიზის მოკუმულ ბაგეებში, მის გამოხედვაში რაღაც გამოუვალ სასოწარკვეთას კითხულობს; მაგრამ ამავე დროს რაღაც აღგზნებას, სულელუ-

რი იმედის მსგავს აღტყინებასაც გრძნობს. ჟიზის გრძნობებში მას იოტის ოდენა ადგილიც არა აქვს! სინანული თავს მაღლა აწევინებს. სინანული თუ სასოწარკვეთა? სასოწარკვეთა: ყელში რაღაც უჭერს... თვალზე ცრემლი ადგება. ამჯერად მის შეკავებას ან დამალავას აღარც ცდილობს: იქნებ, ცრემლებმა მაინც უშველოს და ჟიზის ეს გაუგებარი სიცერპე გადაალახვინოს?!

მართლაც, ჟიზი ძალიან აფორიაქებულია, არასოდეს არ უნახავს ანტუანის ცრემლები, ვერც კი წარმოიდგენდა, ტირილი თუ შეეძლო. ცდილობს თვალი აარიდოს. მას ხომ ანტუანის მიმართ ნაზი, ღრმა გრძნობა აქვს?! მუდამ შინაგანი აღტაცებით, უცნაური ენთუზიაზმით ფიქრობს მასზე! სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ის იყო მისი ერთადერთი საყრდენი, ძლიერი, გამოცდილი ამხანაგი, რომლის სიახლოვეს თავისი ცხოვრების ერთადერთ ნუგეშად თვლიდა. მაშ, ახლა, ამ აღფრთოვანებისა და ნდობის ნაცვლად სხვა რამეს რატომღა მოითხოვდა მისგან? რატომ არ შეიძლება, კვლავაც ძმურ სიყვარულს გრძნობდეს მისდამი?

წინოთახში ზარის ხმა გაისმის. ანტუანი მისდაუნებურად აყურობს ყურს. ვიღაც კარს გაიჯახუნებს. შემდეგ ისევ სიჩუმე ისადგურებს.

უძრავად, უსიტყვოდ სხედან გვერდიგვერდ და ერთმანეთისაგან განსხვავებული ფიქრები მიჰქრიან, შეუჩერებლად მიჰქრიან სადღაც... ტელეფონის ხმა... წინოთახში ნაბიჯები ისმის... ლეონი კარს შემოაღებს:

— ბატონ ტიბოსთან გთხოვენ, მადმუაზელ. ექიმი ტერივიე მოსულა.

ჟიზი სწრაფად დგება.

ანტუანი დაღლილი ხმით მოუხმობს ლეონს:

— რამდენი კაცი მელოდება?

— ოთხი, ბატონო.

ანტუანიც წამოდგება. ცხოვრება ხელახლა იწყება. „ოთხი მელოდება... ხუთს რომ ათი წუთი დააკლდება!" — გაიფიქრა მან.

ჟიზი აღარ მიახლოებია, ესღა უთხრა:

— რაც შეიძლება მალე უნდა წავიდე, ანტუან... მშვიდობით!

ანტუანი უცნაურად იღიმება. მხრებს იჩეჩს:

— რას იზამ? წადი... ზანგის გოგო!

საკუთარი ინტონაცია მამამისის ამასწინდელ ნათქვამს მოაგონებს: „კეთილი, წადი, ჩემო კარგო, წადი!"

უსიამოვნო შედარებაა...

და სულ სხვა ტონით უმატებს:

— თუ შეიძლება, ტერივიეს გადაეცი, ჯერჯერობით არ სცალია, ვერ აჰოვა-თქო. ჩემთან თუ მოისურვებს მოლაპარაკებას, ქვევით ჩამოსვლისას შემოიაროს.

ჟიზი თავს უქნევს და კარს აღებს; შემდეგ თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღოო, ანტუანისკენ შებრუნდება... თუმცა არა... რა უნდა უთხრას? თუკი ყველაფერს ვერ გაუმხელს, რაღა საჭიროა?.. შალში მჭიდროდ ეხვევა და თავაუღებლად გადის ოთახიდან.

— ლიფტი ეშვება... ხომ არ დაიცდით, მადმუაზელ? — ეკითხება ლეონი.

უარის ნიშნად ჟიზი თავს გადააქნევს და ნელა მიუყვება კიბეს; ნელა აჰის, რადგან გაოგნებულია. ერთი აკვიატებული აზრი ვერ მოუშორებია თავიდან: ლონდონი! ჰო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაემგზავროს, აღარ დაელოდოს შვებულების დამთავრებას! ოჰ, ანტუანმა რომ იცოდეს, რას ნიშნავს მისთვის ლამანშის იქითა მხარეს ცხოვრება?!.

ორი წლის წინ, სექტემბრის ერთ დილას (ჟაკის გაქრობიდან ათი თვის შემდეგ), მეზონ-ლაფიტის ფოსტალიონმა, რომელიც ჟიზს შემთხვევით შემოხვდა ბაღში, მის სახელზე მიღებული კალათა გადასცა, ლონდონის ერთ-ერთი მეყვავილის ეტიკეტით. გაოცებულმა გოგონამ მაშინვე იგრძნო, რაღაც სერიოზული ამბავი უნდა იყოსო, ჩუმად შეიპარა თავის ოთახში, კანაფი შემოხსნა, სახურავი ააგლიჯა და კინაღამ გული წაუვიდა, როცა სველ ხავსზე დაწყობილი ვარდების კონა დაინახა. ჟაკი! ეს ხომ მათი ვარდებია. ალისფერი ვარდები, შავგულიანი, პატარა, ალისფერი ვარდები, ზუსტად ისეთივე!.. სექტემბერი... წლისთავი! ამ ანონიმური აჩანათის მნიშვნელობა ისე გასაგები იყო მისთვის, თითქოს დაშიფრული დეპეშის გასაღები ჰქონოდა ხელთ! ჟაკი არაა მკვდარი! ბატონი ტიბო შეცდა! ჟაკი ინგლისშია! ჟ ა კ ს ი გ ი უ ყ ვ ა რ ს!.. მისი პირველი სურვილი იყო — ფართოდ გაეღო კარი და მთელი ხმით დაეყვირა: „ჟაკი ცოცხალია!“ საბედნიეროდ, დროზე შეიკავა თავი. როგორ უნდა აეხსნა შინაურებისათვის, რომ ეს პატარა ალისფერი ვარდები ყოვლისმეტყველნი იყვნენ? მას ხომ კითხვებს კითხვაზე დააყრიდნენ! უმალ ყველაფერს ჩაიდენს, ვიდრე საიდუმლოს გაამჟღავნებდეს! კარი დახურა, ღმერთს შევედრა, გაჩუმების ძალა მომეცი, ყოველ შემთხვევაში საღამომდე მაინცო: იცოდა, ანტუანი საღამოს ჩამოვიდოდა მეზონში.

საღამოს ცალკე გაიხმო იგი. საიდუმლო აჩანათის ამბავი გაანდო: უთხრა, ლონდონში არც ერთი ნაცნობი არა მყავს და აი, ყვავილები მივიღო... ჟაკი? საჭიროა, რადაც უნდა დაუჯდეთ, ხელახლა შეუდგნენ ძებ-

ნას. ანტუანი დაინტერესდა, მაგრამ მაინც სკეპტიკურად შეხვდა ამ ამბავს, რადგან მთელი წლის განმავლობაში მიღებულმა ზომებმა უშედეგოდ ჩაუარა. მიუხედავად ამისა, სასწრაფოდ შეუთვალა ლონდონში, ძებნა განაახლეთო. მეყვავილემ ზუსტად აუწერა იმ მყიდველის გარეგნობა, რომელსაც შეკვეთა მიეცა, მაგრამ ის ნიშნები სრულებით არ ემთხვეოდა ჟაკის გარეგნობას. ამგვარად ამ კვალსაც მიანებეს თავი. ოღონდ ჟიზს არ მიუნებებია თავი, სარწმუნო საბუთი მხოლოდ მის ხელთ იყო. აღარაფერს ამბობდა: ისეთი თავშეკავებით დუმდა, რასაც ჩვიდმეტი წლის გოგონასაგან ვერავინ წარმოიდგენდა. სამაგიეროდ, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, თვითონვე წასულიყო ინგლისში და რადაც უნდა დაჯდომოდა ჟაკის კვალისთვის მიეგნო. თითქმის განუხორციელებელი გეგმა იყო. მისი პირველყოფილი წინაპრებისთვის დამახასიათებელი მალული და უტყვი სიჯიუტით, მან ორი წლის მანძილზე ნელ-ნელა მოამზადა და გულდასმით შეიმუშავა წასვლის გეგმა. მაგრამ რად დაუჯდა მთელი ეს ლოდინი! ახლა ყოველი განვლილი საფეხური აგონდება. რამდენი მოთმინება დასჭირდა, რომ მოხერხებულად გადაეხალისებინა მამიდამისის კერპი გომეზა! პირველ ყოვლისა, უნდა დაერწმუნებინა გამზრდელი, რომ ღარიბ ახალგაზრდა ქალს, თუნდაც კარგი ოჯახის შვილს, საკუთარი საარსებო საშუალება აუცილებლად უნდა ჰქონდესო; შემდეგ, იმაშიც უნდა დაერწმუნებინა, რომ მისი ძმისწულის, ისევე როგორც თვით მისი მოწოდება, ბავშვების აღზრდა იყო; ბოლოს, უნდა შთაეგონებინა, რა ძნელი კონკურენცია არსებობდა იმხანად მასწავლებლის ადგილის საშოვნელად: მასწავლებელი ინგლისურ ენასაც თავისუფლად უნდა ფლობდესო! ამის შემდეგ, საჭირო გახდა მარჯვედ ემოქმედა და მადმუაზელისთვის მეზონ-ლაფიტის ერთ-ერთი მასწავლებელი გაეცნო: მას ის-ის იყო დაემთავრებინა ლონდონის გარეუბნის ერთ-ერთი ინგლისური ინსტიტუტი, რომელსაც კათოლიკე მონაზვნები ხელმძღვანელობდნენ. საბედნიეროდ, ბატონმა ტიბომ (მისი გადმობირებაც გახდა საჭირო) ამ ინსტიტუტის შესახებ დამაკმაყოფილებელი ცნობები შეკრიბა. ბოლოს, ათასჯერ გადავადების შემდეგ, მადმუაზელ დე ვეზმა, როგორც იქნა, გასულ გაზაფხულს გაისტუმრა ძმისწული ჟიზმა მთელი ზაფხული დაჰყო ინგლისში, მაგრამ ოთხი თვის ძებნამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იგი უსინდისო მაძებრის მსხვერპლი გახდა და უსიამოვნების მეტს ვერაფერს გადააწყდა. არა უშავს, ხელახლა დაიწყებს მოქმედებას, შეაწუხებს ხალხს. ახლახან რამდენიმე ძვირფასი ნივთი გაყიდა, საკმაო თანხას მოუყარა თავი. როგორც იქნა, სერიოზულ სამძებრო სააგენტოსთან გააბა კავშირი. და რაც მთავარია, თავისი რომანტიკული ამბით დააინტერესა ლონდონის

ქალაქის პოლიციის კომისრის ქალიშვილი, რომელმაც ჟიზი საუზმეზეც კი მიიპატიჟა. ლონდონში დაბრუნებისთანავე ჟიზი მასთან მისვლას ფიქრობდა, რადგან დარწმუნებული იყო, ჩემს საქმეში ძალიან გამომადგებაო. მაშ, როგორღა არ უნდა ჰქონოდა იმედი?

ჟიზი ბატონ ტიბოს ბინაში ავიდა. იძულებული გახდა ზარი დაერეკა: მამიდა ბინის გასაღებს არც ახლა ანდობდა. „როგორ შეიძლება არ ჰქონდეს იმედი?" გაიფიქრა მან და ერთბაშად ისეთი რწმენა იგრძნო, ჟაკს აუცილებლად ვიპოვიო, რომ გამხნევდა. ანტუანმა უთხრა, მამა სამიოდე თვეს თუ იცოცხლებსო, „სამი თვე რას ჰქვია, მე უფრო ადრე ვიპოვი მას!"

ამასობაში, ქვემოთ, ჟაკის ოთახში, ანტუანი კარის წინ იდგა, რომელიც ჟიზმა ის-ის იყო გაიხურა, და თვალით თითქოს ამ გადაულახავ, სქელ გაუღწევ ხის ტიხარს ბურღავდა.

გრძნობდა, მოთმინება ელეოდა. მისი ნებისყოფა აქამდე არაერთხელ წასწყდომია საშინელ სიძნელეებს, მაგრამ მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა, რადგან განუხორციელებელი მიზნისკენ არასოდეს ილტვოდა. ახლა კი, თითქოს რაღაც შორდებოდა, სადაა მოწყდებოდა. იგი ისეთი ადამიანი არ იყო, იმედგაწყვეტილი რომ ჯიუტობს მაინც.

გაუბედავად გადადგა ორი ნაბიჯი, სარკეში საკუთარი გამოსახულება დაინახა, მიუახლოვდა, ქვის რაფას დაეყრდნო, სახე დაეძაბა „კი, მაგრამ, უცებ რომ ეთქვა: „კეთილი, შემირთე ცოლადო?!" შეკრთა: „დაგვიანებული შიშია... ასეთი თამაში, სისულელეა! — გაიფიქრა მან, ქუსლებზე შემოტრიალდა და უცებ გაახსენდა: — დალახვროს ეშმაკმა! ხუთი საათია... დედოფალი ელისაბედი?!"

სწრაფი ნაბიჯით გაემართა „ლაბორატორიისკენ", მაგრამ ლეონმა შეაჩერა:

— ბატონი რიუმელი წავიდა. ზეგისთვის ჩაეწერა. იმავე საათზე, — თქვა მან მიმქრალი თვალებითა და ოდნავ ირონიული ღიმილით.

— კეთილი და პატიოსანი! — შვებით ამოისუნთქა ანტუანმა. და იმ წუთში ეს პატარა კმაყოფილება სავსებით ეყო მთავარი საზრუნავის გასაქარვებლად.

კაბინეტში შევიდა, პორტიერი ჩვეული მოძრაობით გადასწია, რასაც მუდამ სიამოვნებით აკრულებდა ხოლმე და მისაღები ოთახის კარი შეაღო.

— ოჰო, ამას დამიხედეთ! — წამოცდა მას და ლოყაზე მსუბუქად უჩქმიტა ფერმკრთალ ბიჭუნას, რომელიც მორცხვად წამოვიდა მისკენ, — მარტო მოხვედი, როგორც ნამდვილი მამაკაცი, არა? მშობლები ხომ კარგად არიან?

მან ხელი წაავლო ბიჭს, ფანჯარასთან მიიყვანა, თვითონ სინათლისკენ ზურგშექცევით ჩამოჯდა ტაბურეტზე, ბავშვს ფრთხილი, მაგრამ მტკიცე მოძრაობით უკან გადაუწია დამყოლი თავი და ყელში ჩახედა.

— მადლობა ღმერთს! — წაილაპარაკა მან, მაგრამ ბავშვის ყელისთვის თვალი მაინც არ მოუშორებია, — ამჯერად მართლა შეიძლება ნუშისებური ჯირკვლები აუწოდოთ!

იგი ერთბაშად მკვირცხლი, მჟღერი. ოდნავ მკვეთრი ტონით ალაპარაკდა, რაც ტონუსის მიმცემ საშუალებასავით მოქმედებდა ავადმყოფებზე.

იგი იჯდა და ყურადღებით დასცქეროდა პატარა პაციენტს; მაგრამ ერთბაშად შელახულმა თავმოყვარეობამ კვლავ იჩინა თავი და მისდაუნებურად გაიფიქრა: „ჯერ ერთი, თუ მოვინდომებ, მუდამ შემიძლია დეპეშით გამოვიძახო...“

## VIII

ანტუანმა ბიჭუნა გააცილა და ძალიან გაუკვირდა, როცა წინოთახში მისს მერი, ვარდისფერსახიანი ინგლისელი დაინახა.

ქალი წამოდგა და ხანგრძლივი, უტყვი, მომხიბვლელი ღიმილით შეხვდა მიახლოებულ ანტუანს; შემდეგ მტკიცე სახე მიიღო და ცისფერი კონვერტი გაუწოდა.

მისი იდუმალი და თან გაბედული გამოხედვა, და საერთოდ მთელი ეს მანერები ისე არ წააგავდა იმ თავშეკავებულ საქციელს, როგორსაც ორი საათის წინ ამჟღავნებდა, რომ ანტუანმა უნებურად გაიფიქრა, აქ რაღაც ამბავიაო.

სანამ ასე გაოცებული იდგა წინოთახში და ღერბიან კონვერტს ხსნიდა, ინგლისელი ქალი დაუპატიჟებლად გაემართა კაბინეტისაკენ, რომლის კარი ღია იყო.

ანტუანმა წერილი ამოიღო და უკან გაჰყვა ქალს:

„ჩემო ძვირფასო ექიმო,

ორი პატარა სათხოვარი მაქვს თქვენთან და რომ არ გამიჯავრდეთ, მეტად მიმზიდველი მოციქული გამოვგზავნე.

პ რ ი მ ო: ამ ქარაფშუტა მერის სისულელე მოუვიდა და თქვენთან რომ წამოვედით, მხოლოდ მაშინ გამომიტყდა, რამდენიმე დღეა მოფანტულებული ვარ და მრავალი ღამეა ხველა არ მაძინებსო. გთხოვთ, პატივი დამდოთ, ყურადღებით გასინჯოთ და რაიმე წამალი გამოუწეროთ.

ს ე კ უ ნ დ ო: ჩვენს აგარაკზე ერთი ძველი მონადირეა, რომელიც სახსრის რევმატიზმით იტანჯება. წლის ამ დროს პირდაპირ წამებულია საბრალო მოხუცი. სიმონს ეცოდება და ტკივილების დასაყუჩებლად ნემსებს უკეთებს. ჩვენს საოჯახო აფთიაქში მუდამ გვქონდა მორფიუმი, მაგრამ ამისწინანდელი შეტევის შემდეგ მარაგი გამოგველია; სიმონმა დამავალა წამომეღო, მაგრამ ექიმის უნებართვოდ მისი ყიდვა შეუძლებელია. თქვენთან ყოფნისას სიმონის ეს დავალება სულ გადამავიწყდა. ძალიან დამავალებდით, თუ ჩემს მშვენიერ მოციქულს რეცეპტს გამოატანდით და თანაც წააწერდით „განმეორების უფლებით!“ რათა ერთბაშად წამომეღო „თითო კუბიკური სანტიმეტრის შემცველი ხუთი-ექვსი დუჟინი ამპულა“.

მეორე თხოვნის ასრულებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას. რაც შეეხება პირველს, ძვირფასო ექიმო, არ ვიცი, რომელს მართებს მადლობა, მე თუ თქვენა? ასეთი სასიამოვნო პაციენტი ქალი, ალბათ, ბევრი არ გყოლებათ...

პატივისცემით

ა ნ ა მ ა რ ი ა ს. დ ე ბ ა ტ ე ნ კ უ რ ი“.

P. S. ალბათ, იფიქრებთ, სიმონი ადგილობრივ ექიმს რატომ არ მიმართავსო, რომ იცოდეთ, რა გონებაშეზღუდული და ჩლუნგი ადამიანია! არჩევნებში მუდამ ჩვენს წინააღმდეგ აძლევს ხმას. თანაც ვერ უპატიებია, ჩვენს წრეში პაციენტები რომ არ ჰყავს. ეს ამბავი რომ არა, არ შეგაწუხებდით.

„ა“.

ანტუანმა წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, მაგრამ თავი არ აუწევია. ჯერ საშინლად განრისხდა, ამ ქალს ვინ ვგონივარო, მაგრამ მერე ეს ამბავი პიკანტურად და თავშესაქცევად ჩათვალა.

ერთხელ ანტუანმა კაბინეტში ჩამოკიდებული ორი სარკის თამაში გამოსცადა. ბუხრის თავზე იდაყვდაყრდნობილს საკმარისი იყო მზერა გაეპარებინა და ადამიანს ისე დაინახავდა, განძრევაც არ დასჭირდებოდა. ახლაც ასე მოიქცა. მისს მერი მის უკან იჯდა და ხელთათმანს იხდიდა; მანტო უკვე შეეხსნა, მკერდი გამოეჩინა და მოჩვენებითი უგულისყურობით დაა-

ცქეროდა თავისი ფეხსაცმლის წვერებს, რომლითაც ხალიჩის ფერს ეთამაშებოდა. ქალს მორცხვი და ამავე დროს გაბედული იერი ჰქონდა. რაკი დარწმუნებული იყო, ახალგაზრდა ექიმი ვერ მხედავსო, გრძელწამწამებიანი ქუთუთოები ერთბაშად ასწია და ლურჯი თვალები ნაპერწკლებივით აუელვარდა.

ამ გაუფრთხილებლობამ ანტუანი საბოლოოდ დაარწმუნა თავის ვარაუდებში და ერთბაშად შემოტრიალდა.

იღიმებოდა. თავაუდებლივ უკანასკნელად გადაავლო თვალი მაცდურ წერილს და ნელა დაკეცა. შემდეგ, წელში გასწორდა, ღიმილი სახიდან აჰ მოშორებია და მერის შეხედა. ორივეს ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ამ შემოხედვით ერთმანეთს მიეჯახნენო. ინგლისელი წამით შეყოყმანდა. ანტუანს სიტყვა არ დასცდენია, ოღონდ თვალები მოჭუტა და უარის ნიშნად რამდენჯერმე, ნელი მოძრაობით — მარჯვნიდან მარცხნივ გადააქნია თავი. იგი ისევ იღიმებოდა და ისეთი მეტყველი სახე ჰქონდა, მერი ვერ მოტყუვდებოდა. უფრო თავხედურად ვერვინ ეტყოდა: „არა, მადმუაზელ, რას იზამთ? *თქვენს ხრიკებს მივიხვდით!* ნუ იფიქრებთ, თითქოს აღშფოთებული ვიყო: თქვენი საქციელი სასაცილოდ არ მყოფნის! ასეთი რამ მინახავს?! ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი იმედი... თვით ასეთ საფასურადაც კი... არ უნდა გქონდეთ!"

სახეალეწილი ქალი უსიტყვოდ წამოდგა, წინოთახისკენ გაეშურა და ხალიჩას ფეხი წამოკრა. ანტუანი უკან მიჰყვებოდა, თითქოს ეს სასწრაფო გაქცევა სავსებით ბუნებრივი ამბავი ყოფილიყოს; მას კვლავ ეცინებოდა გულში. ქალი თავდახრილი, უსიტყვოდ მირბოდა და მანტოს შეკვრას ლამობდა ნერვიული, უხელთათმანო ხელებით, რომლებიც ალისფერ ლოყებთან შედარებით სისხლნაკლულებსა ჰგავდნენ.

წინოთახში გასული ანტუანი იძულებული გახდა ახლოს მისულიყო ქალთან და კარი ისე გაეღო. ინგლისელმა უცნაურად დაუკრა თავი. ანტუანიც აპირებდა გამომშვიდობებას, მაგრამ ქალი უცებ შემობრუნდა და სანამ ანტუანი გონს მოვიდოდა, წერილი ნამდვილი ჯიბგირის სიმკვირცხლით გამოსტაცა ხელიდან და გავარდა.

განერვიულებული ანტუანი იძულებული იყო ეღიარებინა, ამ ქალს მოხერხებულობა და მოსაზრებულობა არ აკლიაო, და კაბინეტში შებრუნდა. ახლა იმაზედა ფიქრობდა, ინგლისელს, მშვენიერ ანასა და თვით მას რა სახე ექნებოდათ, როცა უახლოეს დღეებში ერთმანეთს შეხვდებოდნენ. ამის გაფიქრებაზე ანტუანს ხელახლა გაეღიმა. იატაკზე ხელთათმანი ეგდო, აიღო, და სანამ მხიარული სახით სანაგვე კალათაში გადაისროლა, დაყნოსა.

„ოჰ, ეს ინგლისელი ქალები!... იუგეტი... საინტერესოა, როგორი ცხოვრება ექნება პატარა ხეიბარს ამ ორი ქალის ხელში?"

ჩამობნელდა.

ლეონი დარაბების დასახურავად შემოვიდა.

— ქალბატონი ერნესტი ხომ არ მოსულა? — წიგნაკში ჩაიხედა და ჰკითხა ანტუანმა.

— ოჰ, რა ხანია, ბატონო!.. მთელი ოჯახი გვესტუმრა: დედა, ბავშვი და მოხუცი მამა.

— კეთილი! — გატაცებით წამოიძახა ანტუანმა და პორტიერი გადასწია.

## IX

მართლაც, ანტუანმა მისკენ მომავალი სამოციოდე წლის ტანმორჩილი მამაკაცი დაინახა.

— გთხოვთ, ჯერ მე მიმიღოთ, ექიმო: რამდენიმე სიტყვა მაქვს სათქმელი.

იგი მძიმედ, ოდნავ ზლაზვნითაც კი ლაპარაკობდა, ხოლო მანერები მოკრძალებული და დახვეწილი ჰქონდა.

ანტუანმა გულდასმით მიხურა კარი და პაციენტს ანიშნა, დაბრძანდითო.

— ჩემი გვარია ერნესტი... ექიმმა ფილიპმა, ალბათ, გაგაფრთხილათ ჩემს შესახებ... გმადლობთ, — წაიბუტბუტა მან და დაჯდა.

მას ძალიან სიმპათიური სახე ჰქონდა, ღრმად ჩამჯდარი, მეტყველი, ნაღვლიანი თვალები, ანთებული, სხივჩამდგარი და ახალგაზრდული გამოხედვა. სამაგიეროდ, სახე ძალიან დაბერებოდა: მოქანცული, გატანჯული, პირსავსე, ამავე დროს გამომშრალი ისე დანაოჭებოდა, ადგილ-ადგილ ხორკლებით ისე დაფარვოდა, სწორ ადგილს ვერსად უპოვიდით: იტყოდით, შუბლი, ლოყები, ნიკაპი ცერით დაუსრისეს, ჩაუჭყლიტესო. მოკლე და უხეში ჭაღარა ულვაშები მთელ სახეს შუაზე ჰყოფდა. თხელი, გადახუნებული თმა დიუნებზე ამოსულ ბალახს მიუგავდა.

ნეტავ თუ იგრძნო, ანტუანი მალულად რომ ათვალიერებდა?!

— ჩვენ ამ ბავშვის ბებიასა და პაპას უფრო ვგავართ, — ნაღვლიანად წარმოთქვა მან. — ძალიან გვიან დავქორწინდით. მე უნივერსიტეტის პროფესორი ვარ: გერმანულ ენას ვასწავლი შარლემანის ლიცეუმში.

„ერნესტი"! — გაიფიქრა ანტუანმა, — თანაც ეს აქცენტი... ელზასელი უნდა იყოს!"

— არ მინდა ბოროტად გამოვიყენო თქვენი ყურადღება და დრო წაგართვათ, ექიმო. მაგრამ რაკი ჩვენი ბავშვის გასინჯვა იკისრეთ, მინდა ზოგი რამ კონფიდენციალურად შეგატყობინოთ... — მან დანისლული თვალებით აიხედა ზევით და დაუმატა: — მინდა ისეთი რამ გიამბოთ, რაც ჩემმა მეუღლემ, ქალბატონმა ერნესტმა არ იცის.

თანხმობის ნიშნად ანტუანმა თავი დახარა.

— მაშასადამე, — ისე დაიწყო მოხუცმა, თითქოს მთელი გამბედაობა უნდა მოიკრიბოსო. ეტყობოდა, წინასწარ მოეფიქრებინა სათქმელი; სადღაც შორს იყურებოდა და ლაპარაკს შეჩვეული ადამიანივით ნელა, აუჩქარებლად წამოიწყო საუბარი.

ანტუანს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ერნესტს ერიდა, სახეში არ შეეხედა მისთვის.

— 1896 წელს, ექიმო, მე ორმოცდაერთი წლის ვიყავი და ვერსალში პროფესორად ვმუშაობდი, — ერთბაშად ხმა გაუბედავი გაუხდა. — სა-ცო-ლე მყავდა, — დამარცვლით თქვა და თითქოს არპეჯიოს ნოტებიაო, ამ მარცვალს განსაკუთრებული ჟღერადობა მისცა, შემდეგ უფრო მტკიცე ხმით განაგრძო:

— იმ ხანებში გატაცებით ვუჭერდი მხარს კაპიტან დრეიფუსს *. თქვენ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით, ექიმო და [illegible] ეს დრამა არ გადაგიტანიათ... („დრამის ნაცვლად „ტრამა" გამოუვიდა, რადგან რაღაც ხრინწიანი, ერთგვარი საზეიმო ინტონაციით წარმოთქვა ეს სიტყვა). მაგრამ ალბათ მოგეხსენებათ, რომ მაშინ დრეიფუსის მომხრეს სახელმწიფო სამსახურში ყოფნა ძალიან გაუჭირდებოდა. მე ადამიანთა იმ ჯგუფს ვეკუთვნოდი, ვისაც სახელის გატეხისა არ ეშინოდა, — დაუმატა მან.

მის თანაბარ ტონს ყოყლოჩინობის ნიშანი არ ეტყობოდა, მაგრამ ეს სიტყვები ისე მტკიცედ წარმოთქვა, თითქოს უნდოდა ანტუანისათვის დაენახვებინა, თხუთმეტი წლის წინ რა გაუფრთხილებელი, ენერგიული და რწმენით აღსავსე იყო ეს მშვიდი მოხუცი, რომელსაც წამოწეული შუბლი, ჯიუტი ნიკაპი და ანთებული თვალები ჰქონდა.

— ამას იმიტომ გიამბობთ, — განაგრძო ბატონმა ერნესტმა, — რომ მინდა გაგაგებინოთ, თუ როგორ აღმოვჩნდი ალჟირის ლიცეუმში 96 წლის სამოსწავლო წლის დასაწყისში; ერთი სიტყვით, სამშობლოდან ვიყავი განდევნილი. რაც შეეხება ჩემს ქორწინებას, — დამტკბარი ხმით წაიჩურჩულა მან, — რაკი ჩემი დანიშნულის ძმა, მისი ერთადერთი ახლო ნათესავი,

საზღვაო ოფიცერი, მართალია, საკავშირო ფლოტისა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მოწინააღმდეგეთა ბანაკში გახლდათ, ჩვენი ქორწინება ჩაიშალა.

აშკარა იყო, იგი ცდილობდა ფაქტები მიუკერძოებლად გადმოეცა.

— ალჟირში ჩასვლიდან ოთხი თვე გავიდა, — გაგუდული ხმით განაგრძო მან, — და ერთბაშად შევამჩნიე, რომ... ავად ვიყავი. — ხმა ისევ გაებზარა, მაგრამ მაშინვე გამოასწორა. — სიტყვებისა არ უნდა გვეშინოდეს: სიფილისი შემყროდა.

„აჰა, ასეა? — გაიფიქრა ანტუანმა, — ბავშვი... მესმის!“

— მაშინვე მივმართე ალჟირის სამედიცინო ფაკულტეტის რამდენიმე პროფესორს და მათი რჩევით ჩემი მკურნალობა იქაურ საუკეთესო სპეციალისტებს მივანდე. — სანამ გვარს იტყოდა, შეყოყმანდა, — იყო ასეთი ექიმი, ლორი. შესაძლებელია, კიდეც იცნობთ მის შრომებს, — უთხრა მან ანტუანს, მაგრამ სახეში არ შეუხედავს. — მკურნალობა ავადმყოფობის პირველივე სიმპტომებზე დავიწყე. ექიმის მიერ დანიშნულ რეჟიმს ზუსტად ვიცავდი. რეჟიმი კი მეტისმეტად მკაცრი გახლდათ. როცა ხელახლა მიხმეს პარიზში, დრეიფუსის საქმის მიჩუმებიდან ოთხი წლის შემდეგ, ექიმმა ლორმა კატეგორიულად გამომიცხადა, უკვე ერთი წელია სავსებით განკურნებული ხართო. მეც დავუჯერე. და მართლაც, შემდეგში არაფერი ისეთი, რეციდივის უმნიშვნელო საფრთხეც კი არ შემინიშნავს.

მან მშვიდად შემოუაბრუნა თავი, ცდილობდა ანტუანის გამოხედვა დაეჭირა. ანტუანმა ანიშნა, ყურადღებით გისმენთო.

თუმცა მარტო ყურისგდებით არ კმაყოფილდებოდა; იგი კიდეც უკვირდებოდა ამ კაცს: მისი გარეგნობისა და მანერების წყალობით ადვილად მიხვდა, როგორი პატიოსანი და მშრომელი კაცის გზა გაევლო გერმანული ენის ამ მასწავლებელს. ასეთ ხალხს წინათაც შეხვედრია. ეს კაცი კი თავის ხელობაზე მაღლა იდგა უდავოდ. აშკარად იგრძნობოდა, რომ დიდი ხანია შეჩვეოდა იმ თავშეკავებასა და მორჩილებას, რაც ზოგ რჩეულთა ხვედრია ხოლმე: ხელმოკლეობისა და აუნაზღაურებელი შრომის მიუხედავად, ისინი ხომ მაინც ერთგულად და მტკიცედ ეწევიან თავიანთი უმადური ცხოვრების ჭაპანს! მოხუცმა ისეთი ტონით ახსენა ჩაშლილი ქორწინება, რომ ადვილი მისახვედრი იყო, რა როლიც ითამაშა ბედუკუღმართმა სიყვარულმა მის მარტოხელა ცხოვრებაში. ამასთანავე, დროდადრო თავშეკავებული ცეცხლი იფეთქებდა ხოლმე თვალებში, რაც იმის დამადასტურებელი იყო, რომ ამ ჭაღარა მასწავლებელს ჭაბუკური, წმინდა გრძნობები ჰქონდა.

— ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთში დავბრუნდი, — განაგრძო მან, და აი, ერთ დღეს შევიტყვე, რომ ჩემს საცოლეს ძმა გარდაცვლილოდა. — იგი თითქოს სიტყვებს ეძებდა და ბოლოს ჩურჩულით თქვა: — და როგორც იქნა მოვახერხე, მისი ნახვა...

ამჯერად აღელვებისაგან ხმა ჩაუწყდა. ანტუანმა თავი დახარა, საუბარში ჩარევა ვერ გადაეწყვიტა და იცდიდა. იგი გაოცდა, როცა პროფესორის ხმამაღალი, ნაღვლიანი შეწუხებული ხმა მოესმა:

— რა ვიცი, რა აზრისა იქნებით იმ ადამიანზე, ექიმო, რომელიც ისეთ რაიმეს მოიმოქმედებს, რაც მე ჩავიდინე... ჩემს ავადმყოფობასა და მკურნალობას ათი წლის ხანდაზმულობა ჰქონდა, მე აღარც კი მახსოვდა ის ამბავი... უკვე ორმოცდაათ წელს გადავაბიჯე... — მან ამოიოხრა, — მთელი სიცოცხლე მარტოობაში ვიტანჯებოდი... რა აბდაუბდას გიყვებით, არა, ექიმო?

ანტუანმა თავი ასწია. სანამ მოსაუბრის სახეს დაინახავდა, უცებ მიხვდა ყველაფერს. იყო განათლებული და გყავდეს გონებაჩლუნგი შვილი, საშინელი ხვედრია! მაგრამ მამის ტანჯვას მაინც ვერ შეედრება! მამას ერთადერთ დამნაშავედ თავისი თავი მიაჩნია, სინდისის ქენჯნა მოსვენებას არ აძლევს, იძულებულია გულზე ხელდაკრეფილმა უყუროს იმ ცოდვა-ბრალს, რაც მისი მიზეზით დატრიალებულა!

ერნესტმა მოქანცული ხმით განაგრძო:

— მიუხედავად ამისა, ეჭვები მაინც არ მასვენებდა. ვფიქრობდი, ექიმს რჩევას ვკითხავ-მეთქი, ასეც მოვიქეცი, თუმცა, არა: სიმართლის თქმისა ნუ გეშინია! თავს ვირწმუნებდი, საჭირო არაა-მეთქი, წამდაუწუმ ლორის ნათქვამს ვიმეორებდი, ვცდილობდი არ მეფიქრა. ერთხელ, ჩემი მეგობრის სახლში ერთ ექიმს შევხვდი და მაშინვე ამ თემაზე ჩამოვუგდე სიტყვა, მინდოდა ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავი, სრული განკურნება შესაძლებელია თუ არა-მეთქი. ეჭვების გასაფანტავად, ესეც საკმარისი იყო.

ხელახლა დაება ენა.

— ამას გარდა, ვფიქრობდი, ამ ასაკში ქალს, იქნებ, არც კი... არც კი ეყოლოს შვილი-მეთქი!

ცრემლები ყელში მოებჯინა. მაგრამ თავი არ ჩაუქინდრავს, უძრავად იჯდა, მუშტები მოეკუმა, კისრის ძარღვები კი ისე დაბერვოდა, ანტუანი მათ ფეთქვას ადევნებდა თვალს. გაყინულ თვალებში ორი კურცხალი შეუჩერდა, ლოყაზე არ ჩამოუგორდა და საოცრად აციმციმდა. ლაპარაკი უნდოდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა, და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გულისმომკვლელი ხმით წაილუღლუღა:

— მეცოდება... ბავშვი... ექიმო!

ანტუანს გული შეეკუმშა. საბედნიეროდ, ძლიერი აღელვება თითქმის მუდამ გადაეზრდებოდა ხოლმე თავბრუდამხვევ აღტყინებაში; მაშინვე უჩნდებოდა მოთხოვნილება, გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა დაუყოვნებლივ, რაიმე ეღონა, ამიტომ წუთითაც აღარ შეყოყმანებულა.

— კი მაგრამ... რა მოხდა? — ნაძალადევი გაოცებით იკითხა მან.

იგი წარბებს ზიდავდა, ჭმუხნიდა, ისე ეჭირა თავი, თითქოს უგულისყუროდ მოუსმინა მოხუცს, თითქოს კარგად ვერ მიმხვდარიყო, რისი თქმა სურდა.

— რა საერთო აქვს ამ... უსიამოვნებას, რომელიც დროზე გიმკურნალიათ, რომლისგანაც სავსებით განკურნებულხართ... ბავშვის ხეიბრობასთან, რაც, ადვილი შესაძლებელია, დროებითი იყოს?!

ერნესტი გაშეშებული შესცქეროდა.

ანტუანს ღიმილით გაებადრა სახე.

— სწორად თუ გაგიგეთ, ბატონო ჩემო, ასეთი ეჭვები დიდად გდებთ პატივს. მაგრამ, მე ექიმი ვარ და ამიტომ პირდაპირ უნდა მოგახსენოთ: მეცნიერული თვალსაზრისით... ეს თქვენი ეჭვები უაზრობაა!

პროფესორი წამოდგა, თითქოს ანტუანთან მისვლა დააპირაო, მერე შედგა, დაიძაბა. იგი ეკუთვნოდა მდიდარი და ღრმა ბუნების ადამიანთა იმ რიცხვს, რომლებსაც აეკვიატებათ თუ არა რაიმე აბეზარი ფიქრი, ვერ მოუზომავენ ადგილს და მთელს გულს უთმობენ. წლების განმავლობაში გულით ატარებდა ამ საშინელი სინდისის ქენჯნას, რაც თავისი მეუღლისთვისაც ვერ გაეზიარებინა, და აი, ამგვარმა კაცმა, პირველად ახლა იგრძნო შვება, პირველად ახლა მიეცა იმედი.

ანტუანი მის განცდებს ადვილად ხვდებოდა. მაგრამ დაწვრილებით გამოკითხვასაც მოერიდა, ვაითუ სხვა, უფრო მძიმე ტყუილის თქმა დამჭირდესო. ამიტომ საუბრის თემა შეცვალა. ისე დაიჭირა თავი, თითქოს ამ დამამცირებელ ვარაუდებზე ხელახლა შეჩერება საჭიროდ არ მიაჩნდა.

— ბავშვი ვადაზე ადრე ხომ არ დაბადებულა? — ჰკითხა მან უცებ.

მოხუცმა თვალები აახამხამა.

— ბიჭი?.. ვადაზე ადრე?.. არა...

— მძიმე მშობიარობა ჰქონდა?

— საშინელი.

— მაშებით?

— დიახ.

— აა! — წამოცდა ანტუანს, თითქოს სწორ კვალს მიაგნოო, — აი ამით, ბევრი რამ შეიძლება აიხსნას... — და რომ საბოლოოდ შეეწყვიტა ამ თემაზე ლაპარაკი, დაუმატა: — აბა, ერთი მაჩვენეთ თქვენი პატარა!

იგი წამოდგა და მისაღები ოთახისაკენ გაემართა. მაგრამ პროფესორი გამოეკიდა, გზა გადაუღობა და მკლავზე ხელი წაავლო.

— ექიმო, მართალს ამბობთ?.. მართალს ამბობთ? იქნებ, იმიტომ მეუბნებით, რომ... ოჰ, ექიმო, პატიოსანი სიტყვა მომეცით... პატიოსანი სიტყვა... ექიმო!

ანტუანი შემობრუნდა. მოხუცი ყვედრებით შეჰყურებდა. აშკარად ეტყობოდა, დიდი სურვილი ჰქონდა დაეჯერებინა ნათქვამი და თან უსაზღვრო მადლიერებაც აღბეჭდვოდა სახეზე. ანტუანმა განსაკუთრებული სიხარული იგრძნო, ქმედებისა და წარმატების სიხარული, კეთილი საქციელით გამოწვეული სიხარული. ახლავე ნახავს, რით უშველოს ბავშვს. რაც შეეხება მამას, ყოყმანი აღარაა საჭირო: რადაც უნდა დაუჯდეს, უბედურ კაცს როგორმე უნდა ააშოროს ეს ამაო სასოწარკვეთა!

ამიტომაც ღრმად ჩახედა თვალებში და სერიოზულად, ხმადაბლა უთხრა:

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

მცირე ხნით შეიცადა, მერე კარი გააღო.

მისაღებ ოთახში შავებში ჩაცმული ხანდაზმული მანდილოსანი იჯდა და მუხლებზე ძლივს აკავებდა შავკულულებიან ანც ბიჭს, რომელსაც მთელი ყურადღებით დააკვირდა ანტუანი. გაღებული კარის ხმაზე ბიჭმა თამაში შეწყვიტა და შავი, დიდი ჭკვიანი თვალები უცნობს მიაშტერა. შემდეგ გაუღიმა; მერე საკუთარი ღიმილისა შერცხვა და შეცბუნებულმა თავი მიაბრუნა.

ანტუანმა დედას გადახედა: მეტისმეტი მოკრძალება და ნაღველი ისე ალამაზებდა ქალის დამჭკნარ სახეს, რომ ანტუანს გული აუჩუყდა და მაშინვე გაიფიქრა: „მეტი რა გზაა!.. ამ საქმეს ხელი უნდა მოვკიდოთ... რაც შეეხება შედეგს, მას მუდამ მიიღებს ადამიანი!“

იგი თანაგრძნობით იღიმებოდა: უნდოდა მცირეოდენი ნდობა კარის ზღურბლზევე ეწყალობებინა ამ საბრალო ქალისათვის. ზურგს უკან პროფესორის მძიმე სუნთქვა ესმოდა. ანტუანს მოთმინებით ეჭირა პორტიერის ბოლო; იგი უყურებდა მოხუცისაკენ მიმავალ ქალსა და ბავშვს. გული სიხარულით აუძგერდა: „რა დიდებული ხელობა გვაქვს, დალახვროს ეშმაკმა! რა დიდებული ხელობა გვაქვს!“ — ფიქრობდა იგი.

## X

საღამომდე ერთმანეთს ცვლიდნენ პაციენტები, ხოლო ანტუანი არც დროს ამჩნევდა, არც დაღლილობას; როგორც კი მისაღები ოთახის კარს გააღებდა, ძალდაუტანებლად უბრუნდებოდა ენერგია და სიმხნევე. როცა უკანასკნელი პაციენტი, ლამაზი ახალგაზრდა ქალი გაისტუმრა, რომელსაც ლოყაწითელი ბუთხუზა ბიჭი ეჭირა ხელში, (ანტუანის აზრით, ბავშვს სრული სიბრმავე ემუქრებოდა), იგი სახტად დარჩა; მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ რვა საათი გამხდარიყო; „იმ პატარა ბიჭის ჩირქოვანი მუწუკის შესახვევად მისვლა დამიგვიანდა! — გაიფიქრა მან, — ვერნეილის ქუჩაზე დამით შევივლი, ეკესთან წასვლის წინ".

კაბინეტში შევიდა, ოთახის გასანიავებლად ფანჯარა გამოაღო და დაბალ მაგიდას მიუახლოვდა, რომელზედაც წიგნების გროვა ეყარა; უნდოდა სადილობის დროს წასაკითხად შეერჩია რამე. „მართლა! — გაიფიქრა მან, — პატარა ერნესტის ავადმყოფობის შესახებ რაღაც მინდოდა შემემოწმებინა! „რევიუ დე ნეროლოჟის" * გასული წლის ნომერი სწრაფად გადაფურცლა და 1908 წელს აფაზიის * ირგვლივ ამტყდარ დისკუსიას დაუწყო ძებნა... „ეს ბიჭუნა, ტიპიური შემთხვევაა, — გაიფიქრა მან, — ტრეიარის უნდა მოველაპარაკო!"

ტრეიარისა და მისი ლეგენდარული ახირებულობის გახსენებაზე გულიანად გაეცინა. გაახსენდა, იმ წელს ასისტენტად მუშაობდა ამ ნევროპათოლოგის კლინიკაში. „რა ჯანდაბამ მიმიყვანა იქ? — ფიქრობდა ახლა, — ეტყობა, ეს საკითხები დიდი ხანია მაინტერესებდა... ვინ იცის, იქნებ, სჯობდა ნერვული და სულიერი ავადმყოფობის შესწავლისათვის მომეკიდა ხელი?! ამ დარგში ჯერ კიდევ იმდენი შეუსწავლელი საკითხია!.." და ერთბაშად რაშელი წარმოუდგა თვალწინ, ვერ გაეგო, ასეთი უცნაური ასოციაცია რით აიხსნებოდა? რაშელს არავითარი სამედიცინო თუ საერთოდ, მეცნიერული განათლება არ გააჩნდა, მაგრამ ფსიქოლოგიური პრობლემისადმი მართლაც დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებდა; სწორედ მან შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ ანტუანს ასეთი ცხოველი ინტერესი განუვითარდა ადამიანების მიმართ. თუმცა, — მერამდენეჯერ დარწმუნდა ამაში? — რაშელთან ხანმოკლე ურთიერთობამ ათასნაირად შეცვალა იგი.

თვალებზე თითქოს ლიბრი გადაეკრა; დანაღვლიანდა. უძრავად იდგა, მხრები უმწეოდ ჩამოეყარა, ცერითა და საჩვენებელი თითით სამედიცინო ჟურნალი ეჭირა და აქნევდა. რაშელ... მუდამ გულის ტკივილით იგონებდა ამ უცნაურ ქალს, რომელმაც მეტეორივით გაიელვა მის ცხოვრებაში: ერთი

წერილიც არ მიუღია მისგან, თუმცა გულის სიღრმეში ეს ამბავი არც კი უკვირდა: ვერც წარმოედგინა, რაშელი თუ კიდევ ცოცხალი იყო ან ამქვეყნად სადმე არსებობდა! ალბათ, იქაურმა ჰავამ, ციებ-ცხელებამ საბოლოოდ მოუღო ბოლო... იქნებ, ცეცეს მსხვერპლი გახდა?.. ან, იქნებ, შემთხვევით მოჰკლეს? იქნებ, წყალში დაიხრჩო ან გაგუდეს?.. ყოველ შემთხვევაში, მკვდარი იყო: ამაში ეჭვი არ ეპარებოდა!

იგი წელში გასწორდა, ჟურნალი იდლიაში ამოიდო, წინოთახში გავიდა და ლეონს დაუძახა, სადილი მომიტანეო. უცებ ფილიპის ხუმრობა მოაგონდა. ერთხელ როცა ანტუანი ახლად მიღებულ ავადმყოფზე ცნობებს აწვდიდა პ ა ტ რ ო ნ ს, ფილიპმა მას ბეჭარზე დაადო ხელი და ხუმრობანარევი სერიოზულობით უთხრა:

— თქვენ უკვე მაშინებთ, ჩემო კარგო! ავადმყოფების ფსიქოლოგია უფრო გაინტერესებთ დღითი დღე, ვიდრე მათი დაავადება.

მაგიდაზე დადგმულ წვნიანს ოხშივარი ასდიოდა. ანტუანმა დაჯდომისთანავე იგრძნო დაღლილობა. „მაინც რა დიდებული ხელობა გვაქვს!“ — გაიფიქრა მან.

ერთბაშად ჟიზთან საუბარი გაახსენდა და ამ მოგონების მოსაშორებლად სასწრაფოდ ჟურნალი გადაშალა. ამაოდ! ჟიზის იქ ყოფნა მაინც იგრძნობოდა, და ანტუანს გულს უმძიმებდა. უკანასკნელი თვეების ეს აკვიატებული ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. როგორ მოხდა, რომ მთელი ზაფხულის მანძილზე ელოლიავებოდა ამ უსაფუძვლო ჩანაფიქრს? ამ დამსხვრეული ოცნების წინაშე ისევე გრძნობდა თავს, როგორც იმ თეატრალური დეკორაციის ნანგრევების წინ, პირწმინდად რომ ჩამოიშლება და უმნიშვნელო მტვერსღა მოიტოვებს უკან. ანტუანი არ იტანჯებოდა. სრულებით არ იტანჯებოდა, ოღონდ თავმოყვარეობა შელახვოდა. ყოველივე ეს წვრილმან, ბავშვურ, მისთვის შეუფერებელ ამბად ჩათვალა!

საბედნიეროდ, წინოთახში ზარის ხმა გაისმა ფრთხილად და ანტუანი ფიქრებიდან გამოიყვანა. ხელსახოცი მაშინვე მოიშორა... და ყური მიუგდო, სუფრაზე დადებული ხელი მაგრად მოეკუშა, მზად იყო წამომდგარიყო და ყოველგვარ მოულოდნელობას ღირსეულად შეხვედროდა.

ჯერ რაღაც მოლაპარაკებას, ქალების ჩურჩულს მოჰკრა ყური; ბოლოს კარი გაიღო და ანტუანის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლეონმა ყოველგვარი მობოდიშების გარეშე ორი ქალი შემოიყვანა. ბატონი ტიბოს მომვლელები იყვნენ. თავდაპირველად ანტუანმა ვერც კი იცნო ისინი სიბნელეში, მერე ერთბაშად გადაწყვიტა, ალბათ, ჩემს წასაყვანად მოვიდნენო, და ისე სწრაფად წამოდგა, სკამი გადაყირავდა.

— არა, არა! — დარცხვენით წამოიძახეს ქალებმა, — გვაპატიეთ, ბატონო ანტუან! არ გვეგონა ასე უდროოდ მოსვლა თუ გამოგვივიდოდა და შეგაწუხებდით!

„მე კი მეგონა, მამა მოკვდა-მეთქი!" — მშვიდად გაიფიქრა ანტუანმა და უცებ მიხვდა, როგორ შეჩვეოდა ამ აზრს. ძარღვების ანთებით გამოწვეული ემბოლია! ეს აზრი ღრმად ჰქონდა გონებაში გამჯდარი. და ახლა, როცა ის ხანგრძლივი ტანჯვა გაახსენდა, რისგანაც მხოლოდ სიკვდილს შეეძლო ეხსნა ავადმყოფი, ანტუანმა იმედის გაცრუებაღა იგრძნო.

— დაბრძანდით! — თქვა მან, — სადილს მოვათავებ, რადგან ამ საღამოს კიდევ ვარ მისასვლელი რამდენიმე ავადმყოფთან.

ქალები მაინც ფეხზე იდგნენ. მათი დედა, მოხუცი ჟანა, 25 წლის განმავლობაში მზარეულად მუშაობდა ბატონ ტიბოსთან, მაგრამ ბოლო დროს აღარაფერს აკეთებდა, რადგან ძალიან დაბერდა, ვენების გაგანიერება ჰქონდა, და თვითონვე აღიარებდა „ძველი გაბზარული ქოთანიღა ვარო". მისი ქალიშვილები ქურასთან უდგამდნენ სავარძელს და ჩვეულებისამებრ, ცეცხლსაჩხრეკით ხელში მთელ დღეებს იქ ატარებდა, პასუხისმგებლობის რაღაც ილუზიებს იქმნიდა: ყველაფერი, რაც კი სამზარეულოში ხდებოდა, მას უნდა სცოდნოდა, ზოგჯერ მაიონეზს დღვებდა და დილიდან საღამომდე რჩევა-დარიგებას აძლევდა ოცდაათ წელს გადაცილებულ შვილებს. უფროსი ქალიშვილი, კლოტილდა, ღონიერი, ერთგული, მაგრამ უხასიათო, ყბედი, თანაც შრომისმოყვარე, დედამისივით ენაწყლიანი და უბრალო, როყიო ქალი იყო, რადგან დიდხანს ფერმაში ემუშავნა სოფლად; დედის მაგივრად ახლა ის ასრულებდა მზარეულის მოვალეობას. მეორე, ადრიენი უფროს დაზე განათლებული, მონასტერში იზრდებოდა და მუდამ ქალაქში მუშაობდა; უყვარდა თხელი საცვლები, რომანსები, ყვავილების პატარა თაიგულები სამუშაო მაგიდაზე და წირვის მოსმენა წმ. თომა აქვინელის ეკლესიაში.

როგორც ყოველთვის, პირველად კლოტილდამ აიღო სიტყვა.

— დედაზე გვინდა მოგელაპარაკოთ, ბატონო ანტუან. სამი-ოთხი დღეა ვატყობთ, კარგად ვერ უნდა იყოს, წინ, მუცელთან, მარჯვენა მხარეს რაღაც შესიებული აქვს; ღამით სულ არ სძინავს საცოდავს, ხოლო დილით საპირფარეშოში რომ შევა, იქიდან მისი სლუკუნი გვესმის, ბავშვივით ტირის ხოლმე. მაინც მხნედ იტანს ტკივილებს და არაფერს გვეუბნება. იქნებ, შემოივლიდით ბატონო ანტუან?! ვითომ შემთხვევით მოხვედით... ასე არაა, ადრიენ? მერე კი, ვითომ შეამჩნევთ იმ ამობურცულ ადგილს წინსაფრის ქვეშ.

— ადვილი საქმეა! — თქვა ანტუანმა და უბის წიგნაკი ამოიღო. — ხვალ მოვიმიზეზებ რაიმეს და სამზარეულოში შევივლი.

სანამ კლოტილდა ლაპარაკობდა, ადრიენი თეფშებს უცვლიდა ახალგაზრდა ექიმს, საპურეს აწვდიდა, ერთი სიტყვით, ჩვეულებისამებრ ემსახურებოდა.

მას აქამდე ხმა არ ამოეღო. ახლა კი გაუბედავად მიუბრუნდა.

— როგორ ფიქრობთ, ბატონო ანტუან... ძალიან... ძალიან საშიშია?

„სიმსივნე, თუ სწრაფად იზრდება... — გაიფიქრა ანტუანმა, — მოხუცი ქალი ისეთ ასაკშია, რისკის გაწევა და ოპერაცია...“ მან ულმობელი სიზუსტით წარმოიდგინა რაც ხდება ასეთ შემთხვევაში: სიმსივნის საშინელი ზრდა, მისგან გამოწვეული გადაგვარება, სხვა ორგანოების თანდათანობითი ჩათრევა.. კიდევ უარესი: საშინელი და ნელი ხრწნა — რაც ამდენი განწირული ცოცხალი ადამიანის ხვედრია!

მან წარბი აზიდა, უკმაყოფილოდ გამოსწია ტუჩები და ლაჩრულად აარიდა თვალი ამ შეშინებულ გამოხედვას, რომლის წინაშე ვერ იცრუებდა. შემდეგ თეფშში გასწია და რაღაც გაურკვეველი მოძრაობით ჩაიქნია ხელი. საბედნიეროდ, გათქვირებულმა კლოტილდამ, რომელიც დუმილს ვერ იტანდა, სიჩუმე დაარღვია და ანტუანის ნაცვლად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება; ბატონმა ანტუანმა ჯერ უნდა გასინჯოს. მე ერთი რამ ვიცი მხოლოდ: ჩემი განსვენებული ქმრის დედა ბრონქიალური კატარისაგან მოკვდა, თუმცა თხუთმეტი წლის განმავლობაში რაღაც სიმსივნეს ატარებდა მუცლით.

## XI

თხუთმეტი წუთის შემდეგ ანტუანი უკვე ვერნეილის ქუჩაზე იყო, 37ა ნომრის წინ.

ვიწრო ბნელ ეზოს ძველი შენობები ერტყა გარს. ბინა № 3 მეშვიდე სართულზე იყო, დერეფნის შესასვლელთან, სადაც გაზის გულისამრევი სუნი იდგა.

კარი რობერმა გაუღო, ხელში ლამპა ეჭირა.

— როგორაა შენი ძმა?

— უკვე მორჩა.

ლამპის შუქზე მკაფიოდ მოჩანდა ბავშვის პირდაპირი, შეჭირვებული, ოდნავ მკაცრი, ნაადრევად მომწიფებული გამოხედვა და ენერგიისაგან დამაშრული სახე.

ანტუანს გაეღიმა.

— აბა, ერთი ვნახოთ.

ლამპა ჩამოართვა, მაღლა ასწია და მიმოიხედა. შუა ოთახში მუშამბა-გადაფარებული მრგვალი მაგიდა იდგა. ეტყობოდა, ანტუანის მოსვლამდე რობერი წერდა: მელნის თავახდილ ბოთლსა და თეფშების გროვას შორის კანტორის დავთარი იდო. თეფშზე დადებული ერთი ნაჭერი პური და ორი ვაშლი ღარიბულ „ნატურმორტს“ ქმნიდა. სუფთად მილაგებული ოთახი, თითქმის მყუდროდ გამოიყურებოდა. თბილოდა. ბუხრის წინ დადგმულ პატარა ქურაზე ჩაიდანი თუხთუხებდა.

ოთახის სიღრმეში წითელი ხის მაღალი საწოლი იდგა. ავადმყოფი მიუხვლოვდა.

— გეძინა?

— არა, ბატონო.

ჩანდა, ავადმყოფს ის-ის იყო გამოღვიძებოდა, წამომჯდარიყო, ჯანსაღ იდაყვს დაყრდნობოდა, თვალები დაეჭყიტა და თამამად იღიმებოდა.

მაჯისცემა მშვიდი ჰქონდა. ანტუანს დოლბანდის შეკვრა მოეტანა თან, ის ახლა პატარა მაგიდაზე დადო და ბანდის შემოხსნას შეუდგა.

— ქურაზე რას ადუღებ?

— წყალს. — რობერს გაეცინა. — მეკარე ქალმა ცაცხვის ფოთოლი მომცა და მის მოხარშვას ვაპირებდი.

უცებ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი:

— ხომ არ გინდათ? შაქრით იქნებ, გაგესინჯათ, ჰა? მითხარით, დალევთ?

— არა, არა, გმადლობთ! — მხიარულად უთხრა ანტუანმა, — მე ადუღებული წყალი ჭრილობის მოსაბანად მჭირდება, ერთი, სუფთა თეფშზე დამისხი! კეთილი. ახლა დავიცადოთ, სანამ გაგრილდებოდეს.

იგი ჩამოჯდა და ბიჭებს გადახედა, ისინი ძველი მეგობრებივით უღიმოდნენ. „წესიერი ბავშვები ჩანან. მაგრამ ვინ იცის?“ გაიფიქრა ანტუანმა. მერე უფროსს მიუბრუნდა.

— როგორ მოხდა, რომ თქვენს ასაკში ასე მარტოკანი ცხოვრობთ?

პასუხის ნაცვლად, რაღაც ბუნდოვანი ჟესტი, წარბების აზიდვაღა მიიღო, თითქოს ეუბნებოდნენ: „რას იზამო?“

— ნათესავები სად არიან?

— ოჰ, ნათესავები... — ისეთი ტონით წამოიწყო რობერმა, თითქოს დიდი ხნის ამბავი გაახსენესო, — წინათ დეიდასთან ვცხოვრობდით. — წამით ჩაფიქრდა და დიდ საწოლზე მიუთითა, — მაგრამ ათ აგვისტოს, შუ-

ალამეს გარდაიცვალა, უკვე ერთ წელზე მეტია. ცუდ დღეში ჩავვარდით, არა, ლულუ? საბედნიეროდ, ნეკარე ქალი ჩვენი მეგობარია. სახლის პატრონს არაფერი უთხრა და ჩვენც დავრჩით.

— ბინის ქირა?

— ვიხდით.

— ვინ იხდის?

— ჩვენ.

— ფული საიდან გაქვთ?

— დალახვროს ეშმაკმა! ვშოულობთ, ესე იგი მე ვშოულობ. რაც შეეხება ლულუს, აი, სწორედ აქა გვაქვს შეფერხება! რაღაც სხვა სამუშაო უნდა გამოვუძებნოთ. იგი ბროსთან მუშაობს, ხომ იცით, გრენელის ქუჩაზე რომაა? გასაგზავნ-გამოსაგზავნად აიყვანა. თვეში 40 ფრანკს აძლევს, ოღონდ არ აჭმევს. განა ამას ხელფასი ჰქვია? ჯერ მარტო ის იანგარიშეთ, რამდენ ლანჩას ცვეთს?!

ბიჭი გაჩუმდა და ცნობისმოყვარეობით დაიხარა, რადგან ანტუანმა კომპრესი მოაშორა ჭრილობას. ჩირქი ოდნავ შერჩენოდა მუწუკს. მკლავის სიმსივნეც დამცხრალიყო და ჭრილობაც თითქმის მოშუშებულიყო.

— მერე და შენ? — ჰკითხა ანტუანმა და კომპრესი ხელახლა დაასველა.

— რა მე?

— ბევრს შოულობ?

— ოჰ, მე... — რობერმა ისე ააწკლაპუნა ენა, ქარზე აფრიალებული დროშის ხმაური გეგონებოდათ.

— მე... როგორღაც ვახერხებ.

ანტუანმა გაკვირვებით ახედა და ამჯერად, თვალში ეცა ბიჭის მკაცრი, დაფიქრებული გამოხედვა და ენერგიული, ნებისყოფის გამომხატველი სახე.

ბიჭს უყვარდა ლაპარაკი. საარსებო საშუალების შოვნა — ეს იყო მთავარი, ერთადერთი თემა, რომელზედაც ღირდა სიტყვის ჩამოგდება; იმის შემდეგ, რაც აზროვნება დაიწყო, მისი ფიქრი აქეთკენ ისწრაფოდა განუწყვეტლივ.

მან ისე სხაპასხუპით გაანდო საიდუმლოება, თითქოს ეჩქარებოდა ყველაფერი ეთქვა.

— დეიდა რომ გარდაიცვალა, კანტორაში ვმუშაობდი და თვეში სამოციოდე ფრანკს ვიღებდი მხოლოდ. მაგრამ ახლა სასახლეშიც * ვიშოვე სამუშაო; ეს უკვე 120 ფრანკს შეადგენს. ამას გარდა, ბატონმა ლაპიმ, უფროსმა კლერკმა, დამავალა შემეცვალა იატაკის მწმენდავი, რომელიც

დილით, თანამშრომლების მოსვლამდე კანტორის იატაკს აპრიალებდა. ის ბებერი ზოზინა მხოლოდ წვიმიან დღეებში წმენდდა იატაკს, ისიც მხოლოდ იქ, სადაც ტალახი ჩანდა, ფანჯრის წინ. დარწმუნებული იყავით, მისი შეცვლით არაფერი წაუგიათ!.. მე კი 85 ფრანკი მომემატა. თანაც იატაკზე სრიალი ძალიან მომწონს!.. — მან დაუსტვინა — ამას გარდა, ჯერ სადა ხართ... სხვა ხერხიც ვიხმარე!

წამით შეყოყმანდა, დაიცადა, სანამ ანტუანი ხელახლა მოაბრუნებდა თავს მისკენ; რობერმა თითქოს თვალის ერთი გადავლებით საბოლოოდ აუღო ალღო ამ კაცს. და თუმცა, ალბათ, დამშვიდებული დარჩა, მაინც გადაწყვიტა სიფრთხილე გამოეჩინა და წინასიტყვაობით დაეწყო:

— ამას იმიტომ გიყვებით, რომ ვიცი, თქვენთან ყველაფრის თქმა შეიძლება. ოღონდ მუდამ ისე გეჭიროთ თავი, თითქოს არაფერი იცით. კარგი?

შემდეგ საკუთარი აღსარებით თავბრუდახვეულმა ხმას აუმაღლა და განაგრძო:

— ქალბატონ ჟოლენს თუ იცნობთ, თქვენი სახლის პირდაპირ, ნომერ 3ბ სახლის მეკარეს? ჰოდა, იცოდეთ, არსად არ თქვათ! თავისი კლიენტებისათვის პაპიროსებს აკეთებს... ზოგჯერ, იქნებ, დაგჭირდეთ? არა... სხვათა შორის, კარგი პაპიროსები აქვს, ძალიან რბილი და ძვირადაც არ ყიდის. აუცილებლად გაგასინჯებთ... ყოველ შემთხვევაში, ამბობენ, ასეთი რამ სასტიკად აკრძალულიაო. ჰოდა, პაკეტების დასარიგებლად და ფულის მისაღებად ისეთი ვინმე სჭირდება, ვისაც ვერ ჩაავლებენ. მე კი ამას ექვსიდან რვა საათამდე, სამსახურის შემდეგ ისეთი სახით ვაკეთებ, თითქოს ბუზს არ ვაფრენდე. სამაგიეროდ, ყოველ დღე, კვირა დღის გარდა, საუზმეს მაძლევს. საჭმელ-სასმელი კი, მოგეხსენებათ, კარგი აქვს, ვერ დაიწუნებ. ესეც თქვენი დანაზოგი! არაფერს ვამბობ ფეხის ქირაზე, რასაც კლიენტები მაძლევენ (სულ ფულიანი ხალხია): ზოგი ათ სუს მაძლევს, ზოგი ოცს, როგორც მოუხდებათ... ახლა ხომ გესმით, რომ ცოტცოტაობით რაღაცას ვჩალიჩობ...

სიჩუმე ჩამოვარდა. მისი ინტონაციით ანტუანი მიხვდა, რომ ბიჭს სიამაყით უბრწყინავდა თვალები. იმიტომ განზრახ არ ასწია თავი.

რობერმა ვეღარ მოითმინა და მხიარულად განაგრძო:

— საღამოს, როცა ლუი შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდება, თათარიახნათ ვამზადებთ ვახშამს: სუპს ან ერბო-კვერცხს, ან ყველს ვწვავთ: დუქანში სიარულს ეს გვირჩევნია; არა, ლულუ? ამას გარდა, იცით, ხანდახან მოლარისათვის სათაურებს ვწერ და ამით კიდევ ვერთობი. ძალიან

მიყვარს, მრავალი, კარგად გამოყვანილი ლამაზი ასოებით სათაურის წერა: მარტო სიამოვნებისათვისაც კი შეიძლება კაცმა ეს გააკეთოს. კანტორაში ისინი...

— ინგლისური ქინძისთავები მომაწოდე, — შეაწყვეტინა ანტუანმა.

მას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სრული გულგრილობით უსმენდა, ეშინოდა ბიჭს მეტისმეტად არ შეეტოპა და არ წარმოედგინა, ჩემი ყბედობით ექიმს გართობო. მიუხედავად ამისა, მაინც ფიქრობდა: „ეს ბავშვები იმის ღირსნი არიან, რომ ყურადღება არ მოვაკლო!"

ანტუანმა შეხვევა დაამთავრა, მტკივანი ხელი ბავშვს აშურმაზე ჩამოუკიდა და საათს დახედა.

— ხვალაც გამოვივლი, შუადღისას. შემდეგ კი შენ თვითონ ივლი ჩემთან. ვფიქრობ, პარასკევს ან შაბათს სამუშაოზე წასვლასაც შეიძლებ.

— გმ... გმად... გმადლობთ! — როგორც იქნა, ამოილუღლუღა პატარა ავადმყოფმა.

მისმა ხრინწიანმა ხმამ, თითქოს ფართო ასპარეზი იპოვაო, სიჩუმეში ისე სასაცილოდ გაიჟღერა, რობერს ხარხარი აუტყდა და ამ გაგუდულ თავშეუკავებელ სიცილში მეტისმეტად ნერვული ბიჭის მუდმივი დაძაბულობა ერთბაშად გამომჟღავნდა.

ანტუანმა ოცი ფრანკი ამოიღო საფულედან.

— აი, ბიჭებო! ამ კვირაში ამ ფულით იოლად წახვალთ!

მაგრამ რობერმა უკან დაიხია, წარბები შეჭმუხნა და თავი მაღლა აიღო.

— არაფრის გულისთვის! არასგზით არ ავიღებ! აკი გითხარით, რაც საჭიროა, ყველაფერი გვაქვს-მეთქი — და რომ საბოლოოდ დაერწმუნებინა ანტუანი, რომელიც ჩააცივდა და აღარ ეშვებოდა, ბიჭმა გაბედა და დიდი საიდუმლოებაც გაანდო: — იცით, ორივეს რამდენი გვაქვს გადადებული? მთელი კაპიტალი! აბა თუ მიხვდებით!.. ათას შვიდასი... დიახ, დიახ, ჩემო ბატონო! ლულუ, თქვი, ხომ მართალს ვამბობ? — ერთბაშად მელოდრამის ბოროტმოქმედივით დაუწია ხმას და დაუმატა: — იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს თანხა კიდევ გაიზრდება, თუკი ჩემი ჩანაფიქრი გაიჩარხება!..

თვალები ისე გაუბრწყინდა, ანტუანი კიდეც დაინტერესდა და კარის ზღურბლთან წამით შეჩერდა.

— ერთი ხრიკი მოვიგონეთ... მე და ჩვენი კანტორის მოხელის, ბასუს ძმამ, ღვინის, ზეთისხილისა და ზეთის კომისიონერმა. აი რა კომბინაციაა: სასამართლოში სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ნაშუადღევს — ეს კი არავის საქმე არაა, ხომ ასეა? რესტორნებში, საბაყლო და ღვინის მაღაზიებში

შევდივარ და საქონელს ვთავაზობ. ხელის გაჩვევაა საჭირო... ესეც იქნება! წარმოიდგინეთ, შვიდ დღეში ჟესტის ყუთებით კარგა ბლომად გავასაღე საქონელი! ორმოცდაოთხი ფრანკის მოგება დამრჩა. ბასუ ამბობს, ცოტას თავს თუ გაანძრევთ...

ანტუანი მეშვიდე სართულიდან ჩამოდიოდა და ჩუმჩუმად ეცინებოდა. ბიჭებმა საბოლოოდ მოიგეს მისი გული. ამ ორი ბავშვისთვის ყველაფერს გააკეთებდა. „არა უშავს! — ფიქრობდა იგი, — ოღონდ თვალყური უნდა ვადევნო, მეტისმეტად არ „გაანძრიონ თავი!"

## XII

წვიმდა. ანტუანმა ტაქსი დაიქირავა. რაც უფრო უახლოვდებოდა სენტ-ონორეს გარეუბანს, გუნება-განწყობილება მით უფრო უფუჭდებოდა, შუბლი ნაოჭებმა დაუფარა.

„ნეტავი, ყველაფერი მოთავებული დამხვდებოდეს!" — იმეორებდა იგი და ეკეს ბინის კიბეს მესამეჯერ აჰყვა ზანტად.

წამით კიდევ მიეცა იმედი, მგონი, ნატვრა ამისრულდაო: მოახლემ გაუღო კარი, უცნაური სახით მიუახლოვდა. ეტყობოდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ არა! ქალბატონ ეკეს საიდუმლოდ დაევალებინა, სანამ ექიმი ბავშვთან შევა, ჩემთან შემოიყვანე, მოსალაპარაკებელი მაქვსო.

ანტუანი თავის არიდებას ვეღარ მოახერხებდა: ოთახი გაჩახჩახებული იყო, კარი — ღია. შესვლისთანავე შეამჩნია, რომ ნიკოლს თავი ბალიშზე გადაეგდო. ახლოს მივიდა. ქალი არ განძრეულა. ჩასძინებოდა. მისი გაღვიძება არადამიანური საქციელი იქნებოდა. დასვენებული, გაახალგაზრდავებული, მშვიდი სახე ჰქონდა; მთელი დარდი და დაღლილობა ამ ძილს წაეღო თითქოს. ანტუანი სუნთქვაშეკრული უყურებდა ქალს, განძრევას ვერ ბედავდა, ეშინოდა ამდენი ნეტარება, თავდავიწყება და ბედნიერება არ ამოეკითხა მის სახის ნაკვთებზე, სადაც ღრმა მწუხარების კვალი უკვე გამქრალიყო. დახრილი ქუთუთოების სადაფისებური ელვარება, წამწამთა ორმაგი, ოქროსფერი მწკრივი, ეს უმწეო გაოგნება, ეს მიბნედილობა!.. რა ამაღელვებელი იყო ეს შეუნიღბავი სახე! რაოდენ მიმზიდველი იყო მოშვებული, მშვილდისებური პირი, ნახევრად გაპობილი, თითქმის უსიცოცხლო ბაგეები, რომლებიც შვებისა და იმედის მეტს არაფერს გამოხატავდნენ. „რატომაა მუდამ ასეთი მომხიბვლელი ჩაძინებული ახალგაზრდა ქალის სახე? — ფიქრობდა ანტუანი, — ან რა იმალება მამაკაცთა იმ უწმინდური სიბრალულის მიღმა, რაც ასე ადვილად იფეთქებს ხოლმე?!"

ანტუანი ფეხის წვერებზე შემობრუნდა, ჩუმად გავიდა და დერეფნის გავლით ბავშვის ოთახისაკენ გაემართა, საიდანაც მისი ხმაჩახლეჩილი, გაბმული კივილი ისმოდა. ანტუანმა მთელი ძალა მოიკრიბა, კარის სახელური გადაატრიალა, ზღურბლს გადააბიჯა, რათა ამ ოთახში დასადგურებულ ბოროტ ძალებს ხელახლა შებმოდა.

შუა ოთახში აკვანი იდგა, იქვე იჯდა ეკე, აკვანზე ხელი ჩამოედო და დინჯად არწევდა; აკვანის მეორე მხარეს მომვლელ ქალს თავი დაეხარა, ხელები წინსაფარში შეეყო და მისი პროფესიისათვის დამახასიათებელი მოთმინებით ელოდა თავის ჯერს; ისააკ შტუდლერს ხელახლა გადაეცვა ტილოს თეთრი ხალათი, გულზე ხელებგადაჯვარედინებული მიყრდნობოდა ბუხარს და ცალ ხელს შავ წვერზე ისვამდა.

როგორც კი მომვლელმა ქალმა ოთახში შემოსული ექიმი დაინახა, მაშინვე წამოდგა. ეკე თვალს არ აშორებდა ბავშვს, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო; ანტუანი აკვანს მიუახლოვდა; ეკემ მხოლოდ ახლა მიაბრუნა მისკენ თავი და ამოიოხრა. ბავშვი აქეთ-იქით აქნევდა თავის პატარა, გავარვარებულ ხელს. ანტუანმა სწრაფად წაატანა ხელი მაჯაზე, მაგრამ ბავშვის სხეული ისე დაიკლაკნა, როგორც ჭია იკლაკნება ხოლმე, როცა ქვიშაში ჩაძრომას ლამობს. გაწითლებული, მარმარილოსებრ აჭრელებული სახე ყურთან მიდებული ყინულის ბუშტივით ჩამუქებოდა; ნიკოლის თმასავით ქერა, წვრილ-წვრილი კულულები ოფლისა თუ კომპრესებისაგან დასველებოდა და შუბლსა და ლოყებზე მიკვროდა; ცალი თვალი ნახევრად გახელილი ჰქონდა, შესიებულ ქუთუთოსაგან გამომზირალი ამღვრეული გუგა ლითონის ანარეკლს ისროდა და მკვდარი პირუტყვის თვალს მოგაგონებდათ. აკვნის რწევისგან თავი მარჯვნიდან მარცხნივ ირხეოდა, რასაც თავისებურ აკომპანემენტს უქმნიდა წვრილი, ჩახრეწილი ყელიდან ამოსული კვნესა. თავაზიანი მომვლელი ქალი სტეთოსკოპის მოტანას აპირებდა, მაგრამ ანტუანმა ანიშნა, ნუ წუხდებითო.

— ეს ნიკოლმა მოიფიქრა, — უცნაური ტონით, თითქმის ხმამაღლა თქვა უცებ ეკემ და რაკი ანტუანი ვერ მიუხვდა და გაოცებით შეხედა, ნელა აუხსნა: — აკვანზე გეუბნებით!.. ნიკოლმა მოიფიქრა-მეთქი...

ბაგეზე მკრთალი ღიმილი დასთამაშებდა: მიუხედავად უკიდურესი დაბნეულობისა, ეტყობოდა, ასეთ წვრილმანებს დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

— დიახ... მის მოსატანად მეშვიდე სართულზე ავიდნენ, — დაუმატა მან. — ამ პატარა აკვნის მოსატანად... სხვენზე, სადაც იმდენი მტვერია... ხომ ხედავთ? მხოლოდ რწევა ამშვიდებს ოდნავ...

ანტუანი აღელვებული უყურებდა ეკეს. იგი მიხვდა, როგორი ღრმა თანაგრძნობაც არ უნდა გამოეჩინა, ამ მწუხარებას ვერაფრით ვერ შეუმსუბუქებდა. მან მკლავზე დაადო ხელი.

— ღალღილობისაგან ადამიანის ფერი არ გადევთ, მეგობარო. წადით, დაისვენეთ! ასე გადაქანცვა როგორ შეიძლება?

— უკვე მესამე ღამეა არ გძინავს! — კვერი დაუკრა შტუდლერმა.

— აბა, დაფიქრდით! — განაგრძო ანტუანმა და მისკენ დაიხარა. — სულ მალე... მთელი ძალ-ღონის მოკრება დაგჭირდებათ!

იგი რაღაც ფიზიკურ მოთხოვნილებას გრძნობდა, როგორმე აეგლიჯა ამ აკვნიდან ეს უბედური კაცი, რომ მთელი ეს აწაო ტანჯვა უგონო ძილს შეეცვალა.

ეკეს ხმა არ ამოუღია. ისევ ისე არწევდა ბავშვს. მაგრამ უფრო მოიხარა მხრებში, თითქოს ანტუანის მიერ წარმოთქმული „სულ მალე" აუტანელი სიმძიმით დააწვა მხრებზე. შემდეგ, ყოველგვარი ხელახალი რჩევა-დაყოლიების გარეშე, თვითონვე წამოდგა, მომვლელ ქალს ანიშნა, აკვანთან დამჯდარიყო; სახეზე დაპაღუპით სდიოდა ცრემლი, მაგრამ არც მოუწმენდია, ოღონდ თავი მიაბრუნა, იტყოდით, ვიღაცას ეძებსო. მერე ანტუანთან მივიდა, თავს ძალა დაატანა და სახეში შეხედა. თვალები ისე შესცვლოდა, ანტუანი გაოცებული დარჩა: აზლომხედველი თვალების ბასრი და მტკიცე გამოხედვა ჩაქრობოდა, გუგები ნელა, ძლივს მოძრაობდნენ, მძიმედ და მოდუნებულად მიჩერებოდნენ ანტუანს, სანამ ხმას ამოიღებდა, ჯერ ბაგეები ამოძრავდნენ.

— უნდა... უნდა ვიღონოთ რაიმე... — წაილუღლუღა ბოლოს. — საშინლად იტანჯება, გესმით?.. ტყუილად რად უნდა ვაწვალოთ, ხომ მართალია? იმდენი გამბედაობა უნდა გვეყოს, რომ რა... რაიმე გადავწყვიტოთ!..

გაჩუმდა, თითქოს შტუდლერის მხარდაჭერას უცდიდა; მერე მძიმე გამოხედვა ხელახლა მიაპყრო ანტუანს:

— თქვენ, ტიბო, თქვენ უნდა გააკეთოთ რამე!

და თითქოს პასუხის მოსმენის შეეშინდაო, თავი ჩაღუნა, გაუბედავი ნაბიჯებით გაიარა მთელი ოთახი და გავიდა.

ანტუანი ერთხანს ადგილზე მიჯაჭვულივით იდგა, შემდეგ ერთბაშად გაწითლდა, ათასნაირი ფიქრი აეშალა.

შტუდლერი მხარზე შეეხო.

— რას იტყვი? — დაბალი ხმით ჰკითხა მან და სახეში შეხედა.

შტუდლერის თვალები რომელიღაც ცხენის თვალებს მოგაგონებდათ: ბები შეეჭმუხნა. წინდაუხედავად დაძაბვოდა სახის კუნთები. რის გამო თავისუფლად დაცურავენ მუქი გუგები. მაგრამ ამჯერად. ეგეცი არ იყოს, მის თვალებსაც დაძაბული და მკაცრი გამომეტყველება მისცემოდა.

— რას აპირებ? — ყრუდ ჰკითხა მან.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მათი ფიქრები თითქოს ერთმანეთს გადაეჯაჭვა.

— მე? — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ანტუანმა. თუმცა მიხვდა, რომ შტუდლერი უბრალო განმარტებას არ დასჯერდებოდა. — დალახვროს ეშმაკმა, მეც კარგად ვიცი, რომ... — წამოიძახა მან უეცრად. — მიუხედავად ამისა, როცა ამბობს რაიმე უნდა ვიღონოთო, კაცი ისეთ სახესაც ვეღარ იღებს, თითქოს არაფერი ესმოდეს!

— სსუ.. — წაიჩურჩულა შტუდლერმა.

მან მომვლელ ქალს გადახედა, ანტუანი დერეფანში გაიყვანა და კარი მიხურა.

— შენც ხომ იმ აზრისა ხარ, რომ არავითარი სხვა გამოსავალი არაა.

— არავითარი.

— და რომ არავითარი, არავითარი იმედი არაა?

— არავითარი.

— მაშინ?

ანტუანმა იგრძნო, რომ ფრაზი მოაწვა და ჯიუტად გაჩუმდა.

— მაშინ? — გაიმეორა შტუდლერმა. — რაღას ვყოყმანობთ? დაე, რაც შეიძლება სწრაფად მოთავდეს ეს ამბავი!

— შენი არ იყოს, მეც ეს მინდა.

— მარტო სურვილი არ კმარა.

ანტუანმა თავი ასწია და მტკიცედ განუცხადა.

— სხვა საშუალება არაა.

— არის!

— არა!

დიალოგმა ისეთი მკვეთრი ხასიათი მიიღო, რომ შტუდლერი წამით გაჩუმდა.

— ნემსები... — კვლავ წამოიწყო მან. — პირადად მე არ ვიცი... იქნებ, დოზა რომ გაგვეძლიერებინა...

ანტუანმა სიტყვა გააწყვეტინა.

— გაჩუმდი!

საშინლად გაცხარდა. შტუდლერი ჩუმად აკვირდებოდა. ანტუანს წარბები შეეჭმუხნა, მისდაუნებურად დამაბვოდა სახის კუნთები, რის გამოც ყბები დაეჭიმა. ძვლიან სახეზე გადაჭიმული კანი დროდადრო ნაოჭებად ეკრებოდა, თითქოს კანსა და ხორცს შორის ნერვული ცახცახი უვლისო.

წამიც გავიდა.

— გაჩუმდი! — უფრო რბილად გაუმეორა ანტუანმა. — მე კარგად მესმის შენი. ყველას გვსურს, რაც შეიძლება სწრაფად შევწყვიტოთ ეს ტანჯვა, მაგრამ ასეთი ცთუ... ცთუნება მხოლოდ დებიუტანტს თუ მოუვა! ერთი რამ მაინც მთავარია: სიცოცხლეს მოწიწებით უნდა მოვეკიდოთ. დიახ, დიახ!.. სიცოცხლისადმი მოწიწება... შენ რომ ექიმი გამხდარიყავი, შენც ჩვენსავით შეხედავდი ამ ამბავს; ზოგიერთ კანონთა აუცილებლობა... ჩვენს უფლებებს საზღვარი აქვს! სხვაგვარად...

— ნამდვილი ადამიანის ერთგვარი საზღვარი — სინდისია!

— ჰოდა, მეც სწორედ სინდისი მაქვს მხედველობაში! პროფესიული სინდისი... აბა, დაფიქრდი, უბედურო! იმ დღეს, როცა ექიმები უფლებას მოიპოვებენ... სხვათა შორის, არც ერთი ექიმი, გესმის, ისააკ? არც ერთი...

— ჰოდა... — რადაცნაირი სტვენით წამოიყვირა შტუდლერმა.

მაგრამ ანტუანმა შეაწყვეტინა.

— ეკეს ასჯერ მაინც ჰქონია საქმე ასეთივე... გულის... გულისმომკვლელ, ასეთივე... უიმედო შემთხვევასთან! და არც ერთხელ, თვითონ, თავისი ნებით, ბოლო არ მოუღია... არასოდეს! არც ფილიპს! არც რივოს! არც ტრეიარს! და საერთოდ, არც ერთ ექიმს, რომელიც კი ღირსი ყოფილა ამ სახელის ტარებისა, გესმის? არასოდეს?!

— ჰოდა, — პირქუშად მიახალა შტუდლერმა, — თქვენ შესაძლებელია დიდი ქურუმები ბრძანდებით, მაგრამ ჩემი თვალსაზრისით, ლაჩრები ხართ და მეტი არაფერი!

მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ჭერზე ანთებულმა ნათურამ ერთბაშად გაანათა მისი სახე, რომლის გამომეტყველება უფრო მეტს ამბობდა, ვიდრე სიტყვები: არა მარტო აღშფოთება და ზიზღი, არამედ ერთგვარი გამოწვევა, რაღაც მუქარა, რაღაც ფარული გადაწყვეტილება იგრძნობოდა.

„კეთილი! — გაიფიქრა ანტუანმა, — თერთმეტ საათამდე დავიცდი, მერე კი მე თვითონ გავუკეთებ ნემსს".

მან აღარაფერი უთხრა შტუდლერს, მხრები შეიშმუშნა, ოთახში შებრუნდა და დაჯდა.

გარეთა დარაბებზე წვიმის განუწყვეტელი ტყლაშუნი, ფანჯრის თუთიის შემონაკერზე განზომილად დაცემული წყლის წვეთების ხმა, ბავშვის კვნესასთან შეწყობილი აკვნის განუწყვეტელი რწევა, ყველაფერი ეს ერთმანეთს გადახლართოდა და ღამის სიჩუმეში განწოვილი სიკვდილის სუნთქვა გულისმომკვლელ, უცილობელ ჰარმონიას ქმნიდა.

„წეღან ორჯერ თუ სამჯერ დამება ენა, „ხალიფის“ ბრალია, — გაიფიქრა ანტუანმა, რომელიც აქამდე ვერ დამშვიდებულიყო (ასეთი რამ იშვიათად ემართებოდა, და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ნიღბის აფარება უხდებოდა, მაგალითად, როცა მეტისმეტად აზრიანი პაციენტი უნდა მოეტყუებინა, ანდა როდესაც საუბარში იძულებულს გახდიდნენ ისეთი აზრისთვის დაეჭირა მხარი, რაზედაც საკუთარი შეხედულება ჯერ არ შეემუშავებინა. მან ცალი თვალი „ხალიფისკენ“ გააპარა, რომელიც ხელახლა მოკალათებულიყო ძველ ადგილას, ბუხარს მიყრდნობოდა. ანტუანს ერთბაშად თვალწინ წარმოუდგა სტუდენტი ისააკ შტუდლერი, რომელსაც პირველად ათი წლის წინ შეხვდა სამედიცინო ინსტიტუტთან. იმ ხანებში მთელი ლათინური კვარტალი იცნობდა „ხალიფს“, მიდიელ მეფეს რომ მიუგავდა წვერი, იცნობდა მის ხავერდოვან ხმას, გულიან სიცილს, ამასთანავე, მის ფანატიკურ, მეამბოხე, ფიცხ, მტკიცე ხასიათს. სხვაზე მეტად სწორედ მას უწინასწარმეტყველებდნენ ბრწყინვალე მომავალს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს გაიგეს, რომ მან თავი დაანება სწავლას, რათა საარსებო საშუალება ეშოვა: ამბობდნენ, მის ძმას, ბანკის ყოფილ თანამშრომელს, ფული გაუფანტავს და თავი მოუკლავსო. შტუდლერს რძალი და ძმისშვილი თავისთან გადმოუყვანია.

ბავშვის ხმამაღალმა კივილმა მოგონებების ძაფი გააწყვეტინა ანტუანს: იგი წამით დააკვირდა პატარა სხეულის კრუნჩხვებს; ცდილობდა შეემჩნია, რა სიხშირით მეორდებოდა ესა თუ ის მოძრაობა, მაგრამ ამ უთავბოლო ბორგვაში ისევე ვერაფერს ამოიკითხავდა კაცი, როგორც ყელგამოღადრული წიწილის ფართხალში. და აი მაშინ, ის მძიმე შეგრძნება, რასაც ანტუანი შტუდლერთან შეჯახებისას თავგამოდებით ებრძოდა, ერთბაშად სასოწარკვეთილებამდე გაეზარდა. საფრთხეში ჩაგდებული ავადმყოფის გადასარჩენად იგი ყოველგვარ რისკზე წავიდოდა, რას არ იღონებდა, მაგრამ ასეთ გამოუვალ მდგომარეობასთან შებრძოლება, ასე უმოქმედოდ ყოფნა, როცა გამარჯვებული მტერი მოახლოებულია, მის ძალას აღემატებოდა. ამას გარდა, ამ პაწაწინა ბავშვის გაუთავებელი კრუნჩხვები და გაურკვეველი ბოდვა განსაკუთრებულად უწეწდა ნერვებს. მით უმეტეს, ანტუანი შეჩვეული იყო ტანჯვის ნახვას, სულ პაწია ავადმყოფების წამების ნახვასაც კი, მაშ ამ სა-

დამოს რატომ ვერ გამოიჩინა გულგრილობა? ის, რაც ყოველი ცოცხალი არსების აგონიის დანახვაზე სულს გვიფორიაქებს, საიდუმლოებით მოცულ მოვლენად გვეჩვენება და გვაოცებს, იმ წუთში ისე საშინლად სტანჯავდა ანტუანს, თითქოს ამ სანახაობის მნახველთა შორის ყველაზე მოულოდნელი მისთვის იყო ეს ამბავი. ანტუანი გრძნობდა, რომ სულის სიღრმემდე დაუკოდეს გული: დაუკარგეს საკუთარი თავის რწმენა, მოქმედების, მეცნიერებისა და საერთოდ, სიცოცხლის რწმენა. იტყოდით, ცივი წყლის ნაკადმა ანაზდად დაფარაო. მთელმა სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა მის თვალწინ: აქ იყვნენ ისინი, ვისაც ანტუანი განწირულად თვლიდა... მარტო იმ დღეს გასინჯული ავადმყოფები რომ ჩამოეთვალა, საკმაოდ გრძელი ნუსხა გამოუვიდოდა: ოთხი თუ ხუთი სნეული, რომელიც საავადმყოფოში იწვა, იუგეტი, პატარა ერნესტი, ბრმა ჩვილი, ეს პატარა გოგო... და ვინ იცის, კიდევ რამდენი დაავიწყდა... თვალწინ წარმოუდგა სავარძელს მიკრული მამამისი, რძით დასველებული, ჩამოვარდნილი ქვედა ტუჩით... რამდენიმე კვირაში მრავალი დღეღამის წვალების შემდეგ, ეს კუნთმაგარი მოხუცი... ყველანი... ერთმანეთს მიყოლებით!.. და ამ საერთო უბედურებაში არავითარი აზრი არაა... „არა, ეს ცხოვრება უაზრობაა, ეს ცხოვრება ბოროტია!“ — ისეთი გაშმაგებით გაიფიქრა მან, თითქოს ვიღაც უტეხ ოპტიმისტს ეკამათებაო, მაგრამ ეს ჯიუტი, ცხოვრებით კმაყოფილი ბრიყვი კაცი თვითონვე იყო, დიახ, ჩვეულებრივი ანტუანი!

მომვლელი ქალი ფრთხილად წამოდგა.

ანტუანმა საათს შეხედა: ნემსის გაკეთების დრო იყო. შვება იგრძნო, რაკი ადგილი უნდა შეეცვალა, განმრეულიყო, რაღაც გაეკეთებინა; იგი თითქმის გამხიარულდა, როცა წარმოიდგინა, სულ მალე აქაურობას მოვშორდებიო.

მომვლელმა ქალმა სინით მოუტანა ყველაფერი, რაც სჭირდებოდა. ამპულა გადატეხა, შიგ ნემსი შეიყვანა და წამლის გარკვეული რაოდენობით შპრიცი აავსო. დანარჩენი სამი მეოთხედი კი ვედროში გადაასხა. მთელი ამ ხნის განმავლობაში შტუდლერის დაკვირვებულ მზერას აშკარად გრძნობდა.

ანტუანმა ბავშვს ნემსი გაუკეთა, ისევ დაჯდა და დაიცადა, სანამ ბავშვს ოდნავ მაინც შეუმსუბუქდებოდა ტკივილი, მერე დაიხარა და მაჯა გაუსინჯა. მაჯისცემა კვლავ ნელი იყო; მომვლელ ქალს ხმადაბლა რაღაც დაუბა-

რა. შემდეგ აუჩქარებლად წამოდგა, პირსაბანთან მივიდა, ხელები გაისაპნა, მერე უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი შტუდლერს და ოთახიდან გავიდა.

ვაჩახჩახებული და ცარიელი ბინა ფეხის წვერებზე გაიარა. ნიკოლის ოთახის კარი მიხურული იყო. რაც უფრო შორდებოდა იქაურობას, ბავშვის კვნესა უფრო ჩუმად ესმოდა. სადარბაზოს კარი ფრთხილად გააღო და გამოიკეტა. კიბეზე ჩასვლისას მიაყურადა: ჩამიჩუმი არ ისმოდა. ღრმად ამოისუნთქა შვებით და კიბე სწრაფად ჩაირბინა.

ქუჩაში გამოსულმა თავი ვერ შეიკავა და ჩაბნელებულ ფასადს შეხედა, რომლის გასწვრივ თითქოსდა საზეიმოდ განათებული ფანჯრების გრძელი რიგი ჩამწკრივებულიყო გისოსიანი დარაბებით.

წვიმას გადაეღო. ტროტუარების გასწვრივ კვლავაც სწრაფად მირაკრაკებდა მრავალი პატარ-პატარა რუ. შორს, ცარიელ ქუჩებზე, ნათურების ანარეკლი გუბეებს ალაპლაპებდა.

ანტუანს შეაჟრჟოლა. საყელო აიწია და ნაბიჯს აუჩქარა.

## XIII

ოჰ, წყლის ეს ხმაური, სახლების ეს სველი ფასადები... ერთბაშად ცრემლებით დანამული სახე წარმოუდგა თვალწინ: ეკე იდგა და თვალებით ჩაციებოდა: „თქვენ, ტიბო, თქვენ უნდა მოიფიქროთ რამე!"... ამ მძიმე ზმანების თავიდან მოშორება ძალიან გაუჭირდა. „მამის სიყვარული... ჩემთვის სრულიად უცნობი გრძნობაა მთელი ძალის დაძაბვა დაჭირდება მის წარმოსადგენად!" უცებ ყიჟი მოაგონდა: „ოჯახი... შვილები!" ფუჭი ოცნებაა, საბედნიეროდ განუხორციელებელიც! იმ საღამოს ქორწინებაზე ფიქრი არამც თუ ნაადრევად მიიჩნია, არამედ უაზრობადაც! „ეგოიზმი?" ჩაეკითხა თავისთავს. — „ლაჩრობა?" — ფიქრი სხვა თემაზე გადაიტანა: „თუკი ვინმე ლაჩრად მთვლის ამ წუთში, ეს ხალიფი იქნება!" და გაღიზიანებულმა კვლავ გაიხსენა დერეფანში შტუდლერის წინ კედელს მიკრული რომ იყო! გაიხსენა სიბრაზისაგან აჭარხლებული მისი დაბრეცილი სახე, მისი ჯიუტი გამოხედვა. ანტუანი ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ეს აბეზარი ფიქრები, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. „ლაჩარი" თუნდაც უსიამოვნოდ ისმოდა; მან სხვა სიტყვა გამოძებნა: „მხდალი". შტუდლერს მიაჩნია, რომ მე მხდალი ვარ. რა ბრიყვია!

ელისეის სასახლესთან * მივიდა. მუნიციპალური გვარდიის ყარაული ზომიერი ნაბიჯებით ამთავრებდა სასახლის ირგვლივ შემოვლას. ტროტუარზე კონდახის შეხების ხმა მოესმა და ძილში გარბენილი სახეებივით,

ვარაუდების მთელმა პროცესიამ ისე გაუელვა, ანტუანმა მათი მოგერიებაც ვერ მოასწრო: შტუდლერი მომვლელ ქალს გარეთ ისტუმრებს, ჯიბიდან შპრიცს იღებს... მომვლელი ქალი ბრუნდება, მაჯას უსინჯავს ბავშვს... პატარა გვამს... ეჭვები, დაბეზღება; დასაფლავების აკრძალვა, გვამის გაკვეთა... სასამართლოს გამომძიებელი, მუნიციპალური გვარდია... „ყველაფერს ჩემს თავზე ავიღებ!" — სწრაფად გადაწყვიტა ანტუანმა და თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა ყარაულს, რომელსაც წინ ჩაუარა. „არა.—გამომწვევად მოახსენა მის წარმოდგენაში გამოცხადებულ გამომძიებელს, — ჩემს გარდა არავის გაუკეთებია ნემსი. დოზა განზრახ გავზარდე. უიმედო ავადმყოფი იყო, პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ..." მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და ნაბიჯი შეანელა. „რა სულელი ვარ!" მაგრამ აშკარად გრძნობდა, ამ საკითხებზე ფიქრს ასე ადვილად ვერ მოეშვებოდა. „თუკი სხვის მიერ გაკეთებული სასიკვდილო ნემსის პასუხისმგებლობას ჩემ თავზე ვიღებ, ასე კატეგორიულად რაღაზედ ვთქვი უარი, მე თვითონ გამეკეთებინა ნემსი?!"

მას მუდამ აღიზიანებდა ასეთი პრობლემები, რომელთა არამცთუ საბოლოოდ გადაწყვეტა, არამედ სწრაფად და გონების დაძაბვით გარკვევა მის ძალას აღემატებოდა. გაიხსენა, შტუდლერთან საუბრის დროს როგორ აპილპილდა, როგორ დაება ენა. მართალია ამ საქციელისათვის თავისთავს არ კიცხავდა. მაგრამ რაღაც უსიამოვნო გრძნობა მაინც დარჩენოდა, თითქოს ისეთი როლი შეესრულებინოს, ისეთი სიტყვები წარმოეთქვას, რაც არც მის პიროვნებას შეეფერებოდა და არც მის ბუნებას; მას რაღაც ბუნდოვანი, მაგრამ აკვიატებული შეგრძნება ჰქონდა: ერთ დღეს ეს როლი და ეს სიტყვები სრულიად საწინააღმდეგო გახდებოდა მისი თვალსაზრისისა თუ საქციელისათვის. და, ეტყობა, შინაგანი გაკიცხვის ეს გრძნობა საფუძვლიანი იყო, რაკი მისი თავიდან მოშორება ვერ მოახერხა; რადგან, საერთოდ, საკუთარი საქციელის დაგმობა არ ახასიათებდა: სინდისის ქენჯნის ცნება სავსებით უცხო იყო მისთვის. უყვარდა თვითანალიზი და უკანასკნელ წლებში რაღაც გატაცებით, ცნობისმოყვარეობითაც კი აკვირდებოდა საკუთარ თავს, მაგრამ ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური ცნობისმოყვარეობა გახლდათ: კარგი თუ ცუდი მხარეებით თავისთავის შეფასება სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის ტემპერამენტს.

ახალი საკითხი წამოეჭრა, რომელმაც კიდევ უფრო გაუღრმავა ეჭვები: „იქნებ. თანხმობის მისაცემად უფრო მეტი ენერგიულობის გამოჩენა დამჭირდებოდა, ვიდრე უარის თქმისას?" ჩვეულებრივ, როცა ორ აზრს შორის ყოყმანობდა და საბაბს ვერ პოულობდა, რომელ მათგანისათვის მიეცა უპირატესობა, იგი იმას ირჩევდა ხოლმე, რომელიც ნებისყოფის მეტ დაძაბვას მოითხოვდა მისგან. გამოცდილება უკარნახებდა, რომ სწორედ ეს აზრი

სჯობდა. ახლაც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ დღესაც ნაკლები წინააღმდეგობა აირჩია და გაკვალულ გზას დაადგა.

მის მიერ წარმოთქმული ზოგი ფრაზა წამდაუწუმ ახსენდებოდა. ჟან შტუდლერს უთხრა: „სიცოცხლეს მოწიწებით უნდა მოვეკიდოთ..." ზოგ გამოთქმებს მუდამ უნდა ერიდოს კაცი: „სიცოცხლისადმი მოწიწება!" მოწიწება თუ ფეტიშიზმი!?

და აი, უცებ ერთი ამბავი მოაგონდა, რომელმაც თავის დროზე ძალიან გააოცა: ტრეგინეკელი ორთავა ბავშვის ამბავი.

თხუთმეტიოდე წლის წინ ტიბოს ოჯახი ბრეტონის ერთი ნავსადგურის ახლოს ისვენებდა ზაფხულში. იქაური მეთევზის ცოლს სავსებით ფორმირებული ორთავა მახინჯი ბავშვი დაებადა. დედ-მამა ეხვეწებოდა იქაურ ექიმს, მოჰკალით ეს ურჩხულიო; როცა ექიმმა უარი თქვა, მამა, ნამდვილი ალკოჰოლიკი, ახალშობილს მივარდა და საკუთარი ხელებით აპირებდა მის დახრჩობას; იძულებული გახდნენ შეეკრათ და სახლში ჩაეკეტათ. სოფელში დიდი ალიაქოთი გამოიწვია ამ ამბავმა და დამსვენებლების სალაპარაკო თემად იქცა. ანტუანი მაშინ თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა იყო და ახლაც ახსოვდა ის მწვავე კამათი, რაც მამამისთან, ბატონ ტიბოსთან მოუხდა; ეს იყო მამა-შვილის ერთ-ერთი პირველი ცხარე შეტაკება; ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი გულუბრყვილო პრინციპულობით ანტუანი აცხადებდა, ექიმს უფლება უნდა ჰქონდეს საბედისწეროდ განწირული არსებას დაუყოვნებლივ ბოლო მოუღოსო.

იგი შეშფოთდა, როცა მიხვდა, რომ მისი თვალსაზრისი ამ თავისებური შემთხვევის ირგვლივ საგრძნობლად არ შეცვლილა. „ნეტავი ფილიპი რას იტყოდა ამის თაობაზე? — გაიფიქრა მან. ეჭვი არ იყო: ანტუანი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ფილიპს ნაბალადევი სიცოცხლე აზრადაც არ მოუვიდოდა; უფრო მეტიც: თუ ახალშობილ მახინჯს რაიმე საფრთხე ემუქრებოდა, ფილიპი ყველაფერს გააკეთებდა ამ საცოდავის გადასარჩენად. ასევე მოიქცეოდა ტერინიეც, ლუაზილიც. ყველა... ყველა... ყველგან, სადაც კი სიცოცხლის ოდნავი ნიშანწყალი მაინც ჩანს, მოვალეობის შესახებ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს... ნიუფაუნდლენდის ჯიში... და მას მოეჩვენა, თითქოს ფილიპის დუდღუნა ხმა შემოესმა: „უფლება არა გვაქვს, ძვირფასო, უფლება არა გვაქვს!"

ანტუანი აჯანყდა: „უფლება?" კი მაგრამ, განა ჩემზე უკეთ არ მოგეხსენებათ, რას ნიშნავს უფლების, მოვალეობის ცნებები?! ბუნებრივი კანონების გარდა სხვა არავითარი კანონი არ არსებობს. მათ მართალია ვერ ავუხვევთ გვერდს. მაგრამ ეს ეგრეთწოდებული მორალის კანონები რაღა?

საუკუნეთა მანძილზე ჩვენში დანერგილი ჩვეულებათა კრებულია... ესაა და ეს...ოდესღაც, იქნებ, მართლა აუცილებელი იყო იგი ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებისათვის, მაგრამ დღეს? ნუთუ საღად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია ჰიგიენისა და საერთო ცხოვრების ამ ძველ წესებს რაღაც წმინდა მნიშვნელობა, „კატეგორიული მოთხოვნის ხასიათი მისცეს?“ და რაკი პ ა ტ რ ო ნ ი ს პასუხი ვეღარ მოისმინა, ანტუანმა მხრები აიწურა, ხელები პალტოს ჯიბეში ჩაიწყო და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

იგი მიდიოდა, აქეთ-იქით არ იყურებოდა და ამჯერად, თავისთავს ეკამათებოდა: „ჯერ ერთი. ფაქტია! ჩემთვის არავითარი მორალი არ არსებობს: ვალდებული ვართ, ვალდებული არა ვართ, ბოროტება, სიკეთე — ჩემთვის ლიტონი სიტყვებია: ამ სიტყვებს სხვისი მიბაძვით ვხმარობ, უბრალოდ, ცნებები საუბრის დროს მოსახერხებელია; მაგრამ გულის სიღრმეში ათასჯერ შემინიშნავს, რომ ეს ამბავი არავითარ რეალურ ცნებას არ შეესატყვისება. მე მუდამ ასეთი ვიყავი... არა, ეს უკვე მეტისმეტი იქნება!.. მე ასეთი გავხდი მას შემდეგ, რაც... — რაშელის სახემ გაუელვა, — ყოველ შემთხვევაში, უკვე დიდი ხანია!“ წამით ცდილობდა გაერკვია, რა! პრინციპები წარმართავდა მის ყოველდღიურ ცხოვრებას, მაგრამ ვერაფერი იპოვა; უკეთესის უქონლობის გამო ბოლოს ესღა გადაწყვიტა, „იქნებ, ერთგვარი გულწრფელობა?“ შემდეგ დაფიქრდა და დააზუსტა: „ან უკეთ, ერთგვარი შორსმჭვრეტელობა?“ ეს აზრი სულმთლად გარკვეული არ იყო; მიუხედავად ამისა, ეს აღმოჩენა ჯერჯერობით აკმაყოფილებდა: „დიახ, რა თქმა უნდა, ეს დიდი არაფერია, მაგრამ როცა საკუთარ გულში ვიხედები, სწორედ შორსმჭვრეტელობის მოთხოვნილებაა ერთ-ერთი ის ზუსტი მონაცემი, რასაც იქ ვპოულობ... შესაძლებელია, ჩემდაუნებურად, პირადი მოთხოვნილების გამო, რაღაც მორალური პრინციპი შევქმენი მისგან... მაშინ ეს ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: სრული თავისუფლება, ოღონდ ნათელხილვის პირობით... კაცმა რომ თქვას, ეს საკმაოდ სახიფათო პრინციპია. მაგრამ მე ცუდად არ გამომდის. ყველაფერი თვალის ხარისხზეა დამოკიდებული... ნათლადხედვა... საკუთარ თავს იმ შეუნიღბავი, გამჭრიახი, ობიექტური თვალით უნდა დააკვირდე, როგორსაც ცხოვრებისეულ ლაბორატორიაში შეიძენ. ცინიკურად უნდა შეხედო საკუთარ აზრებსა და საქციელს. ამის შედეგად საკუთარ თავზე იმ აზრისა უნდა იყო, როგორიც სინამდვილეში ხარ! მერე?.. მერე და ის, რომ მე მზად ვიქნები ვთქვა: ყველაფერი ნებადართულია... ყველაფერი ნებადართულია, თუკი საკუთარ თავს არ ატყუებ; თუკი. შესაძლებლობის ფარგლებში იცი, რას აკეთებ და რატომ აკეთებ!“

მაშინვე მწარედ გაეცინა: „ყველაზე მეტად ის მიბნევს თავგზას, რომ

თუკი ყურადღებით დავუკვირდები ჩემს ცხოვრებას — ამ ევროპულ და ეგრეთწოდებულ „სრულ თავისუფლებას“, რისთვისაც არ არსებობს არც სიკეთე, არც ბოროტება, — იგი თითქმის მხოლოდ იმისთვისაა განკუთვნილი, რასაც სხვები სიკეთეს უწოდებენ. ხოლო მთელ ამ დიდებულ გათავისუფლებას სანამდე მივყავართ? ვაკეთებთ არა მარტო იმას, რასაც სხვები აკეთებენ, არამედ უმთავრესად, რასაც ისინი აკეთებენ, ვისაც, მოარული მორალი საუკეთესოებს უწოდებს! საბუთი: საბუთი ისაა, რაც ამ საღამოს მოხდა. იქნებ მე, ფაქტიურად და ჩემდაუნებურად, იმავე მორალურ კანონებს ვემორჩილები, რასაც ყველა? ფილიპს, ალბათ გაეცინებოდა... მიუხედავად ამისა, არ შემიძლია ვიფიქრო, თითქოს ადამიანისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი პირუთვნელობით მოიქცეს, თუნდაც-უფრო დესპოტურად, ვიდრე ამას მისი ინდივიდუალური ინტერესები მოითხოვს: მაშ, დღევანდელი ჩემი საქციელი როგორღა ავხსნათ? პირდაპირ გასაოცარია, მოქმედება რაოდენ დამოუკიდებელია მსჯელობისაგან, როგორ არ ეთანხმებიან ისინი ერთმანეთს! რადგან უნდა გამოვტყდეთ, გულის სიღრმეში მე სავსებით ვეთანხმები შტუდლერს. იმ უსუსურ მოსაზრებებს, რაც მე მას წავუყენე, ჩალის ფასი აქვთ. ლოგიკურად სწორედ ის მსჯელობს: ბავშვი ამაოდ იტანჯება; გამოსავალი ამ საშინელი ბრძოლიდან გარდუვალია. გარდუვალი და ცხადია. მაშასადამე? თუკი დავუფიქრდებით, სიკვდილის დაჩქარება საუკეთესო გამოსავალი იქნება: არა მარტო ბავშვისათვის, არამედ ქალბატონ ეკესთვისაც. აშკარაა, რომ იმ მდგომარეობაში რომელშიც ახლა დედა იმყოფება, ამ გაუთავებელი აგონიის ნახვა საკმაოდ სახიფათოა... ეკემ, რასაკვირველია, ამაზე უკვე იფიქრა... ამაში ვერ შეედავება კაცი: თუ მსჯელობებით დავკმაყოფილდებით, ამ არგუმენტების ფასი უდავოა. მაგრამ საოცარია, რომ ლოგიკური მსჯელობით არასოდეს ვკმაყოფილდებით! ამას ჩემი ლაჩრობის გასამართლებლად კი არ ვამბობ! მე ახლა პირისპირ ვდგავარ ჩემს სინდისთან და კარგად ვიცი: ის, რის გამოც ამ საღამოს უკან დავიხიე, უბრალო ლაჩრობით არ მომსვლია. არა. ეს რაღაც ისეთივე აუცილებელი, ისეთივე ძლიერია, როგორც ბუნების კანონი. თუმცა მაინც ვერ გამიგია, რა არის!“

ანტუანმა მრავალი ახსნა-განმარტება მოიშველია. ხომ არ იყო ეს ერთ-ერთი იმ გაურკვეველ აზრთაგანი, — სხვათა შორის, მათ არსებობაში ეჭვი არ ეპარებოდა, — რომლებიც ჩვენში თვლემენ სხვა, უფრო ნათელ აზრთა საფარქვეშ, შემდეგ დროდადრო იღვიძებენ, წამოიშლებიან, მართვის საჭეს ხელთ იგდებენ, მოქმედებას იწყებენ, მერე კი ხელახლა ასევე უცნაურად ჰქრებიან ჩვენი საკუთარი „მე“-ს სიღრმეებში? ან, იქნებ, სჯობდა დასაშვებად მიგვეჩნია, რომ არსებობს რაღაც კოლექტიური მორალური კანონი,

და რომ ადამიანისათვის თითქმის შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთპიროვნულად მოქმედება.

ასე ეგონა, თვალახვეული ტრიალებდა ერთ ადგილას, ცდილობდა, ზუსტად გაეხსენებინა ნიცშეს * ერთი ფრაზა: ადამიანი პრობლემა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი გადაწყვეტა. ოდესღაც ეს პრინციპი უდავოდ მიაჩნდა, მაგრამ ახლა წლიდი-წლობით რწმუნდებოდა, რომ მასთან შეგუება თანდათან უფრო უჭირდა. ხშირად ჰქონია შემთხვევა დაედგინა, რომ ზოგიერთი მისი გადაწყვეტილება (ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად უეცარი და ხშირად — ყველაზე მნიშვნელოვანი) მის ყოველდღიურ ლოგიკას ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, რამდენჯერმე კითხვაც კი მიუცია თავისთავისთვის: „ვარ თუ არა ნამდვილად ის, ვინც მე მგონია?“ ეს იყო უეცარი და სწრაფი დაეჭვება, იმ ელვის დარი, წყვდიადს რომ გახლეჩს ხოლმე ერთი წამით, რათა მერე უფრო კუნაპეტი გახადოს ღამე; ეჭვი, რომელსაც დაუყოვნებლივ იშორებდა თავიდან, და რომელიც ამ საღამოსაც მოიგერია.

ამაში შემთხვევამ უშველა. რუაიალის ქუჩას მიუახლოვდა და საფუნთუშის სარდაფის სასულედან ახალგამომცხვარი პურის სუნი ეცა სახეში; იგი სუნთქვასავით თბილი იყო და ფიქრებით სულ სხვა სამყაროში გადაიყვანა. დაამთქნარა. მიმოიხედა. განათებულ რესტორანს ეძებდა ახლომახლო; შემდეგ გადაწყვიტა „ფრანგული კომედიის“ თეატრამდე მისულიყო და ხემთან რამე ეჭამა; ზოგჯერ, ღამით, სანამ ხიდზე გაივლიდა, ამ პატარა ბარში შეივლიდა ხოლმე, რომელიც დღე და ღამე ღია იყო.

„მაინც რა უცნაურობაა! — გამოუტყდა იგი თავისთავს ცოტა ხნის წინანდელი დუმილის შემდეგ; — ამა თუ იმ აზრს ანაოდ დააყენებ ეჭვქვეშ, ანაოდ მოსპობ, ამაოდ მოიშორებ თავიდან; როგორც არ უნდა ეცადო, მაინც არის ერთი გარდუვალი რამ, რასაც ვერავითარი ეჭვი ვერ შეარყევს: ადამიანს მოთხოვნილება აქვს თავისი გონება ირწმუნოს... ამის საბუთი ერთი საათის წინ მივეცი საკუთარ თავს!“ იგი დაღლილობისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობამ მოიცვა. ამიტომაც ცდილობდა ეპოვა რაიმე იაფთი აქსიომა, რაც სულიერ სიმშვიდეს აღუდგენდა. „ყველაფერი კონფლიქტია! ჩანტად დაასკვნა მან. — ეს არაა ახალი ამბავი; ის, რაც ახლა ჩემში ხდება, საერთო მოვლენაა, ყოველი ცოცხალი არსების მოურიგებლობაა, შინაგანი ბრძოლაა!“

ერთხანს ისე მიდიოდა, გარკვეულად არაფერზე ფიქრობდა. საცაა ბულვარები აფუსფუსდებოდა. ქუჩები სავსე იყო ღამით მოსეირნე, უკიდურესად გულმოწყალე ქალებით, რომლებსაც ანტუანი თავაზიანად იგერიებდა.

ნელ-ნელა მისმა ბუნდოვანმა ფიქრებმა გარკვეული სახე მიიღო. „მე ვცოცხლობ, — გაიფიქრა ბოლოს, — ეს ფაქტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

არჩევანსა და მოქმედებას არ ვწყვეტ. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ სწორედ აქ იწყება წყვდიადი: რისი გულისთვის ხდება ეს არჩევანი, ეს მოქმედება? არ ვიცი. იმ შორსმჭვრეტელობისათვის ხომ არა, რაზედაც ახლახან ვფიქრობდი? არა... თეორიებია!.. არსებითად, არც ერთი ჩემი გადაწყვეტილება ან მოქმედება ამ ნათელხედვით არასოდეს არ ყოფილა მოტივირებული. ეს შორსმჭვრეტელობა მხოლოდ იმის შემდეგ იჩენს თავს, როცა მოქმედება უკვე შესრულებულია, რათა ჩემ მიერ ჩადენილი საქციელი ჩემივე თვალში გაამართლოს... მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც მე მოაზროვნე არსება ვარ, ვგრძნობ, მე მამოძრავებს, დავუშვათ, რაღაც ინსტინქტი, რაღაც ძალა, რომელიც ქვეშეცნეულად მაიძულებს ავირჩიო ეს და არა ის, მოვიქცე ასე და არა სხვაგვარად. და აი, ყველაზე მეტად სწორედ ეს მიბნევს თავგზას, ვამჩნევ, რომ *ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებებს არასოდეს არ ჩავდივარ.* მაშასადამე, ყველაფერი ზუსტად ისე ხდება, თითქოს მე რაღაც გარდუვალ კანონს ვემორჩილებოდე... ჰო, მაგრამ, სახელდობრ რომელს? არ ვიცი! მუდამ, როგორც კი ჩემი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში ეს შინაგანი მისწრაფება მაიძულებს გარკვეულ გზას დავადგე და ამ მიმართულებით ვიმოქმედო, თავს ამაოდ ვეკითხები: *რისი გულისთვის?* და მუდამ გაუღწეველ კედელს ვაწყდები. ვგრძნობ, რომ თავდაჯერებული ვარ, ვარსებობ, კანონიერად ვიქცევი, მიუხედავად ამისა, ყოველგვარ კანონსგარეშე ვიმყოფები. დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერც წარსულ დროთა დოქტრინებში მიპოვია, ვერც თანამედროვე ფილოსოფიაში და ვერც საკუთარ თავში; სავსებით აშკარად ვხედავ ყველა იმ წესს, რომლის მიღება არ შემიძლია, სამაგიეროდ, ვერ მიპოვია ვერც ერთი ისეთი კანონი, რომელსაც შეიძლებოდა დავმორჩილებოდი: კოდიფიცირებულ მოსაზრებათა შორის არასოდეს, შორიდანაც კი არც ერთი არ მიმიჩნევია ჩემ შესაფერისად ან ისეთად, რომელიც ჩემი საქციელის ახსნას შესძლებდა. მიუხედავად ამისა, მაინც წინ მივდივარ; მივდივარ მხნედ, უყოყმანოდ და თითქმის პირდაპირ! განა უცნაური არაა? მე ვგავარ სწრაფმავალ ხომალდს, რომელიც გაბედულად მიცურავს თავისი გზით, ხოლო მისი ბოცმანი მუდამ უკომპასოდაა... მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ მე რაღაც წესრიგს ვემორჩილები! მე მგონია, ამას კიდეც ვგრძნობ: მთელი ჩემი ბუნება მოწესრიგებულია. მაგრამ რა არის ეს წესრიგი?.. კაცმა რომ თქვას, ბედს არ ვუჩივი. ბედნიერი ვარ, სულაც არ მინდა ვიყო სხვაგვარი; უბრალოდ, მინდოდა გამეგო, მაინც რატომ ვარ ასეთი-მეთქი! და ამ ცნობისმოყვარეობაში ერთი ბეწო შიშიც ირევა. ნუთუ ყოველი ადამიანის წინაშეა ასეთი გამოცანა? ვიპოვი კი ოდესმე ჩემი გამოცანის გასაღებს? შევძლებ კი,

ზუსტად ჩამოვაყალიბო ჩემი კანონი? მეცოდინება კი ოდესმე — რისი გულისთვის?!"

ანტუანმა ნაბიჯს აუჩქარა: მოედნის მეორე მხარეს ზემის ბარის განჩახჩახებული ფირნიში შეამჩნია და იმ წუთს შიმშილის გრძნობამ სხვა ყველა გრძნობა დათრგუნა.

ანტუანი ისე სწრაფად შევარდა შესასვლელში, რომ ფეხი წამოკრა ხამანწკებით სავსე კალათს, რომელსაც ზღვის მწკლარტე სუნი დაეყენებინა დერეფანში.

ბარი სარდაფში მოეწყოთ, სადაც ვიწრო და დახვეული, კოპწია და იდუმალი კიბით ჩადიოდნენ. მიუხედავად შუაღამისა, დარბაზი სავსე იყო; დამის კლიენტები მაგიდას უსხდნენ და თბილ, ჩამოწოლილ ბუღში გახვეულიყვნენ: სიგარების ბოლი, სპირტისა და სამზარეულოს სუნი მოზუზუნე ვენტილატორების წყალობით ერთმანეთში არეულიყო. მწვანე ტყავგადაკრული, გაპრიალებული წითელი ხის ავეჯი ამ დაბალჭერიან, წაგრძელებულ, უფანჯრებო სადგომს, ხომალდში გამართულ თამბაქოს მოსაწევ ოთახს ამსგავსებდა.

ანტუანმა თავისუფალი ადგილი დაიკავა, პალტო გრძელ სკამზე მიაგდო და დაჯდა. განცხრომის გრძნობას მთელი არსებით მიეცა უკვე. მაგრამ თითქმის იმ წამსვე თვალწინ წარმოუდგა ბავშვის ოთახი, ოფლში გაღვრილი პატარა სხეული, რომელიც ამაოდ ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა სიკვდილს; ყურებში კვლავ ესმოდა აკვნის საბედისწერო რწევა, რაც ტაქტის გამომთვლელ ფეხის კაკუნს წააგავდა... იგი შეკრთა და სუნთქვა შეეკრა.

— მარტო ბრძანდებით?

— მარტო. როსტბიფი, შავი პური და ვისკი დიდი ჭიქით, უსოდოთ, ერთი სურა ცივი წყლით.

— ყველის სუპს * ხომ არ ინებებდით?

— მოიტანეთ!

წყურვილის აღსაძვრელად ყოველ მაგიდაზე თხელ, გრძელ ნაჭრებად დათლილი, მარილით დაჭირხლული, შემწვარი კარტოფილით სავსე ლამბაქები იდგა. სანამ ამ ბარის საფირმო კერძს — ნელცეცხლზე მოხარშულ, ქაფიან, სქელ ხახვის სუპს მოუტანდნენ გრიუერის ყველით, ანტუანი ისეთი სიამოვნებით ახრამუნებდა კარტოფილს, რომ მიხვდა, ძალიან მოშიებოდა.

მის ახლოს ვიღაცები იდგნენ, ხმამაღლა მოითხოვდნენ ტანსაცმელს. ამ ხმაურიან კომპანიაში იყო ერთი ახალგაზრდა ქალიც, რომელიც ჩუმ-

ჩუმად უთვალთვალებდა ანტუანს. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა; ქალმა შეუმჩნევლად გაუღიმა. ნეტავი სად უნახავს ეს გადატკეცილი, ბრტყელი სახე, სწორი წარბები, ვიწრო, ოდნავ ირიბი თვალები? ნამდვილი იაპონური გრავიურაა! ქალმა ისე მოხერხებულად, სხვებისგან დაფარულად, მრავლისმეტყველად ანიშნა, რომ ანტუანს გულში გაეცინა. ოჰ, ეს ხომ მენატურე იყო! იგი არაერთხელ უნახავს დანიელ დე ფონტანენთან ძველ სახელოსნოში, მაზარინის ქუჩაზე. განსაკუთრებით ერთი სეანსი დაამახსოვრდა: ზაფხულის საშინლად ცხელი ნაშუადღევი; მოაგონდა დრო, განათებაც, ქალის პოზაც, მოაგონდა მისი მღელვარება, რამაც ადგილზე მიაჯაჭვა. თუმცა ბავლიან ერქარებოდა... ახლა თვალი გააყოლა მიმავალ ქალს. ნეტა რას ეძახდა მას დანიელი? მისი სახელი ჩაის რომელიღაც მარკას ჰგავდა... სანამ კარს მიეფარებოდა, ქალი მობრუნდა. ანტუანს გონებაში ჩარჩა მისი ბრტყელი, სწორი, ნერვული ტანი...

რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ ეგონა, ჟიზი მიყვარსო, სხვა ქალს ადგილი არ ჰქონია მის ცხოვრებაში. სინამდვილეში. ქალბატონ ჟაკენთან დაშორების შემდეგ (მათი კავშირი ორიოდე თვე გრძელდებოდა და კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა), მას საყვარელი არც ჰყოლია. ამის გამო ახლა რამდენიმე წამს სინანულიც კი იგრძნო. შემდეგ ვისკი მოსვა. რომელიც ის-ის იყო მიეტანათ, სასუპეს ხუფი ახადა და იქიდან ამოვარდნილი სასიამოვნო ოხშივარი ხარბად შეისუნთქა.

ამ დროს შვეიცარი მიუახლოვდა და დაჭმუჭნილი, ოთხადგადაკეცილი ქაღალდი გაუწოდა. რომელიღაც მიუზიკ-ჰოლის პროგრამა იყო. კუთხეში ფანქრით მიეწერათ: „ზემმ. ხვალ, საღამოს 10 საათზე?“

— პასუხს ელოდებიან? — მხიარულად იკითხა გაოცებულმა ანტუანმა.

— არა, ქალი უკვე წავიდა! — უპასუხა შვეიცარმა.

ანტუანმა გადაწყვიტა ყურადღება არ მიექცია ამ დაპატიჟებისათვის.. მიუხედავად ამისა, ქაღალდი ჯიბეში ჩაიდო და ვახშმობას შეუდგა.

„ცხოვრება შესანიშნავი რამაა! — გაიფიქრა უცებ. მოულოდნელად, მხიარული ფიქრები აეშალა: — დიახ, მიყვარს ცხოვრება. — მტკიცედ განუცხადა თავისთავს. შემდეგ წამით ჩაფიქრდა, — ბოლოს და ბოლოს, მე არავინ მჭირდება“. ჟიზის სახებამ წამით გაურბინა თვალწინ. მიხვდა, რომ ცხოვრება, თვით უსიყვარულოც კი, საკმარისი იყო იმისთვის, რომ ბედნიერად ჩაეთვალა თავი. სიამოვნებით გამოუტყდა საკუთარ თავს, ჟიზის ინგლისში ყოფნის დროს, უმისოდაც შესანიშნავად ვიყავით: თანაც განა ქალს

ოდესმე დიდი ადგილი ეჭირა მის ბედნიერებაში? რაშელს? რაშელს, დიახ!.. მაგრამ ვინ იცის, რა მოხდებოდა, რაშელი რომ არ წასულიყო?!. და თანაც, განა ამგვარი ვნებებისაგან საბოლოოდ არ განიკურნა? იმ გრძნობას, რაც მას ჟიზისადმი ჰქონდა, ამ საღამოს ვერ გაბედავდა და სიყვარულს ვერ დაარქმევდა. სხვა სიტყვას ეძებდა. გატაცება?.. რამდენიმე წამს კიდევ ფიქრობდა ჟიზზე. გადაწყვიტა, ბოლომდე გამოერკვია, ამ უკანასკნელ თვეებში რა ხდებოდა მის გულში? ერთი რამ უდავო იყო: ჟან თანდათანობით თვითონვე შექმნა ჟიზის ერთგვარი ხატება, რომელიც სავსებით განსხვავდებოდა ნამდვილი ჟიზისაგან... და ჯერ კიდევ დღეს... მაგრამ ასეთი შედარების მოხდენა საჭიროდ აღარ ჩათვალა.

მან წყლით შეზავებული ვისკი მოსვა, როსტბიფის ჭამას შეუდგა და გულში იმეორებდა, ცხოვრება მიყვარსო.

მისი აზრით, ცხოვრება, უპირველესად ყოვლისა, გაშლილი, ფართო სივრცე იყო, საითკენაც ენთუზიაზმით უნდა მიისწრაფოდეს მისებრ ენერგიული ადამიანი; და როცა ამბობდა, ცხოვრება მიყვარსო, იმის თქმა უნდოდა, რომ საკუთარი თავი უყვარდა, საკუთარი თავისა სჯეროდა. მიუხედავად ამისა, როცა თავის პირად ცხოვრებას გადაავლებდა თვალს, იგი მას წარმოუდგებოდა არა მარტო მანევრებისათვის მოსახერხებელ სარბიელად, შესაძლებელ კომბინაციათა უსაზღვრო ერთობლიობად, არამედ, უმეტესწილად, მკვეთრად გამოხატულ გზად, სწორ, პირდაპირ ხაზად, რომელსაც უცილობლად მიჰყავდა სადღაც წინ!

იგრძნო, ნაცნობი ზარი შეარხია, რომლის ჟღერას მუდამ სიამოვნებით უგდებდა ყურს. „ტიპო? — წაუჩურჩულა შინაგანმა ხმამ. — 32 წლისა, დიდებული, სასტარტო ასაკია! ჯანმრთელობა? არაჩვეულებრივი: ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე პირუტყვის გამძლეობა... გონება? მოქნილი, გაბედული, მუდამ პროგრესული... შრომის უნარიანობა? თითქმის დაუშრეტელი... მატერიალურად შეძლებული... ერთი სიტყვით, რაც გინდა, სულო და გულო! არც სისუსტე, არც ბიწიერება! მის მოწოდებას არავითარი შეფერხება არ უწერია!.. და — ზურგის ქარი!..“

ფეხები გაშოტა და პაპიროსი გააბოლა. მოწოდება... თხუთმეტი წლის ასაკიდან მედიცინა უცნაურად იზიდავდა. ახლაც დოგმად მიაჩნდა, რომ სამედიცინო მეცნიერება ინტელექტუალურ მიღწევათა უმაღლესი მიჯნაა, რომ იგი წარმოადგენს ყველაზე უტყუარ სარგებლობას, რაც კი ოცი საუკუნის მანძილზე მეცნიერების ყოველ გზაზე ბრმად ხეტიალის შემდეგ მიუღია კაცობრიობას, რომ იგი ადამიანის ნიჭისთვის ფართოდ გახსნილი

უმდიდრესი დარგია. ამ მეცნიერების სპეკულაციური შესაძლებლობანი უსაზღვროა, მისი ფესვები ყველაზე კონკრეტულ სინამდვილეშია გადგმული და ადამიანურ არსებასთან უშუალო, მუდმივ კონტაქტშია. ამას კი იგი განსაკუთრებით აფასებდა; არასოდეს დათანხმდებოდა ჩაკეტილიყო ლაბორატორიაში და თავისი დაკვირვებანი მიკროსკოპის არეთი შემოეფარგლა: მას უფრო მოსწონდა ექიმის გამუდმებული ხელჩართული ბრძოლა მრავალფეროვან სინამდვილესთან.

„ოღონდ საჭიროა, — განაგრძო მან, — ტიბო უფრო მეტს მუშაობდეს თავისთავზე... კერძო პრაქტიკამ ტერინიეს ბუატელოს მსგავსად ერთ ადგილზე არ უნდა გაყინოს... უნდა იპოვოს დრო ცდების ჩასატარებლად, შედეგების შესაპირისპირებლად, საკუთარი მეთოდის დასამუშავებლად". რადგან ანტუანს თავისი მერმისი უდიდეს მეცნიერთა მომავალივით ესახებოდა: ორმოცდაათი წლისაც არ იქნებოდა ჯერ და მის აქტივში მრავალ აღმოჩენებს შეიტანდნენ, და რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყრებოდა იმ საკუთარ მეთოდს, რომელიც, მართალია, ჯერ ბუნდოვნად, მაგრამ, მისი აზრით, მაინც მოისინჯებოდა უკვე. „დიახ, მალე, სულ მალე..."

მისი ფიქრთა დინება ჩაბნელებულ არეს წააწყდა. მამის სიკვდილზე დაფიქრდა; ამის შემდეგ, გზა კვლავ გასხივოსნებული გახდა. ორჯერ დაარტყა ნაფაზი და ეს სიკვდილი უკვე სულ სხვაგვარად, ყოველგვარი უსიამოვნო გრძნობებისა და წინანდებური ნაღველის გარეშე აღიქვა; პირიქით, უცილობელ გათავისუფლებად, ჰორიზონტის გაფართოებად, თავისი წარმატების ერთ-ერთ პირობად მიიჩნია. ათასნაირი ახალი შესაძლებლობა ეძლეოდა. „მაშინ უნდა შევარჩიოთ პაციენტები... თავისუფალი დრო უნდა გამოვიყენოთ... სამეცნიერო კვლევისთავის დამხმარე უნდა ავიყვანოთ. იქნებ, მდივანი ჯობდეს; ოღონდ თანამშრომელი არ მინდა, არა, ვინმე ჭკვიანი ჭაბუკი, რომელსაც გამოვწვრთნი და რომელიც შავი სამუშაოსაგან გამათავისუფლებს... მაშინ მე მაგრად ვიმუშავებ... წიგნებში ჩავეფლობი... რაიმე ახალს აღმოვაჩენ... ოჰ, დარწმუნებული ვარ, რომ დიდ რაღაცას გავაკეთებ!!!" ბაგეზე ღიმილმა, მისი უსაზღვრო ოპტიმიზმის შინაგანმა ანარეკლმა გადაურბინა.

უცებ პაპიროსი გადააგდო, ჩაფიქრდა და ადგილზე გაშეშდა: „განა უცნაური არაა, ამაზე რომ ვფიქრობ? ხელახლა ვიპოვე ის მორალური გრძნობა, რაც ჩემი ცხოვრებიდან განვდევნე და რისგანაც ერთი საათის წინ საბოლოოდ გათავისუფლებულად ვთვლიდი თავს! იგი ჩემი სულის ბნელ, შეუსწავლელ კუნჭულში კი არ იმალება! არა, პირიქით, გაიფურჩქნა, გამაგრ-

და, ფესვი გაიდგა, მთელი ჩემი ენერგიის, მთელი ჩემი მოღვაწეობის ცენტრში. ჩემი პროფესიული ცხოვრების შუაგულში დაიჭირა ნთავარი ადგილი! რადგან, სიტყვებით თამაში რა საკადრისია? მე, როგორც ექიმს, როგორც მეცნიერს, პირდაპირობა, აბსოლუტურად მოუდრეკელი პირდაპირობა მახასიათებს; მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, ამ საკითხში არავითარ დათმობაზე არ წავალ... მაშ, ყველაფერი ეს როგორღა უნდა შევუთანხმოთ ერთმანეთს? ეჰ! მუდამ შეთანხმებაზე რატომ ვფიქრობთ?!" და, მართლაც მაშინვე უკუაგდო ეს აზრი, გარკვეულ საკითხზე ფიქრს თავი მიანება, და მოთენთილობამ, განცბრომის გრძნობამ ნელ-ნელა მოიცვა.

დარბაზში ორი ავტომობილისტი შემოვიდა და ანტუანის ახლოს ჩამოჯდა. შემდეგ პალტოები გაიხადეს და გრძელ სკამზე მიაგდეს. მამაკაცი ოცდახუთი წლისა იქნებოდა, ქალი ოდნავ უმცროსი. შესანიშნავი წყვილი იყო: ორივე ტანაშოლტილი, კუნთმაგარი; ორივეს მუქი თმა, პირდაპირი გამოხედვა, ფართო პირი, ჯანსაღი კბილები, სიცივისაგან აწითლებული სახეები ჰქონდა: ერთი და იგივე ასაკი, ერთნაირი სიჯანსაღე, ერთი და იგივე სოციალური წარმოშობა, ერთნაირი ბუნებრივი მოხდენილობა და, ალბათ, ერთნაირი გემოვნებაც: ყოველ შემთხვევაში მადა ერთნაირი ჰქონდათ; ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ და ერთი და იმავე მოძრაობით ერთნაირ სანდვიჩებს შეექცეოდნენ; შემდეგ ასევე ერთნაირად შესვეს თითო ტოლჩა ლუდი, ხელახლა ჩაიცვეს ქურქები და ერთმანეთისთვის არც შეუხედავთ, არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ, მტკიცე ნაბიჯით გაემართნენ გასასვლელისაკენ. ანტუანმა თვალი გააყოლა; ისინი იდეალური წყვილის განსახიერება იყვნენ.

უცებ ანტუანმა შენიშნა, რომ დარბაზი თითქმის დაცარიელებულიყო. მოშორებით, სარკიდან საათს შეხედა, რომელიც მის თავთან ეკიდა. „თერთმეტის ათი წუთია? არა. სარკეში ყირამალა ჩანს ყველაფერი. რაო? ორი საათი სრულდება?"

წამოდგა, მოდუნება ჩამოიფერთხა. „ხვალ დილით კარგი სანახავი ვიქნები!" დარცხვენით გაიფიქრა მან.

და მაინც, როცა ვიწრო კიბეს აჰყვა, რომლის საფეხურზე მსახური მიკრუნჩხულიყო და თვლემდა, მეტად ცოცხალმა, მრავლისმეტყველმა აზრმა გაუელვა თავში და ჩაეცინა: „ხვალ, ათ . საათზე".

იგი ტაქსში შევარდა და ხუთი წუთის შემდეგ შინ იყო.

წინოთახში, მაგიდაზე, სადაც საღამოს ფოსტა ელოდა ხოლმე, ლეონის ხელით დაწერილი ბარათი დახვდა:

„პირველ საათზე ექიმი ეკეს ბინიდან დარეკეს. გოგონა გარდაიცვალა".

ერთხანს ხელიდან არ გაუშვია ბარათი და რამდენჯერმე გადაიკითხა. „პირველ საათზე სულ მალე ჩემი წამოსვლის შემდეგ... შტუდლერმა მომვლელი ქალის თვალწინ? არა... ნამდვილად, არა... მაშ რა. ჩემს მიერ გაკეთებული ნემსი? შესაძლებელია... თუმცა დოზა მცირე იყო... სამაგიეროდ, მაჯისცემა ძლივს ისმოდა..."

გაოცება გაუნელდა და ახლა შვებაღა იგრძნო. მართალია, ეკესა და მისი ცოლისთვის ძალიან მძიმე იყო შერიგებოდნენ ამ სინამდვილეს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საშინელ მოლოდინს ხომ მაინც მოეღო ბოლო? ჩაძინებული ნიკოლის სახე გაახსენდა. მალე ახალი პატარა არსება გაჩნდება მათთან. სიცოცხლე ყველაფერზე იმარჯვებს: არ არსებობს იარა, შეხორცებულ ჭრილობად რომ არ იქცეს. ანტუანმა უგულისყუროდ აიღო ფოსტა. „მაინც საცოდავები არიან! — გაიფიქრა და გული შეეკუმშა. — საავადმყოფოში მისვლამდე შევივლი მათთან!"

კატა გამწარებული კნაოდა სამზარეულოში. „ეს საძაგელი ამაღამ არ დამაძინებს!" ჩაიბუზღუნა ანტუანმა და უცებ კნუტები მოაგონდა. კარი შეაღო; კატა ფეხებში შეუძვრა, ეფერებოდა, კრუტუნებდა. გახელებული სიჯიუტით ეკვროდა. ანტუანმა ჩვრების კალათში ჩაიხედა: ცარიელი დახვდა.

აკი თვითონვე განუცხადა: „ხომ ყველას დაახრჩობთო? განა აქ სიცოცხლე არ იყო? მაშ, რა საჭიროა ეს განსხვავება? „რისი გულისთვის?"

მხრები აიჩეჩა, საათს შეხედა და დაამთქნარა: „ოთხი საათის ძილიღა დამრჩენია! აბა, მარდად!"

ლეონის ბარათი ისევ ეჭირა ხელში. დაჭმუჭნა, დაამრგვალა და კარადას ესროლა მხიარულად.

„ოღონდ ჯერ კარგი, ცივი შხაპი უნდა მივიღოთ... ასე გვასწავლის ტიბოს სისტემა: ლოგინში ჩაწოლამდე დაღლილობა უნდა ჩამოვირეცხოთ!"

# ნაწილი მეხუთე

## ლა სორელინა*

### I

— უარი შეუთვალე! — წამოიყვირა ბატონმა ტიბომ ისე, რომ თვალი არ გაუხელია. ჩაახველა. ამ მშრალ ხველას „მის ასთმას" უწოდებდნენ. ბალიშებში ჩაფლული თავი ხველისაგან ოდნავ ერხეოდა.

ფანჯრის ნიშში, დასაკეც მაგიდასთან ბატონი შალი მოკალათებულიყო და დილის ფოსტას არჩევდა, თუმცა უკვე სამი საათი დაწყებულიყო.

ბატონი ტიბოს ერთადერთი თირკმელი იმ დღეს ისე ცუდად მუშაობდა და ისეთ გამუდმებულ ტკივილებს იწვევდა, მთელი დილის განმავლობაში ბატონმა ტიბომ მდივანთან საუბარი ვერ მოახერხა; ბოლოს, შუადღისას მომვლელმა ქალმა სელინამ რაღაც მოიმიზეზა და გადაწყვიტა დამაყუჩებელი ნემსი გაეკეთებინათ, რასაც ჩვეულებრივ, დღის ბოლოსთვის უნახავდა ხოლმე. ტკივილი თითქმის მაშინვე შეუწყდა; ბატონმა ტიბომ დროს აღარ მიაქცია ყურადღება, წერილების გადათვალიერება მოისურვა და რაკი ბატონი შალი სასაუზმოდ წასულიყო, მის მოსვლას გაანჩხლებული ელოდა.

— შემდეგი! — წამოიყვირა მან, როდესაც მდივანმა თავისი ადგილი დაიკავა.

ბატონმა შალმა თვალი გადაავლო წერილს.

— ობრი (ფელისიენი), ზუავთა* უნტერ-ოფიცერი... ზედამხედველის ადგილს ითხოვს კრუის გამასწორებელ სახლში.

— „გამასწორებელ სახლშიო? ციხეში არ ნებავს? კალათში გადაუძახე! შემდეგი!

— რაო? ციხეში არ ნებავსო? — ხმადაბლა გაიმეორა ბატონმა შალმა. ვერაფერი გაეგო. სათვალე გაისწორა და სასწრაფოდ გახსნა მეორე კონვერტი.

— ვილნევ-ჟუბენის კიურეს წერილია... ღრმა პატივისცემა... მადლობა აღსაზრდელისათვის... წაკითხვად არ ღირს.

— არ ღირს? წაიკითხეთ, ბატონო შალ!

„ბატონო დამფუძნებელო,

ჩემი თანამდებობის წყალობით, შემთხვევა მეძლევა მეტად სასიამოვნო მოვალეობა შევასრულო. ერთმა ჩემმა მრევლთაგანმა, ქალბატონმა ბულოძ მთხოვა, უღრმესი მადლობა მოახსენეთ ჩემგანო..."

— ხმამაღლა! — ბრძანა ბატონმა ტიბომ.

— ..... უღრმესი მადლობა იმ შესანიშნავი შედეგების გამო, რაც კრიტის რეჟიმმა მოახდინა ახალგაზრდა ალექსის ხასიათზე. როცა თქვენ, ოთხი წლის წინ, ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ და იგი ოსკარ ტიბოს სახელობის კოლონიაში მიიღეთ, ჩვენ ხელი გვქონდა ჩაქნეული ამ უბედური ბავშვის გამოსწორებაზე: მისი ბიწიერი ინსტინქტები, ცუდი საქციელი, თანდაყოლილი სისასტიკე კარგს არაფერს უქადდა მის მომავალს. მაგრამ სამ წელიწადში ნამდვილი სასწაული მოახდინეთ, აი, უკვე მეცხრე თვეა ჩვენი ბავშვი ოჯახს დაუბრუნდა. დედამისი, დები, მეზობლები, მე და თვით დურგალი, ბატონი ბინო (ქიული), ვისთანაც ახლა შეგირდად მუშაობს ეს ყმაწვილი, ერთხმად ვაღიარებთ, რომ ალექსი მორჩილი, შრომისმოყვარე, რელიგიური მოვალეობის გულმოდგინე აღმსრულებელი გახდა.

ღმერთსა ვთხოვ, კვლავაც მფარველობდეს იმ დაწესებულებას, სადაც ასეთი გასაოცარი მორალური გარდასახვა ხდება, და მოწონებით მოგესალმებით თქვენ, ბატონო დამფუძნებელო, ვის პიროვნებაშიც წმინდა ვენსან დე პოლის*, ქველმოქმედებისა და უანგარობის სულია განსხეულებული.

ჟ. რიუმელი, მღვდელი".

ბატონ ტიბოს თვალები კვლავაც დახუჭული ჰქონდა, ოღონდ წვერი უცახცახებდა ოდნავ. საერთო სისუსტემ გულჩვილი გახადა მოხუცი.

— დიდებული წერილია, ბატონო შალ! — თქვა მან, აღელვება რომ დაიოკა. — როგორ ფიქრობთ, მომავალი წლის „ბიულეტენში" ხომ არ გამოგვექვეყნებინა? გთხოვთ, როცა დრო დადგება, შემახსენოთ. შემდეგი!

— შინაგან საქმეთა სამინისტრო. გამასწორებელი სახლების სამმართველო.

— ოჰ! ოჰ!..

— არა, ეს მხოლოდ ნაბეჭდი ბლანკია... კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს.

სელინამ კარი შეაღო.

— ჯერ არ დაგვიმთავრებია! — წაიბუზღუნა ბატონმა ტიბომ. მომვლელ ქალს ხმა არ ამოუღია. კუნძი შეაგდო ბუხარში, სადაც ცეცხლი წვით

არ ქრებოდა იმ მძიმე ჰაერის დასაწმენდად, რასაც ქალი ამრეზით ეძახდა „საავადმყოფოს სუნს“, მერე ოთახიდან გავიდა.

— შემდეგი, ბატონო შალ!

— საფრანგეთის აკადემია. სხდომაა ოცდაშვიდში...

— ხმამაღლა! შემდეგი!

— ეპარქიული საქველმოქმედო საქმეთა უმაღლესი კომიტეტი. ნოემბერი, ოცდასამსა და ოცდაათში სხდომებია... დეკემბერი...

— ბატონ აბატ ბიფრემონს ბარათს გაუგზავნით, ჩემს მაგივრად ბოდიშს მოუხდით, რომ ოცდასამში ვერ მივალ... ვერც ოცდაათში... — დაუმატა მან ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ. — დეკემბრის სხდომები კალენდარში აღნიშნეთ. შემდეგი!

— სულ ესაა, ბატონო. დანარჩენი — წვრილმანი საქმეებია... სამრევლოთა მეურნეობაში ფულის შესატანი უწყება... სადარბაზო ბარათები... გუშინ მნახველები ჩაწერილან... ღირსი მამა ნიუსეი, ბატონი ლუი რუა, „რევიუ დე დე მონდის“ * მდივანი, გენერალი კერიგანი... ამ დილით სენატის ვიცე-პრეზიდენტმა თქვენი ამბავი იკითხა... ამას გარდა, ათასნაირი ცირკულარებია... სამრევლოს საქველმოქმედო საქმეები... გაზეთები.

ამჯერად კარი ენერგიულად შეაღეს. სელინას ცხელი საფენები მოჰქონდა თეფშით.

ბატონმა შალმა თვალები დახარა და, ფეხსაცმელები რომ არ აჭრაჭუნებულიყო, ფეხის წვერებზე გაშორდა იქაურობას.

მონაზონს საბანი გადაეწია. ბოლო ორი დღე იგი გულდასმით უკეთებდა ცხელ საფენებს. მართალია, ტკივილებს აყუჩებდა, მაგრამ ამ მოდუნებულ ორგანიზმზე მაინც არ მოქმედებდა ისე, როგორც ამის იმედი ჰქონდა მომვლელ ქალს. ასე რომ, მიუხედავად ბატონი ტიბოს უკმაყოფილებისა, იძულებული გახდნენ ხელახლა მიემართათ ზონდისათვის.

ამ პროცედურის შემდეგ ავადმყოფმა შვება იგრძნო, მაგრამ საშინლად დაიქანცა. ამასობაში ოთხის ნახევარი გამხდარიყო. დღის ბოლო კარგს არას მოასწავებდა. მორფიუმის მოქმედება თანდათან სუსტდებოდა. ხუთ საათზე ავადმყოფს ოყნას უკეთებდნენ, მაგრამ მანამდე მთელი ერთი საათი იყო დარჩენილი. სელინამ ითავა და მოხუცის გასართობად ბატონ შალს მოუხმო ხელახლა.

ტანმორჩილმა კაცმა ფრთხილად დაიკავა თავისი ადგილი ფანჯრის ნიშაში.

შეწუხებული ჩანდა. ფაშფაშა კლოტილდას, რომელსაც წინოთახში შეხვედროდა, ყურში ჩაუჩურჩულებია თურმე:

— ამ ერთ კვირაში როგორ გამოიცვალა თქვენი უფროსი, არა?

და რაკი ბატონი შალი შეშინებული თვალებით მისჩერებოდა, ქალმა თავისი ფართო ხელები მის მკლავზე ჩამოუდვა და უთქვამს:

— დამიჯერეთ, ბატონო შალ, ეს სენი არავის ინდობს!

ბატონი ტიბო გაუნძრევლად იწვა, მძიმედ სუნთქავდა და ხმადაბლა კვნესოდა, უფრო მეტად, ალბათ, ჩვეულების გამო, რადგან იმ წუთში არაფერი სტკიოდა, პირიქით, ისე გამოფიტულიყო, შვებასაც კი გრძნობდა. მიუხედავად ამისა, ისე ეშინოდა, ტკივილები ხელახლა არ ამიტყდესო, ცდილობდა დაეძინა: თუმცა ეუხერხულებოდა, მისი მდივანი რომ იქ იყო.

ცალი თვალი გაახილა და ნაღვლიანად გააპარა ფანჯრისაკენ.

— ტყუილად ჰკარგავთ დროს და მელოდებით, ბატონო შალ. დღეს მეტს ვეღარ ვიმუშავებ: შეხედეთ! — შეეცადა მკლავი აეწია. — ჩემი საქმე წასულია!

ბატონ შალს მისი გადარწმუნება არც უფიქრია.

— უკვე? — ესღა წამოიძახა შეშფოთებულმა.

გაოცებულმა ბატონმა ტიბომ თავი მოაბრუნა. თვალებში დამცინავმა სხივმა გაუელვა:

— განა ვერ ხედავთ, დღითი დღე რომ ვსუსტდები? — ამოიოხრა მან. — თავის მოტყუება რა საჭიროა? თუ სასიკვდილოდ ვარ განწირული, რაც უფრო მალე მომეღება ბოლო, მით უკეთესი!

— სასიკვდილოდ? — გაიმეორა ბატონმა შალმა და ხელები გულზე დაიკრიფა.

ბატონი ტიბო თავს იქცევდა.

— დიახ, დიახ, სასიკვდილოდ! — მუქარით გაუმეორა მან.

შემდეგ ორივე თვალი ერთბაშად გაახილა და მაშინვე დახუჭა.

თავზარდაცემული ბატონი შალი ამ უსიცოცხლო, შეწუხებულ სახეს მიშტერებოდა. თითქმის მკვდრის სახე ჰქონდა. კლოტილდას მართალი უთქვამს! მაშასადამე... კი მაგრამ, მას რაღა ეშველება?.. თვალწინ წარმოუდგა თავისი სიბერე, სიღატაკე...

და ისევე აკანკალდა, როგორც მუდამ სჩვეოდა, როცა თავის განხნევებას შეეცდებოდა. სკამიდან ჩუმად წამოდგა.

— დგება დრო, მეგობარო, როცა ადამიანს მოსვენების გარდა აღარაფერი სურს! — წაიჩურჩულა ბატონმა ტიბომ და დასაძინებლად მოემზადა. — ქრისტიანს სიკვდილისა არ უნდა ეშინოდეს.

თვალდახუჭული ყურს უგდებდა საკუთარი ხმის ექოს, რომელიც თავში

ურტყამდა. მოულოდნელობისაგან ანაზდად შეკრთა: საწოლთან ბატონი შალის ხმა შემოესმა:

— რასაკვირველია! სიკვდილისა არავის უნდა ეშინოდეს! — საცოდავი კაცუნა საკუთარმა გამბედაობამ შეაშინა. — აი მეც...— წაიბუტბუტა მან,— როცა დედაჩემის სიკვდილს წარმოვიდგენ... — და ისე ჩაჩუმდა, თითქოს ახრჩობენო.

ახლახან ჩადგმული პროთეზი ლაპარაკს უშლიდა: ხელოვნური კბილები ჯილდოდ მიიღო რებუსების კონკურსში, რომელიც სამხრეთის ერთ-ერთ სტომატოლოგიურ ინსტიტუტს მოეწყო; ეს ინსტიტუტი მიწერ-მოწერით მკურნალობდა პაციენტებს და მათ მიერ გამოგზავნილი ზომების მიხედვით პროთეზებსაც დაუსწრებლად ამზადებდა. სხვათა შორის, ბატონი შალი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ ხელოვნური კბილებით. ოღონდ ესაა, ჭამისა და დიდხანს ლაპარაკის დროს, იძულებული ხდებოდა ამოეღო. ამასაც შესანიშნავად შეეჩვია და მეტად მოხერხებულად, ვითომ ცხვირს აცემინებსო. ცხვირსახოცში პროთეზს სწრაფად მალავდა. ახლაც ასე მოიქცა.

მან შვება იგრძნო და ხელახლა წამოიწყო:

— აი, მეც... დედაჩემის სიკვდილი სულაც არ მაშინებს. ან რატომ უნდა მეშინოდეს? მით უმეტეს, რაც თავშესაფარში წავიყვანეთ, ჩვენთან ისეთი სიმყუდროვეა... მართალია, ბავშვივით იქცევა, მაგრამ მაინც არა უშავს რა...

ხელახლა შეჩერდა. სხვა თემაზე უნდოდა სიტყვის ჩამოგდება და ვერ მოეხერხებინა.

— მე ვთქვი, ჩვენთან-მეთქი, იმიტომ, რომ მარტო არ ვცხოვრობ. იქნებ, კიდეც იცით, ბატონო ტიბო?! ალინა ჩემთან დარჩა... ალინა... დედაჩემის ყოფილი მოახლე... და გოგონაც, მისი ძმისწული, დედეტა, რომელსაც ბატონმა ტიბომ ერთ ღამეს ოპერაცია გაუკეთა... დიახ, — ღიმილით დასძინა მან, რითაც უდიდესი სიყვარული გამოხატა, — ეს გოგნუცა ჩვენთან ცხოვრობს და მე ძია ჟიულს მეძახის! რას იზამთ, ასეა შეჩვეული... თუმცა ბიძამისი სულაც არა ვარ. სასაცილოა...

ღიმილი ერთბაშად გაუქრა, სახე მოეღრუბლა და მკაცრად დაუმატა:

— სამი სულის შენახვა, დალახვროს ღმერთმა, დიდ ხარჯს მოითხოვს!

ბატონი შალი მისთვის უჩვეულო ფამილარობით მიუახლოვდა საწოლს, თითქოს რაღაც მეტად მნიშვნელოვანი აქვს სათქმელიო, სამაგიეროდ, ბატონი ტიბოს შეხედვას მაინც ერიდებოდა. ავადმყოფი ნახევრად გახელილი თვალებით იწვა, ბატონ შალს აკვირდებოდა. ამ აბდაუბდა ლაპარაკში რაღაც ფარულ განზრახვას გრძნობდა და ეს ამბავი იმდენად შემაშფოთებლად, უცნაურად მოეჩვენა, რომ ძილი გაუკრთა.

უცებ ბატონი შალი საწოლს მოშორდა და წინ და უკან სიარული მოჰყვა ოთახში. ფეხსაცმელები ჭრაჭუნებდა, მაგრამ ყურადღებას აღარ აქცევდა. შემდეგ გაწვარებულმა ხელახლა წამოიწყო:

— სხვათა შორის, არც მე მეშინია სიკვდილის! ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ღვთის ნებაა!.. მაგრამ ცხოვრება! ოჰ, მე მხოლოდ ცხოვრება მაშინებს! სიბერე! აი, რა არის მთავარი! — იგი ქუსლებზე შემოტრიალდა და შეკითხვასავით წამოიძახა: — რაო? — შემდეგ განაგრძო: — ათი ათასი ფრანკის დანაზოგი მქონდა გადადებული და ერთ საღამოს „მოხუცთა თავშესაფარში" წავიღე: აჰა, მიიღეთ ათი ათასი ფრანკი და დედაჩემი-მეთქი. დიახ, ამ თანხას ითხოვდნენ. არა, ასეთი რამ არ უნდა არსებობდეს!.. მართალია, შიგ სიმშვიდეა, მაგრამ ათი ათასი ფრანკი!.. მთელი ჩემი დანაზოგი იქ ჩავყარე... დედეტა? ახლა არც არაფერი გამაჩნია და არც არსაიდან ველი ფულს („არაფერი" რას მიქვია, უფრო ნაკლები დამრჩა, რადგან ორი ათასი ფრანკი ალინამ მასესხა. დიახ, ყოველდღიური ხარჯის ფული საკუთარი დანაზოგიდან მომცა...) დალახვროს ღმერთმა! აი, თუ გინდათ დათვალეთ! ოთხასი ფრანკი, რასაც ყოველთვიურად აქ ვიღებ, არც ისე ბევრია. სამნი ვართ. პატარა გოგოს ხომ უნდა ჰქონდეს ყველაფერი, რაც მას სჭირდება. ჰოდა, ეს შემოსავალი კი არა, პირიქით, გასავალია. სინდისს გეფიცებით, ბატონო, ყველაფერზე უნდა იფიქროს კაცმა. ზოგჯერ გაზეთებში ისეთ რამეს წააწყდები! მოხუცებს თურმე უპატრონოდ მიაგდებენ ხოლმე ქუჩაში... — აქ ხმა აუკანკალდა, — მე ძველ გაზეთებზე მოგახსენებთ, ბატონო! მაპატიეთ, ასე რომ ვიმცირებ თავს, მაგრამ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ქრისტიანობის ოცი საუკუნის გავლისა და მას შემდეგ, რასაც ცივილიზაციაზე ლაპარაკობენ...

ბატონ ტიპომ ხელები ნელა შეარხია. მაგრამ ბატონი შალი ლოგინისაკენ გახედვას ვერ ბედავდა.

— ამ ოთხას ფრანკსაც თუ დავკარგავ, რაღა მეშველება? — განაგრძო მან, ფანჯრისაკენ შებრუნდა და თავი ასწია, თითქოს იმედი ჰქონდა, რაღაც ხმას გაიგონებსო. — თუკი მემკვიდრეობას არ მივიღებ საიდანმე! — ისე წამოიძახა უცებ, იტყოდით, რაღაც აღმოაჩინაო! მაგრამ მაშინვე შეჭმუხნა წარბები, — ღმერთია მოწამე! წელიწადში ოთხი ათას რვაას ფრანკზე ნაკლები თანხით სამი სული თავს ვერ ირჩენს! ჰოდა, თუკი სამართალი არსებობს, ღმერთმა სწორედ ეს მცირე კაპიტალი მაინც უნდა გამოგვიგზავნოს! დიახ, ბატონო, დარწმუნებული ვარ, ღმერთი ნამდვილად გამოგვიგზავნის ამ მცირეოდენ თანხას.

მან ცხვირსახოცი ამოიღო და ისე მოიწმინდა, შუბლი, თითქოს არაადამიანური ძალის დახარჯვა მოუხდაო.

— ერთთავად იმეორებენ: იმედი გქონდეთო! აიღეთ, თუგინდ, წმინდა რომის მღვდლები: „იმედი გქონდეთ: თქვენ ხომ მფარველი გყავთ!" მფარველი, რასაკვირველია, მყავს! ამას არც მე უარვყოფ, მე მართლაც მყავს მფარველი! რაც შეეხება ნდობას, ვცდილობ ისიც მქონდეს, მაგრამ ჯერ მემკვიდრეობა უნდა მივიღოთ... მცირეოდენი კაპიტალი!

იგი წინ დაუდგა ბატონ ტიბოს, მაგრამ შეხედვას მაინც ვერ ბედავდა.

— ნდობა ძნელი საქმე არ იქნებოდა, ბატონო! — წაიბუტბუტა მან. — დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი...

და მოშინაურებული ფრინველივით ნელ-ნელა ახედა მოხუცს, მისი თვალები, ფრთების ფათქუნივით შეეხო სახეს, შემდეგ დახუჭულ ქუთუთოებს და უძრავ შუბლზე დაეშვა, კვლავ აფრინდა, მეორედ დაეშვა და ბოლოს, თითქოს ზედ მიეწებაო, აღარც მოშორებია. დღე იწურებოდა. ბატონმა ტიბომ, როგორც იქნა, ქუთუთოები ასწია და მის თვალებზე მიკრული ბატონი შალის მზერა ბინდ-ბუნდში გაარჩია.

ამ შეჯახებამ საბოლოოდ გამოიყვანა მთვლემარე მდგომარეობიდან. იგი დიდი ხანია მოვალედ თვლიდა თავს, მდივნის მომავალი უზრუნველეყო. და ანდერძის სხვადასხვა პუნქტებს შორის ბატონი შალისთვის განკუთვნილი თანხაც იყო აღნიშნული. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ანდერძის გამოქვეყნებამდე არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა. ბატონი ტიბო ფიქრობდა, ადამიანებს კარგად ვიცნობ და სანდონი არ არიანო. მისი აზრით, თუკი ბატონი შალი ეჭვს აიღებდა, იგი უკვე აღარ იქნებოდა ის გულმოდგინე მუშაკი, რომლის დაჯილდოებასაც აპირებდა.

— ვფიქრობ, მიგიხვდით, ბატონო შალ! — ტკბილად უთხრა მან.

მდივანი ერთბაშად გაწითლდა და თვალი აარიდა.

ბატონი ტიბო წამით დაფიქრდა:

— მაგრამ... როგორ ვთქვა? განა უფრო მეტი ვაჟკაცობა არ იქნება, ზოგჯერ მტკიცედ დადგენილი პრინციპების გულისთვის უარი ვთქვათ ისეთ თხოვნაზე, როგორიც თქვენია, ვიდრე ბრმად, ცნობისმოყვარეობის სისუსტის გამო... ყალბი მოწყალებით მოტყუვდეთ?!.

ბატონი შალი იდგა და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა თავის უფროსს, რომლის ორატორული სიტყვის დამაჯერებლობა მუდამ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. იგი იმდენად შეჩვეოდა მისი მოსაზრებების გაზი-

არებას, ახლაც არ შეკამათებია. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამ დასტურით წინასწარ ურიგდებოდა საკუთარი განზრახვის ჩაშლას. ბედს დაემორჩილა. ამას შეჩვეული იყო. განა ერთხელ მიუმართავს ღმერთისათვის ასეთივე სამართლიანი თხოვნით, რაც არასოდეს არ შესრულებია?! ამის გამო განა ოდესმე აჯანყებულა განგების წინააღმდეგ? ბატონი ტიბოც მის თვალში იმ მიუღწეველი და უდიდესი სიბრძნის განხორციელება გახლდათ, რომლის წინაშე ქედის მოხრა ჩვეულებად გადაქცეოდა.

რაკი გადაწყვიტა დათანხმებოდა და გარუსებულიყო, პროთეზის გაკეთება დააპირა.. ხელი ჯიბეში ჩაიყო. სახეზე ალმური მოედო. პროთეზი ვეღარ იპოვა.

— იმედია, დამეთანხმებით, ბატონო შალ, და აღიარებთ, — ხმადაბლა განაგრძო ბატონმა ტიბომ, — რომ გამოძალვის მსხვერპლი თქვენივე სურვილით გახდით, რაკი საკუთარი დანაზოგი ამ ყოველმხრივ საეჭვო და საერო თავშესაფარს გადაეცით! ჩვენ კი ადვილად შეგვეძლო ისეთი ეპარქიული თავშესაფარი გვეპოვა, სადაც მოხუცებს, თუკი საარსებო საშუალება არ გააჩნიათ, უფასოდ უვლიან, მაგრამ ვინმე გავლენიანი მფარველი თუ ეყოლებოდათ... ჩემს ანდერძში რომ მომეხსენებიეთ, — როგორც ჩანს, სწორედ ამის იმედი გქონიათ, — განა ცხადი არაა, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინმე თაღლითი მახეში გაგაბამდათ და ისე გაგძარცვავდათ, ჩემს მიერ ბოძებული ფულიდან ერთ სანტიმსაც არ დაგიტოვებდათ?!

ბატონი შალი ყურს აღარ უგდებდა. მოაგონდა, რომ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო: ალბათ, პროთეზი ხალიჩაზე დაუვარდა. უცებ წარმოიდგინა, სხვის ხელში რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ინტიმური, მამხილებელი, იქნებ, სულაც ავსუნიანი ნივთი... კისერგაწვდილი აქეთ-იქით აცეცებდა დაჭყეტილ თვალებს; იატაკზე, მაგიდებსა და სავარძლების ქვეშ ეძებდა და შეშინებული ჩიტივით სკუპ-სკუპით იცვლიდა ადგილს.

ბატონმა ტიბომ მისი შეშფოთება შეამჩნია და შეებრალა. „იქნებ, ცოტა კიდევ დამემატებინა მისი წილისათვის!" ეგონა, ამით მაინც დააშოშმინებდა თავის მღივანს და გულკეთილად დაუმატა:

— გარდა ამისა, ბატონო შალ, ვის გაუგონია ხელმოკლეობა და სიღარიბე ერთმანეთში აურიოთ? რასაკვირველია, ხელმოკლეობა საშიშია, იგი ცუდი მრჩეველია; მაგრამ სიღარიბე? იგი ხომ ხშირად ფორმაა... შენიღბული ფორმაა... ღვთის წყალობისა?

ბატონ შალს ყურები წყალწაღებულივით ჰქონდა დაცული და ამიტომაც ბატონი ტიბოს სიტყვებიდან ზუზუნიღა ესმოდა. როგორც იქნა, თავს ძალა

დაატანა, გონება მოიკრიბა. ქურთუკისა და ჟილეტის ჯიბეები ხელახლა მოიჩხრიკა; სასოწარკვეთილმა, ბოლოს უკანა ჯიბეში ჩაჰყო ხელი და კინაღამ სიხარულის ყვირილი აღმოხდა. თავი შეიკავა. პროთეზი ხელში მოხვდა, გასაღებების აცმაში გაჩხირულიყო!

— განა ოდესმე სიღარიბე და ქრისტიანული ბედნიერება საპირისპირო ცნებებს წარმოადგენდა? ანდა, მატერიალური კეთილდღეობის უთანასწორობა განა სოციალური წონასწორობის პირობა არ არის?

— რა თქმა უნდა! — წამოიძახა ბატონმა შალმა. მას ლაღად გაეცინა, ხელები მოიფშვნიტა და დაბნეულად წაიჩურჩულა: — აი, ესაა, რაცაა...

ბალამიხდილმა ბატონმა ტიბომ მდივანს გადახედა. მისმა გამოუმჟღავნებელმა გრძნობებმა გული აუჩუყა. ამას გარდა, რაკი ნათქვამი მოუწონეს, ესეც ესიამოვნა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა და თავაზიანად უთხრა:

— მე თქვენ კარგი მეთოდები შთაგაგონეთ, ბატონო შალ. ისეთი აკურატული და დინჯი ადამიანი ბრძანდებით, დარწმუნებული ვარ, თქვენზე ადრე რომ მოვკვდე, სამსახურის შოვნას ყოველთვის მოახერხებთ!

წამით შეჩერდა.

ბატონ ტიბოს ისე მშვიდად წარმოედგინა იმ ადამიანის გაჭირვება, ვინც მასზე მეტხანს იცოცხლებდა, რომ ეს აუღელვებლობა დამამშვიდებელი და გადამდებიც კი იყო. თანაც, ის უდიდესი შვება, რასაც ბატონი შალი იმ წუთებში განიცდიდა, მომავლისადმი ყოველგვარ შფოთს აქრობდა. ერთბაშად სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა მისი სათვალის მიღმა.

— ამ მხრივ, — წამოიძახა მან, — ყველაფერი რიგზეა... შეგიძლიათ მშვიდად მოკვდეთ! გაჭირვებას როგორმე დავაღწევ თავს! როგორც იტყვიან ხოლმე, მარიფათი არ მაკლია! რაიმე სარფიან საქმეს მოვკიდებ ხელს, — გაეცინა, — ერთი რამ მაქვს ჩაფიქრებული... როგორც კი თქვენ აღარ მეყოლებით, მაშინვე შევუდგები მის განხორციელებას...

ავადმყოფმა ცალი თვალი გაახილა: ეტყობა, ბატონმა შალმა, მისდაუნებურად გული ატკინა: „როგორც კი თქვენ აღარ მეყოლებით..." ნეტა, ამით რისი თქმა სურდა ამ ბრიყვს?

ის იყო ბატონმა ტიბომ დააპირა ამ შეკითხვით მიემართა მდივნისათვის, რომ მომვლელი ქალი შემოვიდა და ამომრთველი გადაატრიალა. ოთახი ერთბაშად განათდა. და, როგორც მოწაფეს გაუხარდება ხოლმე ზარის ხმა, ბატონმა შალმა სწრაფად დაავლო ხელი ქაღალდებს, გამომშვიდობების ნიშნად რამდენჯერმე დააქნია თავი და გაიპარა.

# II

ლოცვის გაკეთების დრო დადგა.

მომვლელ ქალს უკვე გადაეწია საბანი და რიტუალური მოძრაობით ტრიალებდა საწოლის ირგვლივ. ბატონი ტიბო ფიქრში წასულიყო. ქალის სიტყვები, განსაკუთრებით კი მისი ინტონაცია, აღიზიანებდა. „როგორც კი თქვენ აღარ მეყოლებით...“ რა ბუნებრივი ტონით თქვა! ეტყობა, ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ახლო მომავალში გავქრები! უმადური! — გაანჩხლებით გაივლო გულში ბატონმა ტიბომ და რომ ეს აკვიატებული ფიქრი თავიდან მოეშორებინა, სიბრაზეს აჰყვა.

— აბა, დავიწყოთ! — მხიარულად უთხრა მომვლელმა ქალმა, რომელსაც სახელოები დაეკაპიწებინა.

ადვილი პროცედურა როდი გახლდათ. სავენების ნაჭდეილი სარკავე უნდა მოეწყო ავადმყოფის სხეულის ქვეშ. ბატონი ტიბო მძიმე იყო და თანაც, განძრევის თავი არ ჰქონდა. ამიტომ ხმას არ იღებდა, როცა მის სხეულს ისევე ექცეოდნენ, როგორც ცხედარს. მაგრამ ყოველი მოძრაობა საშინელ ტკივილებს იწვევდა თეძოებსა და წელთან. ფიზიკურ ტკივილს მორალური ტანჯვაც ერთვოდა: ამ ამაყი და მორიდებული კაცისათვის ყოველდღიური პროცედურები წამება გახლდათ.

სანამ ამ პროცედურას რაიმე შედეგი მოჰყვებოდა, — ლოდინი კი ყოველდღე უფრო დიდხანს უხდებოდათ, — სელინას ჩვეულებად გადაექცა მის საწოლზე შინაურულად ჩამომჯდარიყო. პირველ ხანებში, ეს სიახლოვე, ასეთ მომენტებში ავადმყოფს სასოწარკვეთაში აგდებდა. ახლა კი უკვე შეჩვეოდა; იქნებ, კიდეც სიამოვნებდა, ოღონდაც მარტო არ დარჩენილიყო.

წარბშეკრული, თვალმოჭუტული ბატონი ტიბო გონებაში ათასნაირად სწონიდა ერთ საშიშ კითხვას: „ნუთუ მართლა ასეთი მძიმე ავადმყოფი ვარ?“ თვალი გაახილა. ერთბაშად მისი ნაზერა ფაიფურის ჭურჭელს წააწყდა, რომელიც მომვლელ ქალს კომოდზე დაედო, თვალსაჩინო ადგილას, რათა საჭიროების დროს ხელმისაწვდომად ჰქონოდა: სასაცილო და უზარმაზარი ჭურჭელი ურცხვად იცდიდა.

ბატონმა ტიბომ თავი მიაბრუნა.

მონაზონმა ამ ხანმოკლე შესვენებით ისარგებლა და კრიალოსნის ჩამარცვლას მიჰყვა.

— ილოცეთ ჩემთვის, დაო, — მისთვის უჩვეულო ჯიუტი და დინჯი ტონით წაიჩურჩულა უცებ ბატონმა ტიბომ.

ქალმა დაასრულა „დედაო მარიამ“ და უპასუხა:

— რა თქმა მინდა, ბატონო, დღეში რამდენჯერმე ვლოცულობ!

სიჩუმე ჩამოვარდა, რაც ბატონმა ტიბომ თითქმის მაშინვე დაარღვია:

— იცით, დაო, მე მძიმე ავადმყოფი ვარ!.. ძალიან, ძალიან მძიმედ ვარ ავად! — ისე აღუღლუღდა, იტყოდით, ტირილს აპირებსო.

ქალმა ხელები გაასავსავა:

— უჰ, ეს რა აზრები მოგსვლიათ თავში?! — ნაძალადევი ღიმილით მიუგო მან.

— არ მეუბნებიან, მაგრამ ვგრძნობ, ვეღარასოდეს გამოვკეთდები. — წამოიწყო ავადმყოფმა და რაკი ქალმა ლაპარაკი არ შეაწყვეტინა, გამომწვევად დაასრულა:

— ვიცი, ჩემი დღეები დათვლილია.

ჩუმ-ჩუმად თვალს ადევნებდა ქალს, რომელმაც თავი გადააქნია და ლოცვა განაგრძო.

ბატონი ტიბო შიშმა აიტანა.

— აბატი ვეკარი უნდა ვნახო, — ხრინწიანი ხმით განაცხადა მან.

მონაზონი უბრალოდ შეეკამათა:

— აკი გასულ შაბათს ეზიარეთ! ღვთის წინაშე ყველაფერი წესრიგში გაქვთ.

ბატონ ტიბოს ხმა არ გაუცია. ოფლის წვეთებმა დაასხა საფეთქლებზე. ქვედა ყბა უკანკალებდა. ოყნა მთელ სხეულს უღრღნიდა. შიშიც.

— თასი! — წაიჩურჩულა მან.

ძლიერმა ტკივილმა ორჯერ შეუტია, ავადმყოფმაც ორჯერ ამოიგმინა, ერთი წუთის შემდეგ კი მონაზონს მკაცრად გადახედა და წაიბუტბუტა: —

— ღვითი დღე ვუძლურდები... აბატი უნდა მომიყვანოთ!

ქალი წყალს აცხელებდა ჯამით და ვერ შეამჩნია, ავადმყოფი რა დაძაბული უთვალთვალებდა მისი სახის გამომეტყველებას.

— რაკი ასე გსურთ... — ორჭოფულად მიუგო ქალმა, თასი ცეცხლიდან გადმოიღო და წყალი თითით გასინჯა: შემდეგ თავაუღებლად ჩაიბუტბუტა რაღაც. ბატონმა ტიბომ სმენა დაძაბა... — „ჩედმეტ სიფრთხილეს თავი არ..."

ავადმყოფმა თავი ჩაჰქინდრა და კრიჭა შეეკრა.

ბალე იგი დაბანილი, სუფთა საცვლებით იწვა ქათქათა ლოგინში და ტკივილების ატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

სელინა საწოლთან ეჯდა და კრიალოსანს მარცვლავდა. ჭაღი ჩაექროთ; ნავთიდის ნათურაღა ანათებდა ოთახს. ბატონი ტიბო ავადმყოფობის გარდა

უკვე ვეღარაფერზე ფიქრობდა, ვეღარაფერი უცუჩებდა ტანჯვასა და ნევრალგიურ ტკივილებს, თანდათან რომ უმწვავდებოდა, თეძოების ქვემოთ აღწევდა, იქედან ყველა მინართულებით იშლებოდა. ხოგ ადგილას კი, წელთან, კვირისტავთან, კოჭებთან, უეცრად ისე გაჰკრავდა, თითქოს დანა ჩაჰკრესო. მართალია, ტკივილი არ წყდებოდა, ნაოპერაციევი ნაკერების ანთება წამითაც არ ასვენებდა და აი, მაშინ ბატონი ტიბო თვალს ახელდა, წინ იყურებოდა, ერთბაშად გონება უნათლდებოდა და ერთი და იგივე კითხვა უტრიალებდა თავში: „რას ფიქრობს ეს ხალხი? ნუთუ შეიძლება ადამიანი ასეთ საფრთხეში იყოს და ვერაფერს გრძნობდეს? როგორ გავიგო სიმართლე?"

როცა მონაზონი მიხვდა, ტკივილებმა უმატაო, გადაწყვიტა საღამოს აღარ დალოდებოდა და ნახევარი დოზა მორფიუმი შეუშხაპუნა.

ოთახიდან მისი გასვლა ავადმყოფს არ შეუმჩნევია და როცა იგრძნო, ამ ბნელ ოთახში მარტო დავრჩიო, სადაც სირუმესა და მავნე სულებს დაესადგურებინა, შიშმა აიტანა. სურდა ვინმე მოეხმო, მაგრამ საშინელი ტკივილები აუტყდა. მან ზარს სტაცა ხელი და სასოწარკვეთით გააქნია.

ადრეიენმა მოირბინა.

ავადმყოფს ლაპარაკი არ შეეძლო. ბაგემოკუმული დმუოდა. უცებ ძლიერი მოძრაობით სცადა წამომდგარიყო, მაგრამ აუტანელმა ტკივილმა ფერდები დაუფლითა. მან დაიგმინა და ბალიშზე მიესვენა.

— ნუთუ ასე უპატრონოდ უნდა მოვკვდე? — დაიყვირა ბოლოს. — წადით, აბატი მომიყვანეთ! არა, ანტუანს დამიძახეთ! ჩქარა!

შეშინებული გოგონა თვალდაჭყეტილი უყურებდა მოხუცს, რომელსაც მისმა გამომეტყველებამ საბოლოოდ დასცა თავზარი.

— წადით! ბატონი ანტუანი მომიყვანეთ! ახლავე!

მომვლელი ქალი სავსე შპრიცით დაბრუნდა. იგი ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა და ისღა დაინახა, რომ მოახლე სირბილით გაიჭრა ოთახიდან. ბატონ ტიბოს მუთაქაზე გადაეგდო თავი და ამ გაცხარების საფასურად საშინელი, არაადამიანური ტკივილებით იკრუნჩხებოდა. ნემსის გასაკეთებლად სწორედ რომ მოსახერხებელ პოზაში იწვა.

— არ გაინძრეთ! — უთხრა სელინამ, მხარი გაუშიშვლა და ნემსი სწრაფად გაუკეთა.

ადრეიენი ჭიშკართან დაეწია ანტუანს, რომელიც სახლიდან გასვლას აპირებდა.

მან სწრაფად აირბინა კიბე.

როგორც კი ოთახში შევიდა, ბატონმა ტიბომ მისკენ მიაბრუნა თავი. ანტუანის ნახვაზე, მართალია, დიდ იმედებს არ ამყარებდა, მაგრამ მისმა გამოჩენამ მაინც ანუგეშა.

— ოჰ, მოხვედი? — მექანიკურად წაიბუტბუტა მან.

დამაყუჩებელმა წამალმა ტკივილები დაუამა. ავადმყოფს თავი მაღლა ედო ორ ბალიშზე, ხელები მთელ სიგრძეზე გაეწვდინა, ეთერით გაჟღენთილი ცხვირსახოცი პირზე ეფინა და სუნთქავდა. პერანგის ამონაჭერში ანტუანმა გამხდარი კისერი და ორ მყესს შორის გამოჩრილი ხორხის მგიდე შეამჩნია: ქვედა ყბის ოდნავი ცახცახი კიდევ უფრო ამჟღავნებდა შუბლის უცნაურ უძრაობას; ამ უზარმაზარი თავის ქალით, ამ ფართო, ბრტყელი საფეთქლებით, ამ ყურებით იგი რომელიღაც სქელკანიან ცხოველს წააგავდა.

— რაო, მამა? — ჰკითხა ანტუანმა.

ბატონმა ტიბომ არაფერი უპასუხა, მაგრამ კარგა ხანს მიშტერებოდა, შემდეგ ისევ დახუჭა თვალი. უნდოდა დაეყვირა: „სიმართლე მითხარი! მატყუებენ? მითხარი, განწირული ვარ? ხმა ამოიღე! მიშველე, ანტუან!“ მაგრამ შვილისადმი მოკრძალება და რაღაც ცრუმორწმუნეობრივი შიშის ზარი აკავებდა, ასე ეგონა, ხმამაღლა თუ გამოთქვამდა შიშს, საფრთხე მაშინვე აუხდებოდა.

ანტუანმა მომვლელი ქალის გამოხედვა დაიჭირა. თვალით მაგიდაზე ანიშნებდა. ანტუანმა თერმომეტრი შენიშნა, მაგიდასთან მივიდა და დახედა: 38°, 9. ტემპერატურის უეცარმა ნახტომმა გააოცა: აქამდე ავადმყოფობა თითქმის უსიცხოდ მიმდინარეობდა. საწოლთან მიბრუნდა, ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დაემშვიდებინა.

— მაჯა კარგი გაქვს! — უთხრა, — აბა, რა მოხდა?

— კი მაგრამ, მე ხომ ჯოჯოხეთური ტკივილები მაქვს! — დაიყვირა ბატონმა ტიბომ, — მთელი დღე ვიტანჯებოდი... კინაღამ... კინაღამ მოვკვდი! ხომ ასეა? — მკაცრად გადახედა მომვლელ ქალს. შემდეგ ტონი შეიცვალა და თვალებში შიში ჩაუდგა. — ანტუან, არ დამტოვო. მეშინია, გესმის? მეშინია... ვაითუ, ისევ განმეორდეს.

ანტუანს შეებრალა. საბედნიეროდ, გადაუდებელი საქმე არ ჰქონდა და შეეძლო შინიდან არ გასულიყო. ანტუანიც დაპირდა, სადილამდე შინ ვიქნებიო.

— წავალ, და[illegible], რომ ვერ მივალ! — თქვა მან.

მომვლელი ქალი ნანაძის სამუშაო ოთახში შეჰყვა, სადაც ტელეფონი იდგა.

— თავს როგორ გრძნობდა?

— ვერ იყო კარგად. იძულებული გავხდი პირველი ნემსი შუადღისას გამეკეთებინა: ახლა კი ხელმეორედ გავუკეთე. ნახევარ-ნახევარი დოზა, — დაუმატა მან. — მაგრამ რაც მთავარია, მისი საერთო მდგომარეობა არ მომწონს, ბატონო ანტუან! საშინელი ფიქრები აქვს „მატყუებენ... ბატონი აბატი მოიყვანეთ... ვკვდები!" და ღმერთმა იცის, კიდევ რას არ ამბობს.

ანტუანის შეწუხებული გამოხედვა თითქოს გარკვეულ პასუხს მოითხოვდა: „მაშასადამე, თქვენ გგონიათ, მიხვდა?" მონაზონმა თავი დაუქნია, უარის თქმა ვერ გაბედა.

ანტუანი დაფიქრდა. „მარტო ამით ვერ ავხსნით ტემპერატურის აწევას", — გადაწყვიტა მან.

— მთავარია, — ხმამაღლა თქვა და ენერგიულად გააქნია ხელი,— ახლავე გავუფანტოთ ყოველგვარი ეჭვი.

ერთბაშად მეტად გაბედული აზრი მოუვიდა თავში, მაგრამ შეყოყმანდა. — პირველყოვლისა, ვეცადოთ ღამე მშვიდად გაატაროს! — განაცხადა მან, — როცა გეტყვით, კვლავ შეუშხაპუნებთ ნახევარ დოზას... წადით. მეც ახლავე მოვალ.

— მაშ, ასე! შვიდ საათამდე თავისუფალი ვარ! — მხიარული წამოძახილით შევიდა ოთახში. იგი ისეთივე მკაცრი, მტკიცე გამომეტყველებითა და მკვახე ტონით ლაპარაკობდა, როგორც საავადმყოფოში იცოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, ბოლოს მაინც გაეღიმა.

— ადვილი საქმე როდი იყო! ტელეფონთან ჩემი პატარა ავადმყოფის ბებია მოვიდა. საწყალს თავზარი დაეცა და წუწუნს მოჰყვა: „როგორ, ექიმო, ნუთუ ამ საღამოს ვერ გნახავთ?" ანტუანმა შეწუხებული სახე მიიღო: „მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ მამასთან მიხმეს, მძიმე ავადმყოფია..." (ბატონ ტიბოს სახე მოებრიცა). ქალების ლაპარაკს ხომ ბოლო არ უჩანს: „მამათქვენი" ოჰ, ღმერთო, ჩემო, რა მოუვიდა?"

საკუთარმა სითამამემ ანტუანს თავბრუ დაახვია. წამით შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაბედა:

— იცი, რა ვუთხარი? აბა, გამოიცანი! წარბიც არ შემიხრია, ისე ვუპასუხე: „კიბო აქვს, ქალბატონო! კიბო! წინამდებარე ჯირკვლის კიბო!" —

ნერვული სიცილი აუტყდა. — რატომაც არა? სანამ მე ტელეფონთან ვიდექი, განა არ შეიძლებოდა კიბო გაგჩენოდა?

მან დაინახა, რომ მომვლელი ქალი, რომელიც ჭიქაში წყალს ასხამდა, ადგილზე გაშეშდა. ანტუანი მხოლოდ ახლა მიხვდა, რა სახიფათო თამაშში წამოიწყო. შიშმა აიტანა. მაგრამ უკან დახევა გვიან იყო. გადაიხარხარა.

— ოღონდ ამ ტყუილის პასუხისმგებელი შენ უნდა იყო, მამა, კარგი?

ბატონი ტიბო დამაბული უსმენდა. საბანზე დასვენებული ხელი უკანკალებდა. არავითარი დაბეჯითებული რწმუნება ასე სწრაფად და ასე სავსებით არ გაუფანტავდა შიშს! ანტუანის ჯოჯოხეთურმა გამბედაობამ ერთბაშად განდევნა ყოველგვარი მოჩვენებები და ავადმყოფს იმედი ჩაუსახა. მან თვალები გაახილა, შვილს შეხედა. წამწამების დახრა უნდოდა. ახალი გრძნობა, თბილი ალმური მოედო ბებერ გულზე. დალაპარაკება უნდოდა, მაგრამ ის, რასაც იმ წუთში გრძნობდა, თავბრუდახვევას ჰგავდა და სანამ თვალებს დახუჭავდა, ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე; ახალგაზრდა კაცმა მოასწრო და თვალი ჰკიდა ამ ღიმილს.

ანტუანის ადგილზე სხვა, ალბათ, შუბლზე ოფლს მოიწმენდდა და იტყოდა: „რა მოხერხებულად დავიძვრინე თავი!“ მან კი ოდნავ გაფითრებულმა და თავისთავით კმაყოფილმა, ესდა გაიფიქრა: „ასეთ დროს მთავარია წარმატებისა მტკიცედ გჯეროდეს“.

რამდენიმე წუთმა განვლო.

ანტუანი თვალს არიდებდა მომვლელ ქალს.

ბატონმა ტიბომ ხელი გაანძრია. შემდეგ, თითქოს წამოწყებულ საუბარს განაგრძობსო, თქვა:

— ამიხსენით, მაინც, დღითი დღე ასე ძალიან რად ვიტანჯები? შეიძლება კაცს ეგონოს, რომ თქვენი ნემსები ტკივილს უფრო მიძლიერებენ, ვიდრე...

— რასაკვირველია, გიძლიერებენ! — შეაწყვეტინა ანტუანმა, — ეს სწორედ იმის ნიშანია, რომ წამალი მოქმედებს...

— ჰოო!

ბატონ ტიბოსაც ეს უნდოდა: სურდა, დაერწმუნებიათ. და რაკი, სიმართლე რომ ითქვას, ნაშუადღევს ისეთი ძლიერი ტკივილები აღარ ჰქონდა, როგორსაც მოელოდა, კიდეც ინანა, დიდხანს რად არ ვიწვალეო.

— ახლა რას გრძნობ? — ჰკითხა ანტუანმა, რომელსაც ტემპერატურის ეს უეცარი აწევა აშინებდა.

თუ ბატონი ტიბო გულწრფელად უპასუხებდა, უნდა ეთქვა, დიდ შემსუბუქებას ვგრძნობთ, მაგრამ ეადა წაიბუზღუნა:

— ჩვეულებრივ ტკივილებს ვგრძნობ ფეხებში... ხოლო წელის მიდამოებში საშინელ სიმძიმეს...

— სამ საათზე ზონდი გავუკეთეთ... — აუხსნა ანტუანს სელინამ.

— შემდეგ აი, აქ... რაღაც მძიმედ მაწევს... მაწვება.

ანტუანი თავს უქნევდა.

— საინტერესოა! — მიუბრუნდა იგი მონაზონს.

(ამჯერად თვითონაც არ იცოდა, რა შეეთხზა).

— ეს ამბავი ზოგიერთ ჩემს დაკვირვებას მაგონებს... თუ როგორ მოქმედებს წამლების შეცვლა ავადმყოფზე. ავიღოთ, თუნდაც კანის დაავადება. მკურნალობის შეცვლა მოულოდნელ შედეგს იძლევა. იქნებ, ტერივიე და მე შევცდით, ახალი შრატის... ნომერი... 17-ის შეშხაპუნება შეუწყვეტლად რომ დავუნიშნეთ?!

— რა თქმა უნდა, შეცდომა დაუშვით! — დაეთანხმა ბატონი ტიბო.

ანტუანმა ხუმრობით შეაწყვეტინა:

— ეს უკვე შენი ბრალია, მამა! განკურნება ისე გექარება! ვერაფერს ვასწორებთ!

შემდეგ დინჯად მიუბრუნდა მომვლელ ქალს.

— სად შეინახეთ ის ამპულები, გუშინწინ რომ მოვიტანე? — დ—92?

ქალი უხერხულად შეიშმუშნა. ავადმყოფის ასეთი მოტყუება კი არ უმღვრევდა გუნებას, არა, უბრალოდ, ძალიან უჭირდა მთელ ამ „შრატებში“ გარკვევა, რომელსაც საჭიროების მიხედვით იგონებდა ანტუანი.

— ახლავე შეუშხაპუნეთ დ—92. დიახ. სანამ 17-ე ნომრის მოქმედება გაივლიდეს. მინდა თვალი ვადევნო. როგორი ეფექტი ექნება სისხლში ამ ორი პრეპარატის ნარევს.

ბატონმა ტიბომ შეამჩნია მომვლელი ქალის გაკვირვებაც და ორჭოფობაც. ანტუანმა თვალი შეასწრო მის დაკვირვებულ მზერას და ეჭვის გასაფანტავად მაშინვე დაუმატა.

— ეს ნემსი, ალბათ, გაცილებით მტკივნეული იქნება, მამა... დ—92 სხვა შრატებთან შედარებით უფრო სქელია. ნაგრავი ნელად გაივლის. ჩემი აზრით, ამ საღამოს დიდი შვება უნდა იგრძნო.

„დღითი დღე ვიწაფები.. — გაიფიქრა ანტუანმა. — პროფესიული პროგრესია!“ — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მან. ამ საბედისწერო თამაშში ახალ-ახალი სიძნელეების გადალახვა, ყოველნაირი რისკის გაწევა უხდებოდა, ეს კი ძალიან მოსწონდა.

მოპვლეული ქალი დაბრუნდა.

ბატონი ტიბო შიშით მოელოდა ნემსის გაკეთებას და ჯერ არც კი ეგრძნო მკლავში ჩხვლეტა, რომ უკვე აკვნესდა.

— უჰ, ეს შენი შრატი რა ყოფილა! — წაიბუზღუნა როგორც კი ნემსი მოაშორეს. — წინანდელზე გაცილებით სქელია! პირდაპირ ცეცხლი მეკიდება კანქვეშ! სუნიც რა სხვანაირი აქვს! გრძნობ? იმ შრატს სუნი მაინც არ ჰქონდა!

ანტუანი დაჯდა. პასუხი არ გაუცია. ამ ორ წამალს შორის არავითარი განსხვავება არ იყო: ტყუპებივით ერთნაირი ორი ამპულა, ერთი და იგივე ნემსი, ერთი და იგივე ხელი! სამაგიეროდ, თუ შეიძლება ითქვას... ეტიკეტი იყო... სხვადასხვაგვარი. საკმარისი გახდა, გონება ტყუილების გზით წარემართა, რომ დანარჩენი გრძნობებიც გულდასმით დახმარებოდნენ! სამწუხაროდ, ამ უხეირო საშუალებაში არასოდეს არ შეგვაქვს ეჭვი! ერთი ბავშვური მოთხოვნილება გვაქვს მუდამ, როგორმე გონება დავაჯეროთ! ყველაზე ძნელი, ავადმყოფებისათვისაც კი გაუგებრობაა. როგორც კი მოვახერხებთ და ამა თუ იმ მოვლენას სახელს დავარქმევთ, სარწმუნო საბუთს მოვუძებნით, როგორც კი ჩვენი საცოდავი ტვინი ორი აზრის დაკავშირებას შესძლებს მოჩვენებით ლოგიკასთან... „გონება! გონება! — გაიფიქრა ანტუანმა, — მიუხედავად ყველაფრისა, იგი ერთადერთი საყრდენი წერტილია მაინც ამ ორომტრიალში. გონების გარეშე რა გვეშველებოდა?"

ბატონმა ტიბომ თვალები დახუჭა.

ანტუანმა სელინას ანიშნა, ოთახიდან გადითო (ორივეს შეემჩნია, ავადმყოფი განსაკუთრებით მაშინ ნერვიულობდა, როცა ორივე უჯდა სასთუმალთან).

თუმცა ახალგაზრდა კაცი ყოველდღე ნახულობდა მამამისს, დღეს აშკარად დაინახა, როგორ გამოცვლილიყო. სახის კანი გამჭვირვალე, ქარვისფერი გახდომოდა და ავის მომასწავებლად უპრიალებდა. შეშუპება მომატებოდა, თვალები დაგუდოდა, ცხვირი კი, პირიქით, გაწვრილებოდა და მისი ძვლიანი კეხი უცნაურად უცვლიდა სახის იერს.

ავადმყოფი შეირხა.

სახის ნაკვთები თანდათან გამოუცოცხლდა. წინანდებური მოღუშული გამომეტყველება გაუქრა. ქუთუთოები უფრო ხშირ-ხშირად იხსნებოდა და გაფართოებულ, აელვარებულ გუგებს აჩენდა.

„ორმაგი დოზა მოქმედებას იწყებს" გაიფიქრა ანტუანმა; — ახლა ენაც გაიკრიფება!"

მართლაც, ბატონი ფრიცი ერთგვარ ნეტარებას განიცდიდა, დასვენების მოთხვნილებას გრძნობდა. ამ სასიამოვნო განცდაში არავითარი მოუსვენრობა აღარ ერია. მიუხედავად ანისა, სიკვდილზე ფიქრი მაინც არ შეუწყვეტია. მაგრამ რაკი მასზე ლაპარაკისა აღარ ეშინოდა, შესაძლებლად, სასიამოვნოდაც კი მიიჩნია. ნარკოზით აღგზნებულმა ცთუნებას ვერ გაუძლო და საკუთარი თავისა და შვილის გასართობად მიცვალების სცენის იმპროვიზაციას მოჰყვა, საგულისხმო დასასრულით:

— ანტუან, მისმენ? — ჰკითხა მან ერთბაშად. მის ხმას საზეიმო ინტონაცია ჰქონდა. შემდეგ, მიკიბ-მოკიბვას მოეშვა და პირდაპირ წამოიწყო — ანდერძში, რომელსაც ჩემი გარდაცვალების შემდგომ იპოვი... (ოდნავ შესამჩნევი პაუზა, როგორსაც მსახიობი იყენებს რეპლიკის მოლოდინში).

— არ მეგონა, მამა, — გულთბილად შეაწყვეტინა ანტუანმა, — ასე თუ გეჩქარებოდა სიკვდილი! — გაეცინა. — აკი ახლახან სიტყვა ვადავიკარი, გამოჯანსაღება გეჩქარება-მეთქი?!

მოხუცმა კმაყოფილებით ასწია ხელი.

— მათქმევინე, ძვირფასო! მეცნიერების თვალსაზრისით შესაძლებელია, განწირული ავადმყოფი არ ვიყო. მაგრამ პირადად მე, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ... რომ მე ვარ.. სხვათა შორის, სიკვდილი... ის ცოტა ოდენი სიკეთე, რის გაკეთებასაც ვცდილობდი ამქვეყნად, ჩამეთვლება... დიახ... და თუ დრო დადგა... (ცალი თვალი ხელახლა გააპარა ანტუანისკენ, ხომ არ მოშორებიაო ის ეჭვიანი ღიმილი). რას იზამ? იმედი უნდა ვიქონიოთ.. ღმერთი დიდია.

ანტუანი უსიტყვოდ უსმენდა.

— მაგრამ ეს კი არ მინდოდა მეთქვა! ანტუან, ჩემი ანდერძის ბოლოს, სიას ნახავ... ძველი მსახურებისათვის... ნაანდერძევი თანხით... ძალიან გთხოვ, ანდერძის ამ მინაწერს ყურადღება მიაქციო, ძვირფასო, იგი რამდენიმე წლის წინ შევადგინე. შესაძლებელია საკმაო... საკმაო ხელგაშლილობა ვერ გამოვიჩინე. მე ვგულისხმობ ბატონ შალს. ეს პატიოსანი კაცი ბევრს უნდა მიმადლოდეს, ეს უდავოა... ჩემი წყალობით აქვს ყველაფერი... მაგრამ განა ეს საფუძველს გვაძლევს, რომ... რომ მისი ერთგულება... აუნაზღაურებელი დარჩეს... თუნდ ზედმეტიც რომ იყოს!

ხველა დროდადრო ლაპარაკს აწყვეტინებდა, და ბოლოს, იძულებული გახდა რამდენიმე წამით შეჩერებულიყო.

„ეტყობა, სენი სწრაფად მოედო მთელ ორგანიზმს, — ფიქრობდა ანტუანი, — ხველას უმატა, გულის რევის შეგრძნებამაც. ჩანს, ბოლო ხანებში,

სიმსივნე ქვემოდან ზემოთ მოიწევს... ფილტვები, კუჭი... პირველივე გართულებისთანავე შეიძლება დაიღუპოს..."

— მე მუდამ ვამაყობდი, — წამოიწყო ბატონმა ტიბომ, რომელსაც ოპიუმის მოქმედებით აზროვნება ხან უნათდებოდა, ხანაც ერეოდა. — მე მუდამ ვამაყობდი, რომ საზოგადოების იმ უზრუნველყოფილ კლასს ვეკუთვნოდი, რომელზედაც რელიგია, სამშობლო, ყოველთვის... მაგრამ ეს უზრუნველყოფა ზოგიერთ მოვალეობასაც გვკარნახობს, ძვირფასო... — ისევ სხვა მიმართულებით გაეფანტა ფიქრები. — შენ კი მეტად მავნე მიდრეკილება გაქვს ინდივიდუალიზმისაკენ! — წაილაპარაკა მან უცებ და გაბრაზებით გადახედა ანტუანს. — რასაკვირველია. გამოიცვლები, როცა გაიზრდები... — მან შეასწორა, — როცა მოხუცდები, ოჯახს რომ მოეკიდები... ოჯახს! — გაიმეორა მან. ამ სიტყვამ, რასაც მუდამ მაღალფარდოვნად წარმოთქვამდა ხოლმე, რაღაც ბუნდოვანი მოგონება გაუღვიძა, ოდესღაც მის მიერ წარმოთქმული სიტყვების ფრაგმენტები მოაგონა. აზრი ისევ გაუწყდა. შანა კვლავ საზეიმოდ გაისმა:

— სინამდვილეში, ძვირფასო, თუკი დასაშვებად მიგვაჩნია ის გარემოება. რომ ოჯახი სოციალური ქსოვილის პირველად უჯრედს უნდა დარჩეს, საჭირო ხომ არ იქნება, იგი წარმოადგენდეს იმ... იმ პლებეურ არისტოკრატიას... სადაც შემდეგ რჩეულები კომპლექტდებიან? ოჯახი, ოჯახი... მიპასუხე: განა ჩვენ არ წარმოვადგენთ იმ საყრდენს, რომელსაც თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო ეფუძნება?

— სავსებით ვიზიარებ შენს აზრს, მამა! — გულთბილად დაეთანხმა ანტუანი.

მოხუცს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ვერ გაიგონა. მისმა ხმამ ნელნელა დაჰკარგა ორატორული ტონი და მისი განზრახვებიც ადვილად მისახვედრი გახდა.

— შენც ამ დასკვნამდე მიხვალ, ძვირფასო! ჩემი არ იყოს, აბატსაც ამის იმედი აქვს. შენც ამ დასკვნამდე მიხვალ, და ვნატრობ, სულ მალე მოხდეს ეს... ის კი არა, ნეტავი უკვე ასე იყოს, ანტუან, ჩემთვის, ამქვეყანასთან დაშორების ჟამს, ძნელი არ იქნება ის ამბავი, რომ ჩემი ვაჟი... შენსავით კარგად აღზრდილი, ჩემთან ერთად, ერთჭერქვეშ რომ ცხოვრობდი... განა არ უნდა ყოფილიყავი? ერთი სიტყვით, მე რელიგიას ვგულისხმობ. წესების ზუსტად და მკაცრად აღმსრულებელ რწმენას!

— „რომ იცოდეს, რას ვფიქრობ ამ საკითხზე!" — გაიფიქრა ანტუანმა.

— ვინ იცის, იქნებ, ღმერთმა პასუხიც მომთხოვოს... მისაყვედუროს... — ამოიოხრა ბატონმა ტიბომ. — ვაი ჩემ თავს! ამ ქრისტიანული

ამოცანის შესასრულებლად მე მჭირდებოდა წმინდანი ქალის, დედაშენის მხარდაჭერა. მაგრამ იგი ძალიან ადრე... წამართვეს...

თვალებიდან ორი ცრემლი გადმოუგორდა. ანტუანმა დაინახა, როგორ მოწყდა ეს ორი კურცხალი ქუთუთოებს და მერე ლოყებზე ჩაცურდა. აღელდა. ასეთ გულჩვილობას არ მოელოდა. მღელვარება კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა მამამისმა ინტიმური, მტკიცე ხმით ხელახლა განაგრძო ლაპარაკი, ანტუანს ასეთი ტონი აქამდე არ შეუმჩნევია მისთვის.

— სხვა ანგარიშებიც მაქვს გასასწორებელი. ჟაკის სიკვდილი... საცოდავი ბიჭი... განა მის წინაშე ვალმოხდილი ვარ? მინდოდა სიმტკიცე გამომეჩინა, სისასტიკე გამომივიდა. ღმერთო, ჩემს თავს ბრალსა ვდებ, რომ საკუთარ შვილს მკაცრად მოვექეცი... მისი ნდობა ერთხელაც ვერ დავიმსახურე, ვერც შენი, ანტუან... არა, ნუ მეკამათები, მე მართალს ვამბობ. ასეთი იყო ნება ღვთისა... ღმერთმა შვილების ნდობის ღირსი არ გამხადა... ორი ვაჟი მყავდა. პატივსა მცემდნენ, ეშინოდათ ჩემი; მაგრამ ბავშვობიდანვე გამირბოდნენ... სიამაყე! სიამაყე! ჩემი, მათი... მაინც, განა ყველაფერი არ გავაკეთე, რაც კი უნდა გამეკეთებინა? განა ისინი ყრმობიდანვე არ მივანდე ეკლესიას? განა მათ აღზრდაზე, მათ განათლებაზე არ ვზრუნავდი? უმადურობა... ღმერთო დიდებულო, იყავ ჩემი მსაჯული: განა ეს ჩემი ბრალია? ჟაკი მუდამ მეწინააღმდეგებოდა. უკანასკნელ წუთამდე, მისი სიკვდილის წინა დღემდე! და მაინც! განა შემეძლო თანხმობა მიმეცა ამ... ამაზე? არა... არა.

იგი გაჩუმდა.

— წადი, მომშორდი, ბოროტო შვილო! — დაიყვირა მან უცებ.

ანტუანი გაკვირვებით უკვირდებოდა. მამამისი მას არ მიმართავდა. იქნებ, ბოდავს? ქვედა ყბა წინ წამოეგდო. შუბლი ოფლით დანამვოდა, მკლავები აეწია და შეშლილს ჰგავდა.

— მომშორდი! — წამოიწყო მან, — შენ დაივიწყე შენი მოვალეობა მამის, სახლის, მისი მდგომარეობის მიმართ! სულის ხსნა! ოჯახის ნამუსი! არის საქციელი... საქციელი... რომელიც პიროვნების საზღვარს სცილდება! რომელიც სახელს უტეხს ყოველგვარ ტრადიციას! მე შენ მოგტებ! მომშორდი! — ხველამ სიტყვა გააწყვეტინა. დიდხანს ვერ მოითქვა სული. შემდეგ ყრუ ხმით წაილაპარაკა:

— ღმერთო დიდებულო! დარწმუნებული არა ვარ, რომ მაპატიებ... რა უყავი შენს შვილს?

— მამა... — გაბედა ანტუანმა.

— ვერ დავიცავი იგი... ცუდი გავლენები. ჰუგენოტების ხრიკები.

— „ოჰ, ისევ ჰუგენოტები!“ — გაიფიქრა ანტუანმა (ვერავის ვერ გაეგო, საიდან მომდინარეობდა მოხუცის ეს აკვიატებული აზრი. ანტუანის ვარაუდით, ჟაკის წასვლის შემდეგ, როცა მის საძებნელად პირველი ნაბიჯები გადადგეს, ბატონმა ტიბომ ეტყობა, ვიღაცის გაუფრთხილებელ ლაპარაკს მოჰკრა ყური და გაიგო, რომ ჟაკს მეზონში ყოფნისას მთელი ზაფხულის განმავლობაში ფონტანენებთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. მოხუცს საოცრად ეზიზღებოდა პროტესტანტები და არც ჟაკისა და დანიელის მარსელში გაპარვა დავიწყნია. შესაძლებელია, აწმყოსა და წარსულს ერთმანეთში ურევდა და მისთვის ჩვეული სიჯიუტით, მთელი ამ ტრაგედიის პასუხისმგებლად ფონტანენები მიაჩნდა).

— სად მიდიხარ? — დაიყვირა მან და წამოდგომა დააპირა.

თვალი გაახილა, ანტუანი დაინახა, თითქოს კიდეც დამშვიდდა და ცრემლით დანისლული თვალები მიაპყრო.

— უბედური! — წაილუღლუღა მან. — იგი ჰუგენოტებმა მიიტყუეს, ძვირფასო... წაგვართვეს... ეს მათ ჩაიდინეს, მათ უბიძგეს ხელი თვითმკვლელობისაკენ!..

— არა, მამა! — წამოიძახა ანტუანმა, — რატომ უნდა იფიქროთ, რომ...

— თავი მოიკლა! წავიდა, წავიდა და თავი მოიკლა.

(ანტუანს მოეჩვენა, თითქოს მამამისმა ხმადაბლა თქვა: „თანაც დავწყევლე!“ ალბათ, შეცდა. „დავწყევლეო?“ რატომ? ნამდვილი უაზრობა იყო). ბოლო ფრაზა უხმო, სასოწარკვეთილ ქვითინში მთაინთქა, ხველაში გადავიდა, რაც სწრაფად დაუცხრა.

ანტუანს ეგონა, ჩაეძინაო. განძრევისა ეშინოდა. რამდენიმე წუთმა განვლო.

— წარმოგიდგენია!

ანტუანი შეკრთა.

— მამიდაშენის შვილი... გახსოვს? ჰო, მამიდა მარის შვილი კიიბეფიდან... თუმცა, არა, შენ საიდან უნდა იცნობდე? იმანაც... თავი... მე მაშინ ბავშვი ვიყავი, ეს რომ მოხდა... ერთ საღამოს, ნადირობისას... თოფით... ვერავინ ვერაფერი გაიგო.

ბატონ ტიბოს ერთმანეთში ერეოდა აზრები, მოგონებები აეშალა, გამხიარულდა და იღიმებოდა.

— დედას თავს აბეზრებდა თავისი სიმღერებით. მისი სიმღერები... განუწყვეტლივ ისმოდა... როგორ იყო? უჰ, „რაში..“ „ბედაური...! კიიბეფში, არდადეგების დროს... შენ, რა თქმა უნდა, არ გახსოვს, ძია ნიკეს ორთვალა... ჰა! ჰა! ჰა! მოახლეების ჩემოდანი გზაზე... გადავარდა... ჰა! ჰა! ჰა!

ანტუანი ფეხზე წამოიჭრა, ეს სიხარული უფრო ძნელი ასატანი იყო, ვიდრე ქვითინი.

უკანასკნელ ხანებში მოხუცი, განსაკუთრებით საღამოობით ნემსის გაკეთების შემდეგ, ხშირად იგონებდა შორეული წარსულის უმნიშვნელო, წვრილმან ამბებს, რომლებიც მის დაცარიელებულ მეხსიერებაში ცოცხლობდნენ და ისევ უცებ იზრდებოდნენ, როგორც ბგერები ავსებენ ხოლმე ზღვის ნიჟარებს. შემდეგ ამ ამბებს რამდენიმე დღის განმავლობაში იხსენებდა და ბავშვივით იცინოდა.

იგი სახეგაბადრული მიუბრუნდა ანტუანს და გაახალგაზრდავებული ხმით წაუმღერა:

ცელქო რაშო.
ჰოპლა... პატარა ბედაურო...
ლა, ლა, ლა... სიყვარულს
ჰოპლა... ჰოპ... პალმანზე.

— ოჰ, მეტი აღარ მახსოვს! — სინანულით თქვა მან. — მადმუაზელმა კარგად იცის ეს სიმღერა. პატარა გოგოს უმღეროდა ხოლმე.

ახლა იგი აღარც თავის სიკვდილზე ფიქრობდა, აღარც ჟაკის თვითმკვლელობაზე. ანტუანის წასვლამდე შეუსვენებლივ იგონებდა კიიბეფის ამბებს და დავიწყებული სიმღერის ნაწყვეტებს.

როგორც კი მომვლელ ქალთან მარტო დარჩა, მაშინვე დაფიბჯდა. მერე ბოსტნეულის სუპი მოითხოვა და ქალიშვილისთვის ხელი არ შეუშლია ბავშვივით გამოეკვება იგი. შემდეგ, როცა ორივემ მწუხრის ლოცვა ჩაათავა, ჭაღის სინათლე ჩააქრობინა.

— დაო, თუ შეიძლება, მადმუაზელს სთხოვეთ. მოახლეებიც მოიხმეთ. მინდა მოველაპარაკო.

მადმუაზელ დე ვეზი ცუნცულით შემოვიდა ოთახში. ამ უცნაურ დროს რას მაწუხებსო, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა და აქლოშინებული შეჩერდა ზღურბლთან. ამაოდ ცდილობდა ბატონი ტიბოსთვის შეეხედა, მოკაკვული წელი ამის საშუალებას არ აძლევდა. ავეჯის ფეხებსა და ხალიჩის იმ დაკემსილ ადგილებსღა ხედავდა მხოლოდ, რომელსაც სინათლის შუქი სცემდა. მონაწონმა სავარძლის მოჩოჩება დააპირა მისკენ, მაგრამ მადმუაზელმა უკან დაიხია. იგი ათი საათის განმავლობაში უმალ ცალ ფეხზე იდგებოდა ყანჩასავით, ვიდრე ნიკრობებით დაშუქებულ ამ სავარძლებს კაბის კალთით შეეხებოდა.

შეშინებული მოახლეები ერთმანეთს მიჰკვროდნენ და ერთგვარ ჩაბნელებულ ჯგუფს ქმნიდნენ, რომელსაც ბუხარში აბრდღვიალებული ცეცხლი თუ გაანათებდა დროდადრო.

ბატონი ტიბო რამდენიმე წუთის განმავლობაში იკრებდა გონებას. ანტუანთან ჩატარებულმა სცენამ ვერ დააკმაყოფილა. გადაულახავი სურვილი აწვალებდა, როგორმე ერთი მოქმედება კიდევ დაემატებინა სპექტაკლისათვის.

— ვგრძნობ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, — წამოიწყო მან და ჩაახველა, — მინდა ვისარგებლო იმ რამდენიმე წუთით, სანამ ტკივილები... საშინელი ტანჯვა, რაც ბედმა მარგუნა, მიყუჩებულია, და გამოგეთხოვოთ...

სელინა პირსახოცებს ჰკეცავდა და გაოცებისგან გაშეშდა. მადმუაზელსა და მოახლეებს ენა ჩაუვარდათ. ბატონ ტიბოს კი მოეჩვენა, მოახლოებული სიკვდილის ცნობამ არც ერთი არ გააკვირვაო, და წამით საშინლად შეშინდა. მისდა საბედნიეროდ, მომვლელმა ქალმა, რომელიც სხვებზე გულადი იყო, წამოიძახა:

— აბა, რას ამბობთ, ბატონო? თქვენ ხომ დღითიდღე უკეთაა ხართ, მაშ. სიკვდილზე რად ლაპარაკობთ? ექიმმა რომ გაგიგოთ...

ბატონმა ტიბომ მაშინვე იგრძნო მორალური სიმტკიცე, წარბი შეიკრა, დასიმსივებული ხელი ძლივს აიწია და ყბედი ქალი ჩააჩუმა. შემდეგ ისეთი ტონით წამოიწყო ლაპარაკი, თითქოს რაღაცას ჰყვებაო.

— სანამ ღვთის სამსჯავროს წინაშე წარვსდგებოდე, პატიება უნდა გთხოვოთ. პატიებას ვთხოვ ყველას. ხშირად უგულოდ ვექცეოდი ჩემს ირგვლივ მყოფებს. შესაძლებელია, ჩემი სიმკაცრით ბევრჯერ დამიკოდია გული ჩემი ერთგული ადამიანებისათვის... ყველა მათგანისთვის, ვინც ჩემს სახლში ცხოვრობდა. ვაღიარებ... ვალში ვარ... ვალში ვარ ყველა თქვენთაგანთან, თქვენს მიმართ, კლოტილდ და ადრიენ... განსაკუთრებით კი დედათქვენთან, რომელიც ამჟამად, ჩემი არ იყოს, სასიკვდილო სარეცელზეა მიჯაჭვული და რომელიც ოცდახუთი წლის მანძილზე მორჩილების შესანიშნავ ნაგალითს გაძლევდათ... თქვენს მიმართ, მადმუაზელ, რომელიც...

ამ დროს ადრიენს ისეთი ხმამაღალი ქვითინი წასკდა, შეშფოთებულმა ბატონმა ტიბომ ძლივს შეიმაგრა ცრემლები, ასლუკუნდა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა, თითოეული სიტყვა აწონ-დაწონა და ისე განაგრძო:

— ...რომელმაც მთელი მოკრძალებული ცხოვრება იმას შესწირეთ, რომ ჩვენს დამგლოვიარებულ ოჯახში დარჩენილიყავით... გეფხიზლათ ლამპის შუქზე... ჩვენი ოჯახის ლამპის შუქზე... თქვენზე მეტად განა ვინ

იყო ღირსი... გაეწია ბავშვებისათვის... იმის მაგივრობა, ვინც თქვენი აღზრდილი იყო?!

ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს შორის ქალების სლუკუნი მოისმოდა სიბნელეში. ტანმორჩილი მოხუცი შინაბერა უფრო მეტად მოიხარა, თავის კანტური მოუხშირა, ხოლო დროდადრო, ჩამოვარდნილ სიჩუმეში მისი აცახცახებული ტუჩები ისეთ ბგერებს გამოსცემდნენ, თითქოს რაღაც ამოესრუტოთო.

— თქვენი წყალობით, თქვენი სიფხიზლის წყალობით ჩვენი ოჯახი წინანდებურად წელში გასწორდა... ღვთის მფარველობით! ყველას წინაშე გიხდით მადლობას; და სწორედ მინდა, რომ თქვენ მოგმართოთ უკანასკნელი თხოვნით, მადმუაზელ. როცა საბედისწერო წუთი დადგება... — საკუთარი სიტყვებით თავზარდაცემული მოხუცი იძულებული გახდა შიშის დასათრგუნავად შეჩერებულიყო, თავის იმჟამინდელ მდგომარეობას დაფიქრებოდა, და მერე განაგრძო: — როცა საბედისწერო ჟამი დაჰკრავს, გთხოვთ მადმუაზელ, თქვენ თვითონ წაიკითხოთ ხმამაღლა ის შესანიშნავი ლოცვა, ხომ იცით, რომელი? სულთაბრძოლის ლოცვა, რასაც თქვენთან ერთად... ვკითხულობდი... ჩემი საცოდავი მეუღლის სასთუმალთან... ამავე ოთახში... ხომ გახსოვთ?.. ამავე ჯვარცმის ქვეშ...

იგი ცდილობდა თვალით გაეპო სიბნელე. წითელი ხის ავეჯით მორთული, ცისფერი რეპსით გამოკრული ეს ოთახი მისი მუდმივი სადგომი იყო: სადაც დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ რუანში, რამდენიმე წლის გამოშვებით, ჯერ დედის, შემდეგ მამის გარდაცვალების მოწმე გახდა... მერე ეს ოთახი თითქოს აქ, პარიზში გადმოიტანესო, იმავე ავეჯით, იმავე რეპსით მორთულით; აქ გაატარა თავისი სიყმაწვილე; ეს იყო მისი საქორწინო ოთახი... მარტის თვის ერთ ცივ ღამეს აქ დაიბადა ანტუანი. ათი წლის შემდეგ, ზამთრის ერთ საღამოს, მისმა ცოლმა ამ ოთახში გააჩინა ჟაკი, თვითონ კი სული დალია; თვალწინ წარმოუდგა იებით მოფენილ განიერ საწოლზე გაშოტილი ცოლის გვამი...

ხმა აუკანკალდა.

— ... და იმედი მაქვს, რომ ჩვენი საყვარელი, ჩვენი წმინდანი... დამეხმარება იქ... თავის სიმხნევეს... თავის მორჩილებას... გამბედაობას გადმომცემს, რაც მან კიდეც დაამტკიცა... დიახ! — მოხუცმა თვალები დახუჭა და მოუხერხებლად დაიკრიფა ხელები, თითქოს ჩაეძინაო.

მონაზონმა სელინამ მოახლეებს ანიშნა, ფეხაკრეფით გადითო.

[illegible] წინ ქალები ერთხანს ყურადღებით დააკვირდნენ თავიანთ ბატონს, თითქოს სასიკვდილო სარეცელზე იწვა უკვე. შემდეგ, დერეფნიდან

ადრიენის ქვითინი და კლოტილდას სლუკუნი მოისმა; მადმუაზელი მკლავზე ხელმოკიდებული მიჰყავდა კლოტილდას. ქალებმა აღარ იცოდნენ, სად წასულიყვნენ, ბოლოს სამზარეულოში შევიდნენ და დასხდნენ. ტიროდნენ. კლოტილდამ განაცხადა, უნდა ვიმორიგეოთ, ფხიზლად ვიყოთ, როგორც კი მოგვიხმობენ, მღვდლის მოსაყვანად გავიქცეთო; და დრო რომ არ დაეკარგათ, ყავის დაფქვას შეუდგნენ.

სამაგიეროდ, მონაზონი არ დაბნეულა: ასეთ ამბებს შეჩვეული იყო. მისი აზრით, მომაკვდავის ასეთი სიმშვიდე მუდამ. იმაზე მეტყველებდა, რომ გულის სიღრმეში ავადმყოფს სიკვდილის გარდაუვალი მოახლოებისა არ სჯეროდა, თუმცა, უნდა ითქვას, ხშირად ამაოდაც! ამიტომ, ოთახი მიალაგა, გასაშლელი ლოგინი, რომელზედაც იძინებდა, იქვე დადგა, სინათლე ჩააქრო, ავადმყოფისათვის ხმა არ გაუცია, მშვიდად, როგორც ყოველ საღამოს, ლოცვა წაიკითხა და ათი წუთის შემდეგ უკვე ეძინა.

ბატონ ტიბოს კი არ ეძინა. ნარკოზის ორმაგმა დოზამ, მართალია, ნეტარი მდგომარეობა გაუხანგრძლივა, მაგრამ არ დააძინა. ეს გარინდება დიდებული იყო, ათასნაირი აზრებითა და გეგმებით სავსე. იმის შემდეგ, რაც ირგვლივ შიში დათესა, თვითონ საბოლოოდ გათავისუფლდა ამ შიშისაგან. ჩაძინებული მომვლელის მშვიდი სუნთქვა ოდნავ უშლიდა ნერვებს, მაგრამ მაინც კმაყოფილებით ოცნებობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოჯანსაღდებოდა, ამ ქალს მადლობით გაისტუმრებდა და სამრევლოსათვის ფასიან შესაწირავს გაატანდა. რამდენს? ვნახოთ... ეს დროც მალე დადგება. ოჰ, როგორი მოუთმენლობით მოელის ახალ ცხოვრებას! უიმისოდ რა ეშველება მთელ მის წამოწყებულ საქმეებს?!

კუნძი ჩაიფერფლა. ავადმყოფმა ცალი თვალი გაახილა. ალი კვლავ ავარდა, შეტორტმანდა და მოცეკვავე ლანდები ჭერზე ატყორცნა. უეცრად თავისი თავი წარმოიდგინა: აკანკალებული, ხელში ანთებული სანთლით, კიიბეფის სახლის ნესტიან დერეფანში მიდის, სადაც მთელი წლის განმავლობაში გვარჯილისა და ვაშლის სუნი იდგა: მის თვალწინ უზარმაზარი ლანდები წამოიმართებოდნენ, და მერე ხტუნვა-ხტუნვით ჭერისკენ მიცურავდნენ... ეს შავი ობობები როგორ აშინებდა მაშინ მამიდა მარის საკუჭნაოებში!.. (მაშინდელ მშიშარა ბავშვსა და ახლანდელ მოხუცს შორის ერთი მსგავსება იყო, რომ მათ გასარჩევად გონების დიდი დაძაბვა მოუნდა).

საათმა ათი ჩამოჰკრა. შემდეგ თერთმეტის ნახევარი.

კიიბეფ... ორთვალა... საქათმე... ლეონტინი...

მეხსიერების ნიაღვრიდან ასე ერთბაშად წამოშლილი მოგონებები ჯიუტად დატრიალდნენ ზედაპირზე და სიღრმეში დაბრუნებაზე უარს აცხადებდნენ. წარსულის ამ გულუბრყვილო სურათებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ აკომპანემენტად ძველი სიმღერა სდევდა თან. სიტყვები ჯერ კიდევ ვერ გაეხსენებინა კარგად, გარდა დასაწყისისა, რომელიც თანდათან აღსდგა მის მეხსიერებაში; ხოლო მისამღერი ერთბაშად ამოტივტივდა წყვდიადიდან:

ანცო რაშო..
ტრილბი, პაწაწინა ტაიჭო,
შენ ემსახურები ჩემ სიყვარულს
უკეთ, ვიდრე კარგი ბედაური!

. . . . . . . . . . .

ჰოპ! ჰოპ! ტრილბი, გაიქეცი,
ჰოპ! სწრაფად! პალმანზე.

საათმა თერთმეტი დარეკა.

ანცო რაშო
ტრილბი, პაწაწინა ტაიჭო...

## IV

მეორე დღეს, ოთხ საათზე ანტუანი ავადმყოფებისგან მოდიოდა და რაკი თავის სახლის ახლო აღმოჩნდა, გადაწყვიტა შემთხვევით ესარგებლა. და სანამ მეორე პაციენტთან შევიდოდა, მამა მოენახულებინა. დილით ძალიან დასუსტებული მოეჩვენა. ტემპერატურა კვლავ მაღალი ჰქონდა. ანტუანს ჯერჯერობით ვერ გაეგო, სიცხის აწევა ახალ გართულებას ნიშნავდა თუ საერთო მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებელი იყო?

ანტუანს უნდოდა ისე შესულიყო შინ, მამას არ ენახა, რადგან ამ დანატრებით ვიზიტს შესაძლო იყო შეეშინებინა. მან დერეფანი გაიარა და საბაზანოში შევიდა, რომელიც ავადმყოფის ოთახს ეკვროდა. სელინაც იქ დაბადდა. მან ჩურჩულით დაამშვიდა ანტუანი, ჯერჯეროპით ყველაფერი რიგზეა, ეს-ეს არის ნემსი გავუკეთე და, ეტყობა, უკვე იმოქმედაო. აუტანელი ტკივილების დასაყუჩებლად აუცილებელი გახდა მორფიუმის ხშირი შეშხაპუნება.

ოდნავ ღია კარიდან ჩუმი ბუტბუტი, სიმღერა მოისმოდა. ანტუანმა მიაყურადა. მონაზონმა მხრები აიჩეჩა.

— მანამ არ მოისვენა, სანამ მადმუაზელი არ მივუყვანე. რაღაც რომანსი უნდა მიმღეროსო. დილიდან ეს ეკერა პირზე.

ანტუანი ფეხის წვერებზე მიუახლოვდა კარს. სიჩუმეში მოხუცი ქალის წრიპინა ხმა გაისმოდა.

ანჯო რაშო
ტროლბი, პაწაწინა ტაიჭო,
შენ ჩამს სიყვარულს
უკეთ ემსახურები, ვიდრე ბედაური!
როზინას ანდალუზიურ
თვალებში რომ ჩავხედო.
ჰოპ! ჰოპ! ტრილბი, გასწი,
ჰოპ! სწრაფად გასწი პაემანზე!

შემდეგ მამამისის ხმა შემოესმა. სუნთქვაშეკრულმა გაბზარული საკრავის ბასით აიტაცა მინამღერი.

ჰოპ! სწრაფად გასწი პაემანზე!

მერე ისევ წრიპინა, აკანკალებული ხმა შემოესმა:

ხედავ ამ ლამაზ ყვავილს
იქ, მინდვრის პირას?
ნეტავ ჩემმა სატრფომ
ამ ყვავილით მორთოს შუბლი!
მე მას ვკრეფ, შენ კი სძოვ!
(რადგან ყველას თავისი გემოვნება აქვს!).

— ოჰ, აი რა! — განმარჯვებული ხმით შეაწყვეტინა ბატონმა ტიბომ, — მამიდა მარი მუდამ ასე მღეროდა: „ლა, ლა... ლა... შენ კი მას სძოვ!.. ლა, ლა, ლა... შენ კი მას სძოვ!“

ერთად წაიმღერეს:

ჰოპ! ჰოპ! ტრილბი!
ჰოპ! სწრაფად გასწი პაემანზე.

— სიმღერით ისე გაერთო, წუწუნი დაავიწყდა! — წაიჩურჩულა მონაზონმა.

ანტუანს გული შეეკუმშა და იქაურობას გაშორდა.

მეკარის ჯიხურის წინ ჩავლისას, ქალი გაეხმიანა. ფონტალიონს რამდენიმე წერილი მოეტანა. ანტუანმა უგულისყუროდ ჩამოართვა. მისი ფიქრი კვლავ ზემო სართულს დასტრიალებდა:

ანცო რაშო,
ტრილბი, პაწაწინა ტაიჭო...

თვითონაც უკვირდა, არ იცოდა, ასეთი თბილი გრძნობები თუ ჰქონდა ავადმყოფისადმი. როცა ერთი წლის წინ მიხვდა, რომ ბატონი ტიბო გამწირული იყო, მამის მიმართ, რომელიც თითქოს არ უყვარდა, რაღაც გაურკვეველი, მაგრამ ეჭვმიუტანელი გრძნობა აღეძრა; ეს გრძნობა თითქოს სულ ახალი იყო, სინამდვილეში, ძველისძველ სიყვარულს ჰგავდა, რაც გარდაუვალი უბედურების მოახლოებას აღედგინა. ამ უკანასკნელ თვეებში კი ეს გრძნობა კიდევ უფრო გაღრმავებოდა, რადგან შვილის სიყვარულს მამისადმი, უიმედო ავადმყოფობისადმი ექიმის გულთბილი დამოკიდებულება ემატებოდა. მხოლოდ ექიმმა იცის სასტიკი განაჩენი და ცდილობს, რაც შეიძლება, ფრთხილად მიიყვანოს იგი დასასრულისაკენ.

ანტუანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ქუჩაში და მხოლოდ მაშინ მოხვდა თვალში კონვერტები, რომლებიც ხელში ეჭირა.

ერთბაშად შეჩერდა.

„უნივერსიტეტის ქუჩა, 4 ა
ბატონ ჟაკ ტიბოს“.

დროდადრო, კატალოგები ან წიგნის მაღაზიის პროსპექტები კვლავაც მოდიოდა ჟაკის სახელზე. მაგრამ წერილი! მამაკაცის თუ იქნებ, ქალის ხელით ნაწერი ეს ცისფერი კონვერტი, მოგრძო, გაკრული და ოდნავ დაუდევარი ასოები!.. ანტუანი შინ შებრუნდა. დაფიქრებაა საჭირო. კაბინეტში შევიდა. მაგრამ სანამ დაჯდებოდა, კონვერტი სასწრაფოდ გახსნა. პირველივე სიტყვების წაკითხვაზე სიხარულმა აიტაცა:

„პანთეონის მოედანი, 1 ა
25 ნოემბერი 1913.

ძვირფასო ბატონო,

წავიკითხე თქვენი ნოველა...“

„ნოველაო? განა ჟაკი ნოველებს წერს?“ გულმა რეჩხი უყო. ცოცხალია!“ ასოები თვალწინ უხტოდა. აღელვებულმა წერილის ბოლოს დახედა ხელმოწერას: ჟალიკური.

„თქვენი ნოველა დიდი ინტერესით წავიკითხე. რა თქმა უნდა, თვითონაც მიხვდებით იმ თავშეკავების მიზეზს, რასაც მოხუც პროფესორს შთააგონებს...“

„ოჰ, ჟალიკური! ვალდიე დე ჟალიკური! პროფესორი, აკადემიკოსი!" ანტუანი შორიდან იცნობდა მას; ჟალიკურის ორი-სამი წიგნიც კი ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში.

„რა თქმა უნდა, თვითონაც მიხვდებით იმ თავშეკავების მიზეზს, რასაც მოხუც პროფესორს შთააგონებს ასეთი რომანტიკული ფორმა... იგი უხერხულობაში აგდებს მას. თანაც, არ უნდა დავივიწყოთ ჩემი კლასიკური განათლება, პირადი გემოვნება. ჩემთვის მიუღებელია მისი არსიც და ფორმაც. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს სტრიქონები, მიუხედავად ვადაჭარბებულობისა, პოეტისა და ფსიქოლოგის მიერ არის დაწერილი. თქვენი ნაწარმოების კითხვისას, რამდენჯერმე მომაგონდა ერთი ჩემი მეგობრის, მუსიკის მასწავლებლის სიტყვები, როცა მას ახალგაზრდა კომპოზიტორმა-რევოლუციონერმა (შესაძლებელია, ისიც თქვენს ბანაკს ეკუთვნოდა) მეტად გაბედული ნარკვევი აჩვენა: „მომაშორეთ, ბატონო ჩემო, თორემ ბოლოს და ბოლოს მომეწონება!"

ჟალიკური".

ანტუანს ფეხები უცახცახებდა. დაჯდა. მაგრამ მაგიდაზე გადაშლილი წერილისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა; კაცმა რომ თქვას, იმ ფაქტმა, რომ ჟაკი ცოცხალი იყო, სრულიად არ გააოცა; პირადად მას, ჟაკის თვითმკვლელობა არასოდეს სჯეროდა. პირველი გრძნობა, რაც ამ წერილის წაკითხვისას დაეუფლა, მონადირის გრძნობა გახლდათ: რამდენიმე წამში მეძებრის ის ინსტინქტმა გაიღვიძა მასში, რომელმაც სამი წლის წინ დაკარგული ძმის კვალი რამდენსამე თვეს აძებნინა. ამასთან, ჟაკისადმი ისეთი სიყვარული, მისი ნახვის ისეთი ძლიერი სურვილი გაუჩნდა უცებ, რომ თვითონაც არ მოელოდა. უკანასკნელ დღეებში, დღეს დილითაც კი, ხშირად თავს იკავებდა იმ მწარე გრძნობისგან, რაც მამის საწოლთან მარტო ყოფნით იყო გამოწვეული. ამ მძიმე მოვალეობის შესრულებისას მართლაც ძნელი იყო გაბრაზებით არ ეფიქრა გაქცეულ ძმაზე, რომელმაც უდროო დროს მიატოვა თავისი პოსტი! კი მაგრამ, ეს წერილი?

იმედმა გაამხნევა: უნდა მოძებნოს ჟაკი, შეატყობინოს, გააფრთხილოს! ამიერიდან აღარ უნდა დარჩეს მარტო.

მან კვლავ აიღო წერილი:

„პანთეონის მოედანი, 1 ა
ჟალიკური".

საათს დახედა. შემდეგ — უბის წიგნაკს.

„კეთილი. სამი ავადმყოფი მყავს სანახავი. ხუთის ნახევარზე საქსონიის პროსპექტზე აუცილებლად უნდა მივიდე, ვერ გადავდებ. მერე არტუას ქუჩაზე, ქუნთრუშის ნიშნებია, იქაც გადაუდებელია წასვლა, თუმცა კონსილიუმი არაა მესამე — გამოჯანსაღებულია. შეიძლება, გადაიდოს!" წამოუდგა. „ახლავე წავიდეთ საქსონიის პროსპექტზე. შემდეგ კი ჟალიკურთან".

ხუთ საათზე პანთეონის მოედანზე იყო. ძველი სახლი. ულიფტოდ (თუმცა ისეთ მოუთმენლობას გრძნობდა, ლიფტით, ალბათ, ვერც ისარგებლებდა). სულმოუთქმელად აიჭრა კიბეზე.

— ბატონი ჟალიკური შინ არაა. დღეს ოთხშაბათია... პედაგოგიურ სასწავლებელში ლექციები აქვს ხუთიდან ექვსამდე...

„მშვიდად! — თავისთავს ეუბნებოდა ანტუანი კიბეზე ჩასვლისას, — სწორედ იმდენი დრო გვაქვს, რომ შეიძლება ქუნთრუშით ავადმყოფი მოვინახულოთ!"

ზუსტად ექვს საათზე პადაგოგიური სასწავლებლის წინ გადმოხტა ტაქსიდან.

მოაგონდა. ძმის დაკარგვის მეორე დღეს დირექტორთან მივიდა; მოაგონა ზაფხულის ის მზიანი დღე, როცა დიდი ხნის წინ ჟაკთან და დანიელთან ერთად ამ პირქუშ შენობაში შევიდა მისაღები გამოცდების შედეგების გასაგებად!

— ლექცია ჯერ არ დამთავრებულა. მეორე სართულზე აბრძანდით. თვითონვე ნახავთ აუდიტორიიდან გამოსულ მსმენელებს.

შიდა ეზოში, კიბეებსა და დერეფნებში ორპირი ქარი დათარეშობდა. აქა-იქ ჩამოკიდებული ელექტრონათურები. მკრთალად, აბოლებულ ლამპასავით ანათებდნენ იქაურობას. ქვის ფილები, თაღები, კარების ჯახუნი, ბნელი და გაცვეთილი, მონუმენტური კიბე. კედელზე გაკრული, ნახევრად ჩამოგლეჯილი განცხადებები, რომლებსაც შემოდგომის ქარი აფრიალებდა, ეს საზეიმო ვითარება, სამარისებური სიჩუმე, სიმყუდროვე, ყოველივე ეს სამუდამოდ გაუქმებულ, პროვინციულ საეპისკოპოსოს მოგაგონებდათ.

რამდენიმე წუთმა გაიარა. ანტუანი ადგილიდან არ განძრეულა და იცდიდა. ქვის ფილებზე რბილი ნაბიჯები გაისმა. აბურძგნული, ტანსაცმელჩამოჩაჩული სტუდენტი მოღრეცილი ფეხსაცმლის ფლატუნით მოდიოდა და ბოთლს მოაქნევდა; იგი ანტუანს დააკვირდა და ჩაუარა.

ისევ სიჩუმე გამეფდა. და უცებ ზუზუნი გაისმა: დარბაზის კარი ისე გაიღო, იტყოდით, პარლამენტის სესია დამთავრებულაო; სტუდენტები

ჯგუფ-ჯგუფად, სიცილით გამოვარდნენ. ერთმანეთს ეპახდნენ, ხელს ჰკრავდნენ და მალე ამ ცივ დერეფნებში გაიფანტნენ.

ანტუანი იცდიდა. (პროფესორი, ალბათ, ბოლოს გამოვიდოდა). როცა გადაწყვიტა, სკა დაცარიელდაო, კარს მიუახლოვდა. ხის პანელებით, ბიუსტებით მორთულ, ცუდად განათებულ დარბაზში მაღალი, ჭაღარა მამაკაცი მაგიდასთან იდგა და ზედ გაფანტულ ქაღალდებს ზანტად აგროვებდა. ბატონი ჟალიკური უნდა ყოფილიყო.

ეგონა, მარტო დავრჩი დარბაზშიო; ანტუანის ფეხის ხმა რომ გაიგონა, წელში გასწორდა და უკმაყოფილოდ მოიხედა. მაღალი ტანისა იყო; ვინმესთვის რომ სახეში შეეხედა, თითქმის მთელი პროფილით უნდა მობრუნებულიყო, რადგან მხოლოდ ცალი თვალით ხედავდა, და იმაზეც ლუპასავით სქელი მონოკლი ეკეთა. ახალმოსულის დანახვაზე, მისკენ გაემართა და ზრდილობიანად მიიპატიჟა.

ანტუანი მოხუც პროფესორთან შეხვედრას ელოდა, და ამიტომაც გაუკვირდა ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ამ ჯენტლმენის დანახვა, რომელიც ცხენიდან ახალჩამომხდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე კათედრიდან ჩამოსულს.

ანტუანმა თავი გააცნო:

— მე გახლავართ აკადემიიდან თქვენი კოლეგის, ოსკარ ტიბოს ვაჟი და ჟაკ ტიბოს ძმა. თქვენ მას გუშინ წერილი მოსწერეთ... — და რაკი პროფესორი არ განძრეულა და წარბებაზიდული, თავაზიანი, ამაყი იერით იდგა, ანტუანმა გადაწყვიტა პირდაპირ ემოქმედა: — რა იცით ჟაკის შესახებ, ბატონო? სად არის, თუ იცით?

ჟალიკურს ჩრდილმა გადაურბინა შუბლზე.

—უნდა გამიგოთ, ბატონო! — განაგრძო ანტუანმა, — მე ჩემ თავს ნება მივეცი გამეხსნა თქვენი წერილი. ჩემი ძმა დაიკარგა...

— დაიკარგა?

— დიახ, უკვე სამი წელია მას შემდეგ.

ჟალიკურმა სწრაფად წაიგრძელა კისერი, ახლომხედველი, გამჭოლი თვალით გულდასმით დააკვირდა ახალგაზრდა კაცს. ანტუანმა პროფესორის სუნთქვა იგრძნო ლოყაზე.

— დიახ, სამი წელია! — გაიმეორა მან. — წასვლის მიზეზი არც კი გვითხრა. და არც არაფერი ვიცით მის შესახებ, არც მე, არც მამამ და საერთოდ, არც არავინ, თქვენს გარდა, ბატონო. ამიტომაც, არ უნდა გაგიკვირდეთ თუ თქვენთან გამოვეშურე... ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, ცოცხალი თუ იყო!

— ცოცხალი თუ იყო? რა თქმა უნდა, ცოცხალია, რაკი ეს ნოველა დაბეჭდა!

— როდის, სად?

ყალიკურმა არაფერი უპასუხა. წინგაშვერილი, გაპარსული, შუაზე ღრმად დაღარული ნიკაპი მუქარასავით ამოეზიდა საყელოს მაღალი კუთხეებიდან. თლილი თითებით გრძელ აბრეშუმივით რბილ, თეთრ ულვაშებს ეთამაშებოდა.

— მართალი გითხრათ, არც ვიცი, — სცადა სიტყვა ბანზე აეგდო. — ამ ნოველას მისი გვარი, ტიბო არ აწერია. მე თვითონ გადავწყვიტე, რომ მისი ფსევდონიმი უნდა იყოს...

— რა ფსევდონიმია? — წაიბუტბუტა ანტუანმა, რომელსაც უკვე საშინელი სასოწარკვეთა უკუმშავდა გულს.

ყალიკური თვალს ადევნებდა. მისმა მღელვარებამ გული აუჩვილა და დაუმატა:

— მიუხედავად ამისა, ბატონო ჩემო, არა მგონია, შევმცდარიყავი.

მაინც ფრთხილობდა. იმიტომ კი არა, რომ პასუხისმგებლობისა ეშინოდა, არა! მაგრამ მთელი ბუნებით სძულდა მოურიდებლობა და სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევა. ანტუანმა გადაწყვიტა, როგორმე დაემსახურებინა მისი ნდობა და განუმარტა:

— მთელი უბედურება ისაა, რომ ერთი წელია მამა უიმედო მდგომარეობაშია. ავადმყოფობა დღითი დღე მწვავე ხასიათს იღებს. რამდენიმე კვირაში ყველაფერი დამთავრდება. ორი შვილი ვყავდით მას: ალბათ, მიხვდით, რატომ გავხსენი თქვენი წერილი? თუ ჟაკი ცოცხალია, ვიპოვი, შევატყობინებ, რაც ხდება ჩვენს ოჯახში და დარწმუნებული ვარ, — მე მას კარგად ვიცნობ, — დამიბრუნდება.

ყალიკური წამით ჩაფიქრდა. სახეზე ნერვული კრუნჩხვა უვლიდა. შემდეგ ერთბაშად ხელი გაუწოდა ანტუანს.

— ეს უკვე სხვა საქმეა! — თქვა მან. — შევეცდები დაგეხმაროთ.

შემდეგ თითქოს შეყოყმანდაო, აუდიტორიას თვალი მოავლო და დაუმატა:

— აქ შეუძლებელია ლაპარაკი. იქნებ, სახლამდე გამომყოლოდით, ბატონო?!

უსიტყვოდ გაიარეს ინსტიტუტის შენობა, სადაც ქარის ღმუილიღა ისმოდა.

როგორც კი ულმის მყუდრო ქუჩაზე აღმოჩნდნენ, ყალიკური მეგობრულად ალაპარაკდა:

— ძალიან მინდა დაგეხმაროთ. ფსევდონიმი ადვილად ამოსახსნელი მომეჩვენა: ჟაკ ბოტი. მართალი ვარ? ამას გარდა, მისი ხელიც ვიცანი: ერთხელ წერილი მივიღე თქვენი ძმისგან: რაც კი ვიცი, ყველაფერს შეგატყობინებთ, მაგრამ ჯერ ამიხსენით... რატომ წავიდა?

— რატომ? მე თვითონ ვერ გამიგია, რა იყო შინიდან წასვლის მიზეზი. ჩემი ძმა მშფოთვარე, მოუსვენარი ბუნების ყმაწვილია... ვერ ვბედავ ვთქვა, მეოცნებეა-მეთქი. მისი საქციელი მუდამ მოულოდნელობით იყო სავსე. იფიქრებ, ვიცნობ მის ხასიათსო, ის კი ყოველდღე იცვლება, დღეს ისეთი არაა, როგორიც გუშინ იყო... უნდა გამოგიტყდეთ, ბატონო, რომ ჟაკი ერთხელ კიდევ გაიპარა. მაშინ თოთხმეტი წლისა იყო: ერთ დილით ამხანაგთან ერთად გაიქცა; სამი დღის შემდეგ ტულონის გზაზე ვიპოვეთ. მედიცინაში, — მე ექიმი ვარ, — ასეთი პათოლოგიური გაქცევები უკვე აღწერილი და შესწავლილია. ადვილად შესაძლებელია, რომ ჟაკის პირველი გაპარვა პათოლოგიურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ, ახლა? უკვე სამი წელია, რაც დაიკარგა!.. მიუხედავად ამისა, ვერაფერი ისეთი ვერ ვიპოვეთ მის ცხოვრებაში, რაც ამ საქციელს აგვიხსნიდა. იგი თითქმის ბედნიერი იყო: არდადეგები მშვიდად გაატარა ჩვენთან. გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა პედაგოგიურ სასწავლებელში და ნოემბრის დასაწყისში სწავლაც უნდა დაეწყო. მისი საქციელი წინასწარგანზრახული არ უნდა ყოფილიყო, რადგან საბუთების გარდა არაფერი წაუღია თან, არც ბარგი, არც ფული, არც მეგობრები გაუფრთხილებია. მაგრამ სასწავლებლის დირექტორს წერილი გაუგზავნა, სადაც ატყობინებდა, სწავლას თავს ვანებებო; მე ვნახე ის წერილი: მისი დაკარგვის დღესაა დაწერილი...

... იმ ხანებში ორი დღით ქალაქიდან გავედი, და ჟაკი სწორედ ჩემი არყოფნისას წასულა...

— რამდენადაც ვიცი... თქვენი ძმა დიდხანს ყოყმანობდა შესულიყო თუ არა პედაგოგიურ სასწავლებელში. ასე არაა? — ჰკითხა ჟალიკურმა.

— ვითომ?

ჟალიკური აღარ ჩასციებია და ანტუანიც გაჩუმდა.

თავისი ცხოვრების ამ ტრაგიკული პერიოდის გახსენება ანტუანს მუდამ აღელვებდა. იგი გულისხმობდა ჰავრში წასვლას, რაშელს, „რომანიას", გულში ძაფის ჩაწყდომას... და იმავე დღეს, როცა თავზარდაცემული, მწუხარებისაგან გაოგნებული, პარიზში დაბრუნდა, მთელი სახლი საშინლად აღელვებული დახვდა: წინადღით მისი ძმა გამქრალიყო. თავგზააბნეულ

მამას პოლიცია ფეხზე დააყენებინა და წამდაუწუმ იმეორებდა, ცხადია. თავი მოიკლაო, მეტი ვერაფერი ათქმევინეს. ოჯახური ტრაგედია სიყვარულით გამოწვეულ მის პირად ტრაგედიას გადაეჯაჭვა, სხვათა შორის, მხოლოდ ბოლო ხანებში მიხვდა, რომ ჟაკის ამბავმა მაშინ ძალიან უშველა საკუთარი უბედურების გადატანაში. აკვიატებულმა აზრმა, რადაც უნდა დამიჯდეს, ლტოლვილის კვალი უნდა ვიპოვნოო, საკუთარი გულის ტკივილი გადაავიწყა. მთელი დღის განმავლობაში კლინიკაში მუშაობის შემდეგ თავისუფალ დროს პრეფექტურებში, მორგში, კერძო საძებრო სააგენტოებში ატარებდა. ყველაფერი ერთბაშად დააწვა მხრებზე. მამამისის სულის შემაწუხებელი, ავადმყოფური შეშფოთება, ჟიზის სასოწარკვეთა, რაც მის ჯანმრთელობასაც უქადდა საფრთხეს, მეგობრების სტუმრობა, ყოველდღიური კორესპონდენციები. ყოველ მხარეს, უცხოეთშიც კი, დაგზავნილი აგენტები ათასნაირ ცნობებს აწვდიდნენ, ყალბ იმედებს უნერგავდნენ. ერთი სიტყვით, ამ მღელვარე ცხოვრებამ საკუთარი თავისგან იხსნა. და როცა მრავალი თვის განმავლობაში, ამაო ძებნის შემდეგ იძულებული გახდა ხელი აეღო ყოველგვარ ცდაზე, ურაშელოდ ცხოვრებას უკვე შეჩვეოდა.

მამაკაცები სწრაფი ნაბიჯით მიდიოდნენ, რაც ჟალიკურს სულაც არ უშლიდა ხელს საუბარში. მისი ზნეკეთილობა დუმილს ვერ ეგუებოდა. და ამიტომაც, დახვეწილი მანერებით უამბობდა ცისა და ბარისას. მაგრამ, რაც უფრო მეტ გულახდილობას იჩენდა, მანძილი მით უფრო იზრდებოდა მათ შორის.

პანთეონის მოედანს მიაღწიეს, ჟალიკური ნაბიჯის შეუნელებლად ავიდა მეხუთე სართულზე. თავისი ბინის კართან მოხუცი ჯენტლმენი წელში გასწორდა, ქუდი მოიხადა, უკან დაიხია და ისეთი იერით გაუღო კარი ანტუანს, თითქოს ვერსალის სარკიან გალერეაში * ეპატიჟებაო.

წინოთახში ბოსტნეულის სუპში ჩაყრილი ათასგვარი მწვანილის სუნი იდგა; ჟალიკური არ შეჩერებულა და სტუმარი ცერემონიულად შეიპატიჟა სასტუმრო დარბაზში, რომელიც სამუშაო კაბინეტის წინ იყო. პატარა ბინა ინკრუსტირირებული ავეჯით, რბილი სავარძლებით, პატარ-პატარა ძვირფასი ნივთებით, ძველებური პორტრეტებით აევსოთ. პატარა, დაბალჭერიანი სამუშაო ოთახი პირქუშად გამოიყურებოდა, რადგან მთელ უკანა კედელზე სქელი გობელენი გაეკრათ, რომელზედაც სოლომონ მეფესთან დედოფალ საბას * საზეიმო მისვლა იყო გამოხატული, და სრულიად არ შეესაბამებოდა კედლის სიმაღლეს: იძულებული გამხდარან გობელენის ქვედა ნაწილი შეეკეცათ; ასე რომ, ტანმაღალ პერსონაჟთა ფეხები გადაკვეთილი ჩანდა

კვირისტავებთან. ხოლო მათი დიადემები პირდაპირ ლავგარდანს ებჯინებოდა.

ბატონმა ქალიკურმა სავარძელი შესთავაზა ანტუანს. თვითონ რბილი სავარძლის ჩაზნექილ და გადახუნებულ ბალიშებზე მოიკალათა წითელი ხის საწერ მაგიდასთან, სადაც სრული უწესრიგობა სუფევდა. ზეთისხილისფერი ხავერდით გამოკრული სავარძლის ზურგის ფონზე მისი უკანგადაგდებული თავი. ყვრიმალებიანი სახე, დიდი. კეხიანი ცხვირი, მაღალი შუბლი და ჭაღარა, თითქოსდა, შეპუდრული თმა რაღაც სტილიზებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— მაშ. ასე.. — წამოიწყო მან და გამხდარ თითზე თვლიან ბეჭედს ატრიალებდა. — თანმიმდევრობით უნდა გავიხსენოთ ყოველივე... პირველად წერილებით გავიცანი თქვენი ძმა... იმ დროს, ეს იყო ოთხი-ხუთი წლის წინ, იგი, ალბათ, ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა. რამდენადაც მახსოვს, ის ხანებში ახლად გამოსული ჩემი წიგნის თაობაზე მწერდა.

— დიახ, — დაუმოწმა ანტუანმა, — „ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე".

— ის წერილი შენახული უნდა მქონდეს. მისმა ტონმა გამაოცა. პასუხი მივწერე. კიდეც ვთხოვე, ჩემთან მოსულიყო, მაგრამ არ მოსულა. ყოველ შემთხვევაში. იმ ხანებში არ მოსულა. ეტყობოდა, სურდა ჯერ შესასვლელ გამოცდებზე დაეშვათ და მერე გაგვეცნო ერთმანეთი. ეს გახლდათ ჩვენი ნაცნობობის მეორე ფაზა. ხანმოკლე ფაზა: ერთსაათიანი საუბარი. თქვენი ძმა საღამოთი მოვიდა ჩემთან, საკმაოდ გვიან, გაუფრთხილებლად. ეს იყო სამი წლის წინ. სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სახელდობრ, ნოემბრის დამდეგს.

— სწორედ შინიდან წასვლის წინა დღეებში!

— მე იგი მივიღე. ახალგაზრდები მუდამ მოდიან ჩემთან. მისი ენერგიული, აღტყინებული, თითქმის აღელვებული სახე აქამდე ჩამრჩა გონებაში (ვაკი მან ეგზალტირებულ და საკმაოდ ტრაბახა ყმაწვილად მიიჩნია მაშინ). იგი ორ გადაწყვეტილებას შორის ყოყმანობდა და რჩევის საკითხავად მოსულიყო ჩემთან: შესულიყო პედაგოგიურ სასწავლებელში და კეთილსინდისიერულად მიეღო უმაღლესი განათლება, თუ სხვა გზას დასდგომოდა? რა იყო ეს გზა, სხვათა შორის, თვითონაც არ იცოდა გარკვევით, მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი გეგმა უნდა ჰქონოდა: გამოცდებზე უარი ეთქვა და თავის ნებაზე შრომები ეწერა.

—ამის თაობაზე მე არაფერი ვიცოდი. — წაიბუტბუტა ანტუანმა. მოაგონდა საკუთარი ცხოვრება რამდენიმე თვის განმავლობაში, რაშელის

წასვლამდე და თავისთავს უსაყვედურა, იმ ხანებში ჟაკი სულ მიტოვებული მყავდაო.

— გამოგიტყდებით, — განაგრძო ტალიკურმა ოდნავი თავმოწონებით, რაც მას ასე ძალიან უხდებოდა, — არც კი მახსოვს, რა რჩევა მივეცი მაშინ. ალბათ, ბუნებრივია, ვურჩევდი, პედაგოგიური სასწავლებელი არ მიეტოვებინა... მისი ყაიდის ახალგაზრდებისათვის განათლება, რასაც ჩვენ ვა-ლევთ საერთოდ, საზიანო არაა: არჩევა ინსტინქტით იციან: მათ ახასი-ათებთ... როგორ ვთქვა? დიდგვაროვანთა მოურიდებლობა, რის გამოც სხვის ნება-სურვილზე არ ივლიან. სასწავლებელი მხოლოდ და მხოლოდ მოკრძალებულთა და სინდისიერთათვისაა საბედისწერო... სხვათა შორის, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თქვენი ძმა ფორმალურად მოვიდა ჩემთან რჩევის საკითხავად, და რომ გადაწყვეტილება მას უკვე მიეღო: სწორედ ეს გახლავთ მოწოდების ნამდვილი ნიშანი, რაც ასე ძლიერ იჩენს თავს, ხომ მართალია? იგი ნამდვილი... ახალგაზრდული სიფიცხით მელა-პარაკა სასწავლებელში გამეფებულ სულზე, დისციპლინაზე, ზოგიერთ პრო-ფესორზე; და მეხსიერება თუ არ მღალატობს, თავის ოჯახურ ცხოვრება-ზე, სოციალურ ცხოვრებაზე... თქვენ ეს გიკვირთ? მე ძალიან მიყვარს ახალგაზრდები. ისინი მეხმარებიან, რომ სწრაფად არ დავბერდე. ისინი ხვდებიან, რომ მე, ლიტერატურის პროფესორი, ძველი, გამოუსწორებელი პოეტი გახლავართ, რომელთანაც თამამად შეუძლიათ ლაპარაკი. და თქვე-ნი ძმაც, თუ არ ვცდები, ასევე მოიქცა... მე მომწონს ახალგაზრდების შე-უწყნარებლობა. როცა ჭაბუკი ინსტინქტურად აღსდგება ხოლმე ყველაფე-რის წინააღმდეგ, ეს ძალიან კარგი ნიშანია. ყველა ჩემი მოწაფე, ვისაც კი რაიმესთვის მიუღწევია, ასეთი ურჩნი ყოფილან და როგორც ჩემი მას-წავლებელი, ბატონი რენანი * იტყოდა ხოლმე, „ლანძღვა-გინებით“ იწყებდ-ნენ ცხოვრებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ თქვენი ძმის ამბავს! აღარ მახსოვს, როგორ დავ-შორდით ერთმანეთს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, შესაძლებელია, სუ-ლაც მესამე დღეს, მისგან ბარათი მივიღე, რომელსაც დღემდე ვინახავ. კომპილატორის ძველი ჩვეულება გახლავთ!..

იგი სავარძლიდან წამოდგა, კარადიდან გამოიღო საქაღალდე და მაგი-დაზე დადო.

— ამას წერილიც კი არ ჰქვია: უიტმენის ლექსია გადაწერილი. ხელს აწერს თქვენი ძმა. მაგრამ ისეთი ხელწერა აქვს, კაცი ვერ დაივიწყებს. შესანიშნავი ხელი აქვს, ხომ მართალია?

მას ლაპარაკი არ შეუწყვეტია, ისე გადაავლო თვალი საქაღალდიდან ამოღებულ ფურცელს. შემდეგ ანტუანს გაუწოდა: ნერვიული, ზედმეტად გადაბრალოებული, მაგრამ მაინც სწორი, მრგვალი და ნატიფი ხელნაწერი! ქალის ხელნაწერი... გული შეეკუმშა.

— საუბედუროდ, — განაგრძო ჟალიკურმა, — ეტყობა, კონვერტი გადაიგდია, საიდან მომწერა? სხვათა შორის, უიტმენის ამ ციტატას დღეს უკვე ნამდვილი მნიშვნელობა ეძლევა ჩემს თვალში.

— მე ისე კარგად არ ვიცი ინგლისური, რომ ერთი წაკითხვით გავიგო! — აღიარა ანტუანმა.

ჟალიკურმა ფურცელი გაამართა, მინოკლთან ახლოს მიიტანა და თარგმნას შეუდგა:

... ფეხით, გალაღებული გულით ღია გზას, ფართო გზას ვადგები... ჯანსაღი, თავისუფალი; მთელი სამყარო წინ მაქვს!.. ჩემს წინაშეა გრძელი, მოჩრდილული გზა, რომელსაც სულ ერთია, სადღაც მივყევარ... სადაც მოვისურვებ!

ამიერიდან არავითარ სიკეთეს არ ველი... არც არაფერს ვთხოვ ბედს.

თვითონ ვარ ბედი!

ამიერიდან აღარ ვიწუწუნებ, მე აღარ...

... მე აღარ დავაყოვნებ, მე აღარაფერი მჭირდება! დაცხრა შინაგანი დრტვინვა, წიგნები და კრიტიკული კამათი!

ძლიერი და კმაყოფილი... მივისწრაფვი...

... მივაბიჯებ ფართო გზაზე!"

ანტუანმა ამოიოხრა.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა, რაც ისევ მან დაარღვია?

ნოველა?

ჟალიკურმა საქაღალდიდან ჟურნალი ამოიღო.

— აი ისიც იგი „კალიოპეში" * დაიბეჭდა სექტემბრის ნომერში. „კალიოპე" ახალგაზრდობის ჟურნალია, ძალიან ცოცხალი, და ჟენევაში გამოდის.

ანტუანმა ხელი სტაცა ჟურნალს და აღელვებით გადაფურცლა. უეცრად კვლავ წააწყდა ძმის ნაწერს. ნოველის სათაურია „ლა სორელინა" ზევით, ჟაკს შემდეგი სტრიქონები წაეწერა:

„განა არ მითხარით ნოემბრის იმ მარადსახსოვარ ღამეს, რომ ყველაფერი ორი პოლუსის მოქმედებას ემორჩილებაო? ჭეშმარიტება მუდამ ორსახოვანია?

ზოგჯერ სიყვარულიც!

ჟაკ ბოტი

ანტუანი ვერაფერს მიხვდა. მერე დაუფიქრდა. ჟენევაში გამოცემული ჟურნალი... ჟაკი, იქნებ, შვეიცარიაშია? „კალიოპი", ჟენევა, რონის ქუჩა, 161.

ოჰ, მთელი უბედურება ის იქნება, თუ მისამართი არ ექნათ რედაქციაში!

ანტუანი ადგილზე ვერ ისვენებდა. წამოდგა:

— ეს ნომერი არდადეგების ბოლოს მივიღე, — განუმარტავდა ქალიკური, — მაგრამ პასუხი დავუყოვნე. მხოლოდ გუშინ მივწერე წერილი, კინაღამ „კალიოპში" გავგზავნე". შემთხვევით მოვისაზრე: ნაწარმოების შვეიცარიულ ჟურნალში დაბეჭდვა სულაც არ ნიშნავს, რომ ავტორი პარიზიდან იყოს წასული-მეთქი... (ის კი აღარ თქვა, რომ მის გადაწყვეტილებაზე მარკის ღირებულებამ იმოქმედა).

ანტუანი ყურს არ უგდებდა. ცნობისმოყვარეობას ისე აეტანა, სახეანთებული, მექანიკურად ფურცლავდა ჟურნალს, რომელიც მის ძმას ეკუთვნოდა, მკვდრეთით აღმდგარ ჟაკს განასახიერებდა: ზოგიერთ ამაღელვებელ, იდუმალებით მოცულ ადგილს კიდეც იმახსოვრებდა. ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის დარჩებოდა მარტო, ეგონა, როგორც კი ნოველას წაიკითხავდა, საიდუმლოს ამოხსნიდა და მასპინძელს სასწრაფოდ გამოემშვიდობა.

ქალიკურმა კარებამდე მიაცილა; გამომშვიდობებისას მისი ფრაზები და მოძრაობა მეტისმეტად ცერემონიული იყო.

წინოთახში შეჩერდა, თითით ანიშნა „ლა სორელინა", რომელიც ანტუანს იღლიაში ამოეჩარა და უთხრა:

— აი, ნახავთ, თქვენ თვითონ ნახავთ... მე ვგრძნობ, რომ ძალიან ნიჭიერადაა დაწერილი. მაგრამ ვაღიარებ... არა! ძალიან მოხუცი ვარ. — და რაკი ანტუანმა ზრდილობის გამო პროტესტის გამომხატველად ხელები გაასავსავა, დაუმატა: — დიახ, ასეა... მე უკვე აღარ მესმის ის, რაც ახალია... უნდა შევურიგდეთ... ჩვენ ერთ ადგილას გავიყინეთ.. თუმცა მუსიკაში, მაგალითად, ბედმა გამიღიმა და აზრის შეცვლა მოვახერხე: მძვინვარე ვაგნერისტი გახლდით, მაგრამ დებიუსის * მაინც გავუგე... მართალია, ცოტა კი დამაგვიანდა!.. თავის დროზე დებიუსი ხელიდან დამისხლტა... ახლა კი, დარწმუნებული ვარ, ბატონო, რომ დებიუსი ლიტერატურაშიც დამისხლტება ხელიდან!

წელში გაიმართა. ანტუანი აღფრთოვანებული ცნობისმოყვარეობით უყურებდა. ამ მოხუც ჯენტლმენს მართლაც დიდებული იერი ჰქონდა. იგი პირდაპირ ჭაღის ქვეშ იდგა; თმა და შუბლი გასხივოსნებოდა; წარბები და რკალები თვალის ღრმულებს გადმოჰყურებდა; ან ღრმულთაგან ერთს

შუშა ფარავდა და დროდადრო ისეთივე ოქროსფერ ანარეკლს ისროდა, როგორსაც მზის ჩასვლის წინ ვამჩნევთ ხოლმე ფანჯრის მინებზე.

ანტუანს სურდა კიდევ ერთხელ გადაეხადა მადლობა. მაგრამ, ეტყობა, ჟალიკურს გადაეწყვიტა, თავაზიანობის გამომჟღავნებით მონოპოლია თვითონ დარჩენოდა. ამიტომ სიტყვა ერთბაშად შეაწყვეტინა, ფართოდ გაშლილი ხელი ლაღად გაუწოდა და უთხრა:

— კეთილი ინებეთ და მოკითხვა გადაეცით ბატონ ტიბოს. ამას გარდა, ბატონო, გთხოვთ თქვენი ძმის ამბავიც შემატყობინოთ...

## V

ქარი ჩამდგარიყო. წვიმა ცრიდა და ფანრების შუქი ნათელი რგოლებივით რიალებდა ბურუსში. იმ საღამოს ანტუანი ვერავითარ ზომებს ვერ მიიღებდა, ერთობ გვიანი იყო. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ადრე მისულიყო შინ.

გაჩერებასთან ერთი ტაქსიც არ იდგა. იძულებული გახდა სუფლოს ქუჩა ფეხით გაევლო: „ლა სორელინა" მკერდზე ჰქონდა მიკრული, ყოველი გადადგმული ნაბიჯი მოუთმენლობას უღრმავებდა და მალე ეს მოუთმენლობა აუტანელი გახდა. ბულვარის კუთხეში გაჩახჩახებული „გ რ ა ნ დ ბ რ ა ს ე რ ი" * მართალია, განმარტოებას ვერ დაპირდებოდა, მაგრამ ახლომახლო სხვა თავშესაფარი არ ეგულებოდა, და ანტუანიც იქ შევიდა.

კარებში ორ ჭაბუკს შეეჩეხა, რომლებიც ხელმკლავგაყრილნი მოდიოდნენ და იცინოდნენ, მათი საუბრის თემა, ალბათ, სიყვარული იყო. ანტუანს მოესმა: „არა, ძმობილო, ადამიანის გონებას რომ შეეძლოს ამ ორ ტერმინს შორის არსებულ კავშირს ჩასწვდეს..." ანტუანი მიხვდა: ლათინური კვარტალის ცენტრში იმყოფებოდა.

პირველ სართულზე მაგიდები დაკავებული დახვდა და სანამ კიბეს მიაღწევდა, თბილი, სქლად ჩამოწოლილი ბოლის გაკვეთა მოუხდა. ზემო სართული სათამაშო კუთხეებისთვის იყო განკუთვნილი. ბილიარდის მაგიდის ირგვლივ წამოძახილები, სიცილი, კამათი მოისმოდა: „13! 14! 15!

„აფსუს!" — კვლავ ავცდი!
„ეჰეი, ერთი ტოლჩა ლუდი!
„ეჰეი, ერთი ჭიქა ბირი!" *

ამ მხიარულ აყალმაყალში ბურთების კაკუნი ირეოდა და მორზეს აპარატის სტაკატოს მოგაგონებდათ. ამ ახალგაზრდებს ყველაფერი ჭაბუ-

გური ჰქონდათ: ახლად წამოშლილი წვერით მორკალული ვარდისფერი ლოყა, სათვალის მიღმა მკვირცხლი გამოხედვა, მოუხერხებლობა, აღტყინება, ნაზი ღიმილი, ყოველივე ეს იმედის, გაფურჩქვნის, არსებობის სიხარულს მეტყველებდა.

ანტუანმა მოთამაშეებს შორის გაიარა, უნდოდა, მყუდრო ადგილი მოეძებნა. ამ ახალგაზრდა ჭიანჭველათა ბუდის ფუსფუსმა წამით პირადი საზრუნავი გადაავიწყა და პირველად ცხოვრებაში, საკუთარი ასაკის, ოცდაათი წლის სიმძიმე იგრძნო.

„1913... — გაიფიქრა მან, — დიდებული ბუდობაა... უფრო ჯანსაღი და, ალბათ, უფრო მარჯვე, ვიდრე ათი წლის წინანდელი, ჩემი თაობის ახალგაზრდობა..."

ანტუანი ცოტას მოგზაურობდა და ამიტომაც, ასე ვთქვათ, არასოდეს დაფიქრებულა თავის სამშობლოზე. მაგრამ ამ საღამოს ახალმა გრძნობამ, რწმენის სიამაყის გრძნობამ ერთბაშად იფეთქა საფრანგეთის მიმართ, მისი ერის მომავლის მიმართ. ამ გრძნობას მაშინვე დაემატა ნაღველი: იმედისმომცემ ამ ახალგაზრდათა შორის, ხომ შეიძლებოდა, ჟაკიც ყოფილიყო? მაგრამ სადაა? ან რას აკეთებს ამ წუთში?

ოთახის სიღრმეში რამდენიმე მაგიდა გარდერობის მაგივრობას სწევდა. ანტუანმა გაიფიქრა, ამ დახვავებულ პალტოებს უკან კარგად მოვიკალათებო. ირგვლივ არავინ იყო, გარდა ერთი მშვიდობიანი წყვილისა: ყმაწვილს პირში გაერჭო ჩიბუხი, „ლუმანიტეს" კითხულობდა და ყურადღებას არ აქცევდა მეგობარ ქალს, რომელიც თბილ რძეს წრუპავდა და თან თავს იქცევდა: ფრჩხილებს იპრიალებდა, ფულს ითვლიდა, ჯიბის სარკეში სარძევე კბილებს ითვალიერებდა და ცალი თვალით ყველას, ვინც კი დარბაზში შემოვიდოდა, უკვირდებოდა: ერთხანს შებერებულმა სტუდენტმა დააინტერესა, რომელსაც საჭმლის შეკვეთა დავიწყნოდა და შეწუხებული სახით მაშინვე წიგნში ჩაერგო ცხვირი.

ანტუანი კითხვას შეუდგა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ დაეპატრონა ყურადღებას. მექანიკურად მაჯა მოისინჯა: ძალიან სწრაფად უცემდა, იგი იშვიათად ჰკარგავდა წონასწორობას.

თანაც, მოთხრობის დასაწყისმა თავგზა აუბნია:

„პაპანაქებაა. გადამხმარი მიწის სუნი, ბუღი. გზა ხევით მიეოცაეს. ცხენის ნალები ნაპერწკლებს ჰყრიან ლოდებზე. სიბილა წინ მიჰქრის. სან პაოლოს ზარმა ათი ჩამოჰკრა. მკრთალ სილურჯეში გამოკვეთილი, და-

ლაჯნილი ნაპირი. ლაჟვარდი და ოქრო. მარჯვნივ, შორს, ჰორიზონტზე ნეაპოლის სრუტე. მარცხნივ მოჩანს დამდნარ ოქროში გაქვავებული ოქროს ზოდი, კაპრის კუნძული.

იტალიაში ხომ არ არის ტაკი?

ანტუანმა მოუთმენლად გადაფურცლა რამდენიმე გვერდი. რა უცნაური სტილია...

„ნისი ნამა. ჯუზეპეს გრძნობები მამისადმი, მისი სულის მიუწვდომელი ხვეულები, ეკლიანი ბუჩქი, დასუსხვა. შეუცნობელი, გაბელებული, ჯიუტი გადმერთების წლები. ყოველი ბუნებრივი ლტოლვა დათრგუნვილია. ნახრამ ოც წლამდე მაინც არ უგრძვნია ზიზღი. დიახ. ოცმა წელმა განვლო, სანამ მიხვდებოდა, რომ საჭიროა ზიზღი, სიძულვილი. ზიზღი მთელი არსებით!“

ანტუანი შეჩერდა. დაიბნა. ვინ უნდა იყოს ეს ჯუზეპე? ისევ მოთხრობის დასაწყისს უბრუნდება, თავს ძალას ატანს, უნდა როგორმე დამშვიდდეს.

პირველი სცენა: ორი ახალგაზრდა ცხენით სეირნობს; ჯუზეპე, რომელიც ტაკს წააგავს, და სიბილა, რომელიც, ეტყობა, ინგლისელი გოგონა უნდა იყოს, რადგან ამბობს:

„ჩვენთან, ინგლისში, როცა საჭიროა, ვკმაყოფილდებით შუალედური შეგრძნებებით. ეს საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ და ვიმოქმედოთ. თქვენ კი, იტალიელებს, თავიდანვე გსურთ გარკვეულობა“:

ქალიშვილი ფიქრობს: „ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხში ნამდვილი იტალიელივით მოვიქცეოდი, საჭირო არაა მან ეს იცოდეს!“

მთის თხემზე ახალგაზრდები ცხენიდან ჩამოხტებიან და ისვენებენ:

„გოგონა ჯუზეპეზე ადრე ჩამოხტება, მათრახს გადახრუკულ ბალახს გადაუჭერს, რათა ხვლიკები გააფრთხილოს და პირდაპირ ცხელ მიწაზე ჩაცოჯდება.

— ნზის გულზე, სიბილა?

ჯუზეპე ჩრდილის ვიწრო ზოლზე გაწვება, კედლის გასწვრივ. ცხელ პათქაშს თავს მიადებს და იყურება წინ. „მისი მოძრაობები, — ფიქრობს იგი, — ნახდენილი იქნებოდა, მაგრამ საკუთარ თავს მუდამ კრიჭაში უდგას!“

ანტუანი ისეა აღელვებული, რომ მოთხრობის ერთი თავიდან მეორეზე ხტება, სურს წაკითხვამდე ჩაწვდეს ყველაფერს. ერთი წინადადება თვალში ხვდება.

„გოგონა — ინგლისელია და პროტესტანტი!"

ანტუანმა ჩაიკითხა მთელი ეს ნაწყვეტი:

„მის თვალში ეს გოგონა ყოველ მხრივ უჩვეულოა. მომხიბვლელი, მღრული. უხარია, რომ ეს გოგონა გაჩნდა ამქვეყნად, იცხოვრა, მისთვის თითქმის სრულიად უცნობ სამყაროში იცხოვრა; სიბილას ნაღველი. ნიკი უმანკოება. ამხანაგური ტონი. ღიმილი. არა, იგი მხოლოდ თვალებით იღიმება, ბაგეებით — არასდროს. გრძნობა, რომელიც ამ გოგონასადმი აქვს, მკაცრი, უიმედო და ბრაზიანი. გოგონა შეურაცხყოფს. თითქოს სურს, იგი მასზე დაბალ რასას ეკუთვნოდეს. და ამის გამო კიდეც დაიტანჯოს. იგი ამბობს: „თქვენ, იტალიელები... თქვენ, სამხრეთელები". თვითონ ინგლისელია და პროტესტანტი".

ქალი, რომელიც ჟაკს შეხვდა, რომელიც შეუყვარდა? ვისთანაც, იქნებ, ახლაც ცხოვრობს?

„დაღმართი ვენახისა და ლიმონის ხეების გასწვრივ, პლაჟი. ბენახირე ბიჭი ჯოგს მიერეკება, პირქუში გამოხედვა, ძონძებიდან ტიტველი მხარი მოუჩანს. უსტვენს, ორ თეთრ ძაღლს მოუხმობს. წინ ძროხა მიდის, მის კისერზე ზარი წკრიალებს. თვალწიუწვდენლობა. მზე. ფეხქვეშ ორღობეები, სილაზე".

ეს აღწერა ანტუანს ნერვებს უშლის და კიდევ ორ გვერდს გადაფურცლავს.

აი, სიბილა, შინ...

„ლუნადორის ავარაკი. ვარდებში ჩაფლული ნახევრად ჩამონგრეული შენობა. ორწყება ფერად-ფერადი ყვავილნარი..."

ეს ხომ მხატვრული აღწერაა... ანტუანი კიდევ ერთ გვერდს გადაფურცლავს და აი, რა მიიქცევს მის ყურადღებას:

„ვარდნარი, მეწამული ზვავი, ყვავილების დაბალი თაღი. სურნელი, მძაფრი გამაბრუებელი სურნელი, სიცხეში აუტანელი, კანს რომ კბენს, ვენებში რომ იჭრება, თვალს ამღვრევს. მაჯისცემას ხან ანელებს და ხან აჩქარებს, ისეთი სურნელი“.

ნეტა რას აგონებს ეს ვარდნარი გზა სამტრედესკენ, „სადაც მტრედები გოგმანებენ“? ზემონ-ლაფიტი? რა თქმა უნდა... პროტესტანტი! სიბილა... ნუთუ? ოჰ, აი ისიც:

„ამაზონში გამოწყობილი სიბილა გრძელ სკამზე დაეშვება. მკლავგაშლილი. ბაგემოკუმული, მკაცრი გამოხედვა. მარტოდდარჩენილი, ერთბაშად ხვდება ყველაფერს: ჰო, ჟუზეპეს გასაბედნიერებლადაა გაჩენილი ამქვეყნად; იგი მიყვარს, როცა ჩემთან არაა. ვიცი, სწორედ იმ დღეებში მივაყენებ უფრო მეტ ტანჯვას, როცა განსაკუთრებული მოუთმენლობით ველი. უაზრო სისასტიკე. სირცხვილი. ბედნიერია, ვისაც ტირილი შეუძლია. მე კი... ჩემი გულჩათხრობილობით დაკუმშული გული...“

დაკუმშულიო? ანტუანს ეღიმება; სამედიცინო ტერმინი, რასაკვირველია, მისგან აქვს გაგონილი.

„ესმის თუ არა ჩემი? როგორ მინდა, ესმოდეს, მაგრამ როგორც კი მომეჩვენება, გამიგო-მეთქი, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია, ზურგს შევაქცევ, ვტყუი, ვთხზავ... თვითონაც არ ვიცი, რას... სულ ერთია, რაც თავში მომივა... უნდა გავიქცე!“

აი, დედამისიც:

„მისის პოუელ პარმაღზე ჩამოდის. მზე დასთამაშებს ჭაღარა თმაში. ქალს თვალებზე მოუჩრდილავს ხელი და იღიმება, თუმცა სიბილას ჯერ ვერ ხედავს; „წერილია უილიამისგან“, — ამბობს იგი, — ისე თბილ წერილს იწერება! ორი ეტიუდი დაუხატავს. რამდენიმე კვირას კიდევ დარჩება პესტუმში“. *

სიბილა ტუჩებს იკვნეტს. სასოწარკვეთა ეუფლება. საკუთარ თავში გასარკვევად, საკუთარი ფიქრის გამოსაცნობად ნუთუ ძმის ჩამოსვლას ელოდებოდა?“

რა თქმა უნდა, უეჭველია. ქალბატონი თონტანენი, ჟენი, დანიელი, მთელი წყება მოგონებებისა.

ანტუანი კიდევ გამოტოვებს რამდენიმე გვერდს.

შემდეგ თავს ფურცლავს. სურს ხელახლა იპოვოს ის ადგილი, სადაც მამა სერენიოა მოხსენებული.

აჰერ... არა, ეს სერენიოს სასახლის აღწერაა. ძველებური ციხე-დარბაზი ზღვის ყურესთან:

„... ფერადი ორნამენტებით მოხატული მაღალთაღოვანი სარკმლები".

მერე აღწერს: ზღვის ყურეს, ვეზუვს.

ანტუანი რამდენიმე გვერდს გამოტოვებს, აქა-იქ ცალკეულ ფრაზებს ჩაჰკირკიტებს, იქნებ, გაარკვიოს რაიმე.

აქ საზაფხულო რეზიდენციაში ჯუზეპე ცხოვრობს მსახურებთან ერთად. მისი და ანეტა, საზღვარგარეთ არის წასული. დედა მკვდარი ჰყავთ. გასაგებია. მამას, მრჩეველ სერენიოს, მაღალი პოსტი უკავია ნეაპოლის მართლმსაჯულებაში, ჩამოდის მხოლოდ კვირაობით, ზოგჯერ შუა კვირაშიც, საღამო ხანს.

„მამაც ასევე ჩამოდიოდა ხოლმე მეზონში", — გაუელვა ანტუანს.

„ეტლით ჩამოდიოდა სადილობისას. საჭმლის მონელება. სიგარეტი და ასი ნაბიჯი წინ და უკან, აივანზე; დილაადრიან დგებოდა, რომ მეჯინიბეები და მებაღეები შეეხურებინა. დილის პირველი ეტლით უკან ბრუნდებოდა პირქუში".

ოჰო, აგერ მამის პორტრეტიც... ანტუანი აღელვებით კითხულობს.

„მრჩეველი სერენიო. სოციალური წარმატება. მასში ყველაფერი ერწყმის, ავსებს ერმთანეთს. ოჯახური მდგომარეობა, ქონებრივი უპირატესობა, პროფესიული ნიჭი, ორგანიზატორული უნარი. ოფიციალური, აღიარებული, აგრესიული ავტორიტეტი, მოუქნელი სინდისიერება. უსასტიკესი სათნოება. ფიზიკური მონაცემებიც. თვითდაჯერებული. მხარგანიერი. ნაძალადევი სიმკაცრე, რაც მუდამ იმუქრება, მაგრამ მუდამ თავს იკავებს. დიდებული კარიკატურა, რომელიც საერთო მოწიწებასა და შიშს იწვევს. ეკლესიის ერთგული შვილი და სანიმუშო მოქალაქე. ვატიკანში, პალატაში, სასამართლოში, საკუთარ კაბინეტში, ოჯახში, სუფრასთან, ყველგან ერთნაირად აუღელვებელი, ყოვლისშემძლე, უნაკლო, კმაყოფილი, უძრავი. ძალა. უკეთ

სიმძიმე. არა ქმედითი ძალა, არამედ ინერტული, მძიმედ რომ გაწვება. მთლიანი, დასრულებული ერთიანობა. მონუმენტი.

აჰ, ეს მისი ცივი, ჩუმი ქირქილი..."

წამით ყველაფერი ერთმანეთში აირია ანტუანის თვალწინ. უკვირდა, ჟაკმა როგორ გაბედაო; ახლა, როცა უეცრად უსუსური მოხუცი წარმოიდგინა, შურისძიებით სავსე ეს გვერდი მეტისმეტად ულმობელად ჩათვალა:

ანცო რაში,
ტრილბი. პაწაწინა ტაიჭო...

მანძილი მასსა და მამას შორის ერთბაშად გაიზარდა.

„ოჰ, ეს მისი ცივი, ჩუმი ქირქილი, შეურაცხმყოფელი დუმილის ჩასახშობად! ოცი წლის განმავლობაში ჟუზეპე განუწყვეტლივ იტანდა ამ სიცილს, ამ დუმილს. აღშფოთებით.

დიახ, ჟუზეპეს მთელი წარსული სიძულვილი და აღშფოთებაა. როცა თავის სიჭაბუკეზე ფიქრობს, შურისძიების გრძნობა იღვიძებს მასში. ყრმობის წლებიდან ყოველი მისი ინსტინქტი, ფორმირების მიხედვით, მამის წინაღმდეგ აჯანყებული ინსტინქტია. უწესრიგობა, უპატივცემულობა, სიზარმაცე, რასაც იგი წინააღმდეგობის ჟინით ააშკარავებს. ზარმაცი მოსწავლე. ცხვენია, ასეთი რომაა. მაგრამ ამით უკეთ უტევს ზიზღისმომგვრელ კანონებს. გადაულახავი მიდრეკილება ცუდისკენ. ურჩობას სასიამოვნო სასჯელი მოსდევს.

მასზე ამბობდნენ, უგულო ბავშვიაო. მასზე, რომელიც დაჭრილი პირუტყვის ღრიალის გამო, მათხოვარი მუსიკოსის ვიოლინოზე დაკვრის გამო, ეკლესიაში მუხლმოდრეკილი ქალის ღიმილის გამო ღამღამობით საწოლში ქვითინებდა! მარტოობა. უდაბნო. შეჩვენებული ბავშვობა. ჟუზეპე ისე დავაჟკაცდა, პატარა დის მეტს საალერსო სიტყვა არავის დასცდენია მისთვის".

„— კი მაგრამ მე? — გაიფიქრა ანტუანმა".

თხრობა უფრო ნაზი ხდება, როცა დას ეხება.

„ანეტა, ანეტა, სოროლინა! საოცარია პირდაპირ, ამ სულის შემხუთველ ატმოსფეროში როგორ გაიფურჩქნა! უმცროსი და. მისი ბავშვური ნაღველის, მისი აღშფოთების მოზიარე დაიკო. ერთადერთი შუქი, კამკამა წყარო, ერთადერთი სინათლე ამ უნაყოფო წყვდიადში".

— კი მაგრამ, მე? თუმცა აგერ: ცოტა ქვემოთ, უფროს ძმას, უმბერტო-საც მოიხსენიებს.

„ზოგჯერ უფროსი ძმის გამოხედვაში ჯუზეპე გრძნობდა, რომ იგი ცდილობდა გულთბილად მოქცეოდა...“

ჰმ! ცდილობდა? უმადური!

„... მოქცეოდა, მაგრამ ამ გულთბილობას შეუწყნარებლობა აფუჭებდა. თანაც მათ შორის 10 წლის განსხვავებაა, მთელი უფსკრული. უმბერტო ემალებოდა ჯუზეპეს, რომელიც თავის მხრივ, უმბერტოს ატყუებდა“.

ანტუანმა კითხვა შეწყვიტა. უხერხულობა, ნოველის დაწყებისას რომ გრძნობდა, გამქრალიყო; რა ვუყოთ, თუ აქ ცოცხლებზე პირადი ამბებია აღწერილი! იგი თავისთავს ეკითხება: რამდენად სამართლიანია ჟაკის მსჯელობა? საერთოდ, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი, რაც უმბერტოს ეხება, სწორია. მაგრამ რამდენი ღვარძლი იგრძნობა! ნუთუ ახლაც, სამი წლის განშორებისა და მარტოობის შემდეგ, სამი წლის მაწანწალობაში თავისიანე-ბის გარეშე, ჟაკს იმდენად შეზიზღებია წარსული, რომ შეუძლია ასე მო-იგონოს ის?.. ანტუანს შიში იპყრობს: ძმის კვალსაც რომ მიაგნოს, იპოვის კია გზას მისი გულისკენ?

იგი ნოველის დანარჩენ გვერდებს ფურცლავს, აინტერესებს, უმბერტოს სახელი კიდევ ხომ არ მეორდება... მაგრამ არა, მხოლოდ გაკვრით. ფარუ-ლი სასოწარკვეთა იპყრობს...

სამაგიეროდ, თვალში ხვდება ერთი ნაწყვეტი, რომლის ტონი ცნობის-მოყვარეობას იწვევს.

„უტოლმეგობრო, მოკუნტული, სულიერ შფოთში ჩაფლულ-ჩაძირუ-ლი, საკუთარ ინსტინქტებს აყოლილი...“

ჯუზეპე რომში, მარტოობა. ჟაკის ცხოვრება უცხოეთის რომელიღაც ქალაქში!

„ზოგჯერ საღამოობით მის ოთახში მძიმე ჰაერია. წიგნი ხელიდან უვარ-დება. ლამპას აქრობს და ბნელ ქუჩაში დაძრწის მგლის ლეკვივით. მესალი-ნას * რომი, ცთუნებებითა და ხაფანგებით მოფენილი საზიზღარი უბნები. სავსე შუქი ურცხვად ჩამოშვებული ფარდის მიღმა. ჩრდილები და სიბ-ნელე. ჩრდილები თავისკენ ეზიდებიან, ჩრდილები უთვალთვალებენ. ავ-

ხორცობა. ჩასაფრებებით დაცხრილული კედლების გასწვრივ მიაბიჯებს. საკუთარ თავს გაურბის? როგორ მოიკლას ეს წყურვილი? თავი გამოტენილი აქვს ათასგვარი სისულელით, რომელიც ჯერ არ ჩაუდენია. საათობით ხეტიალობს, უგულისყუროდ, ანთებული თვალებით, გათანგული ხელებით, გამშრალი ხორხით, თავისთავს ვეღარ ცნობს, თითქოს საკუთარი სული და ხორცი უკვე გაეყიდოს. შიშის ოფლი, ავხორცობის ოფლი ასხამს. ერთ ადგილას ტრიალებს, ქუჩაბანდებში დაძრწის. ცთუნებებს ეხება, კვლავ შორდება. საათები. საათები.

გვიანაა. ჭუჭყიანი ფარდის მიღმა შუქი ქრება. ქუჩები ცარიელდება. მარტო რჩება თავის დემონთან. სულერთია, ყოველგვარი დაცემისთვის მზადაა. ძალიან გვიანაა. სურვილის ძლიერმა ცეცხლმა დააუძლურა. გამოაშრო.

ღამე მიიწურა. ისადგურებს დუმილის დაგვიანებული სიწმინდე, გარიჟრაჟის ღვთაებრივი მარტოობა. ძლიერ გვიანაა.

გულაზიზი, დამტვრეული, დაუკმაყოფილებელი, დამცირებული მიჩანჩალებს თავის სადგომისაკენ, რათა ლოგინში შეძვრეს. სინდისის ქენჯნა არ აწუხებს. მოტყუებულია. საკუთარი გაუბედაობის სიმწარე აწვალებს გარიჟრაჟამდე“.

ეს გვერდი ასე მძიმედ რატომ ეჩვენება ანტუანს? მიხვდა, რომ მისმა უმცროსმა ძმამ ბევრი რამ გადაიტანა. ბევრჯერ გაისვარა სხვადასხვა შეხვედრებით. მზად იყო ეთქვა: „ახია!“ ან უკეთ, „მით უკეთესი!“ მაგრამ...

ერთი სული აქვს, სანამ სხვა გვერდებს ჩაიკითხავდეს. მაგრამ თანმიმდევრობით წაკითხვის თავი არა აქვს და როგორღაც ხვდება, რაც უნდა მოხდეს.

აი, პოუელების აგარაკი, ყურესთან, იგი აქვეა, სულ ახლოს სერენიოს სასახლიდან. არდადეგების დროს ჯუზეპე და სიბილა მეზობლად ცხოვრობენ. ცხენით სეირნობენ. საღამოობით ნავით გასეირნება...

ჯუზეპე ყოველ საღამოს მოდის ლუნატორის ვილაში, სიბილას მასთან შეხვედრა არ უნდა. იდუმალებით მოცული სიბილა. ამაოდ ელოლიავებოდა მას ჯუზეპე.

მთელი მოთხრობა ჯუზეპეს სიყვარულს ეძღვნება. ანტუანს კითხვა ბეზრდება. მიუხედავად ამისა, თავს ძალას ატანს და კითხულობს ერთ საკ-

მაოდ გრძელ ნაწყვეტს, რაც ახალგაზრდა წყვილის ვანხ-თქილებას უნდა მოსდევდეს:

„საღამოს ექვსი საათია. ჟუზეპე კვლავ ვილაში მიდის. ბაღში გამაბრუებელი სურნელებაა. მზიანი დღის შემდეგ სიგრილეს დაუსადგურებია. ლეგენდარული პრინცი, ჯუზეპე, მიაბიჯებს ორ ვავარვარებულ კედელს შორის, ჩამავალი მზის სხივებით გასხივოსნებული ბროწეულის აყვავებული ხეივნის გასწვრივ. სიბილა! სიბილა! არავინაა. ფანჯრები დახურულია, შტორები ჩამოშვებული. ჩერდება. დამფრთხალი მერცხლები სტვენა-ჭიკჭიკით დასრიალებენ ჰაერში. არავინ ჩანს. იქნებ ფანჩატურში არიან, სახლის უკან? გაქცევა სურს, მაგრამ არ ძალუძს.

კუთხეში უცებ როიალის ხმა ამოიჭრა, თითქოს მოვარდნილი ქარიშხლის სუნთქვა იგრძნოო. კარი ღიაა. რას უკრავს? გულისგამგმირავი ოხვრა, შეკითხვით სავსე ჩივილი, ღამის სიწყნარეში რომ გაისმის. ადამიანთა ხმების მონაცვლეობა, წარმოთქმული, მაგრამ მოუხელთებელი ფრაზა, გასაგები ენით რომ ვერ გამოითქმის. ყურს უგდებს, უახლოვდება, ზღურბლზე შეადგამს ფეხს. სიბილას არაფერი ესმის. ურცხვად გაშიშვლებული სახე: ათრთოლებული ქუთუთოები, დაბაბული ბაგე, ყველაფერი — აღსარებაა. ამ ნიღბის უკან მხოლოდ სულია; სული და სიყვარული — თვით ეს ნიღაბია, მარტოობა დაირღვა, საიდუმლოება ამოკითხულია. ფიქრით ეხვევა მას. ქალი კი უკრავს. ბგერათა სპირალი ამ საოცარ წამში ინთქმება. ჩახშული ქვითინი, მსუბუქფრთიანი ნაღველი ფართატით რომ ერწყმის ჰაერს. როგორც გაფრენილი ჩიტი სივრცეს.

სიბილამ დაკვრა შეწყვიტა. სიმები მაინც ჟღერენ. როიალის სახურავს რომ ხელი დაადოთ, მისი გული ძგერა შეგათრთოლებთ. ქალს მარტო ჰგონია თავი. მოიხედავს. ნელი, გრაციოზული მოძრაობა, ჯუზეპესათვის ჯერეთ უცნობი. და უცებ...“

ლიტერატურა! ლიტერატურა! მოკლედ და უხეშად მოხაზული ეს ნაწილი მოთმინებას უკარგავს ანტუანს. ნუთუ ჟაკს ნამდვილად უყვარდა ჟენი?

ანტუანის წარმოსახვა წინ უსწრებს თხრობას. ისევ ტექსტს უბრუნდება.

აი, კვლავ მოხსენებულია უმბერტოს სახელი. ხანმოკლე სცენა სერენიოს სასახლეში, როცა ერთ საღამოს, მრჩეველი მოულოდნელად ბრუნდება სადილად უფროს ვაჟთან ერთად.

„ვეება სასადილო ოთახი. სამი კამაროვანი ფანჯარა. ვეზუვის კვამლი გაშლილა ვარდისფერ ცაზე. მარმარილოსებრ მობათქაშებული კედლები. მწვანე სვეტები, რომლებიც გუმბათივით მოხატულ ჭერს აქვს შეყენებული.

„ბენედიციტე!" * მრჩეველი მსხვილ ტუჩებს აცმაცუნებს. ფართო ჟესტებით იწერს პირჯვარს. უმბერტო ხათრს არ უტეხს და ისიც იწერს პირჯვარს. ჯუზეპე გაშეშებულია, პირჯვარს არ იწერს. სუფრასთან სხდებიან. უზარმაზარი თეთრი სუფრა მკაცრად გამოიყურება: შორი-შორ დადგმული სამი ჭურჭელი. ფილიპი ნაბდის ფეხსაცმელებში, ვერცხლის სინით".

უფრო ქვემოთ:

„მამასთან პოუელის გვარს არასოდეს ახსენებენ. მან უარი თქვა უილიამის გაცნობაზე. ვიღაც უცხოელი! მხატვარი! საცოდავი იტალია! გზაჯვარედინი, მაწანწალათა მსხვერპლი! ზარშან, ერთხელ და სამუდამოდ ბრძანა: „ამ ერეტიკოსებთან ურთიერთობას გიკრძალავთ!" გრძნობს თუ არა, რომ არ იმორჩილებიან!"

ანტუანი მოუთმენლად ფურცლავს. აი კიდევ უფროს ძმაზე:

„უმბერტო რამდენიმე უმნიშვნელო ამბავს ატყობინებს. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდება. ლამაზი შუბლი აქვს უმბერტოს. გამოხედვა ჩაფიქრებული და ამაყი. უეჭველია, სადმე სხვაგან ახალგაზრდულ, მგზნებარე ხასიათს ამჟღავნებს. სწავლა-განათლება დაამთავრა. დიდებული მომავალი ელის. ჯუზეპეს უყვარს ძმა. არა როგორც ძმა, არამედ როგორც ბიძა. დიდხანს რომ დარჩენილიყვნენ მარტო შესაძლებელია, დამეგობრებულიყვნენ. იქნებ, ჯუზეპე კიდეც ალაპარაკებულიყო მასთან. პირისპირ იშვიათად და მხოლოდ წინასწარ შეთანხმებით რჩებიან. უმბერტოსთან შეუძლებელია იყო შინაურულად.

გასაგებია! — ფიქრობს ანტუანი და 1910 წლის ზაფხული აგონდება. — რაშელის გამო! ჩემი ბრალია!"

კითხვა შეწყვიტა, დაღლილი თავი სავარძლის ზურგს მიაყრდნო. ფიქრებს გაჰყვა. იმედი გაუცრუვდა: ამ ლიტერატურულმა ყბედობამ არაფერი მისცა, შინიდან წასვლის მიზეზი ვერ აუხსნა.

ორკესტრი უკრავს ვენის ოპერეტის მოტივს, რომელსაც იქ მყოფი მეინახეები ხმას აყოლებენ, აქა-იქ ზოგი კიდეც სტვენს ჩუმ-ჩუმად. მშვიდი წყვილი არ განძრეულა. ქალს რძე შეუსვამს, პაპიროსს ეწევა და მოწყენილია; დროდადრო შიშველ მკლავს მხარზე ჩამოადებს თავის მეგობარს, რო-

მელსაც „ლ ე დ ო რ უ ა დ ე ლ ო მ“ * გაუშვია; ქალი დაბნეული სახით ეფერება ყურის ბიბილოზე და კატასავით ათვალიერებს.

„ცოტაა ქალი! — ფიქრობს ანტუანი, — მართალია, ყველა ახალგაზრდაა. მაგრამ მაინც მეორე პლანზე არიან... უბრალოდ, პარტნიორები არიან, დროს გასატარებლად...“

იქვე სტუდენტთა ჯგუფია. კამათობენ. პეგის *, კორნუის * გვარები ყუმბარასავით სკდება. ახალგაზრდა ებრაელის წვერის ლეგუჯი ფერი ჯაკრავს, იგი მიკიდა და შუაში ჩაუჯდა „ლ ე დ ო რ უ ა დ ე ლ ო მ“ და „ფრისოს“, რომელსაც მოწყენილობა აღარ ეტყობა.

ანტუანი თავს ძალას ატანს და ხელახლა კითხულობს. ერთხანს ის გვერდი დაეკარგა, ბოლოს რომ კითხულობდა. ჟურნალი გადაფურცლა. „ლა სორელინას“ უკანასკნელ სტრიქონებს თვალი ჰკიდა:

„... აქ ცხოვრება, სიყვარული შეუძლებელია. მშვიდობით,

... შეუცნობელის ხიბვლა, ახალი ხვალინდელი დღის ხიბვლა, გაბრუება. დავიწყება, ყველაფრის თავიდან დაწყება. რომისკენ მიმავალი პირველი მატარებელი. რომი; გენუისკენ მიმავალი პირველი მატარებელი. გენუა; პირველი გემი...“

საკმარისია. ანტუანს ყურადღება დაეძაბა. მოთმინება, მხოლოდ მოთმინებაა საჭირო. ჟაკის საიდუმლოება სადღაც აქ, ამ სტრიქონებში იმალება!

ყოველი გვერდი თანმიმდევრულად უნდა ჩაიკითხოს ბოლომდე, გულმშვიდად. ისევ უკან ბრუნდება, შუბლს ხელებში ჩარგავს და ბეჯითად კითხულობს.

აი, ანეტა — ლა სორელინა შვეიცარიის მონასტრიდან ბრუნდება, სადაც სწავლა-განათლება დაუმთავრებია.

„ანეტა ოდნავ შეცვლილია. ოდესღაც მოახლეები ამაყობდნენ მისით.

ე უნა ვერა ნაპოლეტენა * პატარა ნეაპოლელი. მრგვალი მხრები. შავგვრემანი კანი. მსხვილი ტუჩები. თვალები უცინის. ყველაფერზე იცინის, კვდება სიცილით.

ან ყიზი რაღად ჩარია ამ ამბებში? ან ჯუზეპეს ალალ დად რაზე გახადა?.. სხვათა შორის, და-ძმას შორის მომხდარმა პირველმა სცენამ ანტუანს რაღაც უხერხულობა აგრძნობინა.

ჯუზეპე ანეტას შესახვედრად მიდის; სერენიოს სასახლეში ეტლით ბრუნდებიან.

„მზე მთის თხემს იქით გადაიწვერა. ძველი ეტლის რწევისაგან ქოლგა ირხევა. ჩრდილი. უეცარი სიგრილე.

ანეტა, მისი ტიტინი. მკლავი ჯუზეპეს მკლავში გაუყრია და ტიკტიკებს დაუსრულებლად. ჯუზეპე იცინის. რა მარტო გრძნობდა აქამდე თავს! სიბილა მარტოობას ვერ უფანტავს. სიბილა, სიბილა! მუქი, მუდამ გამჭვირვალე წყალი, თავბრუდამხვევი უძრაობა. სიბილა!

პეიზაჟი ვიწროვდება. ბინდბუნდი შეუმჩნევლად შეერწყმის სიბნელეს.

ანეტა ფეხმოკეცილი მოიკალათებს. როგორც წინათ იცოდა. ნაუცბათევი კოცნა. ჭრელი; დრეკადი; მტვრისაგან მქისე ტუჩები. როგორც წინათ იცოდა და-ძმამ. ჯუზეპეს უყვარს სიბილა, მაგრამ რა სასიამოვნოა ლა სორელინასთან ალერსი. ჯუზეპეც კოცნის, სადაც მოხვდება: თვალებში, თმაზე. ძმასავით კოცნის ხმამაღლა. მეეტლე იცინის. გოგონა ლაყბობს მონასტერზე, ცისაზე-ბრისაზე, გამოცდებზე. ჯუზეპეც ნაწყვეტ-ნაწყვეტ: მამაზე, მომავალ შემოდგომაზე, მომავალზე. თავს იკავებს, პოულების გვარს არ ახსენებს. ანეტა ღვთისმოსავია. ოთახში მადონას საკურთხეველთან ექვსი ცისფერი სანთელი უნთია: ებრაელებმა ჯვარს აცვეს ქრისტე. ვერ მიხვდნენ, რომ იგი ღვთის შვილი იყო. სამაგიეროდ, ერეტიკოსებმა იცოდნენ. ამპარტავნობის გამო ჭეშმარიტება უარყვეს“ [1].

და-ძმა სერენიოს ციხე-კოშკში დასახლდებიან. მამა შინ არ არის.

ზოგი გვერდი თავიდან ბოლომდე უსიამოვნოა ანტუანისთვის:

„მეორე დღეა. ჯუზეპე ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, ანეტა რომ შემოვიდა. იგი მაინც შეცვლილა ოდნავ. ისეთივე ღია და წმინდა, ოდნავ გაოცებული გამოხედვა, მაგრამ უფრო თბილი, რაც შესაძლებელია უმნიშვნელო რყევამაც კი სამუდამოდ შეაშფოთოს. ეტყობა, ლოგინიდან ახლახან გამომძვრალა. ჯერ კიდევ მოთენთილი და თბილია. თმააწეწილი, კეკლუცობის არავითარი ნიშანწყალი. ნამდვილი ბავშვი. როგორც წინათ. ჩემოდნიდან უკვე ამოულაგებია შვეიცარული სუვენირები, სურათები, ნახე! ტუჩები

---

[1] ნართაული იმის თაობაზე, რომ პროტესტანტიზმი ისევე, როგორც იუდეიზმი უარყოფს ხატებსა და ქანდაკებას, რასაც კათოლიკური კულტი ფართოდ იყენებს.

ჩამწკრივებულ კბილებზე ხრიალებენ. თხილამურებზე ეცემა. თოვლში აშვერილი კლდის წვერი. მუხლზე ჯერ კიდევ აჩნევია. აი, ნახე! წვივი, ფეხი, პენუარიდან მოუჩანს. გაშიშვლებული ბარძაყი. ხელით ისინჯავს ჭრილობას, ფერმკრთალი პაწაწინა ნაიარევი მოყავისფრო კანზე. უგულისყუროდ სიამოვნებს საკუთარი სხეულის მოფერება. დილით და საღამოს უყვარს სარკეში ყურება, უღიმის საკუთარ სხეულს. ლაპარაკობს და ლაპარაკობს დაუსრულებლივ. ათას რაიმეზე ოცნებობს: ცხენოსნობაზე: ამაზონში გამოწყობილს შენთან ერთად მინდა ცხენით ან პონით გასეირნება, პლაჟზე ვიჯირითებდით. ისევ ისინჯავს ნაიარევს. აპრიალებულ მუხლს ლუნავს და მართავს. ჯუზეპე თვალებს ახამხამებს და საწოლში იზმორება. როგორც იქნა, პენუარის კალთა ჩამოუშვა, ფანჯრისკენ მირბის. „ყურე მზიანი დილით გასხივოსნებულა! ზარმაცო, ცხრა საათია, წამო, ვიბანაოთ!“

ეს ინტიმურობა რამდენიმე დღე გრძელდება. ჯუზეპე თავის სორელინასა და იდუმალებით მოცულ იმ ინგლისელ გოგონას შორის ანაწილებს დროს.

ანტუანი მოუთმენლად ფურცლავს გვერდებს.

ერთხელ, როცა ჯუზეპე სიბილას გაუვლის, რათა ნავით გაასეირნოს, მათ შორის ისეთი სცენა გათამაშდა, რომელსაც, როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა შემდგომ. მიუხედავად აუტანელი „ფიორიტურებისა“ * ანტუანი მთლიანად კითხულობს მას:

სიბილა ფანჩატურში მზეს ამოფარებია. ფიქრს მისცემია. თეთრ სვეტზე დაყრდნობილ მკლავზე მზის სხივი დაჰფენია. ელოდებოდა? — გუშინ გელოდით. — ანეტასთან დავრჩი. — აქ რატომ არ მოგყავთ? — ჯუზეპეს ცუდად ენიშნა მისი ხმის კილო“.

ანტუანი რამდენიმე გვერდს გამოტოვებს.

... ჯუზეპემ ნიჩბებს ხელი უშვა. თითქოს ჰაერიც გარინდულა. ფრთიანი დუმილი. ყურე ვერცხლისფრად ლივლივებს. დიადი სურათი. ტალღები ნავის კიდეს რბილად უტყლაშუნებს. რაზე ფიქრობთ? — თქვენ? დუმილი. ჩვენ ერთსა და იმავეზე ვფიქრობთ, სიბილა. სიჩუმე. მათ ხმაში ცვლილება. — თქვენზე ვფიქრობ, სიბილა. დუმილი. ხანგრძლივი დუმილი. — მეც თქვენზე ვფიქრობ. ჯუზეპე კანკალებს. — მთელი ცხოვრების მანძილზე თუ იფიქრებთ, სიბილა? ოჰ, იგი თავს უკან გადააგდებს. ჯუზეპე ხედავს, რა მწარედ გაეპო ტუჩები, ნავის კიდეს ჩასჭიდა ხელები. ჩუმი, თითქმის ნაღვლიანი აღთქმა. მზის ირიბ სხივებზე ლაპლაპებს ყურე: ანარეკლი.

თვალისმომჭრელი შუქი. სიცხე. იდუმალი გარინდება. დრო, ცხოვრება შეჩერდა. აუტანელი შეხუთულობა. საბედნიეროდ, თოლიების ფრენა აღადგენს მოძრაობას ირგვლივ. აინი აფრინდებიან, დაეშვებიან, წყლის ზედაპირს ეხებიან, ნისკარტს წყალში უყუტყუტებენ და ისევ ამოტივტივდებიან. მზეზე გაელვებული ფრთების შეფრთქიალება, ხმლების შეჯახების ხმა. — ჩვენ ერთი ფიქრი გვტანჯავს, სიბილა!"

ჟაკი მართლაც ხშირად დადიოდა იმ ზაფხულს ფონტანენებთან. იქნებ, მისი გადაკარგვის მიზეზი ჟენისადმი უიმედო სიყვარულია?

კიდევ რამდენიმე გვერდი და მოქმედება სწრაფად ვითარდება.

ყოველდღიური არსებობის სცენების მიღმა, რაც მეზონში ჟაკისა და ჟიზის ცხოვრებას წააგავს, ანტუანი შიშით ხვდება და-ძმას შორის გაჩენილ შემაშფოთებელ სიყვარულს, ცვლილებას. გრძნობენ კი რა ხასიათისაა ეს ინტიმურობა?! ანეტამ კარგად იცის, რომ მთელი თავისი ცხოვრებით ჯუზეპეს ეკუთვნის. მაგრამ იმდენად გულუბრყვილოა, თავის მისწრაფებებს ბუნებრივ და ნებადართული გრძნობის ნიღაბში ჰხვევს. რაც შეეხება ჯუზეპეს, მას შემდეგ, რაც სიბილამ თავისი გრძნობა გაუმხილა, პირველ ხანებში ამ სიყვარულით ისე იყო გატაცებული და დაბრმავებული, ვერც კი ამჩნევდა, რა გავლენა ჰქონდა მასზე დის ფიზიკურ მიმზიდველობას. ამ სიყვარულის ხასიათით სანამ მოიტყუებდა თავს?

ერთხელ, ნაშუადღევს, ჯუზეპე ლა სორელინას შესთავაზებს:

„გინდა სიგრილეში გავისეირნოთ, ფუნდუკში ვისადილოთ?.. შუადამემდე ვისეირნოთ!..." ანეტამ ტაში შემოჰკრა. „ო! როგორ მიყვარხარ, ბეპინო, როცა მხიარული ხარ!"

მაგრამ ნუთუ ჯუზეპეს წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ის, რაც შემდეგ მოხდა?

მებადურთა დაბაში სახელდახელოდ სადილობის შემდეგ. უცნობი გზებით მიჰყავს გოგონა.

„ჯუზეპე ჩქარი ნაბიჯით მიდის. ლიმონის ხეივანში იმ ბილიკს მიჰყვება, რომელიც ოცჯერ მაინც გაუვლია სიბილასთან ერთად. ანეტა გაოცებული მისდევს. — გზა ხომ არ დაებნა? ჯუზეპე მარცხნივ უხვევს. დაღმართი. ძველი კედელი, დაბალი, კამაროვანი კარი. ჯუზეპე ჩერდება და

იცინის. — მოდი, ნახე! ანეტა უშიშრად უახლოვდება. ჯუზეპე კარს ხელს ჰკრავს, ზარი წკრიალებს. — გაგიჟდი? ჯუზეპე სიცილით მიათრევს ნაძვე-ბის ქვეშ. ბაღში ბნელა. ანეტას ეშინია. ვერაფერი გაუგო ჯუზეპეს. ლუ-ნარდოს ვილაში შევიდა".

დაბალი, თაღიანი კარი, ზარი, ნაძვნარი, მთელი ეს ნიშნები ამჯერად ისეთი ზუსტია...

„მისის პოუელი და სიბილა პარმაღზე არიან. „გაიცანით ჩემი დაიკო". ანეტას სკამი შესთავაზეს, გამოჰკითხეს, დიდი ამბით შეხვდნენ. ანეტას სიზმარში ჰგონია თავი. ანეტა ორ ერეტიკოსს შორის. დედის გულთბილი მიღება, მისი თეთრი თმა, მისი ღიმილი. — წამომყევით საყვარელო, ვარ-დებს დაგიკრეფთ. ვარდნარი, ჩაბნელებული თაღი განაბრუებელ, ნაზ სურ-ნელს აფრქვევს ირგვლივ.

სიბილა და ჯუზეპე მარტო რჩებიან. ხელი მოჰკიდოს? სულ ერთია, არ დაანებებს, გამოსტაცებს. ეს მკაცრი თავშეკავება მის ნებისყოფაზე, მის სიყვარულზე ძლიერია. ჯუზეპე ფიქრობს: რა ძნელია მისი შეყვარება.

მისის პოუელმა ვარდები დაუკრიფა ანეტას. ალისფერი, პატარა ვარ-დები, კოკრები და უეკლო, ალისფერი ვარდები, შავგულიანი. — ხშირად უნდა მოხვიდეთ, ძვირფასო, სიბილა სულ მარტოა. ანეტას სიზმარში ჰგო-ნია თავი. მაშ, ესაა ის წყეული ტომი? ნუთუ ამ ხალხისა უნდა ეშინო-დეს, როგორც კუდიანებისა?.."

აი, ანეტა და ჯუზეპე შინ ბრუნდებიან:
ანტუანი ერთ გვერდს გამოსტოვებს.

„მთვარე ღრუბლებს ამოეფარა. უკუნი ღამეა. ანეტა მსუბუქად მიაბი-ჯებს. გაბრუებულია. ოჰ, ეს პოუელები! ანეტა მთელი თავისი ახალგაზრდუ-ლი სხეულით მკლავზე ჩამოეკიდება ჯუზეპეს, რომელიც წინ მიათრევს, თავი მაღლა აუწევია, გულს ვერც კი გრძნობს... ოცნებას აუტაცნია. გა-ანდოს ფიქრი ანეტას? მეტი აღარ შეუძლია, მისკენ იხრება: — გესმის? მარტო ფულის ხათრით კი არ დავდივარ მათთან!

ანეტა მის სახეს ვერ ხედავს, სამაგიეროდ, კარგად ესმის მისი ყრუ, აღტაცებული ხმა. მარტო ფულის ხათრით არ დადის? სისხლის მოწოლა იგრძნო ძარღვებში, აქამდე ეჭვიც არ აღძვრია. სიბილა? სიბილა და ჯუ-ზეპე? სული ეხუთება, ხელს გამოსტაცებს, სურს გაიქცეს, დაკოდილია,

ისარი შიგ გულში მოხვდა. ძალა აღარ ჰყოფნის. კბილს კბილზე აცემინებს. რამდენიმე ნაბიჯი. მუხლები ეკეცება, ბარბაცებს, თავი უკან უვარდება და მაღალი ჭადრების ქვეშ ბალახზე ეცემა.

ჯუზეპე ჩაიჩოქებს, ვერაფერს ხვდება. რა მოხდა? მაგრამ ანეტა საცეცებივით შემოაჭდობს მკლავებს. ოჰ, ამჯერად ჯუზეპე ხვდება. ანეტა ებღაუჭება, წამოიწევა, მკერდზე ეკვრის, ქვითინებს. ჯუზეპე! ჯუზეპე!

სიყვარულის კივილი. ასეთი რამ არასოდეს გაუგონია ჯუზეპეს. არასოდეს, არასოდეს. სიბილა მუდამ გულჩათხრობილია. სიბილა უცხოა. მის ახლოს კი ეს სასოწარკვეთილებაა — ანეტა! მის ახლოს ეს ნორჩი სხეულია, ვნებიანი. ხორცსავსე და მინდობილი. ათასი ფიქრი ირევა თავში: მათი მოსიყვარულე ბავშვობა, ასეთი ნდობა, ასეთი გულთბილობა, მას შეუძლია უყვარდეს მასთან შეზრდილი ეს გოგონა. სურს ანუგეშოს იგი, განკურნოს. მის ახლოს ეს ცხოველური სითბოა, რომელიც ერთბაშად ხელფეხს უბორკავს; უეცარმა ტალღამ ყველაფერი წალეკა, სინდისიც კი. ნესტოებთან ნაცნობი და თან ახალი სუნი იგრძნო მისი თმისა, ბაგეებთან — ცრემლით დანამული სახე. ათრთოლებული ტუჩები. სიბნელის, სურნელთა, სისხლის შეთქმულება. დაუძლეველი აღტყინება. მიჯნურის ბაგეს შეახებს ამ დანამულ, ნახევრად გაპობილ ტუჩებს, რომლებიც, მისდაუნებურად რაღაცას ელიან. ანეტას ჰკოცნიან, ჯერჯერობით თვითონ არ ჰკოცნის, მაგრამ, ოო, რა თავდავიწყებით დაჰყვა მის ალერსს, როგორ მოსწონს ეს ამბორი! რა გაშმაგებით, თანაზიარად ილტვიან მათი ბაგეები ერთმანეთისკენ! ტრაგიკული სერიოზულობა. სასიამოვნო გრძნობაა. სუნთქვის, კიდურების, სურვილების შერწყმა. მათ თავზე ხეები ირხევა, ვარსკვლავები ქრებიან. ტანსაცმელი გადაგდებული, მიმოფანტული, გადაულახავი, აშკარა ურთიერთლტოლვა, უცნობ სხეულთა შეჯახება, შებრძოლება, კონტაქტი, ვაჟკაცური შებრძოლება, მოკრძალებული, დაუფიქრებელი თანხმობა... საქორწინო გაბრუება...

ოჰ, წამიც, და დრო შეჩერდა!

სიჩუმე, შორეული ექო, ზუზუნი, ირგვლივ გაბნეული შიში, გარინდება. აქლოშინებული მამაკაცის სახე, ნაზ მკერდზე მთელი სიმძიმით დაწოლილი სხეული, აძგერებულ გულთა ფეთქვა, სავალალო რითმი ორი განსხვავებული გულისა, რომლებსაც ერთდროულად ძგერა არ ძალუძთ.

და უეცრად, მთვარის მკვეთრი შუქი, მოურიდებელი და უხეში გამოხედვა, რომელიც მათ ისე აშორებს ერთმანეთს, თითქოს მათრახი გადაუჭირესო.

სწრაფად წამოდგნენ. დაბნეულობა. ბაგენთკუპეულში. ცახცახებენ. სირცხვილისაგან კი არა, სიხარულისაგან. სიხარულისაგან და გაოცებისაგან. სიხარულისა და ხელახალი სურვილისაგან.

ბალახის სარეცლის სიღრმეში ვარდის კონა იფურცლება მთვარის შუქზე. და აი მაშინ, ეს რომანტიკული ჟესტი. ანეტა ხელს დასტაცებს ვარდის კონას და არხევს. ვარდის ფურცლები გათელილ ბალახს ეფინება, რომელსაც მხოლოდ ერთი სხეულის კვალი აჩნევია".

ანტუანმა კითხვა შეწყვიტა, აკანკალებულმა, აღშფოთებულმა.

გაოგნებულია! ჟიზი? ნუთუ ეს მართალია?

და მაინც, მთელი ეს ნაწყვეტი ჭეშმარიტებითაა გამსჭვალული: არა მარტო ძველი კედელი, ზარი, ვარდნარი, არამედ მაშინაც კი, როცა ერთმანეთის ჩაკრულნი მდელოზე კოტრიალებენ, ყოველგვარი ფიქცია ისპობა; ეს ხდება არა იტალიის ღორღიან გზებზე ან ლიმონის ხეივნის ჩრდილში, არამედ მეზონის სქელ ბალახზე, ასწლოვანი ჭადრების ხეივანში, რომელსაც კარად იცნობს. დიახ, ჟაკმა ფონტანენებთან მიიყვანა ჟიზი და აქ აღწერილი ზაფხულის ღამით დაბრუნებისას... რა გულუბრყვილობაა! ისე ახლოს იცხოვრო მათთან, ისე ახლოს იყო ჟიზთან და ვერაფერი შეამჩნიო! ჟიზი? ნუთუ შესაძლებელია, რომ ეს პატარა, უმწიკვლო, მიუკარებელი სხეული ასეთ საიდუმლოებას ინახავდეს? არა, არა...

გულის სიღრმეში ანტუანი ჯიუტობს და არ სჯერა. მიუხედავად ამისა, იმდენი დეტალია! ვარდები... ალისფერი ვარდები! ოჰ, ახლა ესმის ახე რატომ აღელდა ჟიზი, როცა ვიღაც ლონდონელი მეყვავილისგან ამანათი მიიღო, ან რატომ ჩააცივდა ანტუანს ამ, თითქოსდა უმნიშვნელო კვალის მიხედვით, ახლავე დავიწყოთ ძებნა ლონდონშიო. ეტყობა, მხოლოდ ის ჩასწვდა ამ ალისფერი ვარდების მნიშვნელობას, ზუსტად იმ დღეს, როცა ჭადრების ქვეშ მისი დაცემის წლისთავი შესრულდა! ალბათ!

მაშასადამე, ჟაკი ლონდონში ცხოვრობდა? იტალიაშიც? შვეიცარიაშიც. იქნებ, ახლაც ინგლისშია?.. ადვილი შესაძლებელია იქ ცხოვრობდეს და ჟენევის ჟურნალში თანამშრომლობდეს...

და ერთბაშად, სხვა ამბებსაც აეხადა ფარდა, თითქოს ჩრდილის ფართო ზოლი სათითაოდ სცილდება სუსტად განათებულ წერტილს. ჟიზის გამგზავრება. მისი დაჟინება, უეჭველად ინგლისის მონასტერში უნდა ვისწავლოო! რა თქმა უნდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ჟაკი ეპოვა! (ანტუანი ახლა ძალიან ნანობს, პირველ წარუმატებლობისთანავე რომ მიანება თავი ლონდონელი მეყვავილის კვალს!)

იგი ცდილობს თანმიმდევრულად იმსჯელოს, დაფიქრდეს, მაგრამ მრავალი მოგონება ირევა თავში. მთელი წარსული აპლიებურად მოევლინა ამ საღამოს. რა კარგად ესმის ახლა ჟიზის სასოწარკვეთილება ჟაკის გაქრობის შემდეგ! იგი ცდილობდა შეემსუბუქებინა მისთვის ეს სასოწარკვეთილება, თუმცა არ ესმოდა მთელი მისი მნიშვნელობა. გაიხსენა ჟიზთან თავისი დამოკიდებულება, თავისი თანაგრძნობა. სხვათა შორის სწორედ, ამ სიბრალულმა წარმოშვა თანდათანობით ის გრძნობა, რაც მას ჟიზის მიმართ გაუჩნდა! იმ ხანებში იგი ჟაკის შესახებ ვერ ელაპარაკებოდა ვერც მამას, რომელიც თვითმკვლელობით ხსნიდა ჟაკის გადაკარგვას, და ვერც მოხუც მადმუაზელს, რომელიც ლოცვებსა და ხანგრძლივი რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვაში ათენ-აღამებდა. ჟიზი, პირიქით, ისეთი ახლობელი, ისეთი ერთგული ეგულებოდა! ყოველდღე, ნასადილევს იგი ანტუანთან შედიოდა და ეკითხებოდა, ახალი ხომ არაფერიაო. ისიც სიამოვნებით უზიარებდა ჟიზს თავის იმედებსა და მოქმედების გეგმებს. განა ერთად გატარებულმა საღამოებმა არ გააჩინა ის სიხარული, რასაც გრძნობდა ამ ათრთოლებული გოგონას ნახვით, რომელიც თავის სიყვარულს გულში ინახავდა?! ვინ იცის, მისდაუნებურად, იქნებ, ისიც ამ ახალგაზრდა, უკვე ნაზიარები სხეულის განაპირობებელ მომხიბვლელობას მორჩილებდა? მოაგონდა გოგონას გულთბილი საქციელი, ამ გატანჯული ბავშვის გულუბრყვილო აღერსი. ანეტა... რა მოხერხებულად გააცრუა ამ გოგომ! მან კი, რაკი ჩაშელთან დაშორების შემდეგ სრული სიცარიელე იგრძნო, უცებ წარმოიდგინა... რა უბადრუკობაა! ანტუანმა მხრები აიჩეჩა. ჟიზიმ ინსტინქტურად გაიგო, რომ საკუთარი გრძნობათა სხვა გამოსავალი ვერ ჰპოვა! მას კი ეგონა, ჟიზს მოსწონდა, რაკი ვნებით დატანჯული, თავზარდაცემული გოგონა ამ ერთადერთ ადამიანს ებღაუჭებოდა, რომელსაც შეეძლო მიჯნურის ნობათში დახმარებოდა.

ანტუანი შეეცადა თავიდან მოეშორებინა ეს ფიქრები, „ჟაკის გადაკარგვის მიზეზს მაინც ვერ მივხვდარვარ! — გაიფიქრა მან".

თავს ძალა დაატანა და კითხვა განაგრძო. და-ძმამ ბალახზე მიმოფანტული ვარდები მიატოვეს და სერენიოს სასახლეში დაბრუნდნენ.

„დაბრუნება. ჯუზეპე ანეტასთან ფეხშეწყობით მიდის. საით მიდიან? წარმიერი ნოხვევა, რაც მხოლოდ პრელუდია უნდა ყოფილიყო. გრძელი ღამე. საითკენაც ისინი მიეშურებიან... მათი ოთახები... რა მოხდება ღამით? —

ანტუანმა პირველივე სტრიქონზე წაიფორთხილა. სისხლი სახეში მოაწვა.

უნდა ითქვას, რასაც ის განიცდის, სულაც არ ჰგავს გაკიცხვას. ამ ძლიერი ვნების წინაშე მისი განსჯა სწრაფად ჰყრის ფარ-ხმალს. მაგრამ ძრწოლნარევი გაოცება მაინც ვერ დაუოკებია. მას არ დავიწყნია დღე, როცა ჟიზმა ისე მტკიცედ უარჰყო მისი მოკრძალებული აღსარება. ამ მოთხრობის წაკითხვამ ხელახლა გაუღვივა სურვილი, ჟიზის მიმართ რომ ჰქონდა: წმინდა ფიზიკური სურვილი, თავაწყვეტილი სურვილი. იგი იძულებულია თავიდან მოიშოროს ამ ნორჩი, მოქნილი, შავგვრემანი სხეულის ხილვა, რათა მთელი ყურადღება კითხვას მიაპყროს.

„...ეს გრძელი ღამე, საითკენაც მიეშურებიან ისინი, მათი ოთახები... რა მოხდება ამ ღამით?

სიყვარულის სუნთქვას დაუპყრია ორივე. გაოგნებულნი, მოჯადოებულნი მიდიან წინ უსიტყვოდ! დროდადრო მთვარე გაანათებს და მიაცილებს მათ. მისი მკვეთრი შუქი სერენიოს სასახლეს დაჰფენია, წყვდიადიდან მარმარილოსავით მობათქაშებული სვეტები მოჩანს. პირველ ტერასას მიაღწევენ. სიარულისას ლოყით ერთმანეთს ეხებიან. ანეტას გავარვარებული ლოყა აქვს. ცოდვის ჩადენის რა ბუნებრივი სითამამე იგრძნობა ამ ბავშვურ სხეულში.

ერთბაშად ერთმანეთს გაშორდნენ. სვეტებს შორის ჩრდილი აღიმართა.

მამა შინაა.

მამა ელოდებოდა. მოულოდნელად ჩამოსულა. სად არიან ბავშვები? მარტო უსადილია უზარმაზარ ოთახში. დიდი ხანია ბოლთასა სცემს აქ. ბავშვები ჯერაც არ დაბრუნებულან.

მისი ხმა სიჩუმეს არღვევს.

— სად იყავით?

ტყუილის შესათხზველად დრო აღარაა, აღშფოთების ნაპერწკალი გაიელვებს. ჯუზეპე ყვირის:

— მისის პოულთან!"

ანტუანი შეკრთა. ნუთუ ბატონი ტიბო?..

„ჯუზეპე ყვირის:

მისის პოულთან!

ანეტა სვეტებს შორის გაუჩინარდება, ვესტიბულს გადასერავს, კიბეზე ადის, ოთახში შედის, კარს გადარაზავს და ქალწულის ვიწრო საწოლზე დაეცემა სიბნელეში.

ქვევით კი, შვილმა პირველად გაბედა და მამას შეუტია. ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რომ მამის გაბრაზებას არაფრად აგდებს, უხარია, რაკი საფრთხეს არ შეუშინდა, მამას იმ მეორე, უღიმღამო სიყვარულის ამბავი გაუმჟღავნა, რისიც თვითონაც არ სჯეროდა. — „ანეტა მისის პოულთან წავიყვანე". მერე შეყოვნდება და მარცვალ-მარცვალ მტკიცედ ეუბნება: — მე სიბილას საქმრო ვარ".

მამა ხარხარებს. შემაძრწუნებელი სიცილია. ფეხზე დგას, წელგამართულია, უჩვეულოდ მაღალი ჩანს, რადგან ჩრდილი აჩენს ასე გრძელს. უზარმაზარი და თეატრალურია: ტიტანი მთვარის შუქის შარავანდედით. იცინის. ჯუზეპე თითებს ატკაცუნებს. სიცილი შეწყდა. სიჩუმეა. — ორივენი ჩემთან ერთად წამოხვალთ ნეაპოლში. — არა. — ხვალვე. — არა! — ჯუზეპე! — მე თქვენი საკუთრება არ გახლავართ! მე სიბილა პოულის საქმრო ვარ!

თავის ცხოვრების მანძილზე ჯერ არ ყოფილა ისეთი წინააღმდეგობა, მამამისს არ მოედრიკოს: მობრძანებულან აქ, რომ პური შეგვიჭამონ, ჩვენი მიწა შეისყიდონ! ახლა კი შვილების წართმევა მოუწადინებიათ! არა, ეს უკვე მეტისმეტია! როგორ შეიძლება, ჩვენი გვარი ერეტიკოსმა დაისაკუთროს?! — შენ გიფიქრია ამაზე? — მას ჩემი გვარი ექნება! — სულელო, არასოდეს! ჰუგენოტის მაქინაციაა. სულის ხსნა, სერენიოს საგვარეულოს სახელი! უჩემოდ მოაგვარეს საქმე? ახსოვდეთ, რომ ფხიზლად მიჭირავს თვალი!

— მამა!

— მე მოვდრეკ შენს ნებისყოფას. ლუკმა-პურის ფულს არ გაღირსებ! პიემონტის სამხედრო სამსახურში გაგამწესებთ.

— მამა!

— მე თქვენ მოგტეხთ. ადით ახლავე ოთახში. ხვალვე დატოვებთ აქაურობას!

ჯუზეპე მუშტებს მოკუმავს. იგი ნატრობს..."

ანტუანს სუნთქვა ეკვრის.

„... იგი ნატრობს მამის სიკვდილს. ამ საშინელ გულისტკენას დაცინვით უპასუხებს: სასაცილო ხართ, წამოცდება.

მამას წინ ჩაუვლის. თავაწეული, ბაგემოკუმული, სიცილით ჩაირბენს საფეხურებს.

— სად მიდიხარ?

ჭაბუკი შეჩერდება. ფიქრობს, წასვლის წინ რა მოწამლული ისარი ესროლოს? ინსტინქტი უარესს უკარნახებს: —მივდივარ, თავი უნდა მოვიკლა!

ერთი ნახტომით ჩაირბენს საფეხურს. მამამ ხელი ასწია: — განვედ, ბოროტო ძეო!

ჯუზეპე თავსაც არ მოაბრუნებს, მამის ხმა უკანასკნელად მოესმის: — წყეულიმც იყავ!

ჯუზეპე სირბილით გადაირბენს ტერასას და სიბნელეში გაუჩინარდება".

ანტუანმა ხელახლა დააპირა კითხვის შეწყვეტა, დაფიქრება უნდა, მაგრამ ოთხი გვერდიღაა წასაკითხი და მოუთმენლობას შეუპყრია.

„ჯუზეპე გარბის, თვითონაც არ იცის, საით. შემდეგ აქლოშინებული, განცვიფრებული, დაბნეული შეჩერდება. შორს, რომელიღაც სასახლის ბანზე რამდენიმე მანდოლინა სევდიან, მელანქოლიურ სიმღერას უკრავს. აუტანელ ნაღველს იგრძნობს. თბილ აბაზანაში ჩაწოლა და ძარღვების გადაჭრა.

სიბილას არ უყვარდა ნეაპოლური მანდოლინები. სიბილა, უცხო სიბილა ირეალური და შორეულია, რომანის იმ გმირივით, რომელიც კითხვისას შეუყვარდება. ანეტა. ერთადერთი მოგონება: ხელისგულზე ახლაც გრძნობს მის ტიტველ მკლავს. ყურებში ზუზუნი. წყურვილი.

ჯუზეპე გეგმას ადგენს: სისხამ დილით სასახლეში დაბრუნდება, ანეტას მოიტაცებს, ერთად გაიქცევიან... მის ოთახში შეიპარება. იგი ლოგინიდან წამოხტება, ფეხშიშველი შეეგებება. კვლავ იგრძნობს მის თბილ და ხავერდისებურ სხეულს, მწველ სურნელს. ანეტა. უკვე წარმოუდგენია, როგორ მიეკვრება მთელი სხეულით. გაპობილი ტუჩები, სველი ტუჩ-კბილი... ჯუზეპე უკან გავარდება. სისხლი აჩქარებით ფეთქავს მის ძარღვებში. კლდოვან აღმართს ერთი ამოსუნთქვით აირბენს, მინდვრის გამაბრწყინვებელი სიგრილე მთვარის შუქზე.

პატარა ბორცვის ძირას, ზურგზე გადაჯვარედინებული მკლავებით. გაღეღილი პერანგის ქვეშ ნელა ისინჯავს და ეფერება ათრთოლებულ მკერდს. ზევით, ცის იკანკლედი, ვარსკვლავებით მოჭედილი. სიმშვიდე. სისპეტაკე.

სისპეტაკე. სიბილა. სიბილა. სული, წყაროს ცივი ღრმა წყალი, ჩრდილოეთის ცივი და წმინდა ღამე.

სიბილა?

ჯუზეპე ფეხზე წამოიჭრა. ფართო ნაბიჯებით ჩადის ბორცვიდან. სიბილა. უკანასკნელად, შეცისკრებამდე.

ლოუნადორო, აი, კედელი, ჭიშკარი. ზუსტი ადგილი, სადაც კედელს ბასილაძე აკოცა. მისი პირველი აღსარება. აი აქ ასეთივე ღამე იყო, მთვარიანი ღამე. სიბილა მის გასაცილებლად გამოვიდა. მისი ლანდი მკვეთრად გამოიხატა თეთრ ბათქაშზე. ჯუზეპე ერთბაშად დაიხარა და კედელზე მის ლანდს აკოცა. სიბილა გაიქცა. ასეთივე საღამო იყო!

ანეტა. ამავე ჭიშკართან რად დავბრუნდი? სიბილას გაფითრებული სახე, ნებისყოფიანი სახე. სიბილა, ისეთი ახლობელი, ისეთი რეალური, და მაინც უცხო. სიბილაზე აიღოს ხელი? ოჰ, არა, პირიქით, ის კვანძი სიყვარულის ძალამ უნდა შეჰკრას. ეს ჩაკეტილი სული უნდა გათავისუფლდეს! ასე ძლიერად ნეტა რა საიდუმლოებას ინახავს? ინსტინქტებისგან თავისუფალი, უბიწოვლო ოცნება: ჭეშმარიტი სიყვარული. სიბილა უნდა გიყვარდეს. უნდა გიყვარდეს სიბილა.

ანეტა. მისი გამოხედვა — თანხმობაა, მისი ბაგეები — მეტისმეტი მორჩილება. რატომ? მეტისმეტი ცეცხლია სხეულში, რომელსაც გთავაზობს. სურვილი, წამიერი სურვილი. სიყვარული საიდუმლოების გარეშე, სიღრმის გარეშე, ჰორიზონტის გარეშე. ხვალინდელი დღის გარეშე.

ანეტა, ანეტა. დავიწყებას უნდა მიეცეს ეს მსუბუქი ალერსი, უნდა დაბრუნონ წარსული, კვლავ ბავშვებად იქცნენ. ანეტა, ანცი გოგონა, საყვარელი დაიკო. რა თქმა უნდა, დაიკო, პატარა და!

მორჩილი ბაგე, გაპობილი ტუჩები, სველი ტუჩ-კბილი, თაფლივით ტკბილი! ოჰ, ვინ გაგვათავისუფლებს ამ სისხლაღრევითი სურვილისაგან, ულმობელი სურვილისაგან?!

ანეტა. სიბილა. ამ ორიდან ერთი განწირულია. რომელი? კი მაგრამ არჩევანი რა საჭიროა? ბოროტების ჩადენა არ მსურდა. ორმაგი გატაცება. მთავარი, წმიდათა წმიდა წონასწორობა. ორმაგი ლტოლვა, ორივე ერთნაირად კანონიერი, რაკი ორივე გულის სიღრმიდან მომდინარეობს. მაშ, ცხოვრებაში რატომღა არიან შეურიგებელნი? როგორი წმინდა იქნებოდა ყველაფერი, აშკარად რომ შეიძლებოდეს თანხმობის მიცემა! რა საჭიროა ეს აკრძალვა. რაკი ჩემს გულში ყველაფერი ჰარმონიულადაა შერწყმული?

ერთადერთი გამოსავალი. სამიდან ერთი ზედმეტია! მაგრამ რომელი? სიბილა? ოჰ, გულდაკოდილი სიბილა! საშინელი ხილვა იქნება! არა, სიბილა არა. მაშ, ანეტა?

ანეტა, დაიკო, მაპატიე... გიკოცნი თვალებს, ქუთუთოებს, მაპატიე!

ერთი ვერ იარსებებს მეორეს გარეშე. მაშასადამე, არც ერთი, არც მეორე. უარყოფა. დავიწყება. სიკვდილი. არა, სიკვდილი არა. მკვდრად გამოცხადება. გაქრობა. აქ ჯაჭვია, გადაულახავი დაბრკოლება, აკრძალვა.

აქ ცხოვრება შეუძლებელია.

მშვიდობით.

შეუცნობლით ცთუნება. ახალი, ხვალინდელი დღით ცთუნება. გაბრუება. დავიწყება და ყველაფრის თავიდან დაწყება.

უცებ მოფრიალდა. სადგურამდე მიირბინა. პირველი მატარებელი რომამდე. რომი. პირველი მატარებელი გენუამდე. გენუა. პირველი გემი და მერმე ამერიკაში, ან ავსტრალიაში.

და უცებ გაეცინა:

სიყვარული? ოჰ, არა. მე სიცოცხლე მიყვარს.

ღინ!

ჟ ე კ  ბ ო ტ ი

ანტუანმა ჟურნალი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და გაოცებული წამოდგა. ერთხანს ფეხზე დარჩა, შუქს თვალი ვერ გაუსწორა, შემდეგ მიხვდა, დაბნეული რომ იდგა და ხელახლა დაჯდა.

სანამ ჟურნალს კითხულობდა, ოთახი სულ დაცარიელებულიყო: ბილიარდის მოთამაშეებს ესაუდლეთ, ორკესტრი ჩაჩუმებულიყო. ებრაელი სტუდენტი და „ლ ე  დ რ უ ა  დ ე  ლ ო მ"* კუთხეში მიყუჟულიყვნენ, „ფისოს" მეთვალყურეობით კამათლის უკანასკნელ ხელს თამაშობდნენ. მისი მეგობარი ჩამქრალ ჩიბუხს წუწნიდა და როგორც კი კამათელს გააგორებდა, „ფისო" მაშინვე შეთქმულივით ჩაიჩურჩულებდა და ებრაელს მხარზე ეკვროდა.

ანტუანმა ფეხები გაშოტა, პაპიროსს მოუკიდა და შეეცადა აზრი მოეკრიბა. მაგრამ რამდენიმე წუთის განმავლობაში, თვალებისა არ იყოს, ფიქრიც აცაბაცა გაურბოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჟაკისა და ჟიზის ზმანებები მოიშორა და ცოტათი დამშვიდდა.

ახლა მთავარია კარგად გაერკვეს: ამ თხრობაში რაა ჭეშმარიტი და რა — პოეტური გამონაგონი. ნამდვილია, უეჭველად, მამისა და შვილის მღელვარე შეტაკება. მრჩეველი სერენიოს სიტყვაში ზოგი ფრაზა უდავოდ სინამდვილეს შეეფერებოდა: „პუვენოტის მაქინაცია: მე შენ მოგტეხ, ლუკმაპურის ფულს მოგისპობ! სამხედრო სამსახურში გავამწესებ!.. ამის გარდა: ერეტიკოსი ჩვენს გვარს უნდა ატარებდეს?!" მამის გაშმაგებული ხმა თითქოს ახლაც ესმოდა ანტუანს: სიბნელეში წელგამართული დგას და იმუქრება! ასევე, ნამდვილი იყო, ალბათ, ჟუზეპეს წამოძახილი: „თავი უნდა მოვიკლა!" ახლა უკვე გასაგებია ბატონი ტიბოს ახირება — გადაკარგვის პირველი დღეებიდანვე რომ ვერ გადაარწმუნეს, ჟაკი ცოცხალი არ

იქნებაო. თვითონ, დღეში ოთხჯერ მაინც რეკდა ტელეფონით მორგში. ამ წანომახილითვე აიხსნებოდა სინდისის ქენჯნა, რაც ზოგჯერ მის სიტყვებში იგრძნობოდა ხოლმე, როცა ჟაკის დაღუპვას თავის თავს აბრალებდა. ადვილი შესაძლებელია, სწორედ ეს უტყვი სინანული გახდა მიზეზი დიაბეტით დაავადებისა, რამაც ასე ძალიან დაასუსტა მოხუცი ოპერაციის წინა დღეებში. ამგვარად, ამ სამი წლის განმავლობაში მომხდარი ამბები სულ სხვა ელფერს იღებდა ახლა.

ანტუანმა ხელახლა ამოიღო ჟურნალი და ჟაკის მინაწერი მოძებნა:

„განა ნოემბრის იმ მარადსახსოვარ ღამეს თვითონვე არ მითხარით, ყველაფერი ორი პოლუსის მოქმედებას ემორჩილებაო? ჭეშმარიტება მუდამ ორსახიანია?

ზოგჯერ სიყვარულიც!“

„ცხადია, — გაიფიქრა ანტუანმა, — ეს ამბავი ორმხრივი სიყვარულის ბრალია... ცხადია... თუ ჟიზი ჟაკის საყვარელი იყო, და თუ, მეორეს მხრივ, ჟაკმა იგრძნო, რომ ჟენი გაგიჟებით უყვარდა, მისი ცხოვრება ძნელი იქნებოდა. და მაინც...“

ერთი რამ მაინც ბუნდოვანი რჩებოდა ანტუანისათვის. მიუხედავად ყველაფრისა, წარმოუდგენლად მიაჩნდა, თითქოს ჟაკის წასვლა მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ მამამ ჟაკის სამიჯნურო ამბები შეიტყო. ალბათ, რაღაც გაურკვეველმა, ერთბაშად გაჩენილმა, სულ სხვა ფაქტორებმა მიაღებინეს ეს უცნაური გადაწყვეტილება: მაგრამ, სახელდობრ, რამ?

ანტუანმა უცებ მოისაზრა, რომ ამ ვარაუდების გასარკვევად ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა. ახლა პირველ რიგში, საჩქაროდ უნდა ესარგებლა ამ მინიშნებებით და, რაც შეიძლებოდა სწრაფად მიეგნო ძმის კვალისათვის.

ჟურნალის რედაქციაში მიკითხვა სახიფათო იქნებოდა. ვინაიდან ჟაკი არაფერს იტყობინება, ცხადია, იგი ჯერ ისევ მალავს თავის ადგილსამყოფელს. მან არამც და არამც არ უნდა გაიგოს, რომ მის თავშესაფარს მიაგნეს. მაშინვე შეიქმნება საფრთხე, რათა სხვაგან, უფრო შორს გადაიკარგოს, და, იქნებ, სამუდამოდაც. წარმატების მისაღწევად ერთადერთი საშუალებაა: მოულოდნელად და თანაც, პირადად მან უნდა იმოქმედოს (ანტუანი მხოლოდ თავისთავს ენდობოდა მუდამ). მაშინვე წარმოიდგინა, როგორ ჩავიდოდა ჟენევაში. კი, მაგრამ, იქ რას გააკეთებს? ვინ იცის, ჟაკი, იქნებ, ლონდონში ცხოვრობს? არა. სჯობს, შვეიცარიაში ჯერ სამძებრო აგენტი გაგზავნოს, რომელიც ჟაკის ბინასამართს გაიგებს. შემდეგ კი,

როცა მის ადგილსამყოფელს შეატყობინებენ, თვითონ წავა. „ოღონდაც მისი ნახვა მოვახერხო და ვნახოთ, დამისხლტება თუ არა ხელიდან!“

იმავე საღამოს სათანადო ინსტრუქციები მისცა კერძო აგენტს.

სამი დღის მერე ასეთი ცნობა მიიღო:

„(საიდუმლოდ)

ბატონი ჯეკ ბოტი მართლაც ცხოვრობს შვეიცარიაში. მისი მუდმივი ადგილსამყოფელი ჟენევა კი არა, ლოზანაა; ამ ქალაქში რამდენიმე ბინა გამოუცვლია. ამა წლის აპრილიდან მისი მისამართია: ესკალიე დიუ მარშეს ქუჩა, № 10, კამერცინის პანსიონი.

ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, როდის ჩამოვიდა შვეიცარიაში, მაგრამ მისი სამხედრო სამსახურის მდგომარეობა უკვე შევიტყვეთ.

საფრანგეთის საკონსულოდან მივიღეთ საიდუმლო ცნობები, რის მიხედვითაც ბატონი ბოტი, ეტყობა, 1912 წელს გამოცხადებულა საკონსულოს სამხედრო კანცელარიაში, სადაც პირადობის მოწმობა და სხვა დოკუმენტებიც წარუდგინა ჟაკ-ჟან-პოლ ოსკარ ტიბოს სახელზე, ეროვნებით ფრანგი, დაბადებული 1890 წელს, პარიზში. და სხვ. მისი პირადი ბარათი საიდანაც მისი ნიშნების გადმოწერა ვერ მოვახერხეთ, (სხვათა შორის, იგი ემთხვევა იმ ნიშნებს, რაც ჩვენს ხელთაა სულ სხვა წყაროდან) იუწყება, რომ მას 1910 წელს. ქ. პარიზის VII ოლქის გასაწვევი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიტრალური უკმარობის გამო უკვე უსარგებლია პირველი გადავადებით, ხოლო 1911 წელს მის მიერ ქალაქ ვენაში (ავსტრია) საფრანგეთის საკონსულოში წარდგენილი სამედიცინო მოწმობის საფუძველზე მეორე გადავადებაც მიუღია. ახალი შემოწმებისას, რაც მას 1912 წლის თებერვალში გაუვლია ლოზანაში და რომლის შედეგები ადმინისტრაციული გზით მოახსენეს თურმე სენის დეპარტამენტის სარეკრუტო საკრებულოს, მას მესამედ და უკანასკნელად უსარგებლია გადავადებით, რის საფუძველზე მისი სამშობლოს ხელისუფლებასთან საბოლოოდ მოგვარდა სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ბატონი ბოტი, ეტყობა, წესიერ ცხოვრებას ეწევა და უმეტეს წილად, სტუდენტთა და ჟურნალისტთა წრეში ტრიალებს. იგი წევრია შვეიცარიის ჟურნალისტთა კლუბისა. ამბობენ, რამდენიმე გაზეთსა და ჟურნალში თანამშრომლობა საკმაო საარსებო საშუალებას აძლევსო. დაგვარწმუნეს, რომ ბატონი ბოტი რამდენიმე ფსევდონიმით წერდა, რის შემოწმებას ადვილად შევძლებდით, თუკი ამის თაობაზე სათანადო მითითებები გვექნებოდა“.

სამმეზრო სააგენტოს მოხელემ ეს საბუთი სასწრაფოდ მიუტანა ანტუანს, კვირას, საღამოს 10 საათზე.

ანტუანმა უბის წიგნაკში ჩაიხედა, შემდეგ მატარებლის განრიგი შეამოწმა და გადაწყვიტა, ლოზანაში მეორე დღეს წასულიყო ღამის ჩქარი მატარებლით. მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს.

## VI

მეორე დღე ისედაც გადატვირთული ჰქონდა, მაგრამ რაკი წასვლას აპირებდა, იძულებული გახდა სიაში რამდენიმე დამატებითი ვიზიტიც შეეტანა. საავადმყოფოში დილაადრიან მივიდა, მერე მთელი პარიზი შემოიარა, და სასაუზმოდაც არ შეუვლია შინ, საღამოს შვიდ საათზე დაბრუნდა მხოლოდ. მატარებელი ცხრის ნახევარზე გადიოდა.

სანამ ლეონი სამგზავრო ჩანთაში ბარგს ულაგებდა, ანტუანი მამასთან ავიდა: წინადღის მერე იგი არ ენახა.

საერთო მდგომარეობა აშკარად გაუარესებულიყო. ბატონი ტიბო საჭმელზე უარს ამბობდა, დასუსტებულიყო და განუწყვეტელი ტკივილი ტანჯავდა.

ანტუანმა თავს ძალა დაატანა და ჩვეულებრივი შეძახილით შევიდა ოთახში: „გამარჯობა, მამა!“ რაც ავადმყოფზე დამამშვიდებელი წამალივით მოქმედებდა. ანტუანი თავის მუდმივ ადგილას ჩამოჯდა და ყურადღებით შეუდგა ყოველდღიურ დაკითხვას, ლაპარაკის დროს წამიერ დუმილებს კი სახიფათო ხაფანგივით გაურბოდა. იგი ღიმილით უყურებდა მამას, თუმცა აკვიატებული აზრი თავიდან ვერ მოიშორებინა იმ საღამოს: „მალე მოკვდება!“

მამამისის შეშინებულმა შემოხედვამ რამდენჯერმე გააოცა: ეს გამოხედვა თითქოს რაღაცას ეკითხებოდა. „საინტერესოა, ძალიან შეშფოთებულია თუ არა თავისი მდგომარეობით?“ — ეკითხებოდა ანტუანი თავისთავს. ბატონი ტიბო თავისი მიცვალების შესახებ ხან ბედს შერიგებული ადამიანივით, ხანაც მაღალფარდოვანი სიტყვებით ლაპარაკობდა, მაგრამ რას ფიქრობდა ნეტავ, გულის სიღრმეში?

ერთხანს მამა-შვილმა, ასე რომ ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაემალათ მათი, შესაძლებელია, ერთი და იგივე საიდუმლოება, რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზით მოიხსენია ავადმყოფობა, წამლის მოქმედება. შემდეგ ანტუანი წამოდგა, მოიმიზეზა, გადაუდებელი ვიზიტი მაქვს სადილობამდეო.

ბატონი ტიბო ტკივილებისაგან ისე იტანჯებოდა, არც ცდილა ეთხოვა, ნუ მიდიხართო.

ანტუანს ჯერ არავისთვის გაემხილა თავისი განზრახვა გამგზავრების თაობაზე. ფიქრობდა, მარტო მონაზონს ვეტყვი, რომ ოცდათექვსმეტი საათით მივდივართ; მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, ოთახიდან რომ გადიოდა, მომვლელი ქალი ავადმყოფთან ფუსფუსებდა. დრო კი არ ითმენდა. ანტუანი რამდენიმე წუთი ელოდა დერეფანში და რაკი მონაზონი არ გამოვიდა, გადაწყვიტა მადმუაზელ დე ვეზთან შესულიყო. იგი თავის ოთახში იჯდა და წერდა.

— ოჰ, იქნებ, შენ დამეხმარო, ანტუან! — უთხრა მოხუცმა. — მწვანილით სავსე ტომსიკა სადღაც დავკარგე.

ანტუანმა დიდი გაჭირვებით აუხსნა, ამ საღამოს პროვინციაში ვარ გამოძახებული მძიმე ავადმყოფთან, ხვალ, ალბათ, ქალაქში არ ვიქნები, მაგრამ ეს ნუ შეგაწუხებთ. ექიმმა ტერივიემ იცის ჩემი გამგზავრების ამბავი და, თუ საჭირო იქნება, გამოძახებისთანავე მოვაო.

ცხრა საათი დაიწყო. ანტუანი ზუსტად მიუსწრებს მატარებელს. ტაქსი მთელი სიჩქარით მიჰქრის ვაგზლისაკენ. დაცარიელებული სანაპიროები, ჩაბნელებული ხიდები, კარუსელის მოედანი, სათავგადასავლო ფილმის კინოკადრებივით გაკრთა მის თვალწინ. ანტუანს იშვიათად უხდებოდა მგზავრობა და ამიტომაც, ღამით სასწრაფო გამგზავრებით გამოწვეული აღგზნება, უკანასკნელი დაძაბული საათი, ათასგვარი აკვიატებული ფიქრი, მის მიერ წამოწყებული საქმის რისკი, ყოველივე ეს თავგზას უბნევდა, რაღაც გაბედულ და გმირულ ატმოსფეროს ქმნიდა.

კუპე თითქმის სავსე დახვდა. სცადა დაეძინა, მაგრამ ამაოდ. ნერვიულობდა, გაჩერებებს ითვლიდა. გარიჟრაჟზე, როგორც იქნა, ჩათვლიმა, მაგრამ ორთქლმავალმა საშინლად დაიწივლა, მატარებელმა სვლა შეანელა და სადგურ ვალორბს* მიადგა. ხოლო საბაჟო ფორმალობის, ცივ დარბაზში წინ და უკან სიარულის, შვეიცარულად მომზადებული რძიანი ყავის შემდეგ რაღა დააძინებდა?

დეკემბრის ალიონის მკრთალ შუქზე გარე სამყარო ნელნელა იძენდა ფორმებს. ლიანდაგები სწრაფად მიჰქროდნენ ხეობის ძირას, რომლის ფერდობები უკვე მოჩანდა. არავითარი ფერები: გარიჟრაჟისას ცვალებად და მკვეთრ შუქზე პეიზაჟი ნახშირით ნახატს ჰგავდა, თეთრზე შავით.

ანტუანი უგულისყუროდ ათვალიერებდა იქაურობას. თოვლი ბორცვებს ფარავდა და კირნარის ღრმულებში ნახევრად გამდნარ ფენებად იდო. უეცრად მკრთალ ფონზე ნაძვის ხეების ჩრდილები გამოიკვეთა. მალე ყველა-

ფერი გაქრა: მატარებელი ღრუბლებში გაუჩინარდა. მერე ხელახლა გამოჩნდა სოფელი: ნისლში მიმობნეულ ყვითელ ჩირაღდნებს სააშკარაოზე გამოჰქონდათ მჭიდროდ დასახლებული რაიონის დილის ცხოვრება. სახლები კუნძულებივით ჩანდნენ აქა-იქ, ფანჯრებიდან სინათლე აღარ გამოკრთოდა და შენობების ფასადებს დილის შუქიდა ანათებდა. მიწის შავი შეფერილობა შეუმჩნევლად, თანდათან მწვანე ფერში გადადიოდა; და მალე მთელი ვაკე ხვავიანი საძოვრების მდიდრულ ხალიჩად იქცა, სადაც თოვლის ზოლები ყოველ ნაოჭს, ყოველ ღარს, ყოველ კვალს გასდევდა. დაბალ, კრუხივით ჩაცუცქულ და ვრცელი კარმიდამოებით გარშემორტყმულ ფერმებში პატარა ფანჯრების დარაბები ფართოდ გაეღოთ. გათენებულიყო.

ამ უცხო პეიზაჟის დანახვაზე ანტუანს სევდა შემოაწვა, შუბლი ფანჯრის მინას მიაყრდნო და სრული უმწეობა იგრძნო. მის მიერ წამოწყებული საქმის სიმძიმე მძიმედ აწვა გულს და თავიდან არ შორდებოდა; თეთრად გატარებულმა ღამემ ერთბაშად დააძაბუნა და შიში შთაუნერგა.

ამასობაში ლოზანას უახლოვდებოდნენ. მატარებელი გარეუბნებში შეიჭრა. ანტუანი ათვალიერებდა პატარ-პატარა ცათამბჯენებივით ცალ-ცალკე აშენებულ კუბური ფორმის სახლებს, რომლებიც აივნებით იყო გარშემორტყმული, ხოლო დარაბები ჯერ კიდევ ჩარაზული ჰქონდათ. ვინ იცის, იქნებ, სწორედ იმ წუთში ერთ-ერთ ამ ფიჭვის, ღიაფერის ჟალუზებს მიღმა ჟაკიც იღვიძებდა?

მატარებელი გაჩერდა. ცივი ქარი დაჰქროდა ბაქანზე. ანტუანს შეაყრუოლა. ხალხის ჯგუფი მიწისქვეშა გასასვლელებისკენ გაემართა. შეციებული, გათოშილი, დაწრეტილი გონებითა და მოდუნებული ნებისყოფით ანტუანი უკან მიჰყვებოდა ხალხის ტალღას, თან მიათრევდა ხელჩანთას და აღარ იცოდა, სად წასულიყო, რა ექნა! უცებ მოაგონდა: ტუალეტი. აბაზანა. შხაპი. კარგია ახლა ცხელი აბაზანა, ხელფეხის გასაშლელად; ცივი შხაპი გამოაფხიზლებს კაცს! პირის გაპარსვა, საცვლების გამოცვლა, უკანასკნელი საშუალებაა მკვდრეთით აღსადგომად!

მართლაც ჩინებული აზრი გამოდგა: ყოველგვარი გაბანვის შემდეგ სასწაულმოქმედ წყაროდან ამოსულსა ჰგავდა: ერთბაშად გახალისდა. შემდეგ ბარგის შემნახველი კამერისაკენ გასწია, ხელჩანთა დატოვა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა ბედისწერის შესახვედრად.

კოკისპირულად წვიმად. ანტუანი ტრამვაის შეახტა, ქალაქისაკენ გაემართა. დილის რვა საათი იყო, მაგრამ მაღაზიები უკვე გაეღოთ. საწვიმ-

რებსა და კალოშებში გამოწყობილი საქმიანი ადამიანები უხმოდ მიაბიჯებდნენ ტროტუარზე და ცდილობდნენ ქვაფენილზე არ გადასულიყვნენ, თუმცა ჯერჯერობით მანქანები არსად ჩანდა. „მშრომელი ქალაქია, უდა-ტაციო!“ — გაიფიქრა ანტუანმა, რომელსაც სწრაფად ჩვეოდა განზოგადება. ქალაქის გეგმის წყალობით რატუშის პატარა მოედანი მალე იპოვა, თავი ასწია და კოშკის საათს შეხედა, რომელმაც იმ წუთში ცხრის ნახევარი ჩამოჰკრა. ქუჩა, სადაც ჟაკი ცხოვრობდა, მოედნის ბოლოში იყო.

ესკალიე დიუ მარშეს ქუჩა ერთ-ერთი უძველესი ქუჩა უნდა ყოფილიყო ლოზანაში. სხვათა შორის, ქუჩა კი არა, პატარა, საფეხურებიანი ქუჩაბანდი უფრო იყო, სადაც სახლები მხოლოდ მარცხენა მხარეს იდგა. სახლების წინ ერთმანეთს მიყოლებული პატარ-პატარა მოედნები „ქუჩას“ ქმნიდნენ; სახლების პირდაპირ კედელი აღმართულიყო, რომელსაც შუასაუკუნის ტიპის ძველი, ღვინისფრად შეღებილი ხის კიბე ჩასდევდა. ეს მიმალული საფეხურები მოულოდნელ სათვალთვალო პუნქტს მოგაგონებდათ. ანტუანმა ფეხი შედგა ზედ. ამ შესახვევის რამდენიმე სახლი ვიწრო, აქაიქ მიმოფანტულ ბუნაგებს ჰგავდა; ქვედა სართულზე განლაგებული ფარდულები XVI საუკუნეში თუ იქნებოდა მოწყობილი, მეათე ნომერში შესვლა მოჩუქურთმებული ბალავრიანი დაბალი კარით შეიძლებოდა. დიაფრის საგდულზე ძლივს შეიმჩნეოდა წარწერა, მაგრამ ანტუანმა მაინც მოახერხა ამოკითხვა: „ჟ. გ. კამერცინის პანსიონი“. აქ იყო!

სამი წლის ამაო ძებნამ გული დაუბოლმა ანტუანს, გრძნობდა, რომ მთელი სამყარო აშორებდა ძმას და აი, ახლა, ერთბაშად სულ რამდენიმე წამში შეხვდებოდა ჟაკს... ანტუანმა აღელვების დაოკება ადვილად იცოდა, პროფესიამ გამოაწრთო, რაც უფრო მეტად უხდებოდა ძალის მოკრება, მით უფრო მშვიდი ხდებოდა, მით უფრო უნათდებოდა გონება. „ცხრის ნახევარია, — გაიფიქრა მან, — ჟაკი შინ უნდა იყოს. ალბათ, საწოლშია. კლასიკური დროა დასაჭერად“! შინ თუა, მეკარე ვეტყვი, პაემანი დამინიშნამეთქი, და გაუფრთხილებლად, პირდაპირ მის ოთახში შევალ“. ქოლგას ამოფარებულმა მტკიცე ნაბიჯით გადაჭრა ქუჩა და ორსაფეხურიან ქვის პარმაღზე ავიდა.

ფილებით მოპირკეთებული დერეფანი, შემდეგ მოაჯირიანი ფართო, სუფთა, მაგრამ ჩაბნელებული ძველებური კიბე, არც ერთი კარი. ანტუანი კიბეს აჰყვა. ხმების ზუზუნი მოესმა. როცა თავით კიბის საქცევს გაუთანაბრდა, სასადილო ოთახის შემინული კარიდან ათიოდე კაცი დაინახა, რომლებიც მაგიდას უსხდნენ. ამის გაფიქრებაღა მოასწრო: „კიდევ კარგი, კიბე ჩაბნელებულია და არ ვჩანვარ“. შემდეგ დაუმატა: „დილის საუზმე

საუზმე. ის არ ჩანს. საცაა ჩამოვა!“ და უცებ... ჟაკი... მისი ხმა!.. ჟაკი ლაპარაკობდა! ჟაკი იქ იყო, ცოცხალი, ფაქტივით უდავო!

ანტუანი წაბარბაცდა, წამით პანიკურმა შიშმა მოიცვა, სწრაფად ჩაირბინა რამდენიმე საფეხური. მძიმედ სუნთქავდა. გულის სიღრმიდან ამოსული თბილი გრძნობა მთელ მკერდს მოედო და ყელს მოაწვა. კი მაგრამ ეს უცნობი ხალხი?.. რა ჰქნას? წავიდეს? ისევ შეიკავა თავი; მებრძოლი სული უბიძგებდა ხელს: უკან დახევა არ შეიძლება, უნდა იმოქმედოს. ფრთხილად აიხედა. ჟაკის პროფილი მოჩანდა, მაგრამ მეზობლების გამო ანტუანი მხოლოდ დროდადრო ხედავდა მას. სუფრის თავში ტანდაბალი, თეთრწვერა მოხუცი იჯდა; სხვადასხვა ასაკის ხუთი თუ ექვსი მამაკაცი მაგიდას შემოსხდომოდა; მოხუცის პირდაპირ ქერა, ლამაზი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი ორ პატარა გოგონას შორის ჩამჯდარიყო. ჟაკი წინ გადაიხარა; სწრაფად, სხარტად, ლაღად ლაპარაკობდა, და ანტუანს, რომლის იქ ყოფნა მის ძმას გადაულახავ მუქარასავით დატრიალებდა თავს, ერთმა აზრმა გაუელვა გონებაში და გააკვირვა: ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე გადამწყვეტი წამი ისე დგება, თვითონ ამის შესახებ არაფერს გრძნობს, მშვიდადაა და ვერც კი წარმოუდგენია, ერთი წუთის შემდეგ რა მოხდებაო.

ამასობაში სუფრაზე ცხარედ კამათობდნენ. მოხუცი იცინოდა. ჟაკი მის პირდაპირ მჯდომ ორ ახალგაზრდა კაცს უტევდა. ანტუანისკენ ერთხელაც არ მოუხედავს. ორჯერ, თავისი სიტყვის განსამტკიცებლად, ზედიზედ გაიქნია მარჯვენა ხელი; ეს ჟესტი ანტუანს უკვე აღარც ახსოვდა და უცებ, სიტყვების შეხლა-შემოხლის შემდეგ, ჟაკს გაეღიმა. ჟაკის ღიმილი!

და აი მაშინ, ანტუანი აღარ დაფიქრებულა, კიბის საქცევზე ავიდა, მინის კარს მიუახლოვდა, ფრთხილად შეაღო და ქუდი მოიხადა.

ათი სახე ერთბაშად მობრუნდა მისკენ, მაგრამ იგი ვერავის ამჩნევდა. ვერც ის შენიშნა, ტანმორჩილი მოხუცი ფეხზე რომ წამოდგა და რაღაც ჰკითხა. ანტუანის გაბედული, მხიარული თვალები ჟაკს მიჩერებოდა. ჟაკიც უყურებდა ძმას: გუგები გაუფართოვდა, ბაგეები გაეპო, მხიარული გამომეტყველება გაქვავებულ სახეზე შეეყინა. სულ ათიოდე წამი გაგრძელდა ეს. ჟაკი წამოდგა. ახლა ერთი საზრუნავიღა აწუხებდა: პირველ ყოვლისა, აქ მყოფთ არაფერი არ უნდა შეემჩნიათ, სკანდალი არ უნდა ამტყდარიყო.

მტკიცე, სწრაფი ნაბიჯებით, ნაძალადევი თავაზიანობით, თითქოს უნდოდა ეთქვა, სწორედ ამ სტუმარს ველოდიო, ჟაკი ანტუანისკენ გაეშურა; ისიც მიუხვდა და კიბის საქცევისაკენ დაიხია. ჟაკი უკან გაჰყვა, შემინული კარი გამოიხურა. ძმებმა ისე მექანიკურად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, ბოლო კი უგრძვნიათ; მაგრამ არც ერთს სიტყვა არ დასცდენია.

ჟაკი ერთხანს შეყოყმანდა, შემდეგ გაურკვეველი მოძრაობით ანიშნა ძმას, გამომყევიო და კიბეს აჰყვა.

## VII

პირველი სართული, მეორე, მესამე.

ჟაკი მძიმედ ადიოდა, წინაჯირს ებღაუჭებოდა და ერთხელაც არ მიუხედავს ძმისკენ. ანტუანი უკან მისდევდა, აფორიაქება აღარ ეტყობოდა: პირიქით, კიდეც უკვირდა, ასეთი დაძაბული წუთებია და ძალიან რატომ არ ვღელავო. რამდენჯერმე შიშითაც კი გაიფიქრა: „ჩემი ასეთი გულგრილობა რას მივაწერო? სულიერ სიმშვიდეს თუ უგრძნობლობას, უგულობას?"

მესამე სართულზე ერთადერთი კარი იყო, ჟაკმა შეაღო და თითქმის შესვლისთანავე გასაღებით ჩაკეტა; მერე, როგორც იქნა, თავი ასწია და ძმას შეხედა.

— რა გინდა ჩემგან? — ხრინწიანი ხმით წაიბუტბუტა მან.

მაგრამ მის გამომწვევ გამოხედვას ანტუანმა გულითადი ღიმილი შეაგება: თუმცა ამ გულკეთილობის ნიღბის ქვეშ იგი მაინც ფხიზლობდა, ფრთხილად იყო. გადაეწყვიტა, დრო მოეგო, და ყველაფრისათვის მზად ყოფილიყო.

ჟაკმა თავი ჩაქინდრა.

— რა მოხდა? რა გინდათ ჩემგან? — საცოდავი, ღვარძლიანი, შიშნარევი, აცახცახებული ხმით გაიმეორა მან. მიუხედავად ამისა, ანტუანს მაინც არ აუჩქროლდა გული და იძულებული გახდა, მოჩვენებითი აღელვება გამოემჟღავნებინა.

— ჟაკ... — წაიბუტბუტა მან და ძმას მიუახლოვდა.

და ამ ახალი როლის გათამაშებისას, იგი ყურადღებით, ფხიზლად უკვირდებოდა ძმას. გაოცდა, როცა ჟაკის განიერი მხრები, სახის ნაკვთები, გამოხედვა სულ არ ემთხვეოდა იმ გარეგნულ ნიშნებს, რაც მას წინასწარ წარმოედგინა!

ჟაკმა წარბები შეჭმუხნა. ამაოდ ცდილობდა სიმტკიცე გამოეჩინა. პირი მობრიცა, ქვითინს ძლივს იკავებდა. შემდეგ ისე ამოიოხრა, იტყოდით, მთელი სიბრაზე ამ ოხვრას ამოაყოლაო. მეტი ვეღარ გასძლო, ერთბაშად მოტყდა, საკუთარი სისუსტით სასოწარკვეთილმა ანტუანს მხარზე ჩამოადო თავი და ხელახლა გაიმეორა:

— კი მაგრამ, რა უნდათ ჩემგან? ჩემგან რა უნდათ?

ანტუანი ინტუიციით მიხვდა, რომ ახლავე უნდა ეპასუხნა. და თანაც ისე, ნათქვამი გულს მოხვედროდა:

— მამა ძალიან ცუდადაა. მამა კვდება. — წაიით დაიცადა და დაუმატა: — შენს წასაყვანად ჩამოვედი, ბიჭო.

ჟაკს წარბიც არ შეუხრია. მამა? ნუთუ ჰგონიათ, რომ მამის სიკვდილს რაიმე მნიშვნელობა აქვს მის მიერ შექმნილ ამ ახალ ცხოვრებაში? ნუთუ ეს ამბავი წამოაგდებს მას ამ ახალი ბუდიდან? რაიმე ცვლილებას შეიტანს იმ მიზეზში, რის გამოც სახლიდან წამოვიდა? მხოლოდ ანტუანის უკანასკნელი სიტყვები მოხვდა გულში: „ბიჭო!" რამდენი წელია არ გაუგონია ეს სიტყვა!

სიჩუმე იმდენად აუტანელი გახდა, რომ ანტუანმა განაგრძო:

— გვერდით არავინ მყავს... — უცებ ერთი აზრი მოუვიდა: — მადმუაზელი არ ითვლება... ხოლო ჟიზი ინგლისშია!

ჟაკმა თავი ასწია:

— ინგლისშია?

— ჰო. დიპლომის მისაღებად ემზადება მონასტერში, ლონდონის ახლოს და ჩამოსვლა არ შეუძლია. სულ მარტო ვარ. შენ მჭირდები.

მისდა უნებურად ჟაკის სიჯიუტე ოდნავ მოტყდა. მართალია, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც, შინ დაბრუნება შეუძლებელი, ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად შეუძლებელი არ იყო მის გონებაში. ჟაკი ანტუანს მოშორდა, ორიოდე ნაბიჯი ბარბაცით გადადგა და საწერ მაგიდასთან, სკამზე ისე ჩამოჯდა, თითქოს სურდა ბოლომდე ჩაძირულიყო საკუთარ ტანჯვაში. ანტუანმა მხარზე ხელი დაადო, მაგრამ ჟაკს არ უგრძვნია, თავი ხელებში ჩაერგო და ქვითინებდა. ასე ეგონა, იგი ხედავდა იმ შენობის ნგრევას, რომელიც სამი წლის მანძილზე საკუთარი ხელით, თითო-თითო აგურით უშენებია გაჭირვებით, ამაყად, მარტო; მიუხედავად ამ აფორიაქებისა, გამჭრიახობა მაინც შერჩენოდა. შეეძლო ბედისწერისათვის პირდაპირ შეეხედა თვალებში და მიმხვდარიყო: ყოველგვარი წინააღმდეგობა უშედეგო იქნებოდა, ადრე თუ გვიან მაინც დააბრუნებენ შინ, მის თავისუფლებას თუ არა, სასიამოვნო განმარტოებას ბოლო მოეღო, და სჯობდა, ბედს დამორჩილებოდა. სწორედ წუხარებისა და სინანულისგან გამოწვეული ეს უმწეობა აჩრჩობდა; ანტუანი ფეხზე იდგა; ფიქრობდა, უკვირდებოდა თითქოს, თავის სიყვარულს ჯერჯერობით მარაგად ინახავდა. იგი დაჰყურებდა ქვითინით აცახცახებული ძმის კეფას; აგონდებოდა სასოწარკვეთილი ჟაკი პატარაობისას; და თანაც სრული სიმშვიდით ითვალისწინებდა თავის შესაძ-

ლებლობას. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ნერვული შეტევა, ანტუანი მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ჟაკი ბედს დაემორჩილებოდა.

ანტუანმა ხელი მოაშორა მის მხარს და იქაურობა შეათვალიერა, თანაც ათასი საფიქრალი გაუჩნდა. ოთახი მარტო სუფთა როდი იყო: იგი კეთილმოწყობილიც გახლდათ. დაბალი ჭერი; ეტყობა, ოთახი სხვენზე იყო მოთავსებული; მაგრამ ვრცელი, ნათელი, სასიამოვნო ღია ფერისა. გაპრიალებული, სანთლისფერი პარკეტი ჭრიალებდა, ალბათ, სიცხის გამო: თეთრი ქაშანურის პატარა ღუმელში კუნძები ბრდღვიალებდა: ყვავილებიანი კრეტონგამოკრული ორი სავარძელი; ქაღალდებით, გაზეთებით დაფარული რამდენიმე მაგიდა. რამდენიმე წიგნიც, ორმოცდაათიოდე თუ იქნებოდა, თაროზე ეწყო, ჯერ კიდევ დაულაგებელი საწოლის თავთან. არც ერთი ფოტოსურათი: არავითარი მინიშნება წარსულზე. თავისუფალი, მარტოხელა, მოგონებებისათვისაც მიუწვდომელი. ანტუანის საყვედურს შურისმაგვარი გრძნობაც დაერთო.

ბოლოს შეამჩნია, რომ ჟაკი მშვიდდებოდა. მოიგო ანტუანმა? წაიყვანს ძმას პარიზში? წარმატებაში ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარებოდა. და აი, მაშინ, თითქოს კაშხალი გაირღვაო, სიყვარულის ტალღამ მოიცვა, სიყვარულის და სიბრალულის უზარმაზარმა ზვირთმა შთანთქა; დიდი სურვილი ჰქონდა ეს უბედური ბიჭი გულში ჩაეკრა. დაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

— ჟაკ...

მაგრამ ჟაკი მყისვე წელში გასწორდა, გაბრაზებით მოიწმინდა თვალები და ძმას ახედ-დახედა.

— მიბრაზდები? — ჰკითხა ანტუანმა.

არავითარი პასუხი.

— მამა კვდება! — გაუმეორა ანტუანმა, თითქოს ბოდიშს უხდისო.

ჟაკმა წამით იბრუნა პირი.

— როდის? — იკითხა მან.

ეს სიტყვა შეუგნებლად აღმოხდა. სახე გატანჯული ჰქონდა. და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა თქვა, როცა ანტუანის თვალებს წააწყდა. ხელახლა ჩაქინდრა თავი და ნათქვამი გამოასწორა:

— როდის... ფიქრობ წასვლას?

— რაც შეიძლება მალე: ყოველწამს მოსალოდნელია...

— ხვალ?

ანტუანი შეყოყმანდა.

— ამ საღამოსვე, თუკი შესაძლებელი იქნებოდა.

წამით შეხედეს ერთმანეთს. ჟაკმა ოდნავ აიჩეჩა მხრები. დღეს თუ ხვალ, ამას ახლა მნიშვნელობა განა აქვს?

— ღამის ჩქარი მატარებლით! — ყრუდ წაილაპარაკა.

ანტუანი მიხვდა, მათი წასვლის დრო დაინიშნა. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ როგორც კი მიაღწია იმას, რაც ასე გულით სწადდა, არც გაოცებას და არც სიხარულს აღარ გრძნობდა.

შუა ოთახში იდგნენ. ქუჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა; სოფელში გეგონებოდათ თავი. სახურავის ღარიდან წყალი მირაკრაკებდა, დროდადრო ამ ხმას სხვენის კრამიტებში შემძვრალი ქარის ზუზუნიც ემატებოდა. უხერხულობა ძმებს შორის თანდათან ღრმავდებოდა.

ანტუანმა იფიქრა, ჟაკს მარტო დარჩენა უნდაო.

— შენ, ალბათ, საქმე გაქვს, — თქვა მან. — მე წავალ!

ჟაკი უცებ გაწითლდა.

— მე? არა! რატომ გგონია? — და სწრაფად დაჯდა.

— მართალს ამბობ?

ჟაკმა თავი დაუქნია.

— ნუშინ, — წამოიწყო ანტუანმა და შეეცადა გულთბილად ელაპარაკა, მაგრამ მაინც ყალბად გამოუვიდა, — დავჯდეთ... იმდენი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი!

სინამდვილეში, უნდოდა ჟაკი დაეკითხა, თუმცა ვერ გაბედა. დროის მოსაგებად, მამამისის ავადმყოფობის სხვადასხვა ფაზას აღწერდა დაწვრილებით, თითქმის პროფესიულად. პირადად მისთვის ეს დეტალები აგონებდა არა მარტო უიმედო შემთხვევას, არამედ ავადმყოფის ოთახს, საწოლს, შეშუპებულ, ფერდაკარგულ, გატანჯულ სხეულს, სახის დაკრუნჩხულ ნაკვთებს, კვნესას, ძნელად დასაყუჩებელ ტკივილებს. ახლა ანტუანს აუკანკალდა ხმა, ხოლო ჟაკი სავარძელში მოკრუნჩხულიყო, კუშტი სახე დუმელისკენ მიებრუნებინა, თითქოს ამბობდა: „მამა კვდება, საცაა აქაურობას მომაშორებენ, კეთილი, წავალ, მაგრამ სხვას ნურაფერს მოითხოვთ ჩემგან!“

მხოლოდ ერთხელ მოეჩვენა ანტუანს, რომ ჟაკის უგრძნობლობა მოტეხა თითქოს: როცა უამბო, დახურულ კარიდან მოვისმინე მამა და მადმუაზელი ძველ საბავშვო სიმღერას მღეროდნენო. ეტყობა, მინამღერი ჟაკსაც ახსოვდა, რადგან ნელ-ნელა, ისე რომ ცეცხლისთვის თვალი არ მოუშორებია, გაეღიმა. ეს იყო გატანჯული, ნაღვლიანი ღიმილი... პატარა ჟაკის ღიმილი!

მაგრამ თითქმის მაშინვე, როგორც კი ანტუანმა თქვა, იგი ისე დაიმანჭა, სიკვდილი შვებაა ჩემთვისო, ჟაკმა, რომელსაც აქამდე კრინტი არ დაუძრავს, მკვახედ აღიმაღლა ხმა:

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მართლაც შვებაა!

გულნატკენი ანტუანი გაჩუმდა. ამ გამონაწყვევ ცინიზმში მოუთმენელი გულღრძობაც იგრძნობოდა, ხოლო ასეთი ლვარძლიანობა ავადმყოფის, მონაკვდავის მიმართ, ანტუანს აუტანლად, უსამართლობად და, რაც მთავარია, უადგილოდ მიაჩნდა. მოაგონდა ის საღამო, როცა თვალცრემლიანი ბატონი ტიბო შვილის თვითმკვლელობის მიზეზად თავის თავს თვლიდა. მას ვერც ის დაევიწყა, ჟაკის გაქრობამ როგორ იმოქმედა ბატონი ტიბოს ჯანმრთელობაზე: განა მწუხარება და სინდისის ქენჯნა არ გახდა იმ ნერვული დეპრესიის მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო მისი ორგანიზმის რღვევას, ურომლისოდაც, შესაძლებელია, მისი ახლანდელი ავადმყოფობა ასე სწრაფად არც განვითარდებოდა.

და აი, ჟაკი თითქოს მოუთმენლად ელოდა, როდის შეწყვეტდა ლაპარაკს ძმა, ერთბაშად წამოხტა და ჰკითხა:

— ჩემი ადგილსამყოფელი როგორ გაიგე?

დამალვა შეუძლებელი იყო.

— ... ჟალიკურის... მეოხებით.

— ჟალიკურის? — არავის სახელის ხსენება ისე ძალიან არ გაუკვირდებოდა, ალბათ, და დამარცვლით გაიმეორა: ჟე-ლი-კუ-რის?

ანტუანმა საფულე ამოიღო. შიგ ჟალიკურის წერილი ჰქონდა, რაც რამდენიმე დღის წინ გაეხსნა და ძმას გაუწოდა. ასე სჯობდა: ყოველგვარ ახსნა-განმარტებას იშორებდა თავიდან.

ჟაკმა ხელი დასტაცა წერილს, თვალი გადაავლო, შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და ყურადღებით გადაიკითხა. თვალები მოჭუტული ჰქონდა, ბაგე მოკუმული, სახე დაძაბული.

ანტუანი უკვირდებოდა. ამ სახეს, სამი წლის წინ, ჭაბუკის ჩამოუყალიბებელი ნაკვთები ჰქონდა, და დღესაც, თუმცა პირი სუფთად გაეპარსა, თითქოს არ შეცვლილა, მაგრამ რაღაც ახალი გამომეტყველება მაინც იპყრობდა მის ყურადღებას: მეტი ნებისყოფა, ნაკლები ამპარტავნობა, ნაკლები შეშფოთება, შესაძლებელია, ნაკლები სიჯიუტე და მეტი სიმტკიცე. რასაკვირველია. ჟაკს წინანდელი მომხიბვლელობა დაეკარგა, სამაგიეროდ, ძალა შემატებოდა. ახლა ეს იყო თითქმის ჩასკვნილი ჭაბუკი, თავი გაზრდოდა და საკმაოდ მოუხერხებლად გამოიყურებოდა გაგანიერებული ბეჭებიდან; ჟაკს ჩვეულება ჰქონდა, თავი უკან გადაეგდო და ოდნავ გამომწვევი

თუ საბრძოლო პოზა მიეღო, ყბები — მაგარი, პირი — ენერგიული და ძარღვიანი, ოღონდ ნაღვლიანი ნაოჭით. ტუჩებს გამომეტყველება შეცვლოდათ. სახის ფერს წინანდელი სითეთრე შერჩენოდა; ოღონდ ღაწვებზე ჭორფლი ემჩნეოდა. სამაგიეროდ, თმას, საკმაოდ ხშირ თმას, ახლა წაბლისფერი უფრო დაჰკრავდა, ვიდრე წინანდებურად წითური ფერი. ეს ურჩი ფაფარი გარს ერტყმოდა მის ვაჟკაცურ სახეს და კიდევ უფრო მეტად უდიდებდა თავს; მუქ კულულს, რომელსაც ოქროსფერი დაჰკრავდა, წამდაუწუმ უკან ისროდა ხოლმე ხელით, რადგან იგი საფეთქელზე ეცემოდა და სანახევროდ უფარავდა შუბლს.

ანტუანმა ამ შუბლზე გადარბენილი ჩრდილი და წარბებშორის გაჩენილი ორი ნაოჭი შეამჩნია. მიხვდა, წერილის კითხვისას რა ფიქრებიც აუშლებოდა, და ამიტომაც მოულოდნელი არ იყო მისთვის, როცა ჟაკმა ხელები უმწეოდ დაუშვა, ძმას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მაშასადამე, შენც... შენც წაიკითხე ჩემი ნოველა?

პასუხის ნაცვლად ანტუანმა ქუთუთოები ჯერ დახარა, შემდეგ ასწია. იგი თვალებით უფრო უღიმოდა, ვიდრე ტუჩებით, და სწორედ ამ ალერსიანი შემოხედვით დათრგუნა ძმის სიბრაზე.

უკვე ნაკლებად გამომწვევი ტონით ჟაკმა ესლა დაუმატა:

— კიდევ... კიდევ ვინ?

— არავინ.

ჟაკი უნდობლად უყურებდა.

— სინდისს გეფიცები! — დაარწმუნა ანტუანმა.

ჟაკმა ჯიბეში ხელები ჩაიწყო და გაჩუმდა. სხვათა შორის, იგი სწრაფად შეურიგდა იმ აზრს, რომ ძმამ მისი „ლა სორელინა" წაიკითხა. აინტერესებდა კიდეც მისი აზრი. პირადად იგი, ძალიან კრიტიკულად უყურებდა ამ ნაწარმოებს, რომელიც წლინახევრის წინ დიდი აღმაფრენით დაეწერა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე იგი საკმაოდ გაიზარდა, წინ წავიდა და ეს ძიებანი, ეს პოეზია, ის ახალგაზრდული მგზნებარება დღეს აუტანლად მიაჩნდა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ სრულიად აღარ ფიქრობდა ნოველის სიუჟეტზე, დავიწყებოდა, რა კავშირი ჰქონდა პირადად მის თავგადასავალთან: იმ წუთიდან, როგორც კი ეს წარსული ხელოვნების ნაწარმოების ფორმით შეიმოსა, იგი თითქოს საბოლოოდ მოწყდა მას; და თუკი ზოგჯერ თავისი ცხოვრების ამ გულისმომკვლელ მომენტს გაიხსენებდა, მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე დაერწმუნებინა თავი: „ამ ამბებისაკან დიდი ხანია განვიკურნე!" ამიტომ, როცა ანტუანმა უთხრა, შენს წასაკვანად ჩამოვედიო. მისი პირველი ფიქრი ეს იყო: „ყოველ შემთხვევაში, მე

უკვე განვიკურნე". ერთი წუთის შემდეგ კი დაუმატა: „თანაც ჟიზი რომ ინგლისშია?" (არსებითად, ჟიზის მოგონება, მისი სახელის ხსენება არ გაუჭირვებია, მაგრამ ჟენის შესახებ გადაკრულ სიტყვასაც ვერ აიტანდა).

ჟაკი ერთხანს უძრავად იდგა ფანჯარასთან, თვალები შორს მიეპყრო, ხმას არ იღებდა, მერე მობრუნდა და იკითხა:

— შენი აქ ყოფნა ვინ იცის?

— არავინ.

ამჯერად აღარ მოეშვა.

— არც მამამ?

— არა-მეთქი.

— ჟიზმა?

— არა. არავინ იცის. — ანტუანი ერთხანს შეყოყმანდა და რომ საბოლოოდ დაერწმუნებინა ძმა, დაუმატა: — მას შემდეგ, რაც მოხდა, სჯობს ჟიზმა ჯერჯერობით არაფერი იცოდეს. მით უმეტეს, რომ იგი ლონდონშია!

ჟაკი თვალს არ აშორებდა ძმას, რაღაც შეკითხვაში იელვა მის თვალებში და უმალვე ჩაქრა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ანტუანს ამ სიჩუმისა ეშინოდა, მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობდა დაერღვია იგი, მით უფრო ნაკლებ საბაბს პოულობდა. ცხადია, ათასი კითხვა მოადგა ენის წვერზე, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა. ეძებდა რაიმე უბრალო, უწყინარ თემას, რომელიც ინტიმურ საუბარში ჩაითრევდა ორივეს. ასეთი თემა კი ვერა და ვერ ეპოვა.

მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო, როცა ჟაკმა ერთბაშად ფართოდ გააღო ფანჯარა და უკან დაიხია. სიამის ლამაზმა კატამ, რომელსაც ფაფუკი, ნაცრისფერი ბალანი და ნახშირში ამოსვრილი დრუნჩი ჰქონდა, რბილად ისკუპა იატაკზე.

— სტუმარია? — ჰკითხა საუბრის თემის გამოცვლით გახარებულმა ანტუანმა.

ჟაკს გაეღიმა.

— მეგობარია! — და დაუმატა: — თანაც ყველაზე ძვირფასი ჯიშისა, მეგობარი, რომელიც ხანგამოშვებით მოგვევლინება!

— ვისია?

— არ ვიცი. ჩანს შორი გზიდან მოვიდა: არავინ იცნობს ჩვენს უბანში.

მშვენიერმა ხვადმა ამაყად შემოუარა ოთახს კრუტუნით, რაც გერმანული ბზრიალას ხმას წააგავდა.

— გაწუწულა, შენი მეგობარი! — თქვა ანტუანმა. გრძნობდა, სიჩუმე ან ხვადივით უხმოდ დაწრიალებდა ნათ ირგვლივ.

— ჩვეულებრივ, ასეთ წვიმიან დღეებში მეწვევა ხოლმე, — მიუგო ჟაკმა. — ზოგჯერ გვიან, შუაღამისას. ფანჯარაზე აფხაკუნებს, შემოდის, ღუმელთან ილოკავს ტანს და როცა გაშრება, გარეთ გაშვებას მთხოვს. ვერ იქნა და მისი მოფერება ვერ მოვახერხე, მით უფრო, ვერც ვერაფერი შევაჭამე!

კატამ შემოვლა მოათავა და ნახევრად ღია ფანჯარასთან მივიდა.

— ხედავ! — თითქმის მხიარულად წამოიძახა ჟაკმა. — შენ ნახვას არ ელოდა: ახლავე წაბრძანდება.

მართლაც, ხვადი თუთიის რაფაზე შეხტა და თავიც არ მოუბრუნებია, გაუჩინარდა.

— სასტიკად მაგრძნობინა, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი ვარ! — ხუმრობანარევი ტონით თქვა ანტუანმა.

პასუხი რომ არ გაეცა, ჟაკმა შემთხვევით ისარგებლა და ფანჯარა მიხურა. როცა მობრუნდა, სახე აჭარხლებული ჰქონდა. მალე წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

დუმილი საშიში ხდებოდა.

ანტუანმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ისევ მამაზე ჩამოაგდო სიტყვა. რა თქმა უნდა, იმის იმედიც ჰქონდა, რომ ჟაკს გულს მოულბობდა, და ამას გარდა, ავადმყოფზე ფიქრი მართლა არ აძლევდა მოსვენებას. იგი ჯიუტად ირწმუნებოდა, ოპერაციის შემდეგ მამას ხასიათი გამოეცვალაო. და ისე გათამამდა, კიდეც დასძინა:

— შენ, ალბათ, სულ სხვანაირად იმსჯელებ მასზე, როცა ნახავ ამ სამ წელიწადში როგორ დაბერდა!

— ალბათ! — ორჭოფულად მიუგო ჟაკმა.

მაგრამ ანტუანი არ აპირებდა ასე ადვილად დაეყარა ფარ-ხმალი...

— სხვათა შორის, — წამოიწყო მან, — ხანდახან თავს ვეკითხები: ვიცნობდით თუ არა მას; იქნებ, გულის სიღრმეში სულ სხვა ადამიანი იყო? — იგი ამ თემას ჩაებღაუჭა და გაიფიქრა, მოდი, ჟაკს ამასწინდელ ამბავს ვუამბობ: — გახსოვს, — თქვა მან, — ჩვენი სახლის პირდაპირ, პარიკმახერი ფობუა რომ ცხოვრობდა პრე-ო-კლერკის * ქუჩის კუთხეში, ებენისტის გვერდით?

თავჩაქინდრული ჟაკი ბოლთას სცემდა ოთახში. უცებ შეჩერდა. ფობუა? პრე-ო-კლერკის ქუჩა?.. თვალისმომჭრელმა შუქმა ერთბაშად გააპო ამ სასურველი განმარტოების წყვდიადი და შიგ მთელი ის სამყარო შეიჭრა, რომელიც დავიწყებულად მიაჩნდა. მერე იგი თვალწინ წარმოუდგა მთელი თავისი წვრილმანებით, გაახსენდა ქვაფენილის ყოველი ფილა, თი-

თოჯული ვიტრინა, წინგოსწვრილთითებიანი მოხუცი ეჭენისტი, ფერმკრთალი ანტიკვარი და მისი ქალიშვილი, შემდეგ „სახლი" — მისი წარსულის ჩარჩო, „სახლი" და ნახევრად ღია ჭიშკარი, მეკარის ჯიხური, და მათი პატარა ბინა პირველ სართულზე და ლიზბეტი, და ბევრი რამ თავისი ბავშვობიდან. ლიზბეტი, მისი პირველი გამოცდა... ვენაში სხვა ლიზბეტი გაიცნო, მის ეჭვიან ქმარს თავი მოეკლა... უცებ გაახსენდა, რომ პარიზში გამგზავრების ამბავი კამერცინის ქალიშვილისთვის, სოფიასთვის უნდა ეცნობებია.

ანტუანი განაგრძობდა:

ანტუანს ერთხელ თურმე ეჩქარებოდა და ფობუასთან შესულიყო წვერის გასაპარსად. ჟაკი და ანტუანი მხოლოდ იშვიათად გაურბოდნენ ამ პარიკმახერს, რომ ოცი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათს, ზემოხსენებული ფობუა მათ მამას კრეჭდა წვერს. ჰოდა, იმ დღეს, მოხუცმა, რომელიც შორიდან იცნობდა ანტუანს, მამაზე ჩამოუგდო სიტყვა. კისერზე პირსახოცშემოხვეულ ანტუანს საქმე მაინც არ ჰქონდა და ყურს უგდებდა. მას ძალიან გაჰკვირვებია, როცა პარიკმახერის სიტყვებმა მოულოდნელად სრულიად ახალი სახით წარმოუდგინეს მამა.

— თურმე, — თქვა ანტუანმა, — მამა წამდაუწუმ უამბობდა ფობუას ჩვენს ამბავს. განსაკუთრებით კი შენს ამბავს... ფობუას კარგად ახსოვს ზაფხულის ის დღე, როცა „ბატონი ტიბოს ბიჭუნამ" — ეს შენ ბრძანდები! — ბაკალავრის ხარისხის მისაღებად გამოცდები ჩააბარა. მამას მისი ფარდულის კარი შეუღია და მოუხსენებია: „ბატონო ფობუა, ჩემი უმცროსი ყმაწვილი მიიღეს!" ფობუამ თქვა, თქვენი კეთილი მამა ისე თავმომწონედ დადიოდა, ერთ რამედ ღირდა მისი შეხედვაო. საოცარია, ხომ?.. მაგრამ მე მაინც ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რაც ამ... სამი წლის მანძილზე ხდებოდა თურმე...

ჟაკს სახე ოდნავ მოებრიცა და ანტუანმა კიდეც გაიფიქრა, დაუკრეფავში ხომ არ შევაბიჯეო. მაგრამ უკანდასახევი გზა აღარ იყო:

— ჰო, შენი წასვლის შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ მამას სიტყვა არ დასცდენია იმის თაობაზე, რაც მოხდა. პირიქით, მეზობლების თვალის ასახვევად მთელი ამბავი შეუთხზავს: მაგალითად, ფობუამ დაახლოებით ასეთი რამ მითხრა: „მოგზაურობას რა სჯობია! რაკი მამათქვენს ხარჯის გაღება შეუძლია, რათა შვილმა უცხოეთში მიიღოს განათლება, სწორადაც მოქცეულა, იქ რომ გაუგზავნია. ამას გარდა, თანამედროვე ფოსტის წყალობით, სადაც გინდა იქ მისწერ წერილებს. ამას წინათ მეუბნებოდა, კვირა ისე არ გაივლის, ბიჭისგან წერილი არ მივიღოო...

ანტუანი თვალს არიდებდა ჟაკს და, ამ საჩოთირო თემისთვის ოდნავ მაინც რომ აექცია გზა, განაგრძო:

— მამა ჩემზედაც ელაპარაკებოდა თურმე: „ჩემი უფროსი ვაჟი ერთ მშვენიერ დღეს სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი იქნებაო... მადმუაზელისა და მოახლეების ამბებიც არ დავიწყნია. ფობუა მთელ სახლს იცნობდა. ჟიზის ამბავიც გაუგია. ყური მიგდე, ესეც საინტერესოა: თურმე მამა ძალიან ხშირად ლაპარაკობდა ჟიზის შესახებ! (ფობუას, ეტყობა, ჟიზის ტოლი ქალიშვილი ჰყოლია და, როგორც მივხვდი, მომკვდარა). იგი მამას ეუბნებოდა თურმე: „ჩემი გოგონა ამას და ამას აკეთებსო!" ხოლო მამაც უყვებოდა: „ჩემი კიდევ ამასო!" წარმოგიდგენია? ფობუამ ბავშვის ყოველი ანცობა, უამრავი ისეთი წვრილმანი მომაგონა, რაც მე სრულიად აღარ მახსოვდა. ვინ იფიქრებდა იმ ხანებში, რომ მამა მთელ ამ ბავშვურ ცელქობას ამჩნევდა?! ფობუამ აი, რა მითხრა: „მამათქვენი მუდამ ნანობდა ქალიშვილი რომ არა ჰყავდა, მაგრამ ხშირად უთქვამს, ეს გოგონა, ბატონო ფობუა, ქალიშვილის მაგივრობას მიწევსო". დიახ, ასე მითხრა სიტყვა-სიტყვით. გარწმუნებ, ამან ძალიან გამაკვირვა. მისმა ასეთმა მგრძნობიარობამ! მართალია, ბუზღუნა, შესაძლებელია, თავშეუკავებელი და ავადმყოფური მგრძნობიარობაა, იქნებ, მაგრამ ესეც არავის არასოდეს შეუმჩნევია!

ჟაკს კრინტი არ დაუძრავს, ერთხელაც არ აუღია თავი. ოთახში წინ და უკან სიარულს განაგრძობდა: და თუმცა ძმას არც უყურებდა, ანტუანის არც ერთი მოძრაობა არ გამოპარვია. აღელვებული არ ჩანდა, მაგრამ ძლიერსა და ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებმა თავზარი დასცეს. წარსულის ეს ძალაუნებური შეჭრა მის ცხოვრებაში ყველაზე მეტად უჭირდა.

ჟაკის დუმილი სასოწარკვეთილებაში აგდებდა ანტუანს: ვერ იქნა და საუბარში ვერ ჩაითრია. თვალს არ აშორებდა ძმას, ცდილობდა რაიმე ფიქრი მაინც ამოეკითხა ამ ნაკვთებში, რომელიც ერთადერთ პირქუშ გადაწყვეტილებასღა გამოხატავდა მხოლოდ — გულგრილი დარჩენილიყო ყველაფრისადმი! მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გაუბრაზდა. მოსწონდა მისი ეს დაძაბული სახე, რომელიც, მართალია, ხელახლა იპოვა, მაგრამ თავისკენ ვერასგზით ვერ მოიბრუნა. ასეთი ძვირფასი სახე დედამიწის ზურგზე არსად ეგულებოდა. თბილი გრძნობა ხელახლა შემოაწვა გულზე, მაგრამ ვერც სიტყვით, ვერც რაიმე მოძრაობით მისი გამოხატვა ვერ გაებედა.

ამასობაში სიჩუმე გაძლიერებულიყო, გაღრმავებულიყო და მძიმე, აუტანელი გამხდარიყო. სადინარ ღარში წყლის რაკრაკი, ღუმელში — ცეცხლის

ტკრციალი და ზოგჯერ ჟაკის ფეხქვეშ აჭრიალებული იატაკის ხმაური მოის-მოდა.

ჟაკმა ღუმელთან ჩაიჩოქა წამით, კარი გამოაღო და ორი კუნძი შეაგ-დო; შემდეგ თავი მიაბრუნა ძმისკენ, რომელიც მას თვალს ადევნებდა და უხმოდ მიაჩერდა:

— შენ მე მკაცრად მადანაშაულებ, მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია. მე ეს არ დამიმსახურებია.

— სულაც არა! — შეეკამათა ანტუანი.

— მე უფლება მაქვს ჩემებურად ვიყო ბედნიერი! — განაგრძო ჟაკმა. იგი სწრაფად წამოდგა, წამით გაჩუმდა და მერე კბილებში გასცრა:

— აქ მე ნამდვილად ბედნიერი ვიყავი!

ანტუანი მისკენ დაიხარა.

— მართალს ამბობ?

— ნამდვილად ვიყავი ბედნიერი!

ყოველი რეპლიკის შემდეგ ძმები დინჯი ცნობისმოყვარეობით, თავშეკა-ვებითა და დაფიქრებით აჩერდებოდნენ ერთმანეთს.

— მე მჯერა შენი! — თქვა ბოლოს ანტუანმა. — მიუხედავად ამისა, შენმა გაქრობამ... თუმცა იმდენი რამაა კიდევ ისეთი, რაც... რასაც მე კარ-გად ვერც ვხვდები... ოჰ, — ფრთხილად წამოიძახა, — არ იფიქრო, ბიჭო, თითქოს საყვედურის სათქმელად ჩამოვსულიყავი აქ.

ჟაკმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ძმა იღიმებოდა. მას ახსოვდა სახე-დაძაბული, პირქუში, ენერგიული ანტუანი; ეს ღიმილი კი მისთვის ამა-ღელვებელი სიახლე იყო. გულის აჩუყებისა ხომ არ შეეშინდა? მუშტები მოკუმა და ხელები აიქნია:

— გაჩუმდი, ანტუან, თავი დაანებე, ამ.. — შემდეგ თითქოს ეს უკმე-ხობა გამოასწორაო, დაუმატა: — ახლა ამის დრო არაა.

ტანჯვის ლანდმა გადაურბინა შუბლზე: სახე მიაბრუნა, თვალები მო-ხუჭა და წაიბუტბუტა:

— შენ ვერ გაიგებ!

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ დაძაბულობა შენელდა.

ანტუანი წამოდგა და ბუნებრივი ტონით ჰკითხა:

— პაპიროსს არ ეწევი? ძალიან მინდა მოვწიო. ნებას მომცემ?

მისი აზრით, მთავარი იყო მის საქციელს დრამატულობა არ დასჩნდო-ბოდა და გულთბილი და უბრალო დამოკიდებულებით ნელ-ნელა მოეთვი-ნიერებინა ეს გაჯიქებული ყმაწვილი.

მან რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი და ფანჯარასთან მივიდა. ლოზანას ძველი სახურავები ტბისკენ ეშვებოდნენ და ქაოტიურ ხლართს ქმნიდნენ შავი საკვამურებისგან, რომელთა კვამლში შენობათა კონტურები გახვეულიყო. ხავსურით დაღარღნილ კრამიტებს თითქოს ღრუბლივით შეეწოვათ წყალი. ჰორიზონტი ჩაბნელებულ მთაგრეხილებს ჩაეკეტათ. მათი თოვლიანი მწვერვალები თეთრად კაშკაშებდნენ ერთფეროვან რუხ ცაზე; და ამ ტყვიისფერ ზედაპირზე თოვლი ღია ლაქებად იდო ფერდობთა გასწვრივ, იტყოდით, რძის პირქუში ვულკანები ნაღების ლავას ანთხევენო.

ჟაკი ფანჯარას მიუახლოვდა.

— დან დ' ოში! — თქვა მან და ხელი გაიშვირა.

საფეხურებად აჭრილი ქალაქი ტბის ყველაზე ახლო მდებარე ნაპირს ფარავდა, სუსტად განათებული მეორე ნაპირი კი ჩაბნელებულ ფერდობს წაავავდა წვიმის ფარდის მიღმა.

— ეს შენი ლამაზი ტბა დღეს აბობოქრებულ ზღვასავითაა აქაფებული, — შენიშნა ანტუანმა.

ჟაკს შემწყნარებლური ღიმილი აუკიაფდა. იგი უძრავად იდგა, ნაპირისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა, სადაც ბუნდოვნად მოჩნევდა ხეების ჯგუფს, სოფლებს, ნაპირზე მომდგარ ხომალდებსა და მთის სასტუმროებისაკენ მიმავალ ბილიკებს... მოხეტიალე და სათავგადასავლო ცხოვრების მთელი ეს გარემო უნდა მიეტოვებინა... მაინც რამდენი ხნით?

ანტუანმა სცადა ჟაკის ყურადღება სხვა თემაზე გადაეტანა.

— დარწმუნებული ვარ, ამ დილას ათასი საქმე გექნება... — უთხრა მან, — მით უმეტეს, თუ... — უნდოდა დაემატებინა... — მით უმეტეს, თუ საღამოს მივდივართო, მაგრამ არ დაამთავრა.

ჟაკმა გაღიზიანებით გაიქნია თავი.

— ოჰ, გეუბნები, არა-მეთქი! ჩემი თავის პატრონ-პატრონი მე თვითონ ვარ. ასეა, არავის არ ვემორჩილები... როცა მარტო ცხოვრობ, როცა შენს ბედთაა... თავისუფლება... — ეს ბოლო სიტყვა ხმამაღლა გაისმა. შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ძმას და ოდნავ ნაღვლიანად გაუმეორა: — შენ ვერ გაიგებ!

და ამოიოხრა.

„ნეტა, რა ცხოვრებას ეწევა აქ? — გაიფიქრა ანტუანმა. — მართალია, სამუშაო აქვს, მაგრამ რით არსებობს?" ათასგვარი ვარაუდი გაუჩნდა და ბოლოს დაბალ ხმაზე წაილაპარაკა:

— მას შემდეგ, რაც სრულწლოვანი გახდი, დედის მემკვიდრეობიდან თავისუფლად შეგეძლო წილი წაგეღო!

ჟაკს დამცინავი ნაპერწკალი აუკიაფდა თვალებში. კინაღამ რაღაც იკითხა. შემდეგ მწარე სინანულმა გაჰკენწლა გულში: გაიფიქრა, ადვილად შემეძლო ზოგიერთი მძიმე სამუშაო თავიდან ამეცდინაო... ტუნისის დოკები... „ადრიატიკის" ნახშირის სარდაფი ტრიესტში... ინსბრუკის „გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ტ ი პ ო გ რ ა ფ ი ა", მაგრამ ამ ფიქრმა მხოლოდ წამით გაუელვა; არც იმაზე დაფიქრებულა, რომ ბატონი ტიბოს სიკვდილის შემდეგ, შეეძლო შეძლებულად ეცხოვრა. არა! მათი ფულის იმედით არ იცხოვრებს! მათი დახმარება არ სჭირდება! როგორმე მარტო გაუმკლავდება ცხოვრებას!

— ყოველდღიურ საზრუნავს როგორღა ართმევ თავს? — გაბედა და ჰკითხა ანტუანმა. — საარსებო ფულს ადვილად შოულობ?

ჟაკმა ოთახს მოავლო თვალი.

— როგორც ხედავ!

ანტუანმა თავი ვერ შეიკავა და კვლავ ჰკითხა:

— რით? რას აკეთებ?

ჟაკს ისევ გულჩათხრობილი, კუშტი გამომეტყველება მიეღო. დროდადრო ნაოჭი უჩნდებოდა შუბლზე და მერე ისევ უქრებოდა.

— იმიტომ კი არ გეკითხები, თითქოს შენს საქმეებში ვერეოდე, — სწრაფად დაუმატა ანტუანმა, — მე მხოლოდ ის მსურს, ბიჭო, რომ რაც შეიძლება კარგად მოაწყო პირადი ცხოვრება და ბედნიერი იყო!

— ასე! — ყრუდ აღმოხდა ჟაკს. ეს წამოძახილი უეჭველად ნიშნავდა: „ასე! ბედნიერი ვიყო, არა? შეუძლებელია!" მან მხრები აიწურა და მოქანცული ხმით გაიმეორა: — გეყოფა, ანტუან, გეყოფა... სულ ერთია, ვერ გამიგებ!

გაღიმება სცადა, შემდეგ ოთახში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფანჯარას მიუახლოვდა, ეტყობოდა, ვერ შეამჩნია, სულ საწინააღმდეგო აზრს რომ გამოთქვამდა, და ხელახლა გაიმეორა: — აქ მე სავსებით ბედნიერი ვიყავი... სავსებით!

შემდეგ საათს დახედა, ანტუანს მიუბრუნდა და ერთბაშად მოუსპო საუბრის გაგრძელების სურვილი:

— კამერცინი უნდა გაგაცნო. მისი ქალიშვილიც, თუკი შინაა. შემდეგ ვისაუზმოთ. აქ კი არა, ქალაქში. — მან ხელახლა გამოაღო ღუმელის კარი, შეშით გამოტენა და თან ლაპარაკი არ შეუწყვეტია: — ყოფილი თერძია, ახლა ქალაქის მრჩეველი გახლავთ... მგზნებარე სინდიკალისტია... ყოველ-

კვირეული გაზეთი დააარსა, რომელსაც თითქმის მარტო თვითონ ადგენს... პატიოსანი კაცია, აი, თვითონვე ნახავ!..

მოხუცი კამერცინი ჟილეტის ამარა დახვდა მათ.

იგი მეტისმეტად გახურებულ კაბინეტში იჯდა და კორექტურას ასწორებდა. უცნაური ოთხკუთხა სათვალე ოქროს მოქნილი რკალებით, პატარა, სქელ ყურებზე ჰქონდა ჩამოცმული, ერთი შეხედვით გულუბრყვილო, მაგრამ გონებაგამჭრიახი, ლაპარაკი სენტენციური, მაგრამ ბავშვივით მოუსვენარი, წამდაუწუმ იცინოდა და მოსაუბრეს პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა დაკვირვებით. მან ლუდი მოატანინა, ანტუანს ჯერ „ბატონო ჩემოს“ ეძახდა, ხოლო თხუთმეტი წუთის შემდეგ — „ჩემო ყმაწვილოს“.

ჟაკმა გულგრილად აცნობა, მამის ავადმყოფობის გამო, იძულებული ვარ რამდენიმე ხნით გავემგზავრო. ამ საღამოს მივდივარ, ოღონდ ოთახს ჩემს სახელზე ვტოვებ მთელი ჩემი ქაღალდებითურთ და ერთი თვის ქირას წინასწარ გადაგიხდითო. ანტუანს წარბიც არ შეუხრია.

მოხუცი წინდაწყობილ ფურცლებს წამდაუწუმ აფრიალებდა, ნჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა „პარტიული გაზეთების“ დასაბეჭდად საჭირო კოოპერატიული ტიპოგრაფიის პროექტზე. ჟაკი, ეტყობა, დაინტერესდა და რჩევაც მისცა. ანტუანი ყურს უგდებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჟაკს მასთან მარტო დარჩენა არ ეჩქარებოდა. ან, იქნებ, ვინმეს ელოდა?

ბოლოს წამოდგა და ძმას ანიშნა წავიდეთო.

## VIII

გარეთ სუსხიანი ქარი გამდნარ თოვლს ხვეტდა.

— რა მწარედ იკბინება! — თქვა ჟაკმა.

იგი ცდილობდა დუმილისთვის თავი დაეღწია. ფართო ქვის კიბეზე ჩასვლისას მეზობელ შენობაზე მიუთითა და ისეთი ტონით უთხრა, აი, ეს უნივერსიტეტიაო, ეტყობა, მის მიერ არჩეული ქალაქით თავი მოსწონდა. ანტუანმა აღტაცებით შეათვალიერა შენობა. მაგრამ უეცრად ისეთი ქარიშხალი ატყდა და თოვლჭყაპი წამოვიდა, იძულებული გახდნენ სასწრაფოდ სადმე შეეფარებინათ თავი.

ველოსიპედებითა და ფეხით მოსიარულე ხალხით დაფარული ორი ვიწრო ქუჩის გასაყართან, ჟაკი რომელიღაც სახლის წინ შეჩერდა, სადაც ფირნიშის ნაცვლად შუშიან კარზე დიდი თეთრი ასოებით წარწერა იყო:

გ ა ს ტ რ ო ნ ო მ ი კ ა

მუხის ხის მოპირკეთებულ დარაბზს ლაპლაპი გაუდიოდა. რესტორნის პატრონი, ჩასუქებული, მოუსვენარი, სისხლჭარბი, აელოშინებული, მაგრამ საკუთარი თავით, საკუთარი ჯანმრთელობით, საკუთარი პიროვნებით, მის მიერ შედგენილი მენიუთი კმაყოფილი კაცი, კლიენტებს ისე ექცეოდა, თითქოს შემთხვევით მოსული სტუმრები ყოფილიყვნენ. კედლებზე აქა-იქ მოჩანდა გოთური ასოებით: წარწერა „გასტრონომიკაში ნამდვილი კერძებია და არა ქიმია!" ან კიდევ: „ბევრიც რომ ეძებოთ, სამდოგვის კიდეზე მიმხმარ მდოგვს ვერ ნახავთ გასტრონომიკაში!"

კამერცინთან ვიზიტისა და წვიმაში სიარულის შემდეგ ჟაკი წინანდებურად აღარ იყო დაძაბული, და ძმის ცნობისმოყვარე სახეს რომ უკვირდებოდა, კეთილი ღიმილი არ შორდებოდა. მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო გარესამყაროთი ანტუანის ეს დაინტერესება. ეს ხარბი გამოხედვა, იმ ადამიანის გამომეტყველება, ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს რომ სწრაფად აღიქვამს. წინათ, როცა ძმებს ლათინური კვარტალის კაფეებში უხდებოდათ საუზმობა, ანტუანი არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, სამედიცინო ჟურნალს სახელდახელოდ მიაყუდებდა სურას და გატაცებით კითხულობდა.

ანტუანმა იგრძნო, რომ ჟაკი ათვალიერებდა:

— შევიცვალე? — ჰკითხა მან.

ჟაკმა ორჭოფულად გააქნია თავი. ჰო, ანტუანი შეცვლილი ეჩვენა. ძალიან შეცვლილი. მაგრამ როგორ? იქნებ, ეს შთაბეჭდილება უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ჟაკს გადავიწყებოდა უფროსი ძმის თვისებები, რასაც ახლა სათითაოდ იხსენებდა. დროდადრო ანტუანის რომელიმე ჩვევა — მხრების აწურვა, თვალების მოჭუტვა, ლაპარაკისას ხელის გაშლა ისე აოცებდა, თითქოს ოდესღაც ძალიან ახლობელ, მაგრამ შემდეგ მეხსიერებიდან სრულიად ამოვარდნილ იერსახეს წააწყდაო. ამას გარდა, მისი სხვა თავისებურებებიც აღელვებდა ჟაკს, თუმცა ისინი ისეთს არაფერს აგონებდნენ, რაც შესაძლებელი იყო გადავიწყებული ჰქონოდა: საერთო იერი, თავდაჭერა, ბუნებრივი სიმშვიდე, შემრიგებლური ხასიათი, რბილი, უწყინარი გამოხედვა. ყოველივე ეს ახალი იყო მისთვის: იგი შეეცადა კიდეც რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზით გადმოეცა თავისი მოსაზრება. ანტუანს გაეღიმა. იცოდა, რომ ეს თვისებები რაშელისგან დარჩა მემკვიდრეობით. გამრჯვებულმა ვნებამ რამდენიმე თვის მანძილზე ერთგვარი ოპტიმისტური რწმენა, შესაძლებელია, სვებედნიერი მიჯნურის კმაყოფილება აღუბეჭდა სახეზე, რომელიც მანამდე არავითარ სიხარულს არ გამოხატავდა.

მსუყედ ისაუზმეს; თხელი, მსუბუქი, ცივი ლუდი; მყუდრო დარბაზი. ანტუანი გაოცებას ვერ იოკებდა და მხიარულად აქებდა საჭმელებს. თანაც, შეამჩნია, აქ, ამ ადგილებში, მისი უმცროსი ძმა ისე ჯიუტად აღარ დუმდა (და მაინც, როგორც კი ჟაკი ლაპარაკს დააპირებდა, ანტუანს შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ ძმა რაღაც სასოწარკვეთილებით ებმებოდა საუბარში. თავის გაუბედავ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ზოგჯერ, სრულიად უმიზეზოდ, აღელვებით წყვეტდა ერთბაშად; ხოლო ლაპარაკის დროს უფროს ძმას შიგ თვალებში შეჰყურებდა).

— არა, ანტუან! — შეეკამათა რაღაცაზე ძმას. — ტყუილად გგონია ასე.. .არ შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიაში... ბევრი ქვეყანა მინახავს, და გარწმუნებ...

უეცარმა ცნობისმოყვარეობამ, თვალებში რომ ამოიკითხა, სიტყვა შეაწყვეტინა. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ეს თავშეკავება ინანა და ხელახლა განაგრძო:

— მაგალითად, აი ის კაცი, მარტო რომ ზის, მარჯვნივ, და რესტორნის პატრონს ელაპარაკება, შეიძლება ტიპიურად მივიჩნიოთ: საკმაოდ გავრცელებული ტიპია შვეიცარიაში. გარეგნობა. თავდაჭერა... აქცენტი...

— დუდღუნა აქცენტი?

— არა, — შეუსწორა ჟაკმა და წარბები შეიჭმუხნა, — ძლიერი, ოდნავ გაგრძელებული ტონი, რაც დაფიქრების მაჩვენებელია. მაგრამ, როგორც ხედავ, მთავარი მაინც ის გულჩათხრობილი, გარესამყაროსადმი გულგრილი იერია. სწორედ ესაა ნამდვილი შვეიცარიული ნიშანი. ამას გარდა, ამ იერს ატყვია რწმენა, რომ არსაიდან არავითარი საფრთხე... არ ელის...

— ჭკვიანი, მაგრამ საოცრად უსიცოცხლო თვალები აქვს, — დაეთანხმა ანტუანი.

-- ჰოდა, ასეთი ადამიანი ლოზანაში ათასობითაა. დილიდან საღამომდე ისე საქმიანობენ, ზედმეტად არც ფუსფუსებენ და არც ერთ წუთს არ ჰკარგავენ უქმად. გარეშე ხალხთან ურთიერთობა აქვთ, მაგრამ მათ საქმეში არ ერევიან, საკუთარ საზღვრებს არ სცილდებიან. მხოლოდ იმით არიან გართულნი, რაც იმ წუთში ან ცოტა ხნის შემდეგ უნდა გააკეთონ.

ანტუანი უსმენდა, არ აწყვეტინებდა. ასეთი ყურადღება ცოტა არ იყოს, უხერხულობაში აგდებდა ჟაკს, მაგრამ სტიმულსაც აძლევდა, რადგან ფარულ გრძნობას უღვიძებდა, საინტერესო ამბავს ვყვებიო, და ამით უფრო მჭევრმეტყველი ხდებოდა.

— შენ ახლახან თქვი, „უსიცოცხლოო“, — წამოიწყო მან, — ასე ჰგონიათ, მაგრამ ეს ნაჩქარევი დასკვნაა, და მცდარიც. მათ სულ სხვა ტემ-

პერმანენტი აქვთ, ვიდრე... ნავალითად, შენ... შესაძლებელია, უფრო კომპაქტური; სამაგიეროდ, ასეთივე მოქნილნი არიან პრაქტიკულ ცხოვრებაში!.. არა, ზანტიო მათზე არ ითქმის, უმალ „გამძლეები" უფრო არიან. ეს კი ერთი და იგივე არ გახლავთ!

— მე, იცი, რა მაკვირვებს? — თქვა ანტუანმა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. — ამ ჭიანჭველათა ბუდეში შენ რომ ასე კარგად გრძნობ თავს!

— რაა აქ საოცარი? — წამოიძახა ჟაკმა და ცარიელ ფინჯანს ისე ჰკრა ხელი, კინაღამ გადააყირავა. — ყველგან მიცხოვრია: იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიაში.

ანტუანს ანთებული ასანთისათვის თვალი არ მოუშორებია და თავაუღებლივ დაუმატა:

— ინგლისში...

— ინგლისში? არა! ინგლისი რა შუაშია?

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. ძმები ცდილობდნენ გამოეცნოთ ერთმანეთის აზრები. ანტუანს არ აუხედავს. მისი შეკითხვით შეცბუნებულმა ჟაკმა მაინც განაგრძო:

— ...ჰოდა, ასე მგონია, ვერც ერთ ამ ქვეყანაში ვერ მოვიკიდებდი ფეხს. იქ ბუშაობა შეუძლებელია! იქ ადამიანი იწვის! წონასწორობა მხოლოდ აქ აღვიდგინე!..

და იმ წუთში იგი მართლაც წონასწორობააღდგენილ ადამიანს ჰგავდა. იგი გვერდულად, ეტყობა, მისთვის დამახასიათებელ პოზაში იჯდა: თავი ცალ მხარეს დაეხარა, თითქოს ურჩი თმის კულულების სიმძიმე იქით ეწეოდა, მარჯვენა მხარი წინ გაეშვირა, მთელი ტანით მძიმედ ეყრდნობოდა მარჯვენა მკლავს, რომლის გაშლილი ხელი მაგრად ჩაბღაუჭებოდა მუხლს, ხოლო მარცხენა ხელის მტევანი, პირიქით, თავისუფლად, ედო მაგიდაზე და სუფრაზე გაფანტულ პურის ნამცეცებს თითებში ატრიალებდა. ეს იყო ვაჟკაცური ხელი, ნერვული და მრავლისმეტყველი.

საკუთარ ნათქვამს დაეფიქრებინა.

— ხალხი აქ დამაწშვიდებლად მოქმედებს, — მადლიერების გრძნობით თქვა მან. — ცხადია, ეს ცივსისხლიანობა მოჩვენებითია. ვნებები აქაც ისევე ტრიალებს ჰაერში, როგორც სხვაგან. მაგრამ გესმის, რაშია საქმე? ვნებები, რომელთა დათრგუნვა ყოველწამს შეიძლება, დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ... ისინი მეტისმეტად გადამდები არ არიან... — ჟაკი ხელახლა შეჩერდა, ერთბაშად გაწითლდა და ხმადაბლა წაილაპარაკა, — საქმე ისაა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში... იცი...

ანტუანისათვის არ შეუხედავს, მთის კულული სწრაფი მოძრაობით უკან გადაიგდო, პოზა შეიცვალა და გარუმდა.

ადსარკბისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ხომ არ იყო? ანტუანი იცდიდა, არ ინძრეოდა და თანაგრძნობის გამომხატველი გამოხედვით ამზნევებდა ძმას. მაგრამ ჟაკმა ძალდაუტანებლად შეცვალა საუბრის თემა:

— ისევ წვიმს! — თქვა მან და წამოდგა. — არ აჯობებს შინ დავბრუნდეთ?

როცა ძმები რესტორნიდან გამოვიდნენ, ვიდაც კაცი ველოსიპედიდან ჩამოხტა და ჟაკს მიაშურა.

— რომელიმე მათგანი ხომ არ გინახავს? — სალამი არც გახსენებია, ისე ჰკითხა აქლოშინებულმა.

წვიმით გაწუწული წამოსასხამი, ქარი რომ სტაცებდა, მკერდთან ჩაებღუჯა.

— არა, — უპასუხა ჟაკმა, რომელსაც მისი შეკითხვა არ გაჰკვირვებია. მან გვერდით სახლის ღია კარზე მიუთითა:— იქ შევიდეთ, — შესთავაზა და რაკი ანტუანი გვერდზე გადგომას აპირებდა, ჟაკმა მასაც დაუძახა. სამივემ სადარბაზოს შეაფარა თავი, მაგრამ ჟაკს არც უფიქრია ერთმანეთისთვის გაეცნო ანტუანი და ახალმოსული კაცი.

მისმა ნაცნობმა ენერგიულად გადააქნია თავი და მხრებზე გადაიგდო ჩამოფხატული კაპიუშონი. ოცდაათს გადაცილებული კაცი იყო. მიუხედავად უხეში მანერებისა, თვალები მშვიდი, თითქმის ალერსიანი ჰქონდა. სუფთა ჰაერზე აწითლებულ სახეს ძველი ნაიარევი აჩნდა, რომლის ფერმკრთალი ზოლი ნახევრად უფარავდა მარჯვენა თვალს, გარდიგარდმო ჰკვეთდა წარბს და ქუდის ქვეშ იმალებოდა.

— ამიკლეს საყვედურით! — აღელვებით წამოიწყო მან და ანტუანისთვის არც მიუქცევია ყურადღება. — განა ეს დავიმსახურე! — ეტყობოდა, ჟაკის აზრს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა. ჟაკმა მიმტევებლად ჩაიქნია ხელი. — რას მერჩიან? ამბობენ, დაქირავებული ხალხი იყოო. მერე და რა ჩემი ბრალია? ისინი უკვე შორს არიან და მშვენივრადაც იციან, რომ არავინ დააბეზღებთ.

— თინები არ გაუვათ! — ფიქრის შემდეგ განაცხადა ჟაკმა. — ორიდან ერთია...

— სწორედ რომ ასეა! — ერთგვარი ზადლიერებითა და მოულოდნელად თბილი ტონით შეაწყვეტინა ახალმოსულმა. — პრესამ ნაადრევად არ უნდა გვაიძულოს გამოსვლა!

— საბაკინი მაშინვე გაქრება, როგორც კი ხუნს აიღებს! — ჩაილაპარაკა თქვა ჟაკმა. — ასევე ბისონიც! აი ნახავთ!

— ბისონიც? შესაძლებელია!

— კი მაგრამ, ეს რევოლვერები?

— არა, ეს ადვილი ასახსნელია. მის საყვარელს ბაზელში უყიდია აუქციონზე, საჭურვლის მაღაზიის პატრონის გარდაცვალების შემდეგ.

— ყური მიგდეთ, რეიერ! — უთხრა ჟაკმა. — ამ დღეებში, ჩემი ინებით არ იყოთ, ერთხანს ვერაფერს დავწერ. მაგრამ რიჩარდლეისთან შეიარეთ, უთხარით, საბუთები გადმოგცეთ. აუხსენით, რომ ჩემთვის გინდათ. ხოლო ხელის მოწერა თუ დასჭირდა, მაკ-ლაერს დაურეკოს ტელეფონით. კარგი?

რეიერმა არაფერი უპასუხა და უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი.

— ლუტის საქმე როგორაა? — ჰკითხა ჟაკმა და მისი ხელი ერთხანს ხელში ეჭირა.

რეიერმა თავი ჩაქინდრა.

— ვერაფერი მომიხერხებია, — მოკრძალებით გაიცინა მან, შემდეგ თავი ასწია და გაცოფებით გაიმეორა: — ვერაფერი მომიხერხებია, ძალიან მიყვარს!

ჟაკმა ხელი გაუშვა. დაფიქრდა და წაიბუზღუნა:

— იმაზე არც ერთი არ ფიქრობთ, რა ბოლო ექნება ამას?

რეიერმა ამოიოხრა.

— ძალიან მძიმე მშობიარობა ჰქონდა. საბოლოოდ ვეღარასოდეს განოკეთდება, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ვერ გამოჯანსაღდება, რომ მუშაობა შეძლოს.

ჟაკმა შეაწყვეტინა:

— მე კი ასე მითხრა: „გამბედაობა რომ მყოფნიდეს, რადაც კაზუალებას გამოვძებნიდი და ყველაფერს ბოლო მოეღებოდაო".

— ხომ ხედავთ? ჰოდა, მე რა შემიძლია?

— კი მაგრამ, შნებახი?

რეიერმა მუქარის ნიშნად ხელი გაიქნია. თვალები სიძულვილით აუელვარდა.

ჟაკმა მეგობრულად, მაგრამ მტკიცედ, თითქმის მბრძანებლურად ჩამოადო ხელი მკლავზე:

— რეინერ, თქვენ იმაზე სულ არ ფიქრობთ, რა ბოლო ექნება ამ ამბავს! — მკაცრად გაუმეორა მან.

რეიერმა გაჭირხლებით შეიბერტყა მხრები. ჟაკმა ხელი მოაშორა. ცოტა ხნის შემდეგ რეიერმა ხელი ასწია და ერთგვარი საზეიმო ტონით განაცხადა:

— ჩვენ, ისევე, როგორც მათ, ერთი ბოლო გვაქვს! — სიკვდილი! აი, რა შემიძლია გითხრათ! — დაასკვნა მან დაბალ ხმაზე. ჩუმად ჩაიცინა, თითქოს ის, რის თქმასაც აპირებდა, თავისთავად ცხადი ყოფილიყოს. — ასე რომ არ იყოს, ცოცხლები მკვდრებს დაემსგავსებოდნენ, ხოლო მკვდრები — ცოცხლებს.

მან უნაგირზე ჩამოადო ხელი ველოსიპედს და ცალი ხელით ასწია. სახის ნაიარევს იასამნისფერი დაედო. შემდეგ კაპიუშონი თავზე ჩამოიფხატა და ჟაკს ხელი გაუწოდა.

— გმადლობთ. რიჩარდლეისთან მივალ. თქვენ დიდი, ნამდვილი, დიდებული ტიპი ხართ! — იგი კვლავ ნდობით სავსე და ბედნიერი ხმით ლაპარაკობდა. — საკმარისია თქვენ გნახოთ, ბოტი, რომ მთელ სამყაროს... ხალხს, ლიტერატურას, პრესასაც კი ვურიგდები... ნახვამდის!

მათი საუბრიდან ანტუანმა ვერაფერი გაიგო; მაგრამ არც ერთი სიტყვა, არც ერთი მოძრაობა არ გამოპარვია. მაშინვე შეამჩნია, რომ ეს კაცი გაცილებით უფროსი იყო ჟაკზე; მიუხედავად ამისა, ისე გულთბილად და პატივისცემით ექცეოდა, როგორსაც ჩვეულებრივ, ასაკით უფროს, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანებისადმი იჩენენ ხოლმე. ამ საუბრის დროს ჟაკის სასიამოვნო სახემ, მისმა მშვიდმა, დაფიქრებულმა ღიმილმა, საზრიანმა გამოხედვამ, იმ მოულოდნელმა ავტორიტეტმა, რაც მთელ მის პიროვნებაში იგრძნობოდა, განსაკუთრებით გააოცა და ააფორიაქა ანტუანი. მისთვის ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო! რამდენიმე წუთის განმავლობაში მის წინ იდგა ისეთი ჟაკი, რომელსაც იგი არ იცნობდა, რომლის არსებობაზე წარმოდგენა არ ჰქონდა და რომელიც, უეჭველია, ყველასათვის ისეთი იყო, როგორც დღეს, ნამდვილი ჟაკი!

რეიერი ველოსიპედს მოახტა და ისე წავიდა, ანტუანთან გამომშვიდობება არც მოგონებია; წავიდა და უკან ტალახის შხეფები ჩამოიტოვა.

## IX

ძმებმა ისე განაგრძეს გზა, ჟაკს ამ შეხვედრაზე კრინტი არ დაუძრავს. თანაც, ქარი ტანსაცმელს უფრიალებდა ორივეს, განსაკუთრებით კი ანტუანის ქოლგას უქცევდა და ასეთ ვითარებაში საუბარიც ძნელი იყო.

მიუხედავად ამისა, სწორედ ყველაზე შეუფერებელ მომენტში, როცა ისინი რიპონის მოედნის ფართო გაშლილ ცენტრზე აპირებდნენ გადასვლას, სადაც თითქოს ყველა ქარნი ცისანი ერთად მოგროვილან და გაშმაგებულან, ჟაკმა ყურადღება არ მიაქცია კოკისპირულ წვიმას, ერთბაშად შეჩერდა და იკითხა:

— ახლახან, სუფრასთან, ინგლისი რატომ მიხსენე?

ანტუანი მიხვდა, რომ ჟაკი აგრესიულად იყო განწყობილი და შემცბარმა, სცადა სიტყვა ბანზე აეგდო, რაღაცნაირი სიტყვა წაილუღლუღა, მაგრამ ქარში არა ისმოდა რა.

— რა თქვი? — ჩაეკითხა ჟაკი, რომელმაც ვერაფერი გაიგონა, ძმას მიუახლოვდა, გვერდულად გაჰყვა, ქარს ბეჭი მიუშვირა და თან ჩაციებით უცქეროდა თვალებში. ანტუანს სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, ტყუილს ვერ ეტყოდა.

— ჰო.. წითელი... წითელი ვარდების გამო! — მისდაუნებურად მკვახე ტონით წამოისროლა მან. და ხელახლა თვალწინ წარმოუდგა ჯუზეპესა და ანეტას სისხლამღვრელი ვნება, მათი დაცემა ბალახზე, ხილვათა მთელი წყება, რომელსაც უკვე შეეგუებოდა, მაგრამ მაინც მძიმედ აწვა გულზე. უკმაყოფილომ, ანერვიულებულმა, ქარიშხალთან ამ გაუთავებელი შებმით გაცოფებულმა შეიკურთხა და ქოლგა დაკეცა.

ჟაკი თავზარდაცემულივით შედგა: ეტყობა, ასეთ პასუხს არ მოელოდა. შემდეგ ტუჩზე იკბინა და უსიტყვოდ გზა განაგრძო. (მას თავისთავისათვის ვერ ეპატიებინა მაშინდელი აუხსნელი, წამიერი სისუსტე, ბევრჯერ ინანა, რომ სწორედ მაშინ, როცა სურდა შინაურებს მკვეთრად მიეჩნიათ, მეგობრის ნეოხებით ვარდების თაიგული გაუგზავნა ჟიზს. ეს სამარცხვინო ამანათი ხომ აშკარად იუწყებოდა: „ცოცხალი ვარ და შენზე ვფიქრობო?!“ აქამდე ეგონა, მის წინდაუხედავ საქციელს საიდუმლოდ შეუნახავდნენ. ჟიზის ამ მოულოდნელმა და გაუგებარმა მოურიდებლობამ კი გააოგნა). ჟაკმა თავისი გაბრაზება ვეღარ დაფარა.

— შეცდი, შენს მოწოდებას რომ უღალატე! — დამცინავი ღიმილით უთხრა ძმას. — პოლიციელად ხარ დაბადებული!

მისი ტონით გაანჩხლებულმა ანტუანმა შეუღრინა:

— იცი, რას გეტყვი, ძმობილო? როცა პირადი ცხოვრების დამალვა სურთ, ჟურნალში საჯაროდ მის გამომზეურებას არ კისრულობენ!

შეურაცხყოფილმა ჟაკმა მაშინვე მიახალა:

— აჰა! იქნებ, ყვავილების გაგზავნის ამბავიც ჩემი ნოველის წყალობით გაიგე?

ანტუანმა საბოლოოდ დაკარგა წონასწორობა.

— არა! — ნაძალადევი სიმშვიდით მიუგო მან, მაგრამ თითოეულ სიტყვას გესლიანად, მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამდა, — მაგრამ შენმა ნოველამ საშუალება მომცა ამეხსნა ამ სიმბოლიური ამანათის მნიშვნელობა.

როგორც კი ეს მწარე ისარი ესროლა, მიუხედავად მძლავრი ქარიშხლისა, ნაბიჯს აუჩქარა.

იმწამსვე აშკარად იგრძნო, რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, და სუნთქვა შეეკრა. რამდენიმე ზედმეტი სიტყვით ყველაფერი გააფუჭა: ჟაკი საბოლოოდ დაუსხლტებოდა ხელიდან... ასეთი სისულელე რამ ჩაადენინა, ამ წამიერ გაბრაზებას რად აჰყვა? ნუთუ ჟიზის გულისთვის? ახლა რაღა ჰქნას? აუხსნას, ბოდიში მოიხადოს? იქნებ, ჯერ კიდევ არაა გვიან? ოჰ, იგი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდაც ეს შეცდომა გამოასწოროს!

ის იყო ძმისკენ უნდა მობრუნებულიყო, და რაც შეიძლება ალერსიანად ეღიარებინა თავისი დანაშაული, რომ სწორედ ამ დროს ჟაკმა მკლავში სტაცა ხელი და მთელი სიმძიმით ჩამოეკიდა. სრულიად მოულოდნელი აღტყინებით ჩაებღაუჭა, ძმური სიყვარულით მოუჭირა ხელები, რითაც არა მარტო ის გესლიანი სიტყვები გააქარწყლა ერთბაშად, რაც ახლახან უთხრეს ერთმანეთს, სამი წლის განშორებით გამოწვეული დუმილიც გაალხო. ანტუანს ზედ ყურთან მოესმა ჟაკის აკანკალებული ხმა:

— ეს რა გიფიქრია, ანტუან? ნუთუ გეგონა, რომ ჟიზი... რომ მე, მე?.. ნუთუ ეს ამბავი შესაძლებლად მიიჩნიე? გაგიჟებულხარ და ესაა!

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ჟაკს სევდიანი, მაგრამ სუფთა, ბავშვური გამოხედვა ჰქონდა, ხოლო სახეზე აღბეჭდოდა აღშფოთება, ტანჯვა და ხელყოფილი კდემამოსილება. ანტუანს თითქოს სინათლის მაცოცხლებელი ტალღა მოეფინა. სახეგაბრწყინებული, ბედნიერი, მაგრად იკრავდა უმცროსი ძმის მკლავს მკერდთან. ნუთუ მართლა შეეპარა ეჭვი ამ ორი ბავშვის სისპეტაკეში? ეს ახლა თვითონაც არ იცოდა. იგი ღრმა მღელვარებით ფიქრობდა ჟიზზე. უეცრად ისე ლაღად, თავისუფლად, უჩვეულოდ ბედნიერად ჩათვალა თავი! როგორც იქნა, ხელახლა იპოვა თავისი ძმა!

ჟაკი დუმდა. მრავალმა მძიმე მოგონებამ გაუელვა თვალწინ: გაიხსენა საღამო მეზონ-ლაფიტში, როცა მიხვდა, ჟიზს ვუყვარვარო, და თვითონაც გადაულახავი ფიზიკური მიმზიდველობა იგრძნო მისდამი; გაიხსენა მათი აღელვებული და ხანმოკლე კოცნა ჭადრებქვეშ ღამით; შემდეგ ჟიზის რომანტიკული ჟესტი — ვარდების დაფურცვლა სწორედ იმ ადგილას, სადაც სიყვარულის ეს უბიწო აღსარება წამოცდათ.

ანტუანიც დუმდა. გულით სურდა დაერღვია ეს სიჩუმე, მაგრამ სიმორცხვის გამო დამუნჯებულიყო. სამაგიეროდ, ძმის ხელი ისე მიეხუტებინა მკერდთან, თითქოს ეუბნებოდა: „მართალი ხარ, გავიგე... მე შენი მჯერა... ისეთი ბედნიერი ვარ!" ჟაკიც უჭერდა ხელს. ახლა სიტყვებზე უკეთ ესმოდათ ერთმანეთის.

წვიმაში მიაბიჯებდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ, ამ ნაზ, ხანგრძლივ მოხვევას ორივე აღელვებინა; მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე გაშორებას ვერ ბედავდა. ბოლოს, რაკი კედლის გასწვრივ მიდიოდნენ, სადაც ქარის ქროლვა ისე ძლიერად აღარ იგრძნობოდა, ანტუანმა ქოლგა გაშალა და ახლა, ერთ საფარს ამოფარებულთა ამ სიახლოვეს თითქოს გამართლებაც ჰქონდა.

პანსიონთან ისე მივიდნენ, არც ერთს ხმა არ ამოუღია. მაგრამ სახლის წინ ანტუანი შეჩერდა. მკლავი გაითავისუფლა და სრულიად ბუნებრივად უთხრა:

— ყური მიგდე, საღამომდე რაიმე საქმე გექნება მოსაგვარებელი. გინდა, დაგტოვო? წავალ, ქალაქს დავათვალიერებ...

— ასეთ ამინდში? — ღიმილით მიუგო ჟაკმა, თუმცა ანტუანმა ყოყმანი მაინც შეამჩნია (სინამდვილეში, მთელი დღით პირისპირ დარჩენისა ორივეს ეშინოდა). — არა, — განაგრძო ჟაკმა. — მე მხოლოდ რამდენიმე წერილი მაქვს დასაწერი, ეს კი ოციოდე წუთს წამართმევს. შემდეგ, შესაძლებელია, ერთ ადგილას მომიხდეს შევლა, ხუთი საათისათვის. — ამის გახსენებამ წამით თითქოს დაუნაღვლიანა სახე, მიუხედავად ამისა, მალე აღიდგინა წონასწორობა, — ჯერჯერობით კი თავისუფალი ვარ. ავიდეთ!

სანამ ძმები სასაუზმოდ იყვნენ, ოთახი დაელაგებინათ. შეშით გამოჭედილ ღუმელში ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა. ძმები ამხანაგურად მიეშველნენ ერთმანეთს და გაწუწული პალტოები ცეცხლის წინ გაფინეს.

ერთ-ერთი ფანჯარა ღია დახვდათ. ანტუანი მიუახლოვდა. ტბისკენ დაქანებულ სახურავთა შორის დიდებული კოშკი აღმართულიყო, რომელსაც თავს გვირგვინად სამრეკლო ედგა; მისი მონაცრისფერო-მომწვანო მაღალი წვეტი წვიმის ქვეშ ლაპლაპებდა. ჟაკმა მასზე მიუთითა და თქვა:

— სენ-ფრანსუა! შეგიძლია, აქედან დაინახო რომელი საათია?

სამრეკლოს ერთი მხრიდან საათის მოწითალო-ოქროსფრად შეღებილი ციფერბლატი მოჩანდა.

— სამის თხუთმეტია.

— ბედნიერი ხარ! მე კი ერთობ დამიქვეითდა მხედველობა. მაგრამ შაკიკის გამო ვერც სათვალეს ვეგუები.

— შაკიკი გაწუხებს? — წამოიძახა ანტუანმა, რომელიც ფანჯარას ხურავდა. იგი სწრაფად შემობრუნდა, მისმა შეკითხვამ და სახის გამომეტყველებამ ჟაკს ღიმილი მოჰგვარა.

— დიახ, ბატონო მკურნალო, საშინელი თავის ტკივილები მქონდა, თანაც სულ ახლახან.

— მაინც რა სახის ტკივილები გაქვს?

— აი... აქ მტკიოდა.

— მუდამ მარცხენა მხარეს?

— არა...

— თავბრუხვევა გაქვს? მხედველობის აღრევა ხომ არ გქონია?

— დამშვიდდი! — მიუგო ჟაკმა, რომელსაც ეს დაკითხვა უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა, — ახლა გაცილებით უკეთ ვარ.

— მოიცა, მოიცა!.. — შეაჩერა ანტუანმა, რომელიც ხუმრობის გუნებაზე აღარ იყო. — სერიოზულად უნდა გაესინჯო ექიმს, კუჭ-ნაწლავის ანალიზი უნდა გაიკეთო...

რა თქმა უნდა, ამ გამოკვლევების ჩატარებას იმ წუთში არ აპირებდა, მაგრამ მისდაუნებურად მაინც გაემართა ჟაკისკენ, რომელმაც ინსტინქტურად დაიხია უკან. იგი გაურბოდა ზრუნვას; ყურადღების უმნიშვნელო გამოვლინებასაც კი თავისი დამოუკიდებლობის ხელყოფად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, თითქმის მაშინვე გონს მოვიდა და ძმის მზრუნველობა კიდეც ესიამოვნა, იტყოდით, თბილმა ტალღამ ერთბაშად გადაუარა დიდი ხნის მანძილზე გახევებული სულიო.

— წინათ მსგავსი რამ არასოდეს გქონია, — განაგრძობდა ანტუანი, — ახლა რამ გაგიჩინა?

ჟაკი თავის საქციელს უკვე ნანობდა და შეეცადა პასუხად რაიმე განმარტება მიეცა, მაგრამ სიმართლეს რომ ვერ ეტყოდა?

— ერთ-ერთი ავადმყოფობის შედეგად დამრჩა... ერთბაშად... მგონი, გრიპი მჭირდა... არ ვიცი... იქნებ, ჭაობის ციების ბრალია... თითქმის მთელი თვე ვიწექი საავადმყოფოში.

— საავადმყოფოში? სად?

— გაბესში...

— გაბესში? ტუნისში?

— ჰო. მგონი, კიდეც ვბოდავდი. ჰოდა, მერე საშინელი თავის ტკივილები დამრჩენოდა.

ანტუანს არაფერი უპასუხნია. ცხადია, ამაზე ფიქრობდა: „გქონდეს პარიზში კომფორტაბელური ბინა, იყო ექიმის ძმა და საფრთხეში ჩაიგდო თავი, აფრიკის რომელიღაც საავადმყოფოში უპატრონოდ ჩაკვდე?!

— იცი, რამ გადამარჩინა? — განაგრძო ჟაკმა, რომელსაც უნდოდა საუბრის თემა გამოეცვალა, — შიშმა! საშინლად მეშინოდა იქ, იმ გაჯარვარებულ თონეში არ მოვმკვდარიყავი. იტალიაზე ისე ვოცნებობდი, როგორც ჯემის კატასტროფას გადარჩენილი ადამიანი ტივზე რომ მოხვდება და მყარ მიწასა და მტკნარი ჭის წყალზე ოცნებობს... ერთადერთი აკვიატებული ფიქრი არ მშორდებოდა: ცოცხალი თუ მკვდარი გემზე მოვხვედრილიყავი და ნეაპოლში ჩავსულიყავი.

— ნეაპოლში.. — ანტუანს მოაგონდა ლუნაჟორის ვილა, სიბილა, ჯუზეპეს გასეირნება ნავით. გაბედა და ჰკითხა:

— რატომ მაინცდამაინც ნეაპოლში?

ჟაკი გაწითლდა. წამით თითქოს თავისთავს ებრძვისო, რაღაც საიდუმლოების გამჟღავნებას ერიდებოდა; შემდეგ ლურჯი თვალები ერთ წერტილს მიაშტერა.

ანტუანმა მაშინვე დაარღვია სიჩუმე:

— ჩემი აზრით, შენ დასვენება გჭირდებოდა, ოღონდ ჯანსაღ ჰაერზე...

— ჯერ ერთი, — განაგრძო ჟაკმა, რომელიც ძმას არ უსმენდა, — ნეაპოლის საკონსულოს ერთ თანამშრომელთან რეკომენდაცია მქონდა. სამხედრო ვალის გაგრძელება უცხოეთში არც ისე ძნელი საქმეა. მე კი მაინც მერჩია კანონიერად შემესრულებინა ყველაფერი, — მხრები აიჩეჩა, — თუმცა საფრანგეთში დაბრუნებასა და ყაზარმებში გამომწყვდევას დეზერტირობა მირჩევნია.

ანტუანს წარბიც არ შეუხრია, და ერთბაშად შეცვალა საუბრის თემა:

— კი, მაგრამ... სამგზავრო... ფული გქონდა?

— რა შეკითხვაა! შენს თავს არ ღალატობ! — ჟაკმა ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, — უფულოდ დიდხანს მაინც არ დავრჩენილვარ, ლუკმაპურის ფულზე გეუბნები. პირველ ხანებში, რასაკვირველია, რაც მომხვდებოდა, იმას ვაკეთებდი... — იგი გაწითლდა და ძმას თვალი აარიდა, — ოჰ, ჩასვლის პირველ ხანებში მხოლოდ... ბოლოს და ბოლოს, ასეთ მდგომარეობას სწრაფად აღწევს თავს ადამიანი.

— მაინც როგორ? რანაირად?

— აი თუგინდ... სკოლაში ფრანგული ენის გაკვეთილებით... გამომცემლობებში დამ-დამობით, კორექტურის სწორებით... ხშირად ისიც მშველოდა, რომ იტალიურად ისევე თავისუფლად ვწერ, როგორც ფრანგულად... მალე

სტატიებიც მივაწოდე; ერთ-ერთ ყოველკვირეულ ჟურნალში პრესის მიმომხილველი ვიყავი... შემდეგ ქრონიკას ვხელმძღვანელობდი... და რა ვიცი... მერე კი, როგორც შევძელი, რეპორტიორობა ვიკისრე.—თვალები აუციმციმდა, — ოჰ, ჯანმრთელობა რომ ხელს მიწყობდეს, ახლაც არ ვიტყოდი ამაზე უარს!.. რა ცხოვრებაა! მახსოვს, ვიტერბში * გამგზავნეს... კამორის * იმ საქვეყნოდ ცნობილ პროცესზე წასვლას ვერავინ ბედავდა... გახსოვს, ეს პროცესი? 1911 წლის მარტში... რა ავანტიურა იყო!.. იქ ნეაპოლელებთან ვცხოვრობდი. ნამდვილი ბუნაგი იყო. ღამით, 13 მარტს, ყველანი გაიპარნენ: როცა პოლიცია მოვიდა, მეძინა და მარტო ვიყავი; იძულებული გავხდი...

მიუხედავად იმისა, რომ ანტუანი დაძაბული უსმენდა ან, იქნებ, სწორედ ამიტომაც, ჟაკმა ლაპარაკი შეწყვიტა: სიტყვებით ვერ გადმოეცა ის თავბრუდამხვევი ცხოვრება, რასაც მთელი თვეების განმავლობაში ეწეოდა. იქ. მართალია, გრძნობდა, ძმა მოუთმენლად ელოდა თხრობის გაგრძელებას, მაგრამ ცთუნებას არ აჰყვა და ესღა თქვა:

— რა დიდი ხნის ამბავია!.. თავი დავანებოთ... არა ღირს ამის გახსენება!

და ამ მოგონებებისათვის თვითონვე რომ დაეღწია თავი, იძულებული გახდა საუბრის თემა შეეცვალა და თანაც, უფრო მშვიდად ელაპარაკა:

— შენ მე... თავის ტკივილებზე მელაპარაკებოდი... ჰოდა, იცი? იტალიის გაზაფხულს ვერასოდეს ვიტანდი... როგორც კი შევძელი, როგორც კი გავთავისუფლდი... — წარბი შეიკრა, ეტყობოდა, აქაც რაღაც მძიმე მოგონებას წააწყდა — როგორც კი იმ ამბებს თავი დავაღწიე... — უხეშად ჩაიქნია ხელი, — ჩრდილოეთისკენ გავწიე.

— ჩრდილოეთ იტალიისკენ? — ჰკითხა ანტუანმა.

— არა, — წამოიძახა ჟაკმა და შეკრთა. — ვენაში, პეშტში... შემდეგ საქსონიაში, დრეზდენში, მერე მიუნჰენში. — სახე ერთბაშად მოეღუშა: ანაზდად ძმას კუშტად გადახედა, ეტყობოდა, ყოყმანობდა; ბაგე აუთრთოლდა. ერთხანს ჩუმად იდგა, მერე ტუჩები მოებრიცა და ბაგემოკუმულმა ისე ხმადაბლა წაიდუდუნა, ბოლო სიტყვები ძლივს გაარჩია, — ოჰ, მიუნჰენი... მიუნჰენიც საშინელი ქალაქია.

ანტუანმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— ყოველ შემთხვევაში.. შენ უნდა... რაკი მიზეზი გაურკვეველია, შაკიკი ავადმყოფობა არაა, მაგრამ სიმპტომია...

რაკი ჟაკი ყურს არ უგდებდა, ანტუანიც გაჩუმდა. რამდენჯერმე გამეორდა ეს სცენა: აშკარად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ჟაკს დროდადრო

მოთხოვნილება ჰქონდა, რაღაც თავზარდამცემი საიდუმლოება ამოენთხია გულიდან: ბაგეს აცმაცუნებდა, გეგონებოდათ, საცაა სათქმელს ხმამაღლა იტყვისო; შემდეგ თითქოს სიტყვა ყელში ეჩხირებოდა, ერთბაშად დადუმდებოდა ხოლმე. ანტუანს შიში იპყრობდა და ნაცვლად იმისა, რომ ამ სიძნელის გადალახვაში ძმას დახმარებოდა, თვითონვე ღელავდა, ლაპარაკს თავს არიდებდა და სიტყვას ბანზე უგდებდა.

იმაზე ფიქრობდა, როგორმე აღსარება ეთქმევინებინა, როცა ამ დროს კიბეზე ნაბიჯების ხმა მოისმა. კარს მიუკაკუნეს და თითქმის მაშინვე შეაღეს კიდეც. ანტუანმა ბიჭის აწეწილი თავი დაინახა.

— ოჰ, მაპატიეთ, ხელი შეგიშალეთ?

— შემოდი! — უთხრა ჟაკმა და ბიჭს შეეგება..

ბიჭი კი არა, გაურკვეველი ასაკის კაცუნა იყო. გაპარსული ნიკაპი, სუფთა პირის კანი, გამხმარი კანაფისფერი აწეწილი თმა. იგი კარის ზღურბლზე შეყოყმანდა და შიშით შეხედა ანტუანს. მაგრამ ხშირი, უფერული წამწამები ისე ჩამოშლოდა თვალებზე, მათ ელვარებას მაინც ვერ გაარჩევდა კაცი.

— დუმელთან მიდი, — უთხრა ჟაკმა და გაწუწული საწვიმარი ჩამოართვა.

ეტყობა, არც ახლა აპირებდა სტუმარი ძმისათვის გაეცნო. იგი ძალდაუტანებლად იღიმებოდა და ანტუანის იქ ყოფნას არაფრად აგდებდა.

— მინდოდა თქვენთვის მეცნობებია, რომ მიჰერგი ჩამოვიდა და წერილი ჩამოიტანა, — უთხრა ახალმოსულმა. იგი სწრაფად, სისინით ლაპარაკობდა, ოღონდ ხმადაბლა, თითქმის დამფრთხალი ტონით.

— რა წერილი?

— ოჰ... ვლადიმერ კნიაბროვსკის წერილი.

— კნიაბროვსკის წერილი? — წამოიძახა ჟაკმა და სახე გაებადრა. — დაჯექი, დაღლილი ჩანხარ! ლუდს დალევ? ჩაი ხომ არ გინდა?

— არა, გმადლობთ, არაფერი არ მინდა. მიჰერგი წუხელ ჩამოვიდა. პირდაპირ იქიდან მოდის... როგორ მოვიქცე? რას მირჩევთ? ვცადო?

ჟაკმა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— დიახ. ახლა ეს ერთადერთი საშუალებაა. სხვაგვარად ვერაფერს გაიგებთ.

კაცუნა აფუსფუსდა.

— მადლობა ღმერთს! ასეც ვფიქრობდი. იგნასმა იმედი წამართვა, შენავონმაც. მაგრამ თქვენ, თქვენ! მადლობა ღმერთს! — იგი აღფრთოვანებითა და ნდობით შეჰყურებდა ჟაკს.

— ოღონდ, ხომ იცი! — უთხრა ჟაკმა და თითით დაემუქრა.

თანხმობის ნიშნად ალბინოსმა თავი დაუქნია.

— ვიცი: ტკბილად, ტკბილად! — დინჯად წარმოთქვა მან.

ამ ჩია სულში რკინისებური ნებისყოფა იგრძნობოდა.

ჟაკი ათვალიერებდა.

— ავად ხომ არ იყავი, ვანჰედე?

— არა, არა... ცოტა გადავიღალე... — და მან ბოროტი ღიმილით დასძინა: — მათ დუქანში ისე უხერხულად ვგრძნობ თავს!

— პრეცელი ისევ იქაა?

— დიახ.

— კიიეფი? ჩემი სახელით გადაეცი, ბევრს ლაპარაკობ-თქო. კარგი? მიხვდება!

— ჰო, კიიეფს პირდაპირ განვუცხადე: ისე იქცევით, თითქოს თქვენ თვითონ იყოთ არამზადა-მეთქი! როზენგარდის მანიფესტი ისე დახია, არც წაუკითხავს! გათახსირებული ხალხია იქ! გათახსირებული! — გაიმეორა მან ყრუდ, აღშფოთებით, მაგრამ ანგელოზური შემწყნარებლური ღიმილი მაინც დასთამაშებდა პატარა გოგოსავით უმანკო ტუჩებზე.

შემდეგ მკვეთრი, სისინა ხმით ისევ წამოიწყო:

— საფრიო! ტურპეი! პატერსონი! ყველანი! სიუზანიც კი! სრული გახრწნის სუნი უდის მთელ ამ ამბავს!

ჟაკმა თავი გადააქნია:

— ქოზეფა, კიდევ ჰო! მაგრამ სიუზანა — არა! დამიჯერე, ქოზეფა პირწავარდნილი გაიძვერაა. ყველას ერთმანეთთან წაგაჩხუბებთ.

ვანჰედე უსიტყვოდ უკვირდებოდა ჟაკს და თოჯინასებრ თითებს ნელა დააცოცებდა მუხლებზე. წარმოუდგენლად სუსტი და ფერმკრთალი მაჯები ჰქონდა.

— ეს მეც კარგად ვიცი. მაგრამ რას იზამ? ახლა ხომ ვერ გავაგდებთ? განა თქვენ თვითონ ასე არ მოიქცეოდით? ეს ხომ სწორი არ იქნებოდა? ბოლოს და ბოლოს, ისიც ადამიანია და თანაც, არც ისე ზნედაცემულია... ის ხომ თავისი ფეხით მოვიდა ჩვენთან! ჰოდა?.. ტკბილი სიტყვით, იქნებ, ტკბილი სიტყვით... — მან ამოიოხრა. — ჩემი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ შევხვედრივარ ასეთ დაცემულ ქალებს! ყველაფერი გათახსირდა!

მან ხელახლა ამოიოხრა, ანტუანისკენ თვალი გააპარა, შემდეგ წამოდგა, ჟაკს მიუახლოვდა, ერთბაშად აენთო და დიდი აღტყინებით წამოიწყო:

— იცით? ვლადიმერ კნიაბროვსკის წერილი დიდებულადაა დაწერილი...

— ახლა რაღას აპირებს? — ჰკითხა ჟაკმა.

— მკურნალობს. ცოლი იპოვა, დედაც, ბავშვებიც. თავიდან იწყებს ცხოვრებას!

ვანჰედე დუმელის წინ მოჰყვა სიარულს; დროდადრო ნერვულად ისრესდა ხელებს. შემდეგ დაფიქრებით, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო, წამოიძახა:

— ეს კნიაბროვსკი სპეტაკი ადამიანია!

— ძალიან სპეტაკი! — კვერი დაუკრა ჟაკმა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — როდის აპირებს თავისი წიგნის გამოცემას?

— ამის თაობაზე არაფერს ამბობს.

— იცი, რუსკინოვი ირწმუნება, გასაოცარი წიგნიაო.

— სხვაგვარად შეუძლებელიცაა! მთელი წიგნი ციხეშია დაწერილი! — მან ოთახში გაიარ-გამოიარა. — მისი წერილი ჯერ არ წამომიღია თქვენთვის: ოლდას დავუტოვე, რომ წრეში წაიღოს. ამ საღამოს დამიბრუნებენ. — იგი ჟაკს არ უყურებდა და ცთომილი ალივით დაბორიალებდა წინ და უკან, თავი აღმართა და სახეზე ნათელი ღიმილი ეფინა, — ვლადიმერი ამბობს, არასოდეს ისეთი ბუნებრივი არ ვყოფილვარ, როგორც ციხეშიო, მარტო ვიყავი ჩემს მარტოობასთანო, დაუმატა მან ჰარმონიული, თანაც შემპარავი ხმით. — ასე მითხრა, დიდი და ნათელი კამერა მქონდა, სულ მაღლა სართულზე და როცა ტახტზე შევდგებოდი, გისოსიან ფანჯარას შუბლით ვწვდებოდიო. ასე იდგა თურმე მთელი საათების განმავლობაში და ცაზე მოცურავე ღრუბლებს შესცქეროდა. სხვა არაფერი არ მოჩანდაო; არც სახურავი, არც ხის კენწეროები, არაფერი, სრულიად არაფერი. სამაგიეროდ, გაზაფხულზე და ზაფხულში, დღის ბოლოს, მზის სუსტი სხივები ერთი საათის განმავლობაში მის სახესაც სწვდებოდა თურმე. ასე თქვა: ამ საათს მთელი დღე ველოდებოდიო. აი, ნახავთ, თქვენ თვითონ წაიკითხავთ მის წერილს. ერთხელ ბავშვის ტირილი მომესმაო... მეორეჯერ აფეთქების ყრუ ხმაური გაუგონია... — ვანჰედემ თვალი შეავლო ანტუანს, რომელიც ყურადღებით უსმენდა და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. — ხვალ მოგიტანთ მის წერილს! — თქვა ბოლოს კაცუნამ და თავის ადგილას ჩამოჯდა.

— ხვალ არა! — უთხრა ჟაკმა, — ხვალ აქ აღარ ვიქნები.

ვანჰედეს გაოცება არ გამოუხატავს, ოღონდ ხელახლა გადახედა ანტუანს და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წამოდგა.

— მაპატიეთ. ალბათ, ხელი შეგიშალეთ. მინდოდა ახლავე შემეტყობინებინა ვლადიმირის ამბავი.

ჟაკიც წამოდგა.

— ძალიან ბევრს მუშაობ ამ ბოლო ხანს, ვანჰედე; თავს გაუფრთხილდი!

— ოჰ, არა. რას ამბობ!

— ისევ შომბერთან და რითთან ხარ?

— ისევ... — ეშმაკურად გაუღიმა, — მანქანაზე ვაკაკუნებ. დილიდან საღამომდე ვამბობ: „დიახ, ბატონო!" და კვლავ ვაკაკუნებ. რა მოხდა მერე? საღამოს ისევ ადამიანი ვხდები, თავისუფალი კაცი ვარ, შემიძლია მთელი ღამე, მეორე დილამდე ვიფიქრო: „არა, ბატონო!".

ჯუჯა ვანჰედეს ლაპარაკის დროს თავი აეღირა და აწეწილი კანაფისებური ქოჩრის გამო უფრო მაღალი ჩანდა. მან ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ანტუანს მიმართავსო:

— ამ იდეების გულისთვის, ბატონებო, ათი წლის განმავლობაში ვკვდებოდი შიმშილით: ასე რომ, მაგრად ჩამითრია!

შემდეგ ჟაკს მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა და ერთბაშად, წის მელოდიურ, წრიპინა ხმაში თითქოს რაღაც გაიბზარა:

— წასვლას ხომ არ აპირებთ?.. რა საწყენია! მე სიამოვნებით დავდიოდი ხოლმე თქვენთან!

აღელვებულმა ჟაკმა არაფერი უპასუხა, ოღონდ ალერსიანად მოუთათუნა მხარზე ხელი ალბინოსს. ანტუანს ნაიარევი კაცი გაახსენდა. მისმა ძმამ დღეს მეორედ ჩამოართვა ხელი ასე მეგობრულად, გამამხნევებლად, რაც მფარველობასაც გამოხატავდა. ეტყობა, ამ უცნაურ საზოგადოებაში მართლაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა: რჩევას ჰკითხავდნენ, ცდილობდნენ მისი მოწონება დაემსახურებინათ, მისი გაკიცხვისა ეშინოდათ, ასევე აშკარა იყო, რომ გულსაც გადაუშლიდნენ ხოლმე. „ნაწდვილი ტიპოა! — კმაყოფილებით გაიფიქრა ანტუანმა და ანაზდად საშინელი ნაღველი შემოაწვა — „ჟაკი პარიზში არ დარჩება, ეჭვი არ არის, დაბრუნდება შვეიცარიაში". ანტუანი ამაოდ იმეორებდა თავისთვის, წერილებს წივწერთ ერთმანეთს, ხშირად ჩამოვალ მასთან, ის, რაც ამ სამი წლის მანძილზე ხდებოდა, არასოდეს განმეორდებაო..., მაგრამ გული მაინც მწარედ უკვნესდა: „რა სამუშაო აქვს? რა ცხოვრებას ეწევა ამ ხალხთან? რაზე ხარჯავს ენერგიას? ნუთუ ასეთ მომავალზე ვოცნებობდი მისთვის?"

ჟაკმა მკლავზე მოჰკიდა ხელი მეგობარს და კარამდე მიაცილა. გასასვლელთან ვანჰედე მობრუნდა, ანტუანს მოკრძალებით დაუკრა თავი და ჟაკთან ერთად ოთახიდან გავიდა.

ანტუანს უკანასკნელად მოესმა მისი სუსტი, სისინა ხმა:

— ყველაფერი გათახსირდა... ფეხქვეშ გართხმულ ძაღლებს, მონებსღა იტანენ მხოლოდ!

## X

ჟაკი მალე მობრუნდა. ამ სტუმრის ვინაობა ისევე არ გაუმხილა ანტუანს, როგორც იმ მოსასხამიანი ველოსიპედისტისა. ჭიქა წყალი დაისხა და სვენებ-სვენებით შესვა.

ანტუანმა სიგარეტს მოუკიდა, წამოდგა, ასანთის ღერი ღუმელში შეაგდო, ცალი თვალით ფანჯრიდან გადაიხედა და თავის ადგილას დაბრუნდა.

სიჩუმე რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ჟაკი ხელახლა მოჰყვა ბოლთის ცემას.

— რას იზამ? — უეცრად წამოიძახა ჟაკმა, ისე რომ სიარული არ შეუწყვეტია. — როგორმე უნდა გამიგო, ანტუან! როგორ შემეძლო სამი წელი, ჩემი სიცოცხლის სამი წელიწადი იმ სასწავლებლისთვის შემეწირა?!

შეცბუნებულმა ანტუანმა ყურადღებით შეხედა ძმას, თითქოს მზად იყო ყველაფერზე დათანხმებოდა.

— ეს სასწავლებელი ხომ კოლეჯის გაგრძელებას წარმოადგენს. ოღონდ შენიღბულს! — განაგრძო ჟაკმა. — ეს ლექციები, ეს გაკვეთილები, ეს დაუსრულებელი ახსნა-განმარტებები!.. მოწიწება ყველაფრისადმი!.. და რაც მთავარია, წარმოუდგენელი შეზღუდულობა! ყოველნაირ აზრს, მთელი ჯოგი რომ თელავს, ამ უჰაერო ბუნაგში უყრიან თავს ერთად! სტუდენტური დამახინჯებული ლექსიკონის, ჟარგონის მეტი არაფერი იციან: „ბასუ“, „პატ“, „ჯიგ“ და მისთანანი... არა, ამას ვერ ავიტანდი! გაიგე, ანტუან... იმას კი არ ვამბობ... რა თქმა უნდა, მე დიდ პატივს ვცემ მათ... მასწავლებლის პროფესია მხოლოდ პატიოსანმა ადამიანმა უნდა იკისროს, თანაც მთელი რწმენით, მთელი ღირსებით, სულიერი მისწრაფებით, საქმის ერთგულებით (რასაც, სხვათა შორის, არავინ აფასებს), ისინი მართლაც რომ ამაღელვებელნი არიან. დიახ, ასეა, მაგრამ... არა, შენ ვერ გაიგებ, — წაიჩურჩულა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — მარტო იმიტომ კი არა, რომ სამხედრო სამსახურისთვის ამერიდებინა თავი ან ეს სასკოლო ინკუბატორი რომ მეზიზღებოდა, იმიტომ... არა... მაგრამ ასეთი ცხოვრება ნამდვილად სასაცი-

ლოა, ანტუან! — იგი შეჩერდა, ჯიუტად ჩააშტერდა იატაკს და გაიმეორა: — სასაცილოა!

— ჟალიკურთან რომ მიხვედი, — ჰკითხა ანტუანმა, — უკვე გადაწყვეტილი გქონდა, ხომ?.

— სრულიადაც არა! — ჟაკი უძრავად იდგა, წარბები აეზიდა, საკუთარ ფეხებს დაჰყურებდა, და, ეტყობა, ცდილობდა ყოვლად შეულამაზებლად გაეხსენებია წარსული, — ოჰ, ეს ოქტომბრის თვე! მეზონ-ლაფიტიდან ისეთ... ისეთი გასაცოდავებული დავბრუნდი!

ჟაკი ისე მოიხარა მხრებში, იტყოდით, რაღაც სიმძიმე დააწვაო.

— ბევრი შეუსაბამობაა... — წაიბუზღუნა მან.

— ჰო, ოქტომბერი... — წამოიწყო ანტუანმა, რომელსაც რაშელი გაახსენდა.

— ჰოდა, სწავლის დაწყების წინადღით ამ საშიშროების წინაშე აღმოვჩნდი: ინსტიტუტი! და ისეთმა შიშმა ამიტანა... უცნაურია, არა? ახლა კარგად მესმის, რომ ჟალიკურთან მისვლამდე მხოლოდ გადაულახავი შიში მამოძრავებდა, სხვა არაფერი. რა თქმა უნდა, მთელი ამ ხნით ისე გავიტანჯე, რამდენჯერმე ვიფიქრე, სასწავლებელი მიმეტოვებინა და წავსულიყავი... ჰო... მაგრამ ეს მხოლოდ ბუნდოვანი, განუხორციელებელი ოცნება იყო. და აი, ჟალიკურთან მისვლით ყველაფერი გადაწყდა... გიკვირს, ხომ? — ჰკითხა, როცა თავი ასწია, ძმას შეხედა და მისი გაოცებული სახე შეამჩნია: — კეთილი, წაგაკითხებ ჩემს შენიშვნებს, იმ საღამოს, შინ დაბრუნებისას რომ დამიწერია! სწორედ ამას წინათ ვიპოვე!

ჟაკი პირქუში იერით დადიოდა ოთახში. ეტყობა, ამ ვიზიტის გახსენება აქამდე აღელვებდა.

— ამას რომ ვიხსენებ... — თქვა მან და თავი გააქნია, — მაგრამ შენ, შენ რა კავშირი გქონდა მასთან? ერთმანეთს სწერდით? ალბათ, მასთან იყავი, არა? რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

ანტუანმა ყოყმანით ჩააქნია ხელი.

— მართალია! — თქვა ჟაკმა, რომელმაც გადაწყვიტა, ანტუანს უსიამოვნო შთაბეჭდილება დარჩაო, — შენ ვერ მიხვდები, რას წარმოადგენდა იგი ჩვენი თაობის თვალში! — ჟაკი ანტუანს მიუახლოვდა და მის პირდაპირ, დუმელთან სავარძელში ჩაჯდა.

· — ოჰ, ეს ჟალიკური! — წამოიძახა ერთბაშად და გაიღიმა. ხმა ალერსიანი გაუხდა, ცეცხლს განცხრომით მიუშვირა ფეხები. — წლების განმავლობაში, ანტუან, ჩვენ ასე ვამბობდით: „როცა ჟალიკურის მოწაფე გავხდები..." და ამ სიტყვაში „მიმდევარს" ვგულისხმობდით. ხუდამ, როგორც

კი სასწავლებელზე აქვეი გაიჩითებოდა, წინწინვე გავიფიქრებდი: „კი, მაგრამ, ქალიკური ხომ იქაა!“ თუკი ვინმე ჩვენთვის რაიმეს წარმოადგენდა, ეს ქალიკური გახლდათ! გესმის? მისი ლექსები ზეპირად ვიცოდით. ყოველ მის თვისებას ერთმანეთს გადავცემდით, მის სიტყვებს ვიმეორებდით: ამბობდნენ, თურმე კოლეგებს კიდეც შურდათო მისი. უნივერსიტეტი იძულებული გახდა საყოველთაო აღიარება მიენიჭებინა მისთვის, არა მარტო მისი ლექციებით, რომლებიც გრძელ, ლირიკულ იმპროვიზაციებს წარმოადგენდა და თამამი მოსაზრებებით, თენიდან გადახვევებით, აფორიზმებით, უხეში სიტყვებით იყო შედგენილი, არამედ მისი ახირებებითაც, მოხუცი ჯენტლმენის ელეგანტობითაც, მისი მონოკლითაც, ერთი სიტყვით, ყველაფრით, თვით მისი ძლევამოსილი ფეტრის ქუდითაც კი! ეს იყო ენთუზიასტი, მეოცნებე, ორიგინალური, მაგრამ ნიჭიერი, დიდსულოვანი, ღრმა და თანამედროვე გონების ადამიანი, რომელსაც შეეძლო ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მტკივნეულ საკითხებს შეხებოდა. მე მას მივწერე. მისგანაც ხუთი წერილი მივიღე: ვამაყობდი ამ წერილებით, განსაკ მიმაჩნდა! ჩემი აზრით, იმ ხუთი წერილიდან, სამი, არა, ოთხი დღესაც დიდებულად მიმაჩნია!

და აი, გაზაფხულის ერთ დილას, დაახლოებით, ასე, თერთმეტ საათზე, მე და ჩემი მეგობარი ქუჩაში შევხვდით მას. არასოდეს დამავიწყდება ეს შეხვედრა! სუფლოს ქუჩაზე, ფართო, მსუბუქი ნაბიჯებით მიდიოდა. ახლაც მახსოვს მისი „ვიზიტკა“, რომლის კალთებს ქარი აფრიალებდა, მახსოვს მისი ღიაფერის გეტრები, თეთრი თმა, რომელსაც ფართოფარფლიანი ქუდი უფარავდა. წარმოსადეგი ტანი, მონოკლი... კეხიანი ცხვირი, ზომალდის ცხვირს რომ მიუგავდა, ჭაღარა ულვაშები გალურად ჰქონდა შეკრეჭილი... ჩასაკორტნად მომზადებული ბებერი არწივის პროფილი! მონადირეების მიერ მოთვინიერებული მტაცებელი ფრინველი! თან მოხუც ლორდსაც ჰგავდა, დაუვიწყარი რამ იყო!

— ისე აღწერე, თვალწინ წარმოიდგა! — წამოიძახა ანტუანმა.

— სახლის კარამდე მივდიეთ. მონუსხულივით ვიყავით. ათიოდე მალაზია შემოვიარეთ, მის ფოტოსურათს ვეძებდით! — ჟაკმა ღუმელის წინ გაშოტილი ფეხები ერთბაშად შესწია უკან— ოჰ, მერწმუნე, ახლა რომ ვიხსენებ, ნამდვილად მშულს იგი! — შემდეგ წინ გადაიხარა, ხელები ცეცხლს მიუშვირა და ფიქრიანად დაუმატა: — მიუხედავად ამისა, თუკი წასვლის ძალა მეყო, მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდე!

— ჩემი აზრით, მან ეს არ იცის! — შენიშნა ანტუანმა.

ჟაკი ყურს არ უგდებდა. ცეცხლს მიჩერებული, უცნაურად იღიმებოდა და ყრუ ხმით განაგრძობდა:

— გინდა, გიამბო? კეთილი! ეს მოხდა ერთ საღამოს, ნასადილევს. უცებ გადავწყვიტე მასთან მისვლა, მინდოდა ყველაფერი... მეთქვა. თქმა და შესრულება ერთი იყო: ავდექი და წავედი... ცხრა საათზე პანთეონის მოედანზე, მისი კარის წინ ვიდექი და ზარს ვრეკდი; ხომ გახსოვს, სადაც ცხოვრობს? ჩაბნელებული წინოთახი, ბრეტონელი გლეხის გოგო, სასტუმრო დარბაზი... მერე, გაქცეული ქალის კაბის ბოლოს მოვკარი თვალი... სუფრა აელაგებინათ, მაგრამ სამუშაო კალათა დასაკერებელი საცვლებით მაგიდაზე იდგა. საჭმლის, თამბაქოს სუნი ტრიალებდა. მძიმე ჰაერი იყო, ცხელოდა, ამ დროს კარი იღება და ვხედავ: ჟალიკური: არავითარი საერთო სუფლოს ქუჩაზე მიმავალ იმ ბებერ არწივთან. არც წერილების ავტორთან. არც პოეტთან, არც ღრმა გონებასთან, ჟალიკურის არც ერთ იერსახესთან, რომელსაც აქამდე ვიცნობდით. მსგავსი არაფერი! ეს გახლდათ წელში მოხრილი, უმონოკლო ჟალიკური, ქერტლით დაფარული ძველი ქურთუკით, ჩამქრალი ჩიბუხით, ამრეზილი ტუჩებით. დარწმუნებული ვარ, როცა კომბოსტოს ჭამდა, პირს აწკლაპუნებდა და ცხვირი თეფშში ჰქონდა ჩარგული! რა თქმა უნდა, მოახლე რომ არა, არც მიმიღებდა... მაგრამ რაკი უცაბედად თავს წავადექი, რა ექნა, კაბინეტში შემიყვანა.

ძალიან აღელვებული ვიყავი და ერთბაშად მივახალე: „თქვენთან მოვედი, რომ..." და სხვადასხვა... იგი წელში გასწორდა, ნელ-ნელა გამოცოცხლდა: ვხედავდი, ხელახლა როგორ იბადებოდა ბებერი არწივი. თვალში მონოკლი ჩაიდო, სკამი შემომთავაზა: თანდათან მოხუცი ლორდის იერი დაედო. გაოცებული მეკითხება: „რჩევას ითხოვთ?" ამ სიტყვებში იმალება: „მაშასადამე, სხვა მრჩეველი არა გყავთ, ხომ" ასეც იყო: ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. რას იზამ, ანტუან! ჩვენი ბრალი არ იყო: მე თითქმის არასოდეს ავყოლილვარ შენს რჩევას... არც სხვისას... მუდამ ჩემი ჭკუით ვმოქმედებდი, რა ვქნა? ასეთი ვარ. ჟალიკურსაც ასე მოვახსენე: მისმა ყურადღებამ გამამხნევა და ერთბაშად განვუცხადე: „მინდა მწერალი გავხდე, დიდი რომანისტი..." აქედან უნდა დამეწყო. წარბიც არ შეუხრია. მე კი თავი მოვუხსენი გუდას, ენად გავიკრიფე... ერთი სიტყვით, ყველაფერი გადმოვულაგე: მე დიდ ძალას ვგრძნობ, რაღაც შინაგან, სერიოზულ ძალას, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნის, ჩემში არსებობს-მეთქი! მთელი წლების განმავლობაში ჩემი აღზრდა კი ამ ღრმა ძალის დასათრგუნად იყო მიმართული-მეთქი. შევიძულე სწავლა, სასწავლებლები, ყოველგვარი განათლება, კომენტარები, ყბედობა-მეთქი. ეს სიძულვილი ისე-

თივე ძლიერია, როგორც თავდაცვის, თავის დაზოგვის ინსტინქტი-მეთქი! ბოლოს სულ ავიწყვიტე; ასე ვუთხარი: ყველაფერი ეს მძიმედ მაწვება, ბატონო, მახრჩობს, ჩემს ნამდვილ მოწოდებას მაშორებს-მეთქი!

ჟაკი ანტუანს მისჩერებოდა, თვალების გამომეტყველება წამდაუწუმ ეცვლებოდა: ხან მკაცრი და აღგზნებული ჰქონდა, ხან ნაღვლიანი, ნაზი, თითქმის ალერსიანი:

— იცი, ანტუან! ყველაფერი მართალი იყო! — წამოიძახა მან.

— ვიცი, ჩემო ბიჭო, ვიცი!

— ოჰ, არ გეგონოს, სიამაყე მამოძრავებდეს! — განაგრძო ჟაკმა. — ამის მიზეზი არც თავის გამოჩენის სურვილი არ ყოფილა, არც არაფერი ისეთი, რასაც, ჩვეულებრივ, პატივმოყვარეობა ქვია. დამამტკიცებელი საბუთი ჩემი აქ ცხოვრებაა! მიუხედავად ამისა, გეფიცები, ანტუან: აქ მე ნამდვილად ბედნიერი ვიყავი!

რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ, ანტუანმა ჰკითხა:

— მიამბე, რა მოხდა შემდეგ, რა გიპასუხა?

— მოითმინე... როგორც მახსოვს, არაფერი არ უპასუხნია. ჰო, აი რა მოხდა: ჯიბიდან ამოვიღე და გადავეცი ნაწყვეტი ჩემი ნაწარმოებიდან „წყარო"... ერთგვარი პოემაა პროზად, რომლის წერა იმ ხანებში დავიწყე... სისულელეა! — დაუმატა მან და გაწითლდა: „ბოლოს შესძლო და საკუთარ თავთან ისევე დაიხარო, როგორც წყაროსთან,..." და ასე შემდეგ... „გადასწიო ბალახი და გამოაჩინო სისპეტაკის ის თასი, სადაც წყალი სიღრმეებიდან ამოჩქეფს..." აი, აქ შემაწყვეტინა: „ლამაზი სახეა!" ამის თქმაც მოახერხა! ბებერი გომბეშო! მე მის გამოხედვას ვეძებდი. თვალს მარიდებდა. თითზე ბეჭედს ათამაშებდა...

— თვალწინ დამიდგა! — შენიშნა ანტუანმა.

— ...ქადაგებას მოჰყვა: „გათელილი გზა ასე ხელაღებით არ უნდა უარყოთო... როცა ადამიანი დისციპლინას ემორჩილება, ამით მოქნილობას იძენს, ეს კი მარგებელიაო, და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით, ისიც ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც სხვები: ვერაფერი, ვერაფერი ვერ გაიგო! ამ ათასჯერ გადაღეჭილი აზრების მეტი ვერაფერი შემომთავაზა! ჩემ თავზე გავცოფდი, რატომ მივედი, რატომ ველაპარაკე-მეთქი! ერთხანს ამ ტონით მესაუბრა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ერთი საზრუნავიღა აწუხებდა, როგორც ჩემი ბუნება ჩემთვის გაეცნო: მეუბნებოდა: „თქვენ ერთი იმათგანი ხართ, ვინც... თქვენი ასაკის ჭაბუკები ... თქვენ შეიძლება მიგაკუთვნოთ იმათ კატეგორიას... რომლებიც..." ამიტომ მე ყალყზე შევდექი... „კლასიფიკაცია მძულს, კლასიფიკატორებიც მეზიზღებიან! იმ საბაბით, რომ ამა თუ

იმ კატეგორიას უნდა მიგაკუთვნონ, გზღუდავენ; გავიწროებენ და მათი თათებიდან დაპატარავებული, დაპაწაწკალებული ტაკვიდა გამოდიხარ-მეთქი". იგი იღიმებოდა, ალბათ, გადაწყვიტა, ყველაფერი გადაეყლაპა, მოეთმინა! და აი, მაშინ სახეში მივახალე: პროფესორები მეზიზღებიან, ბატონო-ჩემო! ჰოდა, იცოდეთ, სწორედ ამიტომ მოვედი თქვენთან, თქვენ სანახავად-მეთქი! იგი კვლავ იღიმებოდა, ასე გასინჯე, ნასიამოვნები სახეც კი მიიღო. თავაზიანობის გამოსაჩენად, შეკითხვები მომცა. გასაოცარი შეკითხვები! „რა გავაკეთე?" — არაფერი. „რა გინდათ გააკეთოთ?"—ყველაფერი. ამ ბებერმა პედანტმა დაცინვაც კი ვერ მოახერხა, რადგან ახალგაზრდების გაკიცხვისა მუდამ ეშინოდა! მას ხომ ერთი აკვიატებული აზრი ჰქონდა: რას იტყვიან ახალგაზრდები! იმ წუთიდან, როცა მე მის ოთახში შევდგი ფეხი, იგი ერთ რამეზე ფიქრობდა მხოლოდ: წიგნზე, რომელსაც იმ ხანებში წერდა: „ჩემი გამოცდილებანი" (ალბათ, კიდეც გამოვიდა, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში არ წავიკითხავ!). შიშით სული ელეოდა საწყალს, ვაითუ წიგნი ჩამივარდესო. და როგორც კი რომელიმე ახალგაზრდას დაინახავდა, ძრწოდა, მაშინვე იმაზე ფიქრობდა, რა აზრისაა.

— რა საცოდავი ტიპი ყოფილა! — თქვა ანტუანმა.

— რასაკვირველია! ეს ამაღელვებელი ამბავიც იყო! მესმის! მაგრამ იმისთვის სულაც არ მივსულვარ მასთან, რომ მისი ცახცახი მენახა. იმედს მაინც არ ვკარგავდი, ჩემი ჟალიკურის გამოჩენას ველოდი. ერთ-ერთ ჩემი ჟალიკურისა, სულ ერთი იყო, რომლის: პოეტის, ფილოსოფოსის, ადამიანის... ვინც უნდა ყოფილიყო, ოღონდაც ის, რომელიც ჩემს წინ იჯდა, ის არ ყოფილიყო, არ მინდოდა! ბოლოს წამოვდექი. ძალიან კომიკური მომენტი დადგა. მისთვის ჩვეული ყალბი ლაყბობით მიმაცილებდა: „ახალგაზრდებისთვის რჩევის მიცემა ისეთი ძნელია... ჭეშმარიტება არ არსებობს ო მ ნ ი ბ უ ს! * თითოეულმა თავისი ჭეშმარიტება თვითონვე უნდა მონახოს..." და სხვა ამისთანები. ბაგემოკუმული უსიტყვოდ მივდიოდი წინ... წარმოგიდგენია, ალბათ, რა გუნებაზეც ვიქნებოდი! სასტუმრო, სასადილო, წინოთახი ... კარებს სიბნელეში მე თვითონ ვაღებდი, ვეჯახებოდი მის ანტიკვარულ ნივთებს, ის კი უკან მომდევდა, ძლივს ახერხებდა სინათლის ანთებას!

ანტუანი იღიმებოდა. აგონდებოდა ოთახების განლაგება, ინკრუსტირებული ავეჯი, ხალიჩაგადაფარებული სავარძლები, პატარ-პატარა ძვირფასი ნივთები. ამასობაში ჟაკი დაბნეული სახით ჰყვებოდა:

— ჰოდა, მაშინ... მოიცა... აღარც მახსოვს, როგორ მოხდა. იქნებ, ერთბაშად მიხვდა, რატომ გავურბოდი? ზურგს უკან მისი ჩამქრალი ხმა მო-

მესმა: „მეტი რაღა გინდათ ჩემგან? ხომ ხედავთ, უკვე გამოვიფიტე, წყალწაღებული ადამიანიღა ვარ!“ წინოთახში ვიყავით. თავზარდაცემული მოვბრუნდი. რა საცოდავი სახე ჰქონდა! იგი იმეორებდა: „გამოფიტული, წყალწაღებული ადამიანიღა ვარ! და არც არაფერი შემიქმნია!“ აი, მაშინ აღარ დავეთანხმე: დიახ, იმ წუთში გულწრფელი ვიყავი. უკვე აღარც ვბრაზობდი მასზე. მაგრამ იგი ჯიუტად გაიძახოდა: „არაფერი, არაფერი! ეს დანამდვილებით ვიცი!“ და რაკი უხეიროდ ჩავაცივდი, მართალი არა ხართ-მეთქი, კინაღამ გაცოფდა: „რამ დაგაბრმავათ ყველანი? ჩემმა წიგნებმა? ნულია! ვერაფერი, რის შიგ ჩაქსოვაც შემეძლო, ვერ ჩავაქსოვე! მაშ, რამ დაგაბრმავათ? თქვით! ჩემმა წოდებებმა? ჩემმა ლექციებმა? აკადემიამ? მაშ, რაღამ? ამან?“ მან ხელი წაავლო ქურთუკის გადანაკეცს, რომელზედაც საპატიო ლეგიონის ორდენის ბაფთა ებნია და გამწარებით აქნევდა: „ამან? მითხარით, ამან?“.

(საკუთარი თხრობით აღელვებული ჟაკი წამოდგა: იგი გატაცებით იმეორებდა მაშინდელ სცენას. ანტუანსაც მოაგონდა ჟალიკური, რომელიც იმავე ადგილას ენახა, ოღონდ წელგამართული, თავაღებული, ჭაღის შუქით განათებული სახით).

— მერე დამშვიდდა, — განაგრძო ჟაკმა, — ვფიქრობ, შეეშინდა, ვინმეს არ გაეგონა მისი სიტყვები. კარი გამოაღო და საკუჭნაოში შემაგდო, სადაც ფორთოხლისა და მასტიკის სუნი ტრიალებდა. ტუჩები დამცინავად დაბრეცოდა, მაგრამ მონოკლიდან სასტიკი, ჩასისხლიანებული თვალი იმზირებოდა. იგი თაროს დაეყრდნო, სადაც ჭიქები და საკომპოტე ელაგა; ახლაც არ ვიცი, როგორ არ გადმოაყირავა იატაკზე. სამი წელიწადია მისი ხმა, მისი სიტყვები ყურებში მიბჟუის. ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად.. ყრუ ხმით: „ყური მიგდეთ! გინდათ სიმართლე იცოდეთ? ინებეთ. თქვენს ასაკში... შესაძლებელია, ცოტათი უფროსიც ვიყავი... ის-ის იყო სასწავლებელი დავამთავრე... მეც მაღელვებდა რომანისტის ეს მოწოდება. მეც ვგრძნობდი იმ ძალას, რომელსაც ფრთების გასაშლელად თავისუფლება სჭირდებოდა! ინსტინქტურად მეც ვგრძნობდი, რომ მცდარ გზას ვადექი! მაცალეთ! მეც ვიფიქრე, მოდი, ვინმეს რჩევას ვკითხავ-მეთქი. ოღონდ მე რომანისტი მოვძებნე. აბა, თუ გამოიცნობთ, რომელი? არა, თქვენ ვერ გაიგებთ, ვერ წარმოიდგენთ, რა იყო იგი ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, 1880 წელს! მე ვიყავი მასთან, მალაპარაკა, მკვირცხლი თვალებით მიკვირდებოდა და თან წვერზე ისვამდა ხელს. და რაკი მუდამ სადღაც ეჩქარებოდა, ბოლომდე აღარც მომისმინა და წამოდგა. ო, ის, ის არ შეყოყმანე-

ბულა, არა! და ენის ჩლიფინით („ს“-ს ნაცვლად მუდამ „შ“ ბგერას ისროდა) მითხრა: „ჩვენთვიშ მხოლოდ ერთი შკოლა არშებობშ — ჟურნალიშტიკა!“ დიახ, ასე მითხრა: მე მაშინ ოცდასამი წლის ვიყავი. ჰოდა, ისეთივე წავედი მისგან, როგორიც მივედი, ბატონო ჩემო: ისეთივე ბრიყვი! მე დავუბრუნდი ჩემს წიგნებს, მასწავლებლებს, ამხანაგებს, კონკურენციას, მოწინავე ჟურნალებს, ლაქლაქს... შესანიშნავი მომავალია, არა! შესანიშნავი მომავალი!“ ბაც! ჟალიკურმა მხარზე ხელი დამარტყა. არასოდეს არ დამავიწყდება ციკლოპის ეს თვალი, მონოკლს მიღმა რომ უცნაურად ბრწყინავდა. იგი წელში გასწორდა, ღორბლები შემომაყარა და მითხრა: „რა გინდათ ჩემგან, ყმაწვილო? რჩევა? ინებეთ: ფრთხილად იყავით! თავი მიანებეთ წიგნებს, მიჰყევით თქვენს ინსტინქტს! ისწავლეთ რამე, ბატონო ჩემო: თუკი ნიჭის ნატამალი გაქვთ, მხოლოდ შიგნიდან, საკუთარი ძალის მოწოლით გაიზრდებით! იქნებ, თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ დრო? იჩქარეთ! წადით, ცხოვრება დაიწყეთ! სულ ერთია, როგორ, სულ ერთია, სად! თქვენ ოცი წლისა ხართ, ხომ? თვალები, ფეხები გაბიათ, ხომ? დაუჯერეთ ჟალიკურს! მოეწყვეთ რედაქციაში, შეადგინეთ პატარ-პატარა ქრონიკები! გესმით ჩემი? გიჟი არ გეგონოთ. დიახ, ქრონიკები წერეთ! ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაებით. მხოლოდ ეს გამოგჩარხავთ. დილიდან საღამომდე იხეტიალეთ, არ გამოგრჩეთ არც ერთი უბედური შემთხვევა, არც ერთი თვითმკვლელობა, არც ერთი პროცესი, არც ერთი დრამა მაღალ წრეში, არც ერთი ბოროტმოქმედება საეჭვო სახლებში. ფართოდ დააჭყიტეთ თვალები, ნახეთ, რა მოსდევს ცივილიზაციას, სიკეთე თუ ბოროტება, მოულოდნელობა თუ მო... მონაგონი! და, იქნებ, მხოლოდ ამის შემდეგ მოგეცეთ უფლება რაიმე გარკვეული აზრი გამოთქვათ ადამიანებზე, საზოგადოებაზე, საკუთარ თავზე“.

ძმობილო, მე უკვე აღარ ვუყურებდი მას, თითოეულ მის სიტყვას ვყლაპავდი, თავით ფეხებამდე დამუხტული ვიყავი. მაგრამ ყველაფერი ერთბაშად დაიმსხვრა. მან კარი გააღო, თითქმის ძალით გამიგდო წინ ვესტიბიულში და კიბის საქცევთან მიმიყვანა. აქამდე ვერ მივმხვდარვარ, რა მოუვიდა მაშინ. უცებ მოვიდა გონს?.. უკვე ინანა თავისი გაფიცხება?.. იქნებ, შეეშინდა, სხვებს არ უამბოსო?.. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ უკანკალებდა გრძელი ყბა. ბუტბუტებდა. ხმას უდაბლებდა: „წადით, წადით... წადით! დაუბრუნდით თქვენს წიგნებს, ყმაწვილო!“

კარი მიიჯახუნა. არაფრად ჩავაგდე. მეხუთე სართულიდან კისრისტე-

ხით დავეშვი, ქუჩაში გავვარდი და ჭალაში გაშვებული კვიცივით სიბნელეში მოვკურცხლე.

ჟაკს აღელვებისაგან სუნთქვა ეკვროდა. მეორე ჭიქა წყალი დაისხა და ერთბაშად გადაჰკრა. ხელი უკანკალებდა: ჭიქის დადგმა უჭირდა და სურას წაეჯახა. ბროლის წკარუნი დიდხანს ისმოდა სიჩუმეში.

ანტუანიც აღელვებული ჩანდა და ცდილობდა ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა ის გარემოებები, რაც ჟაკის გაპარვას უძღოდა წინ. ბევრი რამ ჯერ კიდევ გაუგებარი იყო მისთვის. ერთი სული ჰქონდა, როგორმე გამოერკვია ჯუზეპეს ორმაგი სიყვარული. მაგრამ ეს თემა... „ბევრი შეუსაბამობაა“, თქვა ჟაკმა და ამოიოხრა. ეს იყო და ეს. მისი ჯიუტი დუმილი საკმაოდ ამტკიცებდა, თუ ამ სენტიმენტალურმა გართულებებმა რაოდენ დიდი როლი შეასრულეს ლტოლვილის გადაწყვეტილებაში. „საინტერესოა, ახლა რა ადგილი უჭირავს მის გულში“, — ფიქრობდა ანტუანი.

იგი ცდილობდა თავი მოეყარა და შეეჯამებინა ეს ფაქტები: მაშასადამე, ოქტომბერში ჟაკი მეზონიდან დაბრუნდა. რა ურთიერთობა ჰქონდა მას იმ მომენტში ჟიზთან ან ჟენისთან? შეეცადა თუ არა გაეწყვიტა კავშირი? ან, იქნებ, ისეთი ვალდებულება იკისრა, რის შესრულებასაც ვერ მოახერხებდა? ანტუანმა ერთბაშად წარმოიდგინა, როგორ ცხოვრობდა მისი ძმა პარიზში: სწავლის რეჟიმით შეუზღუდავს, მარტოდ მარტოს, მეტისმეტად თავისუფალს მოსვენებას არ აძლევდა ერთი აკვიატებული, გადაუწყვეტელი პრობლემა, აუტანელ ეგზალტაციასა და შიშს გრძნობდა ერთთავად. ერთადერთი პერსპექტივა, სტუდენტურ ცხოვრებასთან შეგუება, სასწავლებლის ინტერნატი იყო, რაც წინასწარ ურევდა გულს. ამას დაემატა ჟალიკურთან საუბარი; და აი, უეცრად გამოხსავალი იპოვა. თითქოს შორს, ჰორიზონტზე სხივის ფართო ზოლი შეამჩნიაო: მოშორდეს იქაურობას ხელი აიღოს ამ შეუძლებელზე, წავიდეს სადმე, იცხოვროს! „დიახ, — ფიქრობდა ანტუანი, სწორედ ამით აიხსნება არა მარტო ჟაკის გაპარვა, არამედ ისიც, რომ სამი წლის მანძილზე მან შესძლო ამ სამარისებურ სიჩუმეში ჩაკეტილიყო. ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო! ხოლო ყველაფრის ხელახლა დასაწყებად მას ყველაფერი უნდა დაევიწყნა და ისიც ყველას უნდა მივიწყებოდა!

„მიუხედავად ამისა, — ფიქრობდა იგი, — სწორედ ჰავრში ჩემი წასვლით ისარგებლა, ოცდაოთხი საათიც კი არ დამიცადა, ჩემი ნახვა, ჩემთან ლაპარაკი არ მოისურვა!“ იგი კინაღამ ხელახლა გაბრაზდა ძმაზე, მაგრამ

თავს ძალა დაატანა, გაღიზიანება დათრგუნა, საუბრის აღდგენა სცადა, უნდოდა გაეგო რა მოხდა მერე და ჰკითხა:

— მერე... მეორე დღესვე?..

ჟაკი დუმელთან ჩამომჯდარიყო, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა, მხრებში მოხრილიყო, თავი დაეხარა და სტვენდა.

მან თავი ასწია:

— ჰო, მეორე დღესვე! — შემდეგ თავშეკავებული ტონით დაუმატა: — მაშინვე, მასთან შელაპარაკების შემდეგ...

მასთან შელაპარაკების შემდეგ, სერენიოს სასახლეში ამტყდარი სცენის შემდეგ! ანტუანს ეს ამბავი სულ გადავიწყნოდა.

— მამას ამის შესახებ სიტყვა არ დასცდენია არასოდეს! — თქვა სწრაფად.

ეტყობოდა, ჟაკს გაუკვირდა. მაგრამ თვალი აარიდა, თითქოს ამბობდა: „ჰოდა. მით უარესი... მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს დავუბრუნდე ამ ამბავს!“

„აი, თურმე რატომ არ დაუცადა ჰავრიდან ჩემს ჩამოსვლას!“ — თითქმის სიხარულით გაუელვა თავში ანტუანს.

ჟაკი ისევ აჰყოლოდა ფიქრებს და ისევ სტვენდა. ნერვული ნაოჭი წარბების ხაზს უმრუდებდა. რამდენიმე წამში, მისდაუნებურად, მან ხელახლა განიცადა ეს ტრაგიკული წუთები: მამა-შვილი პირისპირ დგანან სასადილო ოთახში; ბატონმა ტიბომ სიტყვა ჩამოუგდო სასწავლებელში სწავლის განახლებაზე, ჟაკმა უხეშად მიახალა, სასწავლებელს ვტოვებო; ამას მოჰყვა მძაფრი შეურაცხმყოფელი რეპლიკები ორივე მხრიდან; მამა მუშტებს ურტყამდა მაგიდაზე... მოთმინებიდან გამოსული ჟაკი ერთბაშად აიტაცა რაღაც გაუგებარმა სიგიჟემ და ჟენის სახელი გამოწვევასავით წამოცდა; შემდეგ აღარაფერს მოერიდა, მამის მუქარა არაფრად ჩააგდო, თვითონვე დაემუქრა, თავგზა აებნა, მიუტევებელი სიტყვები უთხრა, უკან დასახევი გზა გადაიჭრა, აღშფოთებული, სასოწარკვეთილი გავარდა და დაუყვირა: „მივდივარ, თავი უნდა მოვიკლა!“

მთელი ეს სცენა ისეთი სიცხადით, ისეთი სიზუსტით წარმოიდგინა, რომ გველნაკბენივით წამოხტა ფეხზე. ანტუანმა ძმის შეშლილი თვალები შეამჩნია; მაგრამ ჟაკი თვალის დახამხამებაში დამშვიდდა.

— მეხუთე საათია, დროა წავიდე, თორემ ვეღარ მოვასწრებ... — თქვა მან და ისე სწრაფად ჩაიცვა პალტო, თითქოს სახლიდან გასვლა ეჩქარე-

ბოდა. — შენ აქ დარჩები, კარგი? ხუთი საათისათვის დავბრუნდები. ბარგს ნახევარ საათში ჩავალაგებ. სადგურზე ვისადილებთ. ასე აჯობებს. — მაგიდაზე რამდენიმე საქაღალდე დასდო, — აქ... თუ გაინტერესებს... სტატიები, პატარა ნოველებია... უკეთესი მათ შორის, რაც ამ ბოლო ხანებში დამიწერია!.. — დაუმატა მან. ჟაკი უკვე გადიოდა ოთახიდან. მერე უეცრად ზღურბლთან შედგა, მოუხეშავად შემობრუნდა და უზრუნველად დაუმატა:

— მართლა, შენ ხომ... დანიელის ამბავი არ გითქვამს...

ანტუანს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ჟაკს უნდოდა ეთქვა, „ფონტანენების ამბავიო".

— დანიელის? წარმოიდგინე, ძალიან დავმეგობრდით! შენი წასვლის მერე იმდენი ყურადღება, სითბო გამოიჩინა...

უხერხულობის დასაფარავად ჟაკმა ნაძალადევი გაოცება გამოხატა, და ანტუანმაც ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი გაკვირვება დაიჯერაო.

— გიკვირს, ხომ? — სიცილით ჰკითხა მან. — მართალია, ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მე უკვე შევურიგდი მის შეხედულებას ცხოვრებაზე: ეტყობა, ეს კანონზომიერი უნდა იყოს ისეთი ხელოვანისათვის, როგორიც თვითონაა. იცი, მისმა წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 1911 წელს მის გამოფენას ლუდვიგსონთან დიდი წარმატება ჰქონდა. რომ უნდოდეს ბევრ სურათს გაჰყიდდა; მაგრამ ისე ცოტას ხატავს... ჩვენ არაფრით არ ვგავართ ერთმანეთს, უკეთ, არ ვგავდით! — დააზუსტა ანტუანმა, რომელსაც უხაროდა, შემთხვევა მიეცა თავის თავზეც ელაპარაკა და ჟაკისთვის დაენახვებინა, რომ უმბერტოს პორტრეტი ორიგინალს აღარ შეესაბამებოდა — წინანდელივით თანმიმდევრული აღარა ვარ! ისე აუცილებლად აღარ მიმაჩნია...

— პარიზშია? — უმეხად შეაწყვეტინა ჟაკმა. — იცის, რომ...

ანტუანი იძულებული გახდა წყენა გულში ჩაეკლა.

— არა, სამხედრო სამსახურს იხდის. სერჟანტია, ლიუნევილში *. ათიოდე თვე დარჩა: თოთხმეტი წლის ოქტომბერში გათავისუფლდება. თითქმის წელიწადია არ მინახავს.

ძმა ისე პირქუშად, დაბნეულად უყურებდა, ანტუანი მოწუსხულივით გაჩუმდა.

როგორც კი ჟაკმა იგრძნო, აღელვებისგან ხმა აღარ მიკანკალებსო, თქვა:

— ეცადე, დუმელში ცეცხლი არ ჩაგიქრეს, ანტუან.

და გავიდა.

# XI

მარტოდ დარჩენილი ანტუანი მაგიდას მიუახლოვდა და ცნობისმოყვარეობით გაშალა საქაღალდე.

შიგ უწესრიგოდ ეყარა ათასგვარი ქაღალდები. თავდაპირველად გაზეთებიდან ამოჭრილი, აქტუალურ თემაზედ დაწერილი რამდენიმე სტატია. მოხვდა ხელთ. ქვეშ ავტორის გვარი ეწერა: „ჟაკი ფატალისტი“ *. აქვე იყო ბელგიის ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილი რამდენიმე პოემა მთაზე, ჟ. მიულენბერგის ფსევდონიმით. ბოლოს, პატარ-პატარა ნოველათა სერია სათაურით: „გვერდები შავი რვეულიდან“ — ერთგვარი მონახაზები, რაც რეპორტიორის ჩანაწერებს უფრო ჰგავდა; მათ ხელს აწერდა: „ჯეკ ბოტი“. ანტუანმა ზოგიერთი მათგანი კიდეც გადაიკითხა: „ოთხმოც წელს მიღწეულნი“, „ბავშვის თვითმკვლელობა“, „ბრმის ეჭვიანობა“ „სიბრაზე“, ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული და მახვილი შტრიხებით დახატული პერსონაჟები, შთამბეჭდავი იყო თავიანთი რელიეფურობით; ის მერყევი და წყვეტილი სტილი როგორითაც „ლა სორელინა“ იყო დაწერილი, ამჯერად ყოველგვარი პათეტიკურობისაგან დაეწმინდა, შენიშვნებისთვის ჭეშმარიტი სახე მიეცა, რითაც მკითხველს ინტერესს უძლიერებდა.

მიუხედავად ამ საინტერესო ფურცლებისა, ანტუანმა ვერასგზით ვერ დაუდო გული კითხვას. დილიდანვე ათასგვარი მოულოდნელობა დაატყდა თავს, და როგორც კი მარტო დარჩა, მთელი ფიქრები წინადღით მიტოვებული ავადმყოფის ოთახისკენ გაექცა, სადაც, ალბათ, უკვე დამდგარიყო საშინელი წუთები. შეცდომა ხომ არ დაუშვა, აქ რომ წამოვიდა? არა, რადგან მას ჟაკი მიჰყავდა თან...

ჩუმად, მაგრამ მტკიცედ დააკაკუნეს კარზე.

ანტუანი ფიქრებიდან გამოერკვა:

— შემოდით! — თქვა მან.

გაუკვირდა, როცა კიბის ჩაბნელებულ ფონზე ქალის სილუეტი გამოიხატა. თითქოს იცნო, ის ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო, დილით რომ ნახა, საუზმეზე. მან შეშით სავსე კალათი შემოიტანა. ანტუანი თავაზიანად მიეშველა კალათის დაცლაში.

— ჩემი ძმა ეს-ესაა გავიდა! — თქვა მან.

ქალმა თავი დაუქნია, თითქოს ეუბნებოდა: ვიცი, ან, იქნებ: სწორედ ამიტომაც მოვედით. იგი ცნობისმოყვარეობას არ მალავდა და ანტუანს ათვალიერებდა, მაგრამ მის საქციელს არავითარი ორაზროვნება არ ეტყო-

ბოდა, რადგან ეს სითამამე წინასწარ მოფიქრებული და სერიოზული მიზეზებით ჩანდა გამოწვეული. ანტუანს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქალი ნატირალევი იყო. უცებ თვალები აახამხამა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, საყვედურით აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— მიგყავთ?

— დიახ... მამა მძიმედაა ავად.

ქალმა თითქოს ვერ გაიგონა.

— რატომ? — გაკაპასებით წამოიძახა მან და ფეხები დააბაკუნა.

ანტუანმა გაუმეორა:

— მამაჩემი კვდება.

არც ამ განმარტებამ უშველა. ქალს თვალები ცრემლებით აევსო. ფანჯრისკენ მიბრუნდა, ხელები ჯერ გულზე დაიკრიფა, მერე გადაიგრიხა, ბოლოს უმწეოდ დაუშვა.

— აღარ დაბრუნდება! — ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

ქალი მაღალი ტანისა იყო, ოდნავ შესუქებული, მხარგანიერი, სხარტი მიმოხვრა ჰქონდა. ღია-ფერფლისფერი ორი მძიმე, სწორი ნაწნავი გვირგვინად ედგა ვიწრო შუბლსა და კეფაზე. ამ დიადემის ქვეშ სახის სწორი, მსხვილი ნაკვთები მბრძანებლურ იერს იძენდა, ეს უფრო მეტად საჩინოს ხდიდა ანტიკური პირის მოხაზულობას. მოწითალებული, ტენილი ტუჩები ორ მგრძნობიარე ნაოჭში მომწყვდეულიყო და ნებისყოფაზე მეტყველებდა.

იგი ანტუანისკენ შემობრუნდა.

— შემომფიცეთ. ქრისტეს სახელით შემომფიცეთ, რომ აქ დაბრუნებაში ხელს არ შეუშლით!

— რასაკვირველია, არა! რატომ უნდა შევუშალო? — შემრიგებლური ღიმილით უპასუხა ანტუანმა.

ქალმა მის ღიმილს ყურადღება არ მიაქცია. ცრემლებით აბრიალებული თვალებით მისჩერებოდა ახალგაზრდა კაცს. მჭიდროდ შემოტმასნილი ქსოვილის ქვეშ მკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა. ანტუანის ხარბი მზერა უხერხულობაში არ აგდებდა. მან ხელი უბეში ჩაიყო, დაჭმუჭნული, პატარა ცხვირსახოცი ამოიღო, ჯერ თვალებთან მიიტანა, მერე ხმაურით მოიწმინდა ცხვირი. მისი ხავერდოვანი, ვნებით დანისლული გუგები ხანტად მოძრაობდნენ ქუთუთოებს შორის და მთვლემარე წყლის ზედაპირს წააგავდნენ: დროდადრო ზედ გამოუცნობი ფიქრთა ჭავლი ლივლივებდა, და ასეთ მომენტებში ქალი მაშინვე ხრიდა თვალს ან გვერდზე იბრუნებდა თავს.

— მე თუ ვუხსენებივარ თქვენთან? სოფია?

— არა.

ხშირ წამწამებს შორის ლურჯმა შუქმა იელვა.

— ხომ არ გადასცემთ, რაც გითხარით?..

ანტუანს ისევ გაეღიმა.

— კი მაგრამ, ჯერ ხომ არაფერი გითქვამთ, ქალბატონო?

— ოჰ, როგორ არა! — თქვა თვალმოჭუტულმა და თავი უკან გადაბგდო. ირგვლივ მიმოიხედა, საკეცი სკამი ანტუანისკენ მიაჩოჩა და სწრაფად ჩამოჯდა, თითქოს რამდენიმე წუთიღა დარჩენოდა სალაპარაკოდ.

— ეტყობა, თქვენ რაღაც კავშირი უნდა გქონდეთ თეატრთან? — განაცხადა მან.

უარყოფის ნიშნად ანტუანმა თავი გააქნია.

— როგორ არა. თქვენ ჰგავხართ ერთ პარიზელ მსახიობს, რომლის ფოტოსურათი მე...

იგი ახლა მიბნედილად იღიმებოდა.

— გიყვართ თეატრი? — ჰკითხა ანტუანმა, რომელსაც თავი არ შეუწუხებია ქალის გადარწმუნებით.

— კინო! დრამა! დიახ!

დროდადრო უცნაურად ებრიცებოდა გულგრილი სახის ნაკვთები. ისედაც დიდი პირი ლაპარაკისას კიდევ უფრო უფართოვდებოდა, თეთრ კბილებსა და მარჯნისფერ ნუნებს უჩენდა.

ანტუანი თავშეკავებულად იჯდა.

— ეტყობა, კარგი ჯასი ჩამოიყვანეთ, არა?

ქალი მისკენ დაიხარა:

— ლონდონში უკვე ყოფილხართ? (როცა იგი წინ იხრებოდა და სწრაფად, ყრუ ხმით ლაპარაკობდა, იტყოდით, რაღაც ძალიან ინტიმურს მოითხოვს და კიდეც სთავაზობსო).

— არასოდეს, — უპასუხა ანტუანმა.

— კიდევ ჩამოხვალთ?

— უეჭველად.

ერთბაშად ქალს მკაცრი შუქი ჩაუდგა თვალებში და ანტუანს დააცქერდა; შემდეგ რამდენჯერმე თავი გააქნია და თქვა:

— არა!

წამოდგა, ლუმელთან მივიდა, კარი შეაღო და შეშის შეწყობა დააპირა.

— ოჰ, — წამოიყვირა ანტუანმა, — აქ ისედაც ძალიან ცხელა...

— ნართალია! — თქვა ქალმა და ავარვარებულ ლოყებზე ხელი მიიდო.

მიუხედავად ამისა, ერთი კუნძი მაინც აიღო და ცეცხლში შეაგდო, მერე მეორე, მესამე. — ჯეკს ასე უყვარს! — გამომწვევად თქვა მან.

იგი ჩაჩოქილი იდგა მუხლებზე, ანტუანისკენ ზურგშექცევით, თვალები ცეცხლისთვის მიეპყრო და ყურადღებას არ აქცევდა ალს, რომელიც სახეს უწვავდა. დღე იწურებოდა. ანტუანი თვალებით უალერსებდა ამ მსუქან მხრებს, კეფას, თმას, რომლებსაც ცეცხლის ანარეკლი შარავანდედს ჰფენდა. რას ელოდა ეს ქალი? ცხადია, გრძნობდა, რომ უყურებდნენ. მის დახრილ პროფილზე ანტუანს სუსტი ღიმილიც მოეჩვენა, მაგრამ ანაზდად ტანის მოქნილი მოძრაობით წამოდგა, დუმილის კარს ფეხი ჰკრა, ოთახში გაიარა. მაგიდაზე საშაქრეს თვალი ჰკიდა, ერთ ნატეხ შაქარს ხარბად სტაცა ხელი და შეახრამუნა. მეორე ნატეხი კი შორიდან გაუწოდა ანტუანს.

— არა, გმადლობთ! — სიცილით უთხრა მან.

— ჩათქმული მაქვს! იცოდეთ, უბედურება არ აგცდებათ! — დაუყვირა ქალმა და შაქარი ესროლა. ანტუანმა იგი ჰაერში დაიჭირა.

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. სოფია თითქოს ეკითხებოდა: „ვინ ხართ?“ და თან: „ჩემსა და თქვენს შორის განა მოხდება რამე?“ გამჭვირვალე ქუთუთოების გამო მისი მიბნედილ და ამასთანავე ხარბ გუგებს ოქროსფერი დასდებოდათ და რატომღაც, ზაფხულის ცხელ ქვიშას მოგაგონებდათ წვიმის წინ. მიუხედავად ამისა, ამ თვალებში ნაღველი უფრო იგრძნობოდა, ვიდრე სურვილი, „ერთ-ერთი იმ ქალთაგანია, — გაიფიქრა ანტუანმა, — რომელთაც საკმარისია მიეკარო, რომ... თანაც გიკბენენ... მერე შეგიძულებენ და საშინელი შურისძიებით დაგიწყებენ დევნას...“

თითქოს ფიქრს მიუხვდაო, ქალი მობრუნდა და ფანჯარას მიუახლოვდა. წვიმის გამო ადრე ჩამობნელებულიყო.

დიდი ხნის დუმილის შემდეგ, აღელვებულმა ანტუანმა ჰკითხა:

— რაზე ფიქრობთ?

— ოჰ, მე იშვიათად ვფიქრობ! — გამოტყდა ქალი და არ განძრეულა. ანტუანი ჩააცივდა.

— მაინც, როცა ფიქრობთ, რაზე ფიქრობთ?

— არაფერზე.

ქალს ანტუანის სიცილი შემოესმა, ფანჯარას მოშორდა და ნაზად გაუღიმა. ახლოდან სულ არ ჰქონდა ისეთი გამომეტყველება, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა. მკლავჩამოყრილმა ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ, ვითომ შემთხვევით კართან აღმოჩნდა და დაბნეული სახით გასაღებს წაავლო ხელი.

ანტუანმა იფიქრა, კარს ჩაკეტავსო, და სახეზე სისხლი მოაწვა.

— მშვიდობით! — წაიბუტბუტა ქალმა ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს.

კარი გააღო.

გაკვირვებულმა, ოდნავ იმედგაცრუებულმა ანტუანმა თავი დაუკრა, უნდოდა მისი გამოხედვა დაეჭირა. ოდნავ თვალთმაქცური, მაგრამ ალერსიანი ტონით, რაც მოხმობას უფრო ჰგავდა, მან გამომძახილივით წასჩურჩულა:

— მშვიდობით...

კარი მიიხურა. ქალი ისე გაქრა, ერთხელაც არ მოუხედავს.

ანტუანს კიბის მოაჯირზე აშრიალებული კაბის ხმა შემოესმა. შემდეგ რაღაც რომანსსაც მოჰკრა ყური, ეტყობა, ქალი განზრახ ღიღინებდა, კიბეზე რომ ჩადიოდა.

## XII

ოთახში თანდათან ჩამობნელდა.

ანტუანი ისე გაეტაცა ფიქრებს, წამოდგომისა და შუქის ანთების თავი არ ჰქონდა. ჟაკის წასვლიდან უკვე საათნახევარი გასულიყო. უნებურად ეჭვი აღეძრა და ცდილობდა თავიდან მოეშორებინა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა, ეს ეჭვი თანდათან იპყრობდა, სულს უხუთავდა; და როგორც კი კიბის საფეხურზე ძმის ნაბიჯები მოესმა, ყოველგვარი წუხილი მყისვე გაუქრა.

ჟაკი შემოვიდა, კრინტი არ დაუძრავს, არც ჩაბნელებული ოთახი შეუნიშნავს და იქვე, კარებთან მდგარ სკამზე დაეშვა. ღუმელის შუქზე ძლივს მოჩანდა მისი სახე. ქუდი ჩამოფხატოდა, პალტო მკლავზე გადაეკიდა.

უცებ კვნესა აღმოხდა:

— მარტო დამტოვე, ანტუან! წადი, დამტოვე! წავიც და, ალბათ, აღარც დავბრუნდებოდი... — მაგრამ სანამ ანტუანი ხმის ამოღებას მოასწრებდა, ჟაკმა დაუყვირა:

— გაჩუმდი! გაჩუმდი! ვიცი, არაფერი არ მითხრა! ჰო, მოვდივარ!

შემდეგ წამოდგა და შუქი აანთო.

ანტუანი სახეში ვერ უყურებდა. მოერიდა და ისეთი იერი მიიღო, თითქოს კითხვას განაგრძობდა.

ჟაკი დაქანცული ნაბიჯებით დადიოდა ოთახში. ტანსაცმელი საწოლზე დაყარა, ჩემოდანი გახსნა, საცვლები და რაღაც ნივთები ჩაყარა შიგ. დროდადრო ერთსა და იმავე მელოდიას სტვენდა. ანტუანმა შეხედა: ჟაკმა წერილების შეკვრა ღუმელში შეაგდო, მაგიდაზე გაბნეული ქაღალდები კარადაში ჩაკეტა, ხოლო გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მერე კუთხეში დაჯდა, მოიკრუნჩხა, თავი მხრებში ჩამალა, შუბლზე ჩამოშლილი თმა გაბრაზებით უკან გადაიყარა, ღია ბარათები მუხლზე დაიწყო და ზედ რამდენიმე სტრიქონი დააწერა.

ანტუანს გული ეფლითებოდა. ჟაკს რომ მისთვის ეთქვა, გეხვეწები, უჩემოდ წადიო, უსიტყვოდ ჩაიკრავდა ძმას გულში და იმ წამსვე გაეცლებოდა.

ისევ ჟაკმა დაარღვია სიჩუმე. ფეხსაცმელები გამოიცვალა, ჩემოდანი ჩაკეტა და ძმას მიუახლოვდა.

— იცი, უკვე შვიდი საათია. წასვლის დროა.

ანტუანმა არაფერი უპასუხა, წასასვლელად მოემზადა, შემდეგ ძმას უთხრა:

— თუ გინდა, მოგეხმარები.

— გმადლობ.

ახლა უფრო ჩუმად ლაპარაკობდნენ, ვიდრე დღისით.

— მომეცი შენი ჩემოდანი.

— არა, მძიმე არაა. წინ წადი.

ოთახი თითქმის ფეხაკრეფით გაიარეს. პირველად ანტუანი გავიდა. დაუცადა, სანამ ჟაკი სინათლეს გამოთიშავდა და კარს მიხურავდა.

სადგურზე ნაუცბათევად ისადილეს. ჟაკი ხმას არ იღებდა და საჭმელსაც თითქმის არ დააკარა პირი. ასევე შეწუხებული იყო ანტუანიც, ამიტომ სიჩუმის დასარღვევად თავის მოჩვენება და ნაძალადევი გულგრილობა არც გამოუჩენია.

მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. წასვლის მოლოდინში ძმებმა ბაქანზე გაიარეს. გვირაბიდან მგზავრთა შეუნელებელი ნაკადი ამოდიოდა.

— საცაა ვაგონები გაივსება! — შენიშნა ანტუანმა:

ჟაკს ხმა არ ამოუღია. მაგრამ უეცრად, სრულიად მოულოდნელად გამოუტყდა:

— მე უკვე ორწელიწადნახევარია, რაც ამ მხარეში ვცხოვრობ.

— ლოზანაში?

— არა... შვეიცარიაში, — მან რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და წაიჩურჩულა, — 1911 წლის ჩემი მშვენიერი გაზაფხული...

ერთხელ კიდევ ჩაიარეს მატარებლის გასწვრივ — ჟაკი, ეტყობოდა, ერთსა და იმავე ფიქრს უტრიალებდა, რადგან ისევ წამოიწყო:

— გერმანიაში ისეთი შაკიკი მქონდა, იძულებული გავხდი ხელმომჭირნედ მეცხოვრა, ოღონდაც შვეიცარიაში გავქცეულიყავი და სუფთა ჰაერი მესუნთქა. მაისის ნიწურულს აქ ჩამოვედი, შუა გაზაფხულზე, მთებში, მიულენბერგში, ლიუცერნის კანტონში.

— როგორ? მიულენბერგი...

— ჰო, თითქმის ყველა პოემა მიულენბერგის ფსევდონიმით იქ დავწერე. იმ ხანებში ერთობ ბევრს ვმუშაობდი...

— დიდხანს დარჩი იქ?

— ექვსი თვე. ფერმერებთან ვცხოვრობდი. ორი უშვილო მოხუცი იყო. ექვსი დაუვიწყარი თვე! რა გაზაფხული! რა ზაფხული! ჩასვლის დღეს რა მომხიბვლელი ხედი გადამეშალა ფანჯრიდან! უკიდეგანო, ტალღისებური, უბრალო პეიზაჟი. ნამდვილი კეთილშობილება! დილიდან საღამომდე სუფთა ჰაერზე ვიყავი. ყვავილებითა და ველური, გარეული ფუტკრებით სავსე ჭალა, ფერდობებზე ვეება საძოვრები, ზანზალაკებიანი ძროხებით, ნაკადულებზე გადებული ხის პატარა ხიდებით... დავდიოდი, სიარულისას ვმუშაობდი, მთელი დღეები, ზოგჯერ საღამოობითაც დავდიოდი. ოჰ, იქაური ღამეები... იქაური ღამეები... — ნელა ასწია მკლავი, რკალი შემოხაზა და ისევ დაუშვა.

— მერე შაკიკი?

— ოჰ, როგორც კი იქ დავსახლდი, მაშინვე კარგად ვიგრძენი თავი. მიულენბერგმა მომარჩინა. შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს ისე ლაღად და ისე მშვიდად არ მიგრძვნია თავი! — ჟაკმა თავის მოგონებებს გაუღიმა, — მშვიდი, და თან ფიქრებით, გეგმებით, სისულელეებით სავსე... ვფიქრობ, ყველაფერი, რაც კი ჩემი ცხოვრების მანძილზე შემიძლია დავწერო, იქ ჩაისახა, იმ სუფთა ჰაერზე, იმ ზაფხულში. მახსოვს დღეები, როცა ისეთ ექსტაზში ვიყავი... ოჰ, ეს დღეები... მხოლოდ მაშინ ვიგრძენი ბედნიერებით თავბრუდახვევა!.. ხდებოდა ხოლმე... ახლა კიდეც მიჭირს ამაზე ლაპარაკი... ხდებოდა ხოლმე, რომ უმიზეზოდ ვხტუნავდი, დავრბოდი, მერე პირქვე ჩავემხობოდი ბალახზე... და ვქვითინებდი, ვქვითინებდი, ბედნიერებისგან ვქვითინებდი... შენ გგონია, ვაჭარბებ? ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ... ყური მიგდე: მაგონდება, ზოგჯერ, როცა ასე დიდხანს ვიტირებდი, შორი გზიდან მოვუვლიდი სახლს, მინდოდა თვალები ამომებანა

პატარა წყაროში, რომელიც ერთ მთასთან აღმოვაჩინე... — ჟაკმა თავი ჩაქინდრა, ერთხანს უსიტყვოდ მიაბიჯებდა, შემდეგ თავი არ აუღია ისე განაგრძო: — დიახ, უკვე ორწელიწადნახევარია...

მატარებლის გასვლამდე ჩუმად იყო.

მატარებელი ზუსტად, განრიგის მიხედვით, ისე დაიძრა, სასტვენის მოცემაც არ დასჭირვებია. ჟაკი თვალებგაშტერებული გაჰყურებდა დაცარიელებულ ბაქანს და სინათლეებით დაცხრილულ გარეუბნებს, რომლებიც ელვის სისწრაფით მიჰქროდნენ მის თვალწინ. შემდეგ ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა. და იგრძნო, თვითონაც ამ სიბნელისკენ მიექანებოდა, მაგრამ ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა. ირგვლივ უცხო ხალხი შემოჰხვეოდა. ანტუანს ეძებდა, ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა, რამდენიმე მეტრის დაშორებით, გვერდულად იდგა გასასვლელში, და ისიც ჩაბნელებულ მინდორს გასცქეროდა. ჟაკი გადაულახავმა სურვილმა შეიპყრო, უნდოდა მიახლოვებოდა და აღსარება ეთქვა.

იმდენი იძალა, ხალხი გაარღვია, ძმას მიუახლოვდა და მხარზე სწრაფად დადო ხელი.

ანტუანი მგზავრობითა და ბარგით სავსე გასასვლელში გახირულიყო. ეგონა, ჟაკს რაღაც სათქმელი აქვსო, ტანი ვერ მოაბრუნა, მერე, როგორც იქნა, მოახერხა, სახე სახესთან მიუტანა და აი, საქონლის კაგონივით გატენილ დერეფანში, ვაგონის ხმაურსა და ნჯღრევაში ჟაკმა ანტუანს შიგ ყურში წასჩურჩულა:

— ანტუან... ყური მიგდე, შენ უნდა იცოდე... პირველ ხანებში მე ვეწეოდი... მე ვეწეოდი...

უნდოდა ეყვირა: „მე ვეწეოდი უჩვეულო ცხოვრებას... ისე დავიმცირე თავი... თარჯიმანი... მეგზური... ყოველგვარ ხერხს მივმართავდი... უფრო მეტი... უფრო უარესი... ყოველგვარი ნაძირალები.. ებრაელთა ქუჩა... მეგობრებად მაწანწალები... ძია კრიუგერი, სელადონიო... კაროლინა... ერთხელ დანით, ნავსადგურში, კომბალი ჩამცხეს თავში... ამის შემდეგ საავადმყოფო, თავის ტკივილები... სწორედ ის იყო მიზეზი... ნეაპოლში... გერმანიაში... რუპერტი და პატარა როზა, ეს წყვილი... მიუნხენში, ვილფრიდის გამო, მე მოვხვდი... მე მოვხვდი... წინასწარ პატიმრობაში...“ მაგრამ რაც უფრო მეტი ამაღელვებელი მოგონებები ახსენდებოდა, ამ უჩვეულო წარსულსაც მით უფრო უჩვეულოდ თვლიდა, ჩვეულებრივი სიტყვებით მათი გამოხატვა შეუძლებლად მიაჩნდა. სასოწარკვეთილმა ესღა ჩაიჩურჩულა:

— მე ისეთ უჩვეულო ცხოვრებას ვეწეოდი, ანტუან... უჩვეულოს... გესმის? უჩვეულოს! (და ეს სიტყვა, რომელშიც თავისი წარსულის მთელი

სირცხვილი ჩააქსოვა, ეს მძიმე სიტყვა, რომელსაც სასოწარკვეთილი ხმით იმეორებდა, მასვე აწვალებდა ღალატივით).

ანტუანი მთელი ტანით შეობრუნებულიყო. უხერხულობას გრძნობდა, ხალხის რცხვენოდა, ეშინოდა, ჟაკს ხმა არ აემაღლებინა, რაიმე შეუსაბამო არ დასცდენოდა... მიუხედავად ამისა, სახეზე კეთილგანწყობილება არ სცილდებოდა.

მაგრამ ჟაკი მხარით მიწოლოდა ტიხარს და ხმის ამოღებას აღარც აპირებდა.

მგზავრებმა გასასვლელი გაათავისუფლეს და კუპეებში განაწილდნენ. მალე ანტუანი და ჟაკი საკმაოდ განცალკევებულნი აღმოჩნდნენ და შეეძლოთ ისე ესაუბრათ, ყურს არავინ დაუგდებდა.

ჟაკი, რომელიც აქამდე დუმდა და საუბრის განახლებას არ ჩქარობდა, ერთბაშად ძმისკენ გადაიხარა:

— იცი, ანტუან, ყველაზე საშინელება ისაა, როცა არ იცი, რა არის... ნორმალური... არა, ნორმალური კი არა, ეს იდიოტური სიტყვაა... როგორა ვთქვა? არ იცი, არის თუ არა ჩვენი გრძნობები... ან უკეთ, ინსტინქტები... მაგრამ შენ ექიმი ხარ, შენ ეს იცი... — მან წარბები შეჭმუხნა, თვალები მოჭუტა, ნიკაპი წინ წამოსწია და ყრუ ხმით, ენის ბორძიკით განაგრძო: — მისმინე! ზოგჯერ ისეთ მისწრაფებას განვიცდი... ამა თუ იმ ამბისკენ მისწრაფებას, რაც ჩვენი სულის სიღრმიდან მოდის... ასეა ხომ? და ჩვენ არ ვიცით, განიცდიან თუ არა მსგავს რამეს სხვებიც, თუ ჩვენ ვართ რაღაც... ურჩხულნი! გესმის, რისი თქმა მინდა, ანტუან? შენ ხომ ამდენი ადამიანი გინახავს, ამდენი შემთხვევის მოწმე ყოფილხარ, უეჭველია, იცი, რა წარმოადგენს... ვთქვათ... რა წარმოადგენს საერთო წესს და რა... გამონაკლისს. მაგრამ ჩემთვის, იმათთვის, ვინც არ ვიცით, ეს ამბავი საშინლად შემაშფოთებელია... გესმის? ავიღოთ, მაგალითად: ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკში... ეს შეუცნობადი სურვილები, რომლებიც ტალღასავით გვაწვება, ეს მშფოთვარე აზრები, რაც ისე შემოგვიტევს ხოლმე, თავის დაცვას ვერ ვახერხებთ, და რისაც კიდეც გვრცხვენია, ბიწიერებასავით ვმალავთ... მაგრამ, აი, ერთ დღეს, გავიგებთ, რომ ამაზე უფრო ბუნებრივი, ამაზე მშვენიერი არაფერი ყოფილა... და რომ ყველა, ყველა... ისევე, როგორც ჩვენ... ჩვენს მსგავსად... ჰოდა, არსებობს ბნელით მოცული ისეთი მოვლენები... ინსტინქტები... რომლებიც თავს წამოჰყოფენ, და რაც ჩემს ასაკშიც კი, ანტუან, ჩემს ასაკშიც კი... არ ვიცით, რა არის... შეკითხვებით თავს ვიმტვრევთ...

უეცრად სახე მოებრიცა. ახალმა ფიქრმა გაუელვა: იგრძნო, რომ სწრაფად და მისდაუნებურად უბრუნდებოდა ძველებური სიყვარული ძმისადმი, ამ მარადი მეგობრისადმი. ხოლო ძმის მეოხებით — ყოველგვარი წარსულისადმი! ჯერ კიდევ გუშინ გადაულახავი უფსკრული იყო... საკმარისი გახდა ნახევარი დღე იმისთვის, რომ... ხელი მომუჭა, თავი ჩაღუნა და დადუმდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ბაგემოკუმული, თავჩაქინდრული კუპეში შევარდა და ადგილი დაიკავა.

როცა ამ უეცარი გაქცევით გაოცებული ანტუანი კუპეში შევიდა, ჟაკი გაუნძრევლად იჯდა სიბნელეში. მან აცრემლებული თვალები დახუჭა და თავი მოიმძინარა.

## ნაწილი მეექვსე

## მამის სიკვდილი

### I

შვეიცარიაში წასვლის წინა საღამოს, როცა ანტუანმა მადმუაზელ დე ვეზს დაუბარა, ერთი დღით მივემგზავრებიო, შინაბერამ მაშინ ყური არ ათხოვა მის სიტყვებს. პატარა საწერ მაგიდასთან მიმჯდარიყო და მთელი საათის განმავლობაში წვალობდა, როგორმე შეედგინა განცხადება იმის თაობაზე, რომ სადღაც, მეზონ-ლაფიტსა და პარიზს შორის, ბოსტნეულით დატვირთული კალათი დაჰკარგოდა. ისე იყო გაბრაზებული, რომ სხვა რამეზე ფიქრი არც კი შეეძლო. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ძლივსძლივობით მოახერხა და წერილი დაწერა, საღამოს ტუალეტი მოათავა და ლოცვად დადგა, აი, მხოლოდ მაშინ მოაგონდა ანტუანის ნათქვამი: მომვლელ ქალს უთხარით, ექიმი ტერივიე გაფრთხილებულია და თუ საჭირო გახდება, გამოიძახოსო. მადმუაზელმა არაფრად ჩათვალა ის ამბავი, რომ უკვე გვიანი იყო, და იმდენად უნდოდა პასუხისმგებლობა აეცილებინა თავი-

დან. ლოცვა შეწყვიტა და მონაზონთან მოსალაპარაკებლად ბინის მეორე ბოლოს გაეშურა.

ათი საათი იქნებოდა. ბატონი ტიბოს ოთახში სინათლე ჩაექროთ. ჰაერის გასაწმენდად ცეცხლი დღედაღამ ენთო ბუხარში და მისი ალიდა ანათებდა საძინებელ ოთახს. ეს საშუალება დღითი დღე უფრო საჭირო ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ვერც ცხელი საფენების სუნი, ვერც ეთერის, იოდის თუ კარბოლმჟავის ანაორთქლი, ვერც ტკივილდამაყუჩებელი მალამოს, მენთოლისა და, რაც მთავარია, ვერც დარღვეული სხეულის უსიამოვნო სუნი ვერასგზით ვერ მოეშორებინათ.

იმ წუთში ავადმყოფი არ იტანჯებოდა. თვლემდა, და დროდადრო ხვრინვა ან კვნესა თუ აღმოხდებოდა. მთელი თვეები ისე გადიოდა, რა იყო სიზმარი, ყოველი ცოცხალი არსების ეს დამაშოშმინებელი დასვენება, აღარ იცოდა. დაძინება ახლა მისთვის გრძნობების მიყუჩებას კი აღარ ნიშნავდა, არამედ მოკლე ხნით დროის მსვლელობის თანდათანობით აღნუსხვის შეწყვეტას; ამ ხნის განმავლობაში მისი სხეული ძილღვიძილში ინთქმებოდა, მაგრამ ტვინი წამითაც არ წყვეტდა სახეების შექმნას, უაზრო ფილმების ჩვენებას, სადაც წარსული ცხოვრების ნაწყვეტები უწესრიგოდ მისდევდა ერთმანეთს: ეს სანახაობა ერთი მხრივ, მიმზიდველი იყო, რადგან მოგონებათა მთელი სერია ეშლებოდა თვალწინ, სამაგიეროდ, კოშმარივით დამქანცველიც გახლდათ!

იმ საღამოს ავადმყოფი ამ ძილღვიძილშიც კი გრძნობდა საშინელ ტკივილებს, რაც ჰალუცინაციაში გადადიოდა, ყოველ წამს ძლიერდებოდა, აიძულებდა გაქცეოდა მდევრებს, კოლეჯის შენობაში შევარდნილიყო, დორტუარების შიდა ეზოს, სამლოცველოს გავლით შესვენების ეზოში შესულიყო... და მხოლოდ იქ, წმინდა იოსების ქანდაკების წინ, ტანვარჯიშის დარბაზის შესასვლელთან ჩაკეცილს, თავი ხელებში ჩაერგო: და აი, უცებ სიბნელიდან გამოვარდა რაღაც უსახელო, რამდენიმე დღის განმავლობაში თავს რომ დასტრიალებდა, და ის იყო უნდა გაესრისა, მაგრამ ერთბაშად გამოეღვიძა.

თეჯირს უკან, ოთახის მუდამ ჩაბნელებულ კუთხეს უჩვეულო შუქი ანათებდა, რომელსაც ორი ჩრდილი კარნიზამდე წაეგრძელებინა. ბატონ ტიბოს ჩურჩული შემოესმა. მადმუაზელის ხმა იცნო. ერთხელ, მაშინაც სწორედ ეს დრო იქნებოდა, იგი მის წასაყვანად მოვიდა... ჟაკს კრუნჩხვები დაეწყოთ. ახლაც ხომ არაა ავად რომელიმე ბავშვი?.. ნეტა რომელი საათია?..

მომვლელი ქალის, სელინას ხმამ ბატონი ტიბო სინამდვილეს დაუბრუნა. სიტყვებს გარკვევით ვერ არჩევდა. სუნთქვა შეიკრა და სწორედ ის ყური დაცქვიტა, რომლითაც უკეთ ესმოდა.

რამდენიმე სიტყვა გარკვევით ესმის: „ანტუანმა თქვა, ექიმი გაფრთხილებულიაო... მაშინვე მოვაო“. ჰო, ავად თვითონაა! ექიმი რაღაზე მოიხმეს?

საფრთხობელა ხელახლა დაჰფარფატებდა თავზე... ცუდად ხომ არაა? რა მოხდა? ეძინა? ალბათ, ვერ შეამჩნია, რომ მისი მდგომარეობა გაუარესდა. ექიმს მოუხმეს შუაღამისას? მისი საქმე წასულია! ალბათ, კვდება!

და აი მაშინ, ყველაფერი, რაც კი საჯაროდ განაცხადა თავისი სიკვდილის თაობაზე, თუმცა ეს არც სჯეროდა, მის გონებაში ერთბაშად ამოტივტივდა და მთელი სხეული ოფლში გაეღვარა.

უნდოდა დაეყვირა: „აქ მოდით! მიშველეთ! ანტუან!“ მაგრამ ყელიდან ისეთი სასოწარკვეთილი ბგერები აღმოხდა, სელინამ მაშინვე მიირბინა, კინაღამ თეჯირს წამოედო, და შუქი აანთო.

ეგონა, ტკივილების შეტევა დაეწყოო. სანთლივით გაყვითლებულ მოხუცს სახე ახლა ჭარხალივით გაწითლებოდა. თვალები ფართოდ გაეხილა და გადმოეკარკლა. პირიდან გაურკვეველი ლუღლუღი ისმოდა.

თვითონ ბატონი ტიბო ვერაფერს გრძნობს, რაც მის ირგვლივ ხდება. გონება ულმობელი სიცხადით მუშაობს, აკვიატებული აზრი არ შორდება: რამდენიმე წამი, და მთელი ავადმყოფობის ისტორია ერთბაშად გაიხსენა: ოპერაცია, რამდენიმე თვის შესვენება, რეციდივი: შემდეგ მდგომარეობის თანდათანობითი გაუარესება და ტკივილები, რასაც დამაყუჩებელი საშუალებები აღარ შველის. ყოველი დეტალი ერთმანეთში იხლართება და ბოლოს გარკვეულ მნიშვნელობასაც იძენს. ამჯერად... ამჯერად ეჭვი აღარაა! უეცარი სიცარიელე იქმნება იმ ადგილას, სადაც რამდენიმე წუთის წინ რწმენა სუფევდა. ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია! და ეს სიცარიელე ისე მოულოდნელად ჩნდება, რომ სულიერი წონასწორობა მაშინვე ირღვევა. გონებაც წინანდებურად აღარ უჭრის: დაფიქრების უნარიც აღარ შერჩენია. მომავალი ისე კარგად ასაზრდოებს ადამიანის გონებას, რომ იმ წუთში, როცა მომავლის ყოველი შესაძლებლობა ისპობა, როცა გონების ყოველი ლტოლვა სიკვდილს ეჯახება, დაფიქრება შეუძლებელი ხდება!

ავადმყოფის ხელები საბანს ებღაუჭება. შიში მიაქანებს, ყვირილი უნდა, მაგრამ ხმა არ ემორჩილება. ზვავში მოყოლილ წველს წააგავს: ვეღარაფერს ეჭიდება, ყველაფერი ტორტმანობს, მასთან ერთად უფსკრულში მიექანება... როგორც იქნა, ყელი უთავისუფლდება და გამოსავალს

აძლევს შიშს, რომელიც საშინელ ყვირილში გადადის და იმ წამსვე ისპობა.

ორადმოხრილი ზურგის გამო მადმუაზელი წელში ვერ სწორდება, ამიტომაც ვერ ხვდება, რა ხდება და წკმუტუნებს:

— ღმერთო დიდებულო! რა ხდება? რა მოუვიდა, ჩემო დაო?!

და რაკი მონაზონი პასუხს არ აძლევს, მადმუაზელი გარბის. რა ჰქნას? ვის დაუძახოს? ანტუანი შინ არაა! სასწრაფოდ უნდა უხმოს აბატ ვეკარს!

მოახლეები სამზარეულოში გაკრეფილან. არაფერი გაუგონიათ. შინაბერას პირველივე სიტყვაზე ადრიენამ პირჯვარი გამოისახა, კლოტილდამ შალი მოიხვია, უცბად საფულსა და გასაღებს დასტაცა ხელი და გაიქცა.

## II

აბატი ვეკარი გრენელის ქუჩაზე ცხოვრობდა, საარქიეპისკოპოსოსთან ახლოს, სადაც იმ ხანებში საეპარქიო საქმეებს განაგებდა. იგი ახლაც სავახშმო მაგიდას უჯდა.

კლოტილდას ტაქსმა რამდენიმე წუთში უნივერსიტეტის ქუჩაზე მიიყვანა.

მადმუაზელი წინოთახში მიკრუნჩხულიყო სკამზე და ელოდა. მღვდელმა უცებ ვერც კი იცნო, უჩაჩო, ღამის კოფთაზე ჩამოშვებული, უკან გადავარცხნილი თმით.

— ოჰ, — ამოიკვნესა ქალმა, — ჩქარა მიდით, ბატონო აბატო! თქვენ რომ დაგინახავთ, გული მიეცემა.

აბატი ისე მიესალმა, არ შეჩერებულა და საჩქაროდ შევიდა ავადმყოფის ოთახში.

ბატონ ტიბოს საბანი მოესროლა და საწოლიდან წამოხტომას, სახლიდან გაქცევას ლამობდა, უნდოდა სადმე, ღამის სიბნელეში დამალვოდა საშინელ მუქარას. მეტყველების უნარი დაბრუნებოდა და ახლა ლანძღვით ივლებდა იჭაურობას.

— მკვლელებო! ძაღლებო! ოო, თქვე არამზადებო, გაიძვერებო!..

უცებ თვალი მოჰკრა აბატს, რომელიც მკვეთრად განათებულ, ღია კარის ზღურბლზე გამოჩნდა, ავადმყოფს არ გაჰკვირვებია. მაგრამ წამით ლანძღვა შეწყვიტა და დაიყვირა:

— თქვენ არა!.. ანტუანი მომიყვანეთ!.. სად არის ანტუანი?

აბატმა მაგიდაზე ისროლა ქუდი და სწრაფად მიაშურა. როგორც ყოველთვის, სახის ნაკვთები თითქოს გაშეშებოდა და აღელვებას არც ახლა

ამჟღავნებდა. ოღონდ, ოდნავ ჩეაწეული მკლავები და გაშლილი ხელები იმას მოწმობდნენ. რომ შველა სურდა. იგი საწოლს მიუახლოვდა და უსიტყვოდ, უბრალოდ გადასწერა პირჯვარი ბატონ ტიბოს, რომელიც თვალ-მიშტერებით შესცქეროდა.

შემდეგ, სიჩუმეში ხმამაღლა გაისმა:

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა ეგრეთვე ქვეყანასა ზედა.

ბატონი ტიბო დაშოშმინდა. ხან მღვდელს მიაშტერდებოდა, ხან მონა-ზონს. ბაგე გაპობოდა, სახეც იმ ბავშვივით დალმეჭოდა, რომელიც საცაა ატირდებოდა. თავს აქეთ-იქით აქნევდა და ბოლოს, ბალიშზე მიესვენა. ქვითინი, რომელიც დაცინვას უფრო ჰგავდა. ნელ-ნელა შენელდა, მერე სულ შეწყდა.

აბატი მონაზონს მიუახლოვდა.

— ახლა თუ აწუხებს ტკივილები? — ხმადაბლა იკითხა მან.

— არა. ეს არის ნემსი გავუკეთე. ჩვეულებრივ, შუაღამისას ეწყება ხოლმე.

— კეთილი. მარტო დაგვტოვეთ... ოღონდ ექიმს დაურეკეთ, — დაუმა-ტა მან, თითქოს იმის თქმა სურს, ყოვლისშემძლე არ გეგონოთო!

სელინამ და ადრიენამ უხმოდ გაიხურეს კარი.

ბატონი ტიბო თითქოს თვლემდა. აბატი ვეკარის მოსვლამდე რამდენ-ჯერმე ბურანში ჩაიძირა. მაგრამ გონების ეს უეცარი გამოთიშვა მუდამ ხანმოკლე იყო. მერე ისევ ამოტივტივდებოდა ზედაპირზე. ხელახლა შიში იპყრობდა და ახალი ძალით შფოთავდა.

აბატმა იგრძნო, ეს სიმშვიდე დიდხანს არ გასტანსო, და უნდა ვისარ-გებლოო. სახეზე სისხლი მოაწვა: მას, როგორც მოძღვარს, დაკისრებულ მოვალეობათა შორის, მომაკვდავის დახმარება მუდამ უჭირდა.

საწოლს მიუახლოვდა:

— იტანჯებით, მეგობაროო? საშინელ წამებს განიცდით, ხომ? მარტო ნუღარ დარჩებით საკუთარ თავთან: ღმერთს გული გადაუშალეთ.

ბატონმა ტიბომ თავი მოაბრუნა და ისე ნაღვლიანად შეხედა მოძღვარს, რომ აბატმა თვალები აახამხამა. უცებ ავადმყოფს სიბრაზით. სიძულვილით და ამრეზით აუელვარდა თვალები. ოღონდ. ერთი წამით: რადგან იმავე თვალებში მაშინვე შიშმა დაისადგურა. ამჯერად სევდიანი გამომეტყველება

იმდენად აუტანელი იყო, რომ აბატმა მზერა აარიდა და თავი დახარა. მომაკვდავი კბილს კბილზე აცემინებდა.

— უჰ, უჰ... ოჰ... მეშინია, — ლუღლუღებდა იგი.

აბატი გონს მოვიდა.

— მე აქ თქვენს საშველად მოვედი, — წყნარად წამოიწყო მან, — ჯერ ვილოცოთ... ღმერთი მოვიხმოთ... ერთად ვილოცოთ, მეგობარო...

ბატონმა ტიბომ სიტყვა შეაწყვეტინა.

— კი მაგრამ, შეხედეთ... მე... მე... ვარ... მე... (გამბედაობა არ ეყო სიკვდილი ეხსენებინა და ამით არაფრად ჩაევდო იგი).

შეშლილი თვალები ოთახის ბნელ კუთხეს მიაპყრო. სად ეძიოს შველა? ირგვლივ სიბნელეს დაუსადგურებია. ყვირილი აღმოხდა, რომელმაც ეს სიჩუმე გააპო და თითქმის შვებად მოევლინა აბატს. შემდეგ ავადმყოფმა მთელი ხმით შესძახა:

— ანტუან! ანტუანი სადაა?

აბატმა უწყვეტოდ გაასავსავა ხელები.

— თავი დამანებეთ!.. ანტუან!.

მღვდელმა ტაქტიკა შეცვალა. წამოდგა, მწუხარედ გახედა ცოდვილ შვილს, და თითქოს მისგან ავ სულს სდევნისო, ხელის ფართო მოძრაობით მეორედ გადასწერა პირჯვარი. მისმა სიმშვიდემ ბატონი ტიბო საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. იდაყვს დაეყრდნო და მიუხედავად წელის საშინელი ტკივილებისა, მუშტი მოიღერა:

— მკვლელებო!.. არამზადებო!.. თავიდან მომწყდით თქვენც, თქვენი მონაჩმახებით!.. კმარა! — შემდეგ სასოწარკვეთით დაიყვირა: — ვკვდები... გეუბნებით, ვკვდები-მეთქი... მიშველეთ!..

აბატი ფეხზე იდგა და უსიტყვოდ შესცქეროდა, რათა მოხუცი დარწმუნებულიყო, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა. მღვდლის სიჩუმემ საბოლოოდ გაუღრმავა ეს რწმენა, მთელი ტანით კანკალებდა, გრძნობდა, ძალა როგორ ღალატობდა, დორბლებსაც ვეღარ იკავებდა, ნიკაპზე ჩამოსდიოდა. და რაკი იფიქრა, მღვდელმა ჩემი სიტყვები ვერ გაიგონა ან ვერ მიხვდაო, ვედრებით წაილუღლუღა:

— ვკვდე... ბი... ვ-კ-ვ-დე-ბი.

აბატმა ამოიოხრა, მაგრამ მის გადასარწმუნებლად თითიც არ გაუნძრევია. მისი აზრით, ნამდვილი ქველმოქმედება მომაკვდავის წინაშე აუხდენელი ილუზიების წარმოსახვა როდია, და როცა აღსასრულის ჟამი ნამდვილად დგება, ადამიანური შიშის წინააღმდეგ სიკვდილის უარყოფა კი არ არის ერთადერთი საშუალება, რადგან ორგანიზმი ინსტინქტით გრძნობს

სიკვდილის მოახლოებას და ყალყზე დგება: პირიქით, ადამიანი სიკვდილს პირდაპირ უნდა შეეგებოს და მორჩილებით უნდა შეხვდეს მას.

აბატმა რამდენიმე წუთს შეიცადა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და გარკვევით წარმოთქვა:

— ასეც რომ იყოს, მეგობარო, განა ეს საბაბს გაძლევთ ასე ძალიან გეშინოდეთ?

მოხუცს, თითქოს სახეში გაარტყესო, კვნესა აღმოხდა და ბალიშზე მიესვენა:

— ოჰ, ოჰ... ვაიმე!

მაშასადამე, ყოველგვარი იმედი გადაიწურა: ქარბუქმა ხელი დარია, ულმობლად დაატრიალა და უფსკრულისაკენ გააქანა; ცნობიერების უკანასკნელმა სხივმა არარსობაში ღრმად ჩაახედა. სხვებისათვის სიკვდილი — ბანალური, უსახო გაფიქრებაა: სხვა სიტყვათა შორის ერთადერთი სიტყვაა! ხოლო მისთვის მთელი აწმყო, მთელი სინამდვილეა! თვითონაა! თავბრუდახვევისგან გაფართოებული, ღია თვალებით უფსკრულის პირად გადამდგარა და სადღაც შორს, შორს, უფსკრულის გადაღმა მხარეს ამჩნევს მღვდელს, მის ცოცხალსა და უცხო სახეს. ის კი მარტოა, ქვეყნიდან გამორიყული. მარტოა თავის შიშთან. საცაა, აბსოლუტური მარტოობის ფსკერს შეეხება!

სიჩუმეში მღვდლის ხმა გაისმა.

— ხედავთ! ღმერთმა არ ინება, რომ სიკვდილი მოულოდნელად თავს დაგტყდომოდათ, — ქურდულად! ამიტომ ღირსეულად უნდა მიიღოთ ის წყალობა, რამეთუ იგია ნამდვილი წყალობა და უდიდესი წყალობა მათ შორის, რასაც ღმერთი ჩვენ, ცოდვილთ გვანიჭებს ხოლმე: იგი გაფრთხილებაა, საუკუნო სასუფევლისა ზღურბლზე!..

ბატონ ტიბოს შორიდან ესმოდა ეს ფრაზები, რომლებიც ანაზდ, კლდეს მომწყდარი ტალღებივით ეხეთქებოდა შიშით გაქვავებულ მის ტვინს. წამით, ინერციით, მისმა გონებამ სცადა ღმერთის ცნება გამოეწვია, რათა ამით თავსაყუდელი ეპოვა. მაგრამ ამ ლტოლვას მაშინვე შეაჭრეს ფრთები. საუკუნო სასუფეველი, ღვთის წყალობა, ღმერთი — გაუგებარი ქადაგება იყო: ფუჭი სიტყვები, რომლებიც თავზარდამცემ სინამდვილეს ვერ შეედრებოდა.

— მადლი მივაგოთ უფალსა! — განაგრძობდა მღვდელი — ნეტარ არიან იგინი, ვისაც ღმერთი თავიანთ ნებისყოფის ტყვეობას გამოჰგლეჯს და თვისას მიაჯაჭვავს. ერთად ვილოცოთ, მეგობარო... მთელი გულით ვილოცოთ, და ღმერთი მხსნელად მოგევლინებათ!

ბატონმა ტიბომ თავი მოაბრუნა. შიშის სიღრმეში სიბრაზის ნარჩენი ბობოქრობდა. რომ შესძლებოდა, დიდი სიამოვნებით მოჰკლავდა მღვდელს. მის ბაგეებს ღვთისგმობა მოსწყდა.

— ღმერთი? ნეტა რას მიედ-მოედებით? რის შველა, რა შველა? იდიოტობაა და მეტი არაფერი! განა სწორედ თვითონ არაა? განა სწორედ მას არ სურს?.. — სული ეხუთებოდა, — მაშ, რა შველაზე მელაპარაკებით? — დაიყვირა გაცოფებულმა.

წინააღმდეგობის ჟინს ისეთი ძალით მოეცვა, სულ გადაავიწყდა, წუთის წინ რომ სასოწარკვეთით უარყოფდა ღმერთის არსებობას.

— ოჰ, რატომ გამწირა ასე ღმერთმა? — დაიკვნესა მან.

აბატმა თავი გადააქნია:

„ოდეს გგონიათ, ვითარმედ შორსა ხართ ჩემგან, — ამბობს მ ი ბ ა ძ ე ა *, ხშირად ჟამსა მას ვარ შენს ახლოს...".

ბატონი ტიბო ყურს უგდებდა. ერთხანს ხმას არ იღებდა, მერე მოძღვარს მიუბრუნდა და სასოწარკვეთით შეევედრა:

— აბატო, აბატო!.. რამე იღონეთ, ილოცეთ! ნუთუ შეუძლებელია, თქვით!.. ნუ დაუშვებთ, რომ მოვკვდე!..

აბატმა სკამი მისწია მისკენ, დაჯდა და მომაკვდავის შეშუპებული ხელი, სადაც ოდნავ შეხებაზეც კი ფერმკრთალი კვალი რჩებოდა, ხელში აიღო.

— ოჰ, აბატო! — წამოიძახა მოხუცმა. — მაშინღა მიხვდებით, რა არის ეს..: მაშინღა მიხვდებით, როცა თვითონ ჩავარდებით ჩემს დღეში...

მღვდელმა ამოიოხრა:

— არავის შეუძლია თქვას: „ცთუნება ამცდება!" მაგრამ უფალს ვევედრები, სიკვდილის ჟამს ისეთი მეგობარი გამომიგზავნოს, რომელიც მომეხმარება და დროზე მომიყვანს გონს!

ბატონმა ტიბომ თვალი დახუჭა. ამდენი მოძრაობისგან ტკივილი აუტყდა ზურგის ფოსოში, სადაც ნაწოლები გავარვარებული შანთივით სწვავდა. იგი გაიშოტა, გაშეშდა, და დროდადრო ჩახშული კვნესა თუ აღმოხდებოდა მის მოკუნულ ბაგეთ: „ვაი! ვაი!"

— ყური მიგდეთ, მეგობარო. ხომ ხართ ქრისტიანი? — შემპარავი და ნაღვლიანი ხმით წამოიწყო აბატმა, — ჰოდა, კარგად მოგეხსენებოდათ, რომ ეს მიწიერი ცხოვრება ადრე თუ გვიან უნდა შემწყდარიყო. მტვერი ხარ... განა დაგავიწყდათ, რომ ეს ცხოვრება ჩვენ არ გვეკუთვნის? ისე აგდანყებულხართ, თითქოს მამულს გართმევდნენ, რომელიც საკუთრად

შეგიძენიათ! განა არ იცით, რომ ცხოვრება დროებით გვაქვს ნაბოძები მოწყალე ღმერთისგან!? ჰოდა, თუკი ვალის გადახდის ჟამი დადგა, განა უმადურობა არ იქნება, მეგობარო, რომ ღმერთს ახლა ვაჭრობა დაუწყოთ?!

ბატონმა ტიბომ ოდნავ ასწია ქუთუთოები და გაბრაზებული თვალით გახედა მღვდელს. შემდეგ თვალი ნელ-ნელა მიმოატარა ოთახში, აკვირდებოდა ნივთებს, რომელთაც, სიბნელის მიუხედავად, კარგად არჩევდა, ნივთებს, რომლებიც მას ეკუთვნოდა, რომლებსაც მრავალი წლის მანძილზე ყოველდღე უყურებდა, მის საკუთრებას რომ წარმოადგენდა...

— ყველაფერი უნდა დავთმო, მივატოვო? — წაიბუტბუტა მან, — არა, არ მინდა! — ტანში ჟრუანტელმა დაუარა, და გაიმეორა: მეშინია!

მღვდელს შეებრალა და უფრო ახლოს დაიხარა:

— სიკვდილის წინა ტანჯვა და სისხლიანი ოფლი ღვთაებრივ მამასაც ერგო წილად! მასაც წამით, ხანმოკლე წამით შეეპარა ეჭვი მამამისის სიკეთეში. „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე?.." დაფიქრდით, მეგობარო! განა ამაღელვებელ მსგავსებას არ ხედავთ თქვენს ტანჯვასა და იესო ქრისტეს ტანჯვას შორის? მაგრამ იესომ ლოცვით აღიდგინა სულიერი წონასწორობა და სიყვარულით აღტყინებულმა წამოიძახა: „აქა ვარ, მამა... მაცა, მე მწამს შენი! მამა, შენს ხელთაა ჩემი სიცოცხლე! დაე, აღსრულდეს ნება შენი, და არა ჩემი!"

აბატმა იგრძნო, მის თითებში როგორ შეკრთა შეშუპებული ხელი. ცოტა ხნით შეისვენა, მერე ხმადაბლა ისევ განაგრძო:

— გიფიქრიათ, მეგობარო, რომ, აი, უკვე საუკუნეებია, ათასი საუკუნეა, რაც ჩვენი საცოდავი კაცობრიობა თავის ხვედრს ასრულებს დედამიწის ზურგზე? — აბატი მიხვდა, რომ ამ ბუნდოვანი არგუმენტით მიზანს ვერ მიაღწევდა. — ოჯახზე მაინც იფიქრეთ! — დააზუსტა მან, — იფიქრეთ მამაზე, პაპაზე, წინაპრებზე, ყველა თქვენისთანაზე, წინამორბედებზე, რომლებიც თქვენსავით ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ, იმედოვნებდნენ და ყველანი ურყევად, სათითაოდ, დასაბამითვე დანიშნულ ჟამს ბრუნდებოდნენ იქ, საიდანაც წარმოიშვნენ!! დაბრუნდი იქ, საიდანაც მოხვედი! განა ეს ძნელია?.. ყოვლისშემძლე მამის წიაღში საუკუნოდ დაბრუნების ფიქრი განა გულს არ უნდა გვიმშვიდებდეს, მეგობარო?

— დიახ... მაგრამ... ჯერ არა! — ამოიოხრა ბატონმა ტიბომ.

— ისევ წუწუნებთ! კი, მაგრამ, იცით თუ არა, რამდენი ადამიანი არ დამტკბარა იმ ბედნიერებით, რაც თქვენ გერგოთ წილად? თქვენ მოახერ-

ხ-თ და მიაღწიეთ ისეთ ასაკს, რაზედაც მრავალ მოკვდავს უარი ეთქვა, სულის გადასარჩენად ღმერთმა თქვენ ხანგრძლივი ცხოვრება გიბოძათ...

ბატონი ტიბო შეკრთა.

— აბატო, სწორედ ესაა საშინელება... — წაიჩურჩულა მან.

— საშინელება, დიახაც რომ საშინელებაა, მაგრამ თქვენ სხვაზე ნაკლებ გაქვთ უფლება გეშინოდეთ, თქვენ...

ავადმყოფმა უხეშად გამოგლიჯა ხელი.

— არა! — თქვა მან.

— როგორ თუ არა! — ალერსიანად ჩააცივდა მოძღვარი, — მე მინახავხართ მუშაობის ჟამს. თქვენ მუდამ ცდილობდით თქვენი მიზანი მიწიერ სიკეთეზე მაღლა დაგეყენებიათ. მოყვასთა სიყვარულისთვის თქვენ ებრძოდით სიდუხჭირეს, მორალურად დაცემას. თქვენი ცხოვრება, მეგობარო, სიკეთის მთესველი ადამიანის ცხოვრება იყო და მან სიკვდილის ჟამსაც მორჩილების გზით უნდა გატაროთ.

— არა! — ყრუდ გაიმეორა ავადმყოფმა.

და როცა აბატი შეეცადა კვლავ მოეკიდა ხელი, მან გაშმაგებით გამოჰგლიჯა იგი.

ეს სიტყვები გულს უფლეთდა. არა, მიწიერ სიკეთეზე მაღლა არასოდეს აყულა! იგი ყველას ატყუებდა. აბატსაც, საკუთარ თავსაც. თითქმის ყოველთვის. სინამდვილეში, მას პატივისცემის მოხვეჭა სურდა ხალხში და ამას შესწირა ყველაფერი. მას მხოლოდ ქვენა, ქვენა, ქვენა გრძნობები ამოძრავებდა, რომელთაც მუდამ მალავდა. ეგოიზმი, პატივმოყვარეობა! გამდიდრებისა და მბრძანებლობის სურვილი! სათნოების გამომზეურება მხოლოდ იმისთვის, რომ პატივი ეცათ, რომ მთავარი როლი ეთამაშა! უსინდისობა, თვალთმაქცობა, სიცრუე — სიცრუე!.. ოჰ, ნეტავი შეეძლოს დათრგუნოს ყველაფერი, ხელახლა დაიწყოს ყოველივე! ოჰ, ახლა როგორ რცხვენია ამ მოჩვენებითი წესიერი ადამიანის ცხოვრებისა! ახლაღა მიხვდა, რას წარმოადგენდა მისი ცხოვრება! მაგრამ გვიანდაა, დადგა ჟამი განკითხვისა!..

— თქვენისთანა ქრისტიანი...

ბატონმა ტიბომ ვეღარ მოითმინა:

— გაჩუმდით! ქრისტიანი? არა! მე ქრისტიანი არა ვარ! მთელი ჩემი ცხოვრება... მე მხოლოდ... მოყვასთა სიყვარული? გაჩუმდით! მე არასოდეს არ ვიცოდი სიყვარული. არავინ მყვარებია... არასოდეს!..

— მეგობარო, მეგობარო! — ალერსიანად დაუყვავა აბატმა.

იგი მოელოდა, რომ ბატონი ტიბო ჟაკის თვითმკვლელობას ხელახლა დაიბრალებდა. მაგრამ არა: ამ ბოლო დღეებში დაკარგული შვილი ერთხე-

ლაც არ გახსენებია. ახლა მას თავისი წარსული ცხოვრების ყველაზე ში-რეული პერიოდიდა აგონდებოდა: პატივმოყვარეობით განაწამები ყმაწვილკაცობა, საზოგადოებაში პირველად გამოჩენა, პირველი შერკინება, წარჩინების პირველი ნიშნები; საერთო მოწონება სიმწიფის წლებში. სამაგიეროდ, ბოლო ათი წელი წყვდიადს მოეცვა.

მიუხედავად საშინელი ტკივილებისა, ბატონმა ტიბომ მკლავი ასწია:

— თქვენა ხართ დამნაშავე! — მიახალა მან უცებ. — რატომ არაფერი მითხარით, როცა ჯერ კიდევ დრო იყო?

მაგრამ სასოწარკვეთამ მაშინვე სძლია გაბრაზებას და ცრემლი წასკდა. ცახცახმა ისე აიტანა, იტყოდით, ხარხარებსო.

აბატი დაიხარა:

— ადამიანის ცხოვრებაში დგება დღე, საათი ან ხანმოკლე წამი, როცა ღმერთი ინებებს და მთელი თავისი სიცხადით წარმოსდგება და მოულოდნელად გვიწვდის ხელს. ეს ზოგჯერ ბიწიერ არსებობისასაც ხდება, ზოგჯერ კი — იმ ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ, რომელსაც ნამდვილ ქრისტიანულ ცხოვრებად თვლიდნენ... ვინ იცის, მეგობარო, იქნებ, უფალი სწორედ ამ საღამოს გიწვდით ხელს პირველად?!

ბატონმა ტიბომ თვალი გაახილა. მის მოქანცულ გონებაში ერთმანეთში არეულიყო ღმერთისა და მოძღვრის ცოცხალი, მის ახლოს მდებარე ეს ხელი. მან მკლავი ასწია, მის დასაჭერად გაიწოდა და სუნთქვაშეკრულმა წაიბუტბუტა:

— როგორ მოვიქცე? როგორ მოვიქცე?

წინანდელი ტონით აღარ ლაპარაკობდა: აღარც პანიკური შიში ეტყობოდა ხმაში, ეს უბრალო შეკითხვა იყო სიკვდილის მიჯნაზე, რომელიც პასუხს ითხოვდა, ეს იყო მონანიებით გამოწვეული შიში, რაც ცოდვების შენდობით გაიფანტებოდა, ალბათ.

ღმერთთან შეხვედრის ჟამი ახლოვდებოდა.

აბატისათვის ყველაზე მძიმე მომენტი დამდგარიყო. წამით დაფიქრდა, როგორც კათედრაზე, ქადაგების წინ იცოდა. ბატონი ტიბოს საყვედურმა გული ატკინა, თუმცა ეს წყენა არ გაუმჟღავნებია. მართლაც და, მისმა ზენოქმედებამ რა შედეგი გამოიღო ამ ამაყ ადამიანზე, ამდენი წლის მანძილზე რომ ენდობოდა? როგორ შეასრულა თავისი მოვალეობა? ჯერ კიდევ ჰქონდა დრო გამოესწორებინა როგორც მომნანიებლის, ასევე თავისი, მოძღვრის დაუდევრობანი. საჭირო იყო ამჟამად მშფოთვარე სულის ხელში ჩაგდება და ქრისტეს ფერხთით მისი მიყვანა. მისმა, უბრალო ადამიანურმა გამოცდილებამ ერთობ ღვთისმოსაური ხერხი შთააგონა:

— იმას კი არ უნდა მისტიროდეთ, რომ თქვენი მიწიერი ცხოვრება მთავრდება, არამედ იმას, რომ იგი ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო... მაგრამ უკეთუ თქვენი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის არ იძლეოდით სანიმუშო მაგალითს, ეცადეთ, ჭეშმარიტად ქრისტიანულმა აღსასრულმა საიქიო გზა გაგინათოთ! დაე, სიკვდილის ჟამს თქვენი საქციელი სანიმუშო, ჭკუის მასწავლებელი გახდეს ყველა იმათთვის, ვინც გიცნობდათ!..

ავადმყოფი შეინძრა და ხელი გაითავისუფლა. ეს ფიქრი სულში შეეჭრა. დიახ! დაე, ხალხმა თქვას: „ოსკარ ტიბო წმინდანივით მოკვდა“. მან ძლივძლივობით გადახლართა თითები და თვალები მილულა. აბატმა შეამჩნია, როგორ ამოძრავდა მისი ნიკაპი: ღმერთს ევედრებოდა, სანიმუშო სიკვდილი ეწყალობებინა მისთვის!

რასაც იგი იმ წუთში განიცდიდა, საერთო გაოგნებით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე შიშით: მთელ ამ განწირულ საგანთა შორის თავისთავს უბადრუკ ნამცეცად თვლიდა, და საკუთარი თავის სიბრალულში, რაც შიშს მოჰყვა, ნეტარებასაც კი განიცდიდა.

აბატმა თავი ასწია:

— წმინდა პავლე იტყვის: „ნუ ეძლევით ჭმუნვასა იმათ მსგავსად, ვინაც წარიკვეთა სასოი თვისი“. თქვენც ხალხის ამ ჯგუფს ეკუთვნით, საბრალო მეგობარო. ასეთ სერიოზულ წუთში იმედწარხოცილს გხედავთ! დაგავიწყდათ, რომ ღმერთი ჯერ მამაა თქვენი, ხოლო შემდეგ მსაჯული თქვენი! თქვენ არ გსურთ აღიაროთ მისი წყალობა, ამით კი მამას შეურაცხყოფთ!

ავადმყოფმა შეშინებული თვალი მიაპყრო და ამოიოხრა:

— გონს მოდით! — განაგრძო მოძღვარმა. — თავი დაირწმუნეთ ღვთაებრივ შემწყნარებლობაში! იფიქრეთ იმაზე, რომ გულწრფელი და სრული მონანიება, უკანასკნელ წუთში პატიება, საკმარისია ცოდვების მოსანანიებლად. თქვენ ღმერთის შექმნილი ხართ. განა მას ჩვენზე უკეთ არ მოეხსენება, როგორი თიხისგანაც შეგვქმნა? ჩვენ მას ისეთი ვუყვარვართ, როგორიც ვართ და ეს შეხედულება ჩვენი მამაცობის, ჩვენი რწმენის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს! დიახ, რწმენის! ღირსეული სიკვდილის მთელი საიდუმლოება, ჩემო მეგობარო, სწორედ ამ სიტყვაში იმალება! შენს ხელთაა; უფალო, მთელი ჩემი იმედი! რწმენა ღმერთისა, მისი სიკეთისა, უსაზღვრო მოწყალებისა!

აბატს ლაპარაკის თავისებური მანერა ჰქონდა: ზოგიერთ სიტყვას მძიმედ და მშვიდად გამოთქვამდა და თან ხელს რაღაც განსაკუთრებული

დამაჯერებლობით ასწევდა ხოლმე. სამაგიეროდ, არც მის მონოტონურ ქადაგებასა და არც მის ჯიდცხვირას, გულგრილ სახეს სითბო არ ეტყობო-და. ეს სიტყვები, ალბათ, თავისთავად იყო ასეთი ქმედითი, ეტყობა, მრა-ვალსაუკუნოვანი გამოცდილების შემდეგ შეესატყვისნენ აგონიის დროს განცდილ წამებას, რაკი ასე სწრაფად და უშუალოდ მოქმედებდნენ შიშითა და აღშფოთებით შეპყრობილ ადამიანზე.

ბატონმა ტიბომ თავი ჩაქინდრა. წვერით მკერდს ეხებოდა. ახალი გრძნობა შეუმჩნევლად შეიჭრა მის გულში. ეს გრძნობა ნაკლებ ფუჭი იყო, ვიდრე საკუთარი თავის სიბრალული ან სასოწარკვეთა. ცრემლი ღა-პაღუპით სცვიოდა სახეზე. იგი უკვე ახალი აღმაფრენით მიეშურებოდა სიმშვიდის მომგვრელი ღვთიური ძალისაკენ: მისი ერთადერთი სურვილი იყო, მთლიანად მინდობოდა მას, თავისთავს განდგომოდა...

უცებ კბილი კბილს დააჭირა: ნაცნობმა ტკივილმა ფეხზე მოუჭირა, თეძოდან კანჭებამდე მისწვდა, აბატს ვეღარ უგდებდა ყურს და დაძაბუ-ლი იწვა. წუთი და ტკივილმა გაუარა.

მღვდელი განაგრძობდა:

— ...ვითარცა მთის მწვერვალზე ასული მგზავრი უკან მოიხედავს და განვლილ გზას თვალს გადაავლებს. რა უბადრუკი სახილველია ადამიანის ცხოვრება! სასაცილოდ ვიწრო სარბიელზე წამდაუწუმ ხდება ერთი და იმა-ვე ძალის დაძაბვა! ამაო ფუსფუსი, წამიერი სიხარული, ბედნიერების წყურვილი, რომელიც ადამიანს ამაოდ აღეძვრის, ხოლმე, მაგრამ ვერასო-დეს ვერ იოკებს მას! კი არ ვაჭარბებ! აი, როგორი იყო თქვენი ცხოვრე-ბა, მეგობარო. უფრო მეტიც. ასეთია ყოველი მოკვდავის ცხოვრება ამ მიწაზე! განა ღმერთის შექმნილს დააკმაყოფილებს ასეთი არსებობა? ნუთუ მთელ ამ ამბავში რაიმე დასანანია კიდევ? მაშ, რა მოხდა? ასე ძალიან რაღად ებღაუჭებით სიცოცხლეს? თქვით! ნუთუ ამ თქვენი ავადმყოფი, თანდათანობით დასუსტებული, ამ საცოდავი, დაშრეტილი სხეულის გამო, რომელიც თავის დანიშნულებას უკვე ვეღარ ასრულებს და რომელსაც ტანჯვისა და დაჭკნობისაგან ვეღარაფერი დაიფარავს? ოჰ, ვაღიაროთ: დიდი სიკეთეა, თუკი იგი ხრწნადია! დიდი სიკეთეა, თუკი ამდენი ხნის მანძილზე მის მონობაში, მის ტყვეობაში ყოფნის შემდეგ შეგვიძლია მოვიგლიჯოთ ეს ჩვენი სხეული, გადავაგდოთ, მოვიშოროთ, და ძველმანივით გადავის-როლოთ გზის პირას!

ეს სიტყვები იმდენად უშუალო, რეალური იყო მომაკვდავისათვის, რომ ცხოვრებასთან განშორების აზრი ტკბილ დაპირებასავით მოესმა უცებ... მაინც რას წარმოადგენდა ეს სიტკბოება, რომელმაც მოიცვა და ცხოვრების

ერთადერთი და მტკიცე იმედი ჩაუნერგა?! ამ აზრმა გაუელვა აბატს. იმქვეყნიური არსებობის იმედი, საუკუნო ცხოვრების იმედი ღმერთში, რაც სიკვდილის წუთებში ისევე აუცილებელია, როგორც სიცოცხლის დროს — მომავლის რწმენა...

ხანმოკლე პაუზის შემდეგ აბატმა კვლავ განაგრძო:

— ახლა კი, მეგობარო, ზეცას მიაპყარით თვალი! რაკი არარაობად თვლით მას, რასაც აქ ტოვებთ, შეხედეთ იმას, რაც გელით! ბოლო მოეღო სისუსტეს, უთანასწორობას, უსამართლობას! ბოლო მოეღო გამოცდებსა და პასუხისმგებლობას! ბოლო მოეღო ყოველდღიურ შეცდომებს და მისგან გამოწვეულ სინდისის ქენჯნას! ბოლო მოეღო ცოდვილთა მერყეობას სიკეთესა და ბოროტობას შორის! თქვენ გელით სიმშვიდე, მდგრადობა, უმაღლესი წესრიგი, ღვთის სასუფეველი! თქვენ ტოვებთ ყველაფერ წამიერსა და სუსტს, რათა სანაცვლოდ მიიღოთ მარადიული! მიმიხვდით, მეგობარო? წარმავალი დაივიწყე და ეძებე მარადიული! სიკვდილისა გეშინოდათ: რაღაც საშინელი, ბნელი მოჩვენებები გქონდათ; ქრისტიანის სიკვდილი კი პირიქით, მხიარული პერსპექტივაა! ეს არს მშვიდობა! დასვენების მშვიდობა, მარადიული დასვენების სიმშვიდე! რას ვამბობ? უფრო მეტია! ეს არს ცხოვრების გაფურჩქვნა, ერთობის დაგვირგვინება! მე ვარ მკვდრეთით აღდგომა და სიცოცხლე... არა მარტო გათავისუფლება, სიზმარი, თავდავიწყება: არამედ გამოღვიძებაც, გაფურჩქვნაც! სიკვდილი — ხელახლა დაბადებაა! სიკვდილი — აღდგომაა ახალ ცხოვრებაში, აბსოლუტურ შემეცნებაში, რჩეულთა ნეტარებაში. სიკვდილი, მეგობარო, არა მარტო მთელი დღის შრომის შემდგად მიღებული მწუხრის ჯილდოა, არამედ სინათლეზე, მარადიულ განთიადზე ამაღლებაა!

ბატონი ტიბო თვალდახუჭული იწვა, მაგრამ თანხმობის ნიშნად დროდადრო ოდნავ შესამჩნევად უქნევდა წარბი; სახეზე ღიმილი უკრთოდა. წარსულის ზოგიერთი, განსაკუთრებულად ბედნიერი წუთები მკაფიოდ აღსდგა მის წარმოდგენაში, გაიხსენა თავისი ბავშვობა: პატარა ბიჭი დედის საწოლთან, სწორედ იმ საწოლთან ჩაჩოქილიყო, სადაც ახლა თვითონ იწვა მომაკვდავი; პატარა ხელები დედის ხელებში ჩაედო და ზაფხულის იმ მშვენიერ დილას პირველ ლოცვებს ბუტბუტებდა, რასაც ზეცა გადაუხსნა პირველად: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ თვალწინ წარმოუდგა პირველი ზიარება სამლოცველოში: აღელვებისაგან ცახცახებდა იმ ნაკურთხი სეფისკვერის წინაშე, რომელიც პირველად გაუწოდეს... ის დროც გაიხსენა, როცა საქმრო იყო და ერთ დილით, ლოცვის შემდეგ დარწმუნებ–

ლის * ბაღში, პეონების ზვივანში დასეირნობდა... ამ სასიამოვნო მოგონებებს გაუდინა: თავისი გვამი კი გადავიწყებოდა.

ახლა არამცთუ ეშინოდა სიკვდილისა, პირიქით, ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ცოტა ხანი კიდევ უნდა ეცოცხლა. ამა ქვეყნის ჰაერით სუნთქვა აღარ შეეძლო. ცოტაც კიდევ და ყველაფერი დამთავრდება. ნოლავენა, თითქოს სიმძიმის ნამდვილი ცენტრი უკვე იპოვა, საკუთარ გულში უკვე გადასახლდა, როგორც იქნა, საკუთარი „მეს" ადგილსამყოფელს მიაგნო. ამან ისეთი ნეტარება აგრძნობინა, რომლის მსგავსი არასოდეს განეცდია. მიუხედავად ამისა, ასე ეგონა, ძალა დაერღვა, დაექსაქსა, ირგვლივ მიმოეფანტა. მერე და რა უშავს?! ამ ძალებს ხომ აღარ ეკუთვნოდა?! ისინი წარმოადგენდნენ პლანეტაზე მცხოვრებ რომელიღაც პიროვნების ნარჩენებს, ის კი ამ პლანეტას უკვე მოწყდა, ხოლო უფრო სრული და ახლომომავალში მოსალოდნელი დაშორების პერსპექტივა იმ ერთადერთ ნეტარებას ჰგვრიდა, რაც ჯერ კიდევ მისაწვდომი იყო მისთვის.

ოთახში „სულმა წმინდამ" დაჰქროლა. აბატი წამოდგა. ღმერთისთვის მადლობა უნდოდა აღევლინა. მადლობის ამ აქტში წმინდა ადამიანური სიამაყეც ერია. იგი ისევე კმაყოფილი იყო, როგორც ვექილი, რომელმაც პროცესი მოიგო. ამავე დროს სინანული და სინდისის ქენჯნაც იგრძნო, მაგრამ უკან მოხედვის დრო არ იყო. ცოდვილი საცაა ღვთის წინაშე უნდა წარმდგარიყო!

მან თავი დახარა, ერთმანეთს მიკრული ხელები ნიკაპს ქვეშ მიიდო და გულიანად, ხმამაღლა მოჰყვა ლაღადისს.

„ღმერთო, აჰა, დადგა ჟამი! უფალო, კეთილო ღმერთო, მოწყალეო, მამაო, უკანასკნელ გთხოვ წყალობასა, გართხმული შენს წინაშე! ო, ღმერთო დიდებულო, დადგა ჟამი აღსასრულისა! მომანიჭე სიკვდილი სიყვარულსა შინა შენსა... დე პროფუნდის!.. * სიღრმისაგან წყვდიადისა, სიღრმისაგან უფსკრულისა. სადაცა ვცახცახებდი შიშისა გამო, შენ გიხმობ უფალო... უფალო, მე მოგიხმე, მე შეგღაღადე! აჰა, დადგა ჟამი! ვდგავარ შენი მარადიულობის კარიბჭესთანა და მსურს მე, რაითა გიხილო, ყოვლისშემძლე ღმერთო! მიიღე ჩემი მონანიება! ისმინე ჩემი ვედრება, ნუ უკუმაგდებ, ნე უღირსსა! მომაპყარ თვალნი შენნი, ვითარცა პატიება! შენ განდობ, უფალო, ჩემს სულს! შენთვის მომინდვია თავი ჩემი, იყავ მსაჯული ჩემი... დადგა ჟამი! მამაო, არ მიმატოვო!.."

მომაკვდავმა ექოსავით გაიმეორა:

— არ მიმატოვო!..

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ აბატი საწოლთან ჩაიხარა და თქვა:

ხვალ ნაკურთხ ზეთს მოგიტანთ. ამ საღამოს კი, ჩემო მეგობარო, აღსარება უნდა მითხრა, რათა ცოდვათა შენდობა მოგცე...

და სანამ ბატონი ტიბო დასიებულ ტუჩებს აცმაცუნებდა და აქამდე უცნობი ღვთისმოსავობით მომძლვარს ყურში გაურკვეველ ფრაზებს ეჩურჩულებოდა, სადაც ცოდვების სიას ნაკლები ადგილი ეჭირა, ვიდრე პირადი მწუხარების გამომხატველ სიტყვებს, ავადმყოფისკენ დახრილმა მღვდელმა ხელი ასწია და ცოდვათა შენდობის გამოთქმებით ალაპარაკდა:

შეგინდობ ცოდვებს... მამისა, შვილისა და წმინდა სულის სახელით!

ავადმყოფი გაჩუმდა. ფართოდ გახელილი თვალები თითქოს სამუდამოდ დარჩენოდა ღია, შეკითხვას, ან უმალ, გაკვირვებას გამოხატავდნენ და ისეთ წმინდა შუქს აფრქვევდნენ, რომ ამ მომაკვდავ მოხუცსა და პატარა ჟაკის სურათს შორის, რომელსაც ლამპა მკვეთრად ანათებდა კედელზე, საოცარი მსგავსება შეიმჩნეოდა.

იგი უკვე გრძნობდა იმ უკანასკნელი ბაფების მოშვებას, მას რომ ამ სამყაროსთან აკავშირებდა, მაგრამ სიცოცხლის ამ ჩაქრობას, სიმყიფეს მაინც განიცდიდა ნეტარებით; იგი სხვა არა იყო რა, თუ არ ქროლვა, რომელიც გაქრობის წინ სუსტად ტორმტანებს. სიცოცხლე უიმისოდ ისევე გრძელდებოდა, როგორც ნაპირს მიღწეული მოცურავის უკან მდინარე განაგრძობს დინებას. იგი არა მარტო სიცოცხლის მიღმა აღმოჩნდა, არამედ თითქმის სიკვდილის მიღმაც: მაღლა იწევდა. ისეთი ზებუნებრივი შუქით გასხივოსნებულ ზეცისკენ ადიოდა, როგორიც ზოგჯერ ზაფხულის ცაა ხოლმე.

კარზე დააკაკუნეს.

ლოცვად მდგარმა აბატმა პირჯვარი გადაისახა და კარისკენ გაემართა. სელინა შემოვიდა. უკან ექიმი მოსდევდა.

— განაგრძეთ, ბატონო აბატო, განაგრძეთ! — თქვა ტერივიემ, როგორც კი მღვდელი შეამჩნია.

აბატმა მომვლელ ქალს შეხედა, გვერდზე გადგა და წაიბუტბუტა:

— მობრძანდით, ექიმო, მე მოვათავე!

ტერივიე ავადმყოფს მიუახლოვდა. მან ჩვეულებისამებრ, საჭიროდ ჩათვალა ძალდაუტანებელი, მეგობრული ტონით გამოლაპარაკებოდა ბატონ ტიბოს:

— აბა, რაშია საქმე? სიცხეც ხომ არ მოგვიმატა ამ საღამოს?.. ალბათ, ახალი შრატის რეაქციაა!.. — მან ხელები მოიფშვნიტა, წვერი მოიწიწკნა და თითქოს მონაზონს იმოწმებსო, დაუმატა: — საცაა, ანტუანიც დაბრუნდება. ნურაფერზე წუხართ. ახლავე შეგიმსუბუქებთ ტკივილებს... იცით, ეს შრატი...

ბატონი ტიბო თვალმიშტერებით უგდებდა ყურს ამ კაცის ტყუილებს, ეს გულუბრყვილო ახსნა-განმარტება ასე დიდხანს და ასე წრფელად რომ სჯეროდა, ეს მოურიდებლობა, ეს თვალთმაქცობა ახლა სავსებით ცხადი გახდა მისთვის. იგი ხელით სინჯავდა ყოველ ნიღაბს, საბოლოოდ ამხილა ეს პირქუში ფარსი, მთელი თვეების განმავლობაში რომ თამაშობდნენ მის წინაშე. ნეტავი ანტუანი მართლა მალე დაბრუნდება? აღარავისი აღარ სჯერა.. თუმცა რა ენაღვლება? მისთვის ყველაფერი სულ ერთია... აბსოლუტურად სულ ერთი. მას არც ის უკვირდა ასე კარგად რომ კითხულობდა სხვის გულში. ეს სამყარო ახლა რაღაც უცხოს, ჰერმეტიულად დახურულ მთლიანობას წარმოადგენდა, სადაც მას, მომაკვდავს, ადგილი აღარ ჰქონდა. იგი მარტო იყო, მარტო თავის საიდუმლოებასთან. თავის ღმერთთან. იმდენად მარტო, რომ თვით ღმერთსაც აღარ ძალუძდა ამ მარტოობის დარღვევა!

მისდაუნებურად ქუთუთოები დახარა. სიცხადისაგან სიზმრის გარჩევას აღარ ლამობდა, და ჰარმონიულ სიმშვიდეში ჩაიძირა. მას ხელით ეხებოდნენ, სინჯავდნენ, თვითონ კი არავითარ მოუთმენლობას არ გამოხატავდა, იწვა ინერტული, დაშოშმინებული, სხვა სამყაროს ნაზიარები...

### III

რაკი ძმებმა გადაწყვიტეს, აღარ დაეძინათ, ვაგონის კუთხეში მოიკრუნჩხნენ და კუპეში ჩამოწოლილი სიბნელით გაოგნებულებმა მაინც მოიმძინარეს თავი, ორივეს უნდოდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო მარტოობა.

ანტუანმა თვალების დახუჭვაც ვერ მოახერხა. მატარებელში ჩაჯდომისთანავე შიშმა აიტანა: მამა წარმოუდგა თვალწინ. მძიმე ავადმყოფი დატოვა. მთელი ღამის განმავლობაში დაღლილობითა და უძილობით მოტეხილს ათასგვარი საშინელებები ეზმანებოდა ჩაბნელებული მატარებლის გრუხუნში. მიუხედავად ამისა, რაც უფრო უახლოვდებოდა პარიზს, ეს შიში მით უფრო ეფანტებოდა. იცოდა, საკმარისია შინ მისულიყო, მაშინვე გონს მოიკრებდა და რაიმე გზას დაადგებოდა. მაგრამ ახალ-ახალი დაბრ-

კოლებანი კვლავ თავს იჩენდა. ლტოლვილის დაბრუნება როგორ უნდა ეცნობებია ბატონი ტიბოსთვის? როგორ შეეტყობინებინა ჟაკისთვის? იმ დღესვე აპირებდა წერილის გაგზავნას ლონდონში, მაგრამ მისი შედგენა ადვილი როდი იყო: უნდა შეეთვალა, რომ ჟაკი იპოვა, ცოცხალია, პარიზშია და თან მისი ჩამოსვლისთვისაც უნდა შეეშალა ხელი.

თანამგზავრები აფუსფუსდნენ, ნათურებს საფარი მოაშორეს და ძმებიც იძულებულნი გახდნენ თვალი გაეხილათ. ერთმანეთს შეხედეს. ჟაკს ისეთი აღელვებული, მორჩილი, შეშინებული სახე ჰქონდა, ანტუანს შეებრალა.

— ცუდად გეძინა, ხომ? — ჰკითხა ძმას და მუხლზე ხელი დაადო.

ჟაკი არც კი ცდილა გაეღიმა და გულგრილად აიჩეჩა მხრები; შემდეგ ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი, ეტყობოდა, არც შეეძლო და არც ჰქონდა სურვილი ამ ძილფხიზლობისა და დუმილისათვის თავი დაეღწია. ვაგონრესტორანში ისაუზმეს, სანამ მატარებელი ცისკრის ბინდბუნდში გახვეულ თვალუწვდენელ გარეუბნებში მიჰქროდა; გაჩერება, მიწურული ღამის სიცივეში ბაქანზე ჩასვლა; ვაგზლიდან გასვლა, ტაქსის ძებნაში გართული ანტუანის ფეხდაფეხ მიყოლა, — მთელი ეს არარეალური, ღამის ბურუსში ჩაძირული მოქმედებები ისეთი გარდუვალობით მიჰყვა ერთმანეთს, ჟაკს არაფერი უგრძვნია.

ანტუანი ცოტას, ზუსტად იმდენს ლაპარაკობდა, რამდენიც უხერხული გრძნობის გასაფანტავად იყო საჭირო, ჟაკს არც კი მიმართავდა, საერთო ფრაზებით ლაპარაკობდა და ამით პასუხის გაცემისგანაც ათავისუფლებდა ძმას. იგი ისე ძალდაუტანებლად მოქმედებდა, ლტოლვილის დაბრუნება მეტად ბუნებრივად წარიმართა. ჟაკი იმდენად ანგარიშმიუცემლად ემორჩილებოდა ჯერ უნივერსიტეტის ქუჩაზე, ხოლო მერე ძმის ბინაში, რომ თავის ინერტულობასაც ვერ გრძნობდა და როცა ხმაურზე ლეონმა მოირბინა და სამზარეულოს კარი გააღო, ანტუანმა თვალი აარიდა მსახურს, ჩვეულებრივი სიმშვიდით დაიხარა წერილებით დაფარულ მაგიდაზე და უგულისყუროდ უთხრა:

— დილა მშვიდობისა, ლეონ! მე და ბატონი ჟაკი ერთად დავბრუნდით. საჭირო იქნება...

ლეონმა სიტყვა შეაწყვეტინა.

— მაშ თქვენ არაფერი იცით, ბატონო? ზემოთ ჯერ არ ასულხართ?

ანტუანი გაფითრდა და წელში გაიმართა.

— ბატონი ტიბო ძალიან ცუდადაა... ბატონმა ტერივიემ ღამე აქ გაატარა... მოახლეები ამბობენ...

ანტუანი გარეთ გავარდა. ჟაკი შუა ოთახში იდგა. არარეალობის, კოშმარის შეგრძნებამ ერთბაშად მოიცვა, წამით შეყოყმანდა, შემდეგ ძმას გაედევნა.

კიბეზე ბნელოდა.

— სწრაფად! — წაუჩურჩულა ანტუანმა და ლიფტში შეაგდო.

ტკაცანი, შემინული კარის ბზრიალი, გრუხუნი, რაც ლიფტის ასვლას მოჰყვა, — მთელმა ამ ნაცნობმა ხმებმა, ოდითგანვე ერთნაირი თანმიმდევრობით რომ ეჯაჭვებოდა ერთმანეთს, და ახლა, მთელი საუკუნის მივიწყების შემდეგ, კვლავ სათითაოდ იჭრებოდა მის გონებაში, ჟაკი შორეულ წარსულში გადაისროლეს და უცებ ცხადად, მძაფრად გაახსენდა ერთი შემთხვევა: ანტუანთან ერთად ამავე შემინულ გალიაშია ჩაწყვდეული; ისე დაიჭირეს, ხმა არ ამოუღია: დანიელთან ერთად მარსელში გაპარვის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

— კართან დამიცადე! — წასჩურჩულა ანტუანმა.

სიფრთხილე, რასაც ანტუანი ასე გულდასმით მიმართავდა, ერთბაშად ჩაიფუშა. მადმუაზელ დე ვეზმა, რომელიც სახლის ერთი ბოლოდან მეორეში დახეტიალობდა წამდაუწუმ, შეჩერებული ლიფტის ხმას მოჰკრა ყური.

ანტუანი! როგორც იქნა! ქალმა სწრაფად მიაშურა, რამდენადაც ორად მოხრილი ტანი აძლევდა ამის საშუალებას. მან ოთხი ფეხი დაინახა, გაოგნებული შეჩერდა და ჟაკი მხოლოდ მაშინ იცნო, როცა ჭაბუკი საკოცნელად დაიხარა.

— ღმერთო დიდებულო! — უცნაური ხმით აღმოხდა ქალს.

(ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ისედაც თავზარდაცემულ მოხუცს ახალი, მოულოდნელი ამბავი მეტად ვეღარ გააოგნებდა); მთელი ბინა განათებული იყო, კარები ღია. კაბინეტის ზღურბლზე ბატონი შალის დაბნეული სახე გამოჩნდა. იგი ცნობისმოყვარეობით დააცქერდა ჟაკს, თვალები აახამხამა და მისთვის ჩვეული ფრაზა წამოისროლა:

— ოჰ, ეს თქვენა ხართ?

„ამჯერად კმარა!“ — მისდაუნებურად გაიფიქრა ანტუანმა, ძმას აღარ მიაქცია ყურადღება და საძინებელი ოთახისკენ მარტო გაემართა.

იქ სიბნელე და სიჩუმე სუფევდა. ანტუანმა ხელი ჰკრა ნახევრად შეღებულ კარს და პატარა ლამპის შუქის მეტი ვეღარაფერი გაარჩია, მერე ბალიშზე მისვენებული მამის სახეს მოჰკრა თვალი. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფს თვალები დაეხუჭა და უძრავად იწვა, ეჭვი აღარ შეპარვია: ცოცხალი იყო!

ოთახში შევიდა.

გადადგა თუ არა ნაბიჯი, იქვე საწოლთან მაშინვე შეამჩნია ტერივიე, მომვლელი სელინა, ადრიენი და ხანშიშესული მონაზონი, რომელსაც ანტუანი პირველად ხედავდა. ყველანი ფეხზე იდგნენ. „ეტყობა, რაღაც ამბავია", — გაიფიქრა ანტუანმა.

ტერივიე სიბნელეს გამოეყო, ანტუანთან მივიდა და პირსაბან ოთახისკენ წაიყვანა.

— შემეშინდა, მეგონა, ვერ მოუსწრებდი! — სწრაფად უთხრა მან. — თირკმელი დაცულია . და აღარ მოქმედებს... სრულიად... საუბედუროდ ურემია კრუნჩხვებით ვითარდება. მთელი ღამე აქ გავატარე, ქალები მარტო ვერ დავტოვე. შენ რომ არ მოსულიყავი, ფერშლის გამოძახებას ვაპირებდი. ღამით სამჯერ ჰქონდა შეტევა, თანაც უკანასკნელი ძალიან მაგარი იყო.

— თირკმელმა როდის შეწყვიტა...

— მთელი ოცდაოთხი საათია. ყოველ შემთხვევაში, მომვლელ ქალს გუშინ საღამოსვე შეუმჩნევია. ცხადია, ნემსების გაკეთება მაშინვე შეაჩერა.

—ას... ე... ე, — თქვა ანტუანმა და თავი გადააქნია.

ერთმანეთს შეხედეს. ტერივიემ გარკვევით ამოიკითხა ანტუანის ფიქრი: „რაკი გავრისკეთ და ცალ თირკმლიან ავადმყოფს მთელი ორი თვის განმავლობაში საწამლავით ვტენიდით, მერყეობა გვიანღა იქნებოდა..."

ტერივიემ წარბი შეჭმუხნა და მკლავები გაშალა.

— რას იზამ, ძმობილო! მკვლელები ხომ არა ვართ! ასეთი ურემიის დროს მორფიუმს ვეღარ მოვიშველიებთ.

ანტუანი, რასაკვირველია, ეთანხმებოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— მე მივდივარ, — თქვა ტერივიემ, — თორმეტ საათზე დაგირეკავ, — შემდეგ ერთბაშად დაუმატა: — ჰო, მართლა, შენი ძმა სადაა?

ანტუანს ოქროსფერი გუგები უცნაურად აუკიაფდა. ჯერ დახარა, შემდეგ ასწია ქუთუთოები.

— ვიპოვე! — სწრაფად გაუღიმა, — და კიდეც წამოვიყვანე. აქაა.

ტერივიემ წვერში ჩაიყო ფაფუკი ხელი, ცოცხალი და მხიარული თვალებით ანტუანს დააცქერდა. მაგრამ გამოკითხვისთვის ახლა ვის ეცალა: თანაც ოთახში სელინა შემოვიდა და ანტუანს ხალათი შემოუტანა. ტერივიემ ჯერ მონაზონს შეხედა, შემდეგ მეგობარს და პირდაპირ უთხრა:

— ერთი სიტყვით, მივდივარ, იცოდეთ, მძიმე დღე გექნებათ!

ანტუანი შეიჭმუხნა.

— უმორფიუმოდ, ალბათ, საშინლად იტანჯება, არა? — ჰკითხა მომვლელ ქალს.

— ძალიან ცხელ საფენს ვადებ... — უპასუხა სელინამ, — მდოგვის საფენებს...

და რაკი ანტუანმა უნდოილად აეიცვდა თავს, დაუმატა:

— ასეა თუ ისე, ცოტათი მაინც უმსუბუქებს ტკივილებს...

— აპიუმს თუ უმატებთ მაინც მაგ მდოგვის საფენებს? არა?

კარგად იცოდა, რომ მორფიუმის გარდა... მაგრამ მაინც არ გამოუტყდა თავს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

— ქვევით ჩავალ და რაც საჭიროა ამოვიტან! — უთხრა მან სელინას, — ახლავე დავბრუნდები. შემდეგ ტერივიეს მიუბრუნდა და კარისკენ გაიყოლა — წინ წადი! — უთხრა მან.

„ჟაკი რას შვრება, ნეტავი?" — გაიფიქრა ანტუანმა, როცა ოთახებს ჩაუარა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა.

ორივე ექიმმა სწრაფად, უსიტყვოდ ჩაიარა კიბე: უკანასკნელ საფეხურზე ტერივიე შემობრუნდა და ხელი გაუწოდა. ანტუანმა ჩამოართვა და უცებ ჰკითხა:

— ყური მიგდე, ტერივიე, გულწრფელად მითხარი: რას ფიქრობ. ახლა უკვე სწრაფად გაიკითარდება ყოველივე, ხომ?

— რა თქმა უნდა... თუკი ურემია არ შეწყდა!

ანტუანმა ენერგიულად ჩამოართვა ხელი. დიახ, გრძნობდა, უნდა მოეთმინა, უდრტვინველად გადაეტანა ყველაფერი. რამდენიმე საათის საქმეღა იყო... რაც მთავარია, ჟაკი ნაპოვნია!

ზემოთ, საწოლ ოთახში, ავადმყოფის სასთუმალთან მარტოდდარჩენილმა ადრიენამ და ხანშიშესულმა მონაზონმა შეტევის მოახლოება ვერ შეამჩნიეს, და როცა ბატონი ტიბოს ქოშინმა მიიპყრო მათი ყურადღება, ავადმყოფს მუშტები უკვე მოეკუმა და კეფა ისე გაშეშებოდა, თავს უკან ეწეოდა.

ადრიენა გარეთ გავარდა.

— სელინა!

არავინ იყო. წინოთახში შევარდა.

— სელინა! ბატონო ანტუან! ჩქარა!

ჟაკი კაბინეტში შესულიყო ბატონ შალთან და ყვირილის ხმაზე არც დაფიქრებულა, ისე გავარდა.

კარი ღია დახვდა. სიბნელეში ვერაფერი გაარჩია და სკამს დაეჯახა. საწოლთან, რამდენიმე ქალი შუქს ჩამოფარებოდა და ფუსფუსებდა. როგორც იყო, ავადმყოფიც შეამჩნია: საწოლზე გარდიგარდმო იწვა და ხე-

ლებს უსასოოდ იქნევდა, ლეიბის კიდეზე ჩამოცურებულიყო, ადრიენა და მომვლელი ქალი ამაოდ ცდილობდნენ მის აწევას. ჟაკმა მოირბინა, ცალი მუხლით საბანს დააწვა, მამამისს ტანზე ხელი წაავლო, ასწია და ბალიშებზე მიაწვინა. მკერდთან მაშინვე იგრძნო ცხელი სხეულის შეხება, ქოშინი. იგი ახლოდან დაჰყურებდა, უკვირდებოდა და თითქმის ვერ ცნობდა უკან გადავარდნილ სახეს, გადათეთრებულ თვალებს, სადაც გუგები აღარც კი მოჩანდა; დიდხანს იდგა ასე დახრილი და კრუნჩხვით აცახცახებული სხეული მკლავებში მოექცია.

ნერვული ტოკვა ნელ-ნელა შესუსტდა. სისხლსაც ნორმალური მიმოქცევა მიეცა. გადაკარკლული გუგები კვლავ ამოძრავდა და ხელახლა მიაჩერდა ერთ წერტილს. გამოცოცხლებული თვალებით ავადმყოფმა თითქოს კიდეც შეამჩნია მისკენ დახრილი ეს ახალგაზრდა სახე. ნუთუ იცნო დაკარგული შვილი? წამითაც რომ განათებოდა გონება, შესძლებდა კი სინამდვილის გარჩევას ამ არეულ-დარეული ხილვებიდან, რაც ბოდვის დროს შემოსეოდა?! ბაგეები ააცმაცუნა. თვალები გაუფითრდა. და უცებ, კუშტ გამოხედვაში ჟაკმა ნაცნობი გამომეტყველება დაიჭირა: წინათ, როცა მამამისი რომელიმე დავიწყებული თარიღის ან სახელის მოგონებას ცდილობდა, სწორედ ასეთი დაკვირვებული, ამღვრეული, დაბნეული თვალები ჰქონდა.

ჟაკი მუშტებით დაეყრდნო საწოლს და მისდაუნებურად, თითქოს ყელში რაღაც უჭერსო, წაიბუტბუტა:

— რაო, მამა?.. რაო?.. როგორა ხარ, მამა?

ბატონმა ტიბომ ნელა დაუშვა ქუთუთოები. ოდნავ შესამჩნევმა ცახცახმა გადაუარა ქვედა ყბასა და წვერზე, შემდეგ უფრო მაგრად აუცახცახდა სახე, მხრები, მთელი მკერდი: იგი ქვითინებდა. მოდუნებული პირიდან ისეთი ბუყბუყი მოისმა, წყალში ბოთლის ჩაშვების დროს რომ ისმის ხოლმე... ბუყ... ბუყ... ბუყ... ხნიერმა მონაზონმა ბამბით მოწმინდა ნიკაპი ავადმყოფს. ჟაკი ვერ იძროდა, ცრემლებისგან თვალები დანისლოდა, მამის აცახცახებულ სხეულს წელში მოხრილი დაჰყურებდა და უაზროდ იმეორებდა:

— რაო, მამა? როგორ გრძნობ თავს, ჰა?.. როგორა ხარ, მამა?

ამ დროს სელინას ანტუანი შემოჰყვა ოთახში და ძმის დანახვაზე ადგილზე გაშეშდა. ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, თუმცა ამის თავიც არ ჰქონდა. ხელში ნახევრად სავსე მენზურა ეჭირა; მონაზონს კი ჭურჭელი და პირსახოცები მოჰქონდა.

ჟაკი წელში გაიმართა, გვერდზე გასწიეს, ავადმყოფს მიუახლოვდნენ, საბანი გადახადეს.

ჟაკი მოშორებით დადგა, ოთახის კუთხეში. მას არავინ აქცევდა ყურადღება. დარჩენილიყო, მამამისის ტანჯვისთვის ეცქირა, მისი ყვირილი მოესმინა? არა... კარისკენ გაემართა. და როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, შვება იგრძნო.

დერეფანში ბნელოდა. სად წასულიყო? სასტუმრო ოთახში? იქ ბატონი შალი ეგულებოდა, ხელახლა მასთან პირისპირ დარჩენას მოერიდა; ბატონი შალი სკამზე ჩამოსკუპებულიყო, მხრებში მოხრილიყო, ხელები მუხლებზე დაეწყო, სახეზე ღიმილი ეფინა, იტყოდით, უკანასკნელ დარტყმას ელოდებაო. მადმუაზელ დე ვეზი კიდევ უფრო აუტანელი იქნებოდა: ორად მოკეცილს თითქმის იატაკში ჩაერგო ცხვირი, უმცირეს ფაჩუნსაც გაფაციცებით იჭერდა და გზადაბნეული ძაღლივით დაწრიალებდა ოთახიდან ოთახში, უკან დასდევდა ყველას, ვინც კი გზად შემოხვდებოდა: ასე იტყოდით, თავისი დალეული სხეულით დაცარიელებულ ბინას ავსებსო.

თავშესაფრად ერთადერთი დაკეტილი ოთახი თუ გამოადგებოდა ჟაკს — ჟიზის ოთახი! სულ ერთი არაა! ჟიზი ხომ ინგლისშია!..

ჟაკი ფეხაკრეფით შეიპარა და კარი ურდულით გადაკეტა. მაშინვე გულზე მოეშვა. როგორც იქნა, მარტო დარჩა მთელი დღე-ღამის ტყვეობის შემდეგ! ოთახში ციოდა. ელექტროშუქი გადამწვარი დახვდა. დეკემბრის ნავვიანები დილის სინათლე ძლივს აღწევდა დარაბების ჭრილიდან. ამ ბნელმა თავშესაფარმა ჟიზი ერთბაშად არც კი მოაგონა... ჟაკმა სკამს წამოჰდო ფეხი, დაჯდა, სიცივისაგან აკანკალდა, მკლავები გადაიჯვარედინა, გაშეშდა, თავისთავში ჩაიკეტა და არაფერზე არ ფიქრობდა.

როცა ფიქრებიდან გამოერკვა, შტორებიდან შემოსული შუქი შეამჩნია, ფარდების ცისფერი სახეები ერთბაშად იცნო. პარიზი... ჟიზი... სანამ თვლემდა, მივიწყებული ავეჯი ნელ-ნელა გამოჩნდა; მიმოიხედა. ოდესღაც, დიდი ხნის წინ, ხელი შეუვლია თითოეული ნივთისთვის. მისი ფოტოსურათი სადაა? კედელზე, ანტუანის პორტრეტის გვერდით დიაფერის ოთხკუთხედიღა ჩანდა. მაშასადამე, ჟიზს მისი სურათი ჩამოუღია! გაბრაზებულმა ჩამოხსნა? არა! ალბათ, თან წაიღო! რასაკვირველია, ინგლისში წაიღებდა! ოჰ, ნუთუ ხელახლა უნდა დაიწყოს ყველაფერი?. მხრები ისე შეარხია, იტყოდით, ასპანაკში გაბმული პირუტყვია, ყოველ მოძრაობაზე უფრო მეტად რომ იხლართება ხაფანგშიო. ჟიზი ინგლისშია. მადლობა ღმერთს! და უცებ სიძულვილი იგრძნო მისდამი. როგორც კი მასზე ფიქრი გაუელვებდა თავში, ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს ერთბაშად დაპატარავებულიყოს.

ეს მოგონებები რომ თავიდან მოეშორებინა, საჩქაროდ წამოხტა, უნდოდა ოთახიდან გაქცეულიყო. მაგრამ მამა, აგონია... გადაავიწყდა?.. აქ, ყოველ შემთხვევაში ნარტო ლანდებთან ჰქონდა საქმე: აქ თითქმის განმარტოებული იყო. იგი შუა ოთახში დაბრუნდა და მაგიდას მიუჯდა. ჟიზის წერილს კვალი დაეჩნია ბიუვარზე: მისი იისფერი მელანი... შეშფოთებულმა, სცადა ეს უკუღმა ასოები გაერჩია, მერე ბიუვარს ხელი ჰკრა. თვალები ხელახლა აევსო ცრემლით. ოჰ, ნეტავი დაეძინოს! ყველაფერი დაივიწყოს! ხელები მაგიდაზე დააწყო და ზედ თავი ჩამოსდო. ლოზანა, მეგობრები, განმარტოება... რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დაუბრუნდეს იქაურობას!.. ხელახლა წავიდეს, წავიდეს!

ვიღაც კარის გაღებას ლამობდა. ამან გამოაფხიზლა მთვლემარე ჟაკი.

ანტუანი ეძებდა. შუადღე დამდგარიყო; სანამ ავადმყოფს ტკივილები დაყუჩებოდა, მომენტით უნდა ესარგებლა და დანაყრებულიყვნენ.

სასადილო ოთახში ორი სულისთვის გაეწყოთ სუფრა. მადმუაზელმა ბატონი შალი უსაუზმოდ გაისტუმრა შინ. თვითონ კი — „სუფრასთან დასაჯდომად სცალია? ოჰ, ღმერთო ჩემო! საქმე თავსაყრელი აქვს!"

ჟაკს არ შიოდა. ანტუანი ჩუმად და მადიანად შეექცეოდა. ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. რამდენი ხანია, ასე, პირისპირ არ მსხდარან სუფრასთან! ამბები ისე ელვის სისწრაფით ვითარდებოდა, აღელვების დრო არ რჩებოდა:

— გიცნო? — ჰკითხა ანტუანმა.

— არ ვიცი.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, ჟაკმა თეფში გასწია და თავი ასწია.

— მითხარი, ანტუან, რაა მოსალოდნელი? რა შეიძლება მოხდეს?

— როგორ გითხრა... უკვე ოცდათექვსმეტი საათია თირკმელი არ მოქმედებს. გესმის, ეს რას ნიშნავს?

— ჰო. მაშასადამე?

— მაშასადამე, თუკი ორგანიზმის მოწამვლა არ შეწყდა... ზუსტად რაიმის თქმა ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, ხვალ... შესაძლებელია, ამ საღამოსაც...

ჟაკმა კინაღამ შვებით ამოისუნთქა.

— ტკივილები შეაწუხებს?

— ოჰ! — აღმოხდა ანტუანს და შუბლი შეეჭმუხნა.

იგი გაჩუმდა, რადგან ოთახში მადმუაზელი შემოვიდა და ყავა შემოიტანა. ჟაკს მიუახლოვდა. ფინჯანში ყავის დასხმისას, საყავე ისე უკანკალებდა ხელში, ჟაკი შეეშველა. ამ გაძვალტყავებული, გადაყვითლებული

თითების დანახვაზე, რომელთანაც იმდენი ბავშვური მოგონებები იყო დაკავშირებული, ჟაკს უცებ გული აუჩუყდა. გაღიმებას ცდილობდა, კიდეც დაიხარა ამ დაპატარავებული მოხუცისკენ, მაგრამ მისი გამოხედვის დაჭერა მაინც ვერ მოახერხა. ქალი უსიტყვოდ შეურიგდა „ჟაკოს" დაბრუნებას; სამი წელიწადი მისტიროდა მის სიკვდილს, და ახლა, როცა დაბრუნდა, ჯერაც ვერ გადაეწყვიტა პირდაპირ ჩაეხედა თვალებში ამ აჩრდილისათვის.

— შეაწუხებს ტკივილები! — გაიმეორა ანტუანმა, როცა ძმები isევ მარტო დარჩნენ. — უნდა ველოდოთ, რომ ტკივილები თანდათან გაუნწვავდება. საერთოდ. ურემიის შედეგად პროგრესული ანესთეზია, საგნაოდ მშვიდი სიკვდილია, მაგრამ თუკი, კრუნჩხვითი ფორმები მიიღო...

— მაშინ მორფიუმი რატომდა შეუწყვიტეთ? — იკითხა ჟაკმა.

— იმიტომ, რომ სულ ერთია, შვებას აღარ მისცემდა, სიკვდილს კი დააჩქარებდა...

კარი თითქოს ქარიშხალმა შემოამტვრიაო. მოახლის შეშინებული სახე გამოჩნდა და მაშინვე გაქრა. უნდოდა დაეყვირა, საშველად მოეხმო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

ანტუანი ოთახიდან გავარდა და ქალს გაედევნა. მისდაუნებურად იმედმა ენერგია შემატა. ჟაკიც წამოდგა. იგივე იმედი იგრძნო. წამით შეყოვნდა, მერე ძმას მიჰყვა.

არა: დასასრული ჯერ არ დამდგარიყო! ხელახალი შეტევა მოსულიყო, ოღონდ უცაბედი და მაგარი.

კრიჭა შეჰკვროდა; ჟაკმა კარის ზღურბლზევე გაიგონა მისი კბილების ღრჭიალი. სახე გაჭარხლებოდა, თვალები გადაკარკლოდა. ქოშინი ერთბაშად წყდებოდა, იტყოდით, სული ამოხდაო. ჟაკი უმწეოდ შესცქეროდა ძმას და თვითონაც სული ეხუთებოდა. ავადმყოფს ისე დაკრუნჩხოდა კიდურები, რომ გაშეშებული ტანი მხოლოდ ქუსლებითა და კეფით ეხებოდა ლეიბს. მიუხედავად ამისა, დროდადრო ტანი ამოეზნიქებოდა, მერე უეცრად მთელი სხეული აუცახცახდა, კუნთები დაეძაბა და გაუშეშდა, თითქოს კრუნჩვის ძალა ამით გამოიხატაო.

— ცოტაოდენი ეთერი მიეცით! — თქვა ანტუანმა.

ჟაკს გაუკვირდა ძმის მშვიდი ხმა.

შეტევა ძლიერდებოდა. დროდადრო უფრო წყვეტილი, ძლიერი ღმუილი აღმოხდებოდა ხოლმე მოკუმულ ბაგეთაგან. თავი უძიგძიგებდა. კიდურები ერთთავად ცახცახს აეტანა.

— მკლავზე მოჰკიდე ხელი! — წასჩურჩულა ანტუანმა ძმას.

თვითონ მეორე მაჯა დაუჭირა, ხოლო მონაზონები ლამობდნენ, როგორმე წაევლოთ ხელი ფეხზე, რასაც ავადმყოფი წამდაუწუმ აქეთ-იქით ისროდა საბანთან ერთად.

ეს ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდეგ კრუნჩხვები შესუსტდა: ეპილეფსიური მოძრაობანი გაიშვიათდა. თავსაც აღარ ანძრევდა; კუნთები მოუდუნდა; გაქანჯული სხეული საწოლზე გაიშხლართა. სამაგიეროდ, კვნესა განახლდა:

— ოჰ, ოჰ, ვაიმე!

ჟაკმა ხელი შეუშვა მამის მკლავს და ზედ თავისი თითების ნაჭდევები დაინახა. პერანგის სამაჯური ჩამოჰგლეჯოდა. საყელოზე ღილი აწყვეტოდა. ჟაკი თვალს არ აშორებდა ამ მოდუნებულ, სველ ბაგეებს, რომელიც სულ ერთსა და იგივეს ჰგოდებდა: „ოჰ... ოჰ... ვაიმე!“ და უცებ მთელმა მღელვარებამ, შეწყვეტილმა საუზმემ, ეთერის სუნმა თავისი გაიტანა... ჟაკი ცუდად გახდა... უნდოდა როგორმე შემოეძახა თავისათვის, სისუსტე დაეოკებინა, მაგრამ იგრძნო საშინლად ფითრდებოდა და კარამდე ძლივს მილასლასდა.

სელინამ, რომელიც ხნიერი მონაზვნის დახმარებით ლოგინს ასწორებდა, ერთბაშად შეხედა ანტუანს. აწეული ზეწარი ხელში შერჩა: იმ ადგილას, სადაც ავადმყოფი ფართხალებდა, ფართო სისხლნარევი ლაქა აჩნდა.

ანტუანი არ განძრეულა, ცოტა ხნის შემდეგ საწოლს მოშორდა, ბუხართან მივიდა და მკლავით დაეყრდნო.

თირკმელი ამუშავდა და მოწამვლას შეებრძოლა. დიდი ხნით კი? ცხადია, საბედისწერო ბოლო არ ასცდებოდათ, ოღონდ ვადა გადაიდო. შესაძლებელია... რამდენიმე დღით... იგი წელში გასწორდა. უიმედო ვარაუდებზე დიდხანს არ შეეძლო დაფიქრება. მაშასადამე, ბრძოლა უფრო ხანგრძლივი იქნებოდა, ვიდრე მას ეგონა. რა უნდა ჰქნას? რაც უფრო დიდხანს გასტანდა ეს ბრძოლა, დაცვა მით უფრო წესიერად უნდა მოაწყოს. პირველ ყოვლისა, მომვლელთა ენერგია უნდა დაზოგოს. მომაკვდავის საწოლთან ორი ცვლა უნდა დანიშნოს: რიგრიგობით დაისვენებდნენ. პოზიციების გასამაგრებლად ლეონი უნდა მოიხმოს. ანტუანი ორივე ცვლაში მიიღებს მონაწილეობას: ოთახს არც ერთი წუთით არ მოშორდება. საბედნიეროდ, შვეიცარიაში გამგზავრების წინ რამდენიმე დღის შვებულება აიღო, თუ რომელიმე მის პაციენტთან მისვლა აუცილებელი იქნება. ტერივიეს გაგზავნის; კიდევ რა შეიძლება გააკეთდეს? ფილიპი უნდა გააფრთხილოს. საავადმყოფოშიც უნდა დარეკოს. კიდევ რა? გრძნობდა, რაღაც მნიშვნელოვანი ავიწყდებოდა (მოქანცვის ნიშნებია: ცივი ჩაი უნდა მოატანინოს!) ჰო, ჟიზი!

დღესვე უნდა ჩაიწეროთ. კიდევ კარგი, მოხუც მადმუაზელს ჯერ არ მოუფიქრებია ამისწულის გამობახება.

იგი ბუხართან იდგა იქვე, ხელი მარმარილოს შვერილზე ჩამოედო და ცეცხლს ხან ერთ ფეხს უშვერდა დაუფიქრებლად, ხან მეორეს. მთელი ამ საქმის ორგანიზება, მოქმედებას ნიშნავდა უკვე! მან ხელახლა აღიდგინა სულიერი წონასწორობა.

საძინებელი ოთახის სიღრმეში, ტანჯვისათვის განწირული ბატონი ტიბო ხმამაღლა კვნესოდა. მონაზვნები იქვე ისხდნენ. ანტუანს უნდოდა ამ შესვენებით ესარგებლა და ტელეფონით დაერეკა... ოთახიდან გასვლაც დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და საწოლს მიუახლოვდა. უნდოდა რაც შეიძლება ახლოს დაკვირებოდა ავადმყოფს. ეს სულის ხუთვა, სახის ეს თანდათანობითი შეწითლება... ნუთუ ხელახლა ეწყება შეტევა? ასე ჩქარა? ჟაკი სადღაა?

თითქმის იმავე წუთში ჩურჩულის ხმა მოისმა დერეფნიდან. კარი გაიღო. აბატი ვეკარი შემოვიდა ჟაკის თანხლებით. ანტუანმა მაშინვე შეამჩნია, ძმის კუშტი გამომეტყველება და აბატის გულგრილ სახეზე აელვარებული თვალები. ბატონ ტიბოს კვნესა გაუხშირდა. უცებ მკლავები წინ გაიწვდინა და თითებმა ისეთი ტკაცანი გაიღეს, იტყოდით, კაკალს ამტვრევენო.

— ჟაკ! — წამოიძახა ანტუანმა და ეთერიანი შუშისკენ გაიწოდა ხელი.

აბატი შეყოყმანდა, შემდეგ პირჯვარი გადაისახა და ოთახიდან გავიდა.

## IV

მთელი საღამო, მთელი ღამე, მთელი მეორე დილა ანტუანის მიერ შედგენილი მომვლელთა ორი ჯგუფი ყოველ სამ საათში იცვლებოდა ავადმყოფის სასთუმალთან. პირველ ჯგუფში ჟაკი, მოახლე და ხნიერი მონაზონი შედიოდა, მეორე ცვლაში — სელინა, ლეონი და მზარეული კლოტილდა; ანტუანს წამით არ შეუსვენია.

შეტევები თანდათან გახშირდა. თითოეული კრიზისი ისეთი ძლიერი იყო, მომვლელები ისევე ქანცგაწყვეტილები რჩებოდნენ, როგორც ავადმყოფი, უმწეოდ ჩამოსხდებოდნენ სკამზე და თითქმის უგულისყუროდ შესცქეროდნენ მის ტანჯვას. არაფერი არ შველოდა. როგორც კი კრუნჩხვები გაუვლიდა, საშინელი ნევრალგიური ტკივილები ეწყებოდა. სხეულის ყოველი ნაწილი თუ ადგილი ტკიოდა, და შეტევასა და შეტევას შუა ამიტომაც ღრიალებდა შეუსვენებლივ. ამდენი წამებისაგან უბედურ მოხუცს ისე დაჩ-

ლუნგებოდა გონება, არ ესმოდა, მის გარშემო რა ხდებოდა. დროდადრო ბოდავდა, მიუხედავად ამისა, მგრძნობელობას არ კარგავდა და ხელით წამდაუწუმ ანიშნებდა მტკივან ადგილებს; ანტუანს უკვირდა, ამდენი თვის განმავლობაში საწოლზე მიჯაჭვულ მოხუცს ამდენი ძალა როგორ შერჩაო, მონაზვნებიც გაოცებულნი იყვნენ, თუმცა ათასნაირი ავადმყოფის მოვლით წელში იყვნენ გაწყვეტილნი; ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ამ ძლიერ წინააღმდეგობას მხოლოდ ურემია მოსტეხდა და ამიტომაც წამდაუწუმ უსინჯავდნენ ლოგინს, რწმუნდებოდნენ, რომ ზეწარი მშრალი იყო და რომ მთელი ოცდაოთხი საათის მანძილზე თირკმელის მოქმედება აღარ განახლებულა.

პირველ დღეს მეკარე ქალი გამოცხადდა და ითხოვა, თუ შესაძლებელია ფანჯრებთან ერთად დარაბებიც დაკეტეთ, რადგან ავადმყოფის ყვირილი ეზოში ისმის და მთელ სახლს შიშის ზარს სცემსო. მეოთხე სართულის მდგმური ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი, რომლის ოთახი მომაკვდავის საწოლი ოთახის თავზე იყო მოთავსებული, ისე შეუშინებია ამ ყვირილს, რომ იძულებული გამხდარა, შუაღამისას მშობლებთან წასულიყო. ამიტომ დაუგმანეს ყოველგვარი ნახვრეტი. სასთუმალთან დადგმული ლამპა ანათებდა ოთახს, რომლის გასანიავებლად ყოველ წუთს უკეთებდნენ ცეცხლს ბუხარში, მაგრამ მაინც სულის შემხუთველი სუნი იდგა. ამ მომწამვლელი ჰაერით გაბრუებული, ამ სიბნელით გაოგნებული და ამ სამ დღეში გადატანილი მღელვარებით ჯანგატეხილი ჟაკი ხელიდან არ უშვებდა ავადმყოფის მკლავს, ზეზეულად თვლემდა, შემდეგ უცებ გამოფხიზლდებოდა და შეწყვეტილ მოძრაობებს განაახლებდა.

შესვენების დროს ანტუანის ბინაში ჩადიოდა, რომლის გასაღები ხელახლა მისცეს. იქ მშვიდად იჯდა, იცოდა, რომ მარტო იქნებოდა. სასწრაფოდ იკეტებოდა თავის ყოფილ ოთახში და ტანგაუხდელად მიეგდებოდა გასაშლელ დივანზე, მაგრამ ძილს მაინც ვერ ახერხებდა.

თხელი ფარდებიდან თვალს ადევნებდა თოვლის ფიფქებს. ისე ბარდნიდა, სახლის ფასადებს ვეღარ ხედავდა და არც ქუჩის ხმაური ესმოდა. ამიტომ მაშინვე ახსენდებოდა ლოზანა, ესკალიეს ქუჩაბანდი, კამერცენის პანსიონი, სოფია, მეგობრები. ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა: აწმყო და მოგონებები, პარიზის თოვლი და შვეიცარიული ზამთარი, იმ ოთახის სითბო და ის მცხუნვარება, რომელსაც მისი პატარა, შვეიცარიული ღუმელი აფრქვევდა, ეთერის სუნით გაჟღენთილი ტანსაცმელი და ფისის სურნელი, ფიჭვის პარკეტის ყვითელ იატაკს რომ ასდიოდა... კაბინეტამდე მილასლასდებოდა და დაღლილობით დარეტიანებული, ისეთი გულაცრუებული ჩაეგდებოდა სავარძელში, თითქოს დიდი ხნის განმავლობაში ამაოდ ელოდა

რაღაცას, და ახლა ყველაფერი, გარდუვალად უცხო იყო მისთვის, რადგან ეს უაზრო, დაუკმაყოფილებელი გრძნობა არ შორდებოდა.

შუადღიდან მოყოლებული, შეტევები თითქმის განუწყვეტლივ მისდევდა ერთი მეორეს და მდგომარეობაც აშკარად გაუარესდა. როცა ჟაკი თავის ჯგუფთან ერთად სამორიგეოდ მივიდა, დილიდან მომხდარმა ცვლილებამ საშინლად გააოცა. სახის კუნთების შეუწყვეტელ ტოკვას, განსაკუთრებით კი შეშუპებას, რომელიც მოწამვლას გამოეწვია, ისე შეეცვალა ნაკვთები რომ მომაკვდავის ცნობა ჭირდა.

ძმასთან მოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ ორივე ისე იყო მოუცლელი, საშუალება არ მიეცა. თანაც დაღლილობისგან რეტდასხმულს, ალბათ კიდეც გაუჭირდებოდა გასაგებად გადმოეცა თავისი აზრები. დროდადრო, ამ შეუნელებელი ტანჯვის დანახვით გულმოკლული, ისეთი თვალებით შეხედავდა ხოლმე უფროს ძმას, თითქოს რაღაცას ეკითხებაო, მაგრამ კრიჭაშეკრული ანტუანი თვალს არიდებდა.

მთელი ღამე ავადმყოფს ისეთი ძლიერი კრუნჩხვები ჰქონდა, ძალამიხდილი ჟაკი, რომლის შუბლი ოფლს დაეცვარა, გაშმაგებით მივარდა ძმას, ხელი წაავლო და ოთახის სიღრმეში წაათრია.

— ანტუან! უკვე შეუძლებელია ასე გაგრძელდეს! — ხმა საყვედურით უკანკალებდა. ანტუანმა თავი მიაბრუნა და მხრები უმწეოდ აიჩეჩა.

— სცადე რამე! — წამოიყვირა ჟაკმა და შეანჯღრია. — ეს ტკივილები როგორმე უნდა შეუმსუბუქო! რამე უნდა ვიღონოთ! გესმის?

ანტუანმა ამრეზით ასწია წარბი და ავადმყოფს გადახედა, რომელიც საშინლად ღმუოდა. რაღა უნდა სცადოს? აბაზანა? რა თქმა უნდა, ამაზე რამდენჯერმე იფიქრა. მაგრამ როგორ განახორციელოს? აბაზანის ოთახი ბინის მეორე მხარეს იყო, სამზარეულოსთან, ვიწრო დერეფნის ბოლოში, ისიც მოსახვევში, კუთხესთან. სახიფათოა... მიუხედავად ამისა...

რამდენიმე წამში ყველაფერი აწონ-დაწონა, გარკვეული გადაწყვეტილება მიიღო და სამოქმედო გეგმაც შეიმუშავა: იმ საში-ოთხი წუთით უნდა ესარგებლა, როცა შეტევის შემდეგ ავადმყოფი მისუსტებული იწვა. ამიტომ ყველაფერი წინასწარ უნდა მოემზადებინათ.

თავი ასწია და ხნიერ მონაზონს მიმართა:

— მოემზადეთ ყველაფერს. ლეონს დამიძახეთ! სელინასაც! ორი ზეწარი მომიტანოს. ორი! თქვენ, ადრიენ, წადით ცხელი წყალი მოუშვით აბაზანაში, ოცდათვრამეტი გრადუსის სიმხურვალით. გასაგებია? იქ დარჩით და თვალყური ადევნეთ, ჩვენს მოსვლამდე წყლის ტემპერატურამ ოცდათვრა-

მეტზე დაბლა არ დაიწიოს. შემდეგ კლოტილდას უთხარით, პირსახოცები ცხელ ფურნაკში შედოს. სათბურაში ნაკვერჩხალი ჩაყაროს. აბა, სწრაფად!

სელინა და ლეონი, რომლებიც დასასვენებლად წასულიყვნენ, სწორედ დროზე მოვიდნენ ადრიენის შესაცვლელად. ახალი შეტევა იწყებოდა. იგი ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა.

როგორც კი კრიზისი შეწყდა და ხრიალი მოკლე, შედარებით თანაბარმა სუნთქვამ შეცვალა, ანტუანმა სწრაფად გადახედა დამხმარეებს.

— შესაფერისი მომენტია! — თქვა მან და ჟაკის მისამართით დაუმატა: — ნუ ავჩქარდებით, ოღონდ არც ერთი წუთი არ დავკარგოთ!

ორივე მონაზონი საწოლს მიუახლოვდა. ზეწრებიდან ტალკის ღრუბელი ავარდა და მოკვდინებული ხორცის სუნი მთელ ოთახს მოედო.

— სწრაფად გახადეთ! — ბრძანება გასცა ანტუანმა. — ლეონ, ორი კუნძი ჩააგდეთ ბუხარში, სწრაფად!

— ოჰ... ოჰ... ვაიმე! — კვნესოდა ავადმყოფი.

ნაწოლები ყოველ დღე ემატებოდა, უღრმავდებოდა ტანზე: ბეჭები, დუნდულები, ქუსლები ჩაშავებული იარებით ჰქონდა დაფარული და, ტალკისა და ბანდების მიუხედავად, საცვალს ევრობოდა.

— მოითმინეთ! — დაიყვირა ანტუანმა.

მან ლანცეტს ხელი დაავლო და პერანგი მთელ სიგრძეზე ჩაუხია. ტილოზე გასმული დანის პირის სისინზე ჟაკმა ცახცახი ვერ შეიმაგრა.

მთელი სხეული გაშიშვლდა.

იგი უზარმაზარი, მოდუნებული, მოთეთრო იყო, შესიებულიც ჩანდა და გამხდარიც. გაძვალტყავებულ მკლავებზე ხედის მტევნები ხელთათმანივით ეკიდა. უჩვეულოდ წაგრძელებული ფეხები გაბანჯგვლულ ძვლებსღა ჰგავდა. ჭაღარა ბალანი გრძელ ბუჩქად ჩასდევდა მკერდს. ასეთივე ბუჩქი სასქესო ორგანოსაც უფარავდა სანახევროდ.

ჟაკმა თვალი აარიდა. მომდევნო დღეებში მან რამდენჯერმე გაიხსენა ეს წუთი და ის უცნაური ფიქრი, როცა მშობელი მამა პირველად თავის სიცოცხლეში ტიტველი დაინახა. ახლა კი, ერთბაშად მოაგონდა ტუნისი, რეპორტიორის წიგნაკით ხელში რომ იდგა მეორე, ასეთივე შიშველი, ასეთივე დასიებული და ჭაღარა ბალნით დაფარული სხეულის წინ: ბილწ, მოხუც იტალიელ კოლონს თავი ჩამოეხრჩო, მარყუჟებიდან ჩამოეხსნათ და მზის გულზე დაედოთ. მეზობელი ქუჩებიდან მისული ბავშვები ყიჟინით დახტოდნენ გვამის ირგვლივ. ჟაკმა დაინახა ჩამოხრჩობილის ქალიშვილი, თოთხმის ბავშვი, რომელმაც წივილ-კივილით გადაირბინა ეზო, პანღურის

ცემით გაყარა ბავშვები და მამის გვამს თივა დააყარა. ალბათ. შერცხვა... ან, იქნებ, ბუზებისაგან დასაცავად.

— ჟაკ, ხელი მოჰკიდე! — დაუყვირა ანტუანმა.

ავადმყოფისთვის ზურგქვეშ უნდა შეეყოთ ხელი და ზეწრის ცალი კიდე დაეჭირათ, რომელიც ანტუანსა და სელინას წელთან შეეფინათ.

ჟაკი დაემორჩილა. და უცებ ამ ოფლიანი სხეულის შეხებამ ისე ააღელვა, რომ სრულიად მოულოდნელი ემოცია გამოიწვია მასში: ფიზიკური ემოცია, განუყოფელი გრძნობა, რაც ჩვეულებრივ სიბრალულსა თუ სიყვარულს აღემატებოდა: ადამიანის ეგოისტური ტრფიალი მეორე ადამიანის მიმართ.

— შუა ზეწარზე დააწვინეთ! — ბრძანა ანტუანმა, — კარგია. ფრთხილად! ლეონ, აქედან გამოსწიეთ. ახლა ბალიში გამოაცალეთ. სელინა, ფეხები აუწიეთ. ცოტათი კიდევ, ფრთხილად, ნაწოლები არ ატკინოთ. ჟაკ, ზეწრის ერთ ბოლოს მოჰკიდე ხელი, მე მეორე ბოლოს წავავლებ, სელინა და ლეონი ფეხებთან ასწევენ ზეწარს. არის? კეთილი. ჯერ ვცადოთ, ვნახოთ, როგორ გამოგვივა. ერთი! ორი!

ოთხივე კიდით გაწეული ზეწარი დაიჭიმა და სხეული, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოცილდა ლეიბს.

— ჩინებულია! — თითქმის მხიარულად წამოიძახა ანტუანმა.

და მოქმედებით გამოწვეული ეს სიხარული სხვებმაც იგრძნეს.

ანტუანი მოხუც მონაზონს მიუბრუნდა:

— თუ შეიძლება, მატყლის საბანი დაახურეთ, მერე კი წინ გაგვიძეხით: კარი გაგვიღეთ... მზად ვართ? აბა, გავსწიოთ!

პროცესია ნელა დაიძრა და ვიწრო დერეფნით გზას გაუდგა. ავადმყოფი ღმუოდა. სამზარეულოდან ბატონმა შალმა წამით გამოჰყო თავი.

— ფეხები ძირს დაუშვით ოდნავ! — ყრუ ხმით გასცა განკარგულება ანტუანმა, — ასე... დავისვენოთ? არა? მაშინ, ვიაროთ! ფრთხილად, კედლის განჯინის გასაღებს არ წამოედო... ყოჩაღად! თითქმის მივედით, მოსახვევთან ფრთხილად იყავით!

მან შორიდანვე შეამჩნია სააბაზანოში შეხიზნული მადმუაზელი და ორი მოახლე.

— გამოდით, გამოდით მაქედან! — დაუყვირა მან. — ჩვენ ხუთნი ვეყოფით. თქვენ, ადრიენ და კლოტილდ, ამასობაში ლოგინი გაასწორეთ და სათბურათი გაათბეთ... ახლა კი, საქმეს შევუდგეთ! კარში გვერდულად შევიდეთ. ასე!.. ღვთის გულისათვის, იატაკზე არ დადოთ! ზევით ასწიეთ! ზე-

ვით! კიდევ! აბაზანას უნდა გავუთანაბროთ, მერე კი ნელ-ნელა ჩავაწვინოთ წყალში. რასაკვირველია, ზეწრით! მაგრად გეჭიროთ! ფრთხილად! ცოტათი დასწიეთ. არის!.. დალახვროს ეშმაკმა, ბევრი წყალი მოუშვია. ნაპირებზე გადმოვა... დაუშვით...

ჩადრჩავებულ ზეწარზე გაწვენილმა მძიმე მასამ ნელ-ნელა იწყო ჩაძირვა, მისი მოცულობის წყალი კი ყოველი მხრიდან გადმოიღვარა აბაზანიდან, მთელი დერეფნის იატაკი და მზიდავებიც გაწუწა.

— ესეც ასე! — განაცხადა აქლოშინებულმა ანტუანმა. — შეგვიძლია ათი წუთით სული მოვითქვათ.

აბაზანის სითბომ, ეტყობა, სასიამოვნოდ იმოქმედა ბატონ ტიბოზე და წამით გაჩუმდა, მაგრამ შემდეგ უფრო ხმამაღლა მორთო ღრიალი. წამოხტომაც კი დააპირა; საბედნიეროდ, ხელ-ფეხი ზეწარში დაებლანდა, და ვეღარ გაინძრა.

მალე აღელვება დაუცხრა. აღარ ყვიროდა, ჩუმადდა კვნესოდა:

— უჰ... უჰ... ვაიმე!

მალე კვნესაც შეწყვიტა. ეტყობა, დიდი შვება იგრძნო. მისი შეძახილები „უჰ... უჰ..." კმაყოფილების გამომხატველ ოხვრას წააგავდა.

ხუთივენი აბაზანას შემოხვეოდნენ, იატაკზე გადმოღვრილ წყალში იდგნენ, და შეძრწუნებული ფიქრობდნენ, რაც წინ ელოდათ!

უცებ ბატონმა ტიბომ ხმას აუმაღლა და თვალი გაახილა.

— ოჰ, შენ აქა ხარ? ოღონდ დღეს არა...

ირგვლივ მიმოიხედა, ჩანდა ვერავის ცნობდა.

— თავი დამანებეთ! — დაუმატა (უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მხოლოდ ეს ორი სიტყვა წარმოთქვა გარკვევით). გაჩუმდა, მაგრამ ბაგეებს ისე აცმაცუნებდა, იტყოდით, ლოცულობსო. ბუტბუტის გარდა არაფერი ესმოდათ. ანტუანს ყური დაეცქვიტა და რამდენიმე სიტყვა დაიჭირა:

— წმინდაო იოსებ... მომაკვდავთა მფარველო...

მერე, მოგვიანებით:

— ... უბედური ცოდვილები.

თვალები კვლავ მილულა. სახე დაუმშვიდდა; სუნთქვა თუმცა მოკლე, მაგრამ რიტმული გაუხდა. ყველანი წარმოუდგენელ შვებას გრძნობდნენ, რაკი მისი ყვირილი აღარ ესმოდათ.

უეცრად მოხუცმა ჩაიქირქილა, უცნაური, თითქმის ბავშვური სიცილი აუტყდა. ანტუანმა და ჟაკმა ერთმანეთს გადახედეს. რაზე ფიქრობდა? თვალები კვლავ დახუჭული ჰქონდა და ერთბაშად, განუწყვეტელი ღმუილის-

გან ჩახლეჩილი ხმით გარკვევით წამოიწყო იგივე სიმღერა, რაც ბავშვობისას უსწავლია და შემდეგ მაღნუახელმა გააბაენა:

ჰოპლა! ჰოპლა! ტრილბი, მოკურცხლე!
ჰოპლა! სწრაფად! პაემანზე!

მან რამდენჯერმე გაიმეორა: „ჰოპლა! ჰოპლა", მერე კი ხმა ჩაუწყდა.

ნირწამხდარი ანტუანი ზევით ახედვას ვერ ბედავდა. „პაემანზეო!" — ფიქრობდა იგი. — რა უბედურებაა! ჟაკი რას იფიქრებს?"

მაგრამ ჟაკიც იმავე გრძნობას მოეცვა: იგი უხერხულობაში ჩაეგდო არა იმას, რაც მოისმინა, არამედ იმ ფაქტს, რომ ამ სიმღერას სხვებიც უსმენდნენ. თითოეულ მათგანს ერთმანეთისა ეუხერხულებოდათ.

ათი წუთი იწურებოდა. ანტუანი აბაზანას თვალს არ აშორებდა და უკან დაბრუნებაზე ფიქრობდა.

— ამ სველი ზეწრებით მისი გადაყვანა შეუძლებელია! — ხმადაბლა წაილაპარაკა მან, — ლეონ, გასაშლელი დივანის ლეიბი მომიტანეთ, ფურნაკში გამთბარი პირისახოცები კი კლოტილდას გამოართვით.

ლეიბი სველ იატაკზე დააფინეს. შემდეგ ანტუანის განკარგულებით სველ ზეწარს ოთხივე ბოლოში წაავლეს ხელი, ავადმყოფი მძიმედ ამოიყვანეს აბაზანიდან და ასევე სველი დააწვინეს ლეიბზე.

— სწრაფად შეამშრალეთ! — თქვა ანტუანმა. — ასე! ახლა მატყლის საბანში გაახვიეთ და მშრალი ზეწარი შეუფინეთ. სწრაფად, არ გაცივდეს!

„თუნდაც გაცივდეს, რა მნიშვნელობა აქვს?" — გაიფიქრა მან. მიმოიხედა. ირგვლივ წყლის გუბეები იდგა. ლეიბსა და თეთრეულს წურწურით ჩასდიოდათ წყალი. კუთხეში სკამი გადაყირავებულიყო. წყალდიდობის დროის ტრაგიკულ სარბიელს წააგავდა სააბაზანო.

— აბა, ახლა თქვენ-თქვენი ადგილები დაიკავეთ და გზას გავუდგეთ! — ბრძანა ანტუანმა.

მშრალი ზეწარი გაიჭიმა, სხეული წამით ისე შეტორტმანდა, თითქოს ჰამაკში შეინძრაო, და პროცესიამ ბარბაცით, წყლის გუბეებში ფეხის ტყაპუნით გასწია, უკან წყლის ნაკვალევი მოიტოვა და დერეფნის მოსახვევში გაუჩინარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბატონი ტიბო ახლად გასწორებულ საწოლზე იწვა. თავი შუა ბალიშზე ედო, ხოლო მკლავები რბილად ეწყო საბანზე. იგი არ ინძრეოდა და ძალიან გაფითრებულიყო. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ამდენი დღის ტანჯვის შემდეგ ტკივილები პირველად დაუამდაო.

მაგრამ ეს შესვენება ხანმოკლე აღმოჩნდა. საათმა ორჯერ ჩამოჰკრა, ჟაკი ის-ის იყო, ოთახიდან გასულიყო და დასასვენებლად პირველ სართულზე აპირებდა ჩასვლას. ამ დროს ანტუანი დაეწია წინოთახში.

— ჩქარა! სული ეხუთება... კოტროს დაურეკე... ფლერიუს 54—02*. კოტრო, სევრის ქუჩა. უთხარი, ახლავე გამოგზავნოს ჟანგბადის სამი თუ ოთხი ბალიში... ფლერიუს 54—02.

— იქნებ, მე თვითონ წავსულიყავი ტაქსით?

— არა, მანქანა ჰყავთ. სასწრაფოდ დაურეკე. შენ აქ მჭირდები...

ტელეფონი ბატონი ტიბოს კაბინეტში იყო. ჟაკი ისე სწრაფად მივარდა, რომ შეშინებული ბატონი შალი სკამიდან წამოხტა.

— მამას სული ეხუთება... — დაუყვირა ჟაკმა და ყურმილს მივარდა.— ალო! კოტროს მაღაზიაა? არა?.. მაშ, ეს ფლერიუს 54—02 არაა? ალო!.. გთხოვთ, მადმუაზელ, ავადმყოფისათვის გაწუხებთ... ფლერიუს ორ... მოც... და... თოთხმეტი... ნოლი... ორი!

— ალო! კოტროს მაღაზიაა? დიახ... ექიმი ტიბო გელაპარაკებათ... დიახ... თუ შეიძლება...

ტელეფონის აპარატი ბუხრის კონსოლზე იდო; წელში მოხრილი ჟაკი კონსოლს დაყრდნობოდა და კარისკენ ზურგშექცევით იდგა. ლაპარაკისას უგულისყუროდ შეხედა სარკეს, რომელიც მის პირდაპირ ეკიდა; შიგ ღია კარს მოჰკრა თვალი, ხოლო კარის ზღურბლზე ჟიზს... რომელიც თავზარდაცემულივით იდგა და შეჰყურებდა.

## V

ჟიზს წინადღით მიეღო დეპეშა, რომელიც ლოზანაში ანტუანის ყოფნისას კლოტილდას მადმუაზელის ნებართვითა და საკუთარი ინიციატივით გაეგზავნა ლონდონში. იგი მაშინვე წამოსულა და პარიზში ისე ჩამოსულა, არავინ გაუფრთხილებია; უნივერსიტეტის ქუჩაზე რომ მივიდა, მეკარის გამოკითხვა ვერ გაბედა და გულგახეთქილი პირდაპირ ბატონი ტიბოს ბინას მიადგა.

კარი ლეონმა გაუღო. ამან საბოლოოდ შეაშინა ჟიზი და ამიტომაც წამოიძახა:

— ბატონი ტიბო...

— ჯერ არა, მადმუაზელ!

— მაშ, ეს ფლერიუს 54—02 არაა? — ყვიროდა ვიღაც მეორე ოთახში. ჟიზი შეკრთა. ჰალუცინაცია ხომ არ დაეწყო?

— ალო! მადმუაზელ, გთხოვთ... ავადმყოფისთვის გაწუხებთ...

ჩემოდანი ხელიდან გაუვარდა. ფეხები უკანკალებდა. არც დაფიქრებულა, რას აკეთებდა, წინოთახი გადასჭრა და კაბინეტის კარს ორივე ხელი ჰკრა.

იგი იქ იდგა, ზურგშექცევით, კონსოლს დაყრდნობოდა. სარკეში პროფილი მოჩანდა, თვალდახრილი, შორეული. თითქმის არარეალური. ჟიზს არასოდეს არ სჯეროდა, რომ ჟაკი მკვდარი იყო. მაშასადამე, უპოვნიათ და მამის სასთუმალთან დაუბრუნებიათ!

— ალო... ექიმი ტიბო გელაპარაკებათ... დიახ... თუ შეიძლება...

ნელ-ნელა შეხედეს ერთმანეთს. ჟაკი ერთბაშად მობრუნდა, ხელში ყურმილი ეჭირა, საიდანაც სიტყვების ზუზუნი მოისმოდა.

— თუ შეიძლება... — გაიმეორა მან.

ყელში უჭერდა რაღაც. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, და როგორც იქნა, ერთადერთი სიტყვა ამოილუღლუღა: „ალო!“ უკვე აღარ იცოდა, სად იყო, რატომ რეკავდა. თავს ძალა დაატანა და გაიხსენა... ანტუანი, მომაკვდავი მამა, ჟანგბადი... „მამას სული ეხუთება!“ — გაიფიქრა უცებ. ყურმილის მკვეთრი ზუზუნი თავში უკაკუნებდა: „გისმენთ!“ — მოუთმენლად ჩასძახოდა ვიღაც. ამ დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვაზე ჟაკს ბრაზი ახრჩობს. აქ რას აკეთებს? რა უნდა მისგან? საერთოდ, რატომ არსებობს ამქვეყნად? მაშასადამე, ეს ამბები არ დამთავრებულა? არ დამთავრებულა?

ჟიზი არ განძრეულა. შავ, მრგვალ თვალებს, ერთგული ძაღლის მშვენიერ თვალებს, გაოცებისგან მეტი ციმციმი რომ დასტყობოდა, ნაზი შუქით გაესხივოსნებიათ მისი ყარაჩი სახე. ძალიან გამხდარა. ჟაკი ჯერ ვერც კი მიმხვდარიყო, მაგრამ ბუნდოვნად მაინც გრძნობდა, რომ ჟიზი ძალიან გალამაზებულიყო.

დაყოვნებული მოქმედების ყუმბარასავით გაისმა ბატონი შალის ხმა სიჩუმეში:

— ოო, ეს თქვენა ხართ? — თქვა მან და ბრიყვივით გაიღიმა.

ჟაკმა ყურმილი ნერვულად მიიდო ლოყაზე, მაგრამ მშვენიერ ზმანებას მაინც ვერ მოწყვიტა დაბნეული მზერა, რომელშიც გაშმაგება აღარ იკითხებოდა და ალუღლუღდა:

— თუ შეიძლება... გამოგზავნეთ... ჟანგბადი... თქვენი... თქვენი მანქანით... როგორ? რასაკვირველია, ბალიშებით... ავადმყოფისთვის... სულის ხუთვა დაეწყო...

ჟიზი ლითქოს ადგილზე მიაჯაჭვესო, მონუსხულივით აკვირდებოდა ჟაკს. მასთან შეხვედრის სცენა ათასჯერ მაინც წარმოედგინა: ბევრჯერ უოცნე-

ბია, ამდენი წლის ლოდინის შემდეგ როგორ ჩაიკრავდა მას გულში! ახლაც სწორედ ამაზე ფიქრობდა: „ჟაკი ხომ აქ იყო, ორი ნაბიჯის დაშორებით, მაგრამ მაინც მიუწვდომელი, სხვისი, უცხო! მის თვალებში რაღაც ისეთ ურყევს წააწყდა, რაც უარზე ძლიერი იყო. ჟიზი ინსტინქტურად მიხვდა, რომ ეს სინამდვილე სრულიად არ ჰგავდა მის ნაოცნებარს, რომ მისი ტანჯვა არ დამთავრებულა.

ჟაკი ტელეფონით ლაპარაკობდა და თან თვალს არ აშორებდა ჟიზს. ამ გამოხედვით ისინი თითქოს ერთმანეთს მიეკედლნენო: ამასობაში ჟაკი წელში გასწორდა და ხმა გაუმტკიცდა, მეტისმეტადაც კი გაუმტკიცდა:

— დიახ... სამი-ოთხი ბალიში... სასწრაფოდ!

ახლა იგი ჩვეულებრივზე ხმამაღლა, ათრთოლებული, ცხვირისმიერი, ნაძალადევად ლაღი ტონით ლაპარაკობდა:

— დიახ... მაპატიეთ, მისამართი... უნივერსიტეტის ქუჩა, ნომერი 4ა... არა, მე გითხარით 4 ა, ექიმი ტიბო... პირდაპირ მესამე სართულზე ამოდით... ოღონდ სწრაფად, ბატონო, გთხოვთ... ძალიან სასწრაფოა!

აუჩქარებლად, აკანკალებული ხელით დაჰკიდა ყურმილი. ვერც ერთს და ვერც მეორეს ნაბიჯის გადადგმა ვერ გაებედა.

— გამარჯობა! — თქვა ბოლოს ჟაკმა.

ჟიზი მთელი ტანით აცახცახდა. ბაგე გააპო, გაღიმება, პასუხის გაცემა სცადა. მაგრამ ამ დროს ჟაკი თითქოს ერთბაშად გამოერკვაო, ადგილს მოწყდა.

— ანტუანი მელოდება! — თქვა მან და კარს მიაშურა. — ბატონი შალი ყველაფერს გიამბობს. მას სული ეხუთება... ძალიან ცუდ დროს ჩამოხვედი.

— მართალი ხარ! — უპასუხა ჟიზმა და საშინლად დაიძაბა, რადგან ჟაკმა წინ ჩაუარა, — მიდი! მიდი, ჩქარა!

თვალები ცრემლებით აევსო. არავითარი გარკვეული მიზეზი, არავითარი საბაბი არ ჰქონდა, რომ ნაწყენი დარჩენილიყო. უხერხულობისა და უმწეობის მძიმე გრძნობამ შეიპყრო მხოლოდ. ერთხანს თვალი გააყოლა ჟაკს და, როცა წინოთახში მიმავალს უყურებდა, მაშინ უფრო დარწმუნდა, რომ იგი ნამდვილად ცოცხალი იყო, ნამდვილად დაბრუნდა. ჟაკი თვალს მიეფარა. ჟიზმა ნერვულად მოუჭირა ხელი ხელს და წაიბუტბუტა:

— ჟაკო!

ბატონი შალი ლენჩივით იდგა, უყურებდა ამ სცენას, მაგრამ ვერაფერი გაეგო. ჟიზთან მარტოდარჩენილმა იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, გადაწყვიტა საუბარი გაება.

— როგორც ხედავთ, მადმუაზელ ჟიზ, მე აქა ვარ! — თქვა მან და ხელით შეეხო სკამს, რომელზედაც ჩამოსკუპებულიყო.

ჟიზმა თავი მიაბრუნა, არ უნდოდა მისი ცრემლი დაენახათ. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ბატონმა შალმა დაუმატა:

— ველოდებით, როდის დავიწყოთ...

ეს სიტყვები ისეთი კონფიდენციალური ტონით წარმოთქვა, ჟიზმა ვერაფერი გაუგო და ჰკითხა:

— რა უნდა დაიწყოთ?

მოხუცმა ქონდრისკაცმა სათვალეებს მიღმა თვალები აახამხამა, ბაგეები მოკუმა და სიფრთხილით წარმოთქვა:

— სულთაბრძოლის ლოცვა, მადმუაზელ ჟიზ!

ამჯერად ჟაკი მამის ოთახში ისე შევარდა, თითქოს თავშესაფარი იქ ეგულებოდა.

ჭაღი აენთოთ. ბატონი ტიბო საწოლზე წამოეჯინათ. საშინელი სანახავი იყო: თავი უკან გადაევდო, პირი დაეღო: გულწასულს ჰგავდა. გადმოკარკლული, ღია თვალებს სიცოცხლის ნატამალი არ ეტყობოდა. წელში მოხრილ ანტუანს ორივე ხელით ეჭირა მამამისი, ხოლო სელინა ბალიშებს უწყობდა ირგვლივ, რომელთაც მონაზონი აწვდიდა.

— ფანჯარა გააღე! — დაუყვირა ძმას ანტუანმა.

ორპირმა ქარმა დაუქროლა ოთახს და ავადმყოფის მკვდრისფერ სახეს მიელამუნა. ნესტოები აუთრთოლდა; სუფთა ჰაერმა ფილტვებში ჩააღწია. მოისმა სუსტი, მოკლე, წყვეტილი ჩასუნთქვა; სამაგიეროდ, ამოსუნთქვა დაუსრულებლად გაგრძელდა; თითოეული ამოსუნთქვა ისეთი ნელი იყო, იტყოდით, მორჩა, უკანასკნელიაო.

ჟაკი ანტუანს მიუახლოვდა და წასჩურჩულა:

— ეს-ეს არის ჟიზი ჩამოვიდა!

ანტუანი არ განძრეულა, წარბები ოდნავ აზიდა მხოლოდ: ახლა, სიკვდილთან ასეთი ბრძოლის დროს, არასგზით არ შეეძლო სხვა რამეზე ეფიქრა. მცირეოდენი დაუდევრობა და, შესაძლებელია, ეს ათრთოლებული სუნთქვა სამუდამოდ შემწყდარიყო. ანტუანი თვალს არ აშორებდა ავადმყოფს და სარბიელზე გასულ მოკრივეს წააგავდა, მეტოქეს რომ მიშტერებია, გონება დაუძაბავს და ახალი თავდაცვისათვის ემზადება. წამითაც არ გახსენებია, რომ ორი დღის წინ მხსნელივით უხმობდა სწორედ იმ სიკვდილს, რომელსაც ახლა ასე თავგამოდებით ებრძოდა. მას ისიც კი გადაავიწყდა თითქმის, რომ სიცოცხლე, რომელიც ბეწვზე ეკიდა, მამამისს ეკუთვნოდა.

„საცაა ჟანგბადის ბალიშსაც მოიტანენ! — გაიფიქრა მან. — ხუთი წუთი, შესაძლებელია, ათი წუთიც, თუ გავძლით... როგორც კი ბალიში ხელთ მექნება... ოღონდ ვინმე უნდა დამეხმაროს, მე თავისუფალი უნდა ვიყო... მომვლელი ქალიც".

— ჟაკ, კიდევ ვინმე უნდა მოიშველიო... ადრიენი, კლოტილდა, სულ ერთია... ორმა უნდა დაიჭიროთ!

სამოახლოში არავინ დახვდა. ჟაკი სამრეცხაოში შევარდა. ჟიზი მანქანასთან იჯდა. ჟაკი შეყოყმანდა, დრო კი გადიოდა...

— ჰო, დიახ, შენ წამოდი! — გასძახა მან, მოხუცი შინაბერა წინოთახში შეუშვა და გააფრთხილა:

— თქვენ აქ კიბის თავთან იდექით. საცაა ჟანგბადის ბალიშებს მოიტანენ. მაშინვე წამოგვიღეთ.

როცა ჟაკი და ჟიზი ავადმყოფის საწოლთან მივიდნენ, ბატონი ტიბო, გულწასული დახვდათ. სახე გალურჯებოდა, პირი ფართოდ გაეღო და ბაგის კუთხეებიდან, მოყავისფრო დუჟი გადმოსდიოდა.

— სწრაფად! — წამოიძახა ანტუანმა. — აქეთ დადექით.

ჟაკმა ძმის ადგილი დაიკავა, ჟიზი სელინას შეენაცვლა.

— ენის ტრაქცია! — უბრძანა ანტუანმა სელინას, — ცხვირსახოცით. ცხვირსახოცით!

ჟიზს მუდამ ეხერხებოდა ავადმყოფის მოვლა: ლონდონში მომვლელთა კურსებიც კი გაევლო. ავადმყოფი რომ არ წაქცეულიყო, მხარში ამოუდგა, მაშინვე მაჯაზე წაავლო ხელი და დაუკვირდა მომვლელ ქალს, რომელიც ენის ტრაქციას აწარმოებდა; ჟიზი ამის მიხედვით ამოძრავებდა ავადმყოფის მკლავს, რითაც ანტუანის თვალებში მოწონება ამოიკითხა: ჟაკმა მეორე მაჯაზე სტაცა ხელი და იგივე მოძრაობა გაიმეორა. მაგრამ ბატონ ტიბოს უცებ ისე გაუწითლდა სახე, თითქოს ყელში წაუჭირეს ხელით.

— ერთი, ორი! ერთი, ორი! — ისმოდა ანტუანის ხმა.

კარი გაიღო.

ადრიენამ ჟანგბადის ბალიში მოარბენინა, ანტუანმა ბალიში ხელიდან გამოგლიჯა, ონკანი მოუშვა და სასწრაფოდ ჩაუდვა პირში მამამისს.

ერთი წუთი საუკუნედ მოეჩვენა, მაგრამ ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ნელ-ნელა, თანდათანობით აღუდგა სუნთქვა. სახეზე სიწითლემაც გაუარა და სისხლის მიმოქცევა ნორმალური გაუხდა.

ანტუანი თვალს არ აშორებდა ავადმყოფს და ბალიშს ფრთხილად უჭერდა მკლავს; მალე ჟაკსა და ჟიზს ანიშნა, ხელების მოძრაობა შეეწყვიტათ.

ჟიზისთვის ეს ნიშანი სწორედ რომ მისწრება იყო: გასავათებული იდგა. თავბრუ ეხვეოდა. საწოლის აუტანელ სუნს გაებრუებინა. უკან დაიხია და რომ არ დაცემულიყო, სკამის ზურგს წაავლო ხელი.

ძმები საწოლთან იდგნენ, წელში მოხრილნი. ბალიშებში ჩამჯდარი ბატონი ტიბო, პირში გაჩრილი ჟანგბადის ბალიშის ონკანით, ისვენებდა. სახის ნაკვთები დამშვიდებოდა. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით მისი დაწვენა არ შეიძლებოდა, სუნთქვისათვის თვალი უნდა ედევნებინათ. საფრთხემ ცოტა ხნით გაიარა.

ანტუანს უნდოდა მაჯა მოესინჯა, ბალიში მომვლელ ქალს გადაეცა, საწოლზე ჩამოჯდა და უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო.

მაჯა არათანაბარი და ნელი ჰქონდა.

„რომ შეიძლებოდეს ასე, მშვიდად მოკვდეს!“ გაიფიქრა მან ჯერ კიდევ არ აოცებდა ის წინააღმდეგობა, რაც ამ სურვილსა და სუნთქვის აღსადგენად ჩატარებულ გაშმაგებულ ბრძოლას შორის არსებობდა. მან თავი ასწია, ჟიზის გამოხედვა დაიჭირა და გაუღიმა. აქამდე ჟიზს ისე უყურებდა, როგორც დამხმარე იარაღს, იმაზე არც კი დაფიქრებულა, რომ ეს ჟიზი იყო! ახლა კი, როცა იქ, იმ ოთახში დაინახა, სიხარული ერთბაშად იგრძნო.

მერე მომაკვდავს დააცქერდა და ამჯერად აკვიატებული აზრი ველარ მოიშორა: „ჟანგბადის ბალიშის მოტანა რომ ხუთი წუთით დაეგვიანებიათ, ახლა ყველაფერი გათავებული იქნებოდა!“

## VI

სულის ხუთვა რომ არ დასწყებოდა, აბაზანის შემდეგ ბატონი ტიბო უჩვეულად იგრძნობდა შვებას. მალე კრუნჩხვებიც დაეწყო. რამდენიმე წუთით ჩათვლიმა და თითქოს იმიტომ დაისვენა, ტკივილებისათვის უკეთ გაეძლო.

ამ ორ შეტევას შორის ნახევარი საათიც არ გასულიყო, მაგრამ ორგანული და ნევრალგიური ხასიათის ტკივილებმა, ეტყობა, მთელი სიმწვავით ხელახლა იჩინა თავი, რადგან ავადმყოფი ამ ხანმოკლე შესვენების დროსაც განუწყვეტლივ ბორგავდა და კვნესოდა. მესამე შეტევა თხუთმეტი წუთის დაყოვნებით დაეწყო. მერე კი მეტ-ნაკლები სიძლიერის შეტევები რამდენიმე წუთის ინტერვალით მეორდებოდა.

ექიმმა ტერივიემ დილით შემოიარა, დღისითაც რამდენჯერმე დარეკა, ხოლო საღამოს ცხრა საათისათვის ავადმყოფი კვლავ ინახულა. როცა სა-

ძინებელ ოთახში შევიდა, ბატონი ტიბო ისე გაშმაგებით ფართხალებდა, მიხვდა, მომვლელებს უჭირდათ მისი დაკავება, საცაა ხელიდან დაუსხლტებოდა, და სასწრაფოდ მიეშველა. ექიმმა სცადა ფეხი დაეჭირა, მაგრამ დაუსხლტა და ისეთი დარტყმა მიიღო, კინაღამ დაეცა. საოცარი იყო, ამ მოხუცს საიდა ჰქონდა ასეთი ძალა!

როგორც კი სხეულის კანკალი შეწყდა, ანტუანმა მეგობარი ოთახის მეორე კუთხეში გაიყვანა, უნდოდა მოელაპარაკებოდა, რამდენიმე სიტყვა კიდეც უთხრა (მაგრამ მთელ ოთახში ისეთი საშინელი ღმუილი ისმოდა, ტერივიემ ვერაფერი გაიგონა), მერე ერთბაშად შეჩერდა, ტუჩები აუკანკალდა და ისე შეეცვალა სახის ნაკვთები, ტერივიე სახტად დარჩა. ანტუანმა ძალა მოიკრიბა, დაიხარა და მეგობარს ყურში ჩასჩურჩულა:

— ძმობილო, ხომ ხედავ... ხომ ხედავ... ამისატანა შეუძლებელია... გარწმუნებ...

იგი გულთბილად, ჩაციებით შესცქეროდა აღელვებულ კაცს, თითქოს მისგან ელისო ხსნას.

ტერივიემ თვალები დახარა.

— დამშვიდდი, — თქვა მან, — დამშვიდდი!

შემდეგ წამით დაფიქრდა და უთხრა:

— აბა, დაფიქრდი... მაჯა სუსტია... ოცდაათი საათია შარდის დენა შეწყვეტილია: ურემია მწვავდება, შეტევები გაუხშირდა. მესმის, ილაჯი გაგიწყდა, მაგრამ მოითმინე: საცაა დასასრულიც დადგება.

ანტუანმა მხრები ჩამოუშვა, უაზროდ გახედა საწოლს და აღარაფერი უთქვამს. სახის გამომეტყველება სრულიად შეეცვალა. გაოგნებული იდგა... საცაა დასასრული დადგებაო... იქნება მართლაც ასე მოხდეს?

ადრიენისა და მოხუცი მონაზვნის თანხლებით ოთახში ჟაკი შემოვიდა. მომვლელთა შეცვლის დრო მოსულიყო.

ტერივიე ჟაკს მიუახლოვდა.

— დამით მე დავრჩები თქვენთან ერთად, იქნებ თქვენმა ძმამ ცოტა ხანს მაინც დაისვენოს.

ანტუანმა ყური მოჰკრა. წამით კინაღამ დათანხმდა ტერივიეს წინადადებას: მოშორებოდა ამ ოთახს, წამოწოლილიყო, სიჩუმეში, იქნებ კიდეც დაეძინა, დაევიწყა ყველაფერი. ცთუნება მართლაც ძლიერი იყო. მაგრამ მაშინვე გამოერკვა:

— არა, ძმაო! — მტკიცედ უთხრა მან, — მადლობელი ვარ, არა.

თვითონვე არ ესმოდა, რატომ ამბობდა უარს, მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობდა, სწორად იქცეოდა. თვითონ უნდა ყოფილიყო ყველაფრის

პასუხისმგებელი, ბედისწერასაც მარტო უნდა შეხვედროდა. და რადგან მისმა მეგობარმა ხელი ასწია, ანტუანმა სწრაფად შეაწყვეტინა:

— ნუღარ ჩამაცივდები! ასე გადავწყვიტე. ამ საღამოს აქ საკმაოდ ვართ და ჯერჯერობით გავუძლებთ... შენ მერე უფრო დაგვჭირდები.

ტერივიემ მხრები აიჩეჩა. იფიქრა, შესაძლებელია, დიდხანს გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობაო, თანაც ანტუანის ნება-სურვილს მუდამ უსიტყვოდ ემორჩილებოდა და ახლაც ესღა უთხრა:

— კეთილი. ოღონდ იცოდე, ხვალ საღამოს გინდა თუ არ გინდა...

ანტუანი არ განძრეულა. ხვალ საღამოს? ხვალაც იგივე კრუნჩხვები, იგივე ბღავილი? ვინ იცის? იქნებ, ასეც იყოს! ნამდვილად შესაძლებელია!.. ზეგაც. რატომაც არა?.. ძმის თვალებს წააწყდა. მხოლოდ ჟაკს ესმოდა მისი გასაჭირი და კიდეც იზიარებდა.

ავადმყოფის ზმუილი შეტევის მოახლოებას მოასწავებდა. ანტუანს თავისი პოსტი უნდა დაეკავებინა, ხელი გაუწოდა ტერივიეს, რომელმაც მაგრად ჩამოართვა, უნდოდა ეთქვა, გამხნევდიო, მაგრამ ვერ გაბედა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან. ანტუანმა თვალი გააყოლა. მძიმე ავადმყოფის სასთუმალს თავდადებულს რამდენჯერ ნაძალადევი ღიმილით ჩამოურთმევია ხელი ქმრისათვის, თვალი აურიდებია დედის შემოხედვისათვის და როგორც კი ოთახიდან გასულა, სწორედ ისეთივე შვება უგრძვნია, რაც ახლა ტერივიეს მსუბუქ ნაბიჯებს ეტყობოდა.

ზედიზედ, თითქმის განუწყვეტლივ, მეორდებოდა შეტევა, ხოლო საღამოს ათ საათზე მწვერვალს მიაღწია.

ანტუანი გრძნობდა, რომ ირგვლივ ყველას ღალატობდა ძალა. მოეშვნენ, აღარაფრის თავი აღარ ჰქონდათ. ჩვეულებრივ, როგორც კი სხვის სისუსტეს შეამჩნევდა, თვითონ მაშინვე ენერგია ემატებოდა, მაგრამ ახლა იმ ზომამდე იყო მისული, მის მორალურ წინააღმდეგობას ფიზიკური მოდუნება ვეღარ დაეძლია. ლოზანაში წასვლის შემდეგ ეს მეოთხე ღამე იყო, რაც არ დაუძინია, აღარც არაფერს ჭამდა და დღეხაც თავს ძალა დაატანა, რომ ცოტაოდენი რძე დაელია. მისი ერთადერთი მასულდგმულებელი ცივი ჩაიდა იყო, რომლითაც დროდადრო პირამდე ავსებდა ჭიქას და სვამდა. ნერვული აღგზნება რაღაც მოჩვენებით ენერგიას ანიჭებდა. სინამდვილეში, ის, რასაც ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვდა მისგან, ეს მოთმინება, მოლოდინი, ეს ყალბი ენერგიულობა, რაც სრული უსუსურების გრძნობას ნიღბავდა, ფრიად ეწინააღმდეგებოდა მის ხასიათს და იძულებული იყო აუტანლად დაძაბული ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, საჭირო იყო, რადაც

უნდა დაჯდომოდა, ნებისყოფა მოეკრიბა და უკანასკნელი ძალა ამ ბრძოლაში დაეხარჯა, რადგან ტკივილები განუწყვეტლივ მეორდებოდა!

საღამოს თერთმეტ საათზე, მორიგი შეტევის შესუსტებისას, როცა ოთხივენი წელში მოხრილნი იდგნენ და უკანასკნელ კრუნჩხვას თვალს ადევნებდნენ, ანტუანი ერთბაშად წელში გასწორდა და სინანულით ჩაიქნია ხელი: ზეწარზე კვლავ გამოჩნდა სველი ლაქა: თირკმელი ხელახლა ამუშავებულიყო და, რაც მთავარია, ძალიან ენერგიულადაც.

ჟაკმა თავი ვერ შეიკავა და გაცოფებულმა მამამისს ხელი გაუშვა. ეს უკვე მეტისმეტი იყო! თუ იგი აქამდე ფეხზე იდგა, იცოდა, რომ ორგანიზმის მოწამვლის გამო სიკვდილი გარდუვალი იყო. ახლა კი რა გამოდის? აღარაფერი ესმოდა. ჩანდა, ორი დღის განმავლობაში სიკვდილი მათ თვალწინ გაშმაგებით აწყობდა ხაფანგს: და როგორც კი ზამბარა დაიჭიმებოდა, ტკაც! უკანასკნელ წუთში უკან იხევდა: ყველაფერი ხელახლა უნდა დაეწყოთ.

ჟაკი დაღლილობას აღარ მალავდა. შეტევის გავლისთანავე ჩაეგდებოდა ხოლმე სავარძელში და გაბოროტებული, წელმოწყვეტილი, იდაყვებს მუხლებზე დაიწყობდა, მუშტებს თვალებთან მიიტანდა და 3—4 წუთის განმავლობაში თვლემდა. ყოველი ახალი შეტევის დაწყებისთანავე იძულებულნი იყვნენ რამდენჯერმე დაეძახათ მისთვის, შეენჯღრიათ, გაეღვიძებინათ.

შუაღამისას ძალიან გაუჭირდათ, ბრძოლა შეუძლებელი ხდებოდა.

შეტევა ზედიზედ სამჯერ განმეორდა და მალე მეოთხეც დაერთო, ჩანდა, ყველაზე ძლიერი იქნებოდა: ჩვეულებრივ სიმპტომებს გაორკეცებული ძალა ემჩნეოდათ. გაძნელებული სუნთქვა, ჩასისხლიანებული სახე, ბუდიდან ამოვარდნილი თვალები, ერთმანეთს მიკრული წინამხრები იმდენად მოხრილიყო, რომ ხელები არც კი უჩანდა, ხოლო ხელის მტევნები ნიკაპთან, წვერის ქვეშ მოეკრუნჩხა და ორ ტაკვს წააგავდა... კიდურები, სხეულის ყოველი ნაკვთი დაკრუნჩხვოდა და უცახცახებდა. დაჭიმული კუნთები ლამის დაწყვეტოდა. კიდურთა გაშეშება ასე დიდხანს არასოდეს გაგრძელებულა. წუთი წუთს მისდევდა, დაძაბულობის ოდნავი შესუსტებაც კი არ იგრძნობოდა; სახეზე მიწისფერი ედო; ანტუანს უკვე ეგონა, სიკვდილი მოახლოვდაო.

როგორც იქნა, ხრიალი აღმოხდა დორბლმორეულ ბაგეებს. მკლავები ერთბაშად მოუდუნდა და კიდურთა ფართხალი დაეწყო.

ამჯერად ავადმყოფი ისე ძლიერად ბორგავდა, რომ მის შესაჩერებლად დამაწყნარებელი პერანგი დასჭირდებოდათ, ალბათ. ანტუანმა ჟაკი, ხნიერი

მომვლელი და ადრიენი მოიშველია და გაშლეგებულ მამაშისს კიდურები გაუკავა. ავადმყოფი ხელ-ფეხს ჰკრავდა მათ და ისინიც ისე ეჯაჭებოდნენ ერთმანეთს, იტყოდით, ფეხბურთს თამაშობენო. პირველად ადრიენს გაუსხლტა ავადმყოფის ფეხი და ვეღარც დაიჭირა. მოხუცმა მონაზონმაც დაჰკარგა წონასწორობა და ახლა მეორე ფეხიც გაუსხლტდათ ხელიდან. ამგვარად, ავადმყოფის ორივე ფეხი თავისუფლად ფართხალებდა ჰაერში; გადატყაული ფეხის გულები ისედენჯერ მოხვდა ხის საწოლს, რომ სულმთლად დაუსისხლიანდა. აქლოშინებული, ოფლში გაღვრილი ანტუანი და ჟაკი წელში მოხრილიყვნენ, ცდილობდნენ ეს უზარმაზარი ცოცხალი მასა როგორმე შეეკავებინათ, რათა კრუნჩხვებისაგან შეხტომის დროს საწოლიდან არ გადავარდნილიყო.

ეს სიშმაგეც დაცხრა (იგი ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო) და ავადმყოფი შუა ლოგინზე დააწვინეს; ანტუანმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. იგი ისეთ ნერვულ დაძაბულობას გრძნობდა, კბილს კბილზე აცემინებდა, შეცივნულივით მიუახლოვდა ბუხარს, უეცრად თავი ასწია და ცეცხლის ალით განათებულ სარკეში საკუთარი მოღრეცილი სახე, აწეწილი თმა და შეშლილი თვალები დაინახა. იგი შემობრუნდა, სავარძელში ჩაეგდო, თავზე წაივლო ხელები და აქვითინდა. კმარა, მეტი აღარ შეუძლია, აღარ... ის ცოტაოდენი ძალა, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა, ერთ სასოწარკვეთილ სურვილში გადმოანთხია: „ოღონდაც, მალე გათავდეს ყველაფერი!“ რაც მოსახდენია, მოხდეს! ოღონდ, ვერც ერთ ღამეს, ვერც ერთ დღეს ვეღარ დაესწრება, ასე გულხელდაკრეფილი ვეღარ უყურებს ამ ჯოჯოხეთურ სანახაობას!

ჟაკი მიუახლოვდა. სხვა დროს, იქნებ, მკლავებში ჩავარდნოდა ძმას, მაგრამ ახლა მგრძნობელობაც ისევე დაჩლუნგებოდა, როგორც ენერგია, და ანტუანის სასოწარკვეთილებამ თანაგრძნობის ნაცვლად საბოლოოდ გააქვავა. იგი ადგილზე გაშეშდა და გაოცებული შეჰყურებდა ამ დაქანცულ, ოფლში გაღვრილ, დაღმეჭილ სახეს, და უცებ მივიწყებული იერი აღმოაჩინა, იმ ბიჭის ცრემლიანი სახე დაინახა, რომელსაც აქამდე არ იცნობდა.

შემდეგ აკვიატებული აზრი ხელახლა გაახსენდა:

— ანტუან, იქნებ... იქნებ, ვინმესთვის გეკითხა რჩევა?

ანტუანმა მხრები აიწურა. განა რაიმე საშველი რომ ყოფილიყო, თვითონვე არ მოიწვევდა კონსილიუმზე კოლეგებს? მან მკვახედ უპასუხა რაღაც, მაგრამ ჟაკმა ვერ გაიგონა: ხელახლა გაისმა ყვირილი, რაც ყოველ შეტევას უსწრებდა წინ.

ჟაკი აღშფოთდა.

— ბოლოს და ბოლოს, ანტუან, რაღაც მოიფიქრე! — დაუყვირა მან. — შეუძლებელია რაიმე საშუალება არ არსებობდეს!

ანტუანმა კბილები დააკრაჭუნა. თვალები გაშრობოდა. თავი ასწია, ძმას მკაცრად შეხედა და წაიბუტბუტა:

— დიახ, არსებობს! ერთი რამ მუდამ ჩვენს ხელთ არის!

ჟაკი ნიუხვდა. თვალები არ დაუხრია, არც განძრეულა... ანტუანი უკვირდებოდა, ბოლოს წაიჩურჩულა:

— ამაზე არასოდეს გიფიქრია?

თანხმობის ნიშნად ჟაკმა თავი დაუქნია. მან ღრმად ჩახედა ძმას თვალებში, და წამით იგრძნო, რომ იმ წუთში ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ: იგივე ნაოჭი წარბებს შორის, სასოწარკვეთილებისა და შემართების იგივე გამომეტყველება, იგივე ნიღაბი: „ყველაფრის ჩამდენი".

სიბნელეში გახვეულიყვნენ ცეცხლის პირას; ანტუანი იჯდა, ჟაკი ფეხზე იდგა. ავადმყოფი ისე ხმამაღლა ყვიროდა, რომ საწოლის წინ ჩაჩოქილი, დაღლილობისგან ილაჯგაწყვეტილი ქალები მათ ლაპარაკს მაინც ვერ გაიგონებდნენ.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ ანტუანმა ამოიღო ხმა:

— შენ თვითონ თუ ჩაიდენდი ამას?

სასტიკი, პირდაპირი შეკითხვა იყო, მაგრამ ხმაში ოდნავი ბზარი შეიმჩნეოდა. ამჯერად ჟაკმა თვალი აარიდა და ბოლოს კბილებში გამოსცრა:

— თვითონაც არ ვიცი... ალბათ, არა!

— ჰოდა, მე კი ჩავიდენდი! — მაშინვე უთხრა ანტუანმა.

იგი სწრაფად წამოვარდა, მაგრამ ადგილზევე გაშეშდა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და ჟაკისკენ გადაიხარა:

— მკიცხავ, ხომ?

ჟაკმა წყნარად, უყოყმანოდ მიუგო:

— არა, ანტუან.

კვლავ შეხედეს ერთმანეთს და შინ დაბრუნების შემდეგ პირველად განიცადეს გრძნობა, რომელიც სიხარულს ჰგავდა.

ანტუანი ბუხარს მიუახლოვდა, მკლავები გაშალა, ბუხრის მარმარილოს ხელები ჩაავლო, წელში მოიხარა და ცეცხლს დააცქერდა.

გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა. ახლა სისრულეში უნდა მოეყვანოს. როდის? ან როგორ? ჟაკის გარდა სხვა მოწმე არ უნდა ჰყავდეს. მალე შუაღამე იქნება. ღამის პირველ საათზე ლეონი და სელინა შეცვლიდნენ.

მაშასადამე, პირველ საათამდე უნდა მოთავდეს. ადვილი საქმეა. ჯერ სისხლს გამოუშვებს და სისუსტეს გამოიწვევს, ავადმყოფი ჩათვლემს, რაც საშუალებას მისცემს ახალი ცვლის მოსვლამდე მოხუცი მონაზონი და ადრიენი დასასვენებლად გაუშვას. მარტო დარჩება ჟაკთან... ხელი მკერდზე წოისვა და მის თითებს მორფიუმის პატარა ამპულა შოხვდა, რასაც ჯიბით ატარებდა... რამდენი ხანია? იმ დილას, როცა შვეიცარიიდან დაბრუნდა და ტერივიესთან ერთად ძირს ჩავიდა ოპიუმის მოსატანად... ეს კონცენტრირებული ხსნარი ყოველ შემთხვევისათვის ჩაიდვა ჯიბეში. შპრიცთან ერთად... ყოველი შემთხვევისათვის? მაინც რატომ? კაცი იტყოდა, ყველაფერი წინასწარ გაუთვალისწინებია და ახლა დიდი ხნის წინ მოფიქრებული გეგმა მოჰყავს სისრულეშიო...

ამასობაში ახალი შეტევა ახლოვდებოდა. სანამ გაივლიდა, უნდა მოეთმინათ. ჟაკი უკვე გამხნევებული იდგა თავის პოსტზე. „უკანასკნელი შეტევა!" გაიფიქრა ანტუანმა და საწოლს მიუახლოვდა. ჟაკის თვალებშიც იგივე ამოიკითხა.

საბედნიეროდ, კრუნჩხვები ჩვეულებრივზე ხანმოკლე აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ისეთივე ძლიერი იყო, როგორც წინა შეტევები.

სანამ ავადმყოფი ბორგავდა და დორბლებს ყრიდა, ანტუანი მონაზონს მიუბრუნდა:

— იქნებ, სისხლის გამოშვებამ შვება მოუტანოს. როგორც კი დაწყნარდება, იარაღების ყუთი მომიტანეთ.

შედეგი იმწამსვე იგრძნეს. სისხლის დაკარგვით დასუსტებულმა ბატონმა ტიბომ ჩათვლიმა.

ქალები ისე იყვნენ დაოსებულნი, რომ აღარ აუჩემებიათ, ცვლის მოსვლას დაველოდებითო. ანტუანის პირველივე შეთავაზებით ისარგებლეს და დასასვენებლად წავიდნენ.

ჟაკი და ანტუანი მარტო დარჩნენ.

საწოლს მოშორდნენ: ადრიენს კარი ღიად დაეტოვებინა და ანტუანი მის დასახურად გაემართა. ჟაკი, თითონაც არ იცოდა, რატომ, ბუხარს მიუახლოვდა.

ანტუანმა თვალი აარიდა ძმას: იმ წუთში არავითარი სურვილი არ ჰქონდა ვინმე ახლობელი ჰყოლოდა გვერდით. თანამონაწილეა სჭირდებოდა!..

ჯიბის სიღრმეში ნიკელის პატარა ყუთი მოსინჯა. თავისთავს ორი წუთის დაფიქრების დრო მისცა. იმიტომ კი არა, რომ ერთხელ კიდევ აეწონ-

დაეწონა ყველაფერი! წესად ჰქონდა: იმის მოზომვა-მოფიქრება აღარ დაეწყო ხელახლა, რამაც ესა თუ ის მოქმედება გადააწყვეტინა. მაგრამ შორიდან თეთრ ბალიშს და იმ სახეს უყურებდა, რომელიც ავადმყოფობამ დღითი დღე უფრო ახლობელი გახადა მისთვის, წამით სიბრალული იგრძნო და გულს ნაღველი შემოაწვა.

ორი წუთიც გავიდა.

„შეტევის დროს ნაკლებად გამიჭირდებოდა ამის გაკეთება!" — გაიფიქრა მან და სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა საწოლს.

ამპულა ჯიბიდან ამოიღო, შეანჯღრია, ნემსი შპრიცს გაუყარა და შეჩერდა. თვალებით ეძებდა რაღაცას. მხრები ოდნავ აიწურა: სპირტქურა ვერსად შეამჩნია, რომ პლატინის ნემსის წვერი გაეხურებინა.

ჟაკი ვერაფერს ხედავდა: ძმის მოხრილი ზურგი საწოლს უფარავდა. მით უკეთესი! ბოლოს, მაინც გადაწყვიტა და ერთი ნაბიჯით გვერდით გადადგა: ჩანს, მამას ჩასძინებია. ანტუანმა სახელოზე ღილი გაუხსნა და აუწია.

„სისხლი მარცხენა მკლავიდან გამოვუშვი! — ფიქრობს ანტუანი, — მარჯვენაში ნემსს გავუკეთებ!"

ჯანაოჭრებულ კანს თითებში მოიმწყვდევს და შპრიცს აღმართავს.

ჟაკს ხელი უკანკალებს და ბაგესთან მიაქვს.

ნემსი მშრალი ხრჭიალით შედის კანში.

მძინარეს კვნესა აღმოხდება, მხარი უცახცახებს. სიჩუმეში ანტუანის ხმა გაისმის:

— არ გაინძრე, მამა... ეს ტკივილებს შეგიმსუბუქებს!

„უკანასკნელად ელაპარაკება!" — ფიქრობს ჟაკი.

სითხის დონე თანდათან იკლებს შპრიცში. ახლა რომ შემოვიდნენ... აღარ გათავდა? ჯერ არა. ანტუანი ნემსს მკლავში ტოვებს, ფრთხილად იღებს შპრიცს და მეორედ ავსებს. სითხე თანდათან უფრო ნელა ჩადის... ახლა რომ შემოვიდნენ... კიდევ ერთი კუბიკური სანტიმეტრი და... რა ნელა მიდის!.. რამდენიმე წვეთიღა დარჩა...

ანტუანი სწრაფად ამოიღებს ნემსს, შესიებულ ადგილს უსრესს, სადაც ვარდისფერი მარგალიტი ციმციმებს, შემდეგ სახელოს შეუკრავს და საბანს დაახურავს. რასაკვირველია, მარტო რომ იყოს, ამ გაფითრებულ შუბლს ეამბორებოდა: ოცი წლის მანძილზე პირველად გაუჩნდა სურვილი მოფერებოდა მამას... წელში გასწორდა, უკან დაიხია, შპრიცის კოლოფი ხალათის ჯიბეში ჩაიდო და მიმოიხედა, ხომ წესრიგშია ყველაფერიო! ბოლოს

ძმისკენ მიაბრუნა თავი და მისი სასტიკი, გულგრილი გამოხედვა თითქოს ეუბნებოდა:

„მორჩა!“

ჟაკს სურს მიუახლოვდეს, ხელი მოჰკიდოს, მოეხვიოს და ამით გამოხატოს... მაგრამ ანტუანი უკვე გაბრუნდა, სელინას დაბალი სკამი საწოლისაკენ მისწია და სასთუმალთან დაჯდა.

მომაკვდავს მკლავი საბანზე გაუშვიმავს. მისი მტევანი ზეწარივით თეთრია. ოდნავ ცახცახებს: მაგნიტური ისრის თრთოლვასავით. ანასობაში მორფიუმი უკვე მოქმედებს, და, მიუხედავად ამდენი ხნის ტანჯვისა, სახის ნაკვთებს დაძაბულობა აღარ ეტყობა: ამ სასიკვდილო გაოგნებას თითქოს ძალის გამაჯანსაღებელი სიტკბოება დაჰკრავს.

ანტუანი გარკვეულად ვერაფერზე ფიქრობს. თითებით მაჯას უსინჯავს, რომელიც სწრაფად და სუსტად ცემს: დაძაბული ყურადღებით მექანიკურად ითვლის: 46, 47... 48...

იმის შეგრძნება, რაც მან ეს-ეს არის ჩაიდინა, უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება. სამყაროს ცნება ბურუსით იფარება... 59, 60, 61... თითები მაჯას მოშორდა. უდარდელი, ნეტარი სრიალი გულგრილობისკენ... თავდავიწყების ტალღა ყველაფერს გადარეცხს...

ჟაკი დაჯდომასაც ვერ ბედავს, ეშინია ძმა არ გამოაფხიზლოს. დაღლილობით წელში გამწყდარი ფეხზე დგას და თვალს არ აშორებს მომაკვდავის ბაგეებს, რომლებიც ფითრდება, ფითრდება; სუნთქვაც ძლივს ისმის.

ჟაკს შიში იპყრობს და გადაწყვეტს, გაინძრეს. ანტუანი წამოვარდება, საწოლს შეხედავს, მამას უკვირდება და წყნარდა აიღებს მის ხელს.

— წადი, სელინას დაუძახე! — ეუბნება ძმას ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

როცა ჟაკი მოწვლელი ქალისა და მზარეულის თანხლებით დაბრუნდა, ავადმყოფი ღრმად და თანაბრად სუნთქავდა, ოღონდ უცნაური ხმაური ისმოდა ხორხიდან.

ანტუანი გულხელდაკრეფილი იდგა. ჭაღი აენთო.

— მაჯისცემა შეუმჩნეველია! — თქვა მან, როგორც კი სელინა მიუახლოვდა.

მაგრამ მონაზონი იმ აზრისა იყო, რომ მომაკვდავის უკანასკნელი წუთებისა ექიმებს არაფერი გაეგებათ, და რომ ამისთვის განსაკუთრებული გამოცდილებაა საჭირო. მან არაფერი უთხრა ანტუანს, დაბალ სკამზე ჩამოჯდა, მაჯა ხელში აიღო და გაქვავებულ სახეს კარგა ხანს დააცქერდა;

შემდეგ ოთახის სიღრმეში გაიხედა და თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. კლოტილდა მაშინვე გავიდა ოთახიდან.

სულისხუთვამ იმატა და ეს ხრიალი საშინელი მოსასმენი გახდა. ანტუანმა შეამჩნია, რომ ჟაკს შიშისგან სახე მობრეცოდა, მასთან მისვლა დააპირა, უნდოდა ეთქვა, ნუ გეშინია, აღარაფერს აღარ გრძნობსო. მაგრამ უცებ კარი გაიღო. ჩურჩული მოისმა: კლოტილდამ შემოიყვანა მადმუაზელ დე ვეზი, რომელიც ღამის კოფთაში კუზიანს წააგავდა; ადრიენი უკან მოსდევდა მათ, ბოლოს კი ბატონი შალი მოდიოდა ფეხისწვერებზე.

განერვიულებულმა ანტუანმა ანიშნა, ოთახში არ შემოხვიდეთო, მაგრამ ოთხივეს კარის ზღურბლთან ჩაეჩოქა უკვე. მადმუაზელის მკივანა ხმამ სიჩუმე გააპო და მომაკვდავის ხრიალიც დაფარა:

„ო, იესო ქრისტე... წარვსდექ შენს წინაშე გულგაპობილი...“

აკანკალებული ჟაკი ძმას მივარდა:

— უთხარი, შეწყვიტოს!.. გესმის?

ანტუანმა ისე მკაცრად გადახედა, ჟაკს ხმა ჩაუწყდა.

— თავი დაანებე! — წაიბუტბუტა მან, დაიხარა და დაუმატა: — თითქმის მოკვდა ყოველივე. მას აღარაფერი ესმის.

ანტუანს გაახსენდა ის საღამო, როცა ბატონმა ტიბომ საზეიმო ფიცი ჩამოართვა მადმუაზელ დე ვეზს, სასიკვდილო სარეცელთან სულთაბრძოლის ლოცვას მეტყვიო, და გული აუჩუყდა.

მონაზვნებმაც ჩაიჩოქეს საწოლის ორივე მხარეს. სელინას ხელი არ მოუშორებია მომაკვდავის მაჯისთვის... „რა ჟამს ბაგენი ჩემნი, ცივნი, ლურ... ჯნი და ათრთო... ლე... ბულნი, უკანას... კნელად წარმოთ... ქვამენ სათაყვა... ნებელსა სახელ... სა შენსა, მოწყალეო იესოვ, შე... მინდე!“

(იმ მცირეოდენმა ნებისყოფამ, რომელიც ოცი წლის მონობისა და თავგანწირვის შემდეგ შინაბერას ჯერ კიდევ შერჩენოდა, ახლა ერთბაშად იჩინა თავი და საშუალება მისცა დაპირება შეესრულებინა).

„როს დაწვენი ჩემ... ნი, გაფითრე... ბულნი და შთაც... ვივნულნი, სიბრა... ლულსა და შიშს აღძრა... ვენ ჩემს ახლობ... ლებში, მოწყალეო იესოვ, მომიტევენ!..“

„როს სასიკ... ვდილო ოფლ... ში გაღვრილი ჩემი თმა...“.

ანტუანი და ჟაკი თვალს არ აშორებდნენ მამას. ქვედა ყბა ჩამოვარდნოდა. ქუთუთოები მოწევებოდა და მიშტერებულ თვალებს აჩენდა. დასასრულია? სელინას მომაკვდავის მაჯა ხელში ეჭირა, სახეში შეჰყურებდა და არ ინძრეოდა. მადმუაზელის მონოტონური ქოშინა ხმა, რომელიც გახვრეტილი ფარმოხის გულისწამღებ წრიპინს წააგავდა, განაგრძობდა:

„როს აჩრდი... ლებით აზორგე... ბული გონება ჩემი მომაკვდი... ნეზელი შიშით აღავსებს სულსა ჩემსა, მოწ... ყალეთ იესო, მონიტევენ!..

როს ჩემი მისუს... ტებული გული..."

ბატონი ტიბო თანდათან უფრო ფართოდ აღებდა პირს. კბილზე ოქროს გვირგვინი აპრიალდა. ნახევარი წუთი გავიდა. სელინა არ ინძრეოდა. ჟოლოს მკლავს ხელი უშვა, თავი ასწია და ანტუანს შეხედა. მომაკვდავს პირი ფართოდ დარჩენოდა დაღებული. ანტუანი დაიხარა... მამამისს გული აღარ უცემდა... მაშინ, გაშეშებულ შუბლს ხელისგული დაადო და ცერით ნელა, სათითაოდ დაუხურა ორივე ქუთუთო; ერთხანს ხელი არ მოუშორებია, თითქოს ეს საალერსო შეხება მარადიულ სასუფეველამდე გაჰყვებოდა მიცვალებულს; შემდეგ მონაზონს მიუბრუნდა და ხმამაღლა უთხრა:

— ცხვირსახოცი მომაწოდეთ, გეთაყვა!..

ორივე მოახლეს ქვითინი წასკდა.

მადმუაზელ დე ვეზი ოთხზე იდგა მუხლმოდრეკილი ბატონი შალის გვერდით, თეთრ კოფთაზე ჩამოშვებული ნაწნავი ვირთხის კუდს მიუგავდა, გულგრილად შეხვდა იმ ამბავს, რაც მოხდა და მოთქმა განაგრძო: — „ოდეს სული ჩემი მოწყ...დების ბაგესა ჩემსა და ამა ქვეყ...ნითგან სამუ... დამოდ განქ... რების..."

იძულებული გახდნენ აეყენებიათ, ხელი მოეკიდათ, წაეყვანათ და აი, როცა საძინებელი ოთახიდან გავიდა, ეტყობა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაც მოხდა და ბავშვივით აზლუქუნდა.

ბატონი შალიც ტიროდა. ჟაკს მკლავზე ჩამოპროწიალებოდა, ჩინური კერპივით აქნევდა თავს და იმეორებდა:

— ასეთი რამ ქვეყანაზე არ უნდა ხდებოდეს, ბატონო ჟაკ...

— „ჟიზი სადღაა!" — გაიფიქრა ანტუანმა, როცა ყველანი გაისტუმრა ოთახიდან.

სანამ თვითონაც გავიდოდა, მობრუნდა და უკანასკნელად გადაავლო თვალი იქაურობას. როგორც იქნა, მრავალი კვირის შემდეგ სიჩუმეს ხელახლა დაესადგურებინა ამ ოთახში.

ჭაღის მკვეთრი შუქი რომელიღაც ლეგენდარული პერსონაჟის თეატრალურ და იდუმალ სახეს აძლევდა ბალიშზე მისვენებულ ბატონ ტიბოს.

იგი საოცრად გაზრდილი ჩანდა, ხოლო ყბაზე აკრული ცხვირსახოცის შეკრული ბოლოები თავზე რქებივით აშვეროდა სასაცილოდ.

## VII

ანტუანი და ჟაკი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს კიბის საქცევზე. სახლს ეძინა; კიბეზე დაფენილი ხალიჩა ფეხის ხმას ახშობდა. ძმები უხმოდ, ფიქრებისგან დაცლილი გონებითა და აჩქარებული გულით ჩაჰყვნენ კიბის საფეხურებს. ვერც ერთს ვერ დაეოკებინა ის ცხოველური ნეტარება, რასაც ორივე მოეცვა უკვე.

ლეონი მათზე ადრე ჩასულიყო ქვევით, სინათლე აენთო, საკუთარი ინიციატივით ვახშამი გაეწყო ანტუანის კაბინეტში და ოთახიდან გასულიყო.

ჭაღის ქვეშ ეს პატარა მაგიდა, თეთრი სუფრა, ორი სულისათვის დადგმული ჭურჭელი იმპროვიზირებული ზეიმის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ძმებმა ვითომ ვერაფერი შეამჩნიეს, უსიტყვოდ მიუსხდნენ სუფრას, ცოტა არ იყოს, ეუხერხულებოდათ შიმშილის გამჟღავნება და, ალბათ, ამიტომაც ცდილობდნენ სახიდან შეწუხებული იერი არ მოეშორებინათ. თეთრი ღვინო გრილი იყო. პური, ცივად მოხარშული ხორცი და კარაქი თვალის დახამხამებაში გაქრა სუფრიდან. ძმებმა ერთდროულად გაიშვირეს ხელი ყველით სავსე თეფშისკენ.

— აიღე!

— ჯერ შენ აიღე!

ანტუანმა შუაზე გაჰყო შვეიცარული ყველის ნაჭერი და ჟაკს გაუწოდა.

— მსუქანი, მშვენიერი ყველია! — ისე ჩაილაპარაკა, თითქოს თავს იმართლებსო.

უბედურების შემდეგ ეს იყო პირველი სიტყვები, რომლითაც ერთმანეთს მიმართეს, და თვალი თვალში გაუყარეს.

— ახლა? — იკითხა ჟაკმა და ბატონ ტიბოს ოთახისკენ თითი გაიშვირა.

— არა, — მიუგო ანტუანმა, — ახლა დასაძინებლად დავწვეთ. სულ ერთია, დილამდე საჭირო აღარა ვართ.

როცა ჟაკის ოთახის კართან ერთმანეთს დაშორდნენ, ჟაკი ერთბაშად დაფიქრდა და დაბალ ხმაზე უთხრა:

— დაინახე, ანტუან, უკანასკნელ წუთში როგორ დააღო... დააღო პირი?

კვლავ უსიტყვოდ შეხედეს ერთმანეთს; თვალები ორივეს ცრემლით ჰქონდა სავსე.

დილის ექვს საათზე თითქმის დასვენებული, პირგაპარსული ანტუანი მესამე სართულზე ავიდა.

„ბატონი შალი თითქოს იმისთვის არის გაჩენილი, რომ სიკვდილის მაუწყებელი ცნობები დაგზავნოს, — გაიფიქრა მან, როცა კუნთების გასაშლელად ფეხით აჰყვა კიბეს. — ცხრა საათამდე განცხადებას ვერ შევიტანთ ქალაქის მერთან... ხალხს უნდა შევატყობინოთ... საბედნიეროდ, არც ისე ბევრი ოჯახია. ჟანეროები დიდის ნათესავებს შეატყობინებენ, დანარჩენს მამიდა კაზიმირი იკისრებს... რუანელ ბიძაშვილებს დეპეშა უნდა გავუგზავნოთ. რაც შეეხება მეგობრებს, ხვალინდელი გაზეთებიდან შეიტყობენ, ერთი ბარათი მამა დიუპრეს უნდა გავუგზავნოთ, მეორე ჟანს. დანიელ დე ფონტანენი ლიუნვილშია; ამ საღამოს მივწერ. დედამისი და მისი და სამხრეთში არიან, ეს ნამდვილად დიდი შეღავათია... თუმცა, ვინ იცის, ჟაკი, იქნებ, არც კი დაესწროს დასაფლავებას!.. საქველმოქმედო დაწესებულებებს ლეონი დაურეკავს: სიას მოვუმზადებ. მე თვითონ კი საავადმყოფოში გავივლი... ფილიპს... ოჰ, დალახვროს ეშმაკმა, აკადემია ხომ დამავიწყდეს!“

— დასაფლავების ბიუროდან უკვე ორი აგენტი მოვიდა, — შეატყობინა ადრიენმა, — ისინი შვიდ საათზე დაბრუნდებიან. ამას გარდა... — უხერხულად დაუმატა მან, — ბატონო ანტუან, იცით, მადმუაზელ ჟიზი ავადაა?

ისინი ჟიზის ოთახისკენ გაემართნენ და კარზე დააკაკუნეს.

ახალგაზრდა ქალი იწვა. სიცხისგან თვალები უელვარებდა და ღაწვები აწითლებოდა. მაგრამ საშიში არაფერი იყო. მასზე ძალიან ემოქმედა კლოტილდას დეპეშას, რადგან სწორედ იმ დროს მიედო, როცა ისედაც უქეიფოდ გრძნობდა თავს. ლონდონიდან სასწრაფოდ გამგზავრებამ, განსაკუთრებით კი ჟაკთან შეხვედრამ საბოლოოდ გამოაცალა ძალა და ისე შეარყია ეს ახალგაზრდა სხეული, რომ წინა საღამოს, როგორც კი მომაკვდავის ოთახიდან გასულა, საშინელი სპაზმები დასწყებია და იძულებული გამხდარა ლოგინში ჩაწოლილიყო. მთელი ღამე თეთრად გაუთენებია, ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ წამოდგომის თავი არ ჰქონდა.

ანტუანს ისე თავშეკავებულად უპასუხებდა, იგი აღარ ჩასციებია და ესლა უთხრა:

— დილით ტერივიე მოვა და შენთან გამოვგზავნი.

ჟიზმა ბატონი ტიბოს ოთახზე ანიშნა. ღრმა მწუხარებას არ გრძნობდა და არ იცოდა, რა ეთქვა:

— მაშასადამე... მორჩა ყოველივე? გათავდა?—მოკრძალებით იკითხა მან.

თანხმობის ნიშნად ანტუანმა თავი დაუქნია და ერთბაშად გარკვევით გაიფიქრა: „ჩემი წყალობით!“

— ჯერჯერობით თბილი სათბური და საფენები დაადეთ, — უთხრა მან ადრიენს. შემდეგ ჟიზს გაუღიმა და გავიდა.

„ჩემი წყალობით მორჩა ყოველივე!“ — გაიმეორა ანტუანმა. თავის საქციელს პირველად დაუკვირდა... — სწორადაც მოვიქეცი! — მაშინვე შეეკამათა თავისთავს. იგი სწრაფად და ნათლად მსჯელობდა: „თავს ნუ ვისულელებთ. აქ სულიერმა ლაჩრობამაც იჩინა თავი: ფიზიკური მოთხოვნილება მქონდა ხელიდან დავსხლტომოდი ამ კოშმარს. მაგრამ განა მხოლოდ იმიტომ უნდა შემეკავებინა თავი, რომ მის სიკვდილში პირადად ვიყავი დაინტერესებული? კმარა! — ამ შემაზრზენ პასუხისმგებლობიდან არაფერს მალავდა. „რასაკვირველია, ძალიან სახიფათო იქნებოდა ექიმებისათვის უფლება მიგვეცა... პრინციპში აუცილებელია ბრმად მივყვეთ დადგენილ წესებს, თუგინდ ისინი აბსურდული და არაადამიანური იყოს...“ და რამდენადაც მეტ ძალასა და კანონიერებას ანიჭებდა ამ წესებს, მით უფრო უწონებდა საკუთარ თავს ამ წესების შეგნებულად დარღვევას... „ეს მხოლოდ სინდისის, მომენტის შეფასების ამბავია! — გაიფიქრა მან, — მე არ ვანზოგადებ. უბრალოდ ვამბობ: იმ მომენტში ისე მოვიქეცი, როგორც საჭირო იყო“.

იგი მიცვალებულის ოთახს მიუახლოვდა. კარი ფრთხილად შეაღო, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებდა, ავადმყოფი რომ არ გაეღვიძებინა. და უცებ მკვდრის დანახვამ ააღელვა. რაღაც სიახლედ, უჩვეულოდ მიიჩნია ის ამბავი, რომ იძულებული იყო მამის იერსახე ამ უბრალო, თითქმის ყოველდღიურ წარმოდგენასთან, ამ ცხედართან დაეკავშირებინა. სუნთქვაშეკრული იდგა ზღურბლთან. ეს გაშეშებული სხეული ნუთუ მამამისის იყო?.. გაშოტილი ფეხები, მშვიდად დაკრეფილი ხელები... გაკეთილშობილებული, მშვიდი სახე!.. ირგვლივ სიცარიელეა: სკამები კედლების გასწვრივ ჩაემწკრივებინათ. ორი ალეგორიული ფიგურის მინაგვარი, შავ ქსოვილში გახვეული მთვლემარე მონაზონი ჩარჩოს მაგიერობას უწევდა მიცვალებულს, რომლის უძრაობა ნამდვილ სილაღეს აძლევდა ამ მიზანსცენას. ოსკარ ტიბო... ასეთი ავტორიტეტული, ასეთი ამაყი! რა უტყვ უძლურებამდე მისულა!.. ანტუანი განძრევას ვერ ბედავდა, სიმყუდროვის დარღვევისა ეშინოდა. ერთხელ კიდევ გაივლო გულში, ეს ჩემი ნამოქმედარიაო, თვალი ალერსით შეავლო ამ ნაცნობ სახეს, რომელსაც ხელი შეუწყო ასე კარგად შეგუებოდა სიმშვიდესა და სიჩუმეს. იგი თითქმის იღიმებოდა.

ანტუანს ჟაკი ჩაძინებული ეგულებოდა და გაუკვირდა, როცა ოთახის კუთხეში, ბატონი შალის გვერდით, ძმასაც მოჰკრა თვალი.

ანტუანის დანახვისთანავე ბატონი შალი სკამიდან ჩამოხტა და შეეგება. ცრემლებისაგან დანამულ სათვალის მიღმა განუწყვეტლივ ახამხამებდა თვალებს. მან ორივე ხელი ჩასჭიდა ანტუანს და რაკი სხვა ვერაფრით გამოხატა მიცვალებულისადმი ერთგულება, ასლუკუნდა და ტირილ-გოდებას მოჰყვა.

— დიდებული… დიდებული… დიდებული ყმაწვილი იყო.

ყოველ სიტყვაზე საწოლისკენ იშვერდა ნიკაპს.

— ახლოს უნდა სცნობოდა იგი ადამიანს! — ისეთი ჩაციებით განაგრძო მან დაბალ ხმაზე, თითქოს ვინმე ეკამათებოდა. — მართალია, გუნებაზე თუ არ იყო, ცოტა უკმეხი გახლდათ… სამაგიეროდ, რა სამართლიანი!.. — ხელები წინ გაიშვირა, იტყოდით, ფიცს სდებსო, — სამართლიანობის ნამდვილი ქომაგი! — დაასკვნა მან და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ანტუანი დაჯდა.

ამ ოთახის სუნმა შორეული მოგონებები აუფორიაქა. წინადღინდელ სუნში, ამ მოტკბო, აფთიაქის სუნში, ახლახან ანთებული კელაპტრების სურნელებაში, იგი გრძნობდა ძველებურ სუნსაც, მტვრისგან დაფერფლილი ცისფერი რეპსის სუნსაც, რომელიც ტიბოთა ძველ მოდგმას ეკუთვნოდა; ეს იყო მშრალი შალის სუნი, რასაც წითელი ხის ავეჯის გასაპრიალებლად ორმოცდაათიოდე წლის მანძილზე წასმული რეიზნის სუსტი სუნი შერეოდა. ანტუანმა კარგად იცოდა, საკმარისი იყო სარკიანი კარადა გაეღოთ, რომ იქედან სუფთა საცვლების გრილი სიო გამოვარდნილიყო, ანდა კომოდის უჯრების გამოღებისას გაპრიალებული ხისა და ძველი გაზეთების სუნში არეული ქაფურის ანაორთქლი მოსდებოდა იქაურობას. მას კარგად ახსოვდა სალოცველო სკამზე გადაკრული პატარა ხალიჩის მტვრიანი სუნიც, ახსოვდა იმიტომ, რომ ბავშვობისას მის სიმაღლეს ეს სკამიდა შეეფერებოდა და მამა-პაპათა მუხლებით გაცვეთილი ხალიჩის გადასაკრავის სუნს ახლოს გრძნობდა.

არავითარი ხმაური. არავითარი სუნთქვა არ არხევდა კელაპტრის ალს.

ანტუანი ისევ თვალმიშტერებით, რაღაც გაოგნებით მისჩერებოდა გვამს, როგორც ყველა, ვინც კი ამ ოთახში შემოდიოდა. მის მოქანცულ გონებაში აზრთა ჩანასახი ფეხის მოკიდებას ცდილობდა.

„სად გაქრა ის, რასაც მამას ჩემნაირ არსებად აქცევდა? სად გაქრა ის სიცოცხლე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მასში ფეთქავდა?.. რა მოუვიდა? გაქრა თუ სხვაგან გადაინაცვლა, მაინც არსებობს? რა ფორმით?

მან უხერხულად შეწყვიტა ფიქრი:

„რა სისულელე არ მოუვა ადამიანს თავში! პირველად ხომ არ ვხედავ

მიცვალებულს!.. კარგად ვიცი, რომ არ არსებობს უფრო შეუფერებელი ტერმინი, ვიდრე არარაობაა, რადგან მას უნდა ერქვას სიცოცხლის აგლომერაცია, უსასრულობაში ჩასახვა!“

„დიახ... მე არაერთხელ ვუმეორებდი ამას ჩემს თავს, მაგრამ ახლა, როცა ამ ცხედრის წინაშე ვდგავარ, აღარ ვიცი... არარაობის ცნება თანდათან ფეხს იკიდებს ჩემში, უფრო კანონიერი მგონია. ...სინამდვილეში მხოლოდ სიკვდილი არსებობს. იგი ყველაფერს უკუაგდებს, ყველაფერს გადალახავს... უაზროდ!“

„არა! — მხრები აიჩეჩა, — ავი ფიქრი ამეშალა... ეს ჩავონებანი მაშინ მოსდის ადამიანს, როცა ასე ღრმად ჩაჰყოფს ცხვირს... არა, ასეთი მსჯელობა არ უნდა ითვლებოდეს! ასეთი მსჯელობა არ ითვლება!..“

ანტუანმა თავს ძალა დაატანა, რომ გონს მოსულიყო და ერთბაშად ფეხზე წამოიჭრა. ნაცნობი, მტკიცე, თბილი გრძნობა შეამოწვა გულს.

ძმას ანიშნა, გამომყევიო, და დერეფანში გავიდა.

— სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, მამის სურვილს უნდა გავეცნოთ. წამოდი!

ერთად შევიდნენ ბატონ ტიბოს კაბინეტში. ანტუანმა ჯერ ჭაღი აანთო, შემდეგ კედლის ნათურები; მკრეხელურმა შუქმა ერთბაშად გაანათა ოთახი, სადაც მწვანე შუქფარიანი სამუშაო ლამპადა ენთო ხოლმე მუდამ. ანტუანი საწერ მაგიდას მიუახლოვდა. გასაღებების აცმა, რომელიც ჯიბიდან ამოიღო, მხიარულად აჟღარუნდა სიჩუმეში.

ჟაკი განზე გამდგარიყო. უეცრად შენიშნა, რომ კვლავ ტელეფონის კონსოლთან იდგა, ზუსტად იმ ადგილას, სადაც წინადღით... წინადღით? სულ თხუთმეტიოდე საათი გასულიყო მას შემდეგ, რაც ამ კარის ზღურბლზე ჟიზი გამოჩნდა...

მან მტრულად გადაავლო თვალი იმ ოთახს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელ ტაძრად თვლიდა და რომელსაც ახლა არაფერი იცავდა შემოსევისაგან. ჟაკი უხერხულად შეიშმუშნა, როცა ღია ყუთების წინ ქურდივით მუხლებზე ჩაცუცქულ ძმას მოჰკრა თვალი. მამამისის უკანასკნელ სურვილებსა და მთელი ამ ქაღალდების ნაგლეჯებთან რა ესაქმებოდა?

ჟაკი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

მიცვალებულის ოთახში შებრუნდა; რაღაც ძალა იზიდავდა ამ ოთახისაკენ, სადაც ბინდ-ბუნდში თითქმის მთელი ღამე მშვიდად გაატარა. იცოდა, სულ მალე აბეზარი ხალხის მისვლა-მოსვლა იქიდან განდევნიდა. ამიტომაც საკუთარი ყრმობის პირისპირ ამაღელვებელი შეხვედრიდან არც

ერთი წუთი არ უნდოდა დაეკარგა. პირადად მისთვის არაფერი არასოდეს ისე ტრაგიკულად არ განასახიერებდა მის წარსულს, როგორც ნეშთი ამ ყოვლისშემძლე ადამიანისა, მუდამ რომ გზაზე ეღობებოდა, ახლა კი ერთბაშად არარეალობაში ჩაფლულიყო ერთიანად.

კარი ფრთხილად შეაღო, ფეხის წვერებზე შევიდა და დაჯდა. წამით დარღვეული სიჩუმე კვლავ სამარისებურმა შთანთქა; და ჟაკს საშუალება მიეცა რაღაც ნეტარი გრძნობით დაკვირვებოდა მიცვალებულს.

უძრაობა.

ამიერიდან სამუდამოდ გაქვავდა ტვინი, რომელიც დღედაღამ, თითქმის სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზე აზრს აზრთან, სახეს სახესთან აკავშირებდა. გულიც გაქვავდა... მაგრამ ჟაკს, რომელიც თავისი ტვინის განუწყვეტელ მუშაობას რაღაც ტკივილით უჩიოდა მუდამ, ამჟამად სწორედ აზროვნების ეს გაყინვა ანცვიფრებდა! (მიუხედავად იმისა, რომ ძილისგან გაბრუებული იყო, ღამითაც კი გრძნობდა ამ ტვინის მუშაობას; იგი გაშმაგებულ ძრავასავით მოძრაობდა, მოძრაობდა მის თავში, შეუსვენებლივ უყრიდა თავს უაზრო, კალეიდოსკოპიურ ზმანებებს რომლებსაც იგი „სიზმრებს" უწოდებდა, თუკი შემთხვევით, მისი მეხსიერება ცალკეულ ნაწყვეტებს შემოინახავდა ხოლმე). საბედნიეროდ, ერთ დღეს ეს დაუქანცველი გულმოდგინეობაც შეწყდება: ერთ დღეს ისიც გათავისუფლდება ამ მტანჯველი აზრებისაგან. როგორც იქნება, დაისადგურებს სიჩუმე, ხოლო ამ სიჩუმეს სრული დამშვიდება მოჰყვება!.. ანაზდად მიუნჰენის სანაპირო გაახსენდა, სადაც მთელი საღამო დასეირნობდა და თვითმკვლელობაზე ფიქრი თავიდან არ შორდებოდა. ერთერთმა ფრაზამ მუსიკალური რემინისცენციასავით გაუელვა: „ჩვენ დავისვენებთ..." ეს იყო დასკვნითი ფრაზა ერთ-ერთი რუსული პიესიდან, ჟენევაში რომ ენახა. ყურებში კვლავ ჟღერდა მსახიობი ქალის ხმა, ამ სლავ ქალს ბავშვური სახის ნაკვთები, გულუბრყვილო, ანთებული თვალები ჰქონდა, პატარა, კოხტა თავს აქეთ-იქით არხევდა და იმეორებდა: „ჩვენ დავისვენებთ!" მეოცნებე ინტონაცია, ჩაჩუმებული ჰარმონიკივით სუსტი ხმა, მოქანცული მზერა, რომელშიც, რა თქმა უნდა, ბედს შეგუება უფრო იგრძნობოდა, ვიდრე იმედი: „სიცოცხლეში სიხარული არ განგიცდია... მაგრამ მოთმინება იქონიე, ძია ვანია, მოთმინება... ჩვენ დავისვენებთ... დავისვენებთ!.." *

## VIII

დილიდანვე იწყეს სამძიმრისათვის მოსვლა: მდგმურებმა, უბნელებმა, რომელთათვის ბატონ ტიბოს ათასნაირი სამსახური გაუწევია. ნათესავების მოსვლამდე ჟაკი არ გამოჩენილა... ასევე მოიქცა ანტუანიც, რომელსაც

რამდენიმე გადაუდებელი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. ბატონი ტიბო მრავალი საქველმოქმედო დაწესებულების კომიტეტის წევრი იყო და ყველგან ჰყავდა პირადი მეგობარი. მომსვლელთა პროცესია საღამომდე არ შეწყვეტილა.

ბატონმა შალმა მიცვალებულის ოთახში შეიტანა სკამი, რომელსაც თავის „სტრაპონტენს" ეძახდა და რომელზედაც წლების განმავლობაში მუშაობდა. „განსვენებული" მთელი დღე არ მიუტოვებია, იმდენი ჰქნა, კაცი იფიქრებდა, კანდელაბრებსა, ბზის ტოტებსა და ლოცვად დამდგარ მონაზვნებთან ერთად, ისიც ამ სამგლოვიარო ცერემონიალის ნაწილიაო. ახალმოსულის გამოჩენისთანავე ბატონი შალი სკამიდან ჩამოცოცდებოდა, სტუმარს ნაღვლიანად მიესალმებოდა და ხელახლა აძვრებოდა სკამზე.

მადმუაზელი რამდენჯერმე შეეცადა მის გასტუმრებას. რა თქმა უნდა, ეჭვიანობდა: ასეთი ერთგულება და ღვთისმოსაობა ნერვებს უშლიდა. თვითონ, პირიქით, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, იტანჯებოდა (მთელ სახლში, ალბათ, მხოლოდ ეს ქალი იტანჯებოდა). საცოდავმა შინაბერამ თავისი სიცოცხლე სხვის კარზე გაატარა, საკუთარი, პირადული არასოდეს არაფერი გააჩნდა და ვინ იცის, იქნებ, ახლა იგრძნო პირველად საკუთრების ეს უცნაური გრძნობა: ბატონი ტიბო მისი მიცვალებული გახლდათ! წამდაუწუმ მიდიოდა საწოლთან, რომელიც გამრუდებული ხერხემლის გამო წესიერად ვერც კი დაეთვალიერებინა; ზეწარს გამოსწევდა, ნაოჭებს ასწორებდა, ლოცვიდან ნაწყვეტს წაიბუტბუტებდა, თავს აქიცინებდა, გაძვალტყავებულ თითებს ერთმანეთში გადააჭდობდა და დაუჯერებელი ამბავივით იმეორებდა:

— ჩემზე ადრე შევიდა სასუფეველში...

ვერც ჟაკის ჩამოსვლამ, ვერც ჟიზის იქ ყოფნამ ვერ იმოქმედა ამ ჩამომჭკნარი გონების მგრძნობიარე ნერვებზე, რომელიც ყოველგვარი სხვა რეაქციისადმი გულგრილი გამხდარიყო. ჟაკი და ჟიზი მთელი თვეებით იკარგებოდნენ ოჯახური ცხოვრების თვალთახედვიდან და ისიც გადაჩვეულიყო მათზე ფიქრს. ანტუანი და მსახურებიღა იყვნენ მისი საზრუნავი. მიუხედავად ამისა, იმ დღეს ანტუანიც ნერვებს უშლიდა. როცა მსჯელობდნენ, როდის და რომელ საათზე უნდა ჩაესვენებინათ ბატონი ტიბო კუბოში, ისინი კიდეც წალაპარაკდნენ. ანტუანის აზრით, ეს მომენტი რაც შეიძლება უნდა დაეჩქარებინათ, რადგან როგორც კი მიცვალებულს კუბოში ჩაასვენებდნენ, მას გვამად აღარ აღიქვამს ადამიანი და ყველა დამშვიდდებაო. მაგრამ შინაბერა აღშფოთდა. კაცი იფიქრებს, ხელიდან უნდათ წაგლიჯონ ერთადერთი სიკეთე, რაც კი მას დარჩენია: უცქიროს მისი პატრონის ნა-

მუსრევს, ფიზიკური სახის უკანასკნელ წუთებს. ასე ეგონა, ბატონი ტრიბოს გაქრობა კვანძის გახსნას წარმოადგენდა მხოლოდ მიცვალებულისა და პირადად მისთვისაც. სხვებს კი, განსაკუთრებით ანტუანს, ეს დასასრული სხვა რაღაცის დასაწყისად, ახალი ეპოქის ზღურბლად მიაჩნია... პირადად მას, ამიერიდან არავითარი მომავალი აღარ ესახებოდა: წარსულის დამსხვრევა საერთო ნგრევას უდრიდა.

ნაშუადღევს ანტუანი ფეხით ბრუნდებოდა შინ. ზამთრის აწ სუფთა ჰაერში იგი მხნედ მიაბიჯებდა და ყინვა თვალებს უწიწკნიდა, ენერგიას მატებდა. სახლის კარებთან ძაძებში ჩაცმული ფელიქს ეკე შემოხვდა.

— შინ არ შემოვალ, — უთხრა ქირურგმა, — დღეს მხოლოდ ხელი მინდოდა ჩამომერთმია თქვენთვის.

ტურიეს, ნოლანს, ბოეკარს სადარბაზო ბარათები დაეტოვებინათ, ლუაზილს ტელეფონით დაერეკა. ექიმი კოლეგების ასეთმა ყურადღებამ განსაკუთრებით იმოქმედა ანტუანზე და როცა მეორე დილით თვით ფილიპიც მოვიდა უნივერსიტეტის ქუჩაზე, ანტუანი ერთბაშად მიახვედრა პატრონის სამძიმარმა, რომ მთელი ეს თანაგრძნობა ბატონ ტიბოს გარდაცვალებით კი არ აიხსნებოდა, არამედ იმით, რომ ექიმ ანტუან ტიბოს მამა მოუკვდა.

მიიღეთ ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა, მეგობარო! — ხმადაბლა ამოიოხრა ეკემ. — რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, სიკვდილი ჩვენი ძველი მეგობარიაო, როცა თავს წამოგვადგება, საკუთარ სახლში შემოგვივარდება, ისეთი შთაბეჭდილება გვიპყრობს, თითქოს პირველად ვხვდებოდეთ მას!.. პირადად მე, კარგად ვიცი, რას ნიშნავს ეს! — დაუმატა მან.

წელში გასწორდა და შავხელთათმანიანი ხელი ანტუანს გაუწოდა.

ანტუანმა მანქანამდე მიაცილა.

მან პირველად დაუპირისპირა ეს ორი სიკვდილი ერთმანეთს... „ამ ამბებზე" დასაფიქრებლად არ ეცალა ახლა, მაგრამ ხვდებოდა, რომ „ყველაფერი ეს" გაცილებით უფრო სერიოზული ყოფილა, ვიდრე ეგონა. მიხვდა, რომ წინადღით მის მიერ გულგრილად ჩადენილი გადამწყვეტი საქციელი (რაც ჯერჯერობით სწორად მიაჩნდა), როგორღაც უნდა შეესისხლხორცებინა, შეეგუებინა, ვითარცა ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვან ექსპერიმენტთაგანი, რაც ასეთ ღრმა გამოძახილს პოულობს ხოლმე ადამიანის ჩამოყალიბებაში. აშკარად გრძნობდა, რომ ეს დამატებითი ტვირთი აუცილებლად აიძულებდა სიმძიმის ცენტრი სხვაგან გადაეტანა.

დაფიქრებული შევიდა შინ.

წინოთახში ბიჭი ელოდებოდა, თავშიშველი, ყელზე შემოხვეული კაშნეთი, აწითლებული ყურის ბიბილოებით. ანტუანის შემოსვლისთანავე

წამოდგა და მთელი სახე აუჭარხლდა. ანტუანმა მაშინვე იცნო ნოტარიუსის პატარა კლერკი; იგი ხშირად ბრაზობდა თავისთავზე, ამ ორ ბავშვს ერთხელაც ვერ მივაკითხეო.

— გამარჯობა, რობერ. შემოდი. აბა, მითხარი, როგორაა საქმე?

ბიჭმა თავს ძალა დაატანა, ტუჩები აამაცუნა, მაგრამ ისე დაიბნა, შესაფერი „ფრაზა" ვერ გამოძებნა. ბოლოს, მაინც მოიკრიბა გამბედაობა და პელერინიდან იების თაიგული გამოაძვრინა. ანტუანი მყის მიხვდა, მიუახლოვდა და ყვავილები ჩამოართვა.

— გმადლობთ, ჩემო კარგო. ამ იებს ახლავე ავიტან ზევით, სასიამოვნოა, რომ მოიფიქრე და...

— ოჰ, ეს ლულუმ მოიფიქრა! — სასწრაფოდ შეუსწორა ყმაწვილმა.

ანტუანს გაეღიმა.

— ლულუ როგორღაა? შენ კვლავაც წინანდებურად „ანძრევ თავს?"

— რა თქმა უნდა! — ლაღად წამოიძახა რობერმა. ვერ წარმოედგინა, რომ ასეთ მომენტში ანტუანს ღიმილის თავი ექნებოდა. უხერხულობა სწრაფად გაუქრა. ლაყბობის გუნებაზე დადგა. მაგრამ ამ საღამოს ანტუანს სალაპარაკოდ აღარ ეცალა და უთხრა:

— იცი რა, ამ დღეებში ლულუ მოიყვანე და მოდი. მიამბეთ, რას აკეთებთ, როგორა ხართ. თუ გინდა, რომელიმე კვირა დღეს მოდით, კარგი?

იგი დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული ამ ბიჭებისადმი, რომლებსაც კარგად არც კი იცნობდა.

— შევთანხმდით? — დაუმატა მან.

— შევთანხმდით, ბატონო! — მიუგო ერთბაშად დადინჯებულმა რობერმა.

ანტუანმა ბავშვი კარებამდე მიაცილა. ამ დროს ბატონი შალის ხმა მოესმა: ლეონს ელაპარაკებოდა სამზარეულოში.

„ეტყობა, ამასაც ჩემთან სურს მასლაათი, — სინანულით გაიფიქრა ანტუანმა. — თუმცა, სჯობს ამ საქმესაც ახლავე მოვრჩეთ!"

და მოხუცი ჩიაკაცი თავის კაბინეტში შეიპატიჟა. ბატონი შალი სკუპსკუპით შეჰყვა ოთახში. რაც შეიძლებოდა შორს ჩამოჯდა სკამზე და სახეზე ეშმაკური ღიმილი აუკიაფდა, თუმცა თვალებში ღრმა სევდა ჩაბუდებოდა.

— რა გინდოდათ გეთქვათ, ბატონო შალ? — ჰკითხა ანტუანმა.

მართალია, იგი თავაზიანად მიმართავდა, მაგრამ ფეხზე იდგა და წერილებს არჩევდა.

— მე? — იკითხა შალმა და წარბები აზიდა.

„კეთილი! — გაიფიქრა ანტუანმა და ერთ-ერთი გადაკითხული წერილი დაკეცა. — ვეცდები ხვალ დილით საავადმყოფოდან წამოსვლისას შევიარო!"

ბატონი შალი აქეთ-იქით აქნევდა ფეხებს და თან თვალს აყოლებდა:

— ასეთი რამ, ბატონო ანტუან, არ უნდა ხდებოდეს! — საზეიმო ხმით განაცხადა მან.

— მაინც რა? — ჰკითხა ანტუანმა და მეორე წერილი გახსნა.

— მაინც რა? — ექოსავით გაიმეორა ბატონმა შალმა.

— რა არ უნდა ხდებოდეს? — ხელახლა იკითხა მოთმინებადაკარგულმა ანტუანმა.

— სიკვდილი.

ანტუანი ასეთ პასუხს არ მოელოდა, დაიბნა და თავი აწია. ბატონ შალს თვალები ცრემლით ჰქონდა დაბინდული, მან სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცი გაშალა და თვალები ამოიწმინდა.

— მე ვესაუბრე წმინდა როხის * ეკლესიის მსახურებს, — სვენებ-სვენებითა და ოხვრით წამოიწყო მან, — სულის მოსახსენებელი წირვა შევუკვეთე... მხოლოდ და მხოლოდ სინდისის დასამშვიდებლად, ბატონო ანტუან, სხვა არავითარი განზრახვა არა მქონია. რადგან ჯერჯერობით დაწვრილებით არ გავცნობივარ...

კურცხლები ლოყებზე ჩამოუგორდა, თვალები ხელახლა ამოიწმინდა, ცხვირსახოცი მუხლებზე დაიფინა, ნაკეცებზე გულდასმით გაასწორა. საფულესავით გააბრტყელა და ჯიბეში ჩაიდო.

— ათი ათასი ფრანკის დანაზოგი მქონდა! — წამოიწყო მან.

„აჰა! გასაგებია!" — გაიფიქრა ანტუანმა და მაშინვე შეაწყვეტინა:

— მე არ ვიცი, მოასწრო თუ არა მამაჩემმა თქვენს შესახებ რაიმე განკარგულების შეტანა ანდერძში, ბატონო შალ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სანამ ცოცხალი ხართ, მე და ჩემი ძმა იმდენივე თანხას მოგცემთ ყოველთვიურად, რამდენსაც აქამდე იღებდით.

ბატონი ტიბოს გარდაცვალების შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ანტუანს ფულის საკითხის მოგვარება და მემკვიდრის როლის შესრულება უხდებოდა. ანტუანმა იფიქრა, დიდი კეთილშობილება გამოვიჩინეო, ბატონი შალის რჩენა რომ ვიკისრე მისი ცხოვრების მანძილზეო; რა სასიამოვნოა სიკეთის გამოჩენის საშუალება რომ აქვს ადამიანსო! შემდეგ მიადგა უნებურად სულ სხვა მიმართულებით გადაიტანა ფიქრები და მანისეული ნემკვიდრეობის განთანგარიშებას შეეცადა, უნდოდა გაეგო, რა წილი ერგებოდა პირადად მას. მაგრამ ამის თაობაზე ზუსტი მონაცემები არ გააჩნდა.

ბატონი შალი ჭარხალივით გაწითლებულიყო. უხერხულობის დასამალავად ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და ფრჩხილების წმენდას მოჰყვა.

— სამისდღეშიო პენსია რა სათქმელია! — მტკიცე ხმით განაცხადა მან, თუმცა თავი არ აუწევია. — ამას სჯობის განსაზღვრული თანხა და არა პენსია!

შემდეგ დათაფლული ხმით დაუმატა:

— დედეტასთვის მჭირდება, ბატონო ანტუან... თქვენი პატარა პაციენტისათვის, ხომ გახსოვთ?.. ფაქტიურად, იგი ჩემს მემკვიდრედ ითვლება! ამიტომაც, სამისდღეშიო პენსია ხელს არ მაძლევს! აჰა! მერედა ჩემს ბედურას რაღა დავუტოვო?

დედეტი, ოპერაცია, რაშელი, მზის სხივით განათებული ოთახი, საწოლის ნიშის სიბნელეში შეყუჟული სხეული, ნაცრისფერი ქარვის ყელსაბამი... ანტუანს ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე, წერილების გროვა მიავიწყდა, უგულისყუროდ უსმენდა ბატონ შალს და მექანიკურად ადევნებდა თვალს მის მოძრაობებს. უცებ ქუსლებზე შემოტრიალდა. ქონდრის კაცს რომელიც ჯაყვით ფრჩხილებს იქნიდა, ცერზე ფრჩხილი მოეთალა და ახლა მშვიდად, თითქოს საცობს თლისო, კოჟრებს იჭრიდა მრგვალად.

— კმარა, ბატონო შალ! — კბილების კრაჭუნით შესძახა ანტუანმა.

ბატონი შალი სკამიდან წამოხტა.

— დიახ, დიახ... მე ბოროტად ვიყენებ... — წაიბუტბუტა მან.

მაგრამ მისთვის ამ საქმის მოგვარებას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გაბედა და ერთხელ კიდევ შეუტია:

— მცირეოდენი კაპიტალი აჯობებდა, ბატონო ანტუან! სწორედ პატარა კაპიტალი მჭირდება ახლა. დიდი ხანია ერთი აზრი მაქვს ჩაფიქრებული... აგიხსნით.. — ისე წაიდუდღუნა მან, თითქოს სიზმარში ჰყვებაო, — სხვა დროს აგიხსნით..

შემდეგ ტონი შეიცვალა, მიმქრალი თვალები კარს მიაპყრო და განაგრძო:

— რასაკვირველია, თუ საჭიროა, წირვის შეკვეთაც შეიძლება. მაგრამ ჩემი აზრით, განსვენებულს ახლა არაფერი არ სჭირდება. იგი ისეთი ადამიანი იყო, იმქვეყნად ხელმოცარული არ წავიდოდა. ჩემი აზრით, ბატონო ანტუან, საქმე მოგვარებულია: ამჟამად...

იგი სკუპ-სკუპით გავიდა წინოთახში, ჭაღარა თავს აქიცინებდა და მტკიცე ხმით იმეორებდა:

— ამჟამად.. .ამჟამად... იგი უკვე სამოთხეშია!

ის იყო ბატონი შალი გავიდა ოთახიდან, რომ ანტუანი იძულებული დახდა ახლა თერძი მიეღო, რომელიც სამგლოვიარო ტანსაცმლის მოსაზომებლად მოსულიყო. ანტუანმა ხელახლა იგრძნო დაქანცულობა, ხოლო სარკესთან ამ მომაბეზრებელმა ტრიალმა საბოლოოდ მიასავათა.

გადაწყვიტა, სანამ მესამე სართულზე ავალ, ერთი საათით მაინც მივწვები ჩემს ოთახშიო, მაგრამ თერძი რომ გააცილა, სახლის კართან ქალბატონ დე ბატენკურს შეეჩეხა; ქალი ზარის დარეკვას აპირებდა სწორედ, მას ტელეფონით დაერეკა, უნდოდა პაემანის დრო შეეთანხმებინა, მაგრამ უცებ „ეს საშინელი ამბავი" ეცნობებინათ. აპიტომაც ყველაფერი მიეტოვებინა და წამოსულიყო.

ანტუანმა ზრდილობიანად მიიღო იგი, თუმცა ოთახში არ შეუწვევია, ზღურბლთან იდგნენ. ქალი მაგრად ართმევდა ხელს, ხმადაბლა ელაპარაკებოდა და დიდი მღელვარებით გამოხატავდა თანაგრძნობას.

ეტყობოდა, წასვლას არ აპირებდა, კარში ასე დგომაც უხერხული იყო, მით უმეტეს, რომ ქალბატონმა დე ბატენკურმა იმდენი ჰქნა, ახალგაზრდა ექიმს უკან დაახევინა და მისი ადგილი დაიკავა. ნაშუადღევიდან ჟაკი მეორე ოთახში იჯდა. მისი ოთახის კარი ნახევრად ღია იყო: ანტუანმა იფიქრა, ქალის ხმას გაიგონებს და, ალბათ, კიდეც მიხვდება, ვინც არისო. ამ ვარაუდმა, მისდაუნებურად უსიამოვნო გრძნობა მოჰგვარა. მან თავაზიანად დაადწია თავი ქალს, კაბინეტის კარი გააღო და სასწრაფოდ გადაიცვა პიჯაკი (აქამდე ჟილეტით იყო და ჩაუცმელს რომ მიუსწრეს, ეს უფრო აცოფებდა).

რამდენიმე კვირის წინ სხვადასხვა მიზეზების გამო მისი დამოკიდებულება ამ ლამაზი პაციენტის მიმართ ოდნავ შეცვლილიყო. ქალმა მასთან სიარულს მოუხშირა იმის მომიზეზებით, რომ ავადმყოფი ბავშვის ამბავი მოჰქონდა: გოგონა პა დე-კალეში მთელი ზამთრით წაეყვანათ სიმონ დე ბატენკურსა და ინგლისელ აღმზრდელს (სიმონ დე ბატენკურს უყოყმანოდ მოეტოვებინა მამული და ნადირობდა, და ბერკში თავის გერთან დასახლებულიყო. რაც შეეხება მის ცოლს, იგი წინ და უკან მგზავრობას უნდებოდა, რადგან კვირაში რამდენიმე დღით პარიზში წამოსასვლელი მიზეზი არ ელეოდა).

ქალი არ დამჯდარა. ლამობდა, როგორმე ანტუანის ხელს შეხებოდა, წამდაუწუმ იხრებოდა მისკენ; ქუთუთოებს ნაოჭები შეპარვოდათ, აღელვებისგან მკერდი აუდ-ჩაუდიოდა; ჩვეულება ჰქონდა, ლაპარაკის დროს მამაკაცებს ტუჩებზე მიაჩერდებოდა ხოლმე. დახრილი წამწამებიდან ქალი ამჩნევდა, რომ ანტუანიც მის ბაგეებს უყურებდა, რამაც იგი ძალიან

აღელვა. იმ საღამოს ანტუანი განსაკუთრებით მოეწონა. კიდევ უფრო ვაჟკაცური სახე აქვსო, ფიქრობდა: თითქოსდა ყველა გადამწყვეტ ზომებს, რისთვისაც მიემართა ანტუანს, ენერგიული კვალი დაემჩნია მისთვის სახეზე.

ქალმა თანაგრძნობით შეხედა:

— წარმომიდგენია, როგორ იტანჯებით!

ანტუანმა ვერაფერი უპასუხა. ქალის წინაშე ოდნავ ცერემონიულად ეჭირა თავი, რაც, მართალია, ძალიან უხდებოდა, მაგრამ ამასთანავე უხერხულობაშიც აგდებდა. იგი მალულად უკვირდებოდა ქალს, ხედავდა მის ათრთოლებულ მკერდს და სისხლი თავში აწვებოდა. თავი რომ ასწია, ლამაზ ანას მხიარულად აციმციმებულ თვალებს წააწყდა: ამ საღამოს, თითქოს რაღაც სურვილი, გიჟური ფიქრი, რაღაც განზრახვა ჩაბუდებულიყო შიგ, რომლის მიჩქმალვას არც ცდილობდა ქალი.

— მძიმე წუთები მერე დგება, — მიმქრალი ხმით განაგრძობდა იგი, — მერე, როცა ცხოვრება კალაპოტში დგება და ყოველ ნაბიჯზე სიცარიელეს აწყდები... ნებას თუ მომცემთ, დროდადრო გინახულებთ!..

ანტუანმა კვლავ შეხედა. უეცრად საშინელი სიძულვილი იგრძნო, მწარედ გაიღიმა და მკვახედ მიახალა:

— დამშვიდდით, ქალბატონო: მამაჩემი არ მიყვარდა!

მაშინვე ტუჩებზე იკბინა. ამის ფიქრი უფრო მტანჯველი იყო მისთვის, ვიდრე ამაზე ლაპარაკი. „ვინ იცის, ამ კახპამ, იქნებ, გულწრფელი ძღსარება მათქმევინა!“ — გაიფიქრა მან.

ანტუანის სიტყვებმა ქალი დააბნია. თუმცა ამ სიტყვების მნიშვნელობამ ისე არ გააოცა, როგორც მისმა ტონმა შეურაცხყო. გონს მოსასვლელად, უკან დაიხია.

— მართლა? — წამოიძახა ბოლოს, და ამ ყალბად გათამაშებული სცენის შემდეგ, ხმამაღალი სიცილი გულწრფელად გაისმა ოთახში.

სანამ ხელთათმანს იცვამდა, რაღაც გაურკვეველი ნაოჭი, მსუბუქი გრიმასი თუ ღიმილი, არ მოშორებია მის ბაგეებს. ანტუანი გაფაციცებით უკვირდებოდა იდუმალ თრთოლას ამ ტუჩებისას, რომლებიც წვეტიან პომადას ნაკაწრივით წაეგრძელებინა. ქალს იმ წუთში რომ გაებედა და ურცხვად გაეღიმა, ანტუანი, ალბათ, თავს ვერ შეიკავებდა და გარეთ გააგდებდა.

მისდა უნებურად ქალის ტანსაცმლიდან მონაბერ სუნამოს სურნელს მაინც იყნოსავდა. მან თვალი ხელახლა გააპარა კაბის ქვეშ ათრთოლებული მკვრივი მკერდისკენ, უხეში ფიქრები აუშალა ამ გაშიშვლებულმა გულმკერდმა და მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

ქალმა ქურქის საყელო შეიკრა, უკან დაიხია, თავი ასწია და ისე ლაღად შეხედა ანტუანს, თითქოს ეკითხებაო: „გეშინიათ?“

ერთმანეთს ახედ-დახედეს. ერთნაირი ცივი სიშმაგე, ერთნაირი შურისძიების გრძნობა... უფრო მეტიც: ერთგვარი იმედგაცრუებაც, ალბათ, ერთნაირი შეგრძნება იმისა, რომ შემთხვევა ხელიდან გაუშვეს. ბოლოს, რაკი ანტუანი ხმას არ იღებდა, ქალმა ზურგი შეაქცია, თვითონვე გააღო კარი, ყურადღება არ მიუქცევია მისთვის და გავიდა.

კარი მიიჯახუნა.

ანტუანი ადგილზე შემოტრიალდა. სანამ კაბინეტში შებრუნდებოდა, წამით შეყოყმანდა: ხელისგულები გაოფლიანებოდა, საფეთქლებზე მოწოლილი სისხლისგან თავი დამძიმებოდა. აზროვნებას უშლიდა. ხარბად შეისუნთქა ეს აშალელვებელი არომატი, რომელიც ცოცხალ მოწმესავით შერჩენოდა ოთახს. გახელებული შემოტრიალდა. თითქოს მათრახი გადაუჭირესო, ერთმა ფიქრმა გაუელვა: საშიში იქნება ხელახლა ჩაიგდო ხელში ძლიერი ბუნების ქალი, რომელიც ასე სასტიკად შეურაცხჰყავო. მან თვალი შეავლო კედელზე ჩამოკიდებულ ქუდსა და პალტოს, ელვის სისწრაფით ჩამოხსნა საკიდრიდან, დაბნეულად გადახედა ჟაკის ოთახს და ქუჩაში გავარდა.

## IX

ჟიზი ისევ ლოგინში იწვა. ძილ-ღვიძილში იყო, ამტვრევდა, ოდნავი მოძრაობაც კი საშინელ ტკივილს ჰგვრიდა; კედლის მიღმა, დერეფნიდან ხალხის მისვლა-მოსვლა ბუნდოვნად ესმოდა. ერთადერთი აზრი არღვევდა აწ ბურუსს: „ნაპოვნია... აქაა... შინაა... ვინ იცის, იქნებ, აქაც შემოვიდეს... საცაა შემოვა, ალბათ...“ მის ნაბიჯებს უდარაჯებდა. მაგრამ პარასკევიც გავიდა, შაბათიც, ის კი არ ჩანდა.

ჟაკიც სწორედ მასზე ფიქრობდა, ფიქრობდა რაღაც გაღიზიანებული ჩაციებით. მაგრამ პირისპირ შეხვედრისა იმდენად ეშინოდა, პირველი ნაბიჯის გადადგმა ვერ გადაეწყვიტა და შესაფერისს მომენტს მოთმინებით ელოდა. ამას გარდა, წინა საღამოდან მოკიდებული, იმისიც ეშინოდა, ვინმე არ შეეხვედრეს და არ მიცნოსო; ამიტომაც ჩაიკეტა ოთახში: ღამითღა ავიდა ზევით, ფრთხილად გაიარა მთელი ბინა, ხელახლა მოიკალათა მიცვალებულის ოთახში და იქიდან მხოლოდ გათენებისას გამოვიდა.

მაგრამ, როგორც კი შაბათ საღამოს, ანტუანმა გაკვრით ჰკითხა, ჟიზი თუ ნახეო, ჟაკი სუფრიდან ადგომისთანავე გავიდა ოთახიდან და ჟიზის კარს მიუკაკუნა.

ჟიზი უკეთ გრძნობდა თავს. ტემპერატურა თითქმის აღარ ჰქონდა და ტერივიეს ნებართვით შეეძლო მეორე დღეს ამდგარიყო. იგი ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში თვლემდა, ცდილობდა როგორმე ჩაეძინა.

— როგორაა საქმე? — ნაძალადევი მხიარული ტონით ჰკითხა ჟაკმა. — მშვენივრად გამოიყურები!

მართლაც, დიაფერის აბაჟურის შუქზე ჟიზის გაფართოებულ თვალებს უჩვეულო ელვარება და ჯანმრთელი ადამიანის გამომეტყველება მიეღო.

ჟაკი საწოლს არ მიახლოებია. წამიერი უხერხულობის შემდეგ პირველად ისევ ჟიზმა გაუწოდა ხელი. საკმაოდ განიერ სახელოდან იდაყვამდე მოუჩანდა შიშველი მკლავი. ჟაკმა აიღო მისი ხელი და ვითომ ექიმი კარო, მაჯა მოუსინჯა: კანი გავარვარებული ჰქონდა.

— სიცხე ისევ გაქვს?

— აღარ!

ჟიზმა კარისკენ გააპარა თვალი: ჟაკს ღია დაეტოვებინა, თითქოს ამით ხაზს უსვამდა, ერთი წამით შემოვედი და უნდა წავიდეო.

— გცივა? გინდა კარს მივხურავ? — ჰკითხა მან.

— როგორც გინდა.

ჟაკმა მაშინვე შეასრულა მისი სურვილი და, მარტო რომ დარჩენილიყვნენ, კარი მიხურა.

ჟიზმა ღიმილით გადაუხადა მადლობა და ღრმად ჩაფლო თავი ბალიშში, რომელზეც მისი თმა შავ, მქრქალ ლაქად მოჩანდა. მალე იგრძნო, პერანგის გულიდან ოდნავ მოუჩანდა მკერდის თავი, საყელო ხელით ჩამოიწია. ჟაკმა შენიშნა მისი ნატიფი ხელის მტევანი და შავგვრემანი სხეული, რომელსაც თეთრეულის ფონზე სველი ქვიშის ელფერი დაჰკრავდა.

— მთელი დღე რას აკეთებ? — ჰკითხა ჟიზმა.

— მე? არაფერს. ვიმალები, რომ მომსვლელები არ დავინახო.

ჟიზს ახლადა მოაგონდა, ბატონი ტიბო მოკვდა და ჟაკი მგლოვიარედ იყო. თავს უსაყვედურა, რა ჩქარა გამიქრა მწუხარებაო. ჟაკი? ის მაინც თუ დარდობს? ჟიზი გრძნობდა, რომ თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები უნდა ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ახლა იმასღა ფიქრობდა, მამის სიკვდილმა საბოლოოდ გაათავისუფლა შვილიო, და უნებურად თავშიც გაუელვა: „მაშასადამე, ხელახლა აღარც დასჭირდება წასვლა?!"

— ცოტა ხანს მაინც უნდა გახვიდე ჰაერზე... —უთხრა ჟიზმა.

— მართალი ხარ. სწორედ დღეს საშინლად დამიმძიმდა თავი და ცოტა ხნით გავედი... — ენა დაება, — გაზეთები მინდოდა მეყიდა.

სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო საქმე: დღის ოთხ საათზე ამ უაზ-

რომ ლოდინმა ნერვები აუშალა, რაღაც გაურკვეველ მოთხოვნილებას აჰყვა, რომლის მიზეზს უფრო გვიან მიხვდა და სახლიდან მართლაც გავიდა შვეიცარული გაზეთების საყიდლად... ოღონდ, ზუსტად არც კი იცოდა, საით მიდიოდა...

— იქ დიდხანს იყავი ჰაერზე? — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ჟიზმა.

— ჰო. — მისდა უნებურად უნდილი, თითქმის მკვახე ტონით უპასუხა ჟაკმა და თითქმის მაშინვე ინანა: უბრალოდ, სიტყვამ „იქ“ ერთბაშად დააბნია. — „თურმე — გაიფიქრა მან, იმის შემდეგ, რაც ამ სახლში დავადგი ფეხი, რასაც ვაკეთებ, რასაც ვამბობ, რასაც ვფიქრობ, ყველაფერი ყალბია!“

თვალები წამდაუწუმ გაურბოდა საწოლისკენ, სადაც ვერაგულად ეცემოდა ლამპის შუქი. იგი მიჩერებოდა თეთრი შალის მაუბუქ საბანს, რომლის ქვეშ ეს ახალგაზრდა სხეული, თეძოების კონტური, გრძელი წვივები, ოდნავ გაშლილი მუხლების რკალი რელიეფურად გამოიხატებოდა; ჟაკი ამაოდ ცდილობდა ბუნებრივი იერი მიეღო, ხმა არ აკანკალებოდა, სულ ერთია, უხერხულობა თანდათან უფრო მეტად იპყრობდა.

ჟიზს უნდოდა ეთქვა, დაჯექიო, მაგრამ რაკი იმ წუთში მისი გამოხედვა ვერ დაიჭირა, ვეღარ გაბედა.

ჟაკს ისე ეჭირა თავი, ვითომ ავეჯს, პატარ-პატარა ნივთებს, პაწია, პრიალა, მოვარაყებულ საკურთხეველს ათვალიერებდა. ანაზდად ის დილა მოაგონდა, როცა შინ დაბრუნდა და ამ ოთახს თავი შეაფარა.

— რა ლამაზია შენი ოთახი! — თავაზიანად უთხრა მან, — ეს სავარძელი წინათ არ გქონია, ხომ?

— მამაშენმა მაჩუქა იმ დღეს, როცა 18 წელი შემისრულდა. ვეღარ იცანი? იგი მეზონ-ლაფიტში კიბის ზევითა საქცევზე იდგა მუდამ, გუგულიანი საათის ქვეშ...

მეზონ-ლაფიტი... ჟაკს უცებ თვალწინ წარმოუდგა მზის სხივებით გაჩახჩახებული მესამე სართულის კიბის საქცევი, სადაც ზაფხულობით, მზის ჩასვლისას ფუტკრის აშლილ სკასავით ზუზუნით ირეოდნენ ბუზები; ჯაჭვიანი გუგულიანი საათიც მოაგონდა, კიბის სიჩუმეში თითქოს კიდეც მოესმა ხის პატარა ჩიტის სასაცილო ძახილი ყოველ თხუთმეტ წუთში... მაშასადამე, სანამ შორს იმყოფებოდა, „ამათთვის“ ყველაფერი ძველებურად დარჩენილა! განა თვითონაც ისევ ისეთი ან თითქმის ისეთივე არ არის? განა შინ დაბრუნების შემდეგ ყოველ წუთს არ ამჩნევდა, რომ თვითონაც წინანდელი, უნებური. მოძრაობები შერჩენოდა? მაგალითად, იგი წინანდებურად იწმენდდა ფეხს ქვევით, შემოსასვლელთან. კარსაც ისევე აჯახუნებ-

და და შინ დაბრუნებისას, სანამ სინათლეს აანთებდა, პალტოსაც საკიდრის იმავე ორ ბალთაზე ჰკიდებდა ხოლმე... ანდა, ოთახში წინ და უკან სიარულისას ყოველი მისი მოძრაობა მოქმედებაში გადასული უნებური მოგონება არ იყო განა?

ჩრდილის წყალობით ჟიზი მალულად ათვალიერებდა მის ნერვიულ სახეს, ყბას, კისერს, ხელებს...

— როგორ დავაჟკაცებულხარ! — დაბალი ხმით წაილაპარაკა მან.

ჟაკმა თავი მოაბრუნა და გაუღიმა. ბავშვობაში მუდამ იტანჯებოდა სუსტი გარეგნობის გამო. ახლა, რაკი მაგარი აგებულების მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გული სიამაყით ევსებოდა; ხოლო ანაზდად, დაუფიქრებლად რომ წამოიძახა, — „მაიორი ვან დე კიიპი უჩვეულო ძალის მამაკაცი იყოო!" — ესეც ბავშვური რეფლექსი გახლდათ! — და თვითონვე გაუკვირდა, ეს რამ მომაგონაო.

ჟიზს სიხარულით გამოუცოცხლდა სახე. ეს სიტყვები წაწერილი იყო მათი საყვარელი წიგნის სურათზე, ერთად რომ რამდენჯერმე გადაეკითხათ. მოქმედება სუმატრის ტყეებში ხდებოდა; მთავარი მოქმედი გმირი ვიღაც ჰოლანდიელი მაიორი იყო, რომელიც შემაძრწუნებელი ძალის გორილას თავისუფლად ანარცხებდა ხოლმე მიწაზე.

— „მაიორმა ვან დე კიიპმა დაუდევრობა გამოიჩინა და ბაობაბის ხის ძირას ჩაიძინა!" — მხიარულად დაუმატა ჟიზმა, თავი უკან გადააგდო, თვალები მოხუჭა და პირი დააღო, რადგან მაიორი ხვრინავდა.

ისინი იცინოდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ, ყველაფერი გადაავიწყდათ, ნეტარებით იგონებდნენ ბავშვობის იმ მხიარულ საგანძურს, რაც მხოლოდ მათ ეკუთვნოდათ.

— გახსოვს, ვეფხვის სურათი, ერთ დღეს გაბრაზებულმა რომ დამიხიე?

— მახსოვს. მაინც რატომ გავბრაზდი, თუ გაგონდება?

— იმიტომ, რომ მე აბატ ვეკარს არ მოვერიდე და გიჟივით ვხარხარებდი.

— ღმერთო, რა მეხსიერება გაქვს, ჟიზ!

— უფრო მოგვიანებით, — წამოიძახა ჟიზმა, „ვეფხვის ბავშვის" მოთვინიერება მოვინდომე... ღამ-ღამობით ჩემს წარმოდგენაში ვეფხვის ლეკვს მკლავებში ვარწევდი და ისე ვიძინებდი...

სიჩუმე ჩამოვარდა. მხიარული მოგონებებით გატაცებულებს ღიმილი ეფინათ სახეზე. პირველად ისევ ჟიზმა მიიღო სერიოზული სახე.

— და მაინც, — თქვა მან, — როცა ის დრო მაგონდება, რაღაც გრძელი, დაუსრულებელი, მოსაწყენი დღეებიღა წარმომიდგება... შენ?

სიცხემ... დაღლილობამ, წარსულის მოგონებამ სახე დაუნაღვლიანა და ეს მიმქრალი იერი კიდევ უხდებოდა ლოგინზე გაწოლილს, მის ალერსიან თვალებსა და ცხელი ქვეყნების სახისფერს.

— მართლა გეუბნები, — განაგრძო მან, რაკი ჟაკი არაფერს ამბობდა და მხოლოდ წარბებს იჭმუხნიდა. — საშინელებაა! ასეთი მოწყენილობა როგორ უნდა აიტანა ბავშვს! შემდეგ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ასაკში ეს მოწყენა გაქრა. არ კი ვიცი რატომ. შინაგანად გაქრა. ახლა მოწყენა უცნობი გრძნობაა ჩემთვის. მაშინაც კი... („მაშინაც კი, როცა შენი წყალობით უბედური ვარ", — გაიფიქრა მან, მაგრამ ესღა თქვა: მაშინაც კი, როცა ყველაფერი რიგზე როდია...

ჟაკს თავი ჩაექინდრა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და დუმდა. წარსულის გახსენებამ რატომღაც გააბრაზა. წარსულ ცხოვრებაში დასანანი არაფერი ჰქონია. ცხოვრების არც ერთ პერიოდში ანტუანივით თავდაჯერებულად არსად უგრძვნია თავი, ადგილი ვერსად ეპოვა, ყველგან უცხო იყო. აფრიკაშიც, იტალიაშიც, გერმანიაშიც; ლოზანაშიც კი ისევე გრძნობდა თავს, როგორც სხვაგან... და არამცთუ უცხოდ, დევნილადაც კი მიაჩნდა თავი. დევნიდნენ ახლობლები, დევნიდა საზოგადოება, ცხოვრების პირობები... დევნიდა რაღაც უხილავი, რაც თითქოს თვით მისი „მე"-დან მომდინარეობდა.

— „მაიორ ვან დე კიიპი..." — ხელახლა წამოიწყო ჟიზმა.

ბავშვობის მოგონებებს ასე დიდხანს ინიციატივით არ მოეშვა, რომ ლაპარაკს ვერ ბედავდა სხვა უფრო ახლობელ მოგონებებზე, რომლებსაც მთელი მისი არსება ნოეცვა; მერე ერთბაშად დადუმდა. იგრძნო, ამ ფერფლიდან ვერავითარ ნაპერწკალს ვეღარ გააღვივებდა.

იგი უსიტყვოდ ათვალიერებდა ჟაკს და გამოცანა ვერ ამოეხსნა: მას შემდეგ, რაც მათ შორის მოხდა, რატომღა წავიდა? ანტუანმა რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზა უთხრა, რამაც ვერაფერი აუხსნა, პირიქით, კიდევ უფრო ააფორიაქა. როგორი გახდა ჟაკი ამ სამი წლის მანძილზე? ლონდონის ნეყვავილისგან გამოგზავნილი წითელი ვარდებით რისი თქმა სურდა?

„როგორ შემიცვალეს იგი!" — გაიფიქრა უეცრად.

ამჯერად აღელვება ვერ დამალა და წაიბუტბუტა:

— ო, ჟაკო, როგორ გამოიცვალე!

ჟაკის გამოხედვამ, ორჭოფულმა ღიმილმა, მაშინვე მიახვედრა ჟიზს, რომ ეს მღელვარება არ ესიამოვნებოდა. მაშინ ჟიზმა სახის გამომეტყველება და ხმა შეიცვალა და მხიარულად მოჰყვა, როგორ ცხოვრობდა ლონდონის მონასტერში:

— რომ იცოდე, რა კარგია ასეთი წესრიგიანი ცხოვრება! სუფთა ჰაერზე

ვარჯიშისა და breakfast * შემდეგ დილით მუშაობა, მართლაც რომ სა-
ხიამოვნოა: (ის აღარ უთხრა, რომ ლონდონში ყოფნისას ერთადერთი იმე-
დი, ჟაკის პოვნის იმედი ასულდგმულებდა; იგი არც იმაში გამოუტყდა, რომ
თუ დილით გამხნევებული იყო, საღამოს თანდათან უქრებოდა სიმტკიცე;
არც ის გაუმჟღავნა, რომ ღამით, დორტუარში კაეშანი შემოაწვებოდა ხოლ-
მე ლოგინში!).

— ინგლისური ცხოვრება განსხვავებულია ჩვენებური ცხოვრებისგან
და იგი მეტად მიმზიდველია!

ჟიზი მაგრად ჩაებღაუჭა ამ გაცვეთილ ჭეშმარიტებას, უხაროდა რომ
დუმილის საშიშროებას თავიდან აიცდენდა.

— ინგლისში ყველა იცინის განგებ, უმიზეზოდ, ინგლისელებს არ
სურთ, ცხოვრება სევდიანი იყოს. ჰოდა, თავად მიხვდები, ამიტომაცაა, რაც
შეიძლება ნაკლებს რომ ფიქრობენ. ისინი თამაშობენ: ყველაფერი, თვით
არსებობაც კი, თამაშია მათთვის!

ჟაკი ყურს უგდებდა და სიტყვას არ აწყვეტინებდა. ისიც წავა ინგ-
ლისში. წავა რუსეთში, ამერიკაში. მთელი მომავალი წინ აქვს, ყველაფერს
ნახავს, ეძიებს... ჟიზს შემწყნარებლურად უღიმოდა, დასტურის ნიშნად
თავს უქნევდა, ჟიზი სულელი გოგო როდი იყო! ამ სამი წლის მანძილზე
კიდევ უფრო მომწიფებულა, გალამაზებულა, განაზებულა! მან ხელახლა
გადახედა მის დახვეწილ სხეულს, რომელიც საბნის ქვეშ საკუთარ სითბოს
მოეთენთა და წარსულმა ერთბაშად კვლავ უხეშად ჩაავლო ხელი; ხელახ-
ლა გაიხსენა ყველაფერი: უეცარი ვნება, მეზონ-ლაფიტის მაღალ ხეებქვეშ
მოხვევა. უბიწო კოცნა. მაგრამ ამდენი წლის შემდეგ, ამდენი თავგადასავ-
ლის შემდეგ, ახლაც კი გრძნობდა, მის მკლავებში მომწყვდეულ მოქნილ
ტანს, ტუჩებზე ხელახლა გრძნობდა მისი გამოუცდელი ბაგეების შეხებას.
წამში გონება, ნებისყოფა აუფორიაქდა. რატომაც არა?.. იმავე ფიქრმა
აიტაცა, რაც ყველაზე მძიმე წუთებში აწვალებდა ხოლმე: „ჩემი უნდა გახ-
დეს, ცოლად უნდა შევირთო!“ მაგრამ მისი ფიქრი მაშინვე წააწყდა რაღაც
შეუღწევაელ, შინაგან ძალას, რომელშიაც ნათლად ვერც კი გარკვეულიყო:
ეს იყო მასშივე აღმართული გადაულახავი დაბრკოლება.

შემდეგ, სანამ ამ ლოგინში გაშოტილ ცოცხალ, ჩამოქნილ კიდურებს
მიშტერებოდა, სანამ ამდენი მოგონება სულს უმღვრევდა, ერთბაშად გო-
ნებაში წარმოუდგა მეორე ლოგინი, ასეთივე ვიწრო და მომრგვალებულ
თეძოთა სხვა კონტურები, რომლებიც ზეწრის ქვეშ ზუსტად ასევე გამოიკ-
ვეთებოდნენ და ახლახან აღძრული სურვილი სიბრალულმა შეცვალა: რე-
იხენჰალში რკინის ვიწრო საწოლზე გაშხლართული ჩვიდმეტი წლის

მეძავი გოგო მოაგონდა, რომელსაც ეტყობა, ისე დაჟინებით აეკვიატებინა თავის მოკვლა, რომ ერთ დილით მკვდარი იპოვეს: იატაკზე ჩაცუცქულს თოკის ბოლო საკუჭნაოს კარის გასაღებზე გამოედო და კისერი მარყუჟში გაეყო. ჟაკი ერთ-ერთი პირველთაგანი შესულიყო ოთახში. მოაგონდა გადანწვარი ჭვარტლის მყრალი სუნი, ოთახში რომ იდგა; განსაკუთრებით დაამახსოვრდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის იდუმალი სახე; ოთახის სიღრმეში. გაპარვარებულ ღუმელზე ტაფა შემოედო და ზედ კვერცხებს ახლიდა. ჟაკმა მას ცოტაოდენი ფული მისცა და ამით დაითანხმა ალაპარაკებულიყო. ქალმა საოცარი დაწვრილებით უამბო ყველაფერი. და როცა ჟაკმა ჰკითხა, ეს ახალგაზრდა მიცვალებული თქვენი ახლო ნაცნობი ხომ არ იყოო, მან დაუვიწყარი, ალალმართალი გამომეტყველებით წამოიყვირა:

— ოჰ, არა, მე დედა ვარ მისი!

ჟაკმა ესმოგონება კინაღამ გაუზიარა ჟიზს, მაგრამ მაშინ „იქაური" ცხოვრების ამბებიც უნდა ეხსენებინა, ხოლო ეს წინდაუხედაობა ათასგვარ შეკითხვას გამოიწვევდა...

ჟიზი ლოგინში ჩაფლულიყო და ნახევრად მოჭუტული თვალებით ისე შეჰყურებდა ჟაკს, გეგონებოდათ, შეჭმას უპირებსო. მეტი აღარ შეეძლო; ყოველ წამს იკავებდა თავს, რომ არ ეყვირა: „ილაპარაკე! ვინ ხარ შენ ახლა?.. ან მე ვინდა ვარ? ნუთუ ყოველივე გადაივიწყე?"

ჟაკი შეწუხებული, განთესილი სახით ხან ბოლთასა სცემდა ოთახში, ხან ფეხს ინაცვლებდა. როცა ჟიზის ანთებულ მზერას წააწყდებოდა, აზრთა ისეთ აუტანელ განხეთქილებას გრძნობდა საკუთარ თავსა და ჟიზს შორის, რომ მაშინვე უკიდურესად გულგრილ იერს იღებდა: და ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი ასეთი აღფრთოვანებული იყო თეთრ საცვლებში ყელმოტიტვლებულ, ამ გულუბრყვილო გოგონათი, მისი ბავშვური პოზით! ამჯერად ავადმყოფი ჟიზის მიმართ იგი უფროსი ძმის სიყვარულს გრძნობდა; მაგრამ ორაზროვანი მოგონებები წამდაუწუმ იჭრებოდა მათ შორის! რა მწარეა, ასე დაბერებულად, ასე გაცვეთილად, გაჭუჭყიანებულად იგრძნო თავი!

— ეტყობა, პირველი ჩოგბურთელი გამხდარხარ! — სიტყვა ბანზე აუგდო, როცა კარადაზე ჩამოდებული ჩოგბურთი შეამჩნია.

ჟიზს წამდაუწუმ ეცვლებოდა გრძნობები, სიამაყით გამოწვეული გულუბრყვილო ღიმილი ვერ შეიკავა და ასე მიუგო:

— თვითონვე ნახავ!

მაშინვე დაიბნა. როგორ წამოცდა ეს ორი სიტყვა? „თვითონვე ნახავ!" სად? როდის?.. რა შეცდომა დაუშვა!..

მაგრამ ჟაკს თითქოს არაფერი შეუმჩნევია. იგი ჟიზზე აღარც ფიქრობდა. ჩოგბურთი, მეზონ-ლაფიტი, თეთრი კაბა... რა უცნაურად იცოდა ველოსიპედიდან გადმოხტომა, კლუბის შესასვლელთან... დარაბები რატომაა ჩარაზული ობსერვატორიის ქუჩაზე? (იმ დღეს სახლიდან გამოსვლისას, მისდაუნებურად ლუქსემბურგის ბაღისკენ გაემართა, იქიდან ობსერვატორიის ქუჩაზე გადავიდა. დამდებოდა. საყელოაწეული, სწრაფად მიაბიჯებდა. მას მუდამ ეჩქარებოდა აშყოლოდა ცთუნებას, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინა იგი თავიდან. ბოლოს შეჩერდა და რაღაცას მიაშტერდა. ყველა ფანჯარა დახურული დაუხვდა. მართალია, ანტუანმა შეატყობინა, დანიელი ლიუნვილში სამხედრო სამსახურს იხდისო, მაგრამ დანარჩენები? არც ისე გვიანი იყო, დარაბების დაკეტვა რომ ამით აეხსნა... თუმცა, სულ ერთი არაა? სულ ერთი არაა? სახლს მაშინვე შეაქცია ზურგი და მოკლე გზით დაბრუნდა შინ).

მიხვდა თუ არა ჟიზი, რომ ჟაკის ფიქრები შორს ფრენდა? მისდაუნებურად მკლავი გაიწოდა, თითქოს უნდოდა მისწვდომოდა, ხელი წაევლო, თავისკენ მოეზიდა.

— რა ქარია! — მხიარულად წამოიყვირა ჟაკმა, რომელსაც ჟიზის მოძრაობა თითქოს არც შეემჩნიოს. — ნუთუ ნერვებს არ გიშლის ბუხარში ამ საკავის ყანყალი? მოიცა!

მან ჩაიჩოქა და ორ რკინის ფურცელს შორის მველი გაზეთი შეაცურა გასამაგრებლად. ჟიზი შეჰყურებდა ჟაკს და გული უკვდებოდა: მას ხომ თავის განცდაზე ლაპარაკი არ შეეძლო!

—ესეც ასე! — თქვა ჟაკმა და წამოდგა. მან ამოიოხრა და დაუფიქრებლად დაუმატა: — რა ქარია!.. ოღონდაც ჩქარა დამთავრდებოდეს ზამთარი, გაზაფხული დადგებოდეს!..

ეტყობა, უცხოეთში გატარებული გაზაფხულის დღეები გაახსენდა. ჟიზმაც ინსტინქტურად იგრძნო, რასაც ფიქრობდა ჟაკი: „შაიპში ამას გავაკეთებ... იქ წავალ..."

„საინტერესოა ამ გაზაფხულზე მე რა ადგილს მიმზადებს?" — გაიფიქრა ჟიზმა.

საათმა დარეკა.

— ცხრა საათია! — ისე წამოიძახა ჟაკმა, თითქოს წასვლას აპირებდა.

ჟიზმაც გაიგონა საათის რეკვა. „იმედით სავსეს რამდენი საღამო, რამდენი საღამო გამიტარებია აქ, ამ ლამპასთან, მის ლოდინში; საათი მაშინაც ასევე რეკდა; ჟაკი კი დაკარგული იყო. ახლა აქაა, ამ ოთახში, ჩემთან ახლოს. აქაა. საათის რეკვას ისევე უგდებს ყურს, როგორც მე.." — ფიქრობდა ჟიზი.

ჟაკი საწოლს მიუახლოვდა.

— აბა, ახლა კი წავალ, იქნებ, დაიძინო! — უთხრა მან.

„იგი აქაა! — იმეორებდა გულში ჟიზი, რომელსაც თვალები მოელულა, რომ ჟაკი უკეთ წარმოედგინა. — იგი აქაა! მიუხედავად ამისა, ცხოვრება, სამყარო, ყველაფერი ისევ ისეთია ჩვენს ირგვლივ, ისეთივე გულგრილი დარჩა! არაფერი არ შეცვლილა...“ მას ისეთი, სინდისის ქენჯნასავით მძიმე გრძნობაც კი ჰქონდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, თვითონაც „არ შეცვლილა“, ძალიან „არ შეცვლილა“.

ჟაკს არ უნდოდა ისეთი სახე ჰქონოდა, თითქოს წასვლა ეჩქარებაო, და ამიტომაც იდგა საწოლთან. სრულიად მშვიდად შეეხო საბანზე ობლად გაშოტილ შავგვრემან პატარა ხელს. კრეტონის შტორების სუნი სცემდა, ამ სუნს რაღაც მომჟავო გემოც შერეოდა იმ საღამოს და სანამ მას ავადმყოფის სიცხეს აწერდა, უსიამოვნოდ მიაჩნდა, მაგრამ ახლა სიხარულით ისუნთქავდა, რადგან დარწმუნდა, ეს სუნი დაჭრილი ლიმონიდან მოდიოდა, რომელიც ლამბაქებზე ეწყო სასთუმალთან დადგმულ პატარა მაგიდაზე.

ჟიზი არ ინძრეოდა. თვალებში ცრემლები უპრიალებდა, რომელსაც მოჭუტული ქუთუთოებით იკავებდა.

ჟაკს კი ისევ ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერს ამჩნევსო.

— აბა, ღამე მშვიდობისა! ხვალ უკვე გამოჯანსაღებული იქნები!..

— ოჰ, ამის დიდი სურვილი არცა მაქვს... — ამოიოხრა ჟიზმა და ნაძალადევად გაიღიმა.

რა უნდოდა ამით ეთქვა? თვითონაც არ იცოდა. გამოჯანსაღებისადმი ასეთი გულგრილობა საერთო სისუსტეს ამჟღავნებდა, ხვალინდელი დღის შიშს აჩენდა, განსაკუთრებით კი, ნაღველი იგრძნობოდა, რადგან დასრულდა ინტიმური წუთი, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა და, რაც ერთსა იმავე დროს ასეთი ხანმოკლე და ასეთი ტკბილი იყო... მან თავს ძალა დაატანა, აღელვებისგან სუნთქვაშეკრულმა ბაგეები გააპო და მხიარულად დაუბახა.

— გმადლობ, რომ მინახულე, ჟაკო!

ერთხელ კიდევ ვერ დაიოკა სურვილი ხელი გაეწვდინა, მაგრამ ჟაკი უკვე კარებთან იყო; იგი მობრუნდა, თავი დაუქნია და გავიდა.

ჟიზმა სინათლე ჩააქრო და თავზე საბანი წაიფარა. გული ყრუდ უძგერდა. მკლავები მკერდზე დაიკრიფა, თითქოს მისთვის გაუებარ სინანულს იკრავდა გულში, ზუსტად ისე, ოდესღაც მოთვინიერებული ვეფხვის ლეკვს რომ იხუტებდა თავის წარმოდგენაში. „წმინდაო ქალწულო! — მექანიკურად ბუტბუტებდა იგი. — მარიამ, ჩემო მეგზურო და ბრძანებე-

ლო, — მთელს ჩემს იმედებს და ნუგეშს... მთელ ჩემს კაეშანსა და გასაჭირს თქვენ მოგანდობთ!“ იგი აღტყინებული გულმოდგინებით ევედრებოდა ქალწულს, ცდილობდა ლოცვაში ჩაეხშო საკუთარი ფიქრი: არასოდეს ასე ბედნიერად არ უგრძვნია თავი, როგორც ახლა, ამ წუთებში, როცა ლოცულობდა, ლოცულობდა ისე, რომ არაფერზე ფიქრობდა! მკლავები მაგრად მიეკრა მკერდზე. უკვე ყველაფერი თრთოდა და ირეოდა ბინდ-ბუნდში. ასე ეგონა, ის, რასაც მკერდზე იკრავდა ამ თბილ ლოგინში, ბავშვი იყო, მისი შვილი, მხოლოდ მისი, მისი შვილი! იგი ღრმად იფლობოდა საწოლში. ბუდეს უკეთებდა თავის პირმშოს, მერე ორად მოიკრუნჩხა, რომ უკეთ მოხვეოდა სიყვარულის ამ გამონაგონს, ფიქციას, რომელიც ჩაძინებისას ცრემლით განბანა.

## X

ანტუანი უცდიდა, როდის გამოვიდოდა ჟაკი ჟიზის ოთახიდან და ძირს ჩავიდოდა დასაძინებლად. უნდოდა ბატონი ტიბოს საბუთებს გასცნობოდნენ, ოღონდ გადაეწყვიტა, წინასწარ თვითონ გადაევლო თვალი ამ ქაღალდებისათვის; რა თქმა უნდა, ჟაკს არაფერს დაუმალავდა, მაგრამ როცა მამამისის გარდაცვალების მეორე დღეს ბატონი ტიბოს უკანასკნელი სურვილების გაცნობა მოინდომა, თვალში მოხვდა ქაღალდის ფურცელი, წარწერით: „ჟაკი“, ამ საბუთის ზერელე გაცნობამაც კი დაარწმუნა, რომ მისი წაკითხვა ჟაკს გულს ატკენდა. ადვილი შესაძლებელი იყო, განსვენებულის ქაღალდებში ასეთივე შინაარსის სხვა საბუთებიც ყოფილიყო, და ამიტომ საჭიროდ არ სცნო, ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტში იგი ჟაკს ენახა.

სანამ სამუშაო კაბინეტში შევიდოდა, სასადილო ოთახში შეიხედა, უნდოდა ენახა, როგორ მუშაობდა ბატონი შალი.

დიდ, გასაშლელ მაგიდაზე დასაგზავნად გამზადებული სამგლოვიარო წერილები და კონვერტები დაეგროვებინათ. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მისამართები წაეწერა, ბატონი შალი ცალკეულ პაკეტებს სათითაოდ ხსნიდა და ამოწმებდა.

გაოცებული ანტუანი მიუახლოვდა.

— ხალხი მუდამ როდი გახლავთ პატიოსანი! — განუცხადა მოხუცმა ჩიაკაცმა და თავი ასწია — თითოეულ პაკეტში ხუთასი უწყება უნდა იყოს, მაგრამ აგერ, ერთში ხუთას სამი ცალი აღმოვაჩინე, მეორეში კი — ხუთას ერთი.

ლაპარაკისას ზედმეტ უწყებებს ხევდა.

— რასაკვირველია, — თავაზიანად განაგრძო მან, — ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რომ შევინახო, მალე ეს არშიიანი უწყებები წაგვლეკავს!..

— რათ!.. რა არშიიან უწყებებზე ლაპარაკობთ? — იკითხა გაოგნებულმა ანტუანმა.

ბატონმა შალმა ეშმაკურად ჩაიცინა და თითი ასწია:

— სწორედ ასეა!

ანტუანი აღარ ჩასციებია და კარისკენ გაემართა: „ყველაზე საოცარი ისაა, — გაიფიქრა მან ღიმილით, — საკმარისია ერთი წამით ესაუბრო ამ ბრიყვს, რომ ისეთი გრძნობა გრჩება, თითქოს მასზე ბრიყვი შენა ხარ!“

კაბინეტში შესვლისთანავე ანტუანმა ყველა ჭაღი აანთო, შტორები ჩამოუშვა და კარი ჩაკეტა.

ბატონი ტიბოს საბუთები სანიმუშო წესრიგში იყო. „საქველმოქმედო დაწესებულებებს“ ცალკე კარადა ეკავა. სეიფში რამდენიმე აქცია, უმეტეს წილად კი ძველი ანგარიშები და ქონების მართვის საბუთები ინახებოდა. რაც შეეხება საწერი მაგიდის უჯრებს, მარცხენა მხარე კონტრაქტების, ხელშეკრულებების, მიმდინარე საქმეებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მარცხენა მხარის უჯრებში პირადი ხასიათის საბუთები ინახებოდა, სწორედ ის, რაც ანტუანს აინტერესებდა: წინაღდით აქ იპოვა ანდერძი და იმავე საქაღალდეში იდო ჟაკის სახელზე დაწერილი ბარათიც.

ამიტომ, კარგად ახსოვდა, სადაც ჩადო იგი. სხვათა შორის, ეს იყო ციტატა სახარებიდან. (მოსეს V წიგნი, XXI, 18—21).

„თუ კაცს ურჩი და უზნეო შვილი ეყოლება, რომელიც დედ-მამის ხმას ყურად არ იღებს, მაშინ დედ-მამამ ხელი მოჰკიდოს მას, ქალაქის უხუცესთან მიიყვანოს და მისი სახლის კართან უთხრას ქალაქის უხუცესს: „ეს ჩვენი შვილი არ ემორჩილებოდა ჩვენს ხმას, რადგან იგი უზნეო და ურჩია.

მაშინ ქალაქის მცხოვრებლები ჩაქოლავენ მას და ამგვარად, განდევნე შენგან ბოროტი, რათა ყველა ისრაელი შიშმა შეიპყროს“.

ფურცელს თავზე ეწერა: „ჟაკი“, „უზნეო და ურჩი“.

ანტუანმა მღელვარებით გადაიკითხა ბარათი: ხელწერის მიხედვით ეტყობოდა, მამამისს იგი უკანასკნელ წლებში დაეწერა. ტექსტი გულდასმით გადაეწერა. ბოლო ასოები მაგრად იყო ჩახვეული. მთელი დოკუმენტი მორალური სიმტკიცით, დაფიქრებით, მტკიცე ნებისყოფით იყო გამსჭვალული. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო, რომ მოხუცს ეს ფურცელი განზრახ ჩაედო კონვერტში ანდერძთან ერთად. ამით თავის ყოყმანსა და თავისმართლების სურვილს ხომ არ ამჟღავნებდა?

ანტუანმა ხელახლა აიღო ხელში მამის ანდერძი, ნამდვილი ძეგლია: მოხსენების მსგავსად დანომრილი, თავებად, პარაგრაფებად დაყოფილი, ბოლოში სარჩევით. თანაც მუყაოს საქაღალდეში იდო. თარიღი: „1912

წელი, ივლისი“. მაშასადამე, ავადმყოფობის დასაწყისში, ოპერაციამდე რამდენიმე თვით ადრე დაუწერია. ჟაკის შესახებ ანდერძში ერთი სიტყვაც არ იყო: მოხსენებული ჰყავდა მხოლოდ „ჩემი შვილი“, „ჩემი მემკვიდრე“.

ანტუანმა დაკვირვებით გადაიკითხა ერთი თავი, რომელსაც წინადღით ზერელედ გადაავლო თვალი და რომელსაც სათაურად ჰქონდა: დასაფლავების ცერემონიალი“. „მსურს ჩემს სამრევლოში, თომა აქვინელის ეკლესიაში წირვის შემდეგ გვამი ჩემი კრუიში გადაიტანონ, მსურს, დაკრძალვის წეს-ჩვეულება იქ, კოლონიის სამლოცველოში გადაიხადონ აღსაზრდელების თანდასწრებით. მსურს, წმ. თომა აქვინელის ეკლესიაში წირვისგან განსხვავებით, დასაფლავების ცერემონია საზეიმო ხასიათს ატარებდეს კრუიში, როგორც ანას იქაური მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს ჩემი ნეშთის პატივსაცემად. მსურს, უკანასკნელ განსასვენებელ ადგილას იმ საქველმოქმედო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა მიმაცილონ, რომელთა ერთგული თანამშრომელი ვიყავი მრავალი წლის მანძილზე, აგრეთვე საფრანგეთის აკადემიის დელეგაციამ, რომლის წევრობითაც ასე ვამაყობდი მუდამ. მსურს, თუკი წესდება ამის ნებას მომცემს, ჩემი, როგორც საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცრის პატივსაცემად, იმ არმიის სამხედრო სალუტით გამაცილონ, რომელსაც მუდამ ვიცავდი სიტყვით, კალმით და სამოქალაქო ვოტუმით. და ბოლოს, მსურს, სრული თავისუფლებით სარგებლობდეს ყველა, ვინც კი ჩემს საფლავთან რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმას მოინდომებს.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულის ჩამოთვლით, მე არავითარ ილუზიებს არ ვიქმნი ჩემი სიკვდილშემდგომი ზეიმის ამაოებაზე. წინასწარ მაშფოთებს ამის ფიქრი, რომ ერთ დღეს, უზენაესი სამსჯავროს წინაშე უნდა წარვსდგე. მაგრამ დაფიქრებამ და ლოცვებმა იმ დასკვნამდე მიმიყვანეს, რომ ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში ჩემი პირდაპირი მოვალეობაა ჩავახშო თვით დამცირების ამაო გრძნობა და ჩემი მიცვალების დღეს, თუკი ასეთი იქნება ნება ღვთისა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, გავხდე სანიმუშო მაგალითი, რათა ჩვენი დიადი ფრანგული ბურჟუაზიის დანარჩენ ქრისტიანებს შთავუნერგო — თავი შესწირონ კათოლიკურ რწმენასა და ქველმოქმედების საქმეს“.

ამას მოჰყვებოდა პარაგრაფი: „დაწვრილებითი ინსტრუქციები“. ერთი სიტყვით, ანტუანს არავითარი ინიციატივის განორჩენა არ მოუხდებოდა. დასაფლავების ცერემონიალის ყოველი წვრილმანი ბატონ ტიბოს თვითონვე გაეთვალისწინებინა. ოჯახის უფროსი უკანასკნელ წუთამდე ინარჩუნებ-

და განკარგულების უფლებას; და ამ სურვილს, დარჩენილიყო თავისი ვასიათის ერთგული, ანტუანის თვალში ერთგვარი სიდიადე ემლეოდა.

ბატონ ტიბოს საკუთარი ხელით წინასწარ შეუდგენია თავისი გარდაცვალების შეტყობინების ტექსტი და ანტუანმაც ასევე გადასცა იგი დამკრძალავ ბიუროს. ბატონი ტიბოს წოდებები გულდასმით შერჩეული და თანმიდევრობით ჩამოთვლილი, თორმეტიოდე სტრიქონზე იყო ჩამწკრივებული.

„აკადემიის წევრი" დიდი ასოებით ეწერა. ამას მოსდევდა არა მარტო ისეთი წოდება, როგორიც იყო „იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი", „დეპარტამენტ ერის ყოფილი დეპუტატი", „პარიზის საეპისკოპოსოს კათოლიკურ დაწესებულებათა კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე", „მცირეწლოვანთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე", „ბავშვთა დაცვის საზოგადოების ადმინისტრაციული საბჭოს თავჯდომარე", „კათოლიკური სოლიდარობის ცენტრალური კომიტეტის ფრანგული სექციის ყოფილი ხაზინადარი", არამედ ისეთი ღირსებებიც, რამაც ანტუანი წამით ჩააფიქრა: „წმ. იოანე ლატრანის ძმობის წევრ-კორესპონდენტი" ანდა „წმ. თომა აქვინელის სამრევლოს საბჭოს თავმჯდომარე და მორწმუნე ასოციაციის ნამდვილი წევრი". ეს მაღალფარდოვანი ნუსხა მთავრდებოდა ორდენების სიით, სადაც საპატიო ლეგიონის ორდენამდე მოხსენებული იყო „წმ. გრეგუარის" *, „წმ. იზაბელისა" * და თვით „სამხრეთის ჯვარის" * ორდენები. საპატიო ნიშნები კუბოზე დასვენებულ ბალიშზე უნდა დაემაგრებინათ.

ანდერძის უმეტესი ნაწილი ეთმობოდა იმ სხვადასხვა პირთა და საეკლესიო დაწესებულებათა დასაჩუქრების სიას, რომელთაგან ანტუანი ბევრს არც კი იცნობდა.

ჟიზის სახელზე მიიპყრო მისი ყურადღება. ბატონი ტიბო „მადმუაზელ ჟიზელ დე ვეზს", რომელიც მან „აღზარდა" (ასე წერდა იგი) და რომელსაც „თითქმის საკუთარ ქალიშვილად" თვლიდა, მზითვად აძლევდა საკმაოდ დიდ თანხას, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი სიკვდილამდე არ მოაკლებდა ზრუნვას მამიდამისს. ამგვარად, ჟიზის მომავალი სავსებით უზრუნველყოფილი იყო.

ანტუანმა კითხვა შეწყვიტა. სიამოვნებისგან სახე აჭარხლებოდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, ეს მოხუცი ეგოისტი ასეთი ხელგაშლილი და ყურადღებიანი თუ იქნებოდა. ერთბაშად მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით გაიმსჭვალა მამისადმი, რაც შემდეგი გვერდების კითხვამ უფრო გაუღრმავა. მართლაც, ეტყობოდა, ბატონ ტიბოს ხალხის გაბედნიერება განეზრახა: მოახლეები, კონსიერჟი, მეზონ-ლაფიტის მებაღე — არავინ დავიწყებია.

ანდერძის ბოლო გვერდი ახალი საქველმოქმედო დაწესებულების შექმნის პროექტს ეთმობოდა; ყოველი მათგანისათვის ოსკარ ტიბოს სახელი უნდა მიეცათ. ანტუანმა ცნობისმოყვარეობით გადაიკითხა ზოგი მათგანი „ოსკარ ტიბოს საჩუქარი ფრანგულ აკადემიას — „სათნოების პრემიის დასაწესებლად". ბუნებრივია, — „ოსკარ ტიბოს სახელობის პრემიას, მორალურ მეცნიერებათა აკადემია ხუთ წელიწადში ერთხელ გაიღებდა საუკეთესო თხზულებებისათვის, „რაც ხელს შეუწყობს პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლას და ბოლოს მოუღებს ამ საქმისადმი... საფრანგეთის რესპუბლიკის შემწყნარებლობას..."

ანტუანს გაეღიმა. ჟიზის მიმართ გამოჩენილმა ზრუნვამ მოთმინებით განაწყო იგი. ამას გარდა, ანდერძის დამგდების ამ წარამარა განმეორებული სურვილის მიღმა, ემსახუროს საეკლესიო საქმეს, ანტუანი ცნობდა მის აკვიატებულ აზრს, რაც, მიუხედავად თავისი ასაკისა, მისთვისაც უცხო არ იყო: აჯობოს ფიზიკურ სიკვდილს და მეტხანს იცოცხლოს!

ანდერძის ყველაზე გულუბრყვილო, ყველაზე მოულოდნელი პუნქტი ის გახლდათ, რომ ბატონი ტიბო მნიშვნელოვან თანხას უტოვებდა ბოვეს ეპისკოპოსს, ყოველწლიური ჟურნალის „ოსკარ ტიბოს ალმანახის" გამოსაცემად, „რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ეგზემპლარით", რომელიც „იაფად უნდა გაეყიდათ საეპისკოპოსოს ყველა წიგნის მაღაზიასა და ბაზარზე". „სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული კალენდრის" სახელწოდებით იგი უნდა „გაევრცელებინათ ყოველ კათოლიკურ ოჯახში, რათა საყურადღებო მოთხრობათა საინტერესო კრებულივით წაეკითხათ კვირა დღესა და ზამთრის საღამოს".

ანტუანმა ანდერძი დახურა. სხვა საბუთების გადასინჯვა ეჩქარებოდა. მან ეს დიდი მოცულობის რვეული მუყაოს საქაღალდეში ჩადო და სიამოვნებით გაიფიქრა, რაკი მამამ ასეთი ხელგაშლილობა გამოიჩინა, ეტყობა, ჩვენც კარგა მოზრდილი ქონება დაგვიტოვაო.

საწერი მაგიდის პირველ უჯრაში ღვედებით შეკრული ტყავის დიდი პორტფელი იდო, რომელსაც ეწერა „ლუსი" (ქალბატონ ტიბოს სახელი გახლდათ). ანტუანმა, ცოტა არ იყოს, უხერხულობა იგრძნო, მაგრამ მაინც გახსნა.

ჯერ რაღაც ნივთებს მოჰკრა თვალი: მოქარგული ცხვირსახოცი. პატარა კოლოფი, ბავშვის ორი საყურეთი; სპილოს ძვლის საფულე, თეთრი ატლასის განყოფილებებით, სადაც ოთხად დაკეცილი და მელანგადაცლილი ზიარების მოწმობა იდო. რამდენიმე გახუნებული ფოტოსურათი, რომელიც ანტუანს არასოდეს ენახა: დედამისი ბავშვობისას; დედამისი 18—19 წლის

ასაკში. გაუკვირდა, მამამისს, სენტიმენტალობას მოკლებულ ამ კაცს, ეს რელიქვიები რომ შემოენახა და თანაც შორს კი არ გადაუნახავს, იქვე ახლოს უჯრაში ედო. ანტუანი თბილი, ნაზი გრძნობით ჩაიბაჭყვალა ამ ნორჩი მხიარული სახის გოგონასადმი, რომელიც დედამისი იყო. მაგრამ როცა ამ მივიწყებულ ნაკვთებს დააკვირდა, უფრო მეტად საკუთარ თავზე ფიქრობდა. როცა ქალბატონი ტიბო გარდაიცვალა, ჟაკის გაჩენის დღეს ანტუანი ცხრა წლისა იყო. იმ ხანებში იგი უკვე ჯიუტი, ბეჯითი, დამოუკიდებელი ბიჭი გახლდათ; და თანაც, იძულებული იყო თავისთავს გამოტყდომოდა: „არც ძალიან მგრძნობიარე!“ იგი დიდხანს აღარ შეჩერებულა ამ უსიამოვნო მოგონებაზე და პორტფელის მეორე განყოფილების შემოწმებას შეუდგა.

იქიდან ერთნაირი მოცულობის ორი შეკვრა ამოიღო.

„ლუსის წერილები“.

„ოსკარის წერილები“.

უკანასკნელი პაკეტი ვიწრო, აბრეშუმის ბაფთით შეეკრათ და ზედ წარწერაც იყო მოწაფური, გაკრული ხელით. ეტყობა, ტიბოს ეს წერილები განსვენებული ცოლის სეკრეტერში ეპოვა და სათუთად ინახავდა.

ანტუანი ყოყმანებდა, გაეხსნა თუ არა წერილების შეკვრა: მოგვიანებითაც ექნებოდა დრო მათ გადასაკითხავად. წერილების შეკვრა გვერდზე გადადო, მაგრამ ხალვათად შემოკრული ბაფთის წყალობით ყოველდღიური რეალური ცხოვრების ამსახველი ფრაზები მოხვდა თვალში და ისეთი წარსული გადაეშალა, რასაც ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა და ვერც ვერასოდეს მიხვდებოდა.

„...კონგრესის დაწყებამდე, ორლეანიდან მოგწერ. მაგრამ ძვირფასო, მინდოდა ამ საღამოსვე გეგრძნო ჩემი გულის ცემა, რათა ამით მოთმინებისკენ მოგიწოდო, და ერთი კვირით ჩვენი დაშორების პირველი დღის ატანაში დაგეხმარო. შაბათამდე დიდი დრო აღარაა, ღამე მშვიდობისა, სიყვარულო! ჩვენი პატარა ბიჭი შენს ოთახში გადაიყვანე, რომ მარტოობა ისე ძალიან აღარ იგრძნო!“

სანამ კითხვას განაგრძობდა, ანტუანი კართან მივიდა და გასაღებით გადაკეტა.

„...მთელი გულით მიყვარხარ, ჩემო სიყვარულო. ამ უცხო მხარეს თოვლსა და ზამთარზე უფრო ჩვენი განშორება მიყინავს გულს. ვ. პ.-ს აღარ დავუცადე ბრიუსელში. კვირამდე ჩაგიკრავ გულში, ჩემო საყვარელო ლულუ. ხალხი ვერ მიხვდება ჩვენს საიდუმლოს: ჩვენსავით ხომ არავის, არასოდეს არ ჰყვარებია!..“

მამამისის დაწერილმა ამ სიტყვებმა ისე გააოცეს ანტუანი, რომ წერილების ხელახლა შეკვრა ვეღარ გადაეწყვიტა.

თუმცა ყველა ბარათი ასეთი თბილი როდი იყო. „...გამოგიტყდები, შენს წერილში ერთი სიტყვა არ მესიამოვნა. გემუდარები, ლუსი, ნუ სარგებლობ ჩემი მანდ არ ყოფნით და როიალის დაკვრით დროს ნუ კარგავ. დამიჯერე, მუსიკით გამოწვეული ეგზალტაცია, ახალგაზრდა არსების მგრძნობიარობაზე დამღუპველად მოქმედებს. იგი სიზარმაცეს, მიეთმოეთობას აჩვევს და, ადვილი შესაძლებელია, ქალს თავისი ნამდვილი მოვალეობაც გადაავიწყოს...“

დროდადრო წერილების ტონი მკვახეც იყო. „...შენ ჩემი არ გესმის და ვხედავ, არც არასოდეს გესმოდა ჩემი. ეგოისტობას მაბრალებ მე, რომელიც მხოლოდ მისთვის ვარსებობ, რომ ახლობელთ კეთილდღეობა მივანიჭო! კარგი იქნება, თუ გაბედავ და აბატ ნუაიელს ჰკითხავ, რა აზრისაა ჩემზე. შენ რომ შეგეძლოს ჩასწვდე იმ ცხოვრებას, რასაც მე ასე ერთგულებით ვეწევი, მიხვდე მის მორალურ სიდიადესა და სულიერ მიზანს, ალბათ, კიდეც იამაყებდი და მადლობას შესწირავდი ღმერთს! მაგრამ ამის ნაცვლად შენ მის მიმართ სულმდაბალი ეჭვიანობით შეპყრობილხარ და ცდილობ, საკუთარი ინტერესების გამო ზიანი მიაყენო იმ დაწესებულებებს, რომელთაც ასე სჭირდებათ ჩემი ხელმძღვანელობა!..“

მიუხედავად ამისა, წერილთა უმრავლესობა ღრმა სიყვარულს გამოხატავდა:

„...არც გუშინ მიმიღია შენი წერილი და არც დღეს. შენ ისეთი აუცილებელი ხარ ჩემთვის, რომ შენს ყოველდღიურ წერილებზე დიდ იმედებს ვამყარებ და, როცა გადვიძებისას ეს მაცოცხლებელი საშუალება მომაკლდება, სამუშაო დღე უღიმღამოდ გაივლის ხოლმე. მეტი რა გზა მქონდა, ხუთშაბათს მიღებული წერილი ხელახლა გადავიკითხე, იგი გულწრფელია, წმინდაა, სიყვარულითაა გამსჭვალული. ოო, რა ანგელოზი მარგუნა უფალმა თანამგზავრად! საყვედურებით ვიგვემავ თავს, რომ ისე არ მიყვარხარ, როგორც ღირსი ხარ! მშვენივრად ვგრძნობ, გენაცვალე, რომ შენ ყოველგვარი წუწუნი აუკრძალე თავს. მაგრამ განა სიმდაბლე არ იქნებოდა ჩემი მხრიდან ისე მეჩვენებინა თავი, თითქოს ჩემი დანაშაული არ მახსოვდეს, ან ჩემი მონანიება დამემალა შენთვის.

ჩვენს დელეგაციას პატივისცემით ხვდებიან. პირადად მე განსაკუთრებული მოწიწებით მექცევიან. გუშინ სადილი გამართეს ოცდაათ სულზე, ითქვა სადღეგრძელოები და ასე შემდეგ. ვფიქრობ, ჩემს ხაპასუხო სიტყვას დიდი მოწონება ჰქონდა. მაგრამ ეს პატივისცემა არაფერს მავიწყებს. სხდო-

მებიდან შესვენებაზე მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ძვირფასო, და ჩვენს პატარაზე...“

ანტუანი ისე იყო აღელვებული, როცა პაკეტი თავის ადგილას დადო, ხელი უკანკალებდა. „თქვენი წინდანი დედა!“ — იცოდა ხოლმე თქმა ბატონმა ტიბომ, როცა განსვენებულის გახსენება მოუხდებოდა, რაღაც უჩვეულოდ ამოიოხრებდა და ჭაღს აზიდავდა ცალი თვალით. მისთვის უცნობ სამყაროში ამ ხანმოკლე ექსკურსიამ ანტუანს გაცილებით მეტი ცნობები მიაწოდა მშობლების ახალგაზრდობაზე, ვიდრე მამამისის მიერ ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ნართქულით ნათქვამმა ყველა ფრაზამ.

მეორე უჯრაში სულ სხვაგვარი შეკვრები ეწყო:

„ბავშვების წერილები. აღსაზრდელები და პატიმრები“.

„ოჯახის დანარჩენი წევრები!“ — გაიფიქრა ანტუანმა.

ეს წარსული ცხოვრება უფრო ახლობელი იყო მისთვის, მაგრამ აქაც არანაკლები სიურპრიზი ელოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ბატონი ტიბო ანტუანის, ჟაკის, თვით ჟიზის წერილებს ასე სათუთად შეინახავდა და საერთო სათაურად „ბავშვების წერილებს“ მისცემდა?!

წერილების შეკვრაზე პატარა ბარათი იდო, დაუთარიღებელი, დედის დახმარებით ბავშვის მიერ ფანქრით გამოყვანილი ასოებით: „ჩემო საყვარელო მამიკო, გკოცნი და ბედნიერ დღესასწაულს გისურვებ.

ანტუანი“.

წამით გული აუჩუყდა ამ ძველისძველი წერილის წაკითხვაზე და სხვა წერილები აიღო.

ეტყობოდა, „აღსაზრდელთა და პატიმართა“ წერილები საინტერესო არ იქნებოდა.

„ბატონო თავმჯდომარევ,

ამ საღამოს კუნძულ რეზე გადავყევართ. ისე არ მინდა წავიდე საპატიმროდან, პირადად არ გადაგიხადოთ მადლობა იმ სიკეთისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ...“

„ძვირფასო ბატონო კეთილისმყოფელო, ამ ბარათს გწერთ ადამიანი, რომელიც ხელახლა გახდა პატიოსანი და ამიტომაც გთხოვთ რეკომენდაციას: წერილს თან ვურთავ მამიჩემის ბარათს... გთხოვთ აპატიოთ უხეირო ენა თუ სტილი. ჩემი ორი გოგონა ყოველ ღამე ლოცულობს იმ ადამიანისათვის, რომელსაც „მამას ნათლია“ დაარქვეს...“

„ბატონო თავმჯდომარე,

აი უკვე 26 დღეა, რაც ციხის კედელში ჩაკეტილი საპატიმროწარკვეთილებას

ვეძლევი იმის გამო, რომ მიუხედავად ჩემი წერილებითი ახსნა-განმარტებისა ამ ოცდაექვსი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვნაჯე განობძიებელი..."

ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯზე ეწერა: „მონტრაველის ბანაკი ახალი კალედონია" * და ბითავრდებოდა გამოხუნებული მელნით კალიგრაფიულად ნაწერი სტრიქონებით:

„...უკეთესი დღეების მოლოდინში გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემა და მადლობა.

გადასახლებული № 4843".

ნდობისა და მადლიერების გამომხატველმა ამ სიტყვებმა, დახმარებისთვის ბამაბისისკენ გაწვდილმა, ამ საცოდავმა ხელებმა, ძალიან ააღელვა ანტუანი.

„ეს წერილები ჟაკმა უნდა გადაათვალიეროს!" — გაიფიქრა მან.

უჯრის ფსკერზე მომცრო საქაღალდე იპოვა, რომელსაც არავითარი წარწერა არ ჰქონდა: ფოტომოყვარულის მიერ გადაღებული სამი სურათი გადაკეცილი კუთხეებით. ყველაზე დიდ სურათზე აღბეჭდილი იყო ოცდაათიოდე წლის ქალი მთის პეიზაჟის ფონზე, ფიჭვნარის ტყის პირას. ანტუანი ამაოდ ცდილობდა ლამპის შუქთან ახლოს მიეტანა სურათი, სახის ნაკვთები მაინც ვერ იცნო. ბაფთიანი ქუდი და საყელოიანი კაბა, ნაოჭასხმული სახელოებით, მეტისმეტად მოძველებული მოდისა იყო. მეორე, შედარებით მომცრო სურათზე იგივე ქალი იყო აღბეჭდილი: ამჯერად, უქუდოდ იჯდა სადღაც, სკვერში თუ სასტუმროს ბაღში. სკამის ქვეშ, ქალის ფეხებთან თეთრი პუდელი სფინქსივით ჩაცუცქულიყო. მესამე სურათზე მარტო ძაღლი იყო ბაღში; იგი მაგიდაზე იდგა, თავაწეული, ბაფთით მორთული. საქაღალდეში კონვერტი იდო მთის პეიზაჟის ფონზე გადაღებული დიდი ფოტოსურათის ნეგატივით. არავითარი სახელი. არავითარი თარიღი. მიუხედავად იმისა, რომ ქალი ტანწერწეტა იყო, ყურადღებით დაკვირვებისას, ორმოციოდე, თუ მეტი არა, წლისა მაინც იქნებოდა. ბაგეზე ღიმილი ეფინა, მაგრამ გამოხედვა თბილი და სერიოზული ჰქონდა: ანტუანი ინტერესით ათვალიერებდა ამ მიმზიდველ სახეს და საქაღალდეში სურათის ჩადება ვერ გადაეწყვიტა. იქნებ, მხოლოდ შთაგონების წყარო იყო? თუმცა ახლა უკვე ფიქრობდა, რომ ეს ქალი სადღაც ენახა.

მესამე უჯრა თითქმის ცარიელი აღმოჩნდა და შიგ ძველი ანგარიშების დავთარიღა იდო, რომელსაც ანტუანმა კინაღამ არ ახლო ხელი. ტარსიკონის ყდაში ჩასმულ ძველ რვეულზე ბატონი ტიბოს ინიციალები ამოეტვიფრათ, ეტყობა, იგი ანგარიშების დავთარი არასოდეს ყოფილა.

პირველ გვერდზე ანტუანმა ამოიკითხა:

„ლუკის საჩუქარი ჩვენი ქორწინების წლისთავზე, 1880 წლის 12 თებერვალს".

მომდევნო შუა ფურცელზე ბატონ ტიბოს იმავე წითელი მელნით მიეწერა:

„შენიშვნები

მშობლების უფლებების ისტორიისთვის სხვადასხვა ასაკში.

მაგრამ ეს სათაური გადაეშალა, ალბათ, ჩანაფიქრზე ხელი აიღო.

„რა უცნაური საქმეებითაა დაკავებული ერთი წლის წინათ დაქორწინებული კაცი, რომლის პირმშო ჯერ არ დაბადებულა!" — გაიფიქრა ანტუანმა.

დავთრის გადაფურცვლისთანავე გაუღვივდა ინტერესი. ბევრი გვერდი დაუწერელი დარჩენილიყო. შეცვლილი ხელწერა იმას მოასწავებდა, რომ რვეული მრავალი წლის მანძილზე ემსახურებოდა. ანტუანს იმედი გაუცრუვდა: ეს არ იყო დღიური, არამედ კითხვისას ამონაწერი ციტატების კრებული.

„ვინ იცის, ტექსტები, იქნებ, საგანგებოდაა შერჩეული", — გაიფიქრა ანტუანმა და პირველ სტრიქონებს ჩაუკვირდა:

„არაფრის ისე არ უნდა გეშინოდეს, როგორც დადგენილ წესებში უმნიშვნელო ცვლილების შეტანისა".

(პლატონი).

„ბრძენი (ბიუფონი) *.

თავის მდგომარეობით კმაყოფილს სურს ისეთივე დარჩეს, როგორიც მუდამ იყო, ისე იცხოვროს, როგორც მუდამ უცხოვრია: საკუთარი თავით იზღუდება და სხვა ადამიანი თითქმის არ სჭირდება, და სხვა..."

ზოგი ციტატა საკმაოდ მოულოდნელიც იყო: „არსებობენ ბუნებით მწვანე, მწარე, სასტიკი გულები, რომლებიც მაშინვე მწარედ და სასტიკად აქცევენ ყოველივეს, რასაც მიეახლებიან".

(წმ. ფრ. დე ს.) *.

„ქვეყნად არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემზე უფრო გულიანი, უფრო ნაზი და უფრო ღრმა სიყვარული შეეძლოს; ღრმა გრძნობაში გადაჭარბებით ბარაქიანიც კი ვარ!"

„ლოცვის უნარი, ალბათ, იმიტომ მიეცა ადამიანს, რათა შეეძლოს ყოველდღიურად აღმოხდეს სიყვარულის ყივილი, რის გამო იგი არ გაწითლდება".

ეს უკანასკნელი შენიშვნა გაკრული ხელით მიეწერა და ავტორი არ

მიუთითებინა. ამიტომ იფიქრა ანტუანმა, ეს სიტყვები, ალბათ, მამას ეკუთვნისო.

სხვათა შორის, უფრო მოგვიანებით, ეტყობა, ბატონმა ტიბომ წესად შემოიღო, ციტატებს შორის საკუთარი მოსაზრებებიც ჩაერთო. ანტუანი ინტერესით ფურცლავდა რვეულს და კიდეც დარწმუნდა, რომ მას თავისი პირვანდელი დანიშნულება საკმაოდ მალე დაუკარგავს და საკუთარ მოსაზრებების კრებულად ქცეულა.

დასაწყისში ამ აფორიზმების უმეტესი ნაწილი პოლიტიკურ ან სოციალურ ხასიათს ატარებდა. უეჭველია, ბატონ ტიბოს შიგ შეჰქონდა ზოგადი აზრები, რასაც შემდეგ მოხერხებულად იყენებდა მოხსენებებში. ანტუანტს ყოველ წუთს ხვდებოდა უარყოფით-კითხვითი ფორმები „ხომ არაა...", „საჭირო ხომ არ იქნებოდა", რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მამამისის ფიქრისა და ლაპარაკის მანერისათვის.

„პატრონის ავტორიტეტი ის ძალაუფლებაა, რომელიც საკმარისია კომპეტენციის დასაკანონებლად, ნუთუ სხვა არაფერია? წარმოების წარმატების მისაღებად განა მონაწილეთა შორის მორალური კავშირი არ უნდა დამყარდეს? განა ამჟამად პატრონატი მუშათა მორალური კავშირის გარდაუვალ ფაქტორს არ წარმოადგენს?"

„პროლეტარიატი აღშფოთებულია სოციალური პირობების თანასწორობით და ღვთის მიერ დაწესებულ შესანიშნავ სხვადასხვაობას უსამართლობას უწოდებს.

ხომ არ აპირებენ ჩვენს დროში იმის დავიწყებას, რომ „მორალურად მდიდარი" ადამიანი, გარდუვალად ან თითქმის გარდუვალად, „შეძლებული" ადამიანია?"

ანტუანმა ორი-სამი წელი გამოტოვა. ზოგადი შენიშვნები თითქოს სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს უთმობდა ინტიმური ხასიათის მოსაზრებებს.

„როცა გრძნობ, რომ ქრისტიანი ხარ, ამდენი სიმხნევე იმით ხომ არაა გამოწვეული, რომ ქრისტეს ეკლესია საერო ძალასაც წარმოადგენს?"

ანტუანს გაეღიმა: „ეს პატიოსანი ხალხი", — გაიფიქრა მან, თუკი ოდნავ ფიცხი და გაბედულია, ხშირად ყველაზე თავზეხელაღებულ არამზადაზე სახიფათოა... მათ ყველანი შეცდომაში შეჰყავთ, განსაკუთრებით კი საუკეთესო ადამიანები. ისინი იმდენად დარწმუნებულნი არიან, სიმართლე ჩვენს ხელთააო, რომ თავიანთი მოსაზრებების გასამართლებლად არაფრის წინაშე არ დაიხევენ უკან.. .არაფრის წინაშე... მე მინახავს მამაჩემი, თავისი პარტიის კეთილდღეობისათვის, რომელიმე თავისი დაწესებულების

წარმატების გულისთვის, ისეთ რამეს რომ კადრულობდა... ერთი სიტყვით, პირადი კეთილდღეობისა, წარჩინებისა და ფულის მოგებისათვის ასეთ რამეს არ ჩაიდენდა!“

ანტუანი ხან ერთ გვერდს გადაავლებდა თვალს, ხან მეორეს, სადაც მოხვდებოდა, იქ კითხულობდა:

„ხომ არ არსებობს ეგოიზმის კანონიერი, მხნელი ფორმა? ან უკეთ, არის თუ არა შესაძლებელი გამოვიყენოთ ეგოიზმი ღვთისმოსაური მიზნებისათვის: მაგალითად, შეიძლება თუ არა, რომ ჩვენმა ქრისტიანულმა გულმოდგინეობამ და თვით ჩვენმა რწმენამ ეგოიზმით ისაზრდოოს?!“

ვინც ბატონი ტიბოს პიროვნებასა და ცხოვრებას არ იცნობდა, შესაძლებელია, ზოგი მტკიცება მას ცინიკურად მოსჩვენებოდა.

„საქველმოქმედო დაწესებულებანი. ჩვენი კათოლიკური ფილანტროპიის (სამადლო დაწესებულება, წმ. ვენსან დე პ.-ის * საქონაზენო ორდენი და სხვ.) სიდიადე და, განსაკუთრებით კი, სოციალური ძალა უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიურად მათ მიერ დარიგებული მატერიალური დახმარება წილად ხვდება მხოლოდ მორჩილთ, თვინიერთ, ხოლო სრულიად არ აქეზებს უკმაყოფილოებს, მეამბოხეებს, ყველა იმას, ვინც თავის დაბალ მდგომარეობას ვერ ურიგდება და ერთთავად „უთანასწორობა“ და „უფლებათა მოთხოვნები“ აკერიათ პირზე“.

„ჭეშმარიტი ქველმოქმედება სხვისი გაბედნიერების სურვილი როდი გახლავთ“.

„ღმერთო, მოგვეც ძალა სასტიკი ვიყოთ მათ მიმართ, ვისი გადარჩენაც გადაგვიწყვეტია“.

ეტყობა, ეს აზრი რამდენიმე თვის შემდეგაც მოსვლია ბატონ ტიბოს.

„სასტიკი უნდა იყო საკუთარ თავთან. რათა უფლება გქონდეს მკაცრად მოექცე სხვას“.

„აუღიარებელ ღირსებათა შორის პირველ ადგილზე ხომ არ უნდა წამოვწიოთ ის გრძნობა, რასაც ჩემს ლოცვებში, დიდი ხანია „გაგულქვავება“ დავარქვი?“

ცალკე ფურცელზე დაწერილ ერთ ფრაზაში განსაკუთრებული სიმკაცრე იგრძნობოდა:

„სათნოების წყალობით უნდა აიძულო პატივი გცენ!“

„გაგულქვავება!“ — ფიქრობდა ანტუანი. იგი მიხვდა, რომ მამამისი გულქვა, კი არა, განვებ, შეგნებულად იყო გაგულქვავებული. სხვათა შორის, იგი უკვე მზად იყო თავისებური, პირქუში სილამაზე დაენახა ამ იძულებაში, თვით მაშინაც კი, როცა მას არაადამიანური შედეგი მოსდევ-

და. ნუთუ „ნებაყოფლობით დამახინჯებული მგრძნობელობაა?“ გაიფიქრა ან. ზოგჯერ ნართლაც ეტყობოდა, რომ ბატონ ტიბოს სტანჯავდა საკუთარი საქციელი და ის პატივისცემა, რომელსაც ასეთი სისასტიკით აღწევდა.

„აუცილებელი არაა პატივისცემამ მეგობრობა გამორიცხოს, მაგრამ ჩანს, იგი იშვიათად უწყობს ხელს მის ჩასახვას. აღტაცება, — სიყვარულს არ ნიშნავს; და თუ სათნოება მოწიწებას ნოიპოვებს, გულს მაინც იშვიათად გადაგიხსნის“.

რამდენიმე გვერდის შემდეგ, ეტყობა, რაღაც ფარულმა ღვარძლმა დააწერინა ეს სიტყვები:

„ღირსეულ ადამიანს მეგობრები არა ჰყავს. ღმერთი იმით ანუგეშებს, რომ ნოვალეებს უწყალობებს“.

აქა-იქ, იშვიათად, მაგრამ მაინც, დისონანსად გაისმოდა ადამიანური ყვირილი, რაც გაოცებას იწვევდა ანტუანში:

„თუკი ბუნებრივი მიდრეკილებით არ სთესენ სიკეთეს, სასოწარკვეთილების გამო მაინც გააკეთონ. ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმისთვის მაინც, რომ ბოროტება არ ჩაიდინონ“.

„ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, ჟაკს მაგონებს!“ — გაიფიქრა ანტუანმა. დაზუსტება გაუჭირდებოდა, მაგრამ იგივე შეკავებული მგრძნობელობა, ინსტინქტთა იგივე ფარული ძალმომრეობა, იგივე სისასტიკე... ანტუანმა კიდეც გაიფიქრა, მამაჩემის სიძულვილი ჟაკის დაუდგრომელი ხასიათის გამო, ზოგჯერ მათი ტემპერამენტის ფარული მსგავსებით ხომ არ იყო გაღრმავებულიო.

ბევრი მსჯელობა ამ ფორმულით იწყებოდა: „ეშმაკისეული ხაფანგი“.

„ეშმაკისეული ხაფანგი. მიდრეკილება ჭეშმარიტებისკენ. განა ხშირად უფრო ძნელი, უფრო გაბედული არაა, თავს არ უღალატო და ჯიუტად დაიცვა საკუთარი, თუნდაც ორჭოფული მოსაზრება, ვიდრე ქედმაღლურად შეანჯღრიო ბოძები და ამით ჩამონგრევის საფრთხე შეუქმნა მთელ შენობას?! *თანმიმდევრობის სულისკვეთება* განა ჭეშმარიტების სულისკვეთებაზე მაღლა არა დგას?“

„ეშმაკისეული ხაფანგი. საკუთარი ქედმაღლობის დამალვა განა მოკრძალებას არ ნიშნავს? სჯობს შენი გამოუსწორებელი ნაკლი აშკარად გამოაშკარაო და მისგან ძალა შეიძინა, ვიდრე მისი დამალვით იცრუო და დასუსტდე“.

(სიამაყე, პატივმოყვარეობა, მოკრძალება — ეს სიტყვები წითელ ხოლივით გასდევდა რვეულის ყოველ გვერდს).

„ეშმაკისეული ხაფანგი. თვითდამცირება, საკუთარ თავზე მოკრძალებით ლაპარაკისას მოჩვენებითი პატივმოყვარეობა ხომ არ არის? ამისთვის საჭიროა საკუთარ თავზე არ ილაპარაკო. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დარწმუნებული ხარ, რომ სხვები კარგად გიხსენებენ".

ანტუანს ისევ გაეღიმა. მაგრამ ირონიული ღიმილი მაშინვე შეაცივდა ბაგეზე.

რამდენი სევდა იგრძნობოდა იმ ზოგად დასკვნაში, რაც ბატონი ტიბოს კალამს ეკუთვნოდა:

„არსებობს თუ არა ისეთი ცხოვრება, თუნდაც წმინდანთა ცხოვრება, რომელიც სიცრუის გავლენის ქვეშ არ მოექცევა ყოველდღიურად?"

სხვათა შორის, იმ მოგონებათა საწინააღმდეგოდ, რაც ანტუანს ხანშიშესული მამისადმი შერჩენოდა, თავდაჯერებისგან გაბღენძილ ამ ადამიანს, ეტყობა, წლითიწლობით ემღვრეოდა სიმშვიდე.

„არსებობის შედეგს, ადამიანის შემოქმედების გაქანებას, მათ ღირებულებას, გული იმაზე მეტად განაგებს, ვიდრე ეს ადამიანს წარმოუდგენია. ბევრი ვერც ახერხებს სათანადო კვალის დატოვებას მხოლოდ იმიტომ, რომ საყვარელი ადამიანის სითბო აკლდა".

დროდადრო რაღაც ფარული გულისტკივილიც შეიმჩნეოდა: „ჩაუდენელ დანაშაულს ხომ არ შეუძლია ადამიანის ხასიათში იგივე ცვლილება, გულის სიღრმეში კი იგივე სიცარიელე გამოიწვიოს, რასაც ნამდვილი ბოროტმოქმედება იწვევს ხოლმე? აქ არაფერი აკლია: თვით სინდისის ქენჯნაც კი".

„ეშმაკისეული ხაფანგი. მოყვასის სიყვარულს ნუ აურევთ იმ მღელვარებაში, რასაც მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა შევეხებით, დავუახლოვდებით... ზოგიერთ არსებას..."

ამის შემდეგ ნახევარი სტრიქონი გადაშლილი იყო, მაგრამ ანტუანმა ფურცელს სინათლეზე გახედა და ადვილად ამოიკითხა:

„... ახალგაზრდებს, თუნდაც ბავშვებს".

კიდეზე ფანქრით მიუწერია:

„2 ივლისი. 25 ივლისი. 6 აგვისტო. 8 აგვისტო. 9 აგვისტო".

რამდენიმე გვერდის შემდეგ სულ სხვა ტონი იგრძნობოდა:

„ოჰ, ღმერთო, შენ იცი ჩემი სისუსტე, ჩემი არარაობა. უფლება არა მაქვს შენი პატიებისა, რადგან ჯერჯერობით ვერ მოვშორებივარ, ჯერჯერობით არ შემიძლია მოვშორდე ჩემს ცოდვას. გამიმტკიცე ნებისყოფა, რათა ავაცდინო ეშმაკისეული ხაფანგი".

და უცებ ანტუანს მოაგონდა რამდენიმე შეუფერებელი სიტყვა, რაც მანამისს ბოდვისას დასცდა ორ სხვადასხვა მომენტში.

იგი ხშირად უხმობდა ღმერთს, მაგრამ ერთბაშად, თითქოს სინდისის ქენჯნა იგრძნოო:

„უფალო! ვინც თქვენ გიყვართ, ავადაა!"

„მიფრთხილდით, უფალო, რამეთუ როგორც კი საკუთარი თავის ანაბარა დავრჩები, მაშინვე გიღალატებთ!"

ანტუანმა რამდენიმე გვერდი გადაფურცლა. კიდეზე ფანქრით წაწერილმა თარიღმა მისი ყურადღება მიიპყრო: „აგვისტო, 95 წ.".

„მიჯნურის ყურადღება. მაგიდაზე მეგობრის წიგნი იდო: გვერდის აღსანიშნავად გაზეთის ზოლი ჩაედო. ამ დილაადრიან ვინ უნდა მოსულიყო? ღიღილო, რომელიც გუშინ მკერდზე ებნია, ახლა წიგნის სანიშნეს ცვლის".

1895 წლის აგვისტო? გაოცებული ანტუანი ჩაფიქრდა. ოთხმოცდათხუთმეტში იგი 14 წლისა იყო. ეს ის წელია, როცა ბატონმა ტიბომ მთელი ოჯახი შამონის ახლოს წაიყვანა საგარაკოდ. სასტუმროში გაცნობილი ქალი? ანტუანს მაშინვე მოაგონდა პუდრიანი ქალის სურათი. იქნებ, კიდევ იპოვის რაიმე მინიშნებას? არა! „მიჯნურის" შესახებ ერთი სიტყვაც აღარ იყო.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე გვერდის შემდეგ, გაბრტყელებული და გამხმარი ყვავილი, იქნებ, ისევ ღიღილო?! ამ კლასიკურ ციტატასთანაა ჩადებული:

„მას აქვს ისეთი რამ, რის წყალობითაც მეგობრად შეგვიძლიათ იგულოთ, მაგრამ თანაც, ისეთი რაღაც არის მასში, რაც მეგობრობაზე უფრო დაგაახლოებთ".

(ლა ბრ.) *.

შემდეგ, იმავე წლის 31 დეკემბერს თითქოს და დასკვნას აკეთებსო, იეზუიტთა ყოფილი აღსაზრდელის ტიპიური ფრაზა დაეწერა:

„დაგვიანებული სიყვარული ხშირად დიდი სიძლიერით ჩაგვითრევთ".

ანტუანი ამაოდ ცდილობდა 1895 წლის ზაფხულის გახსენებას, ნაოჭაყრილი სახელოებიანი კაბა ან თეთრი პუდელი ვერასგზით ვერ მოეგონებინა.

შეუძლებელი იყო მთელი რვეულის გადაკითხვა ერთ საღამოს.

ამას გარდა, ბატონ ტიბოს, რომელიც საქველმოქმედო დაწესებულებაში დიდი წონა ჰქონდა უკვე, და მთელ დროს სხვადასხვა მოვალეობის შესრულებას ანდომებდა, ეტყობა, უკანასკნელ ათი-თორმეტი წლის მანძილზე ინტიმური ჩანაწერები თანდათან მიეტოვებინა. მხოლოდ ზაფხულში, დას-

ვენების დროს თუ მიუბრუნდებოდა დღიურს, რომელიც სავსე იყო ღვთისმოსავური ციტატებით. უკანასკნელი ჩანაწერი 1909 წლის სექტემბრით თარიღდებოდა. არც ჟაკის დაკარგვის შემდეგ და არც თავისი ავადმყოფობის დროს არც ერთი სიტყვა არ ჩაეწერა.

ერთ-ერთ უკანასკნელ ფურცელზე ნაკლებად მტკიცე ხელით, იმედგაცრუებულს ეს მოსაზრება მიეწერა:

„ადამიანს იმ მომენტში ეძლევა ყოველგვარი პატივი, როცა ამის ღირსი აღარაა. მაგრამ გულკეთილი ღმერთი განა მხოლოდ იმისთვის აბერტყავს ამ სიკეთეს, რომ საკუთარი თავისადმი უპატივცემულობა შეუმსუბუქოს, რაც სწამლავს და ბოლოს, სულაც ამოაშრობს ყოველგვარი სიხარულის წყაროს, *ყოველგვარ გულმოწყალებას?!*"

რვეულის ბოლოს რამდენიმე დაუწერელი ფურცელი დარჩენილიყო.

მუარის სარჩულიან ყდაში ამოკინძავს პატარა ჯიბე გაეკეთებინა, სადაც რამდენიმე გამოხუნებული ფურცელი იდო. ანტუანმა იქვე იპოვა პატარა ჟიზის ორი სასაცილო სურათი, 1902 წლის კალენდარი გადახაზული კვირა დღეებით და იასამნისფერ ქაღალდზე დაწერილი ბარათი:

7 აპრილი 1906 წ.

„ძვირფასო ვ. კ. 99

მე შემიძლია იგივე გითხრათ საკუთარ თავზე, რასაც თქვენ თქვენს შესახებ მიამბობთ. არა, აქამდე ვერ ამიხსნია, რამ ჩამადენინა ეს! მე, ასე წესიერად აღზრდილ ქალს, რამ დამაწერინა ასეთი განცხადება! ეს ამბავი დღეს მეც ისევე მაოცებს, როგორც თქვენ გიკვირთ, რატომ გადავათვალიერე საქორწინო განცხადებები გაზეთში ან რატომ ავყევი ცთუნებას და წერილი მივწერე ადამიანს, რომელიც თავის ვინაობას უცნაური ინიციალების ქვეშ მალავდა? მეც მორწმუნე კათოლიკე გახლავართ; გატაცებული ვარ იმ რელიგიური პრინციპებით, რომლისთვისაც არასოდეს მიღალატნია ცხოვრებაში. დამეთანხმებით, ალბათ, მთელი ეს თავგადასავალი ისეთი რომანტიკულია, რომ შეიძლება ითქვას, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ღვთის წყრომააო, და რომ თვით უფალმა გამოიმეტა ჩვენთვის სისუსტის ეს მომენტი, რათა განცხადება მოვეთავსებინა გაზეთში, ხოლო თქვენ იგი წაგეკითხათ და ამოგეჭრათ. გამოგიტყდებით, შვიდი წელია, რაც დავქვრივდი და დღითი დღე უფრო მეტად ვიტანჯები ამ მარტოობით, უსიყვარულოდ გატარებული დღეებით, მით უმეტეს, შვილები მაინც მყოლოდა ნუგეშად! თუმცა, როგორც ჩანს, არც ეს ყოფილა დიდი ნუგეში: აგერ, თქვენ, ორი მოზრდილი ვაჟიშვილის მამა ყოფილხართ, ოჯახი გქონიათ, რამდენადაც მივხვდი, მაღალი თანამდებობაც გჭერიათ თურმე, საქ-

მეებითაც დაკავებული ბრძანებულხართ, მაგრამ მარტოობასა და სიცარიელეს მაინც უჩივით. დიახ, თქვენი არ იყოს, მეც ასე მგონია, რომ თვით ღმერთმა მოგვანიჭა სიყვარულის ეს მოთხოვნილება, და მეც დღე და ღამ უფალს ვევედრები დამეხმაროს, რათა მის მიერ კურთხეულ ქორწინებაში, იქნებ, ვპოვო მამაკაცი, რომელიც მგზნებარე და ერთგულ სითბოს არ მოაკლებს. ღვთის მიერ გამოგზავნილ ამ მამაკაცს მღელვარე სულსა და ახალგაზრდულ სიყვარულს შევთავაზებდი, რაც ბედნიერების წმინდა საწინდარია. ვიცი, გულს გატკენთ, მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ არ შემიძლია გამოგიგზავნოთ ის, რასაც მთხოვთ, თუმცა კარგად მესმის თქვენი სურვილი. თქვენ ხომ არ იცით, რას წარმოვადგენ მე, არ იცნობთ ჩემს მშობლებს, აწ გარდაცვალებულებს, მაგრამ ჩემს ლოცვებში მუდამ ცოცხალთ, არც იმ წრეს იცნობთ, რომელშიც მიცხოვრია. ერთხელ კიდევ გემუდარებით, ნუ იმსჯელებთ ჩემზე იმ სისუსტის მიხედვით, რაც მე გამოვიჩინე, როცა სიყვარულის კაეშანს ავყევი და ეს განცხადება გამოვაქვეყნე; ამასთანავე, უნდა გაიგოთ, ჩემი ბუნების ადამიანმა ფოტოსურათის გაგზავნაზე უარი უნდა თქვას, როგორი სააუაყოც არ უნდა იყოს იგი მისთვის. ერთი რამ სიამოვნებით შემიძლია გავაკეთო: ჩემს მოძღვარს, რომელიც პარიზის ერთ-ერთ სამრევლოს პირველ ვიკარად დაინიშნა, გასულ შობას, ვთხოვ აბატ- ვ-სთან მივიდეს, რომლის შესახებ მეორე წერილში გწერდით: იგი თქვენთვის საინტერესო ცნობებს მიაწვდის მას. რაც შეეხება ჩემს გარეგნობას, შემიძლია ასე მოვიქცე: პირადად ვინახულებ აბატ ვ-ს, რომელიც თქვენი ნდობით სარგებლობს, ხოლო იგი თქვენ შეგატყობინებთ..."

ეს იყო მეოთხე გვერდის უკანასკნელი სიტყვები. ანტუანმა ამაოდ გადაქექა მთელი საქაღალდე, მომდევნო ფურცლები ვერსად იპოვა.

ნუთუ ყველაფერი ეს მამამისს ეხებოდა? ეჭვი არ იყო: ორი ვაჟი, აბატი ვ... ვიკარს დაეკითხოს? მაგრამ იგი თუნდაც ჩარეული ყოფილიყო ამ საქორწინო საქმეში, სულ ერთია, არ გამოტყდებოდა.

ქალი პუდელით? არა... ეს წერილი 1906 წლითაა დათარიღებული. სულ ახლანდელია: სწორედ იმ წლის ამბავია, როცა ანტუანი ასისტენტად მუშაობდა ფილიპთან, ხოლო ჟაკი კრუის გამასწორებელ კოლონიაში იმყოფებოდა. ამგვარად, ეს თარიღი სრულიად არ შეესაბამებოდა ბაფთებიან ქუდს, კორსეტში გამოწკეპილ ტანს, ნაოჭაყრილ სახელოს... სხვა გზა არ იყო, ვარაუდებით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ანტუანმა ადგილზე დადო რვეული, უჯრა დახურა და საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო.

„ვარაუდებით უნდა დავკმაყოფილდეთ!" — გაიმეორა მან და სავარძლიდან წამოდგა.

„აი, სულ ეს რჩება არსებობისაგან!.. — გაიფიქრა მან, — წიუხედავად ამისა, ასეთი გაქანება... ადამიანური ცხოვრება უსაზღვროდ მეტი გაქანებაა, ვიდრე ჰგონიათ!“

წაწით ისე დააკვირდა ტყავგადაკრული წითელი ხის სავარძელს, საიდანაც ის-ის იყო წამოდგა, თითქოს რაღაც საიდუმლოება უნდა გამოსტყუოსო; ამ სავარძელში ბატონი ტიბო წლების მანძილზე იჯდა მხრებში მოხრილი და ხან ირონიულად, ხან მწარედ, ხანაც მაღალფარდოვნად წერდა სენტენციებს.

„ბოლოს და ბოლოს, რა ვიცოდი მე მის შესახებ“ — გაიფიქრა ანტუანმა, — მოვალეობის აღმსრულებელი! მამის მოვალეობის აღმასრულებელი! ღვთაებრივი უფლებებით აღჭურვილი მმართველი, რომელიც მე, ყველა ჩვენთაგანს განაგებდა ოცდაათი წლის განმავლობაში; სხვათა შორის, კეთილსინდისიერად განაგებდა. პირქუში და მკაცრი, ოღონდ კეთილი ზრახვებით, ვუყვარდით ისე, როგორც უყვართ რაიმე მოვალეობა!.. ჰო, კიდევ რა ვიცოდი მასზე? სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ქურუმი, რომლის მიმართ მოწიწებასა და შიშს გრძნობდა ყველა! მაგრამ თვითონ, თვითონ ვინდა იყო? როცა მარტო რჩებოდა საკუთარ თავთან, როგორი ადამიანი იყო მაშინ? ეს უკვე აღარ ვიცი! ჩემი თანდასწრებით ერთხელაც არ გამოუხატავს ისეთი მოსაზრება ან გრძნობა, რომელიც რაიმე პირადულის, ნამდვილი, გულის სიღრმიდან ამოსულ შეუნიღბავი განცდის ამოკითხვას შემაძლებინებდა!

მას შემდეგ, რაც ანტუანი ამ ქაღალდებს შეეხო, ამ იდუმალი ფარდის კუთხე ოდნავ ასწია, რაღაცაში ეჭვი აიღო, იგი ერთგვარი ნაღველით მიხვდა, რომ ამ დიდებული გარეგნობის მიუხედავად, უბრალო, იქნებ, სულაც საბრალო ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან, და რომ ეს კაცი იყო მამამისი, რომელსაც სრულებით არ იცნობდა.

ერთბაშად თავისთავს ჰკითხა:

„განა ჩემს შესახებ კი იცოდა რამე? უფრო ცოტა, ვიდრე მე მასზე! არაფერი! სკოლის ამხანაგი, რომელიც თხუთმეტი წელია არ მინახავს, მასზე უკეთ მიცნობს; განა ეს მისი ბრალია? ან, იქნებ, ჩემი ბრალია? ამ განათლებულ მოხუცს, რომელსაც ამდენი გამოჩენილი პიროვნება გონიერ, გამოცდილ, საუკეთესო მრჩევლად თვლიდა, მე, მისი შვილი, მხოლოდ ფორმალურად ვეკითხებოდი რჩევას, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, როცა საჭირო ცნობებს თვითონვე შევკრებდი და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებდი. თუკი პირისპირ აღმოვჩნდებოდით, ჩვენ წარმოვადგენდით ერთი სისხლის, ერთი ბუნების ორ ადამიანს, და ამ ორ ადამიანს შორის, ამ მამა-

შვილს შორის არავითარი საერთო ენა, არავითარი ურთიერთგაგება არ არსებობდა. ეს იყო ორი უცხო ადამიანი!

მიუხედავად ამისა, არც ასეა საქმე! — განაგრძო ფიქრი და ოთახში გაიარა, — ეს არაა მართალი! ჩვენ უცხო არ ვყოფილვართ ერთმანეთისათვის და სწორედ ესაა საშინელება. ჩვენს შორის არსებობდა კავშირი, უდავო კავშირი! დიახ, დიახ... მამის კავშირი შვილთან და შვილის კავშირი მამასთან, როგორი სასაცილოც არ უნდა იყოს იმის გაფიქრებაც კი, თუ როგორი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან! — მაინც განსაკუთრებული კავშირი იყო, არავითარ სხვა კავშირს არ შეედრებოდა და თითოეული ჩვენგანი გულის სიღრმეში არსებობდა! სწორედ ამის წყალობით ვარ ახლა ასე აფორიაქებული: ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი აშკარად, რომ ამ სრულ ურთიერთგაუგებრობაში იმალებოდა რაღაც იდუმალი, ფარული: ერთმანეთის გაგების შესაძლებლობა, უკიდურესი შესაძლებლობაც კი! და მე მტკიცედ მწამს ახლა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, — თუნდაც მცირეოდენი სულიერი კავშირიც კი არასოდეს შემიმჩნევია ჩვენს შორის, — დიახ, მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანაზე არასოდეს ყოფილა და არც იქნება მეორე ადამიანი, თვით ჟაკიც კი, რომელსაც მე ასე კარგად გავუგებდი, მის ბუნებას სიღრმემდე ჩავწვდებოდი და რომელიც, თავის მხრივ ასე უშუალოდ გაუგებდა ჩემს ბუნებას... იმიტომ რომ იგი მამა იყო ჩემი... იმიტომ, რომ მე შვილი ვიყავი მისი!“

ანტუანი წინოთახში გამავალ კართან იდგა. „წავიდეთ, დავიძინოთ!“ — გაიფიქრა ბოლოს და გასაღები გადაატრიალა. სანამ შუქს ჩააქრობდა, მოიხედა, სურდა ერთხელ კიდევ გადაევლო თვალი ამ სამუშაო ოთახისათვის, რომელიც ამიერიდან ცარიელი ფიჭის უჯრედსღა წააგავდა.

„ამას გარდა, უკვე გვიანღაა! — დაასკვნა მან, — მორჩა, სამუდამოდ დამთავრდა ყველაფერი!“

სასადილო ოთახიდან სინათლის შუქი მოჩანდა.

— რაღას აყოვნებთ, დროა წახვიდეთ, ბატონო შალ! — წამოიძახა ანტუანმა, როცა კარი შეაღო.

შალს უწყებათა ორ გროვას შორის თავი ჩაერგო და კონვერტებს ამზადებდა.

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? — ისე თქვა, თავი არ აუწევია. — სწორედ დროზე მობრძანდით. შეგიძლიათ ერთი წუთი დამითმოთ?

ანტუანმა იფიქრა, ალბათ, რომელიმე მისამართის დაზუსტება სჭირდებაო, და უყოყმანოდ მიუახლოვდა.

— ერთი წუთით... — გაიმეორა მოხუცმა და წერა განაგრძო. — იცით,

რა მინდა? ახსნა-განმარტება მინდა მოგცეთ იმ საკითხის თაობაზე, რაზეც ამას წინათ გელაპარაკეთ... მცირეოდენ კაპიტალის თაობაზე.

პასუხისათვის აღარც დაუცდია, კალამი გვერდზე გადასდო, ჩადგმული კბილები გაისწორა და საკმაოდ მხიარული სახით ახედა თანამოსაუბრეს. შეუძლებელი იყო, გაბრაზებულიყავით ამ კაცზე.

— ნუთუ არ გეძინებათ, ბატონო შალ?

— ოო, არა! ფიქრი მაფხიზლებს...

ჩიაკაცი მთელი ტანით დაძაბულიყო, ამაოდ ცდილობდა სიმაღლეში გატოლებოდა მის წინ ფეხზე მდგარ ანტუანს.

— ვწერ ამ მისამართებს, ვწერ.. და თან, ბატონო ანტუან... (სახეზე იმ კეთილი ჯამბაზის ცბიერი ღიმილი აუთამაშდა, რომელიც მუდამ მზადაა მაყურებელს ერთ-ერთი თავისი ხრიკი გაუმჟღავნოს!) და თან თავში მიტრიალებს, მიტრიალებს, ად ლიბიტუმ! *

და სანამ ანტუანი რაიმეს მოიმიზეზებდა ოთახიდან გასასვლელად, განაგრძო:

— ჰოდა, ამ მცირეოდენი კაპიტალით, რის თაობაზეც გელაპარაკეთ, ბატონო ანტუან, შემიძლია ერთ-ერთი ჩემი იდეა განვახორციელო. დიახ! *კანტორა!* ეს ერთგვარად შემოკლებული სახელი გახლავთ... კანტორა. შემეძლო მეთქვა: ბიურო ან სულაც, დუქანი. დიახ. ჯერჯერობით დუქანი. პატარა მაღაზია ჩემი უბნის რომელიმე ხალხმრავალ ქუჩაზე. მაგრამ დუქანი, ეს არის გარეგანი მხარე, რაც შეეხება იდეას, იგი შიგნითაა.

საკმარისი იყო მის საყვარელ თემას შეხებოდა, მაშინვე მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ალაპარაკდებოდა, ხელებს ერთმანეთზე გადააჯვარედინებდა, წინ იშვერდა, ხან მარჯვნივ გადაიხრებოდა, ხან მარცხნივ, ყოველი ფრაზის მერე ისვენებდა, რაც მოფიქრების საშუალებას აძლევდა. იტყოდით ერთი და იგივე ზამბარა მის მკერდს წინ სტყორცნის და მომზადებულ ფრაზებს გარეთ ისვრისო. შემდეგ ხელახლა შეჩერდებოდა, თითქოს აზრის პატარა ნაწილის გამოყოფა ერთჯერად შეეძლო მხოლოდ.

ანტუანმა იფიქრა, უკანასკნელმა ამბებმა... მრავალმა უძილო ღამემ ჩვეულებრივზე მეტად დაურღვია მოხუცს გონებრივი აპარატიო.

— ლატოში ამას ჩემზე უკეთ ახსნიდა, — განაგრძობდა ჩიაკაცი, — ლატოშს დიდი ხანია ვიცნობ. რაც შეეხება მის წარსულს, კარგის მეტი არაფერი მსმენია: გამორჩენილი პიროვნებაა. ჩემი არ იყოს, თავი მუდამ იდეებით აქვს გამოტენილი. ეს შესანიშნავი აზრი ორივეს დაგვებადა: *კანტორა!* „თანამედროვე გამომგონებლობის კანტორა!..“ მიხვდით?

— მაინცდამაინც ვერა!

— იცით რა... პატარ-პატარა გამოგონებები... პატარ-პატარა პრაქტიკული გამოგონებები!.. ბევრია ისეთი მოკრძალებული ინჟინერი, რომლებიც რაღაცას იგონებენ, მაგრამ მათი გამოყენება არ შეუძლიათ. მე და ლატოში თავს მოვუყრით ასეთ საქმეებს. ჯერ რეკლამებს დავბეჭდავთ რაიონულ გაზეთებში...

— რომელ გაზეთებში?

შალმა ისე ახედა ანტუანს, თითქოს შეკითხვას ვერ მიუხვდაო.

— განსვენებულის სიცოცხლეში, — განაგრძო ბოლოს, — სირცხვილით დავიწვებოდი ასეთი ამბის მოყოლის გამო, მაგრამ ახლა... ცამეტი წელია, ბატონო ანტუან, რაც ამ ჩემს გეგმაზე ვფიქრობ. სწორედ იმ წლიდან, გამოფენა რომ გაიხსნა! რომ იცოდეთ, რამდენი პატარ-პატარა რამ გამოვიგონე მე თვითონ. დიახ, აღმრიცხველი ქუსლი ნაბიჯების დასათვლელად. საფოსტო მარკების ავტომატური, მუდმივი დამწებებლები.

იგი სკამიდან ჩამოხტა და ანტუანს მიუახლოვდა.

— მაგრამ ყველაზე დიდებული, მაინც კვერცხია. კვადრატული კვერცხი. სათანადო სითხის პოვნაღა დამრჩა. ამ მიზნით მიწერ-მოწერა გავაჩაღე გამომგონებლებთან. სოფლის ხუცესები ძალიან გაიტაცა ჩემმა იდეამ: ზამთარში, მწუხრის ლოცვის მერე. ჩხირკედელაობის დრო საკმაოდ აქვთ, ხომ ასეა? ყველანი წავაქეზე ემუშავათ ამ სითხის გამოგონებაზე. და როგორც კი მივიღებ ასეთ სითხეს... მაგრამ სითხე დიდი არაფერია. მთავარია, იდეა!

ანტუანმა თვალები დააჭყიტა:

— მაშასადამე, როგორც კი სითხეს მოამზადებთ...

— კვერცხებს ისე ჩავუშვებ ამ სითხეში... მხოლოდ ნაჭუჭი დაარბილოს და კვერცხი არ გააფუჭოს. ახლა მიხვდით?

— არა.

— ამის შემდეგ, კვერცხებს სპეციალურ ფორმაში გავაშრობ..

— კვადრატულ ფორმებში?

— რა თქმა უნდა.

ბატონი შალი შუაზე გადაჭრილი მატლივით იკლაკნებოდა. ანტუანს არასოდეს არ უნახავს იგი ასე აღტყინებული.

— ასობით, ათასობით დავამზადებ! მთელი ქარხანა მექნება! კვადრატული კვერცხი! კვერცხის შესადგამები საჭირო აღარ იქნება! კვადრატული კვერცხი თვითონა დგას მაგიდაზე! მისი ნაჭუჭი ოჯახში რჩება, საასანთეს ან სამდოგვეს გააკეთებენ. კვადრატული კვერცხები საპნის კვერებივით იწყობა ყუთებში. წარმოგიდგენიათ, რა მოსახერხებელი იქნება გადასატანად?

მას უნდოდა ხელახლა აცოცებულიყო „სტრაპონტენზე“, მაგრამ ისევ ჩამოხტა იატაკზე, იტყოდით რაღაცამ უჩქმიტაო. სახე აჭარხლებოდა.

— მაპატიეთ, ახლავე დავბრუნდები! — წაიბუტბუტა მან და კარისკენ გაეშურა... — საშარდე ბუშტი... ნერვულობის ბრალია... როგორც კი კვერცხზე ჩამოვაგდებ სიტყვას..

## XI

როცა მეორე დღეს, კვირას, ჟიზს გამოეღვიძა, არა თუ ტანში, ამტვრევდა, ეტყობა, სიცხეც გამონელებოდა და ერთგვარ მოუთმენლობასა და სიმხნევეს გრძნობდა. თუმცა ჯერ კიდევ სუსტად იყო, ეკლესიაში წასვლა გაუჭირდებოდა და ამიტომაც მთელი დილა ოთახში იჯდა, ლოცვასა და ფიქრებში გაატარა. ნერვები ეშლებოდა, რადგან ვერასგზით ვერ გარკვეულიყო იმ ვითარებაში, ჟაკის დაბრუნების შემდეგ რომ შექმნილიყო: ყველაფერი ბურუსს მოეცვა. როცა იმ დილას გარიჟრაჟზე გაეღვიძა, ვერ იქნა და ვერ ახსნა წინდამით ჟაკის ნახვამ იმედგაცრუების, თითქმის სასოწარკვეთილების გრძნობა რად დაუტოვა. როგორმე უნდა გამოერკვია ეს გარემოება, გაუგებრობა უნდა გაეფანტა. მერე ყველაფერს თავისთავად მოეფინებოდა ნათელი.

მაგრამ მთელი დილა ისე გავიდა, ჟაკს ერთხელაც არ შეუხედავს მის ოთახში. არც ანტუანი გამოჩენილა მას შემდეგ, რაც ბატონი ტიბო კუბოში ჩაასვენეს. მამიდამ და ძმისშვილმა ერთად ისაუზმეს. მერე კი ჟიზი თავის ოთახში დაბრუნდა.

ცივი, პირქუში და მოღრუბლული დღე ნელა მიიზლაზნებოდა.

მარტოობამ, უქმად ყოფამ მწარე ფიქრები აუშალა ჟიზს, გაანერვიულა; ბოლოს ვეღარ მოითმინა და ოთხ საათზე, სანამ მამიდამისი ჯერ კიდევ სამლოცველოში იყო, პალტო წამოისხა, სწრაფად ჩავიდა ქვედა სართულზე და ლეონის თანხლებით ჟაკის ოთახისკენ გაეშურა.

ჟაკი ფანჯრის ამბრაზურასთან იჯდა და გაზეთს კითხულობდა.

მისი სილუეტი მკვეთრად გამოიხატებოდა ფანჯრის მოლურჯო მინაზე, რომელსაც შუქი პირდაპირ ეცემოდა, და ჟიზი გაოცებული შეჰყურებდა ამ განიერ ბეჭებს: როცა იგი ჟაკს არ ხედავდა, ავიწყდებოდა, რომ იგი უკვე დავაჟკაცდა და თვალწინ მუდამ ის ჭაბუკი ედგა ბავშვური სახის ნაკვთებით, რომელმაც სამი წლის წინ მკერდზე მიიკრა მეზონ-ლაფიტის ხეებქვეშ.

ჟიზი აღარ გამოუკიდა თავისი შთაბეჭდილების ანალიზს და ისღა შეამჩნია, რომ ჟაკი გვერდულად ჩამომჯდარიყო გასაშლელ სკამზე და რომ ამ არეულ-დარეულ ოთახში (გადახსნილი ჩემოდანი იატაკზე ეგდო, ქუდი

გაჩერებულ საათზე ეკიდა, საწერი მაგიდა თავის დანიშნულებას აღარ ასრულებდა, ორი წყვილი ფეხსაცმელი წიგნის კარადის წინ ეყარა) ყველაფერი დროებით ნავთსაყუდარს, შემთხვევით შესასვენებელ ადგილს ჰგავდა, სადაც ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში ჩაბმას არავინ აპირებდა.

ჟაკი წამოდგა და შეეგება. ჟიზმა ისე ახლოს იგრძნო მისი ლურჯი თვალების ალერსიანი გამოხედვა, სადაც ოდნავი გაოცებაღა ამოიკითხა, რომ იგი დაიბნა, ერთბაშად ვეღარც გაიხსენა, რა საბაბის გამოგონებას აპირებდა აქ მოსვლის გასამართლებლად. თავში ერთი, გარკვეული აზრიღა უტრიალებდა: რადაც უნდა დაჯდომოდა, გამოერკვია ყველაფერი! ამიტომ, თავი მიანება ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვას, გაფითრებული, შეუპოვარი სახით შეჩერდა შუა ოთახში და განუცხადა:

— ჟაკ, უნდა მოვილაპარაკოთ!

ჟაკის ალერსიან თვალებში მან სწრაფად დაიჭირა წამით გაელვებული მკაცრი გამოხედვა, რომელიც თვალების ახამხამებისთანავე გაუქრა.

— ღმერთო! რა სერიოზული სახე გაქვს! — ნაძალადევი ღიმილით უთხრა ჟაკმა.

ამ ირონიაზე ჟიზს სისხლი გაეყინა ძარღვებში. მიუხედავად ამისა, მაინც გაიღიმა: ათრთოლებულმა ღიმილმა სახის ნაკვთები დაუბრიცა: თვალები ცრემლით აევსო, თავი გვერდზე მიაბრუნა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და საწოლ-დივანზე ჩამოჯდა. იგი იძულებული გახდა ცრემლები მოეწმინდა, დაპადუპით რომ სცვიოდა უკვე და ხუმრობანარევი საყვედურით უთხრა:

— ხომ ხედავ, კიდევაც ამატირე! რა სისულელეა...

ჟაკმა ყრუ სიძულვილი იგრძნო. ასეთი იყო: ეს სიბრაზე, პატარაობიდანვე გულის სიღრმეში რომ ინახავდა (როგორც დედამიწა ინახავს ხოლმე თავის ცენტრს გალხობილ მდგომარეობაში — ფიქრობდა იგი), ეს ყრუ განრისხება, გულღრძოობა, ისეთ გავარვარებულ ლავასავით ამოხეთქავდა დროდადრო, რომ მისი შეჩერება არაფერს შეეძლო.

„კეთილი! ილაპარაკე! — მტრული გაანჩხლებით წამოიძახა მან, — მეც მირჩევნია, ბოლო მოეღოს ამ ამბავს!

ჟიზი ისე არ მოელოდა ასეთ უხეშობას, და ამ განრისხებაში ისეთი ნათელი პასუხიც მიიღო თავის შეკითხვაზე, რომ ბაგეები გაუფითრდა, ეგეპო, ეგონა, სილა გაარტყესო. მერე ხელები წინ გაიწოდა, თითქოს თავს იცავს და ისეთი გულისგამგმირავი ხმით წაიბუტბუტა „ჟაკო", რომ ჭაბუკი მაშინვე გონს მოვიდა.

გაოგნებულს ყველაფერი გადაავიწყდა; თავისი მტრული განწყობილე-

ბა ერთბაშად მოჩვენებითი სინაზით შეეცვალა, დივანთან მიიჭრა, მუხლებზე დაეცა და აქვითინებული ჟიზი მკლავებში მოიმწყვდია.

— ჩემი საბრალო გოგო... ჩემი საცოდავი გოგო! — ლუღლუღებდა იგი.

ჟაკი ახლოს ხედავდა ჟიზის შავგვრემან მქრქალ კანს, თვალებქვეშ გაჩენილ, გამჭვირვალე მუქ ზოლებს, რაც მის გამოხედვას კიდევ უფრო ნაღვლიანსა და თბილს ხდიდა. მიუხედავად ამისა, გონი ხელახლა მოიკრიბა, მეტი სიმძაფრითაც კი, და, მართალია, ჯერ კიდევ მუხლებზე იდგა, ჟიზის თმის სურნელებას ისუნთქავდა, მან, თითქოს ვიღაც უცხოს ეხებოდა საქმე, ამ ფიზიკური ლტოლვის ორაზროვნება აშკარად იგრძნო. ფრთხილად! ერთხელ უკვე აჰყვა სიბრალულს, ფეხი დაუცდა, და რომ ორივე გადარჩენილიყო, იძულებული გახდა დროზე შეჩერებულიყო, გაქცეულიყო. (სხვათა შორის, რაკი ასეთ მომენტში ადვილად შეეძლო აეწონ-დაეწონა. მოეფიქრებინა და ნათლად წარმოედგინა ის მცირეოდენი საფრთხე, რაც მათ უქადდა, განა ეს იმაზე არ მეტყველებდა, რომ მისი გატაცება ზერელე იყო? და განა იგი იმ უნებური თავის მოტყუების საზომი არ იყო, რომლის მსხვერპლი შეიძლება ორივე გამხდარიყო?)

იმწამსვე მან ისე თქვა უარი დაეკოცნა ჟიზის საფეთქლები, რომლებსაც თითქმის ტუჩებით ეხებოდა, რომ ეს ამბავი არავითარ გმირობად არ ჩაუთვლია თავისთავისთვის. მან ჟიზის თავი ნაზად მიიკრა მხარზე და ცრემლებისაგან დანამულ, თბილ, ხავერდოვან ლოყას თითის წვერით მოეფერა.

მის მკერდთან მოკრუნჩხულ ჟიზს გული ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა, ლოყას, კისერს, მოსაფერებლად უშვერდა ჟაკის ხელებს. არ იბძრეოდა, მაგრამ მზად იყო ფეხებში ჩავარდნოდა, მუხლებზე მოხვეოდა.

ჟაკი კი, პირიქით, გრძნობდა, მაჯისცემა როგორ უწყნარდებოდა თანდათან. ეს სიმშვიდე თითქმის შემზარავი იყო. წამით კიდეც გაბრაზდა ჟიზზე, ბანალურ სურვილს რომ აღუძრავდა ხოლმე დროდადრო. საქმე იქამდე მივიდა, ცოტა არ იყოს, კიდეც შესძულდა. ჟენის სახემ წამით გაიელვა, მაგრამ მაშინვე გაქრა. გონება დაეწმინდა, ყოველი ფიქრი გადაიყარა და საკუთარ გულში ჩაიხედა: შერცხვა, ჟიზი გაცილებით სჯობდა მას. ერთგული პირუტყვის ეს მგზნებარე სიყვარული, რაც სამი წლის დაშორებასაც ვერ გაენელებინა, ბედთან ბრმად შერიგება, რისგანაც მიოლოდ უსიამოვნებებს ელოდა, ყოველივე ეს იმის დამადასტურებელი იყო, რომ ჟიზს უფრო ძლიერი, უფრო წმინდა გრძნობები ჰქონდა, ვიდრე მას. ეს ფაქტი უგულისყუროდ აღნიშნა: ეს ღრმა გულგრილობა ნებას აძლევდა, გულთბილად მოქცეოდა ჟიზს და თან არავითარი საფრთხე არ ეგრძნო.

ასე წამდაუწუმ იცვლიდა ჟაკი ფიქრებს, ჟიზს კი მხოლოდ ერთი აზრი, ერთადერთი აზრი აკვიატებოდა... მხოლოდ ერთ ფიქრს — სიყვარულს აეტაცა იგი და ისეთი მგრძნობიარობით, ისე სწრაფად აღიქვამდა ყველაფერს, რაც კი ჟაკს ეხებოდა, რომ თუმცა ჯერ ჟაკს კრინტი არ დაეძრა, არც განძრეულა, ლოყაზე მოფერება არ შეუწყვეტია (მართალია, უგულისყუროდ, მაგრამ მაინც ალერსიანად ავლებდა თითს ბაგეებიდან საფეთქლამდე, საფეთქლიდან ბაგეებამდე), მიუხედავად ამისა, ჟიზი ინსტინქტურად მაინც მიხვდა ყოველივეს: მათ შორის სამუდამოდ გაწყდა კავშირი; იგი არაფერს არ ნიშნავდა ჟაკისთვის!

იმედგაწყვეტილმა მაინც მოინდომა შეემოწმებინა თავისი ვარაუდი, საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ არ ცდებოდა; ამიტომ ერთბაშად მოშორდა ჟაკს და თვალებში ჩახედა. ჟაკმა ვერ მოასწრო დაემალა ის გულგრილობა, რაც მის გუგებში ჩაბუდებულიყო; ამჯერად, ჟიზს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ სამუდამოდ გათავდა ყველაფერი.

მაინც ბავშვივით შეეშინდა იმ საშინელი ჭეშმარიტების მოსმენა, რასაც სიტყვები ზუსტად გადმოსცემდა და მთელი ცხოვრების მანძილზე რომ ვერ დაივიწყებდა ვერც ერთი. მან ძალა მოიკრიბა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ჟაკს დაუმალავდა თავის სისუსტეს და მღელვარებას, ბოლოს იმდენი მოახერხა, მოშორდა, გაუღიმა, დაელაპარაკა...

სიტყვის ბანზე ასაგდებად, ხელით წრე შემოხაზა და წაიბუტბუტა:

— რა დიდი ხანია ამ ოთახში არ ვყოფილვარ!

სინამდვილეში, პირიქით, კარგად ახსოვდა უკანასკნელად როდის იჯდა აქ, ამ დივანზე, ანტუანის გვერდით. ოჰ, რა საშინლად იტანჯებოდა იმ დღეს! ასე ეგონა, ჟაკის დაკარგვა და ის აუტანელი შიში, რასაც იმ წუთს მოეცვა, გამოცდა იყო მისთვის. მაგრამ განა ის ტანჯვა დღევანდელ ტანჯვას შეედრებოდა? იმ ხანებში საკმარისი იყო თვალი დაეხუჭა, რომ ჟაკი მის ძახილზე მაშინვე ისეთი სახით გამოცხადდებოდა, როგორიც სურდა. ახლა? იმის შემდეგ, რაც ხელახლა იპოვა, ნამდვილად მიხვდა, რას ნიშნავდა უიმისოდ ცხოვრება!

„ნუთუ ეს შესაძლებელია! — ფიქრობდა იგი, — როგორ მოხდა?"

და ისეთი მძიმე ნაღველი შემოაწვა, იძულებული გახდა რამდენიმე წამით თვალები დაეხუჭა.

ჟაკი შუქის ასანთებად წამოდგა; ფანჯარასთან მივიდა, ფარდები ჩამოუშვა, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა დასაჯდომად.

—შეგცივდა? — ჰკითხა მან, როცა დაინახა როგორ კანკალებდა ჟიზი.

— შენს ოთახში არ თბილა! — მაშინვე მოეჭიდა ამ საბაბს და უთხრა, — სკოჩს ზევით ავიდე!

საკუთარმა ხმამ, რომელიც მკვეთრად გაისმა სიჩუმეში, ოდნავ გამოაფხიზლა და გაამხნევა კიდეც. ეს ნამალადევი მხნეობა, რა თქმა უნდა, სწრაფწარმავალი იყო, მაგრამ რას იზამდა? იმ წუთში ისე სჭირდებოდა ეს სიცრუე, რომ ერთხანს სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა და სიტყვებსაც ისე ისროდა, იტყოდით, მელანთევზი მელანს ანთხევსო. ჟაკიც წამოეგო ანკესზე, მოტყუვდა ამ თამაშით, იდგა და დასტურის ნიშნად იღიმებოდა. მისდა უნებურად ბედნიერიც კი იყო, რომ ამ საღამოსაც მოახერხა და ახსნა-განმარტება თავიდან აიცდინა.

ამასობაში, ჟიზი როგორც იქნა, წამოდგა. ერთმანეთს შეხედეს, თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. „ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ გავძლებ უმისოდ! — გაიფიქრა ჟიზმა და შეეცადა ამით, მეორე საშინელი ამბავი გაედევნა: მას ძლიერი ნებისყოფა აქვს! რა ადვილად შეუძლია უჩემოდ გაძლოს“! ჟიზი ერთბაშად მიხვდა, რომ მამაკაცისათვის დამახასიათებელი გულგრილი სისასტიკით ჟაკი თვითონვე ირჩევდა საკუთარ ბედს, ხოლო მას არც კი ძალუძს აირჩიოს ან თავის ნებაზე მაინც წარმართოს საკუთარი ბედისწერა.

— როდის მიდიხარ? — ჯიქურად ჰკითხა.

დარწმუნებული იყო, მის ტონს ძალდაუტანებლობა ემჩნეოდა.

ჟაკმა მაშინვე არ უპასუხა, ოთახში უგულისყუროდ გაიარ-გამოიარა, შემდეგ ნახევრად შემობრუნდა და ჰკითხა:

— შენ თვითონ როდის მიდიხარ?

ამაზე ნათლად როგორღა უნდა ეღიარებინა, რომ თვითონ მართლაც აპირებდა წასვლას და თანაც ვერ წარმოედგინა, რომ ჟიზი საფრანგეთში დარჩებოდა?!

ჟიზმა ორჭოფულად აიჩეჩა მხრები, სცადა უკანასკნელად გაეღიმა (საკმაოდ კარგად მოახერხა ეს), ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა.

ჟაკი არ ცდილა მის შეჩერებას, მაგრამ სიყვარულით სავსე თვალი გააყოლა. საფრთხისა რომ არ ეშინოდეს, რა სიამოვნებით ჩაიკრავდა გულში, მოეფერებოდა, დაიცავდა... ვისგან დაიცავდა? საკუთარი თავისაგან. მისგანაც. იმ ბოროტებისგან, რაც მას მიაყენა (და რის შესახებაც სხვათა შორის, ბუნდოვანი წარმოდგენაღა ჰქონდა). იმ ბოროტებისგან, რასაც მომავალშიც მიაყენებდა: ბოროტებისგან, რომელიც არ შეეძლო არ მიეყენებინა...

ხელები ჯიბეში ჩაეწყო, ფეხები გაეჩაჩხა, და იდგა ასე, ამ არეულ-დარეულ ოთახში: გადახსნილი ჩემოდანი, სხვადასხვა ფერის იარლიყით, მის ფეხებთან ეგდო, გაიხსენა: ანკონში თუ ტრიესტში გემის ოდნავ გა-

ნათებულ გემბანზე იდგა ემიგრანტებს შორის, რომლებიც მისთვის უცნობ ენაზე ილანძღებოდნენ; ჯოჯოხეთური ხვრინვისგან მთელი ხომალდი ზანზარებდა; მერე ის აყალმაყალი რკინის ჟღარუნმა დაფარა. დუზა ამოედოთ; გემი მაგრად შეინძრა და ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა: გემი ნაპირს მოსცილდა, გემი წყვდიადში შეცურდა.

ჟაკი მძიმედ სუნთქავდა. ეს ავადმყოფური ლტოლვა რაღაც ბრძოლისკენ, რაღაც მოქმედებისკენ, საკუთარი პიროვნების სრული შეგრძნებისკენ, დაბრკოლებას აწყდებოდა წამდაუწუმ და ეს დაბრკოლება მისივე სახლი, მამის სიკვდილი, ჟიზი, ხაფანგებითა და ბორკილებით სავსე მთელი წარსული იყო.

— აქაურობას უნდა მოვშორდე! — გასცრა კბილებში, — აქაურობას უნდა მოვშორდე!

ჟიზი პატარა სკამზე დაეცდო ლიფტში. ეყოფა კი ძალა, რომ თავის ოთახში ავიდეს?

ამგვარად, ყველაფერი მორჩა: ახსნა-განმარტება, რაზედაც ასეთ იმედებს ამყარებდა, საბოლოოდ დამთავრდა და ამოიწურა. ამისათვის ოთხი ფრაზა აღმოჩნდა საკმარისი: „ჟაკ, უნდა მოვილაპარაკოთ!“ მისი პასუხი: „მეც მირჩევნია ბოლო მოეღოს ამ ამბავს!“ შემდეგ ორი შეკითხვა, რასაც პასუხი არ მოყოლია: „როდის მიდიხარ?“ „შენ თვითონ როდის მიდიხარ?“ ამ ოთხ მოკლე ფრაზას უაზროდ იმეორებდა. ახლა?

როცა ხელახლა მიხვდა ამ ვრცელ ბინაში, სადაც სამარისებური სიჩუმე სუფევდა, სადაც ორი მონაზონი კუბოსთან მორიგეობდა, სადაც კვალი აღარ დარჩენილიყო იმ იმედისა, რამაც აქედან გაიყვანა ნახევარი საათის წინ, ჟიზს ისე შეეკუმშა გული, მარტოდ დარჩენის შიშმა აჯობა მის სასუსტეს თუ დასვენების სურვილს, და იმის ნაცვლად, რომ თავის ოთახში შევარდნილიყო, მამიდამისთან შევიდა.

შინაბერა ის-ის იყო დაბრუნებულიყო. ჩვეულებისამებრ, ანგარიშებით, ათასნაირი ნიმუშებით, რეკლამებით და წერილებით დახვავებულ საწერ მაგიდასთან იჯდა. ჟიზის ფეხის ხმა იცნო და მოკაკვული სხეულით მისკენ მიბრუნდა.

— ოჰ, მოხვედი? სწორედ...

ჟიზმა ბარბაცით მიირბინა მასთან, ჭაღარა თმის ორ კულულს შორის ამოჩრილ სპილოსძვლისებურ შუბლზე აკოცა და რაკი წინანდებურად ვეღარ ჩაეხუტებოდა მოხუცს, ბავშვივით ჩაცუცქდა მის ფეხებთან.

— ... სწორედ შენთვის მინდოდა მეკითხა, „ჟიზ... ბინის დალაგების

თაობაზე ხომ არაფერი უთქვამთ შენთვის?.. დეზინფექცია არაა საჭირო?.. ყოველ შემთხვევაში, ამაზე კანონია დაწესებული. კლოტილდას ჰკითხე. ამაზე ანტუანს უნდა მოლაპარაკებოდი... ჯერ ერთი, მუნიციპალური სადეზინფექციო კამერა... შემდეგ ნეფტი სიმშვიდისათვის, შეზრჩოლვაც იქნება საჭირო... კლოტილდამ იცის... ყოველი ხვრელი უნდა დაიგმანოს. შენც უნდა მოგვეხმარო.

— კი მაგრამ, მამიდა.. — წაიბუტბუტა ჟიზმა, რომელსაც თვალები ხელახლა ავსებოდა ცრემლებით, — მე ხომ უნდა წავიდე... მელოდებიან...

— გელოდებიან? მას შემდეგ, რაც აქ მოხდა? გინდა მარტო დამტოვო? — ყოველ სიტყვაზე თავს ნერვიულად აკანტურებდა. — სამოცდათვრამეტი წლის ავადმყოფი მოხუცი...

„უნდა წავიდე, — ფიქრობდა ჟიზი. — ჟაკიც წავა. კვლავ ძველებურად იქნება ყველაფერი, ოღონდ უიმედოდ... აღარავითარი, აღარავითარი იმედი...“ საფეთქლებთან ტკივილი იგრძნო. ყველაფერი აერია თავში. ჟაკის გაგება უკვე უჭირდა, და ყველაზე მძიმე სწორედ ეს იყო. მართლა აღარ ესმოდა მისი? კი მაგრამ, მაშინაც კი, როცა ასე შორს იყო მისგან, მაშინაც კი, როცა ასე კარგად ესმოდა მისი? იგი ხომ დარწმუნებული იყო, ჟაკის ფიქრებს კარგად ვხვდებიო?! მაშ, როგორ მოხდა ეს?

„იქნებ, მონასტერში აღვიკვეცო? — გაიფიქრა მან, — სამუდამოდ დავმშვიდდები, ღვთის ნუგეშით ვიცხოვრებ! მაშასადამე, ხელი უნდა ავიღო ყველაფერზე! ხელი უნდა ავიღო... მეყოფა კი ძალა?“

აღელვება ვერ შეიკავა, აქვითინდა, იატაკიდან წამოიწია და მამიდამისს მკლავები შემოხვია.

— ოჰ, მამიდა, — დაიკვნესა მან, — რა უსამართლობაა! რა უსამართლობაა!

— რაო? რაა უსამართლობა? გამაგებინე, რას ლაპარაკობ? — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა შეშინებულმა ქალმა.

ძალამიხდილი ჟიზი კვლავ იატაკზე იჯდა. დროდადრო, თითქოს შველის მხარდაჭერას, სითბოს ეძებსო, ლოყით ეხებოდა ხეშეშა შალის კაბას, რომლის ქვეშ მოხუცი ქალის წვეტიანი მუხლები იგრძნობოდა.

— სამოცდათვრამეტი წლის ასაკში... მარტო უნდა დავრჩე? — ისიც ასეთ მდგომარეობაში.. — თავის კანტურით ბუზღუნებდა მოხუცი.

## XII

კრუის გამასწორებელი კოლონიის პატარა სამლოცველო ხალხით იყო გაჭედილი. მიუხედავად სიცივისა, კარი ფართოდ გაეღოთ, ხოლო ეზოში, სადაც ხალხს თოვლი ჭუჭყიან ტლაპოდ ექცია, 286 აღსაზრდელი მთელი

საათის განმავლობაში უძრავად ჩამწკრივებულიყო, თავშიშველი, ახალ ქურთუკებზე პრიალა ბალთიანი ქამრებით. ირგვლივ ფორმიანი ზედამხედველები იდგნენ, რომელთაც წელზე რევოლვერის ბუდეები ეკიდათ.

აბატი ვეკარი წირავდა: ბოვეს ეპისკოპოსი თავისი სამარისებური ბანით განსვენებულის ცოდვების შესანდობად ჩამოსულიყო.

ლიტურგიული საგალობლები ერთმანეთს ენაცვლებოდა და სანლოცველოს პატარა ნავის სიჩუმეში წანით აქა-იქ ჟღერდა.

„მამაო ჩვენო...“

„უფალმა მისცეს სამუდამო განსვენება...“

„მშვიდად განისვენოს...“

„ამინ!“

შემდეგ ექვსმა მგალობელმა უკანასკნელი ლოცვა წამოიწყო პატრონიკეში.

ანტუანის გონება დილიდანვე დაძაბულად და მძაფრად მუშაობდა. „დასაფლავებაზე რატომღაც ჩვევად გადაექცათ შოპენის მარში დაუკრან, — ფიქრობდა იგი, — თუმცა სულაც არ არის სამგლოვიარო! მწუხარე თემა დიდხანს არ გრძელდება და თითქმის მაშინვე იცვლება მხიარული ჰანგით, ილუზიის სურვილით... მასში იგრძნობა უდარდელობა ჭლექით დაავადებული ადამიანისა, რომელიც სიკვდილზე ფიქრობს! მას ერთბაშად მოაგონდა პატარა მუსიკოსის, დერნის უკანასკნელი წუთები. იგი მის საავადმყოფოში იწვა. ხალხი უსმენს ამ მუსიკას, გული უჩუყდება და დარწმუნებულია, რომ იმ მომაკვდავის ექსტაზს ხედავს, რომელიც უკვე ამჩნევს სამოთხის კარს. ჩვენთვის კი იგი, სინამდვილეში, ეს, ტემპერატურის აწევის არ იყოს, მძიმე ავადმყოფობის ერთ-ერთი ნიშანია მხოლოდ, გაუარესების სიმპტომი...“

სხვათა შორის, ანტუანი იძულებული გახდა თავისთავს გამოტყდომოდა, რომ პათეტიკური სასოწარკვეთილება ამ შემთხვევაში უადგილო იქნებოდა: დაკრძალვის ცერემონია ასეთი ოფიციალური ზარზეიმით არასოდეს შესრულებულა. ბატონი შალის გარდა, რომელიც ჩამოსვლისთანავე ხალხში გარეულიყო, ანტუანი ერთადერთი „ახლობელი“ იყო. ბიძაშვილები და შორეული ნათესავები მხოლოდ პარიზში დადიოდნენ პანაშვიდებზე, ხოლო ამ სიცივეში კრუიში წასვლა ზედმეტად ჩათვალეს. დაკრძალვას ესწრებოდნენ განსვენებულის კოლეგები და ფილანტროპიული დაწესებულებების მრავალრიცხოვანი დელეგატები. „წარმომადგენლები!“ — გაეცინა ანტუანს, — „მეც ოჯახს წარმოვადგენ!“ მაგრამ მაშინვე ნაღვლიანად დასძინა: „არც ერთი მეგობარი!“ იგი გულისხმობდა: „არც ერთი ჩემი მე-

გობარი! ბუნებრივიცაა!“ (მამის გარდაცვალების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მას ახლო მეგობრები არ ჰყოლია. დანიელის გარდა, ჰყოლა, მხოლოდ ამხანაგები ერტყა გარს. მისი ბრალი იყო: ამდენი ხნის განმავლობაში ადამიანებზე ფიქრით თავს არ იწუხებდა! უკანასკნელ წლებში ამ სიმარტოვით კიდეც ამაყობდა, და აი, ერთბაშად საშინლად შეაწუხა ამ ამბავმა).

იგი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მღვდლების წინ და უკან სიარულს. „ახლა რა იქნება?“ — გაიფიქრა მან, როცა სასულიერო პირები საეკლესიო სალაროში შევიდნენ.

სამლოცველოს წინ კატაფალკი მოეწყოთ და ელოდნენ დამკრძალავი ბიუროს მსახურნი კუბოს როდის გაიტანდნენ კატაფალკზე; ცერემონმაისტერი შავი ხის კვერთხის გულისგამაწვრილებელი კაკუნით მიუახლოვდა ანტუანს და უხეირო ბალეტმაისტერის გაბღენძილი იერით მიესალმა; მერე პროცესია კარიბჭის ქვეშ შეჯგუფდა სამგლოვიარო სიტყვების მოსასმენად. ანტუანმა იგრძნო, რომ ყველა მას უყურებდა. წელში გასწორდა, ღირსეული იერი მიიღო, რადგან გადაწყვიტა მორჩილებით აეტანა მთელი ცერემონიალი. ეკლესიაში ხალხის ჯგუფი გაიპო და დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ბატონ ტიბოს ვაჟის უკან მიმავალ სუპრეფექტს, კომპიენის მერს, გარნიზონის უფროსს, ცხენთსაშენის დირექტორს, სერთუკებში გამოწყობილ კრუის მთელ მუნიციპალურ საბჭოს, ახალგაზრდა ეპისკოპოსს, რომელიც მისი უსამღვდელოესობის, პარიზის კარდინალ-არქიეპისკოპოსის „წარმომადგენელი“ იყო; სხვა წარჩინებულთა შორის, რომელთა სახელებს წამდაუწუმ ჩურჩულებდენ, მორალურ მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე წევრიც ერია, ისინი მეგობრის, განსვენებული თანამოძმის ნეშტის პატივსაცემად მოსულიყვნენ.

— ბატონებო! — გაისმა მჭექარე ხმა, — საფრანგეთის აკადემიის სახელით, წილად მხვდა, ვისარგებლო სამწუხარო უპირატესობით...

ლაპარაკობდა იურისკონსულტი ლუდენ-კოსტარი, მელოტი მამაკაცი, რომელსაც კისრამდე ღილაბნეული ქურქის საყელოიანი პალტო ეცვა. ჩანდა, მას გადაეწყვიტა, განსვენებულის ბიოგრაფია მოეთხრო:

— ...შრომისმოყვარე და მგზნებარე ახალგაზრდული წლები რუანის კოლეჯში გაატარა, მამამისის ქარხნის ახლოს...

ანტუანს ერთი ფოტოსურათი გაახსენდა, სადაც კოლეჯის მოსწავლეს ჯილდოდ მიღებული წიგნების გროვაზე ხელი ჩამოედო. „მამაჩემის ახალგაზრდობა.. — გაიფიქრა მან, — იმ ხანებში ვინ იფიქრებდა? ადამიანის გაცნობა სიკვდილის შემდეგ შეიძლება, — დაასკვნა მან, — სანამ იგი ცო-

ცხალი არსებაა, ყველაფერი, რაც მომავალში აქვს შესასრულებელი და ამის შესახებ სხვამ არაფერი იცის, მათემატიკურ უცნობს წარმოადგენს, რომელიც მცდარ გამონაწარიშებას გვთავაზობს. სიკვდილი ზუსტად დაადგენს საზღვრებს. პიროვნება თითქოს მოწყდება თავის შესაძლებლობებს და განცალკევდება; აი, მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი შეთვალიერება ყოველი მხრიდან, მხოლოდ მაშინ შეგექმნება საერთო წარმოდგენა მასზე... მე მუდამ ვამტკიცებდი, — დასძინა ღიმილით, — რომ საბოლოო დიაგნოზის დასმა გვამის გაკვეთის შემდეგ შეიძლება მხოლოდ".

კარგად ესმოდა, რომ ცხოვრებასა და მამამისის ხასიათზე ჯერ კიდევ ვერ დაესრულებინა მსჯელობა და რომ, კვლავაც მრავალჯერ მიეცემოდა შემთხვევა ასეთი ფიქრების წყალობით, საინტერესო და საყურადღებო დაკვირვება მოეხდინა საკუთარ თავზე.

— ...როცა იგი ჩვენს სასიქადულო აკადემიაში მოიწვიეს, ანგარიში გავუწიეთ არა მარტო მის უანგარობას, ენერგიულობას, კაცთმოყვარეობას ან მის მაღალ, უდავო მორალურ ავტორიტეტს, რის გამოც ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ...

„ისევ წარმომადგენელი!"... — გაიფიქრა ანტუანმა. იგი საკმაო ინტერესით უსმენდა ამ სადიდებელს და კინაღამ იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ დიდი ხნის მანძილზე მამამისს სათანადო პატივისცემით არ ექცეოდა.

— ...თავი დავხაროთ, ბატონებო, ამ კეთილშობილი გულის წინაშე, რომელიც უკანასკნელ წუთებამდე დიდსულოვან და სამართლიანი მიზნებისთვის ძგერდა.

„უკვდავმა" * სიტყვა დაამთავრა. ფურცლები დაკეცა, ხელები სასწრაფოდ ჩაიწყო ქურქგამოკრულ ჯიბეებში და მოკრძალებით დაიკავა ადგილი კოლეგებს შორის.

— სიტყვა ეძლევა პარიზის ეპარქიის კათოლიკურ დაწესებულებათა კომიტეტის თავმჯდომარეს! — თვინიერად გამოაცხადა „ბალეტმაისტერმა".

დარბაისელი მოხუცი, რომელსაც ყურზე სასმენი ლულა მიედო, პატრონივით ბებერი და თითქმის დაჩაჩანაკებული მსახურის თანხლებით მიუახლოვდა კატაფალკს. იგი არა მარტო მემკვიდრე იყო ბატონი ტიბოსი ეპარქიალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, არამედ განსვენებულის ახლო მეგობარი და უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ იმ ახალგაზრდა რუანელთაგან, რომლებიც ბატონ ტიბოსთან ერთად პარიზში ჩამოვიდნენ იურიდიული განათლების მისაღებად. მოხუცი დიდი ხნის წინათ დაყრუებულიყო, რადგან ანტუანმა და ჟაკმა ჯერ კიდევ ბავშვობაში დაარქვეს მას „სოდო".

— ბატონებო! გრძნობა, რამაც დღეს აქ მოგვიყვანა თავი, მარტო მწუხარებას არ უნდა გამოხატავდეს... — დაიკივლა მოხუცმა და ამ გამყივანმა, აკანკალებულმა ხმამ ანტუანს, „სოლოს" წინადღინდელი ვიზიტი მოაგონა: მსახურის აცახცახებულ მკლავზე დაყრდნობილი შევიდა იგი ოთახში, სადაც ბატონი ტიბოს ცხედარი ესვენა: „ორესტმა * უკანასკნელი მეგობრული სალამი უნდა გადასცეს პილადს!" — კართანვე დაიკნავლა მან. როცა ბატონი ტიბოს სასიკვდილო სარეცელთან მიიყვანეს, წამწამდაცვენილი თვალები დიდხანს დაჰყურებდა ცხედარს. შემდეგ წამოდგა, ანტუანს მოუბრუნდა და, თითქოს ოცდაათი მეტრის დაშორებით დგანან ერთმანეთისაგან, ხმამაღლა ასლუკუნდა: „რომ იცოდეთ, რა ლამაზი იყო ოცი წლისა!" (ამ მოგონებამ დღეს ღიმილი მოჰგვარა ანტუანს: „რა სწრაფად იცვლება ყოველივე! — გაიფიქრა მან, რადგან ორი დღის წინ, განსვენებული მამის სასთუმალთან, მოხუცის წამოძახილმა გულწრფელად აუჩვილა გული).

— ...რაში მდგომარეობდა ამ ძალის საიდუმლოება? — გაჰკიოდა მოხუცი. — საიდან ჰქონდა ოსკარ ტიბოს ეს შეუნელებელი თავშეკავება, ეს მშვიდი ოპტიმიზმი, საკუთარი თავის რწმენა, რაც ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვაში შველოდა და რასაც უძნელეს წამოწყებაშიც კი გამარჯვება მოჰქონდა მისთვის? კათოლიკური რელიგიის სამარადისო დიდება განა იმითაც არ გამოიხატება, ბატონებო, რომ იგი ქმნის ასეთ ადამიანებს, ასეთ სიცოცხლეს?!

„ამის უარყოფა არ შეიძლება, — გულში დაეთანხმა ანტუანი. — მამამ სარწმუნოებაში შეუდარებელი საყრდენი ჰპოვა. მისი წყალობით არასოდეს უგრძნია ის, რაც მუშაობაში შეუშლიდა ხელს: სინდისის ქენჯნა, პასუხისმგებლობის მწვავე გრძნობა, ყოყმანი და მისთანანი. მორწმუნე ადამიანი მშვიდად მოქმედებს!" ანტუანმა ისიც კი გაიფიქრა, იქნებ, სწორედ მამამისისა და ამ ბებერი „სოლოს" მსგავსი ხალხი ირჩევს ერთ-ერთ იმ მშვიდობიან გზას, რომელსაც ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე მიჰყავს. „სოციალური თვალსაზრისით — ფიქრობდა იგი, — ისინი ხალხის იმ კატეგორიას ეკუთვნიან, ვინც ყველაზე უკეთ ახერხებს თავისი ინდივიდუალური არსებობის შეგუებას კოლექტივის არსებობასთან. უეჭველია, ისინი ინსტინქტის იმ ადამიანურ ფორმას ემორჩილებიან, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჭიანჭველის ბუდის ან სკის არსებობა. ეს უბრალო რამ არაა!.. უნდა ვაღიაროთ, რომ იმ საშინელი ნაკლის წყალობით, რის გამოც მამაჩემს ვუსაყვედურებდი, დიახ... ამ სიამაყის, პატივმოყვარეობის, დესპოტიზმის წყალობით, უფრო მეტი მიიღეს მისგან, ვიდრე ამას მაშინ მი-

აღწევდნენ, იგი უფრო მოქნილი, დამთმობი, მოკრძალებული რომ ყოფილიყო".

— ... ბატონებო, — განაგრძობდა ყრუ, რომელსაც უკვე ჩახრენწოდა ხმა, — ამ დიდ მებრძოლს ჩვენგან დღეს ამათ პატივიღა სჭირდება! მეტად მნიშვნელოვანი მომენტი დაგვიდგა! ნუღარ ვაყოვნებთ განსვენებულის დაკრძალვას! ჩვენი ძალების შესავსებად იმავე წმინდა წყაროს დავეწაფოთ და ავჩქარდეთ! ავჩქარდეთ!..

საკუთარმა სიტყვებმა ისე გულწრფელად გაიტაცა, ნაბიჯის გადადგმა დააპირა, მაგრამ იძულებული გახდა მსახურის მისუსტებულ მხარს დაყრდნობოდა. მიუხედავად ამისა, მაინც დაიკივლა:

— ავჩქარდეთ, ბატონებო, ავჩქარდეთ... და დავუბრუნდეთ სიკეთისათვის ბრძოლას!

— სიტყვა ეკუთვნის მცირეწლოვანთა დაცვის მორალური ლიგის თავმჯდომარეს! — აუწყა „ბალეტმაისტერმა".

ჭაღარა წვეროსანი, მომცრო ტანის მამაკაცი, ეტყობოდა, სულმთლად გათოშილიყო და ძლივს მოაბიჯებდა, კბილს კბილზე აცემინებდა, მელოტ თავზე სისხლის ნატამალი არ აჩნდა. სიცივისაგან ისეთი გაოგნებული და გატანჯული ჩანდა, საცოდავი შესახედავი იყო.

— მე თავზარდაცემული ვარ... იმით... იმით (არაადამიანური დაძაბვით ძალა მოიკრიბა, რომ გაქვავებული ყბები აემოძრავებინა)... იმ მწუხარებით...

„სიფრიფანა ტანსაცმელში ჩაცმული ბავშვები ნამდვილად დაიხოცებიან!" — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ანტუანმა, რომელიც უკვე მოთმინებას კარგავდა. თვითონაც გრძნობდა, როგორ შეეპარა სიცივე პალტოსა და გახამებული პერანგის ქვეშ და ძვალ-რბილში გაუჯდა.

— ...მთელი თავისი ცხოვრება სიკეთეს თესდა ჩვენს შორის. მისი სახელოვანი ეპიტაფია ეს იქნება: „მიიცვალა სიკეთის ქმედობის შემდეგ". იგი გვტოვებს, ბატონებო, და თან მიაქვს ჩვენი საყოველთაო, ურიცხვი პატივისცემა...

„პატივისცემა! აჰა! — გაიფიქრა ანტუანმა, — ვისი პატივისცემა?"

მან შემწყნარებლურად გადაავლო თვალი დაბეჩავებულ, ყინვისგან გათოშილ ბებერთა მწკრივს, რომელთაც სიცივისაგან თვალები ეცრემლებოდათ, ცხვირიდან ცინგლი სდიოდათ და ის ყური დაეცქვიტათ, რომლითაც უკეთ ესმოდათ; ისინი მოწონების ნიშნად თავს აქნევდნენ. მათ შორის არ იყო არც ერთი, რომელსაც საკუთარ დასაფლავებაზე არ ეფიქროს და შური

არ ეგრძნოს ამ „ურიცხვი პატივისცემის“ გამო. რითაც ასე ხელგაშლილად
აჯილდოებდნენ მათ სახელგანთქმულ, აწ განსვენებულ თანამოძმეს.
მომცრო ტანის წვეროსანს სუნთქვა შეეკრა და სწრაფად დაუთმო ად-
გილი სხვა ორატორს.
ეს ადგილი ლამაზმა მოხუცმა დაიკავა, რომელსაც ცივი, გამჭოლი, დაბ-
ნეული გამოხედვა ჰქონდა. ეს გახლდათ გადამდგარი ვიცე-ადმირალი, ახლა
საქველმოქმედო საქმეებით რომ იყო გატაცებული. მისმა პირველივე სი-
ტყვებმა ანტუანი ყალყზე დააყენა.
— ოსკარ ტიბოს ნათელი გონება და გამჭრიახობა ჰქონდა, რაც ჩვე-
ნი მშფოთვარე დროის ამ საბედისწერო შეხლა-შემოხლაში მუდამ ეხმარე-
ბოდა გამოეცნო კეთილი საქმე და ემუშავა მომავლის ასაშენებლად.
„არა, ეს არაა მართალი, — არ ეთანხმებოდა ანტუანი, — მამას თვალი
ჰქონდა ახვეული და მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ იმას ხედავდა,
რასაც მის მიერ არჩეულ ვიწრო გზაზე გადაეყრებოდა. შეიძლება ითქვას,
რომ იგი უსამართლობის განსახიერება იყო. ჯერ კიდევ სკოლაში ყოფნი-
სას, მან საბოლოოდ თქვა უარი თვითანალიზზე, თავისუფალ აზროვნება-
ზე, აღმოჩენებზე, შეცნობაზე. მან მხოლოდ დამორჩილება იცოდა. მან სა-
ბოლოოდ აიფარა ნიღაბი...“
— სხვა, უფრო სახარბიელო ბედი განა არსებობს? — განაგრძობდა
ადმირალი, — ასეთი ცხოვრება, ბატონებო, განა სამაგალითოდ არ უნდა
ჩავთვალოთ?..
„ნიღაბი! — გაიმეორა ანტუანმა და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი
ამ ყურადქცეულ მსმენელებს, — მართლაც რა ერთნაირები არიან! ურთი-
ერთშემცვლელნი! ერთის აღწერით, საერთო ნიშანს გამოუნახავ ყველას! მცი-
ვანები, თვალებმბჟუტავები, ახლომხედველები, შიშით რომ სული ელევათ
ყველაფერზე: ეშინიათ ფიქრის, ეშინიათ სოციალური ევოლუციის, ეშინიათ
ყველაფრის, რაც კი მათ ციხე-სიმაგრეს საფრთხეს უქადის!.. ფრთხილად!
ეტყობა, მჭევრმეტყველება მეც გადამედო, მაგრამ ზუსტი სიტყვა კი მოვ-
ძებნე. „ციხე-სიმაგრე!“ ისინი იმ ალყაშემორტყმულებივით მსჯელობენ,
რომლებიც წამდაუწუმ ითვლიან ერთმანეთს, უნდა დარწმუნდნენ, რომ
ყველა ადგილზეა თავ-თავიანთ საფარქვეშ!“
ანტუანი თანდათან მეტ უხერხულობას გრძნობდა და სიტყვებს აღარ
უსმენდა. მაგრამ მისი ყურადღება ორატორის ფართო ჟესტმა მიიპყრო:
— მშვიდობით, ძვირფასო თავმჯდომარევ, მშვიდობით! ჯერ კიდევ ცო-
ცხალ არიან თქვენის ღვაწლისა და რუდუნების მოწმენი...
გამასწორებელი კოლონიის დირექტორი ორატორების ჯგუფს გამოეყო.
უკანასკნელი სიტყვა მას უნდა ეთქვა. ყოველ შემთხვევაში, იგი ახლოს

იცნობდა ადამიანს, რომელსაც ახლა სამგლოვიარო სიტყვით მიმართავდა:

— ჩვენი ძვირფასი დამფუძნებლისათვის უცხო იყო სასიამოვნო ნიღბის მიღმა საკუთარი ფიქრის დაფარვა. იგი მუდამ ჩქარობდა ემოქმედა, ჰყოფნიდა გამბედაობა იმისთვის, რომ ფუჭი ზრდილობიანობის ცერემონიები აეთვალწუნებინა...

ანტუანს გულში ეცინებოდა და ყურადღებით უსმენდა.

— მის სიკეთეს ვაჟკაცური სისასტიკე ფარავდა, შესაძლებელია, სწორედ ამით აღწევდა წარმატებას. საბჭოს სხდომებზე პრინციპულობა წარმოადგენდა მისი ენერგიის, უფლებისადმი პატივისცემის, თავისი როგორც ხელმძღვანელის, მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების ერთ-ერთ ფორმას... მისი ცხოვრება დაუსრულებელი ბრძოლა იყო, დაუსრულებელი ბრძოლა და გამარჯვება! მის სიტყვებსაც კი უშუალო მიზანი ამოძრავებდათ: ისინი იარაღივით, კომბალივით მოქმედებდნენ.

„მართალია, — გაიფიქრა უცებ ანტუანმა, — მიუხედავად ყველაფრისა, მამაჩემი ძალა იყო. — და გაუკვირდა, როცა საკუთარ თავში ასეთი, უკვე ჩესვგამჯდარი რწმენა აღმოაჩინა: — მამა სულ სხვა კაცი შეიძლებოდა დამდგარიყო... შესაძლებელია, მამა დიდი ადამიანი გამხდარიყო!"

ამასობაში დირექტორი ხელს იშვერდა აღსაზრდელებისაკენ, რომლებიც ზედამხედველთა შორის ჩამწკრივებულიყვნენ. ყველამ იქით მიაბრუნა თავი, სადაც სიცივისაგან გალურჯებული მცირეწლოვანი ბოროტმოქმედნი იდგნენ.

— ...ამ ახალგაზრდა ავაზაკებს აკვნიდან აჰყვათ დანაშაულისკენ მიდრეკილება. ოსკარ ტიბომ ხელი გაუწოდა მათ; საზოგადოებრივი წყობის, ვაი, რომ, ფრიად არასრულყოფილი წყობის, ეს საცოდავი მსხვერპლნი სამარადისო მადლობის გამოსახატავად მოსულან აქ, რათა ჩვენთან ერთად დაიტირონ კეთილისმყოფელი, რომელიც დაჰკარგეს!

„დიახ, მამას ჰქონდა რაღაც ისეთი... დიახ, მამა შესაძლებელია გამხდარიყო..." — ანტუანი ჯიუტად იმეორებდა ამ ინდისმომცველ სიტყვებს. და უცებ გაუელვა, თუკი ტიბოს მაგარი მოდგმიდან ბუნებამ ამჯერად ვერ გამოიყვანა დიადი შემოქმედი, იქნებ...

სულიერი აღტყინება იგრძნო, მომავალი თვალწინ გადაეშალა.

ამასობაში მზიდავებს კუბო აეწიათ. სამგლოვიარო პროცესიის დამთავრებას ყველა ჩქარობდა. ცერემონმაისტერმა კვლავ დახარა თავი და შავი კვერთხი ერთხელ კიდევ დაჰკრა კარიბჭის ფილებს. ანტუანი თავშიშველი, გულგრილი სახით ჩაუდგა სათავეში პროცესიას, რომელიც ოსკარ ტიბოს ნეშტს მიწას აბარებდა. „რადგან მტვერი ხარ და მტვრად იქცევი!"

# VIII

ჟაკი იმ დღეს შინიდან არ გასულა, გასაღებით ჩაკეტილ ოთახში იჯდა, თუმცა ქვემო სართულში მის გარდა არავინ იყო. (ლეონმა, რა თქმა უნდა, სურვილი გამოთქვა პროცესიას გაჰყოლოდა). ჟაკმა ასეთი ზომები მიიღო საკუთარი თავის წინააღმდეგ, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ სამგლოვიარო პროცესიაში ზოგიერთ ნაცნობს არ დაუწყებდა ძებნას; ამიტომაც გულდასმით ჩაკეტა დარაბები, დივანზე გაიშოტა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, თვალები აპრიალებულ ჭერს მიაპყრო და სტვენას მოჰყვა.

დღის პირველ საათზე ნერვიულობამ და შიმშილმა საწოლიდან წამოაგდო. სწორედ ამ დროს კრუის გამასწორებელი კოლონიის სამლოცველოში სამგლოვიარო ცერემონიალი უმაღლეს წერტილს აღწევდა. ზევით, მადმუაზელი და ჟიზი, რომლებიც დიდი ხანია წმ. თომა აქვინელის ეკლესიიდან დაბრუნებულიყვნენ, ალბათ, მას აღარ დაელოდნენ და სასაუზმოდ დასხდნენ. სხვათა შორის, ჟაკს გადაწყვეტილი ჰქონდა დღის ბოლომდე არავინ ენახა. იმედოვნებდა, რაიმე საჭმელს ბუფეტშიც ვიპოვიო.

სამზარეულოში მიმავალს, წინოთახში, შესასვლელი კარის ქვეშ შეცურებული წერილები და გაზეთები მოხვდა თვალში. სწრაფად დაიხარა და მოულოდნელობისგან შეკრთა. დანიელის ხელი იცნო!

„ბატონ ჟაკ ტიბოს“

ხელები ისე უკანკალებდა, კონვერტი ძლივს გახსნა.

„ჟაკ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩემო ძმობილო! გუშინ საღამოს ანტუანის ბარათი მივიღე...“.

დანიელის წერილის შესავალმა ისე ღრმად იმოქმედა ისედაც მოღუნებულ ჟაკზე, რომ წერილი სასწრაფოდ გადაკეცა, მერე ოთხად დაკეცა, მერე რვად, და ბოლოს მუშტში მოიმწყვდია. საშინლად აღელვებულმა ოთახს მიაშურა, უკვე გადავიწყებოდა, რისთვის გავიდა იქიდან და ვასადებით ხელახლა ჩაკეტა კარი; მერე ოთახში გაიარ-გამოიარა, სინათლესთან შედგა, დაჭმუჭნილი წერილი გახსნა, აჩამჩამებული თვალები გადაავლო, და სანამ ის სახელი არ იპოვა, რასაც ეძებდა, წერილის შინაარსს ვერც მიხვდა.

„...უკანასკნელი წლების განმავლობაში ჟენი ცუდად იტანს პარიზის ზამთარს და ამიტომ, აგერ მთელი თვეა დედასთან ერთად, პროვანსშია...“

წერილი ხელახლა დაჭმუჭნა სწრაფად, მაგრამ ანჯერად ჯიბეში შეინახა.

ჯერ თავზარდაცემულივით, გაოგნებულივით იდგა, მერე შვება იგრძნო. ერთი წუთის შემდეგ, თითქოს ამ სამი სტრიქონის წაკითხვამ გადა-

წყვეტილება შეაცვლევინაო, ანტუანის ოთახში შევარდა და რკინიგზის ცნობარი გადაშალა. იმ დილით, თვალის გახელისთანავე კრუიზე ფიქრი თავიდან არ მოშორებია. დროზე თუ მოემზადება, 14 საათის ექსპრესს მოუსწრებს. ჯერ კიდევ სინათლე იქნება, როცა კრუიში ჩავა, სამაგიეროდ, ცერემონია დამთავრებული დახვდება, ხოლო უკან წამოსასვლელი მატარებელიც დიდი ხნის გასული იქნება. ამგვარად, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იქ არავის შეხვდებოდა, პირდაპირ სასაფლაოზე მივიდოდა და მაშინვე გამობრუნდებოდა... „დედასთან ერთად, პროვანსშია...“

ჟაკს ვერ წარმოედგინა, მგზავრობა ასე თუ დაუწყვეტდა ნერვებს. ადგილზე ვერ ჩერდებოდა. საბედნიეროდ, მატარებელი ცარიელი იყო: არამცთუ კუპეში იყო მარტოკა, მთელ ვაგონში ერთადერთი მგზავრის, შავებში ჩაცმული ხნიერი ქალის მეტს ვერავის მოჰკრა თვალი. ჟაკს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია და გალიაში ჩამწყვდეული მხეცივით მოჰყვა წინ და უკან სიარულს დერეფანში. მალე შეამჩნია, რომ ამ გაშმაგებულმა სირბილმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიიპყრო მოხუცის ყურადღება. და, ვინ იცის, იქნებ, კიდეც შეაშინა. ჟაკი ქვეშ-ქვეშად უყურებდა ქალს. რაოდენ უფერულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მისთვის შეუძლებელი გახდა რამდენიმე წუთით მაინც არ შეჩერებულიყო და არ შეეთვალიერებინა ადამიანური მოდგმის ეს ეგზემპლარი, რომელიც ბედმა გზაზე შეჰყარა. ხოლო ამ ქალს, უეჭველად, მიმზიდველი გარეგნობა ჰქონდა: მშვენიერი, მოტეხილი, ფერმკრთალი, დაღარული სახე, ნაღვლიანი და თბილი, ალბათ, მოგონებებისაგან დამძიმებული გამოხედვა; მშვიდი, დახვეწილი ნაკვთები: ჭაღარა თმა გვირგვინივით ედგა თავზე, ძაძები კოხტად და სადად ეცვა. ეტყობოდა, დიდი ხანია მარტო დარჩენილიყო და მარტოხელა ქალის ჭაპანს ღირსეულად ეწეოდა. ალბათ, კომპიენში ან სენ-კონტენში ბრუნდებოდა. სოფლის ბურჟუაზიის წარმომადგენელი იქნებოდა. უბარგოდ იყო. მის გვერდით, სკამზე იდო პერშის იების დიდი კონა, რომელსაც თხელი, პრიალა ქაღალდი ეხვია.

კრუის სადგურზე ჟაკი გულისძგერით ჩამოხტა ვაგონიდან.

ბაქანზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო.

გაყინული, გამჭვირვალე ჰაერი.

როგორც კი სადგურიდან გავიდა და იქაურ პეიზაჟს თვალი შეავლო, გული შეეკუმშა. არც მოკლე გზით და არც შარაგზით არ მოისურვა წასვლა, ამიტომ მარცხნივ გადაუხვია და კალვერის გზას დაადგა; ამით კი სამი კილომეტრით გაიგრძელა გზა.

ქარი ზუზუნით აწყდებოდა ოთხივე მხრიდან და თოვლისგან ჯერ კიდევ

გადათეთრებულ უკაცრიელ დაბლობზე გამძვინვარებით დაჰქროდა. ბამბისებური ღრუბლების მიღმა მზე ნელ-ნელა ჩადიოდა ჰორიზონტზე. ჟაკი სწრაფად მიაბიჯებდა. დილიდან ლუკმა არ ჩასვლოდა პირში, მაგრამ შიმშილს მაინც არ გრძნობდა, სიცივეს გაებრუებინა. ყოველ მოსახვევს, ყოველ ფერდობს, ყოველ ბუჩქს იხსენებდა; შორს, იქ, სადაც გზა ბატის თათებივით იშლებოდა სამი მიმართულებით, გაძარცვული ხეებით გარშემორტყმული კალვერი მოჩანდა. აი, ის გზა ვომილში მიდიოდა. რამდენჯერ შეუფარებია თავი გზის მუშების ამ ქოხისთვის, როცა ზედამხედველთან ერთად, ყოველდღიური სეირნობის დროს წვიმა წამოეწეოდა. ორჯერ თუ სამჯერ ძია ლეონთან ერთად იყო იქ. ერთხელ არტურთანაც მოუხდა შიგ შესვლა. არტური: პატიოსანი ლოტარინგელის ბრტყელი სახე, უფერული თვალებით და ორაზროვანი ღიმილით...

ეს მოგონებები ამ გაყინულ ქარზე მეტად უტყლაშუნებდა სახეზე და თითქოს ბრჭყალებით ერჭობოდა კანში. მამაზე აღარც ფიქრობდა.

ზამთრის მოკლე დღე იწურებოდა. შუქი იცრიცებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ნათელი იყო.

კრუის რომ მიუახლოვდა, კინაღამ გვერდზე გაუხვია, როგორც წინათ ჩადიოდა ამას, რათა სახლებს უკან ჩამავალი პატარა ქუჩით წასულიყო: ეშინოდა, ახლაც თითით საჩვენებელი არ გაეხადათ ბიჭებს. მაგრამ რვა წლის შემდეგ ვინდა იცნობდა?! თანაც, ქუჩა უკაცრიელი იყო, სახლის კარები ჩარაზული. იტყოდით, სოფლის ცხოვრება ყინვას გაუთოშავსო, თუმცა საკვამურებიდან ბოლი რუხი ცისკენ ადიოდა. გამოჩნდა ფუნდუკი, კუთხეში გამოჭრილი კართანით და ქარზე აჭრიალებული აბრით. არაფერი არ შეცვლილა. არც ეს გამდნარი თოვლი ამ ტალახიან მიწაზე, არც ეს მოთეთრო ტლაპო, სადაც თითქოს ახლაც მიალაჯებდა ფორმის ფეხსაცმელებით. ფუნდუკი: ძია ლეონი სასეირნოდ განკუთვნილ დროს ამოკლებდა, ჟაკს ცარიელ სამრეცხაოში ჩაჰკეტავდა, თვითონ კი კარტს თამაშობდა! ხილაბანდწაკრული გოგო გამოვიდა ჩიხიდან და კართანის ქვის კიბეზე ხის ქოშების კაკუნი მოისმა. ახალი მსახურია? იქნებ, მეფუნდუკის ქალიშვილია, ის გოგონა, „პატიმრის“ დანახვაზე რომ გარბოდა ხოლმე; შინ შესვლამდე გოგომ მალულად გახედა უცნობ ჭაბუკს. ჟაკმა ფეხს აუჩქარა.

სოფლის ბოლოში გავიდა. როგორც კი უკანასკნელ სახლს გაცდა, მაღალი გალავნით გარშემორტყმული და თოვლით დაფარული უზარმაზარი შენობა დაინახა გისოსაკრული ფანჯრებით; ჟაკს გული აუკანკალდა. არაფერი შეცვლილა! არაფერი! ხეივანი, სადაც ერთ ხესაც ვეღარ ნახავდით, ჭიშკრისკენ მიემართებოდა და ტალახის ნიაღვრად ქცეულიყო. რა თქმა

უნდა, უცნობი, რომელსაც ზამთრის ასეთ ბინდბუნდში გზა აერეოდა, მეორე სართულზე ამოკვეთილ ოქროსფერ ასოებს ძლივს გაარჩევდა. მაგრამ ჟაკმა ადვილად წაიკითხა ქედმაღლური წარწერა, და თვალი ვერ მოწყვიტა:

ს ა ქ ვ ე ლ მ ო ქ მ ე დ ო  ს ა ხ ლ ი.

დამფუძნებელი ო ს კ ა რ  ტ ი ბ ო.

და აი, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ამ დაწესებულების დამაარსებელი მოკვდა, რომ გზას სამგლოვიარო კარეტების ბორბლების ნაკვალევი აჩნდა და რომ იგი განსვენებული მამამისისთვის ჩამოვიდა აქ. და როცა მიხვდა, შემიძლია ამ პირქუშ სახლს ზურგი შევაქციოო, გულზე მოეშვა. უკან გაბრუნდა, მარცხნივ გაუხვია და სასაფლაოს შესასვლელისაკენ გაეშურა, რომლის ორსავე მხარეს ტუია იყო ჩარგული.

ჩვეულებრივ ჩარაზული ჭიშკარი ახლა ღია დახვდა. ბორბლების ნაკვალევი გზას უჩვენებდა. ჟაკი მისდაუნებურად გაემართა გვირგვინების ზვინისკენ, რომელიც ყინვას სწრაფად დაეჭკნო და ნაგვის გროვას უფრო ჰგავდა, ვიდრე აყვავებული საფლავის ბორცვს.

პერმის იების დიდი კონა, რომლის ღეროები თხელ, პრიალა ქაღალდში გაეხვიათ, ჩანდა, ოფიციალური ცერემონიის დამთავრების შემდეგ დაედოთ ასე ცალკე, თოვლზე, საფლავის წინ. „დახეთ!" — გაიფიქრა ჟაკმა, თუმცა ამ დანთხვევისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია.

და ერთბაშად, ახლახან ამოთხრილი მიწის დანახვამ, ტალახში ჩამარხული ცხედარი ისეთი სახით წარმოუდგინა, როგორიც უკანასკნელად ნახა: იმ ტრაგიკულ და თან სასაცილო წუთში დამკრძალავი ბიუროს მსახურმა განსვენებულის ოჯახს თავაზიანად დაუკრა თავი და უკვე შეცვლილ სახეს სამუდამოდ გადააფარა სუდარა.

„ჰოპლა! სწრაფად! პაპანზე!" — გაიხსენა ჟაკმა, მწარე ნაღველი შემოაწვა და ერთბაშად აქვითინდა.

ლოზანიდან წამოსვლის შემდეგ, წესიერად ვერც კი გარკვეულიყო ვითარებაში და თანდათან პასიურად მიჰყვებოდა დინებას, მაგრამ აქ უეცრად იჩინა თავი ძველებურმა სითბომ, ბავშვურმა, შეუკავებელმა, ულოგიკო და თანაც, უძლეო გრძნობამ, რომელიც სირცხვილისა და სინანულის გრძნობებს საშინლად უმწვავებდა. აქ ჩამოსვლის მიზეზს ახლა უკვე ხვდებოდა. მოაგონდა თავისი სიბრაზე, ის აუთვალწუნებელი აზრები, სიძულვილი, შურისძიება, მთელი ახალგაზრდული წლები რომ მოუწამლეს. ათასი მივიწყებული დეტალი რიკოშეტით ასხლეტილ ტყვიასავით ხვდებოდა გულს და ტკივილს აყენებდა. ყოველგვარი გულღრძოობა ერთბაშად გაუქრა და

შვილის ინსტინქტებს აყოლილი რამდენიმე წუთის განმავლობაში მწარედ დასტიროდა მამას. იგი იყო ერთ-ერთი იმ ორი ადამიანთაგანი, რომელნიც ერთმანეთს არ იცნობდნენ, ორივემ თავი აარიდა თავისი მწუხარების საჯაროდ გამომჟღავნებას, მაგრამ ნაღველს ვერ გაუძლეს და დამძიმებული გულით საფლავს მიაშურეს. იგი იყო ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც იმ დღეს გულწრფელად დაიტირა ბატონი ტიბო.

ჟაკი იმდენად იყო შეჩვეული პირდაპირობას, რომ თავისი მწუხარებისა და სინანულის უცნაურობა მაშინვე იგრძნო. კარგად იცოდა, მამამისი რომ ცოცხალი ყოფილიყო, კვლავაც შეიძულებდა, კვლავაც გაექცეოდა. მიუხედავად ამისა, ძალამიხდილი, თბილი, ბუნდოვანი გრძნობით შეპყრობილი უძრავად იდგა... რაღაცას ნანობდა თითქოს, არ იცოდა კი, რას... — იქნებ იმას, რაც ადვილი შესაძლებელია ყოფილიყო! წამით წარმოიდგინა, რომ მამამისი გულთბილი, დიდსულოვანი, მიმხვედრი ადამიანი იყო! აი, მაშინ, აუცილებლად ინანებდა, ალბათ, ამ მოსიყვარულე მამის უმწიკვლო შვილი რად არ ვიყავიო.

მერე, მხრები აიჩეჩა, შემობრუნდა და სასაფლაოდან გავიდა.

სოფელში გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. მიწათმოქმედნი სამუშაო დღეს ამთავრებდნენ. სახლის ფანჯრები განათებული იყო.

სახლების წინ რომ არ ჩაევლო, სადგურის მიმართულებით წასვლის ნაცვლად ჟაკმა მულენ-ნეფის გზაზე გადაუხვია და იმ წამსვე მინდორში აღმოჩნდა.

მარტო არ იყო. იგი სურნელებასავით შეპარავი და ჯიუტი, უკან მისდევდა, ებღაუჭებოდა, ფიქრში ეჭრებოდა. მერე გვერდით მიჰყვებოდა ამ მდუმარე დაბლობზე, ამ მოლივლივე შუქზე, რომელიც თოვლზე ციმციმებდა, წამით ჩამდგარი ქარისგან გამთბარ ამ ჰაერში. ჟაკი წინააღმდეგობას არ უწევდა. სიკვდილის ამ შემოტევას დამორჩილებოდა; ცხოვრების უმიზნობაზე, ყოველგვარი ცდის ამაოებაზე ფიქრს იმ მომენტში ისე ძლიერ მოეცვა, რომ ნეტარ ეგზალტაციასაც კი იწვევდა მასში. სურვილი რა საჭიროა? რისი იმედი უნდა გქონდეს? ყოველგვარი არსებობა — სასაცილოა! გარჯად აღარ ღირს არაფერი! არაფერი, მას შემდეგ, რაც სიკვდილს შეიცნობ! გრძნობდა, ამჯერად რაღაც ინტიმური დაუზიანდა. აღარც თავმოყვარეობა, აღარც მბრძანებლობის სურვილი, არც რისამე განხორციელების წადილი! ასე ეგონა, ამ კაეშნისგან ვეღარასოდეს განიკურნებოდა, სიმშვიდეს ვეღარასოდეს მოიპოვებდა. იგი არც კი ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ, მართალია, ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ ადამიანი ზოგჯერ

მაინც ჰპოულობს დროის განადგურებისგან გადაირჩინოს მცირეოდენი საკუთარი „მე“, ზოგჯერ აჯერებს თავისი ოცნება იმ ტალღაზე მაღლა ასწიოს, რომელმაც აიტაცა, რათა სანამ თვითონ ფსკერისკენ მიექანება, მისი პატარა ნაწილი ერთხანს კიდევ ფართფატებდეს ზედაპირზე.

იგი სწრაფად, აჩქარებული ნაბიჯით მიგელავდა წინ და იმ კაცივით დაძაბულიყო, რომელიც მირბის და თან რაღაც სათუთი საგანი გულში ჩაუკრავს. უნდა გაექცეს ყველაფერს! არა მარტო საზოგადოებასა და მის ბორკილებს; არა მარტო ოჯახს, მეგობრებს, სიყვარულს; არა მარტო საკუთარ თავს, ათავიზმისა და ჩვეულებათა ტირანიას, არამედ თავის ყველაზე საიდუმლო რაობას, თავდაცვის ამ უაზრო ინსტინქტს, რომლის წყალობით საცოდავი ადამიანური ნარჩენები სიცოცხლეს ებღაუჭებიან; ლოგიკური ფიქრი თვითმკვლელობაზე, ცხოვრებიდან ნებაყოფლობით და მთლიანად გაქრობაზე ხელახლა ეწვია, ოღონდ განყენებული ფორმით. შეუცნობლობაში დაშვება ხსნა იქნება! გარდაცვლილი მამა და მისი მშვიდი. ლამაზი სახე თვალწინ წარმოუდგა ერთბაშად.

„...ჩვენ დავისვენებთ, ძია ვანია... ჩვენ დავისვენებთ!“

მეეტლეების ყვირილმა და ხარხარმა მისდა უნებურად გამოიყვანა ფიქრიდან. ანთებული ფარნების წყალობით შეამჩნია რამდენიმე ოთხთვალა, რომლებიც პირდაპირ მისკენ მოჰქროდნენ ღრანტეებში. ხალხთან შეხვედრისა შეეშინდა. არც დაფიქრებულა, თოვლით ამოვსებულ თხრილს გადაახტა, გზის გასწვრივ, ფეხის ბორძიკით გაირბინა გათოშილი ხნული, პატარა ტყის პირს მიაღწია და ტევრში გაუჩინარდა.

დამზრალი ფოთლები მის ფეხქვეშ ითელებოდნენ, ტოტების ეკლიანი ფოთლები ლოყებს უკაწრავდა, ხელები განზრახ ღრმად ჩაიყო ჯიბეში და შუაგულ ტყეში გაბრუებული შევიდა; ეს თვითგვემაც სიამოვნებდა, არ იცოდა, საით მიდიოდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა შარაგზას, ხალხს, ყველაფერს განრიდებოდა!

მაგრამ ტყის ეს პატარა მონაკვეთი სწრაფად დაილია. ხეებშორის ხელახლა დაინახა გზასავალით გადასერილი თეთრი დაბლობი, რომელსაც მოქურუხებული ცა თავზე აწვა, ხოლო პირდაპირ — გამასწორებელი კოლონია და მისი შუქის ზოლი ჰორიზონტს გადმოჰყურებდა; სართული, სადაც სახელოსნოები და საკლასო ოთახები იყო განლაგებული. გიჟური აზრი აეკვიატა და კინოფირივით გაურბინა თვალწინ: ფარდულის დაბალ კედელზე გადაძვრეს, სახურავიდან საწყობის ფანჯარასთან მიცოცდეს, შუშა გატეხოს, ასანთს გაჰკრას, გისოსებიდან ანთებული თივის კონა ჩააგდოს შიგ! „აი, ჩირაღდანივით აბრიალდა საწოლთა საწყობი, დირექციის შენობას

მოედო, შთანთქა მისი ყოფილი საკანი, მისი მაგიდა, სკამი, დაფა, საწოლი... ცეცხლმა ყველაფერი გაანადგურა"!

დაკაწრულ სახეზე ხელი მოისვა, მწარე გრძნობით დამძიმებოდა გული: უსუსურია და... სასაცილო!

კოლონიას, სასაფლაოს, წარსულს სამუდამოდ შეაქცია ზურგი და ფართო ნაბიჯით გასწია სადგურისაკენ.

17 საათსა და 40 წუთზე გამავალ მატარებელსაც ვერ მიუსწრო. რამდენიმე წუთით დაიგვიანა. იძულებული გახდა მოეთმინა და გარეუბნის მატარებლისთვის დაეცადა, რომელიც 19 საათზე ჩამოივლიდა. ობის სუნით ამყრალებული მოსაცდელი დარბაზი ნამდვილი საყინულე გამოდგა.

ჟაკი დიდხანს დადიოდა უკაცრიელ პლატფორმაზე. ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა; ჯიბეში დანიელის წერილს ჭმუჭნიდა: აკი დაიფიცა, არ წავიკითხავო!

ბოლოს რეფლექტორს მიუახლოვდა, რომელიც საათზე იყო მინათებული, კედელს მიეყრდნო, ჯიბიდან წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა: „ჟაკ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩემო ძმობილო! გუშინ საღამოს ბარათი მივიღე ანტუანისგან და მთელი ღამე თეთრად გავატარე. რა იქნებოდა, საკმაო დრო მქონოდა წუხელ საღამოდან დღეს დილამდე, რომ შენთან მომერბინა, თუნდაც ხუთი წუთით, მენახე ცოცხალი! ოჰ, წამით არ შევყოყმანდებოდი, ისე გადავახტებოდი ამ გალავანს, დიახ... დიახ, არავითარ საფრთხეს არ დავიდევდი, ოღონდ კი მენახე, ძმობილო, ჩემო მეგობარო! ოღონდ კვლავ დამენახე ჩემს წინ, შენ, ჟაკი, ცოცხალი ჟაკი! უნტერ-ოფიცრის ამ ბუნაგში, სადაც ორი კაცი ხვრინავს, კირ-ხსნარით შეღებილ და მთვარის შუქით განათებულ ჭერზე ჩვენი ბავშვობა, ერთად გატარებული ჩვენი ცხოვრება მთელი ღამის განმავლობაში კინოკადრებივით მონაცვლეობდა: ლიცეუმი, სხვა ბევრი რამ, ყველაფერი... ყველაფერი... ჩემო მეგობარო, ძველო მეგობარო, ჩემო ძმაო! ამდენი წელი როგორ გავძელი უშენოდ? ყური მიგდე: არასოდეს, ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი შენს მეგობრობაში. ხომ ხედავ, ამ დილითვე გწერ, მეცადინეობის წინდევ, თითქმის იმ წამსვე, როგორც კი ანტუანის წერილი მივიღე! ზუსტად არ ვიცი, არც მინდა ვიცოდე, როგორ შეხვდები ჩემს ბარათს. ჯერაც ვერ გამიგია, ამდენი ხანი რატომ დამტანჯე შენი დუმილით? როგორ მაკლდი, რომ იცოდე! დღესაც როგორ მაკლიხარ! განსაკუთრებით სამხედრო სამსახურამდე, სამოქალაქო ცხოვრების პერიოდში მაკლდი! შენ, ალბათ, წარმოდგენაც არა გაქვს ამაზე, ხომ? ძალა, რომელსაც შენ მე მმატებდი,

ყველაფერი, რაც კი ჩემში კარგი იყო ფარული სახით და შენ გამოამჟღავნე. უშენოდ, შენი მეგობრობის გარეშე, არასოდეს...",

სუსტი განათებისა და ცრემლით დანისლული თვალების გამო ჟაკს ახლო მიჰქონდა წერილი, ხელი უკანკალებდა. ზუსტად მის თავზე კი სადგურის ზარი განუწყვეტლივ წკრიალებდა და ბურღივით უხვრეტდა თავის ქალას.

„...მე მგონია, ამას ვერ ხვდებოდი შენ, რადგან იმ ხანებში მე იმდენად ამაყი ვიყავი, ჩემი გრძნობების გამხელა არ მიყვარდა, მით უმეტეს, შენ ვერ გამოგიტყდებოდი. ჰოდა, როცა გადაიკარგე, ამის დაჯერება არ შემეძლო, მიზეზს ვერ მივმხვდარიყავი. როგორ ვიტანჯებოდი! განსაკუთრებით ეს საიდუმლოება მტანჯავდა! იქნებ, ოდესმე მაინც მიხვდე! მაგრამ მაშინაც კი, როცა საშინლად ვწუხდი და ნაწყენიც ვიყავ, ერთი წუთითაც აზრად არ გამივლია, რომ შენ ჩემს მიმართ (თუკი ცოცხალი იყავ) გრძნობას შეიცვლიდი. და აი, ხომ ხედავ: დღესაც არ მეპარება შენში ეჭვი..."

„სამსახურის საქმეებმა წერილი შემაწყვეტინეს.

მინდოდა განვმარტოებულიყავ და სასადილოში შევედი, თუმცა იმ საათებში იქ შესვლა აკრძალულია. შენ, ალბათ, წარმოდგენა არა გაქვს, რას წარმოადგენს ყაზარმული ცხოვრება, რას წარმოადგენს ეს სამყარო, რომელმაც აგერ, ცამეტი თვეა ხელში ჩამიგდო და აღარ მეშვება. მაგრამ ახლა ყაზარმაზე ლაპარაკს არ ვაპირებ. იცი? საშინელებაა, როცა აღარ იციან, რა უთხრან, როგორ ელაპარაკონ ერთმანეთს! ალბათ, ხვდები, რომ ათასი შეკითხვა მადგება ენაზე, მაგრამ რა საჭიროა? მე მინდა მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხო, რადგან ეს შეკითხვა მართლაც ძალიან მაწუხებს; მითხარი, მალე გნახავ? დამთავრდა თუ არა მთელი ეს კოშმარი? მართლა ვიპოვეს? თუ... თუ კვლავ გადაიკარგები? ყური მიგდე, ჟაკ, რაკი დარწმუნებული ვარ, ამ წერილს მაინც წაიკითხავ, და ვინ იცის, იქნებ, მხოლოდ ამ წუთში შემიძლია მოგაწვდინო ხმა, ნება მომეცი, ერთი რამ ხმამაღლა გიყვირო: მე შემიძლია ყველაფერი გაგიგო, შენს ყოველგვარ გადაწყვეტილებას დავთანხმდე, მაგრამ გემუდარები, რა განზრახვაც არ უნდა გქონდეს ამჟამად, ჩემი ცხოვრებიდან ასე მთლიანად ნუ გაქრები! შენ მე მჭირდები (რომ იცოდე, როგორ ვამაყობ შენით, რამდენ დიად საქმეს ველი შენგან და როგორ ვაფასებ ამ ჩემს სიამაყეს!). მე მზად ვარ ყველა შენი პირობა მივიღო. თუკი ჩემგან მოითხოვ, რომ შენი მისამართი არ ვიცოდე, არავითარი ურთიერთობა აღარ გვქონდეს, აღარასოდეს არ მოგწერო წე-

რილი, თუკი მოითხოვ, არასოდეს არავის, თვით საბრალო ანტუანსაც კი, არ შევატყობინო შენგან მიღებული ამბავი, გპირდები, ყველაფერზე თანახმა ვარ, წინასწარ გაძლევ სიტყვას, შევასრულო ყველაფერი, რასაც მომთხოვ, ოღონდ დროდადრო შენგან ერთი სიტყვა მივიღო იმის დამადასტურებლად, რომ ცოცხალი ხარ, არსებობ, ჩემზე ფიქრობ! ვნანობ, უკანასკნელი სიტყვები რომ დავწერე, წავშლი, რადგან ვიცი, დარწმუნებული ვარ, შენ ჩემზე ფიქრობ (ამაში არც წინათ არ მეპარებოდა ეჭვი. ვერასოდეს ვერ დავუშვებდი, რომ შეგეძლო გეცოცხლა და ჩემზე, ჩვენს მეგობრობაზე აღარ გეფიქრა!)

მე გწერ, მაგრამ დაუფიქრებლად! ვგრძნობ, ჩემს სათქმელს მაინც ვერ გადმოგცემ. მაგრამ არა უშავს! მაინც ბედნიერი ვარ, ამდენი ხნის საშინელი დუმილის შემდეგ რომ გწერ!

კარგი იყო მეამბნა ჩემი ამბავი, რადგან როცა ჩემზე იფიქრებ, მინდა იფიქრო იმ ადამიანზე, როგორიც მე გავხდი და არა მხოლოდ იმაზე, როგორიც დამტოვე. ამის შესახებ ალბათ, ანტუანი გიამბობს! იგი კარგად მიცნობს. შენი წასვლის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მე კი არც ვიცი, რით დავიწყო. იმდენი რამ არის მოსაგონებელი, სულ დავიბენი! ამას გარდა, ხომ იცი, როგორი ვარ: ვცხოვრობ, ვმოქმედობ, აწმყოთი ვარსებობ და უკან მოხედვა არ მეხერხება. ამ სამხედრო სამსახურმა მაშინ შემაწყვეტინა მუშაობა, როცა მეგონა, რაღაც მეტად მნიშვნელოვანს ვაღწევ-მეთქი საკუთარ თავში, ხელოვნებაში და საერთოდ ყველაფერში, რასაც დიდი ხანია ბუნდოვნად ვეძებდი. მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი იდიოტობაა; თანაც არაფერს არ ვნანობ. სამხედრო სამსახური რაღაც ახალი, რაღაც ძლიერი, დიდი გამოცდა და ამასთანავე უდიდესი გამოცდილებაცაა ჩემთვის. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ხელქვეითები გამიჩნდა. მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი იდიოტობაა.

ერთადერთი დასანანი ისა მაქვს, რომ მთელი წელია დედისგან შორს ვარ, მით უმეტეს, როცა ვგრძნობ, ორივე, დედაც და ჟენიც ძალიან იტანჯებიან ამით. უნდა გამოგიტყდე, რომ ჟენის ჯანმრთელობა ვერაა სახარბიელო და რამდენჯერმე კიდეც შეგვაშინა. თუმცა შეშინებით, მხოლოდ მე შემეშინდა, რადგან დედა, ხომ იცი, როგორია? ვერასოდეს ვერ წარმოუდგენია, რომ საქმე ცუდად დაბოლოვდება. მიუხედავად ამისა, დედაც ბღიარებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჟენი ცუდად იტანს პარიზის ზამთარსო, ამიტომ, ავერ მთელი თვეა, დედასთან ერთად პროვანსშია დასასვენებელ სახლში, სადაც, თუკი შესაძლებელი იქნება, გაზაფხულამდე იმკურნალებს. თავსატეხი და საზრუნავი არ აკლიათ! მამაჩემი ისევ ბსე-

თია, მის შესახებ ნუ ვილაპარაკებთ, ამჟამად ავსტრიაშია, მის თავგადასავლებს ბოლო არ უჩანს.

ჩემო ძვირფასო ძმობილო, ახლაღა გამახსენდა, რომ მამაშენი გარდაიცვალა: მე ხომ ამით მინდოდა დამეწყო წერილი. თუ შეგიძლია, მაპატიე, თანაც, ამ სამწუხარო ამბავზე შენთან ლაპარაკი კიდეც მეუხერხულება. მიუხედავად ამისა, ძალიან ვღელავ, როცა წარმოვიდგენ, რამდენი რამ გადაიტანე ამ ხნის განმავლობაში: თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამბავმა მოულოდნელი და სასტიკი ელდა დაგცა.

იძულებული ვარ წერა შევწყვიტო: გვიანიცაა და სამხედრო ფოსტალიონიც საცაა წავა. მინდა, ეს წერილი, რაც შეიძლება, ჩქარა მიიღო.

მაინც გავბედავ, ძმობილო, და ყოველ შემთხვევისათვის ერთ რამეს კიდევ მოგწერ: პარიზში ჩემი წამოსვლა შეუძლებელია, აქ ხელფეხშეკრული ვარ და შენთან მოსასვლელი არავითარი გზა არ მაქვს, მაგრამ ლიუნევილი ხუთი საათის სავალზეა პარიზიდან. აქ მე კარგი თვალით მიყურებენ (რა თქმა უნდა, პოლკოვნიკმა მაიძულა ოფიცერთა დარბაზი მომეხატა), შედარებით თავისუფლადაც ვარ. მთელი დღის შვებულებაზე უარს არ მეტყვიან... თუკი... თუკი შენ... თუმცა, არა, ამაზე ოცნებასაც ვერ გავბედავ! გიმეორებ, ყველაფერზე თანახმა ვარ, ყველაფერს გავიგებ, მაგრამ ვერასოდეს, ვერასოდეს ავიღებ ხელს მიყვარდე, როგორც ერთადერთი, მუდამ დიდი მეგობარი!..

დანიელი".

ჟაკმა ერთი ამოსუნთქვით გადაიკითხა ეს რვაგვერდიანი წერილი. აღელვებული, დაბნეული, გულაჩუყებული იდგა და ცახცახებდა. მაგრამ რასაც განიცდიდა, მარტო ძველი მეგობრული გრძნობის გაღვიძება კი არ იყო, თანაც ისეთი მგზნებარე, რომ მზად ყოფილიყო იმავე საღამოს ჩამჯდარიყო მატარებელში და ლიუნევილში წასულიყო! — არამედ ეს გრძნობა უფრო მალეველს ჰგავდა; იგი საშინლად უღრღნიდა გულის ერთ კუნჭულს, მტკივნეულ, ბნელით მოცულ კუნჭულს, რომელზედაც შუქის მოფენა არც შეეძლო და არც უნდოდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ნერვულ კანკალს უფრო აეტანა, ვიდრე სიცივეს. წერილი ისევ ხელში ეჭირა, ხელახლა დაბრუნდა კედელთან, მიეყრდნო, ზარის ჯღარჯუხეთურ წკრიალს ყური არ ათხოვა და დანიელის წერილი ხელმეორედ, ყურადღებით გადაიკითხა.

რვის ნახევარი იყო, როცა ჩრდილოეთის სადგურიდან გავიდა. წყნარი, მშვენიერი საღამო იდგა, გუბეები გაყინულიყო, ტროტუარები გამშრალიყო; შიმშილით კვდებოდა. ლაფრეტის ქუჩაზე ლუდხანა შენიშნა, შევიდა,

დივანზე ჩამოჯდა, ქუდი არ მოუხდია, პალტოს საყელოც კი არ ჩამოუწევია, ისე გადასანსლა მაგრად მოხარშული სამი კვერცხი, ერთი ულუფა მჟავე კომპოსტო და ნახევარი გირვანქა პური.

შიმშილი რომ მოიკლა, ორი ტოლჩა ლუდი გამოცალა ზედიზედ და ირგვლივ მიმოიხედა. ფარბაზი თითქმის ცარიელი იყო. მის პირდაპირ, გრძელი სკამების მეორე მწკრივში, ქალი იჯდა, წინ ცარიელი ჭიქა ედგა და ჟაკს უყურებდა. შავგვრემანი, მხრებგანიერი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის თანაგრძნობით სავსე, მოკრძალებულ გამოხედვას ჟაკმა თვალი წაავლო და აღელდა. ქალს ისე სადად ეცვა, სადგურის ახლოს მოხეტიალე პროფესიული მეძავი არ უნდა ყოფილიყო. იქნებ, დებიუტანტია?.. ერთმანეთს შეხედეს. ჟაკმა თვალი აარიდა: საკმარისი იყო, ენიშნებინა, ქალი მაშინვე გადმოჯდებოდა მის მაგიდასთან. სახეზე ნაღვლიანი, გამოცდილი და თანაც გულუბრყვილო გამომეტყველება ეხატა, რასაც მიმზიდველობა და პიკანტურობაც ამშვენებდა. ცთუნებას აყოლილი ჟაკი ერთხანს ყოყმანობდა: იმ უბრალო, ბუნების მკვიდრის, მისთვის უცნობ ადამიანთან შეხვედრა უეჭველად გამოაფხიზლებდა იმ საღამოს... ქალი მოურიდებლად უყურებდა: თითქოს მის ყოყმანს ხვდებოდა. ჟაკი კი გულდასმით არიდებდა თვალს.

ბოლოს გონი მოიკრიბა, ოფიციანტს ფული გადაუხადა და ქალისათვის არც შეუხედავს, ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ქუჩაში საშინლად შესცივდა. იქნებ, ფეხით დაბრუნებულიყო შინ? ძალიან დაიღალა... ქვაფენილის კიდესთან დადგა, ერთხანს მანქანებს უთვალთვალებდა და პირველივე ტაქსი გააჩერა.

ტაქსი ტროტუარს რომ მიუახლოვდა, ჟაკმა იგრძნო, ვიღაც შეეხო. უცნობი ქალი ფეხდაფეხ გამოჰყოლოდა.

— გინდათ, ჩემთან წავიდეთ?.. ლამარტინის ქუჩაზე, — ოდნავ დარცხვენით ჰკითხა და იდაყვზე ხელი მოჰკიდა.

უარის ნიშნად ჟაკმა თავი გააქნია, გაუღიმა და მანქანის კარი გამოაღო.

— ლამარტინის ქუჩამდე მაინც მიმიყვანეთ, 97-ე ნომერში, — შეეხვეწა ქალი, რომელსაც თითქოს გადაეწყვიტა, ახალგაზრდა კაცს არასგზით არ მოშორებოდა.

შოფერმა ღიმილით შეხედა ჟაკს:

— მაშასადამე, ბატონო ჩემო, ლამარტინის ქუჩა, ნომერი 97-ე, არა?

ქალს ეგონა, (თუ თავი მოაჩვენა ასე) ჟაკი თანახმააო და ტაქსის ღია კარში შევარდა.

— კეთილი, ლამარტინის ქუჩაზე წავიდეთ! — დაეთანხმა ბოლოს ჟაკი.

მანქანა ტროტუარს მოწყდა.

— რას მეჯიუტები? — მაშინვე ჰკითხა ქალმა თბილი ხმით, რაც მთელ მის გარეგნობას ესადაგებოდა. შემდეგ მისკენ გადაიხარა და ალერსიანად დაუმატა: — ერთი შეხედვითაც მიხვდება კაცი, რომ მარცხი განიცადე!

ქალმა ნაზად შემოხვია მკლავები და ამ ალერსმა და სითბომ ჟაკი გაალღო.

იგი ცთუნებას აჰყვა, უნდოდა თანაგრძნობით მოქცეოდა. არაფერი უპასუხა და ოხვრა ჩაიხშო; თითქოს ამ ოხვრითა და დუმილით საბოლოოდ მოტეხაო, ქალი მაგრად მიეკრა, ქუდი მოხადა და მისი თავი მკერდზე მიიხუტა. ჟაკი არ გაძალიანებია: ერთბაშად დაკარგა ნებისყოფა და თითონაც არ იცოდა რატომ, ატირდა.

— ძალიან ცუდი საქმე ჩაიდინე, ხომ? — აკანკალებული ხმით წასჩურჩულა ქალმა.

ჟაკი ისე გააკვირვა ამ სიტყვებმა, უარის თქმაც ვერ მოახერხა. ერთბაშად მიხვდა, რომ ამ გათოშილ და გულცივ პარიზში, მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი შარვლით, ტოტებისგან დაკაწრული სახით, იგი ალბათ, ბოროტმოქმედს წააგავდა. თვალები დახუჭა და განცხრომით გაიფიქრა, ამ მეძავს ყაჩაღი ვგონივარო.

ქალმა კი მისი დუმილი აღიარებად ჩათვალა, და ხელახლა ვნებიანად მიეკრა.

შემდეგ ენერგიული ხმით თანამონაწილესავით ჰკითხა:

— გინდა, ჩემთან დაგმალო?

— არა, — უპასუხა მან და არ განძრეულა.

ქალს, ეტყობა, სჩვეოდა ყველაფერი თავისებურად აეხსნა, თუნდაც საქმის ვითარებაში ვერ გარკვეულიყო.

— იქნებ, მაყუთი გინდა? — ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ უთხრა მან.

ამჯერად ჟაკმა თვალები დააჭყიტა და წამოიწია:

— რა თქვი?

— სამას ორმოცი ფრანკი მაქვს ამაში! — უთხრა და საფულე აჩვენა; — თუ გინდა მოგცემ!

მის ურცხვ ინტონაციაში უფროსი დის უხეში, ბრაზნარევი სითბო იგრძნობოდა.

ჟაკი ისე აღელდა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო.

— გმადლობ... არ მჭირდება...—წაიბუტბუტა ბოლოს და თავი გააქნია.

მანქანამ სვლა შეანელა და დაბალკარიან სახლთან შეჩერდა. ტროტუარი უკაცრიელი და ჩაბნელებული იყო.

ჟაკმა იფიქრა, შინ შეყვანას შემომთავაზებსო, როგორ მოიქცევა?

მაგრამ ყოყმანი აღარ დასჭირდა. ქალი წამოიწია, მისკენ შემობრუნდა, მუხლით ბალიშზე დაეყრდნო და სიბნელეში უკანასკნელად მოეხვია ჟაკს.

— საცოდავი ბიჭო! — ამოიოხრა მან.

შემდეგ ჟაკის ტუჩები მოძებნა, მაგრამ აკოცა, თითქოს ამ წყალობით სურს საიდუმლო ამოიცნოს, ბოროტმოქმედების კვალს მიაგნოსო და მაშინვე მოშორდა:

— ყოველ შემთხვევაში, ეცადე არ ჩავარდე, ბრიყვო!

მანქანიდან სწრაფად გავარდა, კარი მიაჯახუნა და შოფერს ასი სუ მიაწოდა.

— სენ-ლაზარის ქუჩით წადით, გეტყვიან, სადაც უნდა შეჩერდეთ!

ტაქსი დაიძრა. ჟაკმა ბოლოს მოასწრო თვალი შეევლო უცნობისათვის, რომელსაც ერთხელაც არ მოუხედავს და ბნელ ქუჩაბანდში გაქრა.

გაოგნებულმა ხელი შუბლზე გადაისვა.

ტაქსი მიქროდა.

ჟაკმა ფანჯარა ჩამოუშვა, სახეზე გრილი, სუფთა ჰაერი მოხვდა, ღრმად ჩაისუნთქა, გაიღიმა, შოფრისკენ გადაიხარა და მხიარულად დაუძახა:

— უნივერსიტეტის ქუჩა, ნომერი 4 ა.

## XIV

როგორც კი სამგლოვიარო ცერემონია დამთავრდა სასაფლაოზე, ანტუანი მანქანით გაემგზავრა კომპიენში; მოიმიზეზა საფლავისათვის მარმარილოს ძეგლი უნდა შევუკვეთოო, ნამდვილად კი, სხვებთან ერთად მატარებლით დაბრუნებას აარიდა თავი. ექვსის ნახევარზე ექსპრესი გადიოდა და პარიზში სადილობამდე ჩავიდოდა.

მაგრამ ბედმა ასე არ ინება.

მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა სადგურზე და სახტად დარჩა, როცა იქ აბატი ვეკარის პირისპირ აღმოჩნდა. იძულებული გახდა უკმაყოფილება დაეფარა.

— არქიეპისკოპოსმა თავაზიანობა გამოიჩინა და თავის მანქანაში ადგილი შემომთავაზა, უნდოდა გზაზე გვესაუბრა... — უთხრა აბატმა.

და როცა ანტუანის დაქანცული, კუშტი სახე შეამჩნია, დასძინა:

— ჩემო საბრალო მეგობარო, წარმომიდგენია, როგორ გაიტანჯეთ... ამდენი ხალხი... ამდენი სიტყვები... მიუხედავად ამისა, გავა დრო, და ეს

დღე თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება... ვნანობ, ჟაკი რომ არ ესწრებოდა...

ანტუანს უნდოდა აეხსნა, ახლანდელ სიტუაციაში ბუნებრივია, ჟაკი დასაფლავებას არ დაესწრებოდა, მაგრამ აბატმა სიტყვის ამოღება არ აცალა.

— მე მესმის თქვენი... კარგად მესმის. რასაკვირველია, გაცილებით სჯობს, რომ არ მოვიდა. სამაგიეროდ, თქვენ უნდა უამბოთ, რაოდენ ყურადსაღები იყო მთელი ეს ცერემონია. ასე არ არის, განა?

ანტუანმა თავი ვერ შეიკავა და შეეკამათა:

— ყურადსაღები? სხვებისთვის, შესაძლებელია, ასეც იყოს, — წაიბუზღუნა მან, — ოღონდ ჩემთვის არა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მთელი ეს ზარ-ზეიმი, მთელი ეს ოფიციალური ოქრომჭედლობა...

მან მღვდლის დამცინავი გამოხედვა დაიჭირა. ეტყობა, საფლავზე წარმოთქმული სიტყვებიდან აბატსაც იგივე შთაბეჭდილება დარჩა, რაც ანტუანს.

მატარებელი სადგურს მიუახლოვდა.

სუსტად განათებული ცარიელი კუპე აირჩიეს და დასხდნენ.

— ბატონო აბატო, თამბაქოს არ ეწევით?

მღვდელმა მრავლისმეტყველად მიიდო თითი ბაგესთან.

— მადლობთ! — თქვა მან და პაპიროსი აიღო, გააბოლა და თვალები მილულა. მერე პაპიროსი პირიდან გამოიღო, შეათვალიერა და ბოლი ნესტოებიდან გამოუშვა.

— მსგავსი ცერემონიების დროს, — გულკეთილი ტონით წამოიწყო მან, — აუცილებელია არსებობდეს ისეთი მხარეც... რომელსაც თქვენი მეგობრის, ნიცშესი არ იყოს, „ადამიანურს... ზეადამიანურს"* დავარქმევდი. მიუხედავად ამისა, რელიგიურ და მორალურ გრძნობათა ეს კოლექტიური გამომჟღავნება მეტად ამაღელვებელია, და გულგრილი ვერ დარჩები. ხომ მართალს ვამბობ?

— არ ვიცი! — მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ მიუგო ანტუანმა და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, აბატისკენ მიბრუნდა და ერთხანს უსიტყვოდ დააცქერდა.

ეს მშვიდი სახე, ეს ჩაშტერებული და თვინიერი გამოხედვა, ნდობის აღმძვრელი ტონი, მარცხნივ გადახრილი თავი, რაც დაფიქრებულ იერს აძლევდა მუდმივად, მკერდთან ზანტად მიტანილი ხელები, ყველაფერი ეს უკვე ოცი წელია ნაცნობი იყო ანტუანისთვის. მაგრამ ახლა ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ამ საღამოს მათ დამოკიდებულებაში რაღაც ცვლილება

მომხდარიყო. აქამდე აბატ ვეკარს ბატონ ტიბოსთან ურთიერთობაში იცნობდა: მის წარმოდგენაში იგი მამამისის მოძღვარი იყო მხოლოდ. სიკვდილმა ეს კავშირი მოსპო და მოსაზრებები, რის გამოც ანტუანი წინათ თავშეკავებულად ექცეოდა მღვდელს, დღეს უკვე გამქრალიყო. ახლა იგი აბატის წინაშე ისევე გრძნობდა თავს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი მეორე მოკვდავის წინაშე. და რაკი ესოდენ დამქანცველი დღის შემდეგ თავისი აზრების რბილად გამოხატვა უჭირდა, დიდი შვება იგრძნო, როცა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბულის გარეშე განაცხადა:

— მართალი გითხრათ, ასეთი გრძნობები სრულიად უცხოა ჩემთვის.

მღვდელმა დამცინავი კილოთი წარმოთქვა:

— რამდენადაც ვიცი, ადამიანურ გრძნობათა შორის რელიგიური გრძნობა საერთო აღიარებას ჰპოვებს ადამიანებში... ამის თაობაზე რას იტყვით, მეგობარო?

ანტუანს სულაც არ ეხუმრებოდა:

— მე მუდამ მაგონდება ჩვენი სასწავლებლის დირექტორის, აბატი ლეკლერის ერთი ფრაზა; როცა ბოლო, ფილოსოფიის კლასში ვიყავი, მან ერთხელ მითხრა: „ბევრია ჭკვიანი ხალხი, რომელთაც მხატვრული გემოვნება არ გააჩნიათ. თქვენ კი, ადვილად შესაძლებელია, რელიგიური გრძნობა გაკლდეთ!“ უბრალოდ, მას ალბათ, ენამახვილობის გამოჩენა სურდა, სინამდვილეში კი დიდი შორსმჭვრეტელობა გამოამჟღავნა.

— ეს რომ ასე იყოს, ჩემო კარგო, — თქვა აბატმა ისევ გულთბილი, ირონიული კილოთი, — მაშინ შესაბრალისი იქნებოდით, რადგან ნახევარი ქვეყანა დახშული იქნებოდა თქვენთვის!.. დიახ, არ არსებობს ისეთი დიადი პრობლემები, რომელთა შესახებ არ შეიძლებოდეს ვთქვათ — ის, ვინც ამ პრობლემებს რელიგიური გრძნობით არ მიუდგება, განწირულია ჩასწვდეს მხოლოდ მის უსუსურ ნაწილს. აი ეს შეადგენს სწორედ ჩვენი რელიგიის სილამაზეს... რატომ იღიმებით?

ანტუანმა თვითონაც არ იცოდა. იქნებ, ეს ღიმილი მთელი კვირის ძლიერი განცდებისა და იმ დამქანცველი დღის შემდეგ, ნერვული რეაქციის შედეგი იყო!

თავის მხრივ, აბატსაც გაეღიმა.

— აბა, რას იტყვით? უარყოფთ, რომ ჩვენი რელიგია მშვენიერია?

— არა! არა! — ხუმრობით წამოიძახა ანტუანმა, — გეთანხმებით, რომ იგი „მშვენიერია“. ამას თქვენს საამებლად ვამბობ, — ირონიულად დასძინა მან, — მიუხედავად ამისა...

— რა?

— მიუხედავად ამისა, „მშვენიერება“ გონივრულობას არ გამორი-ცხავს.

აბატმა ხელები აასავსავა.

— „გონივრულობას!“ — წაიბუტბუტა აბატმა, თითქოს ამ სიტყვამ მრავალი შეკითხვა აღუძრა, რომელთაც ახლა ვერ შეეხებოდა, მაგრამ მათი გასაღები ხელთ ჰქონდა. იგი დაფიქრდა და შემდეგ უფრო პაექრული კილოთ თქვა:

— თქვენ, იქნებ, იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნით, ვისაც წარმოუდგე-ნია, რომ რელიგია თანამედროვე აზროვნებას უთმობს პოზიციებს?

— არ ვიცი, — უპასუხა ანტუანმა, რომლის თავშეკავებულმა ტონმა აბატი გააკვირვა, — არა მგონია... ადვილი შესაძლებელია, თანამედროვე აზროვნება — მხედველობაში სწორედ ის ადამიანები მყავს, რომლებიც ნამდვილი რწმენისგან საკმაოდ შორს არიან, ბრმად მიისწრაფიან თავი მოუყარონ ერთნაირი რელიგიის ელემენტებს... დააახლოვონ ცნებები, რომ-ლებიც თავიანთ მთლიანობაში შექმნიდნენ ერთ საერთო ცნებას, ეს კი დიდად განსხვავებული არ იქნება იმ კონცეპციისგან, რაც მორწმუნეთა უმრავლესობას ღმერთის შესახებ შეუქმნიათ...

თანხმობის ნიშნად მღვდელმა თავი დააქნია.

— აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა? — წამოიძახა მან. — გავი-ხსენოთ როგორია ადამიანური ბუნება. რელიგია ერთადერთი საზღაურია იმ ხიბილწის წილ, რასაც ადამიანი თავის ინსტინქტებში გრძნობს... ეს გახლავთ მისი ერთადერთი ღირსება. ასევე, იგი ერთადერთი ნუგეშიცაა მის ტანჯვაში და ბედნიერების ერთადერთი წყაროც.

— აი, ეს მართალია! — ირონიულად წამოიძახა ანტუანმა. — ძალიან ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტებას უფრო აფა-სებენ, ვიდრე საკუთარ კომფორტს! რელიგია ხომ მორალური კომფორტის მწვერვალია! მიუხედავად ამისა, არ გეწყინოთ, ბატონო აბატო, მაგრამ არ-სებობს ისეთი ხალხიც, ვისაც მიხვედრისადმი უფრო მეტად აქვს მიდრეკი-ლება, ვიდრე რწმენისადმი. და ეს ხალხი...

— ეს ხალხი? — შეეკამათა მღვდელი. — ეს ხალხი მუდამ ისეთ ვიწრო, ისეთ სუსტ ნიადაგზე დგას, როგორიცაა გონება და ლოგიკა. ამის ზევით ის ვერც ამაღლდება. ჩვენ კი უნდა გვებრალებოდეს ის, ჩვენ, რომელთა რწმენას სულ სხვა გასაქანი აქვს, უფრო ვრცელ მონაკვეთზე ცოცხლობს და ვითარდება: ნებისყოფის სარბიელზე, გრძნობის სარბიელზე ვითარდე-ბა, ხომ მართალი ვარ?!

ანტუანმა ორაზროვანი ღიმილი შეაგება. მაგრამ კუპეში ისეთი მქრქა-

ლი შუქი იყო, აბატმა ეს ვერ შენიშნა, იგი განაგრძობდა ლაპარაკს და თითქოს ეს მიდევნობა იმას ადასტურებდა, რომ იგი სულაც თავს იტყუებდა იმ „ჩვენთა“ ჯგუფით, რომელიც ის-ის იყო ახსენა.

— დღეს ადამიანებს ჰგონიათ, რომ ისინი ძლიერნი არიან, რაკი ცდილობენ „მიხვდნენ“, მაგრამ რწმენაც მიხვედრას ნიშნავს. ხოლო მიხვედრა რწმენას! უკეთ რომ ვთქვათ, „მიხვედრას“ და „რწმენას“ საერთო საზომი არ გააჩნიათ. ზოგი დღეს იმ ჭეშმარიტებასაც უარყოფს, რაც არასაკმარისად მომზადებულ ან ტენდენციური აზრით გაყალბებულ გონებას არ ძალუძს დაამტკიცოს. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი საკმაოდ ვერ მიიწევენ წინ. ადვილი შესაძლებელია, ღმერთი რწმენით შეიცნო, ხოლო გონებით მისი არსებობა დაამტკიცო. არისტოტელედან მოკიდებული, — არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი წმინდა თომა აქვინელის მასწავლებელი გახლდათ, — გონება დაბეჯითებით ამტკიცებს...

ანტუანი ლაპარაკს არ აწყვეტინებდა, ყურს უგდებდა, მაგრამ სკეპტიკურადაც მიჩერებოდა.

— ...ჩვენი რელიგიური ფილოსოფია, — განაგრძობდა მღვდელი, რომელსაც ანტუანის დუმილი აბნევდა, — ყველა ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს იძლევა...

— ბატონო აბატო! — მხიარულად შეაწყვეტინა ბოლოს ანტუანმა. — ნუთუ მართლა უფლება გაქვთ თქვათ: რელიგიური აზროვნება... რელიგიური ფილოსოფიააო?

— უფლება? — გაკვირვებით წამოიძახა აბატმა.

— თქვენგან არ მიკვირს! გულახდილად რომ ვთქვათ, რელიგიური ფიქრი თითქმის არ არსებობს, რადგან გაფიქრება — უპირველესად ყოვლისა, ეჭვია!

— ოჰო, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, იცით, ეს სანამდე მიგვიყვანს? — წამოიძახა აბატმა.

— მე კარგად ვიცი, რომ ეკლესია ასეთი წვრილმანი ამბებით თავს არ იწუხებს... მაგრამ მთელი ის კავშირი, რომლის დამყარებასაც ცდილობს რწმენასა და თანამედროვე ფილოსოფიასა თუ მეცნიერებას შორის უკანასკნელი ასი და უფრო მეტი წლის მანძილზე, — მაპატიეთ ეს გამოთქმა, მაგრამ თაღლითობას უფრო წააგავს, რადგან ის, რაც რწმენას ასაზრდოებს, რაც მის არსს შეადგენს, რაც ასე იზიდავს რელიგიურად განწყობილ ადამიანებს, სწორედ ის ზებუნებრივია, რომელიც ფილოსოფიასაც უარყოფს და მეცნიერებასაც!

აბატი სკამზე იმშუშნებოდა; იგი უკვე მიხვდა, რომ ანტუანი აღარ ხუმრობდა. მის ხმაში უკმაყოფილო ნოტები გაისმა ბოლოს.

— ეტყობა, თქვენ სულ გავიწყდებათ ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდების უმრავლესობა გონებამ, ფილოსოფიურმა მსჯელობამ მიიყვანა რწმენამდე.

— ოჰო! — წამოიძახა ანტუანმა.

— რა გიკვირთ?

— უნდა გამოგიტყდეთ, ჩემი აზრით, რწმენა ინტუიტური და ბრმა უნდა იყოს და მეტი არაფერი! როცა იგი ცდილობს დაეყრდნოს გონებას...

— მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, ფილოსოფია და მეცნიერება ზებუნებრივს უარყოფს? ცდებით, მეგობარო... სასტიკად ცდებით! მეცნიერება მას უგულებელჰყოფს, ეს კი ერთი და იგივე როდი გახლავთ. რაც შეეხება ფილოსოფიას, ყოველგვარ ფილოსოფიას, რომელიც კი ამ სახელის ღირსია...

— ამ სახელის ღირსიათ?! ყოჩაღ! თქვენ ადვილად უსწორდებით საშიშ მტრებს!

— ...ყოველგვარ ფილოსოფიას, რომელიც კი ამ სახელის ღირსია, აუცილებლად მივყევართ ზებუნებრივისკენ, — დაასრულა მღვდელმა და ანტუანის რეპლიკისთვის ყურადღება არ მიუქცევია. — მაგრამ განვაგრძოთ: თქვენმა თანამედროვე მეცნიერებმა კიდევაც რომ შესძლონ და დაადგინონ, რომ მათ პირითად აღმოჩენებსა და საეკლესიო მოძღვრებას შორის საფუძვლიანი წინააღმდეგობა არსებობს, — ეს კი ჩვენი აპოლოგეტიკის ახლანდელ მდგომარეობაში ნამდვილად ყალბ, აბსურდულ ჰიპოთეზად ითვლება! — გეკითხებით, რას დაამტკიცებენ ამით?

— უჰ, დალახვროს ეშმაკმა! — ღიმილით წამოიძახა ანტუანმა.

— არაფერს! — გაცხარებით დასძინა აბატმა. — ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ადამიანის გონებას ჯერაც არ ძალუძს გააერთსახიანოს თავისი ცოდნა, და რომ, იგი ფეხის ბორძიკით მიიწევს წინ, რაც, — დაუმატა მეგობრული ღიმილით, — აღმოჩენა იქნებოდა ყველასთვის.

ყური მიგდეთ, ანტუან! ჩვენ ხომ ვოლტერის დროს არ ვცხოვრობთ! ნუთუ საჭიროა მოგაგონოთ, რომ თქვენი ფილოსოფოს-ათეისტების ეს ევრეთწოდებული „გონება“, მუდამ მაცდური, მოჩვენებითი წარმატებებით სჯობნიდა რელიგიას?! განა რწმენას აქვს თუგინდ ერთი ისეთი მუხლი, რომლის გამო ეკლესიას არალოგიკურობაში ამხელდით?

— ვეთანხმებით, ასეთ მუხლს ვერ უპოვით! — სიცილით შეაწყვეტინა ანტუანმა, — ეკლესია მუდამ ახერხებდა დროულად მოსულიყო გონს.

თქვენს ღვთისმეტყველებს ბადალი არა ჰყავს იმ მოქნილი და გარეგნულად ლოგიკური არგუმენტების შეთხზვის საქმეში, რაც მათ ეხმარებათ [illegible] სწრაფად აიცდინონ ლოგიკოსების თავდასხმა. ერთი ხანია, უნდა ვაღიარო, ამ საქმეში საოცარ... მოხერხებულობას იჩენენ... მაგრამ ამით მხოლოდ ისინი ტყუვდებიან, ვისაც წინასწარ გადაუწყვეტიათ: დაე, მოტყუებულნი დავრჩეთო.

— არა, ჩემო კარგო, ეს არაა მართალი! პირიქით, მერწმუნეთ, უკანასკნელი სიტყვა ეკლესიის ლოგიკას იმიტომ ეკუთვნის მუდამ, რომ იგი გაცილებით...

— ...მოქნილია, მტკიცეა...

— ...ღრმაა, ვიდრე თქვენი ლოგიკა... იქნებ, დამეთანხმებით, რომ ჩვენი გონება, როცა იგი საკუთარი შესაძლებლობების ანაბარაა, სხვას ვერაფერს აღწევს, გარდა სიტყვიერი კომბინაციისა, რაშიც ჩვენი გული მონაწილეობას არ იღებს. რატომ ხდება ასე? არა მარტო იმიტომ, რომ არსებობს მთელი რიგი ჭეშმარიტებებისა, რომლებიც ჩვეულებრივ ლოგიკას არ ემორჩილებიან, და არც იმიტომ, რომ ღმერთის ცნება, ეტყობა, ჩვეულებრივი გონების შესაძლებლობას სცდება, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ — გთხოვთ, კარგად გამიგოთ! — ჩვენი მსჯელობის უნარი თავის ნებაზეა მიშვებული და მას ასეთი ფაქიზი საკითხების გადასაჭრელად ძალა აკლია, სიმტკიცე აკლია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ რწმენას, ცოცხალ რწმენას უფლება აქვს მოითხოვოს ახსნა-განმარტება, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებდა გონებას. სამაგიეროდ, თვით ჩვენს გონებას მადლი უნდა განაგებდეს. მადლი შუქსა ფენს მსჯელობის უნარს. ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი მარტო თავისი გონების ამარა არ მიეშურება ღმერთის საძებნელად; იგი მორჩილად უნდა მიენდოს ღმერთს. ღმერთს, რომელიც მას ეძებს; და როცა თავისი გონივრული ფიქრით ღმერთამდე ამაღლდება, იგი უნდა დაცარიელდეს, გაიპოს... ღრუდ გადაიქცეს და შეეგებოს, მიიღოს ღმერთი, რომელიც ჯილდოდ ერგო მას!

— ეს კი ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჭეშმარიტების მისაღწევად მარტო ფიქრი არ კმარა, ამისათვის საჭიროა კიდევ ის, რასაც თქვენ მადლს უწოდებთ... ეს კი აღიარება გახლავთ და ისიც ფრიად სერიოზული! — მრავლისმეტყველი ღიმილის შემდეგ დაასკვნა ანტუანმა.

ეს სიტყვები ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, მღვდელი მაშინვე შე[illegible]მათა.

— ოჰ, საბრალო მეგობარო, თქვენ მსხვერპლი ხართ თქვენი დროისა... თქვენ რაციონალისტი ბრძანდებით...

— მე ვარ... ძნელია კაცმა თქვას, ვინ არის ის! მაგრამ მაინც ვამჯობინებ, რომ მირჩევნია მაინც გონებას მივენდო!

აბატმა ორივე ხელი აიქნია:

— და ეჭვის ცდუნებას! რადგან რომანტიზმის გაგებით სწორედ ეს არის: საკუთარი თავბრუხვევით იამაყო და თავიც კი მოიწონო, ამაღლებულ ტანჯვას განიცდიდე.

— ოჰ, ბატონო აბატო, ოდესმე ასე ნუ იტყვით, — შეაწყვეტინა ანტუანმა, — ჩემთვის უცხოა ეს თავბრუდახვევაც, ტანჯვაც და ყოველგვარი სულიერი შეშფოთებაც, რაც ახლა ახსენეთ. ძნელია მოიძებნოს ნაკლებად რომანტიკული ადამიანი, ვიდრე მე ვარ. ჩემთვის უცხოა ყოველგვარი შიში და შფოთი.

(თქვა და უეცრად გაიფიქრა, ეს მტკიცება ზუსტი არაა. რა თქმა უნდა, არავითარი რელიგიური შიში მას არ გააჩნდა, მაგრამ ბოლო საშინელი წლის განმავლობაში თვითონაც შეიცნო ის ჯაბნილობა, რასაც ადამიანი სამყაროს წინაშე გრძნობდა, და შეშფოთდა).

— ბოლოს და ბოლოს, — წამოიწყო მან, — თუკი რწმენა არ გამაჩნია, არც იმის თქმა მეკადრება, თითქოს იგი დავკარგე: ჩემი აზრით, რწმენა, საერთოდ, არა მქონია!

— რას ამბობთ, ანტუან! — წამოიძახა აბატმა. — ნუთუ დაგავიწყდათ, რა მორწმუნე ბავშვი იყავით!

— მორწმუნე? არასოდეს! მე მხოლოდ მორჩილი ვიყავი: მორჩილი და გულმოდგინე. მეტი არაფერი. ბუნებით მოწესრიგებული ბავშვი გახლდით, და როგორც სანიმუშო მოსწავლე, რელიგიურ მოვალეობასაც პირნათლად ვასრულებდი, ეს იყო და ეს!

— თქვენ განგებ ამცირებთ თქვენს ჭაბუკურ რწმენას!

— რწმენას კი არა, რელიგიურ აღზრდას. ეს კი სულ სხვა რამეა.

ანტუანი აბატის გაკვირვებას სულაც არ ცდილობდა, უბრალოდ, უნდოდა გულწრფელი ყოფილიყო. მის მოქანცულობას მოჰყვა ის ოდნავი აღტყინება, რაც შეკამათებისკენ უბიძგებდა. მან ხმას აუწია და თავისი წარსულის სრულიად ახლებურ ანალიზს შეუდგა:

— დიახ, აღზრდა... აბა დაუკვირდით, ბატონო აბატო, ყველაფერი როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული! ოთხი წლის ასაკიდან დედა, გადია, ყველა, ვინც კი ბავშვზე უფროსია და ვისზედაც იგი დამოკიდებულია, ყოველ ნაბიჯზე უმეორებს: „ღმერთი ცაშია; ღმერთი შენ გიცნობს; მან გაგაჩინა; ღმერთს უყვარხარ; ღმერთი გხედავს, გკიცხავს; ღმერთი დაგსჯის; ღმერთი დაგაჯილდოებს..." დამაცადეთ! რვა წლის ასაკში ბავშვი ეკლესი-

აში დაჰყავთ სულის საცხონებელ წირვაზე მოზრდილებთან ერთად, რომლებიც პირქვე არიან დამხობილნი. ყვავილებსა და სანთლებში ჩაფლულ, საკმეველსა და მუსიკით გარშემორტყმულ ოქროს საწაწილეს აჩვენებენ და ეუბნებიან: „ღმერთი იქაა, ამ თეთრ სეფისკვერში". კეთილი და პატიოსანი! თერთმეტი წლის ასაკში კათედრიდან ფრიად ავტორიტეტულად, დამრიგებლური კილოთი ესაუბრებიან წმინდა სამების, ხორცშესხმის, მკვდრეთით აღდგომის, ცოდვათა მონანიების, უმანკო ჩასახვისა და მისთანათა შესახებ... იგი უსმენს და სჯერა. ან როგორ არ უნდა ირწმუნოს? როგორ უნდა შეიტანოს თუნდაც მცირეოდენი ეჭვი მთელ ამ რწმენაში, რომელსაც მისი მშობლები, ამხანაგები, მასწავლებლები, ეკლესიაში მყოფი ქრისტიანები იზიარებენ? ეს ბალღი როგორ უნდა დაეჭვდეს, ის ხომ გზადაბნეულია ქვეყანაზე, იგი ხომ დაბადებიდანვეა გარემოცული საიდუმლო მოვლენებით?!.. ამაზე დაფიქრდით, ბატონო აბატო! ვფიქრობ, მთავარი სწორედ ესაა! დიახ, საკითხის დედაარსი სწორედ ეს გახლავთ... ბავშვისთვის ყველაფერი ერთნაირად გაუგებარია: მიწა ბრტყელი ჰგონია, ის კი მრგვალია; იგი თითქოს უძრავია, სინამდვილეში, ბზრიალასავით ბრუნავს ხივრცეში... მზე აღვივებს თესლს. წიწილა ცოცხლად გამოდის კვერცხიდან... ღვთის შვილი მიწაზე დაეშვა ზეციდან და ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად ჯვარს აცვეს... რატომაც არა?.. ღმერთი იყო სიტყვა, ხოლო სიტყვა... გახდა ხორცი... გაიგოს, ვისაც შეუძლია, სულ ერთია: საქმე მოგვარებულია!

მატარებელი შეჩერდა. სიბნელეში ვიღაცამ სადგურის სახელწოდება დაიყვირა. რომლიდაც მგზავრს კუპე ცარიელი ეგონა, კარი ერთბაშად გააღო და მაშინვე მიხურა ბუზღუნით. ცივი ქარის ნაკადი სახეში ეცა ორივეს.

ანტუანი მღვდლისკენ მიბრუნდა, ვაგონის ჭერზე ლამპა ისე სუსტად ანათებდა, თითქმის ვერ ხედავდა მის სახეს.

აბატი დუმდა.

მაშინ ანტუანმა უფრო მშვიდად წამოიწყო ლაპარაკი.

— ჰოდა, განა შეიძლება „რწმენა" ვუწოდოთ ბავშვის ამ გულუბრყვილო მინდობას? რასაკვირველია, არა! რწმენა ისაა, რაც უფრო მოგვიანებით მოდის. მას სხვა ფესვები აქვს: და აი, ამიტომაც შემიძლია ვთქვა, რომ რწმენა არ გამაჩნდა.

— უმჯობესია თქვათ, რომ თქვენ მას საშუალება არ მიეცით გაღვივებულიყო ასე კარგად მომზადებულ სულში, — თქვა აბატმა, რომელსაც უკვე აშლფოთება ეტყობოდა. — რწმენა ისევე უბოძა ღმერთმა ადამიანს,

როგორც მეცნიერება, და სხვა უნართან ერთად რწმენასაც გაღრმავება უნდა... მაგრამ თქვენ... თქვენ?.. სხვების მსგავსად ქედმაღლობის, წინააღმდეგობის ჟინს, თავისუფლად აზროვნების პატივმოყვარეობას, დადგენილი წყობის წინააღმდეგ ბრძოლის ცდუნებას აჰყევით...

მაშინვე ინანა თავისი აღშფოთება: აკი გადაწყვიტა, რელიგიურ კამათში არ ჩარეულიყო! სხვათა შორის, ანტუანის კილომ აბატი შეაცდინა: ეს მკვახე ინტონაცია, ეს გაცხარება კამათის დროს, თითქმის მხიარული ტონი, რაც ახალგაზრდა კაცის შემოტევას ხელოვნურად გამომწვევ ხასიათს აძლევდა, მღვდელმა გულწრფელად არ მიიჩნია. იგი დიდ პატივს სცემდა ანტუანს; და ამ პატივისცემაში იმედიც გამოსჭვიოდა; უფრო მეტიც, რწმენა ჰქონდა, რომ ბატონი ტიბოს უფროსი ვაჟი დიდხანს ვერ გაიზიარებდა ამ უბადრუკ, დამაჯერებლობას მოკლებულ შეხედულებებს.

ანტუანი ჩაფიქრებული იჯდა.

— არა, ბატონო აბატო! — დინჯად შეესიტყვა ბოლოს, — ყველაფერი ეს თავისთავად მოხდა, ყოველგვარი ქედმაღლობისა და აჯანყების გარეშე. მოხდა ისე, რომ ამაზე არც მიფიქრია. რამდენადაც მაგონდება, პირველი ზიარების შემდეგ პირველად მაშინ ვიგრძენი, ოღონდ ბუნდოვნად, რომ — არ ვიცი, როგორ ვთქვა, — რაღაც უხერხული, შიშისმომგვრელი იყო იმაში, რასაც რელიგიის შესახებ გვასწავლიდნენ. რაღაც ბნელით მოცული იყო არა მარტო ჩვენთვის, ბავშვებისათვის, არამედ ყველასათვის. დიახ, მოზრდილთათვისაც; თვით მღვდლებისათვისაც კი.

აბატმა თავი ვერ შეიკავა და პროტესტის ნიშნად ხელები აასავსავა.

— ოჰ, — სწრაფად დასძინა ანტუანმა, — მე არასოდეს ეჭვი არ შემიტანია იმ მღვდლების გულწრფელობაში, რომელთაც ახლო ვიცნობდი, არც მათ გზნებაში, ან უკეთ, მგზნებარების უნარში დავეჭვებულვარ... მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ მღვდლები თვითონვე უხერხულად მოქმედებდნენ ამ წყვდიადში, თვითონაც უხერხულად, ბრმად უტრიალებდნენ იდუმალებით მოცულ ამ დოგმებს. ისინი ირწმუნებოდნენ, მაგრამ რას ირწმუნებოდნენ? რაშიც ისინი დაარწმუნეს. რასაკვირველია, მათ ეჭვი არ ეპარებოდათ იმ ჭეშმარიტებაში, რასაც ქადაგებდნენ. მაგრამ მათი შინაგანი რწმენა განა ისეთივე ძლიერი და დაბეჯითებითი იყო, როგორც მათი მტკიცება? ვერ გეტყვით, ვიყავი თუ არა ამაში დარწმუნებული... შეცბუნდით, არა?.. საქმე ისაა, რომ შედარებისათვის საერო მასწავლებლები გვყავდა. არ დაგიმალავთ, ისინი გაცილებით უკეთეს ავტორიტეტად, უფრო „მტკიცედ" მიმაჩნდა თავიანთ სპეციალობაში! გვესაუბრებოდნენ გრამატიკის, გეომეტრიის, ისტორიის შესახებ და ჩანდა, ღრმად იცოდნენ ის, რაზედაც ლაპარაკობდნენ.

— ისეთი რამ უნდა შეადაროთ ერთმანეთს, რის შედარებაც შეიძლება! — შენიშნა აბატმა და ტუჩი აიბზუა.

— მე ხომ მათი სწავლების საგანზე არ ვლაპარაკობ! უბრალოდ, მხედველობაში მაქვს ჩვენი საერო მასწავლებლების დაინტერესებულება იმისადმი, რასაც ასწავლიდნენ. მაშინაც კი, როცა მათ მეცნიერებას არ შეეძლო ყველაფრის ახსნა, იდუმალ იერს მაინც არ იღებდნენ. ყოველგვარ ყოყმანსა და არცოდნასაც კი აშკარად გამოხატავდნენ და წარმოიდგინეთ, ეს უფრო აღრმავებდა ჩვენს ნდობას, სულაც არ აღვივებდა ქვენა ფიქრს... ეჭვი... თაღლითობა... არა, სიტყვა „თაღლითობა" არ მინდოდა მეხმარა. მაგრამ მაინც გამოგიტყდებით, ბატონო აბატო, რამდენადაც ვუახლოვდებოდი უფროს კლასებს, საღმრთო სჯულის მასწავლებლები უფრო ნაკლებად იწვევდნენ ჩემში იმგვარ ნდობას, რასაც უნივერსიტეტის პროფესორებისადმი ვგრძნობდი.

— თქვენი საღმრთო სჯულის მასწავლებლები ნამდვილი ღვთისმეტყველები რომ ყოფილიყვნენ, — შეეკამათა აბატი, — მათ მიმართ სრულად გექნებოდათ სრული ნდობა.

(მას მხედველობაში ჰყავდა თავისი სემინარიის მასწავლებლები, საკუთარი სიბეჯითე და ნდობა ახალგაზრდობაში).

მაგრამ ანტუანი განაგრძობდა:

— აბა დაფიქრდით! ბიჭს თანდათან არჩევენ მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას. მის წინაშე ერთბაშად იხსნება მთელი სივრცე, სადაც მას ფრთების გაშლა შეუძლია! ამიტომ რელიგია ვიწროდ, არასასიამოვნოდ, უაზროდ მიაჩნია... იგი აღარ ენდობა...

აბატი მთელი ტანით გადაწვა უკან და ხელი წინ გაიშვირა.

— „უაზროდ!" ნუთუ სერიოზულად ამბობთ ამას: „უაზროდ?"

— დიახ, — დაბეჯითებით უთხრა ანტუანმა, — და ახლა ნათლად მესმის ზოგი ისეთი რამ, რაზედაც წინათ არ მიფიქრია: საქმე ისაა, რომ ამოსავალი წერტილი თქვენთვის მტკიცე რწმენაა და ამ რწმენის დასაცავად გონებას მოუხმობთ საშველად; ჩვენ კი, ჩემისთანა ადამიანები, ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ ეჭვსა და გულგრილობას და გონებას ნდობით მივდევთ, თუმცა არც კი ვიცით, საით მივყავართ.

— ბატონო აბატო, — სწრაფად დაუმატა ღიმილით და მღვდელს შეპასუხების დრო არ მისცა, — სერიოზულად თუ დამიწყებთ კამათს, მალე დარწმუნდებით, რომ ბევრი არაფერი მესმის ამ საკითხებში. ამას წინასწარ ვაღიარებ. ეს ისეთი საკითხებია, რის შესახებაც, საერთოდ, არ ვფიქრობ: ამდენი, რაც ამ საღამოს ვილაპარაკე, არასოდეს მიფიქრია. თქვენ თვი-

თონ ხედავთ, თავისუფალ მოაზროვნედ არ მომაქვს თავი. მე მხოლოდ მცადილობ აგიხსნათ, როგორ მოხდა, რომ ჩემმა კათოლიკურმა აღზრდამ ხელი არ შემიშალა მიმეღწია ახლანდელ მდგომარეობამდე — სრულ უნდობლობამდე.

— თქვენი ცინიზმი, სრულიად არ მაშინებს, ჩემო კარგო! — ნაძალადევი გულკეთილობით უთხრა აბატმა. — თქვენ მე გაცილებით უკეთესი მგონიხართ, ვიდრე ეს თქვენ თვითონ მიგაჩნიათ, მაგრამ განაგრძეთ, გისმენთ!

— ჰოდა, სინამდვილეში, მეც დიდხანს, დიდხანს სხვებივით ვიცავდი რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ისეთი გულგრილობით, რომ თვითონვე მიკვირდა... ზრდილობიანი... გულგრილობით. უფრო მოგვიანებითაც არ შევდგომივარ ძიებას, გადასინჯვას. ალბათ, გულის სიღრმეში დიდ მნიშვნელობას არც ვაძლევდი ამ ამბავს... (ამგვარად, ჩემთვის უცხო იყო ერთი ჩემი მეგობრის სულიერი მდგომარეობა, რომელიც საინჟინრო სასწავლებლისთვის ემზადებოდა და ერთხელ, საშინელი რელიგიური კრიზისის შემდეგ, ასეთი რამ მომწერა: „გულდასმით გადავსინჯე მთელი კონსტრუქცია. ფრთხილად, ძმობილო, ნუ ენდობი: ძალიან ბევრი ჭანჭიკი აკლია იმისთვის, რომ ფეხზე მაგრად იდგეს!..“) პირადად მე იმ ხანებში მედიცინით ვიყავი გატაცებული. რელიგიასთან განხეთქილება, ან უკეთ, ჩამოშორება უკვე მომხდარი იყო: სწავლის პირველი წლის ნახევრად მეცნიერული კურსის დამთავრებაც არ დამჭირებია იმაში დასარწმუნებლად, რომ დაუსაბუთებლად ნდობა შეუძლებელია...

— დაუსაბუთებლად?

— ... და რომ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ ურყევი ჭეშმარიტების ცნებაზე, რადგან ყოველგვარი ჭეშმარიტება თავშეკავებით უნდა მივიღოთ და თანაც მხოლოდ მაშინ, თუკი საწინააღმდეგო დამამტკიცებელი საბუთიცაა წამოყენებული... ვიცი, აღშფოთებული ხართ ჩემი საქციელით, ბატონო აბატო, მაგრამ ნუ გამიწყრებით. მე იმის თქმა მინდოდა, რომ მე წარმოვადგენ ბუნებრივი, ინსტინქტური უნდობლობის განსახიერებას, იქნებ, ჯოჯოხეთურსაც! მაგრამ ეს ფაქტია. ჯანსაღი, თავშეკავებული, ენერგიული ადამიანი გახლავართ და მისტიკის გარეშე მუდამ იოლად გავდიოდი. არაფერი, რაც კი ვიცი, რასაც დავკვირვებივარ, არაფერი ნებას არ მაძლევს ვიწამო ღმერთი, რომლის არსებობისა ბავშვობაში მჯეროდა; ამასთანავე ვაღიარებ, ჯერჯერობით უიმისოდაც იოლად გავდივარ. ჩემი ათეიზმი ჩემს გონებასთან ერთად ჩამოყალიბდა. არაფრის უარყოფა არ დამჭირვებია. გთხოვთ, არ იფიქროთ, თითქოს იმ უსუსურ მორწმუნეთა რიცხვს ვეკუთვნოდე, რომელთაც რწმენა უკვე დაკარგეს, მაგრამ გულში მაინც უხმობენ

ღმერთს; შფოთს აყოლილნი სასოწარკვეთილებით ხელებს იშვერენ ზეცისკენ. მაგრამ ამაოდ: არა, არა: მე საერთოდ არ ვიშვერ ხელს. სამყაროს გარეშე განგებისა უხერხულებაში არ მაგდებს: და როგორც ხედავთ, კარგადაც ვგრძნობ თავს.

უნდობლობის ნიშნად აბატმა ხელი აიქნია..

— ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, — გაიმეორა ანტუანმა, — და აი, უკვე თხუთმეტი წელი მაინც იქნება, ასე გრძელდება.

იგი ელოდა, რომ აბატი მაშინვე გამოამჟღავნებდა აღშფოთებას, მაგრამ დუმდა და ნელა არხევდა თავს.

— ეს არის წმინდა მატერიალური დოქტრინა, ჩემო საბრალო მეგობარო, — თქვა მან ბოლოს. — ნუთუ კვლავ ამ აზრისა ხართ? კაცმა რომ გისმინოთ, თქვენ მხოლოდ საკუთარ სხეულზე ზრუნავთ, თქვენი ერთი ნახევრისა გჯერათ, ისიც, როგორი ნახევრისა!.. საბედნიეროდ, ყველაფერი ეს მოჩვენებითია, და ასე ვთქვათ, ზერელეა. თვითონაც იცით, რა შესაძლებლობებია თქვენში, არც იმ ფარული ძალის შესახებ გაქვთ წარმოდგენა, რაც ქრისტიანულმა აღზრდამ თქვენში დატოვა. ამ ძალას თქვენ უარყოფთ, მაგრამ სწორედ იგი განაგებს თქვენს ბედს, ჩემო კარგო!

— რა უნდა გიპასუხოთ ამაზე? მე კი გარწმუნებთ, რომ ეკლესიის მიმართ არავითარ ვალდებულებას არა ვგრძნობ. ჩემი გონება, ნებისყოფა, ხასიათი ურელიგიოდ განვითარდა. მეტსაც გეტყვით: მის საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. კათოლიკურ მითოლოგიაში ისევე უცხოდ ვგრძნობ თავს, როგორც წარმართულ მითოლოგიაში. რელიგია და ცრუმორწმუნეობა ერთია ჩემთვის... არა, გულწრფელად გეუბნებით: ის, რაც ქრისტიანული აღზრდისაგან დარჩა ჩემში, ნულს უდრის.

— რა ბრმა ხართ! — წამოიძახა აბატმა და ხელები აასავსავა. — მაშასადამე, ვერ ხედავთ, რომ მთელი თქვენი ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც შრომის, მოვალეობითა და მოყვასის სიყვარულითაა შექმნილი, თქვენი მატერიალიზმის კატეგორიულ უარყოფას წარმოადგენს? არავის ცხოვრება ისე არ ამტკიცებს ღმერთის არსებობას, როგორც თქვენი! თქვენზე უფრო არავის აქვს დაკისრებული მისიის გრძნობა! ამქვეყნად თქვენზე უფრო არავის აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა! განა ეს ღვთის უსიტყვო აღიარებას არ ნიშნავს? თუ არ ღვთის წინაშე, ვიღას წინაშე უნდა აგოთ პასუხი?

ანტუანმა მაშინვე არ უპასუხა და აბატმა იფიქრა, ზუსტად მოვახვედრე მიზანშიო. სინამდვილეში, მღვდლის შენიშვნა ანტუანმა უსაფუძვლოდ ჩათვალა: საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სრულიად არ

გულისხმობდა ღმერთის არსებობას, ან ქრისტიანული ღვთისმეტყველების ძალის და საერთოდ, რაიმე მეტაფიზიკური ჭეშმარიტების აღიარებას. განა ამის დამადასტურებელი საბუთი თვითონვე არ იყო? კვლავაც კარგად გრძნობდა, რომ მისი მორალური რწმენის უქონლობასა და ზედმიწევნით კეთილსინდისიერებას შორის, რომელსაც იგი თავისი საქმიანობისადმი იჩენდა, უცნაური შეუთანხმებლობა არსებობდა; საჭიროა, გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ. კი მაგრამ, რატომაა საჭირო? იმიტომ, რომ ადამიანი საზოგადოებრივი პირუტყვია და თავისი მცდელობით ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოების გაუმჯობესებას, მის პროგრესს... იაფფასიანი მტკიცებაა, სასაცილო პოსტულატი! რისი გულისთვის? ვერასოდეს ეპოვა ამ კითხვის ნამდვილი პასუხი.

— ოჰ! — წაიბუტბუტა მან ბოლოს, — სინდისი რა შუაშია? ეს ჩირქოვანი მუწუკი მეცხრამეტე საუკუნის ქრისტიანობამ ყოველ ჩვენგანს დაუტოვა! იქნებ, ძალიან აჩქარდი, როცა ჩემი აღზრდის, ან უკეთ, მემკვიდრეობის კოეფიციენტი ნულამდე დავიყვანე...

— არა, ჩემო კარგო! ეს გადმონაშთი თქვენში სწორედ ის წმინდა საფუარია, რაზედაც წეღან სიტყვა გადაგიკარით. ერთ მშვენიერ დღეს ეს საფუარი ხელახლა დაიწყებს დუღილს და მთელ ცომს ააფუებს! აი, იმ დღეს თქვენი სულიერი ცხოვრება, რაც ამჟამად თავისთავად, მდორედ, თქვენდაუნებურად მიედინება, მთავარ ღერძს, თავის ნამდვილ მიმართულებას იპოვის. ღმერთს მანამ ვერ გაუგებ, სანამ მას ხელს ჰკრავ ან სანამ ეძებ... აი, ნახავთ: ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნევთ, რომ თქვენი სურვილის გარეშე ნავსაყუდელში შესულხართ. და იმ დღეს, როგორც იქნება, მიხვდებით: იმისათვის, რომ ყველაფერი განათდეს და მოწესრიგდეს, საკმარისია ღმერთი გწამდეს!

— კი მაგრამ, ახლავე გეთანხმებით, რომ ეს ასე იქნება! — ღიმილით უპასუხა ანტუანმა. — მე ისედაც ვიცი, რომ ჩვენი მოთხოვნილება უფრო ხშირად თვითონვე ქმნის დაკმაყოფილების საშუალებას; ამასთანავე, მეც ვფიქრობ, რომ ადამიანთა უმრავლესობას რწმენის ისეთი ძლიერი და ინსტინქტური მოთხოვნილება აქვს, თავსაც არ იწუხებენ გაიგონ, ნდობის ღირსია თუ არა ის, რაც მათ სწამთ; ისინი ჭეშმარიტებას უწოდებენ ყველაფერს, რასაც რწმენის მოთხოვნილება ჰკარნახობთ. თანაც, — თითქოს თავისთვის დასძინა, — ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ჭკვიან კათოლიკეთა უმრავლესობა, მათ შორის, მრავალი განათლებული მღვდელიც. მეტნაკლებად პრაგმატისტები არიან, თუმცა ეს თვითონაც არ იციან. ის, რაც ქრისტიანულ დოგმებში ჩემთვის მიუღებელია, ასევე მიუღებელია 'თანა-

დროვე კულტურის ყოველი წარმომადგენლისათვის. ოღონდ მორწმუნენი მაგრად ებღაუჭებიან თავიანთ რწმენას. და რომ არ შეერყეთ ეს რწმენა, ღრმად დაფიქრებას გაურბიან, რელიგიის სენტიმენტალურ თუ მორალურ მხარეს ეტმასნებიან. ამას გარდა, მათ ისე გულდასმით შთააგონეს, ეკლესია მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა ყოველგვარი წინააღმდეგობიდანო, რომ ამის შემოწმება აზრადაც არ მოსვლიათ... მაპატიეთ... ეს, ასე ვთქვათ, სხვათა შორის! მე იმის თქმა მინდოდა, რომ რწმენის მოთხოვნილება, როგორი საყოველთაოც არ უნდა იყოს იგი, ძველი მითოლოგიით, სიმბოლიით მოცული ქრისტიანული რელიგიის საკმაო გამართლებას ვერ წარმოადგენს.

— როცა ღმერთს გრძნობ, არავითარი საჭირო არაა მისი არსებობის გამართლება! — ჩაურთო მღვდელმა და მის ხმას შეკამათების სურვილი აღარ ეტყობოდა.

შემდეგ მეგობრულად გადაიხარა ანტუანისკენ:

— გასაკვირი მხოლოდ ისაა, თქვენ, ანტუან ტიბო, ასე რომ მსჯელობთ! ვაგლახ! ბევრ ჩვენს ქრისტიანულ ოჯახში, ბავშვები მშობლების ცხოვრების მოწმენი არიან, ხედავენ, რომ ყოველდღიური ცხოვრება ისე მიედინება, თითქოს სრულიადაც არ არსებობდეს ის ღმერთი, რომლის შესახებ მას უქადაგებენ. მაგრამ თქვენ? თქვენ, რომელსაც ბავშვობიდანვე ყოველწამს შეგეძლოთ დაკვირვებოდით ღმერთის არსებობას თქვენს კერაში! თქვენ ხომ ხედავდით, რომ იგი საბრალო მამათქვენს ყოველ ნაბიჯს შთააგონებდა!..

ჩამოვარდა სიჩუმე. ანტუანი აბატს მიაჩერდა, თითქოს პასუხს თავს არიდებსო.

— დიახ, — თქვა ბოლოს, — მართალი ხართ: დიახაც რომ მამაჩემის მეშვეობით ვხედავდით ღმერთს! — მისი ლაპარაკის მანერა და კილო თითქოს სათქმელს ამთავრებდა. — მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი არ ღირს, — დასძინა მან და საუბარი შეწყვიტა.

— იგი შუბლით მიეკრა ფანჯრის მინას.

— აგერ კრეილში მივედით! — წარმოთქვა მან.

მატარებელმა სვლას უკლო და შეჩერდა. ვაგონის ჭერზე ჩამოკიდებულ ნათურას შუქი მოემატა. ანტუანს გულით უნდოდა კუპეში ვინმე მგზავრი შემოსულიყო და საშუალება მისცემოდა სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი, მაგრამ სადგური თითქმის ცარიელი ჩანდა.

მატარებელი დაიძრა.

დიდხანს დუმდნენ. ეტყობოდა, ორივე საკუთარ ფიქრს მისცემოდა. ბოლოს ანტუანი აბატისკენ გადაიხარა:

— იცით, რა, ბატონო აბატო! ყოველ შემთხვევაში, ორი რამ მუდამ შემიშლის ხელს დავუბრუნდე კათოლიციზმს. ჯერ ერთი, ცოდვის საკითხი: ვფიქრობ, მე არ ძალმიძს ძრწოლა ვიგრძნო ცოდვის წინაშე. მეორეც, ვან-ჯების საკითხი: ვერასოდეს ვერ შევურიგდები იმ აზრს, რომ არსებობდეს ღმერთი, როგორც ასეთი!

აბატი დუმდა.

— დიახ, — განაგრძო ანტუანმა, — ის, რასაც თქვენ, კათოლიკები ცოდვას უწოდებთ, ჩემთვის, პირიქით, ყველაზე ცოცხალი და ძლიერია: ინსტინქტური, ყურადსაღები! ეს ისაა, რაც საშუალებას იძლევა, როგორა ვთქვა? ხელით შევეხოთ ყველაფერს! და თან წინ წავიდეთ! ყოველგვარი პროგრესი — ოჰ, არ იფიქროთ, თითქოს ამ სიტყვით, „პროგრესით", დაბრ-მავებული ვიყო, მაგრამ იგი ძალიან მოსახერხებელია, — ყოველგვარი პროგრესი უაზრო იქნებოდა, თუკი ადამიანი მორჩილად იტყოდა უარს ცოდვაზე... მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, — დაუმატა მან და აბა-ტის მხრების აჩეჩვას ირონიული ღიმილი შეაგება. — რაც შეეხება ჰიპო-თეზას განგების შესახებ, ნურას უკაცრავად! თუკი არსებობს რაიმე ცნება, რომელსაც მე უკამათოდ მოვიღებდი, ეს იქნებოდა საყოველთაო გულგრი-ლობის ცნება!

, აბატი შეკრთა:

— კი მაგრამ, თვით თქვენი მეცნიერება, ნებსით თუ უნებლიეთ, განა უმაღლესი წესის არსებობას არ ადასტურებს ერთთავად? (მე განგებ გა-ვურბივარ უფრო ზუსტ გამოთქმას: „ღვთაებრივ ჩანაფიქრს"); ჩვენ რომ თავს ნება მივცეთ, ჩემო საბრალო მეგობარო, და ეს უმაღლესი გონება უარვყოთ, რაც ყოველგვარ მოვლენას განაგებს და რომლის კვალიც ყვე-ლაფერს აჩნევია ამქვეყნად, ჩვენ რომ არ ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ბუნე-ბაში გარკვეული მიზანი აქვს ყველაფერს, რომ ყველაფერი რაღაც ჰარმო-ნიისთვისაა შექმნილი, მაშინ, საერთოდ, ვერას გავუგებდით ვერაფერს!

— კი, ბატონო!.. ასეც იყოს! სამყარო შეუცნობადია ჩვენთვის. ამას, როგორც ფაქტს, ვაღიარებ!

— ეს შეუცნობადი, ჩემო კარგო, სწორედ ღმერთია!

— ოღონდ ჩემთვის არა! მე ჯერჯერობით ცთუნებას არ ავყოლივარ და „ღმერთი" არ დამირქმევია იმისთვის, რაც ჩემთვის გაუგებარია.

ანტუანს გაეღიმა და რამდენიმე წუთი დუმდა.

აბატი თვალს არ აშორებდა, მზად იყო თავი დაეცვა.

— თუმცა, — — ღიმილით წამოიწყო ანტუანმა, — კათოლიკეთა უმრავ-ლესობას ღვთაებრიობის ცნება „კეთილი ღმერთის" ბავშვურ წარმოდგე-

ნამდე დაჰყავს, პატარა საკუთარ ღმერთამდე, რომელიც ჩვენი მაწანწალა სინდისის მცირეოდენ შერყევასაც კი ნაზი მზრუნველობით თვალყურს ადევნებს და რომელსაც თითოეული ჩვენგანი განუწყვეტლივ უხმობს ლოცვაში: „შემინდე ღმერთო!.. ღმერთო, ჰქმენ ისე, რომ...“ და ასე შემდეგ.

ბატონო აბატო, გთხოვთ, გაიგოთ: მე სრულიადაც არ მსურს იაფფასიანი სარკაზმებით შეურაცხგყოთ. მაგრამ ვერ გამიგია, როგორ შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ რაიმე ფსიქოლოგიური კავშირი, რაიმე კითხვა-პასუხი ერთ-ერთ ჩვენგანისა, ესე იგი, საყოველთაო ცხოვრების (თუნდაც მწერთა შორის მწერის — მიწის) უმნიშვნელო შემთხვევასა და ამ დიადი „ყველაფრის“, ამ საყოველთაო „პრინციპს“ შორის? როგორ უნდა მივაწეროთ მას ადამიანური მგრძნობელობა, მამობრივი სიყვარული და თანაგრძნობა? როგორ შეიძლება სერიოზულად გვწამდეს ზიარების, კრიალოსნის ძალა და რა ვიცი, კიდევ რისი; ვიწამოთ წირვა, რომლის საფასური წინასწარ გადახდილია, შეკვეთილია ადამიანისათვის, რომლის სული დროებით გაგზავნილი სალხინებელში? კი მაგრამ, სინამდვილეში ხომ არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს კათოლიკური რელიგიის ამ წეს-ჩვეულებებსა და პირველყოფილი რელიგიის რომელიმე წესს შორის: წარმართების მსხვერპლშეწირვასა თუ შესაწირავთა შორის, რასაც ველურები თავიანთი კერპების ფერხთით აწყობენ?!

აბატმა კიმალამ უპასუხა, მართლაც არსებობს ბუნებრივი რელიგია, მსოფლიო ყველა ხალხისათვის საერთო რელიგია და სწორედ ესაა რწმენის დოგმატიო. მაგრამ მან კვლავ შეიკავა თავი. კუთხეში მიკუნჩხული იყო, მკლავები გულზე დაეკრიფა, თითები ანაფორის სახელოში შეეყო და მთელი მისი გარეგნობა მოთმინებას, მორჩილებას, ირონიას გამოხატავდა, თითქოს ამ იმპროვიზაციის დასრულებას ელოდებაო.

ამასობაში მგზავრობა დასასრულს უახლოვდებოდა. ვაგონი რამდენჯერმე შეტორტმანდა პარიზის გარეუბნების ისრებზე. შეორთქლილი მინების მიღმა სინათლეები ღამის წყვდიადში ციმციმებდა.

ანტუანს რამდენიმე სიტყვა კიდევ ჰქონდა სათქმელი და აჩქარდა:

— სხვათა შორის, ბატონო აბატო, არ მინდა მცდარად გაიგოთ ჩემ მიერ ნათქვამი რამდენიმე სიტყვა! ვიცი, არაფერი მაძლევს უფლებას ღრმად შევიჭრა ამ ფილოსოფიურ საკითხებში, მაგრამ მინდა ბოლომდე გულახდილი ვიყო. მე თქვენ მელაპარაკეთ „უმაღლეს წესზე“ საყოველთაო „პრინციპზე...“ მაგრამ ამის შესახებ ელაპარაკობდით ისე, როგორც სხვები ლაპარაკობენ მსგავს შემთხვევებში... სინამდვილეში, ჩემი აზრით, ამ „წესში“ ეჭვის შესატანად ისეთივე საფუძველი გვექნებოდა, როგორც მისდამი

რწმენის გამოცხადებისათვის. განვითარების ამ დონეზე, ჩემნაირი ადამიანური პირუტყვი მშვენივრად ამჩნევს ბუნების თავაწყვეტილ ძალთა დიდ დომხალს: მაგრამ ეს ძალები ემორჩილებიან თუ არა მათ გარეშე მყოფ და მათგან განსხვავებულ რაიმე საერთო კანონს? ან, იქნებ... არ ვიცი, როგორ ვთქვა? იქნებ, შინაგან კანონებს ემორჩილებიან, რაც თითოეულ ატომზე მოქმედებს და აიძულებს „პირადი“ დანიშნულება შეასრულოს? კანონებს, რომლებიც მართალია, ამ ძალებზე გარედან არ ბატონობენ, მაგრამ მაინც შეერწყმიან? რომლებიც მათ მხოლოდ სულს ჩაუდგამენ?.. და თანაც, რამდენად არათანამიმდევრულია მოვლენათა ეს თანაში? ადვილად შემიძლია დავუშვა, რომ მიზეზები გამუდმებით გამომდინარეობენ ერთი-მეორისაგან, რადგან თითოეული მიზეზი მეორე მიზეზის შედეგია და თითოეული შედეგი თავის მხრივ, სხვა შედეგების მიზეზია. რაღა საჭიროა ვეცადოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, წარმოვიდგინოთ ეს „უმაღლესი წესი?“ ეს ხომ ჩვენი ლოგიკური მოსაზრების ცთუნებაა? რა საჭიროა ვცდილობდეთ ერთი საერთო მიმართულება მოვუნახოთ ყველა ამ მოძრაობას, რომლებიც ერთმანეთზე რიკოშეტით სხლტება უსასრულობამდე? პირადად მე, ხშირად მიფიქრია, რომ ქვეყანაზე ყველაფერი ისე ხდება, თითქოს არაფერი არაფერს არ იწვევდეს, თითქოს არაფერს აზრი არ ჰქონდეს...

აბატი უსიტყვოდ შესცქეროდა ანტუანს; ბოლოს თვალები დახარა და ბაგეზე ღიმილი შეაცივდა:

— დიახ! — თქვა მან, — ამაზე მეტად დაცემა წარმოუდგენელია...

შემდეგ წამოდგა და სათბუნებელის ღილები შეიკრა.

— მაპატიეთ, ბატონო აბატო, ასე, გულახდილად რომ ვაღიარე ყველაფერი! — გულწრფელი სინანულით წამოიძახა ანტუანმა. — ასეთ საუბარს მართლაც რომ აზრი არა აქვს. იგი მოსაუბრის შეურაცხყოფასღა იწვევს მხოლოდ. თვითონ არ ვიცი, რა წერამ ამიტანა დღეს!..

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. აბატი ნაღვლიანად უყურებდა ახალგაზრდა კაცს:

— თქვენ ისე გულახდილი იყავით ჩემთან, როგორც მეგობარი მეგობართან! მადლობელი ვარ!

თითქოს შეყოყმანდაო, ეთქვა თუ არა რაიმე კიდევ. მატარებელი ბაქანს მიადგა.

— ნება მიბოძეთ მანქანით მიგაცილოთ! — სულ სხვა ტონით წარმოთქვა ანტუანმა.

— სიამოვნებით, სიამოვნებით...

ტაქსში ანტუანს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა. იგი უკვე დაეფიქრებია ყოველდღიურ, ძნელ საქმიანობას, რაც მას ელოდა. მისი თანამგზავ-

რიც ჩუმად იჯდა. მაგრამ როცა სენას ჩაუარეს, აბატი ანტუანისკენ გაიხარა და ჰკითხა:

— რამდენი... წლისა ხართ?.. ოცდაათის?

— მალე ოცდათორმეტი შემისრულდება.

— ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ... ნახავთ! ბევრი თქვენისთანა მიმხვდარა ბოლოს! თქვენი ჯერიც მოვა. ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ღმერთის გარეშე იოლად ვერ გახვალ. ამ მომენტთა შორის ყველაზე საშინელი მომენტი — უკანასკნელი წუთია...

„დიახ, — გაიფიქრა ანტუანმა, — სიკვდილის შიში რაც ასე ძალიან ტანჯავს ყოველ ცივილიზებულ ევროპელს... ტანჯავს იმდენად, რომ თითქმის მთელ ცხოვრებას უწამლავს..."

მღვდელმა დააპირა ბატონი ტიბოს გარდაცვალებაზე გადაეკრა სიტყვა, მაგრამ თავი შეიკავა.

— იცით თუ არა, — ხელახლა წამოიწყო მან, — რას ნიშნავს მარადიულობის საზღვრამდე ისე მისვლა, ღმერთი არ გწამდეს, გაღმა ნაპირზე ვერ დაინახო ყოვლისშემძლე და გულმოწყალე მამა, რომელიც ხელს გიწვდის? მოკვდე სრულ წყვდიადში, იმედის უნაპერწკლოდ?

— ოო, თქვენი არ იყოს, მეც კარგად ვიცი ეს ამბავი, ბატონო აბატო, — სწრაფად მიუგო ანტუანმა. (მასაც მოაგონდა მამის სიკვდილი), ჩემი ხელობა — მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ დასძინა მან, — ისევე, როგორც თქვენი, მომაკვდავის შველას გულისხმობს. შესაძლებელია, ცხოვრებაში მე უფრო მეტი მომაკვდავი ათეისტი მინახავს, ვიდრე თქვენ. და ისეთი მძიმე მოგონება დამრჩენია, რომ შემეძლოს და ჩემს ავადმყოფებს რწმენის დოზა შევუშხაპუნო უკანასკნელ წუთს... მე არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ ჯგუფს, ვინც უკანასკნელი საათის სტოიციზმისადმი მისტიურ მოწიწებას განიცდის. პირადად მე, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე გეტყვით, ვინატრებდი, უკანასკნელ წუთს შვებისმომგვრელ რწმენას ვზიარებოდი. უიმედოდ სიკვდილისა ისევე მეშინია, როგორც აგონიისა უმორფიუმოდ. .

ანტუანმა აბატის აკანკალებული ხელი იგრძნო მკლავზე. მღვდელი, ალბათ, ცდილობდა ეს აღიარება, რომლის იმედი აღარ ჰქონდა. კეთილის მაუწყებლად ჩაეთვალა.

— დიახ, დიახ! — სწრაფად უთხრა მან და მის ხმაში მადლიერება იგრძნობოდა, — ჰოდა, დამიჯერეთ! კარს ნუ დაუხშავთ იმ მანუგეშებელ ძალას, რომელიც ერთ დღეს თქვენც ისევე დაგჭირდებათ, ვითარცა ყველას. მე მინდა გითხრათ: ლოცვაზე ნუ იტყვით უარს!

— ლოცვაზე? — წამოიძახა ანტუანმა და თავი გადააქნია, — ამ უაზრო მოხმობაზე... ვისადამი? ამ პრობლემატურ „წესისადმი“? ამ ბრმა, მუნჯი და გულგრილი „წესისადმი“?!

— სულ ერთია, სულ ერთია... ჰო, ამ „უაზრო მოხმობაზე!“ დამიჯერეთ! როგორიც უნდა იყოს დროებითი ტერმინი, რომელიც თქვენს ფიქრს გამოხატავს, როგორიც უნდა იყოს ეს ბუნდოვანი იდეა „წესისა“, „კანონისა“, რომელიც დროდადრო გონებაში გაგიელვებთ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემო საყვარელო შვილო, თქვენ მაინც უნდა მიმართოთ მას და ილოცოთ! გემუდარებით, რაც გინდათ გააკეთეთ, ოღონდ მარტოობაში ნუ ჩაიკეტებით! კონტაქტი, საერთო ენა გამონახეთ უსასრულობასთან, თუნდ სამაგიეროდ ჯერჯერობით არაფერი მიიღოთ, თუგინდ იგი მოჩვენებითი მონოლოგი იყოს! და ეს იყოს უსასრულო უკუნეთი, უსახოება, ამოუხსნელი გამოცანა, სულ ერთია, ილოცეთ მასზე! ილოცეთ გამოუცნობზე! მაგრამ მაინც ილოცეთ! უარს ნუ იტყვით ამ „უაზრო, მოხმობაზე“, რადგან ამ ჭეშმარიტებას ოდესმე ირწმუნებთ! ამ მოხმობას მაშინვე მოსდევს შინაგანი გარინდება, ნეტარი სიმშვიდე!..

ანტუანმა არაფერი უპასუხა. „გაუღწევადი ტიხარი“ — გაიფიქრა მან. მიუხედავად ამისა, მაინც იგრძნო, რომ თანამოსაუბრე ძალიან ღელავდა, და ამიტომაც გადაწყვიტა ისეთი არაფერი ეთქვა, რაც უფრო მეტად ატკენდა გულს. ამასობაში გრენელის ქუჩაზე მივიდნენ.

მანქანა გაჩერდა.

აბატმა ანტუანს მაგრად მოუჭირა ხელი. შემდეგ, სანამ ქვაფენილზე გადავიდოდა, ბნელი მანქანის სიღრმეში დაიხარა და შეცვლილი ხმით წაიბუტბუტა:

— დამიჯერეთ, ჩემო კარგო, კათოლიკური რელიგია სულ სხვა რამ არის. იგი გაცილებით, გაცილებით მეტია, ვიდრე აქამდე შეგეძლოთ წარმოგედგინათ...

# კომენტარები

## რუხი რვეული

გვ. 6 „რ ე ვ ი უ დ ე დ ე მ ო ნ დ“ — ლიტერატურული, პოლიტიკური, სამეცნიერო ჟურნალი.

8 „კ ლ დ ე თ ა ქ ა ლ წ უ ლ ე ბ ი“ — იტალიელი მწერლის გაბრიელ დ'ანუნციოს (1863—1938) რომანი.

მ ე ზ ო ნ-ლ ა ფ ი ტ ი — საგარაკო ადგილია პარიზში

11 პ ი უ დ ე დ ო მ ი — მთიანი მხარე საფრანგეთის ცენტრში. ცნობილია მთის ბროლით.

20. „ლ ე ტ უ პ ა რ ი“ — ცნობარი პარიზსა და მის მცხოვრებლებზე.

საპ. ლ ე გ. ო რ. კ ა ვ. — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი.

ე რ ი ს დ ე პ უ ტ ა ტ ი — ერი მდინარეა, რომლის სახელს ატარებს ნორმანდიის ერთი დეპარტამენტიც.

22 უ ღ მ ე რ თ ო თ ა ს კ ო ლ ა — 1886 წლის კანონით აკრძალული იყო ყოველგვარი რელიგიური სწავლება დაწყებითსა და საშუალო სასწავლებლებში (ლიცეუმებსა და კოლეჯებში). ბატონი ტიბო ასეთ სკოლებს უწოდებს „უღმერთოთა სკოლას“.

34. პ ე რ ო-გ ი რ ე კ ი (კოტ დიუ ნორი) — საფრანგეთის დეპარტამენტი.

ს ე ი-ს ი უ რ-ს ე ნ — გარეუბანი პარიზის ჩრდილო-დასავლეთით.

38 ბ ე ლ ი ა ლ ი ს ნ ა შ ი ე რ ე ბ ი (ბიბლ.) ბელიალი ბიბლიური სახელია სატანისა.

40 ჰ ო მ (ინგ.) — სახლი

44 რ ო ბ ე რ ტ ღ ვ თ ი ს მ ო ს ა ვ ი — რობერტ II, საფრანგეთის მეფე (996—1031) წ.

ე რ ი პ უ ი ტ (ლათ.) — ამოკლიჯა, წაართვა.

45 პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი, კაიუსი — რომაელი მწერალი (I საუკ.), რომანის „სატირიკონის“ ავტორი. პეტრონიუსისა და მისი მონის, ევნიკეს სიყვარული აღწერილია ჰენრიკ სენკევიჩის რომანში — „ვიდრე ხვალ, უფალო“.

ვალე ეტ მე ამა! ტიბი... ო, დილექტისიმე (ლათ.) — მშვიდობით და გიყვარდე! შენი... ო, უძვირფასესო!

49 „ს ი ბ ნ ე ლ ე შ ი ა მ ა ო დ მ ო ჰ ყ ვ ე ბ ი დ ა დ ა დ ს!“ — გამოთქმა ამოღებულია სახარებიდან.

პ ა რ მ ო დ ი უ ს ი დ ა ა რ ი ს ტ ო გ ი ტ ო ნ ი — ათენელი ჭაბუკები, რომლებმაც (514 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) მოკლეს ათენელი ტირანის პიზისტრატეს შვილი ჰიპარქი. პარმოდიუსი სიკვდილით დასაჯეს.

„ა ვ ე ც ე ზ ა რ! (ლათ.) — სალამი კეისარს!

50. ფ ი უ ლ ე რ ი ლ ო ი — (1869—1928) — ცნობილი მოცეკვავე ქალი.

ო ლ ი მ პ ი ა — პარიზის მიუზიკ-ჰოლი.

51 ს ა ლ უ ს ტ ი, კაიუს (86—34 ჩ. წ. აღ.) — რომაელი ისტორიკოსი.

ა მ ი კ უ ს ა მ ი კ ო (ლათ.) — მეგობარი მეგობარს.

52 ტ ი ბ ი ე ქ ს ი მ ო, კ ა რ ი ს ი მ ე! (ლათ.) — უშენოდ, უძვირფასესო.

53. ოკარინა — გამომწვარი თასისგან გაკეთებული კვერცხის ფორმის მუსიკალური ინსტრუმენტი.

61. კანებიერი — ქუჩა მარსელში.

70. თალასა! თალასა! (ბერძ.) — „ზღვა! ზღვა!"

85. განიმედე (ბერძ. მით) — ტროელთა უფლისწული. ზევსმა არწივის სახე მიიღო, განიმედე მოიტაცა, ოლიმპზე აიყვანა და ღმერთთა მერიქიფედ დანიშნა.

92. ლამარტინი, ვიქტორ (1812—1883) — ფრანგი პოეტი.

სიულ პრიუდომი, არმანი (1839—1907) — ფრანგი პოეტი

„ღამის ფერმიხდილი ვარსკვლავი" — ალფრედ დე მიუსეს ლექსი „ტარიფი".

„დიდი ხანია..." — ვიქტორ ჰიუგოს ლექსი — „საუკუნის ლეგენდა".

94. გრეზი — მხატვარ ჟან ბატისტ გრეზის (1725—1805) ტილო „უძღები შვილი" სახარების ერთ-ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს.

95. ვოლტერის სტილის სავარძელი — სავარძელი მაღალი საზურგით და სახელურებით.

### გამასწორებელი სახლი

103. ბოვე — ქალაქი უაზის დეპარტამენტში.

104. კომპიენი — უაზის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი.

106. ბელფორის ლომი — პარიზში, დანფერ-როშროს მოედანზე აღმართული ბრინჯაოს ძეგლი, კლდეზე მიყრდნობილი უზარმაზარი ლომის ქანდაკებით.

113. ლა როკეტი — საპყრობილე პარიზში, მცირეწლოვან ბოროტმოქმედთათვის.

გამოფენის წელი — იგულისხმება სამრეწველო მსოფლიო გამოფენა პარიზში 1900 წ.

132. ლათინური კვარტალი — უბანი პარიზში.

ლუი ლე გრანი — პარიზის ერთ-ერთი ცნობილი ლიცეუმი.

160 ტრადიციულად მიღებულია, რომ ფრანგთა შორის ყველაზე ცბიერი და დამცინავი ხალხი ნორმანდიელები არიან.

163 ად მაჟორემ დეი გლორიამ (ლათ.) — ღმერთის უაღრესად განდიდებისათვის.

166 ტალანტი — ხიმძიმისა და ფულის ერთეული ძველ საბერძნეთში.

167 პრიმო, სეკუნდო (ლათ.) — პირველი, მეორე.

ტერციო (ლათ.) — მესამე.

180. ტამატავა — ქალაქი და ნავსადგური მადაგასკარში.

184 მაკ-მაონი (1808—1893) — საფრანგეთის მარშალი, უკიდურესად რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე; 1873—79 წ. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ტიერი, ადოლფ (1797—1877) ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, პარიზის კომუნის ჯალათი, საფრანგეთის მე-III რესპუბლიკის პრეზიდენტი.

შვიდი სამართებელი — თითო სამართებელი თითო დღისთვის.

ტუილრი — ბაღი სასახლით; აშენებულია არქიტექტორ ფილიპ დე ლორმის მიერ.

197 „ი დ ი ნ ე, ი დ ი ნ ე, ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მ დ ი ნ ა რ ე ვ!..." — გოეთეს ლექსის „მთვარის" სტრიქონები.

მ ი ნ ი ო ნ ი — გოეთეს რომანის „ვილჰელმ მაისტერის" მოქმედი პირი, ქუჩის მომღერალი.

215 უ ბ ე დ უ რ ი ი ო ბ ი — ბიბლიური პერსონაჟი, ცნობილი თავისი სიღატაკითა და მორჩილებით.

216 დ ი რ: (ინგლ.) — ძვირფასო

243. პ უ რ პ უ რ ა რ უ მ უ ს უ ს უ დ რ ი ს: პ უ რ პ უ რ ა ქ ვ ა უ ტ ა ნ ტ უ რ (ლათ.) — მეწამული სამოსის ფლობა... მეწამული სამოსი, რომელსაც ფლობენ.

## ზ ა ფ ხ უ ლ ი

244 კ ა ბ უ რ გ ი — კურორტი ლამანშის ნაპირზე.

დ ი უ პ ა რ კ, ანრი (1848—1933) — ფრანგი კომპოზიტორი, რომანსების ავტორი.

245 ა მ ა ღ ლ ე ბ ა — წირვის დრო, როცა ღვთისმსახური ზევით სწევს სეფისკვერიან ხელს.

249 „მ ი ტ ო ვ ე ბ უ ლ ი ო ა ზ ი ს ე ბ ი..." ეს — ციტატა ისევე, როგორც მომდევნო ციტატები, ამოღებულია ანდრე ჟიდის წიგნიდან „მიწიერი საზრდო". ავტორი ხოტბას ასხამს სასტიკ ინდივიდუალიზმს და ადამიანებთან სოლიდარობის შეწყვეტას ქადაგებს.

250 პ ა ნ თ ე ო ნ ი ს მ ო ე დ ა ნ ი — სენტ-ჟენევიევის მთის წვერზე აღმართული პანთეონი, საფრანგეთის დიდ ადამიანთა ნეშტისთვის.

253 „ხ ო ე ფ ო რ ე" — ბერძენი ტრაგიკოსის ესქილეს (525—456 ჩვ. წ. აღ.) — ტრილოგიის „ორესტეას" მეორე ნაწილის სათაური.

ს ე ნ-ლ უ ი — ლიცეუმია პარიზში, ლათინურ კვარტალში.

„ო, კ ო რ ს ი კ ე ლ ო, ო, ს წ ო რ ო თ მ ა ნ ნ ო" — პოეტ. ოგიუსტ ბარბიეს (1805—1882) ლექსი „კერპი" (დაწერილია ნაპოლეონზე) ასე იწყება: „ო, სწორთმიანო კორსიკელო!". ბატენკური შუაზე ჰყოფს ლექსის პირველ ნაწილს და წინდებულს ცვლის მორისდებულით. ამით ლექსის შინაარსი მახინჯდება და კომიკურ ელფერს იღებს.

მ ე ს ი დ ო რ ი — მკათათვე, რესპუბლიკელთა კალენდრის მიხედვით, წლის მეათე თვე (20 ივნისიდან 19 ივლისამდე). ეს კალენდარი შემოიღო ნაციონალურმა კონვენტმა 1793 წ.

259 დ ი დ ი ტ რ ი ა ნ ო ნ ი — XVII ს. არქიტექტორ მანსარის მიერ ვერსალის პარკში აშენებული სასახლე.

ო დ ე ო ნ ი ს პ ა ს ა ჟ ი — ოდეონის თეატრი, რომელიც 1797 წ. დაარსდა.

264 კ ა რ უ ს ე ლ ი ს მ ო ე დ ა ნ ი — მოედანი ლუვრთან.

270. მ ა დ ლ ე ნ ი (ან წმ. მარი-მადლენის ეკლესია) — ყველაზე მდიდარი სამრევლო ეკლესია პარიზში.

„შ ე მ ო დ გ ო მ ი ს ნ ა კ ა დ უ ლ ე ბ ი" — უიტმანის პოემა.

პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ს დ ა ს ა პ ყ რ ო ბ ლ ა დ მ ი ე შ უ რ ე ბ ა — სახარების მიხედვით, ბაბილონი ცნობილი იყო უხსენო ჩვეულებებით. ვერფს ეს სიტყვები ათქმევინა პეკმელას ღამის რეს-

ტორნას თავისებურმა ხასიათმა და ფაქრის დახვეწილმა ჩაცმულობამ.

277 ცენტრალური სკოლა — სასწავლებელი, რომელიც ყოველი დარგის ინჟინრებს ამზადებს.

282 „გულს თავისი მიზეზები აქვს..." — ციტატა ამოღებულია ფრანგი მწერლისა და მოაზროვნის, ბლეზ პასკალის (1623—1662) ნაწარმოებიდან „ფიქრები"

285 ლოურენსი, თომას (1769—1830) — ინგლისელი მხატვარი — პორტრეტისტი.

289 დანიელი — ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, ერთ-ერთი წინასწარმეტყველს, დანიელს შურიანებმა ცილი დასწამეს და ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის ბრძანებით ლომების გალიაში ჩააგდეს; მეორე დღეს იგი საღ-სალამათი დახვდათ.

291. პასი — პარიზის ძველი გარეუბანი.

„პულხუს ბონუს..." (ლათ.) — მაჯა კარგია, შარდიც კარგია, მაგრამ ავადმყოფი მაინც კვდება.

292 ტროკადერო — სასახლე და ბაღი პარიზში პასის გარეუბანთან.

მონჟის სკვერი — ფრანგი მათემატიკოსის მონჟის (1746—1818) სახელობის სკვერი.

312 მართაც ახე შეპყურებდა მაცხოვარს — სახარების მიხედვით, მართას ძმა ლაზარე ოთხი დღის გარდაცვლილი იყო, როცა ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა.

316 „მარსელიეზა ბარიკადებზე" — ფრანგი მხატვრის დელაკრუას (1799—1863) ცნობილი სურათი.

325 მიქსიდ გრილ (ინგ.) — სხვადასხვანაირი შემწვარი ხორცისგან დამზადებული კერძი.

335 ლაფიტი, ჟაკ (1767—1844) — ფრანგი ფინანსისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

340 ვილელი, ჟოზეფ (1773—1854). — რესტავრაციის ეპოქის სახელმწიფო მოღვაწე.

341 უორდს!... (ინგ.) — „სიტყვები! სიტყვები! სიტყვები!" — შექსპირის ტრაგედიიდან „ჰამლეტი".

„პატარა სავოიარი" — საბავშვო პოპულარული წიგნი საფრანგეთში.

342 ტურენი — საფრანგეთის პროვინცია მდ. ლუარაზე.

მარლი — პატარა ქალაქი და პარკი ვერსალთან.

357. ნადო, გიუსტავ (1820—1893) — ფრანგი შანსონიე.

„დიადი იმედები" — ინგლისელი მწერლის ჩარლ დიკენსის (1812—1870) რომანი.

360 „ხათაელი" — ეშმაკეული.

361 ჟიულიენ სორელის დღე — ნართაულია სტენდალის რომანის „წითელი და შავი" გმირის ჟიულიენ სორელის კარიერაზე.

366 ჰაარლემი — ჩრდ. ჰოლანდიის ქალაქი.

372 დაგ (ჰოლ.) — გამარჯობათ!

ვერსტაადე? (ჰოლ.) — გაიგეთ?

პოლაცი (ჰოლ.) — პოლიცია.

მორგენ... პოლიცაი! (პოლ.) — ხვალ... პოლიცია!

390 ტრეპორა — კურორტი ლამანშზე.

392 „...ბოროტების ჩადენაც ძალუძთ..." — ნაწყვეტი ფრანგი პოეტის პოლ ვერლენის ლექსიდან „სიბრძნე".

„ვინჩენტობა" — ჟაკას მიერ შედგენილი სიტყვაა, ალბათ ფლორენციელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის სახელიდან: ვინჩის სურათებით აღტაცებაზე გახადა აქაც.

„პოდლერიტობა" — ასევე ხერხი გამოიწვია ბოდლერის ნაწარმოებებით აღტაცებაზე.

მალერბი, ფრანსუა (1555—1628) — ფრანგი პოეტი ლირიკოსი, XVIII ს.

ბუალო დეპრეო, ნიკოლა (1663—1711) — ფრანგი პოეტი — სატირიკოსი.

403. სენტ-ანი — ფსიქიატრიული საავადმყოფო პარიზში.

407. გრასი, ბაზილი (1831—1901) — ფრანგი გენერალი.

408. მერილენდი — ამერიკული თამბაქოს ჯიში.

409 უმბილიკუს... (ლათ.) — ჭიპი — სპილოს ძვლის თასის მაგვარი.

„პიმნი პიმნთაგანი" — ადგილი „ძველი აღთქმიდან".

410. ინ ექსტრემის (ლათ.) — უკანასკნელ წუთს.

413 უფლისწული პიერი — პიერ კარაგეორგიევიჩი (1846—1921) სერბიის მეფე 1903 წლიდან.

„ლუვრი" — აქ: მზა ტანსაცმლის დიდი მაღაზია პარიზში, ლუვრის სასახლესთან.

მარაბუ — პატარა მეჩეთი.

415 სენ-კლუ — სასახლე და პარკი პარიზთან ახლოს.

424 უოლოფის, სერერი, ფულბე, მუნდაგი, ბაგირმიენი — აფრიკული ტომები.

425 მაიო-კაბი — მდინარეა აფრიკაში.

გრი-გრი — თილისმა; ბუბუ — წინსაფარი.

„მეისტერზინგერები" ვაგნერის ოპერა.

428 ორანი — დეპარტამენტი ალჟირში.

ფალიერი, არმანი (1841—1911) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე.

429 ლათამი, იუბერი (1883—1912) — ცნობილი ფრანგი მფრინავი.

433 კაზამანსი — მდინარეა სენეგალში.

435 კაიდი (არაბ.) — ტომის ბელადი.

ლომე — ქალაქი და ნავსადგური გვინეის სრუტეზე.

459 პალანძა — ტურისტული სადგური იტალიაში, მაჟორის ტბაზე.

460 ნეილი — პარიზის გარეუბანი.

465 კოდბეკი — ქალაქია რუანსა და პავრს შორის.

472 კინშასა — ბელგიის კონგოს ნავსადგური.

475 პავრი — ქალაქი და ნავსადგური ლამანშზე.

სალონიკი — 1912—13 წლ. სალონიკი თურქებს ეკუთვნოდა.

ოსტენდე — საკურორტო ქალაქი და ნავსადგური ბელგიაში.

## ავადმყოფების მიღების დღე

486 შარიტე — საავადმყოფო პარიზში.

500 მორიტურუს (ლათ.) — სასიკვდილოდ განწირული.

505 უტ ალაკუად... (ლათ.) — ამაო წამლების მიღება (აგონიაში, ვითომ რამე კეთდება — ექიმებისა და იურისტების ხუმრობა).

509 პოტის ავადმყოფობა — პერსივალ პოტი (1713—1788) — ინგლისელი დასტაქარი.

516 დედოფალი ელისაბედი — ბელგიის დედოფალი.
1813 წლის ამბები — 1813 წლის ოქტომბერში რუსეთის, პრუსიის, ავსტრიისა და შვეციის შეერთებულმა არმიამ ლაიპციგთან დაამარცხა ნაპოლეონი.

517 ტისა, იშტვანი (1861—1918) — უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწე.
ბერხტოლდი, ლეოპოლდ (1864—1918) — ავსტრიელი დიპლომატი.

518 „სამთა შეთანხმება" — ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება; 1904—1907 წ. მან შეადგინა ამ სახელმწიფოთა კოალიცია „სამთა კავშირის" წინააღმდეგ პირველი მსოფლიო ომის წინა დღეებში

540 „რევიუ დე ნეროლოჟი" — „ნევროლოგიური ჟურნალი".
აფაზია — მეტყველების მოშლილობა თავის ტვინის ქერქის დაზიანების შედეგად.

## ლა სორელინა

568 ლა სორელინა (იტალ.) — დაიკო
ზუავი — 1831 წ. ალჟირში შექმნილი ფრანგული ფეხოსანი კორპუსის ჯარისკაცი.

569 ვენსან დე პოლი (1581—1660) — ფრანგი მღვდელი, ცნობილი თავისი ქველმოქმედებით.

588 კიიბეფი — პატარა ნავსადგური სენაზე.

601 სარკიანი გალერეა — ვერსალის სასახლის ცნობილი გალერეა.
დედოფალი საბა — ბიბლიის მიხედვით არაბეთის ბრძანებელი დედოფალი საბა, ცნობილი თავისი მდიდრული ზეიმებით, დაინტერესებულა სოლომონის სიბრძნით და მას სანახავადაც მისულა.

603 რენანი, ერნესტი (1823—1892) — ფრანგი თეოლოგი, სემიტოლოგი და ფილოსოფოსი.

604 „კალიოპე" (ბერძ. მით.) — ეპიკური პოეზიისა და მჭერმეტყველების მუზა. აქ: ლიტერატურული ჟურნალის სახელწოდება.

606 გრანდ პრასერი — სიტყვა-სიტყვით: დიდი ლუდხანა.
ბირი — ქინაქინის ქერქზე დაყენებული არაყივით მაგარი ღვინო.

610 პესტუმი — ქალაქი ნეაპოლთან, ცნობილია ანტიკური ტაძრების ნანგრევებით.

613 მესალინა — იმპერატორ კლაუდიუს (I საუკ.) ცოლი, ცნობილი თავაწყვეტილი ცხოვრებით.

616 „ბენედიციტე!" — კათოლიკური ლოცვა ჭამის წინ, იწყება სიტყვით „დალოცოს"!

617 „ლე დრუა დე ლომ" — „ადამიანის უფლებები".
პეგი, შარლი (1873—1914) — ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი.
ჟორესი, ჟან (1859—1914) — ფრანგ სოციალისტთა ბელადი, გაზეთ „ლუმანიტეს" დამაარსებელი.

ე უნა ვერა... (იტალ.) — ჭეშმარიტა ნეაპოლელა.

619 „ფიორიტურა“ (მუს.) — მელოდიის შემამკობელი ნოტები.

633 ვალორბი — შვეიცარიის პატარა ქალაქი, საფრანგეთის საზღვართან.

644 პრე-ო-კლერკის ქუჩა — მინდორი იყო სენ-ჟერმენ დე პრეს სააბატოს წინ.

660 გაბესი — ტუნისის ქალაქი, ნავსადგური გაბესის სრუტეზე.

662 ვიტერბი — იტალიის ქალაქი რომთან.

კამორა — ბოროტმოქმედთა საიდუმლო ორგანიზაცია სამხ. იტალიაში.

672 „ომნიბუს“ (ლათ.) — ყველასთვის.

677 ლიუნევილი — ქალაქი საფრანგეთ-გერმანიის საზღვართან.

678 „ჟაკი ფატალისტი“ — ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის დენი დიდროს (1713—1784) რომანი.

## მამის სიკვდილი

694 „მიბაძვა ქრისტესი“ — ლათინურად დაწერილი საღვთო წიგნი. ავტორი უცნობია; მის ავტორობას მიაწერენ რამდენიმე პირს: ჟერსონს (1361—1428), გერმანელ ბერს, მწერალ მისტიკოსს ტომას კემპისს (1391—1471).

დე პროფუნდის! (ლათ.) — უფსკრულის სიღრმიდან!

720 ფლერიუს — აქ პარიზის ერთ-ერთი სატელეფონო პოსტი.

74· „სიხარული არ განგიცდია...“ — სონიას ამ სიტყვებით მთავრდება ანტონ ჩეხოვის პიესა „ძია ვანია“.

745 სენ-როში — ეკლესია პარიზში, სენ-ონორეს ქუჩაზე, აშენებულია XVIII საუკუნეში.

754 — საუზმე.

761 სენ-გრეგუარი — პაპის, გრეგუარ XVI-ს (1831) მიერ დაარსებული ორდენი.

სენტ-იზაბელი — 1815 წ. ფერდინანდ VII-ს მიერ დაარსებული ორდენი.

766 ახალი კალედონია — კუნძულია მელანეზიაში;

767 ბიუფონი, ჟორჟ-ლუი (1707—1788) — ფრანგი ნატურალისტი და მწერალი, „ბუნების ისტორიისა“ და „ბუნების ეპოქების“ ავტორი.

სენ-ფრანსუა დე სალი (1567—1622) — ჟენევის ეპისკოპოსი, რელიგიური მწერალი.

769 სენ ვენსან დე პოლის სამონაზვნო ორდენი — რელიგიური კონგრეგაცია, დაარსებული ფრანგი ფილანტროპის ვენსენ დე პოლის (ის. კომ. 569) მიერ.

772 ლა ბრიუერი, ჟან (1645—1696) — ფრანგი მწერალი.

777 ად ლიბიტუმ (ლათ.) — ნებით, არჩევით.

788 „უკვდავნი“ (ფამ. და ირონ.) — ირონიული სახელი ფრანგი აკადემიკოსებისა. რაკი აკადემიკოსს ეს ხარისხი მთელი სიცოცხლის მანძილზე აქვს, ხოლო მათი რიცხვი უცვლელია, ახალი კანდიდატი მხოლოდ ერთ-ერთ წინამორბედის გარდაცვალების შემდეგ შეიძლება აირჩიონ.

789 ორესტი (მით.) — აგამემნონის ვაჟი, ლეგენდარული მეფე, გმირი ბერძნების ბელადი; მათ ალყა შემოარტყეს ტროას. ორესტის მეგობრობა პილადესთან საყოველთაოდ ცნობილია.

806 „ადამიანური... ზეადამიანური“ — ნიცშეს ერთ-ერთი თხზულების სახელწოდება.

სარჩევი

ნაწილი პირველი — რუხი რვეული . . . 5
ნაწილი მეორე — გამასწორებელი სახლი . . . . 101
ნაწილი მესამე — ზაფხული
ნაწილი მეოთხე — ავადმყოფთა მიღების დღე .
ნაწილი მეხუთე — ლა სორელინა . . . .
ნაწილი მეექვსე — მამის სიკვდილი . . . .

# РОЖЕ МАРТЕН ДЮ ГАР

## СЕМЬЯ ТИБО

Роман. Т. I

(На грузинском языке)

რედაქტორი ი. ლეჟავა
მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი თ. ფარცხალავა
გამომშვები გ. მინდიკაური

ს. ბ 3256

ჩაბარდა წარმოებას 9. 12. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 10. 87 წ. ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა მერანი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 43,36. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 45,81. პირობითი საღებავ გატარება 40,59. ტირაჟი 40000 ეგზ. შეკვეთა № 79

ფასი 5 მან.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1987
Издательство «Мерани», пр. Руставели, 42
Тбилиси, 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.